საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრი

სამეგრელო

ჟოლუნეული
ოდიში

(არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის,
ხუროთმოძღვრებისა
და ეთნოლოგიის ნარკვევები)

ილია ანთელავას საერთო რედაქციით

თბილისი - ზუგდიდი
1999



„სამეგრელოში ბოველ და საქართველო ვნახე – დიდი საქართველო! ბევრი ქირი უნახავს საქართველოს, მრავალს ქარტეხილს გადაუვლია ზურგზედა მისსა. მაგრამ ყოველთვის ეამსა რღვევისა და ვაწბილებისა... მტერთა მისთა დამთრგუნველი სამეგრელო იყო, იგი იყო ერთსულ და ერთგულ იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინეთ, ეგრე არის ახლა, ეგრე დარჩება მომავალშიც."

სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავზე
საქართველოს ერთიანობისათვის
აღსრულებული თაობების
ხსოვნას

ნაშრომი შესრულებულია 1998 წელს
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ფინანსური მხარდაჭერით

I ნაწილი გამოკვლევისა „სამეგრელო (კომპლექსური ალწერა. მხარის განვითარების პერსპექტივები)“
სამუშაოს ხელმძღვანელი *ილია ანთელავა*

რეცენზენტები: აკადემიკოსი **როინ მეტრეველი**
აკადემიკოსი **გრიგოლ გიორგაძე**

© ი. ანთელავა, თ. ბერაძე,
ო. ლორთქიფანიძე და სხვ.

გამომცემლობა «ინტელექტი»

1999

შინაარსი

შესავალი *(ილია ანთელავა)* 8

თავი პირველი

ბიოგეოგარემო და ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევი 12

1.1. ბიოგეოგარემოს ზეგავლენის შესახებ ძველი
კოლხეთის ისტორიაზე (გელა გამყრელიძე) 12

1.2. ისტორიული გეოგრაფიიდან (თამაზ ბერაძე) 21

თავი მეორე

ქართველური ენების დასავლური არეალი
(კოლხური ანუ ზანური) (პაატა ცხადაია) 25

2.1. ქართველური ენები და მათი დიფერენციაცია 25

2.2. ისტორიული ეთნონიმიკის საკითხები 28

2.3. კოლხურის (ზანურის) დიალექტები 30

2.4. კოლხურის (ზანურის) შესწავლის ისტორიიდან 32

2.5. ლექსიკა და ტოპონიმია 34

თავი მესამე

„ოქრომრავალი კოლხეთი“
(მითი და რეალობა) (ოთარ ლორთქიფანიძე) 37

3.1. წინარე ისტორიის შესახებ 37

3.2. კოლხური ბრინჯაოს კულტურა 39

3.3. თქმულება არგონავტებზე და აია//კოლხეთი 52

3.4. კოლხეთი და მისი კულტურა ძვ. წ. VII-IV სს. 60

3.5. კოლხეთი და ბერძნული სამყარო 85

3.6. კოლხეთის როლი და მნიშვნელობა ერთიანი ქართული
ცივილიზაციის წარმოქმნა-განვითარებაში 88

თავი მეოთხე

ეგრის-კოლხეთიდან ოდიშამდე 92

4.1. ეგრისი ძველი და ახალი ერის მიჯნაზე (თამაზ ბერაძე) 92

4.2. ახალი ეგრისის (ლაზიკეს) სამეფო 98

4.3. ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა") სამეფო 120

4.4. ფოთი-ფასისის ისტორიისათვის (გელა გამყრელიძე) 122

თავი მეხუთე

ოდიშის საერისთავო (თამაზ ბერაძე) 129

5.1. ოდიშის საერისთაგო ერთიან მონარქიაში 129

5.2. ოდიშის საერისთავო XV-XVI სს. 147

თავი მეექვსე

ოდიშის სამთავრო ძველ დადიანთა მმართველობის ხანაში
(ილია ანთელავა) 165

6.1. ოდიში XVI ს. 70-იანი წლებიდან XVII ს. დამდეგამდე 165

6.2. ლევან II დადიანი სამთავრო ტახტზე 169

6.3. ბრძოლა პირველობისათვის 177

6.4. ურთიერთობანი ირანთან, ოსმალეთთან და რუსეთთან 189

6.5. გეზი ევროპაზე 198

6.6. ლევან II-ისა და დინასტიის უკანასკნელი წლები 208

თავი მეშვიდე

ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის
მმართველობის ხანაში 216

7.1. XVII ს. მიწურულიდან XVIII ს. დამდეგამდე (თამაზ ბერაძე) 216

7.2. სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 235

7.3. სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა
(აბესალომ ტუღუში) 247

7.4. მოკლე ცნობები სამთავრო ოჯახის წევრების შესახებ
სამთავროს გაუქმების შემდეგ (შამანტი ბაჭკორია, ნაზი ქორთუა) 252

თავი მერვე

ხუროთმოძღვრების ნარკვევი 256

8.1. ნოქალაქევისა და მისი „ქვეყნის" არქიტექტურა

(პარმენ ზაქარაია, თამილა კაპანაძე) 256

8.1.1. ნოქალაქევი-არქეობოლისი-ციხე-გოჯი 256

8.1.2. არქიტექტურული ძეგლები ნაქალაქარის გარეთ. 272

8.1.3. ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთის მონაკვეთის
დაცვის სისტემა 275

8.2. სამეგრელოს შუასაუკუნეების ხანის ციხე-სიმაგრეები
(პარმენ ზაქარაია) 282

8.3. მოკლე ცნობები საკულტო ხუროთმოძღვრების
ძეგლების შესახებ (ნათელა ჯაბუა) 291

თავი მეცხრე

ყოფის ისტორიის ნარკვევი (ნინო აბაკელია) 295

9.1. არქაული კულტები და რიტუალები სამეგრელოში 295

9.2. საქორწინო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში 305

9.3. დაკრძალვისა და გლოვის წესები სამეგრელოში 310

დამატება I

რევაზ პაპუაშვილი — ერგეტის სამაროვნები 317

დამატება II

ლილი ბერაია — ზუგდიდის ისტორიული მუზეუმში
დაცული სიწმინდეები 322

დამატება III

ილია ანთელავა — XII-XIV სს. დადიანები 325

დამატება IV

ილია ანთელავა, თამაზ ბერაძე — მთავარ დადიანთა ქრონოლოგია 326

დამატება V

მარინე ქობალია — სამეგრელოს სათავადაზნაურო საგვარეულოები 328

დამატება VI

თორნიკე ასათიანი — სამეგრელოს სამთავროს გერბები 329

ილუსტრაციები და რუკები 331

ავტორთა შესახებ 371

მადლობის გვერდი 372

About the book 373

უძველესი

თანამედროვე ევროპული ცივილიზაცია (და ამდენად ატლანტიკური ერთობაც) არქაული, ე. წ. "გმირული ეპოქის" ელადაში — საბერძნეთში იწყება (რომის ცივილიზაციასთან ერთად). თვით აქეური და მისი მომდევნო ბერძნული სამყარო კი დღემდე მომხიბლავი მითოსიდან იღებს სათავეს. ელინთა ერთერთი უპირველესი მითები კავკასიონზე მიჯაჭვულ პრომეთევსსა და აია-კოლხეთში ოქროს საწმისისათვის გალაშქრებულ არგონავტებს შეეხება. მითოსურად და ისტორიულად დადასტურებული კონტაქტები ძველი ბერძნებისა და კოლხებისა თვალსაჩინოდ წარმოგვიჩენს ქართული ცივილიზაციის უძველეს საწყისებს და მის ადრეული ეპოქებიდანვე მომდინარე ევროკულტურული წრისადმი მიდრეკილებას. ლეგენდარული კოლხეთი იყო ქართველური ერთიანობის უძველესი სიმბოლო ანტიკურსა და ბიზანტიურ წყაროებში (*რ. გორდეზიანი*).

წინამდებარე კოლექტიური მონოგრაფია საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავს ეძღვნება. მისი შესწავლის ძირითადი ობიექტი ისტორიული კოლხეთი — ეგრისია, სადაც დაირწა დასავლურქართული სახელმწიფოს აკვანი. სწორედ კოლხეთი — ეგრისი იყო ის რეგიონი, სადაც ჩამოყალიბდა უაღრესად საინტერესო ცივილიზაცია, საერთოქართულ სახელმწიფოსა და ცივილიზაციას ერთ-ერთ მკვიდრ და მოუშლელ საძირკვლად რომ დაედო.

დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში არსებობდა ენა, რომელსაც პირობითად უწოდებენ საერთოქართველურს ანუ წინარე-ქართველურს. გეოგრაფიული და ისტორიული პირობების გამო ამ ენის გავრცელების ტერიტორიაზე წარმოიქმნა ორი დიალექტური არეალი — დასავლური და აღმოსავლური.

დასავლური არეალის დიალექტი საფუძვლად დაედო ერთი მხრივ სვანურს, მეორეს მხრივ კი კოლხურს (ზანურს), რომელიც შემდეგ მეგრულად და ჭანურად (ლაზურად) დაიშალა. აღმოსავლური არეალი კი საფუძვლად დაედო ქართულ ენას, რომელსაც ისტორიამ განსაკუთრებული როლი არგუნა. გარკვეულია, რომ ზანურენოვანმა მოსახლეობამ შექმნა ბრწყინვალე კოლხური კულტურა და ძველკოლხური სახელმწიფო, რომელიც ძირითადად ამ კულტურის გავრცელების არეალს მოიცავდა.

ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესმა, ქრისტიანობამ, ეროვნული ეკლესიისა და კულტურის საჭიროებებმა ობიექტურად მოიტანა და ზანურენოვანმა და სვანურენოვანმა ქართველებმა (და აფხაზებმაც) აღმოსავლური არეალის ქართული ენა უყოყმანოდ მიიღეს სახელმწიფოსა და განათლების ენად — დედაენად.

წინამდებარე ნაშრომიდან კარგად ჩანს ბრწყინვალე კოლხური კულტურის ჩამოყალიბების პროცესი, მისი ადგილი და როლი იმდროინდელ „მსოფლიოში". წარმოჩენილია ის პროცესებიც, რამაც შეაფერხა კოლხური ცივილიზაციის შემდგომი წინსვლა. ამის შემდეგ მეწინავეობა აიღო აღმოსავლურქართულმა სახელმწიფოებრიობამ, რომელსაც წილად ხვდა ერთიანი ქართული ცივილიზაციის, ერთიანი ქართული ქრისტიანული კულტურის, ქართველი ერის ჩამოყალიბება.

ელინისტური ხანის გარიჟრაჟზე წარმოქმნილი ქართლის (იბერიის) სახელმწიფო მდებარეობდა დიდი კოლხური და იორ-ალაზნის კულტურების შესაყარზე. ეს ფაქტორი და გეოგრაფიული მდებარეობა იმთავითვე განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა მას ქართველური სახელმწიფოებრიობის სისტემაში.

ეგრისში ქრისტიანობა უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე ქართლში, მაგრამ „ყოველი საქართველოს" სულიერი ცხოვრების მესაძირკვლედ ადრეული შუა საუკუნეებიდან ქართლის ეკლესია შეიქმნა, რადგან იგი თავიდანვე ეროვნულ (ქართულენოვან) ეკლესიად ჩამოყალიბდა, განსხვავებით ეგრისისაგან, სადაც ქრისტიანობა პირველ ეტაპზე ბიზანტიულ-ბერძნული ეკლესიის სახით დამკვიდრდა. დასავლეთი საქართველოს ეკლესიის გაეროვნულება ქართული ენის საფუძველზე მოხდა. ამის შემდეგ მეგრულ-ჭანური და სვანური, რომლებიც საენათმეცნიერო თვალსაზრისით დამოუკიდებელი ენებია, სოციოლინგვისტური თვალსაზრისით შინაურობაში საურთიერთო ენებად დარჩნენ. ამასთან, უნდა ვიცოდეთ, რომ XX საუკუნის მიწურულამდე ცოცხალ ენებად დარჩენილი მეგრული, ლაზური ანუ ჭანური (თურქეთში) და სვანური — ჩვენი საერთო ქართველური მემკვიდრეობაა, დედაქართულის კვალდაკვალ ჩვენი ერის სიმდიდრეა და ყველას ერთად, „ქართული გორისას" გაფრთხილება სჭირდება.

უშინაგანესი მემკვიდრეობითობა იყო ძველ ეგრის-კოლხეთს, ახალ ეგრისს (ლაზიკეს) და შუა საუკუნეების ოდიშ-სამეგრელოს შორის.

აიეტის ძველკოლხურმა საზოგადოებამ და გუბაზის ახალმა ეგრისმა შუა საუკუნეების ოდიშარ-მეგრელებს უანდერძეს უაღრესი პატრიოტიზმი და კულტურული ერთიანობა „ქვეყანა საქართველოს" შიგნით.

მძაფრი პოლიტიკური გათიშულობის დროსაც, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო შუასაუკუნეობრივი საზოგადოებებისათვის საერთოდ და კერძოდ საქართველოსათვის, არ შემწყდარა ერთიანი კულტურული მაჯისცემა. „... სამეგრელოშიც იგივე კულტურული ძალები მოქმედებს, რაც საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. ეროვნული ცნობიერების მთლიანობის გამოცხადება აქ უფრო მკაფიოც არის" — „ქართული ენა იყო... არა მარტო კულტურის მთავარი იარაღი, არამედ სიყვარულის საგანიც" (ს. ჯანაშია). ამის უდავო დასტურია ოდიშის საერისთავოში და შემდეგ სამთავროში გაჩაღებული ცხოველი მუშაობა მშობლიური ლიტერატურის, ხელოვნების, საერთოდ კულტურის განსავითარებლად და დასაცავად. უნდა აღინიშნოს, რომ ნათქვამი სავსებით ეხება კულტურულ-ისტორიულად ქართულ კუთხეს აფხაზეთს, რომელიც საერთოქართული კულტურის ასეთივე მშენებელი და წევრი იყო.

ცნობილია, რომ საქართველოს ისტორიის პროცესი იყო ქართველი ერის, სახელმწიფოებრიობის, ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის — „ქართველობის" ჩამოყალიბების ხანგრძლივი პერიოდი. მიუხედავად ჩვენში გაბატონებული მოძღვრების, როგორც სააზროვნო დოგმის გადავარდნისა, ერის განსაზღვრის საკითხში ჩვენი საზოგადოების, მათ შორის მაღალგანათლებულის გარკვეული ნაწილი კვლავ რჩება ძველი ფორმულის ნიადაგზე, რაც იმთავითვე ანაქრონიზმს წარმოადგენდა. ეთნოლოგია

იცნობს როგორც მარტივი ეთნიკური შედგენილობის ერებს, ისე გარკვეული ეთნიკური ინდივიდუალობის მქონე რამდენიმე კომპონენტისაგან შემდგარ ერებსაც. სწორედ ასეთს წარმოადგენს საქართველო და ამის სათანადოდ გაცნობიერება ბევრ უხერხულობას და მეტიც, შეცდომას აგვაშორებს.

„ქართველობა" ემყარებოდა ეროვნულ აღმსარებლობად ქცეულ სარწმუნოებას, მაღალგანვითარებულ ევროპული ტიპის სამმეფო წყობას და „პატრონყმობას",ქართულ ზრდილობა-გაზრდილობას. ეს იყო სახარებისა და „ვეფხისტყაოსნის" იდეალებზე ორიენტირებული შუასაუკუნეობრივი საზოგადოება.

ეს საზოგადოება შექმნა იმდროინდელი ქართველობის ყველაზე მოწინავე ნაწილმა – არისტოკრატიამ, ელიტამ, რომელიც საერთოქართული კულტურის შემქმნელი, მატარებელი და განმავითარებელი იყო. არისტოკრატიამ შეკრა და შეადუღაბა საქართველოს მოუშლელი ერთობაც.

„ქართველობის" შექმნაში თავისი უდიდესი წვლილი მიუძღვით კოლხებს და მათ უშუალო მემკვიდრეებს, შუა საუკუნეების ოდიშ-სამეგრელოს მოსახლეობას. ამის დასტურია სულიერი და მატერიალური კულტურის პირველხარისხოვანი ძეგლები, სათანადო წყაროთა უხვი მოწმობანი. ოდიშის მთავრების სასახლე საუკუნეების განმავლობაში იყო ქართული კულტურის ნამდვილი კერა, რის საბუთადაც თუნდაც ლევან II დადიანის კარი და უკანასკნელი მთავრის, ნიკო დადიანის ცნობილი შეწირულობაც კმარა. სამეგრელოში დანახულმა სწორედ ამ პათოსმა ათქმევინა დიდ ილიას ის ცნობილი სიტყვა, რომელიც ამ წიგნს პირველი ფურცლიდან მსჭვალავს.

ოდიში იყო ის რეგიონი, რომელსაც ქართული სახელმწიფოებრიობის დაქუცმაცემის („საქართველოების") ხანგრძლივ პერიოდში უხდებოდა „ქართველობის", სახარებისა და „ვეფხისტყაოსნის" კულტურის დაცვა ჩრდილო კავკასიის მთიდან ჩამოწოლილი მასებისაგან (სხვა შემთხვევებში ჩვენ დადასტურებული გვაქვს საერთოკავკასიური ურთიერთობების შესანიშნავი მაგალითები, განსაკუთრებით ისლამამდელ პერიოდში).

ოდიშ-სამეგრელოში მტკიცედ იყო დაცული არა მხოლოდ საერთოქართული შეგნება, არამედ დასავლური ორიენტაციაც, დასავლური ღირებულებებისადმი სწრაფვა, რაც ჯერ კოლხური, იბერიული და შემდეგ საერთოქართული კულტურულ-პოლიტიკური აზროვნების მაგისტრალურ იდეას წარმოადგენდა სულ ცოტა ოცდახუთი საუკუნის მანძილზე.

წინამდებარე კოლექტიური მონოგრაფია მომზადდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრში. ის წარმოადგენს ვრცელი ნაშრომის „სამეგრელო (კომპლექსური აღწერა. მხარის განვითარების პერსპექტივები)" პირველ ნაწილს. მეორე ნაწილში განხილულია სამეგრელოს ბუნება, რესურსები, ეკონომიკური პოტენციალი. ასეთი მნიშვნელოვანი და კარდინალური საკითხების შემცველი ნაშრომი, ცხადია ვერ დაიწერებოდა მხოლოდ ცენტრის თანამშრომლების მიერ, თუმცა ავტორთა უდიდეს უმრავლესობას სწორედ ისინი შეადგენენ. სამუშაოში მონაწილეობა ვთხოვეთ თავიანთ სფეროში ყველაზე წამყვან მკვლევარებს. განსაკუთრებით და დიდი მადლობით უნდა აღინიშნოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ბ-ნ *ოთარ ლორთქიფანიძისა* და ბ-ნ *პარმენ ზაქარაიას* ნაყოფიერი და დაუზარელი მონაწილეობა წინამდებარე წიგნის შექმნაში.

დიდი მადლობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოსს ბ-ნ *ალეკო თავხელიძეს*, რომელსაც ეკუთვნის ამ კომპლექსური ნაშრომის შექმნის იდეა.

განსაკუთრებული მადლიერებით უნდა აღინიშნოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ბ-ნ *ფრიდონ თოდუას* კეთილშობილური დახმარება წინამდებარე წიგნის დაბეჭდვის საქმეში.

დიდი მადლობა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ბ-ნ *ბონდო ჯიქიას* წიგნის შექმნაში გაწეული დიდი და მრავალმხრივი დახმარებისათვის.

ბუნებრივია ვრცელ ნაშრომში, რომლის შექმნაში ოცამდე ავტორი მონაწილეობდა, ვერ ავცდით ბევრ სუბიექტურ თუ ობიექტურ ხარვეზს, ზოგჯერ განმეორებებსაც. ვიმედოვნებთ, კეთილგანწყობილი მკითხველი მიუტევებს ავტორებს, რომლებიც სიამოვნებით მიიღებენ საქმიან შენიშვნებს სამომავლოდ გასათვალისწინებლად.

ილია ანთელავა

თბილისი – ბუგდიდი
1999 წ. იელისი

თავი პირველი

ბიოგეოგარემო და ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევი

1.1. ბიოგეოგარემოს ზეგავლენის შესახებ ძველი კოლხეთის ისტორიაზე

ისტორიული კვლევისას ბიოგეოგარემოს (resp. გეოგრაფიული გარემოს) შესწავლის გარეშე შეუძლებელია რომელიმე ქვეყნის ისტორიული განვითარების პროცესის შესწავლა. საქართველოს ისტორიული განვითარების ჯაჭვში საკვანძო რგოლია დასავლეთ საქართველო — კოლხეთი. მისი გული კი სამეგრელო — ოდიშია. კოლხეთმა, საქართველოს ან ნაწილმა ფრიად რთული ისტორიული გზა განვლო. ამ მიწაზე, ამ ბიოგეოგარემოში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა საზოგადოების ისტორიულ-კულტურული განვითარების თავისებური პროცესი.

ბიოგეოგარემოს განმსაზღვრელ როლზე საზოგადოების განვითარებაში თავდაპირველად ყურადღება ანტიკური ეპოქის მეცნიერ-მოაზროვნემ ჰიპოკრატემ გაამახვილა. მისი თვალთახედვით, ბიოგეოგარემოს კომპონენტებიდან მთავარი აქცენტი კლიმატზე იყო გადატანილი. შემდგომში გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეას ბევრი მომხრე გამოუჩნდა, რომლებმაც ის განავითარეს და უფრო დახვეწეს.

გეოგრაფიული დეტერმინიზმის მომხრეთა აზრით, გეოგრაფიული გარემო გადამწყვეტ გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე. ისინი ძირითადად გამოყოფენ — კლიმატს, ლანდშაფტს, მადნეულს, ფაუნას, ფლორას, მდინარეს, ზღვას, ქვეყნის მდებარეობა-განლაგებას. ეს ფაქტორები მოქმედებენ ადამიანის, საზოგადოების ზნე-ხასიათზე, შესახედაობაზე, სულიერ წყობაზე, ქვეყნის მმართველობის ფორმაზე და სხვ.

ისტორიული განვითარების პროცესის ახსნისას ჭეშმარიტება ორი ძირითადი ფაქტორის, კერძოდ, ბიოგეოგარემოს და სოციოგარემოს ურთიერთზემოქმედების ახსნაში უნდა ვეძებოთ, რომლებზედაც, თავის მხრივ, მოქმედებენ ბიოგეოქიმიური, გენეტიკური, ქრონოლოგიური და საკრანოოსის პროცესები. ბიოგეოგარემოს და საზოგადოების ისტორიული განვითარების ურთიერთზემოქმედების პრობლემა მსოფლიო ცივილიზაციების წარმოქმნა-განვითარების საერთო ძირითადი პრობლემაა, მაგრამ რეალურად არსებობს კონკრეტული ბიოგეოგარემო, კონკრეტული რეგიონი, კონკრეტული საზოგადოება. ჩვენ ვეცადეთ ეს ურთიერთობები განგვეხილა ძველი კოლხეთის მაგალითზე.

კოლხეთი, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს. მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული საზღვრებია: ჩრდილოეთით კავკასიონის მაღალი მთები; სამხრეთით „მცირე კავკასიონი", აჭარა-ლაზეთის მთიანეთი; აღმოსავლეთით სურამის ანუ ლიხის ქედი, ხოლო დასავლეთით შავი ზღვა.

დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის მთიანეთის ბორცვ-გორაკები, ხეობები, სერები, ტაფობები და დაბლობი თავიანთი ბუნებრივი გარემოთი მოსახერხებელ დასასახლებელ

ადგილებს ქმნიან. აქ დიდი რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალა — ხე, სხვადასხვა ჯიშის ქვა, თიხა და ა.შ. არის მარმარილო, კირქვა, თაბაშირი, კერამიკული თიხა, სხვადასხვა ფიქლები. კოლხეთში თიხის ჭურჭლის მოჭიქურებისათვის და მინის ჭურჭლის საწარმოებლად გამოიყენებოდა კვარცის ქვიშა,რომელიც მრავლად მოიპოვება. დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილია ისეთი მინერალებიც, რომლებიც ძველთაგანვე გამოიყენებოდა სამკაულების დასამზადებლად, მაგ., გიშერი, მთის ბროლი, აქატი, ქალცედონი, სარდიონი, ობსიდიანი, მალაქიტი, სურინჯი და ა.შ.

კოლხეთში მეტალურგიული (სპილენძი, რკინა, ტყვია, თუთია, კალა, ვერცხლი) ნედლეულის მოპოვების ძირითადი ადგილებია — რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი, აჭარა. მდინარეების ენგურის, ცხენისწყლის, ტეხურის და რიონის ქვიშა გარკვეული რაოდენობით ოქროს შეიცავს. ამას ადასტურებს ჯერ კიდევ I ს. ავტორი სტრაბონი, რომლის ნაწერებიც საკმაო საფუძვლიანობით გამოირჩევა: „წყლის ნაკადებს ოქრო ჩამოაქვს, ხოლო ადგილობრივი მაცხოვრებლები მას აგროვებენ დაჩვრეტილი ვარცლებით და ბეწვიანი ტყავებით“ (სტრაბონი, XI წ. II თ. 19). II საუკუნის ავტორი აპიანე აღნიშნავს: „კავკასიონიდან ჩამომდინარე ნაკადულებს ოქროს ქვიშა ჩამოაქვს. ადგილობრივი მცხოვრებლები მდინარეებში ხშირბეწვიან ცხვრის ტყავებს აგებენ და აგროვებენ ქვიშას, რომელიც მათზე ილექება“ (აპიანე, მითრიდატეს ომები, 103). ოქროს მოპოვების შესახებ გადმოგვცემს I საუკუნის ავტორი გაიუს პლინიუს სეკუნდუსიც (უფროსი): „კოლხეთში მეფობდა აიეტის მემკვიდრე სალაკი, რომელიც თავის სამეუფეოში დიდძალ ოქროს და ვერცხლს იპოვებდა სვანეთის მიწასა და საერთოდ სახელმწიფოში...“

საყოველთაოდ ცნობილია კოლხეთის მოსახლეობის როლი მეტალურგიული წარმოების საქმეში (მაგ. ხალიბები, მოსინიკები, მოსხები). კოლხეთის რეგიონი ლითონების წარმოება-დამუშავების ერთ-ერთ მსოფლიო ცენტრს წარმოადგენდა. აქ მოსახლეობის მიერ მადნეულის ნაყოფიერმა დამუშავება-გამოყენებამ კოლხური საზოგადოება უკვე ძვ.წ.II ათასწლეულში ახალი განვითარების საფეხურზე აიყვანა. ანტიკურ ხანაში კოლხური მეტალის ექსპორტი მეზობელ ქვეყნებშიც ხდებოდა. ამდენად, კოლხეთში სასარგებლო მადნეულის არსებობა იწვევდა პოზიტიურ ძვრებს წარმოების და ვაჭრობის განვითარებაში, რაც თავის მხრივ, აქაური საზოგადოების დაწინაურებას და სახელმწიფოებრიობის განვითარების პროცესს აჩქარებდა.

ამგვარად, ძველი კოლხეთი მადნეულით მდიდარი ქვეყანა ჩანს, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო მომპოვებელი და გადამამუშავებელი ხელოსნობა-წარმოების მთელი რიგი დარგების განვითარებას. ამ დარგების პროდუქცია კი ხშირად სხვადასხვა ქვეყნებში სავაჭროდ გაჰქონდათ. იქიდან კი შემოჰქონდათ ისეთი ნაწარმი, რომელიც ადგილობრივ არ მოიპოვებოდა. კოლხეთის რელიეფი,ტექტონიკური განვითარების თავისებურებების გამო, ორ ძირითად განსხვავებულ ნაწილად იყოფა: მთა-მთისწინეთად და ბარ-დაბლობად. ლიხის, დიდი და მცირე კავკასიონის ქედებ-მთიანეთში გადიოდა ბილიკ-გზები, რომლითაც კოლხეთის მოსახლეობა უკავშირდებოდა დანარჩენ კულტურულ სამყაროს. ადგილობრივი მცხოვრებლები ამ გადასასვლელებს ეხლაც იყენებენ სავალად. ესენია: რიკოთის, ზეკარის, მეფისწყაროს, გოდერძის, მამისონის, ნაკრის, ქლუხორის და სხვ. ეს გადასასვლელები ხელს უწყობენ ეკონომიკურ-კულტურული კონტაქტების გაღრმავებას.

მთებით შემოსაზღვრული კოლხეთი თავისი რელიეფით (ქედები, ხეობები, სერები, ტაფობები, ბორცვ-გორაკები) მოსახერხებელ თავდაცვით და სამხედრო-სტრატეგიულ გარემოს ქმნიდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ძვ.წ. I ს-ის რომაელი მხედართმთავრის ლუკულუსის მითრიდატე ევპატორთან ომის დროს კავკასიონის მთიანეთის და მისი

მიმდებარე ტერიტორიის სამხედრო მოქმედების ადგილის შეფასება: „მე აქ იმ მიზნით ვაყოვნებ, რომ ჩემმა მოწინააღმდეგემ (მითრიდატე ევპატორი – გ.გ.) კვლავ მოიკრიბოს ძალა და დიდ მხედრობას მოუყაროს თავი, რათა ადგილზევე დარჩეს და ჩვენი მიახლოებისთანავე არ გაიქცეს. განა თქვენ ვერ ხედავთ, რომ მის ზურგში გადაშლილია უზარმაზარი და უსაზღვრო უდაბნო? (იგულისხმება ბოსფორისა და ყუბანის სტეპები – გ.გ.). იქვე ახლოს არის კავკასიონი მრავალი მაღალი მთით, რომელთაც სულ ადვილად შეუძლიათ შეიფარონ და დაიცვან ბრძოლის ამრიდებელი ათი ათასობით მეფე“ (პლუტარქე, ლუკულუსი, 14).

აღსანიშნავია, რომ სამხედრო მოქმედების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი რელიეფ-ლანდშაფტის გათვალისწინებას. ჩასაკეტად ადვილი ვიწრო ხეობების, გადასალახად რთული მაღალი მთების, გასამაგრებლად მოხერხებული გორების, ხშირი გაუვალი ტყეების, ძნელად დასაძლევი მდინარეების, მოხერხებული სამხედრო-სტრატეგიული გამოყენება საომარი მოქმედების წარმატებული დაგვირგვინების გარანტია იყო. არანაკლები მნიშვნელობა სამხედრო მოქმედებისას ენიჭება კლიმატს და წელიწადის დროების ცვლას. მაგალითად, მითრიდატე ევპატორი პომპეუსთან ომის დროს „მთების გადაღმა კოლხეთში გაიქცა“ (სტრაბონი, XII წ. III თ. 28). მას ძალების მოკრება და აღჭურვილობის შევსება ესაჭიროებოდა და ზამთარი დიოსკურიაში გაატარა. ამ შემთხვევაში მითრიდატემ ზამთარი და მთები (რელიეფი და ჰავა) თავისი სამხედრო-სტრატეგიული გეგმის განსახორციელებლად გამოიყენა.

ზემოხსენებულ მთათა მყინვარებიდან გამოედინება დიდი თუ პატარა მდინარეები, რომლებიც შავი ზღვის აუზს მიეკუთვნებიან. ისინი რაოდენობრივად დაახლოებით 16000-ზე მეტია. მათ შორის წყალუხვობით უწინარესი ადგილი უჭირავთ – რიონს, ყვირილას, ცხენისწყალს, ტეხურს, ხობს, ენგურს, კოდორს, ბზიფს, ღალიძგას, ხანისწყალს, ფიჩორს, სუფსას, ნატანებს, ჭოროხს. აქედან ხობს, ტეხურს, ფიჩორს, სუფსას და განსაკუთრებით რიონ-ყვირილას სატრანსპორტო გადასაადგილებელ გზებად იყენებდნენ. მათზე სავაჭრო-სატრანსპორტო ნავებით დაცურავდნენ. სწორედ ეს სავაჭრო-სამდინარო გზები (ვიდრე სახმელეთო) გაცილებით რენტაბელურს ხდიდა ვაჭრობას, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს არმოადგენდა.

კოლხეთის დედა მდინარეა რიონი (ფასისი), რომლის ნაპირზეც განვითარდა კოლხური ცივილიზაცია. მდინარე რიონი კავკასიონის სამხრეთი კალთებიდან, ფასის მთის მყინვარებიდან გამოედინება. ქალაქ ქუთაისამდე იგი მთის მჩქეფარე მდინარეა, ჩქარი დინება გააჩნია და უმეტესწილად ვიწრო ხეობაში მოედინება; ქუთაისის ქვემოთ კოლხეთის დაბლობზე ჩამოდის და ბარის მდინარის მდორე დინება უჩნდება. იგი იტოტება და მთებიდან ჩამოტანილი შლამის დალექვით წარმოქმნის კუნძულებს. რიონი, როგორც ჩანს, ხშირად იცვლიდა კალაპოტს, ამიტომ კოლხეთის დაბლობზე კარგად შეინიშნება ნარიონალები, ძველი კალაპოტები. საყურადღებოა რიონის II ს-ში მნახველის ფლავიუს არიანეს ნაწერში – „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ დაცული ცნობა: „ფასისის წყალს ტყვიის თუ კალის ფერი გადაკრავს, მაგრამ რომ გააჩერებ, ძალიან წმინდა ხდება“. შემორჩენილ წერილობით წყაროებში ფასისი პირველად იხსენიება ჰესიოდეს „თეოგონიაში“ (ძვ. წ. VIII-VII სს.). ჰესიოდეს იქვე აქვს მოხსენიებული რესოსიც. ზოგ მკვლევარს ეს სახელი მდ. რიონის სახელწოდების სახესხვაობად მიაჩნია. არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომ მდ. ფასისის ზემო წელს ერქვა რისი. ხსენებული მოსაზრება ემყარება ფსევდო სკილაქს კარიანდელის ძვ. წ.IV ს. ცნობას: „... მდ. ფასისის და

ელინური ქალაქი ფასისი, მდინარის ზევით აყოლებით ასოთხმოცი სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა. აქ არის მდ. რისი..." შესაძლებელია, რომ რისად იწოდებოდა ჯერ ახლანდელი რიონის ზემო წელი, შემდეგ ქვემო წელმაც იგივე სახელი მიიღო.

მდინარე რიონ-ყვირილა (ფასისი) თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით მოხერხებული სავაჭრო-სატრანზიტო გზა იყო. ცნობები მისი სატრანზიტო გზად გამოყენების შესახებ ძირითადად შემონახულია სტრაბონისა და პლინიუსის ნაწერებში. სტრაბონი აღწერს მდ. რიონ-ყვირილას მაგისტრალს: „ფასისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე. ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა; შორაპნიდან ფეხით, საურმე გზით ოთხ დღეში მიისვლება მდ. მტკვრამდე" (XI წ., II თ. 17) ამ გზის გაგრძელებას სტრაბონი ასე აგვიწერს: „... ინდური საქონელი შემოაქვთ ჰირკანის ზღვაში, ხოლო აქედან ალბანეთში გადააქვთ და შემდეგ მტკვრამდე და მის მომდევნო ადგილებით ევქსინის ზღვაში ჩააქვთ" (სტრაბონი, XI წ.,VII თ. 3) ამრიგად, ნათელია, რომ I ს. ავტორი სტრაბონი აღწერს სავაჭრო გზას, რომელიც მოემართებოდა აღმოსავლეთიდან მდ. მტკვარზე და მდ. ფასისზე (რიონ-ყვირილა) გავლით შავი ზღვისაკენ. ამავე გზას აღწერს Iს. ავტორი პლინიუსი: „...პომპეუსის ლაშქრობის დროს, მისი ბრძანებით შესწავლილი იქნა, რომ ინდოეთიდან შეიძლება შვიდ დღეში ჩასვლა ბაქტრიაში, მდ. ბაქტრთან, რომელიც ერთვის ოქსს. აქედან ინდური სავაჭრო საქონელი გადააქვთ კასპიის ზღვის იქით მდ. მტკვარზე და ხმელეთით არა უმეტეს ხუთი დღისა მათ შეუძლიათ მიაღწიონ ფასისს, რომელიც შავ ზღვას უერთდება". საყურადღებოა, რომ სწორედ ამ გზის გაყოლებაზე მდებარეობს ანტიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური კვლევის დროსაც აღმოჩნდა შემოტანილი უცხოური ნაწარმი (კერამიკა, სამკაულები, მონეტები, ლითონის და მინის ჭურჭული). ასეთი ნამოსახლარები მდ. რიონ-ყვირილას გაყოლებაზე აღმოჩენილია შორაპანში, ვარციხე-პატრიკეთში, ვანში, საყანჩიაში, ციხესულორში, საკავახოში, პატარა ფოთში, ჭალადიდში, ფოთში (პალიასტომის ტბაზე) და სხვ.

რიონ-ყვირილას (ფასისის) სავაჭრო-სამდინარო გზის ბოლო პუნქტი იყო ტბა პალიასტომზე მდებარე ქალაქი, რომლის შემდეგაც სავაჭრო კარჭაპები შავ ზღვაში გადიოდნენ კაბოტაჟური ცურვისათვის. გეომორფოლოგების აზრით, პალიასტომის ტბა-ლაგუნა ზღვიური რელიქტია. ძველად აქ მდინარე რიონის ლიმანი იყო. სრულიად ბუნებრივია, რომ წინათ სწორედ ამ მოხერხებულ ლიმანში, რომლის ნაპირზედაც ქალაქ-ნავსაყუდელი მდებარეობდა, ხომალდები შემოსულიყვნენ. ხომალდებიდან შემდეგ ტვირთი ბრტყელძირა სამდინარო კარჭაპებში გადაიტვირთებოდა და პალიასტომის გავლით მდინარე რიონზე ანდა ფიჩორზე აღმა აგრძელებდნენ სვლას.

მდინარე რიონზე ჩამოცურებული სატრანსპორტო ნავებიდან ტვირთი პალიასტომის ტბაზე მდებარე ნავსაყუდელში უკვე საზღვაო კარჭაპ-ხომალდებში გადაჰქონდათ და შავი ზღვის გავლით მიჰქონდათ შორეულ ქვეყნებში.

შავმა ზღვამ დიდი როლი შეასრულა კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ზღვის სანაპიროზე მთელი რიგი ნაქალაქარები და სხვა დასახლებული პუნქტებია მიკვლეული. ესენია: აფსაროსი (გონიოსთან), ბათუმის ციხე, ციხისძირი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ფასისი (ფოთთან), ანაკლია, ფიჩორი, გიენოსი (ოჩამჩირესთან), დიოსკურია-სებასტოპოლისი (სოხუმთან), ეშერა, პიტიუნტი (ბიჭვინტასთან) და ა.შ. ჩამოთვლილი დასახლებები, ბუნებრივია, ცხოვრების წესით ზღვასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ისინი გარკვეულ როლს

ასრულებენ უცხოეთთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობაში. პირველ რიგში, სწორედ ზღვისპირა ქალაქების მეშვეობით ხორციელდებოდა კონტაქტები შავი ზღვის და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან და ქალაქებთან: მილეტთან, ქიოსთან, როდოსთან, ათენთან, მენდესთან, სინოპესთან, რომთან (ოსტია). შემდგომში ბიზანტიასთან (კონსტანტინეპოლთან), გენუასთან, ვენეციასთან და სხვ. ზღვისპირა ქალაქში, ვაჭრობის გარდა, ხელსნობის სხვადასხვა დარგები (მეთუნეობა, მჭედლობა, ხუროობა, ფეიქრობა და ა.შ.) იყო განვითარებული. მაგრამ აქ ალბათ განსაკუთრებული ადგილი მაინც ზღვასთან დაკავშირებულ საქმიანობას, ზღვაოსნობას, მეთევზეობას, ზღვის მარილის მოპოვებას და, რაც მთავარია, ვაჭრობას ეჭირა.

ცნობილია, რომ ზღვამ მსოფლიო არენაზე ცივილიზებული ქვეყნები გამოიყვანა. ანტიკურ ეპოქაში კოლხებმაც გამოიყენეს საზღვაო კომუნიკაციები ვაჭრობისათვის. ანტიკურ ხანაში კოლხეთის სანაპიროზე გარკვეული საკონტაქტო რეგიონი შეიქმნა ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს შორის.

ფიზიკურ-გეოგრაფიულად შავი ზღვა ხმელეთშიდა ზღვაა. ის ბოსფორ-დარდანელის სრუტეებით გადის ხმელთაშუა ზღვის აუზში. ბოსფორის სრუტის უვიწროესი ადგილი სიგანეში მხოლოდ 700 მეტრამდეა, ამიტომ მისი გადაკეტვა-კონტროლი ადვილია. სრუტე გეოპოლიტიკურ-სტრატეგიულად ფრიად მოსახერხებელია. ისტორიულად ვის ხელშიაც ბოსფორის სრუტე იყო, ის აკონტროლებდა ხმელთაშუა და შავ ზღვებს შორის მიმოსვლას. ამან კი უარყოფითი როლი შეასრულა კოლხეთის ისტორიულ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ანტიკური ხანის კოლხეთის გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ განაპირობა საზღვაო (სანაპირო ქალაქები — ფასისი, გიენოსი, დიოსკურია და სხვ) და სამდინარო (რიონ-ყვირილას სატრანზიტო გზა) კომუნიკაციების განვითარება, რაც დიდად მოქმედებდა მაშინდელი ქვეყნის შიგა და გარე წარმატებული ვაჭრობის წარმოებაზე. კოლხეთის სანაპიროზე ზღვის წყალი არ იყინება. კოლხეთის ფარგლებში სანაპიროზე ძლიერი გრიგალური დამანგრეველი ქარები არ იცის.

შავი ზღვა უდიდეს როლს თამაშობს კოლხეთის კლიმატის ფორმირებაში, რაც, თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენს აქაურ აგროკლიმატურ სიტუაციაზე და ადგილობრივი მცხოვრებლების სამეურნეო ყოფაზე. ზღვა კოლხეთში თბილი და ნოტიო კლიმატის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

კოლხეთის ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უარყოფითი როლი ზღვის ნაპირის ბიოგეოგარემოს შეცვლამ ითამაშა. გეომორფოლოგების ვარაუდით, ახალშავზღვიურმა ტრანსგრესიამ შეცვალა ფანაგორიული რეგრესია (დაახლოებით ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში), ხოლო ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ისევ იწყება ტრანსგრესია, ზღვის დონის აწევა. ამის გამო სანაპიროზე განლაგებული დასახლებები წყლის ქვეშ მოექცა. ახალშავზღვიური ტრანსგრესიის შემდეგ დღემდე შავი ზღვის სარკემ დაახლოებით 3 მ-ით აიწია. ამის გამო სანაპიროზე განლაგებული ძველი ქალაქ-დასახლებები წყლის ქვეშ მოხვდა და შეწყვიტა არსებობა.

საქართველოს ზღვისპირეთში, წერილობითი წყაროების (სკილაქს კარიანდელი, ფლავიუს არიანე, პომპონიუს მელა, სტრაბონი, კლავდიოს პტოლემაიოსი, პროკოპი კესარიელი, აგათია, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვ.) მიხედვით, მთელი რიგი ნაქალაქარები არის მოხსენიებული: ფოთთან — ფასისი, ოჩამჩირესთან — გიენოსი, სოხუმთან — დიოსკურია — სებასტოპოლისი, ბიჭვინტასთან — პიტიუნტი, ქობულეთ-ციხისძირი და ა.შ.

ხსენებული ნაქალაქარების, ან მათი მიმდებარე ტერიტორიის წყალში დაძირვამ და ცხოვრების შეწყვეტამ ზღვისპირეთში საწარმოო-ეკონომიკური დონის დაქვეითება

გამოიწვია. შესაბამისად, გვიანანტიკური ხანის და ადრეული შუასაუკუნეების კოლხეთის ისტორიულ განვითარებაზე ეს გეომორფოლოგიური პროცესი უარყოფითად იმოქმედებდა.

საყურადღებოა სტრაბონის „გეოგრაფიაში" ცნობა, სადაც შავი ზღვის ის მონაკვეთი, რომელიც მდებარეობდა კოლხეთის სანაპიროსთან, იწოდებოდა „კოლხეთის ზღვად" (XI წ. I თ. 6), რაც კოლხეთზე, როგორც ზღვაოსნობის ქვეყანაზე უნდა მიუთითებდეს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კავკასიონი, ანტიკავკასიონი, ლიხის ქედი და შავი ზღვა ქმნიან ბუნებრივად შემოზღუდულ ტერიტორიას, რომლის შუაშიც კოლხეთის ბარ-დაბლობი და მთისწინეთი ექცევა. ეს ტერიტორია კოლხეთის მთავარი აგრარულ-სამეურნეო რეგიონი იყო. კოლხეთის ბარ-დაბლობი და მთისწინეთი ხასიათდება დაბლობის ჭაობიანი და ეწერი, მთისწინეთის წითელ და ყვითელმიწა ნიადაგებით. მთისწინეთში და ზეგნებზე ხშირია ეროზიები. კოლხეთის დაბლობი სხვადასხვა სიბრტყეზეა განლაგებული. ამიტომ დასავლეთ, ზღვისპირა მონაკვეთში აღინიშნება განსაკუთრებული ჭაობიანობა, ხოლო აღმოსავლეთით უფრო ეწერი ნიადაგებია. ჭაობებში ძირითადად ტორფიანი ნიადაგები ჭარბობს. არის აგრეთვე ჭაობის ქვიშა-ლამიანი ნიადაგები და თიხნარიანი მონაკვეთებიც. აგრარულ-სამეურნეო საქმიანობაში ყველაზე მეტად გამოყენებულია კოლხეთის დაბლობის შემაღლებული მონაკვეთი. სამეურნეო საქმიანობაში იყო ჩაბმული აგრეთვე კოლხეთის მთისწინეთის ბორცვ-გორაკიანი ნაწილიც.

სტრაბონის „გეოგრაფიაში" დაცული ცნობის მიხედვით, კოლხეთი ბუნებრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარ ქვეყნად წარმოგვიდგება: „ქვეყანაში კარგი ნაყოფები იცის:... მოიპოვება გემთსაშენი ყოველივე მასალა,რადგან იზრდება აქ მრავალი ტყე და მდინარეებით ჩამოაქვთ; ამუშავებენ ბევრ სელს, კანაფს, ცვილს, ფისს. ხოლო სელის წარმოება განთქმულია და გარეთაც კი გააქვთ" (სტრაბონი, XI წ. II თ. 17). ექსპორტზეა საუბარი მარკუს მანილიუსის (I ს.) ცნობაშიც, სადაც ის გადმოგვცემს, რომ რომაელებს კვებავს ნუმიდიელთა სანაპირო და ფასისის ჭალებიო.

საყურადღებოა კოლხეთის შესახებ VI ს. ბიზანტიელი მწერლის პროკოპი კესარიელის წერილობითი ცნობა: „მოხირისი ერთი დღის სავალზეა არქეოპოლისიდან და შეიცავს მრავალს მჭიდროდ დასახლებულ სოფელს. კოლხეთის მიწა-წყალზე ის საუკეთესო მხარეს წარმოადგენს; ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფიც იქ კარგად ხარობს..." კოლხეთში მდებარე მოხირისის მხარე, როგორც ჩანს, ეკონომიკურად ძლიერი რეგიონია. მდ. რიონის შუაწელი დაახლოებით ემთხვევა კოლხეთის ამ რეგიონის შედარებით გვიანდელ სახელწოდებასაც — სამოქალაქო, რომელიც აგრეთვე მძლავრ ეკონომიკურ მხარედ არის ცნობილი. კოლხეთის დაბლობი რომ დაწინაურებული სამეურნეო-ეკონომიკური მხარე იყო, კარგად ჩანს ამ რეგიონში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალიდანაც.

კოლხეთის კლიმატის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს მზის რადიაცია, ჰაერის ცირკულაცია, ზღვასთან სიახლოვე. აქ ბარის და მთის ჰავაში დიდი სხვაობაა. კოლხეთში ქარის მიმართულება-სიჩქარეზე ძირითადად ხეობების, ქედების და ზეგნების განლაგება მოქმედებს. ხალხურ დაკვირვებაში შემორჩენილია ორი ქარის სახელი — „ზენა ქარი" და „ქვენა ქარი" (დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქარი), რომელთა მიხედვითაც მეურნე ცდილობდა ამინდის პროგნოზირებას და თავის სამეურნეო საქმიანობის შესაბამისად დაგეგმვას.

კოლხეთი მრავალფეროვანია თავისი მცენარეული საფარით. აქ დღესაც შეხვდებით რელიქტურ სახეობებს; არის ენდემური ჯიშები. ალპიური სარტყლის ქვემოთ მთა-მთისწინეთი, და ნაწილობრივ ბარიც, ძირითადად ტყითაა შემოსილი. ბარ-დაბლობში

ტყეები ძირითადად კოლხეთის ბარ-მთისწინეთში გაბატონებულია ფოთლოვანი ხეები — მუხა, რცხილა, წაბლი, წიფელი, ცაცხვი, ნეკერჩხალი. შემორჩენილია აგრეთვე მესამეული პერიოდის ხეები — ლაფანი, ძელქვა, შქერი. დაბლობებში ტყე ჩახლართულია ხვიარებით (სურო, ღვედკეცი). წინათ კოლხეთის დაბლობზე შემაღლებულ ადგილებში იზრდებოდა მუხა, რცხილა, წიფელი, რაც ეხლა აქ თითქმის იშვიათობას წარმოადგენს. ამ ხეების სამშენებლო მასალად გამოყენება არქეოლოგიური მონაცემებით ხშირად დასტურდება. კოლხეთის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ძვ.წ. III საუკუნის ზემოთ, ხე შეიძლება ძირითად სამშენებლო მასალად ჩათვალოს. გათლილი ხისაგან და მორისაგან იგებოდა საცხოვრებელი სახლები, შენდებოდა თავდაცვითი ნაგებობები და ზოგჯერ ჭაობიდან ადგილებში გზა-ტროტუარების გასამართავადაც გამოიყენებოდა. ტყეების სიუხვესვე ადასტურებს ძვ.წ. Iს. რომაელი მეცნიერი ვიტრუვიუსიც: „კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო აწყობენ მიწაზე მარკვნივ და მარცხნივ მთლიან ხეებს...“ (ვიტრუვიუსი, ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ, II წ. თ.) კოლხეთის ქვემო ნაწილი ტორფიან ჭაობებს უჭირავს. ჭაობის და მისი მიმდებარე ადგილებისათვის მცენარეებიდან ძირითადად დამახასიათებელია ლელიანები, ისლიანები, ჩალიანები, გვიმრიანები; სელი, კანაფი და სხვ. ძველი კოლხეთის სამეურნეო ყოფისათვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ისეთი მცენარეების გავრცელებას, როგორიც იყო, მაგალითად, ხორბლის და ქერის მარცვალი, ვაზი, ფეტვი, ჭვავი, წაბლი, ღომი, კაკალი, თხილი, ლეღვი, ზღმარტლი, ხახვი და სხვ.

კოლხეთის ბარ-დაბლობში უკეთესი მდგომარეობა იყო დასასახლებლად და სამეურნეო საქმიანობისათვის. ბუნებრივია, აქ ხდებოდა კულტურულ-სამეურნეო მცენარეების ახალი ჯიშების შემოტანა-გავრცელება. ზოგ შემთხვევაში ახალი პროდუქტიული ჯიშების შემოტანით ძველი ტრადიციული ჯიშები თითქმის ქრებოდა. მაგალითად, XVII ს-ში სიმინდის შემოტანამ თანდათან თითქმის მოსპო ისეთი ძველი კულტურული მცენარე, როგორიც ღომია.

ცხოველთა სამყაროდან კოლხეთში, ენდემურის გარდა, მრავლადაა გავრცელებული ევროპული და მცირეაზიური სახეობები. მარტო კოლხეთის დაბლობზე მეცნიერ-მკვლევარების მიერ აღნუსხულია 380-მდე ხერხემლიანი ცხოველი. ცხოველთა სამყაროს სიმრავლეზე და მის მრავალფეროვნებაზე იყო გარკვეულწილად დამყარებული მოცემულ ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკვება. ამიტომ აქ შინაური ცხოველების მოშენება ერთ-ერთი სამეურნეო საქმიანობა უნდა ყოფილიყო. კოლხეთში ნადირობდნენ ისეთ გარეულ ცხოველებზე, როგორიცაა — არჩვი, ჯიხვი, გარეული ღორი, კურდღელი, ირემი, შველი, მურა დათვი და სხვ. მგლის, დათვის, ტურას, მელას, ფოცხვერის ტყავს სამოსის გასაკეთებლად იყენებდნენ. კოლხეთის მდინარეებში ბევრია კალმახი, ლოქო, ორაგული, წვერა. საკვებად გამოსაყენებელ ფრინველთაგან გავრცელებულია ხოხობი, გარეული იხვი, ბატი, გნოლი, მწყერი. ამათგან არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო ბაზარზე თითქმის მთელ მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში სახელი მოიხვეჭა კოლხურ-ფასისურმა ხოხობმა, რომელიც ორ კილოგრამამდე იწონის. ფასისურ ხოხობს საკვებად განსაკუთრებით შეძლებული გურმანები ეტანებოდნენ და ამიტომ ეს დელიკატესი ძვირად ფასობდა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ხოხბებს დეკორატიული (ფარშევანგისნირი) დანიშნულებაც ჰქონოდათ. ხოხობი მკვეთრადაა ნაირფერად შეფერილი, ხოლო ბუმბულზე ვერცხლისფერი ბზინვარება დაჰკრავს. XIIს. ავტორი ევსტატეუს თესალონიკელი ძველ გადმოცემებზე დაყრდნობით ნაშრომში „ჰომეროსის ილიადას განმარტებები“ აღნიშნავს: „...ამბობენ მეფე პტოლემეოსი გამოტყდა, რომ მას არ ეგემნა ფასისური ხოხობი, რადგან წინაპრები მას (ხოხობს) აშენებდნენ სილამაზისათვის...“

ანტიკური წერილობითი წყაროებიდან ნათელია, რომ ხოხობის სახელი მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში ფასისიდან არის გავრცელებული.

დასავლეთ საქართველოში არქეოლოგიურად მოპოვებულ მასალაში ხშირია ოსტეოლოგიური ნაშთები, რაც გარკვეულ წარმოადგენას გვიქმნის ძველი კოლხეთის მოსახლეობის მეცხოველეობა-მონადირეობის შესახებ. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში აქ მონადირეობას უკვე აღარ ექნებოდა ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობა, როგორც წინა ეპოქებში ჰქონდა. რაც შეეხება მეცხოველეობას, არქეოლოგიურ მასალაში მსხვილი და წვრილი რქოსანი საქონლის (ხარ-ძროხა, თხა, ცხვარი) ძვლები მრავლად არის დადასტურებული. გვხვდება აგრეთვე ღორის, ძაღლის, ცხენის ძვლებიც. ეს ოსტეოლოგიური მონაცემები დღევანდელი დასავლეთ საქართველოს დამახასიათებელ შინაურ ცხოველთა სახეობებს ჩამოგავს. საგულისხმოა, რომ არისტოტელე (ძვ.წ. IVს.) ნაშრომში „ცხოველთა ისტორია" კოლხეთის ტანმორჩილ ძროხებს აღწერს: „მეწველი ცხოველი მეტ თუ ნაკლებ რძეს მოიწველის, დამოკიდებულია ტანის სიდიდეზედაც და საზრდოს ნაირფეროვნებაზეც. მაგალითად, ფასისთან არიან მომცრო ძროხები, რომელთაგან თითოეული ბევრ რძეს იწველის..." გამწევ-სატრანსპორტო პირუტყვიდან ძირითადად არქეოლოგიურ მასალაში დადასტურებულია ძროხისა და ცხენის ძვლები.

ხარის სამეურნეო საქმიანობაში გამოყენების შესახებ კოლხეთში აღნიშნავს აპოლონიოს როდოსელი (ძვ.წ. III ს.) „არგონავტიკაში": „არესის ველზე საბალახოდ გაშვებული მყავს ორი სპილენძისჩლიქებიანი ხარი, რომლებიც ცეცხლს აფრქვევენ. მე მათ უღელში ვაბამ და ხოდაბუნისაკენ მივერეკები. ამ ადგილს სწრაფად ვხნავ გუთნით..." „...ხარებს უღელში დილით ადრე ვაბამ, ხოლო საღამო ხანს მკას ვათავებ" (არგონავტიკა, III, 405-415).

საერთოდ, კოლხეთში და განსაკუთრებით მის დაბლობ ნაწილში წვიმების სიუხვე, თბილი ზამთარი და ხანგრძლივი ზომიერად ცხელი ზაფხული ხელსაყრელ პირობებს ქმნის სამეურნეო-აგრარული საქმიანობისათვის, კერძოდ, მემარცვლეობის, მებოსტნეობის და მევენახეობა-მეხილეობის განვითარებისათვის, რაც კოლხეთს ძველი სამიწათმოქმედო ქვეყნების რიგში აყენებდა. ხსენებული სამიწათმოქმედო-სამეურნეო დარგების განვითარება მოცემული რეგიონისათვის დამახასიათებელ კვების რაციონს აყალიბებდა. ასეთი რაციონის გასტროკალორიული პროდუქტები კი, თავის მხრივ, იწვევდნენ გარკვეული ფიზიონომიურ-ფსიქიკური,კოლხეთისათვის დამახასიათებელი ადამიანის ტიპის განვითარება-გამრავლებას. ერთი მხრივ, ზემოთ ხსენებული გარემოებას და, მეორეს მხრივ, საერთოდ საწარმოო ძალთა განვითარებას და პროდუქციის წარმოებას კოლხეთში დემოგრაფიული ზრდა უნდა გამოეწვია.

კოლხეთის დაბლობი გარშემორტყმულია ნაოჭა სისტემებით და გამოირჩევა მეტი მდგრადობით და სტაბილურობით. მის უკიდურესად დაბალ ნაწილში გავრცელებულია ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგები. მდინარეთა აუზებში გვხვდება ალუვიური მიწები. კოლხეთის აღმოსავლეთ ნაწილში ძირითადად ალუვიურთან ერთად ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგებია. ჰავა აქ გარდამავალია ნოტიოდან მშრალისაკენ და ზაფხული თბილი იცის. კოლხეთის დაბლობთან შედარებით წვიმები აქ ნაკლებია.

დასავლეთ კოლხეთის კლიმატურ-გეოგრაფიული გარემოს შესახებ ჯერ კიდევ ძვ.წ.IVს. მცხოვრები განთქმული ბერძენი მეცნიერი ჰიპოკრატე გადმოგვცემს:„ეს ქვეყანა ჭაობიანია, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს აქ ხშირი წვიმები იცის. ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ, მათ ხისა და ლერწმის სახლები წყალზე აქვთ". „ფასისი მდინარეთა შორის ყველაზე დინჯია და მდორედ მოედინება"; „აქ ბევრი

სამხრეთის ქარის ქრის, გარდა ერთი ადგილობრივი ქარისა. ხოლო ეს ხანდახან ძლიერად უბერავს და ცხელია... ჩრდილოეთის ქარი აქამდე თითქმის ვერ აღწევს, ხოლო როცა უბერავს, ის სუსტია და წყნარი". „... ფასისელებს სხვა ხალხთან შედარებით ძალიან განსხვავებული გარეგნობა აქვთ". ასევე ახასიათებს კოლხეთის დაბლობის კლიმატურ პირობებს XVII ს. იტალიელი კათოლიკე მოგზაურ-მისიონერი არქანჯელო ლამბერტი: „კოლხეთს ადგილმდებარეობის გამო ისეთი ნოტიო ჰავა აქვს, რომლის ნაირი არსად არ მოიპოვება. მიზეზი ის არის, რომ დასავლეთით, შავი ზღვიდან, ჰქრის ნამიანი ჰაერი და აღმოსავლეთით კი აკრავს კავკასიონი, საიდანაც მრავალი მდინარე ჩამოედინება. ამას ემატება ხშირი ტყეები, რომლის გამოც ჰაერი ცუდად მოძრაობს. ზღვის ქარი ძალიან ხშირია და მას ხშირადვე მოსდევს წვიმა".

კოლხეთის ჰავისა და ტყიანი საფარის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის XVIII ს. ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა": „და არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი, რამეთუ იშვიათ არს ველნი, თუ არ ადგილ-ადგილს მცირენი, თვინიერ სახვნელთაგან. არამედ ტყენი ადგილ-ადგილ ხილიან-ვენახიანი. ჰავითა კეთილ-შშუენი. გარნა ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე, ვინაითგან ძნიად იძვრის ქარნი, და არა გაუძლისი სიცხე, თვინიერ ადგილთა რომელთამე. ზამთარი თბილი, რამეთუ ვერ ოდეს განჰყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა, რომელსა ზედა შედგეს უტყვი ანუ მეტყუელი. არამედ თოვლი დიდი, რომლისა სიმაღლე ოდესმე მხარი და უმეტესიცა. თუალთა ქუეშე შუენიერება ეგოდენ არა მზენარობს ტყის გამო, თვინიერ ადგილ-ადგილთა, რამეთუ, უკეთუ დახედო მაღლის მთიდამ, იხილავ სრულიადს იმერეთს ტყედ..."

მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ კოლხეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული და აგროკლიმატური, აქედან გამომდინარე საწარმოო-სამეურნეო პირობები უკანასკნელი ოცდასამი საუკუნის განმავლობაში დიდად არ შეცვლილა. საერთოდ, ჰოლოცენში კოლხეთის ბიოგეოგარემო, და უპირველესად კლიმატი, დღემდე არსებითად არ შეცვლილა. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ XIX საუკუნიდან მოყოლებული, საწარმოო ტექნიკის განვითარებამ, ადამიანის გაცხოველებულმა სამეურნეო საქმიანობამ, ტყეების დიდი რაოდენობით გაჩეხვამ, ჭაობების ამოშრობამ და ა.შ. ბუნებრივია, კოლხეთის გეოკლიმატურ პირობებზე უარყოფითად იმოქმედა.

ძველი კოლხეთის ისტორიულ განვითარებაში ანგარიშგასაწევია ბიოგეოგარემოს ზოგიერთი ფაქტორ-კომპონენტის უარყოფითი მხარე. კერძოდ, კოლხეთში აგროკლიმატური პირობები კარგია, მაგრამ დასამუშავებელი ფართობები ცოტაა, რაც მიწათმოქმედების ინტენსიური განვითარებისათვის არახელსაყრელი იქნებოდა და, შესაბამისად, დემოგრაფიულ სიტუაციაზე იმოქმედებდა. დასავლეთ კოლხეთის ჭაობიანობა იწვევდა სხვადასხვა დაავადებას, რაც აგრეთვე უარყოფითად იმოქმედებდა მოსახლეობის გამრავლებაზე. კოლხეთის მთაგორიანი და ჭაობიანი ლანდშაფტი სახმელეთო კომუნიკაციების გასამართავად მოუხერხებელი იყო, რაც გამოიწვევდა ვაჭრობის შეფერხებას. კოლხეთის სასარგებლო მადნეული საფუძვლად დაედო გადამამუშავებელ სამეურნეო-საწარმოო საქმიანობას, მაგრამ ეს უკანასკნელიც, გარკვეული ტექნოლოგიური მიზეზების გამო, ეტყობა სრულად არ იყო გამოყენებული. უარყოფითი როლი ითამაშა აგრეთვე ზღვის ტრანსგრესიამ, რამაც სანაპიროზე მდებარე სავაჭრო-სამეურნეო საქმიანობის სტაგნაცია გამოიწვია. კოლხეთის ზღვის სანაპიროზე ბუნებრივი ყურეები ცოტაა, რაც ნავთსაყუდლების მოწყობის სიმცირეს იწვევდა და აგრეთვე უარყოფითად ზემოქმედებდა ზღვაოსნობის ინტენსიურ განვითარებაზე.

ძველი კოლხეთის ბიოგეოგარემოს წერილობითი და არქეოლოგიური მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ ბიოგეოგარემომ წამყვანი როლი შეასრულა კოლხეთის ისტორიული განვითარების პროცესში. კოლხეთი მთებითა და ზღვით კარგად შემოსაზღვრული ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი იყო, რაც გეოპოლიტიკურად გარკვეულ ბუნებრივ დამცავ არეს ქმნიდა. ნოყიერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ზომიერი კლიმატი, ჰიდრორესურსების სიმრავლე, მადნეულის სიუხვე, ფლორის და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების პროგრესისათვის კარგ საფუძველს იძლეოდა. უპირატესად კი ამაზე არის დამოკიდებული საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ფიზიოლოგიურ-ფსიქიკური, ინტელექტუალურ-ტექნიკური, სავაჭრო-კომუნიკაციური, გეოპოლიტიკურ-სტრატეგიული, სულიერ-კულტურული განვითარების მაღალი დონე.

აქედან გამომდინარე, კოლხეთში, ცენტრით მდინარე რიონზე, ჩამოყალიბდა ფრიად თავისებური ისტორიულ-კულტურული, ლოკალური ცივილიზაციის არე და ძ.წ. I ათასწლეულში აქ განვითარდა სახელმწიფოებრიობა. ეს არე დროთა განმავლობაში ადამიანის და ბიოგეოგარემოს ურთიერთმოქმედების შედეგად განიცდიდა ევოლუციას. მისი ისტორიული განვითარების დონე, ეკონომიკა და პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირი იყო. ანტიკური ხანის კოლხეთს გეოპოლიტიკურად საკვანძო ტერიტორია ეკავა. აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრა.

ასეთი იყო ძველი კოლხეთის ისტორიული ევოლუციის პროცესში ბიოგეოგარემოს როლი. ისტორიული განვითარების განხილვისას ჩვენ იერარქიულად პირველ ადგილზე ბიოგარემოს ვაყენებთ. მხოლოდ ამ გარემოსთან ურთიერთმოქმედებაში ადამიანი ქმნის სოციოგარემოს, რაზედაც დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული წინსვლის შემდგომი ბედი. ძველი კოლხეთის საერთო მიმოხილვიდან გამოჩნდა, რომ ბიოგარემომ ძირითადი როლი შეასრულა მისი ისტორიული განვითარების პროცესში და კლასიკურ ხანაში მაღალგანვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

1.2. ისტორიული გეოგრაფიიდან

დასავლეთი საქართველოს უძველესი მოსახლეობის ძირითად ნაწილს, ქართული მოდგმის ტომი „ეგრი“ წარმოადგენდა. ამიტომ საქართველოს ამ ნაწილს უძველესი დროიდან ჩვენი წელთაღრიცხვის VIII ს-მდე უბრალოდ *ეგრი*, უფრო ხშირად *ეგური* და *ეგრისი* ეწოდებოდათ. მეტყველებაში თავდაპირველად უფრო „*ეგური*“ უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

ეგრი ტომის განსახლების ძირითად რეგიონს მდ. ენგურის ქვემო წელი წარმოადგენდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ამ მდინარის სახელიდან ჩანს. ენგური და ინგირი ამ მდინარის სახელწოდება ეგურიდან მოდის, რომელიც ამ მდინარეს ეწოდებოდა ჯერ კიდევ გვიანშუასაუკუნეებში. ამას მოწმობს უპირველეს ყოვლისა XVIII ს-ის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება და აგრეთვე გვიანშუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოს რამდენიმე საეკლესიო დოკუმენტი.

თვით ამ რეგიონს მდ. ენგურის ორივე ნაპირზე, სადაც ეგრი ტომის ძირითადი ნაწილი ცხოვრობდა, ძველი საისტორიო წყაროები „შიდა ეგრისს“ უწოდებდნენ. ძველი ქართველი ისტორიკოსების ლეონტი მროველის და ჯუანშერის მიხედვით ეს იყო კოლხეთის დაბლობის ნაწილი, მდ. ენგურის ორივე ნაპირზე, მდინარეებს რიონსა და „ეგრისწყალს“ შორის. მდ. „ეგრის-წყალის“ ლოკალიზაციის ირგვლივ ისტორიოგრაფიაში

რამდენიმე მოსაზრება არსებობს. მკვლევართა უმეტესობის აზრით, ალბათ სავსებით სამართლიანად, ითვლება რომ ქართული საისტორიო მწერლობის ეგრისწყალი არის მდ. ღალიძგა, ასე რომ „შიდა ეგრისი" მდებარეობდა შავი ზღვის პირას, მდინარებს რიონსა და ღალიძგას შორის.

სახელწოდებებს ეგური და ეგრისი მხოლოდ ჩვენი წინაპრები იყენებდნენ. ძველ აღმოსავლურ, ძველ ბერძნულ, რომაულ და ბიზანტიურ მწერლობის ძეგლებში ამ მნიშვნელობით „კულხა", „კოლხა", „კოლხიდა" და „ლაზიკე" იხმარებოდა.უცხოენოვან საისტორიო წყაროებში ძველი ქართული საისტორიო წყაროებისაგან განსხვავებით აშკარად გამოიკვეთება ეგრისის ისტორიაში ორი ხანა-კოლხიდის სამეფო და ლაზიკეს სამეფო. კოლხიდის ხანას პირობითად ძველი ეგრისის სამეფო, ხოლო ლაზიკის ხანას — ახალი ეგრისის სამეფო შეიძლება ეწოდოს.

ქვეყნის სახელებიდან ეგური და ეგრისი პრეფიქს-სუფიქსის დახმარებით მივიღეთ ამ ქვეყნის ანუ დასავლეთ საქართველოს მოსახლის სახელწოდება „მეგრელი". ირკვევა, რომ ეს სახელი ძალზე ძველია და იგი ჯერ კიდევ უძველესი ერთიანი ქართული ენის დაყოფამდეა შექმნილი.

თუ ტერმინები ეგური და ეგრისი დასავლეთ საქართველოს ჩვენი ერის VIII ს-ის ჩათვლით აღნიშნავდა, სახელწოდება მეგრელი მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლის მნიშვნელობით XI საუკუნეშიც იხმარებოდა. ამ სახელიდან მივიღეთ გეოგრაფიული სახელწოდება *სამეგრელო*.

ქართული მწერლობის ძეგლებში ეს გეოგრაფიული სახელი XI ს-ის პირველ ნახევარშია დამოწმებული.

„ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა ნეტარის მამისა ჩვენისა მაქსიმე აღმსარებლისა", ცნობილი ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწის მაქსიმე აღმსარებლის კიმენური რედაქციაა და ეკუთვნის ექვთიმე ათონელის კალამს. აქ ვკითხულობთ: წარგავლინეს სამარადისო ექსორიობასა და პყრობილებასა კერძოთ სამეგრელოსა"...

თუ რას გულისხმობდა ექვთიმე მთაწმინდელი ამ გეოგრაფიულ სახელში„სამეგრელო", ეს კარგად ჩანს ამ ნაწარმოების ბერძნულ დედანში, სადაც შესაბამის ადგილას ვკითხულობთ: „ვგზავნით თქვენ სამუდამო სატუსაღოდ.. ლაზიკის ქვეყანაში..."

დედნიდან მოყვანილი ციტატიდან კარგად ჩანს, რომ ქვეყანა, რომელიც ექვთიმე მთაწმინდელისათვის „სამეგრელოა", ეს არის ბიზანტიელების ლაზიკე ანუ მთელი დასავლეთი საქართველო და მისი მომიჯნავე სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი.

ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის „ისტორიის" ქართულ რედაქციაში, რომლის დღემდე შემონახული უძველესი ქართული ხელნაწერი 1142 წლითაა დათარიღებული, ვკითხულობთ: „და ჰყვა მის თანა ცოლი თვისი და მოიწია რა ტრაპეზუნტედ სანახებთა მათ სამეგრელოსათა". როგორც ვხედავთ, სამეგრელო იმავე მნიშვნელობით იხმარება, როგორც ექვთიმე მთაწმინდელის კიმენურ რედაქციაში. ასე რომ XI ს-ში სამეგრელო ბევრად უფრო ვრცელ ქვეყანას აღნიშნავდა, ვიდრე ეს დღეს შეიძლება წარმოვიდგინოთ.

XII ს-ში ამ მიმართულებით ტეხილი შეიმჩნევა. ამას მოწმობს XIIს-ის პირველ ნახევარში შედგენილი „დავით და კონსტანტინეს ცხოვრება", სადაც ვკითხულობთ: „დაიბანაკა სამეგრელოსა, სანახებსა ჭყონდიდისასა, რამეთუ იყო ბანაკი მათი ცხენისწყლიდგან ვიდრე აფხაზეთამდე და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი და აღაოხრა და უვალ და უკაცურ ჰყო ქვეყანა მეგრელთა და აფხაზთა". ამ ნაწარმოებში, როგორც ვხედავთ, „სამეგრელო" და „მეგრელი" ახალი მნიშვნელობით გვხვდება. ეს სახელწოდება უკვე აღნიშნავს არა მთელ დასავლეთ საქართველოს და მის მოსახლეს, არამედ მხოლოდ

ერთ-ერთ დასავლურ ქართულ ეთნოგრაფიული ჯგუფის წევრს და იმ ტერიტორიას, რომელიც ამ ეთნოგრაფიულ ჯგუფს ეკავა. ეს მნიშვნელობები ამ სახელწოდებებს, დღემდე შემორჩა.

XI-XII ს-ში „სამეგრელოს" პარალელურად, იმავე მნიშვნელობით, ქართული მწერლობის ძეგლებში კიდევ ერთი სახელწოდება „საეგრო" არის დამოწმებული. ეს იყო ხელოვნური ტერმინი.

იმისდა მიუხედავად, რომ „სამეგრელო" დღევანდელი მნიშვნელობით XII ს-დან მოიხსენიება, ამ გეოგრაფიულმა სახელწოდებამ მთელი შუა შუასაუკუნეების მანძილზე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ჟღერადობა საქართველოში ვერ ჰპოვა. ამ სახელის ნაცვლად იმ პოლიტიკურ ერთეულს, რომელიც მეგრელებით დასახლებულ ტერიტორიას მოიცავდა, ამ საუკუნეებში ქართული მწერლობის ძეგლები. თითქმის ერთხმად ოდიშს უწოდებენ.

ოდიში ქართული მწერლობის ძეგლებში პირველად XI-XII სს-ის ერთი ქართული ხელნაწერის ანდერძში გვხვდება.

ამ დროისათვის ოდიში, საქართველოს ისეთივე დიდ და უმნიშვნელოვანეს მხარედ ითვლებოდა, როგორც ქართლი, სამცხე და ა.შ. ამას მოწმობს XIII ს-ის ერთი ხელნაწერი, რომლის მინაწერში ვკითხულობთ: „ძმანო ოდიში, ქართლი, სამცხე, კახეთის საყდარი და უდაბნონი ყველა გვინახავს..."

გეოგრაფიული სახელწოდების ოდიშის ეტიმოლოგიის პირველი ცდა ვახუშტი ბაგრატიონს მოეპოვება: „ხოლო ოდიში, განდგნენ რა ეგრისის მდინარის იქითნი და მიერთნენ ბერძენთა, იტყოდიან: „ოდეში იყომე ქვეყანა იგი ჩუენი".

თავისთავად ოდიშის ვახუშტისეული ეტიმოლოგია ძალზე გულუბრყვილოდ გამოიყურება, თუმცა სავსებით შეესაბამება მისი დროის მეცნიერების განვითარებას. ბევრად უფრო გულუბრყვილოა სახელწოდება ოდიშის იოანე ბაგრატიონისეული თუ მოსე ჯანაშვილისეული განმარტება.

გამოჩენილი მეცნიერი ნ. მარი ოდიშის ფუძეში მეგრულ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებ ჯიქების თუ დიხების სატომო სახელს ხედავს. ხოლო ცნობილი ისტორიკოსი ს. კაკაბაძე ამ გეოგრაფიული სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ წერდა: „სიტყვა ოდიშში შემონახულია იქ მოსახლე ტომის დიზერების სახელი. ტომი დიზერი შემდეგ გაქრა, მაგრამ მისგან დარჩა გეოგრაფიული სახელი".

ორიგინალური შეხედულება ამ საკითხის შესახებ მოეპოვება ვ. ბერიძეს. „ოდიში" — მეგრული ნათესაობითი ბრუნვაა. ოდიში ე.ი. ოდის კუთვნილი რამ, წერს ეს გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი — მაგალითად ქვეყანა ოდიში. ოდის ქვეყანა ნათესაობითი ბრუნვაა გამოყენებული, როგორც ადგილის სახელწოდება. ვინ არის ეს ოდი რომელმაც მთელ კუთხეს, ქვეყანას მისცა თავისი სახელწოდება", ოდი ქვეყნის პატრონია, მის მიწა-წყალზე დასახლებული ღვთაება. მაშასადამე, ჯერ ღვთაება ქვეყნის პატრონი და შემდეგ ღვთაებისაგან თვით სახელწოდება — „ოდიში ოდის ღვთაების ქვეყანაა".

სამწუხაროდ ვერც ეს და ვერც წინა ორი მოსაზრება გამოიყურება დამაჯერებლად.

სახელწოდება ოდიშის წარმომავლობის თუნდაც დამაჯერებელი ეტიმოლოგია ვერ ახსნის იმის მიზეზებს, რომ შუა და გვიანშუასაუკუნეებში, იმ დროს როდესაც ტერმინი სამეგრელო ჩამოყალიბებული იყო, მეგრელებით დასახლებულ პოლიტიკურ ერთეულს ჩვენი წინაპრები ოდიშს ეძახდნენ.

საქმე ისაა, რომ საკუთრივ მეგრელებით დასახლებულ ტერიტორიის ერთ ნაწილს ძველი დროიდან ოდიში ეწოდებოდა. შემდეგ ამ ტერიტორიაზე საერისთავო ჩამოყალიბდა, რომელსაც იგივე სახელი ეწოდა.

საუკუნეების მანძილზე ოდიშის ერისთავებმა ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში წარმატებას მიაღწიეს და მეფის მოხელისაგან დამოუკიდებელ მთავრებად გადაიქცნენ. ამიტომ მათ სამფლობელოს, რომელიც უკვე მეგრელებით დასახლებულ მთელ ტერიტორიას მოიცავდა, ოდიში ეწოდა. ასე რომ, შუა და გვიან ფეოდალურ ხანაში სამეგრელოს ისტორია ფაქტობრივად არის ჯერ ოდიშის საერისთავოს და შემდეგ ოდიშის სამთავროს ისტორია. მხოლოდ XIX ს-ის დასაწყისში ქართული მწერლობის ძეგლებში სახელწოდება ოდიში თანდათანობით შეიცვალა სამეგრელოთი და ამ მეგრელებით დასახლებულ სამთავროს ჩვენმა წინაპრებმა საბოლოოდ სამეგრელოს სამთავრო უწოდეს. ბუნებრივია სამეგრელო ოდიშის პარალელურად ხალხურ მეტყველებაში საქართველოში თავიდანვე გამოიყენებოდა. ამას პირველ რიგში ადასტურებს ოდიშის სამთავროს დასავლურ-ევროპული სახელწოდება. გვიანშუასაუკუნეების დასავლეთ ევროპული წყაროები ამ სამთავროს „მინგრელია – მეგრელიას" უწოდებენ, რაც ქართული სამეგრელოს გადმოცემაა დასავლურ ევროპულ ენებზე, თუმცა დასავლეთევროპული ავტორებისათვის არც სახელწოდება ოდიშია უცნობი. ამასთან აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ევროპელი ავტორები სამეგრელოს ზოგჯერ უფრო ფართო მნიშვნელობით ხმარობენ, ვიდრე ეს სინამდვილეში იყო. ზოგი ავტორი ამ ტერმინის ქვეშ გულისხმობს თუ მთელ დასავლეთ საქართველოს არა, საქართველოს მთელ ზღვისპირეთს მაინც.

გვიანშუასაუკუნეების რუსული წყაროები, როგორც წესი ოდიშის ანუ სამეგრელოს სამთავროს აღსანიშნავად „მინგრელიას" ხმარობენ, თუმცა მათთვის არც ტერმინი ოდიშია უცნობი. ამ მნიშვნელობით XVII ს-ის რუსულ წყაროებში „დადიანის ქვეყანა" ან კიდევ უბრალოდ დადიანი – გვხვდება. ამ შემთხვევაში სამთავროს სახელწოდება ამ სამთავროს მთავრის გვარის სახელიდანაა. აღმოსავლური წყაროები (სომხური და სპარსული) ოდიშის სამთავროს თითქმის ყოველთვის მისი მთავრის გვარსახელიდან ნაწარმოები სახელით „დადიანით" მოიხსენიებენ.

თავი მეორე

ქართველური ენების დასავლური არეალი (კოლხური ანუ ზანური)

2.1. ქართველური ენები და მათი დიფერენციაცია

ანთროპოლოგიური, ლინგვისტური, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული გეოგრაფიის მონაცემების საფუძველზე დადგენილია, რომ ახლომონათესავე ეთნიკურ-ლინგვისტურ ერთეულებს — ქართებს (ნ. მარის ტერმინი), სვანებსა და ზანებს — ჰყავდათ საერთო წინაპრები, რომლებიც 6-7 ათასი წლის წინათაც მკვიდრობდნენ ამიერკავკასიაში (ნაწილობრივ, წინა აზიის ჩრდილოეთ ნაწილშიც, სადაც მათ ჰქონდათ ხანგრძლივი მჭიდრო კონტაქტები მეზობლად მცხოვრებ პრეინდოევროპელებთან და პრესემიტებთან) და მეტყველებდნენ ერთ ენაზე, რომელსაც დღეს პირობითად ქართველური ფუძეენა (ანუ წინარექართველური, პრექართველური) ეწოდება. დროთა განმავლობაში წინარექართველურში ჩაისახა დიალექტური განსხვავებანი, რომელთაც შემდგომში მონათესავე (ქართველური) ენები მოგვცეს.

ქართველურ ენათა დიფერენციაციის სქემა გერმანელმა ქართველოლოგმა გერჰარდ დეეტერსმა შექმნა ამ საუკუნის 30-იან წლებში:



როგორც ამ სქემიდან ჩანს, ქართველური ფუძეენის დიფერენციაცია მომხდარა სამ ეტაპად: 1. ფუძეენის დაშლა სვანურ ენად და ქართულ-ლაზურ ერთობად; 2. ქართულ-ზანური ერთობის დაყოფა ქართულ ენად და ლაზურ-მეგრულ ერთობად (რასაც პირობითად ზანურ ენასაც უწოდებენ). 3. ლაზურ-მეგრული ერთობისაგან ლაზური და მეგრული ენების წარმოქმნა. მაშასადამე, გ. დეეტერსის კონცეფციით, ქართველურ ენათა ჯგუფი შედგება ოთხი ლინგვისტური წევრისაგან: ქართული, სვანური, ლაზური (ჭანური) და

მეგრული. ეს თვალსაზრისი გაიზიარეს მთელმა რიგმა უცხოელმა და ქართველმა მკვლევრებმა — კ. შმიდტმა, გ. კლიმოვმა, თ. გამყრელიძემ, გ. მაჭავარიანმა, ჰ. ფენრიხმა, ზ. სარჯველაძემ, გ. ნებიერიძემ და სხვ.

როგორც ცნობილია, ენათა და დიალექტთა გასამიჯნავად ძირითადად ორ კრიტერიუმს მიმართავენ. ერთია გაგებინების ფაქტორი, მეორე — ბგერათშესატყვისობის არსებობა. მაგრამ, როგორც ჩანს, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სუბიექტური ფაქტორიც (მკვლევრის დამოკიდებულება ენობრივ ერთეულთა შესწავლის შედეგებისადმი). ეს პრობლემა ეხება ლაზურისა და მეგრულის ურთიერთმიმართების საკითხსაც: ისინი დამოუკიდებელი (მონათესავე) ენებია თუ ერთი ენის (პირობითად, ზანურის, კოლხურის), დიალექტები? არნ. ჩიქობავას საენათმეცნიერო სკოლა აღიარებს ქართველურ ენათა ჯგუფში მხოლოდ სამი ლინგვისტური წევრის — ქართულის, სვანურისა და ზანურის (მეგრულ-ჭანურის) არსებობას. ამასთანავე, არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, ამ (ქართველური) ენებისათვის ამოსავალია არა წინარექართველური, არამედ ძველი ქართული ენა, რომლის წიაღში უკვე იყო ჩასახული ორი დიალექტური ერთეული, რომელთაგანაც განვითარდნენ, ერთი მხრივ, ზანური ენა, ხოლო მეორე მხრივ — სვანური ენის ერთ-ერთი ძირითადი ფენა.

როდის მოხდა ქართველურ ენათა დიფერენციაცია?

ზუსტი ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა ალბათ შეუძლებელია. როგორც გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, ქართველურ ფუძეენაში დიალექტური განსხვავებანი უკვე უნდა ყოფილიყო ჩასახული ძვ. წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე. გლოტოქრონოლოგიური (ლექსიკურ-სტატისტიკური) მეთოდის გამოყენებამ ორი განსხვავებული შედეგი მოგვცა: 1. საერთო-ქართველურ ფუძეენას სვანური გამოეყო დაახლოებით ძვ. წ. მე-18 საუკუნეში, ხოლო ქართულ-ზანური ერთობის დაშლა მოხდა ძვ.წ. მე-8 ს-ში (ჰანს ფოგტი, გ. კლიმოვი. გამოკვლევა ჩატარდა 100-სიტყვიანი საცდელი სიის მიხედვით); 2. სვანურის გამოყოფა მოხდა დაახლოებით ძვ.წ. მე-10 ს-ში, ხოლო ქართულ-ზანური ერთობის დაშლა — ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისისათვის (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი. გამოთვლა ჩატარდა 200-სიტყვიანი სიის მიხედვით). ამ ორი კვლევის შედეგების ურთიერთშედარება ცხადყოფს ქართველური ფუძეენის დიალექტების ენებად გადაქცევის რელატიურ ჩარჩოებს — ათასწლოვან მანძილს.

ქართველურ ენათა გამოყოფა-ფორმირების თანმიმდევრობასთან დაკავშირებით მეცნიერებაში არსებობს სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებაც, რაც ასახულია მ. ქურდიანის სქემაში:



ეს იმას ნიშნავს, რომ წინარექართველურს თავდაპირველად გამოეყო ქართული ენა, ხოლო მოგვიანებით სვანურ-ზანური ერთობა დაიშალა სვანურ და ზანურ ენებად.

წინარექართველური (ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ენათა ჯგუფის ფუძეენა) არ შემონახულა, თუმცა მასთან ყველაზე ახლოს დგას ძველი ქართული ენა. როგორც ფაქტობრივი მასალიდან ჩანს, სვანურის ხმოვანთა სისტემა ქართულს მიჰყვება, ხოლო

თანხმოვანთა სისტემა — ზანურს: რეკონსტრუირებულ ქართველურ ფუძეენასთან (ე.ი. არქეტიპთან) და ქართულთან შედარებით ზანურ-სვანურში თანხმოვან ფონემათა ცვლილებას (ბგერათშესატყვისობად ქცევას) იწვევს არტიკულაციის ცვლა, კერძოდ „წარმოების უკან გადაწევა“ (არნ. ჩიქობავა). ცნობილია, რომ ქართველურ ენებში თანხმოვნები წარმოთქმის ადგილის მიხედვით არიან: ლაბიალურნი (ბაგისმიერნი), დენტალურნი (კბილისმიერნი), წინა და უკანა ნუნისმიერნი (ალვეოლარულნი), უკანასასისმიერნი (ველარულნი)... ამათგან რეფლექსები (შესატყვისი ფონემები) განივითარეს ნუნისმიერებმა, რომელთაც აგრეთვე სიბილანტებს (წინაენისმიერებს) უწოდებენ. მაშასადამე, ბ-ფ-პ, დ-თ-ტ, გ-ქ-კ, ღ-ხ, ლ-მ-ნ-რ, ვ,პ,ყ ქართველურ ენებში ბგერათშესატყვისობის დონეზე იდენტურ რეფლექსებს იძლევა, ხოლო თუ ეს იდენტურობა დარღვეულია, მისი ახსნა ამა თუ იმ კონკრეტულ ენაში მომხდარი პოზიციური და კომბინატორული ცვლილებების გათვალისწინებით ხდება შესაძლებელი (მაგ, რ → ჯ ი ფორმანტის გავლენით. იხ. ქართული ჯარ: ზან. ხოჯ–, ქართ. სირ-: ზან. სინჯ-... ხოლო დისიმილაციური დეზაფრიკატიზაციის შედეგად ჯ → დ; მაგალითად, ქართ. ცხურ– : ზან. ჩხვიჯ (→ჩხვინდ).

ფონემათა რეფლექსებს მხოლოდ სიბილანტები იძლევიან. მიუთითებენ, და ალბათ ასეც არის, რომ ისტორიულად განირჩეოდა: 1. წინასიბილანტური, ანუ სისინა რიგი (ხშულთა სამეული ძ-ც-წ და ნაპრალოვანთა წყვილეული ზ-ს); 2. შუასიბილანტური, ანუ სისინა-შიშინა რიგი (ძ-ც-წ, ზ-ს) და 3. უკანასიბილანტური, ანუ შიშინა რიგი (ჯ-ჩ-ჭ, ჟ-შ). ამათგან პირველი რიგი (წინასიბილანტები) ბგერათა შესატყვისობის დონეზე იძლევა იდენტურ რეფლექსებს: (ქართ. ძ : სვან. ძ : ზან. ძ; ქართ. ც : სვან. ც : ზან. ც და ა.შ.; შუასიბილანტებმა კი (სისინა-შიშინა თანხმოვნებმა, რაც დღეს არ დასტურდება) მოგვცა უკანასიბილანტური რიგის შიშინა ეკვივალენტები ჯ-შ-ჭ, ჟ-შ. იხ. სათანადო სქემა:

ს. — ქართველური	ქართული	სვანური	ზანური
*ძ$_1$	ძ	ჯ	ჯ
*ც$_1$	ც	ჩ	ჩ
*წ$_1$	წ	ჭ	ჭ
*ზ$_1$	ზ	ჟ	ჟ
*ს$_1$	ს	შ	შ

უკანასიბილანტური (უკანანუნისმიერი) რიგის თანხმოვნებია ხშულნაპრალოვანი აფრიკატები ჯ-ჩ-ჭ და ნაპრალოვნები ჟ-შ. მათი წარმოთქმისას აკუსტიკური შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს შიშინი მოისმის. ამიტომაც ეწოდებათ შიშინა ბგერები. ისინი ბგერათშესატყვისობის დონეზე სვანურსა და ზანურში გვაძლევენ თანხმოვანთკომპლექსებს. ტრადიციული თვალსაზრისი უკანასიბილანტების რეფლექსებთან დაკავშირებით ასეთია (სქემა ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონიდან“):

ს.—ქართველური	ახ. ქართული	მეგრული	ლაზური	სვანური
*ჯ	ჯ	ჯგ	ჯგ	ჯგ
*ჩ	ჩ	ჩქ	ჩქ	ჩქ
*ჭ	ჭ	ჭკ	ჭკ	ჭკ
*შ	შ	შქ	შქ	შგ

განსხვავებულ სურათს იძლევა მ. ქურდიანის ცხრილი:

ს.–ქართველური	ქართული	სვანური	ზანური
*ʒ	ʒ	ф	ძ
*ч	ч	ц̌	ц̌
*ǯ	ǯ	ґ	ґ
*ǰ	ǰ	ʒ	ʒ
*ш	ш	ś	ś

(ორივე ცხრილისაგან განსხვავდება თ. შარაძენიძის მიერ შედგენილი სვანურ-ზანურ-ქართული შესატყვისობების სქემა)

ბგერათშესატყვისობის თვალსაზრისით ხმოვნებში ასეთი ვითარებაა: ი-ო-უ უცვლელად მეორდება ყველა ქართველურ ენაში (ენათა შიგნით ფონეტიკური გარდაქმნანი სხვა სფეროა). განსხვავებულ რეფლექსებს იძლევიან ა-ო: კერძოდ:

ს.-ქართვ.	ქართ.	სვან.	ზან.
ა	ა	ა	ო
ე	ე	ე	ა

ქართ. კაც- : ზან. კოჩ- : სვან. ჭაშ–\ჭშ
ქართ. ძაღლ- : ზან. ʒოღორ - : სვან ჟაღ- \ჟეღ-
ტყე- : ტყა–\ტკა- : ტყე
თენ- : თან- : თენ-\თნ-

რეგულარული (დიფერენცირებული) ბგერათშესატყვისობისა თუ ბგერათა იდენტურობის დარღვევის ყველა შემთხვევა იხსნება პოზიციური ან კომბინატორული პროცესებით.

ტერმინი „ქართველური ენები" შემოიღო ჰუგო შუხარდტმა. სინონიმებია იბერიული (ივერიული) ენები (ფრანც ბოპი, ალექსანდრე ცაგარელი...), სამხრულ-კავკასიური ენები, სამხრულ-დასავლური ენები, იაფეტური ენები (ნ. მარი).

2.2. ისტორიული ეთნონიმიკის საკითხები

ზანური (ისევე როგორც სვანური) უმწერლობო ქართველური ენაა.

ცნობილია, რომ ქრისტიანობის გავრცელებას ყველგან თან სდევდა დამწერლობის შექმნაც (თუ მანამდე არ იყო შექმნილი), რაც აუცილებელი იყო ახალი აღთქმის, ფსალმუნთა და სხვა, ამ რელიგიის გასავრცელებლად აუცილებელი, ლიტერატურული ძეგლების მშობლიურ ენაზე გადმოსაცემად. მაგრამ ზანებს (და სვანებსაც) ეს არ დასჭირვებიათ, რადგანაც ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით მათ თავი ქართველთაგან არასოდეს განუცალკევებიათ.

მეორე და პირველ ათასწლეულებში შავი ზღვის სამხრეთ–აღმ. და აღმოსავლეთ სანაპიროზე ბინადრობდნენ ერთმანეთთან ენობრივად და კულტურით ახლომყოფი ქართველური ტომები, რომელნიც ურარტულ ლურსმულ წარწერებში, ელინურ, ელინისტურ და ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში მოიხსენიებიან როგორც კოლხები, მაკრონები,

ჰენიოხები, ლაზები, სანები\ჭანები, მეგრელები... სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ამ ცნებებს განსხვავებული ეთნიკური, პოლიტიკური და გეოგრაფიული შინაარსი ჰქონდა. მათგან უძველესი ეთნიკური სახე და ენა მხოლოდ ჭანებმა და მეგრელებმა შეინარჩუნეს. მაკრონი (და მანრალი) მეგრელთა თვითწოდება „მ ა რ გ ა ლ ი ს“ ბერძნულ ვარიანტადაა მიჩნეული.

„ქართლის ცხოვრება“, რომელიც ხალხებსა და მათ წინაპრებს ბიბლიურ პერსონაჟებთან აკავშირებს, მეგრელებს თვლის ნოეს შვილიშვილის შვილიშვილ ეგროსის შთამომავლებად. ქართულ საისტორიო და ლიტერატურულ წყარ.ოებში შუა საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთს ეწოდება ეგრისი, ხოლო მის მოსახლეობას — მეგრები ან მეგრელები.

სადაურობის აღმნიშვნელი სახელი მ-ეგრ-ელ-ი ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელწოდებიდან ეგრი\\ეგრისი. ქართული მეგრელ-ფუძის კანონზომიერი მეგრულ-ჭანური შესატყვისია მ-აგრ-ალ-ი. ამ ფორმამ მეტათეზისის გზით (მეგრულისათვის დამახასიათებელი ფონოტაქტიკის შესაბამისად) მოგვცა „მარგალი“. ტოპოეთნონიმისგან „მეგრელი“ ხელახლა იქნა ნაწარმოები ამ ტომის ადგილსამყოფელის სახელწოდება სა-მეგრ-ელ-ო (მეგრ. სამარგალო).

ტოპონიმ ეგრისის წარმომავლობის შესახებ რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული: ამოსავალი ფუძეა ეგერ (←გერ ← გარ\\გურ), საიდანაც მივიღეთ ქვეყნის სახელწოდებანი ეგერისი → ეგრისი და გურია (ნ.მარი); გურ||გერ არის ანტიკური ხანის სატომო სახელი, რომლის ფუძიდანაც ე პრეფიქსით (ფუნქციით ქართული სა- პრეფიქსის ბადალია) და -ის სუფიქსითაა ნაწარმოები ქვეყნის სახელი ეგურისი\\ეგერისი → ეგრისი (პ. ინგოროყვა); ა რ გ არის პელასგური ფუძე, რომელიც დაცულია ბერძნულ ონომასტიკონსა (ტოპონიმიაშიც და ანთროპონიმიაშიც) და ხომალდ „არგო“-ს სახელწოდებაში (ს. ჯიქია, ა. ურუშაძე); სხვადასხვაგვარ ფონეტიკურ ცვლილებათა გზით ივერ\\იბერ\\იმერ (*ჰივერ*ჰიბერ*ჰიმერ) ფუძემ მოგვცა გურ (*გვერ), ე.ი. *გურია* და გ ე რ , რომლისგანც ე პრეფიქსით მივიღეთ *ეგერია*, იგივე ეგრისი (ი. ყიფშიძე).

ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში ბერძნულ ენაზე შექმნილი გეოგრაფიული სახელმძღვანელოს თანახმად, დასავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში მოსახლეობდნენ მანრალები, რომელთა ქვეყანასაც ეწოდება ეკრიტიკე. თუკი ეს „მანრალი“ მეგრელს, ხოლო ეკრიტიკე ეგრისს ნიშნავს, მაშინ სატომო სახელი მაგრალი (→მარგალი) 18 საუკუნის წინათ ყოფილა დამოწმებული უცხოურ წყაროში. შუა საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებში ეგრისის პარალელური სახელწოდებებია სამეგრელო და ოდიში.

ჭანებიც ძველი დასავლურ-ქართული ტომია. თავდაპირველად ისინი ცხოვრობდნენ მიუვალ მთებში, მდ. ჭოროხის ზემოთში, ხოლო შემდეგ დამკვიდრდნენ შავიზღვისპირეთშიც, III-VI სს-ში მიიღეს ქრისტიანობა და ბიზანტიის ჯარშიც მსახურობდნენ. ტრაპიზონის იმპერიის ძირითად მოსახლეობას სწორედ ჭანები შეადგენდნენ. სატომო სახელ ჭანს „ჭანოი“ ფორმით პირველად ბიზანტიელი ავტორი პროკოპი კესარიელი ასახელებს და იმასაც აღნიშნავს, რომ ჭანებს ადრე ეწოდებოდათ სანები („სანოი“). მოგვიანებით ტერმინი ჭანი შეცვალა ტერმინმა „ლაზი“. ჭანები თავისთავს დღესაც ლაზებს უწოდებენ. მათ ქვეყანას ჭანეთი (ანუ ლაზეთი; იშვიათად ლაზისტანი) ეწოდება და თურქეთის სახელმწიფოშია მოქცეული (გარდა სოფ. სარფის მცირე ნაწილისა, რომელიც საქართველოს ფარგლებში შემოდის).

2.3. კოლხურის (ზანურის) დიალექტები

როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, მრავალი მკვლევარი (უცხოელი თუ ქართველი) მეგრულსა და ჭანურს დამოუკიდებელ ენებად თვლიდა და ზოგი დღესაც ამ თვალსაზრისს იცავს. ქართველურ ენათა ჯგუფის შედგენილობაზე მსჯელობისას „ენათმეცნიერების შესავლის" (თბ., 1991) ავტორი გ. ნებიერიძე აღნიშნავს: „*მეგრული ენა* — სამეგრელოში გავრცელებული უმწერლობო ენა — ორი დიალექტის (სენაკურისა და ზუგდიდურ-სამურზაყანულის) შემცველი; *ჭანური (ანუ ლაზური) ენა* — შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ჭანთა (ლაზთა) უმწერლობო ენა, რომელიც შეიცავს შემდეგ დიალექტებს: ხოფურს, ვიწურ-არქაბულსა და ათინურს". იგივე აზრი არის გატარებული ჰაინც ფენრიხისა და ზურაბ სარჯველაძის მიერ 1990 წელს გამოცემულ „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში".

ამჟამად უფრო გავრცელებულია ის თვალსაზრისი, რომ მეგრული და ლაზური (ჭანური) ორი დიალექტია ერთი ენისა (რომელსაც ზანური ეწოდება), ხოლო „ორ ენად მათი გამოცხადება მხოლოდ სხვა საენათმეცნიერო დისციპლინის (და არა კომპარატივისტიკის — პ.ც.) — სოციოლინგვისტიკის პოზიციიდან შეიძლება და ისიც პირობითად" (მ. ქურდიანი).

„ზანური ენა", როგორც ტერმინი ჭანურისა და მეგრულის ფუძეენის აღსანიშნავად, პირობითია, მაგრამ არა ნებისმიერი, რადგანაც გარკვეული საფუძველი მოეპოვება: სვანები მეგრელებს დღესაც ზანებს (ზანარ) უწოდებენ (როგორც ჩანს, „ზანარ" ისტორიულად ჭანებსაც გულისხმობდა). მეორე მხრივ, ბიზანტიურ წყაროებში აღნიშნულია, რომ ჭანებს უწინ სანები (\\ზანები) ეწოდებოდათ. „ზანური ენის" მნიშვნელობით „კოლხური" შემოთავაზებულია გერმანელი მეცნიერის — გეორგ როზენის მიერ თითქმის საუკუნენახევრის წინათ. იგი ერთგან წერს: „ჩემი კვლევა-ძიება უეჭველად ცხადყოფს, რომ ლაზური (ჭანური) და მეგრული მეტად ახლომდგომი კილოებია ერთი ენისა, რომელიც ჩვენ დარწმუნებით შეიძლება მივიჩნიოთ კოლხურად". ამ ტერმინისათვის ამოსავალია გეოგრაფიული სახელწოდება კოლხეთი \\ კოლხიდა. მესამე სინონიმია კომპოზიტური წარმოების „მეგრულ-ჭანური" (მეგრულ-ლაზური).

ი. ყიფშიძის „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკა", რომელიც 1914 წელს გამოიცა სანქტ-პეტერბურგში რუსულ ენაზე, ამ სიტყვებით იწყება: მეგრული ენა ჭანურის ახლო მონათესავეა და მასთან ერთად ქმნის იაფეტურ ენათა შტოს.... თუბალ-კაინურ ჯგუფს. ამ ბიბლიური სახელწოდების მეორე ნაწილი კაინური უდრის „ჭანურს", ხოლო თუბალური — „მეგრულს" (ნ. მარმა „ქართველური" მოძველებულ ტერმინად ჩათვალა და შეცვალა იგი „იაფეტურით" ნოეს ერთ-ერთი შვილის სახელის მიხედვით). მეგრულს შეიძლება „ივერიული ენაც" ეწოდოს შემდეგი ვარაუდის საფუძველზე: ებრაელი სწავლული იოსებ ფლავიუსი (ახ.წ. I ს.) აღნიშნავს, რომ თუბალებს (იაფეტის შვილის თუბალის შთამომავლებს) მის დროს ეწოდებოდათ ივერები. მეგრული ენის კანონების მიხედვით სრულიად დასაშვებია ფონეტიკური გარდაქმნების გზით თუბალ- ფუძეს მოეცა ივერი (←ჰივერი). აქედან გამომდინარე, კოლხეთის უძველესი, უწინდელი სახელწოდებაა ივერია, რომელიც აღმ. საქართველოზეც გავრცელდა დროთა განმავლობაში (ი. ყიფშიძის ეს ვარაუდი მეცნიერებაში არაა გაზიარებული).

ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მეგრული და ჭანური წარმოადგენდა მოსაზღვრე, ამასთანავე, დიალექტურ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ძალზე სუსტად დიფერენცირებულ ლოკალურ ერთეულებს. ჯერ კიდევ. გ. როზენი წერდა: „ლაზური

სახელმწიფოს დაცემის შემდეგ ლაზური და მეგრული ტომები გაითიშნენ". ტერიტორიული გათიშვა უნდა მომხდარიყო VI-VII სს-ში, როცა ერთ-ერთი ქართული ტომი ზანურენოვანი მოსახლეობის შიგ შუაგულში შეჭრილა და შავ ზღვამდე გაუღწევია. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს: „კოლხეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთს ნაწილში მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომები ცხოვრობდნენ, შემდეგ, ეტყობა, ერთ-ერთი ქართველ ტომთაგანი ან აღმოსავლეთით, ან არა და სამხრეთ-აღმოსავლეთით შიგ შუაგულში შეჭრილა და მეგრელები და ლაზები ერთი-ერთმანეთს დაუშორებია, ხოლო დაპყრობილი ადგილების მცხოვრებლებს ქართული შეუთვისებიათ. ამის გამო ეხლანდელი გურულები და იმერლები გაქართველებულ მეგრელ-ლაზებად უნდა ჩავთვალოთ. პროკოპი კესარიელის სიტყვით, რიონის სამხრეთით მდებარე ქვეყანა მის დროს (V-VI სს.) მეტად ნაკლებად ყოფილა. დასახლებული, თითქმის სრულებით უკაცური ყოფილა... ეს სწორედ ის ადგილია, რომელსაც გურია ეწოდება... სპარსელ-ბიზანტიელთა ომიანობისა და იქნებ სხვა მიზეზების წყალობით, ადგილობრივი მეგრულ-ლაზური მოსახლეობა ამოწყვეტილა და VI ს. ეს მხარე ცარიელი ყოფილა. ამგვარად, გურიის ახალი მოსახლეობა შეიძლებოდა გაჩენილიყო VI საუკუნის შემდგომ, VII, განსაკუთრებით — VII-VIII სს., მაშინ, როცა აღმოსავლეთი საქართველო — იბერია არაბთა მძლავრ და მკაცრ ბატონობის ქვეშ იყო და ხალხი აუტანელ მოხარკეობას გაურბოდა. ახალშენებს რიცხვმრავლობით მცირერიცხოვანი მკვიდრნი გაუქართველებიათ, მაგრამ თითონაც შეუთვისებიათ მათგან ბევრი რამ და ნარევ მოსახლეობას შეუქმნია ახალი ენა-კილო".

ივ. ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძის, არნ. ჩიქობავას, ი. მეგრელიძის, ს. ჟღენტის და სხვათა მიერ ჩატარებულმა ისტორიულმა და ენათმეცნიერულმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ გურია, ქვემო იმერეთი (ოკრიბისა და არგვეთის ჩართვით) და ლეჩხუმის ქვემო ნაწილი მეგრული მეტყველების არეს წარმოადგენდა. ამის დამადასტურებელ საკმაოდ მრავალრიცხოვან ფაქტობრივ მასალას პოულობენ გურულისა და იმერულის, ნაწილობრივ, ლეჩხუმურის ლექსიკაში, მორფოლოგია-სინტაქსსა და, განსაკუთრებით, ტოპონიმიაში. სპეციალურ ლიტერატურაში დასახელებულია ო— პრეფიქსიანი თუ -იმ სუფიქსიანი არა ერთი და ორი გეოგრაფიული სახელწოდება, რომელნიც გურია-იმერეთის ტერიტორიაზე ზანურ სუბსტრატს წარმოადგენენ.

ტერიტორიული გათიშვის შემდეგ ჭანური და მეგრული სხვადასხვა ენობრივ გარემოცვაში მოექცა, რამაც თავისი კვალი დააჩნია თითოეულ მათგანს. რაც მთავარია, ჭანურზე შემცირდა ქართულის გავლენა, სამაგიეროდ, გაძლიერდა და ინტენსიური გახდა გავლენა ჯერ ბერძნული, ხოლო შემდეგ და განსაკუთრებით — თურქული ენისა. მეგრულს აშკარად ეტყობა (როგორც ლექსიკაში, ისე გრამატიკაში) ქართულის გავლენა (გურული და იმერული დიალექტების, აგრეთვე სალიტერატურო ენის და, განსაკუთრებით, სასწავლო დაწესებულებათა მეშვეობით). ასეთი გავლენა, ი. ყიფშიძის დაკვირვებით, მნიშვნელოვნად შეეხება სენაკურ კილოკავს. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირის რიგი სოფლის მცხოვრებთა მეტყველება ნარევია, მეგრულ-ქართულია, რაც ტოპონიმიაშიც ჩანს: სოფელ ხუნწში გეოგრაფიულ ობიექტებს არაიშვიათად ორ-ორი სახელი ეწოდებათ — ქართული და მეგრული, ან მეგრული ფუძე გაფორმებულია ქართული აფიქსებით. თითქმის ასეთივე სიტუაციაა ჩრდილოეთით — ღალიძგის მარცხენა ნაპირის რიგ სოფელში, სადაც, აფხაზთა და მეგრელთა ეთნოგრაფიულ-ტერიტორიულ საზღვარზე, თითქმის ორენოვნებაა. აფხაზური ენიდან შემოსულ ლექსიკურ ერთეულებს შეხვდებით არა მარტო სამურზაყანოელთა (ადსტრატის თუ სუპერსტრატის სახით), არამედ ენგურის მარცხენა მხარეში მცხოვრებ მეგრელთა მეტყველებაშიც (და ტოპონიმიაშიც). კოლხეთის

დაბლობზე, როგორც ცნობილია, სვანებიც ბინადრობდნენ. ამით აიხსნება სვანური ენის ლექსიკური და ტოპონიმიკური სუბსტრატი მეგრულში, განსაკუთრებით, მთისწინეთში მცხოვრებთა მეტყველებაში.

ზანურ ენას მონათესავე ქართველურ ენებთან აერთიანებს ფონეტიკურ-ფონემატური სტრუქტურა, გრამატიკული წყობა და ლექსიკა. განსხვავებანი ძირითადად გამოწვეულია საერთოდ ენებისა და დიალექტებისათვის დამახასიათებელი იმანენტური (შინაგანი განვითარების ტენდენციებით გამოწვეული) პროცესებით, აგრეთვე (ნაწილობრივ) სხვა ენათა გავლენით. საერთოდ, ზანურში თავს იჩენს მოვლენები, რომლებიც: I. საერთო-ქართველურია; 2. დამახასიათებელია გარემომცველი ენებისა და დიალექტებისათვის; 3. სპეციფიკურია ზანურისათვის.

ჭანურში კილოკაური განსხვავებანი როგორც ფონეტიკა-ფონოლოგიის, ისე მორფოლოგიის დონეზე ბევრად უფრო შორსაა წასული, ვინემ მეგრულში. ეს, რა თქმა უნდა, სხვა ენათა უფრო ინტენსიური ზეწოლითაცაა განპირობებული: ჭანურის სამსავე კილოკავს აშკარად ეტყობა თურქულის გავლენა, ხოლო დამატებით, ათინურ კილოკავს — ბერძნულისა, ხოფურ კილოკავს — ქართულისა. მეგრული ასწლეულების მანძილზე განიცდიდა (და დღესაც განიცდის) ქართული სალიტერატურო ენისა და გურულ-იმერული დიალექტების გავლენას, განსაკუთრებით, ფონეტიკასა და ლექსიკაში. ჭანურისაგან განსხვავებით, მეგრულში ნაკლებ შესამჩნევია კილოკაური დაპირისპირება.

ზანურის კილოკავებში თქმებსაც გამოყოფენ: ზუგდიდურ-სამურზაყანოულში ჯვარულ თქმას, სენაკურში — მარტვილურს, ხოფურში — ჩხალთურს, ათინურში — ბულეფურ-არტაშნულს.

ზანურის ფონემატური სტრუქტურა, მორფოლოგიური კატეგორიები და სინტაქსი ძირითადად იმეორებს ქართულისას. განსხვავება გამოწვეულია არქაიზმებითა და ინოვაციებით, სხვა ენათა გავლენით.

2.4. კოლხურის (ზანურის) შესწავლის ისტორიიდან

ზანური ენის მეცნიერული შესწავლის დაწყებას წინ უძღოდა მეგრული თუ ჭანური სიტყვების ჩაწერა-აღნუსხვა უცხოელი თუ ქართველი ლექსიკოგრაფების, მკვლევრებისა და მოგზაურების მიერ. ეს პროცესი იწყება მე-17 ს-ში. არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერასა“ (1654 წ.) და ჟან შარდენის „მოგზაურობაში“ (1672-73 წწ.) თითო-ოროლა შემთხვევით მოხვედრილ მეგრულ სიტყვას იპოვის მკითხველი თუ მკვლევარი. ამავე პერიოდში, კერძოდ, მე-17 ს. 70-80-იან წლებში, თურქ მოგზაურ ევლია ჩელების ჩაუწერია (ძირითადად, არასწორად) რამდენიმე ათეული მეგრული სიტყვა, მათ შორის რიცხვითი სახელებიც. გიულდენშტედტმა, რომელმაც მე-18 ს. 70-იან წლებში იმოგზაურა კავკასიაში, შეადგინა ქართულ, მეგრულ და სვანურ სიტყვათა ერთგვარი შედარებითი ლექსიკონი ლათინური ტრანსკრიფციითა და გერმანული თარგმანით, რაც აგრეთვე არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან.

პირველი ცდა მეგრულისა და ჭანურის გრამატიკული მიმოხილვისა ეკუთვნის გერმანელ მეცნიერ გეორგ როზენს, რომელიც ადგილზე სწავლობდა ამიერკავკასიის ხალხთა ყოფასა და ენებს. მისი ნაშრომი „ლაზთა ენის შესახებ“ გამოვიდა ბერლინში 1845 წელს. „განსაცვიფრებელია, რომ ჭანურისა და მეგრულის გრამატიკა თითქმის მთლიანად ეთანხმება ერთმანეთს და სიტყვებიც მეტწილად იმდენად არ შორდებიან,

რომ ნათესაობა არ იგრძნოს კაცმა", — წერდა როზენი. მარი ბროსემ თავის „ტრანსკავკასიურ მოგზაურობაში" ერთმანეთს შეუდარა რამდენიმე ათეული მეგრული და ქართული სიტყვა. ფაქტიურად, ეს იყო პირველი ცდა ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკისა.

1880 წელს სანქტ-პეტერბურგში ორ ნაწილად (რუსულ ენაზე) გამოვიდა ალ. ცაგარლის „მეგრული ეტიუდები", რომელმაც, ი. ყიფშიძის შეფასებით, შექმნა ეპოქა მეგრულის შესწავლის საქმეში. თვით ი. ყიფშიძე კი 1914 წელს სანქტ-პეტერბურგშივე რუსულ ენაზე გამოცემულ „მეგრული (ივერიული) ენის გრამატიკის" წინასიტყვაობაში წერდა: „წინამდებარე ჩემი ნაშრომი მეგრული ენის გრამატიკის ამომწურავი მიმოხილვის პირველი ცდაა. იგი აღწერითი ხასიათისაა, ისტორიულ-შედარებით ექსკურსებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მე ვერ განვსჯი, რამდენად წარმატებულია ჩემი ცდა"... 1965 წელს დაბეჭდილ „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში" არნ. ჩიქობავა წერს: „ი. ყიფშიძის ვრცელი მონოგრაფია.. დღემდე რჩება მეგრულის სრულ მიმოხილვად".

ჭანურის გრამატიკულ ანალიზს მიეძღვნა ორი ფუნდამენტური ნაშრომი: ნ. მარის „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა" (სანქტ-პეტერბურგი, 1910 წ., რუსულ ენაზე) და არნ. ჩიქობავას „ჭანურის გრამატიკული ანალიზი" (ტფილისი, 1936). 1910 წელს ნ. მარის დავალებით „რუსეთის ლაზისტანში" ჭანურის შესახებ დამატებითი მასალის მოსაპოვებლად გაემგზავრა ი. ყიფშიძე. სანქტ-პეტერბურგში მომდევნო წელსვე გამოვიდა მისი „დამატებითი ცნობები ჭანური ენის შესახებ". ჭანურ-მეგრულისა და ქართულის ლექსიკის ანალიზს მიეძღვნა არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართულის" შედარებითი ლექსიკონი" (თბ., 1938 წ.). ზანური ენის ფონემატური და გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკის ზოგად და კონკრეტულ საკითხებზე გამოკვლევები ეკუთვნით აგრეთვე ვ. თოფურიას, გ. როგავას, ქ. ლომთათიძეს, თ. გამყრელიძეს, გ. მაჭავარიანს, ა. კიზირიას, ტ. გუდავას, ირ. ასათიანს, ალ. ონიანს, გ. კარტოზიას, გ. თოფურიას, ლ. ნადარეიშვილს, ი. ქობალავას, ნ. ქუთელიას, ზ. სარჯველაძეს...

მეგრულ-ჭანური მეტყველების ნიმუშები ჯერ კიდევ არაა სრულად შეკრებილი და გამოცემული. „ჭანური ტექსტები" გამოქვეყნებული აქვთ არნ. ჩიქობავას (1929 წ.), ს. ჟღენტს (1939 წ.), ი. ყიფშიძეს 1939), ... ირ. ასათიანის (1974 წ.), აგრეთვე უცხოელ მკვლევრებს. ჭანური ტექსტები და ლექსიკონი ახლავს ნ. მარის „ჭანური ენის გრამატიკას", მ. ვანლიშისა და ზ. თანდილავას „ლაზეთს" (თბ., 1964) და სხვ. ხოლო მეგრულისა — ი. ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკას". გამოქვეყნებულია აგრეთვე მ. ხუბუასა (1937 წ.) და კ. სამუშიას მიერ ჩაწერილი მეგრული ტექსტები, რ. შეროზიასა და ო. მემიშიშის მიერ შედგენილი „მეგრული და ლაზური ანდაზები", ა. ჩიქვანაიას „მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმანი", პ. ჭარაიასა და გ. ელიავას ლექსიკონები.

ზანური (და სვანურიც) მხოლოდ ენათმეცნიერული ასპექტითაა დამოუკიდებელი ენა, თორემ სოციოლინგვისტური თვალსაზრისით (ეი. ფუნქციონირების სფეროს მიხედვით) ოდენ დიალექტის დონეზე არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი გამოყენების სფერო ვიწროლოკალურია, შემოიფარგლება საოჯახო ყოფითი ურთიერთობითა და ფოლკლორით. ამ სფეროშიც უწინდელი, თუნდაც ამ საუკუნის დამდეგის, ვითარება მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. ლაზეთში ლაზურს ავიწროებს თურქული ენა, ხოლო სამეგრელოში მეგრული მეტყველება თანდათანობით გზას უთმობს ქართულს — ქართველური ეთნოსის საერთო-სახალხო და სალიტერატურო ენას, საქართველოს სახელმწიფო ენას. ორმოცდაათიან წლებში სამეგრელოს სოფლებში უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებს არ (ან ცუდად)

ესმოდათ ქართული, ამჟამად კი ოჯახურ გარემოცვაშიც თავისუფლად (ან თითქმის თავისუფლად) საუბრობენ მასზე, ან მეგრულ მეტყველებას უნებურად ენაცვლება ქართული და პირიქით.

2.5. ლექსიკა და ტოპონიმია

ზანურის ლექსიკაში სამი ფენა გამოიყოფა: ა. საერთო-ქართველური; ბ. საკუთრივ ზანური ; გ. ნასესხობანი ქართველური და არაქართველური ენებიდან.

საერთო-ქართველური ლექსიკა ფუძეენიდან მომდინარეობს, ქართველური ეთნოსის სულიერი და ყოფითი ერთიანობის მაჩვენებელია და, ჩვეულებრივ, რეგულარული ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისების ფორმით ვლინდება. ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩვენებას იძლევიან ლექსემები, რომელნიც აღნიშნავენ: ადამიანსა და ადამიანთა ნათესაურ ურთიერთობებს (კაც-ი : კოჩ-ი, ქმარ-ი : ქომონჯ-ი, ძმა : ჯიმა...). სხეულის ნაწილებს (ყური : ღუჯი-ი, პირ-ი : პიჯ-ი, მხარ-ი : ხუჯი..), ცხოველ-ფრინველთა და მცენარეთა სამყაროს (ძაღლ-ი : ჯოღორ-ი, ქათამ-ი : ქოთომ-ი, წიფელ-ი : წიფურ-ი...); აგრეთვე რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები, ზმნები და სხვ. (ამგვარ შესატყვისთა ვრცელ და სრულ სურათს წარმოგვიდგენს ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“).

საკუთრივ ზანური ფენა შედგება ლექსიკური ინოვაციებისა და სიტყვაწარმოების სპეციფიკური მოდელებისაგან (მაგალითად, თანაბრობის სახელების წარმოება), აგრეთვე თავისებური კომპოზიტებისაგან (პიჯიშ ჩუალა „პირის შენახვა > პიჩვანი „მარხვა“ > ოპიჩური „სამარხვო“, რგუალა „რგვა“ — ორგაშე „ნერგი“ (ზუსტად: „სარგავი“).

ნასესხებ სიტყვათა ძირითადი ფონდი ქართულიდანაა შეთვისებული ორი გზით: ა. სალიტერატურო ქართულის გავლენით, რაც განსაკუთრებით ძლიერი და ინტენსიური იყო მეგრულ დიალექტში: საუკუნეების მანძილზე ქართული ენა იყო და არის ოფიციალური დოკუმენტაციის, მიმოწერისა და საეკლესიო ლიტერატურის ენა. ბ. ცოცხალი სამეტყველო ურთიერთობით მარგინალურ (განაპირა) დიალექტებთან, როგორიცაა: გურული, იმერული, ლეჩხუმური... ქართულიდან ნასესხები სიტყვების მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოსავლური (არაბული, სპარსული, ებრაული, თურქული) ან დასავლური (ბერძნული, იტალიური...) წარმოშობისაა. მაგრამ ზანურში, კერძოდ, მეგრულში სესხების გზით ზოგი ისეთი სიტყვაა შესული, ვთქვათ, არაბულიდან ან ბერძნულიდან, რომელიც არაა დადასტურებული ქართულსა და მის დიალექტებში. მაგალითად, სემემ „თამაშის“ აღმნიშვნელი ერთადერთი ლექსემა მეგრულში არის „ლაყაფი“. იგი უნდა უკავშირდებოდეს არაბულ სამთანხმოვნიან ზმნურ ძირს „ლაყბ“, რომლის მნიშვნელობაა: „თამაში, გართობა, ხუმრობა“ შდრ. ქართ.: ლაყაბი, ლაყბობს. მეგრულშივე გვხვდება სიტყვა „ამანი“. რომელიც უფრო ასეთ გამოთქმებში ფიგურირებს: ამანიშ ღვარაფი „ამანის ღრიალი“, ამანიშ თხუალა „ამანის თხოვნა“. ამ სინტაგმებში „ამანი“ ნიშნავს „დაცვას, პატიებას, შეერდომას, ბოდიშს“. მართლაც, არაბულში ზმნა „ამმანა“ და ამავე ძირის სახელი „ამაანა“ ნიშნავს „დანდობას, უშიშრობას, პატიებას“. მრავალი სიტყვა მეგრულში ალბათ უშუალო კონტაქტის შედეგადაა შესული, მაგალითად, ბერძნული ბორია, ორგია (მეგრულში — ცურვის სახეობა. გაშლილი ხელებით ცურვა. შდრ. ბერძნული ორგია „მანძილი განზე გაშლილი ხელების ბოლოებს შორის“), ქერაზი (ქერაზი მეგრულში ეწოდება რქის სასაპნეს, რომელიც ურმის უკანა ჭალზეა ჩამოკიდებული... ეს სიტყვა ბერძნულში „რქას“ აღნიშნავს)... აფხაზურიდან

ნასესხებ სიტყვათა ორი რიგი უნდა გამოიყოს: ა. ძველისძველი, რომელიც მთელ სამეგრელოშია გავრცელებული (აძმახ „გუბე მთაში“, ახკარა „მწყემსის დროებითი სადგომი“, აფუნი „გაზაფხული“, აბარწა „აივანი“...); ბ. გვიანდელი (აფხაზთა მიერ აბჟუა-სამურზაყანოს დაპყრობის შემდეგდროინდელი) ნასესხობანი, რაც ძირითადად ენგურის მარჯვენა ნაპირის მოსახლეობაშია გავრცელებული (აფსთა „ხეობა“, ახრა „კლდე“, ჭიუხი“...); ლაზურში ქართულ და ბერძნულ ძველისძველ ნასესხობებს ამ უკანასკნელი 4 საუკუნის განმავლობაში უხვად დაემატა თურქული სიტყვები (და რამდენიმე ნაწილაკი, კავშირი).

კოლხეთის ზღვისპირეთში ჯერ ბერძნებს და შემდეგ ბიზანტიელებს პოლისები ჰქონდათ გაშენებული და გარნიზონები ეყენათ. მათ მიერ შერქმეული ან ადგილობრივი ენიდან თარგმნილი გეოგრაფიული სახელწოდებანი წერილობით წყაროებს კი შემორჩა, მაგრამ სახელდებულ ობიექტებს — არა (იშვიათი გამონაკლისები: ბიჭვინთა, კელასური, ხობი, ქუთაისი, უქიმერიონი, შორაპანი).

ზანური სუბსტრატი (ზანთა ბინადრობის ნაკვალევი) უხვადაა გამოვლენილი აჭარულის, გურულისა და ქვემოიმერულის ლექსიკასა, ტოპონიმიასა და მორფოლოგია-სინტაქსშიც კი. ზანური ტოპონიმიკური სუბსტრატის მაგალითებად ასახელებენ გეოგრაფიულ სახელწოდებებს: დიხაშხო, ლაჯანა, ოკრიბა, ოყურეში, ოჯოლა, სუხჩა, ტობახჩა, ტყაჩირი, წყალტუბო, ჭყვიში, ჯაპანა, ჯიხაიში, ჯიხანჯირი და მრავალი სხვ. ახალ-ახალი მასალის გამოვლენა დღემდე გრძელდება (მარადიდი, გადიდი, მაღლაკი, მაღლაკონი, ჭიშურა, ობოდირი, ოღროკა, ოჩამრეთი...)

„ძველად სვანები გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ, ვინემ დღეს ცხოვრობენ“ (ივ. ჯავახიშვილი). აღნიშნული მოსაზრება ენობრივ მონაცემებს ემყარება. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანურენოვანი წარმომავლობის გეოგრაფიული სახელწოდებებისა — ცხუმი, ლანჩხუთი, მუჟავა. ამ სვანურ ტოპონიმიკურ სუბსტრატს კოლხეთში შეიძლება დაემატოს სხვა მასალაც: ღუმურიში (სოფელი გალის რ-ნში. ამოსავალია სვანური სიტყვა ღუმირ „ნაძვი“), ლარა (სოფელი წალენჯიხის რ-ნში. სვანურად ნიშნავს „სათიბს“), ნაკა, ლაღვაშია, ლეკერე (სამივე ქ. ჯვარში. ნაკა სვანურად „ვაკეს“ აღნიშნავს, ლაღვაშია „საჯიხვეს“, ხოლო ლეკერე — „კაკლნარს“), ლაყორია (ეწოდება სამგან ერთნაირ გეოგრაფიულ ობიექტს — ენგურის, ჭანისწყლისა და ტეხურის ხეობათა შესასვლელებს. სვანური ლაყორიაც საკარეს, შესასვლელს აღნიშნავს), მუჰა (სვანურად ტბაა და ტბის სახელია ეგრისის ქედზე), ლაჩახვა, ლეშქერდა, ჭუბიში, ხორგა და სხვ.

სვანურის ლექსიკურ-მორფოლოგიური შეხვედრები მეგრულ (და არა ჭანურ) დიალექტთან, რა თქმა უნდა, იმაზე მიუთითებს, რომ სვანური ეთნიკური ჯგუფის გადანაცვლება ენგურისა და ცხენისწყლის სათავეებისაკენ, აგრეთვე ეგრისის მთისძირებში დარჩენილი სვანი მოსახლეობის ასიმილირება ზანებთან უნდა მომხდარიყო ძველი და ახალი წელთაღრიცხვების საზღვარზე და უფრო გვიან. საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ის გარემოებაც, რომ ბერძნულენოვან წყაროებში მიუთითებენ კოლხეთის ზღვისპირეთში კოლხთა და სვანთა ნარევი ტომის („სვანო-კოლხოი“) არსებობაზე.

ზანური ტოპონიმიკური სუბსტრატი მრავლად მოიპოვება აბჟუაში, ძველისძველ „შუა სოფელში“ (ტერიტორია კოდორსა და ღალიძგას შუა). როგორც ცნობილია, XVII ს. შუა წლებში ოდიშის სამთავროს საზღვარი კოდორზე გადიოდა. იტალიელი მისიონერ არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს რუკაზე“ (1654წ.) სამეგრელო-აფხაზეთის საზღვრად სწორედ მდ. კოდორია აღნიშნული. იგივე ავტორი „სამეგრელოს აღწერაში“

საგანგებოდ აზუსტებს, რომ კოდორს გაღმა „ცხოვრობენ აფხაზები თავისი განსაკუთრებული ენით“. ამავე პერიოდში თურქი მოგზაური ევლია ჩელები აღნიშნავს, რომ ბზიფის აფხაზეთში მეგრულად ლაპარაკობენ. როგორც ცნობილია, მე-17 ს. მეორე ნახევარში აფხაზები სრულად გაბატონდნენ კოდორიდან ენგურამდე, მაგრამ რეგიონის ეთნიკური ათვისება მხოლოდ მდ. ოხურეიმდე შეძლეს. გასული სამსაუკუნენახევრის მანძილზე მრავალი კოლხური ტოპონიმი დაიკარგა, აფხაზურით შეიცვალა ან აფხაზური ტრანსკრიფცია მიიღო. ზოგი ტოპონიმი კიდეც ითარგმნა აფხაზურად სრულად ან ნაწილობრივ. ნაწილობრივი თარგმნის ნიმუშია ვარძი. ესაა ერისწყალი. ამ კომპოზიტის პირველი კომპონენტი გაიაზრეს როგორც „ღვარი“, ხოლო მეორე კომპენენტი „წყარი“ (წყალი) თარგმნეს. კოლხური კომპოზიტური ტოპონიმის სრული თარგმნის ნიმუშია „აფსჰა-იძიხ“. აფხაზური სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, ეს სახელწოდება დადასტურებულია სოფელ აჩიგვარაში და ითარგმნება როგორც „აფხაზ მეფეთა წყარო“. სინამდვილეში ეს არის კოლხური „მაფაწყუს“ თარგმანი. ჭანეთსა და სამეგრელო-სამურზაყანოში რამდენიმე ათეულ წყარო-ნაკადულს ეწოდება მაფაწყუ\მაფაწყარი, რაც უკვე მეტაფორულ ჰიდროგრაფიულ ტერმინადაა ქცეული და აღნიშნავს უხვდებიტიან წყაროს, (ე.წ. ვოკლუზს), გამორჩეულსა და საუცხოოს თავისი სასმელი თვისებებით. საქმე ისაა, რომ ამ კომპოზიტს აფხაზურში არა აქვს ზემოთ აღნიშნული მეტაფორული მნიშვნელობა.

სამურზაყანოს ტერიტორიაზე, მდ. ოხურეისა და ენგურს შუა, აფხაზებმა მხოლოდ რამდენიმე დასახლება შექმნეს, მაგრამ შემდეგ შეერწყნენ ადგილობრივ მოსახლეობას და მეგრული შეითვისეს. ასე რომ, გალის რაიონში შემორჩენილი აფხაზურენოვანი ოიკონიმები (სოფლის სახელწოდებანი) — აგვავერა, აკვარიკვა, აჩიგვარა, პატრახუწა (და ათეულობით მიკროტოპონიმი) აფხაზური სუპერსტრატებია (სუპერსტრატი — მოსული, მაგრამ შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას შერწყმული ხალხის ენის ნაკვალევი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მდ. ლაღიძგის მარცხენა ნაპირას შეინიშნება ადსტრატული მოვლენები, კერძოდ, სრული ბილინგვიზმისთვის დამახასიათებელი ჰიბრიდული მიკროტოპონიმები.

სამეგრელო-სამურზაყანოში 40 ათასზე მეტი დიდი თუ მცირე ობიექტის სახელია აღნუსხული. ტოპონიმთა წარმოება მოდელის თვალსაზრისით ქართულის ანალოგიურია, მაგრამ დასტურდება თავისებურებანიც: სვანური ლე— და ქართული სა- პრეფიქსები ოიკონიმთა მაწარმოებელ სპეციფიკურ ფორმანტებად, ანუ ტოპოფორმანტებად, ქცეულან. თუ გვარს რომელიმე ამ პრეფიქსს დავურთავთ (ზოგი სუფიქსის თანხლებით), მივიღებთ ამ გვარით დასახლებული უბნის, სოფლის სახელს (ლექარდე, ლეშამუგე... საქობალიო, საბულისკერიო...)

არნ. ჩიქობავა წერდა 4 ათეული წლის წინათ: „მთელი თავისი სიმწვავით იბადება აუცილებლობა ყოველი ჭანური სიტყვის, ყოველი ჭანური. ფორმის აღნუსხვისა და ფიქსაციის“. ეს მოთხოვნა დღესაც ძალაშია როგორც ჭანურის (ლაზურის), ისე მეგრულის მიმართაც.

თავი მესამე

«ოქრომრავალი კოლხეთი» (მითი და რეალობა)

3.1. წინარე ისტორიის შესახებ

„თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ცხადყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იასონისა და ამაზე უწინ კი ფრიქსეს ლაშქრობაზე“ -

ასე წერდა ჯერ კიდევ თითქმის ორი ათასი წლის წინ კოლხეთის შესახებ ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი სტრაბონი (ძვ.წ. 64/63 - ახ.წ. 23-24 წწ.). სახელოვან ბერძენ მეცნიერს არგონავტების შესახებ თქმულება ნამდვილ ამბად მიაჩნდა და თავგამოდებით ეპაექრებოდა თავის წინამორბედს, ძვ.წ. II ს-ის ცნობილ ბერძენ ისტორიკოსს და გრამატიკოსს დემეტრიოს სკეპსისელს: „ვფიცავ ზეუსს, რომ ნამდვილად იყო ეს შორეული მოგზაურობა, ისევე როგორც ოდისეუსისა და მენელაოსისა, რომელთა შესახებ ახლაც მიუთითებენ და ირწმუნებიან ჯერ კიდევ ჰომეროსის ნაწარმოებების დროიდან. აიას ხომ მიგვითითებენ ფასისთან, ხოლო აიეტი რომ კოლხეთში მეფობდა, სარწმუნოა! იქაურებში ეს სახელი ადგილობრივია ... რაც იასონს გადახდა თავს, არგოსა და არგონავტებს, ყველანი ერთი აზრისა არიან ამის შესახებ და ნუთუ ჰომეროსმა გამოიგონა ოკეანეში აიეტთან მგზავრობა და არავითარი ისტორიული საფუძველი არსაიდან აუღია?“ (სტრაბონი, I, 2, 39).

ამ, თითქოსდა მწირ ცნობაში, უწინარეს ყოვლისა ისაა საყურადღებო, რომ ძველადვე ოქროს საწმისისათვის არგონავტების ლაშქრობა სარწმუნო ფაქტად მიაჩნდათ, ხოლო ის ქვეყანა, სადაც ბერძენი გმირები სანუკვარი განძის მოსაპოვებლად გაემგზავრნენ, კოლხეთად იწოდებოდა.

ამგვარად, ჩვენს წინაშე დადგა საინტერესო კითხვა: ვინ იყვნენ კოლხები, სად მდებარეობდა მათი ქვეყანა - მთელს ანტიკურ სამყაროში აგრე სახელგანთქმული „კოლხეთი“ (კოლხიდა“), როდის გამოჩნდნენ კოლხები ისტორიულ თუ საერთაშორისო ასპარეზზე, რატომ და როდის დაუკავშირეს ძველმა ბერძნებმა კოლხეთს თავისი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი და პოპულარული თქმულება ოქროს საწმისისათვის არგონავტების ლაშქრობის შესახებ, რომელსაც უკვე იცნობდა გენიალური ჰომეროსი?

ეს საკითხები მჭიდროდ უკავშირდება ქართველი ხალხის ისტორიას საერთოდ, რამდენადაც ძველი კოლხები ქართველი ხალხის ერთ-ერთ ძირეულ შემადგენელ ნაწილს

წარმოადგენდნენ, ხოლო მათი ენა მიეკუთვნება ქართველურ ენათა იმ ჯგუფს, რომელსაც ლინგვისტები უწოდებენ კოლხურს ან ზანურს და ასეთად მიიჩნევენ დღევანდელ მეგრულ-ჭანურსა და ლაზურს, თანამედროვე დასავლეთ საქართველოსა და ნაწილობრივ აგრეთვე დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზეც რომაა მკვიდრად გავრცელებული.

ლინგვისტები უკვე ძვ.წ. IV-III ათასწლეულებისათვის მაინც ვარაუდობენ საერთოქართველურ ფუძე-ენას, რომლის მატარებელ ეთნოსს (ხალხს) ეკავა ე.წ. მცირე კავკასიონის დასავლეთი და ცენტრალური მიწა-წყალი (ამიერკავკასიის ზეგანი). საერთოქართველურ ენას თავდაპირველად სვანური გამოეყო და უკვე ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულიდან სვანურენოვანი მოსახლეობა თანდათანობით გავრცელდა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. სვანურენოვანი მოსახლეობის არსებობის კვალი დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ზღვისპირა ზოლში, რიონ-ენგურის აუზში დასტურდება საკმაოდ მეტყველი ტოპონიმიკური მონაცემებით და აგრეთვე არქეოლოგიური მასალით. კერძოდ, შესაძლოა სვანურენოვანი მოსახლეობის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ხანას განეკუთვნებოდეს ის თავისებური და სპეციფიკური კერამიკა, რომელიც ქობულეთის მახლობლად ისპაანისა და ანაკლიის დიხა-გუძუბას ნამოსახლარების უძველეს ფენებშია წარმოდგენილი.

ქართველთა ეთნიკური განვითარების შემდგომი საფეხური ქართულ-ზანური ერთობის დაშლით აღინიშნა. ამ ერთობას ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან თანდათანობით გამოეყო მეგრულ-ჭანური, რომელიც უნდა ვიფიქროთ საკმაოდ მრავალრიცხოვან და ძლიერ ეთნიკურ მასას წარმოადგენდა. იგი იმთავითვე საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე უნდა გავრცელებულიყო: ერთი მხრივ - ჭოროხის სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და მის მიმდებარე მთაგორიან ზონაში, ხოლო მეორე მხრივ - დღევანდელ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე - კოლხეთის დაბლობსა და ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე.

დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მეგრულ-ჭანური მოსახლეობის დამკვიდრებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, როგორც სამართლიანად ფიქრობენ, იმ ბრწყინვალე და მაღალგანვითარებული ბრინჯაოს კულტურის შექმნა, კოლხური კულტურის სახელით რომაა ცნობილი.

ადრებრინჯაოს ხანაში, ე.ი. ძვ.წ. III ათასწლეულში დასავლეთ საქართველოში ორი კულტურული არეალი გამოიყოფოდა. რიონ-ყვირილის აუზი ამ დროს როგორც მტკვარ-არაქსული კულტურის გავლენის სფეროშია. რიონ-ყვირილის აუზის ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა გვიჩვენებს, რომ რიონ-ყვირილის აუზში ადრებრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე მოსახლეობა მეტწილად მღვიმეებში ცხოვრობდა და აგრძელებდა ენეოლითური კულტურის ტრადიციებს. გვიან ეტაპზე კი ტოვებს გამოქვაბულებს და უმთავრესად ბუნებრივ შემაღლებებსა და გორაკ-ბორცვების ფერდობებზე სახლდება. ამ დროის დასახლების ტიპი, საცხოვრებელ ნაგებობათა სახეობანი და მატერიალური კულტურის ელემენტები (კერამიკა, ლითონის ინვენტარი) ძირითადად მტკვარ-არაქსულია. განსხვავებული კულტურაა წარმოდგენილი ამ დროს დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში და მიმდებარე კოლხეთის დაბლობში, რომლის დიდი ნაწილი წინარე ხანაში ჯერ კიდევ არ იყო სამეურნეო თვალსაზრისით ფართოდ ათვისებული. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე თვალნათლივ შეინიშნება ენეოლითური ეპოქის ადგილობრივი კულტურული ტრადიციების მდგრადობა, განსაკუთრებით ქვის ინდუსტრიასა და კერამიკაში. ადრებრინჯაოს ხანის განვითარებულ ეტაპზე ჩნდება „ხუტორული" ტიპის დასახლებანი, სადაც ფიქსირდება ხის ძელური ნაგებობანი, რომელიც ძვ.წ. III

ათასწლეულიდან გახდება ადგილობრივი არქიტექტურის ძირითადი სახეობა მრავალი საუკუნის მანძილზე. ადრებრინჯაოს ხანის უძველესი ხის ძელური ნაგებობანი (ფაცხის ტიპის) აღმოჩენილია ისპანში, ანაკლიის დიხა-გუძუბაზე, ფიჩორში.

ადრებრინჯაოს ხანის ერთ-ერთ თავისებურ ძეგლს წარმოადგენს დოლმენები, რომელნიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზეა გავრცელებული. დოლმენი წარმოადგენს ვერტიკალურად მდგარი ქვის მონოლითური ფილებით შედგენილ და ზემოდან ასეთივე ფილით გადახურულ ტრაპეციის ფორმის ოთხკუთხა ქვაყუთს. წინა ვერტიკალურ ფილას, როგორც წესი, აქვს მრგვალი ან ოვალური ნახვრეტი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში დოლმენები ძირითადად ზღვისპირა ზოლშია დადასტურებული.

აფხაზეთის დოლმენების წარმოშობის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია და სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც ამ საკითხის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ნაწილი დოლმენების მშენებლობას აზიიდან მოსულ ხალხებს მიაწერს, სხვები ფიქრობენ რომ დოლმენების მშენებლობის იდეა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში საზღვაო გზებით გავრცელდა სირიიდან და პალესტინიდან. გამოჩენილი რუსი არქეოლოგი ბ. პიოტროვსკი სამართლიანად უარყოფს დოლმენური კულტურის კავკასიაში მიგრაციის შესაძლებლობას, ვინაიდან აქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ასახავს კარგად ცნობილ ადგილობრივ სპილენძ-ბრინჯაოს კულტურას. ამავე აზრს ავითარებს აკადემიკოსი ო. ჯაფარიძე, რომელიც ფიქრობს, რომ დოლმენი ამ დროის სამარხთა მხოლოდ ერთ-ერთი სახეობაა, ხოლო იქ აღმოჩენილი ინვენტარი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს საერთოდ ძვ.წ. III ათასწლეულის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთისა და საერთოდ დასავლეთამიერკავკასიური კულტურის ძეგლებთან.

შემდგომი ეტაპია ე.წ. შუა ბრინჯაოს ხანა, რომელიც მოიცავს ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარს. ამ ეტაპის აღმნიშვნელად სამეცნიერო ლიტერატურაში მკვიდრდება სახელწოდება „პროტოკოლხური" პერიოდი. ამ დროს იქმნება თავდაცვითი თხრილებით გარშემოვლებული და ხელოვნურ ბორცვებზე განლაგებული დასახლებანი ხის ძელური ნაგებობებით, წინაურდება ბრინჯაოს მეტალურგია, მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, საფუძველი ეყრება იმ კულტურას, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან იღებს ერთიანი სისტემის ხასიათს და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „კოლხური ბრინჯაოს კულტურის" სახელწოდებით.

3.2. კოლხური ბრინჯაოს კულტურა

კოლხური ბრინჯაოს კულტურა უაღრესად თავისთავადი და უნიკალური სისტემაა, რომლის სახეს განსაზღვრავს ლითონის მრავალფეროვანი საომარი და, განსაკუთრებით, სამეურნეო იარაღი, უაღრესად სპეციფიკური კერამიკა და ჯარგვალური ტიპის არქიტექტურა. კოლხური კულტურის ცალკეული ელემენტები ჩნდება უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედში, ხოლო ამ კულტურის ფორმირების საწყისი ხანა ძვ.წ. XVI-XV სს-დან ივარაუდება.

ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ კოლხურ კულტურას ახასიათებს ლითონის ნაწარმი (მრავალფეროვანი ცულები, თოხები, სეგმენტები, შუბისპირები, სამკაული და სხვ.), რომელთა დიდი ნაწილი განძების სახითაა ჩვენამდე მოღწეული.

ლითონის ნივთების უძველესი განძი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში სოფ. ურეკში (ოზურგეთის რაიონი), ზღვის სანაპიროზე. ურეკის განძი მრავალმხრივაა ჩვენთვის საინტერესო და საყურადღებო, განსაკუთრებით კოლხური ბრინჯაოს კულტურის ისტორიისათვის. განძში აღმოჩნდა ბრინჯაოს 23 ცული, 8 ბარ-თოხი და 2 ე.წ. ბრტყელი საფხეკი.

ურეკის განძის 23 ცულიდან 8 ყუამილიანია. ისინი გენეტიკურად ცნობილი საჩხერული ტიპის ადრებრინჯაოს ხანის ყუამილიან და ყუადაშვებულ ცულებს უკავშირდებიან და არსებითად მათ შემდგომ განვითარებას წარმოადგენენ (ურეკის ცულებისათვის დამახასიათებელია ყუადაქანებულობისა და ყუამილიანობის შერწყმა). ურეკის განძის ცულების უმრავლესობას ქმნის შედარებით ახალი ტიპი, რომელიც, როგორც ჩანს, შუა ბრინჯაოს ხანის გვიან საფეხურზე ფართოდ იყო გავრცელებული. ამ ცულებს ორფერდა ყუა და მილისებური სატარე ხვრელი აქვთ (თავისი მოყვანილობით ისინი მკვლევარებს დღეს ჩვენში ფართოდ გავრცელებულ ქართულ ცულს მოაგონებენ). მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ცულების მესამე სახეობა, რომელიც განძში აღმოჩენილ ბარ-თოხებთან ერთად, ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან მთელ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ახალი ბრწყინვალე კულტურის განმსაზღვრელ ელემენტად იქცა. ეს კულტურა დღეს ფართოდაა ცნობილი კოლხური ბრინჯაოს კულტურის სახელით.

ურეკის განძს მკვლევართა უმრავლესობა ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის დასასრულით, კერძოდ კი დაახლოებით ძვ. წ. XVIII-XVI სს. ათარიღებს. ამ განძში, რომელშიც მეტად თავისებურად აისახა შუაბრინჯაოს ხანის დასასრული, თავი იჩინა ბრინჯაოს კულტურის განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისის მაუწყებელმა იარაღმაც. ესაა ბარ-თოხები და, განსაკუთრებით მანამდე ჩვენთვის უცნობი სახეობა ცულისა, ურეკის განძში ორი ნიმუშით რომ არის წარმოდგენილი. ადრე გავრცელებული ცულებისაგან განსხვავებით, მათ ახასიათებთ ორფერდა ყუა და ოვალური სატარე ხვრელი, ექვსწახნაგოვანი ტანი და მომრგვალებული პირი. მაგრამ ამ ტიპის ცულები მხოლოდ ურეკში როდია ნაპოვნი, არამედ - საქართველოს შავიზღვისპირეთის სხვა პუნქტებშიც (პილენკოვო, გაგრა, ბიჭვინტა, ლიხნი, ერგე, ქობულეთი, სოფ. ჭოროხი, მახო), აგრეთვე ერთი - არზრუმშიც. ყველა ეს ცული მიჩნეულია გვიანი ბრინჯაოს ხანაში კოლხეთში ფართოდ გავრცელებული ცულების წინამორბედად. მათ ახასიათებს ექვსწახნაგოვანი ტანი, ორფერდა ყუა და ოვალური სატარე ხვრელი, გორდა (რამდენადმე ასიმეტრიული) პირი და ამასთანავე ნიღრების ნაირი სიმაღლე. ესაა სწორედ „კოლხური ცული" - გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი და, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო შესანიშნავი კომპონენტი. ძვ.წ. XIV ს-ისათვის უკვე არსებობს კოლხური ცულის ძირითადი ტიპი, რომელიც რამდენიმე საუკუნის მანძილზე (ძვ.წ. XIV-VII სს.) გაივლის განვითარების რთულ გზას და შექმნის რამდენიმე თავისებურ ვარიანტს.

კოლხური ცული მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავი ნიმუშია. თითქმის ათასაუკუნოვანი განვითარების მანძილზე კოლხური ცულის ყველა სახეობა გამოირჩევა ფორმის არაჩვეულებრივი სინატიფითა და იშვიათი პროპორციულობით. ამასთან, იგი ხშირად შემკულია პლასტიკური და გრავირებული მხატვრული სახეებით, რომელთა მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ ძველი სახვითი ხელოვნების ჩასახვა-განვითარებასაც.

კოლხური ბრინჯაოს ცულების შემკობა დეკორაციული ორნამენტით კოლხური კულტურის განვითარების შედარებით გვიან ეტაპს განეკუთვნება: დაახლოებით ძვ.წ. IX-VIII სს. ეს ის ხანაა, როდესაც კოლხეთის მიწა-წყალზე ვითარდება რკინის მეტალურგია, ხოლო მეურნეობაში წამყვანი ხდება რკინის იარაღი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დროისათვის ბრინჯაოს კოლხურმა ცულმა თანდათანობით დაკარგა სამეურნეო და, იქნებ, საომარი დანიშნულებაც და მას მხოლოდ სარიტუალო-საკულტო ფუნქცია შემორჩა. მით უფრო, რომ ცულის კულტი ქართულ ტომებში ჯერ კიდევ შუა ბრინჯაოს ხანაში ივარაუდება, ისევე როგორც მისი სარიტუალო დანიშნულებაც.

კოლხური ბრინჯაოს ცულების ერთი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილი მორთულია გრავირებული სახეებით. საკმაოდ ხშირია, მეტწილად, სარტყლებად განაწილებული გეომეტრიული ორნამენტი: ტეხილხაზოვანი სახეები, ზიგზაგები, ირიბი მოკლე ხაზები,

თევზიფხური ანუ ფართო წიწვიანი ორნამენტი, მოკლე ვერტიკალური ჭდეები, რომბისებური ბადე (ზოგჯერ წვრილი ჭდეული წერტილებით დაფარული), წრეები, ერთი მეორეზე გადაბმული სპირალები, ჯვარი და სვასტიკა და ა.შ. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ იგივე ორნამენტი მეორდება ხოლმე აგრეთვე თანადროულ შუბისპირებზეც და ლითონის სხვა ნივთებზეც.

ამას გარდა, გვხვდება აგრეთვე მზის, მთვარისა და ვარსკვლავების ასტრალურ ნიშნებად მიჩნეული სიმბოლური გამოსახულებანიც. კოლხური კულტურისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ცულის სხვადასხვა ნაწილის მორთვა გრავირებული ცხოველური სახეებით. საკმაოდ ხშირია ძაღლის გამოსახულება, რომელიც, როგორც წესი, მთელი ტანითაა მოცემული პროფილსა და ძლიერ მოძრაობაში. დამახასიათებელია მოქნილი ტანი, მაღალი მორკალური კისერი, დიდი (მეტწილად წვეტიანი) აცქვეტილი ყურები და ფართოდ გაღებული ხახა, მოხრილი ფეხები და პლასტიკურად მოღუნული კუდი. ნიშანდობლივია ზოგჯერ ცხოველის ტანის დაფარვა ჭდეული წერტილებით, ან ირიბი ჭდეებით. ძაღლის ზუსტად ამგვარიეე გამოსახულება გვხვდება კოლხური კულტურის ბრინჯაოს სხვა ნივთებზეც: მაგ. შუბისპირებზე, ან კიდევ მასიურ რგოლებზე, ქინძისთავებსა და პირისსაფარეშო პატარა მაშებზეც კი. რაჭის ერთ-ერთ სოფელში (მექვენა) ნაპოვნია ცული, რომლის ერთ მხარეს გამოსახულ ცხოველს ორი კუდი აქვს, ხოლო მეორეზე სამი. რამდენადმე უფრო სქემატურია მელიის გამოსახულებები, საკმაოდ ხშირია აგრეთვე ცხენის, ირმის, გველის, თევზის და სხვა გამოსახულებები.

კოლხური ბრინჯაოს კულტურის ძეგლებზე ცხოველთა გრავირებული სახეები ოსტატურადაა შერწყმული გეომეტრიულ ორნამენტთან. ამასთან ერთად დამახასიათებელია გამოსახულებისა და მისთვის განკუთვნილი კადრის ურთიერთშეთავსება, რაც ძველი კოლხური გრაფიკული ხელოვნების თავისებურებად და მხატვრულ სტილიზაციის ერთ-ერთ ძირითად სახედაა აღიარებული. მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით, ძველი კოლხური სახვითი ხელოვნება გამოსახულების შესრულების მანერითა და ზოგჯერ შინაარსითაც (განსაკუთრებით ძაღლის გამოსახულება და ორნამენტის ზოგიერთი სახეობა) ძალიან ახლო მსგავსებას ამჟღავნებს ჩრდ. კავკასიის ე.წ. ყობანურ კულტურასთან. ზოგიერთი მკვლევარი კოლხური სახვითი ხელოვნების საწყისებს ყობანურ კულტურაშიც კი ეძიებდა. მაგრამ დღეს უკვე აღიარებულია (ყოველ შემთხვევაში მკვლევართა უმრავლესობის მიერ), რომ ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელი ცული კოლხური ცულის ვარიანტს წარმოადგენს. ამასთან ერთად გრავირებული ცხოველური და გეომეტრიული სახეებით მორთულია ბრინჯაოს ისეთი ნივთები, რომლებიც საერთოდ უცხოა ყობანური კულტურისათვის და პირიქით, ტიპიურია მხოლოდ კოლხურისათვის (მაგ. ცულების ზოგიერთი სახეობა, შუბისპირები).

აღსანიშნავია ის, საოცარი სტილისტური და ტიპოლოგიური ერთიანობაც, რომელიც წარმოდგენილია სულ სხვადასხვა ფორმის და დანიშნულების კოლხურ ბრინჯაოს ნივთებზე (ცულები, სატევრები, შუბისპირები, აბზინდები და ბალთები, მასიური რგოლები, მშვილდსაკინძები, ქინძისთავები და სხვ.). ყველას ამკობს ერთი წესით (გრავირებით) შესრულებული მსგავსი ცხოველური სახეები, თუ საერთო ტიპოლოგიური იერის გეომეტრიული დეკორი.

კოლხური ბრინჯაოს ცული გრავირებულ ორნამენტთან ერთად ხშირად შემკულია ხოლმე ცხოველთა პლასტიკური გამოსახულებებითაც, უპირატესად გვიან ეტაპზე (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ მეოთხედში). ძირითადად გამოყენებულია ორი ხერხი. ერთ შემთხვევაში, ცხოველი (იგი მიჩნეულია ჯიქის გამოსახულებად) მუცლის ქვეშ მოკეცილი ფეხებით შერწყმულია ყუასთან და მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. მეორე შემთხვევაში, ცხოველის ქანდაკება ცულის ყუაზე მთელი ტანითაა აღმართული. გვხვდება ცხენის, ხარისა და ძაღლის გამოსახულებანი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საინტერესოა: ყულანურხვას ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღებულ სამარხში ნაპოვნი ცული, რომელზედაც გამოქანდაკებული პირდაღებული და ყურებდაცქვეტილი ძაღლის

გამოსახულება თითქოს იმეორებს კოლხურ ცულზე ხშირად გამოსახულ ძაღლის სახეს.

მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავი ნიმუშია სოფ. სულორში ნაპოვნი ბრინჯაოს ცული, რომლის ყუა მორთულია სკულპტურული გამოსახულებით: ფრიგიულის მსგავსი მუზარადიანი მხედრები, რომელთაც ხელში კვერთხი უკავიათ, ზურგზე კი მოგდებული აქვთ ისრებიანი კაპარჭი. ეს გამოსახულებანი ღვთაება „დიდი დედის" მხედრებადაა მიჩნეული.

ძველ კოლხურ სახვით ხელოვნებაში გრავირებასთან ერთად გამოყენებულია ფერადი ინკრუსტაციაც. ამ მხრივ დიდმნიშვნელოვანია სოფ. უდეში ნაპოვნი განძის ბრინჯაოს დიდი ზომის აბზინდები, გეომეტრიული და ზოომორფული სახეებით შემკული. ამასთან გამოყენებულია, როგორც გრავირება, ასევე ლითონით (ბაცი ფერის ბრინჯაო, რკინა) და მინისებური ფერადი პასტით ინკრუსტაცია. ამ წესით აბზინდებზე გამოყვანილია ირმებისა და ძაღლების გამოსახულებანი. თავისი იერითა და სტილიზაციის მანერით ისინი თითქმის არ განსხვავდებიან კოლხური კულტურის სხვა ძეგლებზე წარმოდგენილი ანოლოგიური გრავირებული სახეებისაგან.

ცულთან ერთად კოლხურ ბრინჯაოს კულტურის ტიპიურ ელემენტებს წარმოადგენენ წალდი, თოხი და ე.წ. სეგმენტისებური იარაღი. საერთოდ კი გვიანბრინჯაოს ხანის კოლხ მელითონეთა პროდუქცია უაღრესად მრავალრიცხოვანია და მასთან ერთად - მეტად მრავალფეროვანიც: ბრინჯაოს საომარი, სამეურნეო და სარიტუალო დანიშნულების ცულები (ე.წ. კოლხური ცული), რომლებიც მორთულია გრავირებული და პლასტიკური გამოსახულებებით; მრავალფეროვანი სამიწათმოქმედო იარაღები (თოხები, წალდები, ნამგლები, ე.წ. სეგმენტისებური იარაღი და სხვ.), საბრძოლო იარაღ-საჭურველი (საომარი ცულები, მახვილები, სატევრები, შუბის პირები და ისრისპირები), მრავალსახოვანი სამკაული (სამაჯურები, საკინძები, სარტყლები, ბალთები), მაღალმხატვრული ოსტატობით შემკული ადამიანის, ცხოველთა (ირემი, ვერძი, ხარი და სხვ.) თუ ფრინველთა მინიატურული ქანდაკებანი და მრავალი სხვ.

არქეოლოგიური მასალების შესწავლის საფუძველზე სრულიად თვალსაჩინოა ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპი და მაღალი დონე. ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოში ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარება აღინიშნება მთელი რიგი სიახლეებით. მათგან უმთავრესი მაინც მრავალგვაროვანი და შესაბამისად სხვადასხვა თვისებებით აღჭურვილი შენადნობების მიღება და დამუშავება იყო, რაც, თავის მხრივ, მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სამეურნეო და საომარი იარაღების, აგრეთვე მრავალსახოვანი სამკაულის დამზადების ფართო შესაძლებლობას ქმნიდა.

გვიანბრინჯაოს ხანის კოლხური ლითონის ნაწარმის საგანგებო ქიმიურმა და მეტალოგრაფიულმა ანალიზებმა ცხადყვეს, რომ მათი უმრავლესობის ქიმიური შემადგენლობა მრავალი კომპონენტის შემცველია. განსაკუთრებით ხშირად კი, ადრეულ ეტაპზე, დარჩენილიანი, თუმცა მასთან ერთად კალიანი ბრინჯაოცაა გამოყენებული. საგანგებოდაა აღსანიშნავი გვიანბრინჯაოს ხანის ნივთების ტექნოლოგიური თვალსაზრისით ჩატარებული კვლევის შედეგები. დადასტურდა უაღრესად რთული ტექნიკური ხერხების ფართოდ გამოყენება: ქვისა და კერამიკის ყალიბებთან ერთად ლითონის ყალიბებით სარგებლობა, კვერცა (საგანგებო მოწყობილობებში), შედუღება, ტვიფრვა, ჭედვა, დაწურვა. ამ რთულ და მაღალტექნიკურ საფუძველზე ვითარდებოდა ძვ.წ. XV-XI საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ბრინჯაოს კულტურა.

დღეს შეიძლება თამამად ვამტკიცოთ, რომ უკვე ძვ.წ. XV-XIV სს-ისათვის კოლხური ბრინჯაოს კულტურის ყველა ძირითადი ელემენტი კლასიკური სახითაა წარმოდგენილი. გამოყოფენ განვითარების ორ ძირითად ეტაპს: პირველი (ე.წ. გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპი) ძვ.წ. XV-XI სს-ით თარიღდება, მეორე კი - ძვ.წ. XI-VII სს-ით (და მით ნაწილობრივ მოიცავს ადრერკინის ხანას).

ტერიტორიულად კოლხური ბრინჯაოს კულტურის გავრცელების სფეროდ ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის ძირითადად მიჩნეულია დღევანდელი დასავლეთ საქართველო: დიდსა და მცირე კავკასიონს შორის მოქცეული კოლხეთის დაბლობი. ამასთან ამ კულტურის ელემენტები მცირე კავკასიონის სამხრეთით მდებარე ისტორიულ მესხეთსა და ლიხის ქედის აღმოსავლეთით - ისტორიულ შიდა ქართლშიც ვრცელდება, ხოლო ზღვის სანაპირო ზოლში თავს იჩენს დღევანდელი ორდუს (თურქეთის) ტერიტორიაზეც.

დადგენილია, რომ გვანბრინჯაოს ხანაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა კოლხური ბრინჯაოს მეტალურგიის სამი ძირითადი მძლავრი კერა: ჭოროხის აუზი, აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმი. ამას გარდა, ივარაუდება აგრეთვე სხვა ლოკალური კერების არსებობა.

სამთამადნო წარმოების ისტორიისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობისაა კავკასიის სამხრეთ კალთებზე - რაჭაში, სვანეთსა და აფხაზეთში, აგრეთვე მცირე კავკასიონზე - აჭარასა და გურიაში აღმოჩენილი სამთო-მეტალურგიული კერები. დადასტურდა მადნის მოპოვება მიწისქვეშა სართულებიან მაღაროებში ქვის ურიებითა და ბრინჯაოს ზოდებით (ცეცხლისა და წყლის დახმარებით); მოპოვებული მადნის გატანა ხის დაწნული გობებით; მაღაროებში გვირაბების გამაგრება და საევენტილაციო სარქმლების მოწყობა; მადნის გამდიდრება კლდეში ამოკვეთილ ორმოებსა და ხის გობებში. ასე მაგალითად, მდ. რიონისა და მისი შენაკადების (ზოფხითური, ჩვეშური, ლუხური) სათავეებში უკვე მრავლადაა გამოვლენილი და ნაწილობრივ შესწავლილიც ზღვის დონიდან 1300-2000 მ სიმაღლეზე, სპილენძის მადნის ზონებში (ციცაბო კლდეებსა თუ ფერდობებზე) გამართული მღვიმეები. ისინი სხვადასხვა ზომისაა. ზოგიერთი მათგანის სიგრძე თითქმის 15-20 მეტრს უდრის, სიგანე 13-15 მეტრს აღწევს, ხოლო სიმაღლე - საშუალოდ 1,5 მეტრს. ამ მღვიმეებში ნაპოვნია ნახშირის მძლავრი ფენები და აგრეთვე ქვის ურიები. ფიქრობენ, რომ ასეთი ურიებით ხდებოდა მადნის მონგრევა მას შემდეგ, რაც ცეცხლით გახურებულ სპილენძის მადნის დაძარღვულ ქანებს წყლის ნაკადით დახეთქავდნენ. ერთ-ერთ მღვიმეში ნაპოვნია მადნის გამოსატანად განკუთვნილი ხის გობი. აღმოჩენილია გრანიტისაგან გამოკვეთილი დიდი ზომის გობიც, რომელშიც, ალბათ, მადანს ნაყავდნენ ძველი მეტალურგები. მადნის საბადოებთან ახლოს ნაპოვნია ნახშირის ნაშთები და უამრავი რაოდენობის წიდა, აგრეთვე ქვის სხვადასხვა იარაღი - ხელსაფქვავები, როდინები, სახეხები და ლითონის ნაღვენთიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები. ესაა, როგორც ფიქრობენ, ჩვენამდე შემორჩენილი ნაშთები იმ რთული პროცესისა, როდესაც ხდებოდა მადნის გამოწვა (გოგირდის მინარევების მოსაცილებლად) დაფხვნა-გასუფთავება და შემდგომ დაწურვა.

სავსებით აშკარაა, რომ სპილენძით მდიდარ მთაგორიან ადგილებში ხდებოდა ნედლეულის მოპოვება ნახევარფაბრიკატისა და ზოდების სახით, ხოლო ლითონის ნივთების დამზადება კი - სპეციალურ სახელოსნოებში, რომელნიც ბარში იყო განლაგებული და ადგილობრივი მეურნეობის განვითარების ინტერესებს ემსახურებოდა. ამის პირდაპირი მოწმობაა წარმოების ნაშთების აღმოჩენა კოლხეთის დაბლობის უძველეს ნამოსახლარებზე (მაგ., თოხის ჩამისასხმელი ყალიბებისა ანაკლიაში, ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბის ნატეხებისა და ციცხვებისა ნოსირში და სხვ. ფიჩორის ნამოსახლარზე მრავლადაა ნაპოვნი სხვადასხვა იარაღების (ცული, თოხი, და სხვ.) და აგრეთვე კომბინირებული იარაღების ყალიბები და ზოგიერთ მათგანში ჩამოსხმული იარაღიც.

კოლხური ბრინჯაოს კულტურის გენეზისის პრობლემის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კოლხური ცულის უძველესი სახეობანი აღმოჩენილია ისტორიული კოლხეთის ზღვისპირა ზოლში. ასევე თითქმის ერთდროულად გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ლითონის იარაღი (მაგ. I და II ტიპის კოლხური ცულები, აგრეთვე თოხები და სეგმენტები) გვხვდება მთელს დასავლეთ საქართველოში როგორც განძების, ასევე ცალკეული ნივთების სახით. ყველაფერი ეს თითქმის იმის მოწმობაა, რომ კოლხური ბრინჯაოს კულტურის ძირითადი სამშობლო მაინცდამაინც მთიანი ზოლი კი არაა, არამედ მთლიანად დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ბარი, რომელსაც საჭირო ნედლეულით ჭოროხის აუზი და აგრეთვე დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე განლაგებული მადნეულით მდიდარი ოლქები ამარაგებდა.

კოლხური ბრინჯაოს კულტურის ჩამოყალიბება დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იყო ხანგრძლივი და რთული პროცესი, რომელიც, საფიქრებელია, აქ უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე მეოთხედში მაინც დაიწყო და, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაკავშირებულია საერთო ქართული ფუძე-ენის მატარებელი ეთნოსიდან გამოყოფილი ქართულ-ზანური ერთობის დაშლის შედეგად განცალკევებული მეგრულ-ჭანური მოსახლეობის ერთი დიდი მასის კოლხეთის დაბლობზე დამკვიდრებასთან. ამ პროცესს თან მოჰყვა უთუოდ ახალი ტექნიკური და მხატვრული წესების გავრცელებაც.

ლითონის ინვენტარი კოლხური კულტურის ერთადერთი განმსაზღვრელი ელემენტი როდია. ამ კულტურის გენეზისის და მისი შემქმნელი ეთნიკური ერთობის განსასაზღვრად არანაკლებ (და იქნებ უფრო მეტადაც) მნიშვნელოვანია კერამიკა, რომელიც განსაკუთრებით თვალნათლივ უკანასკნელ წლებში იქნა გამოვლენილი და შესწავლილი.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს უკვე აღიარებულია, რომ გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზევე ლითონის ნივთებთან ერთად დღევანდელ დასავლეთ საქართველოს გარკვეულ რეგიონში (არსებითად კოლხეთის დაბლობზე, პირველ რიგში კი რიონის ველსა და მის შენაკადებს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე) ვრცელდება კერამიკის სპეციფიკური სახეობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება წინამორბედი ხანის თიხის ნაწარმისაგან ანაკლიის მახლობლად „დიხა-გუძუბას" სახელით ცნობილ ნამოსახლარის ქვედა ფენაში ("დიხა გუძუბა" I) და ქობულეთის მახლობლად ისპაანის ნამოსახლარზე რომაა დადასტურებული. ამ ახალი ტიპის კერამიკამ პირველად თავი იჩინა ნაოხვამუს (სენაკის მახლობლად) ქვედა ფენებში, ხოლო უკანასკნელ ხანებში კი იგი აღმოჩნდა სხვა პუნქტებშიც. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჭალადიდის „ზურგ", სადაც ჩვენ უკვე რადიოკარბონული მეთოდით მიღებული თარიღები გვაქვს და ნოსირის ნამოსახლარი, სადაც კულტურული ფენების განლაგება და მათი სტრატიფიცირება საშუალებას იძლევა საინტერესო ქრონოლოგიური შკალის აგებისა. ჩვენ არ შევუდგებით ახლა ამ კერამიკის დეტალურ დახასიათებას, რომლის ნიმუშები № 124 სურათზეა წარმოდგენილი. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ესაა უპირატესად შავად გამომწვარი კერამიკა, რომელიც ხასიათდება ფუნქციონალურად და ტიპოლოგიურად საკმაოდ მრავალფეროვანი ფორმებით (თასები, ჯამები, ქოთნები, კოჭობები, ტოლჩები, ქილები, დიდი ზომის დერგისებური ჭურჭელი და სხვ.), მრავალრიცხოვანი ორნამენტითა (ირიბი და მრგვალი ჭდეები, წიწვისებური შტრიხი, ღაროვანი ფესტონები, შევრონები, აგრეთვე რელიეფური კოპები თუ ძუძუსებრი შვერილები და ა.შ.) და მეტად თავისებური ყურებით ("ფრინველის მკერდისებური", „ზოომორფული" და სხვ.).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში თ. მიქელაძის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციის თანახმად ამ ტიპის კერამიკაში განვითარების რამდენიმე საფეხურს გამოყოფენ, რომელთაგან ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით საინტერესოა ე.წ. პროტოკოლხური და ძველი კოლხური I პერიოდით დათარიღებული მასალები, ხოლო თუ ნოსირის მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ და გავიზიარებთ არქეოლოგ ელ. გოგაძის მიერ შემოთავაზებულ აბსოლუტურ თარიღებს, საკმაოდ საინტერესო და მეტყველ სურათს მივიღებთ. ნოსირის ნამოსახლარის სულ ქვედა ფენას (ე.წ. ნოსირი I) ელ. გოგაძე ძვ. წ. XVIII-XVI (ან XIX-XVII სს.) ათარიღებს, რაც კარგად შეესატყვისება კოლხური ბრინჯაოს კულტურის დამახასიათებელი ელემენტების პირველ გამოჩენას, ურეკის განძში რომაა დადასტურებული. კოლხური ბრინჯაოს კულტურის განვითარების ადრეულ ეტაპში კი (XV-XII სს.) ექცევიან ისეთი ნამოსახლარები, როგორიცაა ნოსირი II და III, კეკულურის ზურგა (II ფენა) და ნაჭვის ზურგა (მდ. ტეხურის ხეობაში), ანაკლიის დიხა-გუძუბა III და IV, ნაოხვამუ I და II, ჭალადიდის ზურგა I-III.

ამგვარად, შუაბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე ახალი ტიპის კერამიკის გავრცელება (და როგორც უკვე ვნახეთ, მასთან ერთად ახალი ტიპის ლითონის ინვენტარისაც) დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დაკავშირებული უნდა იყოს აქ მეგრულ-ჭანური მოსახლეობის დამკვიდრებასთან, მაგრამ ახლა გასარკვევია, რა მოყვა შედეგად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მერულ-ჭანური მოსახლეობის დამკვიდრებას? საამისოდ ჯერ უნდა თვალი გავადევნოთ ამ მოსახლეობის თანდათანობით მოძრაობის არეალს. საამისოდ ერთ-ერთ განმსაზღვრელ სპეციფიკურ ნიშნად კერამიკა შეიძლება კერამიკა მივიჩნიოთ. მიუხედავად იმისა, რომ გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ნამოსახლარები ჯერ კიდევ სრულად არაა გამოვლენილი (და ამ თვალსაზრისით გეგმაზომიერი არქეოლოგიური ძიებაც არაა ჯერ წარმართული), უკვე ახლაც კი ისახება საკმაოდ საინტერესო და მეტყველი სურათი: თითქმის ერთდროულად კოლხური გვიანბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე სპეციფიკური კერამიკა (თ. მიქელაძის კლასიფიკაციით ე.წ. პროტოკოლხური და ძველი კოლხური I, ხოლო ელ. გოგაძის მიხედვით ნოსირი II-III-ის ტიპისა) ვრცელდება თითქმის მთლიანად კოლხეთის დაბლობზე. შავი ზღვის სანაპირო ზოლში ჩვენთვის საინტერესო ტიპის კოლხური კერამიკა ფიქსირებულია ჯერჯერობით ისეთ კარგად ცნობილ ნამოსახლარზე, როგორიცაა ქობულეთის „ნამჭედური", ყულევი, ანაკლიის დიხა-გუძუბა, ფიჩორი და სხვ. ხოლო ქვეყნის შიგნით - თითქმის მთლიანად რიონ-ყვირილას აუზში, მდ. რიონის შენაკადების - მდ. ენგურის, თეხერის და აბაშის, აგრეთვე მდ. სუფსის აუზშიც.

უაღრესად დიდმნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ ამ ტერიტორიაზე, მაგრამ კიდევ უფრო მრავალ პუნქტში დადასტურებულია იმავდროული კოლხური ბრინჯაოს კულტურისათვის აგრე სპეციფიკური ლითონის ინვენტარიც (I ტიპის ცულები, თოხები, წალდები, სეგმენტები). ამრიგად, ჩვენს წინაშეა უცილობელი და იმავე დროს დიდმნიშვნელოვანი ფაქტი კოლხეთის დაბლობის მჭიდროდ დასახლებისა და მასთან ერთად მისი სამეურნეო ათვისებისაც. ამ თვალსაზრისით უთუოდ დიდმნიშვნელოვანია გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ზემოდასახელებული ნამოსახლარების შესწავლისას დადგენილი სურათი, ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობას რომ ასახავს.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა მიწათმოქმედების სწრაფი დაწინაურება. ჯერ კიდევ, ადრებრინჯაოს ხანით თარიღდება ფიჩორის ნამოსახლარის მე-8 ფენაში (ძვ.წ. III ათასწლეულის პირველი ნახევარი) აღმოჩენილი ხის კავი - უძველესი სახვნელი იარაღი. მიწათმოქმედების ინტენსიური განვითარება თვალსაჩინოდაა ილუსტრირებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების სიმრავლით. ნამოსახლარების გათხრებისას თითქმის ყველგანაა აღმოჩენილი ქვის ხელსაფქვავები (ნავისებური მოყვანილობის ქვედა ქვით), პურის საცხობად განკუთვნილი ბრტყელი ქვები, კაჟის ნამგლისპირები (ჩასართები). მიწათმოქმედებაში მარცვლეული კულტურების გაშენების დასტურია ენდემური ჯიშის ხორბლის მარცვლების (დიკა და მახა), აგრეთვე ფეტვის ხშირი აღმოჩენები. აღსანიშნავია აგრეთვე ვაზისა და ყურძნის წიპწების პოვნაც. ასევე ნამოსახლარებზე მრავლად აღმოჩენილი დიდი ზომის ქვევრისა და დერგისმაგვარი ჭურჭელი, როგორც ფიქრობენ, შესაძლებელია გამოიყენებოდა არა მარტო სითხის, არამედ მარცვლეულისა და მესაქონლეობის პროდუქტების შესანახადაც. მესაქონლეობის განვითარებაზე ბარის რაიონებში კი მოწმობს ნამოსახლარზე აღმოჩენილი ცხოველთა ძვლები, რომელთა შორის ჭარბობს ტანმორჩილი მსხვილფეხა საქონლის, აგრეთვე შინაური ღორის, თხისა და ცხვრისა.

ბუნებრივია, რომ მიწათმოქმედება ბარში ე.ი. სწორედ კოლხეთის დაბლობზე უნდა განვითარებულიყო და აქ, ვფიქრობ, უდიდესი როლი შეასრულა მდ. რიონმა, რომლის

მნიშვნელობა ძველი კოლხური ცივილიზაციის ისტორიაში ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გამოკვლეულ-შესწავლილი.

მდ. რიონი (ძველად ფასისს რომ უწოდებდნენ ბერძნები) საკმაოდ დიდი და წყალუხვი მდინარეა და არა მხოლოდ კოლხეთის მასშტაბით. მისი საერთო სიგრძე 327 კმ-ია, რომელთაგან 150-ზე მეტი მოდის კოლხეთის დაბლობზე, სადაც რიონს მრავალი დიდი მდინარე მიერთვის, რის შედეგადაც მისი წყალკრების ფართობი ერთისამად იზრდება. ჩვენთვის ამჯერად ისაა საინტერესო, რომ მდ. რიონის წყალი განსაკუთრებით მდიდარია ჰოტით და ფოსფორით. ამ თვალსაზრისით მისი მდ. ნილოსთან შედარებისას დადგინდა, რომ მცენარეთა შესათვისებელი ნივთიერებანი რიონის წყალში გაცილებით მეტი რაოდენობითაა, ვიდრე ეგვიპტის უდიდეს მდინარეში, რომლის სასიცოცხლო მნიშვნელობა მიწათმოქმედების განვითარებისათვის უძველესი დროიდანაა საყოველთაოდ ცნობილი. სპეციალური გამოკვლევებით დადგენილია მდ. რიონის დანატოვარი შლამის განსაკუთრებული გამანაყოიერებელი მნიშვნელობა მარცელეული კულტურებისათვის და მისი ხანგრძლივი დროის მანძილზე ზემოქმედების უნარი. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ ჩვეულებრივ მაღალი ტემპერატურა და ხშირი ნალექები ხელს უწყობენ კოლხეთის დაბლობში მცენარეული საფარის, განსაკუთრებით ტყეების სწრაფად ზრდას, რაც უაღრესად ხელისშემშლელი იყო ძველად მიწათმოქმედების განვითარებისათვის. ამას თან ერთვის კოლხეთის დაბლობის კიდევ ერთი თავისებურება: დაჭაობებული ზედაპირი, ზედმეტი წყალი. ასეთ რთულ პირობებში ხალხურმა გენიამ შეძლო მდ. რიონის გამანაყოფიერებელი შლამის რაციონალურად გამოყენება და დაჭაობებული ტყიანი მასივების სამეურნეო სავარგულებად ქცევა: დაჭაობებული მიწის ზედაპირის რიონის წყლით „მორწყვა", რის შედეგადაც მდინარის ნალექი - შლამი ნესტიან ზედაპირსაც ფარავდა და მით ნათესებისთვის მეტად ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა. ამ წესის გამოყენება მოითხოვდა საგანგებო არხების გათხრას - როგორც მდინარეული წყლის ჭაობიან ნიადაგზე გადასატარებლად, ასევე შლამისაგან დაწმენდილი წყლის ნაკვეთიდან გასაყვანად საგანგებო სადინარების გაკეთებას. ეს უკანასკნელი მდ. რიონის ხშირი ადიდებისა და ნაპირზე გადმოსვლის შემდეგაც იყო აუცილებელი. მაგრამ ეს არ იყო ერთადერთი გზა ჭაობიან ნიადაგთან ბრძოლისა და მის სათეს ფართობად ქცევისათვის, რადგან საჭირო იყო მდინარეების (რიონისა და მისი შენაკადების) კალაპოტებს დაცილებული ფართობების ათვისებაც. ამ მიზნით მიმართავდნენ უკანასკნელ დრომდე ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილ წესს: სათესი ფართობების ირგვლივ სადრენაჟო თხრილების გაკეთებას, აგრეთვე ღრმა ჭების გათხრას ან კიდევ ნიადაგის ხელოვნურ მოზვინვას. ეს წესები დაწვრილებით აქვს აღწერილი აწ განსვენებულ ქართველ ეთნოგრაფს მ. გეგეშიძეს, რომელიც სამართლიანად აღნიშნავს მათ სიძველეს. მართლაც, მდ. რიონისა და აგრეთვე მის შენაკად მდინარეთა აუზებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებისას დადასტურებულია, რომ უძველეს სამოსახლოებს თუ სამოსახლოთა ჯგუფს გარს აკრავს თხრილშემოვლებული სამეურნეო მოედნები, რომლებიც სამოსახლოებთან არხებით არიან დაკავშირებული. რაც უფრო დიდია სამოსახლო, მით უფრო ვრცელია მისი სამეურნეო ფართობი და მით უფრო რთულია მისი არხების ქსელი და საერთოდ საარხო სისტემა.

ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან მაინც კოლხეთის დაბლობი მეურნეობრივად ფართოდაა ათვისებული და საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულიც. ამას მოწმობს, როგორც უკვე არაერთგზის ითქვა, მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა, როგორც გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის ნასახლარების არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი, ასევე არქეოლოგიური დაზვერვებისას უძველეს ნამოსახლარებზე

მოპოვებული ამ ხანის კერამიკული ფრაგმენტები თუ მიწის სამუშაოების დროს აგრე მრავლად აღმოჩენილი ლითონის განძები და ცალკეული ნივთები.

კოლხეთის დაბლობის სამეურნეო ათვისება უთუოდ იყო ხანგრძლივი და რთული პროცესი, რომელიც მოითხოვდა უაღრესად ფართე მასშტაბისა და მოცულობის ძალზე შრომატევად მიწის სამუშაოებს, დაჭაობებული და ნესტიანი ნიადაგის სათეს ფართობებად ქცევასა და ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას რომ ემსახურებოდა. აქ იგულისხმება ტყის მასივების გაკაფვა და ველური მცენარეული საფარისაგან სათესი ფართობის განთავისუფლება, საძრნაჟე არხების გათხრა და ხელოვნური მიწაზვინულების შექმნა, მდინარეული შლამის ხელოვნური თხრილებით წყლის შეყვანა ჭაობიანი ფართობებისათვის და დაწმენდილი წყლის უკან საგანგებო სადინარებით გაყვანა. დაბოლოს ის პროცესები, მარცვლეულის დათესვის, მოვლისა და მოსავლის აღებასთან რომაა დაკავშირებული.

რა პირობებში იყო შესაძლებელი იმ შორეულ ეპოქაში ასეთი კოლოსალური მიწისა და საერთოდ სამეურნეო ხასიათის სამუშაოების ჩატარებაძ ბუნებრივია, პირველ რიგში, მხოლოდ შესაბამისი შრომის იარაღების არსებობისა და მასთან ერთად კოლექტიური შრომის ეფექტურად ორგანიზაციის პირობებში. მართლაც, დღეს ჩვენთ ხელთ უკვე მრავლად არსებული არქეოლოგიური მასალა (სწორედ ძვ.წ. XVI-XII სს-ით დათარიღებული) თვალნათლივ გვიჩვენებს დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო იარაღების არაჩვეულებრივ მრავალფეროვნებას ფუნქციონალური თვალსაზრისით. სწორედ მიწათმოქმედების განვითარებას ემსახურებოდა ლითონის სამეურნეო იარაღი - ყველაზე დამახასიათებელი და განმსაზღვრელი კომპონენტი გვიანბრინჯაოს ხანის დასავლურ-ქართული, ე.ი. კოლხური კულტურისა: ცული და წალდი ტყის გასაკაფავად იყო განკუთვნილი, თოხი და ე.წ. სეგმენტური იარაღები კი ახოს აღების, ნიადაგის მომზადებისა და შემდგომი დამუშავებისათვის იყო აუცილებელი. მაინც საგანგებოდაა აღსანიშნავი თოხების არაჩვეულებრივი სიმრავლე და მრავალფეროვნება, რაც ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ყოფაში მის განსაკუთრებულ როლზე და თოხური მეურნეობის შემდგომ ფართოდ დაწინაურება-განვითარებაზე მიუთითებს. ზოგიერთი მკვლევარი ამ დროისათვის არც პრიმიტიული სახნისის არსებობას გამორიცხავს.

სოციალურ-პოლიტიკური განვითარების რა სტადიაზე იყო და როგორ იყო შესაძლებელი სამიწათმოქმედო მეურნეობით გამოწვეული ისეთი ფართო მასშტაბის მიწის სამუშაოების ეფექტური წარმართვა, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარიძ პირველ რიგში, რა თქმა უნდა, აუცილებელი იყო მიწის სათხრელად და ტყეების გასაკაფავად შესაფერისი სამეურნეო იარაღით უზრუნველყოფა. უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული მაღალი დონე ლითონის (ბრინჯაოს) მეტალურგიისა და მელითონეობის მრავალფეროვანი პროდუქცია (ცული, წალდი, სეგმენტი, თოხი და სხვა იარაღები) სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარების აუცილებლობა განაპირობებდა ხელოსნური წარმოების ფართო მასშტაბებს. ლითონის მოპოვება უთუოდ მადნეულით მდიდარ მთიან რაიონებში ხდებოდა, მაგრამ საკუთრივ ლითონის იარაღების დამზადება კი - უმეტესწილად ბარში, სადაც მსხვილ სამოსახლოებთან ახლოს იყვნენ უთუოდ განლაგებული ლითონდამმუშავებელი სახელოსნოები, რომელნიც მარაგდებოდნენ შედარებით ახლოს განლაგებული მადნეულით მდიდარი ოლქებიდან. ამიტომაც საფიქრებელია, რომ განძების სახით კოლხეთის დაბლობზე აღმოჩენილი ლითონის სამეურნეო იარაღები ძირითადად ადგილობრივ ლითონჩამოსასხმელ სახელოსნოებშია

დამზადებული და უკვე ამ დროს ეს სახელოსნოები ნედლეულს იღებდნენ არა მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სამთამადნო კერებიდან, არამედ აგრეთვე რაჭა-ლეჩხუმის, აფხაზეთისა და სვანეთის სპილენძის მადნეულით მდიდარი ოლქებიდან. თუ ეს დასკვნა სწორია, მაშინ უაღრესად საყურადღებო ფაქტთან გვაქვს საქმე: ლითონის მოპოვებისა და ლითონის სამეურნეო (და აგრეთვე საბრძოლო) იარაღების თუ სხვა ნაკეთობათა ისეთი ფართო მასშტაბები, როგორიც აქ ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდანაა ფიქსირებული და მიმდინარეობს საკმაოდ სწრაფი ტემპითა და აღმავალი გზით, ყოვლად წარმოუდგენელია მადნის მფლობელი და მომპოვებელი მთის მოსახლეობის ბარის სასოფლო-სამეურნეო ოლქებთან რეგულარული საალებ-მიმცემო ურთიერთობათა გარეშე. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი საფუძველი და საკმაოდ მკვიდრი საფუძველიც, რომელიც დიდი და მცირე კავკასიონის სამთამადნო რაიონების და კოლხეთის დაბლობის ბარული მეურნეობის მოსახლეობას ერთიან ეკონომიკურ და, თუ გნებავთ, ერთიან პოლიტიკურ სისტემაში აერთიანებდა, რაც აისახა კიდეც ვრცელ ტერიტორიაზე ერთგვაროვანი მატერიალური კულტურის გავრცელებაში. ეს არ იყო მხოლოდ სტიქიური პროცესი: იგი მოითხოვდა გარკვეულ, მიწათმოქმედების ინტენსიურ განვითარებასა და ზედმეტი პროდუქტის შექმნაზე აქცენტირებული პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნას. ასეთი პოლიტიკური ორგანიზმის შექმნა კი გამოიწვია პირველ რიგში კოლხეთის დაბლობის სამეურნეო ათვისების აუცილებლობამ. ტყის მასივების გაკაფვა და მასთან ერთად ჭაობიანი ადგილების სათეს სავარგულებად ქცევა, მდ. რიონისა და მისი შენაკადების წყლების თავისებურ „სარწყავ" სისტემად გამოყენება, მოითხოვდა მოსახლეობის ფართო მასების გაერთიანებას, როგორც ადგილობრივი მეთემეების, ასევე, ალბათ, ძალდატანებით მიზიდულისა (ტყვეებით). თუ ამას დავუმატებთ ზემოთქმულსაც - სამეურნეო იარაღებისა თუ მათ დასამზადებლად ლითონით მომარაგებას (ე.ი. მთისა და ბარის რეგულარულ ურთიერთობას), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარება კოლხეთის დაბლობზე იყო ის უმთავრესი საფუძველი, თავისებური მასტიმულირებელი ძალა, რომელიც განაპირობებდა პოლიტიკური კონსოლიდაციის რთულ პროცესს. ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან კოლხეთის დაბლობზე მიწათმოქმედების სწრაფად დაწინაურების პროცესში უთუოდ დიდი როლი შეასრულა მდ. რიონმა, როგორც არა მხოლოდ დიდმა სამდინარო არტერიამ, თავისი შენაკადებით რომ უკავშირდებოდა მთელს კოლხეთს და ამით ხელს უწყობდა ერთ მთლიან ორგანიზმად ჩამოყალიბებას, არამედ აგრეთვე როგორც მიწათმოქმედების მაცოცხლებელმა ძალამ. ერთი მხრივ, რიონის წყლის მარცვლეული კულტურების გაშენების გამანაყოფიერებლად გამოყენება, მეორე მხრივ, წყალდიდობისას მის გამანადგურებელ ზემოქმედებასთან ბრძოლა მოითხოვდა ხალხის ფართო მასების კოლექტიურ ორგანიზაციას. ამას არ შეიძლება არ მოჰყოლოდა შედეგად ძირეული სოციალური ძვრები და ცვლილებანი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც უძველეს სამოსახლოთა სტრუქტურაშიც აისახა.

შემჩნეულია, რომ ძველი სამოსახლოები, როგორც წესი, ერთიმეორის გვერდით მდებარე ორი, სამი და მეტი ბორცვისაგან შემდგარი ჯგუფით არიან წარმოდგენილნი და გარკვეული შუალედით ერთი რომელიმე მდინარის გასწვრივ განლაგებულნი. ბორცვების ერთიან კომპლექსში, როგორც წესი, გამოიყოფა უფრო დიდი ზომისა და სიმაღლის, ამასთან ერთი ან ზოგჯერ ორი მზღუდავი ფართო თხრილით გარშემოვლებული ბორცვი, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია. თვალსაჩინო მაგალითია ფიჩორი I. აქ ცენტრალური ბორცვის ირგვლივ ორ რიგად კიდევ 10 სამოსახლო ბორცვია (ე.წ. გუმბა) განლაგებული. თითოეული ბორცვი გარშემორტყმულია

ხელოვნური თავდაცვითი თხრილით და ერთმანეთთან არხებითაა დაკავშირებული. სამოსახლოთა ეს სისტემა, რომელსაც თითქმის 7ჰა ფართობი ეკავა, ხელოვნური თხრილითაა ერთიანად გარშემორტყმული. აღსანიშნავია, აგრეთვე შედარებით კარგად შესწავლილი „ნამჭედურის“ ნამოსახლარი ქობულეთ-ფიჭვნარის მიდამოებში. ესაა მრავალფენიანი ნამოსახლარი, რომელზედაც ფიქსირებულია უწყვეტი ცხოვრება ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან ძვ.წ. II ს-მდე. „ნამჭედურს“ ირგვლივ მდებარე დასახლებათა შორის ცენტრალური და გაბატონებული მდგომარეობა უკავია. ამიტომაც უკვე ძვ. წ. VII-VI სს-დან იგი ქალაქური ტიპის ვრცელი დასახლების აკროპოლისად იქცევა.

ამგვარად, სამოსახლოთა ტოპოგრაფიაში თვალნათლივ იკვეთება თითქოს ერთგვარი განსხვავება ერთიანი კომპლექსის შიგნით, რომელიც გარკვეულ სოციალურსა და, ალბათ, პოლიტიკურ-უფლებრივ დიფერენციაციაზე, დაწინაურებული (ჰეგემონი) გვარის დანარჩენთაგან იზოლაციის ტენდენციაზე მიუთითებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ცენტრალური სამოსახლოს მეთაური - მთელი დასახლების მეთაურია, რომელიც უკვე გარკვეული უფლებებითაცაა აღჭურვილი. მის ხელთაა მთავარი უფლება - მოსახლეობის შეკრება საზოგადოებრივ სამუშაოებზე (პირველ რიგში ისეთისა, კოლექტიურ შრომას რომ მოითხოვს - ჭაობიანი და ტყით დაფარული მასივების სავარგულებად ქცევა, სადრენაჟო არხებისა და თავდაცვითი თხრილების გაკეთება და სხვ.). შესაბამისად მის ხელთაა ზედმეტი პროდუქტის მითვისება და გარკვეული სიმდიდრის დაგროვება. სამწუხაროდ, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის არქეოლოგიურ ძეგლებში ქონებრივი დიფერენციაციის მაუწყებელი მასალა ჯერ არ გაგვაჩნია. მაგრამ უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში არსებული ქონებრივი (და შესაბამისად უფლებრივი) დიფერენციაციის არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ არქეოლოგიური ნივთების თავისებური და საინტერესო სახეობა - განძები, რომელნიც ლითონის სხვადასხვა ნივთებთან ერთად ხშირად შეიცავენ სპილენძის ზოდებსაც. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ „მელითონეთა განძებს“ უწოდებს, მაგრამ უფრო მართებული ჩანს მოსაზრება, რომ სპილენძის ზოდები სიმდიდრის, ქონების დაგროვების მოწმობაცაა და გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციის მანიშნებელიც. არა მხოლოდ სპილენძის ზოდები, არამედ განძის სხვა ნივთებიც (ცული, თოხი, ე.წ. სეგმენტისებური იარაღი და სხვ.) მიუთითებენ სიმდიდრის დაგროვებაზე, რამდენადაც ამ ნივთებს ხშირად წმინდა სამეურნეო ფუნქციასთან ერთად გაცვლითი ექვივალენტის (ე.ი. მერმინდელი შინაარსით - ფულის) დანიშნულებაც ჰქონდათ.

ამრიგად, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მთელს დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აგრე ფართოდ გავრცელებული ლითონის ნივთებისა და ზოდების შემცველი „განძები“ რეალურად არსებული ქონებრივი დიფერენციაციის მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ.

ახლა თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მდ. რიონისა (და საერთოდ) კოლხეთის დაბლობის სამეურნეო ათვისებამ და ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარების აუცილებლობამ შექმნა ძლიერი ფუნდამენტი ახალი ტიპის, ერთ ორგანიზმად გაერთიანებული, საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. ბრწყინვალე კოლხური ბრინჯაოს კულტურა, აგრე თვალსაჩინოდ რომაა წარმოდგენილი დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მაღალგანვითარებული სამიწათმოქმედო საზოგადოების ნაყოფია. ამიტომაც ბრინჯაოს მეტალურგიის (ამ სიტყვის ფართოდ გაგებით - მადნის გამოდნობა, ლითონის ნივთების დამზადება და ა.შ.) განვითარების მასტიმულირებელ ძალად უნდა ვაღიაროთ ბარული ინტენსიური

მიწათმოქმედება, რომელიც ზედმეტი პროდუქტის დაგროვების ფართო შესაძლებლობას ქმნიდა და იყო დასაწყისი ადრეკლასობრივი ურთიერთობებისა, ე.ი. საზელმწიფოებრიობის ადრეული ეტაპის გენეზისისა.

თანამედროვე პალეოსოციოლოგიური კონცეფციის თანახმად, ისეთი პოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებას, სადაც ფიქსირდება ცალკეულ თემებში დაწინაურებული თუ ლოკალური ლიდერები, შედეგად უნდა მოჰყოლოდა წარმოქმნა მათ ზემოთ მდგარი ერთპიროვნული მეთაურისაც. ასეთი პოლიტიკური სტრუქტურის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბება იყო რთული და მრავალმხრივი ფაქტორით გაპირობებული ხანგრძლივი პროცესი. ამ ფაქტორებიდან პირველ რიგისად მიიჩნევენ ოპტიმალურ ეკოლოგიურ გარემოს, საწარმოო ეფექტსა და დემოგრაფიულ ოპტიმუმს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ არქეოლოგიურ მასალებში ყველა ეს ნიშანი თითქოს თვალნათლივაა წარმოდგენილი:

ა) ოპტიმალური ეკოლოგიური გარემო პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტორადაა აღიარებული. ამ თვალსაზრისით სწორედ უაღრესად ხელსაყრელი პირობები იყო კოლხეთის მიწა-წყალზე. მდ. რიონი თავისი გამანაყოფიერებელი წყლის ხელოვნური რეგულაციის გზით ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას უწყობდა ხელს, ხოლო დიდი და მცირე კავკასიონის მთიანი ოლქების სიმდიდრე მადნეულით, განაპირობებდა მეტალურგიის განვითარებას და საზოგადოების უზრუნველყოფას სამეურნეო თუ საომარი იარაღის დასამზადებელი ლითონით. მდიდარი ხე-ტყე საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა მშენებლობის ფართო შესაძლებლობას იძლეოდა (და ამანაც განაპირობა კოლხეთისათვის აგრე ტიპიური ჯარგვალური წესი ხით სახლების შენებისა ძვ.წ. III ათასწლეულიდან რომ დასტურდება და თავი უკანასკნელ დრომდე შემოინახა). მდინარეების ფართო ქსელი კი ცალკეულ ოლქებს შორის კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებასაც წარმოადგენდა.

ბ) საწარმოო ეფექტიც - ეკოლოგიური გარემოთი გაპირობებული - საკმაოდ თვალსაჩინოა ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის კოლხური კულტურის არქეოლოგიურ ძეგლებში წარმოდგენილი. როგორც დავინახეთ, მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და ბრინჯაოს მეტალურგიის მაგალითზე საგნებით აშკარაა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ცალკეულ ოლქებს შორის რეგულარული გაცვლა-გამოცვლა, შრომის კოოპერაცია (როგორც სამიწათმოქმედო სამუშაოებზე, ასევე მეტალურგიაში), სულ მზარდი ტენდენცია ზედმეტი პროდუქტის დაგროვებისა და შესაბამისად მისი საზოგადოების პრივილეგირებული წრეების მიერ მითვისებისა (ქონებრივი და შესაბამისად უფლებრივი დიფერენციაციის იმპულსებზე რომ მიუთითებს და არქეოლოგიურად აისახა სამოსახლოთა ტოპოგრაფიასა და განძების დაგროვებაში).

გ) დემოგრაფიული ოპტიმუმი დასტურდება გვიანბრინჯაოს ადრეული ეტაპის სხვადასხვა ტიპის ძეგლთა (ნამოსახლარები, განძები, ლითონის ცალკეული ნივთები და სხვ.) აღმოჩენებით დასავლეთ საქართველოს მრავალ პუნქტში - ბარში, მთის წინა ზოლსა და მთიანეთში. ამასთან მომდევნო პერიოდში, ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში, მოსახლეობის სიმჭიდროვე კიდევ უფრო თვალსაჩინოა და მოწმობს ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარების შედეგად ზედმეტი პროდუქციის დაგროვების ხარჯზე მოსახლეობის სწრაფი ტემპით გამრავლების ტენდენციას.

ამრიგად, ზემოთ განხილული არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (მისი ფართო გაგებით - დიდსა და მცირე კავკასიონს შორის მოქცეული კოლხეთის დაბლობი) ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში გვევლინება საკმაოდ მაღალდაწინაურებულ ქვეყნად, რომლის სახეს განსაზღვრავს: ა) ერთგვაროვანი

მატერიალური კულტურა (თუმც რიგი ლოკალური თავისებურებებით), რომელიც შეიძლება გარკვეულად პოლიტიკური კონსოლიდაციის შედეგიც იყოს; ბ) ინტენსიური, მარცვლეული კულტურების მოყვანაზე აქცენტირებული მიწათმოქმედება, რომელიც რთულ კოლმატაჟურ და სადრენაჟო მიწის სამუშაოებთან იყო დაკავშირებული და მოითხოვდა მოსახლეობის ფართო მასების კოლექტიური შრომის ორგანიზაციას (პოლიტიკური კონსოლიდაციის ერთ-ერთ არსებით მასტიმულირებელ ძალას); გ) ფრიად დაწინაურებული ბრინჯაოს მეტალურგია და ლითონის წარმოება უაღრესად მრავალფეროვანი პროდუქციით (რომელთა შორის ძირითადია საომარი და სამეურნეო იარაღები) - ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკური ხელისუფლების მძლავრი საფუძველი; დ) მესაქონლეობა, როგორც მთაში, ასევე ბარში; ე) მრავალპროფილიანი ხელოსნური წარმოება, განსაკუთრებით კერამიკული, რომლის პროდუქცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შენახვასა და მოხმარებასთანაა დაკავშირებული; ვ) სრულყოფილად ჩამოყალიბებული ტიპი დასახლებებისა - გეომორფოლოგიური პირობების გათვალისწინებით შესანიშნავად გაჯრებული და ჭაობიანი ნიადაგისაგან ხელოვნურად და საიმედოდ იზოლირებული სისტემა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისა თავისებური ჯარგვალური არქიტექტურით. სამოსახლოთა ტოპოგრაფიაში შეიმჩნევა ჰ ეგემონი თემების დაწინაურებაც.

ამრიგად, არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ჩნდება გარკვეული საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარსა და I ათასწლეულის დასაწყისში გავრცელებული აგრე ერთგვაროვანი ბრინჯაოს კულტურის ანუ კოლხური ბრინჯაოს კულტურის შექმნა, შედეგი იყო გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაციისა - დიდი პოლიტიკური გაერთიანებისა. მის სათავეში შესაძლოა უკვე იდგა თავისებური პოლიტიკური ლიდერი, მეტ-ნაკლებად ერთპიროვნული უფლებებით აღჭურვილი, რომელსაც უკვე ემორჩილებოდნენ ცალკეულ თემებში დაწინაურებული მეთაურები, ბელადები (ლოკალური ლიდერები). ასეთი პოლიტიკური სტრუქტურა თავისი შინაარსით ძალზე უახლოვდება პოლიტიკური ინტეგრაციის წინასახელმწიფოებრივი წყობიდან სახელმწიფოზე გარდამავალი (უფრო სწორად - შუალედურ) ეტაპს. ასეთ პოლიტიკურ სისტემას უწოდებენ „ჩიფდომ"-ს (ინგლისური სიტყვიდან „ჩიიფ", რაც ნიშნავს „ბელადს").

ასეთი მაღალგანვითარებული საზოგადოება ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისათვის სხვაგან შავიზღვისპირეთის არც ერთ რეგიონში არქეოლოგიურად ჯერ დადასტურებული არაა. საინტერესოა, რომ სწორედ ამ ხანას განეკუთვნება კოლხთა პირველი მოხსენება ძველაღმოსავლურ წერილობით წყაროებში. ასე მაგ. ასურეთის მეფე ტიგლათფილესარ I (ძვ.წ. 1115-1077 წწ.) თავის თავს უწოდებს „ნაირის ქვეყნის დამპყრობელს თუმედან დაიაენამდე, /აგრეთვე/ კილხი ქვეყნის დამპყრობელს ვიდრე დიდ ზღვამდე". აკად. გ. მელიქიშვილი „კილხი" სახელს „კოლხს" უკავშირებს, ხოლო „დიდ ზღვას" შავ ზღვასთან აიგივებს. ეს უკანასკნელი ძველ ასურულ წყაროებში იხსენიება აგრეთვე „ზემო ზღვის" სახელწოდებით. ამიტომ ძველ კოლხურ ტომთა ისტორიისათვის დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე „ზემო ზღვისა" და მის „ნაპირას მდებარე ქვეყნების 40 მეფის მოხსენიება ასურეთის მეფის" თუქულთი-ნინურტას წარწერებში (ძვ.წ. 1245-1209 წწ.), რაც სრულიად სამართლიანადაა მიჩნეული ძვ.წ. XIII ს-ში შავიზღვისპირეთში კოლხურ ტომთა დიდი გაერთიანების არსებობის დოკუმენტურ მოწმობად და ძალზე საინტერესოა, რომ ძველი ბერძნული მითოლოგიური ტრადიცია, რომელშიც არგონავტების კოლხეთში ოქროს საწმისისათვის ლაშქრობაა წარმოდგენილი, ბერძენთა პირველ გამოჩენას შავ ზღვაზე სწორედ ძვ.წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარს მიაკუთვნებს.

3.3 თქმულება არგონავტებზე და აია//კოლხეთი

ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში არგონავტების ლაშქრობის შესახებ თქმულება ფართოდ იყო ცნობილი ძველ ბერძნულ მწერლობაში და მას არა ერთი მხატვრული ქმნილება მიეძღვნა. სამწუხაროდ, არგონავტიკის თემაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთაგან უმრავლესობა დღემდე მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი, შედარებით სრულად კი შემონახულია ძვ.წ. VI-V საუკუნეების ლირიკოსი პოეტის პინდარეს IV პითიურ ოდასა და ძვ.წ. III ს-ის ბერძენი მეცნიერისა და პოეტის აპოლონიოს როდოსელის ფართოდ ცნობილ პოემაში „არგონავტიკა". არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის ამბავი ვრცლადაა აღწერილი აგრეთვე ერთ პროზაულ ნაწარმოებში, რომელსაც ჰქვია „ბიბლიოთეკა" და შეცდომით მისი ავტორობა მიეწერებოდა ძვ.წ. II საუკუნის (?) ათენელ მითოგრაფოსს, ისტორიკოსსა და ლექსიკოგრაფ-კომენტატორს აპოლოდორეს. არგონავტიკის შესახებ მეტ-ნაკლებად სრულად შემონახულ ნაწარმოებთაგან უნდა ვახსენოთ აგრეთვე ახ.წ. IV საუკუნეში გალექსილი პოემა „არგონავტიკა", რომლის ავტორობა კარგა ხანს შეცდომით მიეწერებოდა ლეგენდარულ ორფეევს, მაგრამ ახლა ფსევდო-ორფეევსის ან ორფიკული არგონავტიკის სახელითაა ცნობილი.

არგონავტების ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის შესახებ ბერძნული თქმულების მოკლე შინაარსი ასეთია:

ოდესღაც ძველი ელადის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთი ოლქის - ბეოტიის დიდსა და სახელგანთქმულ ქალაქ ორქომენს განაგებდა ქართა მეფის ეოლოსის ძე ათამანტი. ორი შვილი ჰ ყავდა მას: ასული ჰელე და ვაჟი ფრიქსე - ღრუბელთა ქალღმერთის ნეფელეს ნაშიერნი. მაგრამ ათამანტმა შეიყვარა თებეს მეფე კადმოსის ვერაგი ასული ინო და ცოლად შეირთო იგი. სულ მალე ბოროტმა დედინაცვალმა მისთვის აგრე საძულველი ქალის - ათამანტის პირველი მეუღლის შვილების თავიდან მოცილება განიზრახა და საამისოდ საშინელი მზაკვრობა ჩაიდინა: მისი შეგონებით მოხალული ხორბალი დათესეს, რასაც მოუაველიანობა და საშინელი შიმშილი მოჰყვა. მეფე ათამანტმა რჩევისათვის დელფოს მისანთან გააგზავნა თავისი ქვეშევრდომნი. მაგრამ ინოს მიერ მოსყიდულმა ათამანტის შიკრიკებმა მეფეს აუწყეს, რომ თითქოს დელფოს მისანი ყოველისშემძლე ღმერთებისათვის ჰელესა და ფრიქსეს მსხვერპლად შეწირვას მოითხოვდა. სასიკეთილოდ განწირულ შვილებს დედამ ღვთაება ჰერმესის ნაბოძები ოქროსსაწმისიანი გრძნეული მფრინავი ვერძი მოუვლინა. ვერძმა ნეფელეს შვილები ზურგზე შეისვა და შორეული ქვეყნის აია-კოლხეთისაკენ გაეგზავრა. გზად ჰელე ვერძის ზურგიდან გადმოვარდა და ზღვაში ჩავარდა იქ, სადაც ღლეს დარდანელის სრუტეა. შემდეგ ზღვის ამ მონაკვეთს ბერძნებმა „ჰელეს ზღვა" ან „ჰელესპონტი" უწოდეს. ფრიქსე კი ოქროსსაწმისიანმა ვერძმა უვნებლად მიიყვანა საწადელ ქვეყანაში, სადაც ამ დროს მეფობდა გოროზი და ძლიერი მეფე აიეტი - მზის შვილი. აიეტმა შეიერდომა უცხო ქვეყნიდან ლტოლვილი ჭაბუკი, შესაფერისად აღზარდა იგი და მერმე თავის ერთ-ერთ ქალიშვილზე, ქალკიოპეზე დააქორწინა. ოქროსსაწმისიანი ვერძი აიეტმა თავის ღმერთებს შესწირა (სხვა ვერსიით, ვერძი ფრიქსემ ზეუსს შესწირა), ხოლო ტყავი კი დასაცავად მიანდო გველეშაპს, რომელსაც არასოდეს ეძინა ...

მეფე აიეტის საბრძანებელში შენახული ოქროს საწმისის ამბავმა მალე მიაღწია საბერძნეთს ...

ამ დროს თესალიის ქალაქ იოლკოსში მეფობდა პელიასი, რომელმაც ვერაგულად წაართვა ტახტი თავის ძმას ესონს, ხოლო ტახტის კანონიერი მემკვიდრე ესონის ძე იასონი მშობლიური ქალაქიდან გააძევა. მცირეწლოვანი იასონი თესალიის ერთ-ერთ მთაზე პელინზე გადამალეს, სადაც მას ბრძენი კენტავრი ქირონი ზრდიდა.

ოცი წლის რომ გახდა, იასონი მშობლიურ ქალაქ იოლკოსში დაბრუნდა და მეფე პელიასს ძალით მიტაცებული მამისეული სამეფო ტახტის დაბრუნება მოსთხოვა. ვერაგმა პელიასმა სამეფო ტახტის დათმობა არ მოისურვა და ამიტომაც იასონს საზღაურად აიეტის შორეულ ქვეყანაში დაცული ოქროს საწმისის დაბრუნება მოსთხოვა.

ჭაბუკი იასონი მეფე პელიასის უმძიმეს დავალებას არ შეუშინდა და ოქროს საწმისის შორეული

ქვეყნიდან ჩამოტანა იკალა. საამისოდ სამზადისს შეუდგა და პირველ რიგში აიეტის ქვეყანაში გასამგზავრებლად ხომალდის აგება დაიწყო. ეს ხომალდი ხელიონის მთის ძირში შენდებოდა, სწორედ იქ, სადაც თვით იასონი იზრდებოდა. ამ ხომალდს „არგო" უწოდეს, თითქოს იმიტომ, რომ მისი მშენებელი იყო ოქროს საწმისისათვის ლაშქრობის ერთ-ერთი მონაწილე - ქალღმერთ ათენას მსახური არგოსი, რომელსაც თვით ათენა აძლევდა რჩევა-დარიგებას.

იასონმა ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში ლაშქრობის ამბავი მთელს ელადას აუწყა და მასში მონაწილეობა შესთავაზა. მის მოწოდებას თითქოს ორმოცდაათამდე სახელოვანი ვაჟკაცი გამოეხმაურა. თავდაპირველად არგონავტთა შორის იყო ბერძენთა უძლეველი გმირი ჰერაკლეც, რომელსაც ლაშქრობის ხელმძღვანელობაც კი შესთავაზეს, მაგრამ მისივე წინადადებით მეთაურობა იასონს მიანდვეს. ასე რომ, ოქროს საწმისისათვის სალაშქროდ იმ დროს ყველა სახელგანთქმული ბერძენი ვაჟკაცი შეიკრიბა - თითქოს მთელი ელადა დაიძრაო ოქროს საწმისისათვის სალაშქროდ. თუმცა არგონავტების უმრავლესობა თესალიის სახელგანთქმული ქალაქებიდან (ლარისა, ფილავე, ფერე, ალოპე, გირტონი და სხვ.) იყვნენ, მაგრამ მათ შორის ერივნენ აგრეთვე გმირები ათენიდან, სპარტიდან, პილოსიდან, არგოლიდიდან, ეტოლიიდან, ფოკეედან, მესენიიდან, სამოსიდან, მილეტიდან და საბერძნეთის სხვა ოლქებიდან და ქალაქებიდან.

იოლკოსიდან სწრაფმავალი არგოთი გამგზავრებული არგონავტები კუნძულ ლემნოსზე შეჩერდებიან და იქაურ ქალებს გაუმიჯნურდებიან (არგონავტების წინამძღოლი იასონი კი დედოფალ ჰიპსიპილეს). აქედან გამგზავრებულებს კი გზად მრავალი ხიფათიც გადახდებათ (დაიღუპებიან მესაჭე ტიფისი და იდმონი, ჩამოცილდებათ ჰერაკლე, დაკარგული მეგობრის ჰილასის საძებნელად რომ გაეშურება) და მრავალ გმირობასაც ჩაიდენენ: გაანთავისუფლებენ უსინათლო მეფე ფინეუსს მტაცებელი ფრინველებისაგან - ჰარპიებისაგან (საკვებს რომ უმოწყალოდ ართმევდნენ უმწეო მოხუცს); შეებრძოლებიან სპილენძისფრთებიან არსებებს - სტიმფალიდებს და სხვ. არგონავტებმა დიდი ვაი-ვაგლახით გასცურეს პირქუში „მოხეტიალე" კლდეები, შავი ზღვისაკენ მიმავალ სრუტესთან რომ იყვნენ აღმართულნი და რომელთა გადალახვა მანამდე ვერცერთმა მოკვდავმა ვერ შეძლო.

სრუტეების გაცურვის შემდეგ არგონავტები ჩაუვლიან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს და იქ მოსახლე ამორძალებს, აგრეთვე სხვადასხვა ტომებს, რომელთა შორის არიან ხალიბებიც - რკინის დამუშავებით სახელგანთქმულნი .... და ბოლოს არგონავტები მიაღწევენ მდ. ფასისის შესართავს, შეაცურებენ თავიანთ ხომალდს მდინარის ფართო კალაპოტში, მიადგებიან აიეტის მთავარ ქალაქს - კუტაიას. ვერ შებედავენ ბერძენი გმირები დიდ ჭალაში მუხის ხეზე ჩამოკიდებული ოქროს საწმისის მოდარაჯე გველეშაპთან შებრძოლებას. ამიტომაც ეახლებიან მეფე აიეტს და სთხოვენ ოქროს საწმისს, სანაცვლოდ კი უცხო მტრებთან ბრძოლაში დახმარებას ჰპირდებიან. მაგრამ მეფე აიეტი, რომელსაც ოქროს საწმისის დათმობა არ სურს, იასონს სთავაზობს სულ სხვა პირობის შესრულებას: არესის ველზე გაშვებული სპილენძისჩლიქებიანი და ცეცხლისმფრქეველი ხარების დამორჩილებას, მიწის მოხვნას, გველეშაპის კბილების დათესვას და ნათესიდან ამოსული იარაღსამზადი დევგმირების დამარცხებას.

არ ძალუძდა ბერძენ გმირთა წინამძღოლს კოლხთა მეფე აიეტის პირობის შესრულება ... მაგრამ იასონი შეუყვარდება კოლხთა მეფის ასულს, სახემშვენიერ გრძნეულ მედეას და ის დაეხმარება ოქროს საწმისისათვის მოსულ ბერძენს. მედეა იასონს ჯადოსნური წამლებით აღჭურავს, ურჩხულის კბილებიდან აღმოცენებული გოლიათების დახოცვის საშუალებასაც ასწავლის და იასონიც ასე, მხოლოდ მედეას შემწეობით შეძლებს მეფე აიეტის პირობის შესრულებას. მედეამ საშინელი ურჩხულიც მიაძინა. ბერძნებმა მოიტაცეს უკვე დაუცველი ოქროს საწმისი და თავის სამშობლოს მიაშურეს. მათ თან გაჰყვა მედეაც, რომელსაც იასონმა ცოლად შერთვა აღუთქვა ... ზღვაში არგონავტებს, ოქროს საწმისის მზაკვრობით გამტაცებლებს, დაეწია კოლხთა მეფის აიეტის მიერ წარგზავნილი კოლხთა ლაშქარი უფლისწულ აფსირტეს მეთაურობით, მაგრამ მას ვერაგულად მოკლავენ ... მრავალი ხეტიალისა და თავგადასავლის შემდეგ არგონავტები სამშობლოში ბრუნდებიან. ისევე და ისევ მედეას შემწეობით შეძლებს იასონი იოლკოსში სამეფო ტახტის დაბრუნებას ... მაგრამ გაივლის ხანი. იასონი უღალატებს მედეას და სხვა ქალს შეირთავს. აქედან იწყება მედეას ახალი ტრაგიკული თავგადასავლები. მედეას ცხოვრება ელადაში უკვე სხვა თემაა და იგი სცილდება არგონავტიკის უმთავრეს სიუჟეტს - ბერძენთა ლაშქრობას ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში.

ძველბერძნულ ყველა ნაწარმოებში, რომელიც არგონავტიკის თემაზეა შექმნილი (ხოლო ჩვენამდე ცალკეული ფრაგმენტებისა თუ სრული სახითაა მოღწეული), ჩვენ ვხედავთ არგონავტიკის ძირითადი სიუჟეტების ერთიანობას და ერთსახოვნებას, მათ

კონსერვატიულობას. არგონავტიკის ჩვენამდე მოღწეულ ყველა ვერსიაში (როგორც სულ ადრინდელში, ასევე შედარებით გვიანდელშიც) ყოველთვის, როგორც წესი, ჩვენს წინაშეა: ა) ერთი და იგივე მთავარი მოქმედი პირნი - იოლკოსის გამგებელი პელიასი, არგონავტების წიანმძღოლი იასონი, კოლხების მეფე აიეტი და მისი ასული მედეა; ბ) ლაშქრობის მიზანი - ოქროს საწმისი (გრძნეული ვერძისა, ფრიქსე რომ ჩამოაფრიანა კოლხეთში), რომელსაც გველი (გველეშაპი) იცავს; გ) ქვეყანა, სადაც ინახება ოქროს საწმისი, იწოდება აია-დ ან კოლხეთად და მისკენ მიმავალ გზაზე უამრავი ხიფათი და წინაღობაა, რომელთა შორისაა პლანქტები (ან კიანეები თუ სიმპლეგადები) - „მოძრავი კლდეები"; დ) არგონავტები არიან გმირების უფროსი თაობის წარმომადგენლები - ტროის ომის მონაწილეთა მამები, ხოლო ლაშქრობა ოქროს საწმისისათვის განხორციელდა ტროის ომის წინ.

როდის შეიქმნა არგონავტების შესახებ თქმულება და არის თუ არა იგი რაიმე რეალური მოვლენების ანარეკლად აი ის ურთულესი საკითხები, რომელიც დგება ისტორიკოსის წინაშე ადრეული არგონავტიკის შესწავლისას.

არგონავტიკის სიუჟეტები გვხვდება უკვე ძველი ბერძნული ეპოსის ყველაზე ადრეულ ნაწარმოებებში - ჰომეროსის პოემებში: „ილიადა", რომელიც დაახლოებით ძვ.წ. 750 წელს უნდა იყოს შექმნილი (ან, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, ძვ.წ. 730 და 710 წწ-ს შორის) იხსენიებს იასონს (არგონავტების წინამძღოლს), ჰიპსიპილეს (კუნძულ ლემნოსის გამგებელს - დედოფალს) და მათ ვაჟს ევნეოსს („ილიადა", 467-468). ეს უკანასკნელი იხსენიება აგრეთვე ლიკაონის (აქილევსის მიერ დატყვევებულის) ამბებთან დაკავშირებითაც („ილიადა", XXI, 34-46; XXIII, 746-747). ამრიგად, ჩანს, რომ არგონავტიკის ერთ-ერთი სიუჟეტი და მისი განუყოფელი ნაწილი - ოქროს საწმისის მოსაპოვებლად აიეტის ქვეყანაში სალაშქროდ მიმავალი არგონავტების ყოფნა კუნძულ ლემნოსზე უკვე არსებობდა იმ დროისათვის, როდესაც იქმნებოდა „ილიადა", რომლის ავტორს, როგორც დადგენილია სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, არაერთგზის გამოუყენებია ზოგიერთი სხვა უძველესი თქმულებებიც.

„ილიადაში" (თუმც ე.წ. „ხომალდთა კატალოგის" ნაწილში, რომლის „ილიადასადმი" პირვანდელი კუთვნილება სადისკუსიოა) იხსენიება აგრეთვე „კარგად ნაგები იოლკოსი" (ქალაქი, საიდანაც დაიწყო არგონავტების მოგზაურობა), მეფე პელიასი (იასონი რომ გააგზავნა ოქროს საწმისისათვის), არგონავტი ადმეტე. ამასთან ჩანს, რომ „ილიადაში" აღწერილი მოვლენებისას იოლკოსის გამგებელია პელიასის შვილიშვილი (მისი ასულის ალკესტიდასა და ადმეტეს ნაშიერი) ევმელოსი („ილიადა", II, 711-715).

„ილიადაში" არგონავტიკის პერსონაჟთა მოხსენიება სრულიადაც არ უნდა იყოს შემთხვევითი: ცნობილია, რომ „ილიადის" ავტორი თავისი გმირებისა თუ მათ წინამორბედთა საქმეების აღწერისას ფართოდ იყენებდა „ისტორიულ ფონს".

მეორე პოემაში - „ოდისეა", რომელიც აგრეთვე ჰომეროსს მიეწერება, მაგრამ, როგორც ფიქრობენ, „ილიადაზე" უფრო გვიან - ძვ.წ. VII ს-ის დასაწყისშია შექმნილი, იხსენიება არგონავტების შესახებ თქმულების თითქმის ყველა მთავარი პერსონაჟი: არგონავტების წინამძღოლი იასონი („ოდისეა", XII, 72) და მისი მამა ესონი, ძმები (ფერეტი და ამითაონი) და ბიძაც კი - კრეთეესი, ასევე მეფე პელიასი („ოდისეა", XI, 256-259).

„ოდისეაში" ორგზის იხსენიება მეფე აიეტი (X, 137; XII, 70) და მისი და - გრძნეული კირკე (IX, 31; X, 136): „ორივე იშვა მოკვდავთმანათობელი ჰელიოსისა და დედა პერსესაგან, რომელიც ოკეანემ წარმოქმნა" („ოდესეა", X, 138-139). „ოდესეაში" იხსენიება „მოხეტიალე კლდეებიც" - პლანქტები (XII, 61) და, რაც განსაკუთრებითაა მნიშვნელოვანი, - „ყველასთვის სანუკვარი არგო", ხოლო მასთან კონტექსტში არგონავტების მთავარი

გმირობა - პლანქტების გაცურვა (XII, 59-72). აღსანიშნავია ისიც, რომ „ოდისეაში“ (I, 259) ჩვენ გვხვდება აგრეთვე „ილოსი, მერმეროსის ძე“. ეს უკანასკნელი კი იყო იასონისა და მედეას ვაჟი, რასაც იუწყებიან პავსანია „ნავპაქტიკაზე“ მითითებით (პავსანია, „ელადის აღწერა“, II, 3, 6) და ფსევდო-აპოლოდორე („ბიბლიოთეკა“, I, IX, 28/3/).

არგონავტიკის სიუჟეტები წარმოდგენილია ჰესიოდეს - ძვ.წ. VIII ს-ის დასასრულისა თუ VII ს-ის დასაწყისის ავტორის თხზულებებშიც. „თეოგონია“-ში (956-962, 992-1002) იხსენიებიან მეფე აიეტი და მისი ასული „კოჭლამაზი მედეა“, რომელიც „მალი ხომალდით“ მოიყვანა იოლკოსში იასონმა, „როცა შეასრულა მეფე პელიასის უმძიმესი დავალებანი“. ჰესიოდესთან ეხვდებით ჩვენ პირველად მედეასა და იასონის ძეს მედიოსს („თეოგონია“, 1000-1001), რომელსაც იხსენიებს ძვ.წ. VIII-VII სს-ის ბერძენი ავტორი კინეთონიც (ფრ.2 - პავსანია, „ელადის აღწერა“, II, 3, 9). ასევე ჰესიოდესთან („თეოგონია“, 340) იხსენიება პირველად მდინარე ფასისი - ძველი კოლხეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სახელგანთქმული და უდიდესი მდინარე. გვიანდელ ავტორებთან შემონახული ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ ჰესიოდეს (ისევე როგორც ძვ.წ. VIII ს-ის სხვა ბერძენი ავტორის - ფერიკიდე ლეროსელის) თხზულებებში ყოფილა სიუჟეტები უძველესი თქმულებიდან ორქომენის მეფის ძე ფრიქსეზე, რომელიც ოქროსსაწმისიანი ვერძით გაემგზავრა მეფე აიეტთან. „ქალთა კატალოგში“ იყო, როგორც ჩანს, არგონავტიკის სხვა სიუჟეტებიც (აგრე ხშირად რომ გვხვდება გვიანდელ ვერსიებში, კერძოდ კი აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში“): მეფე ფინეესი, ჰარპიები, ბორეიდები და სხვ.

გვიანდელ ავტორებთან შემონახული ფრაგმენტებიდან სრულიად უცილობლად ჩანს, რომ არგონავტების შესახებ თქმულება თუ მისი ცალკეული სიუჟეტები წარმოდგენილი იყო აგრეთვე ძვ.წ. VIII-VII სს-ის მთელ რიგ ბერძნულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ასე. მაგ., ფრაგმენტებიდან, რომელიც დაცულია პავსანიასთან („ელადის აღწერა“, II, 3, 10) და აგრეთვე მთელი რიგი ბერძენი ავტორების თხზულებათა სქოლიონებში, ირკვევა, რომ უკვე, ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში, უნდა შექმნილიყო არგონავტიკის ე.წ. კორინთული ვერსია, რაც ევმელოს კორინთელს მიეწერება და ნაკარნახევი იყო ქალაქ კორინთოს მისწრაფებით ჩართულიყო ე.წ. გმირული ეპოქის დიდი მოვლენების ორბიტაში. ჩვენთვის ამჟამად ისაა მნიშვნელოვანი, რომ ევმელოს კორინთელის თხზულებაში წარმოდგენილი იყვნენ მეფე აიეტი - „ჰელიოსისა და ანტიოპეს ვაჟი“ (ე.ი. ჰომეროსისა და ჰესიოდესაგან განსხვავებული ვერსია აიეტის გენეალოგიისა), მისი ასული მედეა (კორინთოში გამეფებული), იასონის მიერ აიეტის პირობის შესრულების სიუჟეტი, და ბოლოს - პირველმოხსენიება კოლხეთისა.

არგონავტების შესახებ თქმულება წარმოდგენილი იყო აგრეთვე ე.წ. ნავპაქტიკურ ეპოსში, რომლის ავტორის შესახებ, ისევე როგორც ძველ დროში, ახლაც აზრთა სხვადასხვაობაა. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მის შემქმნელად ითვლება გენეალოგიური პოეზიის წარმომადგენელი - ადგილობრივი პოეტი კარკინოსი, რომელიც ქ. ნავპაქტოსში გამართულ პოეტურ ფესტივალებში მონაწილეობდა. ვარაუდობენ, რომ „ნავპაქტიკა“ ჰ ესიოდეს გავლენითაა შექმნილი და ალბათ მისივე მოღვაწეობის ახლო ხანებში. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ (III, 523; IV, 86-87) სქოლიონებში შემონახული ფრაგმენტებიდან ირკვევა, რომ „ნავპაქტიკა“-ში დაწვრილებით იყო გადმოცემული სიუჟეტი ოქროს საწმისის გატაცებისა, რომელიც ამ ვერსიის თანახმად აიეტის სასახლეში ინახებოდა.

არგონავტიკის ცალკეული სიუჟეტები, როგორც ჩანს, წარმოდგენილი იყო აგრეთვე ე.წ. კიკლიკური ეპოსის ნაწარმოებებში, რომლებიც ტროის ომსა და თებეს ეძღვნებოდა. მათი შექმნის თარიღი ნათელი არაა: ვარაუდობენ, რომ კიკლიკური ეპოსის ძირითადი ნაწილი ძვ.წ. VIII-VII სს-შია შექმნილი.

ძვ.წ. VII-VI სს-დან არგონავტიკის თემა ფართოდ იკავებს ადგილს ბერძნულ საგუნდო ლირიკაში, კერძოდ, მიმნერმეს („ნანო“, ფრ. 11), სიმონიდე კეოსელის (ფრ. 31/48/) და

პინდარეს (IV პითიური ოდა) თხზულებებში. ძვ.წ. VII ს-დან არგონავტიკის სიუჟეტები წარმოდგენილია სახვით ხელოვნებაში.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ: უკვე ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში, როდესაც იქმნებოდა პირველი ბერძნული ლიტერატურული წერილობითი თხზულებანი, სწორედ მაშინ ხდებოდა არგონავტების შესახებ თქმულების ლიტერატურული დამუშავებაც და შესაძლოა მისი წერილობითი ფიქსაციაც.

ლემნოსის სიუჟეტის მოხსენიება „ილიადაში" უნდა მოწმობდეს (ყოველ შემთხვევაში - არაპირდაპირ მაინც) იმას, რომ არგონავტების შესახებ თქმულების ძირითადი ბირთვი უკვე არსებობდა ძვ.წ. VIII ს-ის შუა ხანებისათვის და საკმაოდ ბუნებრივია, რომ ხომალდ არგოს შორეული მოგზაურობა იხსენიება „ოდისეაში" (იქნებ უკვე ფორმულის ფორმითაც, თუმც გვხვდება მხოლოდ ერთხელ - „ოდისეა", XII, 70: „ყველასათვის სანუკვარი არგო ["Αργω πασια Μέλουσα"]). არგოს მოხსენიება „ოდისეაში" ნიშანდობლივია: „ოდისეა" უძველესი ეპიკური ნაწარმოებია, რომელიც საზღვაო მოგზაურობასა და მასთან დაკავშირებულ ფათერაკებს ეძღვნებოდა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფოლკლორული არგონავტიკა უდევს საფუძვლად „ოდისეის" მთავარი გმირის - ოდისევსის ზღვაში მოგზაურობის ისეთ სიუჟეტებს, როგორიცაა სკილა და ქარიბდისი, სირინოზები, დედოფალი კირკე, პლანქტები, ლესტრიგონები და სხვ.

თუ ერთიან ჩარჩოში მოვაქცევთ ყველა ჩვენს ხელთ არსებულ მონაცემს, შეიძლება ითქვას: ზეპირსიტყვიერი ბერძნული ეპოსი (ჰეგზამეტრული?) უკვე არსებობდა ჯერ კიდევ „ილიადას" შექმნამდე, შესაძლოა ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ბერძნულ გეომეტრიულ კერამიკულ ფერწერაში გაჩნდებოდა ე.წ. ფიგურული სტილი, რომლის პირველ წარმომადგენლად ჯერჯერობით (ახალ აღმოჩენებამდე) ითვლება ე.წ. დიპილონის ოსტატი (დაახლოებით ძვ.წ. 770 წ.). ძვ.წ. VIII ს-ის შუა ხანებიდან საკმაოდ თვალსაჩინოდ ფიქსირდება გმირების თაყვანისცემა („გმირების კულტი") - სრულდება მსხვერპლის შესწირვა იმ სამარხებზე, რომელნიც მიკენური ეპოქის ეპიკური გმირების სამუდამო განსასვენებლადაა მიჩნეული, რასაც ჰომეროსისეული პოემების გავლენის შედეგად მიიჩნევენ.

რა ისტორიული ფაქტი შეიძლებოდა ასახულიყო არგონავტების შესახებ მითში?

მითი, როგორც ისტორიული რეალობის ამსახველი წყარო, უაღრესად რთულია და სპეციფიკური. მისი ისტორიულ წყაროდ გამოყენება ყოველთვის უდიდეს სიძნელეებთანაა დაკავშირებული და ამიტომაც მოითხოვს იგი სრულიად განსაკუთრებულ სიფრთხილეს. მითის ისტორიული ინტერპრეტაცია იმითაცაა გართულებული, რომ იგი კოლექტიური შემოქმედების ნაყოფია და არა ინდივიდუალური, ამასთან იგი თაობიდან თაობებს გადაეცემა ზეპირსიტყვიერად და ჩვენამდე უმეტესწილად გვიანდელი დანამატებით და პოეტურად გაჯერებული ვერსიებითაა მოღწეული.

რამდენადაც ჩვენამდე მოღწეული წერილობითი ლიტერატურული ძეგლებიდან, თქმულება არგონავტების შესახებ პირველად ჰომეროსის პოემებშია ფიქსირებული, სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა ცხოველი სხვადასხვაობაა ჰომეროსის მიერ აღწერილი მოვლენების დროისა და რეალურობის შესახებ. მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ „ილიადასა" და „ოდისეას" საფუძვლად დაედო მიკენური (ანუ აქეური) ეპოქიდან მომდინარე ზეპირსიტყვიერი პოეტური ტრადიცია. აღიარებულია, რომ ძველი ელადის ჰეროიკულ თქმულებებში წარმოდგენილი ზოგიერთი ელემენტი სრულიად აშკარად მიკენური ეპოქის რემინისენციას წარმოადგენს.

ჰომეროსის მიერ აღწერილ ტროას ომს მეცნიერთა უმრავლესობა ისტორიულ ფაქტად მიიჩნევს და მას ძვ.წ. XIII ს-ის 30-იანი წლების ახლო ხანით ათარიღებს. შესაბამისად,

არგონავტთა ლაშქრობა ოქროს საწმისისათვის კი მის წინ ერთი თაობით ადრე მაინც უნდა განხორციელებულიყო.

არგონავტიკის უძველესი ვერსიების თანახმად, ქვეყანას, სადაც ინახებოდა ოქროს საწმისი იმ გრძნეული ვერძისა, რომელმაც ფრიქსე იქ საბერძნეთიდან ჩამოიყვანა, ერქვა აია.

სახელწოდება აია ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ ტექსტებში პირველად მხოლოდ ძვ.წ. VII-VI სს-ის ლირიკოსი პოეტის მიმნერმეს თხზულებაში „ნანო" (ფრაგ. 11) იხსენიება. მაგრამ უეჭველია, რომ ეს სახელწოდება იმთავითვე ფიგურირებდა არგონავტთა შესახებ თქმულების უძველეს ვერსიებში. აკი უკვე „ოდისეა" იხსენიებს მეფე აიეტს, რაც, როგორც ქვემოთ დავიმოწმებთ, თვით ძველ ბერძენთა განმარტებით, ნიშნავს „აიას მკვიდრს." აია ბერძნულ მწერლობაში ჩვეულებრივ გვხვდება როგორც მთელი ქვეყნის სახელწოდება, ე.ი. კოლხეთის სინონიმი (იხ. მაგ., ჰეროდოტე, I, 2; VII, 193, 197); აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა", თუმც ზოგიერთი გვიანდელი ავტორი ან კომენტატორი აიას იხსენიებს როგორც ქალაქს. მე არ შევუდგები ახლა აიას ლოკალიზაციის შესახებ გამოთქმული ყველა მოსაზრების გადმოცემას, ვერ დავეთანხმები ზოგიერთი მკვლევარის თვალსაზრისს, რომ თითქოს არგონავტების შესახებ თქმულების უძველეს ვერსიებში აია ე.ი. აიეტის საბრძანებლო ჯერ კიდევ არ იყო დაკავშირებული კოლხეთთან და გაიაზრებოდა როგორც რაღაც იდუმალი ქვეყანა ოკეანეს ნაპირზე, სადღაც სამყაროს სულ უკიდურეს ნაწილში მოქცეული. ამის საფუძვლად ჩვეულებრივ მიაჩნიათ მიმნერმეს ცნობა: „აიეტის ქალაქი. აქ მალი ჰელიოსის სხივები ძევს ოქროს დარბაზში, ოკეანეს სანაპიროზე, სადაც წარემართა ღვთაებრივი იასონი." შესაბამისად რადგანაც აია და აიეტის ქალაქი ოკეანეს სანაპიროზეა, მას საერთო არაფერი ჰქონდათ შავ ზღვასთან. ასეთი მტკიცების ავტორები რატომღაც ივიწყებენ დიდი ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის - სტრაბონის განმარტებას, გამოთქმულს კამათში დემეტრიოს სკეპსისელთან, რომელიც ასევე მიმნემეს ცნობის საფუძველზე აიას „უკიდურეს აღმოსავლეთში" ათავსებდა. სტრაბონის თქმით: „უბრალოდ მაშინდელ პონტოს ზღვას (ე.ი. შავ ზღვას - ო.ლ.) ოკეანედ ღებულობდნენ, ხოლო მასზე მცურავნი ისევე დაშორებულად მიაჩნდათ, როგორც სტელების (ე.ი. გიბრალტარის სრუტის - ო.ლ.) ბევრად უფრო იქით გამგზავრებულები. მითუმეტეს, რომ ჩვენ დროსაც პონტოს ზღვა უდიდესად ითვლება ..."

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ „ოდისეაში" ვხვდებით არგონავტიკის მთავარ მოქმედ პირს მეფე აიეტს. ეს სახელი კი თვით ძველ ბერძენთა განმარტებით ნიშნავს აიას მკვიდრს. სტეფანე ბიზანტიელი: „აია: მისგანაა „აიეტეს", როგორც „ჯხიკ" - „ჯხიატეს", ისე „აია" - „აიატეს" და „აიეტეს". მეორე მხრივ, მიმნერმეს ცნობიდანაც (ფრ. 11: „თვით იასონიც ვერასდროს წამოიღებდა დიად საწმისს აიადან ... აიეტის ქალაქი ... ოკეანეს სანაპიროზე ... სადაც წარემართა ღვთაებრივი იასონი", კარგად ჩანს აიასა და აიეტის სამყოფელის იდენტურობა. ასევეა ეს პინდარეს IV პითიური ოდის სქოლიონში შემონახულ ცნობაში (რომლის ავტორობა ძვ.წ. V ს-ის მწერალს ფერეკიდეს მიეწერება): იასონი გაემგზავრა „აიაში ოქროს საწმისის მოსატანად აიეტისაგან". აქედანაც აშკარად ჩანს აიეტის სამეფოსა და აიას იდენტურობა. საინტერესოა (და მნიშვნელოვანიც) სტრაბონის ცნობაც: „სახელი აიეტი ხშირად გვხვდება კოლხეთის მცხოვრებთა შორის" (სტრაბონი, „გეოგრაფია", XI, 2, 31). მართლაც, ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათიას ცნობებიდან ირკვევა, რომ VI ს-ში კოლხეთში (რომელსაც მაშინ ლაზიკა ეწოდებოდა) ცნობილი იყო ადგილობრივი დიდკაცი სახელად აიეტი (აგათია, იუსტ., III, 8-11). ძველ ბერძნულ საისტორიო და მხატვრულ ლიტერატურაში აია იმთავითვე კოლხეთთან იყო

გაიგივებული, რაც ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ჰეროდოტესთანაა წარმოჩენილი: [„არგონავტები“], „გრძელი ხომალდით მიადგნენ აია-კოლხიდას“ (I, 2), ან „როდესაც საწმისისათვის აია-კოლხიდისაკენ გაემგზავრნენ“ (VII, 198), „კიტისორე მოვიდა აია-კოლხიდიდან“ (VII, 197). ამრიგად, აქ აია და კოლხიდა წარმოდგენილია როგორც სინონიმები. ზუსტად ასევეა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაშიც“ (II, 417): „აია-კოლხიდა ხომ ზღვისა და მიწის დასალიერში მდებარეობს“.

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ: ორი სინონიმური ტოპონიმი (აია და კოლხეთი) შეიძლება ასახავდეს ორ განსხვავებულ ქრონოლოგიურ დონეს, რომელთაგან აია უფრო ძველია, იქნებ ზეპირსიტყვიერი ტრადიციით შემოსულიც.

აია, სადაც არგონავტები გაემგზავრნენ, როგორც ჩანს, იმთავითვე აღმოსავლეთში, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე წარმოიდგინებოდა. ამას თვალნათლივ მოწმობს არგონავტიკის უძველესსავე ვერსიაში წარმოდგენილი ლემნოსის სიუჟეტი, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, უკვე „ილიადაშია“ დამოწმებული. ქ. იოლკოსიდან გამგზავრებული არგონავტები კი კუნძულ ლემნოსზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეჩერდებოდნენ, თუ მათი გეზი შავი ზღვის სანაპიროებისაკენ ივარაუდებოდა.

არგონავტებს რომ იმ ქვეყნამდე მიეღწიათ, სადაც ოქროს საწმისი ინახებოდა, მრავალი წინაღობა უნდა გადაელახათ, რომელთაგან უმთავრესი მაინც „მოხეტიალე კლდეები“ იყო. სწორედ ისინი უკეტავდნენ ხომალდებს გადაულახავ გზას აიეტის ქვეყნისაკენ. „მოხეტიალე კლდეები“, „ოდისეაში“ პლანქტებად წოდებულნი (სხვა ავტორებთან კი სიმპლეგადებად ან კიანეებად) კი ბოსფორის სრუტესთანაა ლოკალიზებული.

ვფიქრობ, რომ არგონავტების შესახებ მითის აგრე პოპულარობას აქვს ერთი, ძალზე არსებითი ასპექტი: არგონავტები იასონის ხელმძღვანელობით არიან შავი ზღვის სანაპიროებისაკენ გზის ხომალდებით პირველგამკვლევნი! გავიხსენოთ, რომ ფრიქსემ აიეტის ქვეყნამდე გზა მფრინავი(!) ვერძით გაიკვლია და მაშინაც, მსხვერპლის საფასურად: სრუტეებზე გადაფრენისას ვერძიდან ჩამოვარდა და ზღვაში დაიღუპა მისი და ჰელე (ამის გამო ბერძნებმა მარმარილოს ზღვას „ჰელესპონტი - ჰელეს ზღვა“ შეარქვეს).

ჯერ კიდევ გენიალური ჰომეროსი თავისი „ოდისეის“ XII სიმღერის 59-72-ე ტაეპებში, სადაც აღწერილია პლანქტები ანუ „მოხეტიალე კლდეები“, შავი ზღვის მისადგომებთან (ე.ი. თანამედროვე ბოსფორის სრუტეში) რომ ყოფილან თითქოს აღმართული, წერდა: „იქ დაკიდული კლდეებია, რომელთაც ხმაურით ეხეთქება შავთვალა ამფიტრიტეს დიდი ტალღა. ნეტარი ღმერთები მათ „მოხეტიალე კლდეებს“ (პლანქტებს) ეძახიან. მათ ვერ გაუფრენს ახლოს ფრთოსანი, ვერც მხდალი მტრედები, რომელთაც მამა ზევსისათვის ამბროსია მიაქვთ. ადამიანთა არც ერთი ხომალდი, რომელიც კი იქ მისულა, არ გადარჩენილა: ზღვის მძვინვარება და ცეცხლის ბობოქარი ალი ერთად ფიცრებსაც და ვაჟკაცთ გვამებს მოაქანავებს. მხოლოდ ერთმა საზღვაო ხომალდმა, ყველასათვის სანუკვარმა „არგომ“, აიეტისაგან მომავალმა გასცურა პლანქტებში“ (XII, 59-72).

ჰომეროსის შემდგომაც ბერძნულმა სამყარომ არგონავტების მიერ პლანქტების (ე.ი. დარდანელ-ბოსფორის სრუტეების) ხომალდით გავლა აღიარა სიმბოლოდ ნაოსნობის დასაწყისისა შავ ზღვაზე, რომელიც მანამდე: სტრაბონის თქმით, იწოდებოდა „არასტუმართმოყვარე ზღვად“ (VII, 3, 6); შდრ. პინდარე, პით. IV, 203. აპოლონიოს როდოსელი კი შენიშნავდა: „პირქუშმა კლდეებმა, კვლავ რომ დაშორდნენ ერთი მეორეს, ძირი გაიდგეს და სამარადისოდ შეჩერდნენ. ნეტარმა ღმერთებმა ოდესღაც გადაწყვიტეს, რომ თუკი ვინმე ამ კლდეებს იხილავდა და გადასცურავდა, ისინი უმოძრაო კლდეებად უნდა ქცეულიყვნენ“ (II, 602-606). კიდევ უფრო თვალსაჩინოდ არგონავტთა დამსახურება წარმოსახა ბერძნული საგუნდო ლირიკის უდიდესმა წარმომადგენელმა პინდარემ (ძვ.წ. V ს.): „ნახევრად ღმერთების (არგონავტების - ო.ლ.) ამ ლაშქრობამ შემაჯახებელ კლდეთა მოძრაობას საზღვარი დაუდო“ (პით., IV, 210-213). შავი ზღვის სანაპიროებისაკენ

ცურვას კი ბერძენთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ჯერ კიდევ აქეურ (მიკენურ) პერიოდში (ე.ი. ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში), როდესაც მოეწყო ლაშქრობა ტროასათვის, რომელიც შავი ზღვის მისადგომებთან იყო განლაგებული. შემდეგ კი, ეს განსაკუთრებით თვალნათლივ გამოიკვეთა ძვ.წ. VIII-VII სს-ში, როდესაც იწყება ძველ ბერძენთა დიდი საკოლონიზაციო მოძრაობა, ე.ი. ბერძენთა განსახლება და ახალი აგრარული და სავაჭრო ქალაქების დაარსება შავიზღვისპირეთში. ამიტომაც მიიჩნია ბერძენმა ხალხმა იმთავითვე არგონავტები თავის სათაყვანებელ გმირებად, თითქმის ღმერთებს გაუტოლა ისინი (პინდარემ ხომ „ნახევრად ღმერთები" უწოდა მათ) და საუკუნეების მანძილზე ჯეროვან პატივს მიაგებდა მათ გმირობას ახალი საზღვაო გზების გაკვალვასა და ახალი ქვეყნების აღმოჩენაში რომ გამოიხატა.

ამიტომაც შემოინახა „ისტორიულმა მეხსიერებამ" პირველი, დღემდე ჩვენთვის ცნობილი სახელწოდება ხომალდისა, რომელმაც შორეული მოგზაურობა განახორციელა - „ყველასთვის სანუკვარი არგო" („ოდისეა", XII, 70).

როდის უნდა მომხდარიყო ბერძენთა პირველი წარმატებული ცურვა ხომალდით შავი ზღვის სანაპიროებისაკენ? ძველბერძნული ტრადიციის თანახმად, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, არგონავტები იყვნენ ტროას ომის მონაწილეთა მამები, ხოლო ოქროს საწმისისათვის აიეტის ქვეყანაში ლაშქრობა განხორციელდა ტროას ომის წინ. სწორედ ამის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ არგონავტების ლაშქრობა (ე.ი. შავი ზღვის სრუტეების პირველი გაცურვა) განხორციელდა მიკენურ ეპოქაში ე.ი. ძვ.წ. XIV-XIII საუკუნეებში. სამწუხაროდ, პირდაპირი მონაცემი ამ იდეის დასადასტურებლად ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო და უფრო მრავლდება ახალი არქეოლოგიური მასალები მიკენური სავაჭრო აქტივობის შესახებ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში (თითქმის შავი ზღვის მისადგომებამდე - მათ შორის ტროაშიც), ჯერ კიდევ არ გვაქვს ხელთ რეალური და უეჭველი მონაცემები მიკენელთა შავი ზღვის სანაპიროზე გამოჩენის შესახებ. მიკენური კერამიკის აღმოჩენა მაშატში (დღევანდელ თურქეთში, სამსუნიდან 40 კმ-ის დაცილებით) უთუოდ ძალზე დიდი მნიშვნელობისაა, მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ გამოდგება მიკენელთა მიერ შავი ზღვის სრუტეების გაცურვის მოწმობად.

მეორეს მხრივ, თუ თქმულების უძველეს ვერსიას გამოვაცლით მის ძირითად მოტივს, ე.ი. არგონავტების მიერ შავი ზღვის სრუტეების პირველ გაცურვას, სწორედ მიკენურ ეპოქაში, თქმულება არგონავტების შესახებ მაშინვე დაკარგავს მთელ თავის დედააზრს, ძვ.წ. VIII საუკუნეში და მის შემდგომ კი შავი ზღვის სრუტეების გადაცურვა უკვე ჩვეულებრივი იყო. კიდევ მეტი! ამ დროს არამც თუ პირველი მოგზაურობანი არაა მოულოდნელი, არამედ ბერძნული ქალაქები და სამოსახლოებიც (ე.წ. ბერძნული კოლონიები) კია დაარსებული მარმარილოს ზღვის სანაპიროებსა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზეც. ასე რომ, ძვ.წ. VIII საუკუნეში შავი ზღვის სრუტეების გაცურვა და შავი ზღვის სანაპიროების მიღწევა ვერ ჩაითვლება დიდ გმირობად, რომელიც ისეთი დიდი ძალის მხატვრული ეპიკური ნაწარმოების შექმნას გამოიწვევდა, როგორც არგონავტების ოქროს საწმისისათვის მოგზაურობაა აიეტის ქვეყანაში.

სწორი იქნება შემოვიფარგლოთ შემდეგი ვარაუდით: არგონავტების შესახებ თქმულებათა უძველეს ციკლში უნდა ასახულიყო ბერძენ-აქაველთა პირველი მოგზაურობანი შავი ზღვის სანაპიროებისაკენ მიკენურ ხანაში, რაც იქნებოდა ჭეშმარიტად უდიდესი მოვლენა იმდროინდელ სამყაროში. მაგრამ მაშინ (ე.ი. მიკენურ ეპოქაში) ბერძენთა მოგზაურობებს და საერთოდ ბერძნულ-კოლხურ კონტაქტებს არ უნდა ჰქონოდათ რეგულარული ხასიათი. არსებითად ეს იქნებოდა მხოლოდ შემთხვევითი და მეკობრული მოგზაურობანი მამაცი ზღვაოსნებისა, რომელთა მსგავსი აღწერილი აქვთ

ბერძენ ავტორებს - თუკიდიდეს და სტრაბონს. ეს პირველი მოგზაურობანი შეწყდა ძვ.წ. XII ს-ში, როცა განადგურდა მიკენური ცივილიზაცია. მაგრამ აქაველ ზღვაოსნებს უთუოდ გარკვეული როლი უნდა შეესრულებინათ შავი ზღვის სანაპიროებისაკენ მიმავალი გზების გაკვალვასა და ათვისებაში, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ბერძნულ სამყაროში პირველი ცნობების გაჩენა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომებისა და ქვეყნების შესახებ. არგონავტების გმირობის შესახებ თქმულებანი გადაეცემოდა თაობიდან თაობას. მათი განდიდება კი ახალი ძალით იფეთქებს ძვ.წ. VIII-VII სს-დან, როდესაც დაიწყება ბერძენთა მთელს ხემელთაშუაზღვისპირეთსა და შავიზღვისპირეთში ფართოდ განსახლების პროცესი, რომელსაც „დიდ ბერძნულ კოლონიზაციას" უწოდებენ.

3.4. კოლხეთი და მისი კულტურა ძვ.წ. VII-IV სს-ში

ძველკოლხურ ტომთა პირველი დიდი პოლიტიკური გაერთიანება (ასურული წყაროების „კილხი", რომელსაც უთუოდ უშუალო კონტაქტები ჰქონდა ძველაღმოსავლურ ცივილიზაციებთან, თანდათანობით ძლიერდება და იქცევა მძლავრ სახელმწიფოდ, რომლის ძალაუფლება ვრცელდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ვრცელ ტერიტორიაზე. ამ სახელმწიფოებრივ ერთეულს ძვ.წ. VIII ს-ის ურარტული წყაროები უწოდებენ კულხას ან კოლხას და მოგვითხრობენ მის ბრძოლებზე მეზობელი ურარტუსა და დიაუხის სამეფოებთან.

კოლხას ძლიერების ხანად ძვ.წ. VIII საუკუნეა მიჩნეული, როდესაც მან შესძლო დიაუხის სამეფოს განადგურება და მისი ტერიტორიების შემოერთება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სწორედ ძვ.წ. VIII ს-ში ძველ ბერძნულ ლიტერატურაშიც პირველად ჩნდება ეთნიკურ-პოლიტიკური სახელწოდება „კოლხიდა", რომელსაც არგონავტების მითის კონტექსტში იხსენიებს ეპიკოსი პოეტი ევმელოს კორინთელი, ხოლო კოლხეთის მდინარე ფასისს მსოფლიოს უდიდეს მდინარეთა შორის ასახელებს ძვ.წ. VIII-VII სს-ის ბერძენი მწერალი ჰესიოდე („თეოგონია", 337-340) და იქნებ არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ძვ.წ. VIII-VII სს-ის ბერძნულ ლიტერატურაში თქმულებანი არგონავტების კოლხეთში ოქროს საწმისისათვის გალაშქრების შესახებ აგრეა პოპულარული და სწორედ ამ დროს ძვ.წ. VIII სს-ში ბერძნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის კონტაქტები თითქოს არქეოლოგიურ მასალებშიცაა ასახული.

ძველი კოლხეთის მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაში უთუოდ მნიშვნელოვან როლსა და ერთგვარ მასტიმულირებელ ფაქტორს წარმოადგენდა უშუალო მეზობლობა და უძველესი დროიდან მომდინარე კონტაქტები ძველაღმოსავლურ სამყაროს სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებებთან, რომელთაც ჰ ქონდათ განვითარებული ეკონომიკა და უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია.

ამავე დროს, სწორედ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში, დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იწყება რკინის ფართო ათვისება, რაც უდიდეს როლს შეასრულებს ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურსა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ეს აისახება აგრეთვე მძლავრ დემოგრაფიულ აფეთქებაში, რაც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი არქეოლოგიურ მონაპოვარში: თითქმის ყველგან დასავლეთ საქართველოში - ზღვისპირა ზოლში, კოლხეთის დაბლობსა თუ მთიანეთში ყველგან მრავლადაა აღმოჩენილი ძვ.წ. VIII-VII სს-სა და შემდგომი ხანის ნამოსახლარები, სამაროვნები, „მელითონეთა განძები", რკინის წარმოების ნაშთები.

სამწუხაროდ ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით კოლხური სახელმწიფოს (ურარტულ წყაროებში მოხსენიებული „კოლხას“) სოციალური ბუნების, პოლიტიკური ორგანიზაციის, საზოგადოებრივ ურთიერთობათა და საერთოდ მისი ისტორიის შესახებ. მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ ურარტული წყაროები, რომელთაც შემოგვინახეს საინტერესო ცნობები ურარტუს მეფის სარდურ II კოლხას წინააღმდეგ ძვ.წ. 750-748 წწ. და 744-742 წწ. ლაშქრობის შესახებ. წყაროები იხსენიებენ კოლხას ქალაქებს (მათ შორის „სამეფო ქალაქს“ ილდამუსას) და ცალკეული ოლქების მმართველთა ციხე-სიმაგრეებს. ეს კი პირდაპირი მოწმობაა იმისა, რომ კოლხას სახელმწიფოში არსებობდა სამეფო ადმინისტრაცია და მეფის მოხელეთა ინსტიტუტი. ამიტომაცაა მიჩნეული, რომ უკვე, ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. VIII ს-ის პირველ ნახევარში მაინც კოლხა წარმოადგენდა ძველაღმოსავლური ტიპის სახელმწიფოს, მმართველობის საკმაოდ განვითარებული სისტემით. მასთან ერთად ივარაუდება, რომ კოლხას შემადგენლობაში შედიოდნენ ისეთი ოლქებიც, რომელთა მოსახლეობა ჯერ კიდევ პირველყოფილი გვაროვნული წყობის პირობებში ცხოვრობდა.

სარდური II-ის შემდგომ ურარტული (და საერთო ძველაღმოსავლური) წყაროები აღარაფერს იუწყებიან კოლხას შესახებ. აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, ძვ.წ. VIII ს-ის 20-იან წლებში კოლხას სამეფო გაანადგურეს კიმერიულმა ტომებმა, რომელნიც ძვ.წ. VIII-VII სს-ში თავს ესხმოდნენ ურარტუსა და ფრიგიას, პაფლაგონიას, ლიდიას, მცირე აზიის იონურ სანაპიროს და შემდეგ დასახლდნენ მცირე აზიის ჩრდილოეთ სანაპიროზე სინოპეს მახლობლად. უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ შემთხვევაში, თუ მართლაც იყო კიმერიელთა შემოსევები, ისინი შეეხო უმთავრესად სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს ე.ი. კოლხას სამეფოს სამხრეთ ოლქებს.

აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, კოლხას განადგურებისა და მის შემდეგ კიმერიელთა თითქმის გამუდმებული თავდასხმების შედეგად, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლხას მოსახლეობა ნაწილობრივ ამოწყდა, ხოლო სხვები კი განდევნილ იქნენ თავის საცხოვრისიდან. მათი ადგილი თანდათანობით დაიკავეს აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოჭრილმა ტომებმა - ბიძერებმა, კატარზებმა და სხვ., რომელნიც ამიერიდან იხსენიებიან წყაროებში ამ ტერიტორიებზე. ამ ტომების შემოჭრამ გათიშა დასავლურქართველურ (მეგრულ-ჭანურ ე.ი. კოლხურ) ტომთა ოდესღაც ერთიანი ეთნიკური მასივი, რის შემდგომ შემცირდა კოლხას ასევე ოდესღაც ვრცელი და ერთიანი ტერიტორია, რომელიც ამიერიდან მხოლოდ დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიით შემოიფარგლა. მასვე შემორჩა სახელწოდება „კოლხეთი“ („კოლხიდა“).

ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების კოლხთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ ცნობები ძვ.წ. V ს-ის ბერძენი მწერლის ჰეროდოტეს „ისტორიაშია“ შემონახული (IV, 37): „სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც მეწამულს უწოდებენ. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელებს ზემოთ სასპეირები, სასპეირებს ზემოთ კოლხები, რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფასისი. ეს ოთხი ხალხი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე“ (IV, 37). თავისი თხზულების სხვა ადგილას ჰეროდოტე შენიშნავს: „მეოტიდის ტბიდან (ე.ი. აზოვის ზღვიდან - ო.ლ.) მდინარე ფასისამდე და კოლხებამდე 30 დღის სავალია მსუბუქად შეიარაღებული კაცისათვის, ხოლო კოლხიდიდან მიდიაში დიდი არაა გადასავალი, არამედ მხოლოდ ერთი ხალხია ამ /ქვეყნებს/ შორის. ეს არის სასპეირები. ამათ რომ ჩაუვლი, ხარ მიდიაში“.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ჰეროდოტე ვრცელ ტერიტორიაზე (ორ ზღვას შორის!) მხოლოდ 4 ხალხს ასახელებს: სპარსელებს, მიდიელებს, სასპერებსა და

კოლხებს. კარგადაა ცნობილი, რომ მიდია და ირანი იმ დროს უძლიერეს სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ და მათ გვერდით კოლხების მოხსენიება, შეიძლება მივიჩნიოთ კოლხთა მსხვილი პოლიტიკური გაერთიანების არსებობის არაპირდაპირ მოწმობად.

ძალზე საყურადღებოა, რომ ჰეროდოტე კოლხებს იხსენიებს მიდიელებთან და სპარსელებთან ერთად იმ ოთხ ხალხს შორის, რომელთაც ორ ზღვას (ე.ი. შავ ზღვასა და სპარსეთის ყურეს) შორის ტერიტორია ეკავათ. რამდენადაც მიდიამ ფრავარტიშის აჯანყების დამარცხების შემდეგ (ძვ.წ. 521 წ.) საბოლოოდ დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰეროდოტეს შემოთავაზებული ცნობები ასახავენ წინა ჰაიის პოლიტიკურ სიტუაციას ძვ.წ. VI ს-ის ოციან წლებამდე მაინც, ხოლო ზოგიერთი მკვლევარის აზრით - კიდევ უფრო ადრინდელ (ძვ.წ. VI ს-ის 50 წლებამდე) ხანაში.

შესაძლოა კოლხთა ერთიანი პოლიტიკური ერთეულის არსებობის ამსახველი იყოს აგრეთვე ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ცნობა („ჰაია", ფრ. 81), რომელიც კოლხთა საცხოვრისს საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე უჩვენებს: ზღვის სანაპირო ზოლში ჩრდილოეთით კოლხთა განსახლების ფარგლებშია დასახელებული ქალაქი დიოსკურია, ხოლო სამხრეთით - მდინარე აფსაროსი (მდ. ჭოროხი). ასევე ერთიანი დიდი კოლხეთის არსებობის ამსახველია სტრაბონის ცნობები (XI, 2, 15), რომელნიც, როგორც ცნობილია, უფრო ადრეული წყაროებიდან (ჰეროდოტე, ერთატოსთენე კვირინელი, პოლიბიოსი, ერატოსთენე ეფესელი) მომდინარეობენ.

სტრაბონის კონცეფციით კოლხეთი ზუსტად გამოკვეთილი ერთეულია და რაღაც გარკვეული გეოგრაფიული მიჯნაც. ასე, მაგ., ჰაიის ჩრდილოეთი არეალის შესახებ სტრაბონი წერს: „როდესაც ევროპიდან ჰაიისაკენ მივემართებით ქვეყნის აღსაწერად, ჯერ ჩრდილოეთისას მივადგებით. ორი არსებული ნაწილიდან უნდა დავიწყოთ. პირველი არის ის, რომელიც ტანაისის (ე.ი. მდ. დონის - ო.ლ.) მიდამოებში მდებარეობს: მას ხომ დასავლეთით ჩამოუდის მდინარე ტანაისი და მეოტისი ვიდრე ბოსფორამდე და ევქსინის სანაპირომდე, რომელიც მთავრდება კოლხეთთან ... (XI, 1, 5), ხოლო კოლხეთის ქალაქ დიოსკურიას (რომელიც დღევანდელი სოხუმის უბეში მდებარეობდა - ო.ლ.) - „უჭირავს უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი მთელი ზღვისა. ამიტომ ამბობენ მასზე, რომ ისაა ევქსინის უშორესი ადგილი და უკიდურესი საცურაოდ" (XI, 2, 16).

კოლხეთი მდებარეობდა ევქსინის პონტოს ანუ დღევანდელი შავი ზღვის ნაპირას („გეოგრაფია" XI, 1, 5; XI, 2, 14-15; XI, 2, 17). საინტერესოა, რომ ევქსინის პონტოს ერთ ნაწილს „გეოგრაფიის" მიხედვით, თითქოს „კოლხური ზღვა" ეწოდებოდა (XI, 1, 6). აქ, როგორც ჩანს, იგულისხმებოდა ზღვის მონაკვეთი პიტიუნტიდან ტრაპეზუნტამდე (შდრ. XI, 2, 14).

აღმოსავლეთით კოლხეთს იბერია ესაზღვრებოდა (I, 2; 39; VI, 4, 2; XI, 3, 4; XI, 14, 5; XI, 14, 15). სასაზღვრო ციხესიმაგრე იყო სარაპანა (XI, 3, 4), რომელიც დღევანდელ შორაპანთანაა იდენტიფიცირებული. კოლხეთსა და იბერიას შორის საზღვარი სკანდე-შორაპნის ხაზზე ივარაუდება.

კოლხეთის ჩრდილოეთ საზღვრად „გეოგრაფიაში" რამდენჯერმე დასახელებულია კავკასიონი (შდრ. XI, 5, 5; XI, 14, 5). ასე რომ, ჩრდილოეთით კოლხეთის საზღვრები, სრულიად აშკარად, კავკასიონამდე აღწევდა. „გეოგრაფიაში" დაზუსტებულია, თითქოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარიც. იგი ევქსინის პონტოს (ე.ი. შავი ზღვის) სანაპიროსთანაა - XI, 2, 14: „როგორც უკვე ვთქვი, ეს სანაპირო მიემართება აღმოსავლეთისაკენ და უყურებს სამხრეთს, ხოლო ბატადან ნელ-ნელა უხვევს და შემობრუნდება დასავლეთისაკენ და სრულდება პიტიუნტთან და დიოსკურიასთან; კოლხეთის ეს ადგილები ხომ

ესაზღვრებიან ზემოთდასახელებულ სანაპიროს. დიოსკურიის შემდეგ არის დანარჩენი კოლხეთის სანაპირო და მის მიმდებარე ტრაპეზუნტთან ქმნის მნიშვნელოვან მოხრილობას". ამრიგად ჩანს, რომ პიტიუნტი, რომელიც ლოკალიზირებულია დღევანდელი ბიჭვინტის მიდამოებში, მდებარეობდა კოლხეთის ჩრდილოეთ ნაწილში. ამიტომ სავარაუდებელია, რომ კოლხეთის პოლიტიკური საზღვარი პიტიუნტის ახლოს გადიოდა, შესაძლოა მდ. ბზიფის ხეობაში ან ოდნავ ჩრდილოეთით. სტრაბონის მიხედვით კოლხიდა „ჰენიოხების შემდეგ მდებარეობს." თავის მხრივ, ჰენიოხები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე აქეელებისა და ზიგების შემდეგ არიან დასახელებული და ამის საფუძველზე მათი საცხოვრისი „გეოგრაფიის" მიხედვით ძველი პიტიუნტის ჩრდილოეთით - სოჭისა და ადლერის მიდამოებში ივარაუდება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური მონაცემებით ეს ტერიტორია უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან კოლხური ბრინჯაოს კულტურის არეალში იყო მოქცეული.

კოლხეთის სამხრეთი საზღვრების რეკონსტრუქციისათვის დიდი მნიშვნელობისაა სტრაბონის დაჟინებითი და არაერთგზისი მითითება იმის შესახებ, რომ კოლხეთის (კოლხიდას) საზღვარი ძალიან ახლოს გადიოდა ტრაპეზუნტთან და მის ახლო მდებარე ადგილებთან, მცირე არმენიასა და კაპადოკიასთან.

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტრაბონის ცნობებშიც (ისევე როგორც ჰეროდოტესთან) ასახულია ძველი კოლხეთის პოლიტიკური საზღვრები, რომელიც მთლიანად თავსდება დღევანდელ დასავლეთ საქართველოსა (აფხაზეთის ჩათვლით) და ნაწილობრივ მის მიმდებარე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, თითქმის ტრაპეზუნტამდე.

ძვ.წ. VI-IV სს-ის ვითარების ამსახველი ტრადიცია შემონახული ახ.წ. V ს-ის ანონიმი გეოგრაფოსის ცნობაშიც: „დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მოკიდებული ვიდრე აფსაროსამდე ძველად ცხოვრობდა ხალხი, რომელიც კოლხებად იწოდებოდა, ხოლო შემდეგ ლაზებად". ეს ცნობები იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ძვ.წ. VI-IV სს-ში დღევანდელ საქართველოს ტერიტორიაზე ისინი ასახელებენ მხოლოდ ერთ ხალხს - კოლხებს. კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში საკუთრივ კოლხებს (ე.ი. მეგრელ-ჭანებს) გარდა შედიოდნენ აგრეთვე უძველესი ქართველი ტომები - სვანები, რომლებსაც დიდი კავკასიონის სამხრეთი ფერდობები და მიმდებარე ტერიტორიები ეკავათ.

ამრიგად, ზემოთმოტანილ ბერძენ მწერალთა ცნობების თანახმად, კოლხეთის სახელმწიფოს ტერიტორია ძვ.წ. VI-IV სს-ში ვრცელდებოდა დაახლოებით დღევანდელი ბიჭვინტიდან (ძველი პიტიუნტი) მდ. ჭოროხამდე (ძველი აფსაროსი) ან რამდენადმე სამხრეთითაც (აფსაროსის ციხე-ქალაქი, რომელიც მდ. ჭოროხის სამხრეთით 2 კმ-ის დაცილებით დღევანდელ სოფ. გონიოში მდებარეობდა, შედიოდა კოლხეთის სამეფოში), ხოლო აღმოსავლეთით - იფარგლებოდა სურამის ქედით.

საკმაოდ რთულია კოლხეთის სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრის საკითხი.

ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ კოლხას ძლიერების ხანაში, სამეფოს პოლიტიკური ცენტრი თავდაპირველად სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, სადღაც მდ. ჭოროხის აუზში მდებარეობდა, ხოლო შემდეგ ის გადატანილ იქნა მდ. რიონის (ე.ი. ძველი ბერძნული წყაროების - ფასისი) დაბლობზე. მაგრამ პირდაპირი მონაცემები ასეთი დასკვნისათვის არ გაგვაჩნია. გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი იმთავითვე მდ. რიონზე (ფასისზე) მდებარეობდა, როგორც ეს ივარაუდება ძვ.წ. VI-IV სს-თვის ბერძენ ავტორთა ცნობების საფუძველზე. ჯერ კიდევ ფსევდო-სკილაქსი იუწყებოდა: „.... მდ.ნარე ფასისზე ზევით აყოლებაზე 180 სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა." მაგრამ აქ მოხსენებული ქალაქის ადგილმდებარეობა ჯერ დაუდგენელია.

მთელი წყება ბერძენ-რომაულ და აგრეთვე ბიზანტიელი ავტორებისა (მაგ. ლიკოფრონ ქალკიდელი და მისი სქოლიასტები, აპოლონიოს როდოსელი და მისი სქოლიასტები, პროკოპი კესარიელი და სხვ.), რომელთა ცნობები მეტწილად ძვ.წ. VI-V სს-ის ავტორთა თხზულებებიდან მომდინარეობს, მედეას სამშობლოდ და აიეტის რეზიდენციად ასახელებენ მდ. ფასისზე მდებარე ქალაქ კუტაიას, რომელსაც დღეს მკვლევართა უმრავლესობა დღევანდელი ქუთაისის მიდამოებში ათავსებს. არქეოლოგიური მასალები მოწმობს რომ ძვ.წ. VIII-VII სს-დან ქუთაისი და მისი მიდამოები (ე.წ. „ქუთაისის ქვეყანა") ძალზე მჭიდროდაა დასახლებული. თითქმის ყველგან არქეოლოგიურად დასტურდება კოლხეთისათვის აგრე ტიპიური ხელოვნური სამოსახლო ბორცვები (ფარცხანაყანევი, ქვემო მესხეთი, ჯიხაიში, ტყაჩირი, ქვემო და ზემო მაღლაკი, პატრიკეთი, საყულია, ბანოჯა და სხვ.) ან ბუნებრივად შემაღლებულ ადგილებზე განლაგებული ნამოსახლარები (ბანოჯა, ჭოგნარი, ფარნალის გორა და სხვ.). ამ დროსვე ძვ.წ. VIII-VII სს-ში უთუოდ ვრცელი დასახლება ჩნდება საკუთრივ ქალაქ ქუთაისის ტერიტორიაზე, რომელიც შესაძლოა უკვე რაღაც ცენტრის ფუნქციასაც ასრულებდა.

თითქმის არაფერი ვიცით ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხეთის პოლიტიკური ისტორიის შესახებ. ჰეროდოტეს ცნობებიდან ჩანს, რომ აქემენიდურმა ირანმა კოლხეთის დაპყრობა და თავის სატრაპიებში გაერთიანება ვერ შესძლო, თუმცა გარკვეული დამოკიდებულება (შესაძლოა ნომინალური) აქემენიდთა მიმართ მაინც არსებობდა. ჰეროდოტეს ცნობით: „კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები და ასევე მათმა მეზობლებმაც ვიდრე კავკასიონის მთებამდე (რადგან ამ მთებამდე ვრცელდებოდა სპარსელთა ძალაუფლება, ხოლო კავკასიონის ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვეყნებს არაფერი უნდათ იცოდნენ სპარსელებისა), ამათ საჩუქრად დაიწესეს ჩვენ დრომდე, ყოველ მეხუთე წელს რომ გადაიხადონ ასი ყრმა და ასი ქალწული". ამ ცნობიდან სულ ნათელი არაა: „ას ყრმასა და ას ქალწულს" მხოლოდ კოლხები უგზავნიან საჩუქრად სპარსელებს თუ „მათ მეზობლებთან" ერთად? ეს თვით „დაწესებული საჩუქარიც" როგორც ჩანს, წარმოადგენდა არა ხარკს (რასაც თვით ჰეროდოტეც ხაზგასმით აღნიშნავს), არამედ თავისებურ კონტრიბუციას, რომელსაც კოლხეთი იღებდა მძლავრი მეზობლის სასარგებლოდ. როგორც ჩანს, უკვე ძვ.წ. V ს-ის დასასრულისათვის მაინც კოლხეთი, ისევე როგორც მისი სამხრეთი მეზობლები (კარდუხები, ხალიბები, ხალდები, მაკრონები, მოსინიკები, ტიბარენები და სხვ., რომელნიც ადრე აქემენიდური ირანის სხვადასხვა სატრაპიებში იყვნენ გაერთიანებული) მთლიანად განთავისუფლდნენ აქემენიდური ირანის მორჩილებისაგან.

ძვ.წ. VII-IV სს-ის კოლხეთის პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების შესახებ ძალზე მწირი მონაცემები მოგვეპოვება.

პირველ რიგში უნდა განვიხილოთ ცნობები ძვ.წ. VII-IV სს-ში კოლხეთში სამეფო ხელისუფლების არსებობის შესახებ.

ახ.წ. 9 წელს, რომაელმა ისტორიკოსმა პომპეიუს ტროგუსმა დაასრულა თავისი 44 ტომიანი ნაშრომი სახელწოდებით "Historiae Philippicae", რომელშიც პირველად რომაულ ისტორიოგრაფიაში წარმოდგენილი იყო მსოფლიო ისტორია (ასირიელების, მიდიელთა, სპარსელების, მაკედონელებისა და დიადოქოსებისა). სამწუხაროდ, ეს თხზულება ჩვენამდე მოღწეული არაა. ჩვენამდე მოღწეულია თვით ტროგუსის მიერ შედგენილი ე.წ. Prologi (ანუ „შესავალები"), რომლებშიც წარმოდგენილი იყო თითოეული წიგნის მოკლე შინაარსი და აი XXXVII-ე წიგნის „შესავალში" აღნიშნულია, რომ მასში გადმოცემულია პონტოს მეფეების ისტორია, ხოლო „მისგან გადახვევით" ("in exessu") „ბოსფორელთა და კოლხთა მეფეების წარმომავლობა და საქმენი [მათნი] " ("... Dictaequle in excessu regum Bosporanorum et Colchorum origines et res gestae". ამრიგად, აქ გვაქვს პირდაპირი

მითითება კოლხეთში სამეფო ხელისუფლების შესახებ. ამასთან შეიძლება თამამად ვამტკიცოთ, რომ იგი იმდენად ძლიერი და ფართოდ ცნობილი ყოფილა, რომ პომპეიუს ტროგუსმა აუცილებლად ჩათვალა ღირსეული ადგილი დაეთმო პონტოს (მითრიდატე ევპატორთან კავშირში) და ბოსფორის მეფეების გვერდით, ამასთან დიადოქოსების ისტორიის კონტექსტში.

კოლხეთში სამეფო ხელისუფლების არსებობის შესახებ პომპეიუს ტროგუსის ცნობას ადასტურებს არქეოლოგიური მასალაც: ვანში აღმოჩენილია ადგილობრივ დამზადებული ძვ.წ. IV-III სს-ის კრამიტები, რომლებზედაც არის დამღა „ბასილიკე" ე.ი. „სამეფო" (კრამიტი). ასევე დიდად მნიშვნელოვანია ეშერაში აღმოჩენილი ძვ.წ. III ს-ის ბერძნული წარწერა ბრინჯაოს ფირფიტაზე, რომელზედაც იკითხება „ბასილეია" ე.ი. „სამეფო ხელისუფლება" ან „სამეფო". პომპეიუს ტროგუსის უაღრესად დიდმნიშვნელოვანი ცნობისა და არქეოლოგიური (ეპიგრაფიკული) მონაცემების ფონზე კიდევ უფრო დამაჯერებლად გამოიყურება ბერძენ-რომაელ ავტორთა სხვა მითითებანიც კოლხეთში სამეფო ხელისუფლების შესახებ.

ჰეროდოტე, როგორც უკვე ითქვა, კოლხებს მოიხსენიებს წინა აზიის ძლიერი ხალხების - მიდიელებისა და სპარსელების გვერდით. მაგრამ „ისტორიის მამა" არაფერს იუწყება კოლხთა პოლიტიკური კონსოლიდაციის დონის შესახებ. მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ქსენოფონტის ცნობა იმის შესახებ, რომ მის მიერ აღწერილი ამბების დროს (ე.ი. ძვ.წ. 401 წ.) კოლხეთში (ფასისზე) „ახლა აიეტის შთამომავალი მეფობს". ეს ცნობა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ წარმოადგენს პირდაპირ მოწმობას ძვ.წ. V ს-ში კოლხეთში სამეფო ხელისუფლების შესახებ. იმავე დროს ჩანს, რომ კოლხეთის მეფეები თავის თავს კოლხთა ლეგენდარული მეფის აიეტის - მზის შვილის შთამომავლებად მიიჩნევდნენ და თავის თავს აიეტიდებს უწოდებდნენ. რომაელი ისტორიკოსი პლინიუსიც კოლხეთის მეფე სავლაკს „აიეტის შთამომავალს" უწოდებს. ამ ცნობებში ხაზი ესმის სამეფო ხელისუფლების შთამომავლობით (ე.ი. მემკვიდრეობით) გადაცემის პრინციპსაც. სამეფო დინასტიის დამაარსებლად კი გვევლინება მძლეთამძლე აიეტი*, ბერძენთავე გადმოცემით მზის შვილი. აშკარა უნდა იყოს, რომ ძველბერძნულ მწერლობაში შემონახული ცნობები ასახავენ კოლხეთის მეფეთა კარზე შემუშავებულ წარმოდგენას, რომელიც მათ გენეალოგიას ღვთაებრივი წარმოშობის (მზის შვილს)** აიეტს უკავშირებდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კოლხეთის მეფეების აიეტის შთამომავლებად მოხსენიება საკუთრივ სამეფო კარზე შემუშავებული პრესტიჟული ამბიციაა, მათი ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის ხაზგასასმელად, როგორც ქვეშევრდომთა, ასევე უცხოელთათვის (იქნებ ეს კონცეფციაც

---

* „აიეტზე უფრო დიდი მეფე არავინ არის. მართალია, შორსაა, მაგრამ თუ ინება, ელადაზე ომით წამოვა." ასე ათქმევინებს აპოლონიოს როდოსელი ფეკაკა მეფე ალკინოეს.

** ჯერ კიდევ ჰომეროსის „ოდისეაშია" (X, 137-138) აღნიშნული, რომ აიეტი „იშვა მოკვდავთმანათობელი ჰელიოსისაგან". ბერძენთა შორის გავრცელებული ასეთი შეხედულება აიეტის წარმომავლობაზე, რომელსაც ერთხმად გეიანდელი ავტორებიც (ჰესიოდე, ეემელოს კორინთელი და სხვ.). იმეორებენ, იქნებ შემთხვევითი არაა და შესაძლოა წარმოადგენს ადგილობრივი, კოლხური რწმენა-წარმოდგენების ასახვას. მზე ხომ ძველ ქართველ ტომთა წარმართული პანთეონის ერთ-ერთი უმაღლესი ღვთაებაა, დღის სინათლის განსახიერება. კოლხთა მიერ მზის, როგორც უმაღლესი ღვთაების, თაყვანისცემა ქართული წარმართული კალენდრის ანალიზითაცაა დადასტურებული. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ ელინისტური ხანის ბერძნულ წარწერაშიც: .... მზე (ჰელიოსი) უზენაეს ღვთაებათა შორისაა მოხსენებული, და ბოლოს მზის კულტის არსებობას კოლხეთში მოწმობს არქეოლოგიური მასალაც: ლომი და ლომის თავი (მზის განსახიერება) კოლხურ ოქროს დიადემებზე და ვერცხლის მონეტებზე, კოლხური ოქროსა და ვერცხლის საყურეებისათვის აგრე ტიპიური ვარდული, ხოლო ოქროსა და ბრინჯაოს ნივთებზე, თიხის ჭურჭელზე გამოსახული სვასტიკა (ქართული დედაბოძის შემკულობაშიც რომ შემოუნახია თავი) აგრეთვე მზის სიმბოლოებადაა აღიარებული.

იყო წარმოდგენილი პომპეიუს ტროგუსის მონათხრობში კოლხთა მეფეების წარმომავლობის შესახებ?). აკი ბერძენი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი სტრაბონიც არწმუნებდა თავის მკითხველს: „აიეტი რომ კოლხეთზე მეფობდა, ეს სარწმუნოდაა მიჩნეული; იქაურებში ეს სახელი ადგილობრივია.“ მართლაც ახ.წ. VI ს-ში კოლხეთში (ლაზიკაში) ცნობილია ისტორიული პიროვნება, პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც აიეტი ერქვა (აგათია). სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის პრინციპი შესაძლებელია სტრაბონის ერთ ცნობაშიც დავინახოთ: „თუ რაოდენ სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა (ე.ი. კოლხეთი - ო.ლ.) ცხადჰყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე, რომელიც მოვიდა მიდიამდე, და ამაზე უწინ კი ფრიქსეს (ლაშქრობას)... ამის შემდეგ მემკვიდრე* მეფეებმა სკეპტუხიებად** დაყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ხელისუფლება“.

სტრაბონის ცნობაში სკეპტუხიებად დანაწილება არგონავტთა ლაშქრობისა და, შესაბამისად, აიეტის მემკვიდრე მეფეების ღონისძიებადაა მიჩნეული. ამიტომ მართებული ჩანს მოსაზრება, რომლის თანახმად სკეპტუხიებად დაყოფა განხორციელდა კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბებისთანავე, ხოლო სტრაბონის ცნობა უნდა განვიხილოთ, როგორც მოწმობა სამეფოს მართვაში გარკვეული პოლიტიკური ცენტრალიზაციისა, თუმც სხვა მკვლევარები იმ აზრისა არიან, რომ სკეპტუხიებად დაყოფა გვიანდელი (ძვ.წ. II ს-ის) მოვლენაა, ხოლო სტრაბონის ცნობაში ასახულია თითქოს მეფის ხელისუფლების შეზღუდვა-სისუსტე და ცალკეული ოლქების გამგებელთა დამოუკიდებლობის აღიარება. უფრო საფიქრებელია, რომ სტრაბონის ცნობა აიეტის „მემკვიდრე მეფეების“ მიერ კოლხეთის „სკეპტუხიებად დაყოფის“ შესახებ უნდა გულისხმობდეს ქვეყნის დანაწილებას გარკვეულ ტერიტორიულ-საგამგებლო ერთეულებად, რაც უნდა ყოფილიყო შედეგი სამეფო ხელისუფლების ადმინისტრაციული ღონისძიებისა და მიზნად ისახავდა ქვეყნის მართვა-გამგეობის მოწესრიგებას“.*** საკვლევი ამკარაა, რომ აქ საქმე ეხება კოლხეთის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დანაწილებას, ე.ი. სახელმწიფოს ერთ-ერთ არსებით ნიშანს მისი ფორმირების ადრინდელ ეტაპზეკე.**** უკვე ურარტული წყაროები იხსენიებენ

---

* ბერძნულ დედანშია „διαδεξαμενοι, რომელიც ნაწარმოებია ზმნიდან διαδέχομαι, რაც ნიშნავს „მემკვიდრეობით მიღებას“, „წინამორბედისაგან მიღებას“ და ა.შ.

** ბერძნული ტერმინი „სკეპტუხოს“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „სკიპტრის მპყრობელს“, „გამგებელს.“ სემანტიკურად იგი ძალზე უახლოესია ირანულ სიტყვას „ვაზრაკა“ („ვაზარაკა“), რომელიც ნაწარმოებია არსებითი სახელიდან „ვაზრა“ („სკიპტრა,“ „კომბალი“). ტერმინი „სკეპტუხოს“ ბერძენ ავტორებთან ხშირად იხსენიება „წარჩინებულთა“ აღსანიშნავად მაგ. სარმატებში ან სხვ. ხალხებში.

*** განსხვავებული აზრისაა მ. ინაძე, რომელიც იზიარებს მოსაზრებას, რომ კოლხეთის სამეფოს დანაწილებას „საფუძვლად დაედო ქვეყანაში არსებული სატომო ორგანიზაციები“. ასეთი სატომო ორგანიზაციების შესახებ ძვ.წ. VIII-IV სს-ის კოლხეთში პირდაპირი მონაცემი არ გაგვაჩნია. პირიქით, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, ყველა წყარო მხოლოდ ერთ ტომს (ხალხს) კოლხებს ასახელებს. არქეოლოგიურ მასალებშიც საკმაოდ თვალსაჩინოა, მთელი დღევანდელი დასავლეთ საქართველოს (როგორც მთელ ზღვისპირეთის, ასევე შიდა რაიონების) მოსახლეობის კულტურული ერთგვაროვნება და ერთიანობა. ამიტომაც ვვარაუდობ, რომ იმ დროისათვის (ძვ.წ. VII-IV სს-ში) კოლხეთში ტომობრივი ორგანიზაცია უკვე არ არსებობს და ადმინისტრაციული დანაწილება განხორციელდა ტერიტორიულ პრინციპზე. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა ვანისა და საირხის არქეოლოგიური მონაპოვარი. ვანი და საირხე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ კოლხეთის ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებია. არავითარი საფუძველი აქ განსხვავებული ტომობრივი ორგანიზაციისა და სტრუქტურის აღიარებისათვის არა გვაქვს.

**** შდრ. ძველ ბერძნულ ტრადიციას კლისთენეს მიერ ატიკის ტერიტორიულ ფილებად ან რომაულ ტრადიციას სერვიუს ტულიუსის მიერ რომის ტერიტორიულ ტრიბებად დაყოფის შესახებ. ანალოგიური ძველი ქართული ტრადიცია შემონახულია აგრეთვე ლეონტი მროველის ცნობებში ქართლის (იბერიის) პირველი მეფის - ფარნავაზის მიერ ქვეყნის სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად - საერისთაოებად დაყოფის შესახებ.

კოლხას სამეფოს ცალკეული ოლქების მმართველებს ტერმინით „ლუირდი", რომელსაც უთუოდ სტრაბონისეული „სკეპტუხოსი" შეესატყვისება.

სკეპტუხია, ჩვენის აზრით, ტერიტორიულ პრინციპზე შექმნილი ადმინისტრაციული ერთეულია, რომელსაც საფუძვლად ისტორიულად ჩამოყალიბებული პოლიტიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნი დაედო საფუძვლად, მის სათავეშიც უთუოდ ადგილობრივი საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენელი იდგა, რომელიც სამეფო ხელისუფლებამ ადმინისტრაციული უფლებებით აღჭურვა და მით სამეფო მოხელედ აქცია. სკეპტუხი, ამრიგად, ერთ-ერთი საფეხურია ქვეყნის მართვის იერარქიულ სისტემაში, რომლის უმაღლეს საფეხურზე იდგა კოლხთა მეფე.

ადგილობრივი გვაროვნული არისტოკრატიის აღჭურვა ადმინისტრაციული უფლებებით, ქმნიდა მტკიცე საფუძველს სოციალური განცალკევებისა და კოლხ წარჩინებულთა კიდევ უფრო გამდიდრებისათვის, რამდენადაც სამეფო ხელისუფლების მიერ ბოძებულ ახალ ფუნქციას მოჰქონდა ახალი შემოსავალი ხარკის სახით, რომელიც განისაზღვრებოდა არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, არამედ ოქროს, ვერცხლისა თუ სხვა ძვირფასი ნივთების სახით, რაც თვალსაჩინოდაა ასახული სწორედ არქეოლოგიურ მონაპოვარში, განსაკუთრებით კი სამარხეულ ინვენტარში. ასე მაგ. საზოგადოების რიგით წევრთა სამარხები თავიანთი აღნაგობითა და დაკრძალვის წესებით მკვეთრად განსხვავდება წარჩინებულთა სამარხებისაგან. ერთის მხრივაა - სულ უბრალო სამარხი ორმო და უაღრესად ღარიბული ინვენტარი (მარტივი სამკაულები და ორიოდე თიხის ჭურჭელი), ხოლო მეორეს მხრივ - ხის დიდი ზომის სარკოფაგებში ძალზე მდიდრულად დაკრძალული „ამა ქვეყნის ძლიერნი" მონა-მოსამსახურეებით და ცხენებით, ოქროსა და ვერცხლის უამრავი სამკაულებით, ლითონისა და თიხის ჭურჭლეულით, უხვი სურსათ-სანოვაგითა და ა.შ. სამაგალითოდ წარმოვადგენ ვანში აღმოჩენილ ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებით დათარიღებულ წარჩინებული კოლხი ქალის სამარხს. იგი კლდოვან დედაქანში - თირში იყო ამოკვეთილი. სამარხი ორმოს ჩრდილოეთ კედელთან აღმოჩნდა ცხენის ჩონჩხი, რომელთაც რკინის ლაგმისა და აკაზმულობის სხვა ნაშთები შემორჩენოდა.

თირში, ჩანს ჩადგმული იყო ხის სარკოფაგი, რომლისაგანაც მხოლოდ რკინის საკმაოდ დიდი ზომის ლურსმნები იყო შემორჩენილი. მათი განლაგება მიუთითებდა, რომ სარკოფაგის სიგრძე იყო 3,40 მეტრი, სიგანე - 2,80 მ, ხოლო სიმაღლე დაახლოებით 1,5 მ. სამარხში 4 ჩონჩხი აღმოჩნდა. მათგან ერთი - ქალისა, გასაოცარი ბრწყინვალებით დაკრძალული. თავთან, სამარხის ორმოს აღმოსავლეთ კედელთან ელაგა ვერცხლის, ბრინჯაოს, ფერადი მინისა და თიხის ჭურჭელი. ისინი გარკვეული წესითა და დანიშნულებით იყო დალაგებული. მათგან ერთი ნაწილი (11 ნივთი) ბერძნულია და მათი აღმოჩენა ამ სამარხში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა: ისინი ერთის მხრივ მიუთითებენ ძველი კოლხეთის ცხოველ ურთიერთობაზე ანტიკური ცივილიზაციასთან, მეორეს მხრივ - წარმოადგენენ ჩვენს უმთავრეს დასაყრდენს ამ სამარხის საკმაოდ ზუსტი დათარიღებისათვის.

პირველ რიგში (თვით ნივთების განლაგების მიხედვით) აღსანიშნავია ბრინჯაოს სამტუჩა სურა (ე.წ. ოინოხოია) და ტაფისებური ჭურჭელი, რომელსაც პატერას უწოდებენ. ეს ჭურჭელი ხელის რიტუალური დაბანისათვის იყო განკუთვნილი. განსაკუთრებით საინტერესოა პატერა, რომლის ტარი ტანშიშველი ჭაბუკისა და ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებითაა დამშვენებული. ზუსტად ასეთი ჭურჭელი ათენში ძვ.წ. 500-480 წლებს შორის მზადდებოდა და აქედან ვრცელდებოდა მაშინდელი მსოფლიოს სხვა მაღალ კულტურულ ქვეყნებში. ბერძნულია თავისი მხატვრული სტილით, იქვე ნაპოვნი ვერცხლის სარწყული, რომელსაც ყურს ქვემოთ ამკობს ფრთოსანი ლომისა და ორ-ორი ფეხებმოკვეთილი ვერძის სკულპტურული გამოსახულებანი.

უნიკალურია ვერცხლის მცირე ზომის სანელსაცხებლე სფეროსებური ჭურჭელი, რომელსაც ატიკური ტიპის არიბალოსს უწოდებენ. ასეთი ფორმის სანელსაცხებლეები ათენში ძვ.წ. VI-V საუკუნეებში მზადდებოდა. სამარხში ნაპოვნი არიბალოსის ყური გედის გამოსახულებებს წარმოადგენს, მუცელს კი გასდევს გრავირებული ფრიზი, რომელზედაც ხელაწვდილი სფინქსების მსვლელობაა გამოსახული.

ამ ბერძნული ჭურჭლის გვერდით იდო მცირე ზომის კოლხური სიტულა (ქვაბისებური ჭურჭელი), რომლის სახურავზე სხვადსხვა ცხოველთა გრავირებული გამოსახულებებია (ლომი, ჯიხვი, ტახი, მამალი). თავისი სტილით ეს გამოსახულებანი მოგვაგონებენ ძვ.წ. XII-VIII საუკუნეების კოლხურ ბრინჯაოს ცულებზე წარმოდგენილ ცხოველებს და მიუთითებენ ადრეანტიკური ხანის (ძვ.წ. VI-V საუკუნეების) კოლხური მხატვრული კულტურის ადგილობრივ ძირძველ ტრადიციებზე.

ამ ჭურჭელს ისევ ბერძნული მაღალფეხიანი ვერცხლის ორყურა თასები (ე.წ. კილიკები) მოსდევდა, ისინიც ათენის სახელოსნოებშია დამზადებული ძვ.წ. V საუკუნის 70-იან-50-იან წლებში. იმავე ხანისაა და ათენელ მეთუნეთა ნახელავია აგრეთვე მშვენიერი შავი ლაკით დაფარული მაღალფეხიანი კილიკი და შავი ფერის სარტყლებით მორთული ორყურა სანელსაცხებლე ჭურჭელიც. იქვე ახლოს ელაგა ფერადი მინის სანელსაცხებლე თასებიც. ერთი - იისფერია, ხოლო მეორე - ცისფერი, თეთრი და ყვითელი ფერის ტალღისებური სარტყლებით შემკული. ასეთ მინას ფინიკიურს უწოდებენ, თუმც ამ ჭურჭლების დასამზადებელ სახელოსნოებს - ეგვიპტეში ვარაუდობენ. მაშ სულ 11 იმპორტული ნივთია ამ სამარხში ნაპოვნი, მაგრამ მათი მნიშვნელობა განუზომლად დიდია. ამ ნივთების უმრავლესობა (11-დან 9 ნივთი) ათენის სახელოსნოების ნაწარმია და საკმაოდ ზუსტად თარიღდება ძვ.წ. V საუკუნის მეორე მეოთხედით - 70-იანისა და 50-იან წლებს შორის. ამიტომაც ვათარიღებთ სამარხს დაახლოებით ძვ.წ. V ს. შუა ხანებით. სამარხის ჩრდ. აღმ. კუთხეში კოლხურ თიხის ჯამებზე ელაგა საქონლისა და ფრინველის ძვლები - მიცვალებულთათვის „იმ ქვეყნად" გატანებული საგზლის ნაშთები. „სატრაპეზოდ" იყო განკუთვნილი აგრეთვე დიდი ზომის კოლხური ბრინჯაოს ქვაბები, ე.წ. სიტულები, რომლებიც სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იყო დალაგებული. განსაკუთრებით ბრწყინვალე იყო წარჩინებული კოლხი ქალის სამკაული, თითქმის მთლიანად ოქროსა და ვერცხლისაგან ნაკეთები. ამასთან ყველა ისინი ადგილობრივ, კოლხ ოქრომჭედელთა მიერაა დამზადებული! მიცვალებულის თავს ამკობდა დიდებული ოქროს დიადემა, რომელზედაც ცხოველთა ბრძოლის გამოსახულებებია ამოტვიფრული. დიადემაზე ოქროსავე სხივებიანი სასაფეთქლე რგოლები იყო უთუოდ დამაგრებული. ჭვირთულ-ბურთულიანი და ცვარათი უზვად გაწყობილი მდიდრული ოქროს საყურეები ჰქონია ამ კოლხ ქალს, აგრეთვე რამდენიმე ყელსაბამი - თითქმის მთლიანად ოქროს მძივებისა და საკიდებისაგან შედგენილი. ერთი ყელსაბამი მინიატურული ფრინველის გამოსახულებანი საკიდებისა და წვრილი ტანდაღარული მძივებითაა შედგენილი, მეორე - ვერძის თავის გამოსახულებიანი საკიდებისაგან, მესამე - სიმინდის ტაროსებური გამოსახულებებისაგანაა შემდგარი. მეოთხე ყელსაბამი - შედგანილია აგრეთვე ოქროს ღოლისებური საკიდებისაგან, რომელზედაც ასევე ოქროს წვრილი მარცვლებისაგან შედგენილი სხვადასხვა გეომეტრიული სახეებია გამოსახული. მათთან ერთად ყელსაბამში გამოყენებულია ოქროს ტანდაღარული მძივებისა და ქარვის სწორკუთხა მძივების მონაცვლეობა, რაც ალბათ თავის დროზე გარკვეულ პოლიქრომიულ ეფექტს ჰქმნიდა. საერთოდ, საფიქრებელია, რომ უთუოდ ოქროს საკიდებთან და მძივებთან იყო გამოყენებული მათთან ერთად მრავლად ნაპოვნი ფერადი ჰასტისა და სარდიონის მძივსაკიდები. განსაკუთრებით დიდებულია კიდევ ერთი ყელსაბამი, რომელიც შედგენილია კუს გამოსახულებიანი ოქროს საკიდებისა და სადა სფერული მძივებისაგან. 2-3 სმ. სიდიდის კუს ზურგი ოქროს უწერილესი მარცვლებით გამოყვანილი სამკუთხა და რომბული ხაზებითაა მორთული, ხოლო თვალები ჰასტითაა ინკრუტირებული ...

წარჩინებულ კოლხ ქალს ტანისამოსი ყელთან ოქროს მშვილდსაკინძით ჰქონია შებნეული, ამასთან მისი სახელოებისა და მკერდს მოსართავად უხვად გამოუყენებია ვერცხლის მილაკები და სადა სფერული მძივები, ნაირსახოვანი საკიდები, რომელთაგან ზოგიერთი გაორმაგებულ პირამიდას წაგავს ან კიდევ ტანდაღარულ მძივს. გვხვდება ტახის მინიატურული გამოსახულებანიც. სარტყელს ამშვენებდა ორი ფრთაგაშლილი არწივის ოქროს გამოსახულება ...

იდაყვს ქვეშთ ხელი მორთული იყო ოქროსა და მუქი წითელი ფერის სარდიონის მძივებით, ხოლო მაჯაზე ეკეთა ოქროს სამაჯურები, რომელთაგან ერთი წყვილი ვერძის თავის, ხოლო მეორე - ტახის სკულპტურული გამოსახულებითაა დაბოლოებული.

მიცვალებულს, როგორც ჩანს, ეფარა სუდარა, რომელიც ოქროს ღილაკებით და წვრილ მილაკზე ასმული საკუთხა ფირფიტებით იყო გაწყობილი.

მიცვალებულის ჩონჩხის ქვეშ და მის გვერდით აღმოჩნდა ძლიერ დამსხვრეული თიხის ჭურჭელი. ჩანს ისინი იდგა ხის სარეცლის ქვეშ, რომლის სიმძიმესაც დაუმსხვრევია ისინი. აღდგენილია 20-მდე კოლხური თიხის შავპრიალა ჭურჭელი, რომელიც გაუტანებიათ მიცვალებულისათვის. ყველა ისინი გამოირჩევა ნატიფი და მსუბუქი ფორმებით, ტრადიციული კოლხური გეომეტრიული ორნამენტით („სავარცხლით", გამოყვანილი ტალღისებური და რომბული სახეები, ჭდეები). მაინც საგანგებოდაა აღსანიშნავი ბიკონუსური ფორმის მეტად მოხდენილი ჭურჭელი, ყურმილიანი დოქი და სხვ.

ამავე სამარხში, წარჩინებული ქალის ჩონჩხთან ერთად, კიდევ სამი ქალი იყო დასვენებული, მაგრამ ისინი შედარებით ღარიბულად იყვნენ მორთულნი. ერთს აღმოაჩნდა თავზე ვერცხლის ორი დიადემა ერთად, ოქროს საყურეები და ვერცხლის სამაჯურები, მეორეს - ვერცხლის დიადემა, ოქროს საყურეები და ყელსაბამი, მესამეს კი მხოლოდ - ოქროს ერთადერთი საყურე.

სულ სამი ათასზე მეტი ოქროსა და ვერცხლის ნივთია ამ სამარხში ნაპოვნი და ყველა ისინი ადგილობრივ, კოლხ ოქრომჭედელთა მიერაა ამ ორი ათას ხუთასი წლის წინ დამზადებული. ამასთან ისიც ხაზგასასმელია, რომ სამარხის ყველა ნივთი გამოირჩეოა სინატიფითა და მაღალმხატვრული გემოვნებით. სიმდიდრითა და სინატიფით თითქმის ზუსტად ისეთივეა რამდენადმე უფრო გვიანდელი, ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული სამარხის ინვენტარი: ოქროს ჭედური გამოსახულებებით მორთული დიადემა და საკისრე რკალი, საყურეები და სასაფეთქლეები („ხსივანა," ბიპირამიდულსაკიდიანი, ნაეისებურსაკიდიანი და მხედრის გამოსახულებიანი), ორი წყვილი სამაჯური (ცხოველთა თავებით დამშვენებული), 5 ყელსაბამი, 4 ბეჭედი, არწივის ჰერალდიკური გამოსახულებანი, ათეულობით მძივები, საკიდები და ბალთები, ომფალოსიანი თასი და დიდებული გულსაკიდი, ვერცხლის სამკაული, სარწყულა და გედის თავის გამოსახულებიანი კოეზი, ფინიკიური მინის სანელსაცხებლები და სხვ. მთლიანად, შეიძლება ითქვას, რომ ძვ.წ. V-IV სს-ის ეს ორი სამარხი, რომელიც თითქმის ერთგვაროვანსა და დაახლოებით ტოლფასოვან ინვენტარს შეიცავს, ეკუთვნის არა მხოლოდ ქონებრივად ერთი და იგივე შეძლების, არამედ სოციალურად ერთი და იმავე ფენის წარმომადგენლებს, კოლხეთის მმართველი წრის (წარჩინებულთა) ყველაზე მდიდართა და შეძლებულთა ფენას. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ ვანსა და მის მიდამოებში სოციალურ-ქონებრივად განსხვავებული წრის კუთვნილი სინქრონული და საიმედოდ დოკუმეტირებული სამარხები ჯერ არაა აღმოჩენილი, ამჟამად ჩვენ არ გვაქვს საშუალება, ვუჩვენოთ ქონებრივი დიფერენციაციის დონე თუ ხარისხი ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქის, ვთქვათ, „ვანის ქვეყნის" ფარგლებში. მაგრამ ვანის მდიდრული სამარხეული ინვენტარის შედარებას კოლხეთის სხვა ცენტრიდან მომდინარე მასალებთან შეუძლია შეგვიქმნას დაახლოებითი წარმოდგენა კოლხეთის საზოგადოების ქონებრივი და სოციალური დიფერეციაციის განვითარების ძირითად ტენდენციებზე ძვ.წ. VI და განსაკუთრებით V-IV სს-ში.

კოლხეთის წარჩინებულთა წრეში არსებული ღრმა ქონებრივი დიფერენციაციისა და შესაბამისად, შესაძლოა, იერარქიულად დაქვემდებარებული ჯგუფების არსებობის მოწმობაა მდ. ყვირილას ხეობაში საირხეში აღმოჩენილი წარჩინებულ პირთა სამარხები, სადაც დასტურდება სამარხთა ისეთივე სახეობანი და მდიდრული ინვენტარი როგორც ვანში. სავსებით აშკარაა, რომ ისინი სოციალურად ერთსა და იმავე წრის წარმომადგენლებს ეკუთვნოდნენ. იმავე დროს იმავე ხეობაში სოფ. ითხვისში აღმოჩენილია მდიდრულად მიჩნეული სამაროვანი. დაკრძალვის წესი ისეთივეა როგორც ვანსა და საირხეში. მიცვალებული დაკრძალულია რკინის ლურსმნებით შეკრული ხით ნაგებ ქვაყრილიან სამარხში და ახლავს შეწირული ცხენი. მაგრამ სამარხეული ინვენტარი მკვეთრად განსხვავდება ვანის მდიდრული სამარხებისაგან ოქროს ნივთების მინიმალური ოდენობით. ასე მაგ., №1 სამარხში, რომელიც ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს, აღმოჩნდა: ვერცხლის დიადემა, რკინის ცალპირა დანა და საომარი ცული, რკინის და ბრინჯაოს ისრისპირები, ვერცხლის სასმისი და ომფალოსიანი ფიალა, ბრინჯაოს სიტულა, ბერძნული (ატიკური) შავფიგურიანი კილიკი და შავლაკიანი მაღალფეხიანი თასი, კოლხური თიხის დოქი, ყურმილიანი ხელადა და ორი ჯამი, ბრინჯაოს ლაგამი და რქის ნივთი (ცხენის აუშარას სამკაულად მიჩნეული).

აღსანიშნავია, რომ იქვე ითხვისში, იმავე სამაროვანზე ხით ნაგები მდიდრული სამარხების გვერდით გვხვდება აგრეთვე ჩვეულებრივი ორმოსამარხებიც, რომლებიც აგრეთვე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ძლიერი ქონებრივი დიფერენციაცია, აგრე თვალნათლივ რომ გამოჩნდა ძვ.წ. VI-V საუკუნეების სამარხეულ კომპლექსებში საკმაოდ თვალსაჩინოდ ასახავს სიმდიდრის დაგროვების პროცესს საზოგადოების მცირერიცხოვანი ნაწილის ხელთ. კერძომესაკუთრულ ურთიერთობათა განვითარება კი წარმოადგენდა ერთერთ ყველაზე უფრო მძლავრ სტიმულსა და წინამძღვარს სოციალურად დაპირისპირებული კლასების წარმოქმნის რთულ პროცესში.

ამრიგად, თითქოს უკვე აღარ უნდა იწვევდეს არავითარ ეჭვს კოლხეთის ადგილობრივი საზოგადოების წიაღში მომხდარი ღრმა სოციალური დიფერენციაცია. აქ ჩვენს წინაშე დადგა კოლხეთის სამეფოს ისტორიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა: სოციალურ

ურთიერთობათა, კერძოდ კი - ექსპლუატაციის ფორმების საკითხი, რასაც აგრე დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურის განსასაზღვრავად. წერილობითი წყაროების არაჩვეულებრივი სიმცირის გამო აქ იძულებული ვართ მხოლოდ ზოგადი მითითებებით შემოვიფარგლოთ. ასე მაგ. აკად. გ. მელიქიშვილი შემდეგნაირ განსაზღვრას გვთავაზობს: „კოლხეთის სამეფო ადრეკლასობრივი სახელმწიფო იყო. საზოგადოების ზედაფენა მცირერიცხოვან მონებს გარდა ექსპლუატაციას უწევდა რიგით მეთემეთა - თავისუფალ თუ ნახევრად თავისუფალ მიწათმოქმედთა ფართო მასებს".

ერთადერთი წყარო, რომლის მიხედვითაც შეიძლება ვიმსჯელოთ კოლხეთის სამეფოს სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის შესახებ არის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა." ამ თვალთახედვით ძვ.წ. III ს-ის ბერძნული ეპიკური პოემის ცნობები სამეცნიერო მიმოქცევაში პირველად შემოიტანა პროფ. თ. მიქელაძემ, რომელმაც დასახელებული ნაწარმოები ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრისა და I ათასწლეულის დასაწყისის კოლხეთის საზოგადოებრივი წყობის ამსახველად მიიჩნია. რა თქმა უნდა, შესაძლოა, ჩვენ გარკვეული ეჭვით შევხედოთ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" წარმოდგენილი კოლხეთის სოციალურ-ყოფითი რეალიების ასე ადრეული ხანით დათარიღების შესაძლებლობას, მაგრამ პროფ. თ. მიქელაძისეული ანალიზი ზოგიერთი სოციალური ტერმინისა უაღრესად საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი. ამასთან, მგონია, რომ აპოლონიოს როდოსელის პოემა შეიძლება ასახავდეს კოლხეთის საზოგადოებრივ ურთიერთობათა რამდენადმე რეალურ სურათს იმ დროისათვის მაინც, როდესაც ბერძნულ სამყაროში პირველად ჩნდება კოლხეთის მეტ-ნაკლებად დაწერილებითი აღწერილობანი ე.ი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" წარმოდგენილი სოციალურ-ყოფითი რეალიები უფრო ძვ.წ. VII-V სს-ის ვითარებას უნდა ასახავდნენ.

თ. მიქელაძის აზრით, კოლხეთის საზოგადოების ძირითად ნაწილს წარმოადგენდნენ თავისუფალი მეთემეები, რომელნიც აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში" (III, 245) იწოდებიან როგორც „კოლხები" ან „ძენი კოლხებისანნ", ანდა პირდაპირ „დემეტრიო", რაც ნიშნავს „დემების წარმომადგენელს თუ მეთემეს". ისინი იყვნენ ძირითადი მწარმოებლები - მიწათმოქმედნი, მელითონენი, მეთუნენი. ისინი მონაწილეობდნენ სახალხო კრებაში და ქმნიდნენ მეფის ლაშქარს. არათავისუფალი მწარმოებლები - მონები და მსახურნი „არგონავტიკაში" მოიხსენიებიან ორი ტერმინით: „'αμφίπολος" (III, 247, 843, 870) და „δμωες" (III, 272, 299). ეს ტერმინები მონათა აღსანიშნავად მოხსენიებულია ჰომეროსის „ოდისეაშიც": მათგან პირველი ტერმინი აღნიშნავს „მსახურ ქალს" (უპირატესად „მხლებელს"), ხოლო მეორე - „მონას", „ტყვეს". აპოლონიოს როდოსელის თხზულების მიხედვით ეს უკანასკნელნი სამეფო კარს ემსახურებიან.

ამრიგად, უაღრესად მწირი წერილობითი ცნობების და მათი არქეოლოგიური მონაცემებთან შედარების საფუძველზე, მაინც მეტნაკლებად თვალსაჩინოდ ისახება ძვ.წ. VIII-IV სს-ის კოლხეთის საზოგადოების საკმაოდ რთული და მკვეთრად დიფერენცირებული საზოგადოებრივ-კლასობრივი სტრუქტურა. სოციალური იერარქიის უმაღლეს საფეხურზე იდგნენ მეფე და მისი მოხელეები ე.ი. კლასი ადამიანებისა, რომელნიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ფლობდნენ საწარმოო საშუალებებს და ეწეოდნენ სხვისი შრომის ექსპლუატაციას. მათ უპირისპირდებოდა თავისუფალ მწარმოებელთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენა - ძირითადად მეთემეები, რომელნიც თუმც ფლობდნენ წარმოების საშუალებებს, მაგრამ განიცდიდნენ მმართველი ზედაფენის ექსპლუატაციას ეკონომიკური იძულების გზით.

ბევრად უფრო მრავლისმეტყველი და საიმედოდ დოკუმენტირებული მონაცემები გვაქვს ძვ.წ. VII-IV ს-ის პირველი ნახევრის კოლხეთის ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ: ესაა არქეოლოგიური მასალები.

კოლხეთის ეკონომიკური განვითარებისათვის, პირველ რიგში კი - მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციისათვის, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რკინის წარმოებას. სწორედ რკინის ფართოდ ათვისებამ, რომელსაც თან სდევდა თვისობრივად ახალი და მაღალი დონე წარმოების საშუალებათა დამზადებისა, შეასრულა უაღრესად დიდი როლი საწარმოო ძალთა განვითარებაში, რაც აღინიშნა კარდინალური ძვრებით ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურსა და პოლიტიკურ სტრუქტურებში.

ძვ.წ. VIII-IV სს-ის კოლხეთში ყველა პირობა არსებობდა რკინის დამმუშავებელი წარმოების ინტენსიური განვითარებისათვის: 1. მდიდარი მადნეული (ძირითადად მაგნეტიტური რკინისა) ქვეყნის სხვადასხვა ოლქებში; 2. ხე-ტყის სიმრავლე (ანტიკურ მწერალთა ცნობებით დადასტურებული), რომელიც წარმოებას ამარაგებდა აგრე მნიშვნელოვანი საწვავსათბობი მასალით; 3. ლითონის დამუშავების მრავალსაუკუნოვანი და უწყვეტი ტრადიციები.

ახლა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია რკინის მეტალურგიის სწრაფი განვითარება უკვე ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან - ყოველ შემთხვევაში VIII-VII სს-დან. ბუნებრივია, რომ VI-IV სს-ად უნდა მივიჩნიოთ რკინის ინდუსტრიის კიდევ უფრო ფართოდ განვითარებისა და აყვავების ხანად, რადგან ამ დროს როგორც საომარი, ასევე სამეურნეო იარაღებიც უკვე მთლიანად რკინისაგანაა დამზადებული.

წერილობითი წყაროების სიმცირის პირობებში კოლხური მეტალურგიისა და, კერძოდ, რკინის დამუშავების შესწავლისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიურ მასალებს, აგრეთვე ეთნოგრაფიულ მონაცემებს. ამ უკანასკნელთა მეშვეობით შეიძლება აღვადგინოთ ძველი მეტალურგიის ისტორიის არაერთი მხარე, არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ საკულტო-იდეოლოგიურიც.

ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე რკინის საბადოები ძირითადად დღევანდელ აჭარაში, აფხაზეთში, სვანეთსა და რაჭაშია თავმოყრილი. ამ მთიან ოლქებში თითქმის ყველგან გეხვდება რკინის ძველი გამონამუშევრები, რკინის საწური ქურის ნაშთები, წიდის გროვები ან სხვ.

ძვ.წ. VI-IV სს. რკინის დამმუშავებელი წარმოების მძლავრი კერა აღმოჩენილია სვანეთში, ჭუბერის თემში. ლითონის პირველად დამუშავებასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი ნაშთები, საქშენი მილები და წიდების განსაკუთრებული სიმრავლე არქეოლოგებს ავარაუდებინებს წარმოების ფართო მასშტაბებს, რაც რკინის მადნეულის უშუალოდ სიახლოვეზე იყო დაფუძნებული.

რკინის წარმოების ნაშთები - რკინის საწური ქურა, საბერელის მილები, დიდი რაოდენობის წიდები - ნაპოვნია კოლხეთის ჩრდ.-აღმ. რაიონებშიც არგვეთის ოლქში, სოფ. ნავარძეთში.

ძვ.წ. I ათასწლეულის (ანტიკური და წინარე ანტიკური პერიოდები) მძლავრი მეტალურგიული კერა ყველაზე უკეთ და თვალსაჩინოდ აჭარა-გურიის ტერიტორიაზეა გამოვლენილი. აქ მრავლადაა აღმოჩენილი რკინის სადნობი ქურები, შლაკი, ცეცხლგამძლე თიხის შესანახად განკუთვნილი მოედნები, საქშენ-საბერელი მილები და სხვ. ნაშთები.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ VI-IV სს-ში რკინის დამუშავება წარმოებდა აგრეთვე მეტალოგენური რაიონებიდან დაშორებულ ცენტრებშიც. ამას კი ძალზე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა შინა ეკონომიკური კავშირების შემდგომი განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში საინტერესოა ქუთაისში ძვ.წ. V ს. კულტურულ ფენაში ნაპოვნი საბერელის მილი, ბოლომომწვარი. აქვეა ნაპოვნი კოლხური ტიპის მინიატურული ცულისა და აგრეთვე სატეხის ყალიბები, რამაც სხვა მონაცემებთან ერთად თავის დროზე ჩვენ იქ ძველი ქალაქის საწარმოო უბნის არსებობა გვავარაუდებინა.

რკინის წარმოების ფართო მასშტაბების პირდაპირი მოწმობაა ძვ.წ. VI-IV სს-ის კულტურულ ფენებში და, განსაკუთრებით, სამარხებში ნაპოვნი მრავალფეროვანი სამეურნეო და საომარი

დანიშნულების საგნები: თოხები, ცულები, დანები და ნამგლები, მახვილები, სატევრები, შუბისა და ისრის პირები, ფარი, ცხენის აკაბულობის ნაწილები და მრავალი სხვ.

ძალზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ძვ.წ. VI-IV სს-ის რკინის ნაწარმი ტიპოლოგიური თვალსაზრისით ზზრად იმეორებს იმავე ფორმებს, რომლებიც კოლხეთში ბრინჯაოს ეპოქაში შეიქმნა. ასე მაგ. ძვ.წ. VI-IV და მომდევნო საუკუნეებშიც ფართოდ გავრცელებულ ცულ-ჩაქუჩებს გენეტურად ძვ.წ. II-I ათასწლეულების ცნობილ ბრინჯაოს კოლხურ ცულებს უკავშირებენ. ზუსტად ასევე, ძალზე თავისებური ცელისებური წალდები, ალ. კალანდაძის დაკვირვებით, სათავეს ბრინჯაოს ცულებში იღებენ და უკანასკნელ დრომდეა გამოყენებული, მაგრამ ოდნავ სახეცვლილი, არა მხოლოდ ტყისა და ბუჩქნარის საკაფავად, არამედ ვენახისა და სხვა ხილის სასხლავად.

ამრიგად, საესებით თვალსაჩინოა კოლხეთში რკინის დამუშავების მაღალი დონე და წარმოების საკმაოდ ფართო მასშტაბები, რაც მიწათმოქმედებისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარებისა და აგრეთვე - სამხედრო საქმის ინტერესებით იყო განპირობებული: რკინის სადნობის ქურებისა და სასოფლო-სამეურნეო თუ საომარი იარაღების ასეთი არაჩვეულებრივი სიმრავლე, რაც, რამდენადაც ვიცი, ამ დროისათვის თითქოს არსად სხვაგან მსოფლიოში აგრე თვალსაჩინოდ არაა გამოვლენილი, ზემოთქმულის მჭერმეტყველი მოწმობაა. რკინის წარმოების ფართო მასშტაბების შესანიშნავი ილუსტრაციაა თითქმის ყველგან კოლხეთში რკინის იარაღების აგრე მრავლად აღმოჩენა. ასე მაგ. ერგეტის სამაროვანზე ძვ.წ. VII ს-ის მხოლოდ ერთ (მაგრამ კოლექტიურ) სამარხში აღმოჩენილია რკინის 142 თოხი, 28 სახნისი, 27 ნამგალი, აგრეთვე სეგმენტები (შესაძლოა, პრიმიტიულ სახნავ იარაღადაც გამოყენებული, ვაზის სასხლავი დანები და სხვ.

ცნობილია, რომ სასოფლო-სამეურნეო იარაღების სამარხებში აღმოჩენა, საერთოდ, იშვიათი შემთხვევაა მსოფლიო არქეოლოგიაში. „მიუხედავად იმისა, რომ მიწისმოქმედებამ ადამიანთა ცხოვრებაში მთელი გადატრიალება მოახდინა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები თითქმის არასოდეს არ გვხვდება სამარხებში" - წერდა გამოჩენილი ინგლისელი არქეოლოგი გორდონ ჩაილდი. კოლხეთში კი, სასოფლო-სამეურნეო იარაღების სამარხებში აღმოჩენა საყოველთაოდაა დადასტურებული და მით ის თვალსაჩინო მოწმობაა ქვეყნის ეკონომიკაში მიწათმოქმედების წამყვანი როლისა, რაც აგრე თვალსაჩინოდ აისახა ძველ ბერძნულ მითოლოგიურ წარმოდგენებშიც კოლხეთის შესახებ. ასე მაგ., არგონავტიკის ყველა ვერსიაში კოლხეთი განვითარებული მიწათმოქმედების ქვეყნადაა წარმოდგენილი და ეს ნიშანი მეფე აიეტშიაც ბრწყინვალედაა განსახიერებული: მიწათმოქმედებაა კოლხთა მეფის ძლიერების სიმბოლო და ამიტომაც იგი ოქროს საწმისის მოსაპოვებლად მოსული ბერძენთა წინამძღოლს იარაღით კი არ ეპაექრება, არამედ ხვნა-თესვაში გამოიწვევს, რადგან მხოლოდ მას ძალეძს „ხილენძისჩლიქებიანი, ცეცხლისმფრქეველი ხარების უღელში შებმა", სწორი ღრმა ხნულების გავლება, დილიდან დაღამებამდე დათესვა და მოსავლის მკა (შდრ. აპოლონიოს როდოსელი, „არგონავტიკა," III, 408). მითიური კოლხეთის ეს სიმბოლოც, რომელიც აგრეთვე წითელ ზოლივით გასდევს არგონავტიკის ყველა ვერსიას, რეალურ საფუძველზეა აღმოცენებული და შესანიშნავადაა ილუსტრირებული ძვ.წ. II და I ათასწლეულების მეტად მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალებით.

რკინის იარაღების გამოყენებამ უდიდესი როლი შეასრულა სამიწათმოქმედო მეურნეობის ინტენსიფიკაციაში, რამდენადაც იგი უკვე უზრუნველყოფილი იყო სხვადასხვა დანიშნულების ტყის საჩეხი და მიწის სათხრელ-დასამუშავებელი იარაღებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღიარებულია, რომ მიწათმოქმედება კოლხეთში გუთნურ-თოხნითი იყო, რასაც მოწმობს რკინის სახნისებისა თუ სახნისებური იარაღების მრავლად აღმოჩენა და აგრეთვე ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი სახვნელი იარაღების საგანგებო შესწავლა.

მემინდვრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მარცვლეულ კულტურებს. მოყავდათ ფეტვი და სხვადასხვა ჯიშის მარცვლეული („მახა", „რბილი ხორბალი", „კოლხური სპელტა"), რომელთა ნაშთები გვხვდება ძვ.წ. I ათასწლეულის კოლხურ ნამოსახლარებზე. მარცვლეულის შესანახად იყო განკუთვნილი დიდი ზომის ქვევრები, რომელთაც ძირთან და მხრებზე საკვებტილაციო ხვრელებიც აქვთ გაკეთებული. ტექნიკური კულტურებიდან ფართოდ იყო კულტივირებული სელი და კანაფი, რომლებიც ექსპორტის საგანსაც კი შეადგენდნენ.

არქეოლოგიური მასალები მოწმობენ აგრეთვე მევენახეობისა და მეღვინეობის ინტენსიურ განვითარებას, რაზედაც მიუთითებს ვაზის სასხლავი რკინის დანებისა და საღვინე ჭურჭლის (ქვევრები, დოქები, სასმისები) სიმრავლე. ფიქრობენ, რომ მიწათმოქმედების ისეთი ინტენსიური დარგების განვითარება, როგორიცაა მევენახეობა და მებაღეობა, უთუოდ ხელს უწყობდა მიწაზე კერძო საკუთრების წარმოქმნას.

კოლხეთის მიწათმოქმედების ცალკეული დარგების შესწავლა, ამრიგად, გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ სამიწათმოქმედო მეურნეობის განვითარების საკმაოდ მაღალი დონე, რაც უზრუნველყოფდა ჭარბი პროდუქტის წარმოებასა და სასაქონლო წარმოების განვითარებას.

მიწათმოქმედებასთან ერთად მეურნეობის დაწინაურებულ დარგს წარმოადგენდა მესაქონლეობა - წვრილი და მსხვილი რქოსანი პირუტყვის, ღორის, ფრინველის გაშენება, რასაც თვალსაჩინოდ მოწმობს ძვ.წ. VII-V სს-ის ნამოსახლარებზე მათი ძვლების ხშირი აღმოჩენები.

ძვ.წ. VII-V სს-ის კოლხურ ნამოსახლარებში აშკარად ისახება დასახლებათა საკმაოდ მყარი და ორგანიზებული სისტემა. შეიმჩნევა მათი აღმავლობა უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან და თანდათანობითი ზრდა. ძვ.წ. VIII-VII და მომდევნო საუკუნეებში კოლხეთში ნამდვილი დემოგრაფიული ბუმი აღინიშნება: ძალზე მჭიდროდ ჩანს დასახლებული, როგორც ბარი, ასევე მთისწინა ზოლი და მთიანი ოლქები.

ძვ.წ. VII-V სს-ის (ისევე როგორც წინამორბედი ხანის) კოლხური დასახლებანი ძირითადად ხუტორული ტიპისაა. ისინი განლაგებულია ბუნებრივ შემაღლებებზე ან ხელოვნურ მიწა-ყრილებზე.

გარშემორტყმულია ერთი ან ორმაგი თხრილით, რომელთაც თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდათ. ძირითად საშენ მასალას ხე წარმოადგენდა.

კოლხური საცხოვრებელი სახლის აღწერილობა რომაელ არქიტექტორ ვიტრუვიუსთანაა შემონახული (იხ. ვიტრუვიუსი, „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ", II, 1, 4, 6):

„კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო აწყობენ მიწაზე მარჯვნივ და მარცხნივ მთლიან ხეებს ერთმანეთს შორის მათი სიგრძის ტოლი მანძილის დატოვებით, მათ ზემოდან კი თავსა და ბოლოს გარდიგარდმო გასდებენ სხვა ძელებს, რომლებიც ამგვარად ზღუდავენ ბინის შინაგან სივრცეს. შემდეგ, ოთხივე მხარეს კუთხეებში შეუღლებული ხეების თანდათანობითი წყობით ამოყავთ რა ძირითა ძელების შვეულად ხის კედლები, აგებენ კოშკებს, და შუალედებს კი, რომლებიც ხეებს შორის რჩება მათი სისქის გამო, ამოავსებენ ფათხებითა და თიხით. ასევე (აგებენ) სახურავებსაც: გასდებენ რა ნაპირიდან დაცილებით გასაყარებს, რომლებიც ზევითკენ თანდათანობით მოკლდება, ოთხივე მხრიდან შუისკენ ამოჰყავთ პირამიდები, რომლებიც ფოთლებითა და თიხით დახურულნი წარმოადგენენ ბარბაროსთათვის კუსმაგვარ კოშკურ სახურავებს".

მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ვიტრუვიუსის აღწერილობაში წარმოდგენილია კოლხური საცხოვრებელი სახლის უძველესი ტიპი: ცენტრალურ ერდოიანგვირგვინიანი კოშკურა ძელური ნაგებობა.

ვიტრუვიუსის ცნობები არქეოლოგიურადაც დასტურდება: კოლხეთის თითქმის ყველა კუთხეში აღმოჩენილია ძელურ, „ჯარგვალის" წესით ნაშენი სახლების ნაშთები და მათი ცალკეული დეტალები.

კოლხეთში ხის არქიტექტურის განვითარებას განაპირობებდა ტყეების (და მაშასადამე - სამშენებლო მასალის) სიმრავლე და კლიმატური პირობები. სამშენებლო წესების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ძველი კოლხური ნამოსახლარების - ნამჭედურის, ნოსირის, სიმაგრეს არქეოლოგიური გათხრები.

კოლხეთში აღმოჩენილი უძველესი ხის ნაგებობანი ძვ.წ. III ათასწლეულით თარიღდება და შენობის ძირითადი წესი („ჯარგვალი") თავს ინახავს თითქმის უკანასკნელ დრომდე.

ძვ.წ. VI-V სს-ის ხის საცხოვრებელი კომპლექსი ყველაზე უკეთ სიმაგრეს ნამოსახლარზეა წარმოდგენილი. საცხოვრებელი ჩვეულებრივ შედგება ერთი ან რამდენიმე ძელურად ნაგები სწორკუთხა ოთახისა და დამხმარე სათავსოებისაგან.

არქეოლოგიური გათხრები მოწმობენ, რომ კოლხეთში ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე თიხით ორმხრივ შელესილი ნაგებობანი, რასაც თვალსაჩინოდ მოწმობს ნამოსახლარებზე მრავლად აღმოჩენილი ხის ძელებისა და წნულის ანაბეჭდებიანი ბათქაშის ფრაგმენტები. სიმაგრეს ნამოსახლარზე დაფიქსირებულია სწორკუთხა (მეტწილად კვადრატული) თიხატკეპნილ იატაკიანი ხის ნაგებობანი (5,80 x 5,60 მ), რომელთა კედლებიც თიხით ყოფილა შელესილი. ანალოგიური ნაგებობანი დადასტურებულია თითქმის მთელ კოლხეთში, მათ შორის მთიან ოლქებშიც.

ზემოაღწერილი წესით შენდებოდა აგრეთვე საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობანიც.

ძვ.წ. V ს-ის ხით ნაგები და თიხით შელესილი საკულტო ნაგებობა აღმოჩენილია ვანში - ნაქალაქარის ზედა ტერასაზე.

ესაა დღემდე უცნობი ტიპის ხით ნაგები ტაძარი-სამლოცველო ძვ.წ. V საუკუნისა, რომელიც ზედა ტერასის შუა ნაწილში ყოფილა აღმართული.

ხის შენობა თავის დროზე თიხით ყოფილა შელესილი და იგი ძლიერი ხანძრისაგან დაღუპულა. ამიტომაც მთელი ფართობი დაფარული იყო ცეცხლისაგან გამომწვარი და ძლიერ გაწითლებული თიხის ბათქაშებით, რომელთაც თვალნათლივ ეტყობოდათ ხის ფიცრებისა და წნულის ანაბეჭდები.

ეს ტაძარი-სამლოცველო თავისი გეგმით რუსული „პ"-ს მოყვანილობისაა. საკმაოდ საინტერესოა მისი მშენებლობის ტექნიკა. ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების სიგანე ორ მეტრამდე აღწევს და შემდეგნაირადაა ნაგები: კედლების გარე და შიდა ნაწილები გრძივი ხის ძელებითაა შექმნილი, მათ შორის სივრცე კი ასევე ხის განივი ძელებითაა დატიხრული და შემდეგ თიხითა და რიყის ქვებით ამოვსებული. დანარჩენი ნაწილი კი წარმოადგენდა დახურულ კორიდორს, რომლის კედლები რამდენადმე განსხვავებული წესითაა ამოყვანილი: დაახლოებით 20 მეტრის სიგრძეზე კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი სწორკუთხა ფოსოების ორი ერთმანეთის პარალელური რიგია (5 მეტრი სიგანისა). სწორკუთხა ფოსოებში ჩადგმული აღმოჩნდა ხის გრძივად ჩადგმული მოკლე ძელები, რომლებიც თავისებური ბალიშის ფუნქციას ასრულებდნენ. ხის ბალიშებზე კი ჯარგვალის წესით ყოფილა ამოყვანილი განივად დაწყებული ფიცრები, რომლებიც ქმნიდნენ დახურული კორიდორის გარე და შიდა კედლებს. ამრიგად რუსულ „პ"-ს მაგვარი შიდა ეზო, რომელიც აღმოსავლეთითაა ღია, წარმოადგენდა ღია ცის ქვეშ სალოცავსა და სარიტუალო მოედანს, დახურული კორიდორი კი შესაწირავისათვის იყო უთუოდ განკუთვნილი. აქ მრავლად აღმოჩნდა კოლხური თიხის ჭურჭელი და აგრეთვე რამდენიმე ფრაგმენტი ბერძნული მოხატული კერამიკისა.

ზე ფართოდ გამოიყენებოდა აგრეთვე საფორტიფიკაციო მშენებლობაშიც. სოფ. მთისძირში (ვანის ჩრდილოეთით 10 კმ-ზე) აღმოჩენილია ნაშთები ძვ.წ. V-IV სს-ის სწორკუთხა ნაგებობისა, რომელიც თავის დროზე კოშკის ფუნქციას ასრულებდა. შემოინახა მისი ზეძირკველი (ცოკოლი), რომელიც შერეული ტექნიკითაა ნაგები: საფასადო ნაწილი ამოყვანილია კლდოვან დედაქანში ამოკვეთილ „ბუდეებში" ჩასმული ქვის ფილებით, ხოლო შიდა ნაწილი - ხის ძელებით. მათ შორის სივრცე დატიხრულია და შევსებულია თიხანარევი ღორღით. კედლები თიხით ყოფილა შელესილი.

მოსახლეობის ყოფისა და განსაკუთრებით კი - რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ მრავალფეროვან ინფორმაციას შეიცავენ კოლხეთის რიგითი მიწათმოქმედი მოსახლეობის სამარხები. დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ოლქებში აღმოჩენილ ინდივიდუალურ ინჰუმაციურ სამარხებთან ერთად დადასტურებულია მიცვალებულთა სრული კრემაცია. ამასთან ზოგჯერ ხდებოდა მიცვალებულის

დაწვა სამარხს გარეთ და შემდეგ მისი ნაშთების ორმოში ჩასვენება ინვენტართან ერთად ან კიდევ - ნაწილობრივი კრემაცია (ძვლების დანახშირებამდე) თვით სამარხ ორმოში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საკმაოდ სპეციფიკური კოლექტიური სამარხები და მათთან დაკავშირებული საკულტო მოედნები. ცეცხლის ძლიერი კვალი, ცხოველთა ძვლების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები და საგანგებოდ დამსხვრეული თიხის ჭურჭელი (დოქები, სასმისები) მოწმობენ, რომ „საკულტო" მოედნებზე აღაპი და მიცვალებულს კულტთან დაკავშირებული რიტუალები სრულდებოდა. სამარხი ორმოები ამოჭრილია დედაქანში და საკმაოდ დიდი ზომისაა (ზოგჯერ მათი ფართობი 60 m^2-საც კი აღწევს). საკულტო მოედნები და ზოგჯერ კი სამარხი ორმოც რიყის ქვებითაა დაფარული. საკულტო მოედანზე აღმოჩენილ ადამიანთა ძვლებს აშკარად ეტყობათ ძლიერი ცეცხლის კვალი, რაც ნაწილობრივი კრემაციისა და სარიტუალო ცეცხლის გამოყენებით ე.წ. მეორადი დაკრძალვის წესზე მიუთითებს. ამგვარი კოლექტიური სამარხები კოლხეთის სხვადასხვა ოლქებშია დადასტურებული. ასეთ სამარხებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინვენტარია წარმოდგენილი: თიხის ჭურჭელი (ყურმილიანი დოქები, ორყურა ჭურჭელი, თასები და სასმისები), საომარი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები (ბრინჯაოს ცულები, რკინის თოხები, სეგმენტები, სახნისები, დანები და ნამგლები), სამკაული (ბრინჯაოს ხატისუღლები, მშვილდსაკინძები, სამაჯურები, აგრეთვე სარდიონის, გიშრის, ფერადი და გამჭვირვალე მინის მძივები), ადამიანისა და ცხოველთა ბრინჯაოს ქანდაკებანი.

ვარაუდობენ, რომ საკულტო მოედნიდან განსვენებულის განსაკუთრებული ნაწილები, დაუწვავად, ინვენტართან ერთად (ქსოვილში ან ტყავში გახვეული) საგანგებოდ გამართული კირიდორით შეაქონდათ დიდი ზომის სამარხ ორმოებში, რომელიც ხით იყო შემორაგული, ალბათ გადახურულიც და ქმნიდა თავისებურ სახლს, აკლდამას, რომელიც შევსების შემდეგ მიწით იესებოდა და მის ნაცვლად ახალი აიგებოდა. წერილობითი წყაროების - კერძოდ აპოლონიოს როდოსელის, აგრეთვე ნიმფოდორ სირაკუზელის, ნიკოლოზ დამასკელის, კლავდიუს ელიანუსის და ფსევდო-პლუტარქეს ცნობებისა და არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ზემო აღწერილ კოლექტიურ სამარხებში დაკრძალვა ორ ეტაპად მიმდინარეობდა. ჯერ ხდებოდა მიცვალებულების ტყავებში გახვევა და ხეზე ჩამოკიდება, ხოლო შემდეგ არქეოლოგიურად დადასტურებული ზემოაღწერილი წესით დაკრძალვა. ამაკე სამარხებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა საინტერესოა იმითაც, რომ იგი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის აგრეთვე კოლხთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შესახებ.*

საგანგებოდაა აღსანიშნავი, შეიძლება ითქვას, სრულიად უნიკალური და ბრწყინვალე არქეოლოგიური აღმოჩენა სოფ. ურეკში. აქ ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებულ კოლხურ სამაროვანზე, ერთ-ერთ სამარხში ბრინჯაოსა და რკინის მრავალ სასოფლო-სამეურნეო იარაღთან ერთად ნაპოვნია ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკება, რომელიც წარმოსახავს ტახტზე მჯდომ ქალს, ხელში რომ ბავშვი უკავია. ესაა „ღმერთების დიდი დედა" ანუ „დიდი დედის" ქანდაკება. მასთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს ქანდაკებები ფრინველებისა, ხარისა, შველისა და ავაზისა. ძველი აღმოსავლური მითოლოგიის თანახმად, ცხოველები და ფრინველები „დიდი დედის" განუყრელი თანამგზავრები არიან და ასახიერებენ „ღმერთების დიდი დედის" უმთავრეს ფუნქციას. „დიდი დედა" ხომ ნაყოფიერების სიმბოლოა, მიწათმოქმედების მფარველი, მცენარეულობისა და ცხოველთა გამამრავლებელი, ყოელისშემქმნელი მიწის უმაღლესი ღვთაება. „ღმერთების დიდი დედის" კულტის არსებობა ამ დროის კოლხეთში სხვა მონაცემებითაც დასტურდება ვანის მახლობლად სოფ. ხულორში (ერთ-ერთ ადგილს, ადგილობრივი მოსახლეობა „საკაკილეს" რომ უწოდებს) შემთხვეევით, მიწის სამუშაოების დროს, აღმოჩნდა ძვ.წ. VIII-VII სს-ის კოლხური ბრინჯაოს ცული, რომლის ყუაზე სკულპტურული კომპოზიციაა. გამოსახულია ორი მხედარი, რომელთაც ზურგზე ისრიანი კაპარჭები აქვთ, ხოლო ერთ-ერთ მათგანს ხელთ

---

* ძვ.წ. VII-V სს-ის კოლხთა რელიგიის შესახებ წერილობითი მონაცემები არ გაგვაჩნია. ერთადერთი ცნობა შემონახულია აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკაში", რომელიც თუმც ძვ.წ. III ს-შია შექმნილი, მაგრამ ავტორს გამოუყენებია უფრო ძველი წყაროები და ამდენად პოემაში წარმოდგენილი ზოგიერთი ცნობა უფრო ადრინდელი ვითარების ამსახველად შეიძლება მივიჩნიოთ. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ცნობა (III, 699) იმის შესახებ, რომ კოლხთა „უდიდესი ზეციერია"...„დიდი ზეცა (ურანოსი) და მის ქვეშ მყოფი დედამიწა (გეა)". ეს უკანასკნელი „ღმერთების დედად" არის მოხსენებული (III, 716). საინტერესოა, რომ ვანში აღმოჩენილი ელინისტური ხანის ბერძნულ წარწერაშიც უმაღლეს ღვთაებად დასახელებული ჰრიან გეა (დედამიწა), ჰელიოსი (მზე) და მეისი (მთვარე). ეთნოგრაფიული, ენობრივი და გვიანდელი წერილობითი ცნობებისა და აგრეთვე არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ კოლხთა პანთეონში უპირველესი ადგილი ეკავათ სწორედ მზესა და მთვარეს, რომელთა თაყვანს სცემდნენ როგორც ანთროპომორფულ სამიწათმოქმედო ღვთაებებს.

კვერთხი უპყრია. ესენი უთუოდ არიან „ღმერთების დიდი დედის“ მხედრები, რომელთა გამოსახულებანი ფართოდ ყო გავრცელებული ძველ ხალხებში. საინტერესოა, რომ თვით ეანშიცაა ნაპოვნი ძ.წ. IV ს-ით დათარიღებული ოქროს საყურეები მხედრების გამოსახულებით, რომელნიც შესაძლოა აგრეთვე „დიდი დედის“ მხედრებს წარმოსახავდნენ.

შესაძლოა „დიდი დედის“ კულტთანაა დაკავშირებული აგრეთვე ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ძ.წ. VIII-VII სს-ის სამსხვერპლო მოედანი, რომელზედაც რამდენიმე ასეული (!) ჭურჭლის ფრაგმენტებია აღმოჩენილი. იქვეა ნაპოვნი სხვადასხვა ცხოველთა (ირემი, ხბო, ღორი, ვერძი, ხარი და სხვ.) და ორ და სამთავიან ფანტასტურ არსებათა ტერაკოტული (გამომწვარი თიხის) ქანდაკებანი. ახლა ძნელია ამ სკულპტურულ გამოსახულებათა სიმბოლიკის ინტერპრეტაცია, განსაკუთრებით ორ და სამთავიან არსებათა (ისინი გვხვდება აგრეთვე ძველი ირანის, საბერძნეთის და იტალიის არქეოლოგიურ მონაპოვარშიც და იხსენიებიან ხეთურ ტექსტებშიც). გამორიცხული არ უნდა იყოს მათი კავშირი „დიდი დედის“ კულტთან, რამდენადაც მრავალი მაგალითია იმისა, რომ ხშირად „დიდი დედა“ - ღვთაება გამოისახებოდა ხოლმე მის მიერ შექმნილ და მას დამორჩილებულ სულიერ არსებათა სახით. ჯერ კიდევ II ს-ში ცნობილი რომაელი მწერალი ლუციუს აპულეუსი „დიდ დედას“ ათქმევინებს: „მე ვარ ბუნება, დედა ყველა სულიერისა, მპყრობელი სტიქიისა, საწყისი ყველა საწყისისა, უმაღლესი ღვთაება. თუმც ერთი ვარ მე, მაგრამ თაყვანს მცემენ ი·ვევე მრავალსახეობით, რამდენი მიწიერი არსებაცაა ამ ქვეყანაზე“.

არქეოლოგიური მასალა მოწმობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მითოლოგიური რწმენა-წარმოდგენების არაჩვეულებრივ სიმტკიცესა და უწყვეტ ეთნოკულტურულ ტრადიციებს. თავისთავად კი ეს თვალსაჩინო მოწმობაა იმისა, რომ ამ დროისათვის კოლხეთში უკვე სისტემის სახითაა ჩამოყალიბებული სამიწათმოქმედო კულტი, აგრეთვე მითოლოგიური შემოქმედება მისი მხატვრული გაბრწყინებისა და წარმოსახვის ფორმებით.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძვ.წ. VIII-V სს-ში „დიდი დედის“ კულტს ოფიციალური, საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდა.

კოლხთა ძველი რელიგიური რწმენების ამსახველი ბრინჯაოსა და თიხის ნაკეთობანი იმავე დროს წარმოადგენენ ძვ.წ. VII-V სს-ის მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავ ნიმუშებსაც. ამ ასპექტში არქეოლოგიური მასალები წარმოადგენდნენ მრავალმხრივ მნიშვნელოვან წყაროს ხელოსნური წარმოების ისტორიისთვისაც. ხელოსნური წარმოება კი შეადგენდა ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს იმ ეკონომიკური ბაზისა, რომელზედაც დაფუძნებული იყო ძვ.წ. VII-IV სს-ის ბრწყინვალე და უაღრესად თავისთავადი კოლხური კულტურა.

ხელოსნური წარმოების განვითარებისათვის რამდენიმე პირობაა აუცილებელი, პირველ რიგში, ნედლეული. ხელშემწყობ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე წინამორბედი ეპოქების ტექნიკური მემკვიდრეობა (ე.წ. მიმღებობითი მემკვიდრეობა). პროდუქციის დასახასიათებლად კი აუცილებელია განისაზღვროს ტიპოლოგიური მოდელი, დამზადების ტექნიკა და სტილი, ცალკეული საწარმოო ცენტრების პროდუქციის გავრცელების არეალი.

ძვ.წ. VI-IV სს-ის ნამოსახლარი კულტურული ფენების და სამარხების გათხრებისას მოპოვებული მასალის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ნაწილს წარმოადგენს კერამიკა. ამ დროს თიხის ჭურჭელი ძირითადად სწრაფმბრუნავ კერამიკულ ჩარხზეა დამზადებული.

აღიარებულია, რომ კერამიკული ჩარხის შემოღება ყველაზე თვალსაჩინო და უტყუარი მოწმობაა კერამიკული წარმოების ცალკე და დამოუკიდებელ ხელოსნურ დარგად გამოყოფისა. თუ ეს ასეა, ამას კი თითქმის ყველა ერთხმად აღიარებს, ეს პროცესი კერამიკული ხელოსნობის გამოყოფისა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე დაიწყო გაცილებით ადრე: ჩარხზე დამზადებული ადგილობრივი კერამიკა აქ თითქოს ჩნდება ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულისა და I ათასწლეულის დასაწყისში. ყოველ შემთხვევაში, სრულიად დანამდვილებით, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების თიხის ჭურჭელი, რომელიც ჩვენთვის ვანის, დაბლაგომის, ანაკლიის, ოჩამჩირის, ქობულეთის და სხვა ნამოსახლარებიდან, აგრეთვე სოხუმის მახლობლად ე.წ. „წითელი შუქურას“ სამაროვნებიდანაა ცნობილი, უკვე ჩარხზეა ნაკეთები; ამავე დროს გამოირჩევა ფორმების სიმრავლითა და სინატიფით, მრავალფეროვანი გეომეტრიული ორნამეტით. ეს კი მოწმობს კერამიკული წარმოების ღრმა ფესვებს და ტექნიკური ჩვევების ფორმირების პროცესს ადგილობრივ ნიადაგზე. ძვ.წ. VIII-VII სს-ში განსაკუთრებით დამახასიათებელია კანელურებიანი ჭურჭელი (დერგები, დოქები და სხვ.), კონუსისებურძირიანი სასმისები, აგრეთვე რქისებურშვერილიანი (ე.წ. ზოომორფულ) ყურიანი თასები და დოქები.

ძვ.წ. VI-IV საუკუნეების კოლხმა მეჭურჭლეებმა, ამრიგად ჩარხიანი კერამიკის წარმოების ტექნიკური და მხატვრული მიღწევები თავიანთი წინამორბედი ეპოქისაგან მიიღეს.

მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციებმა განაპირობეს ის ფაქტი, რომ კერამიკული წარმოება ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხეთის ერთ-ერთ განვითარებულსა და მაღალდაწინაურებულ დარგს წარმოადგენს.

წარმოების ფართო მასშტაბის პირდაპირი მოწმობაა კერამიკული ნაწარმის არაჩვეულებრივი სიმრავლე და მისი მრავალფეროვნება: სხვადასხვა ფორმის დიდი ზომის სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელი (ქვევრები, დერგები), მრავალგვარი დოქები, ქოთნები, კათხები, მათარები, სხვადასხვა ზომის სასმისები, ჯამები, თეფშები, საბეჭდავები, ლითონსადნობი ქურა სახელოსნოებისათვის განკუთვნილი მილები და სხვ.

განსაკუთრებით დამახასიათებელია შავზედაპირიანი ქვევრები და დერგები, რომელნიც მარცვლეულის, ღვინის, ზეთის და სხვა სითხის შესანახად იყო განკუთვნილი. ძვ.წ VI-IV სს. მათ აქვთ კარგად პროფილირებული (ჭრილში სამკუთხა მოყვანილობის) პირის გვირგვინი, რომელიც ორნამენტირებულია თევზიფხური, გრეხილი, რომბული თუ სხვა სახეებით. ქვევრის მუცელგამობერილი ტანი დაფარულია წვრილი, მკაცრად ჰორიზონტალური ღარებით (თითქოს დაშტრიხულიაო) და შემკულია აგრეთვე რელიეფური ქედებით: ზოგიერთ ქვევრზე, უპირატესად ძვ.წ. IV ს-ში, გვხვდება ცხოველთა და ფანტასტიკურ არსებათა გამოსახულებაში, რომელნიც სტილისტურად თითქოს იმეორებენ კოლხური ბრინჯაოს ცულების გრავირებულ გამოსახულებებს.

კოლხური ქვევრები, როგორც წესი, კარგად და თანაბრადაა გამომწვარი 750-800° ტემპერატურაზე. კეცი შეიცავს კვარცის, ქარსისა და პლაგიოკლაზის მინარევებს.

ქვევრების დამზადება მეტად რთული და შრომატევადი პროცესია, რომლის შესახებ კონკრეტულ წარმოდგენას ეთნოგრაფიული მასალები გვიქმნიან. დიდი ზომის ქვევრების დამზადება რამდენიმე (ზოგჯერ 8-10) დღეს გრძელდებოდა და მასში რამდენიმე ოსტატი მონაწილეობდა.

ქვევრების დამზადება ადრეანტიკური ხანის კოლხეთში წარმოგვიდგება როგორც სრულად ჩამოყალიბებული და ცალკე დარგი კერამიკული ხელოსნობისა. ქვევრების ნატეხების არაჩვეულებრივი სიმრავლე ძვ.წ. VI-IV სს. ყველა კოლხურ ნამოსახლარზე უნდა მოწმობდეს იმას, რომ ქვევრების დამზადებაში დასაქმებული იყვნენ სპეციალიზირებული სახელოსნები. აქვე უნდა დავძინოთ, რომ სწორედ ამ ქვევრებით გაჭქონდათ კოლხეთიდან საექსპორტოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: თაფლი, ცვილი და ა.შ., რასაც მოწმობს კოლხური ქვევრების ახლა უკვე ძალზე ხშირი აღმოჩენები ყირიმისა და საერთოდ ჩრდ. შავიზღვისპირეთის ბერძნულ ქალაქებში.

თვალსაჩინო მრავალფეროვნებით ხასიათდება ყოველდღიური მოხმარების კერამიკაც. თუმცა საწარმოო კომპლექსები (სახელოსნოები, ქურები) ჯერ აღმოჩენილი არ არის, მაინც არავითარ ეჭვს არ იწვევს ამ კერამიკის ადგილობრივი წარმომავლობა. ამის მოწმობაა ტიპოლოგიური თავისებურებანი (ფორმა, ორნამენტი), რომელიც არ გვხვდება კოლხეთის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე თიხის შემადგენლობა. ლაბორტორიულ-ტექნოლოგიურმა შესწავლამ ცხადყო, რომ სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების თიხის ჭურჭლებს თითქმის ერთგვაროვანი შემადგენლობის კეცი აქვთ.

ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკა ძირითადად შავი ფერისაა, ან ნაცრისფერზედაპირიანი. ზოგჯერ გაპრიალებულია. ფართოდაა გავრცელებული მრავალფეროვანი დოქები, რომელთაგან ტიპიურია ყურმილიანი დოქები, უპირატესად ბიკონუსური ფორმისა, სხვადასხვა ფორმის სასმისები, ჯამები და სხვ.

სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ჭურჭელი ერთიანდებიან ორნამენტული დეკორით: წნეხვით გამოყენებული ვერტიკალური ხაზები, რომბული ბადე, სავარცხლისებური იარაღით შესრულებული ტალღოვანი ორნამენტი, სპირალური ხაზები, ნაჭდევი კონცენტრული წრეები, თევზიფხური და წიწვისებური ორნამენტი ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკის დეკორის ძირითადი სახეებია და ერთდროულად გვხვდება სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ჭურჭელზე.

ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკა გამოირჩევა საკმაოდ ნატიფი ფორმებით, რომელიც ან მკვეთრი ბიკონუსური მოყვანილობითაა ხასგასმული, ან კიდევ ერთი ნაწილის მეორეზე თანაბარი გადასვლით. ჭურჭლის ფორმა და ხაზების კონტური მოხდენილადაა შერწყმული მკაცრ გეომეტრიულ ორნამენტთან. თავისი ტექნიკური თვისებებით კოლხი მეჭურჭლეების ნაწარმი ძირითადად საკმაოდ მაღალი თვისებებით გამოირჩევა და მისი საუკეთესო ნიმუშებით ხშირად არ ჩამოუვარდება იმპორტულს და აქტიურ კონკურენციას უწევს მას.

ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური თიხის ნაწარმის არაჩვეულებრივი სიმრავლე და მრავალფეროვნება მოწმობს არა მხოლოდ ხელოსანთა მაღალ პროფესიულ დონეს, არამედ კერამიკული წარმოების ძალიან ფართო მასშტაბსაც, რომელიც უკვე მასობრივი მოხმარებისათვისაა განკუთვნილი. ამას მოწმობს ჭურჭლის ფორმების ერთგვარი სტანდარტიზაცია და ერთი და იმავე ტიპის ჭურჭლის ფართოდ გავრცელება მთელს კოლხეთში სხვადასხვა და ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ ოლქებში:

ქვევრები, ყურმილიანი დოქები, კონუსისძირიანი თუ მაღალფეხიანი სასმისები, ბრტყელძირა და ირიბკალთიანი ჯამები - აი, ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკის ძირითადი კომპონენტები, რომლებიც მთელ კოლხეთშია გავრცელებული, როგორც ზღვისპირა ნამოსახლარზე - ბათუმიდან მოკიდებული სოხუმის მიდამოებამდე (ბათუმის ციხე, „კოხი" ჩაქვის რაიონში, ქობულეთ-ფიჭვნარი, ფოთის მიდამოები, ოჩამჩირე, სოხუმი), ასევე კოლხეთის დაბლობზე: მდ. რიონის ქვემო და შუა დინებაზე (მდ. ტეხურისა და ცხენისწყალს შორის, დაბლაგომი, ვანი და მისი მიდამოები, ქუთაისი და მისი მიდამოები), სათაველებში (ბრილი), მდ. სუფსა-ნატანების, ენგურისა და ყვირილას ხეობებში (საირხე, ითხვისი, არგვეთი, საჩხერე და სხვ.). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ამ ტიპის კერამიკის გავრცელება მთიან კოლხეთში - მდ. რიონის სათაველებში (დღევანდელი რაჭა-ლეჩხუმი), სადაც როგორც ცნობილია, არ იყო ხელსაყრელი პირობები კერამიკული ხელოსნობის განვითარებისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ ბრილისა და შრომისუბნის სამაროვნებზე, მცხეთასა და სხვაგან ნაპოვნი თიხის ჭურჭელი (ყურმილიანი ბიკონუსური დოქები, სასმისები, ჯამები და სხვ.) წარმოადგენენ მდ. რიონის შუა წელზე განლაგებული სახელოსნოების პროდუქციას. ასევე ენგურის ხეობით იგივე კერამიკა აღწევდა და ვრცელდებოდა კოლხეთის ყველაზე უფრო მაღალმთიან ოლქებში (სვანეთი). ზემოთქმული მოწმობს ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხური კერამიკული ხელოსნობის სასაქონლო ხასიათს, რასაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა შიდაკოლხური ეკონომიკური კავშირების განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნული კერამიკის ტიპები, მათი სტანდარტიზებული ფორმები, რომელთაც ხვდება არქეოლოგი, როგორც გათხრებისას, ასევე ზედაპირული დაზვერვებისას, ძვ.წ. VI-IV სს-ის ყველა კოლხურ ნამოსახლარზე, თან ხვდება კოლხეთის სამეფოს საზღვრებს როგორც გეოგრაფიულ, ასევე ქრონოლოგიურ ჭრილში. ამ კერამიკის გავრცელების არეალი მოიცავს მთელს დღევანდელ დასავლეთ საქართველოს, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ - ზღვისპირა ზოლსა და ლიხის ქედს შორის, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დიდსა და მცირე კავკასიონებს შორის ტერიტორიას.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ზემოთ დახასიათებული ტიპის კერამიკის გავრცელებას ძვ.წ. VII საუკუნიდან ვარაუდობენ. ყოველ შემთხვევაში, უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ტიპების არსებობა დოკუმენტურადაა დადასტურებული ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებიდან მაინც - ფოთის მახლობლად სიმაგრეს ანტიკურ ნამოსახლარზე თანმხლები იონური არქაული კერამიკის საფუძველზე. ამ კერამიკის ფართოდ გავრცელების ხანა კი მოდის ძვ.წ.-ის VI-V საუკუნეებზე და IV ს-ის პირველ ნახევარზე. თუმცა იგი გვხვდება IV ს-ის მეორე ნახევარშიც.

კოლხეთის ეკონომიკური განვითარებისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რკინის მეტალურგიას და რკინის დამუშავებას საერთოდ. ძვ.წ. VI-IV სს-ში კოლხეთში გრძელდება ბრინჯაოს დამუშავებაც. თუმცა ამ დროს მას უკვე აღარ აქვს ისეთი დიდი სამეურნეო მნიშვნელობა, როგორც რკინის წარმოებას. ბრინჯაო ამ დროს გამოიყენებოდა ძირითადად სამკაულის დასამზადებლად (სამაჯურები, ხატისფოლები, მშვილდსაკინძები, ბეჭდები, ბალთები და სხვ.). აგრეთვე საკულტო და სარიტუალო ნივთებისათვის, რომელთაგან ბევრი მხატვრული ხელოსნობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დიდი ზომის ბრინჯაოს ქვაბები - სიტულები, რომლებიც კოლხეთის სხვადასხვა პუნქტებშია ნაპოვნი - უპირატესად ძვ.წ. V საუკუნის სამარხებში (ქობულეთ-ფიჭვნარი, სოხუმი, ბრილი, ითხვისი, ვანი). ისინი თავისი ფორმით თითქმის ზედმიწევნით იმეორებენ ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში საქართველოსა და კავკასიაში გავრცელებულ ბრინჯაოს ჭურჭელს, რომელთა ერთ-ერთი მწარმოებელ ცენტრად კოლხეთია მიჩნეული. ძვ.წ. V ს-ის ჭურჭელი იმავე ტექნიკითაა დამუშავებული: ნაჭედია ბრინჯაოს ფურცლებისაგან, რომელიც შემდეგ ყურების გასწვრივ და ქუსლის გარშემო მანჭვლებითაა შემკული. სამაგიეროდ ძვ.წ. V ს-ის სიტულები უფრო ადრინდელისაგან პროპორციებითა და ძირითადად კი ყურის მოყვანილობით განსხვავდება. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული ჭურჭლის ყურის ზედა ნაწილი ზედმიწევნით იმეორებს იმავე ხანის კოლხური თიხის ჭურჭლის ე.წ. „ზოომორფული" ყურების შემკულობას.

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ყურები ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრისთვისაა დამახასიათებელი და, როგორც წესი, აღარ გვხვდება ძვ.წ. VI-V საუკუნეებიდან. შესაბამისად განსხვავებულია სიტულების ყურების ფორმაც ძვ.წ. V საუკუნეში. ვანში ნაპოვნი ერთი სიტულის ყურის ზედა ნაწილი ცხოველის დაცქვეტილი და თავწაწვეტებული ყურების იმიტაციას წარმოადგენს და მით ზუსტად იმეორებს თიხის ჭურჭლის ყურების ფორმას, რომელიც გვხვდება ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში. ამგვარად, ჩანს მისი მორთვა ეპოქის მხატვრული სტილის მიხედვით. სიტულების მეორე ჯგუფის ყურები წნული ორნამენტითაა შემკული. ამასთან ვანში ნაპოვნ ერთ სიტულას ძირზე სვასტიკის გამოსახულება ამკობს. საგანგებოდაა აღსანიშნავი ვანში აღმოჩენილ ქალის სამარხში მიცვალებულის თავთან ნაპოვნი

ბრინჯაოს ჭურჭელი, რომელიც თითქმის ზუსტად იმეორებს ზემოაღნიშნული სიტულების ფორმას: ყურები წნული ორნამენტებითაა შემკული, ხოლო ძირზე სვასტიკაა გამოსახული. შემორჩენილია სახურავი, რომელზედაც ცხოველთა გრავირებული გამოსახულებაა (ჯიხვი, მამალი, ლომი და სხვ.), რომლებიც იმ ტრადიციულ სტილშია შესრულებული, კოლხური ცულებისათვის რომაა დამახასიათებელი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ტიპის ჭურჭლისა და ბრინჯაოს სხვა ნაკეთობათა საწარმოო ცენტრებს ტრადიციულად წარმოადგენდნენ კოლხეთის მთიანი ოლქები, ძველთაგანვე რომ იყო ცნობილი მაღალგანვითარებული ლითონის დამუშავებით. ასეთ შემთხვევაში ბრინჯაოს სიტულების აღმოჩენები კოლხეთის სხვადასხვა ოლქებში (ქობულეთი, სოხუმი, ვანი, ითხვისი, რაჭა) შეგვეძლო მიგვეჩნია ჩრდ. მთიან რაიონებში ინტენსიური წარმოების არსებობისა და შინაკოლხურ ეკონომიკურ ურთიერთობაში მათი აქტიური მონაწილეობის მოწმობად.

ბრინჯაოს სამკაულებთან ერთად ძვ.წ. VI-IV სს-ის კოლხეთში მზადდება და ხელოსნურ ნაწარმს წარმოადგენს ვერცხლის სამკაულიც: დიადემები, ხატისუღლები, საყურეები, სამაჯურები, ბეჭდები და ა.შ. სტილისტური თვალსაზრისით ისინი არსებითად იმეორებენ ოქროს სამკაულებს.

უკანასკნელ ხანებში გამრავლდა ვერცხლის ფიალების აღმოჩენის შემთხვევები. ზოგიერთი მათგანი (დაბლაგომის, ითხვისის, საირხის), ომფალოსიანია და ეკუთვნის აქემენიდურ ხანაში მთელს მახლობელ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელებული ფიალების ტიპს. ზოგიერთი თავისებურება და მათი სიმრავლე შეიძლება მართლაც მოწმობს იმას, რომ ასეთი ფიალების დამამზადებელი ერთ-ერთი ცენტრი კოლხეთში არსებობდა.

კოლხური მხატვრული კულტურის თავისებური და სპეციფიკური ნიშან-თვისებანი ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ოქრომჭედლობაში მჟღავნდება.

კოლხური ოქრომჭედლობის უძველესი ნიმუშები ჯერ კიდევ ძვ.წ. VIII-VII ს-ით თარიღდება: სოფ. ურეკში ერთ-ერთ სამაროვანზე ნაპოვნია მტაცებელი ცხოველის თავით დაგვირგვინებული და ცვარათი მორთული სასაფეთქლეები. უხვად დაცვარული ოქროს სამკაულები ნაპოვნია ნოსირში, ჭუბურისხინჯში და ფარცხანაყანევში. მათ ძვ.წ. VII-VI სს-ია ათარიღებენ. ძვ.წ. VI სს-ს განეკუთვნება სიმაგრეს ნამოსახლარზე აღმოჩენილი ოქროს სამკუთხა საკიდი, რომელიც ერთ მხარეს ცვარათი გამოყვანილი ხარის სტილიზებული გამოსახულებითაა მორთული, ხოლო მეორე მხარეს - მეანდრის ორნამენტით.

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უკვე ძვ.წ. VII-VI სს-ში ეყრება საფუძველი კოლხური ოქრომჭედლობის იმ თავისებურ სტილს, რომელიც განსაკუთრებულ აყვავებას ძვ.წ. V-IV სს-ში მიაღწევს და რომლის შესანიშნავი ნიმუშები აღმოჩენილი ვანში, ხოლო უკანასკნელ წლებში აგრეთვე საირხეში.

ვანსა და კოლხეთის სხვადასხვა ცენტრებში ნაპოვნი ოქროს სამკაულები უაღრესად მრავალრიცხოვანია და ძალზე მრავალფეროვანი. ძვ.წ. V ს-ის თავსამკაულთაგან განსაკუთრებით ტიპიურია ოქროსა (და ვერცხლის) დიადემები, რომელთა გრეხილი რკალი ჭედური გამოსახულებებით მორთული რომბისებური ფირფიტებითაა დაგვირგვინებული. ასეთი დიადემები ძვ.წ. V-IV სს-სათვის მხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი. ისინი, როგორც ჩანს, საგანგებოდ დაკრძალვის რიტუალისთვის იყო განკუთვნილი. ვანის ერთ-ერთ დიადემაზე წარმოდგენილია ძველი აღმოსავლეთისა და არქაული საბერძნეთის ხელოვნებაში ფართოდ გავრცელებული სიუჟეტი ცხოველთა ბრძოლისა: ერთ ფირფიტაზე - ორი ლომი გლეჯს ზურგზე წაქცეულ ხარს, ხოლო მეორეზე - ქურციკს. ვანის ეს ოქროს დიადემა ძველი ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშია და იგი უთუოდ გამოჩენილი ოსტატის მიერაა შესრულებული. ამას მოწმობს მარჯვედ აგებული ჯგუფური კომპოზიცია, ცხოველთა დამახასიათებელი ნიშნების ხაზგასმა, ნათელი და მკვეთრი ნახატი ... უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი და პირდაპირი ანალოგია ვანის დიადემის გამოსახულებებს ვერ ეძებნება. ჩანს, ოსტატმა-დეკორატორმა უბრალოდ კი არ გაიმეორა, როგორც ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომელიმე ცნობილი ნაწარმოები, არამედ თავისებურად და მაღალი მხატვრული ოსტატობით დაამუშავა იმ დროს მახლობელ აღმოსავლეთსა და ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული სიუჟეტები, რომელთაც იქნებ ძველ კოლხეთშიც გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, თუმც ამ სიმბოლიკის რეალური შინაარსი დღეს, არსებითად მაინც, ძნელად გამოსაცნობია. დიადემის ოსტატმა - ოქრომჭედელმა შეძლო ჭედური ხელოვნების ხერხებით ხარსა და ქურციკზე ლომების თავდასხმის სცენების გადმოცემა, სარკისებურად ასახვა რომბული მოყვანილობის ფირფიტებზე და ამასთან სამფიგურიანი კომპოზიციების სამკუთხა ჩარჩოში მოთავსება, რაც უფრო მონუმენტური რელიეფისა და კერძოდ ფრონტონული კომპოზიციისათვისაა დამახასიათებელი. სწორედ ეს უკანასკნელი გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ვანის დიადემის შემქმნელი კარგად იცნობდა ბერძნული ფრონტონული რელიეფის წარმოსახვის

პრინციპებს. თანაბარი ზომის ფიგურები ზომიერად აკესებენ გამოსახულებისათვის განკუთვნილ მთელ სამკუთხა სივრცეს, რაც აგრე დამახასიათებელია გვიანარქაული ხანის ბერძნული ხელოვნებისათვის. ფიგურების განლაგება ემორჩილება ერთ საერთო გეგმას, თუმცა დეტალებში შეინიშნება ერთგვარი თავისუფლება და გადახვევა. ამასთან ერთად, გამოსახულების შესრულების მანერა, სავსებით განსხვავებულია ბერძნულისაგან და ახლოს დგას აღმოსავლურთან ე.წ. აქემენიდურთან, თუმცა არ ემორჩილება მის კანონიკურ ნორმებსაც.

ვანში ნაპოვნი ოქროს დიადემა, რომელიც დაახლოებით ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებშია დამზადებული, თავისი ფორმით წმინდა კოლხურია, მაგრამ მისი მორთულობაა მეტად რთული. იგი თითქოს აერთიანებს ძველაღმოსავლურ და ანტიკურ სიუჟეტებსა და კომპოზიციებს, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, წინა აზიის, ასურეთის, მანას სამეფოს, აქემენიდური ირანის ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სტილისტურ თვისებებს, სახეებსა თუ ცალკეულ ნიშნებს. ეს გარემოება მოწმობს კოლხური ცივილიზაციის ძველ აღმოსავლურ ისტორიულ-კულტურულ ფესვებს და მჭიდრო კონტაქტს მის თანადროულ აქემენიდური ირანის და ანტიკური სამყაროს კულტურებთან.

ვანის დიადემა დამზადებულია, ჩვენი აზრით, ადგილობრივი ოსტატის მიერ, რომელიც აღზრდილი იყო ძველ წინაზიურ ტრადიციებზე, მაგრამ განიცდიდა თანამედროვე ირანული და აგრეთვე რამდენადმე ბერძნული ხელოვნების გავლენას.

თავსამკაულის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს აგრეთვე საყურეები და სასაფეთქლეები, რომელნიც კოლხეთში ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში რამდენიმე ნაირსახეობითაა წარმოდგენილი. განსაკუთრებით დახასიათებულია ე.წ. სხივანა საყურეები, რომელნიც ამ დროს მთელს კოლხეთშია გავრცელებული და როგორც წესი, არ გეხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამიტომაც ისინი ისევე, როგორც დიადემები, ტიპიურ კოლხურ სამკაულებადაა მიჩნეული.

კოლხეთის სხვადასხვა ცენტრებში ნაპოვნი ოქროს, ელექტრონისა და ვერცხლის სხივანა საყურეები ერთმანეთისაგან შემკულობის ცალკეული დეტალებითა და უპირატესად კი „სხივების" რაოდენობით განსხვავდება. ამ ტიპის სამკაულის საუკეთესო ნიმუშები ისევ ვანშია ნაპოვნი. აქაური სხივანა საყურეები რთული წესითაა დამზადებული: საყურე რგოლის საფასადო მხარე მეტწილად ვარდულითაა მორთული, ხოლო „სხივები" კი ცვარათი შედგენილი პირამიდებით ბოლოვდება. განსაკუთრებით მდიდრულია „წარჩინებული კოლხი ქალის" სამარხში აღმოჩენილი სხივანა საყურეები, რომელნიც იმავე დროს კოლხ ოქრომჭედელთა ფილიგრანული ტექნიკის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს. საყურე-რგოლი მრგვალგანიეკვეთიანი მავთულისგანაა დამზადებული. რკალი გახსნილია, ხოლო ბოლოები ისეა გაბვრეტილი, რომ ფრინველის თავს მოგვაგონებს. საყურე რგოლის წინა მხარე (ზედა ნაწილი) 16 ფურცლიანი მინიატურული ვარდულითაა დამშვენებული, სიგრძივ დაცვარულია, ხოლო ნაპირები დაკეჭნილი მავთულით გამოყვანილი „მარყუჟებითაა" შემკული. რგოლს ქვემოთ განშლილი 6 „სხივიც" ცვარათი შედგენილი პირამიდებითაა დაბოლოებული და ჩიტის მინიატურული გამოსახულებებით მორთული. ამასთან ფრინველის გამოსახულებაც უხვადაა დაცვარული (თავი, მკერდი, ფრთები, ამასთან მკერდზე ორრიგად განლაგებული სამკუთხედებია გამოყვანილი). სულ 8 სმ-ს არ აღემატება თითოეული საყურე და მის მოსართავად კი დამზადებულია რამდენიმე ასეული ოქროს ცვარა, რომელთა დიამეტრი ნახევარ მილიმეტრსაც კი არ აღემატება და მით გამოყვანილია რთული სახეები (პირამიდები, ფრინველთა ცალკეული დეტალები).

ძვ.წ. V-IV სს-ის კოლხეთში გავრცელებულია აგრეთვე ე.წ. ჭვირულ და სფერულ ბურთულიანი ოქროს საყურეები და სასაფეთქლეები. ნაპოვნია ისინი ვანში, როგორც ძვ.წ. V ს. სამარხებში, ასევე ძვ.წ. IV ს. სამარხებშიც.

ზემოაღწერილი ტიპის საყურეები თუ სასაფეთქლე რგოლები მხოლოდ კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი და არ გეხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთ. საგანგებოდაა აღსანიშნავი ვანში ნაპოვნი ოქროს საყურეები, რომელნიც გამოსახავენ ეტლზე მდგარ ცხენოსნებს და მოგვაგონებენ ახალგორის სასაფეთქლეებს ცხენების გამოსახულებით, რომელთაც ანალოგები ძვ.წ. V ს. აქემენიდური ირანის ხელოვნებაში ვერ ეძებნებათ. მასთან ერთად ძვ.წ. V-IV სს. კოლხეთში ეხვდებით აგრეთვე ისეთი ფორმის საყურეებსა და სასაფეთქლეებს, რომელნიც ამ დროს სხვა ქვეყნებშიცაა ფართოდ გავრცელებული.

ვანშია ნაპოვნი, მაგალითად ე.წ. ნახევარმთვარისებური (თუ ნავისებური) მოყვანილობის საყურეები, რომელთა ფორმა ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებიდან მოკიდებული ფართოდაა გავრცელებული როგორც წინა აზიაში (ჯერ ასურეთსა და ურარტუში, ხოლო შემდეგ აქემენიდური ირანში), ასევე ხმელთაშუაზღვისპირეთსა (კვიპროსი, კონტინენტური საბერძნეთი, ეტრურია) და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. მაგრამ მათგან განსხვავებით კოლხეთში ნაპოვნი ნახევარმთვარისებური საყურეები

(და ცხენოსნის გამოსახულებიანი სასაფეთქლეები) ისევეა შედგენილი, როგორც წმინდა კოლხური ტიპის (სხივანა და ჭვირულბურთულიანი) საყურეები: საყურეებზე რგოლის საფასადო მხარე შემკულია მინიატურული ვარდულითა და ცვარათი გაწყობილი ან დაკეჭნილი მავთულით გამოყვანილი „მარყუჟებით". ესაა საყურე რგოლის მხატვრული გაფორმების თავისებური, რომელიც ამ სახით საქართველოს ფარგლებს გარეთ არ გვხვდება. მასთან ერთად საყურეებისა და სასაფეთქლეების მორთვაში უხვადაა გამოყენებული ზედაპირის დაცვარვა სამკუთხა თუ რომბული სახეებით, ხოლო სხივანა და ჭვირულბურთულიანი საყურეების შემკობა - ცვარათი შედგენილი პირამიდებით. ასეთივე სტილისტური ნიშნებით ხასიათდება და სრულიად უეჭვოდ კოლხური ოქრომჭედლობის ნიმუშებს წარმოადგენს ძვ.წ. V ს. ვანის სამარხებში ნაპოვნი მრავალრიცხოვანი და ნაირსახოვანი ოქროს მძივები და საკიდები. მათ შორისაა მინიატურული ჩიტის, ვერძისა და ხბოს თაეის გამოსახულებანი.

ოქრომჭედლობის ბრწყინვალე ნიმუშია კუს გამოსახულებიანი საკიდები, რომელნიც ყელსაბამის ნაწილებს წარმოადგენს. კუს თვალები პასტითაა ინკრუსტირებული, ხოლო ზურგი ცვარათი გამოყვანილი სამკუთხედებითაა მორთული.

ცალკე ჯგუფს ქმნიან სამაჯურები, რომელნიც დაგვირგვინებულია ლომის, ხბოს, ვერძისა თუ სხვა ცხოველთა თაეების სკულპტურული გამოსახულებებით. სტილისტურად ისინი არ განსხვავდებიან აქემენიდურ სამყაროსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში გავრცელებული სამაჯურებისაგან. საგანგებოდ აღსანიშნავია ვანში აღმოჩენილი ძვ.წ. V საუკუნის ოქროს სამაჯური, რომელიც ტახის სკულპტურული გამოსახულებითაა დამშვენებული. სტილისტური თვალსაზრისით ვანის სამაჯურის ტახის გამოსახულებანი რამდენადმე უახლოვდებიან ირანისა და მცირე აზიის ტერიტორიაზე ცნობილ ბრინჯაოს ტახის გამოსახულებებს. მაგრამ მათგან განსხვავდებიან ზოგიერთი დეტალის (ყურის, ჯაგრის) გადმოცემით და, რაც მთავარია, უფრო გრაფიკულ-დეკორატიული სტილითა და რამდენადმე სკულპტურულობით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვანში იმავე სამარხში, სადაც ოქროს ტახიანი სამაჯურია, ნაპოვნია ვერცხლის საკიდებიც, რომელნიც თითქმის ზედმიწევნით იმეორებენ სამაჯურზე გამოსახულ ტახის ფიგურას.

მდიდრულ სამარხებში მრავლადაა აგრეთვე ნაპოვნი ოქროს წვრილი ნივთებიც: მძივსაკიდები, ტანისამოსის მოსართავი ღილაკები და კილიტები, ჰერალდიკური ნიშნები, რომელთაგან საგანგებოდაა აღსანიშნავი ფრთაგაშლილი არწივის გამოსახულებანი.

საერთოდ, კოლხეთში აღმოჩენილი ოქროს სამკაული საკმაოდ მრავალფეროვანია და მეტად მრავალრიცხოვანი! მაგრამ ყველა ისინი ხასიათდება გასაოცარი მხატვრულ-სტილისტური ერთიანობით. მათ ადგილობრივ ე.ი. კოლხურ წარმომავლობაზე მიუთითებს მხატვრული ფორმის ორიგინალობა, რომელიც მეტწილად მხოლოდ კოლხეთისათვისაა დამახასიათებელი, ზოგიერთ შემთხვევაში გენეტურად უკავშირდება (როგორც ფორმით, ასევე დეკორით) წინამორბედი ხანის ბრინჯაოს კულტურის ძეგლებს და, როგორც წესი, არ გვხვდება კოლხეთისა (და საერთოდ ძველი საქართველოს) ფარგლებს გარეთ. ასეთებია, პირველ რიგში: დიადემა, „სხივანა" და ჭვირულბურთულიანი საყურეები. თუ სასაფეთქლე რგოლები, მძივსაკიდების ზოგიერთი ფორმა და სხვ., რომელსაც იმეორებენ აგრეთვე ვერცხლისა და ბრინჯაოს ნაკეთობანი. ვანსა და კოლხეთის სხვა ცენტრებში ნაპოვნი ოქროს ნივთების ადგილობრივი წარმოშობის უტყუარი მოწმობაა მათი სტილისტური და ტექნიკური ერთიანობა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა საყურეებსა და სასაფეთქლეებში.

ძვ.წ. V-IV სს-ის კოლხური ოქროს სამკაულისათვის დამახასიათებელია აგრეთვე გავარსის ფართოდ გამოყენება. სულ სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ნივთები (საყურეები, სასაფეთქლეები, ნაირსახოვანი საკიდები და მძივები, ბალთები) ამ დროს უხვადაა დაცვარული და ამასთან შემკულია ცვარათი გამოყვანილი პირამიდებით, სამკუთხედებით, რომბული ან სხვა გეომეტრიული სახეებით. ფრიად საინტერესოა, რომ ძვ.წ. V ს. ვანის მდიდრულ სამარხებში გვხვდება აგრეთვე ასეთივე წესით შემკული ვერცხლის ნივთებიც, რაც საერთოდ იშვიათია და თაეის მხრივ გავარსის ტექნიკის კოლხეთში ფართოდ გავრცელების კიდეე ერთი თვალსაჩინო მოწმობაა.

ოქროს ნივთებისა და სამკაულის ცვარათი გამოყვანილი დაცვარული პირამიდებითა და სამკუთხედებით, რომბული თუ სხვ. გეომეტრიული სახეებით შემკობა ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული მხატვრულ-სტილისტური ხერხია აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის მაღალ კულტურულ ქვეყნებში. ეს იყო იმ დროს ფართოდ გავრცელებული მოდა, რომელმაც როგორც ჩანს, აგრეთვე კოლხეთამდეც მიაღწია, სადაც მოხდა მისი თავისებური ათვისება, გადამუშავება და ორგანულად დაკავშირება საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ ადგილობრივ მხატვრულ ფორმებთან და სახეებთან. ამის შედეგად შეიქმნა თავისებური კოლხური ოქრომჭედლობის განუმეორებელი სტილი, რომლის შესანიშნავი ნიმუშებიც ვანშია მრავლად აღმოჩენილი.

უახლესი აღმოჩენების საფუძველზე, შეგვიძლია სრულიად თამამად ვამტკიცოთ, რომ ძვ.წ. V-IV სს. (აგრეთვე უფრო გვიან III-II სს-ში) ძველ ვანში და კოლხეთის სხვა ცენტრებში არსებობდა პროფესიონალ ხელოსანთა ძლიერი სკოლა, რომელიც ურთულესი ტექნიკური ხერხების გამოყენებით (კვერვა-ჭედვა, რჩილვა, გავარსი, ტვიფრვა) საუკუნეების მანძილზე ქმნიდა მხატვრული ოქრომჭედლობის უბრწყინვალეს ნიმუშებს.

ამგვარად, გვაქვს ყველა საფუძველი იმისათვის, რომ ძვ.წ. VI-V სს მახლობელი აღმოსავლეთის ოქრომჭედლობის ცნობილი ცენტრების (აქემენიდური ირანი, ეგვიპტე, კვიპროსი, ლიდია, არმენია, მიდია, ბაქტრიანა) გვერდით კოლხეთიც დავასახელოთ, მით უფრო, რომ კოლხეთში ოქროს მოპოვებისა და დამუშავებაზე ბერძენ-ლათინი მწერლებიც მოგვითხრობენ და მას „ოქრომრავალ" ქვეყანას უწოდებენ.

ზემოთ განხილული მასალების საფუძველზე შეგვიძლია არა მხოლოდ დავადასტუროთ მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვანი როლი და ადგილი კოლხეთის ეკონომიკაში, არამედ გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრებაც, რომელთაც ექნებათ გარკვეული მნიშვნელობა კოლხეთის სამეფოს სოციალურ-ეკონომიკური დონის საილუსტრაციოდ ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში:

1. მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოება კოლხეთში დაფუძნებული იყო ადგილობრივ, საკმაოდ მდიდარ ნედლეულზე;

2. ხელოსნური წარმოების ინტენსიურ განვითარებას ხელს უწყობდა

ტექნიკური ჩვევების სრულყოფის მრავალსაუკონოვანი და უწყვეტი ტრადიციები, ლითონის დამუშავებისა და კერამიკული წარმოების ძირძველი მყარი მემკვიდრეობითი იდეები;

3. ხელოსნური ნაწარმი, როგორც წესი, საკუთარი ე.ი. კოლხური ტიპოლოგიური მოდელითაა წარმოდგენილი და თვალსაჩინო მოწმობაა ადგილობრივი მხატვრული და ტექნიკური ტრადიციების სიმძლავრისა;

4. ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში სავსებით აშკარად შეინიშნება ხელოსნური ნაწარმის ძირითადი ფორმების სტანდარტიზაცია: სხვადასხვა საწარმოო ცენტრები, ზოგჯერ ალბათ, ტერიტორიულად ერთმანეთს საკმაოდ დაშორებულიც, ამზადებენ ფორმითა და ორნამენტაციით ერთგვაროვან პროდუქციას.

ხელოსნური ნაწარმის უნიფიკაცია და ამგვარად საერთო კოლხური ტიპის ნივთიერი კულტურის შექმნა უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ასახვა შიდა კოლხური ეკონომიკური კავშირებისა (რაც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაშიც შეინიშნება), არამედ, პირველ რიგში, როგორც შედეგი შიდაკოლხური ეკონომიკური და აგრეთვე, კულტურული ერთობისა.

კოლხური ხელოსნობა ძვ.წ. VI-IV სს. აშკარად სასაქონლო ხასიათს ატარებდა. ამას მოწმობს ხელოსნური ნაწარმის საწარმოო ცენტრებიდან დაშორებულ ოლქებში გავრცელება. ძალიან რთულია საკითხი ხელოსნური ნაწარმის რეალიზაციის ფორმების

შესახებ. მიუხედავად ფულადი მიმოქცევისა, უნდა ვიფიქროთ, გაცვლის ძირითად ფორმას, როგორც ამას ეთნოგრაფიული მასალების გვიდასტურებენ, წარმოადგენდა ვაჭრობა ნივთებითა და პროდუქტებით.

ხელოსნური წარმოების ინტენსიური განვითარება უთუოდ ხელს უწყობდა ვაჭრობის სტრუქტურის გართულებას. მნიშვნელოვან როლს ამ პროცესში ასრულებდა კოლხეთის მოსახლეობის ეკონომიკური კონტაქტები გარე სამყაროსთან, კერძოდ, კოლხეთის ჩართვა საერთაშორისო ვაჭრობის ორბიტაში.

მართებული იქნება, რომ ასე მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოების არსებობაში, რომელიც საკმაოდ აშკარაა ძვ.წ. VI-IV სს. კოლხეთში, დაკანონებულ ასახვა საზოგადოების რთული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურისა. ჩვენი აზრით, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ხელოსნობის ზოგიერთი დარგის, პირველ რიგში კი საიუველირო ხელოსნობისა და აგრეთვე იმ დარგებისა, რომელთა პროდუქციაა ფუფუნების საგნები, ძვირფასი სამკაულები, ხელისუფლების ინსიგნიები და მისთანანი, აი ამ დარგების განვითარება პირდაპირი შედეგია სწორედ საზოგადოების საკმაოდ მკვეთრი სოციალური და უფლებრივი, აგრეთვე ქონებრივი დიფერენციაციისა. კიდევ მეტი, ხელოსნობის მთელი რიგი დარგების წარმოშობა და ფართოდ განვითარება, ასე მკაფიოდ რომ გამოჩნდა არქეოლოგიურ მონაპოვარში, უნდა უკავშირდებოდეს და უნდა იყოს შედეგი საზოგადოების შიგნით მმართველი ზედაფენის წარმოქმნის და მათი რეზიდენციის, როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრების (სეპტუნია) განვითარებისა. აქ ხდებოდა, უთუოდ, კონცენტრაცია ხელოსნობის ძირითადი დარგებისა, ყოველ შემთხვევაში სრულიად დანამდვილებით - ლითონის დამუშავებისა და, პირველ რიგში, სამარი იარაღის დამამზადებელი სახელოსნობისა, საინტერესოა, რომ იარაღ-საჭურველი ამ დროს მხოლოდ მმართველი ზედაფენის სამარხებში გეხვდება. აქვე მმართველი ზედაფენის რეზიდენციასთან ე.ი. ადმინისტრაციულ ცენტრებში ხდებოდა კონცენტრაცია სამშენებლო საქმის ოსტატებისა, საიუველირო ხელოსნობის, ძვირფასი ლითონის და თიხის ჭურჭლის, ძვირფასი ქსოვილებისა და საერთოდ ფუფუნების საგნების დამამზადებელი სახელოსნოებისა. სწორედ ხელოსნური წარმოების კონცენტრაცია გარკვეულ ცენტრებში და შესაბამისად ბაზრის წარმოქმნა იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ქალაქური ცივილიზაციისაკენ. საქალაქო ცხოვრებაზე გადასვლა კი ნიშნავდა მძლავრ ბიძგს ხელოსნობის, როგორც მწარმოებელი და აგრეთვე სოციალური ფაქტორის გასაჩენად. განხილულ მასალებში ამ პროცესის შედეგი უკვე ჩამოყალიბებული სახითაა წარმოდგენილი: პროფესიული ხელოსნობის ზოგიერთი დარგის განვითარების ეს მაღალი დონე შეიძლება განვიხილოთ როგორც მოწმობა კოლხეთის საზოგადოების ურბანიზაციისა, თუმც კონკრეტული გზა ამ პროცესისა და მისი სტრუქტურა ჯერ კიდევ უცნობია.

ახლა ჩვენს წინაშე დადგა უაღრესად რთული და ჯერ კიდევ ძნელად გადასაწყვეტი პრობლემა: რას წარმოადგენდა და როგორი იყო ძვ.წ. VII-V სს-ის კოლხური ქალაქი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ფენომენი - „ცივილიზაციის" ერთ-ერთი არსებითი და განმსაზღვრელი ელემენტი? სამწუხაროდ, ჩვენი ცოდნის დღევანდელ ეტაპზე ზემოთდასმულ საკითხზე მსჯელობა მხოლოდ ჰიპოთეზურ ხასიათს შეიძლება ატარებდეს.

წერილობით წყაროებში შემონახულია არსებითად მხოლოდ ერთი ცნობა, რომელიც ძვ.წ. IV ს-ის ავტორთან ფსევდო-სკილაქს კარიანდელთანაა დაცული: „კოლხების ქვეყანაში ... მდინარე ფასისი ... მდინარის ზევით აყოლებით 180 სტადიონის მანძილზე არის დიდი ბარბაროსული ქალაქი, საიდანაც იყო მედეა". ამ ქალაქის ადგილმდებარეობა, როგორც უკვე ითქვა, ჯერ დადგენილი არაა.

ფსევდო-სკილაქსის ცნობაში არსებითად მხოლოდ ისაა ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რომ ბერძენი ავტორი კოლხების ქვეყანაში „ელინურ ქალაქებთან" (ფასისი, გიენოსი) ახსენებს „დიდ ბარბაროსულ (ე.ი. ადგილობრივ, არაელინურ - ო.ლ.) ქალაქს", რაც კოლხეთში საქალაქო ცენტრების არსებობის მხოლოდ არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება მივიჩნიოთ. ბერძნული წყარო არაფერს იუწყება ამ ქალაქის არამცთუ სტრუქტურის, არამედ არც გარეგნული მხარის შესახებ. სამწუხაროდ, არც არქეოლოგიურადაა ჯერ-ჯერობით

ძვ.წ. VII-V სს-ის კოლხური ქალაქის გარეგნული სახე გამოვლენილი, რასაც ართულებს კოლხური დასახლებებისათვის აგრე ტიპიური ხის არქიტექტურა, რომელიც ჩვეულებრივ ძალზე ცუდად ან სულ აღარაა შემორჩენილი. ძველი კოლხური ნამოსახლარის „ნამჭედურის" არქეოლოგიური მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კოლხეთის დაბლობზე ქალაქების ციტადელი („შიდაციხე") ჩვეულებრივ შემაღლებულ ადგილებზე (ბუნებრივ ან ხელოვნურ ბორცვებზე) იყო განლაგებული და ხელოვნური თავდაცვითი თხრილის კიდეზე ამოყვანილი ხის მესერით გამაგრებული.

ფუნქციონალური თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვანის ნაქალაქარის შესწავლის შედეგები. ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ჩვენის ვარაუდით ძვ.წ. VI ს. - IV ს-ის პირველ ნახევარში ვანი წარმოადგენდა კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის (სტრაბონისეული ტერმინოლოგიით - სკეპტუხიის) ცენტრს.

მმართველი ზედაფენის რეზიდენცია განლაგებული იყო სამკუთხა ბორცვზე, რომელიც ორი მხრიდან მოზღუდული იყო ღრმა ხევებით. ამდენად ისინი ბუნებრივ თავდაცვით ფუნქციას ასრულებდნენ (სავარაუდებელია, რომ ეს ხევები ერთმანეთთან ხელოვნური თხრილით იყო შეერთებული). ბორცვს მთელს იმ არემარეზე გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. მმართველი ზედაფენის სამარხები ქვედა და ცენტრალურ ტერასებზეა დაფიქსირებული. ამასთან ისინი სხვადასხვა ადგილებშია გაფანტული და არ წარმოადგენენ ერთიან სამაროვანს. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ მდიდრული სამარხების ირგვლივ, როგორც წესი, ფიქსირდება საცხოვრებლისათვის დამახასიათებელი კულტურული ფენები, რაც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ ეს იყო ადგილობრივ დიდგვაროვანთა საოჯახო სამარხები, რომელნიც მათსავე სამოსახლოებთან, ეზოებში იყო გამართული.

ზედა ტერასაზე განლაგებული იყო ხით ნაგები ტაძარი-სამლოცველო და კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი სარიტუალო-საკულტო არხები. ამრიგად, ბორცვის ყველაზე უფრო მაღალი ნაწილი თავისებურ „ფუნქციონალურ ცენტრს" წარმოადგენდა, რაც იმის მოწმობაცაა, რომ მმართველი ზედაფენა ფლობდა, როგორც საერო, ასევე სასულიერო უფლებას ე.ი. მისი ხელისუფლება თეოკრატიული ხასიათისა იყო.

ამრიგად, სამოხელეო ზედა ფენის წარმოქმნას და მის შემდგომ სოციალურ განცალკევებას შედეგად მოჰყვა მისი საცხოვრისის გამოყოფაც (ოდესღაც თანასწორუფლებიანი მეთემეთაგან) და შესაბამისად, წარმოქმნა და შემდგომი განვითარება მათი რეზიდენციებისა, რომელნიც უკვე იქცნენ პოლიტიკურ ადმინისტრაციულ ცენტრებად. რიგითი მიწათმოქმედი მოსახლეობის საცხოვრისი ამ დროისათვის ბორცვის ირგვლივ მიმდებარე ტერიტორიაზე ფიქსირდება. სწორედ ვანის და მის ირგვლივ მდებარე დასახლებათა სტრუქტურულ-ტიპოლოგიური შედარებისას თვალსაჩინოდ მჟღავნდება დასახლებული პუნქტების იერარქიული სისტემა და ვანის, როგორც - სამოსახლოს, გაბატონებული მდგომარეობა. აქ უნდა მოვიხსენიოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: ვანის ჩრ.-ით დაახლოებით 10 კმ-ზე სოფ. მოისძირში საკმაოდ მაღალ ბორცვზე დადასტურებულია ძვ.წ. V-IV სს-ის საფორტიფიკაციო ნაგებობანი - ცალკე მდგარი კოშკი, რომელსაც მარჯვე სტრატეგიული მდგომარეობა ეკავა და საგანგებოდ იცავდა მთელი ოლქის (სკეპტუხიის) მთავარი ცენტრის მისადგომებს. ამრიგად აქ ჩვენს წინაშეა ადმინისტრაციული ხელისუფლების ერთ-ერთი დამახასიათებელი და არსებითი ნიშანი - ტერიტორიის დაცვა!

ძვ.წ. VI-IV სს-ის პირველ ნახევარში ვანი წარმოადგენდა მმართველი ზედაფენის რეზიდენციას და იმავდროულად კი წარმოგვიდგება როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი, რომელსაც ჰქონდა უპირატესად მმართველობითი ფუნქცია. იგი მიმართული იყო ირგვლივ მდებარე სამიწათმოქმედო ტერიტორიის ექსპლოატაციაზე და ზემოქმედებდა მასზე როგორც პოლიტიკურად და იდეოლოგიურად, ასევე ეკონომიკურად. ამრიგად, ვანი ძვ.წ. VI-IV ს-ის პირველ ნახევარში წარმოადგენდა არა მხოლოდ მსხვილ სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრს, არამედ იგი საქონლის გამნაწილებელის ფუნქციასაც ასრულებდა, რაც იმავ დროს მეტნაკლებად მუდმივმოქმედი ბაზრის გაჩენის მოწმობაცაა.

ვანის არქეოლოგიური შესწავლის და აქ გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორედ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც ახორციელებდა მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე („ქვეყანა") პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და იდეოლოგიურ ზემოქმედებას, იყო ადრეკოლხური ქალაქის ძირითადი ტიპი, მაგრამ

ჯერ კიდევ ნაადრევია იმის თქმა - იყო თუ არა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი ადრეკოლხური ქალაქის ერთადერთი სახეობა? ყოველ შემთხვევაში, ზემოთ ვარაუდის სახით გამოთქმული მოსაზრება კოლხური ქალაქის წარმოქმნა-განვითარების შესახებ, როგორც ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრისა, უთუოდ იყო წინაელინისტურ ხანაში მაგისტრალური და არსებითად განსაზღვრავდა ადგილობრივი ურბანისტული წარმონაქმნების სპეციფიკას,* განსხვავებით იმ ბერძნული სავაჭრო ქალაქებისაგან, რომელნიც ზღვისპირა კოლხეთში გაჩნდნენ ე.წ. დიდი ბერძნული კოლონიზაციის ეპოქაში, როდესაც იწყება კოლხეთის რეგულარული კონტაქტები ელინურ სამყაროსთან.

3.5. კოლხეთი და ბერძნული სამყარო

ბერძნული სამყაროს ურთიერთობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან, როგორც უკვე ვნახეთ, ივარაუდება ჯერ კიდევ ე. წ. აქეურ (მიკენურ) ხანაში და ასახულია მითში არგონავტების შესახებ. მაგრამ ურთიერთობას ამ დროს არ ჰქონია რეგულარული და ინტენსიური ხასიათი. იგი არსებითად შემოიფარგლებოდა ბერძენ-აქეველთა შავი ზღვის სანაპიროებისაკენ პირველი მოგზაურობებით, მაგრამ მას შედეგად მოჰყვა ბერძნულ ლიტერატურულ ძეგლებში პირველი (თუმც ჯერ კიდევ ბუნდოვანი) ცნობების გაჩენა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომებისა და ქვეყნების შესახებ. ამასთან ერთად აქეველმა ზღვაოსნებმა გარკვეული როლი შეასრულეს შავი ზღვის სანაპიროებისაკენ მიმავალი გზების გაკვლევასა და ათვისებაში.

ბერძნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის რეგულარული ურთიერთობა ე. წ. დიდი ბერძნული კოლონიზაციის პროცესთანაა მჭიდროდ დაკავშირებული. ეს პროცესი ინტენსიურად მხოლოდ ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება და უკვე ძვ. წ. VI ს-ის დასასრულისათვის შავი ზღვის სანაპიროების ოთხივე მხარე თითქმის მთლიანად ბერძენთა ახალშენებით დაიფარა. ამ დროს ბერძენთა სამოსახლოები ჩნდება აგრეთვე კოლხეთშიც — შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ესენი იყო ფასისი (დღევანდელი მდ. რიონის შესართავთან), გიენოსი (დღევანდელი ოჩამჩირე) და დიოსკურია (დღევანდელი სოხუმის მახლობლად, ახლა ზღვაშია ჩაძირული).

ბერძნული სამოსახლოები კოლხეთში ძირითადად წარმოადგენდნენ სავაჭრო ქალაქებს ან ფაქტორიებს, რომელთა მეშვეობით ხორციელდებოდა ბერძნული სამყაროს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა კოლხეთთან.

ბერძნებს კოლხეთში იზიდავდა და ამ ქვეყნიდან ექსპორტის მთავარ საგანს შეადგენდა ადგილობრივი ნედლეული, პირველ რიგში კი ხე-ტყე, მათ შორის გემთსაშენი. მასთან ერთად ბერძნებს კოლხეთიდან გაჰქონდათ აგრეთვე რკინა და, შესაძლოა, რკინის ნაწარმიც. ხოლო ანტიკურ მწერალთა ცნობები კოლხეთში ოქროს მოპოვების შესახებ ზოგიერთ მკვლევარს აფიქრებინებს ოქროს ექსპორტსაც. ფართოდ გაჰქონდათ სხვა ხელოსნური ნაწარმიც. მთელ ანტიკურ სამყაროში იყო სახელგანთქმული კოლხური სელი. ქსოვილთან ერთად კოლხეთიდან საბერძნეთში ფართოდ გაჰქონდათ სელის ზეთი, რომელსაც საკვები, სანათი და სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა.

მთელს ანტიკურ სამყაროში იყო სახელგანთქმული კოლხური ხოხობი, რომელსაც პირველად არისტოფანე (ძვ. წ. V ს.), ხოლო შემდეგ ძვ. წ. III-II სს. ბერძენი მწერალი აგათარკიდე კნიდოსელი იხსენიებს.

---

* ადგილობრივი ეკოლოგიური პირობები აისახა კოლხეთის ქალაქურ დასახლებათა სპეციფიკაშიც: კოლხეთისათვის, მისი ისტორიის მთელ მანძილზე (შეიძლება ითქვას - თითქმის ჩვენ დრომდე) არ ჩანს დამახასიათებელი ძველადმოსავლური ქალაქის ისეთი ნიშნები, როგორიცაა მაგ. კომპაქტური განშენიანება და მაღლივი არქიტექტურა.

ბერძენ ვაჭრებს კი ძირითადად კოლხეთში მხატვრული და სუფრის ფაქიზი კერამიკა, ძვირფასი ლითონის ჭურჭელი, მაღალი ხარისხის ღვინო, ზეითუნის ზეთი და ნელსაცხებლები შემოჰქონდათ.

ანტიკური სამყაროს კოლხეთთან რეგულარული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ადრეულ ეტაპზე სრულიად აშკარაა აღმოსავლეთ-ბერძნული (იონიური) სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების აქტიური როლი. ძვ. წ. VI ს. პირველ ნახევარში ურთიერთობა ჯერ კიდევ ძალზე სპორადულ ხასიათს ატარებს (ამ ხანის მხოლოდ ერთეული აღმოჩენებია ჯერჯერობით ცნობილი). სამაგიეროდ, უკვე ძვ. წ. VI ს. შუა ხანებიდან და განსაკუთრებით ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევარში, ბერძნულ სამყაროსა და კოლხეთს შორის უკვე საკმაოდ ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჩანს.

ძვ. წ. VI ს. კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში აქტიურ როლს იონური სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები ასრულებენ. ამ ცენტრების ნაწარმი, უპირატესად მხატვრული კერამიკა, უკვე საკმაოდ დიდი რაოდენობითაა კოლხეთში აღმოჩენილი: სხვადასხვა ფორმის ჯამები, მოხატული თეფშები, პოლიქრომული სარტყლებით შემკული სურები, ჭრაქები და სხვ. აქ გამოიყოფა ე. წ. იონიურ-როდოსული (კამირესის ჯგუფი), ფიკელურას და „იონიური" სტილის კერამიკა. ამ კერამიკის ნაწილი როდოსის და სამოსის სახელოსნო ცენტრების პროდუქციაა. საშუამავლო როლს, იონიური სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების პროდუქციით ვაჭრობაში, უდიდესი სავაჭრო ცენტრი მილეტი ასრულებდა. იონიური მხატვრული კერამიკის ინტენსიურ იმპორტზე კოლხეთში მოწმობს ამ კერამიკის აღმოჩენა არა მხოლოდ ზღვისპირა ზოლში, არამედ კოლხეთის შიდა რაიონებში და აღმოსავლეთ საქართველოშიც კი.

გარდა მხატვრული კერამიკისა, იონური ცენტრებიდან კოლხეთში შემოჰქონდათ ზეითუნის ზეთი, მაღალი ხარისხის ღვინო და სხვ. ამაზე მიუთითებს დიდი ზომის სატრანზიტო თიხის ჭურჭლის, ე. წ. ამფორების ძალზე ხშირი აღმოჩენები ძველი კოლხეთის მრავალ პუნქტში. აღსანიშნავია, რომ კოლხეთში ა ღმოჩენილი ძვ. წ. VI ს. ამფორების უმრავლესობა აგრეთვე იონიურ საწარმოო ცენტრებს ეკუთვნის (ქიოსი, ლესბოსი, სამოსი და სხვა უცნობი ცენტრები).

ძვ. წ. VI ს-ის დასარულსა და V ს-ის დასაწყისში შეინიშნება აღმოსავლურ-ბერძნული ცენტრების კოლხეთთან სავაჭრო ურთიერთობების შესუსტება. ძვ. წ. V ს-ის მეორე ნახევრიდან კი იონიური მხატვრული კერამიკა თითქმის სრულებით აღარ გვხვდება კოლხეთის არქეოლოგიურ მონაპოვარში. სამაგიეროდ ამ დროს სრულიად აშკარად ისახება ათენის (ატიკის) აქტიური სავაჭრო როლი კოლხეთთან ურთიერთობაში.

ათენის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა კოლხეთთან ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში იწყება. ამ დროის ცალკეული აღმოჩენები ცნობილია ქობულეთ-ფიჭვნარიდან, ფასისის მიდამოებიდან, აგრეთვე ერთი აღმოჩენა აღმოსავლეთ საქართველოშიცაა (ხოვლე) დაფიქსირებული. მაგრამ არქეოლოგიურ მონაპოვარში ნათლად ჩანს, რომ ამ დროს ატიკასთან ურთიერთობა ჯერ კიდევ არაა ინტენსიური და იგი ვერ უწევს კონკურენციას იონიურ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს, მაგრამ სულ სხვა სურათია ამ მხრივ ძვ. წ. V (განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში) და IV საუკუნეში.

ძვ. წ. V-IV სს. ატიკური მხატვრული შავფიგურიანი, წითელფიგურიანი და სადა შავლაკინი კერამიკა (კრატერები, სკიფოსები, ლეკითოსები, კილიკები, ასკოსები, კანთაროსები, პელიკები, გუტუსები) უკვე ძველი კოლხეთის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ნამოსახლარზეა მოპოვებული. მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ძვ. წ. V-IV საუკუნეებში ატიკური იმპორტი რიონ-ყვირილას სავაჭრო მაგისტრალით საკმაოდ ინტენსიურად იკვლევდა გზას კოლხეთის შიდა რაიონებშიც და მთიან ზოლშიც (რაჭა, სვანეთი).

ათენის კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე მიუთითებს აგრეთვე ნუმიზმატიკური მასალებიც (კოლხეთში აღმოჩენილია ათენური ტეტრადრაქმები, ქიზიკინი). ამასთანავე ათენი ასრულებს საშუამავლო როლს კოლხეთთან კუნძულ თაზოსის პროდუქციით ვაჭრობაში.

ათენსა და კოლხეთს შორის ურთიერთობების თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს ათენში აღმოჩენილი და ამჟამად ბერლინის მუზეუმში დაცული ჰიდრია ბერძნული წარწერით „კოლხმა გამაკეთა მე". ეს ჰიდრია ატიკური შავფიგურული ტექნიკის ნაწარმადაა მიჩნეული, მაგრამ მასში უხვადაა წარმოდგენილი იონიური მხატვრული ნაკადი. ათენშია აღმოჩენილი და ბერძნული წარწერა ახლავს შავფიგურულ ამფორას: „ევქსისთეოსმა გამაკეთა, კოლხმა მომხატა".

ათენში აღმოჩენილ წარწერებში იხსენიებიან აგრეთვე კოლხი მონებიც, მაგალითად, ძვ. წ. 415-414 წწ. ჰერმოკოპიდების პროცესთან დაკავშირებით შედგენილი წარწერიდან ჩანს, რომ მეტეკ კეთისოდორის კუთვნილი მონა კოლხი 153 დრაქმად იყო შეფასებული.

კოლხეთის ზღვისპირა ბერძნული ფაქტორიების მეშვეობით ვრცელდება კოლხეთში აგრეთვე ეგვიპტისა და სირიის სახელოსნოების ნაწარმი (ფერადი მინისა და პასტის მძივები, პოლიქრომული მინის სანელსაცხებლე ჭურჭელი და სხვ.).

ბერძნულ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა უთუოდ დიდი როლი შეასრულა კოლხეთის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში. არსებითად ეს ნიშნავდა კოლხეთის ინტეგრაციას ბერძნული სამყაროს ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის ეკონომიკურ სისტემაში, რამაც იმ დროიდან განსაზღვრა ძველი საქართველოს ეკონომიკური და კულტურული ორიენტაცია ძირითადად დასავლეთის მიმართულებით.

ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის გავლენით ძვ. წ. VI-IV საუკუნეების კოლხეთში ფართოდ მიმოიქცეოდა ადგილობრივი ვერცხლის მონეტა, ე. წ. კოლხური თეთრი (ტეტრადრაქმები, დიდრაქმები, დრაქმები და ნახევრადდრაქმები). მათ შორის განსაკუთრებით გავრცელებული იყო ნახევარდრაქმები, რომლის შუბლზე ადამიანის თავია გამოსახული, ხოლო ზურგზე — ხარის თავის. სხვა სახის მონეტებზე წარმოდგენილია ლომის ან ლომის თავის, ხარისთავიანი მუხლმოდრეკილი ადამიანის გამოსახულებანი.

კიდევ უფრო ინტენსიური ხდება ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობა ე. წ. ელინიზმის ეპოქაში - ძვ. წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედიდან — ძვ. წ. I ს-ის შუა ხანებამდე. ამ დროს ამიერკავკასიის ქვეყნებზე, და მათ შორის კოლხეთზეც, გადიოდა „მსოფლიო" მნიშვნელობის ერთ-ერთი სავაჭრო სატრანზიტო გზა, დასავლეთს აღმოსავლეთის ქვეყნებთან რომ აკავშირებდა. ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ეს გზა მიემართებოდა ინდოეთიდან კასპიის ზღვამდე (სანაოსნო მდინარის ოქსოსის — აწინდელი ამუ-დარიის — მეშვეობით), ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გავლით — მდ. მტკვარი, სურამის უღელტეხილი, მდ. ფასისი (რიონ-ყვირილის მაგისტრალი) — აღწევდა შავი ზღვის სანაპიროებს ქალაქ ფასისთან და მერმე უკვე საზღვაო გზით უკავშირდებოდა შავიზღვისპირეთისა და მცირე აზიის ქალაქებს.

ძვ. წ. III-I სს. კოლხეთთან ცხოველი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა აქვთ სამხრეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებს (სინოპე, ჰერაკლეა), მცირე აზიის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს (პერგამონი, სამოსი და სხვ.), რაც დასტურდება ამ ცენტრებში დამზადებული კერამიკის (შავ- და წითელლაკიანი, რელიეფური და მოხატული თიხის ჭურჭელი, ამფორები) და აგრეთვე მონეტების ხშირი აღმოჩენებით თითქმის მთელს კოლხეთში. არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ ძვ. წ. III-I სს. სავაჭრო ურთიერთობათა პროცესში ფართოდაა ჩაბმული კოლხეთის როგორც ბარის,

ასევე მთიანეთის მოსახლეობა. კიდევ მეტი, შეინიშნება მეურნეობის „ანტიკური ფორმების“ დანერგვის ცდაც. ამის მოწმობა უნდა იყოს კოლხეთში ანტიკური ტიპის სავაჭრო-სატრანზიტო ჭურჭლის – ამფორების დამზადება (ე. წ. ყავისფერკეციანი ამფორები, ამჟამად კოლხურს რომ უწოდებენ). ამასთან ერთად, წმინდა ადგილობრივ ტრადიციულ კოლხურ ფორმებსა და ორნამენტულ სახეებთან ერთად, და მათ გვერდით, ძვ. წ. III-II სს-ში ვრცელდება ბერძნულ-ელინისტური კერამიკის გავლენით შექმნილი ჭურჭელი (ანტიკური ფორმის სათევზე ლანგრები, კანთაროსის ტიპის თასები, უნგვენტარიუმის მსგავსი სანელსაცხებლეები და სხვ.). ზოგჯერ ადგილობრივ დამზადებული ბერძნული ჭურჭელი შემკულია ტრადიციული კოლხური ორნამენტით.

3.6. კოლხეთის როლი და მნიშვნელობა ერთიანი ქართული ცივილიზაციის წარმოქმნა-განვითარებაში

წერილობითი წყაროებისა და განსაკუთრებით კი არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე ძვ. წ. VI-V სს-ში, როგორც უკვე ვნახეთ, კოლხეთი წარმოგვიდგება ეკონომიკურად და კულტურულად მაღალ დაწინაურებულ სახელმწიფოდ, სადაც ფიქსირდება ცივილიზაციის თითქმის ყველა განმსაზღვრელი ელემენტი: სახელმწიფოებრივი სტრუქტურა (ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაწილება) და ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლება (აიეტიდებად წოდებული სამეფო დინასტია), ინტენსიური საქალაქო ცხოვრება (მრავალრიცხოვანი ურბანისტული ცენტრები მრავალპროფილიანი ხელოსნური წარმოებითა და განვითარებული აღებ-მიცემით როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარე სამყაროსთან), უთუოდ რთული საგადასახადო სისტემა (რომლის თვალსაჩინო ილუსტრაციაა ადგილობრივ დიდგვაროვანთა სამარხებში ჩატანებული აურაცხელი სიმდიდრე, ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონის ნაკეთობებით რომაა წარმოდგენილი), სრულყოფილად ჩამოყალიბებული და მრავალსაუკუნოვან ტრადიციებზე დაფუძნებული ჯარგვალური წესით ნაგები ხის საერო და საკულტო არქიტექტურა, ლითონის (უპირატესად რკინის და აგრეთვე ბრინჯაოს) სამეურნეო თვალსაზრისით ფართოდ გამოყენება.

რამდენადმე რთულად დგას დამწერლობის არსებობის საკითხი. ძველ ბერძნულ წყაროებში შემონახულია ცნობები კოლხეთში ე. წ. „მამათაგან ნაწერი კირბების“ შესახებ, რასაც ზოგიერთი მკვლევარი ძველ კოლხეთში დამწერლობის არსებობის პირდაპირ მოწმობად მიიჩნევს. ზოგიერთი ძველი ბერძენი ავტორი იუწყება კოლხეთში (ოქროს საწმისის შესახებ ლეგენდის კონტექსტში) „ტყავზე ნაწერი წიგნების“ შესახებ, მაგრამ რაიმე მატერიალური დადასტურება კოლხური დამწერლობის ძეგლების არსებობისა არქეოლოგიურ მონაპოვარში ჯერ არ გაგვაჩნია. იქნება გამორიცხული არ იყოს, როგორც ეს იმდროინდელი მსოფლიოს რიგ მაღალკულტურულ ქვეყნებშია დადასტურებული, ბერძნული დამწერლობის გამოყენება, რის არაპირდაპირ მოწმობად შეიძლება ვაღიაროთ ძვ. წ. V ს-ის ზოგიერთ სამარხში (ითხვისი, საირხე) აღმოჩენილ თიხის ჭურჭელზე ბერძნული ასოებით ამოკაწრული სახელები, რომელთაც ადგილობრივ საკუთარ სახელებად მიიჩნევენ. ასე რომ, ძვ. წ. VII-V სს-ის კოლხეთის სახით ჩვენს წინაშეა საზოგადოება, რომელიც ცივილიზაციის რიგი არსებითი ნიშნებით ხასიათდება. ამ ცივილიზაციის ეროვნულ იერს განსაზღვრავდა მისი უაღრესად სპეციფიკური მატერიალური კულტურა (კერამიკა, ოქრომჭედლობა, ჯარგვალური არქიტექტურა, ბრინჯაოს პლასტიკა და ა. შ.).

ახლა ჩვენს წინაშე დგება უაღრესად რთული საკითხი: როგორი იყო კოლხური ცივილიზაციის როლი საერთო ქართული ცივილიზაციის (სახელმწიფოებრიობის) ფორმირების საქმეში, უკვალოდ გაქრა იგი, თუ გახდა მისი შემადგენელი ნაწილი?

კოლხთა ეთნიკური კუთვნილება არავითარ ეჭვს არ იწვევს: ისინი საერთო ქართული ფუძე-ენის დიფერენციაციის შედეგად წარმოქმნილ მეგრულ-ჭანური ენის მატარებელ დასავლურქართველურ ტომებად არიან ერთხმად აღიარებული. არგუმენტები ასეთი დასკვნისათვის საკმაოდ მრავლადაა. კოლხურად წოდებული ბრინჯაოს კულტურის არეალი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებითად ემთხვევა უძველესი მეგრულ-ჭანური ტოპონიმების გავრცელებას (მათ შორის იმ ოლქებშიც, სადაც დღეს მეგრულ-ჭანები აღარ მოსახლეობენ — მაგ. იმერეთში, გურიაში, სამცხე-ჯავახეთში და ნაწილობრივ ისტორიული შიდა ქართლის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში). დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე ბიზანტიური ხანის ბერძნულ მწერლობაში შემონახული ცნობები. ასე, მაგალითად, VI ს-ის ანონიმი ავტორის (ფსევდო-არიანედ წოდებული) ცნობით, „დიოსკურიიდან, რომელსაც აგრეთვე სებასტოპოლი ეწოდება, ვიდრე აფსარის წყლამდე (ჭოროხი — ო. ლ.) ცხოვრობდა ის ხალხი, რომელსაც კოლხები ეწოდებოდათ და მერე შეერქვათ ლაზები". VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი კი იუწყება: „ლაზები წარმოადგენენ ძლიერსა და მამაც ტომს და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ, ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ, შესაძლოა არც თუ ისე უსაფუძვლოდ... მე არ მეგულება სხვა ტომი ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც სიმდიდრის სიუხვით და ქვეშევრდომთა სიმრავლით, ისე მიწა-წყლის სიკეთით, მოსავლიანობის სიჭარბით და ზნეჩვეულებათა სიმწყობრით და დახვეწილობით".

ეს ცნობა მრავალმხრივაა საგულისხმო. ძველბერძნული ისტორიოგრაფიის ტრადიციებზე აღზრდილი ბიზანტიელი ისტორიკოსებისათვის „ზნეჩვეულებათა სიმწყობრე და დახვეწილობა", პირველ რიგში, ნიშნავდა ამ ხალხში სახელმწიფოებრივი წყობის არსებობას, რაც ძველი კოლხეთის სამეფოს მემკვიდრეობას წარმოადგენდა. იმავე დროს ეს ცნობა იშვიათი და თვალსაჩინო ილუსტრაციაა თაობიდან თაობაში გარდამავალი ეროვნული თვითშეგნებისა, რომელიც ჯერ მითრიდატე VI პონტოელის, ხოლო შემდგომ რომაელთა მიერ ანექსირებულ დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) მიწა-წყალზე ახალი სახელმწიფოს — ლაზიკად წოდებული სამეფოს შემქმნელ ტომებში — ლაზებში VI ს-ში იყო შემონახული და ეს ბიზანტიელებისათვის კარგად ყოფილა ცნობილი! ისიც ნიშანდობლივია, რომ ლაზ დიდგვაროვნებში შემონახული ყოფილა ტრადიციული სახელი პირველი კოლხი მეფისა — აიეტი. ასე, მაგალითად, ბერძენ-ირანელთა ომიანობის დროს VI ს-ში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აქტიური ლაზი პოლიტიკური მოღვაწე ჩანს ადგილობრივი დიდკაცი სახელად აიეტი. ეს ფაქტი ხომ ასევე უტყუარი დასტურია პირველი საუკუნის ბერძენი მეცნიერისა და მწერლის სტრაბონის მრავალმხრივ საყურადღებო ცნობისა — ის „რომ აიეტი კოლხეთზე მეფობდა, სარწმუნოა: იქაურობაში ეს სახელი ადგილობრივია". ამრიგად, წყაროები ერთხმად მიუთითებენ ლაზებისა და კოლხების გენეტურ ურთიერთკავშირზე. ლაზებმა კი დღემდე შემოინახეს თავიანთი ენა, რომელიც (მეგრულ-ჭანურთან ერთად) დასავლურქართულია.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პირველი სახელმწიფოსა და ცივილიზაციის შემქმნელები იყვნენ ქართველი ტომები — კოლხები (დღევანდელი მეგრელ-ჭანებისა და ლაზების უშუალო წინაპრები). სახელმწიფოს შექმნა კი იყო უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი ადგილობრივი საზოგადოების განვითარების ისტორიაში. ეს იყო პოლიტიკური კონსოლიდაციის უმაღლესი ფორმა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგება მართვის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული პრინციპით (ნაცვლად თემურ-გვაროვნული, ე. ი. სოციალური და პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით პრიმიტიული სტრუქტურებისა). ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი (ტერიტორიულ-

ადმინისტრაციული პრინციპით ქვეყნის დაყოფისა!) აუცილებლად დასტურდება წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიური მონაცემებით. ასე, მაგ., სტრაბონი მოგვითხრობს კოლხეთის დანაწილებაზე სკეპტუხიებად, ე. ი. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად (რომელიც გვიანდელ ქართულ საერისთავოს შეესატყვისებოდა). აღმოჩენილია ასეთი ადმინისტრაციული ერთეულების პოლიტიკური ცენტრებიც — ვანი, აგრეთვე საირხე... ადმინისტრაციულ ცენტრებში ხდებოდა სწორედ კონცენტრაცია სამშენებლო საქმის ოსტატებისა, საუკეთესო ხელოსნობისა, ძვირფასი ლითონებისა და თიხის, ქსოვილებისა და, საერთოდ, ფუფუნების საგნების, იარაღ-საჭურველის დამამზადებელი სახელოსნოებისა. ამავე დროს, არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ უკვე ძვ. წ. VI და განსაკუთრებით V-IV სს-ში კოლხეთის ადმინისტრაციული ცენტრები (ვანი, საირხე) მსხვილ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებად არიან ქცეული. ხელოსნური წარმოების კონცენტრაცია გარკვეულ ცენტრებში და, შესაბამისად, ბაზრის წარმოქმნა — ერთ-ერთი თვალსაჩინო მოწმობაა საზოგადოების ურბანიზაციისა, ე. ი. თანამედროვე სოციოლოგიური კონცეფციით — ცივილიზაციის ერთ-ერთი არსებითი შემადგენელი სტრუქტურისა.

ამრიგად, კოლხური სახელმწიფოებრიობის (და შესაბამისად ცივილიზაციის) შექმნა არსებითად ნიშნავდა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მართვის ადმინისტრაციულ პრინციპზე აგებული ტერიტორიული ერთეულების შექმნას,რომელნიც შემდგომ შევიდნენ უკვე ერთიან ქართულ სახელმწიფოებრიობაში.

ერთ-ერთი არსებითი შედეგთაგანი კოლხთა სახელმწიფოს შექმნისა იყო აგრეთვე ერთიანი ეთნოკულტურული სისტემის ჩამოყალიბება, რაც თვალსაჩინოდაა ასახული ძვ. წ. VII-IV სს-ის კოლხეთის არქეოლოგიურ მონაპოვარში. სპეციფიკური კულტურა (არქიტექტურა, კერამიკა, ლითონის სამეურნეო და საომარი იარაღი, სამკაული, დაკრძალვის წესები და რელიგიური რწმენა-წარმოდგენები) ვრცელდება მთლიანად დღევანდელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე — კოლხეთის საზღვრებში. ამრიგად, თითქოს წაშლილი ჩანს მრავალტომობრივობა (მათ შორის შესაძლოა ეთნიკურად განსხვავებული ჯგუფებისაც, რომელნიც კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში მოექცნენ).

ამრიგად, კოლხური სახელმწიფოსა და მასთან ერთად კოლხური ცივილიზაციის განვითარებას შედეგად მოჰყვა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი ეთნოკულტურული სისტემის ჩამოყალიბება, სადაც წამყვან როლს სოციალურად და პოლიტიკურად დაწინაურებული კოლხური ეთნოსი ასრულებდა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შემდგომი პროგრესისათვის ძალზე დიდმნიშვნელოვანი იყო სწორედ ამ დროს შექმნილი რიგი სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისა: ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება, ქალაქების წარმოქმნა, საზღვრები და ტერიტორიის დაცვა (რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლება ახორციელებდა). ამრიგად, იმ დროს ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა სახელმწიფოებრივი და, საერთოდ, ცივილიზაციის სტრუქტურები, რომელიც შემდგომ, ეპოქის შესაბამისად ტრანსფორმირებული, გახდება ორგანული ნაწილი ერთიანი ქართული ცივილიზაციისა.

კიდევ ერთი მომენტია უთუოდ ყურადსაღები: კოლხური სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკური და კულტურული ორიენტაცია. უკვე ძვ. წ. VI-V საუკუნეებიდან, როგორც უკვე ზემოთ ვნახეთ, მთელი კოლხეთის მოსახლეობა ინტენსიურად იყო ჩაბმული ბერძნულ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებში, რაშიც დიდ როლს ასრულებდა შავი ზღვა და რიონ-ყვირილის (ძველი ფასისი) სავაჭრო მაგისტრალი. შავი ზღვის მეშვეობით ხორციელდებოდა ძველი საბერძნეთის — ათენისა და მთელი რიგი სხვა სახელოსნო-სავაჭრო ცენტრების (ქიოსი, სამოსი, თაზოსი, მილეტი, სინოპე და სხვ.) გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა კოლხეთთან, რასაც თან სდევდა

კულტურული ურთიერთობანიც. ერცელდებოდა და ადგილობრივ ნიადაგზე გადამუშავებით ინერგებოდა მოწინავე ელინური და შემდეგ ელინისტური ხანის მეცნიერების, საინჟინრო ტექნიკისა და შემდეგ ელინისტური ხანის მეცნიერების, საინჟინრო ტექნიკისა და საერთო კულტურის მიღწევები, რასაც ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა ადგილობრივი სახელმწიფოებრიობისა და ცივილიზაციის არსებობამ. ყველაფერი ეს თვალსაჩინოდაა ასახული კოლხეთის არქეოლოგიურ მონაპოვარში. ***კოლხეთის ცხოველმა კონტაქტებმა ბერძნულ სამყაროსთან, რომელიც რეგულარულად ძვ. წ. VI-V სს-დან დაიწყო, იმთავითვე განსაზღვრა შემდგომში, უკვე ა. წ. პირველი საუკუნეებიდან, ქართული სახელმწიფოების ორიენტაცია დასავლეთ-ქრისტიანულ სამყაროზე და მით სათავე დაუდო ქართული ცივილიზაციის ევროპული განვითარების ტენდენციას.***

დიდმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, რომელიც შედეგად მოჰყვა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებს მახლობელ აღმოსავლეთში და ელინისტური სახელმწიფოების წარმოქმნას, მითრიდატე VI ევპატორისა და შემდგომ რომაელთა დაპყრობებს, შეაფერხეს კოლხური ცივილიზაციის აღმავალი გზით სვლა, მაგრამ უკვე ძვ. წ. III ს-ის დასაწყისიდან პოლიტიკურ ასპარეზზე მძლავრ ძალად გვევლინება აღმოსავლურქართული სახელმწიფოებრიობა, რომელიც გახდება შემოქმედი ერთიანი ქართული ცივილიზაციისა, სადაც გაერთიანდება ძველი კოლხეთიც. ეს ახალი სახელმწიფო იყო ბერძნულ-რომაულ წყაროებში ფართოდ ცნობილი იბერია.

თავი მეოთხე

ეგრის-კოლხეთიდან ოდიშამდე

4.1. ეგრისი ძველი და ახალი ერის მიჯნაზე

ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი ძნელბედობის ხანა იყო ძველი ეგრისის სამეფოსათვის. ამის შესახებ ცნობები ლეგენდარული სახით, „ქართლის ცხოვრების" ფურცლებზე აისახა.

ლეონტი მროველის ცნობით ალექსანდრე მაკედონელის მიერ ქართლში „პატრიკად" დატოვებულმა აზონმა „დაიპყრა ქართლსა ზედა ეგრისიცა". სამაგიეროდ, ეგრისის მფლობელი ქუჯი სიხარულით დადგა მცხეთის მამასახლისის ძმისწულის, ქართლის მომავალი პირველი მეფის ფარნავაზის მხარეზე უცხო დამპყრობელის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეგრისის მფლობელმა დიდი პატივით მიიღო დასავლეთ საქართველოში გადასული ფარნავაზი და უყოყმანოდ აღიარა მისი უზენაესობა: „შენ ხარ შვილი თავთა ქართლისათა, და შენ გმართებს უფლობა ჩემი". ქუჯი მთელი ძალით დაეხმარა ფარნავაზს, რომელიც გამარჯვების შემდეგ მეფე „იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა". მხოლოდ „ეგრისწყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა".

ქართლის პირველმა მეფემ „მეორე და თჳსი მისცა ქუჯის ცოლად და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე რომელსა შინა არს ეგრისი და სვანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი".

საფიქრებელია, რომ ტექსტის ის ადგილი, სადაც ქუჯისათვის გადაცემულ ქვეყანაზეა საუბარი, გადამწერების მიერ დამახინჯებულია და უნდა იკითხებოდეს ასე: „მისცა ქუჯის ქვეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა ზღვითგან მთამდე, რომელი არს შიდა ეგრისი და სვანეთი".

ფარნავაზმა ეგრისის აღმოსავლეთის ბედი ქუჯის ნების დამოუკიდებლად გადაწყვიტა და ეს მხარე მარგვი ანუ მარგვეთი თავის ახლად დანიშნული ერისთავებისაგან ერთ-ერთს გადასცა. „ერთი გაგზავნა მარგვის ერისთავად და მისცა მცირეთ მთითგან რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღურამდე ეგრისისა, რიონს ზემოთ. ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა".

დიმნა დღევანდელი სოფელი ზემო დიმია მდ. რიონის მარცხენა შენაკად მდ. ხანისწყლის მარჯვენა ნაპირზე. ლეონტი მროველის მარგვი ანუ მარგვეთი ანუ შემდეგდროინდელი არგვეთი, ფარნავაზის ხანაში მოიცავდა რაჭისა და მესხეთ-აჭარის ქედებს შორის მოქცეულ ტერიტორიას, რომელსაც აღმოსავლეთით ლიხის ქედი, დასავლეთით მდ. რიონი საზღვრავდა. ამ საერისთაოში შედიოდა მდ. ხანისწყლის ხეობა და შესაძლებელია ელინისტური ხანის „ვანის ქვეყანაც". ამ შემთხვევაში საგულისხმოა, მარგვის საზღვარი

რიონის მარცხენა ნაპირზე, ე.წ. საჯავახოს ქედამდე აღწევდა, რომელიც მესხეთ-აჭარის ქედის ერთ-ერთი ჩრდილო-დასავლეთ განშტოებას წარმოადგენს.

ასე რომ ლეონტ მროველის მიხედვით ფარნავაზის ერთგულებისათვის ქუჯი ფაქტობრივად დაისაჯა. დამოუკიდებელი მფლობელისაგან იგი ქართლის პირველი მეფის ერისთავად გადაიქცა, თანაც მან დაკარგა თავისი სამფლობელოს დიდი ნაწილი და მხოლოდ შიდა ეგრისი და სვანეთი დარჩა.

ფარნავაზისა და ქუჯის ურთიერთობის ლეგენდარული ხასიათის მიუხედავად, ლეონტი მროველის ცნობას რეალური საფუძველი უნდა ჰქონდეს. ძვ.წ. III ს. ქართლის სამეფოს ძლიერების ხანაა, რომელიც თავის გავლენას ავრცელებს ძველი ეგრისის სამეფოზე და მის ერთ ნაწილს უშუალოდ იერთებს. თითქოს რეალური შესატყვისი მოეპოვებათ იმ „ბერძნებსაც" რომელთაც „დარჩათ" „ეგრისწყალის ქუემოთი", ანუ ძველი ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. ზოგი მკვლევარის აზრით ამ „ბერძნებში" იგულისხმება პონტოს სამეფო, რომელიც საფიქრებელია, ძვ.წ. III ს-ის პირველ ნახევარში პირველად გამოჩნდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

ძალზე საეჭვოა „ქუჯი ერისთავის" რეალობა. როგორც ფიქრობენ (ი. ანთელავა), ეგრისის ერისთავის სახელწოდება, სინამდვილეში, ძველი მეგრული „ციხეგოჯის", იგივე „ციხე-ქუჯის", იგივე „ჯიხანჯირის" — „თავადი", „თავი" ციხის ანთროპონომად ანუ ადამიანის სახელწოდებად გააზრებაა. ასეთ შემთხვევაში ძველი ეგრისის ისტორიის ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი აისახა ამ სახელწოდებაში.

ძვ.წ. III ს-ში, არქეოლოგთა დაკვირვებით, ძველი ეგრისის მოსახლეობამ თანდათან მიატოვა კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში განლაგებული ხელოვნურად მოზვინული საცხოვრებელი ბორცვები. ეს პროცესი ძველი ეგრისის სამეფო კარსაც შეეხო. აქამდე მთავარი სამეფო რეზიდენცია, უცხოენოვანი საისტორიო წყაროების მიხედვით, კოლხეთის დაბლობში მდ. რიონის ქვემო წელში მდებარეობდა. ძვ.წ. III ს-ში სამეფო კარის მთავარმა რეზიდენციამ დაბლობისა და მთაბორცვიანი რეგიონის გამყოფ ზოლში „ჯიხანქუჯში" ანუ ციხე-გოჯში გადაინაცვლა. სწორედ ეს მოვლენა აისახა ლეონტი მროველის თხზულებაში ქუჯი ერისთავის სახით.

ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ძვ.წ. III ს-ის პირველ ნახევარში ძველი ეგრისის საზღვრები ძალზე შემცირდა. ამ დროს ეგრისის მეფეები ფლობდნენ მხოლოდ შიდა ეგრისს და სვანეთს. თუ ეს ტრადიცია სწორია, მაშინ უნდა ვაღიაროთ, ასეთი ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა და ეგრისის სამეფომ თავისი ძველი ტერიტორიები დაიბრუნა. ეს პირველ რიგში კარგად ჩანს, ძველი ბერძენი ისტორიკოსის და გეოგრაფის სტრაბონის თხზულებიდან.

სტრაბონის „გეოგრაფიაში", კოლხიდის შემადგენლობაში შეყვანილია ჩრდილო-დასავლეთით პიტიუნტი იგივე (ბიჭვინთა), დიოსკურია (სოხუმი), ხოლო აღმოსავლეთით შორაპანი. ეს კარგად მოწმობს, რომ ძველი ეგრისის (კოლხიდის) მეფეებმა, მოახერხეს ქართლისა და პონტოს სამეფოებისაგან წართმეული ტერიტორიების უკან დაბრუნება და ძველი ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში, ისევე როგორც ადრე, მთელი დასავლეთი საქართველო შედიოდა, მის მომიჯნავე ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან ერთად. სამხრეთ-დასავლეთით კოლხიდა ტრაპიზონამდე ვრცელდებოდა. ეს ქალაქი კი, ძვ. წ. VIII-VI სს-დან უკვე აღარ შედიოდა ძველი ეგრისის სამეფოს საზღვრებში.

სტრაბონი „მოსხების ქვეყანაში" არა მარტო სამცხეს, არამედ მთელ ისტორიულ ზემო ქართლს გულისხმობს, რომელიც მტკვრის ხეობის ზემო წელს და მდინარე ჭოროხის მთელ აუზს მოიცავდა. იბერების ნაწილს მოსხების ქვეყანაში საგულისხმოა,

სტრაბონი მტკვრის ხეობის ზემო წელს გულისხმობდა, არმენიელების წილში მდ. ჭოროხის აუზის ზემო წელს, ხოლო ჭოროხის ხეობის დიდი ნაწილი, ეჭვის გარეშეა ძველი ეგრისის (კოლხიდის სამეფოს საზღვრებში) შედიოდა.

ძვ.წ. IV ს-ის ბოლო წლებში წინა აზიაში შეიქმნა პონტოს სამეფო, რომელიც დროთა განმავლობაში ძველი ეგრისის სამეფოს უძლიერეს სამხრეთ მეზობლად გადაიქცა.

ზოგი მკვლევარი პონტოს სამეფოს აქტივობას დასავლეთ საქართველოში ძველი წ. III ს-ის პირველ ნახევარში, ფარნავაზ მეფის ხანაში ხედავს. ამის შემდეგ კოლხიდა — პონტოს ურთიერთობის შესახებ საისტორიო წყაროები დიდი ხნის მანძილზე არავითარ ცნობას არ გვაწვდიან.

ძვ.წ. 183 წ. პონტოს მეფე ფარნაკე I -მა დიდი ომი დაიწყო პერგამონის სამეფოს წინააღმდეგ, რომელიც ძვ.წ. 179 ზავით დასრულდა. საზავო ხელშეკრულებაში ზავის პირობების შესრულების გარანტად მოხსენიებული არიან „აზიის დინასტთაგან არტაქსია, რომელიც განაგებდა არმენიის უდიდეს ნაწილს და აკუსილოქოსი, ხოლო ევროპის დინასტთაგან გატალოს სარმატი“:

აკუსილოქოსის მოხსენიებამ არმენიის და სარმატიის დინასტთა შორის მკვლევარებს მისცა საშუალება, გამოეთქვათ ჩვენ აზრით, საკმაოდ სამართლიანი მოსაზრება, რომ იგი უნდა იყოს კოლხიდის მეფე აკუ, როელიც დაახლოებით ამ ხანაში ჭრის ოქროს მონეტას.

თავისთავად, ძველი ეგრისის მეფის დასახელება საზავო ხელშეკრულების გარანტებს შორის მოწმობს, რომ ძვ. წ. II ს-ის პირველ ნახევარში კოლხიდის სახელმწიფო ჯერ კიდევ ძლიერი სამეფოა და მნიშვნელოვან როლს თამაშობს შავიზღვისპირეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ძვ.წ. ათიან წლებში, როდესაც პონტოს სამეფომ თავისი ძლიერების მწვერვალს მიაღწია და მრავალ ქვეყანაზე, მათ შორის ძველი ეგრისის სამეფოზეც თავისი ხელისუფლება გაავრცელა.

ძველი ეგრისის (კოლხიდის) დაპყრობას მითრიდატე VI ევპატორის მიერ, თავიანთი უკანასკნელი ხანის გამოკვლევებში ქართველი ისტორიკოსები ძვ.წ. 111\110 წლებით ან კიდევ ძვ.წ. II ს-ის ბოლო ხუთწლედით ათარიღებენ. დაპყრობამდე, ძველი ეგრისის სამეფო ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა, ამიტომ მის შეერთებას პონტოს სამეფო კარზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ძველი ეგრისის (კოლხიდის) სამეფოს დასაპყრობად, პონტოს მეფეს ომის გადახდა მოუხდა. "მითრიდატემ ომით დაიმორჩილა ფასისის მიდამოების მეფეები — წერს კოლხიდის დაპყრობაზე, ძველი ბერძენი ისტორიკოსი მემნონი — კავკასიონის მიმდებარე ტერიტორიამდე, თავის ძალაუფლება განავრცო და მეტისმეტად გადიდგულდა".

როგორც ირკვევა, პონტოს მეფე გარკვეულ დათმობაზე წავიდა დაპყრობილი ძველი ეგრისის — კოლხიდის მიმართ. მითრიდატე VI თავიანთ ადგილებზე დატოვა ერისთავები, იგივე სკეპტუხები და არც ძველი ეგრისის ტერიტორიული მთლიანობა დაარღვია.

სტრაბონი ზოგადად გადმოგვცემს მითრიდატეს დაპყრობის შემდეგ ძველი ეგრისის ას ოც წელზე მეტი ხნის ისტორიას. ეხება რა კოლხიდის ისტორიას, აღნიშნავს: „ხოლო როდესაც მითრიდატე ევპატორის ძალაუფლება გაძლიერდა, მის ხელში გადავიდა ქვეყანა: იგზავნებოდა მუდამ ვინმე მისი მეგობართაგანი მმართველად და გამგებელი ქვეყნისა, ამათგან იყო მოაფერნეც, ჩემი დედის ბიძა მამის მხრიდან, აქედან იყო, რომ მეფეს მოსდიოდა მეტი წილი ძალებისა სანაოსნო სამსახურისათვის. როდესაც მითრიდატე დაეცა, მთელი საგამგებლო განადგურდა და დანაწილდა. მრავალთა შორის უკანასკნელად პოლემონს ჰქონდა კოლხიდა, ხოლო როდესაც ის მოკვდა, მისი მეუღლე პითოდოროსი, ფლობდა, მეფობდა, კოლხებზე, ტრაპეზუნტზე, ფარნაკიაზე“.

კოლხიდა, როგორც საფიქრებელია, საზღვაო-საბრძოლო გემებს და მათ ეკიპაჟს უგზავნიდა პონტოს მეფეს. ძველი ეგრისის სამეფოს დიდი საზღვაო ტრადიციები ჰქონდა და თავის დროზე საზღვაო ფლოტიც გააჩნდა.

მითრიდატე VI ევპატორმა, ძველ ეგრისში მეფობა გააუქმა და პონტოს მეფის სახელით კოლხიდას მისი ერთ-ერთი მეგობართაგანი განაგებდა. მეფობის გაუქმებას ძველ ეგრისში დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია და როდესაც მითრიდატე VI რომთან პირველ ომში იყო ჩაბმული, მის წინააღმდეგ აჯანყება დაუწყიათ. ამიტომ ძვ.წ. 83 პონტოს მბრძანებელი ეგრისის ხელახალ დამორჩილებას შეუდგა. „მითრიდატემ კი — წერს ბერძენი ისტორიკოსი აპიანე — "პონტოში რომ დაბრუნდა, გადამდგარ კოლხებსა და ბოსფორელებს გაუმართა ომი. ამათგან კოლხები მას შვილს სთხოვდნენ, მითრიდატეს, რათა მიეცა მათთვის მეფედ და როგორც კი მიიღეს, მაშინვე დამორჩილდნენ" ასე რომ ცოტა ხნით პონტოს მბრძანებელს ძველ ეგრისში მეფობა აღუდგენია და კოლხიდის მეფედ თავისი ვაჟი, სეხნია მითრიდატე დაუყენებია. მითრიდატე უმცროსის მეფობა კოლხიდაში დიდხანს არ გაგრძელებულა. „მეფემ იეჭვა — აგრძელებს აპიანე — რომ ეს ყოველივე მოაწყო მისმა შვილმა, რომელსაც მეფობა სურდა, მოაყვანინა იგი, დაადო ოქროს ბორკილები და შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ მოჰკლა კიდეც".

მითრიდატე უმცროსის სიკვდილის შემდეგ ძველი ეგრისის სამეფოს კვლავინდებურად პონტოს მეფის მიერ დანიშნული ერთ-ერთი მეფის მეგობარი განაგებდა.

ძველი ეგრისის სამეფოში, ამ მარცხის შემდეგ, მეფობის აღდგენის იდეა არ მომკვდარა. სწორედ კოლხიდის სეპარატიზმს ეყრდნობოდა პირველ რიგში მითრიდატე VI მეორე ვაჟი მახარე, რომელიც ძვ.წ.70 წ. მითრიდატე VI და რომის მესამე ომის დროს, მამის დავალებით კოლხიდაში იმყოფებოდა და რომაელების მხარეზე გადავიდა.

ძვ.წ. 70 რომის არმიამ ალყა შემოარტყა პონტოს სამეფოს დედაქალაქს სინოპეს. ამ ქალაქში პონტოს მიერ დაყენებული მხედართმთავრები ერთმანეთში ვერ შეთანხმდნენ, ამიტომ მათ თავიანთი ქონება „ჩუმად ჩააწყვეს საბარგო ხომალდებში და გაუგზავნეს მახარეს, მითრიდატეს ძეს, — წერს მემნონი — რომელიც ამ დროს იყო კოლხიდაში. ამასობაში ლუკულუსი, რომაელთა მხედართმთავარი მოვიდა ქალაქთან და სასტიკად შემოარტყა ალყა. მახარემ, მითრიდატეს ძემ გაუგზავნა ლუკულუსს მოციქულები მეგობრობისა და მოკავშირეობისათვის, ლუკულუსმა ისინი სიამოვნებით მიიღო და უთხრა, რომ ხელშეკრულებას მტკიცედ მიიჩნევს, თუ იგი სინოპელებს პროვინტს არ მიაწვდის. მახარემ არა მხოლოდ ნაბრძანები შეასრულა, არამედ ისიც რაც ჰქონდა მომზადებული მითრიდატეს მომხრეებისათვის, რომაელებს გადასცა."

მახარეს რომაელებისათვის ამ დახმარების გაწევის შემდეგ სინოპეს დამცველებს იმედი საბოლოოდ გადაეწურათ. ამიტომ მითრიდატე VI ევპატორის ერთ-ერთმა სარდალმა კლეოხარემ და მისმა მომხრეებმა „დიდძალი ქონება დააწყვეს ხომალდებზე და ქალაქი დასარბევად მისცეს ჯარისკაცებს. თვითონ კი ნავებზე დასხდნენ და გაიქცნენ პონტოს უკიდურეს აღმოსავლეთის მხარეებში, „იმ ადგილებში სახლობენ სანეგები და ლაზები" — აღნიშნავს მემნონი.

საფიქრებელია, რომ პონტოს მეფის სარდალმა და მისმა მომხრეებმა თავი ძველი ეგრისის (კოლხიდის) სამეფოს შეაფარეს, სანეგები იგივე სანიგებია, რომლებიც როგორც ჩანს ძველი ეგრისის საეფოს ერთ-ერთ საერისთაოს (სკეპტუხიას) შეადგენდნენ, ისევე როგორც ლაზები.

მახარემ კოლხიდაში გამაგრება ვერ მოახერხა და ბოსფორში დაბრუნდა, რომელიც მამამ სამეფოდ უბოძა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო, ის რომ მას არ დაემორჩილნენ ის მეციხოვნეები, რომელნიც მითრიდატე ევპატორმა კოლხიდის ციხე-სიმაგრეებში ჩააყენა.

მითრიდატე VI-ისათვის მესამე ომი რომთან ტრაგიკული შედეგებით დასრულდა. ის ჯერ რომაელთა სარდალმა ლუკულუსმა რამდენჯერმე დაამარცხა, ხოლო ძვ.წ.66 წ. რომის მეორე სარდალმა პომპეუსმა საბოლოოდ გაანადგურა. უმოკავშირეოდ დარჩენილი პონტოს ერთ დროს ძლევამოსილი მბრძანებელი იძულებული გახდა კოლხიდაში გაქცეულიყო. მითრიდატე VI ძველი ეგრისის ცენტრალურ რეგიონებში გაჩერება ვერ გაბედა, რადგან ადგილობრივ მოსახლეობას ვერ ენდობოდა. ამიტომ ის დიოსკურიაში (სოხუმში) შეჩერდა, სადაც ბერძნული კოლონია იყო. „მითრიდატემ ზამთარი დიოსკურიაში გაატარა – წერს აპიანე – კოლხებს ეს ქალაქი მიაჩნიათ არგონავტებთან ერთად დიოსკურების ყოფნის საბუთად". შემდეგ პონტოს მეფე ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გავლით ბოსფორის სამეფოსკენ გაემართა, სადაც ძვ.წ. 63წ. ტრაგიკულად დაამთავრა თავისი მშფოთვარე ცხოვრება.

მითრიდატე ევპატორს რომაელთა სარდალი პომპეუსი დაედევნა. იგი ძვ.წ. 65წ. ჯერ იბერიაში შემოიჭრა და მისი მეფე არტაგი დაიმორჩილა. აქ რომაელთა სარდალმა შეიტყო, ის რომ ფაზისი არ არის შორს და გადაწყვიტა მის გაყოლებით კოლხეთში ჩასულიყო, ხოლო აქედან ბოსფორში მითრიდატეს წინააღმდეგ გაელაშქრა. იგი დაიძრა განზრახული მიმართულებით, და გაიარა კოლხებისა და მათი მეზობლების მიწაზე, თან მოქმედებდა ხან დარწმუნებით, ხან დაშინებით. ძველი ბერძენი ისტორიკოსი დიონ კასიოსი, როგორც ჩანს ლოკალურ მოქმედებებს გულისხმობს. კოლხიდა პომპეუსის მიერ ხმლით დაპყრობილ ქვეყნად ითვლებოდა, რადგან აპიანე პომპეუსს დამსახურებად კოლხებზე გამარჯვებასაც უთვლის. „თვითონ პომპეუსმა ამ ერთი ომით მოსპო მეკობრეები, – წერს იგი, დაამხო უდიდესი მეფე, და პონტოს ომს თუ არ ჩავთვლით, კოლხებთან, ალბანებთან, იბერებთან, არმენიელებთან, მიდიელებთან, არაბებთან, იუდეველებთან და სხვა აღმოსავლელ ხალხებთან ბრძოლაში განავრცო რომაელთა ძალაუფლება ეგვიპტემდე".

ამ დროისათვის ძველი ეგრისის სამეფოში ცენტრალური ხელისუფლება უკვე აღარ არსებობდა. ამიტომ რომაელთა სარდალს წინააღმდეგობას ცალკეული ერისთავები, სკეპტუხები უწევდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო „კოლხთა სკეპტუხი ოლთაკე", რომელიც დამარცხებულ მეფე-მთავრებს და მხედარმთავრებს შორის გამოიყვანა პომპეუსმა რომში თავის ტრიუმფზე.

კოლხიდაში თავის ლაშქრობის დროს რომაელმა სარდალმა, როგორც ჩანს პირველ რიგში ძველი ეგრისის მთავარი ნავსადგური ფაზისი დაიკავა, რომელიც ისევე როგორც დღევანდელი ფოთი, მდ. ფაზისის (რიონის) შესართავში მდებარეობდა. "დაამარცხა თუ არა იბერები – წერს ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი პლუტარქე – პომპეუსი კოლხეთში შეიჭრა მდინარე ფაზისის სანაპიროზე, მას შეეგება სერვილიუსი თავისი ფლოტით, რომლითაც იგი პონტოს იცავდა".

კოლხიდაში პომპეუსი დარწმუნდა, რომ მითრიდატეს დადევნებას აზრი არ ჰქონდა. „ამიტომ მან მოიარა კოლხეთი არგონავტთა, დიოსკურებისა და ჰერაკლეს აქ ყოფნის ამბების შესატყობად და განსაკუთრებით კი უნდოდა ენახა ტანჯვის ადგილები რადგან ამბობდნენ, პრომეთე კავკასიონის მთაზე იყოო. ამის შემდეგ პომპეუსმა „კოლხთა დინასტად არისტარქე დანიშნა" და თვითონ სომხეთის გავლით ალბანეთში გაემართა.

არისტარქე, როგორც ჩანს, ეგრისის ერისთავი, იგივე სკეპტუხი იყო, რომელიც პომპეუსის კოლხიდაში ლაშქრობის დროს რომის სარდლის მხარეზე გადავიდა. მისი დინასტად დანიშვნით რომის სარდალმა ძველი ეგრისის სამეფო აღადგინა. ამავე დროს იმ ტიტულის მინიჭებით, რომელიც „ბასილევსზე" – მეფეზე ნაკლებ საპატიოდ ითვლებოდა, პომპეუსმა არისტარქეს რომის ვასალობას გაუსვა ხაზი.

რამდენად რეალური იყო რომის სიუზერენიტეტი კოლხიდაზე არისტარქეს დროს, საისტორიო წყაროებიდან არ ჩანს. საფიქრებელია, რომ იგი ხშირ შემთხვევაში ნომინალური იყო, რადგან ეგრისში არ იდგა რომაული გარნიზონები და არც ამ ხანაში რომაელთა სამხედრო ფლოტის აქტივობაა დამოწმებული აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში.

ერთადერთი ცნობა არისტარქეს მმართველობის შესახებ ეგრისში მის მიერ მოჭრილი ვერცხლის მონეტის წარწერამ შემოგვინახა. „არისტარქესია, რომელიც კოლხიდას განაგებს, მართავს მას 12 წელი“ — ვკითხულობთ ამ წარწერაში. ასე რომ ძვ.შ. 53-52 არისტარქე ჯერ კიდევ კოლხიდის გამგებელია.

ძვ.წ. 48 წ. ძველი ეგრისის სამეფო ბოსფორის მეფემ, სახელგანთქმული მითრიდატე VI ევპატორის ვაჟმა ფარნაკე II დაიპყრო. მისი ბატონობა აქ დიდხანს არ გაგრძელებულა. ძვ.წ. 47წ. ფარნაკე II დამარცხდა რომის მბრძანებელთან იულიუს კეისართან ბრძოლაში და მალე დაიღუპა მეამბოხეების ხელით. იულიუს კეისარმა ბოსფორის მეფის სამფლობელოები, მათ შორის კოლხიდაც პერგამონის მეფეს მითრიდატეს გადასცა, მაგრამ მისი ბატონობა ხანმოკლე აღმოჩნდა. იმავე 47 წ. მითრიდატე პერგამონელი დაიღუპა.

ეგრისელებმა როგორც ბოსფორის, ისე პერგამონის მეფეებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც ქვეყანა ძალზე დაინგრა და გაიძარცვა. „კოლხების წილი მოსხების ქვეყანაში მდებარეობს ლევკოთეას სამლოცველო, ფრიქსეს მიერ აგებული — წერს სტრაბონი — ოდესღაც ის მდიდარი იყო, ხოლო ჩვენს დროს იგი ფარნაკეს მიერ და ცოტა მოგვიანებით მითრიდატე პერგამონელის მიერ იქნა გაძარცული“.

ამ ხანებში დასავლეთ საქართველოში დიდი ნგრევის კვალი დაადასტურეს არქეოლოგებმაც.

საფიქრებელია, რომ 48-47 წწ-ის მშფოთვარე ხანაში დაიღუპა კოლხიდის დინასტი არისტარქე.

ჩვენ არაფერი არ ვიცით ეგრისის ისტორიის შესახებ ძვ.წ. და 47-35 წწ-ში. ძვ.წ. 34-33 წწ-ში კი, რომაელებმა კოლხიდა მათ მიერ აღდგენილ პონტოს სამეფოს მიუერთეს, რომელსაც ამ დროს პოლემონ I ედგა სათავეში. ძვ. წ. 8 წ. პონტოს მეფე პოლემონ I ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა და მისი ტახტი მისივე მეუღლეს პითოდოროსს გადაეცა, რომელიც შესაბამისად კოლხიდასაც დაეუფლა.

ამის შემდეგ ეგრისი პონტოს სამეფოს შემადგენლობაში დაახლოებით ნახევარი საუკუნე დარჩა. 63წ. იმპერატორ ნერონის ხანაში, რომაელებმა ძირფესვიანად შეცვალეს მართვა-გამგებლობის სისტემა შავიზღვისპირეთში. ამ ადმინისტრაციული რეფორმის დროს გაუქმდა პონტოს სამეფო, რომელიც რომის პროვინციად გამოცხადდა. ამ დროს რომის პროვინციად გამოცხადდა კოლხიდაც.

ეგრისში, როგორც ირკვევა უშუალოდ რომის მმართველობის დამყარებას დიდი აღფრთოვანება არ გამოუწვევია. ამიტომ ეგრისელებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი აჯანყებას, რომელიც შავიზღვისპირეთში რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ ანიკეტემ დაიწყო. ამ აჯანყების ჩასახშობად რომაელებს სხვა პროვინციებიდან შავიზღვისპირეთში ჯარების გადმოსროლა მოუწიათ. „ანაზდად იარაღი აღმართა პონტოში ბარბაროსმა მონამ, რომელიც ოდესმე სამეფო ფლოტის მეთაური იყო, — წერს რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი, — .. შეიჭრა ტრაპეზუნტში, ... ფლოტს ცეცხლი წაუკიდა და აბუჩად აიგდო ცარიელი ზღვა... ბარბაროსები თავხედურად დაძრწოდნენ სახელდახელოდ გაკეთებული ნავებით... ამ საქმემ იმდენად მიიქცია ვესპასიანეს ყურადღება, რომ ლეგიონებიდან გამობრძმედილი სათადარიგო ჯარისკაცები და გამოცდილი. სარდალი ამოირჩია. იგი თავს დაესხა მტერს და ხომალდებზე შერეკა.. და ანიკეტოსს მდინარე ხობის შესართავში

დაეწია, სადაც იგი უშიშრად იყო სედოხეზების მეფის შემწეობით, რომელიც მოკავშირეობაზე ფულით და საჩუქრებით დაითანხმა. პირველად მეფე მუქარითა და იარაღით იცავდა კიდეც შეფარებულ მავედრებელს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ღალატისათვის ჯილდო, თუ არა ომი შესთავაზეს, დაეთანხმა ანიკეტოსის დაღუპვას და ლტოლვილებიც გასცა."

ტაციტუსის „სედოხეზების მეფეში", რომელიღაც ადგილობრივი ხელისუფალი იგულისხმება, რომელიც საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობს თავს. როგორც ჩანს, რომაელთა მიერ პონტოს სამეფოს გაუქმებამ ადგილობრივ ძალებს ხელ-ფეხი გაუხსნა.

ანიკეტეს აჯანყების ჩაქრობის შემდეგ რომაელებმა თავისი მდგომარეობა შავიზღვისპირეთში კიდევ უფრო განიმტკიცეს და მთელი ეს რეგიონი თავის ხელისუფლებას დაუმორჩილეს.

4.2. ახალი ეგრისის (ლაზიკეს) სამეფო

პონტოს სამეფოს გაუქმების შემდეგ რომაელებმა ეგრისი თავის უშუალო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მმართველობას ვერ დაუმორჩილეს და ამიტომ 63 წ. შემდეგ აქ მეფობა ძალზე მალე აღდგა. შეიძლება ეგრისის მეფე იგულისხმებოდეს ტაციტუსის მიერ 69 წ. ამბებთან დაკავშირებულ „სედოხეზების" მეფეში. ყოველ შემთხვევაში, ახლად აღდგენილი ეგრისის სამეფოს მბრძანებელია ის „კოლხების" მეფე, რომელიც რომაელი ისტორიკოსის ევტროპიუსის ცნობით იბერების, სავრომატების, ბოსფორელების, არაბების მეფეებთან ერთად ქვეშევრდომობაში მიიღო 114-117 წლებში პართიასთან ომში გამარჯვებულმა რომის იმპერატორმა ტრაიანემ.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, დას. საქართველოში უძველესი დროიდან VII ს-ის ჩათვლით, დამოუკიდებელი სამეფოს არსებობას არ იცნობს და ეგრისს მხოლოდ ქართლის სამეფოსთან დაკავშირებით მოიხსენიებს. ისინი ვერ ხედავენ რაიმე მნიშვნელოვან ეთნოპოლიტიკურ ცვლილებას დას. საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან და კვლავინდებურად „ეგრისს" და მის მოსახლეს „მეგრელს" უწოდებენ. I ს-დან რაიმე ეთნოპოლიტიკურ ცვლილებას დას. საქართველში ვერც ძველი სომხური საისტორიო მწერლობა ამჩნევს.

V ს-ის სომეხი ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი ძვ.წ. II ს-ის ამბებთან დაკავშირებით ახსენებს „ეგერაციქს" ანუ „ეგერელთა მხარეს". ამავე საუკუნის მეორე სომეხი ისტორიკოსი ლაზარ ფარპეცი ეგრისს „ეგერს" ეძახის. ხოლო VII ს-ის სომხური გეოგრაფიის უცნობმა ავტორმა კარგად იცის, რომ „კოლხიდა არის ეგერი".

ამ მხრივ ძველი სომხური საისტორიო ტრადიცია ძალზე ნიშანდობლივია, რადგან ძველი სომხები არა მარტო ქართლის მეშვეობით იცნობდნენ დასავლურ ქართულ სამეფოს, არამედ უშუალოდ ესაზღვრებოდნენ მას ჭორუხის ხეობაში. სომეხ ისტორიკოსთა ცნობები, უპირველეს ყოვლისა, ადასტურებენ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მონაცემებს, რომ რაიმე მნიშვნელოვან ეთნოპოლიტიკურ ცვლილებას დას. საქართველოში I ს-ში ადგილი არ ჰქონია და მეორეც, რომ „მეგრელს" და „ეგრისს" პირველ რიგში ადგილობრივი მოსახლეობა უწოდებდა თავის თავს და თავის ქვეყანას და შემდეგ კი ისტორიული საქართველოს სხვა რეგიონები.

ამის მიუხედავად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, I-ს-დან დას. საქართველოს მნიშვნელობით ძველ ბერძენ, ბიზანტიელ, აგრეთვე ლათინ ავტორებთან ახალი სახელწოდება შემოდის. „კოლხები" და „კოლხიდა" კლავდიოს პტოლემაიოსთან, ევტროპიუსთან და ზოგიერთ სხვა ავტორთან ძველი ტრადიციის ხარკის გადახდაა და არა იმ დროს რეალურად

არსებული ტერმინების გადმოცემა. I ს-ის 60-იან წლებში აღდგენილ დასავლურ ქართულ სახელმწიფოს რომაელი თუ ბიზანტიელი ავტორები „ლაზიკეს", ხოლო მის მცხოვრებთ „ლაზებს" უწოდებენ, თუმცა ძალზე კარგად იციან, რომ „ლაზიკე" ძველი კოლხიდის უშუალო გაგრძელებაა.

„კოლხები კი შეუძლებელია არ იყვნენ იგივე ლაზები — წერს პროკოპი კესარიელი — ვინაიდან ფაზისის მდინარეზე მოსახლეობენ, ხოლო სახელი „კოლხები", როგორც სხვა მრავალი ტომების, ამჟამად „ლაზთა" სახელად შეეცვალა."

„ადვილია — წერს ბიზანტიელი იოანე ლიდე — სპარსელების შესახებ — მოულოდნელად თავს დაესხე მათ, განსაკუთრებით თუ შეტევა კოლხიდის გზით დაიწყება... მას ამჟამად ლაზიკეს ეძახიან ჰეგემონისაგან".

„ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ, სწორედ ისინი არიან — წერს აგათია სქოლასტიკოსი — ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის, თუ კაცი გაეცნობა ფაზისის, კავკასიის და მის გარშემო ქვეყნების მოსახლეობას"... ანალოგიური მაგალითის მოტანა კიდეე ბევრის შეიძლება.

შუა საუკუნეების ქართული საისტორიო მწერლობა „ლაზიკეს" არ იცნობს. მხოლოდ „ქართლის ცხოვრებაში" თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის თხზულებაში, თამარის მიერ ტრაპიზონის იმპერიის შექმნასთან დაკავშირებით გვხვდება „ლაზია" ტრაპიზონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთი რეგიონის აღსანიშნავად. XIVს-ის დასაწყისიდან ქართულ საისტორიო მწერლობაში ამ რეგიონის აღსანიშნავად „ჭანეთი" იხმარებოდა. ამ გეოგრაფიულ სახელწოდებას ხმარობენ ჟამთააღმწერელი, ბერი ეგნატაშვილი, „ქართლის ცხოვრების" მესამე გაგრძელების ავტორი. ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოს შავიზღვისპირეთის ამ რეგიონის აღწერისას საგანგებოდ აღნიშნავს: „არს ჭანეთი, რომელსა აწ უწოდებენ ლაზსავე".

როგორც ირკვევა, გვიანშუასაკუნეების ქართული საისტორიო მწერლობა აშკარად ცდება. ლაზები და ჭანები დასავლურ ქართული მოდგმის სხვადასხვა ტომები იყვნენ: ლაზები ტრაპიზონის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოსახლეობდნენ, ხოლო ჭანები კი — ტრაპიზონის სამხრეთ-დასავლეთით.

„ლაზიკე" ლაზების ქვეყანას აღნიშნავს. ეს დასავლურ ქართული მოდგმის ტომი პირველად ძვ. წელთაღრიცხვის და ახალი ერის მიჯნაზე მცხოვრები ბერძენი ისტორიკოსის მემნონის „ჰერაკლეის ისტორიაში" გვხვდება, ძვ. წ. I ს-ის 70-იან წლებთან დაკავშირებით. საფიქრებელია, რომ ლაზებს ძველი ეგრისის (კოლხიდის) სამეფოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ეკავათ და ამ სამეფოს ერთ-ერთ საერისთაოს (სკეპტუხიას) შეადგენდნენ. საფიქრებელია, რომ ლაზების ერისთავებისაგან მოდიოდა ეგრისის ახალი სამეფო დინასტია. სწორედ ამ მიზეზების გამო შეიცვალა „კოლხიდა" „ლაზიკეთი" და „კოლხები" „ლაზებით", როგორც დასავლურ ქართული სახელმწიფოს და მისი მოსახლის ბერძნულ-რომაული სახელწოდება, თორემ ახლად აღდგენილ დასავლურ-ქართულ სამეფოში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ძირითადად უცვლელი დარჩა და ამ სამეფოს წამყვან რეგიონს, ისევე როგორც ადრე, მდინარეების ეგრისწყალსა და რიონს შორის ენგურის ორივე ნაპირზე მდებარე კოლხიდის დაბლობი და მთაგორიანი ზოლი წარმოადგენდა.

I ს-ის 60-იან წლებში აღდგენილი ახალი ეგრისის (ლაზიკეს) სამეფო რომის იმპერიის ქვეშევრდომ ქვეყანას წარმოადგენდა. რომაელები ამ სამეფოზე თავის სიუზერენიტეტს პირველ რიგში მის ზღვისპირეთში ჩაყენებული მეციხოვნეების მეშვეობით ახორციელებდნენ.

69 წ. ანიკეტეს აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, რომაელებმა პონტოს ყოფილი სამეფო კაპადოკიის რომაულ პროვინციაში შეიყვანეს. იმპერატორმა ვესპასიანემ (69-79) სხვა

რეგიონებიდან კაპადოკიაში ორი რომაული ლეგიონი გადმოიყვანა და მისი ცალკეული ქვედანაყოფების სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანეს საზღვაო პუნქტებში ჩაყენება ბრძანა. უკვე ამ იმპერატორის სიცოცხლეში რომაული გარნიზონები იდგა აფსაროსში (გონიო) და სებასტოპოლისში (სოხუმი). შემდგომში რომაელი მეციხოვნეები ჩადგნენ ფაზისში (ფოთი), ბიჭვინთაში და ზიგანევში (გუდავა). რომაელთა და მათ მემკვიდრე ბიზანტიელთა ხანაში მათი ციხე-სიმაგრეების რიცხვი საქართველოს შავიზღვისპირეთში, ან კიდევ ამ ციხე-სიმაგრეებში ჩაყენებული მეციხოვნეთა რიცხვი დრო და დრო იცვლებოდა.

თავდაპირველად, ახალი ეგრისის (ლაზიკეს) სამეფოს ბევრად უფრო ნაკლები ტერიტორია ეკავა, ვიდრე ძველი ეგრისის (კოლხიდის) სამეფოს მისი მითრიდატე VI პონტოელის დაპყრობის წინ. ლაზიკეს სამეფოს საზღვარი აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე არ აღწევდა, რადგან მარგვეთი ანუ შემდეგდროინდელი არგვეთი ქართლის სამეფოს საზღვრებში შედიოდა. ქართლისა და ახალი ეგრისის სამეფოებს შორის საზღვარი I და II საუკუნეებში დაახლოებით მდ. რიონზე და მის მარცხენა შენაკად ხანისწყალზე გადიოდა. ქართლის სამეფო ფლობდა მთლიანად ჭოროხის აუზსაც. უფრო მეტიც, მისი საზღვრები ზღვისპირეთშიც გადიოდა. ძველი ბერძენი სწავლულისა და რომაელი დიდმოხელის ფლავიუს არიანეს ცნობით, მაკრონებსა და ჰენიოხებს და ლაზებს შორის შავიზღვისპირეთი ძიდრიტებს ეკავათ, რომლებიც ქართლის მეფის ფარსმანის ქვეშევრდომებს წარმოადგენდნენ.

ფლავიუს არიანე 131-137 წლებში კაპადოკიის რომაული პროვინციის მმართველი იყო და 131 წ. საინსპექციო მოგზაურობა ჩაატარა ზღვით ტრაპიზონიდან სებასტოპოლისამდე (სოხუმი). მისი ცნობით, ლაზებს ეკავათ შავი ზღვის სანაპირო დაახლოებით მდინარეების ჭოროხსა და კოდორს შორის. მდ. კოდორის ჩრდილოეთით აფშილები, აბასკები და სანიგები ცხოვრობდნენ, რომელთაც რომაელთა მიერ დამტკიცებული მეფეები განაგებდნენ. ლაზების მეფეს მალასა ერქვა. იგი იმპერატორ ადრიანეს (117-138) მიერ იყო დამტკიცებული. ასე რომ იგი ახალი ეგრისის სამეფო ტახტზე 117-130 წლებში უნდა ასულიყო.

ფლავიუს არიანეს საინსპექციო მოგზაურობის ანგარიშმა „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო" ახალ დრომდე მიაღწია. აქ საკმაო ადგილი ეთმობა საქართველოს ზღვისპირეთში მდებარე რომაულ ციხე-სიმაგრეებს. 131 წ. აფსაროსის ციხე-სიმაგრეში რომაელთა ხუთი კოჰორტა მდგარა, ხოლო სებასტოპოლისში რომაელთა ცხენოსანი რაზმი.

განსაკუთრებით ყურადღებას ფლავიუს არიანე თავის ანგარიშში ფაზისს უთმობს. ამ დროისათვის მდ. ფაზისის (რიონის) წყალი მეზღვაურთათვის ძალზე სასარგებლოდ ითვლებოდა. „ამიტომ ჩვეულებაა ისეთი, რომ ფაზისში შემსვლელებმა არ უნდა შეიტანონ იქ სხვა წყალი — წერს იგი — და შევლენ თუ არა მის კალაპოტში, ბრძანება იცემა, რომ ხომალდზე არსებული ძველი წყალი სულ გადაიღვაროს. ამბობენ, რომ ვინც ამას არ შეასრულებს, მას ბედნიერი მგზავრობა არ ექნება. ფაზისის წყალი არ შმორდება და ათ წელზე მეტ ხანს გაუფუჭებელი რჩება, უფრო მეტად ტკბება".

საკუთრივ ქალაქი ფაზისი, როგორც არიანეს თხზულებიდან ირკვევა, ზღვის ნაპირიდან მოშორებით მდ. რიონის ნაპირზე მდებარეობდა. ქალაქში, როგორც ჩანს, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად რომაული სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი პირები და ვაჭრები ცხოვრობდნენ. ქალაქში ვაჭრობასთან ერთად კულტურულ ცხოვრებასაც გარკვეული ადგილი ეკავა, რადგან იქ თავისებური „ღუზების მუზეუმიც" კი არსებობდა. „ფაზისში რომ შედიხარ — აგრძელებს არიანე მდ. ფაზისზე და ქალაქ ფაზისზე თხრობას — მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ქალღმერთი ფასიანესი. გარეგნობის

მიხედვით ის ჰგავს რეას, რადგან ხელში წინწილა უჭირავს. აგრეთვე მისი სავარძლის წინ წვანან ლომები და თვით ის ზის, როგორც ფიდიასის ქანდაკება ათენის მეტროონში. აქ უჩვენებენ არგოს რკინის ღუზას. არა მგონია იგი ძველი იყოს, თუმცა სიდიდით არ ჰგავს ახლანდელ ღუზებს, და მოყვანილობითაც განსხვავდება, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ გვიანდელ ხანას უნდა ეკუთვნოდეს. აქვე მაჩვენეს მე ქვის ძველი ღუზის ნაჭრები, რომლებიც უფრო მეტად შეიძლება მივიჩნიოთ არგოს ღუზის ნაშთად... თვით ციხე-სიმაგრე რომელშიც თავსდება ოთხასი რჩეული მეომარი, მე მეჩვენა მეტად მიუდგომლად, ადგილის ბუნების მიხედვით, უშიშროების თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ ადგილზე მოსათავსებლად. აქ მომსვლელთათვის ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს. ორივე ფართოა, წინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისგანაა გაკეთებული. საძირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ იმგვარადაა მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდეს და რომ ალყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველთ, ხოლო რადგან ნავსაყუდელი უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო ხომალდებისათვის, საიმედო უნდა გამხდარიყო აგრეთვე ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც, რომლებიც დასახლებულია სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით. გადავწყვიტე, რომ ციხის კედლის გარშემო არსებული ორმაგი თხრილიდან გამეყვანა მდინარებამდე სხვა თხრილი, რომელიც გარს შემოუვლიდა ნავსადგურს და ციხის კედლის გარეთ მდგომ სახლებს“....

„ბარბაროსებში“, რომელთაც შეეძლოთ საფრთხე შეექმნათ ფაზისში გამაგრებულ რომაელებისათვის, პირველ რიგში ალბათ ახალი ეგრისის სამეფო იგულისხმება. ლაზიკეს სამეფოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას ძველი ტერიტორიების დაბრუნება წარმოადგენდა და ამის თაობაზე ალბათ არაერთი შეტაკება ექნებოდა თავის სიუზერენთან, რომთან.

საერთოდ, საისტორიო წყაროებმა ფრაგმენტული ცნობები შემოგვინახეს I-II სს-ის ახალი ეგრისის სამეფოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ. რომაელი ისტორიკოსის იულიუს კაპიტოლინის ცნობით, რომის იმპერატორმა ანტონინე პიუსმა (138-161) „ლაზებს მისცა მეფე პაკორი“. შემდეგ რომსა და ეგრისის სამეფოს შორის III ს-ის დასაწყისში ეგრისი გამოსულა რომის მორჩილებიდან და საქმე იქამდეც კი მისულა, ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი სინგელოზის ცნობით, რომ რომის იმპერატორმა სეპტიმიუს სევერმა (193-211) “დაიმორჩილა კოლხიკე, ესე იგი ლაზიკე“.

III ს-ის პირველ ნახევარში შავიზღვისპირეთში გოთების გერმანელი ტომი გამოჩნდა. ამ დროს რომაელებმა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან თავიანთი ჯარები გამოიყვანეს. გოთებმა ამით ისარგებლეს, ბოსფორის სამეფოს დაუკავშირდნენ და მისი ფლოტის გამოყენებით შავი ზღვის სანაპიროების აოხრება დაიწყეს. ბიზანტიელი ისტორიკოსის ზოსიმეს ცნობით, 352წ. ისინი „თავს დაესხნენ ბიჭვინთას, რომელიც შემოზღუდული იყო უზარმაზარი კედლებით და რომელსაც ჰქონდა კარგად მოწყობილი ნავსადგური“. რომაელ მეციხოვნეებს სუკესიანუსის მეთაურობით გოთები სასტიკად დუმარცხებიათ, მაგრამ როდესაც რომის იმპერატორმა ვალერიანემ (253-260) სუკესიანი გაიწვია, გოთები საქართველოს ზღვისპირეთს კვლავ თავს დასხმიან. „მათ ბოსფორელებს გამოართვეს ხომალდები და გადავიდნენ აზიაში“... ამ ხომალდებით მიადგნენ ფაზისს, სადაც როგორც ამბობენ, აშენებული იყო ფაზისის არტემიდას საკურთხეველი და აიეტის სასახლე, – წერს ზოსიმე – მათ სცადეს ამ საკურთხეველის აღება, მაგრამ უნაყოფოდ, ამის შემდეგ პირდაპირ წავიდნენ ბიჭვინთისაკენ. ეს ციხე მათ აიღეს დაუბრკოლებლივ, მთელი მისი დამცველი ჯარი გაწყვიტეს“.

ფაზისში როგორც ჩანს, გოთებს მედგარი წინააღმდეგობა პირველ რიგში ახალი ეგრისის (ლაზიკეს) ძალებმა გაუწიეს.

იმპერატორ კლავდიუს II-ის ხანაში (268-276) რომაელებმა გოთების ტომთა კავშირი გაანადგურეს და შავიზღვისპირეთს გოთების საფრთხე თავიდან ააცილეს, მაგრამ ამით ახალი ეგრისის სამეფოს საგარეო საფრთხე ზღვიდან სრულებითაც არ მოშორებია.

როგორც X ს-ის ბიზანტიელი იმპერატორი და ისტორიკოსი კონსტანტინე პორფიროგენეტი ხერსონესის ძველი ქრონიკის საფუძველზე გვამცნობს, ლაზიკეს სამეფოს იმპერატორ დიოკლეტიანეს მმართველობაში (284-305) ახალი მტერი გამოსჩენია ბოსფორის სამეფოსა და სავრომატების სახით. „როდესაც რომში მეფობდა დიოკლეტიანე, — ვკითხულობთ კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში — ბოსფორელთაგანმა ვინმე სავრომატემ შეკრიბა მეოტის ტბასთან მცხოვრები სარმატები და ილაშქრა რომაელების წინააღმდეგ. ჯერ მან დაიპყრო ლაზთა ქვეყანა,ეომა იქაურ მცხოვრებლებს და ჰალისის მდინარემდეც კი მივიდა. როდესაც დიოკლეტიანე მეფემ გაიგო ლაზთა ქვეყანა და პონტოს მხარე მოოხრებული იქმნაო, გაგზავნა იქ ჯარი, იმ განზრახვით, რომ ის სარმატების წინააღმდეგ დარაზმულიყო". მალე გამოირკვა, რომ რომაელების გაგზავნილ ჯარს არ შეეძლო სავრომატები დამარცხება. მაშინ რომაელებმა ხერსონელები მიუსიეს ბოსფორის სამეფოს, რომლებმაც მალე ქალაქი ბოსფორი აიღეს. სავრომატე იძულებული გახდა მოლაპარაკებაზე წასულიყო და ქალაქ ბოსფორის გათავისუფლების ფასად ლაზთა ქვეყანა და მისი მომიჯნავე მხარეები დაეცალა. როგორც ფიქრობენ, ბოსფორელების მიერ ლაზიკეს ანუ ეგრისის დაპყრობის ადგილი ჰქონდა 291-292 წლებში.

ბიზანტიელი ისტორიკოსი არაფერს ამბობს ლაზთა ქვეყანაში რომაელთა ჯარის მოქმედებაზე სავრომატეს წინააღმდეგ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ დროისათვის რომაელთა მეციხოვნეები არ იდგნენ ეგრისის ციხესიმაგრეებში, თუმცა ამას ერთგვარად ეწინააღმდეგება ისტორიკოს ზოსიმეს ცნობა იმის თაობაზე, რომ იმპერატორმა კონსტანტინემ (306-337), როდესაც იმპერია ოთხ საგამგებლოდ გაჰყო, ერთ-ერთ გამგებელს გადასცა „მთელი ზღვისპირეთი პამფილიიდან ვიდრე ტრაპეზუნტამდე და ფაზისზე მდებარე სიმაგრეებამდე".

კონსტანტინე დიდის მმართველობის შემდეგ, როგორც ჩანს ახალი ეგრისის (ლაზიკეს) სამეფო გამოვიდა რომის იმპერიის მორჩილებიდან. ამას უნდა მოწმობდეს რომაელი ისტორიკოსის ამიანე მარცელინეს ცნობა იმის შესახებ, რომ იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც იმპერატორ იულიანეს 362 წ. ელჩები გაუგზავნეს „ჩრდილოეთიდან და უდაბური ადგილებიდან, რომლებზედაც ჩამომავალი ფაზისი ზღვას ერთვის, ბოსფორელებისა და სხვა მანამდე უცნობებისაგან მორჩილი ვედრებით მოვიდნენ ელჩები, რათა ყოველწლიური ხარკის გადახდით თავიანთ მშობლიურ ქვეყნებში მშვიდად ეცხოვრათ. იმპერატორი იულიანე მოკლე ხანში დაიღუპა აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს. ასე, რომ რეალურად ხარკის გადახდამდე საქმე არ მისულა.

IV ს-ის 60-იანი წლებისათვის, რომ ეგრისი რომის იმპერიის გარეთ მდებარე ქვეყანად ითვლება, უფრო კარგად მოწმობს მეორე ადგილი ამიანე მარცელინეს თხზულებიდან, სადაც 368წ. სპარსელებისაგან შევიწროებული სომეხი უფლისწულების თავგადასავალზეა საუბარი, რომლებმაც „რაკი ვერსაიდან ვერ ხედავდნენ შველას, სცადეს შეეფარებიათ თავი მაღალ მთებში, რომლებიც ჩვენებს ლაზიკისაგან ჰყოფს. იქ ხუთ თვეს იფარავდნენ თავს ულრან ტყეებსა და დაკლაკნილ სერებში და თავს აღწევდნენ მრავალ ცდას მათი დაჭერისათვის". როგორც ფიქრობენ, აქ საუბარია ტაოს ან მისი დიდი ნაწილის შესახებ. ტაო კი მდინარე ჭოროხის აუზის ზემო წელში მდებარეობდა. ასე, რომ მისი გამოკლებით, მთელი ჭოროხის აუზი ამ დროისათვის ახალი ეგრისის (ლაზიკეს) შემადგენლობაში შედიოდა. ამ სამეფოს ასეთი გავრცობა სამხრეთით, მოწმობს, რომ ლაზიკეს სამეფოს უკვე დასრულებული აქვს მთელი დას. საქართველოს გაერთიანება და მისმა საზღვრებმა თავის მაქსიმუმს მიაღწია.

ასე რომ, IV ს-ის 60-80-იან წლებში ახალი ეგრისის (ლაზიკეს) სამეფო დროებით მთლიანად გათავისუფლდა რომის იმპერიის დამოკიდებულებისაგან. ამას ადასტურებს

აგრეთვე ერთი ადგილი რომაელი ავტორის დრეპანიუსის 398 წ. იმპერატორ თეოდოსისადმი მიძღვნილი პანეგერიკიდან, სადაც მოხსენიებულია „რომაელთა ძალაუფლების გარეთ მდებარე კოლხიდა".

როგორც ირკვევა, ამავე თეოდოსი იმპერატორის (379-395) ხანაში აღუდგენიათ რომაელებს თავიანთი სუზერენიტეტი ეგრისზე. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ სწორედ ამ იმპერატორის ხანიდან მოიპოვებოდა საიმპერიო არქივში ბიზანტიელი ისტორიკოსის მენანდრე პროტექტორის მიხედვით, ლაზიკის მეფეების მიერ დანიშნული სვანეთის მთავრების იმპერატორების მიერ დამტკიცების ბარათები. უფრო მეტიც, IVს-ის დასასრულსა და Vს-ის დასაწყისში რომაელი მეციხოვნეები კვლავ დაბრუნდნენ დას. საქართველოში.

რომაელი მეციხოვნეები ეგრისის ტერიტორიაზე დიდხანს არ მდგარან. მათი „დახმარებით" ახალი ეგრისის სამეფო ხელისუფლება მალე მოვიდა მორჩილების ხასიათზე და რომაელთა გარნიზონებმაც დატოვეს დას. საქართველო.

მორჩილების პირობები სრულებითაც არ იყო მძიმე. შეთანხმების თანახმად ეგრისის (ლაზიკეს) ყოველ ახალ მეფეს იმპერატორი ამტკიცებდა და დამტკიცების ნიშნად მას სამეფო ნიშნებს უგზავნიდა. ეგრისის სამეფო ვალდებული იყო დაეცვა კავკასიის მთავარ ქედზე მდებარე უღელტეხილები და ჩრდ. კავკასიის მომთაბარე ტომები საძრვეთით არ გადმოეშვა. „ლაზები თავდაპირველად კოლხიდის ქვეყანაში მოსახლეობდნენ და რომაელთა ქვეშევრდომები იყვნენ — წერს VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელი — ხოლო არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ მათ გარდა იმისა, რომ როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდათ, რომაელთა მეფე უგზავნიდა სამეფო ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების სიმბოლოს. ის ზედმიწევნით იცავდა თავის ქვეშევრდომებთან ერთად ამ ქვეყნის საზღვრებს, რათა მტრულად განწყობილი ჰუნები, მათ მოსაზღვრე კავკასიის მთიდან ლაზიკეზე გამოვლით რომაელთა მიწაწყალში არ შემოჭრილიყვნენ. ისინი მტკიცედ იცავდნენ იმათ, ისე რომ არც ფულს ღებულობდნენ რომაელებისაგან, არც ჯარს და არც ლაშქრობდნენ რომაელებთან ერთად, რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო ეს..."

VI ს-ის მეორე ბიზანტიელმა ისტორიკოსმა აგათია სქოლასტიკოსმა აღწერა „ძველთაგანვე დაწესებული" სამეფო ნიშნები, რომელსაც იმპერატორები ეგრისის მეფეებს უგზავნიდნენ. „ეს ნიშნებია: წერს იგი — ოქროს გვირგვინი, თვალმარგალიტით შემკული კოჭებამდე გრძელი ქიტონი, ოქრომკედით მოქარგული მიტრა, აგრეთვე ოქროთი და თვლებით შემკული წითელი წაღები. ძოწეული ქლამიდის ტარების ნება კი არ ჰქონდათ ლაზთა მეფეებს, მხოლოდ თეთრის შეეძლოთ, არც სრულიად საყოველთაოა ის და ჩვეულებრივ შუაში ორივე მხრით ოქროს ქსოვილით არის ალაპლაპებული, მეფური ქლამიდის აბზინდიც, თავისი აკინძული თვლებით და სხვა მორთულობით."

როგორც ვხედავთ ეგრისის მეფე აღმოსავლეთ რომის იმპერიას, თითქმის ფორმალურად ემორჩილებოდა, მაგრამ ეგრისის მეფეს ფორმალური მორჩილებაც აღარ აკმაყოფილებდა და სრული დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა. V ს-ის შუა წლებში ეგრისის მეფე გუბაზ I გარეპოლიტიკური ვითარება თავისთვის ხელსაყრელად ჩათვალა და სრული დამოუკიდებლობისაკენ პირველი ნაბიჯი გადადგა. მეფემ თავისი ვაჟი თანამოსაყრედ გამოაცხადა და თავისთან ერთად სამეფო ტახტზე აიყვანა. ასე რომ, მის მემკვიდრეს მამის სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტზე ბიზანტიის იმპერატორის დამტკიცება აღარ დასჭირდებოდა. მეფის ასეთი ნაბიჯი იმპერიის წინააღმდეგ აჯანყებად ჩათვალეს და ეგრისის (ლაზიკეს) სამეფოში იმპერატორ მარკიანეს ბრძანებით ჯარები გაგზავნეს. საომარ ოპერაციებს მეტად მწვავე ხასიათი მიეღიათ და მის შესახებ ცნობები მთელ

დასავლეთ სამყაროში გავრცელებულა. პირველ სამხედრო კამპანიაში მათ წარმატებისათვის ვერ მიუღწევიათ და იძულებული იყვნენ ჯარები უკან დაებრუნებინათ. „მას შემდეგ, როდესაც რომაელები მოვიდნენ კოლხიდაში და ომი აწარმოეს ლაზების წინააღმდეგ, რომაელთა ჯარი თავის ქვეყანაში გამობრუნდა და კარის კაცები შეუდგნენ ახალი ომისათვის მზადებას. ისინი იმის ბჭობაში იყვნენ, — წერს ბიზანტიელი ისტორიკოსი პრისკე პანიონელი — თუ რა გზით ელაშქრათ: იმავე გზით, თუ სპარსეთის მეზობელი ქვეყნის არმენიის გზით დაეწყოთ ომი და წინასწარ პართელების მეფე მიემხროთ". ბიზანტიელებზე ადრე პართელების ანუ ირანის მეფისათვის ეგრისის მეფეს მიუმართავს. „გუბაზმა — აგრძელებს ბიზანტიელი ისტორიკოსი, — ელჩები გაგზავნა პართელებთანაც და რომაელთა მეფესთანაც. მაგრამ პართელების მეფეს ომი ჰქონდა... ჰუნებთან და ამიტომ უარი უთხრა მასთან მოსულ ლაზებს".

პრისკე პანიონელთან პართელების მეფეში ირანის შაჰი იეზდიგერდ II იგულისხმება, რომელსაც ჰუნების შემოსევამ საშუალება არ მისცა დახმარებოდა ლაზიკეს სპარსელების ძველ მეტოქესთან, ბიზანტიასთან ბრძოლაში. მაშინ გუბაზ I იძულებული გახდა მოლაპარაკება დაეწყო ბიზანტიის ხელისუფლებასთან. „გუბაზმა ელჩები გაგზავნა რომაელებთან — წერს პრისკე პანიონელი, რომაელებმა უპასუხეს გუბაზის მოციქულებს, რომ შეწყვეტდნენ ომს, თუ თვითონ გუბაზი გადადგებოდა ტახტიდან ან შვილს გადააყენებდა მეფობიდან. ძველი კანონის თანახმად არ არის კანონიერი, რომ ორივენი მეფობდეთო." ასე რომ, ერთ-ერთი უნდა იყოს კოლხიდის ტახტზე, ან გუბაზი ან მისი შვილი და მაშინ შევწყვეტთ ომსო. ამის გარდა, როგორც ირკვევა, რომაელები ტერიტორიულ პრეტენზიასაც უყენებდნენ ლაზიკეს მეფეს. გუბაზ I მეტი არაფერი არ დარჩენოდა, რომ იმპერიის მოთხოვნებს დამორჩილებოდა. მან უარი თქვა სამეფო ტახტზე თავისი შვილის სასარგებლოდ და კონსტანტინეპოლში მოციქულები გაგზავნა. იგი იძულებული გახადეს კონსტანტინეპოლში გამგზავრებაზე დათანხმებულიყო, როდესაც მასთან ელჩად გამოგზავნილ დიონისესაგან უვნებლობის გარანტია მიიღო და სხვა სადავო საკითხებიც შეათანხმა.

ლაზიკეს მეფე მაინც ფეხს ითრევდა და მოვლენების განვითარებას ელოდა. იმპერიის დედაქალაქში ის მხოლოდ 465 წლის შემდეგ, ახალი იმპერატორის ლეონტის დროს ჩავიდა. იმპერატორის კარზე ის კარგად მიიღეს და ძველი შეცოდებანი აპატიეს. გუბაზს სპარსული ტანსაცმელი ეცვა და მიდიური წესის მიხედვით, მეშუბენი ახლდა. "კარისკაცებმა მიღებისთანავე ჯერ გაჰკიცხეს იგი რომაელთა წინააღმდეგ ამბოხებისათვის, ხოლო შემდეგ კეთილგანწყობილად მოეპყრნენ და ისე გაისტუმრეს უკან. გუბაზმა მოხიბლა ისინი თავისი სიტყვა-პასუხით და საქრისტიანო ნიშნების ტარებით".

ეს არცაა გასაკვირი, რადგან ამ დროისათვის ახალი ეგრისის სამეფოში ქრისტიანობას დიდი ხნის ისტორია ჰქონდა.

საისტორიო მწერლობა ქრისტიანობის გავრცელებას დას. საქართველოში ქრისტეს მოწაფეების — მოციქულების ანდრია პირველწოდებულის და სვიმონ კანანელის სახელებს უკავშირებს. „ადერკის მეფობას შინა მოვიდეს ათორმეტთა მოციქულთაგან ანდრია და სვიმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს — წერს ლეონტი მროველი — ანდრია მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა"...

არქეოლოგიის მონაცემები მოწმობს, რომ ქრისტიანობა მართლაც ადრე გავრცელებულა დას. საქართველოში, ძალზე ადრე შეიქმნა აქ ცალკეული ქრისტიანული თემები, რომელიც ისეთ ძლიერ ძალას წარმოადგენდა, რომ მათი წარმომადგენელი, ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე მონაწილეობდა 325 წელს შემდგარ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე.

IV ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის გელასი კესარიელის ცნობით „იბერებმა და ლაზებმა“ ერთდროულად მიიღეს ქრისტიანობა ანუ „ღმრთის მცნება“. ამ შემთხვევაში გელასი კესარიელი „ღმრთის მცნების“ მიღებაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას გულისხმობს. ბოლო გამოკვლევებით ქრისტიანობამ ქართლის სამეფოში სახელმწიფო სტატუსი მირიან მეფისა და წმინდა ნინოს ხანაში IVს-ის ოციან წლებში მიიღო. ზოგადად ამ ხანაში გამოცხადდა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად ეგრისის სამეფოშიც. ამ დროს, საფიქრებელია აბაზგია (აფხაზეთი), სხვა ტომობრივ-ადმინისტრაციული ერთეულებისაგან განსხვავებით ჯერ კიდევ არ შედიოდა ეგრისის სამეფოს საზღვრებში, ამიტომ იქ, მიუხედავად იმისა, რომ ბიჭვინთა მის ტერიტორიაზე მდებარეობდა, ოფიციალურად წარმართობა შემორჩა. შემდეგ აფხაზთა გაქრისტიანება გაჭიანურდა და ახალ რჯულზე მათი მოქცევა მხოლოდ VI ს-ის 20-იან წლებში მოხდა.

სამწუხაროდ საისტორიო წყაროები არავითარ ცნობებს არ გვაწვდიან IV-VI სს-ში ეგრისის სამეფოს საეკლესიო იერარქიაზე. ამგვარი ხასიათის ცნობები მხოლოდ VII ს-დან ჩნდება. ამ დროისათვის დასავლურქართული ეკლესია კონსტანტინეპოლის პატრიარქს ემორჩილებოდა. VII სს. კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა ნუსხაში მოხსენიებულია „ეპარქია ლაზიკისა: ფასიდის სამიტროპოლიტოს ექვემდებარება ოთხი ქალაქი, ე.ი. ოთხი საეპისკოპოსო: როდოპოლისის ეპისკოპოსი, საისინის ეპისკოპოსი, პეტრას ეპისკოპოსი, ზიგანევის ეპისკოპოსი“, აგრეთვე „აბასგიაში — სებასტოპოლის არქიეპისკოპოსი“.

„სებასტოპოლისის“ ანუ დღევანდელი სოხუმის არქიეპისკოპოსი ამ დროისათვის საფიქრებელია საკუთრივ აფხაზეთისა და აფშილეთის მწყემსმთავარი იყო.

„ფასიდი“ იგივე ფაზისია, დღევანდელი ფოთი, მის დაქვემდებარებაში მყოფი როდოპოლისის ეპისკოპოსი იგივე ვარდციხის ეპისკოპოსია, რომელსაც დღეს ვარციხე ეწოდება. „საისინი“ ქართული ცაიშია, ხოლო პეტრა დღევანდელი ციხისძირი.

ზიგანეოსი მოხსენიებულია ერთ თარგმნილ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში: „ხოლო წმიდა კვირიკე მოვიდა საეგრისა ქვეყანასა, ადგილსა რომელსა ეწოდების ზიღანეოს“. ხელნაწერში ამ სტრიქონების გასწვრივ აშიაზე მიწერილია: „გუდაყვასა იტყვის ზიღანეოსად“. ასე რომ ბიზანტიური ზიღანეოსი ქართულ გუდაყვას, დღევანდელ გუდავას შეესაბამება.

არქეოლოგებმა ძველი ციხე-გოჯის ტერიტორიაზე გამოავლინეს საქართველოში დღემდე შემორჩენილი ერთ-ერთი უძველესი ეკლესია, რომელიც IV ს-ის I ნახევრით თარიღდება. აქვე ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე V-VI ს-ის რამდენიმე ეკლესია არის გამოვლენილი ამის საფუძველზე მკვლევარებმა გამოთქვეს საუსებით სამართლიანი მოსაზრება, რომ ფოთზე ადრე ეგრისის სამეფოს საეკლესიო ცენტრს ციხე-გოჯი წარმოადგენდა. უფრო ადრე კი, საფიქრებელია, დასავლეთ საქართველოს ქრისტიანულ თემებს საერთო ხელმძღვანელობას ბიჭვინთის ეპისკოპოსი უწევდა.

ციხე-გოჯი — არქეოპოლისი პირველ რიგში ახალი ეგრისის (ლაზიკეს) სამეფოს დედაქალაქი იყო IV-VIII სს-ის ციხე-გოჯი თავისი სამზღვუდოვანი გალავნით, აბანოებით, ეკლესიებით თუ სხვადასხვა სახის ნაგებობებით დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს დამთვალიერებლებზე და კარგად მოწმობს იმ კულტურული თუ ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს, რომელსაც ახალი ეგრისის (ლაზიკეს) სამეფომ მიაღწია. ამ ფონზე სრულებითაც არ გამოიყურება უცნაურად IV ს-ის გამოჩენილი ფილოსოფოსის თემისტიოსის ცნობა იმის შესახებ, რომ განათლება ფაზისის მახლობლად, რიტორიკულ სკოლაში მიიღო. როგორც ჩანს ეგრისში ამ დროს ცნობილი რიტორიკული სკოლა იყო, სადაც განათლების მისაღებად საბერძნეთის კულტურის ცენტრებიდანაც კი ჩამოდიოდნენ. თავის მხრივ ქართველებიც, როგორც ეგრისიდან, ისე ქართლიდან მიემგზავრებოდნენ ანტიკური თუ ქრისტიანული განათლების ცენტრებში ცოდნის მისაღებად. ქართველებს განსაკუთრებით პალესტინას იზიდავდა, ქრისტიანობის სამშობლო. აქ, იერუსალიმის მახლობლად „ლაზთა“ მონასტერი მდებარეობდა, ხოლო საკუთრივ იერუსალიმში იბერთა მონასტერი, რომელიც V ს-ში მსოფლიო ქრისტიანობის ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ პეტრე იბერმა და მისმა მოძღვარმა იოანე ლაზმა ააგეს.

ეგრისის სამეფოს კულტურულ დაწინაურებას მისი ცხოველი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობანი უწყობდა ხელს. ძირითად ეკონომიკურ პარტნიორს ამ ხანაში ეგრისისათვის ჯერ რომის, შემდეგ აღმოსავლეთ რომის იმპერია წარმოადგენდა. ეგრისიდან ზღვით გაჰქონდათ ძირითადად ხე-ტყე, ცვილი, ტყავი, ტყავ-საფრები, შემოჰქონდათ ზღვით ამ

დროს მარილი, მარცვლეული, ქსოვილები, მღვდელმსახურების ნივთები, აგრეთვე ფუფუნების საგნები, ძვირფასი ღვინო, მინის და თიხის ძვირფასი ჭურჭელი, იარაღი. საზღვაო ვაჭრობას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ეგრისის სამეფოსათვის და ბიზანტიელების მიერ ამ ვაჭრობაში უხეშმა ჩარევამ, როგორც ქვევით დავინახავთ, დიდი ანტიბიზანტიური მოძრაობა გამოიწვია.

ეგრისის სამეფოში ძალზე კარგად იცნობდნენ თავიანთი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიას. ამ დროს ეგრისელები სავსებით სამართლიანად თვლიდნენ თავს არგონავტების მითის თუ ძველი ბერძენი ავტორების კოლხების შთამომავლად და ამაყობდნენ ამით. „ვაქრა კოლხთა ძველი დიდება" — გოდებდა დიდი აიეტის თანამოსახელე აიეტი. „ძლიერსა და მამაცს ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებზეც ბატონობენ — წერდა აგათია სქოლასტიკოსი — ისინი ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედაღლობენ, შესაძლებელია არც თუ ისე უსაფუძვლოდ, იმ ტომებს შორის, რომლებმაც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრით, სიუხვით, ისე ქვეშევრდომების სიმრავლით, როგორც მიწა-წყალს სიჭარბით და მოსავლიანობით ისე ხასიათის სილამაზით და სიცქვიტით.... *ისინი არც ბარბაროსები არიან, არც ბარბაროსულ ცხოვრებას ეწევიან, არამედ რომაელებთან კავშირის წყალობით* — აგრძელებს ბიზანტიელი ავტორი — *თავიანთი ცხოვრებისათვის სახელმწიფოებრივი და კანონიერი სახე მიუციათ".*

ეს ბოლო ფრაზა არის ყველაზე დიდი შეფასება, რაც ძველ ბერძენს, რომაელს თუ ბიზანტიელს უცხოელისათვის შეეძლო მიეცა. ეჭვის გარეშეა, რომ ახალი ეგრისის სამეფო თავისი სახელმწიფოებრივი თუ კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების დონით სავსებით იმსახურებდა ასეთ შეფასებას.

V ს-ის შუა წლებში ახალი ეგრისის სამეფომ თავისი სიძლიერის მწვერვალს მიაღწია. მალე გუბაზ I ს-ის ხანიდან ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ეგრისის სამეფომ დაკარგა თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც პირველ რიგში ვახტანგ გორგასლის დროს ქართლის სამეფოს გაძლიერებასთან იყო დაკავშირებული.

უძველესი დროიდან ეგრისი და ქართლი მრავალი ძაფით იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. ეს კავშირი იმდენად მჭიდრო იყო, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით ფარნავაზის ხანიდან ეგრისი ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ეს რასაკვირველია არ შეესაბამება სინამდვილეს, თუმცა დრო და დრო ქართლის სამეფო ახერხებდა თავისი გავლენა ეგრისზეც გაევრცელებინა. ასე მოხდა ვახტანგ გორგასლის დროსაც.

ძველი ქართველი ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით ბიზანტიასთან სამხედრო კონფლიქტის შედეგად, ვახტანგ გორგასალმა მოახერხა უშუალოდ დაემორჩილებინა "კლარჯეთი ყოველი ზღვითგან არსიანამდე" და მთელი დასავლეთი საქართველო ლიხის ქედიდან მდ. კელასურამდის, ანუ ეგრისის სამეფო აფშილეთის და აფხაზეთის გამოკლებით. ამ ძველი ქართველი მემატიანის ცნობით, ვახტანგ გორგასალს ემორჩილებოდნენ „სამნაღირ ერისთავი შიდა ეგრისა და სვანეთისა" და „ბაკურ ერისთავი მარგვისა და თაკუერისა".

ჯუანშერის ცნობა ქართლის მეფის მიერ კლარჯეთის დაპყრობის შესახებ სწორი უნდა იყოს. ოღონდ ვახტანგ გორგასალმა კლარჯეთი უფრო ზუსტად, ტაოს ქვემოთ მდებარე, ჭოროხის აუზი უშუალოდ ბიზანტიას კი არ წაართვა, არამედ მის ვასალს ეგრისის მეფეს, რომლის საზღვრებში ეს რეგიონი აქამდე შედიოდა.

„სამნაღირ ერისთავი შიდა ეგრისა და სვანეთისა" უნდა იყოს ეგრისის დღემდე უცნობი მეფე, რომელსაც ჯუანშერი ქართლის მეფის ვასალად თვლიდა. რაც შეეხება მარგვეთს, თაკვერს და სვანეთს, ეს რეგიონები უეჭველად ემორჩილებოდა ვახტანგ

გორგასალს, რომელიც როგორც ირანის ვასალი ბიზანტიელ ავტორებთან „სპარსელების“ სახით აღიქმებოდა.

ბიზანტიაზე გულაცრუებული ლაზიკეს მეფე, იმისათვის, რომ ვახტანგ გორგასლის წართმეული ტერიტორია უკან დაებრუნებინა, ირანის მხარეზე გადავიდა, რაც ალბათ საგანგებო ხელშეკრულებით გააფორმა. როგორც ირკვევა მას ირანის წინაშე ისეთივე ვალდებულება გააჩნდა, რომელსაც ადრე ბიზანტიის იმპერატორის წინაშე ასრულებდა. სამაგიეროდ ეხლა „როდესაც ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა, სპარსელთა მეფე ნიშნავდა და აგვირგვინებდა ახალ მეფეს“.

გუბაზ I-ის უშუალო მემკვიდრეს, როგორც ირკვევა „დამნაზე“ წარმოადგენდა, რომლის მემკვიდრე წათე გახდა, რომელიც თვით შაჰ კავად I-ის (488-532) მეგობრად ითვლებოდა თავის დროზე წათე, იმისათვის, რომ ირანისაგან ადვილად მიეღო სამეფო ტახტი, „წარმართთა სარწმუნოებაზე“ გადავიდა და ბიზანტიელი ისტორიკოსის იოანე მალალას ცნობით „მსხვერპლსაც სწირავდა და ყოველივეს წარმართულ წესს ასრულებდა“. ქრისტიანულ სამეფოში წარმართი, უფრო ზუსტად ცეცხლთაყვანისმცემელი მეფე ტახტზე დიდხანს ვერ გაძლებდა. ამიტომ, მამის გარდაცვალების შემდეგ წათე I კიდევ ერთხელ იცვლის საგარეო ორიენტაციას და რაც მთავარია სარწმუნოებას და ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომობას უბრუნდება. იგი იუსტინე კეისარს (518-527) ეწვია კონსტანტინეპოლში და მეფედ კურთხევა თხოვა, რაც ვასალობის აღიარებას ნიშნავდა. კონსტანტინეპოლში ეგრისის მეფე, როგორც ჩანს თვით იმპერატორმა მონათლა. შემდეგ ის მეფედ აკურთხეს, ბიზანტიელი დიდგვაროვანის ასული ცოლად შერთეს და დიდი პატივით სამშობლოში გამოამგზავრეს. ეგრისის მეფის საგარეო ორიენტაციის შეცვლამ ირანში დიდი აღშფოთება გამოიწვია.

კავად I გადაწყვეტილი ჰქონდა დაუყოვნებლივ შეჭრილიყო ეგრისში, მაგრამ ამაში ქართლის ამბებმა შეუშალეს ხელი. ქართლის მეფე გურგენმა ირანიდან ლაზიკეს განდგომაში სპარსეთის სისუსტე დაინახა და ბიზანტიელთა იმედით აჯანყება დაიწყო, მალე ქართლის მეფე დარწმუნდა, რომ ბიზანტიელთა გაწეული დახმარება არ იყო საკმარისი სპარსელთა გასამკლავებლად, ამიტომ „ლაზიკეში გაიქცა ყველა დიდებულებითურთ და თან წაიყვანა ცოლი, შვილები და ძმები,... ლაზიკის საზღვრებში რომ შევიდნენ, — წერს პროკოპი კეისარიელი — აქ გაჩერდნენ ძნელად გასასვლელი ადგილებით დაცულნი, იგერიებდნენ მტერს. სპარსელები კი დაედევნენ მათ, მაგრამ მაინც და მაინც ვერაფერი დააკლეს“... ეგრისიდან ქართლის მეფე თავისი ამალითურთ კონსტანტინეპოლში გაემგზავრა.

რამდენიმე წლის შემდეგ ირანმა გადაწყვიტა აღედგინა სიუზერენიტეტი ეგრისზე და თავისი ლაშქარი ლაზიკეში გაგზავნა. „ამ დროს სპარსელთა მეფემ ომი დაუწყო ლაზთა მეფეს წათეს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი რომაელთა მხარეზე გადავიდა — წერს ისტორიკოსი იოანე მალალა — ლაზთა მეფემ ელჩები გაუგზავნა რომაელთა მეფეს და სთხოვდა დახმარება აღმოეჩინა“. ამ დროს ბიზანტიაში უკვე იუსტინიანე I კეისარი მეფობდა. მან ლაზიკეს მეფეს „გაუგზავნა სამი სტრატილატი; დიდძალი რომაული ჯარით. ამათაც გაუმართეს სპარსელებს ბრძოლა. ორივე მხრიდან ბევრი დაიღუპა“. ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობით იუსტიანიანე I -ს ეგრისში პეტრე სტრატილატი გაგზავნა, რომელმაც ლაზიკეში ბიზანტიის ჯარების მხედართმთავრობა გადაიბარა. ბოლოს და ბოლოს, როგორც ირკვევა ეგრისელებმა და ბიზანტიელებმა საერთო ძალით სპარსელები დაამარცხეს და დასავლეთ საქართველოდან გააძევეს.

ამის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორმა გადაწყვიტა მუდმივად გაეგზავნა ჯარები დასავლეთ საქართველოში და პირველ რიგში თავისი მეციხოვნეები ჩაეყენებინა სკანდისა

და შორაპნის ციხე-სიმაგრეებში, რომლებიც ქართლიდან დასავლეთ საქართველოში მიმავალ მთავარ გზებს აკონტროლებდნენ. ადრე ამ ციხე-სიმაგრეებს ეგრისელი მეციხოვნები იცავდნენ კეისრის ბრძანებით. ამ მეციხოვნეებს ეს სიმაგრეები დაატოვებინეს და მათ ნაცვლად ბიზანტიური გარნიზონები ჩააყენეს, რომლებიც სურსათ-სანოვაგით ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მოემარაგებინა. აღშფოთებულმა ეგრისელებმა პირველ ხანებში შეასრულეს ეს ვალდებულება. შემდეგ კი ბიზანტიელების მომარაგება შეწყვიტეს. ბიზანტიელები იძულებული იყვნენ სკანდისა და შორაპანის ციხეები დაეტოვებინათ, რომლებიც ირანელებმა უბრძოლველად დაიკავეს. ამ დროს მათ მარგვეთის საერისთავოც დაიკავეს.

იუსტინიანე I ტახტზე 527 წელს ავიდა. 531 წ. ირანის ტახტიც ახალმა შაჰმა ხოსრო I ანუშირვანმა დაიკავა. ამის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება იმ დროის ორ ზესახელმწიფოს შორის. ირანელებს არაფრით არ უნდოდათ სკანდისა და შორაპანის დატოვება, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დათანხმდნენ ბიზანტიელების ამ მოთხოვნაზე. 532 წ. დაიდო ე.წ. „უვადო ზავი" და ირანის ჯარმა მარგვეთის საერისთავო და რაც მთავარია სკანდისა და შორაპანის ციხე-სიმაგრეები დატოვა.

ბიზანტიელებმა „უვადო ზავის" ხელმოწერის შემდეგ გადაწყვიტეს მტკიცედ მოეკიდებინათ ფეხი ეგრისში და თავის ნებაზე განეგოთ ეს სამეფო. ამ მიზნით ლაზიკეში ჯარის დამატებითი კონტინგენტები გაგზავნეს და იქ მყოფ თავისი ჯარებს სათავეში ახალი მხედართმთავარი — სტრატეგოსი დაუყენეს.

ბიზანტიელების ჯარების მუდმივმა ჩადგომამ ეგრისის მდგომარეობა ძალზე დაამძიმა. „ლაზებთან დაიწყეს ჩადგომა რომაელმა ჯარისკაცებმა, რომლებითაც ეს ბარბაროსები შეწუხებული იყვნენ, წერს პროკოპი კესარიელი — და პირველ რიგში შეწუხებული იყვნენ პეტრე სტრატეგოსით, რომელიც ადვილად ექცეოდა მათ უდიერად". იმავე პროკოპი კესარიელის ცნობით შექმნილ ვითარებას პირველ რიგში მწვავედ განიცდიდა მეფე გუბაზ II, რომელიც ამის შემდეგ მეზობელ ქვეყნებში „საცოდავ ლაზთა მეფედ იწოდებოდა", რომელსაც „რომაელთა სარდალი ჰყავდა" ჩაყენებული. უპირველეს ყოვლისა ბიზანტიელები ეგრისის მეფისა და მისი ქვეშევრდომი მთავრების, იგივე ერისთავების ურთიერთობაში ჩაერივნენ. მათ მოინდომეს უშუალოდ თავიანთი მმართველობისათვის დაექვემდებარებინათ აფხაზები. აფხაზებს ამ დროს ორი მთავარი ჰყავდათ, რომლებიც ბიზანტიელი ისტორიკოსების ცნობით, „სასტიკად ეპყრობოდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს. ისინი, როგორც დაინახავდნენ კარგი გარეგნობის და ლამაზი ტანის ბავშვებს დაუყოვნებლივ მოაშორებდნენ მათ მშობლებს, ევნუქებად გადააქცევდნენ და გზავნიდნენ რომაელთა ქვეყანაში, რათა იქ მიეყიდათ მსურველთათვის დიდძალ ფულზე. მათ მამებს კი მაშინვე კლავდნენ, რათა ზოგიერთი მათგანი არ ცდილიყო ოდესმე ეზღო მათი შვილების მიმართ ჩადენილი უსამართლობის გამო".

რამდენად სწორია ეს ბრალდება აფხაზთა მთავრების მიმართ, დღეს ამის შესახებ რაიმეს თქმა ჭირს. ერთი კი ცხადია, რომ ბიზანტიის იმპერატორმა ეგრისის მეფის ქვეშევრდომის ქვეყანა მოკლე ხანში თავის უშუალო მმართველობას დაუმორჩილა. ამან ეგრისში ანტიბიზანტიური განწყობილება გააძლიერა. მაშინ იმპერატორმა ახალი სტრატეგოსი იოანე, იგივე ციბე გამოგზავნა. ახალი სტრატეგოსი, რომელიც თავის მთავრობის პოლიტიკას ახორციელებდა, ბუნებრივია, არაფრით არ აღმოჩნდა თავის წინამორბედზე უკეთესი. პროკოპი კესარიელის ცნობით, პირველ რიგში მან თითქოს „დააჯერა მეფე იუსტინიანე ლაზების ქვეყანაში ზღვისპირა ქალაქი აეშენებინა, სახელად „პეტრა". რასაკვირველია იოანე, მეტსახელად ციბე ამ შემთხვევაში არაფერ შუაში არ იყო. იმპერიას ეგრისის ზღვისპირეთში ისეთი ციხე-სიმაგრე სჭირდებოდა, რომელიც სამხრეთ შავიზღვისპირეთსა და ეგრისს შორის ნაოსნობას გაუწევდა კონტროლს და ამავე დროს ბიზანტიელთა ლაშქრის სამხედრო ბაზად გამოდგებოდა. ამიტომაცაა, რომ იუსტინიანე I კეისარი თავის ერთ-ერთ ბრძანებულებაში, რომელსაც მაშინ „ნოველა" ეწოდებოდა, შავიზღვისპირეთის, მათ შორის ეგრისის ქალაქებს შორის, განსაკუთრებით პეტრას (დღ. ციხისძირს) გამოჰყოფს.

პეტრა მართლაც საგანგებოდ გაუმაგრებია იუსტინიანე კეისარს, თუმცა მანამდეც აქ ზღვისპირა პუნქტი ყოფილა.

პეტრაში ახალი სტრატეგოსი „იჯდა ვითარცა აკროპოლისში, — წერს პროკოპი კესარიელი და — ძარცვავდა ლაზთა ქონებას. ვაჭრებს უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისათვის აუცილებლად საჭიროა, არც აქედან შეეძლოთ რამე გაეყიდათ. მან შემოიღო ე.წ. მონოპოლი და თვით გადაიქცა მეწვრილმანედ და მთელი ამ ვაჭრობის ზედამდგომელად; ყველაფერს ჰყიდულობდა და აწვდიდა კოლხებს, არა ისე როგორც ეს ჩვეულებრივ იყო, არამედ ისე, როგორც მის მიერ ნებადართული იყო“.

„მონოპოლის“ ანუ მონოპოლიის შემოღებაში იოანე მეტსახელად ციბე არაფერ შუაში არ იყო. მონოპოლია იუსტინიანე I-ის ხანაში ფართოდ იყო გავრცელებული. ბიზანტიის იმპერიის მრავალ ქალაქსა თუ პროვინციაში და პირველ რიგში მოსახლეობისაგან დამატებით გადასახადის აკრეფის თავისებურ ფორმას წარმოადგენდა. მონოპოლიური ვაჭრობის უფლება საიჯარო გადასახადით გადაეცემოდა სავაჭრო კორპორაციებს, რომლებიც თავის მხრივ მოგების მიღების მიზნით ფასებს რამდენჯერმე ზრდიდნენ. ასე მოხდა ეგრისის სამეფოშიც.

პეტრას აგების შემდეგ ბიზანტიის ხელისუფლება ეგრისის საზღვაო ვაჭრობის უფლებას მხოლოდ ამ ქალაქის მეშვეობით იძლეოდა. ეგრისის სანაპიროს გასწვრივ ბიზანტიელთა საგანგებო სამხედრო ესკადრა დასცურავდა და სავაჭრო ხომალდების მფლობელებს აიძულებდა, რომ მათ ღუზა მხოლოდ და მხოლოდ პეტრას ნავმისადგომებში ჩაეშვათ. საფიქრებელია, რომ ამ ციხე-სიმაგრეებში იჯდა საგანგებო მებაჟე, რომელიც ლაზიკეში ზღვით შემოტანილ თუ გატანილ საქონელზე იმპერიის სასარგებლოდ დაწესებულ ბაჟს კრეფდა. თვით ციბეს მიერ შემოღებულია მონოპოლია კი ეგრისის მთელ საზღვაო იმპორტზე და ექსპორტზე ვრცელდებოდა. ციბე ამ შემთხვევაში, რომელიღაც დღეს უცნობ ბიზანტიურ სავაჭრო კორპორაციას წარმოადგენდა, რომელიც ამ მონოპოლიას ახორციელებდა.

ეგრისის საზღვაო ვაჭრობაზე ბიზანტიური მონოპოლიის შემოღებამ საზღვაო ექსპორტით მიღებული შემოსავალი ძალზე დასცა, ხოლო შემოტანილი საქონლის ღირებულება რამდენჯერმე გაზარდა. ეს კი ლაზიკეს მოსახლეობის ყველა ფენას შეეხო და კიდევ უფრო გაზარდა ის საყოველთაო უკმაყოფილება ქვეყანაში, რაც ბიზანტიელთა ჯარის ჩაყენებით და ეგრისის მეფის უფლებებში ბიზანტიელთა ჯარის მთავარსარდლის ჩარევით იყო გამოწვეული. ეგრისის სამეფოს მთელი მოსახლეობა თავისი სიუზერენის მიმართ მტრულად იყო განწყობილი და ბიზანტიელთა ხელისუფლებისაგან ქვეყნის გათავისუფლება სურდა.

გამოსავალი თითქოს მხოლოდ საგარეო ორიენტაციის შეცვლაში და ირანელთა მხარეზე გადასვლაში ჩანდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ გუბაზ I თუ მისი უშუალო მემკვიდრის ხანაში. საქმე ის იყო, რომ ეხლა ეგრისში ბიზანტიელთა ჯარი იდგა, რომელიც ბუნებრივია ეგრისელებს მორჩილებიდან გამოსვლას ასე ადვილად არ დაანებებდა. ბიზანტიის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლა კი ირანის ჯარის უშუალო დახმარებით იყო შესაძლებელი. ამიტომ ეგრისის მეფემ გუბაზ II ირანში თავისი ელჩები გააგზავნა და სამხედრო დახმარება თხოვა.

ეგრისელთა ელჩობით ხოსრო I ძალზე კმაყოფილი დარჩა. ის დიდ ლაშქარს დაჰპირდა ელჩებს, რომელსაც უშუალოდ ჩაუდგებოდა სათავეში. ირანის მბრძანებელი მხოლოდ ქართლიდან ეგრისში შესასვლელი გზის გაწმენდას ითხოვდა, რათა ირანის ჯარს მოძრაობის საშუალება მისცემოდა. ელჩებმა აღუთქვეს, რომ ეს გზა ადვილად გასავლელი იქნებოდა, „როდესაც ხეებს მოჭრიდნენ და მათ დაქანებულ ადგილთა ძნელ გასასვლელებში ჩაყრიდნენ. თანაც აღუთქვეს, რომ „გზისა და ამ საქმის წინამძღოლებად თვით ისინი ეყოლებოდათ სპარსელებს“.

ამ პირობით წაქეზებულმა მბრძანებელმა დიდძალი ჯარი შეკრიბა და სრულიად საიდუმლოდ ელჩებთან ერთად საქართველოსკენ გამოემართა. საჯაროდ მან განაცხადა, რომ ის ქართლში მიემართებოდა ჰუნების წინააღმდეგ, რომლებიც თითქოს „თავს დასხმოდნენ სპარსელთა ლაშქარს".

542 წ. ირანის ლაშქარმა სწრაფად გაიარა ქართლის სამეფო, ეგრისელების დახმარებით გადალახა ლიხის ქედი და შუა კოლხეთს მიაღწია, სადაც „ადგილი ჰქონდა მედეას და იასონის ამბავს, როგორც ამას პოეტები მოგვითხრობენ". აქ ხოსრო I შეეგება გუბაზ II, რომელიც „ეთაყვანა ხოსრო კავადის ძეს, ვითარცა ბატონსა და თავისი თავი სამეფო ძალაუფლებითურთ და მთელი ლაზიკე გადასცა მას". ამის შემდეგ ირანელების და ეგრისელების შეერთებული ლაშქარი პეტრას ციხე-ქალაქისაკენ გაემართა და ხანმოკლე სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ეს ქალაქი თავისი დედა-ციხით დაიკავა, მისცა რა წინასწარ ცოცხლად გადარჩენილ მეციხოვნეებს სიცოცხლისა და ქონების გარანტია. ირანის მბრძანებელმა თავისთვის მხოლოდ ზემოთ ხსენებული ციბეს ქონება დატოვა, რომელიც საკმაოდ ბლომად აღმოჩნდა. ასე დაიწყო „დიდი ომიანობა ეგრისში", რომელმაც აურაცხელი უბედურება მოუტანა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას.

ხოსრო I-ის ლაშქრობა ეგრისში ბიზანტიელებისათვის ეგრისიდან ფეხის ამოკვეთას ისახავდა მიზნად. ამიტომ ირანელებმა თავისი ჯარები ბიზანტიელთა სხვა საყრდენი პუნქტების, სებასტოპოლის და ბიჭვინთის ციხე-სიმაგრეების დასაკავებლად გაგზავნეს, რომელთაც საფიქრებელია ეგრისის შენაერთებიც ახლდა თან. ბიზანტიელებმა ეს ამბავი ადრევე შეიტყვეს და რადგანაც მტრის ლაშქრის ღირსეული დახვედრის იმედი არ ჰქონდათ, ორივე ციხე-ქალაქში „გადასწვეს სახლები, ძირამდე დაანგრიეს კედლები, დაუყოვნებლივ ჩასხდნენ ხომალდებში, და მივიდნენ ტრაპეზუნტში". ირანელები დანგრეულ ციხე-სიმაგრეებში ვერ გამაგრდნენ და პეტრაში თავიანთ ძირითად ლაშქარს შეუერთდნენ.

პეტრას აღების შემდეგ ხოსრო I, ბიზანტიის სხვა ფრონტებზე მდგომარეობის გართულების გამო მალე სამშობლოსაკენ გაემართა, თუმცა წინასწარ პეტრაში ძლიერი ირანული გარნიზონი ჩააყენა.

545-546 წლებში მეომარ მხარეებს შორის დროებითი ზავი დაიდო. ზავით არცერთი მხარე არ იყო კმაყოფილი და ახალი ომისათვის მზადებას შეუდგა.

პირველ რიგში ირანის შაჰი ლაზიკეს საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტას შეეცადა, სადაც ანტიირანული განწყობილება სწრაფად იზრდებოდა.

ეგრისელები ძალზე სწრაფად დარწმუნდნენ, რომ ირანელების მოწვევით დიდი შეცდომა ჩაიდინეს. გუბაზ II აშკარად ვერ გაითვალისწინა, რომ V-ის 80-იან წლებთან შედარებით, როდესაც ეგრისი პირველად გადავიდა ირანელთა მხარეზე, ვითარება ძალზე შეცვლილი იყო. მაშინ ქართლში მეფობა ჯერ კიდევ გაუქმებული არ იყო, ამიტომ ირანი ეგრისის მორჩილების გარეგნულ აღიარებაზეც თანახმა იყო, ეხლა ასეთი მორჩილება მას უკვე აღარ აკმაყოფილებდა და ეგრისის შინაურ საქმეებში ჩარევა დაიწყო, მით უფრო რომ ეგრისში მისი ჯარის ნაწილები იდგა. ამან ეგრისის სამეფო კარის და მთელი მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. უკმაყოფილებას ეგრისელები და ირანელებს შორის რელიგიურ რწმენაში და ცხოვრების წესში განსხვავება ზრდიდა. „ლაზთა უმეტესობა სპარსელთა ხელისუფლების ქვეშ საგრძნობლად შეწუხდა. – წერს პროკოპი კესარიელი – სპარსელები სხვებთან შედარებით უფრო ერთფეროვანი ცხოვრების მოყვარულნი არიან. მათი კანონებიც მიუწვდომელია ყველასათვის... ლაზების მიმართ მაინც განსაკუთრებით ძლიერ იჩენს თავს განსხვავება.. რადგან ლაზები ქრისტიანები არიან, ყველაზე უფრო მეტად სპარსელებში კი სარწმუნოებრივი შეხედულებები, სრულად ამის საწინააღმდეგოა".

თავი იჩინა ეკონომიკურმა ფაქტორმაც. ბიზანტიელების წინააღმდეგ ეგრისელების გამოსვლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ხომ სავაჭრო მონოპოლიის შემოღება იყო. ეხლა მათ საზღვაო ვაჭრობა ფაქტობრივად მოესპოთ. მოსახლეობა დიდ გაჭირვებაში ჩავარდა.

ირანის შაჰი არ დაელოდა ეგრისში საყოველთაო უკმაყოფილების აჯანყებაში გადაზრდას და გადაწყვიტა მოვლენებისათვის დაესწრო. ბიზანტიელების ცნობით მან თითქოს განიზრახა ეგრისელები თავისი ქვეყნიდან გადაესახლებინა. რამდენად სწორია ეს არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, პირველ რიგში ხოსრომ გუბაზ II მოკვლა გადაწყვიტა. ეს დაავალა შაჰმა ირანელ ფაბრიზს. იგი ეგრისელ დიდებულს ფარსანსს დაუკავშირდა, რომელიც თავის მეფესთან მეტად მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ფარსანსმა თავისი მეფის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის მიღება ვერ გაბედა და ყველაფერი გუბაზ მეფეს შეატყობინა. ამიტომ ეგრისის მეფე პეტრაში ფაბრიზთან, როგორც ხოსრო I-ის წარმომადგენელთან აღარ მივიდა, რაც ფაქტობრივად ირანის წინააღმდეგ აჯანყებას ნიშნავდა. მალე გუბაზ II აშკარად გადავიდა ბიზანტიის მხარეზე და ბიზანტიის კეისარს სამხედრო ძალით ირანელების წინააღმდეგ დახმარება თხოვა, რადგან „კოლხები, ხომ საკუთარი საშუალებებით ვერ შეძლებდნენ სპარსელთა ძალა უკუეგდოთ“.

კეისარს გუბაზის მიმართვა ძალზე გაუხარდა. იუსტინიანე I-მა ეგრისში 7 ათასი ბიზანტიელი ჯარისკაცი და ჭანების ათასეული გამოაგზავნა. დანიშნულ ადგილზე მათ გუბაზ II შეუერთდა. მოკავშირენი მაშინვე პეტრასკენ გაემართნენ.

ციხე-ქალაქის ალყა გაჭიანურდა, რადგან ირანელი მეციხოვნეები ყოველი აუცილებლით კარგად იყვნენ მომარაგებულნი, ამასობაში ირანის შაჰმა ქართლში სპარსელთა ახალ ლაშქარს მოუყარა თავი და მერმეროეს მთავარსარდლობით პეტრაში გამაგრებულ ირანელთა დასახმარებლად გამოგზავნა.

ბიზანტიელთა ჯარის მხედართმთავარი დაგისტე გამოუცდელი გამოდგა. მან ვერც პეტრას აღება მოახერხა და არც ლიხის ქედის ვიწრობებში ირანელთა შესაჩერებლად საკმაო ძალები გაგზავნა. მერმეროემ გაიარა მთელი გზა და სულზე მიუსწრო პეტრას მეციხოვნეებს. ირანელთა დიდ ლაშქარს მტრულ ქვეყანაში სურსათი გაუჭირდა. ამიტომ მერმეროემ პეტრა საგულდაგულოდ გაამაგრა და თვითონ თავისი ლაშქრის დიდი ნაწილით აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნდა. ეგრისში დარჩენილი ირანელთა მცირერიცხოვანი ჯარი ეგრისელებმა და ბიზანტიელებმა ადვილად დაამარცხეს და დიდძალი ნადავლი იგდეს ხელთ.

550 წელს ირანელებმა ქართლიდან ახალი ლაშქარი გამოგზავნეს, რომელიც ცხენისწყლის ნაპირას დაბანაკდა. ეგრისელებმა და ბიზანტიელებმა მდინარის მეორე, მარჯვენა ნაპირზე დაიბანაკეს. ეგრისელები მტერზე დაუყოვნებლივ თავდასხმას ითხოვდნენ, ბიზანტიელები კი აყოვნებდნენ ბოლოს ეგრისელთა აზრმა გაიმარჯვა. ეგრისელები ფიქრობდნენ, რომ ბიზანტიელები, რომელთაც არ აწუხებდა ადგილობრივი მოსახლეობის ბედი, თავს არ გამოიდებდნენ, ამიტომ ისინი ბრძოლის დაწყებას თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ. ბიზანტიელები იძულებული გახდნენ მიეღოთ ეს წინადადება. პირველ რიგში ლაზთა ცხენოსანი ნაწილები განლაგდა, ხოლო მოშორებით მათ მიყვებოდა ბიზანტიელთა ცხენოსანი ნაწილები. ბრძოლის წინ ეგრისის მეფემ სიტყვით მიმართა თავის მეომრებს. „მე არ ვიცი ვაჟკაცებო საჭიროა თუ არა კიდევ რჩევა-დარიგებით მომართვა თქვენდამი — ბრძანა გუბაზ II, — თქვენ აღსაფრთოვანებლად, ვინაიდან მე ვფიქრობ რომ არავითარი მოწოდება არ ესაჭიროება იმათ, ვინცა გარემოებათა საჭიროებითაა უკვე აღფრთოვანებული, რასაც ჩვენთან უკვე აქვს ადგილი. საფრთხე არსებობს ხომ ცოლებისათვის, შვილებისათვის, სამშობლო ქვეყნისათვის“.

ბრძოლის ბედი ირანელი სარდლის სასიკვდილოდ დაჭრამ გადაწყვიტა. ბიზანტიელებმა და ეგრისელებმა დიდი ნადავლი ჩაიგდეს ხელში. ამის შემდეგ ქართლიდან გადმოსულმა ირანელთა ლაშქარმა დატოვა დასავლეთი საქართველო, თუმცა წინასწარ გაამაგრა „პეტრაში მყოფი მცველი რაზმები, დიდძალი სანოვაგით და ყველა საჭირო ნივთით".

გუბაზ II ძალზე უკმაყოფილო იყო ბიზანტიელი მთავარსარდლის უნიათობით. მან ელჩები გაგზავნა კონსტანტინეპოლში და დაგისტე სპარსელების მიმართ კეთილგანწყობაში დაადანაშაულა. მაშინ იუსტინიანე კეისარმა მთავარსარდალი კონსტანტინეპოლში დაიბარა, „სატუსაღოში ჩაამწყვდია, ხოლო ეგრისში ახალი მთავარსარდალი ბესა გამოგზავნა. ბესას ეგრისში ქართლიდან გადმოსული ირანელთა ახალი ლაშქარი დახვდა, რომელიც აჯანყებულ აფხაზეთში ცდილობდა ფეხის მოკიდებას.

როგორც ირკვევა აფსაზებმა ისარგებლეს იმით, რომ 542წ. ირანელთა დასავლეთ საქართველოში შემოჭრის დროს ბიზანტიელებმა მიატოვეს აფხაზეთის სანაპირო და ძველი მართვა-გამგებლობა აღადგინეს. „მათ კვლავ დაიყენეს თავისთვის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილისათვის, ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისათვის სკეპარნა". ამაში როგორც ჩანს ეგრისის მეფის ხელიც ერია. ამას გვაფიქრებინებს აღმოსავლეთ აფხაზეთის მთავრის სახელწოდება ოფსიტე.

ამ ამბების გადმოცემის ცოტა ადრე პროკოპი კესარიელი ახსენებს თეოდორას, რომელიც ყოფილა თანამეცხედრე ოფსიტესი, რომელიც გუბაზის ბიძა იყო, ლაზთა მეფე და რომელიც ირანელთა სარდალს სპარსეთში ტყვედ წაუყვანია. ეჭვს გარეშეა, რომ აქ ბიზანტიელ ისტორიკოსს რაღაც ეშლება, რადგანაც გუბაზის ბიძა ოფსიტესათვის ლაზთა მეფეთა შორის ადგილი არ ჩანს. უფრო საფიქრებელია, რომ გუბაზ II-ის ბიძა ოფსიტე და აღმოსავლეთ აფხაზეთის მთავარი ერთი და იგივე პიროვნება იყოს. ასე რომ აღმოსავლეთ აფხაზეთის მთავრები, VIს-ის 40-იანი წლებიდან ახალი ეგრისის (ლაზიკეს) სამეფო საგვარეულოდან იყვნენ. სწორედ ამ გარემოებამ გაუადვილა ამ მთავრების მთამომავალ „აფხაზთა ერისთავებს" შემდგომში მთელი დასავლეთ საქართველოს ერთ სამეფოში გაერთიანება, რადგან მათ ეგრისის სამეფოზე ლეგიტიმური უფლებები გააჩნდათ. (ამაზე იხილეთ ქვემოთ).

თავიანთი მთავრების კვლავ დაყენება ბიზანტიელებმა აფხაზებს აჯანყებაში ჩაუთვალეს და მის ჩასაქრობად ცენტრალური ეგრისიდან ჯარები გაგზავნეს. აფხაზები, ტრაქეას (ანაკოფიის) ციხე-სიმაგრეში გამაგრდნენ, მაგრამ დიდი ბრძოლის შემდეგ ბიზანტიელებმა ეს ციხე-სიმაგრე აიღეს მთავართა ცოლ-შვილი ტყვედ აიყვანეს და ამით „აბაზგების განდგომაც" დასრულდა.

დაახლოებით ამ ხანებში მოხდა აფშილთა განდგომა, რომლის ინიციატორი უკვე ეგრისის მეფის წარჩინებული ტერდეტი იყო, რომელსაც გუბაზ II-საგან საგამგებლოდ ჰქონდა ეს მხარე ჩაბარებული. მეფეზე გაბრაზებულმა ტერდეტმა, რომელსაც „მაგისტროსის ძალაუფლება" ეპყრა, აფშილეთში სპარსელები მოიწვია. და მდ. კოდორის ხეობის შუა წელში მდგარი წიბილის ციხე-სიმაგრე გადასცა. მალე ირანელთა ჯარის მეთაურმა ძალა იხმარა ამ ციხის თავის ცოლზე, რომელიც ტომით „აფსილი იყო". ხოლო აღშფოთებულმა აფშილებმა ეს მეთაურიც მოკლეს და სპარსელთა ლაშქარიც გაწყვიტეს. ამის შემდეგ იმ საბაბით, რომ „კოლხებმა არ ისურვეს დახმარება აღმოეჩინათ მათთვის, როდესაც ისინი სპარსელებისაგან განსაცდელში იყვნენ ჩაყენებულნი, ეგრისის მეფეს განუდგნენ. მაშინ გუბაზ II მათ წინააღმდეგ ბიზანტიელთა ჯარის ერთი ნაწილი გაგზავნა და აფშილებიც უბრძოველად „ლაზთა მეფის" ქვეშევრდომობას დაუბრუნდნენ.

552 წ. ბიზანტიელებმა პეტრასათვის მოიცალეს. დიდი მსხვერპლის ფასად ციხე-ქალაქი აიღეს და მისი ზღუდეები მიწასთან გაასწორეს.

პეტრას ალყა ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როდესაც ქართლიდან ეგრისში ახალი ლაშქარი გადმოვიდა, რომელსაც ირანელთა ძველი მხედართმთავარი მერმეროე სარდლობდა. ირანელებს შორაპანის, სკანდას, ვარდციხის ციხე-სიმაგრეები თვით ეგრისელების მიერ მიწასთან გასწორებული დახვდათ. როდესაც მერმეროემ პეტრას დაკარგვის ამბავი შეიტყო, მიმართულება შეცვალა და ციხე-გოჯისაკენ დაიძრა. ციხე-გოჯს, ანუ არქეოპოლისს 3 ათასი ბიზანტიელი მეომარი იცავდა, ხოლო მათი მთავარი ძალები მდინარეების

რიონისა და ტეხურის შესაყარში იდგა. ამ დროისათვის ისინი მდინარე რიონის სანაოსნო მაგისტრალით ადვილად ამარაგებდნენ ქვეყნის შიგნით განლაგებულ თავის ნაწილებს. მერმეროემ თავდაპირველად ციხე-გოჯს გვერდი აუარა და პირდაპირ ბიზანტიელების მთავარბანაკისაკენ გაემართა. მაშინ ბიზანტიელებმა მიატოვეს თავიანთი ბანაკი და იქ მერმერიეს არავინ დახვდა. მაშინ ირანელთა მთავარსარდალმა ციხე-გოჯს ალყა შემოარტყა, მაგრამ აქ დამარცხდა და უკან მუხურისის მხარისაკენ დაიხია. ირანელებმა სწრაფად შეაკეთეს რიონის ნაპირზე დაბლობში მდგარი ქუთათისის ძველი ციხე-სიმაგრე და იქ დაიბანაკეს. ამ დროისათვის ციხე-გოჯის აღმოსავლეთით ეგრისელთა ხელში მხოლოდ უქიმერიონის ციხე-სიმაგრე რჩებოდა, რომელსაც ეგრისელების ძლიერი მცველი რაზმი და „რამდენიმე რომაელი ჯარისკაცი იცავდა“.

მალე ირანსა და ბიზანტიას შორის მორიგი დროებითი ზავი დაიდო, მაგრამ დასავლეთ საქართველოში საომარი მოქმედება კვლავინდებურად გრძელდებოდა ირანელთა მხედართმთავარი ყოველნაირად ცდილობდა თავისი პოზიციები აღმოსავლეთ ეგრისშიც გაემაგრებინა, რასაც პირველ რიგში ადგილობრივი მოსახლეობის გულის მოგებით ცდილობდა. გუბაზ მეფე კვლავ ბიზანტიელთა ერთგული რჩებოდა, ხოლო მისი ქვეშევრდომები, რომლებიც ბიზანტიელმა ჯარისკაცებმა და განსაკუთრებით მათმა სარდლობამ უკიდურესად შეაწუხეს, ირანელებისაკენ იხრებოდნენ. ასეთ პირობებში სრულიად არაა გასაკვირი, რომ ერთ-ერთმა ეგრისელმა წარჩინებულმა თეოფობიმ უქიმერიონის ციხე-სიმაგრე მეციხოვნეების დაყოლიებით, უბრძოლველად ირანელებს გადასცა.

მერმეროემ მის მიერ აღდგენილ ქუთათისის ციხეში დაახლოებით 3 ათასი მეციხოვნე, ჩააყენა, ასევე ძლიერი სპარსული გარნიზონებით გაამაგრა უქიმერიონის ციხე-სიმაგრე. მას ყურადღების გარეშე არ დარჩა შორაპანის ციხე-სიმაგრე, სადაც მთელი ზამთარი გაატარა.

გუბაზ მეფემ ეს ზამთარი თავისი ბავშვებით, ცოლით და მახლობლებით ერთი „მთის წვერზე გაატარა“. ირანელთა მხედართმთავარს მთაში გახიზნული ეგრისელები უვნებლობის პირობით თავის მხარეზე გადაჰყავდა.

ირანელმა სარდალმა მოციქულები ეგრისის მეფესაც გაუგზავნა —: „შეიცან თავი შენი უთვლიდა ის გუბაზს — და ეთაყვანე შენ მბრძანებელს ხოსროს, ვითარც მეფეს გამარჯვებულს და ბატონს და შეევედრე გაპატიოს შეცოდებანი, რათა ამიერიდან მაინც შესძლოთ აირიდოთ შეცოდებანი, რომელიც მძიმე ტვირთად გაწვებიან. მეც ჩემი მხრით გარწმუნებ, რომ ხოსრო მეფე შეგიწყალებს, ხელს არ გახლებს და მძევლებად მოგვრის სპარსელთა წარჩინებულ მთავართა შვილებს შენც ყოველმხრივ იქნები უზრუნველყოფილი და შენი სამეფოც გექნება სამუდამოდ დაცული“.

ირანელი მხედართმთავრის წერილმა გუბაზ მეფეს პოზიცია ვერ შეაცვლევინა და ის კვლავ ბიზანტიის ერთგული დარჩა. მაშინ მერმეროემ იერიში მიიტანა იმ ციხე-სიმაგრეზე, სადაც ეგრისის მეფე იყო გამაგრებული, მაგრამ ციხე ვერ აიღო და უკან დაიხია. ასევე მარცხი განიცადეს ირანელებმა კოდორის ხეობაში, წიბილის ციხის აღების მცდელობის დროს სამაგიეროდ, მომდევნო 555წ. ტელეფისის (დღევანდელი ტოლების) მიდამოებში მერმეროემ ბიზანტიელთა ლაშქარს კუდით ქვა ასროლინა. ამის შემდეგ ირანელთა მთავარსარდალმა გადალახა მდ. რიონი, დამატებითი ძალებით მოამარაგა ციხე-გოჯის დასავლეთით მდებარე ონოგურისის (დღ. შხეფის) ციხის ირანული გარნიზონი და ქუთათისისაკენ გაემართა. აქ მან თავი ცუდად იგრძნო და მესხეთში გადავიდა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ირანის შაჰმა მის ნაცვლად ირანელთა საექსპედიციო კორპუსის მხედართმთავრად სპარსელი დიდებული ნახორაგანი გამოგზავნა.

ომი გრძელდებოდა მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და ირანელებს ეგრისის სამეფოს დიდი ნაწილი ჰქონდათ დაკავებული. ეს გუბაზ მეფეს ძალზე აშფოთებდა. ეგრისის მეფე ყველა მარცხს ბიზანტიის ჯარის სარდლობას აბრალებდა. ამიტომ ტელეფისთან ბიზანტიელთა სამარცხვინო მარცხის შემდეგ გუბაზ II კონსტანტინეპოლში კეისართან იჩივლა. მეფემ ბიზანტიელთა მარცხში პირველ რიგში ბიზანტიელთა ჯარის მხედართმთავარი ბესა, ერთ-ერთი სარდალი მარტინე, აგრეთვე რუსტიკე დაადანაშაულა, რომელიც ბიზანტიის ჯარების საფინანსო საქმეს განაგებდა. იუსტინიანე კეისარმა ბესა თანამდებობიდან გადააყენა და მთელი ქონება ჩამოართვა, ხოლო ორი სხვა აღნიშნული პირი თავიანთ ადგილებზე დატოვა. ამის შემდეგ მტრობა ეგრისის მეფესა და ეგრისში ბიზანტიელთა ჯარის სარდლობას შორის კიდევ უფრო გამწვავდა. მეფე აძაგებდა მათ, „ლაჩრებს და გაიძვერებს“ უწოდებდა, ნადიმებზე და შეკრებებზე მუდამ ზიზღით ეპყრობოდა, თავის სიძულვილს ბიზანტიელი სარდლობის მიმართ ეგრისის მეფე არც უცხო ქვეყნების ელჩებთან მალავდა.

ეგრისში მყოფი ბიზანტიის ჯარის სარდლობამ გუბაზ მეფის თავიდან მოშორება გადაწყვიტა. ამით ის შეურაცხყოფისათვის შურსაც იძიებდა და აღარც გუბაზის იმპერატორის კარზე საჩივრების შიში ექნებოდა. ამიტომ რუსტიკეს ძმა იოანე კონსტანტინეპოლში გააგზავნეს და ეგრისის მეფეს „სპარსელთა მომხრეობა“ დააბრალეს. გუბაზ მეფის დიდი სიყვარული არც იუსტიანე კეისარს ჰქონდა, თავის დროზე ეგრისში ხოსრო I-ის მიწვევის გამო. თანაც, როგორც ჩანს, კეისარს ეგრისში მეფობის გაუქმების საწინააღმდეგო არაფერი არ ჰქონდა. ამიტომ თავის სარდლობას ეგრისში იუსტინიანემ ფაქტობრივად გუბაზ მეფის მოკვლის სანქცია მისცა.

554 წ. ბიზანტიელთა სარდლებმა, მოლაპარაკების საბაბით გუბაზ მეფე ხობისწყლის ნაპირას მოიწვიეს, და ონოგურისის ირანული გარნიზონის წინააღმდეგ გალაშქრება შესთავაზეს. როდესაც მათზე გაბრაზებული მეფისაგან ამ წინადადებაზე უარი მიიღეს, მეფე ჯერ ხმლით დაცემით ცხენიდან ჩამოაგდეს და შემდეგ შუბით მოუღეს ბოლო. ამის შემდეგ ბიზანტიელები ონოგურისის ციხის ასაღებად გაემართნენ, მაგრამ სამარცხვინო მარცხი იგემეს: 3 ათასმა ირანელმა 50 ათასი ბიზანტიელი მეომარი გააქცია და მისი მთელი ავლადიდება ხელწი ჩაიგდო.

მეფის ვერაგულმა მკვლელობამ მთელი ეგრისი აღაშფოთა. გუბაზი მშობლიური წესების მიხედვით დიდი პატივით დაკრძალეს. ამის შემდეგ ეგრისელებმა, როგორც შეურაცხყოფილებმა და სამშობლოს დიდების დამკარგველებმა გადაწყვიტეს აღარ მიეღოთ მონაწილეობა ბიზანტიელების გვერდით ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მალე ზამთარიც დადგა და დასავლეთ საქართველოში საომარი ოპერაციები შეწყდა. ეგრისის ლაშქარი ერთ მიუვალ ხეობაში შეიკრიბა და თავისი სამშობლოს მომავალზე სჯა-ბაასი გამართა. მთავარ საკითხს საგარეო ორიენტაციის პრობლემა წარმოადგენდა. პირველად სიტყვით ირანოფილი აიეტი გამოვიდა. „გაქრა კოლხთა ძველი დიდება და ამიერიდან ვეღარ ვეღირსებით რომ სხვებზე ვბრძანებლობდეთ — დაიწყო ლეგენდარული აიეტ მეფის სეხნიამ — ისიც უნდა ვიკმაროთ, რომ თუ მივაღწევთ იმას, რომ ძალიან არ დაგვჩაგრონ, მე ვინატრებდი, რომ კოლხეთის სახელმწიფოს ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირვებოდეს გარეშე დახმარება და ყოველგვარ საქმიანობაში, როგორც ომიანობის ისე მშვიდობიანობის დროს მხოლოდ საკუთარ თავს ეყრდნობოდეს, მაგრამ როდესაც ჩვენ ჟამთა ტრიალის, ან ბედის უკუღმართობის, ან ორივეს წყალობით, ისეთ უძლურებაში ჩავვარდით, რომ სხვათა ხელქვეითნი გავხდით, მე ვფიქრობ უმჯობესია, იმათ ხელში ვიყოთ, ვინც უფრო კეთილმსურველია, ვინც იცავს კეთილგანწყობილებას თავისიანებისა და მოკავშირეთა მიმართ“. ასეთებად აიეტმა ირანელები დაასახელა და

ეგრისის ლაშქარს ირანის მხარეზე გადასვლა მოუწოდა. ამ გამოსვლამ ისე აღაფრთოვანა კრების მონაწილენი, რომ ისინი მზად იყვნენ იმ დღესვე ყოველგვარი მომზადების გარეშე ირანის მხარეზე გადასულიყვნენ.

აიეტის შემდეგ სიტყვით მეორე ეგრისელი დიდებული ფარტაზი გამოვიდა და ეგრისელებს კეთილგონიერებისაკენ მოუწოდა. მან შეახსენა ეგრისელებს, რომ მათ და სპარსელებს განსხვავებული რწმენა ჰქონდათ, რაც მათ ირანელებთან ურთიერთობაში დიდ სიძნელეებს შეუქმნიდა. ამავე დროს ფარტაზმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ირანის მხარეზე გადასვლა სრულიადაც არ იყო ადვილი საქმე. მან აღნიშნა, რომ „ჩვენი ძალები საკმარისი არ იქნება იმისათვის რომ ჩვენი განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ და სპარსელების მხარეზე გადავიდეთ. როგორ შევძლებთ ჩვენ სხვის მხარეზე გადასვლას, როდესაც თავზე გვადგანან რომაელები, რომელთაც ამდენი ვაჟკაცი ჰყავთ დარაზმული საუკეთესო სტრატეგების ხელმძღვანელობით. მე იმ აზრისა ვარ — დაასრულა ფარტაზმა თავისი სიტყვა — მეფეს ვაცნობოთ მომხდარი ამბავი, რათა იგი სათანადოდ მოეპყრას იმათ, ვისაც ამ მკვლელობაში მთავარი დანაშაული მიუძღვის, და თუ ის მას იზამს, ამიერიდან მოისპობა ჩვენი უთანხმოება... კვლავ ერთად ვილაშქრებთ, ძველებურად ერთად გავწევთ ცხოვრების ჭაპანს. თუ კი ის უარყოფს ჩვენ მოთხოვნას, მაშინ უნდა მოვითათბიროთ მიზანშეწონილი იქნება თუ არა მეორე გზას დავადგეთ.“

ფარტაზის აზრმა გაიმარჯვა. ეგრისელებმა ელჩები გაგზავნეს კონსტანტინეპოლში და კეისარს მომხდარის შესახებ აცნობეს. იმპერატორს მათ მკვლელების დასჯა მოთხოვეს და ითხოვეს, რომ გუბაზის ნაცვლად „მეფედ ვინმე უცხოელს, არა თეისტომს ნუ დაგვიყენებ, არამედ წათე გამოვგიგზავნე, გუბაზის უმცროსი ძმა, რომელიც ამჟამად ბიზანტიაში ცხოვრობს, რათა დაცული იქნას მამა-პაპური წესი და ძველი სამეფო გვარი შეურყვნელი დარჩეს“.

იმპერატორი იუსტინიანე მიხვდა, რომ იჩქარა, როდესაც გუბაზ მეფის მკვლელობის თანხმობა მისცა. მან საჩქაროდ მიიღო ელჩების ყველა მოთხოვნა. პირველ რიგში გუბაზის მკვლელების დასაკავებლად კეისარმა ეგრისში ანასტასი სენატორი გააგზავნა, რომელსაც ბიზანტიური კანონების საფუძველზე უნდა გაერჩია მკვლელობის საქმე სენატორმა დააპატიმრა მკვლელობის უშუალო მონაწილე რუსტიკე და მისი ძმა იოანე და აფსარუტის (დღ.გონიოს) ციხე-სიმაგრის „სატუსაღოში“ გაგზავნა სანამ მკვლელობის ძიება დასრულდებოდა. მალე ეგრისის მეფის დიდებული სამოსელით სამშობლოში გუბაზ II-ის ძმა, იმპერატორისაგან მეფედ დამტკიცებული წათე II გამოემართა. გზად მეფეს ეგრისელები დიდი პატივით შეეგებნენ. „როდესაც წათემ, სამეფო სამოსელში გამოწყობილმა ფეხი შემოადგა თავის ქვეყანაში, მას მიესალმნენ სტრატეგოსები და რომაელთა მთელი ჯარი და სათანადო პატივით წინ წამოუღვნენ, საუკეთესოდ შეიარაღებულნი და მეტწილად ცხენებზე მჯდომარენი, წერს აგათია სქოლასტიკოსი — ლაზები კი გახარებულნი იმით, რომ როგორც იქნა გადარჩნენ უბედურებას, მიაცილებდნენ ჩამწკრივებულნი. ყველგან საყვირების ხმა ისმოდა, დროშები იყო მაღლა აფრიალებული, ზეიმი იყო მეტად ბრწყინვალე და აღზევებული.

მალე წათე II შეუდგა საქმეების მოწესრიგებას და „უვლიდა თვისტომთ, როგორც მას სურდა და როგორც მამა-პაპური წესი უკარნახებდა“.

554 წ. მაშინ როდესაც წათე II ჯერ კიდევ კონსტანტინეპოლიდან არ იყო გამომგზავრებული ქართლიდან ეგრისში დიდძალი ჯარით, ირანელთა ახალი მხედართმთავარი გადმოვიდა და მომავალი საომარი კამპანიისათვის მზადებას შეუდგა. მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა საომარი მოქმედებები დაწყებული, როდესაც წათე II-ის ჩამოსვლის შემდეგ, მისი სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში აჯანყებამ იფეთქა, ერთი ბიზანტიელი დიდმოხელის თავხედობით იყო გამოწვეული.

წათე მეფესთან ერთად ეგრისში სტრატეგოსი სოტერაქე ჩამოვიდა, რომელსაც კეისარისაგან კავკასიის ქედის გადაღმა ტომებისათვის კუთვნილი სარგოს გადაცემა ჰქონდა დავალებული. ბიზანტიელები მათ მეგობრობას ფულით ყიდულობდნენ, რომელსაც ყოველწლიურად უგზავნიდნენ.

სოტერაქე თავისი ფულით და თანმხლები პირებით, მდ. კოდორის სათავეებში, მის მთიანეთში დაბანაკდა, სადაც ეგრისიდან დასავლეთ კავკასიაში მიმავალი ყველაზე მოხერხებული გზები გადიოდა და მალე მისიმიანელებს ეჭვი გაუჩნდათ, რომ ბიზანტიელი სტრატეგოსი აპირებდა ულელტეხილებთან ყველაზე ახლო მდებარე „ბუქლიოსის" ციხე-სიმაგრე ქედის გადაღმა მოსახლე ალანებისათვის გადაეცა, რათა კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მოსახლე ტომების წარმომადგენლები. ყოველწლიურად ამ ციხეში შეკრებილიყვნენ და იქ ბიზანტიის ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან კუთვნილი სარგო მიელოთ. ეჭვით შეპყრობილმა მისიმიანელებმა სოტერაქეს მოციქულები მიუგზავნეს და სხვა ადგილზე გადასვლა თხოვეს და მის სანაცვლოდ ყოველგვარი აუცილებლით მომარაგებას დაპირდნენ.

ბიზანტიელმა მოხელემ შეუწყნარებლად მიიჩნია „ეგრისელთა ქვეშევრდომი მისიმიანელების თავხედური" სიტყვების მოსმენა. სოტერაქეს ბრძანებით მოციქულები ჯოხებით სცემეს და ცოცხალ-მკვდარნი გაუშვეს შინ. იმავე ღამეს შეურაცხყოფილი მისიმიანელები თავს დაესხნენ ბიზანტიელებს, ყველა გაწყვიტეს, „მოკლულებს საჭიროველი ჩამოხსნეს, გაიტაცეს თუ რა ქონება ჰქონდა მათ", ხელთ იგდეს ის თანხაც, რომელიც ბიზანტიის მოკავშირე ტომებისათვის გადასაცემად იყო გათვალისწინებული. თვით ბიზანტიელებს ამ დროს მათთვის არ ეცალათ, რადგან მათ 60 ათასი ლაშქრით ნახორაგანი უტევდა.

ირანელთა მთავარსარდალს გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი კონტროლი დაეწესებინა მდ. რიონის სანაოსნო მაგისტრალზე და პირველ რიგში დაეპყრო ბიზანტიელების მთავარი დასაყრდენი დასავლეთ საქართველოში — ფოთი, საიდანაც ეს სამდინარო მაგისტრალი იწყებოდა. ამით ის გადამწვეტი გამარჯვების მიღწევას ფიქრობდა რადგან ზღვიდან დახმარების მიღების გარეშე ბიზანტიელები იძულებული იყვნენ ციხე-გოჯი და მისი მიდამოები დაეტოვებინათ.

ნახორაგანი ბიზანტიელთა მთავარბანაკისაკენ გაემართა, შემდეგ კი ფოთისაკენ დაიძრა და ქალაქს სამხრეთიდან შეუტია. ირანელთა სარდალი დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, მაგრამ ქალაქისათვის ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა, ჯარის დიდი ნაწილიც იქ დაჰკარგა და უკან დაიხია. შემდეგ ლაშქარი მუხურისში დატოვა და თვითონ ქართლში გადავიდა. მალე ის სპარსეთში გაიწვიეს და ფოთთან სპარსეთის ლაშქრის დიდი ნაწილის დაკარგვის გამო უსასტიკესი წესით სიკვდილით დასაჯეს.

ნახორაგანის ქართლში გადასვლით მეომარ მხარეებს შორის საომარი მოქმედებანი ფაქტობრივად შეწყდა და ბიზანტიის ხელისუფლებას დრო მიეცა გუბაზის მკვლელების საჩვენებელი სასამართლო პროცესი გაემართა. სასამართლოს მიზანი იყო გუბაზ მეფის მკვლელობაში იუსტინიანე კეისარის ნამდვილი როლი არ გამოჩენილიყო და თანაც ეგრისელების გულიც მოეგოთ. ამიტომ განაჩენი ფაქტობრივად წინასწარ იყო გამოტანილი. სასამართლომ მკვლელებს სიკვდილი მიუსაჯა და განაჩენი დაუყოვნებლივ იქნა აღსრულებული. განაჩენით ეგრისელები ძალზე კმაყოფილნი დარჩნენ, ბიზანტიელების „კვლავ ერთგულნი გახდნენ" და დაუბრუნდნენ ძველ გზას.

ამის შემდეგ ბიზანტიელებმა მისიმიანელებისათვის მოიცალეს, რომელთაც ქართლში დახმარების თხოვნით ირანელთა მთავარსარდალთან ელჩები ჰყავდათ გაგზავნილი. აღმოსავლეთ ეგრისში ირანელების აქტიური მოქმედების გამო ზათმრის დადგომამდე ბიზანტიელებმა მისიმიანეთში გალაშქრება ვერ მოახერხეს, მაგრამ როგორც კი კვლავ ზამთარი დადგა, ბიზანტიელებს ხელები გაეხსნათ და მისიმიანელებს შეუტიეს. მართალია მისიმიანელებმა დიდი ზარალი ნახეს და „მრავალი ბავშვი და ქალი დაკარგეს", მაგრამ საომარი კამპანია მაინც გაჭიანურდა. ამიტომ ბოლოს ბიზანტიელთა სარდალმა „წამოასხა მძეულები, წამოიღო ფულიც, რამდენიც სოტერაქეს ჰქონდა მიტანილი, ბევრი სხვა რამეც, დიდძალი ნადავლიც შეიძინა და ნება მისცა მისიმიანელებს კვლავ თავის ნებაზე ეცხოვრათ საკუთარ ქვეყანაში და ძველებური ცხოვრება განეახლებინათ".

მალე მეომარ მხარეებს შორის დროებითი ზავი დაიდო და დაიწყო მოლაპარაკება საზავო ხელშეკრულების დასადებად. ირანელები მზად იყვნენ გაეყვანათ თავიანთი ჯარები აღმოსავლეთ ეგრისიდან, მხოლოდ სვანეთის დატოვებაზე იმ საბაბით, რომ სამთავრო ნებაყოფლობით გადავიდა მათ მხარეზე, არაფრით არ თანხმდებოდნენ. ნებაყოფლობითი დამორჩილება ამ შემთხვევაში მხოლოდ საბაბი იყო. სპარსელებს არ სურდათ დაეტოვებინათ სვანეთი მისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო. აქედან ხომ გზები მიემართებოდა აფხაზეთში, აფშილეთში, მისიმიანეთში და ეგრისის სამეფოს თითქმის ყველა რეგიონში, ასევე დასავლეთ კავკასიაში. ასე რომ 562 წ. როდესაც დაიდო მორიგი საზავო ხელშეკრულება ირანსა და ბიზანტიას შორის, ე.წ. ორმოცდაათწლიანი ზავი, სვანეთის საკითხი ღიად დარჩა.

562 წლის ზავით დასრულდა „დიდი ომიანობა ეგრისში", რომელმაც ამდენი უბედურება მოუტანა ეგრისის სამეფოს მოსახლეობას.

562 წ. შედეგადაც გრძელდებოდა დავა სვანეთის ირგვლივ. იუსტინიანე I-ის მემკვიდრე დიდძალ თანხას სთავაზობდა ირანელებს ეგრისის სამეფოს ამ რეგიონისათვის, მაგრამ სპარსელები ჯიუტად ამბობდნენ უარს ასეთ გარიგებაზე, ამასობაში, კერძოდ 571 წ. „ორმოცდაათწლიანი" ზავი დაირღვა და ძველ მეტოქეებს შორის დავა ახალ ომს უნდა გადაეწყვიტა. ახალმა ომმა ხელ-ფეხი გაუხსნა ეგრისელებს და ბიზანტიელებს. 575 წ. ბიზანტიელები და ეგრისელები შეიჭრნენ სვანეთში და ირანელთა მომხრე მთავარი ტყვედ წამოიყვანეს. ამის შემდეგ სპარსელებს მთლიანად ამოეკვეთათ ფეხი ეგრისის სამეფოდან.

ახალი ომი თავდაპირველად ლაზიკეს სამეფოს არ შეხებია და დიდი ხნის მანძილზე VII ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ „ფაზისის წყალსაც აღარ ამღვრევდა სისხლი, მისი მშვიდობიანი მდინარება სიწყნარის ბრწყინვალებით რწყავდა კოლხეთს და მიდიელ მოსახლეს არსად არ აჭაჭანებდა". მხოლოდ 590 წ. დაირღვა მშვიდობა ეგრისის სამეფოში, როდესაც ირანელები თავიანთი გამოჩენილი სარდლის ბარამის ანუ ბაჰრამ ჩუბინის მეთაურობით სვანეთში შეიჭრნენ, მაგრამ იქ მათ დიდი მარცხი იგემეს. ამის შემდეგ სპარსელთა ლაშქარი დასავლეთ საქართველოში აღარ გამოჩენილა.

604 წ. ბიზანტია-ირანს შორის დაიწყო ახალი ომი, რომელიც ამ ორი ქვეყნის ისტორიაში ბოლო ომი აღმოჩნდა. თავდაპირველად ირანელებმა კარგად გამოიყენეს შინაომი ბიზანტიაში და დიდ წარმატებას მიაღწიეს. შემდეგ როდესაც იმპერიის ტახტზე ჰერაკლე კეისარი ავიდა, გამარჯვების სასწორი ბიზანტიის მხარეზე გადაიხარა.

ჰერაკლე კეისარმა გადაწყვიტა საომარი მოქმედებანი ირანის შიდა პროვინციებში გადაეტანა. 622 წ. კეისარმა დატოვა დედაქალაქი და კაბადოკიისაკენ გაემართა, სადაც ირანელებს პირველი დიდი მარცხი აგემა. შემდეგ ჰერაკლემ ძლევამოსილად გაილაშქრა სომხეთს და ადარბაგანში. ამიერკავკასიაში გამარჯვების შემდეგ იმპერატორმა გადაწყვიტა უშუალოდ ირანში შეჭრილიყო. ეს განზრახვა ბევრ მის მოკავშირეს არ მოეწონა, თეოფანე ჟამთააღმწერელის ცნობით „განსაკუთრებით არ დაეთანხმნენ მისი მოკავშირეები ლაზთაგან, აბაზგთაგან და იბერიელთაგან" როდესაც იმპერატორი „წავიდა ჰუნების ქვეყნისაკენ.... ლაზებს და აბაზგებს შეეშინდათ და ისინი გამოეთიშნენ" რომაელთა მოკავშირეობას და საკუთარ ქვეყანაში დაბრუნდნენ. „შეშინება" აქ არაფერ შუაში არ იყო. ეგრისელებს და ქვეშევრდომ აბაზგებს ჰუნებზე ლაშქრობა უპერსპექტივოდ მიაჩნდათ, თანაც საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავს, რომ მათთვის არასასურველ ლაშქრობაში მონაწილეობა მიეღოთ.

627 წ. ჰერაკლე კეისარმა ახალი ლაშქრობა დაიწყო ირანის წინააღმდეგ. თეოფანე ჟამთააღმწერელის ცნობით ლაშქარი იმპერატორმა „თვითონ წაიყვანა და ლაზიკისკენ გაემართა", ხოლო „ლაზიკეში ყოფნის დროს მან მოიწვია აღმოსავლეთი თურქები, რომელთაც ხაზარებს ეძახიან".

როგორც ირკვევა, კეისარი უშუალოდ ეგრისის სამეფოში არ ჩამოსულა, არამედ თავდაპირველად მისი საზღვრების ახლოს ტრაპიზონში დაბანაკდა. ამას მოწმობს 1042 წ. ბერძნული ენიდან თარგმნილი ერთი ქართული ხელნაწერი, სადაც ირანში ჰერაკლეს მეორე ლაშქრობის ისტორიაა გადმოცემული:

„ხოლო ერეკლე მეფემან შეკრიბა ლაშქარი... და ექვსინო პონტოით, რომელ არს ზღვაი ვრცელი ჩრდილოით კერძო, წარემართა სიმრავლითა ურიცხვის ნავებისაითა... და მოიწია ტრაპეზუნტედ სანაზებთა მათ სამეგრელოსათა".

ტრაპიზონიდან კეისარი ჭოროხისა და მტკვრის ხეობებით თბილისისაკენ გამოემართა, სადაც ის ხაზართა ლაშქარს შეხვდა. ტრაპიზონში ან თბილისთან ჰერაკლე კეისარს, ალბათ, ეგრისის ლაშქარიც შეუერთდა. გადამწყვეტი ბრძოლა ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის 627 წ. გაიმართა და ბიზანტიელთა გამარჯვებით დასრულდა. ამის შემდეგ დიდი საზაეო ხელშეკრულება, სადაც ბიზანტიელთა გამარჯვებები სრულად აისახა.

წერილობით წყაროებში ძალიან ცოტა ცნობები მოიპოვება ჰერაკლე კეისარის მომდევნო ხანის ეგრისის სამეფოს შესახებ. როგორც ირკვევა პეტრას დანგრევის შემდეგ ბიზანტიელები ეგრისის საზღვაო ვაჭრობის კონტროლს კვლავინდებურად აგრძელებდნენ. ერთხანს მათ თავიანთი საბაჟო პეტრადან სებასტოპოლში გადაიტანეს. შემდეგ კი, VII ს-ის 80-იანი წლებიდან ბიზანტია ეგრისის საზღვაო ვაჭრობას კონტროლს ტრაპიზონიდან უწევდა, სადაც ღუზა უნდა ჩაეშვა ყველა სავაჭრო ხომალდს, რომელიც დასავლეთ საქართველოსაკენ თუ დასავლეთ საქართველოდან მიემართებოდა.

VII ს-ის 50-იანი წლების ეგრისის სამეფოზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ის ბიზანტიური წყაროები, რომელიც ცნობილი ქრისტიანული მოღვაწის მაქსიმე აღმსარებლის და მისი ორი თანამებრძოლის ლაზიკეში გადასახლებას შეეხება.

ამ დროისათვის ეგრისის მეფე პატრიკიოზის ტიტულს ატარებდა. მაქსიმე აღმსარებლის და მისი მოწაფეების დასავლეთ საქართველოში მიმოსვლის აღწერის დროს ლაზიკეს სამეფოს შემადგენლობაში მოხსენიებულია მუხურისი, სკვიმნია ანუ თაკვერი,სვანეთი, მისიმიანეთი, აფშილეთი, დასახელებულია ეგრისის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია ჯიხა-ხორა, რომელიც მოქვის მახლობლად მდებარეობდა. აქვე მოხსენიებულია აფხაზეთი (აბაზგია), რომლის მთავრები შედარებით დამოუკიდებელნი ჩანან ეგრისის პატრიკიოზებისაგან.

დასახელებულ წყაროებში ლაზიკის ორი პატრიკიოზი გვხვდება: „ღვთივდაცული პატრიკიოზი და ღვთივ მაგისტროსი გრიგოლი" და „ლაზიკის პატრიკიოზი ლებარნიკიოსი". როგორც ჩანს VII ს-ის 60-იან წლებში ლაზიკეს სამეფოში შინაომია და ტახტისათვის ორი პრეტენდენტი ებრძვის ერთმანეთს.

ჰერაკლე კეისარმა დიდხანს ვერ იზეიმა თავისი გამარჯვება ირანელებზე. მალე აღმოსავლეთით გამოჩნდა ახალი ძალა არაბების სახით. მალე არაბებმა დაამხეს სასანიდური ირანი და აღმოსავლეთში ბიზანტიელების მრისხანე მეტოქედ გადაიქცნენ.

არაბთა ხალიფატმა VII ს-ის 30-40-იან წლებში დაიპყრო ეგვიპტე,სირია,პალესტინა, და ირანის განადგურების შემდეგ გზა გაიხსნა ამიერკავკასიისაკენ.

არაბები აღმოსავლეთ საქართველოში პირველად VII ს-ის 50-იან წლებში გამოჩნდნენ, ხოლო ამავე საუკუნის 80-იან წლებში მათ აქ უკვე მკვიდრად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული.

ამის შემდეგ არაბების ყურადღების გარეშე აღარც დასავლეთ საქართველო დარჩა. მით უფრო, რომ ეგრისის ხელისუფლება ბიზანტიელებისაგან თავს შევიწროებულად გრძნობდა და მის წინააღმდეგ მოკავშირეს ეძებდა. მათ იმედის თვალი ქართლში გაბატონებულ არაბებს მიაპყრეს. მალე ეგრისში ანტიბიზანტიური აჯანყება დაიწყო. „იმავე წელს – წერს 697 წელთან დაკავშირებით თეოფანე ჟამთააღმწერელი, – აჯანყდა ლაზიკის პატრიკიოზი სერგი, ბარნუკის ძე და ეს ქვეყანა არაბებს გადასცა".

სერგის მამა ბარნუკი იგივე ზემოთ მოხსენიებული ლებარნიკიოსია. როგორც ჩანს მან გაიმარჯვა შინა ომში და მისი სიკვდილის შემდეგ სერგიმ მემკვიდრეობით მიიღო ლაზიკეს პატრიკიოზობა.

მალე არაბებმა თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო დაიკავეს და თავიანთი მეციხოვნეები ეგრისის სამეფოს თითქმის ყველა რეგიონში, მათ შორის კოდორის ხეობის ზემო წელში ჩააყენეს. ლაზიკეში ბიზანტიელებმა მხოლოდ რამდენიმე ზღვისპირა პუნქტი, პირველ რიგში ფოთი შეინარჩუნეს.

სამწუხაროდ, უცნობია თუ რა დამოკიდებულება დამყარდა ლაზიკეს პატრიკიოზსა და არაბთა ხალიფატს შორის. ერთი კი ცხადია, რომ თუ არაბების მოწვევით დასავლეთ საქართველოში სერგი ბარნუკის ძე თავისი ხელისუფლების და სამეფოს ერთიანობის განმტკიცებას იმედოვნებდა, მის იმედებს ძალზე მალე გაცრუება ელოდა.

ბუნებრივია, ბიზანტია არ შეურიგდა ეგრისის სამეფოში ხალიფატის გაბატონებას და ყველა ღონეს მიმართა იქიდან არაბების გასამკლავებლად. 717 წ. ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე II დასავლეთ საქართველოში საგანგებო დიპლომატიური მისია გამოაგზავნა, ბიზანტიის მომავალი იმპერატორის ლეონ ისავრიელის მეთაურობით, რომელსაც კავკასიონის ქედის გადაღმა მოსახლე ალანების ხელით გადამდგარი პატრიკიოზის და მისი ვასალების დასჯა ევალებოდა. მალე დიპლომატიურ მისიას ფოთის გზით ბიზანტიის ლაშქარიც მოყვა.

ბიზანტიელებმა ალყა შემოარტყეს არქეოპოლისს — ციხე-გოჯს, რომელსაც როგორც ჩანს ეგრისელი მეციხოვნეები იცავდნენ. ალყა გაჭიანურდა. ამასობაში არაბებმა დასავლეთ საქართველოში დამატებითი ლაშქარი შეიმოიყვანეს და ბიზანტიელები იძულებულნი გახდნენ ციხე-გოჯიდან ფოთისაკენ დაეხიათ და შემდეგ უკან გაბრუნებულიყვნენ. ბიზანტიელთა სამხედრო ექსპედიციის მარცხის მიუხედავად, ლეონ ისავრიელმა წარმატებით გაართვა თავის დიპლომატიურ მისიას თავი. „აფსილთა შორის უპირველესი მარინეს" დახმარებით მან მოახერხა ალანები აფხაზთა წინააღმდეგ დაერაზმა. აბაზგიაც იძულებული გახდა ბიზანტიის იმპერატორის უზენაესობა ეღიარებინა. გაწეული სამსახური აფსილთა შორის უპირველეს მარინესაც დაუფასდა. მალე მან ბიზანტიის ხელისუფლებისაგან პატრიკიოზობა მიიღო, რაც ლაზიკეს მმართველებისაგან დამოუკიდებლობას და ბიზანტიისადმი უშუალო დამორჩილებას ნიშნავდა. როგორც ჩანს, ეგრისის პატრიკიოზის დაქვემდებარებიდან გავიდნენ სხვა ერისთავებიც. ასე რომ, არაბთა დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ ეგრისის სამეფო ფაქტობრივად დაიშალა და პატრიკიოზს სამართავად ოდიში და მისი მომიჯნავე რამდენიმე რეგიონი დარჩა. ასეთ პირობებში საკმარისი აღმოჩნდა არაბთა ხელისუფლების დროებითი შესუსტება, რომ ეგრისის დინასტიას ძალაუფლება დაეკარგა.

VIII ს. 90-იან წლებში ანტიარაბულ მოძრაობას ამიერკავკასიაში ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ II ჩაუდგა სათავეში, რომელიც ბიზანტიელებს და ხაზარებს ეყრდნობოდა. 730 წ. ქართლის ერისმთავრის მოწვევით აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ხაზარები შემოიჭრნენ და გადამწყვეტ ბრძოლაში არაბთა ლაშქარი გაანადგურეს. ხაზართა ამ გამარჯვებით პირველ რიგში, სტეფანოზ II ისარგებლა, რომელმაც ბიზანტიელთა თანხმობით თავისი ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილზე ლიხის ქედიდან მდ. კლისურამდის გაავრცელა. ასე რომ 730 წლის ახლო ხანებში ახალი ეგრისის სამეფომ თავისი არსებობა შეწყვიტა. იგი საბოლოოდ დაიშალა ცალკეულ საერისთავოებად, რომელზედაც ხელისუფლებას ქართლის ერისმთავარი ახორციელებდა. მის ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა მხოლოდ აფხაზეთის ერისთავი, რომლის საერისთავო კლისურას დღევანდელი მდ. კელასურის მარჯვენა ნაპირზე იწყებოდა, რომელიც უშუალოდ ბიზანტიის იმპერატორს ემორჩილებოდა.

სტეფანოზ II-ის ამ წარმატებას არაბთა დიდი დამსჯელი ექსპედიცია მოყვა. 735 წელს არაბთა მხედართმთავარი მურვან იბნ-მუჰამედი, იგივე მურვან ყრუ 120 ათასიანი

ლაშქრით საქართველოში შემოიჭრა. სტეფანოზ II ქართლიდან თავის შვილებთან მირთან და არჩილთან ერთად ეგრისში გადავიდა, მაგრამ არაბთა მხედართმთავარი უკან დაედევნა. მან ჯერ არგვეთი დაიკავა, სადაც ტყვედ ჩაიგდო არგვეთის მთავრები დავით და კონსტანტინე და შემდეგ ეგრისის ცენტრალური ნაწილისაკენ დაიძრა. „შემუსრა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქვეყნისანი, — წერს ძველი ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი, — და ციხე იგი სამზღუდე, რომელ არც ციხე-გოჯი, შემუსრა და შევლო იგი საზღვარი კლისურისა". ამ ლაშქრობის დროს პირველ რიგში დიდი ზარალი მოსახლეობამ ნახა: „რამეთუ იყო ბანაკი მათი ცხენისწყლითგან ვიდრე აფხაზეთამდე", — ვკითხულობთ XII-ის დავით და კონსტანტინეს მეტაფრასულ რედაქციაში — და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი, და აღაოხრნა და უვალ და უკაცურ ყო ქვეყანა მეგრელთა და აფხაზთა". მდ. კელასურის გადალახვის შემდეგ მურვან ყრუმ „შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი" და ანაკოფიის ციხე-სიმაგრისაკენ დაიძრა, სადაც ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ II და მისი ვაჟები მირი და არჩილი იყვნენ გამაგრებული. ანაკოფიასთან ბრძოლაში არაბები დამარცხდნენ, მალე მურვან ყრუმ დასავლეთ საქართველო დატოვა და სამხრეთისაკენ გაემართა. 738 წ. არაბთა ახალი ლაშქარი კვლავ შემოიჭრა დასავლეთ საქართველოში, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას მაინც ვერ მიაღწია. როგორც ჩანს, მოკლე ხანში მთელი ეს რეგიონი არაბთა ბატონობისაგან მთლიანად გათავისუფლდა.

სტეფანოზ II-ის უფროსი ვაჟი მირი ანაკოფიასთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა. სტეფანოზ II ქართლში გადმოვიდა. აფხაზეთის საერისთავო კვლავ ლეონ I-ის ხელში დარჩა, ხოლო „ეგრისი, სუანეთი, თაკვერი, არგვეთი და გურია" სტეფანოზის უფროს ვაჟს არჩილს დარჩა, რომელიც მამის ხელისუფლებას წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში.

სტეფანოზ II 739 წ. გარდაიცვალა. ამის შესახებ გვამცნობს ატენის სიონის ერთი ფრესკული წარწერა, სადაც იგი „ქართველთა და მეგრელთა ერისთავ-ერისთავთა უფალის" ტიტულით არის მოხსენიებული.

როგორც ჩანს სტეფანოზ ერისმთავრის გარდაცვალების შემდეგ ეგრისის სამეფო მცირე ხნით აღდგა. არჩილს მორჩილება გამოუცხადა აფხაზეთის ერისთავმა ლეონ I-მა, ხოლო თვით არჩილი, ჯუანშერის ცნობით „დაემკვიდრა ეგრისს ვიდრე შორაპანამდე და განაგნა ყოველნი ციხენი და ქალაქნი და აღაშენა ციხე საზღვარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისასა".

არჩილის მმართველობა ეგრისში სულ თორმეტი წელი გაგრძელდა. შემდეგ ის იძულებული გახდა ჯერ ქართლში, შემდეგ კახეთში გადასულიყო. დასავლეთ საქართველო კვლავ ცალკეულ ერისთავთა ხელში დარჩა, რომელთა შორის თანდათანობით აფხაზთა ერისთავი დაწინაურდა.

4.3. ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა") სამეფო

VIII ს-ის 80-იან წლებში დასავლეთ საქართველო კიდევ ერთხელ, ერთ სამეფოდ გაერთიანდა, მაგრამ ამჟამად ახალ გაერთიანებას არა შიდა ეგრისი, არამედ სხვა ძალა ედგა სათავეში. „ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, — ვკითხულობთ „მატიანე ქართლისაში" — განდგა მათგან ძმისწული ლეონ ერისთვისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი, ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ იდვა მეფე აფხაზთა".

ახლადშექმნილ დასავლურქართულ სამეფოს ჩვენი მეზობელი სომხები კიდევ კარგა ხანს „ეგერს“ ანუ ეგრისს, ხოლო მის მეფეს მეგრელთა მეფეს ეძახდნენ, მაგრამ სინამდვილეში ეს თვისობრივად უკვე სხვა გაერთიანება იყო. მის ცენტრალურ ნაწილს შიდა ეგრისი უკვე აღარ წარმოადგენდა. სამეფოს ცენტრმაც ციხე-გოჯიდან ქუთათისში გადაინაცვლა. ტომობრივად მეგრელებით დასახლებული ტერიტორიის დიდი ნაწილი — ოდიში ამ სამეფოს მხოლოდ ერთ-ერთ რეგიონს წარმოადგენდა. ამიტომ ამის შემდეგ ტერმინი ეგრისი, დასავლეთ საქართველოს მნიშვნელობით ქრება „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებიდან და მის ადგილს, რამდენიმე საუკუნის მანძილზე, მეორე ტერმინი — აფხაზეთი იკავებს.

აფხაზთა სამეფოს შექმნის შემდეგ ისტორიული ეგრისის ცენტრალური ნაწილი, რომელსაც დიდი ხანია უკვე ოდიში ეწოდებოდა, ბუნებრივია, მის შემადგენლობაში შედიოდა.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ახალი სამეფოს პირველმა მეფემ ლეონ II „განყო ესე ეგრისი და აწ აფხაზეთი რვა საერისთაოდ: ა. დასუა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი, ვიდრე ზღუამდე და ხაზართა მდინარემდე; ბ. დასუა ცხომს და მისცა ეგრის — იქითი ანაკოფია ალანითურთ; გ. დასუა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლეთი ცხენისწყალამდე; დ. ვინაითაგან ამასვე ლეონს მოერთნენ ოძრახოს წილნი, ჭოროხის სამხრეთისანი და განუდგნენ ოძრახოს ერისთავსა, ეწოდა გურია და დასუა მუნ ერისთავი თვისი; ე. დასუა რაჭა-ლეჩხუმისა; ვ. დასუა სუანეთისა; ზ. შორაპნისაევე, რიონის და ხანისწყლის აღმოსავლეთისა ლიხამდე სრულიად არგუეთისა; Თ. დასუა ქუთათის ვაკისა ოკრიბისა და ხანის-წყლის დასავლეთისა გურიამდე და რიონის დასავლით ცხენისწყალამდე“.

ზოგჯერ ფიქრობდნენ, რომ ამ სიაში მოცემული „გ“ ანუ III საერისთაო, რომლის ცენტრი ბედიაში იყო, შეესაბამება ოდიშის საერისთაოს, რაც არ უნდა იყოს სწორი.

უპირველეს ყოვლისა, თვით ლეონ II-ის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმის, თუ ამას მართლაც ჰქონდა ადგილი, ვახუშტი ბაგრატიონისეული ინტერპრეტაცია იწვევს ეჭვს. ძალზე საეჭვოდ გამოიყურება ის ფაქტი, რომ აფხაზთა პირველმა მეფემ რატომღაც მაინცდამაინც რვა საერისთაოდ დაჰყო თავისი ახლად შექმნილი სამეფო, ზუსტად ისევე, როგორც დაახლოებით თორმეტი საუკუნის წინათ ქართლის პირველმა მეფემ ფარნავაზმა. ამის გარდა, არაფერი რომ არა ვთქვათ აშკარა მექანიკურ უზუსტობაზე, რის მიხედვით გურია ჩრდილოეთის ნაცვლად მდ. ჭოროხის სამხრეთით მდებარე ტერიტორია გამოდის, საერისთაოს მიხედვით ეს რეგიონი აფხაზთა სამეფოს შექმნამდე ოძრხეს საერისთაოში, შესაბამისად ქართლის სამეფოში შედიოდა, რაც აშკარა შეცდომაა. მდინარეებს ჭოროხსა და რიონს შორის მოქცეული ზღვისპირა ტერიტორია არასოდეს არ შედიოდა ქართლის სამეფოს საზღვრებში. ის ადრე ძველი ეგრისის (კოლხიდის) სამეფოს ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ ახალი ეგრისის (ლაზიკეს) სამეფოს, რაც არაერთი ძველი ბერძნული თუ ბიზანტიური საისტორიო წყაროთია დადასტურებული. ასევე საეჭვოდ გამოიყურება ერთიანი „რაჭა-ლეჩხუმის“ საერისთაოს არსებობა ადრე შუა საუკუნეებში.

ბედიის საერისთაოს ოდიშის საერისთაოსთან გაიგივებას თვით ვახუშტის მონაცემები უშლის ხელს. შუა საუკუნეების ქართველი ისტორიკოსი სრულებითაც არ მიიჩნევდა ოდიშის თავდაპირველ აღმოსავლეთ მიჯნად მდ. ცხენისწყალს, რაც მას ორჯერ აქვს აღნიშნული თავის თხზულებაში. აღწერის დროს იგი საგანგებოდ შენიშნავს, რომ „სიგრძე იმერეთისა არს ლიხის მთის თხემიდამ უნაგირამდე ძუელად“, ხოლო ოდიშის

აღწერის დროს ვახუშტი წერს: „ტეხურის დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს მცირე მთა კავკასამდე. ტყიანი და ნადირიანი. ამას უწოდებენ უნაგირას“. უნაგირა კი, როგორც მკითხველმა უკვე იცის, ის მცირე ქედია, რომელიც მდ. ტეხურის ჯერ მარცხენა და შემდეგ მარჯვენა ნაპირს მიუყვება.

არაფრით არ დასტურდება რომ აღნიშნულ ხანაში ოდიშის ცენტრს ბედია წარმოადგენდა. ამიტომ ვახუშტის ზემოთ მოყვანილ სიაში მოცემული ბედიის საერისთაოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაიგივება ოდიშთან არაფრით არ შეიძლება.

ეჭვის გარეშეა, რომ ოდიშის საერისთავო არსებობდა აფხაზთა ანუ ეგრის-აფხაზეთის სამეფოში, მაგრამ არა იმ საზღვრებში და არა იმ ცენტრით, როგორც ეს ვახუშტი ბაგრატიონს ბედიის საერისთავოს მიმართ აქვს მოცემული.

ამჯერად, ახალმა დასავლურ ქართულმა სახელმწიფომ დაახლოებით ორი საუკუნე იარსება. ეს სამეფო თავიდანვე ჩაება ერთიანი ქართული სახელმწიფოსათვის ბრძოლაში, რომელიც X ს-ის 80-იან წლებში წარმატებით დასრულდა. ამის შემდეგ ოდიშის საერისთავო შევიდა ერთიანი ქართული სამეფოს შემადგენლობაში.

4.4. ფოთი-ფასისის ისტორიისათვის

ქალაქ ფოთის (ფასისის) ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის, მაგრამ ჯერჯერობით, წერილობით და არქეოლოგიური მონაცემების სიმცირის გამო, მისი უძველესი ისტორიის რიგი საკითხების გაშუქება შეუძლებელია. ფოთი იხსენიება როგორც ქალაქი, ნავსადგური, ციხე არაერთ წერილობით წყაროში.

ფოთი ლოკალიზდება დღევანდელი ქ. ფოთის ადგილზე. მდებარეობს მდ. რიონის შესართავთან (დელტაში), შავი ზღვის ნაპირზე, ტბა პალიასტომის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს. ვახუშტი ბაგრატიონი ფოთის შესახებ გადმოგვცემს: „.....სადაცა ერთვის რიონი ზღვას, აქა არს ფოთი; „მიერთვის ფოთს ზღუას“; „ხოლო რიონის თუალზედ სამხრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე, ნავსადგურობისათვის“; „კვალად ფოთის სამხრეთით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა დიდი. ამ ტბიდან შესდის ზღუას მდინარე ამისივე. აქიდამ შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსუენებისათვის“. „ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან. კუალად ამ ტბისა და ჯუმათის მთის სამხრით დის მდინარე სუფსეი“.....

დღევანდელ ფოთთან და მის შემოგარენში ლოკალიზდება ანტიკურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ძვ.წ. VIს. ქალაქი ფასისი\\ფაზისი. ბერძნული წერილობითი წყაროების ტოპონიმ ფასისს ქართველური ენების საფუძველზე მიღებულ ფოთის სახელწოდებად მიიჩნევენ – ფოთ\\ფათ\\ფას (ვ. მელიქიშვილი, რ. გორდეზიანი, ჰ. ფოგტი). ამ მოსაზრებს გარკვეულწილად მხარს უმაგრებს ფოთის ტერიტორიაზე ტბა პალიასტომში აღმოჩენილი გრაფიტო, რომელიც ჰიდროარქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლენილ VI ს-ის ამფორაზე დადასტურდა (გ. გამყრელიძე).

ქალაქ ფასისის შესახებ უძველესი საყურადღებო წერილობითი ცნობა შემონახულია ძვ.წ.IVს. ავტორის ფსევდო-სკილაქს კარიანდელის პერიპლუსში – „აზია“, 81. უმნიშვნელოვანესი ცნობა ქ. ფასისის ადგილმდებარეობის შესახებ დაცულია ძვ.წ. I და ახ. წ. Iს. მიჯნის გეოგრაფოსის სტრაბონის „გეოგრაფიაში“: „ფასისზე მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხთა სავაჭრო ადგილი, გარშემორტყმული მდინარით (რიონი), ტბით (პალიასტომი) და ზღვით“ (სტრაბონი, XI, 2 თ., 17). როგორც ვხედავთ ეს

აღწერილობა ზედმიწევნით ესადაგება დღევანდელი ქ. ფოთის მდებარეობას. საყურადღებოა აგრეთვე ქ. ფასისის თვითმხილველის რომის იმპერიის მაღალი რანგის მოხელის II ს. ავტორის ფლავიუს არიანეს საინსპექციო აღწერის — „პერიპლუსი შავი ზღვის გარშემო"-ში შემონახული ცნობა: „ფასისში რომ შელიხარ, მარცხნივ აღმართულია ქალღმერთ ფასიანეს ქანდაკება"..... „თვით ციხე-სიმაგრე, რომელშიც თავსდება ოთხასი რჩეული მეომარი, მე მეჩვენა მეტად მიუდგომლად ბუნების მიხედვით, უშიშროების თვალსაზრისით მეტად მოხერხებულ ადგილზე მოთავსებულად აქ მომსვლელთათვის. ორმაგი თხრილი ერტყმის კედელს, ორივე ფართოა, წინათ კედელი თიხისა იყო და ხის კოშკები იდგა მასზე, მაგრამ ახლა კედელი და კოშკები გამომწვარი აგურისგანაა გაკეთებული. საძირკველი მისი მყარია, ზედ სამხედრო მანქანებია დადგმული. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ იმდაგვარადაა მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდეს და რომ ალყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველთ. ხოლო, რადგან ნავსადგური უშიშარი თავშესაფარი უნდა ყოფილიყო, ხომალდთათვის აგრეთვე ციხის გარშემო მდებარე სხვა ადგილებიც, რომლებიც დასახლებულია სამსახურიდან გადამდგარი სამხედრო პირებით და ვაჭრებით".

ქ. ფასისიდანაა გატანილი ყუბანში ე.წ. ზუბოვის ყორღანში აღმოჩენილი ძვ.წ. V ს. დათარიღებული ვერცხლის ფიალა, რომელზედაც ბერძნულის იონურ დიალექტზე შესრულებული წარწერაა. მასში ნახსენებია ქ. ფასისში მდებარე აპოლონის ტაძარი, რომელსაც ეკუთვნის ეს ფიალა. ფასისი ძველთაგანვე ქართველური მოსახლეობით დასახლებულ მიწაწყალზეა იონიიდან გამოსული მილეთელების მიერ ძვ.წ. VI-V სს-ში ადგილობრივ მოსახლეობასთან საკონტაქტოდ სავაჭრო ცენტრად, კოლონია-ემპორიონად დაფუძნებული. ფსევდო-ჰერაკლიდეს ცნობის მიხედვით, დაახლოებით ძვ.წ. III ს-დან ფასისი პოლისური ტიპის, სტრუქტურულად შერეულ ქალაქად გარდაიქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ფასისის ადგილმდებარეობა ანტიკური წერილობითი წყაროების მიხედვით ზოგადად განსაზღვრულია (იხ. სტრაბონი, არიანე), დღეისათვის მეცნიერების წინაშე ისევ დგას ზუსტი ლოკალიზების პრობლემა, რადგან ქალაქი არქეოლოგიურად არ არის დადასტურებული. ფასისის ლოკალიზება — ტოპოგრაფიის შესახებ გამოთქმულია შემდეგი მოსაზრებები: *პირველი* — ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე თვლის, რომ რომაული ხანის ფასისი მდებარეობდა სოფ. ჭალადიდსა და ფოთს შორის. კერძოდ, ხსენებულ მონაკვეთზე, ფოთის აღმოსავლეთით (დღევანდელი აეროდრომის ტერიტორიაზე) მან აღმოაჩინა ნაციხარის ნაშთები, რომელიც არიანისეულ ფასისად მიიჩნია. *მეორე* — თ. ბრუნის აზრით, ფასისი პალიასტომის ტბის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში მდებარეობდა. *მესამე* — ნ.შაფრანოვის მოსაზრებით ფასისი პალიასტომის ტბის სამხრეთ ნაპირზე, მდ. სუფსის შესართავთან იყო განლაგებული. *მეოთხე* — ლ. ელნიცკის აზრით ფასისი უნდა მდებარეობდეს მდ. რიონის შესართავის მარცხენა ნაპირზე, დაახლოებით იქ, სადაც დღეს საზღვაო პორტი მდებარეობს. *მეხუთე* — მ. ბერძნიშვილის მოსაზრებით ფასისი მდებარეობდა მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე პატარა ფოთთან, ხოლო არიანეს დროინდელი კი იქ, სადაც დიუბუა დე მონპერე მიუთითებს. *მეექვსე* — ბ. კუფტინის აზრით არიანეს დროინდელი ფასისი მდებარეობდა პალიასტომის ტბის შენაკადის მდ. ფიჩორის ნაპირებზე. *მეშვიდე* — ნ. ხოშტარია თვლიდა, რომ ძველი და რომაულ-ბიზანტიური ხანის ფასისი დღევანდელი ქ. ფოთის ადგილზე მდებარეობდა. *მერვე* — ნ. ლომოური იზიარებს დიუბუა დე მონპერეს მოსაზრებას, ოღონდ თვლის, რომ ის აგათიას (ახ. წ.VIს.) დროინდელი ნაქალაქარია. *მეცხრე* — გ. გრიგოლია, ფიქრობს, რომ ფასისი საძებნელია პალიასტომის აღმოსავლეთ მხარეს, სადაც მდ. ფიჩორა ერთვის ტბას. *მეათე* — პალეოგეოგრაფ ჭ.ჯანელიძის აზრით ქ. ფასისი მდ. რიონის ხეობის გასწვრივ, ზღვიდან 6 კმ-ზე პატარა ფოთის და სოფ. ჭალადიდის ირგვლივ ტერიტორიაზე უნდა ვეძებოთ. *მეთერთმეტე* — ოთ. ლორთქიფანიძე და თ. მიქელაძე წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების შეჯერების შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ „ფასისის სახელით ცნობილი სხვადასხვა ეპოქის ქალაქები უნდა ვიკვლიოთ იმ არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის გზით, რომლებიც განლაგებულია მდ. რიონის შესართავის აუზში ქვემო ჭალადიდს და ზღვის სანაპიროზე გრიგოლეთ-ყულევს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე". *მეთორმეტე* — გ. გამყრელიძის მოსაზრებით III-VII სს. ფასისია ე.წ. „ნატეხების" ნამოსახლარი, რომელიც აღმოჩნდა ქ. ფოთის სამხრეთ ნაწილში, პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში, მალთაყვის ზღვასთან შეერთების ადგილიდან კილომეტრნახევარზე

ტბაში. გ. გამყრელიძე თვლის, რომ ლოკალური გეომორფოლოგიური ცვლილებების გამო, მდ. რიონის, ფიჩორის და სუფსას შორის მდებარე მონაკვეთში ფასისის ნაწილი ხშირად ხვდებოდა წყალში (ანტორფიან ჭაობში); ამიტომ ქალაქი, მოცემული მონაკვეთის ფარგლებში, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ადგილზე ინაცვლებდა.

ქ. ფასისი, შემდგომში ფოთი, ევროპა-აზიის საზღვაო-სამდინარო-სახმელეთო სატრანზიტო მაგისტრალის მთავარი პუნქტი იყო. ძირითადად ქ. ფასისის საშუალებით უცხოეთში გადიოდა ოქრო, რკინა, სამშენებლო ხე, სელი, სელის ზეთი, თაფლი, ღვინო და სხვ. ფასისის, როგორც სატრანზიტო-სავაჭრო ქალაქის მნიშვნელობა. ძვ.წ. 66 წ. ფასისთან შეხვდნენ ერთმანეთს იბერიიდან გადმოსული პომპეუსი და რომაელების სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელი სერვილიუსი, რომლის ფლოტიც ზღვიდან კეტავდა და აკონტროლებდა ქალაქს. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაელების გავლენის გაძლიერების შემდეგ ფასისში ჩადგა რომაული სამხედრო გარნიზონი. სწორედ ამ გარნიზონის სამხედრო-საფორტიფიკაციო მზადყოფნას ფასისში აღწერს 134 წ. იმპერატორ ადრიანეს ინსპექტორი ფლავიუს არიანე (იხ. ზემოთ). ამ მხრივ საყურადღებოა სოფ. ციხისძირში ლათინურდამღიანი თიხის ფილა, რომელიც ფასისში განლაგებული სამხედრო ნაწილის სახელოსნოში დამზადებული უნდა იყოს. ციხე-სიმაგრე ფასისი იმპერატორ კონსტანტინე I-ის ადმინისტრაციული მოღვაწეობისას იხსენიება. IV ს. ფასისში უმაღლესი რიტორიკული სკოლა იყო განლაგებული. IVს-თვის ფასისი ლაზიკის (ახალი კოლხური სამეფოს) შემადგენლობაში შედიოდა. 542-562 წწ. ბიზანტია – ირანის ომის დროს ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ ფასისთან მოხდა, რომელშიაც ბიზანტია-ლაზიკის გაერთიანებულმა ჯარმა დაამარცხა ირანელები. VI-VIII სს-ში ფასისში იყო კონსტანტინეპოლს დაქვემდებარებული საეპისკოპოსო. ფასისელ ეპისკოპოს თეოდორეს ხელმოწერა შემორჩენილია 553 წ. მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებაზე. ერთ-ერთი ფასისელი ეპისკოპოსი კვიროსი დაწინაურებული იქნა ალექსანდრიის პატრიარქად. შემდგომში ფასისში რეზიდენცია ჰქონდა ლაზიკის მიტროპოლიტს, რომელსაც სამი საეპისკოპოსო ექვემდებარებოდა. X ს-დან ფასისის მიტროპოლიტი საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის მცხეთის კათალიკოსს დაექვემდებარა. XIV-XV სს-ში ფასისში მდებარეობდა და თავის ერთ-ერთ სამხედრო ფორპოსტად აქციეს. 1640წ. დასავლეთ საქართველოს სამთავროების გაერთიანებულმა სამხედრო რაზმებმა დაიბრუნეს ქ. ფოთი. 1723 წ. ქალაქი ისევ დაიპყრეს ოსმალებმა. 1809 წ. თავად ნ. დადიანის ხელმძღვანელობით ფოთი ისევ დაიბრუნეს ქართველებმა. 1828 წ. ფოთი გადადის რუსების ხელში და დაექვემდებარა ქუთაისის საგუბერნატოროს. 1872 წ. ფოთში გაიყვანეს რკინიგზა. 1863-1905 წწ. რეკონსტრუირებულ-აშენებულ იქნა ფოთის საზღვაო პორტი. 1878 წ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს ქალაქი კიდევ ერთხელ დაინგრა. 1894 წ. ფოთის მერად აირჩიეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნ. ნიკოლაძე. სწორედ მისი პროექტით მოხდა დღევანდელი ფოთის გეგმარების შემუშავება; აიგო სამოქალაქო და სახელმწიფო შენობები, ხიდები, სასტუმროები, საავადმყოფოები, მონუმენტური ეკლესია; მოხდა საზღვაო პორტის რეკონსტრუქცია-გაფართოება. ფოთი იქცა შავი ზღვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სატრანზიტო ნავსადგურად.

ფოთი-ფასისის და მისი მიდამოების არქეოლოგიურ კვლევას კარგა ხნის ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ 1834 წ. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ ფოთის აღმოსავლეთით (დღევანდელი აეროდრომის ტერიტორიაზე), ადგილ „ნაჯიხურთან“ ციხე-სიმაგრის ნაშთები აღმოაჩინა, რომელიც არიანეს დროინდელ ფასისად მიიჩნია. მან ამ ციხის ნახაზიც დაგვიტოვა. 1953 წ. ნ. ხოშტარიამ მცირე არქეოლოგიური დაზვერვები ჩაატარა ქ. ფოთის მიდამოებში. 1961-65 წწ-ში ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ფოთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელები თ. მიქელაძე, ოთ. ლორთქიფანიძე) იკვლევდა ქ. ფოთის შემოგარენს; არქეოლოგიურთან ერთად

ჩატარდა გეოლოგიური ბურღვებიც. 1969წ. იმავე ინსტიტუტის დასავლეთ საქ. საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაზვერვები აწარმოვა ადგილ ნაჯიხურის ახლოს (ხელმძღვანელი გ. გრიგოლია). 1971 წლიდან ფასისის არქეოლოგიის საკითხებს იკვლევს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც 1977 წლიდან არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ეგიდით მუშაობს. 1985 წლიდან ფოთში კვლევა-ძიებას აწარმოებს საქ. მეცნ. აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შავიზღვისპირეთის პიდროარქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი გ. გამყრელიძე), რომელმაც ტბა პალიასტომში III-VIIსს. ნამოსახლარის ნაშთებს მიაკვლია.

დღევანდელი ფოთის ტერიტორიაზე ყველაზე ძველი არქეოლოგიური მონაცემი ადგილ ნატეხებთან პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში თიხა-ტორფიან ფენებში დადასტურდა. აქ აღმოჩნდა ძვ.წ. IV ს-ის ატიკური შავლაკიანი ჭურჭლის პროფილირებული ქუსლი და როდოსული (?) ამფორის ძვ.წ. III ს. ძირი. ქ. ფოთის მიდამოებში (ზუსტი ტოპოგრაფია უცნობია) აღმოჩნდა ძვ.წ. Vს. კოლხური თეთრის 2 ცალი დიდრაქმა (II ტიპის) და რამდენიმე სხვა უფრო მცირე ნომინალი (ინახება საქ. სახ. მუზეუმში). ქ. ფოთში კი პირველი მაისის და კავკასიის ქუჩების გადაკვეთაზე გეოლოგიური ბურღვის შედეგად 68-მდე სიღრმეზე აღმოჩნდა სინოპურის (?) მსგავსი ძვ.წ. II-I სს. კერამიკის ნაშთები. ფოთის შემოგარენში ყველაზე ადრეული სამოსახლოს კვალი აღმოჩნდა სოფ. ქვემო ჭალადიდში, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს (1,5 კმ-ზე ჩრდილოეთით), სოფლის საბავშვო ბაღთან, ფოთისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს, ადგილი ზურგა, ნ. ყიფიანის საკარმიდამო ნაკვეთი ბორცვის ფართობი დაახლოებით 1800 კვ.მ; სიმაღლე ზღვის დონიდან — 5,04 მ. ბორცვზე, ზემოდან ქვევით აღმოჩნდა შემდეგი ფენები: პირველი — მოყვითალო ქვიშანარევი თიხნარი; მეორე — მოყვითალო თიხნარი; მესამე — დამწვარი შიგადაშიგ მოშავო ბათქაშებიანი და ძელებიანი მოყვითალო ნიადაგი. დამწვარი ძელების თარიღი რადიოკარბონული C_{14}-ის მეთოდით არის 3470 ± 190 წ. (ანალიზი ჩაატარა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ლაბორატორიამ; ხელმძღ. ა. ბურჭულაძე), ბორცვის შუა და ქვედა ფენა განისაზღვრა გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპით. ეს ფენები ძირითადად წარმოდგენილია კერამიკით: ქოთნები, ტოლჩები, თასები. ისინი ძირითადად შემკულია შვერილებიანი ყურებით, რომლებიც განივჭრილში ოვალურია; თუმცა არის ოთხკუთხა განივჭრილიანი ყურებიც. კერამიკა ძირითადად მოშაოდ და მოწითალოდ არის გამომწვარი. უმეტესად აღმოჩნდა საშუალო და მცირე ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები. ისინი შემკულია ღაროვანი და ჭდეებიანი; წიწვისებური, შევრონებიანი, ირიბ ჭდეებიანი და ტალღოვანი ორნამენტით. ამ ფენაშივე დადასტურდა შავპრიალა, ზოლებიანი და რომბისებური ორნამენტიანი კერამიკაც. აქვე აღმოჩნდა ქვის ყალიბი (?), ოვალური ფორმის ქვის ხელსაფქვევი, კონუსისებური კვირისთავი, ნამგლის კაჟის ჩასართავები. ზურგას ზედა ფენა ქვედა ფენებთან შედარებით არქეოლოგიური მასალის მხრივ უფრო მწირია. ამ ფენაში შეიმჩნევა ქვედა კულტურული ფენების ტრადიციის გაგრძელება.

სოფ. ქვემო ჭალადიდის საბაჟოს უბანზე ზურგას გარდა სადაზვერვო თხრილები გავლებული იქნა მოსახლეების ა. ბერიძის და ნ. კორტის კარმიდამოებშიც. პირველი ზურგას სამხრეთითაა, ხოლო მეორე სამხრეთ-აღმოსავლეთით 200 მ-ზეა დაცილებული. ნამოსახლარების კვალი დადასტურდა მოყვითალო ფერის თიხა-მიწის ფენაში, რის ქვემოთაც მონაცრისფრო წმინდა თიხა — სილის ფენაა, ხოლო ქვემოთ ტორფიანი ნიადაგია. განათხარში აღმოჩნდა დამწვარი ძელების და ბათქაშების ნატეხები. კერამიკიდან დადასტურდა სუფრის და სამზარეულო ჭურჭელი. კერამიკა გამოწვით და ორნამენტით ზურგას ნამოსახლარის ნაირია, აღმოჩნდა მეტალურგიული ქურის საბერველი მილის და კოლხური მინიატურული ცულის დასამზადებელი ყალიბი.

მეორე სამოსახლო, რომელიც უნდა მივიჩნიოთ ძველი ქ. ფასისის (ძვ.წ.VI-Vსს.) სასოფლო გარემოცვად, აღმოჩნდა სოფ. საქორქიოს აღმოსავლეთ ნაწილში სიმაგრეს სახელწოდებით ცნობილ უბანში, ფ. ფაციას საკარმიდამოსთან, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე, 200-ოდე მეტრზე, ზღვიდან დაახლოებით 13 კმ-ზე. სიმაგრეს ბორცვის სიმაღლე 1,25 მ-ია, ხოლო ფართობი, რომელიც ნახევარსფეროს მოყვანილობისაა დაახლოებით 3225 კვ. მ-ს მოიცავს. აქედან არქეოლოგიურად შესწავლილია 255კვ. მ. ფართობი. ბორცვი ძირითადად შედგება მოყვითალო ფერის თიხნარისაგან; ჭრილი 1,50მ-მდეა. მის ქვეშ მონაცრისფრო, კულტურული მონაცემებით სტერილური (30სმ-მდე) ფენაა, ხოლო სულ ქვემოთ მოშავო ფენაა (60 სმ-მდე), რომელიც აღმოჩნდა გეგმარების მქონე ხის ნაგებობები. აქ შეიმჩნევა რამდენიმე სამშენებლო დონე. ბორცვ სიმაგრის არქეოლოგიური მასალა ძვ.წ. VI-Vსს. თარიღდება.

სიმაგრის ბორცვის ნაგებობები ოთხკუთხა ფორმისაა და ძელების წყობითაა ჯარგვალურად ნაგები. დადასტურებულია წნული ღობეების ნაშთები. აღმოჩნდა ნაგებობების იატაკები, შესრულებული თიხატკეპნილი მიწით და ზედ ფიცარნაგით ან ლასტის ნაირი წნულით. ერთ-ერთი ნაგებობის ნაშთები 112 კვ.მ. უდრის. ნაგებობაში არის ტიხრები; დადასტურდა აგრეთვე ბოძების ნაშთები. ნაგებობის კედლების ძელები ძირითადად ერთმანეთში ჩაჭდომის წესით არის ნაგები. აღმოჩნდა ასეთი კედლის ძელების ექვსი რიგი.

სიმაგრის ნამოსახლარებზე აღმოჩნდა მრავალფეროვანი ძვ.წ. VI-V სს. კერამიკა. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი დიდად სჭარბობს უცხოურ არქეოლოგიურ მასალას. აღმოჩენილი ადგილობრივი, კოლხური კერამიკა ყველა არქეოლოგიურ ფენაში ტოპოლოგიურად ერთნაირია. კერამიკა ტიპიურია VI-V სს. კოლხეთისათვის და ცნობილია ე.წ. კოლხური კერამიკის სახელით. აღმოჩნდა — სამეურნეო: ქვევრები, დერგები; სამზარეულო: ქოთნები, ქოთნის სარქველები, სასმისები, ყურმილიანი ხელადები, კოჭბები, ლანგრები, ჯამები, ჭრაქები. დადასტურდა — კონუსური ფორმის კვირისთავები; ბრინჯაოს დანა; რკინის ყუნწიანი და მასრიანი შუბისპირები; რკინის თოხი; რკინის დანები; ანკესი; რკინის ლაგამი; ვერცხლის რგოლი; წაგრძელებული ფორმის ქვის ხელსაფქვავები; კაჟის ხელშუბისპირი; ძელის მახათი; ხის ცაცხვები; ხის სავარცხელი; სარდიონის სფერული და კონუსური მძივები; გიშრის კვერცხისებური ფორმის მძივი; შავი მინის პასტის მძივები; ოქროს სამკუთხა საკიდი, რომელზედაც ცვარათი შესრულებულია მეანდრის ორნამენტი. უცხოური კერამიკიდან აღსანიშნავია ამფორები — ქიოსური, ლესბოსური, სამოსური. სუფრის ჭურჭელი წარმოდგენილია იონური კერამიკით — ჯამების, ჭრაქების და კილიკების ფრაგმენტები; შავლაკიანი და შავფიგურული ანტიკური ჭურჭელი — კილიკების ჯამების ნატეხები.

მდ. რიონის მარცხენა ტერასის გაყოლებით ზღვიდან დაახლოებით 9-12 კმ-ზე აღმოჩნდა ძვ.წ. VI-IV სს ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობების ფრაგმენტები. არქეოლოგიური მასალა აქ წარმოდგენილია კოლხური კერამიკით — ქოთნები, ჯოჭბები, სარქველები, ყურმილიანი დოქები და სხვ. ელინისტური ხანის არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა სიმაგრის ნამოსახლარის სამხრეთით დაახლოებით 1 კმ-ზე. აქ დადასტურდა კოლხური ქედებიანი ქვევრების და მოყავისფრო კეციანი კოლხური ამფორების ნატეხები. აღმოჩნდა აგრეთვე სინოპური ამფორის ძირი.

ქ. ფოთის საქალაქო სანერგის ნაკვეთზე, რომელიც ფოთის აეროპორტის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის, აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების ორი წელშეზნექილი ადგილობრივი ამფორა. აქვე დადასტურდა ოთხკუთხა დიაგონალურად ურთიერთმკვეთი ორღარიანი აგურები. არქეოლოგიური მასალა ადრეულ შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

აქვე ფოთის აეროდრომის მიდამოებში, ადგილ ნაჯიხურის ჩრდილოეთით (30მ-ზე) გაჭრილ თხრილში აღმოჩნდა: აგურის და კრამიტის ფრაგმენტები; გოფრირებულ ზედაპირიანი ამფორის ნატეხები; იმპერატორ ადრიანეს (117-138 წწ.) სახელით ქ. კესარიაში მოჭრილი ვერცხლის დიდრაქმა.

სიმაგრის ბორცვის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 300 მ-ზე მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე აღმოჩნდა სამაროვნის ნაშთები (ძვლოვანი მასალა). აქვე დადასტურდა ქვით, აგურით და კირხსნარით აგებული შენობის ნაშთები (გეგმა არ იკითხება). აღმოჩნდა ურთიერთმკვეთი ღარებიანი აგურები, ცალყურა ხელადები, ჭინჭილები, კათხები, ორყურა ქილები, ჯამები. ჭურჭელი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან და ღია მოყავისფროდაა გამომწვარი. არქეოლოგიური მასალა ადრეული და შუა საუკუნეებისაა.

ქ. ფოთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, პალიასტომის ტბასთან, ქალაქის შემოსასვლელი გზის კაპარჭინაზე ახალი ხიდის მშენებლობის ადგილზე აღმოჩნდა, ადრეული შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები (ქვევრის წვეტიანი ძირები, ჯამები, წელშეზნექილი ამფორის ნატეხები). პალიასტომის ტბის სამხრეთ ნაწილში, ადგილ „ნაეკლესიარზე", წყალში, ორ მეტრამდე სიღრმეზე, რიყის ქვებით და კირხსნარით ნაგები კედლის ნაშთები აღმოჩნდა. კედელი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული და დაახლოებით ოც მეტრზეა შემორჩენილი. მისი სიგანე 1მ-ია. კედელთან შუასაუკუნეების უსახო კერამიკის რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა. პალიასტომის სამხრეთ-აღმოსავლეთ შენაკადის შესართავთან ნაპოვნია საშუალო ზომის მთლიანი გაფორმებული ამფორა. ადრეული შუა საუკუნეების ამფორების ნატეხები ნაპოვნია აგრეთვე მდ. ფიჩორის პალიასტომთან შერთვის მონაკვეთებშიც.

ადრეული შუა საუკუნების კერამიკა აღმოჩნდა ქ. ფოთის დღევანდელი აეროდრომის ტერიტორიაზე ადგილ „ნაჯიხურში" (დიუბუა დე მონპერეს მიკვლეული). კერძოდ: ურთიერთგადამკვეთ ღარიანი აგურები, გოფრირებული კერამიკის ნატეხები. „ნაჯიხურიდან" სამხრეთ-დასავლეთით მდ. შავის პალიასტომთან შესართავთან აგრეთვე აღმოჩნდა ადრეული შუა საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები (ქვევრი, გოფრირებული ამფორის ნატეხები და სხვ.). ქ. ფოთის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, პალიასტომის ტბაში, ზღვის შესართავთან (მალთაყვა) დაახლოებით კილომეტრ-ნახევარზე, კაპარჭინას გადმოღმა, ტბაში და ნაპირებზე აღმოჩნდა III-VIII სს. ნამოსახლარის ნაშთები — ადგილი „ნატეხები". აქ არქეოლოგიური მონაცემები ტბაში დაახლოებით ცხრაას კვადრატულ მეტრზე, ხოლო ნაპირზე ხუთას კვადრატულ მეტრზე ვრცელდება. ტბის ფსკერი აქ ქვიშიანია და თიხიან-ტორფიანია. მოცემულ მონაკვეთში ნაპირიდან ტბის ცენტრისაკენ სამასი მეტრი სილა-ქვიშიანია, ხოლო შემდეგ ტორფიანი თიხის ფენები იწყება. სამოსახლოზე სამშენებლო კერამიკა წარმოდგენილია ბრტყელი გვერდებაკეცილი (გადანაკეცი 3,5 სმ, სისქე 2სმ-მდე) კრამიტით და აგურით (30 სმX 25 სმ X4 სმ არის აგრეთვე ურთიერთგადამკვეთღარებიანი 25 სმ X 25 სმ აგურიც). აქ აღმოჩნდა უცხოური ბრტყელი გვერდებგაკეცილი კრამიტის თოთხმეტი ფრაგმენტი. თიხა მონაცისფრო-მოიისფროა და შერეული აქვს პიროქსენის ნამცეცები. სამშენებლო მასალიდან აგურის და კრამიტის გარდა ნამოსახლარზე ხის ძელების და დამწვარი თიხის (ბათქაშის) ნაშთები აღმოჩნდა. ნამოსახლარის ჭურჭლის უმეტეს ნაწილს შეადგენს ადგილობრივი წარმოების კერამიკული ტარა — ამფორები. ისინი მოყავისფროდ არის გამომწვარი, წაგრძელებული წელშეზნექილი ფორმა აქვთ და კონუსისებური ძირით ბოლოვდებიან. სამოსახლოს ადგილობრივი წარმოების სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქოთნებით, ჯამებით, ლუთერიებით და დოქებით. სამეურნეო კერამიკა წარმოდგენილია ბრტყელძირა (დიამეტრი 12 სმ-დან 16 სმ-მდე) ქვევრებით. „ნატეხების" მასალის დაახლოებით 25%

უცხოური ნაწარმია. კერძოდ: სინოპური თიხის მაგვარი გოფრირებული ამფორები; ღია მოყავისფრო-მოწითალო, კარგად განლექილი თიხის გოფრირებული ამფორები; სამოსური ამფორის ძირები; სამოსური ამფორისკი (სიმაღლე 17 სმ); წითელლაკიანი ჯამის ნატეხები; ნამოსახლარის არქ. მასალის კიდევ ერთ ჯგუფს ქმნის მინის ნაწარმი. მათ ძირითადად ბაცი-მომწვანო ელფერი დაჰკრავთ, მაგრამ მოცისფრო და მოყვითალო ფერის ფრაგმენტებიც გვხვდება. არის მინისფეხიანი სასმისების და ლამპრების ნატეხები.

„ნატეხებშივე" აღმოჩნდა სამარხის ნაშთები. აქ დადასტურდა ძირით ქვემოთკენ ჩადგმული წელშეზნექილი ამფორა (მხართან გრაფიტო აქვს, აღწერა იხ. ქვემოთ), რომელსაც თავი წატეხილი და ზემოდან მეორე ღარებიანი ამფორის ქვედა ნაწილი ჰქონდა დამხობილი. ამფორაში ფრინველის და ცხოველის (ღორი?) დამწვარი ძვლები იყო. ამფორასთან ადამიანის ძვლები, ბრინჯაოს სამი ფიბულა (სიგრძეები — 4,3 სმ; 4,3 სმ; 5,2 სმ;), ბრინჯაოს ქინძისთავი (სიგრძე 7,7 სმ) მინის სასმისის ფეხი (დიამეტრი 4,3 სმ) და ბიზანტიური ოცნუმიანი სპილენძის მონეტა, იუსტინე II-ისა (565-578) აღმოჩნდა. ამრიგად, „ნატეხების" ნამოსახლარის თარიღი III-VIII სს. უნდა განისაზღვროს, ხოლო სამარხი — VIს. „ნატეხების" არქეოლოგიური მასალა სიახლოვეს იჩენს გუდავის, ნოქალაქევის, ოჩამჩირის, მთისძირის, ვაშნარის და დასავლეთ საქართველოს სხვა თანადროულ არქეოლოგიურ ძეგლებთან. „ნატეხების" მასალა ინახება ქ. ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

დღესდღეობით ქ. ფოთის ცენტრში შემორჩენილია მხოლოდ XVIს. თლილი ქვით ნაგები ოთხკუთხა კოშკი, რომელსაც (პირობითად ნიკოლაძისას ეძახიან) ციხე-სიმაგრის ნაშთად მიიჩნევენ. ამ ციხე-სიმაგრის ქვები გამოყენებული იყო საზღვაო პორტის მშენებლობისას.

ფოთი-ფასისთან დაკავშირებული რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლია შემორჩენილი. ბერძნულ წარწერიანი ვერცხლის ფიალა, რომელიც აღმოჩნდა ყუბანში, ზუბოვის ყორღანში (ინახება ს.-პეტერბურგის „ერმიტაჟში"). ფიალის დიამ. 21 სმ-ია; ფსკერი ამობურცულია; შემკულია ხაზოვანი და წერტილოვანი ორნამენტით; გამოსახულია გველი და ირმის თავები; პირზე აქვს ერთ სტრიქონიანი წარწერა — „აპოლონ წინამძღოლისა ეარ, რომელიც ფასისშია", შესრულებული ბერძნული ენის იონურ დიალექტზე, პალეოგრაფიულად V-IV სს-ით თარიღდება.

ლათინურ წარწერიანი დამღა აგურზე (ფიალაზე) აღმოჩნდა სოფ. ციხისძირის ნაციხარზე (ინახება საქ. სახ. მუზეუმში): „ვექსილაციო ფასიანა", რომელსაც ქ. ფასისში II ს. მდგარი სამხედრო ნაწილის სახელოსნოში დამზადებულად მიიჩნევენ.

ქ. ფოთში პალიასტომის ტბის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ადგილ „ნატეხებში" აღმოჩნდა ადგილობრივი წარმოების წაგრძელებულტანიანი წელშეზნექილი ამფორა, რომლის მხართანაც დადასტურდა ბერძნულასოებიანი (ფი, ომეგა) გრაფიტო. ამფორა VI ს. თარიღდება. ამჟამად ინახება ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

პალიასტომის ტბის მიდამოებიდან უნდა იყოს ქართულ (მხედრულ) წარწერიანი XVII ს. ბარძიმი, რომელიც ამჟამად ქ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება (ინვ.№3788) — „ქ. ჩვენ ცვა ფარვათა მონდობილმან თქვენმან ხელმწიფემან დადიანმა პატრონმა ლევან თქვენ ქუთათისა და პალიასტომისა ღრთისა მშობელსა შემოგწირეთ ბარძიმი ესე მას ჟამსა ოდეს შევებენით მეფესა ბაღდადსა ქ. გაგვემარჯვა მაშინ ომში და"... პალიასტომის ტბის ნაპირზე ნაპოვნია ორი ბრტყელი ოვალური ქვა, რომლებზედაც ბერძნული წარწერებია (ინახება ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში): ინვ. №77, შუაში ამოკვეთილი ჯვარი, ქვემოთ ბერძნული წარწერა „კოსტანტინე", „ელენე"; ინვ. №80, გამოსახულია კაცი პროფილში. ირგვლივ ბერძნული წარწერაა; თარგმანი — „ანტიოქიელთა მეფის ნათელი, ნიკიფორე..." ქვები გაკეთებულია XIX (?)ს.

ამრიგად, ტოპოარქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ფასისი საძებნელია პალიასტომის ტბის, მდ. რიონის, მდ. ფიჩორის და მდ.სუფსის შორის მდებარე მონაკვეთში, უფრო კონკრეტულად ნატეხების ნამოსახლარს, ჭალადიდ-საქორქიოს და ფიჩორს შორის მდებარე სამკუთხედში.

თავი მეხუთე

ოდიშის საერისთავო

5.1. ოდიშის საერისთავო ერთიან მონარქიაში

ვერც აფხაზთა სამეფოს ხანაში, ვერც ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობის პირველ საუკუნეებში ჩვენ ვერ შევხვდებით ოდიშის საერისთავოს წერილობით მოხსენიებას, რაც სრულიადაც არ არის მოულოდნელი. ამ დროს ხომ ოდიში არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულს და არც მის ტერიტორიაზე მოხდა რაიმე, ჯერ აფხაზთა სამეფოსათვის, შემდეგ ერთიანი საქართველოს ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ ეს საერისთავო საისტორიო წყაროებში მოხვედრილიყო. მით უფრო რომ, თამარის მეფობის ხანამდე ჩვენ არ მოგვეპოვება IX-XII სს. დათარიღებული სრულიად საქართველოს, ან კიდევ დასავლეთ საქართველოს ერისთავთა სია სადაც, ბუნებრივია, ოდიშის საერისთავოც მოიხსენებოდა. თუმცა ოდიში, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე, ეს მკითხველს ალბათ ახსოვს, წერილობითი ძეგლებში XI-XII სს-იდან არის დამოწმებული.

ოდიში საერისთავო პირველად თამარის მეფობის პირველ წლებში, XII ს-ის 80-იან წლებშია დამოწმებული. ამ საერისთავოს ახსენებს თამარის ე.წ. პირველი ისტორიკოსი, სრულიად საქართველოს უმნიშვნელოვანესი საერისთავოების და მათ ერისთავთა ჩამოთვლის დროს.

როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრების" მრავალი ხელნაწერი არსებობს, რომელთა შეჯერებული გამოცემა გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს სიმონ ყაუხჩიშვილს ეკუთვნის. ოდიშის საერისთავოს ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლამ დაგვანახა, რომ ამ შემთხვევაში, „ქართლის ცხოვრების" უძველეს ხელნაწერებს უნდა მიეცეს უპირატესობა, რომლებზე დაყრდნობით ი. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა გამოსცეს ე.წ. „ძველი ქართლის ცხოვრება". ამიტომ XII-XIII სს-ის ამბების გამოცემის დროს ციტირება ამ გამოცემიდან იქნება.

ოდიშის საერისთავო პირველად გვხვდება „ქართლის ცხოვრებაში", თამარ მეფის პირველ ისტორიკოსის თხზულებაში, რომელსაც პირობითად „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" ეწოდება.

„ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნეს:-ვკითხულობთ ამ მემატიანესთან თამარის მეფობის პირველ, 1184-1185 წლებთან დაკავშირებით-ბარამ ვარდანის ძე -სუანთა ერისთავი; კახაბერი კახაბერის ძე-რაჭისა და თაკვერის ერისთავად; და აფხაზთა ერისთავად ოთაღო შარვაშიძე; ცხუმის ერისთავად ამანელის ძე; და ოდიშის ერისთავად ბედანი. ლიხთამერით ქართლის ერისთავად- რატი სურამელი და კახეთის ერისთავად ბაკურყმა ძაგანის ძე და ჰერეთის ერისთავად გრიგოლის ძე ასათ... და სამცხის ერისთავად და სპასალარად აჩინეს ბოცო ჯაყელი".

როგორც დღეს კარგადაა დადგენილი, ოდიშის ერისთავი ბედანი, იგივე ბედიანი, დადიანთა საგვარეულოდანაა. ამიტომ პირველ რიგში მკითხველის ყურადღებას ამ საგვარეულოს წარმოშობაზე შევაჩერებთ.

ალბათ არც ერთი ქართული საგვარეულოს წარმოშობის შესახებ არ გამოთქმულა იმდენი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულება, რაც დადიანთა საგვარეულოს მიმართ არის გამოთქმული.

დადიანის ეტიმოლოგიით ჯერ კიდე XVII ს-ის პირველ მეოთხედში ცნობილი იტალიერი მოგზაური პიეტრო დე ლა ვალე დაინტერესდა. თავის ერთ-ერთ თხზულებაში, ჩამოთვლის რა იმდროინდელი საქართველოს სამფოებსა და მათ მმართველ დინასტიებს, იტალიელი მოგზაური განაგრძობს:„ ორი სხვა სამთავრო ეკუთვნის მთავრებს, რომლებიც მოდიან მინისტრებისაგან და არა ძველი სამეფო საგვარეულოებისაგან. ეს სამფლობელოები მდებარეობენ შავი ზღვის პირას, ერთი მათგანი ეკუთვნის დადიანებს, რომლებიც იწოდებიან ასე იმიტომ, რომ ძველად მომთაბარეობდნენ, და რადგანაც სახლები არ ჰქონდათ, ცხოვრობდნენ კარვებში.“

ძნელი მისახვედრი არაა, რომ იტალიელი მოგზაური ამ შემთხვევაში გადმოგვცემს მისდროინდელ საქართველოში ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ოდიშის მთავართა სახელწოდება დადიანი მოდის ქართული ზმნიდან „დადიან.“

დაახლოებით ასეთივე გადმოცემა ჰქონია ჩაწერილი თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს, რომელიც ოდიშის სამთავროს შესახებ წერდა: „მათ წინამძღოლს ეწოდება დადიანი, ე.ი. მორბენალი, რადგან სამეგრელო სწორი ქვეყანაა.“

აღსანიშნავია, რომ მსგავსი გადმოცემა დიდხანს იყო შემორჩენილი სამეგრელოში. 1962 წ. სოფელ ხაბუმეში ჩამაწერინეს, რომ როდესაც მათი მთავრები პირველად მოვიდნენ სამეგრელოში, ისინი ძალიან ბევრს დადიოდნენ.

ბუნებრივია, ამგვარი ხალხური ეტიმოლოგია რაიმე მეცნიერულ კრიტიკას ვერ უძლებს. დიდი დამაჯერებლობით ვერ გამოირჩევიან ვერც ის მოსაზრებანი, რომლებსაც დადიანი სამეფო კარის ერთ-ერთი მოხელის ტიტულიდან გამოჰყავთ.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ფრანგი მოგზაურის შარდენის აზრით, მისი დროინდელი სამეგრელოს მთავარი მერვე იყო, რომელიც მეფის მორჩილებისაგან განთავისუფლდა. ის ტიტულად ატარებს დადიანს, რაც სამართლის თავს ნიშნავს. „დად“ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს „სამართლიანობას.“

ვახუშტი ბაგრატიონი მთავართა გვარსახელების ჩამოთვლის დროს აღნიშნავს: „ხოლო იმერეთს ბედიელი, დადიანი და სხუანი, და არა მათი გუარნი წარწერილნი. არამედ დადიანი არა არს გუარი, გარნა წესი ხელობისა, არა იყო ესე ოდიშს, არამედ კარის მხარესა ზედა დადიანობდა, ხოლო შემდგომად მეფის თამარისა იქმნა ოდიშს დადიანად, და იყვნენ ერისთავად, ვითარცა ცოტნე დადიანი, და არა გუარი მისი საჩინო არს, გარნა შემდგომნი დადიანნი ამ ცოტნესაგან ჩამომავლობენ.“

სამწუხაროდ, ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსი ამ შემთხვევაში აშკარად ცდება. არც თამარის ხანის დადიანებს ჰქონდათ რაიმე ურთიერთობა „კარის მხარესთან“ და არც დადიანთა პირველი შტო მოდიოდა ცოტნე დადიანისაგან.

ვახუშტი ბაგრატიონის მოსაზრების თავისებურ პერიფრაზირებას წარმოადგენს იოანე ბატონიშვილის შეხედულება იმის შესახებ, რომ თავდაპირველად დადიანობა აზრუმის „ვოენის ღუბერნატორობას“ ნიშნავდა.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში იმერეთის სამეფო კარზეც არსებობდა ორიგინალური მოსაზრება დადიანთა წარმომავლობის შესახებ. „პირველთაგან დადიანი ჩვენი თავადი ყოფილა, გვარად საღიძე და ჩვენთა მამა-პაპათ მეფეთათვის, გულითადად და ერთგულად უმსახურებიათ, -ვკითხულობთ 1768 წ. სოლომონ I-ის რუსეთის იმპერატორ ეკატერინე მეორესადმი გაგზავნილ წერილში,- მათცა ერთგულად მსახურებისათვის აღუმაღლებიათ და ოდიშის დადიანობა მიუციათ, ესე იგი არს მანდატურთ უხუცესობა ეშიკაღასბაშობისა.“

„ეშიკაღასბაში“ არის დამახინჯებული „ეშიყაღასი“-ირანული ტერმინი, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, მანდატურთუხუცესის ნაცვლად იხმარებოდა ქართლის სამეფოში როსტომ მეფის (1634-1658) ხანიდან.

XIII საუკუნის 50-იანი წლებიდან მანდატურთუხუცესობა დადიანთა საგვარეულოს ერთ-ერთ საკარისკაცო ტიტულს წარმოადგენდა. ასე რომ,სოლომონ I-ის წერილში ეს ფაქტი სავსებით სწორად არის აღნიშნული. როგორც ირკვევა, არც დადიანთა დაკავშირება საღიძესთა, უფრო ზუსტად საღირისძეთა საგვარეულოსთან ჩანს შემთხვევითი.

გასული საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე დადიანებს ვარდანიძეების ცნობილი საგვარეულოს ერთ-ერთ განშტოებად მიიჩნევს. „თუ ჩვენ გავითვალისწინებთ, რომ დადიანთა პირველი დინასტიის წარმოშობა დღემდე უცნობია, -წერს იგი-რომ ერთი და იგივე სახელი მაშია ძველ დროში გვხვდება მხოლოდ გურიისა და სამეგრელოს მფლობელთა გვარეულობებში.

სამეგრელოს მთავარი თავს უწოდებს დადიან-გურიელს, ხოლო გურიის მფლობელი გურიელ-დადიანს, ჩვენი აზრით შეიძლება დავუშვათ, რომ როგორც გურიელის ისე დადიანის პირველი დინასტია მოდის ერთიდაიგივე ვარდანისძეთა გვარეულობიდან, რომლებიც სვანეთის ერისთავები იყვნენ უკვე საქართველოს მეფის გიორგი II დროს".

სამწუხაროდ, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის მოსაზრება არაა დასაბუთებული და მეცნიერულ დამაჯერებლობას მოკლებულია.

ბოლო ხანებში დადიანის ეტიმოლოგიის შემდეგ თავის მოსაზრება გამოთქვა ი. ანთელავამ. ისტორიკოსმა პირველ რიგში ყურადღება მიაქცია სოლომონ I-ის ზემოთ მოყვანილ წერილში დადიანის დაკავშირებას საღიძის, უფრო ზუსტად მისი მართებული განმარტებით საღირისძეთა საგვარეულოსთან. ამავე დროს მკვლევარმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ თამარის მეუღე კურთხევის ცერემონიალში დასავლეთ საქართველოს დიდებულებში დადიანთა საგვარეულო არ ჩანს. „ვინათგან ლიხთიმერითგან იყო წესი დადგმად გურგენისა თავსა სამეუფოსა,-ვკითხულობთ თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში-აწ ჯეს მონაზონი ღირსი და მადლშემოსილი, მთავარეპისკოპოსი ქუთათელი ანტონი საღირისძე, მოღებად გურგენისა, და ცალკერძ კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა, და სრულ ყვეს მოხელეთა სუანთა და დიდებულთა ვარდანის ძეთა, საღირის ძეთა, და ამანელის ძეთა მოღება და დადება ხრმლისა."

ვარდანისძეები ამ დროს სვანთა ერისთავები იყნენ, ამანელიძეები ცხუმის, ხოლო ისეთი დიდი საგვარეულო, როგორიც ამ დროს დადიანთა საგვარეულო იყო, ამ ცერემონიალში არ ჩანს, მაშინ როდესაც ამ დროს მისი ერთი წარმომადგენელი ოდიშის ერისთავი იყო, ხოლო მეორე — მეფის შემდეგ პირველი პირი დასავლეთ საქართველოში. „მეფის კურთხევაზე, ვფიქრობთ, მათი მოუხსენიებლობა იმით აიხსნება, რომ ისტორიკოსი დადიანებს საღირისძეებში გულისხმობს — წერს ი. ანთელავა და განაგრძობს — „დადიანთა საგვარეულო, საფიქრებელია, საღირისძეთა ერთი შტო იყო და იგულისხმებოდა საერთოდ საღირისძეთა საგვარეულოში, რომელსაც ცხადია, სხვა განშტოებაც ეკნებოდა. შესაძლებელია გამოითქვას მოსაზრება თვით საღირისძეთა საგვარეულოს წარმოშობის შესახებაც. ჯუანშერის ცნობით ვახტანგ გორგასლის დროს "შიდა ეგრისა და სუანეთის ერისთავად" დასახელებულია სამნაღირი. შიდა ეგრის და სვანეთის ერისთავი სამნაღირი შესაძლოა ყოფილიყო დამწყები საღირისძეთა გვარისა (სამნაღირ—სამნაღირისძე-საღირისძე)". სამნაღირი, როგორც ნაშრომის წინა თავშია აღნიშნული, სინამდვილეში ახალი ეგრისის (ლაზიკეს) ერთ-ერთი დღემდე უცნობი მეფე იყო. ამიტომ ილია ანთელავას მოსაზრებაზე დაყრდნობით შუა ფეოდალური ხანის საღირისძეები და მათი ერთი განშტოება დადიანები ახალი ეგრისის სამეფოს დინასტიიდან უნდა მოდიოდნენ, რაც საკუთარი სამართლიანად მეჩვენება.

როგორც ირკვევა, დადიანთა საგვარეულოს საღარისძეთა საგვარეულოს ცალკე შტოდ ჩამოყალიბება XI ს-ში უკვე მომხდარი ფაქტია, რადგან დადიანთა საგვარეულოს პირველი წარმომადგენელი საისტორიო წყაროებში XI ს-ის 40-იანი წლებიდან გვხვდება.

პირველი დადიანი, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში" გვხვდება, არის ივანე დადიანი, რომელიც ბაგრატ IV-ის მიერ ანისში ჩაყენებულ სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად მოტყუებით დაატყვევა საქართველოს მეფის მოწინააღმდეგემ, ცნობილმა ლიპარიტ ბალვაშმა.

ვახუშტი ბაგრატიონს თავის თხზულებაში ეს ჩვენთვის დღემდე ცნობილი პირველი დადიანი იოვანეს სახელით აქვს მოცემული. ირკვევა, რომ იგი ამ შემთხვევაში არ ცდება. ამას მოწმობს „წმ. ნიკოლოზისა და მარიამ მეგვიპტელის ცხოვრების" XI ს-ის ერთი ხელნაწერი, რომლის პირველ გვერდზე ვკითხულობთ: „წმიდაო მღვდელთ-მოძღუარო ნიკოლოზ, მეოხ ეყავ წინაშე ღმრთისა მეუფისა ერისთავთ ერისთავსა იოვანე დადიანსა.... რომელმან იღვაწა სიყვარულისთჳს შენისა და აღწერა ანგელოზებრ მოქალაქეობაჲ შენი... და დაიცავ მშვიდობით ამ სოფელსა და დღეგრძელობით მეოხებითა შენითა".

ეჭვის გარეშეა, რომ „ქართლის ცხოვრების" ივანე და ამ ხელნაწერში მოხსენიებული იოვანე დადიანი ერთიდაიგივე პირია. „ქართლის ცხოვრებიდან" მოყვანილი ციტატის მიხედვით ივანე დადიანი საქართველოს მეფესთან დაახლოებული ქართველი არისტო-კრატიის უმაღლეს ფენას მიეკუთვნებოდა.

ივანე დადიანის შემდეგ დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე თამარის მეფობის პირველ წლებთან დაკავშირებით გვხვდება. მკითხველი უკვე შეხვდა ამ საგვარეულოს ერთ-ერთ წარმომადგენელს, ოდიშის ერისთავს ბედან (ბედიან) დადიანს. ოდიშის ერისთავზე ცოტა ხნით ადრე თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში ამ საგვარეულოს მეორე წარმომადგენელი ვარდან დადიანი გვხვდება.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორს ვარდან დადიანი მოხსენიებული ჰყავს იმ დიდებულებს შორის, რომელნიც თაძართან შეიკრიბნენ გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ. „მიშოიხილეს გარეშოს და იხილეს მიქაელ პატრიარქი, ყოველთა ეპისკოპოზითურთ მდგომი, და ვაზირი ანტონი, და ამირსპასალარი ყუბასარ, — წერს მემატიანე — და სხუანი ხელისუფალნი: ყუთლუ-ასლან მეჭურჭლეთუხუცესი, ვარდან დადიანი ჩუხჩარხი, ჭიაბერი მეჯინიბეთუხუცესი, აფრიდონ მსახურთუხუცესი“.

როგორც ვხედავთ, ვარდან დადიანი საქართველოს არისტოკრატიის უმაღლეს წრეს მიეკუთვნებოდა. ძალზე საპატიო იყო მისი თანამდებობაც, რომელიც ვაზირთა შემდეგ, სამეფო კარზე ერთ-ერთ უპირველეს თანამდებობად ითვლებოდა. ჩუხჩერახს იგივე ჩუხჩარხს საქართველოს მეფის პირადი დაცვის უფროსობა ევალებოდა, რაც ბუნებრივია, ძალზე საპატიო საქმედ ითვლებოდა და ჩუხჩარხს სამეფო კარზე უაღრესად გავლენიან ფიგურად აქცევდა.

თამარის მეფობის პირველ წელს საქართველოს სამეფოს უმაღლესი არისტოკრატიის ძირძველ დიდგვაროვანთა გამოსვლას ჰქონდა ადგილი, რომლებიც გიორგი III-ის მიერ დაწინაურებულ, შედარებით დაბალი წრიდან გამოსულ დიდმოხელეების გადაყენებას მოითხოვდნენ. პირველ რიგში ეს იყო ნაყივრაღარი ყუბასარი, რომელიც ამირსპასალართან ერთად მანდატურთუხუცესის თანამდებობასაც ითავსებდა. მეორე, დიდგვაროვანთათვის საძულველი პიროვნება მსახურთუხუცესი აფრიდონი ყოფილა, რომელსაც „აზნაურისა ყმობისაგან“ ამ მეტად საპატიო თანამდებობისათვის მიუღწევია. საფიქრებელია, რომ საქართველოს უმაღლესი არისტოკრატიის ამ გამოსვლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა დადიანთა საგვარეულო და პირველ რიგში ვარდან დადიანი. ამიტომ, როდესაც ამ გამოსვლის შემდეგ უმაღლესი თანამდებობები გადანაწილდა, ვარდან დადიანს სამეფო კარზე კიდევ უფრო მაღალი თანამდებობა ებოძა. „განაჩინა და უბოძა ჭიაბერსა მანდატურთუხუცესობა და მისცა არგანი... ოქროსი. კვლავ უბოძა მსახურთუხუცესობა ვარდანს დადიანსა, ჩურჩარეხობა მარუშიანს ძეს ჩუხჩარეხისა, ვინაცა მათ ორსავე მამანი მომხცოვნებულ იყვნენ და დასდვა მამისა პატივი მათისა და დასხა სასთაულითა“. — წერს თამარის ისტორიკოსი.

მსახურთუხუცესი თავისი რანგით სამეფო კარზე, XII ს-ის 90-იან წლებამდე, რიგით მეხუთე თანამდებობა იყო და ისევე როგორც ჩუხჩარხი, უშუალოდ მეფესთან იყო დაკავშირებული. მას უშუალოდ ეხებოდა მეფის საწოლი, სალარო და მეფის პიროვნების დაცვა. ზემოთ მოყვანილი ციტატა მოწმობს, რომ ვარდან დადიანისათვის, ისევე როგორც მარუშიანისათვის თანამდებობის ბოძების დროს გათვალისწინებული იქნა ისიც, რომ თავის დროზე ამავე ტიტულს მათი მამები ატარებდნენ, ასე რომ მსახურთუხუცეს აფრიდონის წინ, საქართველოს სამეფოს მსახურთუხუცესობას ვარდან დადიანის მამა ატარებდა, რომლის სახელი, სამწუხაროდ ისტორიამ არ შემოგვინახა.

როგორც ბოლო ხანებში გაირკვა (ი. ანთელავა), ოდიშის ერისთავი ბედან (ბედიან) დადიანი და ვარდან დადიანი ძმები იყვნენ, რომლებმაც დადიანთა ორ შტოს მისცეს დასაბამი. თავდაპირველად, ოდიშის ერისთავი ბედანი და მისი ძმა მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი თამარ მეფის უერთგულეს და უახლოეს დიდებულთა წრეს განეკუთნებოდნენ. ისინი შედიოდნენ იმ ქართველ დიდებულებში რომელთა დაბეჯითებით მოთხოვნით თამარი 1185 წ. იძულებული გახდა ვლადიმერ-სუზდალის დიდი მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟზე იურიზე, ანუ როგორც ქართველები უწოდებდნენ, გიორგი რუსზე დაქორწინებაზე თანხმობა განეცხადებინა. თამარის ხელთან ერთად, გიორგი რუსმა საქართველოს ჯარის მხედართმთავრობაც მიიღო და მოკლე ხანში რამდენიმე ძლევამოსილი ომი გადაიხადა. მემატიანის ცნობით ერთ-ერთ ასეთ ომში მონაწილეობას იღებდა „ვარდან დადიანი მსახურთუხუცესი“, რომელმაც სხვა ქართველ დიდებულებთან და აზნაურებთან ერთად „დიდად დაჭირვებული ომი“ „წარმატებით გადაიხადა“. მალე გიორგი რუსის ბედის ბორბალი უკუღმად დატრიალდა. თამარის პირველ ქმარს „სოდომური“ ცოდვა დაბრალდა. იგი თამარს გააშორეს და „აურაცხელითა ლარითა, სიმდიდრითა დ საჭურჭლითა“ „ნავით ზღუად“ კონსტანტინეპოლში გაამეცეს. მალე თამარმა ხელმეორედ იქორწინა. ამჯერად მისი მეულლე დავით სოსლანი გახდა.

მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდებულთა უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი გიორგი რუსის გაძეებაში, პირველ რიგში, სხვა მხარეების დიდგვაროვანთა ინტრიგას ხედავდნენ, რომლებსაც სურდათ ერთიანი საქართველოს სამეფო კარზე იმ პრივილეგიებისა და თანამდებობების დაპატრონება, რომელიც აქამდე მათ ეკავათ. ხოლო გიორგი რუსის „სოდომურ" ცოდვაში დადანაშაულებაში მათ უბრალოდ მოგონილი საბაბი დაინახეს, რომლის ძალითაც ეკლესიას უფლება ჰქონდა საეკლესიო სამართლის სრული დაცვით ცოლ-ქმარი გაეშორებინა.

როგორც ვიცით, ერთიან საქართველოს სამეფოს, ბაგრატ III-ის ხანაში დასავლეთ საქართველოს (აფხაზთა ანუ ეგრის-აფხაზთა სამეფოს) და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ქართველთა საკურაპალატოს) დიდი ნაწილის გაერთიანებამ ჩაუყარა საფუძველი, რომლის კანონიერ მემკვიდრეს სწორედ ეს ერთიანი საქართველოს პირველი მეფე წარმოადგენდა. სხვა მხარეები, მხოლოდ შემდგომში სხვადასხვა დროს შეუერთდნენ ერთიან ქართულ სახელმწიფოს. ამიტომ სრულებითაც არ იყო გასაკვირი, რომ თამარის მეფობამდე დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთ საქართველოს დიდებულები მოწინააღმდეგენ. ეხლა მათ თავის მდგომარეობის საფრთხე დაინახეს და მაშინვე გიორგი რუსს მიემხრნენ, რომელმაც 1191 წ. საქართველოში ძალით დაბრუნება გადაწყვიტა. მათ შორის იყო „ვარდან დადიანი, მსახურთუხუცესი, ლიხთ აქეთ პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხთ იქით ნიკოფსამდის უცილობლად ქონებისა და თვით შუაცხესა მყოფი, მაგარსა და მტერსა უვნებელსა. ესე მცირედისა რასმე წარვიდა და მივიდა გეგუთს, რეცა პატრონისა წადილითა, შეყარა ყოველი სუანეთი და აფხაზეთი, საეგრი, გურია, სამოქალაქო, — წერს თამარის პირველი ისტორიკოსი,— რაჭა, თაკუერი და არგუეთი. მომრთველმან სანიგთა და ქაშაგთამან აფიცა რუსისა გამეფებისა და მისის მეფე ყოფისათვის დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყნისანი".

ბუნებრივია ისმის კითხვა, თუ რატომ თვლის მემატიანე ვარდან დადიანს „ლიხთ-იქით ნიკოფსამდის" უცილობლად გამკარგულებლად? ვარდან დადიანი, რომ აღმოსავლეთ საქართველოში კაენისა და ორბეთის ციხის პატრონი იყო, ეს მისი მსახურთუხუცესობით აიხსნება. რაც შეეხება ვარდან დადიანის დასავლეთ საქართველოში პირველობას, ამას თითქოს ახსნა არ მოეპოვება.

ცნობილია, რომ საქართველოს ერთიანობის ხანაში ერისთავთ-ერისთავთა საგამგეო ერთნაირ საპატიოდ არ ითვლება. ყველაზე საპატიოდ ის საერისთავოები ითვლებოდა, რომლებიც წინათ მეფეთა საჯდომები ან სამეფოები იყო. არანაკლებ საპატიო იყო ალბათ იმ მხარის ერისთავობაც, რომელიც ძველ მეფეთა დომენს წარმოადგენდა. თუ გულდასმით დაეკვირდებით გიორგი რუსის მომხრე ერისთავთა სამფლობელოებს, დაინახავთ, რომ მემატიანის მიერ ჩამოთვლილ ყველა მხარეს თავისი პატრონი ჰყავს, მხოლოდ სამოქალაქო რჩება ერისთავის გარეშე. სამოქალაქო უეჭველად ნიშნავდა ქუთაისში შემავალ ქვეყანას, რომელსაც ადრე, ეგრისის მეფეთა ხანაში მუხურისი(მოხირისი ეწოდება, და რომელიც დაახლოებით მდ. რიონიდან მდ. ტეხურამდე ვრცელდებოდა. როგორც ჩანს, ეს მხარე თავის დროზე აფხაზთა ანუ ეგრის-აფხაზეთის მეფეთა დომენს წარმოადგენდა. ამიტომ მისი ერისთავთ-ერისთავობა დასავლეთ საქართველოში ყველაზე საპატიოდ ითვლებოდა და მისი ერისთავიც დასავლეთ საქართველოში ერთიანი საქართველოს მეფის ერთგვარი წარმომადგენელი იყო და საქართველოს ამ ნაწილის საერისთავოებიდან გამოყვანილი ჯარების საერთო მხედართმთავარიც. სწორედ სამოქალაქოს ერისთავი იყო ვარდან დადიანი და აქედან მოდიოდა მისი უფლება მეფის სახელით შეეკრიბა დასავლეთ საქართველოს ლაშქარი.

ასე რომ დადიანთა საგვარეულოს თამარის მეფობის პირველ წლებში დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავა. ერთი ძმა მსახურთუხუცესს და სამოქალაქოს ერისთავთ-ერისთავს წარმოადგენდა, ხოლო მეორე ძმა ბედანი იგივე ბედიანი ოდიშის საერისთავოს განაგებდა.

აჯანყებულებმა, როგორც დავინახეთ, გიორგი რუსი გეგუთში მოიწვიეს და იქ მეფედ გამოაცხადეს. შემდეგ კი თავიანთი ძალებით თავისი მიზნის მისაღწევად დაიძრნენ... მეამბოხეთა ერთმა ნაწილმა, თვით გიორგი რუსის მეთაურობით ლიხის ქედი გადალახა და გორამდის მოვიდა, ხოლო მეორე ნაწილმა „დადიანთა" ანუ ვარდან და ბედან დადიანის მეთაურობით გადაიარა „რკინისჯუარი", გადავიდა სამცხეში, სადაც „დაწუეს ქალაქი ოძრხე".

მოკლე ხანში აჯანყება მარცხით დასრულდა და აჯანყებულებს თავის გადარჩენაზე მოუწიათ ფიქრი. თამარმა ამ შემთხვევაში თავისი ჩვეული დიდსულოვნება გამოიჩინა,

გიორგი რუსი უვნებლად გააძევა საქართველოდან, ხოლო მეამბოხე დიდებულებს თავიანთი მკვიდრი მამულები და საგანგებოდ მიცემული ქვეყნები თითქმის ყველას დაუტოვა. ასე რომ ბედან I დადიანმა შეინარჩუნა ოდიშის ერისთავთ-ერისთავობა, ხოლო მისი ძმა ვარდანი კვლავ სამოქალაქოს ერისთავთ-ერისთავად დარჩა. ერთი კია, რომ ამ აჯანყების წყალობით ვარდან დადიანმა მსახურთუხუცესობა, აგრეთვე კაენისა და ორბეთის ციხეები დაკარგა.

ამ ამბების შემდეგ ვარდან დადიანი „ქართლის ცხოვრების" ფურცლებზე უკვე აღარ გვხვდება. ბედიან I დადიანი თამარის მემკვიდრის ლაშა გიორგის ანუ გიორგი IV-ის მეფობის პირველ წლებშია მოხსენიებული უცნობი ქართველი მემატიანის თხზულებაში, რომელსაც პირობითად ჟამთააღმწერელს ეძახიან, — „ასწლოვან მატიანეში".თამარის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე მისი ახალგაზრდა ვაჟი ლაშა გიორგი ავიდა. საქართველოს მოხარკე ქვეყნებმა ტახტზე ახალგაზრდა მეფის ასვლაში ქვეყნის ძლიერების დაცემა და სამეფო ხარკისაგან განთავისუფლება დაინახეს. პირველმა ხარკის გადახდაზე უარი განაცხადა და საქართველოს ხელისუფლებამ მისი საგანგებოდ დასჯა გადაწყვიტა. მალე საქართველოს ლაშქარმა, თვით ლაშა გიორგის მხედართმთავრობით განჯას ალყა შემოარტყა. ქართულ ლაშქარში მემატიანეს ცნობით სხვებს შორის „დგეს.. ერთკერძო აფხაზნი, დადიანი ბედიანი და ლიხთიქითნი, ზედმოკიდებით ურთიერთას". როგორც ვხედავთ, ლიხთ დასავლეთის ლაშქარს ამჯერად ბედიან (ბედან) დადიანი მიუძღოდა. მალე განჯელები სამარცხვინოდ დამარცხდნენ და კვლავ მორჩილების გუნებაზე დადგნენ.

ბედიან (ბედან) I „ქართლის ცხოვრების" ფურცლებზე „ასწლოვან მატიანეში" გიორგი ლაშას დის და მემკვიდრის, რუსუდანის მეფობის პირველ წლებში გვხვდება. ეს მეორე ქალი საქართველოს სამეფო ტახტზე 1222 წელს ავიდა, ხოლო 1225 წ. საქართველოს ჯალალ-ედ-დინი შემოესია, რომელმაც 1226 წ. თბილისი დაიკავა. თბილისის დაკარგვის წინ რუსუდან მეფე დასავლეთ საქართველოში გადავიდა, დიდებულები მოიწვია და თავისი მცირეწლოვანი ვაჟი დავით, შემდეგში დავით ნარინად წოდებული, თანამოსაყდრედ დასვა: „მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა, — ეკითხულობთ ჟამთააღმწერლის თხზულებაში, — აფხაზთა, დადიანსა ბედიანსა, რაჭის ერისთავსა, კათოლიკოზს აფხაზეთისასა და დასუეს მეფედ დავით ძე რუსუდანისი, აკურთხეს ქუთათისს და დაადგეს თავსა მისსა გურგენი, დასუეს ტახტსა ზედა სამეფოსა და მიულოცეს მეფობა წესისამებრ, სრულყო კათალიკოზმან წესი კურთხევისა".

ამასობაში ხვარაზმელ ჯალალ-ედ-დინთან ომი გრძელდებოდა. 1228 წელს რუსუდან მეფემ „მოუწოდა ყოველსა სპათა თესსა, იმერთა და ამერთა, — წერს ჟამთააღმწერელი, — შანშეს მანდატურთუხუცესსა, ავაგ ამირსპასალარსა, ვარამს მსახურთუხუცესს, ჰერ-კახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხ-ტაოელთა, დადიანსა ცოტნეს, კაცსა წარჩინებულსა და სათნოებიანსა, აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა".

როგორც ვხედავთ, მემატიანეს დასავლეთ საქართველოდან პიროვნულად მხოლოდ დადიანი ცოტნე ჰყავს დასახელებული. ეს კარგი საბუთია იმისა, რომ ამ შემთხვევაში ცოტნე, როგორც ადრე მისი მამა ვარდან დადიანი, სამოქალაქოს ერისთავთ-ერისთავია და მამის მსგავსად წინ უძღვის დასავლეთ საქართველოდან გამოყვანილ ლაშქარს. თუ ლაშა გიორგის მეფობის პირველ წლებში ამ საპატიო მესიას ბედიან (ბედან) I დადიანი ასრულებდა, ეს მხოლოდ ცოტნე დადიანის მცირეწლოვანებით აიხსნება. სამწუხაროდ, ეს ბრძოლა, რომელიც ამ ლაშქარმა 1228 წ. ბოლნისთან გადაიხადა, ქართველების დამარცხებით დასრულდა.

ხვარაზმელებს მონღოლები მოჰყვნენ. 1235 წ. ისინი საქართველოში შემოიჭრნენ, რასაც ქვეყანა სრულიად მოუმზადებელი შეხვდა, მონღოლებს სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველო ნაწილ-ნაწილ ჩაბარდა. ბოლოს მტრის წინააღმდეგ ბრძოლა თვით დასავლეთ საქართველოში გადასულმა რუსუდანმა ჩათვალა უაზროდ და გადაწყვიტა მონღოლებთან საერთო ენა მოენახა. 1242 წ. საქართველოს მეფე მტერთან დასაზავებლად ლიხთ-იმერეთის დიდებულებთან ერთად თბილისში გადმოვიდა. მეფეს თან ახლდნენ „მთავარნი ლიხთ-იმერელნი, — წერს მემატიანე, — დადიანი ცოტნე, კაცი პატიოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი, ბედიანი, რაჭისა ერისთავი, გურიელი და ყოველნი წარჩინებულნი".

აქ მოხსენებული ბედიანი იგივე ბედანი დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენელია და როგორც ქვემოთ მკითხველი დაინახავს ოდიშის ერისთავია, რასაკვირველია იგი არა არის თამარის დროინდელი ბედიან (ბედან) I დადიანი. რადგან „ქართლის ცხოვრებაში" მისი პირველი მოხსენიების დროიდან დაახლოებით სამოცი წელი არის გასული. ეს უკვე ბედან (ბედიან) II დადიანია, თამარის დროინდელი ოდიშის ერისთავის შვილიშვილი.

მონღოლებმა რუსუდანი სრულიად საქართველოს მეფედ აღიარეს და მისი თანამოსაყდრე დავით რუსუდანის-ძე დასამტკიცებლად ჯერ ოქროს ურდოში ბათო ყაენთან, ხოლო შემდეგ კი მონღოლთა დიდი ყაენის მანგუს რეზიდენციაში ყარა-ყორუმში გააგზავნეს. ყარაყორუმიდან უფლისწულს დაბრუნება დაუგეიანდა და რუსუდან მეფე შვილის დარდს გადაჰყეა.

რუსუდანის სიკვდილის შემდეგ ერთიანი ქართული სახელმწიფო ერთხანს მეფის გარეშე დარჩა. მაშინ მონღოლებმა ქვეყანა ცხრა დუმნად (ათიათასეულად) დაჰყვეს, რომლებსაც სათავეში ქართველი დიდებულები ჩაუყენეს. დასავლეთ საქართველოში მონღოლებს სულ ორი „დუმნის თავი" დაუდგენიათ და ცოტნე დადიანისათვის და რაჭის ერისთავისათვის „ყოველი იმერი სამეფო" ჩაუბარებიათ.

მალე უმეფოდ დარჩენილი ქართველი დიდებულები კოხტასთავს შეიკრიბნენ და მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება გადაწყვიტეს. დასავლეთ საქართველოდან შეთქმულთა შორის იყვნენ „დადიანი ცოტნე და ბედიანი, კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობოთა, და რაჭის ერისთავი", რომლებიც დაუყოვნებლივ „კაზმად" ანუ დასავლეთ საქართველოს ლაშქრის გამოსაყვანად გაემართნენ.

შეთქმულების ამბავი მონღოლებმა ძალზე მალე შეიტყვეს. ისინი მოულოდნელად დაესხნენ თავს კოხტასთავს ქართველებს და „ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსნი" დაატყვევეს. ისინი თავიანთ სადგომში ანისში წაიყვანეს და შეთქმულების შესახებ გამოძიებას შეუდგნენ. დატყვევებული დიდებულები ერთხმად უარყოფდნენ შეთქმულების ფაქტს და თავიანთი შეკრების მიზეზად მონღოლების სასარგებლოდ ხარკის აღების საქმის მოწესრიგებას ასახელებდნენ. მონღოლებმა, რასაკვირველია, ქართველებს არ დაუჯერეს, ისინი „ყოველთა სიცხესა შინა შიშველი" დასვეს და მათ დაკითხვას კვალინდებურად აგრძელებდნენ. ამასობაში დასავლეთ საქართველოს ლაშქარი შეიკრიბა და პირობის თანახმად აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად „მივიდა დადიანიცა ცოტნე ლაშქრითა მთასა" „ღადოსა, შორის სამცხესა და გურიასა, რომელ არს რკინისჯუარი". აქ დასავლეთ საქართველოს მხედართმთავარმა ქართველი დიდებულების დატყვევების ამბავი შეიტყო, ლაშქარი დაითხოვა და თვითონ „ორი კაცითა წარვიდა ანისად", როგორც ჟამთააღმწერელი აღნიშნავს „დამდები სულის თუსის, და აღმასრულებელი მცნებისა უფლისა, რომელი იტყვუს: „უფროს ამისსა სიყუარული არ არს, რათა დადვას კაცმან სული თუსი მოყუსისა თუსისათუს", რომელ ყო პატიოსანმცა ამის კაცმან ცოტნე სათნოება მაღალი და განსათქმელი, საქმე საკჳრველი და ყოვლისა ქების ღირსი".

ანისში ცოტნემ დაინახა ქართველი „წარჩინებულნი მოედანსა შინა, დაკრულნი მჯრითა, შიშველნი მსხდომარე". მაშინ იგი ცხენიდან გადმოვიდა, „განშიშულდა და დაჯდა წარჩინებულთა თანა". მონღოლმა მცველებმა სასწრაფოდ აცნობეს თავიანთ ნოინებს, რომ „ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაცითა, განიძარცუა სამოსელი და დაჯდა ქართველთა თანა". ნოინები „კეთილი მეცნიერნი იყვნეს ცოტნესი". ამიტომ იგი სასწრაფოდ თავისთან იხმეს და მისი ასეთი ქცევის მიზეზი ჰკითხეს. ცოტნე დადიანმა კოხტასთავში ქართველი დიდებულების შეკრების მიზეზად, როგორც სხვა ქართველმა წარჩინებულებმა, მონღოლთა სასარგებლოდ ხარკის აკრეფის საქმის მოწესრიგება დაასახელა და გმირულად განაცხადა, თუ ამის მიუხედავად ნოინები ქართველებს სიკვდილს გადაუწყვეტენ „მეცა ამათ თანა მოუკუდე, რათა თვინიერ ჩემსა არა უქმნიეს,

უკეთუ ცხოვნდენ მათ თანა ვიყო". ამ პასუხის შემდეგ მონღოლებმა ქართველი დიდებულების უდანაშაულობა დაიჯერეს და ყველანი სამშობლოში გამოუშვეს. მალე მონღოლებმა საქართველოში მეფობაც აღადგინეს და სამეფო ტახტზე ერთდროულად ორი მეფე – რუსუდანის ძე დავით ნარინი და ლაშა გიორგის ძე დავით ულუ დასვეს.

1259 წ. დავით ნარინი მონღოლებს აუჯანყდა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც მას დიდებულნი დიდი სიხარულით შეეგებნენ. „ხოლო ვითარ ცნეს აფხაზთა, სუანთა, დადიანმან ბედიანმან, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთიმერელთა, – წერს ჟამთააღმწერელი – შემოკრბეს სიხარულითა დიდითა და მეფე-ყვეს დავით აფხაზთა ვიდრე ლიხთამდე".

როგორც ჩანს, ამ დროისათვის, ცოტნე დადიანი ცოცხალი უკვე აღარაა, რადგან ეჭვის გარეშე, ის პირველი იქნებოდა დასახელებული დავით ნარინთან შემხვედრ დასავლეთ საქართველოს წარჩინებულთა შორის. ასე ჩაეყარა საფუძველი დასავლურ ქართულ სახელმწიფოს, რომელმაც დაახლოებით შვიდი ათეული წელი იარსება.

ორი წლის შემდეგ მონღოლთა წინააღმდეგ სრულიად საქართველოს მეორე მეფე დავით ულუც აჯანყდა, რომელიც მონღოლთა წინააღმდეგ რამდენიმე მარცხიანი ბრძოლის შემდეგ დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც დავით ნარინმა თავისი ბიძაშვილი „კეთილად ისტუმრა". ასე გაგრძელდა ერთი წელიწადი. სამწუხაროდ, ეს პატივი დავით ულუმ ვერ შეიღირსა და „ვითარცა უცხო დიოდა მათ თანა".

მალე დასავლეთ საქართველოში შეთქმულება მოეწყო. შეთქმულებას სათავეში რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერის-ძე ჩაუდგა, რომლის ქალიშვილი გუანცა, იმჟამად დავით ულუს ცოლი იყო. შეთქმულების მიზანი დასავლეთ საქართველოს ტახტზე დავით ნარინის ნაცვლად დავით ულუს აყვანა იყო: „მაშინ ეზრახნეს კახაბერის ძესა... ქუაბულისძეთა, ფარჯანიანსა სარგისს, რათა ლაშას ძე დავით, ყონ მეფედ, – წერს ჟამთააღმწერელი – რომელნი ერჩდესა და იქმნა განდგომილება ლიხთიმერით, და რომელნიმე წარმოუდგეს ლაშას ძესა და რომელნიმე რუსუდანის ძესა. ეგრეთვე დადიანი ბედიანი, ჯუანშერის ძე, დადგა ერთგულებასა ზედა რუსუდანის ძისასა, რამეთუ იყო ესე ბედიანი კაცი წარმატებული ყოველითა ზნითა, უხჯ უმეტეს ყოველთა კაცთა, სრული გონიერებითა. ამან დააწყო ოდიში, რომელ მპარავი და ძარის მოქმედი არა იპოვებოდა და სუანნი განიყვნენ ორად... ესრეთ იყო აშლილობა და შფოთი მრავალი იმერთა".

ბედან (ბედიან) II დადიანის და საერთოდ დადიანთა საგვარეულოს მხარდაჭერამ საქმე რუსუდანის ძის სასარგებლოდ გადაწყვიტა. დავით ნარინმა ტახტი შეინარჩუნა, ხოლო დავით ულუ იძულებული გახდა აღმოსავლეთ საქართველოში გადასულიყო და მონღოლებს შერიგებოდა.

ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ბედიან (ბედან) II-ის მამა ჯუანშერი ოდიშის ერისთავად, თუ ბედან II-ემ ოდიშის ერისთავობა უშუალოდ ბედიან I-ის სიკვდილის შემდეგ მიიღო. ერთი კი ცხადია, რადგან დადიანთა საგვარეულოს ორი წარმომადგენელი დაახლოებით ოთხმოცი წლის მონაკვეთში ერთდაიგივე სახელს ატარებენ, ისინი უეჭველად ბაბუა და შვილიშვილი უნდა იყვნენ.

დავით ნარინმა უხვად დააჯილდოვა დადიანთა მთელი საგვარეულო და პირველ რიგში, ბედან (ბედიან) II დადიანი. ამ დროს გადავიდა, ალბათ, დადიანთა საგვარეულოს ხელში ქრისტიანობის უძველესი რელიქვიები, რომლებიც შემდეგ ხანაში ოდიშის ტაძრებში ინახებოდა. დასავლეთ საქართველოს მეფემ ცოტნე დადიანის შვილიშვილს, მსახურთუხუცესის ვარდან დადიანის ბადიშს შერგირ დადიანს ქართული ქრისტიანობის უძვირფასესი რელიქვია თამარ მეფის ყელის ჯვარი უბოძა, რასაც მოწმობს ამ ჯვარის

წარწერა, „ძელო ჭეშმარიტო, ძალო ჯვარისაო, წინაძღომითა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალს თამარს“. შერგირ დადიანს რასაკვირველია, კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, თუ ბედის წყალობით, რა დიდი განძის პატრონი გახდა. ამიტომ მან საგანგებოდ დაამზადებინა ოქროთი შეჭედილი უძვირფასესი ხატი, რომელშიც თამარის ჯვარი ჩასვენა. თანაც ხატზე შესაბამისი წარწერა გააკეთა: „ქ. ხატო არსებისაო, უცვალებელო, მეოხ და მფარველ ექმენით აქა და საუკუნოსა ერისთავთ ერისთავი დადიანი შერგირ და მეუღლე ჩემით დედოფალ დედოფალი ნათელი, ძითურთ ჩემით ცოტნეთურთ“. აქ მოხსენიებული ცოტნე არის კოხტასთავის გმირის ცოტნე დადიანის შვილიშვილი და როგორც ფიქრობენ სწორედ ის, ცოტნე II დადიანი არის გამოხატული თავის მშობლებთან, შერგირთან და ნათელასთან ერთად ხობის მონასტრის სამხრეთ კედელზე, რასაც ადასტურებს შესაბამისი ფრესკული წარწერები. დიდი ხნის მანძილზე თამარის ყელის ჯვარი, შერგირ დადიანის ბრძანებით მოჭედილ მაცხოვრის ხატში ჩასვენებული ხობის მონასტერში ინახებოდა. დღეს იგი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

თვითონ ბედან (ბედიან) II დადიანმა რუსუდანის ძისაგან ადრე აფხაზთა მეფეების ნაქონები ღვთისმშობლის ხატი მიიღო. ამიტომ ღვთისმშობლის ხატის წარწერაში სწორედ აფხაზთა მეფე ლეონი (957-967) არის მოხსენიებული: „ქ. ყოვლად წმიდაო ღმერთის მშობელო, მეოხ ეყავ წინაშე ქრისტესა სულს, ლეონ მეფისა“. ხოლო ამ ხატის ზურგზე ჯერ დავით ნარინისადმი მიძღვნილი წარწერაა მოცემული: „ქ. მშობელო სიტყვისა ღმერთისაო, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, ადიდე შენ მიერითა დიდებითა, ღვთივგვირგვინოსანი, ძლიერი და უძლეველი მეფეთა მეფე დავით, ძე რუსუდანისა“. შემდეგ წარწერაში უკვე ბედან დადიანია მოხსენიებული. „ქ. ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, დედოფალო, შემწე და მეოხ და მფარველ ეყავ გულსმოდგინედ მამკობსა წმიდასა და პატიოსნისა ხატის შენისს ერისთავთ ერისთავსა მანდატურთუხუცესს ბედანსა და დიოფალთ-დიოფალსა ხვაშაქსა რომლისა შემოწირვითა მოიჭედა ზურგი ესე“.

საფიქრებელია, დავით ნარინის საჩუქარი უნდა იყოს აგრეთვე ადრე, რომელიღაც სხვა საგვარეულოს საკუთრებაში მყოფი თავის დროზე ხობისავე ბრწყინვალე ტაძარში დაცული ღვთისმშობლის ხატი, რომელიც დადიანთა მთელი საგვარეულოსათვის უბოძებია დასავლეთ საქართველოს მეფეს, რასაც ადასტურებს ამ ხატის წარწერა: „მამკობელი კახაბერის ძეთა ასული თეონილა ზვიადის დედა,მარჯვენით შენსა დადგომად ღირს მყავ სასუფეველსა შენსა პატრონთა დადიანისა სახლისათა ნათელს შეუნდვენინ... ნათელს თანა მარჯვენით შენს მდგომად დააწესე ძე მათი ვარდან დადიანი, მანდატურთ უხუცესი ბედან დადიანი და ცოლი მათი, ბეგაისა ქართლის ერისთავის ასული ხუაშაქი, და ძენი მათნი ერაშაჰრი, გიორგი და ივანე ... გამახლებელსაცა მკობისა შენისა ბერსა ათანასიას შემინდვენინ. ამას ხატსა ზედა იყო ორას ოცი ვერცხლი, ოთხმოცდაათი ოქროს დრამისა წონაი“.

საფიქრებელია, როგორც ამას წარწერის დასაწყისში კახაბერის ძეთა ასულის თეონილას, ზვიადის დედას მოხსენიება მოწმობს. თავდაპირველად ეს ხატი დავით ნარინის მტრის, კახაბერ კახაბერის ძესთან დაახლოებულ ოჯახს ეკუთვნოდა, რომლისათვის მეფეს ხატი ჩამოურთმევია და დადიანთა საგვარეულოსათვის გადაუცია.

ასევე აშკარად სხვა საგვარეულოს კუთვნილება იყო თავის დროზე ჭყონდიდის ტაძარში დაცული ღვთისმშობლის ხატი, რასაც მის პირველ წარწერაში მოხსენიებული „უდუ, ლელა“ და მათი შვილები „ზვიადი და გიორგი“ მოწმობს, რომელიც შემდეგ ასევე დავით ნარინის წყალობით, ბედან II დადიანის ოჯახის საკუთრება გამხდარა.

„უბიწოო ღმრთის მშობელო, – ვკითხულობთ ამ ხატის მეორე წარწერაში, – მოიხსენე ესე შენდამი წყალობისასა, ახლად მამკობი კანონთა მიერ, უღირსი მანდატურთ უხუცესი ბედანი დადიანი და მეუღლე, ვითხოვ, მე უღირსი ხუაშაქი, ქართლისა ერისთავის ასული ძითურთ გიორგით და ივანეთი“...

ბედან II დადიანი მოხსენიებულია წალენჯიხის ჯვარცმის ხატის წარწერაშიც, რომელიც დადიანთა საგვარეულოს საკუთრება იყო: „არამედ სურვილით ვამკობთ ჯუარსა შენსა, მაცხოვარო წალენჯიხისაო, მინდობილნი შენნი მანდატურთ უხუცესი დადიანი ბედანი და ძე მათი, მეორედ მამკობი დადიანი გიორგი, და მე დადიანი შერგილ და მეუღლე ჩემი ნათელა მესამედ მამკობი ხატისა თქვენისა“.

დადიანი შერგირ იგივე შერგილ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვარდან მსახურთუხუცესის და კოხტასთავის გმირის ცოტნეს შთამომავალი იყო. ვარდანი და ცოტნე I დადიანი, როგორც მკითხველმა უკვე იცის, სამოქალაქოს ერისთავთ-ერისთავები იყვნენ. საეჭვოა ასეთი საერისთაო დაეტოვებინა დადიანებისთვის დავით ნარინს დასავლეთ საქართველოში გამეფების შემდეგ. შერგილისა და მისი შთამომავლის სამკვიდრო მამული, ისევე როგორც ყველა დადიანის, ოდიში იყო. თუ რა საერისთავო ჰქონდა მას ჩაბარებული დავით ნარინისაგან, ან კიდევ მისი მემკვიდრეებისაგან, სამწუხაროდ ეს საისტორიო წყაროებში არ ჩანს.

როგორც ვხედავთ, ერთგული სამსახურისათვის დავით ნარინს ბედიან II დადიანისათვის ერთ-ერთი უმაღლესი სავაზირო ტიტული მანდატურთუხუცესობა უბოძებია. მანდატურთუხუცესი თავისი პატივით ამირსპასალარს უტოლდებოდა. ის უძღვებოდა აგრეთვე საზეიმო მიღებებს სამეფო კარზე, რისთვისაც მანდატურთუხუცესს საგანგებო „სამანდატურო არგანი“ – ოქროს ჯოხი გააჩნდა. ბედან II დადიანის შემდეგ მანდატურთუხუცესის ტიტულს დასავლეთ საქართველოში დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები ატარებდნენ, თუმცა დასავლეთ საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ საეჭვოა, ამ ტიტულს რაიმე რეალური შინაარსი ჰქონოდა.

ბედან II დადიანის ერთ-ერთ ვაჟს, როგორც ვნახეთ ივანე ეწოდებოდა. მკითხველს ალბათ ახსოვს იგივე სახელი ეწოდებოდა XI ს-ის 40-იან წლებში დამოწმებულ ივანე დადიანს. ასე რომ ივანე // იოვანე უძველესი დადიანების ერთ-ერთი საგვარეულო სახელი იყო, რაც მოწმობს, რომ სწორედ ბაგრატ IV-ის ხანის ამ სახელის მატარებელი არის ბედან (ბედიან) I დადიანის და მისი შთამომავალი ოდიშის ერისთავების წინაპარი.ბედან I-ის და ბედან II-ესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბაგრატიონი თავის „აღწერა სამეფოსა საქართველოსი“. რომელიც მის მიერ დაწერილ საქართველოს ისტორიას წარმოადგენს, ყველგან შესაბამის ადგილას ბედანის თუ ბედიანის ნაცვლად ბედიელს ხმარობს, თუმცა ბედიელის ტიტულით საისტორიო წყაროებში მხოლოდ და მხოლოდ ბედიის ეპისკოპოსია მოხსენიებული. ამავე დროს სწავლულ ბატონიშვილს "ბედიელი“ მოხსენიებული ჰყავს იმ ერისთავთა შორის რომლებიც „ერისთობით იწერებიან და გვარნი არა წარიწერებიან“. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ვახუშტი ბაგრატიონი დამახინჯებით გადმოგვცემს რაღაც ხალხურ ტრადიციას. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ XV ს-ის იტალიური წყაროები დადიანს ბედიანის სახელით მოიხსენიებენ. საფიქრებელია, რომ რადგანაც ოდიშის ერისთავები დადიანების საგვარეულოს წარმომადგენლის ბედან (ბედან) I და ბედიან (ბედან) II-დან მოდიოდნენ, ამიტომ ხალხურ მეტყველებაში XIII-XV სს-ში მათ ალბათ ბედიან დადიანებს, ან კიდევ უბრალოდ ბედიანებს ანუ ბედანის შთამომავლებს უწოდებდნენ. ამის ასახვა უნდა იყოს ვახუშტისეული დამახინჯებით გადმოცემული „ბედიელი“ და იტალიური წყაროების „ბედიანო“ „ბედიანი“.

ხატის წარწერები, რომლებშიც ბედიან დადიანი არის მოხსენიებული ჩვენ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოვიყვანეთ. ყველაზე ადრე უნდა იყოს შესრულებული ხობის ღვთისმშობლის ხატის წარწერა, სადაც ბედან II დადიანი მხოლოდ მეუღლესთან ერთად არის მოხსენიებული შემდეგ წარწერაში იგი მეუღლესთან და სამ შვილთან გვხვდება. როგორც ჩანს, მას ერთი ვაჟი ერაშაჰრი ადრე გარდაეცვალა, ამიტომ ჭყონდიდის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში ბედანი მეუღლესთან და ორ შვილთან ერთადაა მოხსენიებული, უკანასკნელი წარწერის შედგენის დროს მხოლოდ ბედან II დადიანი და მისი ვაჟი გიორგი ჩანან ცოცხლები. ასე, რომ ბედან II დადიანი ოდიშის ერისთავად მისმა ვაჟმა გიორგი I დადიანმა შეცვალა.

გიორგი I დადიანის ხანაში ოდიშის საერისთავოში ხობის ბრწინვალე ტაძარი აიგო. ამ ტაძრის მშენებლობაში მთელი დადიანთა საგვარეულო მონაწილეობდა, მაგრამ, ბუნებრივია, ოდიშის ერისთავი პირველობდა. სწორედ ამიტომ მისი ფრესკა ეკლესიით ხელში გამოხატულია ამ ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე შემდეგი წარწერით: „ამ საყდრის აღმშენებელი, ერისთავთერისთავი და მანდატურთუხუცესი დადიანი გიორგი შეუნდვენ ღმერთმან“. მოპირდაპირე კედელზე გამოხატულია დადიანთა საგვარეულოს მეორე ოჯახის, კოხტასთავის გმირის ცოტნე დადიანის შთამომავლობა: „ერისთავთ ერისთავი შერგირ დადიანი“. „დიოფალთ დიოფალი ნათელ“, „ძე მათი ცოტნე“, „ასული ამათი თამარი“. აქ გამოხატული ცოტნე დადიანი, სახელოვანი ბაბუის შვილიშვილი უნდა იყოს.გიორგი I დადიანი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ორ აღაპშიცაა მოხსენიებული. აქვე ცალკე აღაპი აქვს განკუთვნილი მის დედას „დიოფალთა დიოფალს ხუაშაქს“, რომელსაც თავის ქმრის, ბედან II დადიანის სიკვდილის შემდეგ კიდევ დიდხანს უცხოვრია.გიორგი I დადიანი, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, 1323 წელს გარდაიცვალა და მის შემდეგ ოდიშის ერისთავობა მისმა ძემ მამიამ მიიღო.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით კონსტანტინე დასავლეთ საქართველოს მეფე 1327 წელს გარდაიცვალა და მის მუდმივ მეტოქეს მიქელს, როგორც იქნა სამეფო ტახტი ელირსა. ორი წლის შემდეგ ეს მეფეც გარდაიცვალა და დასავლეთ საქართველოში ახალმა შინა ომმა იფეთქა. მაშინ დასავლეთ საქართველოს დიდებულებმა გიორგი V ბრწყინვალე მოიწვიეს, რომელსაც ბედმა მონღოლთა ბატონობის ხანაში დაშლილი საქართველოს ხელახლა ერთ სამეფოში გაერთიანება არგუნა. დასავლეთ საქართველოში გადმოსულ გიორგი V-ეს სიხარულით მიეგებნენ „დადიანი მამია და გურიელი გიორგი და სუანთა ერისთავი და აფხაზთა შარვაშიძე, — წერს ვახუშტი ბაგრატიონი, — მოერთნენ ნიჭითა დიდითა და დაულოცეს მეფობა იმერეთისა და ყოვლისა გიორგიისა“. თავის მხრივ გიორგი V-ემ ერთგულებისათვის დასავლეთ საქართველოს ერისთავები უხვად დაასაჩუქრა. განსაკუთრებით დიდი პატივი ხვდა მამია I დადიანს, რომელსაც სრულიად საქართველოს მეფემ დადიანთა საგვარეულოს ძველი პრივილეგია, დასავლეთ საქართველოს ლაშქრის მხედართმთავრობა უბოძა. ამის შესახებ ცნობა ცხუმის, ლათინურად სებასტოპოლის ეპისკოპოსის ერთმა წერილმა შემოგვინახა.

1318 წელს რომის პაპმა ირანის მონღოლურ სახელმწიფოში „სულთანიეს“ კათოლიკური საარქიეპისკოპოსო დააარსა, რომლის ერთ-ერთ საეპისკოპოსო ცენტრად სებასტოპოლი, იგივე ცხუმი აირჩია. იმავე წელს ამ ქალაქის ეპისკოპოსად ბერნარდო მორო დაინიშნა, რომელიც 1330 წ. ინგლისელმა პეტრე ჯერალდიმ შეცვალა. ახალმა ეპისკოპოსმა იმავე წელს წერილი გაუგზავნა კენტერბერის არქიეპისკოპოსს და ინგლისის სხვა იერარქებს. წერილში აღნიშნულია, რომ მათ მიმართავს თხოვნით „თანამომძე პეტრე, ღვთის ნებით სებასტოპოლის ეპისკოპოსი ქვემო საქართველოში“. იგი აღნიშნავს, რომ ამ ქვეყნის მბრძანებელი „მთელი საქართველოს ჯარის მხედართმთავარიც არის“. ეს წერილი „დაწერილია ქალაქ სებასტოპოლში, ქვემო საქართველოს სამეფოში უფლის წელთაღრიცხვის 1330 წელს“.

საქართველოს ქვემო და ზემო ქვეყნებად დაყოფა ქართული მწერლობის ძეგლებში X-XI სს-დან გვხვდება. „ქვემო" ყოველთვის დასავლეთ საქართველოს ნიშნავდა. ამიტომ ინგლისელ ეპისკოპოსთან დასავლეთ საქართველოს ქვემო საქართველოდ მოხსენიება სრულიადაც არაა მოულოდნელი. მისი შემოერთება ერთიანი საქართველოს სამეფოში ახალი ამბავი იყო. ამიტომ არც ისაა გასაკვირი, რომ ეპისკოპოსი „ქვემო საქართველოს" სამეფოს ახსენებს. ამავე წერილის ავტორმა კარგად იცის, რომ ამ დროს გიორგი V ბრწყინვალე უკვე დასავლეთ საქართველოს მეფეცაა. ამიტომ თვლის სოხუმის მფლობელს ჩვენი ავტორი „მთელი საქართველოს ჯარის", მხედართმთავრად.ეს უნდა იყოს მამია I დადიანი, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ჯერ კიდევ ცოცხალია, ოღონდ ჩვენი ინგლისელი ავტორი ერთ უზუსტობას მაინც უშვებს. როგორც აღვნიშნეთ, მამია I დადიანი მხოლოდ დასავლეთი და არა მთელი საქართველოს ჯარების მხედართმთავარია.

გასაკვირი არც 1318 წელს სებასტოპოლის კათოლიკური საეპისკოპოსოს დაარსებაა. ეს არის ლოგიკური შედეგი იმ მოვლენებისა, რომელიც შავი ზღვის ნაოსნობის ისტორიაში ჯერ კიდევ წინა საუკუნეში დაიწყო.

როგორც ცნობილია, შავი ზღვა ნახევრად დახურულ ზღვას წარმოადგენს, რომელიც ბოსფორის სრუტით, მარმარილოს ზღვით და შემდეგ დარდანელის სრუტით უკავშირდება ხმელთაშუა ზღვის აუზს. ამიტომ შავ ზღვაზე ნაოსნობის ხასიათი დამოკიდებულია ამ სრუტეების ნაოსნობის რეჟიმზე, რომელსაც მისი მიმდებარე სახელმწიფო ამყარებდა. ამიტომ ზოგჯერ შავი ზღვა ღია იყო მსოფლიო ნაოსნობისათვის, ზოგჯერ კი შავ ზღვაზე ვაჭრობა შავიზღვისპირეთის ქვეყნებით და კონსტანტინეპოლით შემოისაზღვრებოდა.

XIII-XV სს-ში საერთაშორისო ვაჭრობაში წამყვან როლს ვენეცია და გენუა თამაშობდნენ. ბუნებრივია, ამ იტალიურმა ქალაქ-სახელმწიფოებმა თავისი პოზიციები არც შავი ზღვის აუზში დათმეს. თავდაპირველად მათ შორის ვენეცია პირველობდა, რომელიც XIII ს-ის 60-იანი წლებიდან გენუის შემდეგ მეორე ადგილზე გადავიდა. გარკვეული ადგილი XIII–XV სს-ის შავი ზღვის ვაჭრობაში თავიდანვე კიდევ ერთ იტალიურ ქალაქ-სახელმწიფოს, პიზას ეკავა.

XIII ს-ის მიწურულში კონსტანტინეპოლში თავს იყრიდნენ ვაჭრები ევროპის მრავალი ქვეყნიდან, რომლებსაც თავისი ინტერესები შავი ზღვის აუზშიც გააჩნდათ. აქ იყვნენ ვაჭრები იმ დროისათვის ისეთი შორეული ქვეყნიდან, როგორიც იყო კატალონია. აქვე იყვნენ ვაჭრები სიცილიიდან, ანკონიდან, ფლორენციიდან. იმდენად კარგად იყო ცნობილი შავი ზღვა ამ დროს დასავლეთ ევროპელ ვაჭრებისათვის, რომ გამოჩენილი მოგზაური მარკო პოლო, თავის წიგნში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ის არაფერს არ ამბობს დიდ ანუ შავ ზღვაზე და მის ნაპირებზე, რადგან ამ ნაპირებს ხშირად სტუმრობდნენ ისინი, ვინც „ჩვეულებრივ დაცურავს ზღვაზე". ასე რომ, შავი ზღვის ნაპირებზე, მათ შორის საქართველოს ზღვისპირეთში მრავალი დასავლეთ ევროპელი ვაჭარი თუ ბედის მაძიებელი ირეოდა. სწორედ მათი რელიგიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დაარსა რომის კურიამ სებასტოპოლის კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრალი.

ხმელთაშუაზღვისპირეთის ერთადერთი მუსლიმური ქვეყანა, რომლისთვისაც ამ დროს შავი ზღვა გაიხსნა, იყო მამლუქთა ეგვიპტე. ამასთან დაკავშირებით ეგვიპტის სულთანმა ბაიბარსმა ხელშეკრულება დადო ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ VIII პალეოლოგოსთან 1261-1262 წწ-ში. 1281 წ. ბიზანტიის იმპერატორმა ეგვიპტის მომდევნო სულთან კალაუნთანაც მოაწერა ასეთ ხელშეკრულებას ხელი. ამ ხელშეკრულებით ეგვიპტე უაღრესად დაინტერესებული იყო, რადგან XII ს-ის მეორე ნახევრიდან მას ცხოველი პოლიტიკურ-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდა ოქროს ურდოსთან.

XIII ს-ის მეორე ნახევრიდან, მსოფლიო ვაჭრობაში შავი ზღვის ასე განსაკუთრებული როლის გამო, დიდი მნიშვნელობა შეიძინეს იმ ქვეყნებმა, რომლებმაც ამ ზღვაზე მდებარეობდნენ, მათ შორის საქართველომაც. საქართველოში, ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ძალზე გაიზარდა ოდიშის საერისთავოს მნიშვნელობა, რომელიც XIV ს-ის დასაწყისიდან, საქართველოს ზღვისპირეთის დიდ ნაწილს აერთიანებდა.

XIV ს-ის მიჯნაზე გიორგი I დადიანი ხანიდან ოდიშის საერისთავოს საზღვრები ძალზე გაფართოვდა, უპირველეს ყოვლისა ცხუმის საერისთავოს მიერთების ხარჯზე. მის შემადგენლობაში შევიდა ცხუმი, ანაკოფია და ჩრდილო-დასავლეთით ოდიში უშუალოდ აფხაზეთის საერისთავოს გაუმეზობლდა, რომლისგანაც მას გამოჰყოფდა „ანაკოფიის

დასავლეთით მდებარე მცირე მთა, კავკასიიდან ჩამოსული ზღვამდე", როგორც ამას საგანგებოდ აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერის დროს, სადაც სწავლულ ბატონიშვილს ოდიში XIV-XV სს-ის საზღვრებში აქვს მოცემული. აქვე, ანაკოფიის (დღ. ახალი ათონის) დასავლეთით, ვახუშტის ცნობით, მოედინება „მდინარე მისი მცირე", რომელიც დღევანდელი მდ. ფსირცხა უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ ოდიშ-აფაზაზეთის საზღვარი ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით გადიოდა XVI ს-ის პირველ ნახევარშიც. ამას კარგად მოწმობს XVI ს-ის ოციანი წლების ერთი თურქი მზვერავის მოხსენებითი პატაკი თავისი ხელისუფლებისადმი, რომელშიც სამხრეთ-დასავლეთი და დასავლეთ საქართველოს აღწერილობაა მოცემული. გურიის „იქით სოხუმამდე დადიანის ქვეყანაა, — ეკითხულობთ ამ პატაკში, — იგი ძველ დროს, ნავსადგური ყოფილა. ამასთან ეშვება იალბუზის მთის კალთა, იმის იქით არის აფხაზეთის ქვეყნები". ეჭვის გარეშეა, რომ თურქი მზვერავი იალბუზის მთაში კავკასიონის ქედს გულისხმობს, ხოლო „მთის კალთაში", იმ პატარა ქედს, რომელიც უშუალოდ ზღვამდე ეშვება ძველი ანაკოფიის ჩრდილო-დასავლეთით, და რომელიც ვახუშტის ცნობით ოდიშისა და აფხაზეთის გამყოფია.

XIV ს-ში ოდიშის საერისთავო აღმოსავლეთითაც გაფართოვდა და მისმა საზღვარმა ზოგადად მდ. ტეხურიდან მდ. ცხენისწყალზე გადაინაცვლა, სამხრეთ-აღმოსავლეთით სასაზღვრო მდინარედ კვლავ რიონი იგულისხმებოდა. სინამდვილეში XIV-XV სს-ში ოდიშის ერისთავთა ხელისუფლება მდ. ცხენისწყლის აღმოსავლეთით და რიონის სამხრეთითაც ვრცელდებოდა. ოდიშის ერისთავის ხელისუფლებას აღიარებდა ჭილაძეთა ცნობილი საგვარეულო, რომელიც XVI ს-ის 60-იან წლებამდე ვრცელ მიწებს ფლობდა მდინარეების ცხენისწყლის და რიონის ორივე ნაპირზე. შემდეგ, ჭილაძეების სამფლობელოდან დარჩა საჭილაო და საჯავახო, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე დავის საგნად იქცა იმერეთის სამეფოს, ოდიშსა და გურიის სამთავროებს შორის.

XIII-XIV სს-ში საქართველოს ზღვისპირეთში სამი, სხვებზე მნიშვნელოვანი ქალაქი ბათუმი, ფოთი და ცხუმი იყო, რომელთაც დასავლეთ ევროპელები შესაბამისად ვატის, იგივე ლოვატის, ფასოს და სევასტოპოლს, სევასტოპოლისს უწოდებდნენ. აქედან ბოლო ორი საზღვაო ქალაქი ოდიშის საერისთავოში შედიოდა. ეს ძალზე ზრდიდა ოდიშის საერისთავოს მნიშვნელობას ზღვით მოსულ უცხოელთა თვალში, მით უფრო, რომ როგორც მკითხველს ახსოვს, გიორგი V საქართველოს მეფემ ოდიშის ერისთავებს დასავლეთ საქართველოს ლაშქრის მხედართმთავრობა უბოძა, რაც ადრეც ამ საგვარეულოს პრივილეგიას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ ზოგჯერ ოდიშის ერისთავები თითქმის დამოუკიდებელ მბრძანებლებად აღიქმებოდნენ, რომლებიც დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს განაგებდნენ. იშვიათად, მაგრამ მაინც, ზოგჯერ ასეთი აღქმა ოფიციალურ ხასიათს იღებდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, მამლუქთა ეგვიპტეს შეეხება.

ეგვიპტემ, როგორც მკითხველს ახსოვს, შავ ზღვაში თავისი ხომალდებით შესვლის უფლება 1261-1262 წწ-ში მიიღო, როდესაც მან პირველ რიგში ურთიერთობა ოქროს ურდოსთან დაამყარა. მალე ეგვიპტელებმა დიპლომატიური ურთიერთობა დამყარეს დასავლეთ საქართველოს მეფე დავით ნარინთან, რომლის ელჩები ზღვით ეგვიპტის სულთანს რამდენჯერმე ეწვივნენ. ამის შემდეგ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობა ძირითადად ზღვით მყარდებოდა. XIII ს-ის 80-იანი წლებიდან ეგვიპტელები ჩანან საქართველოს ზღვისპირეთში პირველ რიგში, ფოთში და როგორც ჩანს, ამ დროიდან ეყრება საფუძველი ზღვით საქართველო — ეგვიპტის ეკონომიკურ ურთიერთობასაც.

მამლუქთა სულთნები დიდ ყურადღებას აქცევდნენ საქართველოსთან საზღვაო ურთიერთობას, რადგან საქართველოს ზღვისპირეთის გასწვრივ გადიოდა ერთ-ერთი საზღვაო მარშრუტი, რომელიც კონსტანტინეპოლის გავლით ეგვიპტეს თავის ერთ-ერთ მთავარ მოკავშირესთან ოქროს ურდოსთან

აკავშირებდა. ამ სანაპიროს დიდი ნაწილი კი უშუალოდ ოდიშის ერისთავს ემორჩილებოდა. სწორედ ამიტომ, მამლუქთა სულთნებმა პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს ერისთავებთან, რაც ითასა XIV ს-ის ეგვიპტის დიდმოხელის და სწავლულის ალ მუჰიბბის ენციკლოპედიურ ნაშრომში, რომელსაც „მაღალი ტერმინოლოგიის განმარტების სრულყოფა“ ეწოდება, — „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე — დავით მეფე, რომელიც თბილისს განაგებს და დადიანი — მეფე, რომელიც განაგებს სოხუმსა და აბხასს, — წერს ეს არაბი ენციკლოპედისტი, — ყოველ მათგანთან მიმოწერის წესი ნახევარ ფურცელზეა“. აქვე ალ-მუჰიბბი აღნიშნავს, რომ ორივე მათგანს, „ქართველთა მეფეს“ უწოდებდნენ და მოჰყავს მათდამი მიმართვის წესი, რომელსაც დიპლომატიურ მიმოწერაში მამლუქთა სულთნის კანცელარია იყენებდა: „მაღალი ალლაჰი დღეგრძელ ჰყოფს, მის მეფურ უდიდებულესობას, დიადს. დიდებულს, მამაცს რაინდს, წმინდანს, მორწმუნეს, ქრისტიანული სარწმუნოების დიდებას, ქრისტიანობის სიმაყეს, აბხაზთა, ქართველთა და ჯურჯანელთა მეფეს, მეფეთა და სულტანთა მეგობარს“.

ალ-მუჰიბბი 1384 წ. გარდაიცვალა. ამიტომ „დადიანში“ ის პირველ რიგში, გულისხმობს გიორგი II დადიანს, რომელიც მისი ეგვიპტის სულთნის კანცელარიაში საქმიანობის დროს ოდიშის ერისთავი იყო.

გიორგი II დადიანის მოღვაწეობის შესახებ ქართულ საისტორიო თხზულებაში ცნობები თითქმის არ მოიპოვება. 1345 წლის ქვეშ ვახუშტის ბაგრატიონი უბრალოდ აღნიშნავს „მოკუდა დადიანი მამია ქ -სა ჩტმე, დასუა მის წილ ბრწყინვალე მეფემან გიორგიმ ძე მამია დადიანისა გიორგი დადიანად“, ხოლო 1384 წლის ქვეშ წერს, რომ „მოკუდა დადიანი გიორგი ქ'სა ჩტპდ და მიუბოძა დიდმან მეფემან ბაგრატ ძესა გიორგი დადიანისასა ვამიყს დადიანობა“. „დიდი მეფე ბაგრატი“ ამ შემთხვევაში სრულიად საქართველოს მეფე ბაგრატ V-ეა, ხოლო „ვამიყ“, იგივე ვამეყ I დადიანი.

ეგვიპტის ხელისუფლებას შემთხვევით არ დაუმყარებია პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობა გიორგი I დადიანთან, რომელსაც სრულიად საქართველოს მეფის სახელით დასავლეთ საქართველოს ლაშქრის მხედართმთავრის საპატიო მოვალეობა ჰქონდა. როგორც ირკვევა, საკუთრივ ოდიშის საერისთავოს გარდა, მას ემორჩილებოდა გურიის საერისთაო და სვანეთის საერისთავოს ერთი ნაწილი მაინც. გურიის საერისთავოს გიორგი დადიანისადმი გარკვეულ დაქვემდებარებას მოწმობს ის ფაქტი, რომ მისი ერთ-ერთი ვაჟი გურიის ერისთავად გვევლინება: „მეოხ და მფარველ ექმენ ამას სოფელსა ზედა, მერმესა მას საუკუნესა, — ვკითხულობთ ჯუმათის მთავარანგელოზის ხატის ცნობილ წარწერაში — ერისთავთ ერისთავსა დადიანსა გიორგის და მეუღლესა მათსა რუსუდანს, ძეთა მათთა მანდატურთუხუცესსა ვამეყს და გურიელს კახაბერს, რომლის ბრძანებითა მოიჭედა ხატისა თქვენისა სახე“. ამ წარწერიდან კარგად ჩანს, რომ გიორგი II დადიანმა სიცოცხლეშივე გადასცა თავის უფროს ვაჟს ვამეყს, ბუნებრივია, საქართველოს მეფის თანხმობით, მანდატურთუხუცესობა და ალბათ ოდიშის საერისთავოს მართვა-გამგებლობაც, ხოლო მეორე ვაჟი, კახაბერი, ასევე სრულიად საქართველოს მეფის თანხმობით, გურიის ერისთავად დასვა. ასე რომ, XV ს-ის II ნახევრიდან გურიის ერისთავთა და შემდეგ მთავართა საგვარეულო დადიანთა საგვარეულოს განშტოებას წარმოადგენს.

გურიაზე ადრე დადიანები სვანეთში დამკვიდრებულან.

XI-XIII სს-ში სვანეთის საერისთავოს ვარდანიძეთა ცნობილი საგვარეულო განაგებდა. სვანეთის უკანასკნელი ერისთავი ამ საგვარეულოდან 1273-1305 წლებით დათარიღებულ ჯვრის მონასტრის ერთ აღაპში გვხვდება. „აღაპი სუანთა ერისთუსა ვარდანის ძისა მსახურთ უხუცესისა არიშიანისა, — ვკითხულობთ ჯვრის მონასტრის აღაპებში, — მოგუცა ათას ხუთასი თეთრი მას ჟამსა, ოდეს ჯუარის მონასტერი სპარსთა დამჭირვით ქონდა“. ვახუშტი ბაგრატიონი ვარდანიძეების საგვარეულოსათვის სვანეთის საერისთავოს ჩამოერთვა საქართველოს მეფის ბაგრატ V-ის (1360-1393) ხანას უკავშირებს. კერძოდ სვანთა იმ აჯანყებას, რომელიც ვახუშტის ცნობით, მისი მეფობის მეორე, 1361 წელს მოხდა. „ხოლო იტყუნ, — აგრძელებს სწავლული ბატონიშვილი აჯანყების ჩაქრობის ისტორიის შემდეგ თხრობას, — მაშინ იყო ერისთავი სუანთა ვარდანისძეკე, შეიპყრა იგი მეფემან და პატიმარ ჰყო. შემდგომაც რაოდენთამე ჟამთა შეიწყალა და მისცა გურია საერისთავოდ და სუანთა ერისთავად

დასუა სხუა, რომელსა იტყჷან გელოვანსა". როგორც ვხედავთ, ჩვენი ისტორიკოსი ერთგვარად ეჭვით უყურებდა მისთვის მიწოდებულ ამ ცნობას და ეჭვის მიზეზი კი მას აშკარად ეჭნებოდა. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ XV ს-ის 60-70-იან წლებში, როგორც ენახეთ, გურიის ერისთავად გიორგი II დადიანის ვაჟი კახაბერი ჩანს. ამავე დროს უნდა გავიხსენოთ თავის დროზე სვანეთში, სოფელ ლაჰილში დაცული გაბრიელ მთავარანგელოზის ხატის წარწერა: „წმიდაო მთავარანგელოზო მუხერისაო, ხელთუქმარო, ადიდენ მეფენი ბაგრატოვანნი, და დადიანი და დიდებულნი და ერთობილი საქართველო, და ერთობილნი სუანნი და ხევი ლატალისა და აღაშენე მაშენებელი შენი სოფელი ლაილისა". ეს წარწერა ზოგადად XIII საუკუნის ბოლოსა და XIV ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება. აქ აშკარად ჩანს, რომ დადიანთა საგვარეულოს გარკვეული უფლებები გააჩნია სვანეთის საერისთაოზე. ასე რომ ვარდანისძეების საგვარეულო საქართველოს მეფეებს სვანეთის საერისთაოდან გურიაში, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოცემულ თარიღზე რამდენიმე ათეული წლით ადრე უნდა გადაეყვანათ. ამის შემდეგ სვანეთის ერისთავობა გადაეიდა დადიანთა საგვარეულოს ერთ-ერთი შტოს ხელში. გელოვანები კი სვანეთის, უფრო ზუსტად ქვემო სვანეთის ერისთავები, ერისთავებად 1361 წლის, ერთი საუკუნის შემდგომი ხანიდან გვხვდებიან.

როგორც ირკვევა დადიანთა სვანური შტო, რომელმაც მალე გამოიცვალა საგვარეულო სახელები, მთლიანად არ მოწყვეტილა ოდიშის საერისთავოს. ამას მოწმობს ის წერილობითი წყაროები, რომლებიც დადიანთა სვანური შტოს შესახებ მოგვეპოვება.

ერთ-ერთი ასეთი წერილობითი წყაროა ე.წ. „დაწერილი ხაეიგ დადიანის ქურაშის მთავარმოწამისადმი", სადაც ხაეიგი „ერისთავთ-ერისთავის" და დადიანებისათვის დამახასიათებელი „მანდატურთუხუცესის" ტიტულით მოიხსენებს თავის თავს. ოდიშისადმი უფრო აშკარა კავშირის დამადასტურებელია მისი მეორე „დაწერილი" უკვე სეტის მთავარმოწამისადმი.

1445-1452 წლებით ათარიღებენ დანიელ ცაიშელი მთავარეპისკოპოსის სიგელს ლაბსყალდაშისადმი, სადაც დადიანთა სვანური შტოს მეორე წარმომადგენელი გვხვდება.. „სახელითა ღმრთისაითა, ცაიშის ღმრთისმშობელისათა, თვესა სეკდემბერსა ათუთხმეტსა, მე ცაიშელი მთავარეპისკოპოსი დანიელი, — ეკითხულობთ ამ დაწერილში, — ლაბსაყალდასა მოვედი, ეაკურთხე მთავარ ანგელოზი ლაბსყალდაშისა.. ერისთავ-ერისთავის დადიანის ოზბეგის ბრძანებით.. დაუწერეთ მთავარანგელოზსა ლაბსყალდაშისა საპატიჟოი.. მეფეთ, დადიანის ბრძანებით ეინც გაამგროს კურთხეული არს". დღემდე მოაღწია ამ დადიანის საფლავის ქვის ფილამ, რომელიც აღმოჩნდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს (ძველი ჭალას) ეკლესიის ნანგრევებში. „ერისთავთ ერისთავი მანდატურთუხუცეს დადიანს ოზბეგს შეუნდვენ ღმერთმან" — ეკითხულობთ ამ ეპიტაფიაში. ოზბეგ დადიანის საფლავის ქვის აღმოჩენა ძველ ჭალაში სრულებითაც არაა შემთხვევითი. როგორც ჩანს, დადიანთა სვანურმა შტომ შეინარჩუნა თავისი ძირძველი ყმა-მამული ოდიშში. საფიქრებელია, რომ სვანეთის დადიანები ცნობდნენ დადიანთა მთავარი შტოს უპირატესობას და სრულიად საქართველოს მეფეების შემდეგ ოდიშის ერისთავთა, პირველ რიგში, მამია I დადიანის, გიორგი II დადიანის და მათი უშუალო მემკვიდრეების უზენაესობასაც აღიარებდნენ.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ვახუშტი ბაგრატიონი მხოლოდ გიორგი II დადიანი გაერისთავების და გარდაცვალების თარიღების გადმოცემით იზღუდება. ცოტა მეტი ცნობები შეიძლება მოვიპოვოთ დოკუმენტურ ქართულ საისტორიო წყაროებში. როგორც ირკვევა, გიორგი II დადიანს დიდი ამაგი მიუძღვის ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს მეფის ბაგრატ III-ის (978-1014) ხანაში აგებული ბედიის ტაძრისადმი, რომელსაც დიდი რესტავრაცია განიცადა XV ს-ის პირველ ნახევარში. ამ ტაძარში და საერთოდ ბედიის სამონასტრო კომპლექსში განახლების სამუშაოები ჯერ კიდევ დავით ნარინის ძის კონსტანტინე დასავლეთ საქართველოს მეფის ხანაში დაწყებულა, რასაც მოწმობს, აქ შემორჩენილი ლაპიდარული წარწერა: „ქრისტე ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე კოსტანტინე, ძე დავითისა ამენ". სამუშაოები დიდხანს გაგრძელებულა და მხოლოდ გიორგი II დადიანის ხანაში დასრულებულა. სწორედ ამიტომ გიორგი II დადიანის ფრესკა მის მეუღლის ფრესკასთან ერთად, როგორც ამ ტაძრის ქტიტორების, ანუ იმ პირების, ვის ხარჯზე მოირთო იგი, მოცემულია ბედიის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე შესაბამისი წარწერებით: „დედოფალთ დედოფალი მარიხ," „ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი დადიანი გიორგი."

გიორგი II დადიანს დიდი დამსახურება ჰქონდა იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის წინაშე. ამას მოწმობს ის აღაპი, რომელიც აქ მისი სულის სახსენებლად დაუწესებიათ.

მკითხველმა უკვე იცის, რომ გიორგი II დადიანის გარდაცვალების შემდეგ ოდიშის ერისთავად საქართველოს მეფემ მისი ძე ვამეყ I დასვა.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ვამეყ I დადიანს დიდი დამსახურება გააჩნდა საქართველოს ერთიანობის შენარჩუნების საქმეში. საქმე ისაა, რომ გიორგი ბრწყინვალის მიერ დასავლეთქართული სახელმწიფოს შეერთების შემდეგ, სრულიად საქართველოს სამეფო კარი იძულებული გახდა დროდადრო დასავლეთ საქართველოში სამეფო ოჯახიდან მეფის ნაცვალი გაეგზავნა. ცენტრში ვითარების გამწვავების შემთხვევაში ასეთი მეფინაცვლები სეპარატისტულ განწყობაზე დგებოდნენ და დამოუკიდებული დასავლურ-ქართული სახელმწიფოს აღდგენას ცდილობდნენ. ერთ-ერთი ასეთი მეფისნაცვალი იყო გიორგი, რომელმაც ისარგებლა თემურ-ლენგის პირველი ლაშქრობით საქართველოში, „უმეტესად დაიპყრო იმერეთი“ და დასავლეთ საქართველოს ერისთავების დამორჩილებას შეეცადა.„ამისათჳს განიზრახა ამან გიორგი ბრძოლა ვამიყ დადიანისა,-წერს ჩვენი ისტორიკოსი,-რამეთუ უკეთუ სძლოს და დაიმორჩილოს იგი, სხუანიცა ყოველნი დაიპყროს.“ ამისათვის გიორგი თავისი ლაშქრით ოდიშს გაემართა, მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში „ჩტჟბ“ ანუ 1392 წელს დამარცხდა და ბრძოლაში დაიღუპა.

ერთიანი საქართველოს ინტერესებთან ერთად დადიანს საკუთარი ინტერესებიც ამოძრავებდა. დამოუკიდებელი დას. საქართველოს სამეფოს აღდგენის შემთხვევაში იგი დაკარგავდა იმ უპირატესობას, რაც გიორგი ბრწყინვალის ხანიდან ოდიშის ერისთავებს დასავლეთ საქართველოში გააჩნდათ. ეს, როგორც მკითხველმა უკვე იცის, პირველ რიგში დასავლეთ საქართველოდან გამოყვანილი ლაშქრის მხედართმთავრობა იყო.

ვამეყ I დადიანი რეალურად წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს ლაშქრის მხედართმთავარს და საფიქრებელია ამ ლაშქრით მან მოაწყო ლაშქრობა ისეთ შედარებით შორეულ მხარეში, როგორსაც ამ დროისათვის, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდებარე ჯიქეთი წარმოადგენდა. ამ ლაშქრობის შესახებ ცნობას ვამეყ I დადიანის დროს აგებული ხობის მონასტრის სამხრეთის მინაშენის ფასადზე მისივე თაოსნობით ამოკვეთილი ლაპიდარული წარწერა იძლევა. „სახელითა ღვთისაჲთა ერისთავთ ერისთავმან და მანდატურთ უხუცესმან დადიანმან ვამეყ, – ეკითხულობთ ამ წარწერაში, – მამისა ჩვენისა პატრონისა ერისთავთ-ერისთავისა დადიანისა გიორგისა შედეგად მიუხდა ჯიქეთს, ურწმუნოებისა და ორგულობისათვის, რათამცა მოემსახურა და სძლო და შეურაცხ და უხმარ იქმნა მათი სიმაგრენი, გაგარი და უღაღნი, ყოველნივე ძალით მოირჭუნა, მრავალთა ჯიქეთისა პატრონთაგან მიუვალი მოარბივნა, რაოდენნი მათი მძევალნი წარმოასხნა და სხვანი აოტნა, და მაშინ მოიღო სვეტნი და ფიქალნი ესენი მარმარილოსანი და მამათ დედათა ლარნაკი და მისი და მარეხ გააერთა. საუკუნომც არს ხსენება მათი“.

თავისი წარწერით ოდიშის ერისთავი გვამცნობს, რომ მან ჯიქეთის, როგორც მიუვალი, ისე ადვილად მისადგომი ადგილები დაარბია, ჯიქეთის ზოგიერთი წარჩინებული დაიმორჩილა და მძევლები ჩამოართვა. ხოლო დაუმორჩილებელი ფეოდალები ჯიქეთიდან გააძევა. მარმარილოს „სვეტნი და ფიქალნი“, ვამეყ I დადიანმა ნაწილობრივ წარმართობაში გადასულ ჯიქებისაგან მიტოვებულ ქრისტიანული ეკლესიებიდან წამოიღო, რაც „ურჯულობაში“ გადასულ მხარიდან ქრისტიანული მღვდელმსახურების ნივთების წამოღების თავისებურ ფორმას წარმოადგენდა. გვიან შუასაუკუნეებში ეს მოვლენა

კიდევ უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, როდესაც წარმართობაში თუ მუსლიმობაში გადასული საქართველოს მხარეებიდან მრავალი საეკლესიო ნივთი თუ ხელნაწერი გადმოიტანეს ცენტრალური საქართველოს ეკლესია-მონასტრებში.

ოდიშში, მდ. ჭანისწყალის ნაპირზე დგას წალენჯიხის ცნობილი ტაძარი. თავის დროზე ამ ეკლესიის ფრესკებით შემკობა სწორედ ოდიშის ამ ერისთავის ინიციატივით მომხდარა, თანაც მხატვრად საგანგებოდ მოუწვევიათ კონსტანტინეპოლელი მხატვარი. ამაზე მეტყველებს ის სამი ფრესკული წარწერა, რომლებმაც დღემდე მოაღწიეს.

„ქრისტე წარეგზავნეთ მაცხოვრისა შეწევნითა კონსტანტინეპოელს — ეკითხულობთ წალენჯიხის ტაძრის გუმბათის საყრდენ ჩრდილო-დასავლეთ სვეტის ასომთავრულ წარწერაში, — და მოვიყვანეთ მხატვარი ესე კირ მანუელ ჩვენ მახარობელი ქეაბალია და ანდრონიკე გაბისულავა და ეგვედრებით მაცხოვარსა რათა გვიხსნას ჩვენცა დღესა მას განკითხვისასა". მეორე სამხრეთ-დასავლეთ სვეტის ასომთავრულ წარწერაში ეკითხულობთ: „ქრისტე პატრონისა ერისთავთ ერისთავისა და მანდატურთუხუცესისა ბრძანებითა მოვედი კონსტანტინეპოელით მხატვარი კირ მანუელ ევგენიკოსი და დავხატე ესე ეკლესია შეწევნითა ღმერთისათა". იქვე არის ბერძნული წარწერა, რომელიც ასევე ბერძენი მხატვრის სახელითაა შესრულებული: „ქრისტე ვედრება ღვთის მონისა და ცოდვილის მანუელ ევგენიკოსა, — ეკითხულობთ ამ ბერძნულ წარწერაში — მხატვრისა, რომელმაც აღმართა ეს ტაძარი, როდესაც მოვიდა კონსტანტინეპოლიდან, სადაც მონაზვნები გაგზავნა ერისთავთ-ერისთავმა რომლის სახელია ვამეყ, სახელებია მათი ქობალია მახარებელი და ანდრონიკე გაბისულავა და ეს მხატვრობა ჩემი, ყველა ქრისტიანთა შორის ცოდვილისა შეიწყნარე".

წალენჯიხის ვამეყ I დადიანის დროს მოხატული ფრესკები მოწმობს მხატვრის დიდ ნიჭს და მაღალ პროფესიონალიზმს. ასე რომ ოდიშის ერისთავის კარზე საკმაოდ ზუსტი წარმოდგენა ჰქონდათ კონსტანტინეპოლის კულტურულ ცხოვრებაზე და აქედან წარგზავნილებმა მახარობელ ქობალიამ და ანდრონიკე გაბისულავამ კარგად იცოდნენ რომელი, ან რა დონის მხატვარი უნდა მოეწვიათ.

ქვეყნის კულტურულ ცხოვრებასთან ერთად ვამეყ I დადიანი დიდ ყურადღებას აქცევდა ეკონომიკის განვითარებას. აღსანიშნავია რომ მისი სახელით ფულიც იჭრებოდა.

ვამეყ I დადიანი, ვახუშტის ცნობით, 1396 წელს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია მის მიერ აგებულ, ზემოთხსენებულ ხობის ტაძრის სამხრეთ მინაშენში, იგივე აკლდამაში, სადაც მის მიერვე დაკრძალული დედ-მამისა და მეუღლის გვერდით ჰპოვა საუკუნო განსვენება. აღსანიშნავია, რომ ეს ეკვდერი შიგნით პალეოლოგოსების სკოლისათვის დამახასიათებელი სტილით მოუხატავთ. ოდიშის დადიანების საგვარეულოდან ხობის ტაძარში მხოლოდ გიორგი II და ვამეყ I დადიანებია თავისი მეუღლეებით დაკრძალული. XVI ს-იდან კი წალენჯიხის ტაძარი დადიანთა საგვარეულოს საძვალედ გადაიქცა. XII-XV სს-ში დადიანთა საგვარეულოს წარმომადგენლები, როგორც ჩანს, ობუჯში იმარხებოდნენ.

ოდიშის საერისთავო, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი, გადაურჩა თემურლენგის 1386-1403 წლების რვა დამანგრეველ შემოსევას საქართველოში. ამიტომ ოდიშის ახალი ერისთავი, ვამეყ I-ის ძე მამია დადიანი, როგორც ჩანს საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდა თავს. იგი ვახუშტის ცნობით მამის სიკვდილის შემდეგ 1396 წ. დაეუფლა საერისთავოს. მას არ შეუცვლია თავისი წინამორბედი ოდიშის ერისთავთა დამოკიდებულება ცენტრალური ხელისუფლებისადმი და მათსავით ებრძოდა დასავლურ ქართული სამეფოს აღდგენის ყოველგვარ მცდელობას. კერძოდ, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, მამია II დადიანი დაეხმარა გიორგი VII-ს დასავლეთ საქართველოში ახალ პრეტენდენტთან დიმიტრი ერისთავთან ბრძოლაში. როგორც ჩანს მამია II დადიანი სათავეში ედგა დასავლეთ საქართველოს ლაშქარს, რომელიც დიმიტრი ერისთავს ებრძოდა.

ამის შემდეგ მამია II დადიანი მხოლოდ სრულიად საქართველოს მეფის ალექსანდრე I (1412-1442) ხანაში ჩანს. როგორც ირკვევა, ოდიშის ერისთავმა გადაწყვიტა ესარგებლა ალექსანდრე I-ის მეფობის პირველ წლებში შექმნილი ვითარებით და აფხაზეთის საერისთავო უშუალოდ დაემორჩილებინა. „არამედ იხილა რა მამია დადიანმა ესევითარებანი, — წერს ვახუშტი ბაგრატიონი, — ინება დამორჩილება აფხაზთა. შეკრიბნა სპანი ოდიშარნი მეგრელნი და წარვიდა, მისრულს აფხაზეთს ეწყო შარვაშიძე აფხაზით სიმაგრით გამო. მოსწყუდნეს მეგრელნი და მოკლეს დადიანი მამია და ნეშტნი სპანი აოტნეს და ლტოლვილნი მოვიდნენ ოდიშს“. თავის თხზულებაში მამია II დადიანის აფხაზეთში დაღუპვას ჩვენი ისტორიკოსი „ჩუიდ“ ანუ 1414 წლით ათარიღებს.

მამია II დადიანის დაღუპვამ საქართველოს სამეფო კარი ძალზე შეაშფოთა. მან, პირველ რიგში, დასავლეთ საქართველოში ატეხილ შინა ომში ქვეყნის ერთიანობისათვის საფრთხე დაინახა.

როგორც ცნობილია, ყველა, მათ შორის ოდიშის ერისთავი, სამეფო ხელისუფლებას წარმოადგენდა თავის საერისთავოში. მას ევალებოდა სამეფო გადასახადის აკრეფა, ექვემდებარებოდა ადგილობრივი სამართალი და საჭირო შემთხვევაში გამოჰყავდა საერისთავოს ლაშქარი. ერისთავს მეფის კურთხევის დროს „ძღვნითა პატივისცემა“ ევალებოდა.უეჭველია, გიორგი I დადიანის ხანიდან, ოდიშის ერისთავებს ბევრად მეტი დამოუკიდებლობა გააჩნდათ, ვიდრე ეს კლასიკური გაგებით საქართველოს მეფის ერისთავებს ეკუთვნოდათ. ისინი, როგორც ვნახეთ, ზოგჯერ დამოუკიდებლად ატარებდნენ პირდაპირ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს უცხო ქვეყნებთან. მაგრამ მათ არ გააჩნდათ დამოუკიდებელი მმართველისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი: ცენტრალური ხელისუფლების ნებართვის გარეშე დაეწყოთ საომარი მოქმედებანი მეზობელ მხარეებთან თუ შორეულ ქვეყნებთან. ალექსანდრე I-მა მამია II დადიანის ცდაში დაეპყრო აფხაზეთის საერისთავო, პირველ რიგში, ერისთავის მიერ ცენტრალური ხელისუფლებიდან საომარი მოქმედების დაწყების პრეროგატივის მითვისება დაინახა და სასწრაფოდ შესაბამისი ზომები მიიღო. სრულიად საქართველოს მეფე თავისი ლაშქრით დასავლეთ საქართველოში გადმოვიდა და ოდიშში შემოვიდა. „შთასრულსა ოდიშს მიეგება მეფესა ძე მამია დადიანის ლიპარიტ და ითხოვდა შენდობასა, უკეთუ სცოდა რაჲ მამამან მისმან და არა რაჲ ავნო გარნა ლიპარიტ აღიყვანა პატივსა მამისასა. მერმე წარვიდა აფხაზეთს და წარიყვანა ლიპარიტ დადიანი, მოეგება შარვაშიძე და დაემორჩილა ბრძანებასა მისსა, ვითარცა პირველთა მეფეთათა“.

როგორც ეხედავთ, ლიპარიტ I დადიანი 1414 წ. დასვა ალექსანდრე I საქართველოს მეფემ ოდიშის ერისთავად. ახალ ერისთავს ხანგრძლივი მმართველობა არგუნა ღმერთმა. იგი მოესწრო ალექსანდრე I-ის ტახტიდან გადადგომას და მის ნაცვლად ტახტზე ვახტანგ III (1442-1446) ასვლას და შემდეგ ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი VIII (1446-1466) მღელვარე ეპოქას.

ლიპარიტ I დადიანის ხანაში სიმშვიდე ხშირად საქართველოს ზღვისპირეთშიც ირღვეოდა.

1445 წლის აპრილში ბურგუნდიელთა ესკადრა, რომელიც ბალკანეთში ოსმალებთან მებრძოლი ჯვაროსნების დასახმარებლად მიისწრაფოდა, შავ ზღვაში შემოვიდა. ესკადრამ დააგვიანა, რადგან ჯვაროსნებმა უკვე წინა 1444 წ. განიცადეს კატასტროფული მარცხი ვარნასთან. ამიტომ ბურგუნდიელებმა შავ ზღვაზე მეკობრეობა დაიწყეს. ბურგუნდიელების ერთი სამხედრო გემი, ვინმე ჟოფრე დე ტუაზის მეთაურობით, ბათუმს მიადგა, დესანტი გადმოსხა, რომელიც ქალაქის აღებას შეეცადა. იმავე საღამოს ქალაქის დასაცავად „პატონი გურიელი“ მოვიდა თავისი ექვსასკაციანი რაზმით. გადამწყვეტ ბრძოლაში ბურგუნდიელები სასტიკად დამარცხდნენ, ხოლო მათი წინამძღოლი ტყვედ ჩავარდა. ბურგუნდიელმა მთელი მაისის თვე ტყვეობაში გაატარა, სადაც მას „მეგრელები“ კარგად ეპყრობოდნენ. ბოლოს

ჟოფრე დე ტუაზმა ფიცი დადო, რომ ბურგუნდიელების კატარღები აღარ დაესხმებოდნენ ამ ქვეყანას (საქართველოს) და „მეგრელებმაც“ საპატიო ტყვე უვნებლად გაუშვეს.

ლიპარიტ I დადიანის ხანაში ოდიშის სანაპიროს თურქ-ოსმალეთის ფლოტი დაესხა. 1454 წ. ოსმალებს დაუწვავთ ცხუმის ნავსადგურში მდგარი გენუელთა ერთი ხომალდი, ხოლო მეორე თან წაუსხამთ. ცხუმის მოსახლეობის ერთი ნაწილი, მათ შორის იყვნენ გენუელი ვაჭრებიც, ოსმალებს ტყვედ წაუყვანიათ, ნაწილმა კი გაქცევით უშველა თავს. თურქების ფლოტის წასვლას ცხუმის მოსახლეობისათვის სიმშვიდე არ მოუტანია. ერთ-ერთი თვითმხილველი იტალიელის ცნობით ქალაქს მოულოდნელად აფხაზები დასხმიან თავს და „მოსახლეობა მთლიანად გაიქცა. აფხაზებს სურდათ უმეტესობა ტყვედ წავეყვანეთ“.

როგორც ცნობილია, კონსტანტინოპოლი თურქ-ოსმალებმა 1453 წლის 29 მაისს აიღეს. ამით მათ ბოლო მოუღეს ათასწლოვან ბიზანტიის იმპერიას. ამის შემდეგ კაცობრიობის ისტორიაში ფაქტობრივად ახალი ეპოქა დადგა.

5.2. ოდიშის საერისთავო XV-XVI სს.

ბიზანტიის დაცემამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა იმდროინდელ მსოფლიოში. რომის კათოლიკური ეკლესიის თაოსნობით დაიწყო მძლავრი ანტითურქული კოალიციის შექმნის დიპლომატიური მომზადება. ამ მიზნით რომის პაპის ელჩი ლუდოვიკო ბოლონიელი 1456-1460 წლებში ორჯერ გამოემგზავრა აღმოსავლეთში და მოახერხა აღმოსავლეთის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს დათანხმება მონაწილეობა მიეღოთ თურქების წინააღმდეგ საერთო ბრძოლაში. 1460 წ. აღმოსავლეთის ქვეყნების ელჩები ლუდოვიკო ბოლონიელის თაოსნობით და წინამძღოლობით რეალური მოლაპარაკების მიზნით საქართველოსა და უნგრეთის გავლით დასავლეთ ევროპაში გაემგზავრნენ. რომის პაპის წარმომადგენლებს თან ახლდნენ ირანის მბრძანებლის უზუნ ჰასანის, საქართველოს მეფე გიორგი VIII-ის, სამცხის ათაბაგის ყვარყვარეს, ტრაპიზონის კეისრის, კილიკიის სომხეთის მეფის ელჩები. ელჩებს საზეიმო მიღება დასავლეთ ევროპის მრავალი მბრძანებლის კარზე გაუმართეს, მაგრამ მომავალ ანტითურქულ კოალიციაში მონაწილეობის მიღების მზადყოფნა მათ შორის ფაქტობრივად არავის გამოუთქვამს. ასე რომ ანტიოსმალური კოალიციის მოწყობის ცდა ამჯერად ჩაიშალა და თურქებმა კვლავინდებურად გააგრძელეს თავიანთი ძლევამოსილი ომები.

ამ არშემდგარი კოალიციის ირგვლივ საკმაოდ დიდი მასალაა შემორჩენილი. ამის საფუძველზე კარგად ირკვევა, რომ არშემდგარ ანტითურქულ კოალიციაში მონაწილეობის დიდი სურვილი ლიპარიტ I დადიანსაც გააჩნდა.

იმდროინდელი საქართველოს ყველა ერისთავს, რომლებიც ამ დროს საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდნენ თავს, დასავლეთ ევროპაში საკუთარი ელჩები არ გაუგზავნიათ და თავიანთ წარმომადგენლად, როგორც ჩანს სრულიად საქართველოს ელჩს თვლიდნენ. მათ შორის იყო „რაბია აფხაზეთის დუკა“, „მანია“ იგივე მამია „გურიის მარკიზი“, „ბაგრატი“ „იბერების“ იგივე იმერების „მეფე“ და ოდიშის ერისთავი.

როგორც უკვე აღინიშნა, დადიანის საგვარეულოს XIII-XV სს-ის იტალიელები „ბედიანის“ — „ბედიანოს“ უწოდებდნენ. ანტითურქულ კოალიციასთან დაკავშირებულ მიმოწერაში ოდიშის ერისთავს ზოგჯერ უბრალოდ „სამეგრელოს მეფედ“ მოიხსენიებენ, ზოგჯერ „ბედიან“-ს „სამეგრელოს მეფეს“ უწოდებენ. ამ კოალიციასთან დაკავშირებით ტრაპიზონის კეისრის წერილში მოხსენიებულია „სამეგრელოს მეფე ბედიანი თავისი შვილით“, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნების ელჩების მიმართვაში რომის პაპისადმი, მას უკვე „სამეგრელოს და აფხაზეთის მეფე“ ეწოდება. მხოლოდ ერთ ადგილას 1460

წლის ყვარყვარე ათაბაგის წერილში ვენეციის დოჟისადმი „თურქების წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობის შესახებ“ ოდიშის ერისთავის საკუთარი სახელიცაა მოცემული, თუმცა მცირეოდენი დამახინჯებით. „დე ცნობილი იყოს თქვენი ბრწყინვალებისათვის, რომ მე შევურიგდი მეფე გიორგის, – ატყობინებს ათაბაგი ვენეციის დოჟს, – განსვენებული ალექსანდრეს შვილს, ბაგრატს, საქართველოში ქუთაისის მეფეს, და ბედიანს ხანს ლიპარიტს, მთელი სამეგრელოს ბატონს“. ეჭვის გარეშეა, რომ „ხანი ლიპარიტი“ იგივე ოდიშის ერისთავი ლიპარიტ I დადიანია.

მიმოწერაში მოხსენიებული ბედიანის „შვილი“ უნდა იყოს შამადავლე დადიანი, რომელმაც მამის სიკვდილის შემდეგ მიიღო ოდიშის ერისთავობა. საფიქრებელია, რომ შამადავლე, ლიპარიტ I დადიანის მმართველობის ბოლო პერიოდში, უშუალო მონაწილეობას იღებდა საერისთავოს მართვა-გამგებლობაში; სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს „ბედიანის შვილის“ მოხსენიება ანტიოსმალური კოალიციის გეგმებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ დოკუმენტში.

ანტითურქული კოალიციის მოწყობის გეგმების ჩაშლამ, კიდევ უფრო გაამძაფრა შინა წინააღმდეგობანი საქართველოში. საფრთხე დაემუქრა ერთიანი ქართული სახელმწიფოს არსებობას, რომელიც 1442 წელს ალექსანდრე I-ს გადადგომის შემდეგ, მხოლოდ გარეგნულად თუ ახერხებდა თავისი ერთიანობის შენარჩუნებას.

შინა ომი სამცხის ათაბაგმა ყვარყვარემ წამოიწყო, რომელმაც ერთიანი საქართველოს მეფის წინააღმდეგ ირანის მბრძანებელი მოიწვია. შემდეგ გიორგი VIII-ის წინააღმდეგ ხსენებული „ქუთაისის მეფე“ ანუ დასავლეთ საქართველოში საქართველოს მეფის ნაცვალი ბაგრატი გამოვიდა, რომელიც ალექსანდრე I საქართველოს მეფის საკუთარი ან კიდევ ძმის შვილიშვილი იყო. ბაგრატმა 1462 წ. ჩიხორთან საქართველოს მეფე დაამარცხა და თავი დასავლეთ საქართველოს მეფედ გამოაცხადა. წინასწარ ის დიდ დათმობაზე წასულა დასავლეთ საქართველოს ერისთავების მიმართ და მთელი რიგი პრივილეგიები უბოძებია, რომელიც კიდევ უფრო ზრდიდა მათ ისედაც მზარდ დამოუკიდებლობას სამეფო ხელისუფლებისაგან. „მოერთნენ დადიან-გურიელ-აფხაზნი და სუანნი და აკურთხეს, სრულიად იმერთა სათნო ჩინებითა მეფედ, – წერს ვახუშტი ბაგრატიონი, – ამისთჳს აღსრულდა მთავართა მათ აღთქმული და განთავისუფლდნენ, თჳნიერ ლაშქრობისა და ქუეგანწესებისა მეფისა“.

1465 წ. სამცხის ათაბაგმა გიორგი VIII დაატყვევა. ამით ისარგებლა ბაგრატ მეფემ, 1466 წ. აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და თავი სრულიად საქართველოს მეფედ გამოაცხადა. იგი საქართველოს ისტორიაში ბაგრატ VI სახელით შევიდა. ამის შემდეგ ყვარყვარე ათაბაგმა გიორგი VIII გაანთავისუფლა, რომელიც კახეთში გადავიდა და კახეთის სამეფოს ჩაუყარა საფუძველი. სრულიად დამოუკიდებლად გრძნობს თავს სამცხის საათაბაგოც. ასე რომ ბაგრატ VI (1466-1478) მართალია, თავს სრულიად საქართველოს მეფედ თვლიდა, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ დასავლეთ საქართველოს, აგრეთვე შიდა და ქვემო ქართლს – მომავალ ქართლის სამეფოს, განაგებდა. მის ქვეშევრდომს წარმოადგენდა ლიპარიტ I დადიანიც.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ლიპარიტ I დადიანი „ჩუო“ ანუ 1470 წელს გარდაიცვალა და მის ნაცვლად „დაჯდა ნებითა ბაგრატ მეფისათა ძე მისი შამანდავლა“, ანუ შამადავლე.

საეკლესიო სამართლის ცნობილ ძეგლში, რომელსაც „მცნებაი სასჯულო“ ეწოდება, საერო პირებს შორის ბაგრატ VI-თან ერთად მხოლოდ „დიდი ერისთავთ-ერისთავი დადიან-გურიელი შამადავლა“ გვხვდება. „დადიან-გურიელად“ არის მოხსენიებული ოდიშის ერისთავი, აგრეთვე აფხაზეთის კათალიკოსისადმი მიცემულ ერთ სიგელში, ხოლო ბედიის ერთი ხატის წარწერაში „დადიან-გურიელი შამადავლა“ თავის მეუღლესთან ერთად არის მოხსენიებული.

უფრო დიდი ტიტული აქვს ოდიშის ერისთავს ლაფსყალდის მთავარანგელოზის ხატის წარწერაში: „მეოხ და მფარველ ექმენ დადიან-გურიელს, სვანთა ერისთავს, მანდატურთუხუცესსა შამადავლეს“.

ვახუშტის ცნობით შამადავლე დადიანი 1474 წ. გარდაიცვალა. მის შემდეგ „დაჯდა ბიძამისი ვამიყ დადიანი სათნოთივე ბაგრატ მეფისა“.

აქ მოხსენიებული ვამიყ დადიანი იგივე ვამეყ II დადიანია. ბაგრატ მეფის „სათნოება“ ამ შემთხვევაში ალბათ პირდაპირ სამხედრო ჩარევაში გამოიხატებოდა, რის შედეგად შამადავლე დადიანის ნაცვლად, უკვე კარგად დამყარებული წესის საწინააღმდეგოდ ერისთავის ვაჟის ნაცვლად მისი ბიძა გახდა ოდიშის ერისთავი. ირკვევა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი სავსებით სწორედ გადმოგვცემს ვამეყ II დადიანის გაერისთავების დროს შექმნილ ვითარებას, თუმცა მისი გაერისთავების თარიღი სწავლულ ბატონიშვილს ზუსტად არ უნდა ჰქონდეს მოცემული. ამას მოწმობს ამბროჯიო კონტარინი, რომელიც ირანიდან სამშობლოში უკნა გზაზე კვლავ საქართველოში მოხვდა. შამადავლე დადიანი გარდაიცვალა არა 1474 წ. არამედ 1475 წლის პირველ ნახევარში. „22 ივლისს მივედით სამეგრელოს საზღვარზე — წერს იტალიელი ელჩი, — სადაც შეგვხვდა რაზმის მეთაური რამდენიმე ქვეითისა და ცხენოსნის ჯარისკაცით. ეს რაზმის მეთაური მეფისაგან იყო გაგზავნილი სამეგრელოში. იმ უწესრიგობის გამო, რომელიც მომხდარიყო იმ დროს სამეგრელოს მთავრის ბედიანის სიკვდილის გამო“.

ვენეციის ელჩი ფოთისა და კაფას გავლით სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა. ივლისის ბოლოს იგი უკვე ფოთში იყო. აქ მან შეიტყო, რომ კაფა ოსმალებს აელოთ. ამ ცნობამ ამბროჯიო კონტარინი იძულებული გახადა თანმხლებ პირებთან ერთად მთლიანად შეეცვალა თავისი მარშრუტი. იტალიელმა მოგზაურმა თურქების მიერ კაფის აღება აღიქვა, როგორც დიდი უბედურება, როგორც ძველი ეპოქის დასასრული შავიზღვისპირეთში. სინამდვილეში ეს მართლაც ასე იყო. ოსმალთა მიერ კაფას დაპყრობით დასრულდა ის დიდი ეპოქა, რომელიც შავი ზღვის ვაჭრობაში დაიწყო XIII-ს პირველ ნახევარში, როცა შავი ზღვა გაიხსნა მსოფლიო ვაჭრობისათვის.

XIII-XV სს შავიზღვისპირეთში ზოგჯერ „იტალიური კოლონიზაციის“ ხანად ითვლებოდა, რადგან შავიზღვისპირეთში ამ დრს იტალიურ ქალაქ-სახელმწიფოთა სავაჭრო ფაქტორიები არსებობდა. მართალია, ასეთი „კოლონიზაცია“ ვერც მასშტაბით, ვერც ხანგრძლივობითა და ვერც მნიშვნელობით შავი ზღვისპირეთის ე.წ. „დიდ ბერძნულ კოლონიზაციას“ ვერ შეედრებოდა, მაგრამ დიდი როლი ითამაშა შავი ზღვის ვაჭრობის, შავიზღვისპირეთის ქვეყნების ისტორიაში. XIV-XV სს-ში ვენეციელებს შავიზღვისპირეთის აუზში მხოლოდ ორი სავაჭრო ფაქტორია გააჩნდათ. 1319 წ. მათი ფაქტორია ტრაპიზონის იმპერატორის თანხმობით დაარსდა ტრაპიზონში, ხოლო 1333 წ. ოქროს ურდოს ყაენის უზბეკის (1313-1442) თანხმობით — ტანაში, რომელიც მდ. დონის აზოვის ზღვის შესართავში, დღევანდელი ქალაქ აზოვის მიდამოებში მდებარეობდა.

საკუთრივ საქართველოს ნავსადგურებში სავაჭრო ურთიერთობის გარდა, საქართველოს საზღვაო-სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ვენეციის ფაქტორიებთან ტრაპიზონში და კონსტანტინეპოლში. კონსტანტინეპოლის ვენეციის ფაქტორიის საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობის შესახებ ძალზე საინტერესო ცნობები შემოგვინახა ვენეციელი ვაჭრის ჯაკომო ბადოერის საანგარიშო წიგნებმა, რომელიც 1436-1440 წლებში ბიზანტიის დედაქალაქში ცხოვრობდა. ამ საანგარიშო წიგნში 1437 წლის 20 აგვისტოს ქვეშ მოხსენიებულია სევასტოპოლიდან კონსტანტინეპოლში ჩასული ვინმე გიორგი მეგრელი.

XIII–XV სს-ში საქართველოს და ბუნებრივია მისი ერთი ნაწილის, ოდიშის საერისთავოს მთავარ საზღვაო სავაჭრო პარტნიორს გენუა წარმოადგენდა.

1267 წლის შემდეგ, როდესაც გენუამ ბიზანტიის იმპერატორისაგან მიიღო კონსტანტინეპოლის გარეუბანი პერა (გალათა), გენუელი ვაჭრები თანდათან დასახლდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში (ყირიმში). თავდაპირველად ისინი დამკვიდრნენ სოლდაიაში (სუდაკში). რამდენიმე წლის შემდეგ,

1270-1275 წლებში გენუელებმა ფეოდოსიის ყურეში დაარსეს თავიანთი ახალშენი — კაფა, რომელმაც მოკლე ხანაში მეტროპოლიისაგან მიიღო ადმინისტრაციული მმართველობა კონსულის მეთაურობით. ასე ჩაეყარა საფუძველი კაფას — გენუელთა მთავარ ფაქტორიას შავიზღვისპირეთში, რომელიც მოკლე ხანში მსოფლიო ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს ცენტრად გადაიქცა. კაფას დაარსებიდან დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში გენუელთა ფაქტორიები შეიქმნა შავი ზღვის აუზის ყველა რეგიონში.

სამხრეთ შავიზღვისპირეთში გენუელთა მთავარი სავაჭრო ფაქტორია ტრაპიზონში იყო, რომელიც ტრაპიზონის იმპერატორის თანხმობით თითქმის კაფას თანადროულად დაარსდა.

თავდაპირველად, 1290 წლის 11 ოქტომბერის დადგენილებით, გენუის ხელისუფლებამ ამ დროისათვის არსებული შავიზღვისპირეთის ფაქტორიები გენუის პოდესტას დაუმორჩილა. შემდგომში, 1314 წ. გენუაში შეიქმნა საგანგებო დაწესებულება, რომელსაც შავიზღვისპირეთის გენუის სავაჭრო ფაქტორიების მართვა-გამგეობა დაევალა.

შავიზღვისპირეთის გენუის ფაქტორიებში უპირველესი ადგილი კაფამ დაიკავა, კაფას კონსულის ხელში თანდათანობით გადავიდა ამ რეგიონის გენუელთა ფაქტორიების მომარაგება სურსათით და ჯარისკაცების დაქირავების საქმე.

საფიქრალია, რომ გენუელები საქართველოს შავიზღვისპირეთში XIII ს-ის 60-70-იან წლებში, კაფასა და პერას ათვისების ხანაში გამოჩნდნენ. ამავე ხანიდან დაიწყო, ალბათ რეგულარული სავაჭრო ურთიერთობა საქართველოსა და გენუელებს შორის.

XIII-XV სს-ის „საზღვაო რუკებზე" დატანილია ბათუმი („ვატი" ან კიდევ „ლოვატი"). XV ს-ის იტალიელი დიპლომატისა და მოგზაურის როსეატოს თხზულებიდან კარგად ჩანს, რომ ამ ქალაქში გენუელები სისტემატურად ცხოვრობდნენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. „საზღვაო რუკებზე" არაერთგზისაა დატანილი ფოთიც — „ფასო", სადაც ამბროჯიო კონტარინის ცნობით, იტალიელებს თავისი უბანიც გააჩნდათ. მიუხედავად ამისა, ამ ქალაქებში გენუელებს არ გააჩნდათ თავიანთი ფაქტორია, რადგან მათ არც ფოთსა და არც ბათუმში არ ჰქონდათ ფაქტორიის აუცილებელი პირობა-თვითმართველობა.

ერთადერთი ქართული ზღვისპირა ქალაქი, სადაც გენუელებმა შეძლეს მიეღოთ თვითმართველობა იყო ცხუში (სოხუში), თანაც ამ თვითმმართველობის მოპოვებისათვის გენუელებს შვიდ ათეულ წელზე მეტი ხანი დასჭირდათ. თავისთავად ცხუმით გენუელების განსაკუთრებული დაინტერესება სრულებითაც არ იყო შემთხვევითი. საქართველოს შავიზღვისპირეთში ეს ერთადერთი ქალაქი იყო, რომლის ნაკადგურში საზღვაო ხომალდს ნაპირზე ამოუთრევლად შეეძლო გამოეზამთრებინა.

გენუელები ცხუმში-სებასტოპოლში პირველად 1280 წელს არიან დოკუმენტურად დადასტურებული.

ჩვეულებრივ, საქართველოს რეგიონალური ისტორიის გადმოცემის დროს გენუელთა საქმიანობა XIV–XV სს-ის სოხუმში აფხაზეთის ისტორიაშია მოცემული, რაც სრულებით არაა მართებული. XIV-XVI სს-ში ცხუმი (სოხუმი) ოდიშის ქალაქია და მისი ისტორია ოდიშის ისტორიასთან უნდა იყოს გადმოცემული.

მკითხველს რომ გავუადვილოთ XIV-XV სს-ში საქართველოს საზღვაო ვაჭრობისა და სოხუმის ისტორიის ზოგიერთი მომენტის გააზრება, ამ მიზნით მცირე ხნით მის ყურადღებას ამ საუკუნეების შავიზღვისპირეთის სამონეტო საქმეზე შეეაჩერებთ.

ცნობილია, რომ შავიზღვიპირეთის გენუელთა სავაჭრო ფაქტორიების დიდი ხნის მანძილზე საკუთარი ზარაფხანები არ გააჩნდათ. მხოლოდ 1449-1450 წლებში გენუის მთავრობამ ნება დართო კაფას ხელისუფლებას მოეჭრა საკუთარი მონეტა.

XIII-XV სს-ში შავიზღვისპირეთში ანგარიშსწორების საფუძველს ვერცხლი წარმოადგენდა. XIII ს-ის 80-იან წლებში ყველაზე უფრო გავრცელებული იყო ოქროს ურდოს ვერცხლის მონეტა, რომელსაც მისი ერთ-ერთი პირველი ბერქა ყაენის სახელის მიხედვით იტალიურ დოკუმენტში ბერქას ასპრას „ასპრა ბარიკატას" უწოდებდნენ. არანაკლები პოზიციები ეკავა ტრაპიზონულ ვერცხლის მონეტას, რომელსაც იტალიელები „ასპრა კომნინატას" ეძახდნენ. ამ საუკუნეებში შავიზღვისპირეთში იჭრებოდა აგრეთვე ვერცხლის სპეციალური ზოდები ე. წ. „სომი," რომელიც თითქმის 219 გრამ ვერცხლს იწონიდა. ჩვეულებრივ ყველა მონეტის კურსი, აღებულ მომენტში სომით, როგორც მყარი ერთეულით, დგინდებოდა.

ტრაპიზონული ასპრის მოჭრა ტრაპიზონის იმპერატორმა მანუელ I-მა დაიწყო. ტრაპიზონელებმა ასეთ მონეტას „ასპრა კირმანეულს„-„კირმანეულს თეთრს" ან კიდევ უბრალოდ „კირმანეულს"

უწოდებდნენ. ქართულში, ტრაპიზონული ბერძნულის გავლენით ასეთი ტიპის მონეტას „კირმანეული"-კირმანაული" ეწოდება.

XIII-XV სს-ის ტრაპიზონული ვერცხლის მონეტები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი საქართველოში, განსაკუთრებით სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ საქართველოში. ფიქრობენ, რომ ასეთი მონეტები საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ ტრაპიზონის იმპერიიდან შემოდიოდა, რაც რასაკვირველია სწორი არაა. როგორც ნოტარიული აქტები მოწმობენ, ტრაპიზონული მონეტები დიდი რაოდენობით შემოდიოდა საქართველოში შავიზღვისპირეთის სხვა რეგიონებიდან, პირველ რიგში ჩრდილოეთ შავიზღვიპირეთის გენუელთა სავაჭრო ფაქტორიებიდან.

დასავლეთ საქართველოში დავით ნარინის (1258-1293) ხანიდან დაიწყეს ტრაპიზონული თეთრის ტიპის მონეტის მოჭრა, რათა თავიანთი ვაჭრებისათვის გაეადვილებიათ სავაჭრო ოპერაციები. ადგილზე მოჭრილ ასეთი ტიპის მონეტასაც ქართველებმა ასევე „კირმანეულ"‖„კირმანეული" უწოდეს. ამიტომ ქართულ დოკუმენტების მიხედვით, ასეთი სახელწოდების თეთრის მოხსენიების დროს შეუძლებელია იმის გარკვევა, ადგილზე მოჭრილ თუ ტრაპიზონიდან შემოტანილ მონეტაზეა საუბარი ქართულ საისტორიო დოკუმენტში, ე.წ. – „სასისხლო სიგელებში" XII-XV სს-ის ქართული ფულის ერთეულად „კირმანეულ"‖„კირმანაული" გვხვდება, მხოლოდ ზოგჯერ მის გვერდით „ცხუმური თეთრი" მოიხსენიება. მეცნიერები დიდი ხნის მანძილზე კამათობდნენ ასეთი ტიპის მონეტის დანიშნულების და მოჭრის ადგილის შესახებ.

კაფას კომუნის საანგარიშო წიგნებში 1386 წლის ქვეშ მოხსენებულა „სებასტოპოლის ასპრა," რომელსაც ბევრად უკეთესი სინჯი ჰქონდა, ვიდრე იმდროინდელ ოქროს ურდოს მონეტას. „ასპრა," როგორც მკითხველმა უკვე იცის, ქართულად „თეთრია", ხოლო „სებასტოპოლისს" იმდროინდელი იტალიელები ქართულ ცხუმს უწოდებენ. ასე რომ ცხუმური თეთრის არსებობა იტალიური წერილობითი წყაროებითაც დასტურდება.

1927 წ. სოხუმში აღმოჩდა მონეტების დიდი განძი, მალე მონეტების დიდი ნაწილი დაიკარგა. შემორჩა მხოლოდ რამდენიმე კირმანეულის ტიპის ვერცხლის მონეტა. ერთ-ერთი მათგანის შუბლზე მოთავსებული იყო შებრუნებული ქართული ზედწერილი „ვამეყ". ეჭვის გარეშეა, რომ ეს იყო ნიმუში, რომელიც სხვა ამგვარი მონეტების მოჭრისათვის გამოიყენებოდა. ასე რომ XIII-XV სს-ში ცხუმში ზარაფხანა არსებობდა.

ზედწერილში მოხსენიებული ვამეყ არის ოდიშის ერისთავი ვამეყ I დადიანი, ხოლო თვით ეს მონეტა არის „ცხუმური თეთრის" დღემდე შემორჩენილი ერთადერთი ეგზემპლარი.

ამრიგად „ცხუმური თეთრი" ცხუმის ზარაფხანაში იჭრებოდა, ასეთ მონეტას უეჭველად ჭრიდა ვამეყ I დადიანი. სამწუხაროდ ჩვენ არ ვიცით, ჭრიდნენ თუ არა ცხუმურ თეთრს მისი უშუალო წინამორბედნი თუ მემკვიდრენი. ამ ფულის მოჭრას ისეთივე მიზანი ჰქონდა, რაც კირმანეული ტიპის მონეტის მოჭრას-გაეადვილებით საქართველოს ვაჭრებისათვის შავიზღვიპირეთის ვაჭრობაში აქტიური მონაწილეობა. განსხვავება კირმანეულსა და ცხუმურ თეთრს შორის მხოლოდ ის იყო, რომ პირველს სამეფო ხელისუფლება ჭრიდა, მეორეს-მეფის ხელისუფლების ნებართვით ადგილობრივი ოდიშის ერისთავი.

აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის გაადვილების მიზნით საქართველოს სამეფო ხელისუფლება გიორგი ბრწყინვალის ხანიდან აღმოსავლეთ საქართველოში ირანის მონღოლურ სახელმწიფოს მონეტის ტიპის მონეტას ე.წ. „გიორგიანულს" ჭრიდა. როგორც ირკვევა, XIII-XV სს-ში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მოჭრილ მონეტას ერთნაირი საბაზრო ღირებულება ჰქონდა.

სრულებითაც არ არის შემთხვევითი, რომ ვამეყ I თავის მონეტას ცხუმში (სოხუმში) ჭრიდა. ეს იყო უცხოელთა უმთავრესი ცენტრი შავიზღვისპირეთში და რაც მთავარია, ვამეყ I დადიანის ხანაში ცხუმში გენუელთა სავაჭრო ფაქტორია არსებობდა.

ცნობილი არაა თუ რას უხდიდნენ ცხუმის ფაქტორიის გენუელები ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებას. ცნობილია, რომ საქართველოში ზღვით შემოტანილ თუ გატანილ საქონელზე ბაჟი მისი ღირებულების ორ პროცენტს უდრიდა. უნდა ვიფიქროთ ეს წესი გენუელებზეც ვრცელდებოდა.

სებასტოპოლის სავაჭრო ფაქტორია მხოლოდ საქართველოს ნებართვით არსებობდა და მისი კონსული, პირველ რიგში, ადგილობრივი ხელისუფალის-ოდიშის ერისთავის თანხმობით ინიშნებოდა. 1373 წელს როდესაც ამ ფაქტორიის კონსული ბენისსე დრაგუსი იყო, გენუელები ქართველებს ცხუმში მძიმე მდგომარეობაში ჩაუყენებიათ. ვითარების გამოსწორების მიზნით, 1374 წ. კაფადან საქართველოში სირეტუს დი რომეოს საგანგებო ელჩობა გაიგზავნა რომელმაც მისია წარმატებით შეასრულა და გენუელებს დღევანდელ სოხუმში სავაჭრო ფაქტორია შეუნარჩუნა. ამ წელს სებასტოპოლში

კონსულად დაუნიშნავთ ნეაპოლინიუს დი სტრუპპა, 1381 წ. სებასტოპოლის ფაქტორიის კონსულად ყოფილა ანტონიუს დი ლაზარო, 1382 წელს ინოფიუს დი მარი.

გენუის ხელისუფლების 1399 წლის 28 დეკემბრის ბრძანებაში, რომელიც შავიზღვიპირეთში კონსულების დანიშვნას შეეხება, მოხსენიებულია ვინმე ანტონიო დი ნაზარო, რომელიც სებატოპოლის კონსულად დაინიშნა მომავალი 1400 წლისათვის.

1448 წ. სებასტოპოლის კონსულად ეხედავთ სტეფანო დი ფრანკის, რომელიც შეცვალა პიეტრო ლაველომ. ეს უკანასკნელი 1449 წ. შეცვალა ჯიოვანო დონიამ. 1354-1453 წლებში ცხუმში გენუელთა სავაჭრო ფაქტორიის სულ ათამდე კონსულის სახელია ცნობილი.

1453 წლის ნოემბრიდან გენუელთა შავიზღვისპირეთის ფაქტორიები გადავიდა გენუის კერძო „წმინდა გიორგის ბანკის" ხელში, რის შედეგად ამ ფაქტორიების მართვა-გამგებლობა მნიშვნელოვან წილად შეიცვალა. თავად „წმინდა გიორგის ბანკს" 8 "პროტექტორი" განაგებდა, რომელთაც ყოველწლიურად ირჩევდნენ. შავიზღვისპირეთში გენუელთა თანამდებობის პირებს საგანგებო 24 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი ირჩევდა, ხოლო შემდეგ პროტექტორები ამტკიცებდნენ.

1453 წ. ნოემბერში სებასტოპოლის კონსულად გენუაში ერთი წლით აირჩიეს ჯერარდო პინელი, რომელმაც პირობა დადო, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებდა თავის მოვალეობას და წინდად 800 ფლორინს ანუ 400 ლირას შეიტანდა.

ზამთრი დადგომის გამო ახლად არჩეულ კონსულს კაფაში ხომალდით გამგზავრება დაეგვიანდა. ამასობაში, 1454 წ. ცხუმს თურქების ფლოტი დაესხა თავს. ოსმალებმა სებასტოპოლის ნავსადგურში მდგარი გენუელთა ერთი ხომალდი დაწვეს, მეორე ხომალდი კი თან წაიყვანეს. ფაქტორიაში მყოფ გენუელ ვაჭართა ერთი ნაწილი ოსმალებს ჩაუვარდა ტყვედ, ნაწილმა კი გაქცევით უშველა თავს.

სებასტოპოლის ახლად დანიშნულმა კონსულმა ცხუმზე თურქ-ოსმალების თავდასხმის ამბავი კაფაშივე შეიტყო. მაგრამ მაინც გააგრძელა გზა სოხუმისაკენ. ჩასვლისთანავე იგი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა, მაგრამ მალე ცხუმს, აფხაზები დაეცნენ თავს. ჯერარდო პინელი სხვებსავით იძულებული გახდა გაქცევით ეშველა თავისთვის. სებასტოპოლის კონსულის თავგადასავლის შესახებ ცნობები შემოგვინახა თხოვნამ, რომელიც ჯერარდო პინელის გენუაში გაუგზავნია. „პატივცემულო ბატონებო, — ეკითხულობთ ამ თხოვნაში, - როგორც უკვე შეეატყობინე თქვენ უბრწყინვალესობას, ჩავედი რა კაფაში, მე შევასრულე თქვენი დავალება.. და როგორც ჩემი დამსახურების აღიარება მე ჩავბარე სებასტოპოლის კონსულობა. დავყავი იქ მცირე ხანი. მოულოდნელად მას დაესხნენ აფხაზები და მოსახლეობა მთლიანად გაიქცა, რათა თავი გადამერჩინა, მეც მათ მივბაძე. აფხაზებს სურდათ.. უმეტესობა ტყვედ წაეყვანათ. ამის შემდეგ მე, რომელმაც დაკარგე ყველაფერი, დავბრუნდი კაფაში, სადაც ვიმყოფები იმ იმედით, რომ შემლებთ რაიმე გასამრჯელო გადამიხადოთ. გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ იმ ადგილს (ცხუმი) ჩემ ჩასვლამდე, თურქები დაესხნენ და გაძარცვეს, მაგრამ მე მაინც გავაგრძელე ჩემი გზა.. ესლა იქითკენ გამგზავრება აიკრძალა, ამიტომ მე დავრჩი თანამდებობის გარეშე".

გენუაში არაფერი არ იცოდნენ ჯერარდო პინელის თავგადასავლის შესახებ და ამ დროს მისი მომდევნო კონსულის კანდიდატურას არჩევდნენ. 1454 წ. 23 აგვისტოს სებასტოპოლის მომდევნო კონსულად ფილიპუს კლაურაცია დაუნიშნავთ. იმავე წლის 15 ნოემბერს გენუაში გამოიცა ბრძანება, რომ შავიზღვისპირეთში თანამდებობებზე არჩეული პირები 18 დეკემბერს დასამტკიცებლად პროტექტორების წინაშე წარმდგარიყვნენ და სათანადო ფიცი დაედოთ. ფილიპუს კლაურაციამ თანამდებობის დაკავებაზე უარი განაცხადა და მის ნაცვლად სებასტოპოლის კონსულად 1454 წლის ნოემბერს ამბრისიუმ დი პუტეო დაამტკიცეს. ჩანს, მანაც უარი განაცხადა შავიზღვისპირეთში გამგზავრებაზე და მის ნაცვლად ჯერარდო პინელის შემცვლელად ამბროჯიო დი პოცო დანიშნეს. შემორჩენილია ამბროჯიოს რწმუნების სიგელი-პატენტი, რომელიც 1455 წ. 21 იანვარს არის გაცემული. მკითხველისათვის, ალბათ, უინტერესო არ იქნება ამ პატენტის ტექსტის გაცნობა, რომელიც ტიპიური იქნებოდა „წმინდა გიორგის ბანკის" მიერ დანიშნული სებასტოპოლის კონსულებისათვის: „პროტექტორები სალამს გითვლიან პატივცემულ და ღირსეულ ბატონებს, ქალაქ კაფას კონსულს, ხაზინადარებს და ზარაფხანის მოხელეებს. აგრეთვე გენუის კონსულს სებასტოპოლში, გენუელთა ქონების მფლობელებს ამ ქალაქში, მათ ვინც ჩადის ან ჩავა ამ ქალაქში.

რადგან ჩვენ აირჩიეთ და დავამტკიცეთ სებასტოპოლში გენუელთა და გენუელთა ქონების მფლობელთა, აგრეთვე ჩასულ მოვაჭრეთა და მომავალში ვინც ჩავა და ივაჭრებს ამ ქალაქში, კონსულად კეთილგონიერი ვაჟკაცი, გენუის მოქალაქე ამბროჯიო დი პოცო, სრული ხელისუფლებით, უფლებამოსილებებით, პატივით და შემოსავლით, რომელიც ეკუთვნის ამ თანამდებობას, ერთი წლით,

ან კიდევ მეტ-ნაკლები დროით ჩვენი ნების შესაბამისად, ამიტომ ჩვენ გამოვგზავნეთ თქვენთან ხსენებული ამბროჯიო გენუელთა კონსულად სებასტოპოლში, რათა თქვენ მიიღოთ ის და მოეპყროთ მას კეთილგანწყობით და ალერსით, როგორც საჭიროა და დაემორჩილოთ მას ყველაფერში, ისევე როგორც ჩვენ, ყველაფერში, რაც ექვემდებარება მის თანამდებობას, რადგან ჩვენ წინასწარ ვიწონებდა ყველა მის გამოტანილ განაჩენს, გადაწყვეტილებას და დადგენილებებს, რომელიც შედის მის კომპეტენციაში, თუ ამას კონსული ამბროჯიო გამოიტანს მისი თანამდებობის შესაბამისად და იმოქმედებს კანონიერად ჩვენი სახელით. ამიერიდან გაკალებთ თქვენ დათქმულ დროს გადაუხადოთ კონსულ ამბროჯიოს შესაბამისი გადასახადი და გამოსაღები... ჩვენ გვსურს, რომ... ეს დოკუმენტი ძალაში შევიდეს ჯერარდო პინელის ვადის დასრულებისთანავე, თუ ღვთის წყალობით, ჩვენი ხომალდები დროზე ადრე მივა კაფაში".

სებასტოპოლის კონსულის მდგომარეობა ძალზე დამოკიდებული იყო ადგილობრივი ხელისუფლების — ოდიშის ერისთავის მისდამი განწყობილებაზე, რომელსაც, როგორც მკითხველს ალბათ ახსოვს, იტალიური წყაროები ბენდიანის სახელით მოიხსენიებენ.

XV ს-ის 60-იან წლების დასაწყისში გენუელებს და ოდიშის ერისთავს შორის ურთიერთობა ძალზე დაიძაბა. ამის შესახებ 1464 წლის 12 სექტემბერს კაფას ხელისუფლებამ საგანგებო წერილით აცნობა „წმინდა გიორგის ბანკის" პროტექტორებს. ბანკი საქართველოსთან კონფლიქტს ძალზე ერიდებოდა. ამიტომ 1465 წ. მაისში გენუიდან გაგზავნილ წერილში ბანკის პროტექტორებმა კაფას ხელისუფლებას ოდიშის მთავართან მორიგება მოთხოვეს. „შევისწავლეთ რა ყველაფერი, ჩვენ ვფიქრობთ, — ეკითხულობთ ამ წერილში, — რომ უპირველეს ყოვლისა თავი უნდა შეეიკავოთ მდგომარეობის ყოველგვარი გამწვავებისაგან, რის გამოც კაფას ვაჭრებს შეიძლება საქართველოში ვაჭრობა აეკრძალოთ... რათა მშვიდობა, რომელიც ამჟამად ქალაქს აქვს, არ დაირღვეს. ჩვენი ვალია ეიმოქმედოთ და არა გამომწვეევად. თქვენ უნდა შეისწავლოთ ვითარება, მაგრამ არ უნდა მოკიდოთ ხელი იარაღს. არ უნდა წააქეზოთ გენუელები, რადგან შეიძლება მოხდეს ისეთი რამ, რაც გააფუჭებს სამეგრელოსთან ვაჭრობის საქმეს. სასარგებლოა წერილები გააგზავნოთ, დარწმუნება და შეთანხმება გამოიყენოთ... გენუელებისათვის იარაღისა და ძალის გამოყენების უფლების ნებას არ გაძლევთ და კიდევაც გიკრძალავთ, მაგრამ ეს აკრძალვა დარჩეს საიდუმლოდ".

ამ ინსტრუქციის შესაბამისად კაფას ადმინისტრაციამ ოდიშის ერისთავთან კონფლიქტი მშვიდობიანად მოაგვარა, რაც კარგად ჩანს „წმინდა გიორგის ბანკის" შემდეგი ინსტრუქციიდან, რომელიც კაფაში გაიგზავნა 1465 წლის 4 დეკემბერს. „თქვენ კარგად მოაგვარეთ საქმე ბენდიანთან, — ეკითხულობთ ინსტრუქციაში, — სამეგრელოს მფლობელთან. მაგრამ თუ ამისათვის ხარჯები იყო საჭირო, ჩვენ მოვითხოვთ ამ ხარჯების დაფარვას წილგროვებით, ან კიდევ იმათზე განაწილებას, რომლებიც ჩავლენ და ივაჭრებენ მის სამფლობელოში".

სებასტოპოლის გენუის სავაჭრო ფაქტორიის გაუქმებამდე არსებობდა სებასტოპოლის კათოლიკური საეპისკოპოსოც, ოღონდ მისი ეპისკოპოსი 1333 წლიდან სულთანიეს არქიეპისკოპოსის ნაცვლად ბოსფორის არქიეპისკოპოსს ემორჩილებოდა, რომლის რეზიდენციასაც კაფა წარმოადგენდა. დღეისათვის პიეტრო ჯერალდის შემდეგ სებასტოპოლის სულ ხუთი ეპისკოპოსია ცნობილი.

1453 წელს კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ, თურქ-ოსმალებმა გენუელთა შავიზღვისპირეთის ფაქტორიები თანდათანობით დაიკავეს. 1475 წლის მაისში დაეცა კაფა და ამით დასრულდა შავიზღვისპირეთის იტალიური „კოლონიზაცია".

ქართველები კაფაში გენუელთა მფლობელობის დასასრულამდე იმყოფებოდნენ. ქალაქის დაცემის შემდეგ ყველა მათგანმა, რომლებსაც არ ჰქონდათ კაფას მოქალაქეობა, ოსმალთა ხელში ჩავარდნილი სხვა უცხოელების ბედი გაიზიარეს. თურქებმა ქართველ ვაჭრებს ქონება ჩამოართვეს და მონებად გაჰყიდეს.

დღეისათვის არაა ცნობილი თუ როდის მოიშალა გენუელთა სებასტოპოლის ფაქტორია. საფიქრებელია, რომ ოდიშის ერისთავმა ცხუმში გენუელთა თვითმმართველობა კაფას დაცემის შემდეგ გააუქმა. ასე რომ გენუელთა სავაჭრო ფაქტორიამ საქართველოში, ოდიშის საერისთავოში 220 წელზე ცოტა მეტ ხანს იარსება.

კაფას აღებას დაემთხვა შამადავლე დადიანის გარდაცვალება და მის ნაცვლად ბაგრატ VI-ის დახმარებით ვამეყ II დადიანის გაერისთავება.

მეფისაგან მიღებული დახმარების მიუხედავად, ოდიშის ახალი ერისთავი თავის წინამორბედთა კურსის მომხრე აღმოჩნდა. იგი საქართველოს ერთიანობას იცავდა და

ქუთაისში სამეფო კარის არსებობას ვერ იტანდა, რომელიც ოდიშის ერისთავთა დასავლეთ საქართველოში პირველობას წინ ეღობებოდა. ამიტომ ვამეყ II დადიანმა 1477 წ. აჯანყების დროშა ააფრიალა. ბაგრატ VI ამ დროს ქართლში იმყოფებოდა. მეფე მალე დიდი ლაშქრით დაუყონებლივ გამოემართა ოდიშისაკენ, გადამწყვეტ ბრძოლაში ვამეყ II დადიანი დაამარცხა და ოდიშის ციხეებში თავისი მეციხოვნეები შეაყენა. ასეთი დამარცხების შემდეგ ოდიშის ერისთავი მორჩილების გუნებაზე დადგა და ბაგრატ VI-ის წინაშე ერთგულების ფიცის დადების შემდეგ ოდიშის საერისთავო უკან დაიბრუნა.

ქართლისა და დასავლეთ საქართველოს მეფე ბაგრატ VI 1478 წ. გარდაიცვალა. ქართლში სამეფო ტახტზე კონსტანტინე II, ალექსანდრე I-ის შვილიშვილი ავიდა, ხოლო დასავლეთ საქართველოს მეფობას ბაგრატ VI ვაჟი ალექსანდრე შეეცადა, მაგრამ ვამეყ II დადიანის დიდ წინააღმდეგობას წააწყდა და წარმატებას ვერ მიაღწია. ოდიშის ერისთავმა დასავლეთ საქართველოში კონსტანტინე II მიიწვია და ქუთაისის ციხე გადასცა. ამით ქართლისა და დასავლეთ საქართველოს სამეფო დროებით კვლავ აღდგა. მოკავშირეები უკვე საქართველოს ერთიანობის აღდგენას ფიქრობდნენ და პირველ რიგში სამცხე-საათაბაგოს შემოერთებას შეეცადნენ. ვამეყ II დადიანი მთელი დასავლეთ საქართველოს ლაშქრით 1381 წ. კონსტანტინე II-ეს დაეხმარა სამცხის ათაბაგთან ბრძოლაში, რის შედეგად აღმოსავლეთ სამცხე-საათაბაგო, საკუთრივ სამცხე და ჯავახეთი დროებით კონსტანტინე II-ეს დაემორჩილა. შემდეგ 1382 წ. ვამეყ II დადიანი გარდაიცვალა და მის ნაცვლად ოდიშის ერისთავი ვამეყის ძმისშვილი, შამადავლე დადიანის ძე ლიპარიტ II დადიანი გახდა.

1483 წ. კონსტანტინე II არადეთთან ყვარყვარე ათაბაგთან ბრძოლაში დამარცხდა. ამით ისარგებლა ბაგრატ VI-ის ძემ ალექსანდრემ და 1484 წ. ქუთაისი აიღო და მეფედ ეკურთხა. არც ოდიშის ახალი ერისთავი ლიპარიტ II დადიანი შეურიგდა ალექსანდრეს იმერეთში გამეფებას და დასავლეთ საქართველოში ხელახლა კონსტანტინე II მოიწვია. 1487 წ. კონსტანტინე II დიდი ლაშქრით დასავლეთ საქართველოში გადმოვიდა. ლიპარიტ II დადიანი დაუყონებლივ მის მხარეზე დადგა. ოდიშის ერისთავის დახმარებით კონსტანტინე II სამეფო ციხეები, პირველ რიგში, ქუთაისის ციხე დაიკავა. კონსტანტინე II ვერც ამჯერად მოახერხა დასავლეთ საქართველოს საქმეების საბოლოო მოგვარება. იმერეთში მყოფ მეფეს 1484 წ. ქართლში ირანის მბრძანებელ იაყუბ-ხანის ლაშქრის შემოჭრა და თბილისის აღება მოახსენეს და კონსტანტინე II იძულებული გახდა მტერთან საბრძოველად აღმოსავლეთ საქართველოსაკენ დაძრულიყო. ამით ისარგებლა ალექსანდრე ბაგრატის ძემ „დაიპყრა იმერეთი კუალად, აღიღო ქუთათისი და ყოველნი ციხენი იმერეთისანი".

1490 წ. კონსტანტინე II სამეფოს წარჩინებულთა დიდი კრება მოიწვია, რომელმაც მეფე იმჟამად საქართველოს კვლავ გაერთიანებისათვის ბრძოლის უნაყოფობაში დაარწმუნა. ამის შემდეგ ქართლის მეფე დაუზავდა კახეთის მეფეს, სამცხის ათაბაგს და დასავლეთ საქართველოს მეფე ალექსანდრეს. ეს იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის იურიდიული აღიარება. ამის შემდეგ ლიპარიტ II იძულებული გახდა ეცნო დასავლეთ საქართველოს ანუ იმერეთის, როგორც მას იმ დროისათვის უწოდებდნენ, სამეფო, და ალექსანდრე ბაგრატის ძესთან საერთო ენა გამოენახა. ოდიშის ერისთავმა თავი იმერეთის მეფის ქვეშევრდომად აღიარა. მას მეფის წინაშე „ლაშქრობა", „ნადირობა" და „მეფედ მათთა ხმობით" სამსახური ემართა. ამის შემდეგ დაახლოებით 70 წელი ოდიშის საერისთავო, ერთიანი საქართველოს სამეფოს ნაცვლად, იმერეთის სამეფოში შედიოდა.

ლიპარიტ II დადიანმა, როგორც ირკვევა, შექმნილ ვითარებაში, მოახერხა ოდიშის ერისთავთა ძველი პატივის მხოლოდ ნაწილი შეენარჩუნებინა. თუ ადრე ოდიშის

ერისთავს დასავლეთ საქართველოს ლაშქარი გამოჰყავდა, ეხლა მისი დროშის ქვეშ ოდიშის ლაშქართან ერთად აფხაზეთის ლაშქარიც ერთიანდებოდა. აფხაზეთის ერისთავის შარვაშიძეს და მეფეს შორის ოდიშის ერისთავი იდგა, რომელსაც იგი უშუალოდ უნდა დამორჩილებოდა, თუმცა ძველი ქართველი ისტორიკოსის მიხედვით ამ ხანებში ხშირად „შარვაშიძე მორჩილებდა არა ყოველსავე ბრძანებას დადიანისა".

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ლიპარიტ II დადიანი 1512 წელს გარდაიცვალა და და მის ნაცვლად მისი ძე მამია III „დაჯდა" „დადიანად ნებითა ბაგრატ მეფისათა".

მამია III დადიანი ბაგრატ იმერთა მეფის ერთგული გამოდგა. საისტორიო წყაროებში არ შემორჩა რაიმე ცნობა კონფლიქტის შესახებ მის დროს იმერეთის მეფესა და ოდიშის ერისთავებს შორის.

XVI ს-ის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველო ძალზე შეაწუხა ჯიქების თავდასხმებმა. ჯიქები ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის ტომი იყო, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთში ცხოვრობდა. ისინი უძველესი დროიდან მისდევდნენ მეკობრეობას. ჯიქები თავიანთი სამხედრო ნიჩბიანი ნავებით ზღვაში შორს არ შედიოდნენ. ისინი, ჩვეულებრივ, ნაპირთან ახლოს მოსულ სავაჭრო ხომალდებს ესხმოდნენ თავს, ანდა დაუყვებოდნენ ნაპირ-ნაპირ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს და ზღვის ნაპირთან შედარებით ახლო მცხოვრებლებს არბევდნენ, მიჰქონდათ ქონება, იტაცებდნენ ადამიანებს, რომლებსაც შემდეგ ჰყიდნენ. ცუდ ამინდში ჯიქები თავს მდინარეების შესართავებს აფარებდნენ, ანდა ნავებს ნაპირზე ამოთრევდნენ, ტოტებს მიაფარებდნენ და წყლით ავსებდნენ, რომ მზეს არ გაეფუჭებინა.

აფხაზთა ანუ ეგრის-აფხაზთა სამეფოს და განსაკუთრებით ერთიან საქართველოს სამეფოს ხანაში ჯიქების თავდასხმები საქართველოს სანაპიროზე მთლიანად შეწყდა, მაგრამ XIV ს-ის მიწურულში კვლავ განახლდა. მათმა თავდასხმებმა თანდათან პერმანენტული ხასიათი მიიღო, რამაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ძალზე შეაწუხა. მეკობრეებთან ბრძოლა ძალზე რთული იყო. ჯიქები მოულოდნელად გამოჩნდებოდნენ, ააოხრებდნენ ამა თუ იმ მხარეს და შემდეგ დაუყონებლივ უკან ბრუნდებოდნენ. მათთან საბრძოლველად სანაპიროს გასწვრივ სამხედრო-საზღვაო ძალების მუდმივი დარაჯობა იყო საჭირო, რაც ფეოდალური საქართველოს ცხადია არ შეეძლო. ამიტომ ჯიქებთან ბრძოლის ერთადერთ საშუალებად საკუთრივ მათი ქვეყნის დალაშქვრა რჩებოდა, რათა მათი ნავები ადგილზევე მოესპოთ და ქვეყანა მორჩილებაში მოეყვანათ. საქართველოდან ჯიქეთისაკენ მიმავალი სახმელეთო გზა ფაქტიურად, ვიწრო ბილიკს წარმოადგენდა, რომელიც ასობით კილომეტრზე ან უშუალოდ ზღვას მიუყვებოდა, ან მაღალ მთაზე გადადიოდა. ასეთ პირობებში ამ ქვეყანაში ხმელეთით ლაშქრობა წინასწარ მარცხისთვის იყო განწირული. ლაშქრის გადაყვანა მხოლოდ ზღვით იყო შესაძლებელი.

ჯიქეთზე პირველი ლაშქრობა, როგორც მკითხველმა უკვე იცის, ვამეყ I დადიანის დროს მოეწყო. ოდიშის ერისთავის წარმატებულმა ლაშქრობამ დიდი ხნით შეაჩერა ჯიქების მეკობრეობა საქართველოს სანაპიროზე, მაგრამ XVI ს-ის დასაწყისში მათ კვლავ განუახლებიათ ზღვით საქართველოზე თავდასხმები.

ბაგრატ I იმერთა მეფის ინიციატივით, რომელმაც სამეფო ტახტი დაახლოებით 1512 წ. მიიღო მამის, ალექსანდრე იმერთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, ჯიქებზე დიდი ლაშქრობა მოეწყო. ეს ლაშქრობა 1533 წლის იანვარში მოეწყო. ქართველთა ლაშქარს იმერეთის მეფის დავალებით მამია III დადიანი და მამია I გურიელი ხელმძღვანელობდნენ. როგორც ვამეყ I ხანაში, ქართველთა ლაშქარი ამჯერადაც ზღვით გაემართა ჯიქეთისაკენ. ეს არის ქართველთა პირველი სადესანტო ოპერაცია, რომელიც დღეისათვის არის ცნობილი. ეჭვის გარეშეა, ქართველთა ლაშქარში რამდენიმე ათასი მეომარი მაინც იქნებოდა. ასე რომ, ქართველთა საბრძოლო ფლოტილია სულ ცოტა 100 საბრძოლო ნავისაგან შედგებოდა, რომელიც ოდიშში იყო აგებული და ადგილობრივი მეზღვაურებით იყო დაკომპლექტებული. ლაშქრობის დროც საგანგებოდ იყო შერჩეული. შუა საუკუნეებში ზამთრის სეზონში შავ ზღვაზე ნაოსნობა ჩერდებოდა, ამიტომ ჯიქების სამეკობრო ნავები ადგილზე იყო და თანაც ამ დროს ჯიქები თავდასხმას არ მოელოდნენ. სამწუხაროდ, ასე კარგად მოფიქრებული ლაშქრობა, ქართული ლაშქრის შიგნით შეუთანხმებლობამ მარცხისათვის გაწირა. ბრძოლის პირველ

დღეს, 30 იანვარს ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ მეორე დღეს, 31 იანვარს, პარასკევს, ქართულმა ფლოტილიამ ხმელეთზე გადასული თავისი თანამოძმეები მიატოვა და სამშობლოსაკენ გამოემართა. მაშინ ჯიქებმა გული მოიცეს და ქართველებს შეუტიეს. ქართველებმაც თავი გამოიდეს „მრავალი დახოცეს დადიანმა, გურიელმა და გურიელის ლაშქარმა", მაგრამ მტრის სიმრავლემ მაინც თავისი გაიტანა. ქართველები დაიღალნენ და მტერმა სრულ გამარჯვებას მიაღწია. „მოკლეს დადიანი მამია", აგრეთვე მამია III გურიელის ვაჟი გიორგი, თვით გურიის ერისთავი, მისი სამი ძმა, ეპისკოპოსები და ცოცხლად გადარჩენილი ლაშქრის უმეტესი ნაწილი მტერმა დაატყვევა. ქართველების მხოლოდ მცირე ნაწილმა გამოაღწია სამშვიდობოს და სამშობლოში საზარელი ამბავი ჩამოიტანა. მათი დაბრუნებისთანავე, გარდაცვლილი მამია III დადიანის ნაცვლად ოდიშის ერისთავად მისი ვაჟი ლევან იგივე ლეონ I დადიანი აკურთხეს. ასე რომ ლევან I დადიანი ოდიშის მართვა-გამგებლობას 1533 წლის თებერვალ-მარტში შეუდგა.

ქართველები და პირველ რიგში ლევან I დადიანი არ შერიგებია ჯიქეთში ამ მარცხს. მაგრამ XVI ს-ის 30-50-იან წლებში დასავლეთ საქართველოში იმდენი პრობლემა წამოიჭრა, რომ ერთხანს ჯიქეთის საკითხმა აქტუალობა დაკარგა.

1535 წ. იმერეთის მეფე ბაგრატმა ლევან I დადიანთან და როსტომ გურიელთან ერთად დასავლეთ საქართველოს ლაშქრით სამცხე-საათაბაგოში გაილაშქრა. გადამწყვეტი ბრძოლა ახალქალაქის მახლობლად მურჯახეთთან მოხდა. იმერეთის მეფემ სძლია სამცხე-საათაბაგოს ლაშქარს, ტყვედ ჩაიგდო ყვარყვარე V ათაბაგი და მისი სამფლობელოს უდიდესი ნაწილი იმერეთის სამეფოს შემოუერთა. ბაგრატ მეფემ ქართლის მეფე ლუარსაბ I-ს ჯავახეთი გადასცა, ხოლო გურიის ერისთავს, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, „აჭარა და ჭანეთი." „ჭანეთში" ამ შემთხვევაში ლაზეთი იგულისხმება. ვახუშტი ბაგრატიონი ისტორიული საქართველოს ამ მხარე, მისი სიტყვით ჭანეთს, რომელსაც „აწ უწოდებენ ლაზსავე," შავი ზღვის პირას, მდ. ჭოროხის სამხრეთით ათავსებს. "რიზა" იგივე რიზე, სწავლულ ბატონიშვილს ჭანეთში შეყავს და შემდეგ აღნიშნავს, რომ ამ ქალაქის „დასავლეთ," უფრო ზუსტი იქნებოდა სამხრეთ-დასავლეთით "ჩამოვარდების მცირე მთა, ჯინილა ზღუამდე, ჭანეთის მთიდან და ესე არს საზღვარი საქართველოსა და საბერძნეთს შორის. აქ არ რკინის პალო. აქავ არს სატყეპელა." ამ შემთხვევაში, როგორც ირკვევა ვახუშტი ბაგრატიონი ცდება. „რკინის პალო" და „სატყეპელა" მდებარეობდნენ არა რიზეს სამხრეთ-დასავლეთით, არამედ ჩრდილო-აღმოსავლეთით. ხოლო თვით რიზე არასოდეს ას შედიოდა ერთიანი საქართველოს სამეფოს საზღვრებში. საზღვარი საქართველოსა და „საბერძნეთს", უფრო ზუსტად ტრაპიზონის იმპერიას შორის გადიოდა რიზედან დაახლოებით ოცი კილომეტრის დაშორებით, სოფელთან, რომელსაც დღეს ქემერი ეწოდება. აქ ზღვის პირას „ქემერ ბურუნზე," ანუ ქემერის კონცხზე დგას ძველი ციხის ნანგრევები, რომელსაც ტრაპიზონის იმპერიის ოსმალთა დაპყრობის შემდეგაც, დიდი ხნის მანძილზე „რკინის პალო" ეწოდებოდა.

მურჯახეთის ბრძოლის შემდეგ საათაბაგოს დიდმა თავადმა შალიკაშვილმა ყვარყვარე V-ის ვაჟი ქაიხოსრო სტამბულში წაიყვანა და მისი სახელით ოსმალეთის სულთანის კარზე დახმარება ითხოვა. ამ დროს ოსმალეთი, ჯერ კიდევ 1514 წლიდან ხარგრძლივ ომში იყო ჩაბმული ირანთან და ყველგვარ საბაბს ეძებდა ამიერკავკასიაში მორიგი ლაშქრობისათვის. ლაშქრის გაგზავნა სამცხე-საათაბაგოში ოსმალეთის ხელისუფლებამ 1543 წელს მოახერხა. ბაგრატ მეფემ კვლავ ლევან I დადიანს და როსტომ გურიელს უსმო დახმარებისათვის. ამჯერად, ოდიშის ერისთავმა იმერეთის მეფეს ლაშქარი აღარ მიაშველა. ზოგჯერ ფიქრობენ, რომ უარის მიზეზი იყო ის, რომ იმერეთის მეფემ მურჯახეთთან გამარჯვების შემდეგ აჭარა და ჭანეთი გურიელს გადასცა. ეს, რასაკვირველია, არ არის სწორი. ეტყობა ლევან I დადიანს არ სჯეროდა, რომ იმერეთის მეფე მოახერხებდა სამცხე-საათაბაგოს შენარჩუნებას, მაშინ როდესაც მისი აზრით სამცხე-საათაბაგოს დიდგვაროვნების დიდი ნაწილი ბაგრატ მეფის წინააღმდეგ იყო გამწყობილი, ხოლო უაზრო ბრძოლაში კი ოდიშის ერისთავს თავისი ლაშქრის გაწყვეტა არ სურდა. მართალია, იმავე 1543 წელს ქარაღაქთან ბრძოლაში ბაგრატ მეფემ როსტომ გურიელისა და ლუარსაბ I-ის დახმარებით ოსმალთა ლაშქარი სასტიკად

დაამარცხა, მაგრამ, სამწუხაროდ, ლევან I დადიანის აზრი ძალზე მალე გამართლდა. 1545 წ. ოსმალთა დიდი ლაშქარი კვლავ შემოიჭრა სამცხე-საათაბაგოში. ლევან I დადიანი ამჯერადაც არ დაეხმარა მეფეს. გადამწყვეტ ბრძოლაში სოხოისტასთან, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც 1202 წელს ქართველებმა ძლევამოსილი ბრძოლა გადაიხადეს რუქნადინის წინააღმდეგ, იმერეთის მეფე, ლუარსაბ I და როსტომ გურიელი სასტიკად დამარცხდნენ. დამარცხების მიზეზი სწორედ მესხი დიდგვაროვნების ღალატი აღმოჩდა. იმ საბაბით, რომ მესხებს „მეწინავეობა“ ანუ ბრძოლის დაწყების უფლება არ მისცეს, მათ მიატოვეს ქართველთა ლაშქარი და „მაშინ იძლიენეს საქართველოსანი მუხთლობითა მესხთა.“ მალე ბაგრატ მეფე იძულებული გახდა სამცხე-საათაბაგო დაეტოვებია და ათაბაგობა ოსმალთა დახმარებით ყვარყვარეს ვაჟს ქაიხოსროს ერგო.

ბაგრატ იმერთა მეფე ლაშქრობაში ორგზის მოწვევაში ლევან I დადიანის უარმა ძალზე შეაშფოთა. „ლაშქრობათა“ სამსახური მეფის წინაშე ერისთავის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობა იყო. მასზე უარისთქმა კი მეფისაგან განდგომას, დამოუკიდელობის გამოცხადებას ნიშნავდა. ამიტომ ბაგრატ მეფემ დადიანის დასჯა გადაწყვიტა.

1548 წ. ბაგრატ მეფემ ლევან I დადიანი „ჭალასა ხონისასა“ დარბაზობაზე დაპატიჟა და ღალატით დაატყვევა. ეს დატყვევება დიდ ნადიმზე მომხდარა, სადაც ორივე მხრიდან ბევრი დალეულა. ამის შემდეგ ბაგრატ მეფემ „გაუგზავნა გურიელს კაცი ოდიშის დაპყრობა და გაყოფა შესთავაზა. როსტომ გურიელს მომავალში ლევან I დადიანის ბედის გაზიარების შეეშინდა და მეფეს წინადადებაზე უარი განუცხადა.

XVI ს-ის 50-60-იან წლებში სტამბულში ელჩად მყოფი ავგერ ბუსბეკის ცნობით ლევან I დადიანის დატყვევებას მთელი ოდიშში დიდი აღშფოთება გამოუწვევია. მის მეუღლეს, ალბათ მარეხ დედოფალს, აბჯარი გადაუცვამს, დიდი ლაშქრით ქმრის გასათავისუფლებლად დაძრულა, მაგრამ მის ლაშქარს იმერთა მეფის არტილერიის ცეცხლისათვის ვერ გაუძლია და უკან დაუხევია.

თავდაპირველად ბაგრატ მეფეს სურდა „აღმოხდა თუალთა“ დადიანისა, მაგრამ ლევან I დადიანის დატყვევებით გამოწვეული რეაქციის გამო ასეთი ბრძანების გაცემა ვერ გაბედა და ოდიშის ერისთავი „პატიმარ ჰყო გელათის სამრეკლოსა შინა.“ 1550 წ. დატყვევებულ ლევან I დადიანს ქაიხოსრო ათაბაგი დაეხმარა. მან ხოფილანდრო ჩხეიძე მოისყიდა და დადიანი გელათის სამრეკლოდან გააპარა. ხოფილანდრომ ლევან I დადიანი ახალციხეში მიიყვანა, საიდანაც იგი ათაბაგისა და გურიელის დახმარებით ოდიშში დაბრუნდა.

ლევან I დადიანის ტყვეობიდან დაბრუნებას დიდი აღფთოვანება გამოუწვევია. როგორც ბუსბეკი მოგვითხრობს, ოდიშში ათი წლის შემდეგ ყვებოდნენ იმის შესახებ, თუ როგორ გადააბა დადიანმა ზეწრების ნახევები ერთმანეთს და თავის საკნიდან ჩუმად დაეშვა. საყოველთაო აღფრთოვანებაზე უფრო მნიშვნელოვანი ამ ინცინდენტის, პოლიტიკური შედეგი იყო.

დატყვევებამდე ლევან I დადიანი თავის თავს იმერეთის მეფის ქვეშევრდომად, მის ერისთავად თვლიდა. სწორედ ამიტომ წალენჯიხის ტაძრის ე. წ. მანუჩარ დადიანის ეკვდერის ფრესკულ წარწერაში ის ჯერ კიდევ ერისთავთ-ერისთავის ტიტულით მოიხსნიებს თავს: „ერისთავთ ერისთავსა პატრონს დადიანს ლევანს შეუნდვენ ღმერთმან“- ვკითხულობთ წარწერაში, რომელიც მისი ფრესკის გვერდითაა მოცემული. აქვე არის მისი მეუღლის ფრესკა შემდეგი წარწერით „თანამეცხედრესა მათსა დედოფალსა მარეხს შეუნდვენ ღმერთმან“. გელათიდან გაქცევისა და ოდიშში დაბრუნების შემდეგ კი ლევან I დადიანმა უარი თქვა იმერეთის მეფის ფორმალურ მორჩილებაზე და თავი

მეფისგან დამოუკიდებელ ხელისუფლად გამოაცხადა. ასე რომ 1550 წლის შემდეგ იგი უკვე აღარაა ერისთავი, არამედ მთავრად გვეელინება.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ასე ესმოდათ ეს ფაქტი XVII ს-ის ოდიშში. ამ მხრივ საინტერესოა ერთი გადმოცემა, რომელიც XVII ს-ის პირველ ნახევარში ჩაწერილი აქვს იტალიელ მისიონერს არქანჯელო ლამბერტის, ხოლო ამ საუკუნის 70-იან წლებში ცნობილ ფრანგ მოგზაურს და ვაჭარს შარდენს.

გადმოცემაში აღწერილია თუ როგორ დასუტდა საქართველოს მეფის ხელისუფლება, როდესაც ერთ-ერთმა მეფემ (იგულისხმება ალბათ ალექსანდრე I სრულიად საქართველოს მეფე) „გაუნაწილა შვილებს თავისი სამეფო", რის შედეგადაც მისიე ერისთავები თითქმის გაუთანასწორდნენ მას თავიანთი სიძლიერით. შემდეგ გადმოცემაში შეცდომაა. ოდიშის ერისთავის (იგულისხმება ლევან I) დადიანის დატყვევება ბაგრატ მეფის ნაცვლად სამცხის ათაბაგს მიეწერება. სამაგიეროდ ნაჩვენებია თუ როგორ გაათავისუფლა იგი ათაბაგმა და როგორ „გამოცხადდა იგი სამეგრელოში" და როგორ „მისმა ნახვამ მთელ ქვეყანას ასიამოვნა და როგორ იწოდა თავი მეფედ და როგორ გახდა სრული ბატონი თავისი ქვეყნისა."

გადმოცემაში კიდევ ერთი უზუსტობაა. როგორც ირკვევა ლევან I დადიანმა 1550 წლის შემდეგ ერთბაშად ვერ გაბედა მეფის, იგივე ხელმწიფის ტიტულის მიღება და თავს უბრალოდ „დადიანის, პატრონის" ტიტულით მოიხსენიებდა.

ბუსბეკს ძალზე საინტერესო ცნობები აქვს დაცული ლევან I დადიანის სასახლეში საზეიმო ცერემონიალის შესახებ. მისი გადმოცემით ასეთი ცერემონიალის დროს სასახლის დარბაზში ადგილს პირველად დადიანი იკავებდა, ხოლო მის გვერდით, გარკვეული მანძილის დაშორებით, აქეთ-იქით სტუმრები სხდებოდნენ. დედოფლის მაგიდაც იმავე დარბაზში იდგა, მის ირგვლივ მხოლოდ დედოფალთან დაახლოებული პირები იჯდნენ. შუა ქეიფის დროს დედოფლის მაგიდის წევრები მეფის სუფრაზე გადადიოდნენ. ღვინოს სუფრაზე ბევრს სვამნდნენ. ის სტუმარი, რომელიც ბევრ ღვინოს სვამდა, მეფის პატივისცემით სარგებლობდა. ნადიმობის შედეგად მთავარი სტუმრებთან ერთად სანადიროდ გადიოდა. თუ საზეიმო ცერემონიალი რომელიმე საზეიმო დღეს ემთხვეოდა, იგი უფრო მიმზიდველი სანახაობას წარმოადგენდა. ასეთ შემთხვევაში მინდვრად გასული ხალხი ხის ჩრდილის ქვეშ იკრიბებოდა, ზოგი ცეკვა-თამაშით, ზოგი სიმღერით ერთობოდა. აქვე უკრავდნენ საკრავებს; ასეთი საკრავი ძლიერად დაჭიმულ ფიცარზე დაკრულ პატარა სიმებს წარმოადგენდა, რომელიც ვიოლინოს მსგავს ხმებს გამოსცემდა. მისი თანხლებით ჩვეულებრივ სატრფიალო და საგმირო სიმღერები სრულდებოდა.

1550 წ. ლევან I დადიანის ოდიშში დაბრუნებამ და თავის დამოუკიდებელ მთავრად გამოცხადებამ, ბუნებრივია, მისი სამთავროს და საერთოდ დასავლეთ საქართველოს გეოპოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვნად ვერ შეცვალა. ქვეყნისათვის უმთავრეს საფრთხეს ოსმალეთი წარმოადგენდა. საქართველოს ზღვისპირეთში თურქ-ოსმალთა აგრესიის პირველ ობიექტს „ჭანეთი", უფრო ზუსტად ლაზეთი წარმოადგენდა.

ოსმალეთი ლაზეთის დაპყრობას XVI ს-ის დასაწყისიდან შეეცადა და უკვე 1508-1512 წწ. თითქმის მიაღწია ამას. ყოველ შემთხვევაში ეს მხარე შეტანილია 1518 წლის ტრაპიზონის ვილაეთის დავთარში, ხოლო 1523 წლის დავთარში მის შესახებ, დავთრის ცნობები უცვლელად არის გადატანილი. მის შემდეგ როგორც ჩანს, ლაზეთს ერთხანს საათაბაგო ფლობდა და 1535 წლის მურჯახეთის ბრძოლის შემდეგ როსტომ გურიელს გადაეცა. საბოლოოდ ლაზეთი ოსმალებმა, როგორც ჩანს 1554 წელს დაიპყრეს. ამ წლის ტრაპიზონის დავთრის მიხედვით ეს მხარე ოსმალებმა ტრაპიზონის ლივაში შეიყვანეს და სანჯაყებად დაჰყვეს.

ლაზეთი როსტომ გურიელს ემორჩილებოდა და უშუალოდ გურიას ემიჯნებოდა. ამიტომ მისი დამორჩილების შემდეგ ოსმალებმა უკვე გურიას შემოუტიეს. „მოვიდნენ ბათომს, — წერს ბერი ეგნატაშვილი თურქების შესახებ, — დაუწყეს ციხეს შენება კატარღებითა და ნავითა". გურიის მთავარმა ბათუმიდან კი გარეკა მტერი, მაგრამ ფლოტი არ ალმოაჩნდა, ჭოროხიც ადიდებულიყო და მდინარეზე ლაშქარი ცხენით ვერ გადაიყვანა. მაშინ მან დახმარებისათვის პირველ რიგში ოდიშის მთავარს მიმართა, რომლისგანაც „კატარღებს და ნავებს" მოელოდა. ლევან I დადიანმა შეკრიბა საზღვაო ძალები და თავისი აფხაზი ვასალების საბრძოლო-საზღვაო ნავებთან ერთად „რიონის ლიმონში" — „რიონის თუალსა ზედა" ანუ საზღვაო ნავსადგურში ჩაუშვა ღუზა. სამეგრელოს

სამხედრო-საზღვაო ძალების გამოჩენას დიდი შეშფოთება გამოუწვევია ოსმალეთში და საქართველოს ზღვიპირეთში სამხედრო ფლოტის გაგზავნა გადაუწყვეტიათ. ამის შესახებ არაპირდაპირი ცნობა მოიპოვება იმჟამად სტამბულში მყოფი უნგრეთის ელჩის ანთალ ვერანჩიჩის თავის ხელმწიფისადმი გაგზავნილ წერილში. წერილში ელჩი პირველ რიგში მეფე ფერდინანდს ატყობინებდა სტამბულში გავრცელებული ხმებით 50 კატარღის ეგეოსის ზღვისაკენ გაგზავნას. ელჩი ეჭვს გამოთქვამს ამ ცნობის სინამდვილის შესახებ და შემდეგ განმარტავს: „თუ ეს ცნობა სინამდვილეს შეესაბამება მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ სულთანი შავი ზღვისკენაც გაგზავნის 10 კატარღას, რათა ყირიმელი თათრები გადმოიყვანოს კაბადოკიაში ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელთა რიცხვიც, როგორც ამბობენ 50 ათას ძლივს აღემატებოდა". საფიქრებელია, რომ წერილში კაბადოკია შეცდომითაა ნახსენები და სინამდვილეში სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი იგულისხმება. ამას მოწმობს უნგრეთის ელჩის მეორე წერილი, რომელიც მას სამშობლოში 1554 წლის დამდეგს გაუგზავნია: „ის სამ წყება ნიჩბიანი კატარღები, რომელიც შავ ზღვაში გაიგზავნა თათრების გადასაყვანად, კოლხეთის ჩრდილოეთით მცხოვრებმა მეგრელებმა მოიწყვდიეს მდინარეში (ეჭვის გარეშეა აქ მდ. რიონი იგულისხმება) და ნაოსნობის საშუალება მოუსპეს. ამ ალყაშემორტყმული კატარღების გასანთავისუფლებლად თურქები ახლა კიდევ სამას კატარღას ამზადებენ, — ეკითხულობთ წერილში, — და სხვა სასწრაფო ზომების განხორციელებასაც ცდილობენ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კატარღების გაგზავნა ნელი ტემპით მიმდინარეობს".

სამწუხაროდ, ოდიშის ფლოტის თურქეთის ფლოტთან შეტაკებამდე საქმე არ მისულა, რადგან მოსალოდნელი ღალატის შიშით ლევან I დადიანი როსტომ გურიელს ველარ დაეხმარა და თავისი საზღვაო-საბრძოლო კატარღებიც, როგორც ჩანს, ფოთის ნავსადგურიდან გაიყვანა. ამიტომ უნგრეთის ელჩი შემდგომ წერილში, რომელიც 1554 წლის სექტემბრითაა დათარიღებული, ცოტა სხვაგვარ ინფორმაციას აწვდის თავის მთავრობას. „შარშან ზაფხულში, — ეკითხულობთ უნგრელი ელჩის ამ ანგარიშში, — სულთანის ბრძანებით სამწყებად შავ ზღვაში შეეიდნენ ნიჩბიანი კატარღები — პირველად ხუთი კატარღა, ხოლო მოგვიანებით კიდევ სამი. პირველი ხუთი კატარღა ვითომ იგზავნებოდა ყირიმელი თათრების აზიაში გადასაყვანად, დანარჩენი სამი კი ადრე გაგზავნილი ამ ხუთი კატარღის დასახმარებლად, რომლებიც მდ. რიონში საფრთხეში ჩავარდნენ. სინამდვილეში ისინი არავითარი საფრთხის წინაშე არ მდგარან. კატარღების გაგზავნის ნამდვილი მიზანი ყოფილა სამეგრელოსა და კოლხეთში მცხოვრები ქართველებისაგან ბაჟის აკრეფა და სანაოსნო მდინარეებზე საბაჟო კონტროლის დაწესება, რათა არ მისცემოდათ ევროპელებს სპარსელებისათვის ზარბაზნების გადაცემის საშუალება".

მართალია, ლევან I დადიანმა უკან დაიხია, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა ოსმალების სწრაფვა აგრესიისაკენ. უნგრეთის ელჩი იმავე წლის 19 დეკემბერს გაგზავნილ წერილში თავის მთავრობას ატყობინებს, რომ „რომ სულთანს განუზრახავს შავ ზღვაში გაგზავნოს სამხედრო ფლოტი 100 სამწყება ნიჩბიანი კატარღის შემადგენლობით, რათა ამ ფლოტმა მდ. რიონის მეშვეობით მიაღწიოს ქართველების მამულის იმ საზღვრამდე, რომელსაც ძველი ხალხი იბერიას უწოდებდა. თუ ეს მართალი გამოდგა, მაშინ ცხადია, სულთანი ომს დაიწყებს ქართველებთან, მეგრელებთან და ჩერქეზებთან, აქედან უკანასკნელთ ჯიქებს უწოდებენ".

ამჯერად საქმე ოსმალების მიერ შავ ზღვაში ფლოტის გაგზავნამდე და ახალი ომის დაწყებამდე არ მისულა. მრავალწლიანი ომის შემდეგ, 1555 წლის 29 მაისს, ირანსა და ოსმალეთს შორის დაიდო ზავი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, მომავალი ორი საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე.

ამასიის ზავით ირანმა და ოსმალეთმა საქართველო ორად გაიყვეს. აღმოსავლეთ საქართველო ირანის ხელქვეით ქვეყნად გამოცხადდა, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი — ოსმალეთის. თუმცა, იმ

დროისათვის, საქართველოს არც ერთი პროვინცია ბოლომდე არ იყო დამორჩილებული ახლად გამოცხადებული მბრძანებლების მიერ, საქართველოს მეფე-მთავრებს მაინც მოუხდათ თავიანთ პოლიტიკაში ამასიის ზავით შექმნილი რეალობის გათვალისწინება.

ახლად შექმნილ ვითარებაში ლევან I დადიანმა გადაწყვიტა უშუალოდ თვითონ გამგზავრებულიყო სულთანის კარზე დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის. სამეგრელოში ახლად გამთავრებულ ოდიშის ყოფილ ერისთავს პირველ რიგში, თავისი ახალი სტატუსის განმტკიცება უნდოდა. ცალმხრივად იმერეთის მეფისაგან გამოცხადებული დამოუკიდებლობა ბევრს არაფერს არ ნიშნავდა, რადგან მეფეს ბედნიერ შემთხვევაში ყოველთვის შეეძლო ასეთი დამოუკიდებლობა არაფრად ექცია. საჭირო იყო ლევან I დადიანის ახალი პოლიტიკური მდგომარეობის საერთაშორისო აღიარება. ასეთი აღიარება და მისი დაცვის გარანტია იმ დროს მხოლოდ ერთადერთ ქვეყანას, ოსმალეთს შეეძლო. ამის გარდა, ლევან I დადიანს, როგორც ჩანს ჯიქების პრობლემა აწუხებდა. მას კარგად ახსოვდა ის ტრაგედია, რაც 1533 წ. იანვარში ჯიქეთის სანაპიროზე მოხდა.

ლევან I დადიანის სტამბოლში მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ, ანთალ ვერანჩიჩმა თავის მთავრობას ჯერ კიდევ 1557 წლის 16 თებერვალს გაგზავნილ საანგარიშო ბარათით აცნობა: „აქ მოელიან სამეგრელოს მთავარსაც, — ვკითხულობთ ამ ანგარიშში — იგი 300 კაციანი ამალით ჩამოდის იმისათვის, რომ ურჩიოს თავის მეზობელ ჩერქეზებს, რომლებიც გამუდმებით ესხმიან თავს მის ქვეყანას“.

1557 წლის 1 მარტის ანგარიშში ანთალ ვერანჩიჩი ოდიშის მთავრის უკვე სტამბულში ჩასვლას აღნიშნავს. „იგი მობრძანდა ზღვით ჩვენი თებერვლის ანგარიშის გამოგზავნის მეორე დღეს (ე.ი. ლევან I დადიანი სტამბულში 1557 წლის 17 თებერვალს ჩასულა), — ვკითხულობთ 1 მარტის ანგარიშში... იგი ჩამოვიდა, როგორც მეფე სრულიად სამეგრელოსი. მან ეს ტიტული სულ ახლახან მიიღო“. ლევან I დადიანს სულთანისათვის უძვირფასესი თასი მიერთმეული, რომელიც ისეთ ბრწყინვალებას გამოცემდა, რომ, ღამითაც ანათებდა. ამ თასს იმდენად მოუხიბლავს ოსმალები, რომ იგი მაშინვე სულთნის უძვირფასესი ნივთების საგანძურში მოუთავსებიათ. ანთალ ვერანჩიჩი შეეცადა საელჩოში მოეყვანა ელჩობის რომელიმე წევრი, რათა დაწვრილებით გამოეკითხათ მისთვის ოდიშის შესახებ. იმჟამად ეს არ მოხერხდა, რადგან ლევან I დადიანის მთელი ელჩობა ოსმალების უაღრესად მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. უნგრეთის ელჩის ცნობით, „სამეგრელოს მთავარი თვითონ ჩამოვიდა ელჩის სახით“ სტამბულში „მეზობელ ჩერქეზებზე შურისძიების მიზნით, რადგანაც მათ მოუკლავთ მამამისი. მეფეს (ე.ი. ლევან I დადიანს) მათ წინააღმდეგ გაუგზავნია ჯარი, მაგრამ მიგვაჯვედრა, რომ ეს სახმელეთო ჯარის ნაწილები ვერ გაუძლებდნენ ჩერქეზების ძლიერ ლაშქარს. იგი დარწმუნებულია, რომ საზღვაო ფლოტის გარეშე ვერაფერს გახდება მტრის წინააღმდეგ“. ლევან I დადიანი მზად ყოფილა ხარკიც კი ეკისრა ოსმალეთის წინაშე, რათა სულთანისაგან დახმარების სახით „ნიჩბიანი გალერები“, უფრო ზუსტად კატარღები მიეღო. „ჩვენ მხოლოდ მოგვიანებით შეგვეძლება შევიტყოთ რა საჩუქარს, ან ძღვენს წაიღებს აქედან სამეგრელოს მთავარი, რომელსაც დადიანს უწოდებენ, — ასრულებს ოდიშის თემას უნგრელი ელჩი თავის ანგარიშში — ზემოთხსენებული ძვირფასი თასისა და მასზე გაცილებით ძვირფასი პირადი თავისუფლების დაკარგვის ნაცვლად. აქ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, თურქეთის ფლოტის ზღვაში გასვლის შედეგად სამეგრელოს მთავარი დაუყოვნებლივ ჯერ ვერც თავის მიერ მოთხოვნილ კატარღებს მიიღებს. საქმე ისაა, რომ ეს ფლოტი სულთანს სჭირდება თავისი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მიზნების განსახორციელებლად. შესაძლებელია, რომ მან სამეგრელოს მთავარს მისცეს პატარა ზომის, მაგრამ მაინც მოჭედილ ცხვირიანი კატარღები, რომლებიც სავსებით გამოსადეგია სამხედრო-საზღვაო ოპერაციებისათვის“.

ავგერ ბუსბეკი, რომელიც 1557 წელს სტამბულში იმყოფებოდა, ლევან I დადიანს ახასიათებს, როგორც მეტად ლამაზ, წარმოსადეგ მამაკაცს. სამეგრელოს ელჩობას სტამბულში ჩაუტანია აბრეშუმი და ტილო, რომლითაც აპირებდნენ ოსმალეთის დიდმოხელეების მოსყიდვას და ელჩობის ხარჯების დაფარვას.

დღეისათვის უცნობია ლევან დადიანის სულთანის კარზე მოლაპარაკების დეტალები, რომელიც ოდიშის მთავრისათვის დიდი წარმატებით დასრულებულა. პირველ რიგში, როგორც ჩანს მან სულთანის ხელისუფლებისაგან მიიღო იმერეთის მეფისაგან ოდიშის გამგებლის დამოუკიდებლის აღიარება. ეს კი

მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ამის შემდეგ ოდიშსა და იმერეთს შორის ოსმალეთი იდგა, რომელიც სამთავროს სამეფოსთან შეერთებას არასოდეს არ დაუშვებდა. სწორედ ამიტომაც იყო, რომ დაახლოებით 230 წელი, სანამ ოსმალეთი გადამწყვეტ ძალას წარმოადგენდა შავიზღვიპირეთში, იმერეთის მეფეებს არასოდეს არ უცდიათ ოდიშის საერისთავოს გაუქმება. საქმე მხოლოდ წარმატების შემთხვევაში, ოდიშის მთავრის ტახტზე სასურველი კანდიდატის დასმით და ოდიშის ტერიტორიის ხარჯზე სამეფოს გაფართოებით მთავრდებოდა. ასე რომ ოდიშის ერისთავების ოდიშის მთავრად საბოლოო ტრანსფორმაციის თარიღად ჩვენ სწორედ 1557 წ. უნდა მივიჩნიოთ, როდესაც სტამბულში მყოფმა ლევან I დადიანმა თავისი დამოუკიდებლობის საერთაშორისო გარანტია მიიღო. დაახლოებით ამავე წლებში ასეთივე გარანტიები მიიღო გურიის ყოფილმა ერისთავმა. ასე რომ XVI ს-ის 50-იანი წლების დასასრულისათვის იმერეთის სამეფო უკვე მთელ დასავლეთ საქართველოს აღარ მოიცავდა. ოდიშის, გურიის და აფხაზეთის გამგებლები, ეხლა დამოუკიდებელ მთავრებს წარმოადგენდნენ და იმერეთის სამეფო მხოლოდ საკუთრივ იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმს და შესაძლებელია ქვემო სვანეთსაც მოიცავდა.

ანთალ ვერანჩიჩის გამოთქმული ეჭვის მიუხედავად, სულთანის ხელისუფლებამ ლევან I დადიანს ნათხოვი კატარღები გადაცა. „რატიანთა გუჯარი", ნაჩუქარ 9 საზღვაო ერთეულს ასახელებს, ხოლო იმ დროს სტამბოლში მყოფი იტალიელი კომერსანტი მარინო კავალი დადიანისათვის 6 კატარღის გადაცემაზე წერს. სტამბულიდან სამშობლოში დაბრუნებულ ლევან I დადიანს, მალე საზღვაო ომი წამოუწყია ჯიქების წინააღმდეგ. „მეგრელები, — წერს მარინო კავალი, — მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთთან დაახლოებული არიან... ცდილობენ მათ გარეშე გააკეთონ ყველაფერი. ოთხი თუ ხუთი წლის წინათ მათი მეფე თუ მთავარი დადიანი, რომელსაც სისხლისმღვრელი ომი ჰქონდა ჩერქეზებთან, (იგულისხმება ჯიქები) პირადად წავიდა კონსტანტინეპოლში სულთნისაგან დახმარების სათხოვნელად და მიიღო ექვსი კატარღა. მაგრამ ოსმალები ისე დაეხმარნენ მას, რომ მისთვის ნათელი შეიქმნა უფრო სულთნის მონა და მასზე დამოკიდებული ხდებოდა, ვიდრე დახმარებას მიიღებდა. ეს მტერთან ბრძოლაზე უფრო მძიმე იყო. ამიტომ შემდეგ წელს მან მადლობა მოახსენა სულთანს გაწეული დახმარებისათვის და ჩერქეზებს შეუთანხმდა, რომლებთანაც უფრო მეტი სამართლიანობა ნახა, ვიდრე თურქებთან".

ასე დასრულდა საზღვაო კონფლიქტი ჯიქებთან, რომელიც მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანს გრძელდებოდა. როგორც ირკვევა, ამ ბრძოლამ თავისი შედეგი გამოიღო, რადგან დიდი ხნის მანძილზე საისტორიო წყაროები თითქმის არაფერს ამბობენ საქართველოზე ჯიქების თავდასხმის შესახებ.

ზემოთ მოხსენიებული ე.წ. „რატიანთა გუჯარი" 1909 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა. ამ გუჯარში გაერთიანებულია რატიათა იგივე რატიანთა, საგვარეულოსადმი ბოძებული სამი წყალობის სიგელი, რომელიც ოდიშის მთავრების ლევან II დადიანის (1611-1657) ვამეყ III დადიანის (1657-1661) და ლევან III დადიანის (1661-1681) მიერაა გაცემული. ფაქტობრივად ეს სამი სიგელი, ჯერ კიდევ ლევან I დადიანის მიერ გაცემული დღემდე არ მოღწეული წყალობის სიგელის განახლებას წარმოადგენენ, ამიტომ მათი წყალობით შესაძლებელი ხდება დაკარგული დოკუმენტის შინაარსის აღდგენა.

„ასრე რომე პაპა ჩუმნი ლიონ დადიანი სტამბულს წასულა, რაც ოდიშს პატიოსანი საყდარი ყოფილა, ამისათჳს ზოგს ოცი, ზოგს ათი, ზოგს ხუთი შეუწირავს — ჯკითხულობთ ლევან II დადიანის სიგელში. (რასაკვირველია ლევან//ლეონ I მისთვის პაპა კი არა უფრო შორეული წინაპარი იყო) — „ქრისტეკორი სტამბულს წაუტანიათ, და იქ პაპა ჩუმნს გამარჯუმბია, და ამით ძალიან გამარჯვებული მოსულა, და ცხრა ხომალდი ბედნიერ ხუანთქარს წყალობად მიეცა. მათ აქეთ წამობრძანებულა, ქრისტეკორი იქ სტამბულს დაუდგია ხომალდების წინამძღვრად და მდივნობაც უბოძებია და უფროსობაჲ ხომალდის". მარტო ამით არ დასრულებულა ქრისტეკორი და მისი ძმების მიმართ ლევან I დადიანის წყალობა. მას ამ ოჯახისათვის ზღვასთან დაკავშირებით კიდევ ერთი საპატიო პრივილეგია მიუცია. „ხომალდები სადაც დადგეს, ტყაყურს და მორკულას, ანაკლიას, ხორგას, მდივნობაჲ და მებაყეობაჲ", — ეკითხულობთ ლევან III-ის მიერ გაცემულ სიგელში.

მოყვანილი ნაწყვეტები რატიანთა გუჯარიდან, ზოგი სხვა მასალის დახმარებით საშუალებას გაგძლევს აღვადგინოთ ზღვაოსნობისა და საზღვაო ვაჭრობის ისტორია XV-XVII სს-ის ოდიშში.

ირკვევა, როგორც ძველ ეგრისში (კოლხიდაში) და ახალ ეგრისში (ლაზიკაში) მის უშუალო მემკვიდრეს ოდიშსაც ზღვაოსნობის დიდი ტრადიციები გააჩნდა.

ამასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესოა ამბროჯიო კონტარინის ცნობა იმის შესახებ, რომ 1474 წელს, როდესაც მისმა ხომალდმა რიონის შესართავში ჩაუშვა ღუზა, მას შეხვდნენ „ბარკასით

მეგრელები", ხოლო მეორე დღეს, ვენეციელი ელჩის სიტყვით, „მეგრელებისავე ბარკასით ავყევით მდინარეს და მივედით ფაზისის ქალაქში".

იტალიურ დედანში ბარკასის ნაცვლად „ბარკა" გვხვდება. XV ს-ში ეს იყო შედარებით სწრაფმავალი ერთანძიანი გემი, რომლის ზომები იყო დაახლოებით 12,5X3,5 მ და რომელსაც დაახლოებით 25 ტონა ტვირთი გადაჰქონდა. დაახლოებით ასეთივე იყო ის „მეგრელების ბარკასი", რომელიც იტალიელებს რიონის შესართავში შეეგებათ. ბუნებრივია, აფრას გარდა ამ პატარა გემს ნიჩბებიც გააჩნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ მოახერხებდა რიონის დინების დაძლევას.

ქრისტეკოჩი რატიანის სტამბოლს დატოვება ხომალდების წინამძღვრად მოწმობს, რომ ოდიშის მთავარი საკუთარი ძალით აპირებდა სულთანის მიერ ნაბოძები კატარღების შშობლიურ ნაპირზე გადაყვანას, რაც იმას ადასტურებს, რომ ქრისტეკოჩი რატიანს ზღვაზე ცურვის დიდი გამოცდილება ჰქონდა. XVI ს-ში 6 თუ 9 კატარღა, რომელიც სხვადასხვა ცნობით მიიღო ოსმალეთის ხელისუფლებისაგან ლევან II დადიანმა, საკმაოდ ძლიერ საზღვაო-სამხედრო შენაერთს, მთელ ესკადრას წარმოადგენდა. ამიტომ ქრისტეკოჩი რატიანისათვის ლევან I დადიანის მიერ ბოძებული „ხომალდების წინამძღვრობა" თანამედროვე ტერმინოლოგიით ფლოტის ადმირალს შეესაბამება. ასე რომ ქრისტეკოჩი რატიანი დღემდე ცნობილი, შუა საუკუნეების საქართველოს ერთადერთი „ადმირალია". ჩვეულებრივ ადმირალს ესკადრაში თავისი საფლაგმანო სამხედრო გემიც გააჩნია. ეს წესი XVI ს-ის ქართველებს ძალზე კარგად ცოდნიათ, ამიტომ ლევან I დადიანმა ესკადრის წინამძღვრობასთან — ადმირალობასთან ერთად უბოძა „უფროსობაჲ ხომალდის" ანუ ერთ-ერთი საბრძოლო გემის კაპიტნობა და იქ თავისი დროშის აღმართვის უფლება.

მკითხველს ალბათ ახსოვს ის „კატარღები", რომლითაც XVI ს-ის 50-იან წლების დასაწყისში რიონის შესართავში გაჩერებული ლევან I დადიანი ოსმალეთის აგრესიის შეჩერებას ცდილობდა, ამიტომ საფიქრებელია, სულთანის კარზე ვიზიტად მყოფი ოდიშის მთავარი საგანგებოდ ამუქებდა თავის უძლურებას ზღვაზე, სინამდვილეში მას საკმაოდ ძლიერი საზღვაო ძალები გაჩნდა. ამაში მკითხველი ცოტა ქვემოთ დარწმუნდება.

როგორც გაიკვა, გეიანშუასაუკუნეების საქართველოს ზღვისპირეთში და პირველ რიგში ოდიშში, ძირითადად ორი ტიპის საზღვაო გემები იგებოდა. სამშვიდობო მიზნით გამოიყენებოდა ე.წ. „ოჩხომელი/ /ონჩხომელის" ტიპის ხომალდები. ეს იყო ერთანძიანი ლათინური ანუ სამკუთხა აფრიანი ხომალდი, რომელსაც შეეძლო როგორც ცხვირით ისე ბოლოთი მიდგომოდა ნაპირს. აფრასთან ერთად ასეთ „ოჩხომელს" ნიჩბებიც ჰქონდა, რომელსაც უქარო ამინდში იყენებდნენ. „ოჩხომელითა" ზღვაზეც დაცურავდნენ და მდინარეშიც. მას ტვირთისა და მგზავრის გადასაყვანადაც იყენებდნენ, აგრეთვე ამ ხომალდებით ზღვაზე თევზსაც იჭერდნენ.

რატიანთა გუჯარში დაცული ტერმინები „მდივნობაჲ და მებაჟეობაჲ" სხვა მასალასთან ერთად საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ საზღვაო ვაჭრობის ორგანიზაცია გეიანშუასაუკუნეების საქართველოში, პირველ ყოვლისა ოდიშში. მით უფრო, რომ ამავე გუჯარში დამოწმებულია ტერმინი „ხომალდების დაყენება".

როგორც ირკვევა, როდესაც უცხოური ხომალდი ოდიშის ნაპირებთან ჩაუშვებდა ღუზას, მისკენ მცირე ნავით მიეშურებოდა საგანგებო მოხელე — „ხომალდის მდივანი", რომელიც ხომალდზე ადიოდა და ხომალდის ტვირთს საგანგებოდ ამოწმებდა. შემოწმების საფუძველზე ნაპირთან, „ხომალდის დაყენებისათვის" ანუ რეიდზე დგომისათვის „ხომალდის მდივანი" საგანგებო ბაჟს კრეფდა, რომელიც ამ გემზე მოთავსებული თითოეული საქონლის გარკვეულ ნაწილს შეადგენდა. ზოგი უცხოური სავაჭრო ხომალდი ზღვის ნაპირთან არ ჩერდებოდა და სანაოსნო მდინარეში შედიოდა. ასეთი იყო მდ. მოქვისწყალი — სოფ. მერკულამდე, მდ. ენგური — რუხის ციხემდე, მდ. ხობი — ხობის მონასტრამდე და მდ. რიონი, რომელიც მთელი ოდიშის ტერიტორიაზე სანაოსნოს წარმოადგენდა. მდინარეზეც „ხომალდის დადგომისათვის" იგივე წესით ბაჟი აიკრიფებოდა.

სამხედრო-საზღვაო ძალები კატარღების, იგივე ოლეჭკანდარებისაგან შედგებოდა. ეს იყო გრძელი ნიჩბიანი საზღვაო გემი, რომელსაც ერთი ანძა და აფრა გააჩნდა. ასეთ ოლეჭკანდარებზე მებრძოლები მორიგეობით ისხდნენ ნიჩბებთან.

ოდიშის სამხედრო-საზღვაო ძალების მეზღვაურების შეკვება საგანგებო ბეგრის „ნავტობის" თუ „მენავტობის" საფუძველზე ხდებოდა. ეს ტერმინი ბიზანტიური ხანის ბერძნული სიტყვიდან „ნავტეს" მოდის, რაც ამ ენაზე მეზღვაურს ნიშნავდა. ეს ტერმინი დასავლეთ საქართველოში ყველაზე გვიან ახალი ეგრისის (ლაზიკე) სამეფოს ხანიდან უნდა იყოს შემოსული, როდესაც ამ სამეფოს ბიზანტიის წინაშე საზღვაო ბეგარა ედო. ეტყობა V-VI სს-ში „ნავტობა" საზღვაო ბეგარის საფუძველზე იმპერიის ფლოტში სამსახურს ნიშნავდა. შემდეგში ამ ტერმინმა თავისი მნიშვნელობა შეიცვალა.

გვიანშუასაუკუნეებში „ნავტობა“ ანუ „მენავტობა“ პირველ რიგში ზღვაზე სამსახურის ვალდებულებას აღნიშნავდა.

1557 წელს სტამბოლიდან დაბრუნების შემდეგ ლევან I დადიანის შესახებ ძალზე მცირე ცნობებია შემორჩენილი. ვახუშტი ბაგრატიონის და ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ შინაომში, რომელიც 1560-იან წლებში იმერეთის მეფესა და გურია-ოდიშის მთავრებს შორის გაჩაღდა. ამ ბრძოლაში თითქოს 1568 წლისათვის დადიანი დამარცხდა და იგი იძულებული გახდა დასახმარებლად „სტამბოლში“ წასულიყო, სადაც მას ოსმალეთის სულთანმა დასახმარებლად „აზრუმის-ტრაპიზონის“ სპანი უბოძა. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, გვიანფეოდალური ხანის ეს ისტორიკოსები აშკარად ცდებიან. მათ ოდიშიდან ოსმალეთში ორი ელჩობა ერევათ ერთმანეთში. ლევან I დადიანი სტამბულში ვიზიტად, როგორც დავინახეთ 1557 წ. იმყოფებოდა, ხოლო 1568 წელს, სინამდვილეში 1567 წელს, სტამბულს ოდიშის მთავრის ვაჟი ეწვია. ამის შესახებ ცნობას ვხვდებით იმ დროს ოსმალეთის დედაქალაქში მყოფი ადამ დე ფრანკოს 1567 წლის 3 ნოემბრით დათარიღებულ წერილში, სადაც აღნიშნულია სამეგრელოს მთავრის ვაჟის ჩასვლა სტამბულში თურქეთის მოწვევით, მისი შეუძლოდ გახდომა და მისი გამოჯანმრთელების შემდეგ, მოლაპარაკების მიზნით ადრიანოპოლში (ედირნეში) მოსალოდნელი გამგზავრების ვარაუდი. ასე რომ 1568 წლისათვის დახმარება სტამბულში არა უშუალოდ ლევან I, არამედ მისმა ვაჟმა მიიღო. ოსმალეთის დახმარებამ ლევან I თავის მოწინააღმდეგეებთან შეარიგა და ოდიშის მთავრის ტახტზე მდგომარეობა განუმტკიცა.

როგორც ირკვევა, სულთანს ოდიშის მთავრის ვაჟი მოსალაპარაკებლად მარტო ოდიშის დახმარებისათვის არ მოუწვევია. ოსმალეთის მთავრობას პირველ რიგში, ოსმალეთის სანაპიროებზე ოდიშისა და მისი ვასალის — აფხაზების მეკობრეობის აღკვეთა უნდოდა.

როგორც ირკვევა, პირველი შეტაკებები საქართველოს, ძირითადად ოდიშის სამხედრო-საზღვაო ძალებთან, ოსმალეთის ხელისუფლებას ჯერ კიდევ 1461 წელს ტრაპიზონის იმპერიის დაპყრობის შემდეგ ჰქონია. საქართველოდან მოსული საფრთხე იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მისი აღკვეთის მიზნით, თურქეთის ხელისუფლებამ ახლად შემოერთებულ ტრაპიზონში სპეციალური ფლოტი ააგო და ქართველებისაგან ოსმალეთის ნაპირების დაცვა დაავალა. განსაკუთრებით გაძლიერდა ქართველების თავდასხმა ოსმალეთის სანაპიროზე 1560 წ. შემდეგ, როდესაც ლევან I დადიანმა ჯიქებთან საზღვაო ომი დაასრულა. 1560 წელს თურქული წყაროს ცნობით, სამეგრელოს „15 დიდი და უხეში“ ნავი ოსმალეთის მიერ დაკავებულ გონიოსთან გამოჩნდა. ოსმალებმა საჩქაროდ გამოყვეს ერთი შენაერთი თავიანთი ფლოტიდან და გონიოს მიდამოების მუდმივი დაცვა დაავალეს. ეს დაცვა ეფექტური ვერ გამოდგა, რადგან შემორჩენილია, 1560 წლის თურქეთის მთავრობის საგანგებო ბრძანება არზრუმის ბეგლარბეგისადმი, რომელსაც ამ დროს გონიოს მხარე ემორჩილებოდა. ბრძანებაში აღნიშნულია, რომ 1560 წლის 26 მაისიდან 25 ივნისამდე საქართველოს მხრიდან გონიოს ციხის ასაღებად, 15 საზღვაო ნავი მოსულა. მათ დიდი ომი გადაუხდიათ, ციხის ბევრი დამცველი დაუხოცავთ და უკან დაბრუნებულან. ოსმალეთის მთავრობა არზრუმის ბეგლარბეგს ავალებდა 10 საბრძოლო ნავის აგებას და ეკიპაჟით დაკომპლექტებას. ცოტა ქვემოთ ამავე ბრძანებაში კიდევ 5 ნავის აგებაზეა საუბარი.

გონიოს ციხე 1550-იანი წლების შემდეგ ოსმალეთის ყველაზე მნიშვნელოვანი პლაცდარმი იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, იგი კონტროლს უწევდა დასავლეთ საქართველოს საზღვაო ვაჭრობას. ამიტომ მის დანგრევას ქართველები თავის უპირველეს ამოცანად მიიჩნევდნენ.

1571 წელს ოდიშის საზღვაო ძალები კელავ გამოჩენილან გონიოსთან. ამ თავდასხმის შესახებ ცნობები შემორჩა გონიოს ციხის ვალის მოხსენებით ბარათში. დადიანი და მისი ვაჟები ორჯერ დაესხნენ გონიოს სანჯაყს, გონიოს, არქაბეს, ათინას. სანახების მაჰმადიანური მოსახლეობა დაურბევიათ, საქონელი დაუხოცავთ, ტყვეები წაუყვანიათ და სურსათი წაუღიათ, შემდეგ თავდასხმა კიდევ გამეორებულა. ამჯერად თავდასხმაში ოდიშის მთავრის აფხაზი ვასალებიც იღებდნენ მონაწილეობას. ამ საზღვაო თავდასხმებმა ისე დააშინა თურქები, რომ როდესაც ისინი მზვერავებისაგან შეიტყობდნენ სამეგრელოს ნავების ზღვაში გასვლას, მაშინვე უშუალოდ სულთანს კარზე მოახსენებდნენ. თავდასხმების საპასუხოდ სულთანის საზღვაო ლაშქრობა უბრძანებია, რათა ქართველების საზღვაო ძალები ადგილზევე მოესპოთ, მალე ოსმალეთის ხელისუფლებამ საქმეში დიპლომატიაც ჩართო. ოდიშისა და გურიის მთავრებისათვის საზღვაო-საბრძოლო გემების აღჭურვისათვის არტილერია და ტყვია-წამალი გადაუცია და მათი ყოფილ მოკავშირეებთან ჯიქებთან და აფხაზებთან დაუპირისპირებია. ამის გარდა, გამოყენებული იქნა საზღვაო ბლოკადაც. სამეგრელოსა და ჯიქეთში საბრძოლო იარაღის შეტანა აიკრძალა, თუმცა ბლოკადა ეფექტური ვერ აღმოჩნდა. 1572 წლის ერთი თურქული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ სამეგრელოში ბლოკადის მიუხედავად ხუთიათასი მარტო „გორდა“ ხმალი შეუტანიათ. გარდა ამისა, შეუტანიათ სხვა საჭურველიც. ოდიშის მთავარს ამის შემდეგ დამატებით კიდევ 9 საბრძოლო ნავი-კატარღა აუგია და არტილერიით შეუიარაღებია. ამჯერად, როგორც ჩანს ოსმალებმა ვერ მოახერხეს ქართველებზე ზღვაზე გამარჯვება. მათ ეს მხოლოდ 1578 წელს მოახერხეს, როდესაც ლევან I დადიანი ცოცხალი უკვე აღარ იყო.

ლევან I დადიანი 1572 წლის 14 მაისს გარდაიცვალა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით „უბრკმა ცხენსა ნადირობისა შინა და შემუსრა კისერი მისი“. ბერი ეგნატაშვილის ცნობით ცხენი დადიანს ნადირობის დროს ჯაიანმა „შეაძგერა“.

ლევან I დადიანის ბოლო წლებში, როგორც აღვნიშნეთ, ოდიში უკვე დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენდა.

თავი მეექვსე

ოდიშის სამთავრო ძველ დადიანთა მმართველობის ხანაში

6.1. ოდიში XVI ს. 70-იანი წლებიდან XVII ს. დამდეგამდე

საქართველოს ამა თუ იმ საერისთავოს გამგებელი და მათ შორის ოდიშის ერისთავიც, იყო საჯარო ხელისუფლების მოხელე, მეფის პიროვნების წარმომადგენელი საერისთაოში, რომელსაც ექვემდებარებოდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა მხარე სამმართველოდ ჩაბარებულ ტერიტორიაზე. ერისთავი, როგორც მეფის მოხელე, ვალდებული იყო ყოფილიყო „მეფის მორჩილებასა შინა". მთავრის ხელისუფლება ერისთავის ხელისუფლებისაგან მკვეთრად განსხვავდება. მთავარს მემკვიდრეობით, „თვისად" უჭირავს მეფის მიერ ადრე საგამგეოდ ჩაბარებული მხარე, მეფე მის საქმეებში ვერ ჩაერევა, მის სამფლობელოში მეფის სასარგებლო ხარკი ვერ აიკრიფება, „იგი განაგებს ქვეყანას მორჩილებასა შინა თვისსა".

მთავრის იურისდიქცია არაფრით არ განსხვავდება მეფის იურისდიქციისაგან, იგი მხოლოდ „მეფის" ტიტულს არ ატარებს. მთავარი დებდა ზავს და იწყებდა ომს, ურთიერთობას აწარმოებდა უცხოეთის სახელმწიფოებთან, იყო უმაღლესი სასამართლო ინსტანცია. მას ჰყავდა სამმართველო აპარატი (ვეზირი, სახლთუხუცესი, მოლარეთუხუცესი და სხვ.), ეკუთვნოდა ბაჟები და სხვა პრივილეგიები.

ლევან I დადიანი ოდიშის უკანასკნელი ერისთავთერისთავი და პირველი მთავარი იყო. მან მტკიცედ დაიმკვიდრა უმაღლესი ხელისუფლება. იგი თავის სიცოცხლეში ჯერ კიდევ ატარებდა ერისთავთერისთავისა და მანდატურთუხუცესის ტიტულებს, მაგრამ მისი მემკვიდრეები იმერეთის ტახტის საკარისკაცო ტიტულებზე ხელს იღებენ და „ხელმწიფე დადიანად" ან „ხელმწიფეთა-ხელმწიფე დადიანად" იწოდებიან.

დაიწყო ასევე წინააღმდეგობანი დადიანთა და გურიელთა სამთავრო სახლებს შორის. დადიანი და გურიელი, სანამ დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, ხელიხელჩაკიდებულნი ერთად უტევდნენ იმერეთის მეფეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც „გამარჯვებას" მიაღწიეს, მტრულად დაუწყეს ცქერა ერთმანეთს. ახლა უკვე თითოეული პირველობისაკენ მიილტვოდა. იმერეთის მეფე ცდილობდა გამოეყენებინა ეს წინააღმდეგობა თავის სასარგებლოდ და უფლებები აღედგინა მათზე. ასეთ კრიტიკულ მომენტებში, დადიანი და გურიელი, მიუხედავად მტრობისა, მყისვე ერთიანდებოდნენ და ფრთებს აკვეცდნენ იმერეთის მეფის გეგმებს. ერთგვარ წესად ჩამოყალიბდა, რომ გაძლიერებულ მეფეს თუ მთავარს დანარჩენები წაესეოდნენ ხოლმე. „იმერეთის მეფესთან და ერთმანეთთან ასეთი დამოკიდებულებით დადიანი და გურიელი დასავლეთ საქართველოში ერთგვარ წონასწორობას იცავდნენ" (ო. სოსელია).

დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ხელისუფალთა შორის ბრძოლა იქამდე მივიდა, რომ მათ აღარ ეთაკილებოდათ ერთმანეთის წინააღმდეგ ოსმალთა

ძალები გამოეყვანათ. ამას, ცხადია, საერთო მტერთან ბრძოლისათვის სავალალო შედეგები მოჰქონდა.

XVI საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს დადიანისა და გურიელის ახალი წინააღმდეგობა წარმოიშვა, რისი მიზეზიც, როგორც ზემოთ აღნიშნული გვქონდა, მათი დასავლეთ საქართველოში ჰეგემონიისათვის ბრძოლა იყო, ხოლო საბაბი კი დადიანთა სახლის მიერ გურიელთა სახლის ქალის შეურაცხყოფა, მისი გაძევება.

გურიელის და დადიანის ბრძოლა და ამ ბრძოლაში იმერეთის მეფის პოზიცია უფრო ნათელი რომ შეიქნეს, მივყვეთ მოვლენათა მსვლელობას.

ოდიშის მთავრის, ლევან I დადიანის (1533-1572 წწ.) ვაჟს, გიორგის ცოლად ჰყავდა როსტომ I გურიელის ქალი. როსტომის გარდაცვალების შემდეგ მან ეს ქალი გააგდო და თავის ბიძას, ბათულიას წაართვა ცოლი. შეურაცხყოფილმა გიორგი II გურიელმა (1564-1583 წწ.) წყენა არ შეიმჩნია და მცირე ხნის შემდეგ ლევანის ასული ითხოვა ცოლად. ცხადია, გურიელის ეს ნაბიჯი შურისძიებისათვის იყო გამიზნული. მცირე ხნის შემდეგ მან ლევანის ქალი გააგდო. იმერეთის მეფე გიორგი, გაიგო თუ არა მომხდარი ამბავი, გურიელს დაუმოყვრდა და აშკარად მის მხარეს დადგა. იანეთთან ბრძოლაში დადიანი დამარცხდა, მაგრამ ქიშში ამით როდი დამთავრებულა. გამარჯვებულმა მოკავშირეებმა „იწყეს შურობად და ლაშქრობად დადიანისა და ვერ ეძლო წინააღმდეგობა მათი დადიანსა" (ბერი ეგნატაშვილი). მეფემ და გურიელმა ოდიში მოაოხრეს. შეჭირვებულმა დადიანმა, „ღონედ უძლურებისა თვისისა" სულთანს მიმართა დახმარებისათვის და 1557 წელს სტამბოლს ჩავიდა. ამის შესახებ ზვეთ ერცლად იყო ნათქვამი.

ლევან I დადიანის ეს ვიზიტი ოსმალეთის მთავრობამ სათანადოდ შეაფასა. მას სახმელეთო ჯარებით დაეხმარნენ. ამის შესახებ უკვე ქართული წყაროები გვატყობინებენ: „შემწე ეყო სულთანი დადიანსა და მისცა ჯარი აზრუმისა და ტრაპიზონისა. წარმოვიდნენ და დაბანაკდნენ სატყეპელას". გიორგი გურიელი შეაშფოთა დადიანის გაძლიერებამ და მასთან შეთანხმება სცადა. მან თხოვა დადიანს, „რათა ზავ-ჰყონ და არა მოუოხრონ ქვეყანა". დადიანმა თავისი ქალის გაშვებისათვის სისხლად 10000 დრაჰკანი მიიღო და სამთავროც დაიბრუნა.

საქმის ასე შემოტრიალება გიორგი მეფეს ცხადია, არ ესიამოვნა. მან დადიანის მომხრის, ჯაკან ჭილაძის დასჯა მოიწადინა და მოაკვლევინა კიდეც იგი. მომხდარმა ფაქტმა დადიანი და გურიელი უფრო შეაკავშირა. მათთან გიორგი იმერეთის მეფემ ვერაფერი გააწყო და მოკავშირეებმა საჭილაძეო მამული თვითონ გაიყვეს.

1572 წელს, როგორც ზემოთ აღნიშნა, ნადირობის დროს ლევან I დადიანი დაიღუპა. სამთავრო ტახტზე გიორგი ლევანის ძე ავიდა.

იმერეთის მეფემ ახალი მთავრის გადმოსაბირებლად მომენტი ხელსაყრელად მიიჩნია და დაუმოყვრდა მას: დადიანის და შერთო თავის ვაჟს, ბაგრატს. გიორგი გურიელი უქმად არ დამჯდარა. მანაც კონტრზომები მიიღო, თავისი და შერთო მთავრის უმცროს ძმას, მამიას. ამის შემდეგ გურიელი გიორგი დადიანს მიუხდა ზუგდიდში, დაამარცხა და აფხაზეთში განდევნა იგი. სამთავრო ტახტი მამიამ მიიღო.

იმერეთის მეფე გიორგი შეურიგდა მამიას გამთავრებას. გიორგი დადიანს სხვა არაფერი დარჩენოდა, „იშოვნა ლაშქარი აფხაზეთისა, ჯიქისა და ჩერქეზისა" და სამთაოროს დასაბრუნებლად გამოეშურა. გურიელმაც „ათხოვა ლაშქარი თვისი მამიას და შეიბნენ. კუალად გაემარჯუა მამიას და გაექცეს გიორგი დადიანი" (ვახუშტი).

დადიანმა რაკი შეიარაღებული ძალით ვერაფერი გააწყო, მოლაპარაკება არჩია და იმერეთის მეფეს ეევედრა შემწეობას. გიორგი მეფემ „პირი მისცა შეულისა" და თავის მხრივ გიორგი გურიელთან დაიწყო მოლაპარაკება. აღმოჩნდა, რომ გურიელს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო გიორგი დადიანის სამთავრო ტახტზე აღდგენისა, მხოლოდ მის მიერ სისხლად მიცემულ 10000 დრაჰკანს მოითხოვდა: „ვითარცა განუტევე დაჲ მისი და მივეც სისხლი, აგრეთვე მანცა განუტევა დაჲ ჩემი, მომცეს ნასისხლი ჩემი და მე... ეყო იგი დადიანადვე" (ვახუშტი).

გიორგი დადიანმა დაუბრუნა გურიელს 10000 დრაჰკანი, მაგრამ რაკი თანხა ხელთ არ ჰქონდა, გირაოდ ხოფი დაუთმო. მას ცოლად შერთეს გიორგი იმერეთის მეფის ცოლისდა, ჩერქეზის ქალი. მამია დადიანმა უფროსი ძმა ცნო მთავრად: „რადგან უფროსი ძმა არის, მისი წესია დადიანობა და მანცა დაანებ" (ბერი ეგნატაშვილი).

როგორც ვხედავთ, გიორგი გურიელის მთავრობისას, გურიის სამთავრომ დიდ წარმატებას მიაღწია ოდიშთან ბრძოლაში.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ისტორიის ეს ეპიზოდი შესანიშნავად ავლენს ეპოქის ხასიათს. მთელი ჯაჭვი შინაფეოდალური ომებისა და ინტრიგებისა, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, ტიპიურია დასავლეთ საქართველოსათვის მთელი გვიანშუასაუკუნეების მანძილზე.

ამავე ხანებში საერთაშორისო სარბიელზე ახალი მოვლენები მწიფდებოდა. ოსმალეთის ძირითადი მეტოქე სამხრეთ კავკასიაში, ირანი შინაშლილობის ასპარეზად ხდება. ოსმალეთმა ხელსაყრელი მომენტით ისარგებლა და 1578 წელს ახალი ომი წამოიწყო სამხრეთ კავკასიის დასაპყრობად, რითაც დაარღვია ამასიის ზავი და უგულებელყო ირანის „უფლებები" აღმოსავლეთ ამერკავკასიაზე. ოსმალეთის მთავრობამ წერილებით მიმართა ოდიშისა და გურიის მთავრებს, იმერეთისა და კახეთის მეფეებს, რათა მათ მონაწილეობა მიეღოთ ამ ომში ირანის წინააღმდეგ. ოსმალეთის მიზანი იყო ირანის „კუთვნილი" მიწების დაპყრობა და საქართველოსა და ამერკავკასიის სხვა ქვეყნებში მტკიცე საყრდენის შექმნა. ოსმალთა ჯარების სერასქერად დაინიშნა ცნობილი ნიჭიერი სარდალი ლალა მუსტაფა ფაშა. ოსმალო სერასქერმა სასტიკი დამარცხება აგემა ირანის არმიას ჩრდილის (ჩილდირის) ტბასთან 1578 წლის 9 აგვისტოს და მესხეთის დაპყრობას შეუდგა. სამცხელი წარჩინებულების ნაწილი თვითონ მიუვიდა სერასქერს, რამაც მას გაუადვილა დასახული ამოცანა. მესხეთიდან ოსმალები ქართლში გადავიდნენ და თბილისიც აიღეს.

სულთანმა იმავე წელს დასავლეთ საქართველოს დაპყრობაც გადაწყვიტა. ოსმალეთის ფლოტი, რომელსაც ამირბარი კილიჩ ალი ფაშა სარდლობდა, საქართველოსაკენ გამოემართა. ოსმალო დესანტმა ქვეყნის დაპყრობა ვერ მოახერხა, მაგრამ რიონის შესართავში შევიდა და ფოთში სიმაგრე ააგო. მოგვიანებით ლამბერტი წერდა: „ფაზისი ზღვას შეერთვის ორი ტოტით. ამ ტოტებს შორის არის კუნძული, რომელზედაც თურქებმა 1578 წელს ციხე ააგეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ იმ ხანებში თურქეთის სულთანი ამურატი (მურად III, ი. ა.) ომობდა ირანელებთან. მან აიღო თბილისი და აპირებდა გზა გაეხსნა თავისთვის და დაეჭირა ამ გზის გასაღები, ქალაქი ქუთაისი, რათა ჯერ ზღვით და მერე ფაზისით ჩქარა და ნაკლები ზარალით გაეგზავნა თავის ჯარები ირანისაკენ. ამ განზრახვით გაგზავნა თავისი გალერები ფაზისში". ქვეყნის სიღრმეში შესული კილიჩ ალი ფაშა ენერგიული წინააღმდეგობის გამო იძულებული შეიქნა გაბრუნებულიყო და მხოლოდ ციხის აგებით დაკმაყოფილდა.

ოსმალთა წარმატებებმა შეაშფოთა ირანის კარი. შაპმა გადაწყვიტა ალამუთის ციხეში ტყვედ მყოფი სიმონ I ლუარსაბის ძე გაეთავისუფლებინა და გამოეყენებინა იგი ოსმალთა წინააღმდეგ. სიმონის როლი სამშობლოშიც კარგად ესმოდათ. ამიტომ იყო, რომ როდესაც სიმონი „თბილისის მიდამოებს მიადგა, იქაური უსჯულოები და აზნაურები მისი დროშის ქვეშ შეიკრიბნენ, ისლამის ლაშქარს გზა გადაუღობეს და დიდი ნაენები მიაყენეს სარდალ მუსტაფა ფაშას" (შერეფ-ხან ბითლისი).

მიუხედავად მთელი უბედურებისა, რაც ლალა მუსტაფა ფაშამ საქართველოს მიწა-წყალსა და მოსახლეობას დააწია, ოსმალთა მიზანი შეუსრულებელი დარჩა, თუმცა მათ წარმატებასაც მიაღწიეს. სამცხე-საათაბაგოს ნაცვლად, 1578 წელს ჩილდირის საბეგლარბეგო შეიქმნა.

1580 წელს დაინიშნა ოსმალთა ლაშქრის ახალი სერასქერი სინან ფაშა. მან თბილისის ბეგლარბეგად დანიშნა გამაჰმადიანებული ქართველი ბატონიშვილი იუსუფ სინან ფაშა (მამია). გარკვეულია, რომ ეს მამია უნდა ყოფილიყო იმერეთის მეფის გიორგის ვაჟი. მას, როგორც ჩანს, ჯერ ლალა მუსტაფა ფაშა შეპირებია თბილისის ბეგლარბეგობას, მაგრამ ეს დაპირება არ შეუსრულებია. მ. სვანიძე სამართლიანად შენიშნავს: „ის გარემოება, რომ ქართლის (თბილისის) ბეგლარბეგად დანიშნულ იქნა გამაჰმადიანებული საქართველოს სამეფო გვარის წარმომადგენელი და არა თურქი მოხელე, ნიშნავს ოსმალეთის უკან დახევას და დათმობას, მაგრამ მეორე მხრივ, ამით სულთანი თიშავდა მის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს, უპირისპირებდა რა ერთიმეორეს სიმონ ქართლის მეფესა და იმერეთის მეფე გიორგის".

ის ფაქტი, რომ ოსმალთა ჩანაფიქრი სწორი იყო, ორიოდე წლის შემდეგ დამტკიცდა.

1582 წელს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს სტამბოლიდან ებრძანათ დახმარება გაეწიათ თბილისის ოსმალური გარნიზონის საშველად მიმავალი დიარბეკირის ბეგლარბეგ ჰადი ჰასან ფაშასათვის, არზრუმის ბეგლარბეგ მეჰმედ ფაშასა და ჩილდირის ბეგლარბეგ მუსტაფა ფაშასათვის.

პოლიტიკურმა გათიშულობამ თავისი როლი კვლავ შეასრულა. „შემოიკრიბნა გიორგი მეფემან სპანი და მოიყვანა დადიანი გურიელიცა სპითა მათითა, ვინათგან აქვნდათ ერთობა და ბრძანებულიცა იყო ხონთქარისა. მიუხდნენ შიდა ქართლს, ვერა სადა ჰპოვნეს ხიზანნი და დასწვეს სრულიად გაღმართ-გამოღმართნი" (ვახუშტი).

1582 წელს, ქართლში ლაშქრობის შემდეგ, გარდაიცვალა გიორგი დადიანი და გადადიანდა მამია. გიორგი დადიანს დარჩა მცირეწლოვანი ვაჟიშვილი, კანონიერი მემკვიდრე ლევანი. გიორგი გურიელი „არა დასცხრა" გარდაცვლილი გიორგი დადიანის „შურისგებად", მოატაცებინა მცირეწლოვანი ლევანი

და ციხეში დაამწყვდია. ყრმა ლევანმა ვეღარ გასძლო ტყვეობაში, გალავნიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა. ვახუშტის აზრით, ეს ბოროტმოქმედება გურიელმა მამია დადიანის განზრახვით ჩაიდინა. მართლაც, მიზანშეწონილია ვიფიქროთ, რომ ლევანის დატყვეევებაც და გალავნიდან ,,გადმოვარდნაც'' წინასწარ მოფიქრებული აქტი იყო. მამია დადიანს, ცხადია, არაფრად ეპიტნავებოდა სამთავრო ტახტის კანონიერი მემკვიდრის, ლევანის არსებობა, რომელიც ადრე თუ გვიან მამისეულს მოითხოვდა და შეიძლებოდა იგი ტახტიდანაც ჩამოეგდო.

მამია დადიანი ამაზე როდი შეჩერებულა. თუმცა ძმისწულის დაღუპვაში თვითონაც წვლილი მიუძღოდა, გურიელის წინააღმდეგ საბაბი იშოვა და მის წინააღმდეგ გაილაშქრა. გიორგი დადიანის დროს გაძლიერებული გურიელთა სახლის დასუსტება იყო ძირითადი მიზანი, რომელსაც ოდიშის ახალი მთავარი ამ ლაშქრობით ესწრაფვოდა. მან მართლაც მიაღწია სამხედრო წარმატებას და აიძულა გიორგი გურიელი სტამბოლს გახიზნულიყო. ამის შემდგომ მამიამ მოიყვანა ,,ტომი გურიელთა ვახტანგ'' და მთავრად დასვა. ამ აქტმა ოდიშის მთავარი გააძლიერა და გურია, რომელსაც მამია დადიანის მიერ დასმული მთავარი მართავდა, დადიანთა სახლის მორჩილი გახადა.

1585 წელს გიორგი იმერეთის მეფე გარდაიცვალა და ტახტზე მისი შვილი, ლევანი ავიდა. სიკვდილამდე გიორგი მეფემ შეიპყრო და ციხეში გამოკეტა თავი ძმა კონსტანტინე და ძე მისი როსტომ, რათა ისინი მცირეწლოვან ლევანს სამეფო ტახტში არ შესცილებოდნენ. ლევანის გამეფების შემდეგ კონსტანტინემ ციხიდან თავი დაიხსნა და ძმისწულის წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება. მან შესძლო დაეპყრო ,,რიონის აღმოსავლეთი კერძონი''. ლევანმა დაიმოყვრა ოდიშის სამთავრო სახლი, ცოლად შეირთო მთავრის ქალი მარეხი და მამია დადიანის თანადგომით ბიძის წინააღმდეგ გაილაშქრა. კონსტანტინე დამარცხდა და ,,მიუხვნეს სკანდა, კაცხი და სრულიად არგვეთი''. ბიძა-ძმისწულის კონფლიქტი იმით დასრულდა, რომ კონსტანტინეს საუფლისწულო მამულები გამოუყვეს.

სტამბოლს გაქცეული გიორგი გურიელი უქმად არ ყოფილა. მართალია, ვახტანგ გურიელის სიცოცხლეში ვერაფერი გააწყო, მაგრამ 1587 წელს, ვახტანგის გარდაცვალების შემდგომ, გონიიდან შემოვიდა ოსმალთა ჯარით, სამთავრო დაიბრუნა და კვლავ ბრძოლას შეუდგა პირველობისათვის.

მამია დადიანის გაძლიერება და მისი გავლენა იმერეთის მეფე ლევანზე, არ მოსწონდათ იმერეთის თავადებს, რომელთაც სიმონ ქართლის მეფეს მიმართეს და იმერეთის დაჭერა შესთავაზეს. სიმონი ცდილობდა საერთო-ქართული ინტერესებისათვის გამოეყენებინა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა წინააღმდეგობანი და შეერთებინა ეს მხარე თავისი სამეფოსათვის. დასავლეთ საქართველოში შეჭრისათვის სათანადო საბაბი მას ჰქონდა (ქართლის მოოხრება დასავლეთ საქართველოს მესვეურთა მიერ 1582 წელს). თვით იმერეთის შიგნით ნიადაგი მოსინჯული იყო. დადიანის გაძლიერებით უმაყოფილო აბაშიძეები, ჩხეიძეები, წერეთლები და სხვანი მის მომხრეობაზე დებდნენ თავს. უკეთესი მომენტის შერჩევა ძნელი იყო. სიმონმა ლაშქარი შეკრიბა და იმერეთს გადავიდა.

კონტრზომების მიღება სცადა იმერეთის მეფე ლევანმაც, მაგრამ დადიანმა და გურიელმა ერთმანეთის მტრობის გამო მას დახმარებაზე უარი განუცხადეს. ლევანმა შეჰყარა ჯარი და დაბანაკდა გოფანთოს. ბრძოლა იმერეთის მეფის მარცხით დასრულდა. იგი იძულებული შეიქნა ლეჩხუმს გახიზნულიყო. სიმონმა იმერეთი დაიკავა, წარჩინებულ თავადებს მძევლები ჩამოართვა და ქართლს გაბრუნდა.

ლევან იმერთა მეფემ, ძალზე უკმაყოფილო იყო მამია დადიანისა, რომელიც არ დაეხმარა მას სვიმონის წინააღმდეგ ბრძოლაში და მომენტს ელოდა მასთან ანგარიშის გასასწორებლად. მამიამ დაასწრო მეფეს, ჯარი შეკრიბა და ქუთაისს დაეცა. ბრძოლა ლევანის დამარცხებითა და დატყვევებით დასრულდა. ტყვე მეფე, თავისი სიძე, მამია დადიანმა შხეფის ციხეში გამოკეტა, სადაც იგი მალე გარდაიცვალა კიდეც.

მამია დადიანმა იმერეთის ტახტზე ლევანის ბიძაშვილი როსტომ კონსტანტინეს ძე აიყვანა. ისედაც გაძლიერებული დადიანის კრეატურის იმერეთის ტახტზე დასმა კიდევ უფრო ზრდიდა მის გავლენას დასავლეთ საქართველოში. ცხადია, ამ აქტს გიორგი გურიელი ვერ შეურიგდებოდა. ამიტომაც, მოიშველია რა ოსმალები, გიორგი გურიელმა ქუთაისი აიღო, როსტომი გადააყენა და ტახტზე მისი ბიძაშვილი ბაგრატ თეიმურაზის ძე აიყვანა.

როგორც ვხედავთ, დადიანისა და გურიელის ურთიერთბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა სამეფო ტახტზე სასურველი კანდიდატის გაყვანამ მიიღო. ცხადია, დასავლეთ საქართველოში ჰეგემონიას ის მოიპოვებდა, ვისი გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა იმერეთის ტახტი.

ქართლის მეფე სიმონი იმერეთის ქართლის სამეფოსთან შეერთებას ცდილობდა და ამდენად, ტახტის არცერთი მაძიებელი არ აძლევდა ხელს. დადიანის ან გურიელის გავლენის კიდევ უფრო გაზრდა, როგორც ჩანს, არც იმერელ დიდებულებს სურდათ და სიმონს თხოვეს საქმეში ჩარეულიყო. სიმონმა ბაგრატის წინააღმდეგ გაილაშქრა. ბაგრატი ქუთაისის ციხეში გამაგრდა, მაგრამ ამით საქმეს

ვერ უშველა: იმერეთის დიდებულები სიმონს მიემხრნენ. მან ქუთაისის ციხე აიღო, ბაგრატი გამოიყვანა, შიგ თავისი რაზმი ჩააყენა და კვლავ ქართლში დაბრუნდა.

XVI საუკუნის 60-90-იანი წლების დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, თუ რა მძიმე საგარეო და საშინაო მდგომარეობაში იყო საქართველოს ეს კუთხე. ქვეყნის წინაშე მეტად რთული პრობლემები იდგა. ოსმალური აგრესიის წინააღმდეგ ძალთა კონსოლიდაციის ნაცვლად შინაომები მძვინვარებდა. ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ დასუსტებას მორალური დეგრადაცია მოჰყვა: „ეამებთა ამათ შინა, ვითარცა ვიხილავთ, იქნა განტევება ცოლთა, კვლა კაცთა და იდუმალ ტყვის სყიდვა და უჯერონი სკულისა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა“ — წერდა მოგვიანებით ვახუშტი.

1590 წლის ახლო ხანებში მამია დადიანი გარდაიცვალა. სამთავრო ტახტზე მანუჩარ დადიანი ავიდა. ოდიშის ახალმა მთავარმა, რა თქმა უნდა, დადიანთა კანდიდატის, როსტომ კონსტანტინეს ძის მხარე დაიჭირა, აიღო ქუთაისი და ტახტზე აღადგინა იგი. იმერეთის დიდებულებმა კვლავ სიმონს მოუხმეს. სიმონმა ჯარი შეკრიბა და კარგად შეიარაღებულმა, როსტომის წინააღმდეგ გაილაშქრა. ვახუშტის ცნობით: „გამოილაშქრა ძალითა დიდითა, ზარბაზნებითა და აღკაზმულობითა სპათათა, გარდმოელო ლიხი, მიერთნენ კეალად იმერნი“. როსტომმა შეტევას ვერ გაუძლო და ოდიშს გადავიდა დადიანთან. ქართლის მეფემ გადაწყვიტა ოდიში დაელაშქრა და თვით როსტომი ეგდო ხელთ. „წარვიდა მეფე სვიმონ ოდიშზედა, ჩავიდა და დადგა ოფშქეტს დიდებითა დიდითა და ძალითა მრავლითა“. მიუხედავად გარეგნული ძლიერებისა, სიმონს თავისსავე ჯარში საკმაო მტერი ჰყავდა. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ისინი მეფეს ატყუებდნენ, დადიანი გეახლებაო, ხოლო „დადიანსა სწერდნენ — თავს დაგვესხითო, არ შემოგებმებითო“.

ოფშქვითში დაბანაკებულ სიმონს დადიანის მოციქული მოუვიდა. დადიანი თხოვდა მას: „შეირიგე როსტომ და მეც შენად ყმად ვიქნები, ამას იმერეთი დაანებე და დაგვიმონე და დაგრჩება ქვეყანა“. სიმონს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი საბოლოოდ გადაეჭრა იმერეთის სამეფოს საკითხი და ამიტომაც დადიანს უარი შეუთვალა. მანუჩარ დადიანმა შემოიკრიბა ჯარი, მოვიდა ოფშქვითს და გარიჟრაჟზე სიმონის ჯარს შეუტია. ამ ბრძოლაში სიმონმა მძიმე მარცხი განიცადა: დაკარგა მეომართა დიდი ნაწილი, თოფები, ზარბაზნები და რაც მთავარია, იძულებული შეიქნა სამუდამოდ ხელი აეღო იმერეთზე, მისი შეერთების გეგმაზე. ამდენად, კრახით დამთავრდა საქართველოს გაერთიანების კიდევ ერთი ცდა.

როსტომ კონსტანტინეს ძემ კვლავ დაიკავა იმერეთის ტახტი.

ამ ბრძოლაში გამარჯვებამ ოდიშის მთავარი მეტად გაძლიერა. მან შეძლო გარკვეული უპირატესობის მოპოვება და იმერეთის სამეფოზეც გაავრცელა თავისი გავლენა. იმერეთის მეფე როსტომი, რომლის რესტავრაციაც მოხდა ტახტზე, დადიანთა სახლის კანდიდატი იყო. ცხადია, იგი მხარს უჭერდა ოდიშის მთავარს.

ოსმალური აგრესია კი ამ დროს თავისას აკეთებდა. ისინი ენერგიულად უტევდნენ შავიზღვისპირეთის ქალაქებს, იძენდნენ მომხრეებს, ავრცელებდნენ ისლამს და რაც ყველაზე უარესი იყო, აქეზებდნენ ტყვეთა სყიდვას.

შინაომების შედეგად სასტიკად ზარალდებოდა მოსახლეობა, რომლის ზურგზეც გადადიოდა საშინაო და საგარეო ომების მთელი სიმძიმე. ყოველივე ამან რთულ ეკონომიკურ ვითარებამდე მიიყვანა ეს მხარე. დასავლეთ საქართველოს სხვა ერთეულებთან შედარებით XVI საუკუნის მიწურულს უკეთესი პირობები მეურნეობისათვის შექმნა ოდიშს, რომელიც ნაკლებად განიცდიდა აოხრებას. ამან დაუდო საფუძველი მის შედარებით უმჯობეს ეკონომიკურ შესაძლებლობებს XVII საუკუნის დამდეგს.

6.2. ლევან II დადიანი სამთავრო ტახტზე

XVII საუკუნის I ნახევრის ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ისტორია, როგორც ს. კაკაბაძე მართებულად შენიშნავდა, გადახლართული იყო ლევან II-ის პირად და საოჯახო ცხოვრების ფაქტებთან. ჩვენთვის საინტერესო პერიოდი თითქმის მთლიანად თავსდება მისი ზეობის წლებში. ბუნებრივია, ეპოქის სწორი თვალით დასანახად ეს „პირადი და საოჯახო ცხოვრების ფაქტები“ გათვალისწინებული უნდა გვქონდეს.

ლევან II დადიანი, ოდიშის მთავარი, რომლის დროსაც მისმა სამთავრომ მიაღწია „მანამდე არნახულსა და შემდეგში აღარ განმეორებულ ძლიერებას“ (ს. ჯანაშია), იყო ძე მანუჩარ დადიანისა და ნესტან-დარეჯან კახთა ბატონიშვილისა. ასე რომ, დადიანთა ხელისუფლების მემკვიდრე დედის მხრივ კახეთის ბაგრატიონთა სამეფო სახლის სისხლისა იყო.

წყაროები, რომლებიც გვიამბობდნენ მთავრის ბავშვობისა და სიყმაწვილის პირველი წლების შესახებ, არ შემოგვრჩენია, ხოლო რაც შეეხება მისი დაბადების, სამთავრო ტახტზე ასვლისა თუ სხვა ჩვენთვის საინტერესო თარიღებს, წყაროები განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან. გავეცნოთ მის მშობლებს, იმ გარემოს, რომელშიც ლევანი აღიზარდა; იმ პირობებს, რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს მისი, როგორც პიროვნებისა და სახელმწიფო ხელისუფლის ჩამოყალიბებაზე.

ლევან II დადიანის მამას, მანუჩარ დადიანს ჩვენ ვიცნობთ წინა თავიდან, სადაც საუბარია მის ბრძოლაზე ქართლის მეფე სიმონთან, რომელიც ოფშქვითთან მოხდა და სიმონის მარცხით დასრულდა. ისიც აღნიშნული გვქონდა, რომ სწორედ ამ ბრძოლამ „დააგვირგვინა“ დასავლეთ საქართველოს მესვეურთა ურთიერთქიშპი და ოდიშს ანგარიშგასაწევი პოლიტიკური წონა მოუპოვა. მანუჩარ დადიანი, მართალია არ თამაშობდა დასავლეთ საქართველოში ისეთ როლს, როგორსაც შემდეგში მისი პირმშო ლევანი, მაგრამ საკმაოდ გამჭრიახი პოლიტიკოსი იყო. მის დროს სამთავროს რაიმე მნიშვნელოვანი აოხრება არ განუცდია და უნდა ითქვას, რომ არც თვითონ გამოსულა მეზობლების წინააღმდეგ. ეს მაშინ ასეც უნდა ყოფილიყო: გურიას, შედარებით დასუსტებულს, ჯერჯერობით არ ჰქონდა რევანშის სურვილი, ხოლო იმერეთის ტახტზე მანუჩარისადმი კეთილად განწყობილი მეფეები ისხდნენ. ვახუშტი საგანგებოდ აღნიშნავდა კიდეც, რომ ამ პერიოდში „იყო მშვიდობა სამთა ამათ შორის მეფისა, დადიანისა და გურიელის თანა“.

დედა ლევან II დადიანისა იყო ნესტან-დარეჯან ბატონიშვილი, კახეთის ცნობილი მეფის, ალექსანდრე II-ის (1574-1605 წწ.) ქალიშვილი. ფრიად საინტერესოა გარემოება, რომელშიც მოხდა მანუჩარ დადიანისა და ნესტან-დარეჯანის დაქორწინება. ამის შესახებ ქართულ წყაროებს ცნობები არ დაუცავთ. სამაგიეროდ გვაქვს მონაცემები რუსი ელჩებისა. ალექსანდრე კახთა მეფე რუს ელჩებს, კუზმა სოვინსა და ანდრია პოლუხანოვს ატყობინებდა, რომ მან ქალი დადიანს მიათხოვა.

ამ დინასტიურ ქორწინებაში თითქოს არაჩვეულებრივი არაფერია, კახეთის მეფე ქალს ათხოვებს დიდი მზითვით ოდიშის მთავარზე, მაგრამ საქმე ისაა, რომ ნესტან-დარეჯანი შაჰ აბასს I-ს სურდა თავის მეუღლედ. ამის შესახებ ისევ რუსი ელჩებისაგან ვიგებთ. 1596 წელს შაჰ აბა I-ს ალექსანდრე კახთა მეფისათვის ელჩად გამოუგზავნია ვინმე ბირიბეი და ცოლად მოუთხოვნია ალექსანდრეს ქალიშვილი. მართალია, რუსი ინფორმატორი ბატონიშვილის სახელს არ გვატყობინებს, მაგრამ უეჭველად საუბარია ნესტან-დარეჯანზე. ბირიბეის მეშვეობით შაჰს დიდძალი საჩუქრებიც გამოუგზავნია საპატარძლოსა და სასიმამრისათვის. ალექსანდრეს, როგორც ჩანს, ემძიმა ქალიშვილის შაჰზე გათხოვება (მისი ვაჟი კონსტანტინეც შაჰს ჰყავდა მძევლად). კახეთის მეფემ სასწრაფოდ გაათხოვა ქალი მანუჩარ დადიანზე და შაჰის მიერ გამოგზავნილი ძვირფასი საჩუქრები მზითვად გაატანა. შაჰის უპასუხოდ დატოვებაც არ შეიძლებოდა და ალექსანდრემ ბოდიშის მოსახდელად კაცი გააგზავნა ისფაჰანს. მეფე შაჰს ატყობინებდა, რომ სანამ თქვენ ჩემთან დამოყვრების სურვილს გამოთქვამდით, ქალი დადიანზე იყო დანიშნული და ნუ გამირისხდებითო. ეს თავისი ბოდიში ალექსანდრეს ძვირფასი საჩუქრებითაც გაუმაგრებია.

1597 წ. დადიანს და ნესტან-დარეჯანს შეეძინათ პირმშო ლევანი, მაგრამ მშობიარობამ იმსხვერპლა დედამისი, ნესტან-დარეჯანი. „უშვა ნესტან დადიანს მანუჩარს წული ლევან, არამედ შობასვე მოკვდა ნესტან-დარეჯანი“ (ვახუშტი).

როგორ წარიმართა ამის შემდგომ ოჯახური ცხოვრება?! გლოვის შემდეგ, მანუჩარ დადიანმა ცოლად შეირთო ათაბაგის ქალი თამარი, ვახტანგ გურიელის ქვრივი. ეს ის თამარია, რომელიც როგორც გურიელის მეუღლე შემოქმედის მონასტრის წარწერაშია მოხსენიებული. თამარ ათაბაგის ქალს თან მოჰყვა ვაჟი, ქაიხოსრო, ვახტანგ გურიელის ძე. მანუჩარ დადიანსა და თამარს შემდგომ ეყოლათ ვაჟი იოსები (იესე) და ქალი მარიამი, საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი მოღვაწე, ქართლის მეფის როსტომის მეუღლე.

ალექსანდრე კახთა მეფე, ნესტან-დარეჯანის მამა, ცხადია, ფრიად დაამწუხრა ქალიშვილის უდროო სიკვდილმა და სთხოვა მანუჩარ დადიანს კახეთში გაეგზავნა მცირეწლოვანი ლევანი.

კახეთის მეფე ალექსანდრე II, ლევანის პაპა, ფრიად ენერგიული, ნიჭიერი და იმდროინდელი საქართველოს მასშტაბებისათვის ძლიერი ხელისუფალი იყო. მას გამჭრიახ პოლიტიკოსად და ქვეყნის მოშენება-მოღონიერებისათვის მოკადნე მეფედ იცნობდნენ. ალექსანდრემ, როგორც ქვეყნის მმართველმა, კახეთის ყოფა-ცხოვრების მრავალ მხარეს დააჩნია თავისი კვალი, მტკიცე ლაგამი ამოსდო მოხელეთა თავაშეებულობას, წესრიგში მოჰყავდა ეკლესია-მონასტრები და ციხეები, იწვევდა ხელოვანებსა და მწიგნობრებს, ხუროთმოძღვრებს. მეფეს კარგად ესმოდა, რომ მხოლოდ იმდროისათვის მოწინაეე სამხედრო ტექნიკის გამოყენებით, ლაშქრის შეიარაღების გადახალისებით შეიძლებოდა ირანული და ოსმალური აგრესიის მოგერიება და ამიტომაც თხოვდა ერთმორწმუნე რუსეთს, რომელთანაც მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა, მეზარბაზნე ხელოსნების გამოგზავნას კახეთში, რაც კარგად ჩანს რუსული მასალებიდან.

გავა წლები და ლევან II დადიანის მოღვაწეობა ბევრ რამეში დაემსგავსება თავისი პაპის ღონისძიებებს სამხედრო-პოლიტიკურ თუ კულტურულ სფეროებში. თავის უფროს ვაჟსაც ალექსანდრეს უწოდებს ოდიშის მთავარი. მანამდე კი, როდესაც ოდიშის სამთავროს ტახტის მემკვიდრე ლევანი კახეთს გაამგზავრეს, ვითარება იქ მეტად რთული იყო. ლეკები, რომლებიც განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს კახეთს, მოშენებულ ქვეყანას დაუნდობლად აწიოკებდნენ. ალექსანდრე II ელჩს ელჩზე აგზავნიდა რუსეთში მეფე თეიმურაზ ივანეს ძესთან, შემდგომ ბორის გოდუნოვთან და შამხალის წინააღმდეგ ჯარის გამოგზავნას ითხოვდა. არც ირან-ოსმალეთი ასვენებდა კახეთის მეფეს. მისი ერთი ვაჟი, ერეკლე, სტამბოლს გარდაიცვალა, მეორე კონსტანტინე, შაჰ აბას I-თან იზრდებოდა, როგორც მძევალი. ორეულსშუა მოქცეული ალექსანდრე მოქნილი პოლიტიკის გატარებას ცდილობდა. იგი ირან-ოსმალეთს არ აღიზიანებდა და მათ მორჩილად გამოჰყავდა თავი. შაჰ აბას I-ს კარგად ესმოდა, თუ როგორი „ერთგული“ იყო მისი ალექსანდრე. შაჰმა ისიც კარგად იცოდა, რომ ალექსანდრეს რუსეთან ჰქონდა კავშირი, მაგრამ ხელსაყრელ მომენტს უცდიდა. ალექსანდრემაც საუცხოოდ იცოდა, თუ როგორი „სიყვარულით“ და „მოწყალებით“ იყო გამსჭვალული შაჰი მისდამი, ამიტომ ჩუმად მოქმედებდა, რომ შაჰისათვის რაიმე აშკარა საბაბი არ მიეცა.

ამავე ხანებში ალექსანდრეს რუსეთთან კავშირით უკმაყოფილო ოსმალეთმაც თავი წამოჰყო.

არეულობა სუფევდა სამეფო კარზე. ორი უფლისწული, დავითი და გიორგი ერთმანეთს ტახტს ეცილებოდნენ. ტახტზე კი ალექსანდრე იჯდა, ჯერ კიდევ ჭარმაგი კაცი და დათმობას როდი აპირებდა. მოხდა ისე, რომ ალექსანდრე მძიმედ გახდა ავად, რამაც ძმებს შორის ქიშპი კიდევ უფრო გაამძაფრა. დავითმა აიძულა ალექსანდრე, ავადყოფობისაგან უკვე გამოკეთებული, სამეფო ტახტი მისთვის დაეთმო, თვითონ გადამდგარიყო და ბერად აღკვეცილიყო. მანვე დააპატიმრა გიორგი ბატონიშვილი და ციხეში გამოკეტა, ხოლო მისი მომხრეები ჭოეთის ციხის კედლებიდან გადმოაყრევინა. ეს ამბავი დაახლოებით 1601-1602 წლებში მოხდა.

ბუნებრივია, ასეთი არასტაბილური ვითარების დროს ცოტა ვინმე თუ მოიცლიდა ოდიშის ტახტის მემკვიდრისათვის. ალბათ ეს გაითვალისწინა მანუჩარ დადიანმა, როდესაც იგი უკან წაიყვანა. „არამედ შემდგომად იხილა რა დადიანმა მანუჩარ კახეთს დავითისაგან საქმე იგი, მოითხოვა ძე თვისი ალექსანდრესაგან. ამან წარმოუვლინა და მოვიდა, მამისა თანა ლევან“. (ვახუშტი).

კახეთში ყოფნის დროს ლევან II იმდენად უწლოვანი იყო, რომ არა გვგონია მას იქ რაიმე განათლება მიეღოს. ძირითადი განათლება, რასაც იმ დროისათვის აძლევდნენ წარჩინებულებს და

განსაკუთრებით კი სამეფო და სამთავრო სახლების ჩამომავლებს, მას ოდიშში უნდა ჰქონდეს მიღებული.

ოდიშის სამთავრო კარი ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს და განათლების კერას წარმოადგენდა. ამის დასტურია თვით ლევან დადიანისა და მისი დის, მარიამის კულტურული სახე. ისინი XVII საუკუნის ქართული კულტურის დიდ მოამაგეებად ხომ სწორედ ოდიშის სამთავრო კარზე ჩამოყალიბდნენ. „ვეფხისტყაოსანი", „ვისრამიანი", სარაინდო რომანები, „ქართლის ცხოვრება", მდიდარი სასულიერო ლიტერატურა, ქართული ხუროთმოძღვრება და ოქრომჭედლობა — აი, ის ინტერესები, რომელთა განვითარებას ლევან II-ემ და მისმა დამ დიდი ენერგია და სახსრები შეალიეს. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ლევანი იმ დროისათვის ჩინებულ ქართულ განათლებას მიიღებდა. იგი უეჭველად შეისწავლიდა სასულიერო და საერო ლიტერატურას, ისტორიას, ასტრონომიას. ლამბერტი აღნიშნავს, რომ ლევანი განვითარებული იყო „ყველა იმ ვარჯიშობაში, რომელიც შეეფერებოდა მთავარს".

ამ „ვარჯიშობაში", რა თქმა უნდა ჩამოთვლილ დისციპლინებთან ერთად ქართული ზრდილობა, ეტიკეტი და სამხედრო საქმე იგულისხმებოდა.

წყაროები, თუნდაც მტრულად განწყობილნი ლევანის მიმართ, ერთხმად გვიხატავენ მას როგორც ძლიერ პიროვნებას, ნიჭიერ ადამიანს.

მთავარი თავისუფალ დროს გართული ყოფილა საეკლესიო ლიტერატურით. ლამბერტი აღნიშნავდა, რომ „ლევანი კითხულობს სხვადასხვა საეკლესიო წიგნებს, რომლებიც გადმოთარგმნილია ლათინურიდან მათ ენაზე. შესწავლილი აქვს მრავალი სანელებელი, სამკურნალო ბალახები". ეს ცნობა იმითაცაა საყურადღებო, რომ XVII საუკუნის საქართველოში ლათინურიდან გადმოღებული საეკლესიო წიგნების არსებობას გვამცნობს.

1611 წელს, როდესაც ლევან II დაახლოებით 14 წლისა იყო, გარდაიცვალა მანუჩარ დადიანი. „ნადირობასა შინა ხრმან ირმისამან წარიტაცა დადიანი მანუჩარ და მოკლა იგი" — აღნიშნავს ვახუშტი. ლამბერტის ცნობით: „მანუჩარ ერთ დღეს სანადიროდ გამოვიდა და როცა ცხენით გამოუდგა ირემს, დაეტაკა მეორე ცხენოსანს, რომელიც მისდევდა იმავე ირემს". მამამისის დაღუპვას აღწერს ლევან დადიანი ილორის ხატის წარწერაში: „ჩუენ ცვა-ფარვათა შენთა მონდობილმან და მოსავმან შენმან კელმწიფემან, დადიანმან პატრონმან ლევან, ძემან კელმწიფისა მანუჩარისამან... მას ჟამსა ოდეს განრისხდა ღმერთი კურთხეულის მამის ჩემის პატრონის მანუჩარისაგან — ზუგდიდს ნადირობასა ცხენის რბევასა შიგან შეიძგერდნენ ბატონი და გოშაძე ფარუხია და ცხენი წაიქცა, ამიერ სოფლით მიიცვალა. მაშინ შემოგწირეთ უწინ მისდა მორჩენისათვის და მერმე მისის სულისა სახსრად და საოხად".

ეს ცნობები კარგად აღადგენენ მანუჩარის დაღუპვის სურათს, ხოლო ლევანისეული წარწერა მიგვანიშნებს, რომ მთავარი ერთბაშად როდი მომკვდარა, არამედ გარკვეულ ხანს უავადმყოფნია. ამ მხრივაა საინტერესო წარწერის ეს ადგილი: „...შემოგწირეთ უწინ მისდა მორჩენისათვის და მერმე მისი სულისა სახსრად და საოხად". ეს ადგილი კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ მამის გარდაცვალების დროისათვის ლევანი ოდიშში იყო. მას მამის გადასარჩენად ყმებიც შეუწირავს ილორის წმინდა გიორგის ხატისათვის, ოდიშის ამ ყველაზე სახელგანთქმული სალოცავისათვის. მანუჩარ დადიანის დაღუპვის შესახებ ცნობა დაცული აქვთ რუს ელჩებს ფედოტ ელჩინსა და პავლე ზახარევს, რომლებიც მართალია გაცილებით უფრო გვიან იყვნენ ოდიშში, მაგრამ როგორც ჩანს, სანდო წყაროები ჰქონდათ. მათ დაცული აქვთ ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც შეეხება მომაკვდავი მანუჩარისა და მისი ძმის, გიორგი ლიპარტიანის საუბარს ტახტის მემკვიდრეობის შესახებ. ელჩების ცნობით, მანუჩარს ხატზე დაუფიცებია გიორგი ლიპარტიანი ტახტი შეენარჩუნებინა მცირეწლოვანი ლევანისათვის.

ძნელი სათქმელია, მართლა დააფიცა თუ არა მანუჩარმა გიორგი ლიპარტიანი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს სინამდვილეს უნდა შეეფერებოდეს, იმდენად დამაჯერებელია რუსი ელჩების თხრობა. საფიქრებელია, რომ მათი ინფორმატორი ლევარ დადიანის სასახლის კარის მოლარე, ვინმე დომენტი კარგად იყო ჩახედული ამ საკითხებში.

ამდენად, ლევან II დადიანი 14 წლისა აღმოჩნდა სამთავრო ტახტზე, ხოლო დროებით ძალაუფლება ხელში აიღო მისმა ბიძამ, გიორგი ლიპარტიანმა.

გიორგი პირველი ლიპარტიანია, რომელიც კარგადაა ცნობილი. იგი მანუჩარ დადიანის ღვიძლი ძმა იყო. ამ აზრს არაორაზროვნად ადასტურებს წალენჯიხის წარწერა: „ლიპარტიანი ბატონი გიორგი, ძმა კელმწიფისა მანუჩარისა, ბიძა დიდისა კელმწიფისა ბატონისა ლევანისა დადიანისა და ძე დიდისა კელმწიფისა ბატონისა მამია დადიანისა“.

ამრიგად, გიორგი ლიპარტიანი არის უმცროსი შვილი მამია დადიანისა. გიორგი ლიპარტიანს, როგორც დადგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში, სამი ცოლი ჰყოლია. პირველი, დადიანის ასული ანა, რომელთან ერთადაც იგი ცაიშური გულანის მინაწერში მოიხსენიება; მეორე, ამილახვარის ასული თაჯი, რომელთანაც მოიხსენიება ობჩის ეკლესიის წარწერაში და მესამე — ჭილაძის ქალი ნესტან-დარეჯანი. შემონახულია გიორგი ლიპარტიანისა და ნესტან-დარეჯანის ერთობლივი შეწირულობა ბიჭვინტის ღმრთისმშობლის ხატისადმი. ნესტან-დარეჯანს ახსენებს ლამბერტიც: „მთავრის ბიძას ლიპატიანს ჰყავდა ცოლად ყმაწვილი ქალი, თუმცა თვითონ მოხუცებული იყო. ეს ქალი, სახელით დარეჯანი, იყო ჭილაძის გვარისა“.

ჩვენ არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ როგორი პატივით სარგებლობდნენ და რა როლს თამაშობდნენ ოდიშის სამთავროში გიორგი ლიპარტიანამდელი ლიპარტიანები, მაგრამ რაც შეეხება თვით მას, ფრიად გავლენიანი პიროვნება იყო. ეს არცაა საკვირველი. ჯერ ერთი, გიორგი ლიპარტიანი იყო სამთავრო სახლის წევრი, როგორც მთავრების შვილი, ძმა და ბიძა; იგი იყო დიდი მამულების, სალიპარტიანოს პატრონი. არამცირედ როლს ასრულებდა, უეჭველია, მისი პირადი თვისებები და კავშირები ქართლის სამეფო ტახტთან, რადგან როგორც ცნობილია, მისი ქალი, თამარი იყო ლუარსაბ II-ის დედა. გიორგი ლიპარტიანი ღვიძლ პაპად ერგებოდა ქართლის მეფეს.

1611 წლიდან გარკვეულ ხანს, როგორც აღვნიშნეთ, გიორგი ლიპარტიანმა მართვა-გამგეობის სადავეები აიღო. როგორც მმართველს, მას არქანჯელო ლამბერტი კარგად ახასიათებს: „... მზრუნველად დაუნიშნეს მას (ლევან დადიანს, ი. ა.) მისი ბიძა გიორგი ლიპარტიანი, კაცი ფრიად სამართლიანი და სახელმწიფო საქმეებში კარგად გამოცდილი. ეს გიორგი განაგებდა ყველაფერს ფრიად ერთგულად და ისე მიჰყავდა საქმეები, რომ მისი გამგეობის დროს კოლხიდაში არავითარი არეულობა და აჯანყება არ მომხდარა“. ჩანს, რომ გიორგი ლიპარტიანი მშვიდი პოლიტიკური ხაზის გამტარებელი მმართველი იყო და მისი ზეობის დროს რაიმე გართულებებს ადგილი არ ჰქონია. დასავლეთ საქართველოს მესვეურები ამ პერიოდში ერთსულოვნად მოქმედებდნენ და საერთო მტრის, ოსმალეთის წინააღმდეგ რაზმავდნენ ძალებს.

თუ გადავათვალიერებთ ლევან II დადიანის მმართველობის დასაწყისის დოკუმენტებს და ეპიგრაფიკულ მასალებს, დავინახავთ, რომ ყველგან მთავარი და გიორგი ლიპარტიანი ერთად მოიხსენიებიან, ერთად სცემენ სიგელებს, ერთად ეწევიან ეკლესიების მშენებლობა-აღდგენას. მაგალითად ავიღოთ ცაიშის დიდი ჯვარცმის აშიის წარწერა: „მოიჭედა და შეიმკო ხატი ესე ბატონობასა მანუჩარის ძისა ბატონისა ლევანისა და ლიპარტიანობასა ბატონისა ბიძისა მისისა ბატონისა გიორგისა. ღმერთმან ადიდნეს ორთავე შინა ცხოვრებათა“. ან კიდევ: „გურიელის შვილმან პატრონმან მალაქია მივყავი ქელი აღშენებად საყდარსა ამას და აღვაშენეთ ბრძანებითა დადიანისა პატრონისა ლეონისათა და ბიძის მისისა ლიპარტიანისა პატრონისა გიორგისასა“.

ეს და ამდაგვარი ფაქტები ეკუთვნის როგორც გიორგი ლიპარტიანის რეგენტობის ხანას, ისე იმ პერიოდსაც, როდესაც ლევანმა დამოუკიდებელი მართვა-გამგეობა დაიწყო.

ლიპარტიანი რეგენტობდა დაახლოებით 1611-1614 წლებში. ლევანი 1611 წელს თუ 14 წლისა იყო, 1613-1614 წლებისათვის 16 წლისა შესრულდებოდა, რაც სრულიად საკმარისად ითვლებოდა მაშინ დამოუკიდებელი მართვის დასაწყებად.

XVII საუკუნის დამდეგს ოდიშის მდგომარეობის შესახებ ჩვენ ფაქტობრივად არ გაგვაჩნია მასალები. მანუჩარ დადიანის მმართველობის ბოლო ათწლეულის პოლიტიკური მოვლენები თითქმის უცნობია ჩვენთვის. ნაწილობრივ ეს შეიძლება ითქვას დასავლეთ საქართველოს სხვა პოლიტიკურ ერთეულებზეც. ვიცით მხოლოდ, რომ საქართველოს ამ მხარის მესვეურები მშვიდობიანად იყვნენ ერთმანეთში და დასავლეთ საქართველოშიც წონასწორობა ძალებისა დაცული იყო.

1603 წელს შაპ აბას I-მა ომი დაიწყო ოსმალეთის წინააღმდეგ, რომელიც 1612 წლამდე გაგრძელდა. შაჰის მიზანი იყო 1555 წლის ამასიის ზავის აღდგენა. ამ ომის დროინდელ ირან-ოსმალეთის დიპლომატიურ ურთიერთობებში თვალსაჩინო ადგილი ქართველ მოღვაწეებს ეჭირათ. ცნობილი ავსტრიელი მკვლევარი ი. ჰამერი აღნიშნავს, რომ „სამეგრელოსა“ და „საქართველოს“ მთავართა ელჩობებს ირან-ოსმალეთის ამ ომის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათო. მ. სვანიძემ საფუძვლიანად გამოიკვლია ეს საკითხი და წარმოაჩინა დავით ბატონიშვილისა და მისი დის, გულჩარას როლი ირან-ოსმალეთის მოლაპარაკებაში. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ამ ომის მიმდინარეობის დროს ოდიშის ელჩობაც ჩასულა ოსმალეთში. ი. ჰამერი იტალიური წყაროს მოშველიებით აღნიშნავს, რომ 1605 წელს კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) სამეგრელოს ელჩობა ჩასულა „ომის სამზადისისათვის“ მოსალაპარაკებლად. 1607 წელს კი იმერეთის მეფის ელჩიც სწვეია სულთნის კარს.

რამ გამოიწვია ოდიშის ელჩობისა და შემდეგ იმერეთის ელჩობის გაგზავნა ოსმალეთში 1605-1607 წლებში, მაშინ, როდესაც „ბრწყინვალე პორტას“ ესოდენ უჭირდა?! ან რომელი "ომის სამზადისზე" უნდა ეწარმოებინათ მოლაპარაკება ოდიშის ელჩებს?!

ჩვენი აზრით, აქ ასეთ სიტუაციასთან უნდა გვქონდეს საქმე: შაპ აბასს სურდა დაეპყრო ახალციხე და შემდეგ კი დასავლეთ საქართველოც, რის წყალობითაც შავ ზღვაზე გავიდოდა. ეს გეგმა უეჭველია იცოდნენ სტამბოლში და დასავლეთ საქართველოშიაც, რისი პასუხიც უნდა ყოფილიყო, ჩვენი აზრით, ოდიშის ელჩების „ომის სამზადისისათვის“ მოსალაპარაკებლად ოსმალეთს ჩასვლა. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რომ ოდიშის ელჩები სტამბოლს ჩავიდნენ ორი ირანელის („due persiani“) თანხლებით. ხომ არ იყვნენ ეს ირანელები ოსმალეთის აგენტები, რომელთაც შაპის შორსმიმავალი გეგმები დასავლეთ საქართველოს მესვეურებს შეატყობინეს?! ამის თქმა ახლა სხვა საბუთების უქონლობის გამო გაჭირდებოდა. ერთი რამ ცხადია, დასავლეთ საქართველოს მესვეურებმა მალე პირი იბრუნეს ოსმალეთისაგან. „ბრწყინვალე პორტის“ არასახარბიელო მდგომარეობა, უეჭველია ოსმალთა უღლის გადაგდების იმედებს უღვივებდა მათ.

1609 წელს გურიის მთავარმა მამიამ, დასავლეთ საქართველოს სხვა მესვეურთა მორალური თუ მატერიალური მხარდაჭერით შეძლო გაერეკა ოსმალები აჭარიდან და ეს მხარე თავისი ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა. დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების შეკავშირება უეჭველად კეთილსასურველ გავლენას ახდენდა მათ ბრძოლაზე ოსმალეთის წინააღმდეგ. ოსმალეთისადმი ურჩობა მამია გურიელის მიერ აჭარის აღებით როდი დასრულდა. XVII საუკუნის პირველი ათეულის მიწურულს, როდესაც ირან-ოსმალეთის 1603-1612 წლების ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა, ოდიშისა და გურიის მთავრებმა ოსმალეთს ხარკი შეუწყვიტეს და აშკარა ურჩობის გზას დაადგნენ. მანუჩარ დადიანი ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო და სამთავროს გიორგი ლიპარტიანი მართავდა.

ოსმალეთმა ოდიშისა და გურიის დასაშოშმინებლად და ქედის მოსადრეკად ნაცადი ხერხი იხმარა და ეკონომიკური სანქციები გამოიყენა – შეწყვიტა მარილისა და რკინის შეზიდვა ამ სამთავროებში. საქართველოს შავი ზღვის ნავსადგურების ბლოკადა ძალზე ეფექტური ღონისძიება იყო ოსმალეთის მხრივ. მოსახლეობა მარილის ნაკლებობას დიდხანს ვერ აიტანდა. ამას დაერთო ისიც, რომ 1612 ირან-ოსმალეთის ომიც დამთავრდა და ზავი დაიდო. ოსმალეთს შეეძლო ახლა უფრო მეტი ყურადღება მიექცია ოდიშ-გურიისათვის. ოდიშისა და გურიის მესვეურები იძულებული შეიქნენ არსებული ვითარება გაეთვალისწინებინათ და მოლაპარაკების ინიციატივა ხელში აეღოთ.

1614 წლის დასაწყისში ოდიშმა და გურიამ საგანგებო ელჩები მიავლინეს სტამბოლს სადავო საკითხების გადასაჭრელად და ზავის ჩამოსაგდებად. მოლაპარაკება ერთობ გაჭიანურდა, ვინაიდან ოსმალეთის მთავრობა, უეჭველია მძიმე პირობებს აყენებდა, რაც დადიანსა და გურიელს მიუღებლად

მიაჩნდათ. მდგომარეობა იმდენად გაძნელებულა, რომ ოდიშისა და გურიის ელჩები დააპატიმრეს კიდეც. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის იუზუიტი მისიონერი ლუი გრანეე: „თურმე, დიდად ძნელი ყოფილიყო მთავარ გურიელთან და დადიანთან მშვიდობის ჩამოგდება. ამას კი დრო სჭიროდა. ამიტომ მთავრების ელჩები აღარ გაუშვეს, ტყვეებსავით დაიჭირეს".

საინტერესოა ისიც, რომ ოდიშის ელჩს, ლევან II დადიანისა და გიორგი ლიპარტიანისაგან დავალებული ჰქონია კათოლიკე მისიონერების მიწვევა ოდიშში. მას მიუმართავს საფრანგეთის სტამბოლელი ელჩისათვის. თაეის მხრივ საფრანგეთის ელჩი მეტად დაინტერესებული იყო ოსმალეთსა და გურია-ოდიშს შორის მოლაპარაკებით. მან იცოდა, რომ ოსმალეთისა და დასავლეთ საქართველოს მოლაპარაკებას ლოკალური ხასიათი არ ჰქონდა. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ირან-ოსმალეთის მომავალ ომთან, რითაც საფრანგეთი როდი იყო დაინტერესებული. ამიტომაც იყო, რომ საფრანგეთის ელჩმა იეზუიტები მოიშველია და სათანადო თანხაც მისცა მათ (500 ოქრო) მისიონის დასაფუძნებლად. მთავრებთან მოსალაპარაკებლად ოსმალეთის მთავრობამ ადგილობრივ გააგზავნა ომერ ფაშა, რომელსაც თან გაჰყვნენ მისიონერები ლუი გრანეე და სტეფან ეიო. ომერ ფაშა საზღვარზე ელოდა მთავართა პასუხს, „გარნა დადიანი და გურიელი ზავის პირობების შეწყნარებას აგვიანებდნენ". პირველად გურიელმა აიღო ხელი წინააღმდეგობაზე: „უეცრად მოვიდა გურიელის მოამბე, რომელმაც ზავის ჩამოგდება და ხარკის გადახდის თანხმობა გამოაცხადა" — წერს ომერ ფაშას ბანაკში მყოფი ლუი გრანეე. 1614 წლის 13 დეკემბერს, („წმინდა ლუჩიას დღეებას"), გურიელმა ბათუმში ზავს მოაწერა ხელი. ამის შემდგომ ლუი გრანეე „ზავის მედიატორე" ოსმალებთან ერთად ოდიშს გამგზავრებულა. გამოთქმულია დამაჯერებელი ვარაუდი, რომ „ფრანგი ბერები უთუოდ საფრანგეთის ელჩის მითითებით შუამავლის როლს ასრულებდნენ მოლაპარაკების დროს და დადიანზე ზემოქმედების გზით დაარქარეს თურქთა სასარგებლოდ საზავო ხელშეკრულების დადება ოდიშის მთავართან" (ს. როდონაია).

1615 წლის თებერვალში ლევან II დადიანმა მერკულაში საზავო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ამ ამბებში არ ჩანს იმერეთი, მაგრამ ისიც დაახლოებით ამ ხანებში ოსმალეთის მოხარკე იყო.

დასავლეთ საქართველოს მესვეურები შემლებისდაგვარად დახმარებას უწევდნენ უდიდეს განსაცდელში ჩავარდნილ ქართლ-კახეთსაც, რომელიც ამ დროს მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო შაჰ აბას I-ის გამანადგურებელი შემოსევებისაგან. როგორც ცნობილია, 1612 წლის ზავით, რომელიც ირან-ოსმალეთს შორის დაიდო, აღდგენილ იქნა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები და ოსმალეთმა ცნო ირანის უფლებები ქართლ-კახეთზე და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილზე. შაჰ აბას I ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რათა გაეყიზილბაშებინა ქართველი მოსახლეობა, მოესპო მისი ეროვნული თვითშეგნება, ამოეძირკვა ყოველივე ის, რაც საუკუნეების მანძილზე იყო შექმნილი, რადგან კარგად ესმოდა, რომ 1612 წლის ზავი „ბრწყინვალე პორტის" მხოლოდ დროებითი დათმობა იყო. იგი მომავალში ყოველმხრივ ეცდებოდა დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები. ასევე იყო რუსეთიც, რომელმაც 1605 წელს დიდი მარცხი განიცადა სამხრეთ კავკასიაში ალექსანდრე კახთა მეფისა და მისი ვაჟის, გიორგის დაღუპვით. მაგრამ ცხადია, თაეის მომავალ გეგმებზე ხელს არ აიღებდა. ამიტომაც იყო, რომ შაჰ აბას I ასეთი შეუპოვრობით აოხრებდა აღმოსავლეთ საქართველოს. მისი შეტევა იმდენად ძლიერი იყო, რომ კახეთის მეფე თეიმურაზი და ქართლის მეფე ლუარსაბი იძულებული შეიქნენ იმერეთს გადასულიყვნენ. დასავლეთ საქართველოს მესვეურებმა გულთბილად მიიღეს განსაცდელში ჩავარდნილი მეფეები. უნდა აღინიშნოს, რომ ოდიშის დინასტია ნათესაურ კავშირში იყო ორივე მეფესთან. აღნიშნულიც გვქონდა, რომ თეიმურაზ I ღვიძლი ბიძაშვილი იყო ლევან II დადიანისა, ხოლო ლუარსაბ II-ის დედა, თამარი, ლიპარტიანის ასული გახლდათ.

შაჰ აბას I დროს უქმად არ ჰკარგავდა და დაუნდობლად აოხრებდა ქვეყანას. კახეთის შემდეგ იგი ქართლს „ეწვია" და იმერეთში გახიზნული მეფეების ხელში ჩაგდება მოიწადინა. იმერეთის მეფეს, გიორგის მან რამდენიმე მუქარით აღსავსე წერილი გაუგზავნა — მოითხოვდა თეიმურაზისა და ლუარსაბის გაცემას და წინააღმდეგ შემთხვევაში აოხრებით იმუქრებოდა. ფარსადან გორგიჯანიძეს დაცული აქვს პასუხი, რაც გიორგი იმერთა მეფემ შაჰ აბას I-ს გასცა. შაჰი იმერეთის მეფეს სწერდა: „ჩვენი ყმანი თქვენთან მოსრულანო, გამოგვიგზავნეთო, თორადა ჯარს გამოგიძახებთო. იმას (გიორგი მეფეს, ი. ა.) დაბალი სახვეწარი წიგნი მიეწერა: ყმას რომ ბატონისაგან ეშინოდესო, ერთგულებაში ჩაიგდებისო. ამათ თქვენგან ეშინიათო, მერმე კიდეც დავითხოეო, აფხაზეთს წავალენო და იმერეთი რომ კიდეც დაარბიოთო ღომის მეტს ვერას იშოვნიანო და ვისაც არ უჭამიაო ღომი, ჭამოსო, გამუნიანდებიანო".

ასეთ პასუხს სხვა შემთხვევაში შაჰ აბას I არ მოითმენდა, უპასუხოდ არ დატოვებდა, მაგრამ აქ კი ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა. 1612 წლის სტამბოლის ზავით დასავლეთ საქართველო ოსმალეთის „წილხდომილი" ქვეყანა იყო. შაჰ აბას I ვერ დასჯიდა მის ვასალს. ესეც რომ არ ყოფილიყო,

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები შეთანხმებულად მოქმედებდნენ და მათ წინააღმდეგ ბრძოლა არ იყო ადვილი საქმე. თავის როლს ასრულებდა იმერეთის ბუნებრივი მდებარეობაც. ამას საგანგებოდ აღნიშნავს ისქანდერ მუნში, როცა წერს, რომ ბაში-აჩუკის ქვეყანაში (იმერეთში) „მაგარი ადგილები" და „ძნელად სავალი მთებია".

გიორგი იმერეთის მეფე ამ პერიოდში ლევან II დადიანთან და მამია გურიელთან ერთად მოქმედებდა. „ხოლო იყვნენ წინაშე გიორგი მეფისა დადიანი ლევან და გურიელი მამია მოწოდებულობით მიმცემად მისთვის პასუხთა შაბაზისათა" — აღნიშნავს ვახუშტი. მეფე-პოეტს არჩილს აღწერილი აქვს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა „გეგუთს შეყრა და თათბირი", სადაც მტკიცედ დადგინდა, რომ უარი ეთქვათ შაჰის ყოველგვარ პრეტენზიებზე თეიმურაზისა და ლუარსაბის გაცემის შესახებ. შეკავშირებულმა ხელისუფლებმა „განიზრახეს და წარავლინეს კათალიკოზი ქართლისა მალაქია და აბაშიძე პაატა ვედრებით, რათა მისცეს ორთავე მკვიდრნი თვისნი და ეგრეთ დაიმორჩილოს". შაჰ აბასმა დაასაჩუქრა ელჩები და ტკბილი სიტყვით გამოისტუმრა. მიუხედავად ათასგვარი ხრიკისა, შაჰმა დაინახა, იმერეთიდან თეიმურაზისა და ლუარსაბის გამოტყუება ძნელი საქმე იყო. ლუარსაბმა და თეიმურაზმა ოსმალეთის სულთანს აპმედ I-ს „უმდაბლესი არზები" გაუგზავნეს და მის ქვეშევრდომებად გამოაცხადეს თავი. ოსმალეთი ვერ მოითმენდა, რომ ლიკვიდირებული ყოფილიყო ქართლ-კახეთის სამეფოები. იგი „თუ თვითონ ვერ შეძლებდა საქართველოს დაპყრობას, მისი მომხრე იყო, რომ ის ვერც ირანს დაეპყრა" (ვ. ჩოჩიევი). „გურჯისტანის სახანოს ნაცვლად მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იყო ფეოდალური საქართველოს მეზობლობა. ასეთ ქვეყანას, მისი აზრით, ის უფრო ადვილად გადააქცევდა „გურჯისტანის ვილაიეთად" (ვ. ჩოჩიევი). სწორედ ამიტომაც ოსმალთა კარი ენერგიულად შეუდგა ირანის საწინააღმდეგო ზომების მიღებას. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ირანის აგრესიის დაწყება საქართველოში ოსმალეთის მთავრობას შეატყობინეს ქართველმა ელჩებმა, რომელეთი შორის ოდიშის წარმომადგენელიც იყო. საუბარია ელჩობაზე, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ.

1614 წლის 17 ოქტომბერს სტამბოლში თავი მოკკვეთეს დიდვეზირ ნასუჰ ფაშას, რომელიც „ვერაგულ მიმოწერას" აწარმოებდა შაჰთან და სულთანი არასწორი ინფორმაციებით შეცდომაში შეყავდა. ოსმალთა ნამდვილი მიზნები საქართველოს მიმართ კარგადაა ცნობილი, მაგრამ შექმნილ ვითარებაში იგი თავის აგრესიულ ზრახვებს ყიზილბაშებისაგან საქართველოს დაცვის ლოზუნგით უარავდა.

შაჰ აბას I-მა რაკი მუქარითა და ხრიკებით ვერ შეძლო თეიმურაზისა და ლუარსაბის იმერეთიდან გამოტყუება, გადაწყვიტა ისინი ერთმანეთისათვის გადაეკიდებინა და ამასთანავე გიორგი იმერეთის მეფე ჩამოშორებინა მათთვის. იგი ცდილობს ისე წარმოადგინოს საქმე, თითქოს მხოლოდ თეიმურაზს ურისხდება, ხოლო ლუარსაბთან შერიგება სწადია. ამასთან, მისმა მოციქულმა სარუ-ხოჯამ დაარწმუნა ლუარსაბი, თუ შაჰს არ ეახლები, ის ქართლს გიორგი იმერეთის მეფის ვაჟს მისცემსო. ისქანდერ მუნშის ცნობის მიხედვით, თითქოს თვით იმერეთის მეფემ სთხოვა შაჰს, რომ მისი ვაჟი ქართლის ტახტზე დაესვათ. ასე იყო თუ ისე, ლუარსაბი შეაშფოთა ქართლის ტახტის სხვაზე გადაცემის არცთუ სახარბიელო პერსპექტივამ, ენდო შაჰის უვნებლობის ფიცს და ეახლა მას. ლუარსაბ II-ის შემდგომი ბედი კარგადაა ცნობილი.

კახეთის სამეფოდან გაძევებული თეიმურაზი, ცხადია არ აპირებდა თავისი დღეები იმერეთში დაელია (თუმცა საბოლოოდ თითქმის ასე მოხდა). ამიტომაც ენერგიულ მოლაპარაკებას აწარმოებდა როგორც ქართველ ხელისუფლებთან, ისე ოსმალეთთან და რუსეთთან. რუსი ელჩების ცნობით, დასავლეთ საქართველოში გახიზნული თეიმურაზი „დადიანის ქვეყანაში" იმყოფებოდა. 1615 წლის გაზაფხულზე იგი კვლავ ოდიშის სამთავროში იყო ლევან II დადიანთან. ოდიშის მთავარი და კახეთის მეფე, უეჭველია ანტიირანული გამოსვლისათვის გეგმებს ადგენდნენ. მისიონერი ლუი გრანეე, რომელიც სწორედ ამ ხანებში ჩავიდა ოდიშს, აღნიშნავს რომ „დადიანი მეტად გართული იყო" და მოუცლელობის ძირითად მიზეზად ასახელებს თეიმურაზის სტუმრობას.

1615 წლის გაზაფხულზევე, ოსმალეთის ახალმა დიდვეზირმა ოქუზ-მეჰმედ ფაშამ სულთნის ბრძანების თანახმად ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა დაიწყო. ირანის მთავრობას სურდა ისე წარმოესახა საქმე, თითქოს მათი მხრიდან „არ მომხდარა ისეთი საქმე, რომელიც პირობის (1612 წლის ზავის, ი. ა.) დაზიანებისა და მოშლის საფუძველი გახდებოდა. (სულთანმა ამ დროს) მოუთმენლობა გამოიჩინა და ორი უმეცარი ქართველის ტყუილი სიტყვებით... ზავი და პირობა დაშლისა და დავიწყების თახჩაზე შესდო" (ისქანდერ მუნში). ეს ორი „უმეცარი ქართველი", ცხადია თეიმურაზ I და ლუარსაბ II იყვნენ.

მოვლენები ვითარდებოდა საქართველოშიც. 1615 წლის 15 სექტემბერს კახეთში დიდი აჯანყება დაიწყო დავით ჯანდიერის მეთაურობით. თეიმურაზ I სასწრაფოდ კახეთს გაეშურა. დასავლეთ

საქართველოს მეფე-მთავრებმა – გიორგი მეფემ, ლევან დადიანმა და მამია გურიელმა მას მეგობრული სამსახური გაუწიეს, თავიანთი ლაშქრით არაგვამდე მიაცილეს თეიმურაზი.

თეიმურაზ I-მა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია კიდეც, მაგრამ შაჰ აბასი ვერ შეურიგდებოდა მის გამეფებას. 1616 წელს იგი უზარმაზარი არმიით კვლავ შემოესია კახეთს. თეიმურაზი იძულებული გახდა ისევ იმერეთს შეხიზნოდა.

წარმატებას ვერ მიაღწია ოსმალეთმაც. მისი მოუქნელი არმია ვერ იყენებდა მთელ რიგ ხელსაყრელ მომენტებს. 1615 წლის მაისში ლაშქრობაში გასული ოქუზ მეჰმედ ფაშა ალეპოში დაბანაკდა და ზამთრის მოახლოების გამო (ალეპოში იგი აგვისტოში ჩავიდა) სამხედრო ოპერაციები 1616 წლის გაზაფხულისათვის გადასდო. ამასობაში შაჰ აბასმა კახეთი მოაოხრა. 1616 წლის კამპანია ოქუზ მეჰმედ ფაშამ ასევე უფერულად ჩაატარა. ზამთარმა და შიმშილმა შეაშფოთა იგი და სულთნის დაუკითხავად აღადგინა ზავი. სულთანმა ზავი არ დაამტკიცა, დიდვეზირი გადააყენა და ახალ დიდვეზირს, ხალილ ფაშას ბრძოლის გაგრძელება უბრძანა. მასვე დაევალა თბილისისაკენ გაჭრა და თეიმურაზის ტახტზე აღდგენა. ხალილ ფაშა 1617 წლის ზაფხულში დიარბექირში დაბანაკდა. აქ მოუვიდა მას გურიელის წერილი იმის შესახებ, რომ შაჰ აბასს განზრახული ჰქონდა იმერეთისა და გურია-ოდიშის მოოხრება. ბათუმის ბეგლარბეგს ომერს, ჩილდირის ბეგს მურთაზას, საფარ ფაშას, არზრუმისა და ტრაპიზონის ანიჩარებს ებრძანათ თავთავიანთი ლაშქრით საქართველოსაკენ გაჭრილიყვნენ და ირანის მოსალოდნელი აგრესიისათვის მზად ყოფილიყვნენ. ხალილ ფაშას ლაშქარში სამი ათასი ქართველი იყო თეიმურაზის მეთაურობით.

საბოლოოდ, 1618 წელს სერაფის ველზე ირან-ოსმალეთს შორის ზავი დაიდო, რომლის რატიფიკაცია 1619 წელს მოხდა. ამ ზავით აღდგა 1555 წლის ზავი იმ შესწორებით, რომ ირანმა ოსმალეთს სამცხე-საათაბაგო მთლიანად „დაუთმო", ხოლო სანაცვლოდ დერნესა და დერთენგის სანჯაყები მიიღო.

ამ ზავმა კიდევ ერთხელ გამოაშკარავა ოსმალეთის ნამდვილი ზრახვები და ისიც, რომ მასზე დაყრდნობით ყოვლად შეუძლებელი იყო ქართული საქმის კეთება. გამოსავლის ძიებაში დასავლეთ საქართველოში შეკრებილმა საქართველოს მესვეურების ერთიანმა ბლოკმა თეიმურაზის ინიციატივით ახლა რუსეთს გაუგზავნეს წიგნები, თავიანთი შეკავშირება და ერთობლივი ბრძოლისათვის შემართება ამცნეს.

მართალია, ლევან II დადიანს საგანგებო სიგელი არ გაუგზავნია რუსეთის მეფისათვის, მაგრამ იმერეთის მეფისა და გურიელის წერილებიდან ნათელი ხდება, რომ იგი მათი მოკავშირეა და ეს წერილები მისი სახელითაცაა დაწერილი. ლევანი მეფე-მთავართა ბლოკის აქტიური და გავლენიანი წევრია.

სამეფოდაკარგული თეიმურაზი ყოველმხრივ ცდილობდა უფრო მყარი გაეხადა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა პოლიტიკური კავშირი, დაერაზმა ისინი და სამეფო დაებრუნებინა მათი დახმარებით. ამ მიზნით, სწორედ მისი მცდელობის შედეგი უნდა იყოს იმერეთის სამეფო სახლისა და გურიელთა დამოყრება. 1618 წელს გიორგი იმერეთის მეფის ეაჟმა, მომავალმა მეფე ალექსანდრემ, ითხოვა მამია გურიელის ქალი თამარი.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, XVII საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისისათვის დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრების ურთიერთდამოკიდებულება ურიგო არ იყო. მათი შეკავშირება, ერთიანი ფრონტით გამოსვლა ოსმალთა თუ ყიზილბაშთა წინააღმდეგ გარკვეულ შედეგსაც იძლეოდა.

ლევან II დადიანის მმართველობის პირველ წლებში დასავლეთ საქართველოში ერთგვარი სიმშვიდე და ერთსულოვნება სუფევდა. მიუხედავად ამისა, თითოეულ მეფე-მთავარს გაძლიერებისა და განდიდების სურვილი აწუხებდა და ამიტომაც საერთო ინტერესით მოღვაწეობა დიდხანს ვერ გასტანდა. განხეთქილება მალე მოხდა მათ შორის და ლევან II დადიანი მკვეთრად დაუპირისპირდა თავის მეზობლებს.

6.3. ბრძოლა პირველობისათვის

ლევან II დადიანის მმართველობის პირველ წლებში, როგორც დავინახეთ, მის ბიძას, გიორგი ლიპარტიანს დიდი გავლენა ჰქონდა სამთავროს საქმეებზე. ჩვენთვის ნათელია ლიპარტიანის პოლიტიკური პლატფორმაც – ირან-ოსმალეთის მოძალებული აგრესიის პირობებში იგი მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო მეზობელ პოლიტიკურ

ერთეულებთან და მათთან ერთად გამოდიოდა საგარეო აგრესიის წინააღმდეგ. ოდიშის სამთავროს ასეთი პოლიტიკური გეზი დაახლოებით 1621-1622 წლებამდე გაგრძელდა.

ჩვენთვის ინტერესმოკლებული არაა თვალი გავადევნოთ ოდიშის სამთავროს ურთიერთობას მეზობელ პოლიტიკურ ერთეულებთან — აფხაზეთისა და გურიის სამთავროებთან, იმერეთის სამეფოსთან. მითუმეტეს, რომ აფხაზეთთან და გურიასთან ლევან II დადიანი მოყვრულ კავშირში იმყოფებოდა, ხოლო იმ დროს მმართველი ელიტის ქორწინება პოლიტიკურ აქტს წარმოადგენდა.

ლევან II დადიანი ორჯერ იყო დაქორწინებული. მისმა როგორც პირველმა, ისე მეორე ქორწინებამ დიდი პოლიტიკური გართულებები გამოიწვია.

ლევანის პირველი მეუღლე იყო აფხაზი მთავრის სეტემან შარვაშიძის ქალიშვილი, რომელიც მან დაახლოებით 1614-1615 წწ. შეირთო.

XVI საუკუნეში აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილი მაინც (აფხაზეთის ტერიტორიად, ცხადია, იგულისხმება მიწები კოდორს გაღმა) ოდიშის სამთავროში შედიოდა და უშუალოდ ოდიშის მთავართა იურისდიქციას ემორჩილებოდა. XVI საუკუნეში ოდიშის მთავრებს აფხაზეთის მიწებზე თავისუფლად მიუწვდებათ ხელი. მაგალითად მამია III დადიანი (1512-1533 წწ.) ბიჭვინტის კათედრალს სოფლებს სწირავს, რომელთა შორის ჯიქთუბანსა და ნაჟანეულთან ერთად არის „აფხაზეთის ბიჭუნტას გარემო სოფელი აითარნე, არუბა და რაბიწა, აითარნეს მთა ზეთისხილოვანი". ამის საფუძველზე საეჭვოდ მართებულად ასკვნიან, რომ ეს მხარე ოდიშის სამთავროს ექვემდებარებოდა (ირ. ანთელავა, ზ. ანჩაბაძე). მამია დადიანის სიგელი დამტკიცებული აქვთ მის მომდევნო მთავრებსაც: ლევან I-ს, გიორგის, მამია IV-ს. ზ. ანჩაბაძე ლევან I დადიანს „სამეგრელო-აფხაზეთის" მთავარსაც კი უწოდებს.

საინტერესოა, როდის მოხდა აფხაზეთის გამოცალკევება ოდიშის სამთავროსაგან. სავსებით მართალია ზ. ანჩაბაძე, როცა აღნიშნავს, რომ XVI საუკუნის II ნახევარი, ოდიშის სამთავროს ჩამოყალიბებისა და დასავლეთ საქართველოში ჰეგემონიისათვის წარმატებული ბრძოლის ხანა, არ იყო ხელსაყრელი პერიოდი აფხაზეთის გამოყოფისათვის. ჩვენ არაერთი მაგალითი გვაქვს, როდესაც ოდიშის მთავარი XVI საუკუნის II ნახევარში გურიასა და იმერეთს „ოდიშარ-აფხაზ-ჯიქთა" ლაშქრით ებრძოდა. ეს მართალია, თავისთავად არ გულისხმობს აფხაზეთის ოდიშის შემადგენლობაში ყოფნას, მაგრამ იადგარის ცნობას კი ამაგრებს. ოდიშისაგან დამოუკიდებლობა აფხაზეთს ლევან II დადიანის მცირეწლოვანობის დროს უნდა მიეღო, როდესაც ოდიში და გურია ოსმალეთთან დავით იყენენ გართულნი. მართლაც, ეს პერიოდი აფხაზი წარჩინებულებისათვის საუკეთესო იყო, რადგან ოდიშს არ ეცალა მათთვის. ოდიში ერთი მხრივ ოსმალეთთან იყო დაძაბულ მდგომარეობაში და მეორე მხრივ ხელს უწყობდა აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებს, ქართლსა და კახეთს მათ ანტიირანულ ბრძოლაში. სწორედ ამ ხანებიდან გამოდის აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული.

აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობისას ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი რამ: აფხაზეთის სამთავრო არ უნდა წარმოვიდგინოთ ისეთ ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ერთეულად, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ოდიში და გურია. არც აფხაზეთის მთავარი იყო ოდიშისა და გურიის მთავრების „მსგავსი". აფხაზეთი დანაწევრებული იყო რამდენიმე პატარა სამთავროდ და რამდენიმე მთავარი ჰყავდა. ლევან II დადიანის სიმამრი, სეტემან შარვაშიძე, რომელსაც ზოგი წყარო აფხაზეთის მთავარს უწოდებს, სულაც არ ყოფილა ერთიანი აფხაზეთის სამთავროს მმართველი (ჩვენ ამიტომ ვიხსენიებთ მას „აფხაზ მთავრად" და არა აფხაზეთის მთავრად). იგი მხოლოდ მისი ერთი ნაწილის გამგებელი იყო. ეს კარგად ჩანს სათანადო წყაროებიდან.

ოდიშის სამთავრო სახლი იმ ხანებში (და არა საბოლოოდ), ჩანს შეურიგდა აფხაზეთის დამოუკიდებლობას. აფხაზი ფეოდალების გამოყოფიდან რამდენიმე წლის შემდეგ ლევან II დადიანმა სეტემან შარვაშიძის ასული შეირთო. ოდიშის კარი, ჩვენი აზრით, მერმისისათვის დებდა აფხაზეთის საკითხს და სეტემანის ქალიშვილზე დაქორწინებით სურდა ერთგვარი კონტროლი დაეწესებინა აფხაზეთზე. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს „აფხაზ-ჯიქთა" ლაშქარი, რომელიც XVI საუკუნის II ნახევარში მუდამ მხარში ედგა ოდიშის მთავარს. როგორც ჩანს, დადიანებს იმ ხანებში ეს ლაშქარი უფრო აინტერესებდათ, ვიდრე აფხაზეთის უშუალო მორჩილება, რაც მათთან ომის გარეშე მიეღწეველი იყო.

საამისო დრო ჯერ კიდევ არ იყო დამდგარი. ამიტომაც, ხსენებული ქორწინებით ლევანმა status quo შეინარჩუნა და ზურგი გაიმაგრა.

ლევან II დადიანის მეუღლეს არქანჯელო ლამბერტი კარგად ახასიათებს: „ეს ქალი იყო ბუნებით ლამაზი და სავსე ყველა სათნოებითა, რომელიც შეეფერებოდა მის გვარის ქალს: ქარგვაში, წერა-კითხვაში, გულუხვობაში და ზრდილობაში მას ტოლი არ ჰყავდა. თავის სათნოებით მიიზიდა ყველა თავის ქვეშეერდომის გული. მალე ამ ქალისაგან ეყოლა მთავარს ორი ვაჟი".

დედოფალს იხსენიებენ რუსი ელჩებიც. მისი სახელი ერთი ცნობით დარუნდია იყო, მეორით კი თანურია. აქ ჩანს, ერთი და იგივე სახელის დამახინჯებასთან გვაქვს საქმე.

მეორე მხრივ, ლევან II დადიანმა სამოყვრო კავშირი დაამყარა გურიის სამთავრო სახლთან. ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ 1618 წელს, თეიმურაზ I-ის ინიციატივით, გიორგი იმერეთის მეფის ვაჟმა ალექსანდრემ ცოლად ითხოვა მამია გურიელის ქალი თამარი. მალე ცოლ-ქმარს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ალექსანდრემ თავის მეუღლეს ქუთაისელი ვაჭრის საყვარლობა შესწამა და შვილით ბაგრატიონურთ მამამისს, მამია გურიელს გაუგზავნა. მეუღლესთან ერთად შვილის გაგზავნა იმას მოასწავებდა, რომ ალექსანდრეს ბაგრატის წარმომავლობა საეჭვოდ მიაჩნდა.

შეურაცხყოფილმა მამია გურიელმა ლევან II დადიანთან დამოყვრება გადაწყვიტა. ჩანს ეს ლევანის გეგმებშიც შედიოდა და ამიტომ იყო, რომ თავისი და მარიამი მან გურიის მემკვიდრე სიმონს მიათხოვა. ვახუშტის სიტყვით: „განიზარა (ლევანმა, ი. ა.) მტერობა გურიელისა და მეფისა და მისცა დაჲ თვისი სიმონს ძესა გურიელისასა". ეს ფაქტი 1621 წელს მოხდა. „ქ"ს ტთ სვიმონ, მამია გურიელის ძემ, ქორწილი ქნა ლევან დადიანის დას მარიამზედ".

ამრიგად, დასავლეთი საქართველოს სამი სამთავრო — ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთისა, ფაქტობრივად ერთ ბლოკად შეიკრა. ეს კავშირი პოტენციურად იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ იყო მიმართული.

დაახლოებით ამავე ხანებში, იმერეთის მეფემ „რაჲსამე ზედა" შერისხა თავადი პაატა წულუკიძე, ჩამოართვა მამულები და იმერეთიდან გააძევა. პაატა ლევანს მიუვიდა. ვახუშტის სიტყვით, პაატამ „უმეტესად შთაუდვა ლევანს მტრობა გიორგი მეფისა და მარადის განუზრახვიდა". პაატას „განზრახვები" როგორც ჩანს ნოყიერ ნიადაგზე მოხვდა — ლევანი აშკარად იღებს იმერეთის მეფის საწინააღმდეგო კურსს. ამ პერიოდიდან იწყებს განვითარებას მისი იდეა დასავლეთ საქართველოში სრული გაბატონებისა. ამავე პერიოდში ემხობა გიორგი ლიპარტიანი და ზოგიერთი სხვა პირი, რომლებიც, როგორც ჩანს არ იზიარებდნენ ახალ პოლიტიკურ ცვლილებებს და ახალგაზრდა მთავარს ოპოზიციაში ჩაუდგნენ. განსაკუთრებული როლი ამ ამბებში ეკუთვნის პაატა წულუკიძეს, რომელიც სულ მალე სამთავროს ვეზირი გახდა და აქტიურად ამოუდგა გვერდში ლევან II დადიანს იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში.

იმერეთის მეფე, რა თქმა უნდა კარგად ხედავდა ოდიშის კარის მოვლენებს და იმასაც, რომ იმერეთსა და ოდიშს შორის შეჯახება აუცილებელი იყო. ომის უშუალო საბაბი ჩვენთვის უცნობია. ბრძოლა კი ლევან II დადიანსა და იმერეთის მეფეს შორის ქუთაისის ახლოს, გოჯოურასთან მოხდა.

ოდიშის სამთავროსთან შეიარაღებული კონფლიქტისათვის მზადება პირველად გიორგი იმერეთის მეფემ დაიწყო. „შეუძღდა მეფესა გიორგის შეერთება დადიან-გურიელისა, დაუწყო მტერობა: შემდგომად შემოიკრიბნა სპანი თვისნი გიორგი მეფემან და განვიდა და დასდგა გოჯორაურსა". ომისათვის მოუმზადებელი, როგორც ჩანს, არც ლევან დადიანი იყო. „მოვიდა ლევან დადიანიცა სპითა ოდიშარ-აფხაზ-ჯიქთა და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდნენ მრავალნი". ლევან II-ემ სძლია იმერეთის მეფეს, „შეიპყრნა მრავალი წარჩინებულნი და მდაბიურნი, აღიღო ალაფი და იავარი, წარვიდა ოდიშს". თვით ლევანი შემდეგნაირად აღწერს ამ ბრძოლას ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერაში: „ჩუენ ცვა-ფარეათა შენთან მიერ მინდობილმან და მოსავმან სიწმინდისა შენისამან, ჩვენ ბატონმან მანუჩარის ძემან დადიანმან ლევან, მოვაჭედინეთ ხატი ესე სახედ და მსგავსად შენად, როდესაც წარვემართენით მეფესა იმერეთისასა გიორგის ზედა და შევიბენით ქუთათის და გაგვემარჯვა. მეფე მორჩა და ლაშქარი კელთ დაგვრჩა შეწევნითა ღვთისათა". როგორც ვხედავთ, ლევან II დადიანმა აფხაზ-ჯიქთა ლაშქრის მოშველიებით, გურიის მეგობრული ნეიტრალიტეტის პირობებში (მისი მონაწილეობა ამ ბრძოლაში არ ჩანს), შეძლო სერიოზული მარცხი მიეყენებინა იმერეთის მეფისათვის. თავისთავად ამ არცთუ სახარბიელო ფაქტმა ლევანის ავტორიტეტი დიდად გაზარდა.

ზემოაღწერილი მოვლენების შემდგომ ლევან II დადიანმა გაავდო თავისი პირველი ცოლი, სეტემან შარავაშიძის ქალი. ახალგაზრდა მთავარს, როგორც წყაროები გვამცნობენ, შეპყვარებია თავისი ბიძის, ყოფილი რეგენტის გიორგი ლიპარტიანის მეუღლე. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, გიორგი ლიპარტიანს სამი ცოლი ჰყავდა: დადიანის ასული ანა, ამილახვრის ასული თაჯი და ნესტან-დარეჯან ჭილაძე. გიორგი ლიპარტიანი უკვე მოხუცი იყო, როდესაც ახალგაზრდა ნესტან-დარეჯანი შეირთო. სწორედ

ლიპარტიანის მესამე ცოლს გამიჯნურებია ლევან II დადიანი. ლამბერტი წერდა: „ქალი ძლიერ ლამაზი იყო და ხნით უფრო შეეფერებოდა ყმაწვილის მთავარს, ვიდრე მოხუცებულს ლიპარტიანს".

ნესტან-დარეჯანი ჭილაძეთა ცნობილ გვარეულობას მიეკუთვნებოდა. ის იყო ქალიშვილი როვანოზ ჭილაძისა და უტანდარ ჩხეტიძისა. ცნობილია ასევე ტყვირის ერთი ხატის წარწერაში მოხსენიებული კაკა ჭილაძე, რომელიც ნესტან-დარეჯანის ძმა უნდა ყოფილიყო.

ლევან II დადიანს სურდა, თუმცა ეს სრულებით არ შეეფერებოდა ქრისტიანულ მორალს, ცოლად შეერთო ნესტან-დარეჯანი, მაგრამ ამისი საშუალება არ ჰქონდა, რაკი უკვე დაქორწინებული იყო აფხაზი მთავრის ასულზე. ამ „ვისრამიანის" შესაფერისი სიტუაციის გამოსავალი მალე მოიძებნა. მივყვეთ მთავარი ინფორმატორის, არქანჯელო ლამბერტის თხრობას: „მაშინ, როდესაც მთავარი, გატაცებული ლიპარტიანის ცოლის სიყვარულითა, ცდილობდა თავისი სურვილის დაკმაყოფილებას, სხვა მის ცოლს, დედოფალს, ეტრფიალებოდა და უსირცხვილოდ დაუახლოვდა. ეს იყო მისი ვეზირი, სახელად პაპუნა, იგი, ვითარცა მეორე პირი მეფის შემდეგ, ყოველივეს განაგებდა სახელმწიფოში. ასეთი საქმე ხომ დიდხანს არ დიმალება... მთავარი საშინლად გაბრაზდა, მაშინვე გააგდო ცოლი და ბერძნების სჯულისამებრ, შესარცხვენად ცხვირი მოსჭრა". იმერეთის მეფეზე გამარჯვების შემდეგ ლევანი აფხაზებს მაინცდამაინც დიდ ანგარიშს არ უწევდა. ამიტომ იყო, რომ დედოფალი ასე ადვილად გასწირა, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ცოლი მართლა ღალატობდა მას და ეს მოგონილი საბაბი არ იყო. ყოველ შემთხვევაში ლამბერტი სავსებით იზიარებს ღალატის ვერსიას.

სეტემან შარვაშიძე, დედოფლის მამა, ცხადია ამ შეურაცხმყოფელ აქტს ვერ შეურიგდებოდა. ამიტომ ლევანმა დასწრება გადაწყვიტა. ლაშქარი შეკრიბა და აფხაზეთს დაეცა. ლაშქრობა აფხაზთათვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მათ წინააღმდეგობის ორგანიზებაც ვერ შეძლეს და გაიხიზნენ. ლევანმა თავისი ყოფილი ცოლი აფხაზეთში დატოვა და ოდიშს დაბრუნდა. აფხაზეთში სამხედრო ექსპედიციის შემდგომ მას ხელი აღარ ეშლებოდა თავისი განზრახვის შესრულებაში. მთავარი მრავალრიცხოვანი ამალით ბიძამისს „ეწვია" და ცოლი წაართვა. მოვუსმინოთ ისევ ლამბერტს: „წამოიყვანა... დარეჯან ყველა მისი ქალებით და მოიყვანა სასახლეში, სადაც დიდის ამბით დაიწერა ჯვარი და გახადა იგი დედოფალი".

შარვაშიძის ასულის აფხაზეთში გაძევებითა და ბიძისათვის ცოლის წაგერით ეს რომანული ისტორია არ დასრულებულა. ლევან II დადიანმა დააპატიმრა ვეზირი, რომელსაც ინტიმური კავშირი ჰქონდა მის პირველ მეუღლესთან. ეს იყო, როგორც გაირკვა, პაპუნა ანჯაფარიძე (ა. ტუღუში).

ლამბერტი რეპრესირებული ვეზირის შესახებ გვატყობინებს, რომ „იგი ძლიერ პატივცემული იყო მთელს ოდიშში და ქვეშევრდომებს დიდად უყვარდათ". ამიტომაც იყო, რომ თუ საკუთარ ცოლს ლევანმა ცხვირი მოსჭრა და ისე გაისტუმრა აფხაზეთში, ვეზირს ამგვარი რამ ჯერჯერობით ვერ შეჰბედა, რათა „შინაური ომი არ გამოეწვია".

დატუსაღებული ვეზირი პაპუნა ანჯაფარიძე ლევან II დადიანს „თავის ბიძაშვილისათვის", გურიის მთავრისათვის გადაუცია. „შესანახად", საპატიო პატიმრობაში, რადგან ვეზირი დიდად გავლენიანი კაცი იყო ოდიშში.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ლევანმა დაამარცხა იმერეთის მეფე და აფხაზი მთავარი, საპატიო პატიმრობაში გაგზავნა სამთავროს ვეზირი. რა მდგომარეობაში იყო ამის შემდეგ ყოფილი რეგენტი გიორგი ლიპარტიანი? ძმისწულისაგან შეურაცხყოფილი, იგი ტირილის გადახდას შესდგომია, თითქოს ცოლი მკვდარი ჰყავდა. სამთავრო ორ ბანაკად დაიყო. ერთნი, ძირითადად ახალგაზრდები, მთავარს თანაუგრძნობდნენ, მეორენი კი მის მოხუც ბიძას. საქმე ალბათ აქაც იარაღით დასრულდებოდა, რომ ლიპარტიანი უეცრად არ მომკვდარიყო. გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი შეიძლება მოწამლეს კიდეც.

სანამ ლევან II დადიანი ოდიშში პირად საქმეებს „აგვარებდა", მეზობელ გურიაში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. ვახუშტის ცნობით, 1625 წელს „განირისხა ღმერთი და მოკლა მამა თვისი მამია გურიელი ძემან თვისმან სვიმონ, მწოლარე სარეცელსა ზედა ძილად". ამის შემდეგ სვიმონ მამიას ძე მთავრად დაჯდა.

სიმონ გურიელმა გამთავრებისთანავე ოდიშის საწინააღმდეგო კურსი აიღო და მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა საკმაოდ დიდი ბლოკი ლევან II დადიანის დასამხობად. ამ შეთქმულების მთავარი ინიციატორი, როგორც არქანჯელო ლამბერტი გვატყობინებს, იყო ლევანის მიერ გურიელთან გაგზავნილი ვეზირი: „ამ დროს ვეზირმა, რომელიც გურიელს ჰყავდა დამწყვდეული, იფიქრა, რომ როგორც კი კოლხიდაში სიმშვიდე ჩამოვარდება, მაშინვე დადიანი ჩემზე ჯავრის ამოყრას მოინდომებს იმ დიდი დანაშაულისათვის, რომელიც მე ბრალად დამედო და ამიტომ არჩია თავის სარგებლობისათვის ახალი არეულობა გამოეწვია და დადიანის წინააღმდეგ ღალატი გამოეწყო".

პაპუნა ანჯაფარიძეს კარგად უსარგებლია ოდიშის მაღალი საზოგადოების ერთი ნაწილის განწყობილებით. ლევან დადიანს თავის სამთავროში დიდი ოპოზიცია გაუჩნდა. გიორგი ლიპარტიანი მამია დადიანის შვილი იყო და მისი მიმდგომი ხალხი არ აპატიებდნენ ლევანს მის შეურაცხყოფას. ამას გარდა, ლევანი მეტად მტკიცე მმართველი გამოდგა, რაც ალბათ ოდიშის თავადებს არ მოსწონდათ. საკუთრივ ოდიშართა გარდა, შეთქმულებაში მონაწილეობდა სეტემან შარვაშიძე, ლევან დადიანის ყოფილი სიმამრი. მისმა სახლმა დიდი შეურაცხყოფა მიიღო, ლევანმა ეს სამთავრო ააოხრა კიდეც და ცხადია, შარვაშიძე ამას არ დაივიწყებდა. შეთქმულთა შორის იყო გოჭიურას ომში დამარცხებული და დადიანის გაძლიერებით შეშფოთებული იმერეთის მეფე გიორგი III. საქმეში ჩარეული იყო სიმონ გურიელი, ლევანის სიძე, რომელსაც სულაც არ ეპიტნავებოდა ოდიშის მთავრის მეტისმეტი გაძლიერება. პაპუნა ანჯაფარიძეს სიმონისათვის ჩაუგონებია, რომ: „დადიანი ისე თავდაუჭერელი შეიქმნა, რომ ვიდრე ის მთავრად დარჩება, მის სამთავროში მშვიდობა არ ჩამოვარდება, პირიქით, მისი დაუცხრომლის ხასიათის მიზეზით მომიჯნავე მთავრებს ხშირად თავს დაეცემა და დაახიანებსო".

შეთქმულებმა ლევანის ფიზიკური მოსპობა გადაწყვეტეს. ახალ მთავრად უნდა გამოეცხადებინათ ლევანის უმცროსი ძმა იესე (იოსები), რომელიც მანუჩარ I-ს მეორე ცოლისაგან, ათაბაგის ქალისაგან (ვახტანგ გურიელის ქვრივისაგან) ჰყავდა. შეთქმულთა აზრით, იესე ყოფილა „ბევრად უფრო სასიამოვნო, კაცთმოყვარე, ზრდილობიანი, დამჯდარი ხასიათისა", ვიდრე ლევანი. გამთავრების მოსურნე იესე, როგორც ჩანს, დათანხმდა ძმის მოკვლაზე.

ლევანს მიუჩინეს მკვლელი, ვინმე აფხაზი, რომელიც მუდამ დასდევდა მთავარს, რათა მოხერხებულ შემთხვევაში მოეკლა იგი. ლევანის მერიქიფე იესეს კაცი ყოფილა, მისი დიდად ერთგული და ჩანს იესეს ბრძანებით აფხაზს ხელს უწყობდა. ლევანს ჩვეულება ჰქონია ასეთი, რომ ვახშამს ყოველ საღამოს ერთსა და იმავე ადგილას მიირომეოდა, ზურგს კი ხის ტიხარს აყრდნობდა. ამ ტიხარს უკან დაიმალა აფხაზი. მერიქიფის ნიშანზე მან მთავარს ზურგში ჩასცა მახვილი. ლევანი „როგორც კი... იგრძნო მახვილის წვერი, პირქვე დაეშო სუფრაზე. ამგვარად გადარჩა სიკვდილს და მხოლოდ მსუბუქი ჭრილობა მიიღო". აფხაზი მაშინვე ცხენს მოახტა და გაიქცა. ლევანი მალე გამოჯანმრთელდა და გამოძიება დანიშნა. პირველ ყოვლისა მერიქიფე დააპატიმრეს, რომელმაც წამების შემდეგ „რიგ-რიგად ჩამოთვალა შეთქმულები". თვით ეს მერიქიფე და საქმეში განდობილი მისი ორი ძმა, როგორც ლამბერტი გვამცნობს, ცალ-ცალი ხელ-ფეხის მოჭრითა და თვალების დათხრით დაუსჯიათ. მთავარმა შეიპყრო თაეისი ძმაც, რომელსაც თვალების დათხრა და ქონების კონფისკაცია მიესაჯა. დაიწყო სასტიკი რეპრესიები ამბოხების მონაწილეთა მიმართ. დადიანმა ხელთ იგდო შეთქმულების ორგანიზატორი, ვეზირი პაპუნა ანჯაფარიძე. იგი ჯერ დაახრჩვეს და შემდეგ ზარბაზნით გაისროლეს.

შინაური ღალატის გამომჟღავნებისა და დასჯის შემდგომ ლევან II დადიანმა შეთქმულთა ბლოკის სხვა წევრების დასჯაც მოიწადინა. პირველი მათ შორის იყო სიძე დადიანისა, სიმონ გურიელი. ლევანმა დიდი ლაშქრით გასწია მის წინააღმდეგ. სიმონიც იყო "მხნე, ახოვანი, შემმართებელი". ლანჩხუთთან ბრძოლაში სიმონ გურიელი დატყვევებულ იქნა. ლევანმა მას სამთავრო ჩამოართვა, თვალები დასთხარა და ბერად აღკვეცა, ხოლო სიმონის ცოლი და თავისი და, მარიამი შვილით ოტიათი ოდიშს წამოიყვანა.

რა მდგომარეობა შეიქნა გურიაში სიმონ გურიელის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ?! ამას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ლევან II დადიანის პოლიტიკის გასათვალისწინებლად.

სიმონის შემდეგ გურიის სამთავრო ტახტი დასავლეთი საქართველოს კათალიკოსმა, მალაქია გურიელმა დაიკავა. ამის შემდეგ გურიის სამთავრო ლევან II დადიანის ხანგრძლივი ჰეგემონიის ქვეშ მოექცა. მალაქია გურიელი, როგორც კათალიკოსი, ადრეც ოდიშს შეჰყურებდა, რადგან დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის 24 მამულიდან 18 ოდიშის ტერიტორიაზე იყო. ცხადია, რომ კათალიკოსი მალაქია ნომინალურად იყო მთავარი. გურიის პოლიტიკურ გეზს, თავისი ინტერესების შესაბამისად ლევან II დადიანი წარმართავდა. სწორად შენიშნავს მკვლევარი ქ. ჩხატარაშვილი, რომ XVII საუკუნის 30-50-იან წლებში გურიის სამთავრო ოდიშის სამთავროს პოლიტიკურ დანამატად იქცა. მისივე მართებული აზრით, გურიის ლაშქარი ლევან II დადიანის ინტერესებს დაემორჩილა. გურიის სამთავროში, როგორც ჩანს, დადიანის სასარგებლოდ ხარკიც იკრიფებოდა.

ამგვარად, გურია ავტომატური მოკავშირე გახდა ოდიშის მთავრისა იმერეთის წინააღმდეგ. შემთხვევითი როდია, რომ მალაქია I თავისი დროის დიდ ნაწილს ოდიშის მთავრის კარზე ატარებდა, როგორც ამას არაერთი წყარო ადასტურებს. ამავე პერიოდს მიეკუთვნება წალენჯიხის ეკლესიის ლევან დადიანის ეკვდერის დასავლეთი კარის წარწერა: „...დადიან-გურიელმან ქელმწიფემან ბატონმან ლეონ..." ამ წარწერის მიხედვით ლევანის მეუღლე, ნესტან-დარეჯან ჭილაძე ცოცხალი ჩანს. ის კი 1639 წელს გარდაიცვალა, იმავე ხანებში, როცა მალაქია გურიელ-კათალიკოსი. ამდენად წარწერა 1625-

1639 წლებს შორის თავსდება. ლევანის „დადიან-გურიელად" მოხსენიება, ეფიქრობთ რეალური პოლიტიკური ვითარების ამსახველი იყო.

გურიის მთავრის სიმონის დამარცხებისა და თავისთვის საიმედო რეჟიმის დამყარების შემდეგ ჯერი აფხაზეთზე მიდგა. ლამბერტის ცნობით: „იმ დროს, როდესაც დადიანი გართული იყო თავისი ძმისგან დაწყებული ამბოხების დაცხრომის საქმეში, აფხაზები სულ თავს ესხმოდნენ სამეგრელოს საზღვრებს, რომელიც თითქმის სრულიად გაოხრეს, მცხოვრებლები დაატყვევეს და აფხაზეთში გადაასახლეს". იმის გარდა, რომ აფხაზ მთავარს ლევანთან მტრობა ჰქონდა, აქ სხვა, უფრო სერიოზული რამეც იმალებოდა. აფხაზი წარჩინებულები ექსპანსიას იწყებენ ოდიშის მიწების დასაპყრობად, კოდორს გადმოღმა მიწების მისატაცებლად. ამიტომ იყო, რომ ლევანი ასეთი დაჟინებითა და სისასტიკით ებრძოდა მათ. აი, რას წერს იგი ილორის ხატის წარწერაში: „მიუქედით შარავშიძესა ზუფუს (ლიხნი, ი. ა.), მუწუს წყალსა აქათ ავაოხრეთ. კიდევე მიუქედით ზუფუს, კაპოეტის წყალს აქეთ სრულებით დავსწეთ და ავაოხრეთ და სადაცა სიმაგრე იყო, ავიღეთ და გავაცუდეთ და კაპოეტის წყალზე შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გაგვემარჯუა და დავკოცეთ და ზოგი ქელთ დაგურჩა და გამარჯვებულები მოვედით".

ლევანს არც აფხაზი წარჩინებულები რჩებოდნენ ვალში და საზღვრებს უოხრებდნენ. ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა. აფხაზთა თავდასხმებმა მეთოდური, მიზანმიმართული სახე მიიღეს. ერთმანეთის სამფლობელოების აოხრება ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოვლენად იქცა. დადიანის დამსჯელ ექსპედიციებს რადიკალური შედეგი არ გამოუღიათ. ლამბერტი აღნიშნავდა: „აფხაზებმა მორჩილება განუცხადეს (ლევანს, ი. ა.), ხარკი იტვირთეს, მაგრამ რადგან ეს ხალხი მოქალაქეობას და ვაჭრობას მოკლებულია და არც ფული გააჩნია, არც საქონელი ხარკის გადასახდელად, — დადიანმა მათ ხარკად დაადვა რამდენიმე მწევარ-მაძებარი და მიმინო". სამართლიანად შენიშნავს ამ ცნობის შესახებ ზ. ანჩაბაძე, რომ ასეთი ხარკი აიხსნებოდა აფხაზთა დამოკიდებულების ნომინალური ხასიათით.

მმიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა იმერეთის სამეფო, რომელიც ლევან II დადიანის წინააღმდეგ ფაქტობრივად უმოკავშირეოდ დარჩა. იგი მარტოდმარტო აღმოჩნდა გურია-ოდიშის ძალების წინაშე. ლევან II დადიანის ჰეგემონისტური მისწრაფებანი XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან თვალნათელი ფაქტი გახდა. ლევანი ცდილობს ახალ სიმაღლეზე აიყვანოს თავისი სამთავროს სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება. დასავლეთი საქართველოს სამი პოლიტიკური ერთეულიდან გურია მისი ხელქვეითი გახდა, ხოლო დანარჩენი ორი ბრძოლის ობიექტი. ჩვენ უნდა განვასხვავოთ ოდიშის ურთიერთობა იმერეთთან და აფხაზეთთან. ლევანს აფხაზების მოულოდნელი თავდასხმებისაგან უფრო ხშირად თვითონ უხდებოდა თავისი საზღვრების დაცვა, მაშინ როდესაც იმერეთს იქით ესხმოდა თავს. დასავლეთი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ძირითად ფაქტორად, XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან ოდიშ-იმერეთის ბრძოლა გადაიქცა.

ამავე ხანებში, XVII საუკუნის 20-30-იან წლებში აღმოსავლეთი საქართველო თავგანწირული იბრძოდა გარეშე აგრესიის წინააღმდეგ. მასალების უკიდურესი სიმცირის გამო, ჩვენ საშუალება არა გვაქვს დაწვრილებით გავაანალიზოთ დასავლეთ საქართველოს და კერძოდ კი, ოდიშის პოლიტიკური ურთიერთობანი აღმოსავლეთ საქართველოსთან და იძულებული ვართ, რიგ შემთხვევაში ირიბი ცნობების ინტერპრეტაციას დავჯერდეთ.

მნიშვნელოვანი მოვლენები ხდებოდა მახლობელი აღმოსავლეთისა და შავი ზღვის აუზის ასპარეზზეც. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ ამ მოვლენებსაც.

ირან-ოსმალეთის 1618 წლის ზავით, სერაფის ზავის სახელით რომ არის ცნობილი, აღდგა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები იმ განსხვავებით, რომ ახალციხის ეიალეთი მთლიანად ოსმალეთს დარჩა, ხოლო ირანმა დერნესა და დერთენგის სანჯაყები მიიღო. სერაფის ზავმა მცირე ხნით (1623 წლამდე) მოარიგა ორი დიდი აგრესორი სახელმწიფო. ამ პერიოდში როგორც ოსმალეთის, ისე ირანის ყურადღება სხვა საქმეებისაკენ იყო მიპყრობილი და საქართველო ერთგვარად „ჩრდილში" რჩებოდა. ორი დიდი აგრესორის ომების დროს აქტიურ ძალად იქცნენ კაზაკები, რომელთაც 1616-1617 წლებში ოსმალეთის ქალაქები სინოპი, სამსუნი და ტრაპიზონი მოარბიეს. ამავე დროს კაზაკებთან ურთიერთობას ეძიებს შაჰ აბას I, რომელიც ანტიოსმალური კოალიციის შედგენის გეგმით იყო გატაცებული. ამითვე იყო დაინტერესებული პოლონეთიც. როგორც პიეტრო დელა ვალეს ცნობებიდან ჩანს, განზრახული იყო დასავლეთი საქართველოს მეფე-მთავრებიც ჩაებათ ამ კოალიციაში. თავის მხრივ, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა ურთიერთობა კაზაკებთან მეტად ცხოველი იყო. კაზაკობა შიშის ზარს სცემდა ოსმალეთის სანაპირო ქალაქებსა და ხომალდთა ქარავნებს. ასეთი მრისხანე ძალის გამოჩენა, ცხადია, არ გამორჩებოდათ მხედველობიდან დასავლეთ საქართველოს მესვეურებს, რომლებიც თვითონაც ოსმალეთის უღელქვეშ გმნავდნენ. ასევე კაზაკებისათვისაც ბუნებრივი

მოკავშირეები უნდა ყოფილიყვნენ ქართველები. კაზაკებისა და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობის შესახებ სინტერესო ცნობები აქვს დაცული ცნობილ მოგზაურს და დიპლომატს პიეტრო დელა ვალეს. ეს ცნობები XVII საუკუნის პირველ ოცეულს შეეხება.

კაზაკებისა და საქართველოს შავიზღვისპირეთის მოსახლეობის დაახლოება ორმხრივ ხელსაყრელი მოვლენა იყო და ვის ეკუთვნოდა ამ საქმეში ინიციატივა, ძნელი სათქმელია. პიეტრო დელა ვალეს აზრით კი, ასეთი ინიციატივა ქართველ მთავრებს ეკუთვნოდათ. „კარგად არ ვიცი რომელმა, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ დადიანმა თუ გურიელმა, კოლხეთის ორი სხვადასხვა ნაწილის მფლობელებმა (ქრისტიანებმა) კაზაკებს კაცი გაუგზავნეს და თურქეთთან საომარი მიზნით თავისი ტერიტორია და კავშირი შესთავაზეს, აგრეთვე ოქროს ჰატარა ჯვრები გაუგზავნეს. კაზაკებმა დიდი კმაყოფილებით მიიღეს ეს საჩუქრები და ისინიც (კაზაკები) არაერთხელ წასულან თავიანთი საზღვაო ფლოტით კოლხეთის სანაპიროებისაკენ და ალერსიანი მასპინძლობაც დახვდენიათ აქ“.

დადიანსა და გურიელს, სხვა მიზნებიც ამოძრავებდათ, კერძოდ სავაჭრო, რადგან თუ კაზაკებთან მორიგებით არ იქნებოდნენ, მათ სავაჭრო ხომალდებს შეიძლება ცუდი დღე დადგომოდათ. მით უფრო საინტერესოა პიეტრო დელა ვალეს ცნობა, რომ კაზაკები ზღვაზე მფარველობას უწევდნენ დადიანისა და გურიელის ხომალდებს.

ოსმალეთმა, როგორც კი ირანთან ზავი დასდო, პოლონეთს ომი გამოუცხადა, მაგრამ ვერაფითარ წარმატებას ვერ მიაღწია. სულთანი ოსმან II (1618-1622 წწ.) დედაქალაქში დამარცხებული დაბრუნდა. იანიჩარებმა ხელმოცარული ფადიშაჰი ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს. ოსმანთა ტახტზე სულელი უფლისწული, მუსტაფა ავიდა. მალე მუსტაფაც ჩამოაგდეს და მცირეწლოვანი მურად IV (1623-1640 წწ.) გაასულთნეს. ყოველივე ამას ზედ დაერთო არზრუმის ბეგლარბეგის აბაზა ფაშას ამბოხება, რომელმაც მთელი ანატოლია მოიცვა და სტამბოლს დიდი სიძნელეები შეუქმნა. ამდენად, ოსმალეთმა კაზაკებს ვერაფერი მოუხერხა, არც საქართველოსათვის ეცალა. მისთვის ახლა მთავარი იყო ირანთან ზავის შენარჩუნება. ოსმალეთს ჯერ შინაგანი საქმეების მოგვარება ესაჭიროებოდა. ასე როდი ფიქრობდა შაჰ აბას I. მან გადაწყვიტა გამოეყენებინა ოსმალეთის მძიმე საშინაო მდგომარეობა, მაგრამ მანამდე კი თვით ირანის საჭირბოროტო საკითხების გადაჭრას მიჰყო ხელი. 1622 წელს, ისარგებლა რა პორტუგალიისა და ინგლისის წინააღმდეგობით, შაჰ აბასმა ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალების დახმარებით აიღო კუნძული ჰორმუზი. ამის შემდგომ მან ოზბეგებს შეუტია, დაამარცხა, ხოლო დიდ მოგოლებს ყანდაჰარი წართვა. შაჰ აბასმა ამ ბრძოლების წარმატებით დასრულების შემდეგ უშუალოდ ოსმალეთს შეუტია და 1623 წელს ბაღდადი აიღო. ამავე ხანებში, ირანის უდიდესმა მოღვაწემ, ხოლო საქართველოს დაუძინებელმა მტერმა, შაჰ აბასმა „გურჯისტანის საკითხის“ საბოლოოდ გადაჭრა მოინდომა. 1624 წლის გაზაფხულ-ზაფხულში, შაჰის ბრძანებით, ერევნის ხანმა ამირ-გუნემ სამცხე დალაშქრა და ახალციხე აიღო. სეფიანთა ირანი თავისი დიდების ზენიტში იყო. ირანის ფრთების ასე ფართოდ გაშლამ ანტიირანული ბრძოლის გაცხოველება გამოიწვია საქართველოში. ოსმალო ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა აღნიშნავდა: „ფეიქარ-სულთანი ქართველების სიმრავლემ საგონებელში ჩაადგო. მან შაჰს აცნობა: ქართველები ისევ მომრავლდნენ და ლაშქრობის შემთხვევაში ათიათასი ხმლიანი ქართველი შეიძლება მოგროვდეს. ამაზე რა იქნება თქვენი ბრძანებაო“. ქართველთა ამოძრავებას აღნიშნავს ისპანდერ მუნშიც. ირანის მთელი ძალები ამ პერიოდისათვის ერაყში იყო დაბანდებული, მაგრამ დაყოვნებას შეიძლებოდა შაჰის გეგმები ჩაეშალა, აჯანყებას საქართველოში დიდი რეზონანსი მიეღო და შეერყია სეფიანთა ბატონობა მთელს აღმოსავლეთ ამირკავკასიაში.

1625 წელს შაჰ აბას I-მა საქართველოში დიდი ლაშქარი გამოგზავნა ყარჩიხა-ხანის მეთაურობით. ისპანდერ მუნშის ცნობით: „ქვეყნის დამამშვენებელმა აზრმა (ე. ი. შაჰმა) გადაწყვიტა, რომ ერთი გამჭრიახი გონების მქონე და საზრიანი კაცი გაეგზავნა იმ მხარეს, რათა გამოეკვლია საქართველოს ნამდვილი მდგომარეობა, მოესპო შფოთის ამტეხნი და ისე მოეწესრიგებინა და მოეწყო საქმეები, როგორც ეს ძლევამოსილი სახელმწიფოსათვის იქნებოდა სასარგებლო“.

„ქვეყნის დამამშვენებელ აზრს“ კი „შფოთის ამტეხთა“ საქმეების მოწესრიგება ასე ესმოდა: კახელები, როგორც თეიმურაზ I-ის მომხრეები უნდა ამოეწყვიტათ და კახეთი ყიზილბაშებითა და თურქმან-თათრებით დაესახლებინათ, ხოლო თეიმურაზისა და ლუარსაბის მომხრე თავადები ირანს გადაესახლებინათ.

ყარჩიხა-ხანის ლაშქარს მოჰყვებოდა გიორგი საკაძე. შაჰს მისი გამოყენება სურდა საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ. დიდი პოლიტიკოსი შაჰ აბას I სასტიკად შეცდა, როდესაც საკაძე საკუთარი ხალხის შეურიგებელ მტრად მიიჩნია. მოურავი დროზე მიხვდა შაჰის განზრახვას და სათანადო ზომებიც მიიღო. საქართველო უკვე მზად იყო დიდი აჯანყებისათვის, ხოლო გიორგი საკაძე მას სათავეში ჩაუდგა.

1625 წლის 25 მარტს (ახ. სტ. 7 აპრილს) ქართველმა აჯანყებულებმა მარტყოფის ველზე მუსრი გაუელეს ყიზილბაშთა ლაშქარს. ქართველთა ხელით მრავალი ირანელი წარჩინებული დაიღუპა. მათ შორის იყო სარდალი ყარჩიხა-ხანი, თვით გიორგი საკაძის მიერ მოკლული. ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ დიდი მოურავი თბილისს დაეცა და ყიზილბაშური გარნიზონი ალყაში მოაქცია. ასევე სწრაფად დალაშქრა მან განჯა-ყარაბალი, ყიზილბაშებს კიდევ მარცხი აგემა და კახეთში შემოსახლებული თურქმანი ტომებიც გაჟლიტა. მარტყოფის ბრძოლის შემდეგ გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ თეიმურაზ I იქნა აღიარებული.

ოსმალო ისტორიკოსი მუსტაფა ნაიმა, როდესაც ყარჩიხა-ხანის დამსჯელი ექსპედიციის ბედ- იღბალზე საუბრობს, ასეთი შინაარსის ცნობას გვაწვდის: „დადიანი, აჩიკ-ბაში (იმერეთის მეფე, ი. ა.) და არაგვის ერისთავი გაერთიანდნენ, საქართველოს სხვა ერისთავებთან შეთანხმებულნი, საქართველოს დასაპყრობად მოსულ ყარჩიხა-ხანისა და სრულიად ყიზილბაშთა ლაშქართან საბრძოლველად გამოვიდნენ“.

აღნიშნული ცნობა თავისთავად ძალზე საინტერესოა, მაგრამ ჯერ-ჯერობით სხვა წყაროები არ ადასტურებენ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა მონაწილეობას ყარჩიხა-ხანის განადგურებაში. ეფიქრობთ, რომ აქ მუსტაფა ნაიმა არ უნდა იყოს სწორი.

გამარჯვებულმა გიორგი საკაძემ ოსმალეთის დიდვეზირს ჰაფიზ ფაშას, რომელიც ამ დროს დიარბეკირში იდგა, ყიზილბაშთა მოჭრილი თავები გაუგზავნა და ირანის წინააღმდეგ გალაშქრების გეგმაც შესთავაზა. „ასეთი მოხერხებული შემთხვევა ოსმალთა სამეფო გვარეულობას არ მისცემია და ყოველგვარი დაყოვნების გარეშე მიიღეთ ზომა და ისწრაფეთ, რომ ისლამის ჯარითურთ ამ ქვეყნისაკენ (ირანისაკენ, ი. ა.) გაემგზავროთო“ (იბრაჰიმ ფეჩევი). ოსმალებმა ვერ გამოიყენეს ეს გეგმა და ფაქტობრივი დახმარება გიორგი საკაძისათვის არ გაუწევიათ.

შაჰ აბას I მარტყოფთან დამარცხებას, რომლის მსგავსი „ორმოცი წლის განმავლობაში... არ ჰქონია“, ცხადია, ვერ შეურიგდებოდა. 1625 წელსვე მან ახალი ჯარი გამოგზავნა ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით. პირველ ივლისს, მარაბდასთან სისხლიანი და უთანასწორო ბრძოლა მოხდა. ამ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ წინააღმდეგობის პარტიზანულ ხერხებზე გადავიდნენ. მართალია, მარაბდასთან გაიმარჯვეს ირანელებმა, მაგრამ ამავე დროს დიდი ზარალი ნახეს და ამიტომ იყო, რომ შაჰ აბასი კომპრომისზე წავიდა და თეიმურაზთან შერიგება სცადა. შაჰი ამ დროს ოსმალეთთან ომს აწარმოებდა და სურდა, რომ თეიმურაზის მხრივ დამშვიდებული ყოფილიყო. შუამავალი აბას I-სა და თეიმურაზს შორის იყო განჯის ბეგლარბეგი დაუდ-ხან უნდილაძე. ირანის შაჰმა ცნო თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ. მ. სვანიძის ვარაუდით, სწორედ შაჰმა ითამაშა წამყვანი როლი თეიმურაზისა და გიორგი საკაძის კონფლიქტში.

თეიმურაზთან ურთიერთობის გამწვავებამდე დიდი მოურავი სამცხეში გადავიდა, სადაც ისა-ხან ყორჩიბაში დიდ რაზმს დამარცხება აგემა ასპინძასთან. სამცხიდანვე, გიორგი საკაძემ გიორგი ქავთარიშვილი-ბარათაშვილი დესპანად გაგზავნა ოსმალეთის სულთანთან და კიდევ ერთხელ თხოვა ყიზილბაშთა წინააღმდეგ დახმარება. ოსმალეთმა ისევ შეიკავა თავი აქტიური მოქმედებისაგან. ამის შემდეგ, დიდმა მოურავმა სამცხე დასტოვა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც იმერეთის მეფე გიორგი III-თან და ლევან II დადიანთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. დიდ მოურავს სურდა შეეკავშირებინა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ყიზილბაშთა წინააღმდეგ. დიდ მოურავს სათანადო მოლაპარაკება უწარმოებია გიორგი იმერეთის მეფესთან და გარკვეული შედეგისათვისაც მიუღწევია. იმერეთის კარი ირანის წინააღმდეგ დახმარებას შეპირდა მოურავს. ეს შეთანხმება მეფესა და საკაძეს მოყვრული კავშირითაც განუმტკიცებიათ. ხვარამზე, გიორგი მეფის ასული, დანიშნეს საკაძის ვაჟზე — ავთანდილზე, მარტყოფის ბრძოლის ერთ-ერთ გმირზე. სამართლიანად აღნიშნავს გ. ჯაბურია, რომ „ეს აქტი უფრო პოლიტიკური მნიშვნელობისა იყო, ვიდრე მოყვარული და ისეთ ვითარებაში შეიძლებოდა შექმნილიყო, რომელიც საკაძის საქმისადმი კეთილგანწყობილებასა და შესაძლოა დახმარებასაც კი გულისხმობდა“.

ქუთაისში სტუმრობის შემდეგ დიდი მოურავი ოდიშს ჩავიდა ლევან II დადიანთან. ეს ფაქტი აღწერილი აქვს იოსებ თბილელს „დიდმოურავიანში“: „მეფემ მიბოძა დასტური, ვლე არე ოდიშისანი, იგიცა კარგა დამიზედა, ქება არ ძალმიც თქმისანი“.

საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ლევან II დადიანთანაც იგივე თემაზე იყო საუბარი, რაზეც იმერეთის მეფე გიორგისთან. ამ მოლაპარაკების შესახებ რაიმე დოკუმენტი არ დაგვრჩენია, მაგრამ არ ჩანს, რომ იგი საკაძისათვის წარუმატებელი ყოფილიყო.

ჩვენ მიზანს აქ არ შეადგენს აღმოსავლეთ საქართველოს მოვლენებზე სიტყვის გაგრძელება, ძირითად ფაქტებს უკვე გავეცანით, მაგრამ მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება ცნობები გიორგი საკაძის ოსმალეთში დაღუპვის შესახებ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თეიმურაზ I-მა შეთქმულება

მოაწყო მოურავის წინააღმდეგ. მეფე დიდად ეჭვიანი იყო, მოურავის სახელი და დიდება როდი სიამოვნებდა. ოსმალეთი ააკაძეს უჭერდა მხარს, ირანი კი თეიმურაზს. თეიმურაზი, ოსმალეთის „მეგობარი", ადრე ირანს ებრძოდა, ხოლო ააკაძე ამ უკანასკნელის სამსახურში იყო, ახლა კი როლები შეიცვალა. თეიმურაზი ირანს მიემხრო, ხოლო მოურავი ოსმალეთს „დაუმეგობრდა". სულთანმა მურად IV-ემ იმერეთის მეფეს, ოდიშისა და გურიის მთავრებს ბრძანებები დაუგზავნა, მოურავისათვის დახმარება გაეწიათ. ააკაძე, როგორც აღვნიშნეთ, გიორგი III-თან და ლევან II დადიანთან მოლაპარაკებული იყო, ხოლო სულთნის ფირმანი ოფიციალურ ნებართვას წარმოადგენდა. შეტაკება მეფესა და ააკაძეს შორის აუცილებელი ჩანდა. 1626 წლის შემოდგომაზე, ბაზალეთთან, თეიმურაზთან ბრძოლაში გიორგი ააკაძე დამარცხდა, ოსმალეთს გადავიდა და პორტის სამსახურში შევიდა. მან ყაჩამან-კონიის ბეგლარბეგობა მიიღო. 1629 წლის 3 ოქტომბერს დიდვეზირ ხუსრევ ფაშას ბრძანებით დიდ მოურავს თავი მოკვეთეს.

რატომ მოკლეს გიორგი ააკაძე?

იოსებ თბილელი, ფარსადან გორგიჯანიძე და ვახუშტი იმ აზრს ადგანან, რომ ხუსრევ ფაშამ შურის გამო მოაკვლევინა გიორგი ააკაძე. ხუსრევ ფაშას თითქოს არ მოსწონდა დიდი მოურავის პოპულარობა ოსმალეთში. თვით ოსმალური წყაროებიც მოშურნე და მუხანათ პიროვნებად გვიხატავენ ხუსრევ ფაშას, მაგრამ ააკაძის მოკვლას კი სხვა გარემოებას აბრალებენ. მუსტაფა ნაიმას ცნობით: „ყარამანში მას (გიორგი ააკაძეს, ი. ა.) მიეტმასნენ ზოგნი ბოროტმოქმედნი პირნი, რომელნიც მძლავრობასა და უწესრიგობას ჩადიოდნენ, სახელი კი მისი, მოურავისა იყო. ამის გამო მომჩივრები დიდვეზირს ეახლნენ: მეგობრებმა მოურავს უთხრეს, რომ ხუსრევ ფაშა მოსისხარი ვეზირია, შეიძლება შენ გაგიმეტოს კიდეეაცო. მოურავი საგონებელში ჩააგდეს და წააქეზეს რომელიმე მიმართულებით გაქცეულიყო". მომჩივრები კი იყვნენ ყაჩამან-კონიის ეიალეთის წარჩინებულები, რომელთაგან ბევრს ისიც შურდა, რომ საქართველოდან გადმოხვეწილ სარდალს სულთანმა ბეგლარბეგობა უბოძა, მაგრამ დიდი მოურავის სიკეთილის მიზეზი ხუსრევ ფაშასა და სხვა ოსმალო მოხელეების შური და მუხანათობა არ უნდა იყოს. საინტერესოა მუსტაფა ნაიმასთან დაცული ერთი პატარა დეტალი: „ხუსრევ ფაშა სისხლის მოყვარული და მუხანათი კაცი იყო. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ. რომ სისხლის დაღვრა ეწადა, მან ხონთქრისათვის შეუტყობინებლად, ვითომდა მოურავი საქართველოში წავაო, მოკლა ასეთი გმირი მოხუცი".

სხვა ქართული თუ ოსმალური წყაროებით არ ჩანს ეს დეტალი, მაგრამ იგი საინტერესო უნდა იყოს. თუ დაუკვირდებით, განა მოსალოდნელი არ იყო, რომ დიდ მოურავს საქართველოში დაბრუნებაზე ეფიქრა? გიორგი ააკაძე იმისათვის ხომ არ იბრძოდა, რომ ბეგლარბეგი გამხდარიყო და თავისი დღეები ოსმალეთში დაელია. თუ იგი ოსმალებს მიუვიდა, ეს იმიტომ, რომ საქართველოს გასაერთიანებლად მათი გამოყენება სურდა. იმ აზრს, რომ ხუსრევ ფაშამ სწორედ საქართველოში დაბრუნების განზრახვის გამო მოაკვლევინა ააკაძე, გვაწვდის კიდევ ერთი წყარო, თეიმურაზ I-ის 1658 წელს მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკების ჩანაწერები. რუსეთის მეფის, ალექსი მიხეილის ძის მოხელეები, ბოიარი თაკადი ივანე ხილკოვი და დიაკი ლარიონ ლოპუხინი მოლაპარაკებას აწარმოებდნენ თეიმურაზ I-თან და შეკითხვა მისცეს მისი ოსმალეთთან ურთიერთობის შესახებ. აი, რა უპასუხა თეიმურაზმა: „тому де лет с тридцать, изменил ему боярин ево Георгий... и обусурманяся поддался турскому салтан Мурату и поднял на него рат. и он де царь Тей мураз против ево ходил с своими ратными людьми... И помощию божею турских людеи многих побил и языки многие поимал, а побил де он царь турских людей немного людством силою крестною и казал накрте язву сечено саблею и как де тот изменник его з боя побежал к турскому".

ეჭვის შეტანა შეუძლებელია იმაში, რომ თეიმურაზის მიერ დასახელებული „მოღალატე ბოიარი" გიორგი დიდი მოურავი გიორგი ააკაძეა. ზემომოტანილი ცნობა გვეუბნება, რომ ოსმალებს მხარი დაუჭერიათ ააკაძისათვის, თეიმურაზს ისინი დაუმარცხებია და გიორგიც ოსმალეთში გაქცეულა. ამ ცნობას სხვა, ჩვენთვის ამჟამად კიდევ უფრო საინტერესო ცნობა მოსდევს: თეიმურაზი რუსებს ატყობინებს, რომ ოსმალეთში გაქცეულ გიორგის საქართველოში დაბრუნება გადაუწყვეტია: „Хотел турскому салтану изменит и убежать в Дадианское государство и уведав де про то везир казнил его сметрью, а ему де царю Теймуразу после того от турка никакого гонения не бывало".

ეს ცნობა მნიშვნელოვანწილად ავსებს მუსტაფა ნაიმასთან დაცულ დეტალს, „მოურავი საქართველოში წავაო". ნაიმას კი ხუსრევ ფაშას სიცრუე ჰგონია, ხოლო თეიმურაზი კი სრულიად დაბეჯითებით ამბობს ამას და იმასაც კი გვატყობინებს, თუ სად უნდა გაქცეულიყო დიდი მოურავი. თეიმურაზისათვის იშვიათი არ იყო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად არარეალური რამის თქმა, მაგრამ ამ შემთხვევაში,

ვფიქრობთ, სიმართლეს უნდა ამბობდეს. გიორგი საკაძე უკვე 30 წლის მიცვალებული იყო იმ დროს, როდესაც თეიმურაზი მოსკოვს ჩავიდა და მის დროინდელ ამბებსაც დაკარგული ჰქონდათ პოლიტიკური აქტუალობა. ჩანს დიდმა მოურავმა, რომელმაც ვერ მიაღწია ოსმალეთის დახმარებას თავისი გეგმების შესასრულებლად, სხვა ძალის მოძებნა დააპირა თვით საქართველოში და ამ მიზნით „დადიანის ქვეყანაში", ე. ი. ოდიშში, ლევან II დადიანთან დააპირა გაქცევა. ეს დროზე შეიტყო დიდვეზირმა ხუსრევ ფაშამ, რომელიც ისედაც შურით იყო გამსჭვალული გამოჩენილი სარდლისადმი. სათანადო საბაბი მას უკვე ჰქონდა და საკაძე სიკვდილით დასჯაც კიდეც.

ასეთი უნდა იყოს დიდი მოურავის დაღუპვის გარემოება. ახლა კი გვაინტერესებს, რატომ აპირებდა დიდი მოურავი მაინცდამაინც ოდიშში გაქცევას?

გიორგი საკაძე რომ ქართლ-კახეთში ვერ ჩავიდოდა, ცხადია, რადგან იქ დამარცხდა და თავის მომხრეებიანად დატოვა ეს მხარე. ჩანს, იმ ხანებში ველარც იმერეთში ჩაესვლებოდა მოურავს. პოლიტიკაში ხშირად იცვლება გარემოებანი და თუ 1626 წელს, ბაზალეთის ბრძოლაში გიორგი III საკაძის მხარეს იყო, 1629 წელს უკვე თეიმურაზ I-ს დაუმოყვრდა. 1629 წელს, როგორც ცნობილია, თეიმურაზმა თავისი მომძლავრებული სიძე, ზურაბ არაგვის ერისთავი მოაკვლევინა, მისი ცოლი, თავისი ქალიშვილი, გიორგი იმერთ მეფის ვაჟს, ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე მიათხოვა და „აქორწინნა ქინძარს მცირეს ეკლესიასა შინა". ცხადია, ალექსანდრე გიორგის ძის და დარეჯან თეიმურაზის ასულის დაქორწინება მათი მამების პოლიტიკური დაახლოების შედეგი იყო. სწორედ ამიტომაც უნდა აერიდებინა თავი საკაძეს იმერეთისათვის. ერთადერთი პოლიტიკური ერთეული, სადაც მას ჩასვლა შეეძლო, იყო ოდიში. არაა გამორიცხული, რომ გიორგი საკაძესა და ლევან II დადიანს სათანადო კონტაქტიც ჰქონდათ.

ყველა მონაცემია ვიფიქროთ, რომ დიდ მოურავს სიცოცხლის ბოლო ხანებში ოდიშის მთავარი უნდა მიეწნიათ რეალურ დასაყრდენ ძალად. თვით ლევანი, პატივმოყვარე, ფართო პრეტენზიებისა და გეგმების მქონე პიროვნებაა, უეჭველად დაინტერესებული იქნებოდა გამოჩენილ სარდალთან პოლიტიკური თანამშრომლობით. სწორედ ეს უნდა გაეგო ხუსრევ ფაშას. საკაძისადმი დამოკიდებულებაში უეჭველად ჩანდა ოსმალეთის მთავრობის თეიმურაზისადმი კეთილგანწყობილება. თეიმურაზს ტრადიციულად „მეგობრული" ურთიერთობა ჰქონად პორტასთან. მას შემდეგაც, რაც ირანმა ცნო თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ, ამ უკანასკნელს არ შეუწყვეტია ოსმალეთთან კავშირი. იგი მოხერხებულად სარგებლობდა ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობებით. 1629 წელს, როდესაც შაჰ აბას I გარდაიცვალა და ოსმალეთმა დიდი შეტევა დაიწყო ირანის წინააღმდეგ დიდვეზირ ხუსრევ ფაშას სარდლობით, განსაკუთრებით საჭირო იყო თეიმურაზი, რომელიც ასევე ანტიირანულ განწყობილებას ამჟღავნებდა. თუ გიორგი საკაძე საქართველოში დაბრუნდებოდა, თეიმურაზის ხელისუფლებას შეიძლებოდა საფრთხე შექმნოდა. ნიშანდობლივია, რომ თვით თეიმურაზი, მოსკოვს მისი ვიზიტის დროს ოსმალებს ცუდად არ ახსენებდა. მათთან მხოლოდ ერთხელ გაუმწვავდა თეიმურაზს ურთიერთობა, როდესაც ოსმალეთმა საკაძეს დაუჭირა მხარი. უფრო ადრე და შემდეგაც ურთიერთობა კარგი იყო. აკი თეიმურაზი ხაზგასმით აღნიშნავს: „от турка никакова гонения... не бывало". ამიტომაც იცოდა თეიმურაზმა დიდი მოურავის დაღუპვის გარემოება.

უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი რამ. ხუსრევ ფაშამ ირანის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს დასაჯა საკაძე. თეიმურაზიც გვეუბნება, რომ გიორგიმ ოსმალეთის ღალატი მოინდომა. ხომ არ არის აქ ასახული ირანის ტახტზე მომხდარი ცვლილებების შედეგად საკაძის ორიენტაციის შეცვლა? 1629 წლის დასაწყისში შაჰ აბას I გარდაიცვალა. ირანში დინასტიული ომი იყო მოსალოდნელი. აქ იმარჯვა ისფაჰანის ტარუღამ ხოსრო-მირზამ (როსტომმა), რომელიც დაუთ-ხანის შვილი და თეიმურაზის მიერ მოკლული სიმონ-ხანის ბიძა იყო. როსტომმა ტახტზე შაჰ აბასის მცირეწლოვანი შვილიშვილი სეფი-მირზა აიყვანა (1629-1642 წწ.), რომელმაც ერთგული ტარუღა ირანის ყულარაღასად დანიშნა. ერთხანს „ირანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხებოდა" (ფარსადან გორგიჯანიძე). ხოსრო-მირზას წინსვლა-დაწინაურებაში თავის დროზე დიდი როლი შეასრულა გიორგი საკაძემ. როსტომი დიდად დავალებული იყო მისგან და პატივსაც სცემდა მოურავს. ქართლში გამეფების შემდეგ, როსტომმა გიორგი საკაძის შვილი იორამი ქართლში მოიყვანა, მამისეული მამულები დაუბრუნა. წყალობის სიგელში როსტომი წერდა: „... მამაშენი გიორგი მოურავი ჩვენზედ და საქართველოზედაც დიდად ნამსახური იყო".

ვინ იცის, იქნებ პოლიტიკაში გამობრძმედილმა მოურავმა, რაკი დაინახა ოსმალები ვერაფერში გამოადგებოდნენ, ისევ ირანისაკენ გაიხედა, სადაც მისი წყალობით აღზევებული კაცი, ხოსრო-მირზა შაჰის შემდეგ პირველი კაცი გამხდარიყო. მ. სვანიძემ ყურადღება მიაქცია ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას, რომ საკაძე „რაფუზობის" გამო დასაჯეს სიკვდილით. „რაფუზს" ანუ „რაფიზს" ოსმალები ირანელ შიიტებს ეძახდნენ. ე. ი. ხუსრევ ფაშა ირანის აგენტობაშიც სდებდა ბრალს საკაძეს.

დიდი მოურავის დაღუპვის შესახებ ცნობებიდან ჩანს, რომ მას კავშირი ჰქონდა ლევან II დადიანთან. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლევანი გიორგი ააკაძესთან კავშირში თავისთვის სარგებელს არ ხედავდა. იმერეთის მეფე იმ დროს უკვე თეიმურაზის მოკავშირე იყო და ასეთ ძალებთან და ოსმალეთთან ბრძოლის დროს ლევანს ფრიად გამოადგებოდა მოურავის დიდი ავტორიტეტი.

გიორგი ააკაძე დაიღუპა. იმერეთის მეფე გიორგი და გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I მჭიდრო კავშირში იყვნენ და თანამშრომლობდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე. თეიმურაზს ცნობდა დასავლეთ საქართველოს ოფიციალური სუზერენი, ოსმალეთი, ასევე ირანიც. ასეთ პოლიტიკურ სიტუაციაში ლევან II დადიანი საერთოქართულ ასპარეზზე იზოლაციის საფრთხეში აღმოჩნდა. ამიტომაც ლევანი ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ურიგდება იმერეთის მეფე და თავის ბიძაშვილ თეიმურაზ I-თანაც ახლო ურთიერთობაშია. იგი მონაწილეობას იღებს საერთოქართული მასშტაბის ღონისძიებებში. 1632 წელს ლევან დადიანმა თეიმურაზის ირანის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა. თეიმურაზმა „ყარაბაღის დარბეცა მოინდომა. ლევან დადიანი ოდიშის ლაშქრით, მეფე ალექსანდრე იმერეთის ლაშქრით, მესხნი თავადნი და აზნაურნი... შეიყარნეს და განჯა-ყარაბაღი არეზამდისინ დაარბიეს და ააოხრეს“ (ფარსადან გორგიჯანიძე). შაჰ აბა I-ის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზმა ირანის სუზერენობისაგან სრული განთავისუფლება მოინდომა, მაგრამ ვერ მოზომა საკუთარი და ირანის ძალები. იმავე წელს ირანმა დიდი ლაშქრობა მოაწყო თეიმურაზის წინააღმდეგ როსტომ ბატონიშვილის (ხოსრო-მირზას) და როსტომ-ხან საკაძის მეთაურობით. ქართლის თავადების უმეტესობა როსტომს მიუვიდა. თეიმურაზი იძულებული შეიქნა იმერეთს გადასულიყო. მას კახეთიც ჩამოერთვა და იქ მმართველად სელიმ-ხანი დაჯდა. დაუთ-ხანის უკანონო შვილი წაკისელი გლეხის ქალისაგან, როსტომი ქართლის მეფე („ვალი“) შეიქნა. ეს იყო ირანის ახალი პოლიტიკის დასაწყისში ქართლში: ქვეყნის უმაღლეს მმართველად ირანის მოხელე „ვალი“ ჯდებოდა, ხოლო ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, „ქართველობა“ ხელუხლებელი რჩებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარმა ამბებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს იმერეთ-ოდიშის ურთიერთობაზე და მკვეთრად შეცვალეს დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ამინდი. იმერეთის მეფემ ქართლ-კახეთში მოკავშირე დაკარგა. თეიმურაზს ახლა თვითონ ესაჭიროებოდა დახმარება. ლევანმა მათთან ურთიერთობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის გაგრძელება ზედმეტად ჩათვალა და მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ქართლის ახალ მეფესთან. როსტომისა და ლევანის კავშირმა ბევრი რამ განსაზღვრა საქართველოს პოლიტიკური ერთეულების ბედ-იღბალში იმ დროს.

ლევან II დადიანისა და როსტომ მეფის მჭიდრო კავშირი პოლიტიკაში მოყვრობითაც იქნა განმტკიცებული. კერძოდ, ასეთი აქტი იყო როსტომ მეფისა და ლევან II დადიანის დის, მარიამის, სიმონ გურიელის ნაცოლარის ქორწინება. ეს ქორწინება 1634 წელს მოხდა.

როსტომი ქართლში განმტკიცებას ცდილობდა და ცხადია, საამისოდ მხოლოდ ყიზილბაშებზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა. მას თვით ქართული პოლიტიკური ერთეულების მესვეურთა შორის უნდა ჰყოლოდა მოკავშირე. თეიმურაზ I, როგორც ვნახეთ, იმერეთში გადაიდა და ქართლის ახალი მეფის წინააღმდგ მოქმედებას შეუდგა. მას შემწედ ჰყავდა იმერეთის მეფე გიორგი III და მისი ვაჟი ალექსანდრე. მათთან მორიგება ძნელი საქმე იყო, თეიმურაზი საამისო განწყობას არ ამჟღავნებდა. ქართველებს, თავის მხრივ კი, დედოფალი სურდათ. ამიტომაც „შეექმნეს ვაზირობა, დაიწყეს რჩევა“. როსტომის მომხრეთა აზრით, ისეთი მოყვარე უნდა შეერჩიათ, რომელიც ენერგიულად შეუტევდა როგორც თეიმურაზს, ისე მის მომხრეებს, გიორგი III-სა და მის ვაჟს. ამ უკანასკნელთ თუ შეავიწროვებდნენ, ისინი ვეღარ გაუწევდნენ სათანადო დახმარებას თეიმურაზს და როსტომის პოზიციაც გამყარდებოდა. ასეთ მოყვარედ როსტომ ქართლის მეფემ და მისმა მომხრეებმა ლევან II დადიანი აღიარეს, რომელიც განუწყვეტელ მტრობაში იყო იმერეთის მეფესთან. ამასთან, ლევანი ძლიერი ხელისუფალი იყო. ყოველივე ამის გამო, ქართლის მესვეურებმა ყველაზე შესაფერისად და ხელსაყრელად ლევან დადიანთან დამოყვრება ცნეს, „ეძებეს სამოყვროთ ლევან დადიანი“ და მისი და მარიამი, „დედათა შიგან ნაქები“ სადედოფლოდ თხოვეს. ლევანს ეს ამბავი „ნამეტნავად იამათ, ნება დართვეს და ნიშანი მიირთმიეს“. ამის შემდეგაც მოხდა საგანგებო დესპანების გაცვლა დადიანსა და როსტომს შორის, ქორწილის თადარიგზე და საკითხის პოლიტიკურ მხარეზე მოსალაპარაკებლად. დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს, მაგალითად, შეხვედრია ქართლიდან ოდიშს მიმავალი დადიანის ელჩი, რომელიც როსტომთან იყო ქორწინების საქმეზე. ლევანისა და როსტომის დამოყვრების საქმეში აქტიურ მონაწილედ ჩანს ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი, რომელიც დადიანის დესპანთან ერთად ყოფილა და ჯუდიჩეს ცნობითვე „ძალიან კარგად იყო მიღებული დადიანის კარზე და მის ფავორატად ითვლებოდა“.

როსტომ ქართლის მეფემ მიიღო თუ არა დადიანის დასტური, მაშინვე შაჰ სეფის ჩაფარი გაუგზავნა და „დადიანის მოყვრობა ელმწიფეს გაასინჯვინა“. ჩვენ ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხებით

ამ ქორწინების პოლიტიკურ სარჩულს, დაინტერესებას როგორც როსტომის, ლევანის, ისე ირანის მთავრობის მხრივ. აქ კი აღვნიშნავთ, რომ შაჰ სეფიმ დიდი სიხარულით თანხმობა განაცხადა, თავის ერთგულ ნამსახურ როსტომს საქორწინო საჩუქარი გამოუგზავნა და შირვანის ბეგლარბეგს ფარუხანს დაავალა თბილისს ჩასულიყო და შაჰის სახელით ხელმწიფური ქორწილი გადაეხადა როსტომისათვის.

შაჰ სეფის მიერ გამოგზავნილი საჩუქრები როსტომ მეფემ ლევან II დადიანს გაუგზავნა და ქორწილის დროის დადება თხოვა. შეთანხმების მიხედვით, როსტომი ლაშქრით უნდა გადასულიყო იმერეთში, სადაც ლევან II დადიანი ასევე ლაშქრით მივიდოდა და საჩხეიმოში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს.

დადიანისა და როსტომ ქართლის მეფის დამოყვრება რომ თეიმურაზისა და იმერეთის მეფის წინააღმდეგ მიმართული აქტი იყო, ამას ცხადია, კარგად ხედებოდნენ თვთი თეიმურაზი და გიორგი III. მათ ქორწილის სამხედრო ძალით ჩასაშლელად მომზადება დაიწყეს. ეს გაითვალისწინეს ლევანმა და როსტომმა და გადაწყვიტეს მრავალრიცხოვანი ლაშქრით შეხვედროდნენ ერთმანეთს.

როსტომ მეფე თავისი ამალით თბილისიდან გამოვიდა, იმერეთისაკენ გაემართა და სურამს დადგა. დადიანიც გამოვიდა ოდიშიდან და საჩხეიმოში შეჩერდა. აქეთკენვე გამოეშურა გიორგი III იმერეთის მეფე დიდი ლაშქრით, რომელშიც თეიმურაზიც იმყოფებოდა. „გზა არ დაგუანება იმერელთ მეფემან გიორგიმო“ – აღნიშნავს როსტომი თავის ცნობილ 1648 წლის სიგელში. ამიტომაც როსტომს მიმართულება შეუცვლია, სამცხეში გადასულა და ომრახეს დამდგარა. „აქეთ წამოვიდა დადიანი შეყრით და ქალი წამოიყვანა. წინ გადაუდგა მეფე გიორგი. შეიბნენ და გაემარჯუა დადიანს და დარჩა ქელთ მეფე გიორგი“ (ფარსადან გორგიჯანიძე). ეს ამბავი ბაღდათთან მოხდა. ვახუშტის ცნობით, გიორგი III მცირე რაზმით დასაზვერად წამოსულა. მისთვის ჩანს, უღალატიათ და დადიანისათვის შეუტყობინებიათ ეს ამბავი. ცოტა სხვაგვარად გადმოგვცემს ამ ფაქტს არქანჯელო ლამბერტი თავის თხზულებაში „წმინდა კოლხეთი“: „ერთ დღეს დადიანი თავის კარავთან იდგა და თავის დიდებულებს ესაუბრებოდა. მან ბრძანა სადილი მიერთმიათ. ამ დროს შორს, ერთ-ერთი გორაკის უკან გამოჩნდა ესკადრონი – ორმოცდაათამდე ცხენოსანი, ყველა შეიარაღებული, სპარმად მომზადებული, შუბებით ხელში. დადიანმა იკითხა: ესენი მისი კაცებია, თუ მოწინააღმდეგის ჯარიდან არიან? სიშორის გამო ვერ გაარკვიეს ნიშანი – თეთრი სამეგრელოსი თუ წითელი – იმერლების“. ამ ცხენოსნებს შორის ყოფილა გიორგი III, რომელიც ტყეედ ჩაიგდეს.

თვით ლევანი ასე აღწერს ამ ამბავს ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერაში: „მას ჟამსა, ოდეს შევებენით ბაღდადს იმერელ მეფესა გიორგის და შვილმა მისასა ალექსანდრეს და მამუკასა და მის სიმამრსა კახსა ბატონსა თეიმურაზს. ვსძლიეთ შეწევნითა ზენითა და გაგვემარჯუა: გიორგი მეფე ქელთ დაგურჩა. შვილები და კახი ბატონი გარდაიხვეწა“. ალექსანდრე და მამუკა ბატონიშვილებს, ასევე თეიმურაზს გიორგი მეფის შეიარაღებული ძალით გამოხსნა უცდიათ, მაგრამ წარუმატებლად. ლევანი აიყარა, ხელხუნდდებული გიორგი III წაიყვანა და როსტომთან შესახვედრად გაეშურა. ბაღდათთან მომხდარი ეს ფაქტი ერთ ხალხურ ლექსშიცაა მოხსენიებული, რომელიც თავის დროზე ა. ცაგარელმა გამოაქვეყნა.

ლევანისა და როსტომ მეფის შეხვედრა კაკასხიდთან მოხდა. „ჩუენაც ჩავედით კაკასკიდს იმერეთშია და მობრძანდა ბატონი დადიანი; შეეიყარენით და განეიხარენით ერთმანეთის ნახვითა, ლხინითა და განსუენებითაო“ – აღნიშნავს მეფე როსტომი.დადიანმა და ქართლის მეფემ დიდის ამბით გადაიხადეს ქორწილი. ლევანმა მარიამ დედოფალი დიდი მზითვით გამოისტუმრა და მაყრად გამოატანეს „ეფისკოფოსნი მათის ქეეყნისანი. გურიელი მეფედ თქმული, მეფვისი თვისის თავადებით და აზნაურიშვილებითა, უფროსნი და სახელდებულნი ოდიშარნი თავადნი“ (ფარსადან გორგიჯანიძე). როსტომიც არ დარჩა ვალში ლევანს, დიდძალი ნობათი მიართვა და მისი ამალაც მეფურად დააჯილდოვა. უბოძა „თავადთა და აზნაურთა და კარის მოკელეთა და გამრიგეთა და მოსამსახურეთა, დიდთა და მცირეთა“. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ შაჰ სეფის ლევან II დადიანისათვის ორმოცდაათი ათასი მარჩილი გამოეგზავნა დის გათხოვების გამო საჩუქრად და ყოველწლიურ ჯამაგრად ათასი თავრიზული თუმანი გაეჩინა. ზეიმის შემდეგ როსტომი თბილისს წავიდა, ხოლო დადიანი ოდიშს, სადაც ციხეში გამოკეტა იმერეთის მეფე გიორგი III.

ლევან II დადიანი, როგორც ზემოთ დავინახეთ, იმერეთის მეფეს ებრძოდა. როსტომთან ერთად მას იმერეთისათვის უნდა შეეტია. ლევანი ამით მთელ დასავლეთ საქართველოში საბოლოოდ გაბატონებას აპირებდა, ხოლო როსტომი კი საშიში მოწინააღმდეგის, თეიმურაზის განეიტრალებას. ამგვარი გეგმის არსებობაზე საკმაოდ მკაფიოდ და არაორაზროვნად მიგვითითებს დონ ჯუზეპე ჯუდიჩე. იგი აღნიშნავს, რომ „დადიანმა და როსტომ მეფემ გადაწყვიტეს ორივე მხრიდან ომი გაუმართონ იმერეთის მეფეს, რათა მერმე შუაზე გაიყონ ეს მხარე, იმ საბაბით, რომ იმერეთში გადმოხვეწილ თეიმურაზს

იმერეთის მეფემ თავშესაფარი მისცაო". ეს ცნობა ოდნავ წინ უსწრებს როსტომისა და მარიამის ქორწინებას. როგორც ვხედავთ, ლევანი ცდილობს სამთაეროს საზღვრები გაიფართოოს აღმოსავლეთით, იმერეთის ხარჯზე. სწორად შენიშნავენ თ. ბერაძე და გ. ცქიტიშვილი, რომ ლევანის „უპირველეს ამოცანას შეადგენდა სამოქალაქოს ხელში ჩაგდება და ოდიშის საზღვრების კავახეთამდე გადაწევა". ეს გეგმა მოკავშირეებმა ვერ განახორციელეს. ლევანი დასავლეთ საქართველოს უძლიერესი და უმდიდრესი ხელისუფალი იყო და თუ მან როსტომ მეფესთან კავშირშიც კი ვერ შეძლო თავისი ამ ამოცანის შესრულება, უნდა დავასკვნათ, რომ იმერეთი ამ დროს არ იყო სუსტი პოლიტიკური ერთეული. იგი აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა დადიანს. ამიტომაცაა, რომ ლევანი ვერ ახერხებდა იმერეთის სამეფოს შემომტკიცებას, აქედან გამომდინარე ქვეყნის ამ ნაწილის გაერთიანებისთვის საფუძვლის ჩაყრას. მის ლაშქრობებს უფრო და უფრო თარეშის სახე ეძლევა. ოდიშის მთავარმა, როგორც დავინახეთ, თვით იმერეთის მეფე გიორგი III-ც კი იგდო ხელთ, მაგრამ იმერეთის დაპატრონება მაინც ვერ მოახერხა. იმერეთის დიდებულებმა გიორგი III-ის ვაჟი ალექსანდრე, თეიმურაზ I-ის სიძე, სასწრაფოდ მეფედ აკურთხეს.

გიორგი III ორ წელიწადს ჰყავდა ლევანს ტყვედ. ალექსანდრე III-ემ მხოლოდ დიდი გამოსასყიდით შეეძლო მამის გამოხსნა. ლევან II დადიანს იმერთა მეფის სახსარში მისცეს დიდძალი ძვირფასეულობა და „ნაპირის ალაგნი ჭილაძენი და მიქელაძენი და რაც ჩხარში ვაჭარნი ესახლნეს სომხები, რომ დადიანმან რუხის ქალაქი იმაებით ააშენა". ფარსადან გორგიჯანიძის ამ ცნობის მსგავსს გვაწვდის ვახუშტიც. ისიც გვამცნობს, რომ გიორგი მეფის გამოსასყიდში ლევანმა ჩხარელი და ჩიხორელი სომეხი და ებრაელი ვაჭრები მიიღო, ხოლო ჭილაძეთა და მიქელაძეთა „ნაპირის ალაგებზე" არაფერს ამბობს. ეფიქრობთ, ამ შემთხვევაში ფარსადან გორგიჯანიძის ზემომოტანილი ცნობა უფრო სრული უნდა იყოს. თვით ლევანი, ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერაში აღნიშნავდა: „აეყარეთ სრულებით ქალაქი ჩხარისა, მოვასხით ზუგდიდსა და დავასახლეთ ადგილსა რუხისასა".

ლევანის თავდასხმები იმერეთზე, როსტომთან შეთანხმებული, შემდეგ უფრო დიდი სიძლიერით გაგრძელდა.

6.4. ურთიერთობა ირანთან, ოსმალეთთან და რუსეთთან

ოდიშის სამთავროს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს მეზობელ ორ დიდ სახელმწიფოსთან, ოსმალეთთან და ირანთან. ოდიშის სამთავრო, ისევე როგორც მთელი დასავლეთ საქართველო, ოსმალეთის ქვეშევრდომ ქვეყნად ითვლებოდა.

ლევან II დადიანის მმართველობის პირველ წლებში, როგორც ზემოთ დავინახეთ, გურია-ოდიშის ურთიერთობა ოსმალეთთან მეტად დაძაბული იყო. ამას მოჰყვა ოსმალეთის ეკონომიკური სანქციები, რამაც გურია და ოდიში აიძულა 1614 წელს საზავო ხელშეკრულებისათვის ხელი მოეწერათ. ამ პერიოდიდან მოყოლებული ვიდრე XVII საუკუნის 30-იან წლებამდე ჩვენ ფაქტობრივად არავითარი მასალა არ გაგვაჩნია ოდიშისა და ოსმალეთის ურთიერთობის გასაშუქებლად. ცნობილია მხოლოდ ზემოთხსენებული ორიოდე წერილი, სადაც ოსმალეთის სულთანი უბრძანებს დადიანს, გურიელსა და იმერეთის მეფეს, გიორგი სააკაძეს დაეხმარონ.

ამრიგად, ასეთი მდგომარეობა გვაქვს: 1614 წელს ოდიში ოსმალეთის მორჩილი პოლიტიკური ერთეულია, ზავს ხელს აწერს და ხარკს კისრულობს. 30-იანი წლების მასალებიდან კი ვხედავთ, რომ მართალია, ოდიში კვლავ ოსმალეთის ქვეშევრდომია, მაგრამ უკვე დამოუკიდებლად უჭირავს თავი და რიგ შემთხვევაში ანტიოსმალურ აქციებში მონაწილეობს კიდეც. გავეცნოთ სათანადო წყაროებს. არქანჯელო ლამბერტი წერდა: „დადიანი საკვირველ პოლიტიკას ადგას თურქეთის მიმართ. იგი კარგად იცნობს თურქეთის მტარვალობას და აგრეთვე იცის, რამდენი სამეფო ჩაუნთქავს მის მტარვალობას, რამდენი მომიჯნავე ქვეყანა დაუპყრია. თურქეთმა რომ მისი სამთავროც არ გასრისოს, დადიანი ცდილობს მეგობრობა დაიმსახუროს თურქეთისა... ასეთი

მეგობრობის დასაცველად დადიანი ყოველ წელიწადს სულთანის ვეზირებს ფეშქაშებს უგზავნის და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ სულთანს ხარჯს აძლევს... ხოლო მთავრის ღირსებას ისე შეუბღალავად იცავს, რომ არასოდეს არავითარ ბრძანებას თურქეთიდან მოსულს არ ასრულებსო."

ამავე საკითხზე შემდეგი შინაარსის ცნობას გვაწვდის დონ ჯუზეპე ჯუდიჩე: „დადიანი ხონთქარს ხარკის სახით ყოველწლიურად უგზავნის ქალ-ვაჟებს, მიმინოებსა და სხვ. ამას შიშით კი არ სჩადის, არამედ უფრო იმიტომ, რომ უზრუნველყოფილი იყოს და თავის სამთავროს უცვლელი ძველი კანონებით განაგებდესო".

როგორც წყაროებიდან ჩანს, ლევან II დადიანს მოუნდომებია მინიმუმამდე დაეყვანა ოსმალეთისადმი დამოკიდებულება და მისთვის სასურველი მშვიდობა საჩუქრებითა და გარეგნული მორჩილებით ეყიდა (პიეტრო დელა ვალე). ამასთან, ლევანი ნებას არ რთავდა ოსმალებს მის ტერიტორიაზე ჯარის ნაწილები გაეტარებინათ.

ოდიშის მთავარს მიზნად დაუსახავს ოსმალეთის ბატონობის ყველა გარეგნული ნიშანი მოესპო თავის სამფლობელოში. ამიტომაც მან, არაა ცნობილი ზუსტად რომელ წელს, მაგრამ ვფიქრობთ, დაახლოებით 30-იან წლებში დაანგრია ფოთის ციხე-სიმაგრე, რომელიც 1578 წელს ააგეს აქ ამირბარ კილიჩ ალი ფაშას ბრძანებით. ლევან II დადიანს ფოთის სიმაგრიდან 25 ზარბაზანიც წამოუღია. ინტერესმოკლებული არაა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ოსმალურ გარნიზონს არ შეუტყობინებია ეს ამბავი სულთნის მთავრობისათვის და ჯამაგირს ისე იღებდნენ, თითქოს ციხე ისევ არსებობდა.

ლევან დადიანი სხვა საქმეებშიც ოპოზიციაში ედგა ოსმალებს. 1629 წელს ოსმალო კაპიტნებს გემებიდან 400 კაზაკი გამოქცევიათ და ოდიშში შეუფარებიათ თავი. კაპიტნები ბევრს ეხვეწნენ დადიანს დაენებებინა მათთვის კაზაკები. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ კაპიტნებს ოდიშში სავაჭრო საქონელი მოჰქონდათ, ლევანს მაინც არ გაუწევია მათთვის ანგარიში და 400 კაციდან მხოლოდ 48 დაუბრუნებია მათთვის,

ლევან II დადიანი სასტიკად ებრძოდა ოსმალეთის ჯაშუშებს. ლამბერტი ერთ ასეთ ფაქტს ასახელებს: „ფიქრობენ, რომ კავკასიის უმაღლეს მთებში ბლომად არისო როგორც ოქროსი, ისე ვერცხლის მადნები, მაგრამ ამას მალავენ თურქების შიშით... დადიანი, რადგან ზღვის პირად არის, სადაც მუდამ დადიან სავაჭროდ კონსტანტინოპოლიდან გემები, დიდად ცდილობს, რომ თავისი მადნები სრულიად დამალული და უცნობი იყოს. ჩემს დროს იქ იყო ერთი მეგრელი, რომელსაც რჯული გამოეცვალა... მან კარგად იცოდა თავისი ქვეყნის ამბავი და თურქებისათვის გაემეღავნებინა, თუ რა მადნებია სამეგრელოში... ეს მთავარმა გაიგო და როცა ის მეგრელი მეორედ დაბრუნდა სამეგრელოში, უეცრად დააჭერინა და ბრძანა მისთვის ცალი ფეხი და ცალი ხელი მოეჭრათ".

ზემოხსენებული ფაქტების გარდა გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი ხერხი, რომელსაც ლევანი ოსმალეთთან ურთიერთობაში იყენებდა. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა ოსმალეთის მთავრობა ოდიშის სიღარიბეში. ოდიშში ჩამოსულ ოსმალო ელჩებს საზღვარზე ხვდებოდნენ დადიანის ინსტრუქციით მოქმედი პირები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ არ გაეტარებინათ სტუმრები კეთილმოწყობილ გზებზე და სოფლებზე. ელჩები მიჰყავდათ ყველაზე ცუდი გზებით, ღამეს ათევინებდნენ ღარიბ გლეხებთან და სადილად მხოლოდ მწვანილსა და გამხმარ ყველს მიართმევდნენ. გზაში გაწვალებულ ელჩებს მთავარი აუდიენციას უწყობდა ფარღალალა ფიცრულში, ძველ ტანსაცმელში გამოწყობილი; მთავრის მრავალრიცხოვანი ამალაც ძველმანებში იყო გახვეული. ამ უმარტივეს ხერხს დადიანი იყენებდა იმისათვის, რომ სტამბოლში შექმნოდათ შთაბეჭდილება, რომ ოდიში უღარიბესი მხარეა და მის დაპყრობას აზრი არა აქვს.

რა ფაქტორებმა შეუწყვეს ხელი ლევან II დადიანს ამგვარი დამოუკიდებელი პოლიტიკა ეწარმოებინა ოსმალეთის უკიდეგანო იმპერიის მიმართ?! ცხადია, ოსმალეთის მთავრობა ძალზე კარგად ხედავდა ოდიშის მთავრის მანევრებს და მისი გარეგნული მორჩილებითა და ვასალური თავაზიანობით როდი ტყუვდებოდა. ლევან II დადიანის პოლიტიკის განხორციელებას ოსმალეთის მიმართ ხელი შეუწყო თვით ოსმალეთის საშინაო და საგარეო ვითარებამ. ოდიშის მთავარმა მოხერხებულად გამოიყენა ოსმალთა მძიმე პირობები. ჩვენი აზრით, სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ლევან II დადიანის პოლიტიკური კურსი, რაც სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა.

ჩვენ ზემოთ მოკლედ აღვწერეთ ის არეულობა, რაც ოსმალეთში შეიქნა XVII საუკუნის 20-იან წლებში. სულთანი ოსმან II (1618-1622 წწ.) იანიჩრებმა ტახტიდან ჩამოაგდეს და მუსტაფა გაასულთნეს. 1623 წელს კი ტახტზე მცირეწლოვანი მურად IV ავიდა. სულთნის ბრძანებები ფაქტობრივად არ სრულდებოდა. სულთანი და დიდვეზირი სათამაშოდ იქცნენ კარის დიდმოხელეთა და სასახლის კარისკაცთა ხელში. სტამბოლის ხელისუფლების დასუსტებამ ხელი გაუხსნა პროვინციათა გამგებელ ფაშებს. განუწყვეტლივ მატულობს გამდგარი ფაშების რიცხვი. 1622 წლის შემოდგომაზე აჯანყდა არზრუმის ბეგლარბეგი აბაზა ფაშა, რომელმაც თავს იდო ოსმან II-ზე „შურისძიება". აბაზა ფაშას კონტროლს დაექვემდებარა არზრუმიდან ბოსფორამდე მდებარე თითქმის მთელი ტერიტორია. მან იანიჩრების დევნა დაიწყო და საფრთხე შეუქმნა სტამბოლს.

ამავე დროს, 20-იან წლებში კაზაკები განსაკუთრებით აქტიურად უტევენ ოსმალეთის ზღვისპირა ქალაქებს. 1624 წლის გაზაფხულზე ირანმა, რომელმაც ისარგებლა ანარქიით ოსმალეთში, მთელი ერაყი და ქურთისტანის ნაწილი დაიკავა. აბაზა ფაშას განდგომის გამო ოსმალეთს საშუალება არ ჰქონდა დაკავშირებოდა სამცხე-საათაბაგოს და სხვ.

ოსმალეთის ასეთ მძიმე საშინაო მდგომარეობას არ შეეძლო არ დაეჩნია თავისი კვალი მის ურთიერთობაზე საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებთან. განდგომისა და დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების მსურველი ოდიშის მთავრისათვის უკეთესი დროისა და პირობების პოვნა ძნელი იყო. ამიტომ ეფიქრობთ ჩვენ, რომ ლევანი სწორედ ამ ხანებიდან, 20-იანი წლებიდან უნდა იწყებდეს თავის დამოუკიდებელ პოლიტიკას ოსმალეთის იმპერიის მიმართ, რომელიც გარეგნულად საჩუქრებითა და ტკბილი სიტყვებით იყო შენიღბული. ლევანს იმაშიც გაუმართლა, რომ კრიზისი ოსმალეთში გრძელდებოდა. 1631-1632 წლებში ოსმალეთში უკმაყოფილო იანიჩრების მოძრაობაა. 1632 წლის თებერვალში ისინი თვით სულთნის სასახლეში შეიჭრნენ და მურად IV-ის თვალწინ დიდვეზირი მოკლეს. ოსმალეთს არც 30-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა შესაძლებლობა უშუალო დაწოლა ეწარმოებინა დასავლეთ საქართველოს მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არაფრით არ დაუშვებდა ოდიშის მთავრის მეტისმეტ გაძლიერებას, რაც 20-30-იან წლებში უკვე ფაქტია.

ასეთ პირობებში ლევან II დადიანი უფრო შორს წავიდა და ოსმალეთის ძირითად, მუდმივ მეტოქეს, ირანს დაუკავშირდა. ქართლის მეფის როსტომისა და ლევანის დის მარიამის ქორწინება, ქართლისა და ოდიშის პოლიტიკურ დაახლოებასთან ერთად, ოდიშისა და ირანის დაახლოებასაც მოასწავებდა. ჩვენ აღვნიშნეთ კიდეც, რომ შაჰ სეფიმ ყოველწლიური ჯამაგირიც დაუნიშნა ოდიშის მთავარს.

რა დაინტერესება ჰქონდა ირანის მთავრობას, როდესაც ლევან II დადიანს ხელს ადებდა და ესოდენ ძვირფასი საჩუქრებითა და ჯამაგირით სწყალობდა?!

ირანის ხელისუფლება ცდილობდა გაემაგრებინა როსტომი ქართლის ტახტზე. ირანული ორიენტაციის მეფე კომპრომისული პოლიტიკის გამტარებელი იყო ქართლში. ლევანის სახით როსტომი ძლიერ მოკავშირეს იძენდა, რაც სასურველი იყო ირანისათვის. ამასთან, ოსმალეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფი ირანი ხელს ადებდა მისი ვასალობის ქვეშ მყოფ მთავარს. ოსმალეთთან ბრძოლაში დიდი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა შავი ზღვის მისასვლელებს. ირანის მთავრობა მომავლისათვის მათ გამოყენებას გეგმავდა. როდესაც ქვემოთ საუბარი გვექნება ლევან II დადიანის საკაჭრო პროექტზე, დავინახავთ, რომ ირანს აღრეც სურდა შავ ზღვაზე გასვლა. როსტომისა და მარიამის ქორწინებით ირანმა ამ მხრივ ერთგვარ წარმატებას მიაღწია. მას მოკავშირე ჰყავდა შავი ზღვის ნაპირას. ამასთან, ოდიშის მთავარს ხელი უნდა შეეშალა თეიმურაზისა და იმერეთის მეფის ერთობლივი გამოსვლისათვის როსტომის (ე. ი. ირანის) წინააღმდეგ.

თავის მხრივ, ლევან II დადიანს საკუთარი ზრახვები ამოძრავებდა, როდესაც ირანს უკავშირდებოდა. ჯერ ერთი, მან შეიძინა „ლაშქრითა და სალაროთ მომხმარებელი" მოკავშირე, რომელიც მას იმერეთის

მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდა; მეორე, ლევანს მოკავშირედ ჰყავდა ოსმალეთის დაუძინებელი მტერი, დიდი სახელმწიფო, რომელთა შორის ლავირებით ცდილობდა იგი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და პოლიტიკურ ასპარეზზე საკუთარი კურსით გამოსვლას. ლევან დადიანს ირანი „ვალის" ტიტულით მოიხსენიებდა და საქართველოს ერთ „უდიდეს ხელმწიფედ" აღიარებდა; მესამე, ოსმალეთისათვის, არ იყო სასურველი დასავლეთ საქართველოს ერთი პირის ხელისუფლებაში მოქცევა, რაც სწორედ ლევანს სურდა. ოსმალეთს დაეუცმაცებული დასავლეთ საქართველო აძლევდა ხელს, ხოლო ირანს იმ ეტაპზე არ შეიძლებოდა ასეთი პრეტენზია ჰქონოდა. ამიტომაც ლევანს უფრო შორს მყოფ „ბატონთან" ერჩია საქმის დაკავება. სამართლიანად შენიშნავდა ნ. ნაკაშიძე, რომ ლევანის პოლიტიკური მდგომარეობა ძალზე ჰგავდა კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის მდგომარეობას XVI საუკუნის მიწურულში. ლევან II დადიანიც, თავის პაპა ალექსანდრესაეთ ორი ბატონის მსახურად გამოდიოდა და თან თავის საქმეს აკეთებდა.

ყოველივე ზემონათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ოსმალეთის მთავრობას ეძინა და დადიანის ამ ახალ ნაბიჯს ვერ ხედავდა, რაც პირდაპირ ანტიოსმალური აქტი იყო. ჩვენს მიერ ზემოთაღწერილმა როსტომისა და მარიამის ქორწინებამ ლევანის ურთიერთობა ოსმალეთთან ერთობ ჩაამუქა. 1634 წლის 2 ივნისს სტამბოლში მიიღეს მეტად მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც ქართლის მეფის როსტომისა და ლევან II დადიანის შეხვედრას შეეხებოდა. ოსმალო მოენების ცნობით, როსტომ მეფე, ლევან დადიანი და მალაქია გურელი აპირებდნენ შავი ზღვის ნაპირზე გაჭრილიყვნენ გონიისა და ტირებოლუს მიმართულებით. მუსტაფა ნაიმას ცნობებზე დაყრდნობით გარკვეულია, რომ როსტომ ქართლის მეფისა და ოდიშის მთავრის შეხვედრა კაკასიდთან ოსმალეთის მთავრობას თავის საწინააღმდეგო აქტად მიუჩნეია. ამავე დროს შავ ზღვაზე კაზაკები გააქტიურდნენ. ყოველივე ამან „ბრწყინვალე პორტას" ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ეჭვები გაუჩინა. იმ პერიოდში, მართალია, ირანის მიზნები ასე შორს არ მიდიოდა და ცნობა გონიისა და ტირებოლუს მიმართულებით დესანტის შესაძლო გადასხმის შესახებ აშკარა გაზვიადება იყო, მაგრამ ხსენებული კავშირი დადიანისა და როსტომისა სულთნის კარმა აღიქვა, როგორც ირანის ჩარევა დასავლეთ საქართველოს, ე. ი. ოსმალეთის საქმეებში. აქტიური მოქმედებისათვის იმ წელს ოსმალეთს არ ეცალა აღმოსავლეთ ევროპის ამბებისა და საკუთარი ჯარების ამბოხების გამო. ამიტომ საზღვრების დაცვა ჩილდირის ბეგლარბეგს საფარ ფაშას, ადანის ბეგლარბეგს, სრულიად ქერმანის სანჯაყებს და სარუჰანისა და კასტამონუს სანჯაყებს ებრძანათ.

ლევან II დადიანს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ისეთ ანტიოსმალურ ძალასთან, როგორიც იყო კაზაკობა, რომელნიც იმ ხანებში განსაკუთრებული ინტენსივობით ესხმოდნენ თავს ოსმალურ ობიექტებს. ეს კაზაკები ოდიშში აფარებდნენ თავს. როგორც რუსული მასალებით ჩანს, სულთანს მოეთხოვია ლევან დადიანისაგან აღარ მიეცა თავშესაფარი კაზაკებისათვის და შეუთავაზებია თავის ჯარი ოდიშის ნავმისადგომების თითქოსდა კაზაკებისაგან „დასაცავად". ამაზე დადიანმა ციივი უარი განაცხადა.

ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა ერთი სამაგალითო თავდასხმა მოეწყო ლევან II დადიანისათვის, რომელიც სუზერენის მტრებთან იყო კავშირში. 1634 წელს ოსმალებმა მნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო დესანტი (60 კატარღით) გადმოსხეს კოდორის კონცხის მიდამოებში და სასტიკად დაარბიეს დრანდის მონასტერი თავისი შემოგარენით. ეს დადიანისათვის სერიოზული გაფრთხილება უნდა ყოფილიყო. უფრო დიდი მასშტაბის სამხედრო ოპერაცია ოდიშის სამთავროს მიმართ ოსმალებს იმჟამად არ მოუხდენიათ. მათ წინ ირანთან ომი ედოთ. 1632-1634 წლებში სულთანი მურად IV გამალებული ემზადებოდა ირანთან ომისათვის. ოსმალეთის გამოყენებას ირანის მთავრობის წინააღმდეგ ცდილობდა თეიმურაზ I, რომელმაც 1633 წელს ელჩი გაგზავნა სტამბოლში.

შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში, ჩვენი აზრით 1634 წელს, ლევან II დადიანს შაჰ სეფის ელჩი და ძვირფასი საჩუქრები მოუვიდა. ამ ელჩობის შესახებ მეტად მწირი ცნობა გვაქვს, რომელსაც გეაწვდიან 1639 წელს ოდიშში ჩამოსული რუსი ელჩები. მათ ოდიშში შეხვედრიათ ვინმე ყიზილბაში, რომელიც უკვე ხუთი წელი იყო ოდიშში ცხოვრობდა. იგი ირანის ელჩის თანმხლები პირი ყოფილა. აქედან დასკვნა: 1634 წელს ოდიშში ირანის ელჩი ჩამოსულა. შაჰ სეფის ლევანისათვის ერთობ ეგზოტიკური საჩუქარი, სპილო გამოუგზავნია. ყიზილბაში მესპილეე ყოფილა, რომელიც ლევანს ირანში აღარ გაუშვია და მდიენად ჰყავდა. იგი თარგმნიდა შაჰისაგან მოსულ სიგელებს და წერდა იმათ, რომლებსაც ლევანი ირანში აგზავნიდა. ჩვენი აზრით, რუსი ელჩების მიერ დასახელებული ირანელი უნდა იყოს დადიანის საოქრომჭედელო სახელოსნოში მოღვაწე პირი, რომელიც ცნობილია, როგორც „მწერალი სპარსი გიორგი". სპილოს საჩუქრად გამოგზავნა ირანისა და ოდიშის სამთავროს ურთიერთობის თავისთავად საინტერესო ფაქტია, მაგრამ 1634 წელს, ოსმალეთთან ომის წინ შაჰ სეფის ელჩის გამოგზავნა ოდიშში არ შეიძლებოდა მხოლოდ სპილოს ჩამოსაყვანად მომხდარიყო.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ირანის ელჩისა და ლევან დადიანის მოლაპარაკება სწორედ ირან-ოსმალეთის ომს შეეხებოდა, რომლის უახლოეს ხანებში დაწყება არავისათვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა. ოდიშის მთავრისათვის ამოცანად უნდა დაესახათ არ დაეშვა თეიმურაზისა და იმერეთის მეფის იერიში ქართლზე. ირანს, რა თქმა უნდა, არ გამოეპარებოდა თეიმურაზის მიერ 1633 წელს ელჩის გაგზავნა ოსმალეთში. ნიშანდობლივია, რომ ირან-ოსმალეთის ომის დაწყებიდან ორიოდე თვით შემდეგ, როგორც ეს ერთი ევროპული ცნობიდან ჩანს, ლევან II დადიანს იმერეთზე გაულაშქრავს (1635 წლის აპრილში).

1635 წლის თებერვალში ირან-ოსმალეთის ომი დაიწყო. ოსმალეთის არმიას თვით სულთანი მურად IV სარდლობდა. ლაშქრობის მიზანი იყო 1590 წლის ზავის აღდგენა, ე. ი. კავკასიის ოსმალეთის „უფლებაში" გადასვლა, „აღმოსავლეთის ვილაიეთებისა" და ერაყის კვლავ დაპყრობა. მურადის არმიას ყარსთან შეუერთდა ჩილდირის ბეგლარბეგი საფარ ფაშა. ყარსშივე მიართვეს სულთანს „გურიის ქვეყნების" მმართველთა საჩუქრები და ხარაჯა. „გურიის ქვეყნებში", უეჭველია დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ერთეულები იგულისხმება, მათ შორის რა თქმა უნდა, ოდიშის სამთავროც. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, მურად IV-ეს ლაშქრად ხლებაც უბრძანებია ლევან II დადიანისათვის: „რამდენიმე წელიწადია მას აქვთ, სულთან მურადმა, აწინდელმა ხელმწიფემ თურქეთისამ, როცა იგი ომობდა ირანის შაჰ სეფის წინააღმდეგ და ერევანის ქალაქს მიადგა ასაღებად, შემოუთვალა დადიანს: „შენ ჩემი მოხარკე ხარ. რადგანაც ერევანი შენი სამეფოს მახლობლად არის, რიგია მოხვიდე და დამეხმაროო". ლევანს, როგორც ჩანს, უარი განუცხადებია. სულთნის ხელში მოხვედრა და ისიც მაშინ, როცა საქართველოს საზღვრებთან „XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის შემდეგ... აღარ ყოფილა ოსმალეთის ესოდენ მრავალრიცხოვანი და ორგანიზებული ლაშქარი" (ვ. ჩოჩიევი), მეტად სახიფათო საქმე იყო. ოსმალეთს, როგორც ჩანს, სურდა ხელი გაეხსნა იმერეთის მეფისა და თეიმურაზისათვის ქართლზე სალაშქროდ, ან საერთოდ მოეცილებინა მათთვის დადიანი, მაგრამ ეს არ მოხერხდა.

მურად IV-ემ 1635 წლის 8 აგვისტოს აიღო ერევანი, ამის შემდგომ ანისი და აზერბაიჯანში შეევიდა. სულთანი ყველგან „გადაბუგული მიწის" პოლიტიკას მისდევდა. მურადმა ვეზირ ქენან ფაშას ძალები გამოუყო და სამცხის აღება უბრძანა, რაც მან შეასრულა კიდეც. სულთნის ავტორიტეტი არნახულად ამაღლდა. იგი მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა, ხოლო ირანი კი სახარბიელოდ ვერ გამოიყურებოდა. ამან ცხადია, ფრიად შეაშფოთა ოდიშის მთავარი, რომელიც სულთნის აგრესიის შემთხვევაში საკუთარი ძალების გარდა შაჰის იმედზეც იყო. ახლა შაჰს უჭირდა. ლევანისათვის იმ ხანებში არც მის სიძეს, როსტომ ქართლის მეფეს ეცალა. მისი პოლიტიკით უკმაყოფილო კახელები აჯანყდნენ და თეიმურაზი მეფედ მოიწვიეს. შაჰ სეფი მოერიდა ვითარების გამწვავებას კახეთში და თეიმურაზი ცნო მეფედ.

გაურკვეველი ვითარება 1639 წლამდე გაგრძელდა. შაჰ სეფი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა უკან დაებრუნებინა ოსმალეთის მიერ აღებული ტერიტორიები. 1636 წლის გაზაფხულზე მან შეძლო ერევნის ისევ აღება. მისი მიზანი იყო სამცხეც დაებრუნებინა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ორი დიდი სახელმწიფო უკვე სისხლისგან იყო დაცლილი. ოსმალეთმა ვეღარ გაილაშქრა კვლავ ერევანზე, ხოლო სამცხე ირანმა ვეღარ დალაშქრა.

შაჰ სეფიმ სცადა დაკავშირებოდა ათაბაგთა სახლის იმ ნაწილს, რომელიც უკმაყოფილო იყო რენეგატ საფარ ფაშას (ბეკა ათაბაგის) პოლიტიკით. მან გადაწყვიტა თავისი ვაჟისათვის მეეთხოვინა ათაბაგის სახლის შვილი ელენე, რომელიც გურიაში იმყოფებოდა მალაქია გურიელ-კათალიკოსთან. ამ ფაქტს ევროპელი მისიონერები ასე გადმოგვცემდნენ: სულთანს, როგორც დასავლეთ საქართველოს უმაღლეს სიუზერენს, ელენე ათაბაგის ქალის სტამბოლში გაგზავნა მოუთხოვია, რაკი გაუგია, რომ ელენე იშვიათი სილამაზისა იყო. ამავე დროს კი იგი ირანის შაჰს სდომებია რძლად. ლევან II დადიანმა ათაბაგის ქალი ოდიშს წაიყვანა, იქიდან ისფაჰანს გაგზავნა, ხოლო მალაქია გურიელს დაავალა, რომ თუ სულთანი ქალს მოიკითხავდა, შეეტყობინებინა, რომ იგი დადიანის მიერ იყო წაყვანილი.

მისიონერების მიერ მოთხრობილი ეს ფაქტი ჩვენ ისე უნდა გავიაზროთ, რომ ოსმალეთის მთავრობამ გაიგო შაჰის განზრახვა, ელენე ათაბაგის რძლად მოყვანით დაკავშირებოდა სამცხის წარჩინებულებს და ამის თავიდან ასაცილებლად ქალი, როგორც თავის ქვეშევრდომი, სტამბოლს გაიწვია. ცხადია, არც ელენეს სილამაზე და არც მისი პირადი სურვილები აქ არავითარ როლს არ თამაშობდა. ლევან II დადიანმა კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა თავისი ანტიოსმალური განწყობილება და ქალი ირანს გადასცა. ელენე ათაბაგის ქალი დააქორწინეს ირანში, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ გამოუღია

და სამცხის ბედიღბალში რაიმე რადიკალური ცვლილება არ გამოუწვევია. იგი ისევ ოსმალეთს დარჩა.

ამ ხანგრძლივი, მძიმე ომის უკანასკნელი აკორდი იყო 1639 წლის ზოჰაბის ანუ კასრ-ი შირინის ზავი, რომლითაც დასრულდა სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის ომები, რომლებიც XVI-XVII საუკუნეების სიგრძეზე მიმდინარეობდა. ომმა ვერ გაამართლა ვერცერთი მეომარი მხარის იმედი. ოსმალთა იმპერია გაიხრწნა, იგი დაქვეითების გზაზე დგებოდა. აქედანვე დაიწყო დეგრადაციის ის სიმპტომები, რომლებმაც საბოლოოდ ოსმალეთი „ავადმყოფ ადამიანად" (ნიკოლოზ I) აქციეს. ქვე დაექანა სეფიანთა ირანიც. ომმა მასაც დაჩნია კვალი. ამიტომაც იყო, რომ როგორც შაჰ სეფი, ისე მურად IV მზად იყვნენ ზავის დასადებად. „მეომარ მხარეთა მოლაპარაკების საფუძველი გახდა ის, რომ ოსმალეთის უარს ამბობდა ერევანზე, ხოლო ირანი სამცხესა და ბაღდადზე. ეს პირობა ახლა საკვანძოდ შეესაბამებოდა ფაქტიურ მდგომარეობას" (ვ. ჩოჩიევი).

1639 წლის ზოჰაბის ზავი 1555 წლის ამასიის ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი იყო. ამ ორ ზავს შორის პერიოდში ოსმალეთმა შეძლო სამცხე-საათაბაგოს მთლიანი დაპყრობა და უშუალოდ შეერთება. ეს ფაქტი ოფიციალურად ცნო ზოჰაბის ზავმა. რაც შეეხებოდა საქართველოს სხვა პოლიტიკურ ერთეულებს, ისინი გაერანის სფეროებად იქნა განაწილებული. ზოჰაბის ზავმა დაიკანონა საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცებულობა. ირანი და ოსმალეთი ხელს უშლიდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მესვეურთა ურთიერთობას (თუ ეს საქართველოს გასაერთიანებლად იყო მიმართული) და განიხილავდნენ ამას, როგორც მოპირდაპირე მხარის ჩარევას მათ საშინაო საქმეებში. ეს 1639 წლის ზოჰაბის ზავის დარღვევად ითვლებოდა. „ამრიგად, ირან-ოსმალეთის შეთანხმება ყოველთვის საქართველოს გაერანის სფეროებად განაწილების პირობით ხერხდებოდა. 1639 წლის ხელშეკრულება ხელოვნურად აუარესებდა ქვეყნის საშინაო მდგომარეობას. ვიდრე ირან-ოსმალეთის შეთანხმება ძალაში რჩებოდა, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება გამორიცხული იყო" (ვ. ჩოჩიევი). ადრე ქართული პოლიტიკოსები მოხერხებულად სარგებლობდნენ ხოლმე ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობებით და რამდენადაც შეეძლოთ, ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ. ლევან დადიანი თავის სიუზერენს — ოსმალეთს ირანის საშუალებით ებრძოდა. თეიმურაზი ირანის წინააღმდეგ ოსმალეთს იყენებდა. ზოჰაბის ზავის დადების შემდეგ ამგვარი ლავირება უაღრესად გაძნელდა. ორი დიდი აგრესორი სახელმწიფო აღარ ეომებოდა ერთმანეთს. ახლა მათ შეეძლოთ უფრო ენერგიულად მოეკლოთ „საკუთარი" სამფლობელოებისათვის.

ირან-ოსმალეთის ომის დროს, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე დაძაბული ვითარების პირობებში, ლევან II დადიანმა რუსეთში ელჩი გაგზავნა. ეს მოხდა 1636 წელს. ეს ის დროა, როდესაც ირანი წარუმატებლად იგერიებს მურად IV-ის არმიას, როსტომ ქართლის მეფეც გასაჭირშია და ლევან II მარტო რჩება მისდამი მტრულად განწყობილი ძალების გარემოცვაში. ამავე ხანებში კახეთში გაბატონებულმა თეიმურაზმა ელჩი მიავლინა რუსეთში. ლევან II დადიანმა ამ იზოლაციიდან გამოსვლა სცადა. მან გამოსავლის ძებნა დაიწყო, კარის მღვდელი გაბრიელ გეგენავა რუსეთს მიავლინა ელჩად და მფარველობაში მიღება ითხოვა. გ. ჯაბურიას დაკვირვებით, ეს შეაპირობა ერთი მხრივ ოსმალეთის აგრესიის ზრდამ და მეორე მხრივ, თეიმურაზის მიერ რუსეთში ელჩის გაგზავნამ.

1636 წლის 11 აგვისტოს ლევან II დადიანის ელჩმა, გაბრიელ გეგენავამ ტერკის ციხე-სიმაგრეს მიაღწია, ხოლო იმავე წლის 14 დეკემბერს მოსკოვში მივიდა ვოევოდების ბარათი, მიეცათ თუ არა ელჩისათვის საშუალება მოსკოვისაკენ განეგრძო გზა. მეფისათვის წარდგენილ მოხსენებაში საელჩო პრიკაზის დიაკები აღნიშნავდნენ, რომ „преж сего от Дадианского царя послы не бывали". ვოევოდების ბარათის მიღებიდან ექვსი დღის შემდეგ, 1636 წლის 20 დეკემბერს მოსკოვიდან ტერკში გააგზავნეს სიგელი, რათა მიეცათ საშუალება „მეფე დადიანის" ელჩისათვის გაეგრძელებინა გზა მოსკოვისაკენ. ხსენებული სიგელი ტერკში არ მიუღიათ, რადგან მათ ხელმეორედ გაგზავნეს შეკითხვა მოსკოვში, ხოლო ცენტრალურმა მთავრობამ 1638 წლის 16 მარტს მეორე სიგელი გაგზავნა ტერკში, გაბრიელ გეგენავას მოსკოვს გაშვების შესახებ. მეორე სიგელი ტერკში იმავე წლის 13 ივნისს მიიღეს, ხოლო 30 ივნისს ელჩი გეგენავა უკვე მოსკოვის გზას გაუდგა, სადაც 15 ნოემბერს ჩავიდა. გაბრიელ გეგენავას მოსკოვში ჩასვლის დროისათვის იქ იმყოფებოდა თეიმურაზ I-ის ელჩი, ბერძენი მიტროპოლიტი ნიკიფორე. რაკი რუსეთის დიპლომატიას პირველად უხდებოდა „დადიანის ქვეყანასთან" ურთიერთობის დამყარება, ამიტომაც მიტროპოლიტი ნიკიფორე საელჩო პრიკაზში მიიწვიეს და მისგან ოდიშის შესახებ ინფორმაცია მიიღეს, თუმცა, როგორც სამართლიანად შენიშნავდა ნ. ნაკაშიძე, არცთუ ისე ობიექტური. ლევან II დადიანის ელჩი მოსკოვს ჩასვლის მეორე დღესვე მიიღეს საელჩო პრიკაზში და ჩვეულებისამებრ გამოკითხეს, თუ რა მიზნით იყო ჩამოსული. მისგანვე მიიღეს ცნობები „დადიანის ქვეყნის" შესახებ. ელჩთან საუბარს აწარმოებდნენ დიაკები თეოდორე ლიხაჩოვი, მაქსიმე

მატიუშკინი და გრიგორი ლვოვი. დიაკებს აინტერესებდათ, ვინ გამოგზავნა იგი რუსხელმწიფესთან, ჰქონდა თუ არა რაიმე სიგელი. გეგენავამ განაცხადა, რომ დავალებული აქვს მიართვას რუსეთის ხელმწიფეს „მეფე დადიანის" სიგელი. 1638 წლის 12 დეკემბერს ლევან დადიანის ელჩი მიიღო რუსეთის მეფემ მიხეილ თეოდორეს ძემ, რომელსაც გაბრიელ გეგენავამ სიგელი გადასცა. ლევანის სიგელი მაღალფარდოვნად იწყებოდა, როგორც მაშინ იყო მიღებული და მასში რუსხელმწიფე ქრისტიანული სარწმუნოების ერთადერთ მეთაურად იყო გამოცხადებული. დადიანი რუსეთის მეფის „ყმად" იხსენიებდა თავს, ატყობინებდა მოსკოვს, რომ მართლმადიდებელი იყო და ერთგული ქრისტეს კანონისა. ამის აღნიშვნა განსაკუთრებით საჭირო იყო, რადგან თეიმურაზ I ანტიქრისტედ, მაჰმადიანობის ბურჯად უხატავდა რუსეთის მთავრობას დადიანს. განსაკუთრებით საინტერესოა პოლიტიკური თვალსაზრისით ლევანის შემდეგი განცხადება: „Было де в иверской земле 5 Государей. из них Перской шах побил 2 государей, а достальных де 3-х Государей государствы Божиею помощию и его царским многолетным счастьем владеет он Леонтей царь". რისი თქმა უნდა ამით ოდიშის მთავარს?

ის რომ „Перской шах побил 2 государей" უეჭველია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლსა და კახეთს გულისხმობს. ლევან II დადიანი ამ ფრაზით რუსეთის მთავრობას აგრძნობინებს, რომ ქართლი და კახეთი არ არიან სუვერენული სახელმწიფოები. დანარჩენი სამი ხელმწიფე იმერეთის მეფე, გურიის მთავარი და აფხაზი მთავარი უნდა იყვნენ. მათი სამფლობელოები, ლევანის განცხადებით, მას უპყრია. ოდიშის მთავარს სურს რუსეთის წინაშე გამოვიდეს, როგორც დასავლეთ საქართველოს ერთადერთი ხელისუფალი (იქიდან გამომდინარე, რომ იმერეთ-გურია-აფხაზეთი თითქოს მას უჭირავს). მეტიც, როგორც სრულიად საქართველოს ერთადერთი სუვერენული ხელისუფალი (ქართლ-კახეთს ირანი ფლობს). ლევანის ეს განცხადება არ იყო სხვათაშორის ნათქვამი ფრაზა და მას შორსმიმავალი მიზანი ჰქონდა. დადიანს სურდა გაექარწყლებინა რუსეთის კარზე თეიმურაზ I-ის და იმერეთის მეფის ავტორიტეტი, მათი ადგილი თვითონ დაეკავებინა, თვითონ გამოსულიყო რუსეთის წინაშე საქართველოს სახელით.

ლევანის სიგელში აღნიშნული იყო, რომ მას დიდიხანია სურდა რუსთხელმწიფის მსახურება, მაგრამ საამისო დრო ვერ გამოძებნა ეს შეეტყობებინებინა მისთვის. ახლა კი შეიძლო ელჩის გამოგზავნა და თხოვდა მიხეილ თეოდორეს ძეს საპასუხო ელჩობა გამოეგზავნა „თავისი მეფური სიგელებით". სიგელის ბოლოს ლევანი ითხოვდა მიეღოთ იგი „под... царскую высокую руку, чтоб им всегда быти под его царского величества высокого рукою и служить бы им царствию его, яко и иные рабы его государевы".

რუსეთის მთავრობა, უეჭველია, ერთგვარი სიფრთხილით მოეკიდებოდა დადიანის წინადადებას, რადგან თეიმურაზ I-საგან არცთუ ისე სახარბიელო ცნობები ჰქონდათ მიღებული მის შესახებ. თეიმურაზის კორესპონდენციებიდან ისე ჩანდა, რომ ოდიშის მთავარი იყო ქრისტიანობის მტერი, ყაჩაღი, თითქმის ეშმაკის მოციქული. ამგვარი დახასიათება, რა თქმა უნდა, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, რაც აღნიშნულია კიდეც სამეცნიერო ლიტერატურაში. დადიანის ელჩის ჩასვლამ მოსკოვში თეიმურაზ I მეტისმეტად შეაშფოთა. თავის წერილში იგი რუსეთს ატყობინებდა, რომ საქართველოში რაც არეულობაა, ყველაფერი დადიანის ბრალია, თითქოს მან წაკიდა თეიმურაზი როგორც ოსმალეთის სულთანს, ისე ირანის შაჰს, ახლა კი „как мне кажется, начал ссорить и твое царское величество со мною, с тех пор как посол Дадиани прибыл к твоему величеству".

თეიმურაზ I-ს ძალზე კარგად ესმოდა თავისი მამიდაშვილის მანევრები და რუსეთის მთავრობას გულახდილად წერდა: „Дадиани хочет истребить царское имя в Иверской земле и считаться единым царем Иверской земли". ეს განცხადება კარგად გვიხასიათებს ლევანის გეგმებსაც და თეიმურაზის შეშფოთების საფუძვლიანობასაც. მისი გაცხარებაც მეტად ნიშანდობლივია. ეს კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს აზრს, რომ გაბრიელ გეგენავა მოსკოვში მოლაპარაკებას აწარმოებდა, როგორც „ქელმწიფეთა ქელმწიფე დადიანი ლეონ ყოველისა საქართველოთა პატრონი"-ს ელჩი (ასე იხსენიებს თავს ლევანი ცაიშური გულანის ერთ მინაწერში).

ნიშანდობლივია, რომ ლევან II დადიანი როსტომ ქართლის მეფესთან ურთიერთობაშიც კი ხაზს უსვამდა ტიტულატურით გამოხატულ უპირატესობას, რაც ცხადია, მის პოლიტიკურ პრეტენზიებზე მიგვითითებს. მარიამისათვის გატანებულ მზითვის წიგნში იგი აღნიშნავს: „ჩვენ ღმრთივ აღმატებულმან და ღმრთივ დამყარებულმან, ძლიერმან, უძლეველმან და არა სადა ძლეულმან ხელმწიფემან დადიანმან პატრონმან ლევან, მივათხოვეთ... ჩვენი და... ღმრთივ აღმატებულსა და მაღლის ქელმწიფისაგან დამყარებულსა მეფეთ მეფესა, პატრონსა როსტომს". ამ ტიტულატურით ლევანი ხაზს უსვამს, რომ

ის „ღმრთივ დამყარებულია“, ხოლო როსტომი კი „მაღლის ხელმწიფისაგან“ (ე. ი. შაჰისაგან) დამყარებული. აქაც ლევანის „ღმრთივ ბოძებული“ სუვერენობაა გამოტანილი პლანზე.

თეიმურაზის ელჩი, ბერძენი ნიკიფორე რუსეთის მთავრობას კვლავაც მცდარ ცნობებს აწვდიდა ოდიშის შესახებ.

რუსეთის მთავრობამ, მიუხედავად ამ ტენდენციური ცნობებისა, მაინც გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა ოდიშის მთავრის თხოვნა და საპასუხო ელჩობა გაეგზავნა. 1639 წლის 5 აპრილს გამოცხადებულ იქნა, რომ „დადიანის ქვეყანაში“ გაგზავნილი იქნებოდნენ ტოლმაჩი ელჩინი და მღვდელი ზახარევი. რუსეთის მთავრობამ ელჩობა დაავალა „თათრული“ (თურქული) ენის უბრალო ტოლმაჩს ფედოტ ელჩინს, ხოლო ტოლმაჩი თარჯიმანის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი რანგი იყო რუსეთის სახელმწიფოს დიპლომატიურ ნომენკლატურაში. ეს საფიქრებელია, ოდიშის ელჩის, კარის მღვდლის გეგენავას არცთუ ისე მაღალმა საზოგადოებრივმა სტატუსმა განსაზღვრა.

ფედოტ ელჩინს მიეცა ინსტრუქცია, „ნაკაზი“, რომლის მიხედვითაც უნდა ეწარმოებინა მას მოლაპარაკება ოდიშში. თუ მთავარი მოისურვებდა მფარველობაში შესვლას და საამისო განცხადებას გააკეთებდა, რუსეთის ელჩს იგი მიხეილ თევდორეს ძის ერთგულებაზე უნდა დაეფიცებინა. „ნაკაზში“ მოცემული იყო, თუ „მეფე დადიანის“ შესაძლო კითხვებზე რა უნდა ეპასუხნა ფედოტ ელჩინს. აქ ხაზგასმული იყო, რომ რუსეთის მეფე „სიყვარულსა და მეგობრობაშია“ ოსმალეთის სულთანთან და ირანის შაჰთან. ამასთან, თუ დადიანი ირანის შაჰის წინააღმდეგ დახმარებას ითხოვდა, განაცხადებდა, რომ მისგან შევიწროვებულია და რუსეთის შველას ითხოვდა, ელჩს უნდა ეპასუხნა, რომ ამის თაობაზე არაკითარი მითითება არ ჰქონდა. მოკლედ, ყველა შესაძლო თხოვნაზე წინასწარვე წყალი იყო გადაწურული.

ფედოტ ელჩინს ოდიშში მოჰქონდა რუსხელმწიფის საპასუხო სიგელი. მიხეილ თევდორეს ძე კმაყოფილებას გამოთქვამდა ლევან II დადიანის მოსკოვთან დაკავშირებით და თავის კეთილგანწყობილებას უცხადებდა მას. საგულისხმოა, რომ ელჩობის მეორე პირი იყო მღვდელი ზახარევი, რომელსაც საგანგებოდ დაევალა გამოერკვია ოდიშის სამთავროს მოსახლეობის სარწმუნოებრივი მდგომარეობა. როგორც ჩანს, თეიმურაზ I-ის რელაციებმა ამ მხრივ სერიოზული ეჭვები აღუძრეს რუსეთის მთავრობას დადიანისა და მისი ქვეშევრდომების ქრისტიანობის შესახებ. რუსეთის ელჩები ფედოტ ელჩინი და პავლე ზახარევი 1639 წლის 2 ივნისს გამოემგზავრნენ მოსკოვიდან და იმავე წლის 13 ნოემბერს ოდიშში ჩავიდნენ.

სანამ ოდიშის ელჩი გაბრიელ გეგენავა მოსკოვში იმყოფებოდა, საქართველოში ბევრი რამ გამოიცვალა. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის ელჩებს უფრო სხვაგვარად შეხვდნენ ოდიშში, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

1639 წელს იმერეთის მეფე გიორგი III გარდაიცვალა. როგორც ჩვენ ზემოთ დავინახეთ, როსტომისა და მარიამის ქორწინების დროს იგი ლევან დადიანმა დაატყვევა და ციხეში გამოკეტა. ამგვარ მდგომარეობაში მან ორი წელი დაჰყო. მისმა ვაჟმა, მეფედ ნაკურთხმა ალექსანდრემ მხოლოდ დიდი გამოსასყიდით შეიძლო მისი გამოხსნა. გიორგი მეფეს ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი ფრიად შეურაცხყოფილი და დამწუხრებული, „ვერა რაისა მწყობისა მპოვნელი“ გარდაიცვალა. მეფე ალექსანდრესა და ლევან დადიანს შორის კიდევ უფრო უარესი მტრობა ჩამოვარდა. „და მიერითგან მძლავრობდა დიდად დადიანი იმერეთზედა; ესრეთ გაუჭირა საქმე ალექსანდრეს, რომე ქუთაისს გალავანი შემოავლო და იჯდა მას შინა და ვერა წინააღუდგებოდა დადიანსა“ (ბერი ეგნატაშვილი). ოდიშის მთავარი მხოლოდ საკუთარ შეიარაღებულ ძალას როდი ეყრდნობოდა. იმერეთის წარჩინებულებიდან, ჩანს ბევრი გადაუდგა მეფეს და მზად იყო დადიანის ხელისუფლება ეცნო. ასეთი განწყობილებისა იმდენი ყოფილა, რომ ალექსანდრე იძულებული შეიქნა საგანგებო ღონისძიება მიეღო. მან წარჩინებულთა ცოლშვილს ქუთაისის ციხეში მოუყარა თავი, რათა მათ მეუღლეებსა და მამებს დადიანის მომხრეობისაგან თავი შეეკავებინათ.

ჩვენ ზემოთ, როდესაც საუბარი გვქონდა გეგენავას მოსკოვს გაგზავნის მიზეზებზე, მოვიტანეთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს ელჩობა შეაპირობა ოსმალეთის აგრესიის ზრდამ, ირანის ერთგვარმა დასუსტებამ, როსტომ ქართლის მეფის არამყარმა მდგომარეობამ

და თეიმურაზის მიერ რუსეთში ელჩის გაგზავნამ. ელჩინისა და ზახარეევის ჩამოსელის დროისათვის ვითარება ამ მხრივაც შეცვლილი იყო. როსტომ ქართლის მეფემ შეძლო თეიმურაზ I-ის შემოტევის განეიტრალება და საბოლოოდ განმტკიცება ქართლის ტახტზე. გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ზოპაბის ზავის დადებამ. ლევან დადიანს ამ ზავის მნიშვნელობა, ცხადია, შესანიშნავად ესმოდა. მას არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ირანთან ხანგრძლივი ომისაგან განთავისუფლებული ოსმალეთი ახლა კი მოიცლიდა ოდიშის სამთავროსთვის და მისი ასეთ პირობებში რუსეთთან კავშირით გაღიზიანება უაღრესად საშიში იყო. თავის მხრივ, ლევანიც აღარ ჩანდა იზოლაციაში. რუსეთი მას არათუ აღარ სჭირდებოდა, არამედ შექმნილ პირობებში მასთან ურთიერთობა, თავისთავად რეალურად უშედეგო, სახიფათოც იყო. სწორედ ამიტომ, რუსეთის ელჩები მან ძალიან ცივად მიიღო. ამას, როგორც ჩანს, თვით რუსეთის ელჩის დიპლომატისათვის არცთუ შესაფერისი ქცევაც განაპირობებდა.

ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ელჩები ოდიშში 13 ნოემბერს ჩამოვიდნენ. როგორც პაელე ზახარეევის ცნობიდან ჩანს, ელჩინს კავკასიონის გადასასელელებთან ასდევნებია ვინმე ქართველი „კაზაკი" ალექსანდრე, რომელიც რუსული ენის კარგი მცოდნე იყო და მათ საუბარსაც უმენდა. პაელე ზახარეევი აღშფოთებული იყო ელჩინის გულგრილობით ალექსანდრეს მიმართ, რომელიც უეჭველია, დაზვერვის მიზნით იყო გამოგზავნილი. ოდიშში ჩასელის შემდეგ და მანამდეც გზაში, ფედოტ ელჩინს ოფიციალური წარმომადგენლისათვის შეუფერებელი ქცევა გამოუმჟღავნებია. რუსეთში დაბრუნების შემდეგ ზახარე

საინტერესოა ელჩინისა და ზახარეევის ცნობები კაზაკებისა და ოდიშის ურთიერთობის შესახებ. ჩვენ ზემოთაც მოტანილი გვქონდა ცნობილი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს ცნობები ამ საკითხზე. კაზაკების ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან ძირითადად მეგობრული იყო. მიუხედავად ამისა, არაიშვიათად ადგილი ჰქონდა უთანხმოებებსაც ოდიშსა და დნეპრისა და დონის კაზაკებს შორის. ელჩინი და ზახარეევი რამდენჯერმე შეხვდნენ ეპისკოპოს ანდრიას, რომელმაც მათ ცნობები მიაწოდა კაზაკებისა და ოდიშრთა ურთიერთობის შესახებ. მისი მონათხრობიდან ჩანს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა და კაზაკები არაერთგზის შეთანხმებულად დასცემიან ოსმალებს. ამასთან, ზოგჯერ კაზაკები მტრული განზრახვითაც მოდიოდნენ თურმე ოდიშში და დადიანს ნავსადგურებს უთხრებდნენ. ლევანი თხოვდა რუსებს: „Чтобы казаки царства царя Леонтия воевать не приходили и на пристанища катарг и караблей с товары... не громили" როდესაც დადიანის სასახლის მოლარე დომენტი რუსებს უხსნიდა, თუ რატომ გააგზავნეს გაბრიელ გეგენავა მოსკოვში ელჩად, ერთ-ერთ მიზეზად სწორედ კაზაკების საკითხს ასახელებდა: „от Донских казаков много им налогу и разоряют их государство, а хотят они таво государские милости, чтобы к ним казаки не ходили в шкоды бы им не чинили" ეს საჩივრები ცხადია, უსაფუძვლო არ იყო. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ოდიში და გურია მარილისა და რკინის მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ. თვით ელჩინი წერდა, რომ: „Царь Леонтей дает Турскому царю дань... а дает для того, чтоб приходили карабли с торгом, а кой год не будут карабли, И у них тот год скудна солью и железом" კაზაკები კი თავისი თავდასხმებით ქართული სამთავროების სასიცოცხლო ინტერესებს ვნებდნენ ხშირად. ოსმალო ვაჭრებს ეშინოდათ მათი და მგზავრობას თავს არიდებდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ზოგჯერ ლევან II დადიანი მტრულად ხვდებოდა კაზაკებს და ოსმალებთან ერთად მათ წინააღმდეგაც გამოდიოდა.

ოდიშის სამთავროს, ისევე როგორც მეზობელი ქართული პოლიტიკური ერთეულების მცდელობები ქვეყნის მოსაღონიერებლად არ შეიძლებოდა წარმატებული ყოფილიყო, თუ ისინი თავს ვერ დააღწევდნენ ოსმალეთისგან ეკონომიკურ დამოკიდებულებას. სამთავროს ერთგვარი პოლიტიკური დამოუკიდებლობა ლევან II დადიანის დროს, ძირითადად დამყარებული იყო შემთხვევით და დროებით სიტუაციებზე. ოდიშის სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესები დაკავშირებული იყო საქონლის შავი ზღვით შემოზიდვასთან. შავი ზღვა კი „ოსმალეთის ტბას" წარმოადგენდა. ამდენად, ოდიში, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა პოლიტიკური ერთეულები, ეკონომიკურად მეტისმეტად იყო დამოკიდებული ოსმალეთზე. ეს კი თავისთავად სერიოზულ გავლენას ახდენდა პოლიტიკაზე. ანტიოსმალურ ძალებთან (ირანი, რუსეთი) კავშირი თუ კავშირის ცდები ვერ ხსნიდნენ ოდიშის სამთავროს ეკონომიკურ პრობლემებს.

ფართო პრეტენზიებისა და გეგმების მქონე მთავარს თავის სამფლობელოს ეკონომიკური წინასვლისათვის, საერთაშორისო ვაჭრობაში მისი ჩაბმისათვის უნდა ეზრუნა.

6.5. გეზი ევროპაზე

საქართველოსა და ევროპის ურთიერთობის საწყისები საუკუნეების სიღრმეში იკარგება. ქართველებს ძველთაგანვე ჰქონდათ ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან. მჭიდრო კავშირი ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებამდე გრძელდებოდა, მაგრამ მას შემდეგ რაც ერთმორწმუნე, ერთ დროს ძლევამოსილი ბიზანტიის იმპერია დაემხო, საქართველოს პოლიტიკურ ერთეულებს დასავლეთის გზა ჩაეკეტათ. მართალია, საქართველოში ამის შემდეგაც მოდიოდნენ ევროპელი ელჩები და მოგზაურ-დამკვირვებლები, მაგრამ ეს მიმოსვლა კანტიკუნტი იყო და ცხადია ვერ მოახდენდა რაიმე მნიშვნელოვან გავლენას ჩვენი ქვეყნის კულტურულ თუ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ყოფაზე. საქართველოსა და ევროპის დაწინაურებულ ქვეყნებს შორის კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა რთული პროცესი იყო. ოსმალთა მილიტარისტული სახელმწიფოს მეზობლობა საშუალებას არ აძლევდა საქართველოს აღორძინების ხანის ევროპულ კულტურას, მის სამეურნეო წინსვლას ზიარებოდა, სასარგებლო და ქართული კულტურისათვის მისაღები შეეთვისებინა.

მიუხედავად უკიდურესად არახელსაყრელი საგარეო ვითარებისა, საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებს საუკუნეების მანძილზე არ შეუწყვეტიათ მეცადინეობა ევროპის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებისათვის. ჩვენი ხალხისათვის უცხო იყო მოძალებული მაჰმადიანური სახელმწიფოების სოციალურ-პოლიტიკური სისტემა, ჩამორჩენილი კულტურა. საქართველო ცივილიზაციის იდეალებითა და კულტურული მიზანდასახულობით ევროპის, დასავლური სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა (პ. ინგო�ყვა) და ეს შეგრძნება მას პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული იზოლაციის ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე არ დაუკარგავს.

XVII საუკუნე ახალი ეტაპი იყო საქართველოსა და ევროპის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიაში. კათოლიკურმა რომმა ცხოველი ინტერესის გამოჩენა დაიწყო საქართველოს მიმართ. 1621 წელს დომინიკანელმა ბერმა პაოლო-მარია და ფაენცამ პატარა წიგნაკი გამოსცა საქართველოს შესახებ. რომის პაპს საგანგებო მოხსენებები წარუდგინეს პიეტრო დელა ვალემ და გრიგორიო ორსინიმ. საინტერესო დაკვირვებები საქართველოს შესახებ ჰქონდა კარდინალ რიშელიეს პოლიტიკურ აგენტს, ბარონ კურმენენს. სათანადო ინფორმაციის დაგროვების შემდეგ რომის პაპმა ურბანო VIII-ემ (1623-1644 წწ.) და კარდინალებმა გადაწყვიტეს უფრო ენერგიულად მოეკიდათ ხელი მისიონერული მოღვაწეობისათვის საქართველოში და ჩამოეყალიბებინათ აქ მუდმივი მისია. ეს მისია ვატიკანმა თეატინების ორდენს მიანდო.

1626 წელს მისიონერები გაემგზავრნენ საქართველოში და თან წამოიღეს ურბანო VIII-ის წერილები საქართველოს პოლიტიკურ ერთეულთა მესვეურებთან: თეიმურაზ I-თან, იმერეთის მეფესთან, დადიანთან და გურიელთან. უფრო ადრე ევროპის ქვეყნებთან კავშირის დამყარება სცადა თეიმურაზ I-მა, რომელმაც რომს გააგზავნა ცნობილი ქართველი მოღვაწე ნიკიფორე (ნიკოლოზ) ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი. თეიმურაზის მიზნები მიუღწეველი დარჩა, რადგან იგი ითხოვდა დახმარებას ირანის წინააღმდეგ, რაც არ შედიოდა ევროპის სახელმწიფოთა გეგმებში. მათ არც არასოდეს დაუსვამთ საკითხი საქართველოს განთავისუფლებისა ირანული და ოსმალური აგრესიისაგან. რა მიზეზებით შეიძლება აიხსნას ევროპელთა ინტერესის გაცხოველება საქართველოს მიმართ აღებულ პერიოდში?

ევროპელებს ჩვენი ქვეყანა აინტერესებდათ ეპირველეს ყოვლისა, როგორც მნიშვნელოვანი და მოსახერხებელი გეოგრაფიული ერთეული ირანთან ვაჭრობაში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ XVII საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველოში მომრავლდნენ უცხოელი კომერსანტები და კათოლიკე მისიონერები.

ახალი სავაჭრო გზების ძიებით განსაკუთრებით დაინტერესებული იყვნენ იტალიის ქალაქები. რომის ტახტი მჭიდრო კავშირში იყო მათთან და ზრუნავდა მათი ინტერესებისათვის. გარდა ამისა, უეჭველია თავისი როლის შეასრულა ეკლესიის რეფორმაციამაც. რომის პაპების სამწყსო და აქედან გამომდინარე, ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა შემცირდა. ვატიკანი ცდილობდა დანაკლისი აღმოსავლეთში შეევსო. საამისოდ დაარსდა კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის კონგრეგაცია, რომელმაც დიდი მუშაობა გააჩაღა აღმოსავლეთში და XVII საუკუნის 20-30-იან წლებიდან საქართველოშიც.

საქართველოში გამოგზავნილმა მისიონერებმა თავდაპირველად ბინა გორში დაიდეს, მაგრამ ქართლში როსტომის გამეფების შემდეგ, როგორც ჩანს, მათ სათანადო პირობები არ ჰქონდათ და გადავიდნენ ოდიშის სამთავროში ლევან II დადიანთან. მისიის ოდიშში გადატანის ინიციატორი, როგორც ჩანს, იყო ცნობილი მოღვაწე, ჯერ თეიმურაზ I-ის და შემდეგ ლევან II დადიანის პოლიტიკური მრჩეველი და ფაეორიტი ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი. მისიონერებს შეხვედრა ჰქონდათ ლევანის ელჩებთან, რომელნიც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ როსტომთან, მათ შორის იყო ნიკიფორეც. სწორედ მან ურჩია მისიონერებს ოდიშში გადასულიყვნენ, რადგან იცოდა, რომ მთავარი მათ კარგად მიიღებდა. ამასთან, ოდიშის სამთავროში შედარებით სიმშვიდე იყო მისიის მოღვაწეობისათვის. ლევან II დადიანმა მკაცრი ზომების მიღებით შეძლო ყაჩაღობისა და ქურდობის ალაგმვა სამთავროში და იმ დროისათვის

ნორმალური რეჟიმი დაამყარა. ვახუშტი ბაგრატიონი, მიუხედავად იმისა, რომ უსიმპატიოდაა განწყობილი ლევანისადმი, აღნიშნავს, რომ მან: „წყართა უახლოესთა დადგა ფიალანი ოქროსანი და უშორესთა ვერცხლისა, დაბმულნი ძეწკვებითა, რათა სმიდენ მგზავრნი მით, ვინაითგან ვერვინ იკადრებდა ქურდობასა ანუ პარვა-ავაზაკობასა ქვეყანათა შინა მისთა“.

1633 წლის 23 ოქტომბერს მისიონერები არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე გორიდან ოდიშის გზას დაადგნენ. მათ გაიარეს გურია და წარუდგნენ გურიის მთავარს კათალიკოს მალაქიას. 19 ნოემბერს მისიონერები მივიდნენ ილორს, სადაც იმყოფებოდა ოდიშის მთავარი.

ლევან II დადიანმა ვერ შეძლო მისიონერების მიღება ილორში. აუდიენცია თეატინელმა ბერებმა მიიღეს მერკულაში, სადაც მათ მთავარს გადასცეს საჩუქრები და რომის პაპის ურბანო VIII-ის წერილი. მთავარმა მისიონერები კარგად მიიღო და შეპირდა, რომ პატივით ამყოფებდა თავის სამფლობელოში. ამასთან, მან განაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა რომის პაპისათვის წერილი გაეგზავნა დესპანის ხელით. 1634 წელს მთავარმა მისიონერებს მამულები უბოძა წიფურიაში.

კათოლიკე მისიონერების საქმიანობა საკმაოდ სასარგებლო იყო ამ მხარისათვის. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „რომის პაპის ამ აგენტების საქმიანობა მხოლოდ კათოლიკური სარწმუნოების ქადაგებით როდი ამოიწურებოდა. მისიონერებს შორის არა ერთი იყო ექიმი, მხატვარი, მწერალი, ინჟინერი, გეოგრაფი, ასტრონომი და სხვა, საერთო ცოდნით აღჭურვილი. კათოლიკე მისიონერების საქმიანობას საქართველოში განსაკუთრებული წარმატება ხვდა, ქართველები კათოლიკობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებდნენ“.

რა მიზნები ჰქონდა ლევან II დადიანს, როცა კათოლიკე მისიონერებს თავის სამთავროში იღებდა, რა პოლიტიკური სარჩული ედო ამ აქტს?! ოდიშის მთავარს კარგად ესმოდა, რომ იგი სამხედრო დახმარებას ოსმალეთის წინააღმდეგ ევროპიდან ვერ მიიღებდა. ამგვარი აზრი მხოლოდ ფუჭი ოცნება თუ იქნებოდა. „ლევან დადიანის გამჭრიახი გონება, ამ შემთხვევაში, პოლიტიკურ ვითარებას ითვალისწინებდა და სურდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა საქართველოში აღებ-მიცემის მიზნით ჩამოსულ ევროპელთა რეალური ინტერესები, რაც თავისთავად ოსმალეთის მტაცებლურ ზრახვებს დაუპირისპირდებოდა“ (ბ. გიორგაძე). ოდიშის მთავარს კულტურული და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება სურდა ევროპის ქვეყნებთან, რასაც მისი სამთავროს კულტურულ-ეკონომიკური დონე და აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ძალაც უნდა აეწია. „ევროპაზე აღებული გეზი, ევროპული განათლებისადმი მისწრაფება ლევან დადიანის რეალური პოლიტიკის მიზანი ყოფილა“. (ბ. გიორგაძე). ჩვენ არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს საქართველო მთლიანად იყო მოწყვეტილი დასავლეთის სამყაროს და აქ წარმოდგენა არ ჰქონდათ იმ დიდი ძვრების შესახებ, რაც ევროპაში მიმდინარეობდა. აგრესორი სახელმწიფოებით გარემოცულ, ობიექტური პირობების გამო ჩამორჩენილ საქართველომდეც აღწევდა მოწინავე, განათლებული, კულტურული ევროპის სიო. ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა იცოდნენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ევროპასთან კავშირი. სწორედ ამიტომ იყო, რომ ლევან II დადიანმა ესოდენი პატივით მიიღო იტალიელი მისიონერები. მთავრის კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციისათვის ფრიად დამახასიათებელია სიტყვები, რომლებითაც მას იტალიელი მისიონერის, ჯოვანი და ლუკასათვის მიუმართავს: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა იტალიელი მღვდლის ნახვა, რომელი ეროვნებაც მიმაჩნია ყველაზე უფრო ნიჭიერად და განათლებულად მსოფლიოში. ჩემს წინაპრებს ყოველთვის სურდათ ენახათ და თავის გვერდზე ჰყოლოდათ ამ ეროვნების წარმომადგენლები“.

იტალიელი მისიონერები ოდიში ეწეოდნენ ექიმობას, ეხმარებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას სოფლის მეურნეობის უკეთესი წარმოების საქმეში, უშენებდნენ მათ სხვადასხვა დანიშნულების

ნაგებობებს, რომლებიც არ იყო ცნობილი ჩვენში. კათოლიკე ბერები თვით მთავრის მრჩეველებად და ახლობელ პირებად იქცნენ. იგი ხშირად მიდიოდა მათთან და ესაუბრებოდა პოლიტიკურ საკითხებზე და ასევე „უბრალო საკითხებზედაც, როგორიცაა, სასოფელო-სამეურნეო საკითხი, ბოსტნის წესრიგში მოყვანა" და სხვ. ამ ცნობიდან ჩანს, რომ მთავარს აინტერესებდა ევროპული ყოველდღიური ცხოვრების ყაიდა, თვით „უმნიშვნელო" სასოფლო-სამეურნეო საკითხებიც, რაც მეტად საინტერესო ფაქტია. როგორც ჩანს, ლევან დადიანისაგე დავალებით პატრები ცდილან არითმეტიკის სახელმძღვანელოს შექმნასაც, მაგრამ რა შედეგი გამოიღო ამან, ჩვენთვის უცნობია.

ზოგი ცნობით, რომელთა საკონტროლო მასალა არ გაგვაჩნია, ლევან II დადიანმა კათოლიკობაც მიიღო.

ლევან II დადიანის მარჯვენა ხელი ევროპასთან დასახლების საქმეში, უეჭველია იყო ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი. სწორედ მისი მცდელობის შედეგი იყო ოდიშში კათოლიკური მისიის დაფუძნება და უნდა ვიფიქროთ, რომ ევროპული ორიენტაციის სარგებლობაზეც მან მიუთითა ლევან დადიანს. ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილმა ახალგაზრდობის წლები რომში გაატარა. შემდეგ დროდადრო იგი ხან საქართველოში მოღვაწეობს, ხან იერუსალიმში. 1627-1628 წწ. იგი რომში იმყოფებოდა, როგორც თეიმურაზ I-ის ელჩი და მონაწილეობას იღებდა ქართულ-იტალიური ლექსიკონის შედგენაში სტეფანო პაოლინისთან ერთად. ეს წიგნი 1629 წელს დაისტამბა რომში. ამავე ხანებში მოიარა მან დასავლეთ ევროპის რამოდენიმე ქვეყანა და საქართველოში დაბრუნდა. ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი თავის დროისათვის ფრიად განათლებული კაცი ყოფილა. მან იცოდა გარდა ქართულისა, ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული, ფრანგული, ესპანური და იტალიური ენები. ესოდენ განათლებულ, ევროპის მოწინავე კულტურას ნაზიარებ კაცს, ამასთან თავისი ტანჯული სამშობლოს უაღრეს პატრიოტს, უეჭველია დაებადა სურვილი ხელი შეეწყო ევროპული განათლების შემოღწევისათვის საქართველოში. შემთხვევითი როდია, რომ ნიკოლოზი აქტიური მონაწილე იყო ევროპელ მისიონერებთან და რუსეთთან ურთიერთობისა. მას ეხედავთ თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოლაპარაკებაზე, რომლებსაც აწარმოებდნენ თეიმურაზ I, ლევან II დადიანი, იმერეთის მეფე ალექსანდრე III. თანამედროვე ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, იგი ხსენებული მოღვაწეების საგარეო საქმეთა ექსპერტი იყო. ნიკოლოზს აუცილებლად სჭირდებოდა მხარის დამჭერი, ძლიერი ხელისუფალი, რომელიც მის გეგმებს ცხოვრებაში გაატარებდა. ასეთად, როგორც ჩანს, მან ლევან II დადიანი მიიჩნია. თეიმურაზ I, რომლის უახლოესი თანამშრომელიც ნიკოლოზი იყო, როგორც ჩანს, ნაკლებ გამოდგებოდა ამ მიზნისათვის, რადგან მას მუდამ უჭირდა და თითქმის ნახევარი თავისი მოღვაწეობისა, დევნილობაში გაატარა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოლოზს არასოდეს შეუწყვეტია მასთან კავშირი.

ლევან II დადიანმა, ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილთან და იტალიელ მისიონერებთან ერთად შეიმუშავა პროექტი ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობისა. გაეცნოთ ოდიშის ეკონომიკურ ვითარებას, თვით პროექტს და ღონისძიებებს მისი რეალიზაციისათვის.

საქართველოს საერთო ეკონომიკურმა დასუსტებამ XVI საუკუნესა და XVII საუკუნის დამდეგს, თავისი კვალი დაჩნია დასავლეთ საქართველოს და ცხადია ოდიშის სამთავროსაც. მოშლილი იყო საქალაქო ცხოვრება, ვაჭრობა-ხელოსნობა. გარდა თითქმის მუდმივი საგარეო შემოსევებისა, საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა ისეთმა მსოფლიო-ისტორიულმა, ობიექტურმა ფაქტორებმა, როგორებიცაა ოსმალთა გაბატონება მცირე აზიაში, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, სავაჭრო გზების გადანაცვლება ოკეანეებზე, რამაც ჩვენი ქვეყანა მოწყვიტა მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებს. ეს ობიექტური ფაქტორები დიდად „უწყობდნენ" ხელს საქართველოს ეკონომიკურ ჩამორჩენას და აპირობებდნენ სენიორალური სისტემის კონსერვაციას.

სამთავრო, ისევე როგორც საქართველოს სხვა სახელმწიფოებრივი ერთეულები, მოწყობილი იყო სენიორალურ პრინციპზე. საერო თუ სასულიერო სენიორიის ეკონომიკურ საფუძველს წვრილი, თვითკმარი გლეხური მეურნეობა წარმოადგენდა. შესაბამის დონეზე იდგა წარმოებაც.

საშინაო ვაჭრობა ოდიშის სამთავროში მეტად დაბალ დონეზე იდგა. წელიწადში რამდენჯერმე იმართებოდა ბაზრობები საეკლესიო ცენტრებთან, ილორში, ბედიაში, კორცხელში და სხვ. ბაზრობებზე გასაყიდად გამოჰქონდათ მარილი, თაფლი, ცვილი, ადგილობრივი ტილოები, სხვადასხვა ჭურჭელი, პირუტყვი და სხვ. ვაჭრობა უმეტესად გაცვლითი იყო. აღებ-მიცემობისას ფული თითქმის არ გამოიყენებოდა. ფულის ექვივალენტად იხმარებოდა დეფიციტური საქონელი: წიწაკა, მარილი, წინწკლებიანი (მუსკატური) კაკალი. გაცვლითი ვაჭრობა დამოწმებულია XVI საუკუნის წყაროებითაც.

სამთავროს საგარეო ვაჭრობა; როგორც აღნიშნული გვქონდა, თითქმის მთლიანად ოსმალეთზე იყო დამოკიდებული. მათ შემოჰქონდათ პირველი მოთხოვნილების საგნები, რომელთა წარმოება არ იყო ოდიშში, მისი უკიდურესი ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო. ასეთი იყო მარილი, რკინა, შაქარი, საბნები, მაუდი, შალი, უნაგირები, ცხენის აღკაზმულობა და სხვ. ოსმალებს სამაგიეროდ გაჰქონდათ თაფლი, ცვილი, ადგილობრივი ტილო, აბრეშუმი, ხარის, კვერნისა და წავის ტყავი, ბზის ხე. სამთავროს ეკონომიკური ინტერესები ხშირ შემთხვევაში ბოჭავდნენ მთავარს ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ამას დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა ეკონომიკური ბლოკადა. რუსული წყაროს ცნობით, ლევან დადიანი ოსმალეთს ხარკს უხდიდა სამთავროს ეკონომიკური ინტერესების გამო:

"А царь Левонтей дает Турскому царю по осми сот аршин полотна да ясырю дает по трицети душ и по сороку; а дает для того, чтоб приходили карабли с торгом, а кой год не будут карабли и у них тот год студна солью и железом".

ეკონომიკურად ისედაც ჩამორჩენილ სამთავროს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აგდებდა არაექვივალენტური ვაჭრობა, რომელსაც ოსმალები აწარმოებდნენ. მათ ჩალის ფასად გაჰქონდათ ოდიშის ბუნებრივი სიმდიდრეები, კერძოდ ხე-ტყე და შემდეგ გაცილებით უფრო ძვირად ყიდდნენ მას.

ოდიშის სამთავროს, ისევე როგორც მთელი საქართველოს, ვაჭრობა შუასაუკუნეობრივი ხასიათისა იყო, განსხვავებით დასავლეთ ევროპისაგან, რომელიც კარგახანია თანამედროვე ტიპის ვაჭრობას აწარმოებდა.

როგორც სათანადო მასალიდან ჩანს, ლევან II დადიანს მიზნად დაუსახავს სამთავროს ამ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება, ვაჭრობისა და ხელოსნობის ევროპულ ყაიდაზე გამართვა, საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლება, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმა. სამთავროს ძალიან ცოტა, ან სულ არ ჰყავდა ვაჭრები, კვალიფიცირებული ხელოსნები, ხოლო ვაჭრებისა და ხელოსნების გარეშე არც ქალაქი არსებობს. იმ დროის საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებს, რა თქმა უნდა, კარგად ესმოდათ, რომ ევროპის ქვეყნების სიძლიერის მაცოცხლებელ არტერიას სწორედ დაწინაურებული ეკონომიკა წარმოადგენდა. ლევან II დადიანი იმასაც ცხადად ხედავდა, რომ მიუხედავად არაერთგზისი აოხრებისა, ქართლისა და კახეთის საქალაქო ვაჭრობა ჰყვაოდა, ხოლო დასავლეთ საქართველოში კი ერთ წერტილზე იყო გაყინული. გრემი და ზაგემი — კახეთში, გორი და თბილისი — ქართლში დიდ სატრანზიტო გზებთან ახლოს იყვნენ და სწორედ ეს განაპირობებდა მათ განვითარებას.

არსებული ვითარების გამოსასწორებლად, როგორც აღნიშნული გვქონდა, ლევან II დადიანმა ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილთან და იტალიელ მისიონერებთან ერთად შეიმუშავა პროექტი ახალი სავაჭრო გზით ევროპასთან ვაჭრობისა. ამ გზას საქართველოზე და კერძოდ კი, ოდიშის სამთავროზე უნდა გაევლო. საამისო ცნობა დაცული აქვს

ჯუზეპე ჯუდიჩეს: „მთავარ დადიანს ყოველთვის სურვილი ჰქონდა ვაჭრები მოეყვანა და თავის სამთავროში დაესახლებინა. ძალიან სურდა შორეული სახელმწიფოებიდან ვაჭრები და სავაჭრო საქონელი მოეზიდა... ჩვენს პატრებთან საუბარში დადიანმა ცხოველი ინტერესი გამოამჟღავნა: თუ შესაძლებელი იქნებოდა, კონსტანტინოპოლიდან ზოგიერთი მდიდარი ვენეციელი ვაჭრის ჩამოყვანა, მაშინ დაავალდებულებდა მათთვის სხვა საქონლის გარდა, აბრეშუმის მიყიდვას მთლად მისი სამთავროდან, აგრეთვე ნაწილობრივ სპარსეთისასაც. ამისათვის, ვინც შავი ზღვით აბრეშუმით ვაჭრობას მოჰკიდებდა ხელს, მათთვის ვაჭრები აბრეშუმს სპარსეთიდან და სომხეთიდან ოდიშში ჩაიტანდნენ ნახევარ ფასზე უფრო იაფად, ვიდრე ჰალაბში გადასატანად დასჭირდებოდათ. ამგვარად ნაღდ მოგებას ნახავენ ის ვაჭრები, რომელნიც მთავრის საბაჟოდან გაჰყიდიან საქონელს და ფრანკებიც, რომლებიც აქ იაფად შესყიდულ საქონელს ზღვით ჩაიტანენ საფრანგეთში".

ლევან II დადიანის მიზანი აქ მკაფიოდ ჩანს. მთავრის ვაჭრებს უნდა მოეზიდათ საქონელი ირანიდან ოდიშამდე, რაც „ნახევარ ფასზე უფრო იაფი" ჯდებოდა, ვიდრე იგივე საქონლის ირანიდან ალეპომდე (ჰალაბი) გადატანა. მთავრის საბაჟო იაფად შესყიდულ ამ საქონელს ასევე ხელსაყრელ ფასად მიჰყიდდა ევროპელ ვაჭრებს. ისინი კი შავი ზღვით, ან სტამბოლის, ან უკრაინის გზით გაიტანდნენ მას ევროპაში. ევროპელი ვაჭრებისათვის აქ მთავარი დამაინტერესებელი გარემოება უნდა ყოფილიყო გზის სიმოკლე და საქონლის სიიაფე. დიდი მოგება უნდა ენახა მთავრის ხაზინასა და მის ვაჭრებს. ამასთან, ხსენებული პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობდა ევროპული საქონლის შემოტანას ოდიშში, რადგა აქ აბრეშუმის საყიდლად ჩამოსული ვაჭრები ხელცარიელი არ წამოვიდოდნენ. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გასატანი აბრეშუმის დიდი ნაწილი ადგილობრივი, ქართული უნდა ყოფილიყო და მხოლოდ ნაწილი ირანული. ევროპული და რუსული წყაროებით ცნობილია, რომ ამ დროს ოდიშში ამზადებდნენ აბრეშუმს. როგორც ჩანს, განზრახული იყო მისი წარმოების გაფართოება იმდენად, რომ დაკმაყოფილებულიყო ევროპელ ვაჭართა მოთხოვნილება. ყოველივე ეს ასწევდა სამთავროს ეკონომიკურ დონეს, ამდენად მის პოლიტიკურ სიძლიერეს და იგი აღარ იქნებოდა ასერიგად დამოკიდებული ოსმალო ვაჭრებზე.

ლევან II დადიანის ეს პროექტი, ჩვენი დაკვირვებით, გარკვეულ მსგავსებაშია ცნობილი მოგზაურისა და დიპლომატის,პიეტრო დელა ვალეს პროექტთან,რომელიც მან ირანის შაჰს შესთავაზა.

პიეტრო დელა ვალე თავის პროექტს პოლიტიკურ მიზნებს უკავშირებდა. იგი ცდილობდა დაეკავშირებინა კაზაკები და პოლონეთი ირანთან ოსმალეთის წინააღმდეგ და საამისოდ დადიანისა და გურიელის გამოყენებაც ჰქონდა განზრახული. მისივე ცნობებიდან ჩანს, რომ დადიანი და გურიელი კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ კაზაკებთან და პოლონეთთან.

პიეტრო დელა ვალე რჩევას აძლევდა შაჰ აბას I-ს გამოეყენებინა კაზაკთა ძალები ოსმალეთის წინააღმდეგ. იგი მიუთითებდა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა მზადყოფნაზე ანტიოსმალურ კოალიციაში მონაწილეობის მისაღებად. პიეტრო დელა ვალე უხსნიდა ირანის კარს, თუ რა სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური წარმატებები უნდა მოჰყოლოდა კაზაკთა მეშვეობით ოსმალეთისათვის შავი ზღვის ჩაკეტვას. შაჰის დაახლოებულ პირთან, ვინმე აგამირთან საუბარში იგი აღნიშნავდა, რომ ირანს შეეძლო ოსმალეთის ტერიტორიის (ალეპო, დამასკო და სხვ) გაუელესად გაეყიდა აბრეშუმი ევროპაში. „სპარსეთის მეაბრეშუმე რაიონები ყველანი შავ ზღვასთან ახლო არის შედარებით. ამიტომ სპარსეთის აბრეშუმი სულ მოკლე გზით შეიძლება მოტანილ იქნას ევროპაში, იმ გრძელი და საშიში გზების ნაცვლად, რომლებიც ალაბზე და ორმუზზე გადიან და დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ოკეანისა და ხმელთაშუა ზღვის გზებთან შედარებით ახალი გზა ძალიან მოკლე იქნება. ვაჭარი ამ გზით

აბრეშუმს 10-15-20 დღეში გადაიტანს (20 დღე მაქსიმუმია), რადგანაც შავი ზღვა პატარაა. იმ დროს, როცა ოკეანის გზას რვა-ათი თვე სჭირდება თუ მეტი არა".

პიეტრო დელა ვალეს გათვალისწინებული ჰქონდა ირანის დაინტერესება, აეცდინა ირანული აბრეშუმი ოსმალეთის ბაზრებისათვის და მოესპო ის შემოსავალი, რომელსაც სულთნის ხაზინას აძლევდა ირანულ აბრეშუმზე აღებული ბაჟები.

ეს ამბები ხდება დაახლოებით 1617-1618 წლებში. უფრო ადრეც, 1611 წელს, შაჰ აბას I-მა კათოლიკე მისიონერს თადეუსს დაავალა დაახლოებით ამავე საკითხებზე მოლაპარაკება ეწარმოებინა რუსეთისა და პოლონეთის მეფეებთან და რომის პაპთან, მაგრამ შაჰ აბასს ცხადია, არ შეეძლო ისეთი აქტიური მოქმედებები დაეწყო, როგორც ამას პიეტრო დელა ვალე მოითხოვდა. შავ ზღვაზე დესანტის გადასხმა და კაზაკებთან ერთად ოსმალეთის ქალაქების აღება არ იყო ისეთი იოლი ამოცანა, როგორც ეს პიეტრო დელა ვალეს მიაჩნდა. ამიტომაც, ცხადია, ირანმა არ ისარგებლა ხსენებული პროექტით.

ირანმა რომ გადამჭრელი ზომების მიღება არ იკისრა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს მან ხელი აიღო შავი ზღვის დიდი მნიშვნელობის მქონე ეკონომიკური და პოლიტიკური პლაცდარმების ხელში ჩაგდების იდეისაგან.

1637 წლის ახლო ხანებში პოლონეთის სახელმწიფო კვლავ აყენებს ახალი გზის საკითხს. ჰოლშტაინის ელჩი რუსეთში, ბრუგემანი, მოსკოვს ატყობინებდა, რომ პოლონელები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ჰოლშტაინ-ირანის ვაჭრობისათვის: "Король польской... ищет торг вести через... Грузи и через черное море". ამას გარდა პოლონეთს ირანისათვის საგანგებოდ მიუმართავს: "ходить их торговным людем для торговли через Грузи и через черное море".

არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში არ გვაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ რა მონაწილეობას იღებდნენ ქართველი მოღვაწეები ამ მოლაპარაკებაში, მაგრამ ის ფაქტი, რომ სწორედ პოლონეთის მიერ ხელახლა ახალი გზის საკითხის წამოჭრას ქრონოლოგიურად მეტად უახლოვდება დადიანის გააქტიურება, შეგვიძლია დავუშვათ, რომ იგი ინფორმირებული იყო ამის შესახებ. ამასთან, შესაძლებლად მიგვაჩნია ისიც, რომ დადიანი იცნობდა პიეტრო დელა ვალეს პროექტსაც მისიონერებისა და ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის მეშვეობით. ბოლოს, არც ისაა გამორიცხული, რომ გარკვეულ ინფორმაციას ლევან II დადიანს ირანიც აწვდიდა. ნიშანდობლივია, რომ ლამბერტის ცნობით, დაახლოებით ამ ხანებში ოდიშში გაელით ყოფილა პოლონეთის ელჩი ირანში.

ამდენად, ლევან II დადიანის პროექტი რეალურ საფუძვლებს ემყარებოდა, მასში გათვალისწინებული იყო სხვა სახელმწიფოთა ინტერესებიც და თავისი შინაარსით, ფაქტობრივად ანტიოსმალური იყო.

ლევან II დადიანმა პროექტი კი შეიმუშავა, მაგრამ მას ცხოვრებაში გატარება ესაჭიროებოდა. მან, როგორც შეიძლება ვივარაუდოთ, უკვე მისიონერების ოდიშში ჩამოსვლის დროისათვის დაიწყო ამაზე ზრუნვა. სამთავროში არ იყო არცერთი პუნქტი, რომელიც შეიძლებოდა ესოდენ მასშტაბური სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრად ქცეულიყო. აშკარად გადაჭარბებულია გაბრიელ გეგენავას ცნობა: "А городов-де у государя его серед земли пять городов каменных, а по окраинам и множе городы поставлены".

აქ ლაპარაკია ხუთ ქვით ნაგებ ქალაქზე, აგრეთვე პატარა ქალაქებზედაც. ქალაქი აქ ციხეს უნდა ნიშნავდეს, რადგან ნამდვილ ქალაქს მაშინ ოდიშის სამთავროს პოლიტიკური ცენტრი, ზუგდიდიც კი არ წარმოადგენდა.

ლევან II დადიანმა აწინდელი სოფელ რუხის ტერიტორიაზე პატარა ქალაქი „მოაწყო" და დუქნები ააშენა. აქვე დაასახლა მან იმერეთის მეფე გიორგის გამოსასყიდში მიღებული ჩხარელი და ჩიხორელი ვაჭრები, ეროვნებით სომხები და ებრაელები. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, დადიანმა სრულებით განაახლა ქვეყანა იმით, რომ ეს ვაჭრები მოიწვია. სწორედ ამ ვაჭრებს უნდა გადმოეზიდათ აბრეშუმი ირანიდან, როგორც ამას დადიანის პროექტი ითვალისწინებდა. ვფიქრობთ, რუხის „ქალაქიც" ამ პროექტის მიზანდასახულებათა სარეალიზაციოდ იქნა აგებული. ამავე მიზანს უნდა ემსახურებოდეს ლევანის მიერ ზარაფხანის გახსნა, სადაც ირანული ყაიდის ფული იჭრებოდა. ამ ფულს

დადიანის ვაჭრები ხმარობდნენ, როცა ირანში მიდიოდნენ სავაჭროდ. ამრიგად, ლევან დადიანის კარგად ცნობილი ღონისძიებები, რუხის „ქალაქის“ გამართვა და ზარაფხანის გახსნა მჭიდროდ უნდა დაეუკავშიროთ ევროპასთან ვაჭრობის მისსავე პროექტს. რუხის „ქალაქის“ გამართვა და სომეხ-ებრაელ ვაჭართა აქ გადმოსახლება 1635-1636 წლებს ეკუთვნის. ამავე ხანებში უნდა იყოს, ჩვენი აზრით, დაწყებული ცნობილი რუხის ციხის მშენებლობა. ვახუშტის ცნობით: „ანაკრიის აღმოსავლეთით ამ მდინარეზე (ენგურზე, ი. ა.) არც რუხს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინარე. აღაშენა ლევან დადიანმან ქრისტესა ჩქმზ ქართულსა ტლე“. ვახუშტი აქ უნდა გულისხმობდეს ციხის მშენებლობის დამთავრებას 1647 წელს, თორემ ყოვლად შეუძლებელია ასეთი დიდი ნაგებობის ერთ წელიწადში დასრულება. ციხის მშენებლობა რუხის „გაქალაქებისთანავე“ უნდა დაწყებულიყო. რუხის ციხე კარგად გამაგრებული იყო და სათანადოდ სამხედრო ტექნიკაც გააჩნდა ზარბაზნებისა, თოფებისა და სხვათა სახით. ეს ციხე რუხთან ერთად, მთავრის რეზიდენცია ზუგდიდსაც იცავდა.

სატრანზიტო ვაჭრობისათვის პუნქტის მომზადების, ვაჭართა კონტიგენტის შექმნისა და ფულადი მეურნეობის მოწესრიგების ზემოაღნიშნული ცდების შემდგომ ლევან II დადიანმა მოლაპარაკება დაიწყო სტამბოლში მყოფ ვენეციის წარმომადგენელთან. 1638 წლის ახლო ხანებში მან ოსმალეთის სატახტო ქალაქში მიავლინა კათოლიკური მისიის პრეფექტი ოდიშში დონ პიეტრო ავიტაბილე. ავიტაბილე შეხვდა „ყოვლად აღმატებულ“ ვენეციის ბაილოს. ბაილოს, როგორც ჩანს, მოეწონა დადიანის წინადადება და დაპირდა ავიტაბილეს, რომ ოდიშში გამოგზავნიდა ვენეციელ ვაჭარს ჯერონიმო დე ტომაზის. საქმე თითქოს წარმატებით ხორციელდებოდა, მაგრამ „არეულობისა და განხეთქილების გამო, რომელიც ბრწყინვალე ვენეციის რესპუბლიკასა და თურქეთს შორის ჩამოვარდა, მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა“. (ჯუზეპე ჯუდიჩე). ლევან II დადიანი, როგორც ჩანს „მეტად ღელავდა“. მას გადაუწყვეტია „აღმატებულ სინიორესთან“ (ვენეციის ბაილოსთან) გაეგზავნა რომელიმე მისიონერი, რის შესახებაც რამდენჯერმე უთხოვნია მისიის პატრ-ვიკარიუსისათვის. როგორც შემდეგ ჯუზეპე ჯუდიჩე გვამცნობს, სტამბოლს მიუვლენიათ მისიონერი დონ კლემენტე გალანო, მაგრამ რა შედეგი გამოიღო მისმა მგზავრობამ, ჯუდიჩე არაფერს ამბობს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ცდაც მარცხით დასრულდა. იტალიელთა და საერთოდ ევროპელთა ურთიერთობას საქართველოს სამეფო-სამთავროებთან ოსმალები ეჭვის თვალით უცქერდნენ. ოსმალები არ აპირებდნენ შავ ზღვაზე ვაჭრობა სხვის ხელში გადაეცათ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ამ ხანებში ოსმალეთსა და ვენეციას შორის „არეულობა და განხეთქილებაც“ მომხდარა, უნდა ვივარაუდოთ , რომ ოსმალეთის მთავრობა ყოველნაირად ხელს შეუშლიდა ვენეციის ბაილოს მოქმედებას ოდიშში ვაჭრების გამოგზავნისათვის. XVII საუკუნეში საერთოდ შესუსტდა ვენეციელთა სავაჭრო პრიორიტეტი აღმოსავლეთის ვაჭრობაში, ერთი მხრივ ვენეცია-ოსმალეთის ომებისა და მეორე მხრივ თვით ვენეციაში მიმდინარე საშინაო პროცესების გამო. ასეთ დაძაბულ ვითარებაში, ცხადია, თვით ვენეციელებიც უფრო თავშეკავებულად იმოქმედებდნენ.

ლევან II დადიანს ამ წარუმატებლობის შემდეგ არ შეუწყვეტია მეცადინეობა თავისი გეგმის რეალიზაციისათვის, თუმცა ახალ ვითარებაში მას ოსმალეთთან სიფრთხილე მართებდა. 1639 წლის ზოჰაბის ანუ კასრ-ი შირინის ზავით დასრულდა სეფიანთა ირანისა და ოსმალეთის ხანგრძლივი ომები. ეს ზავი 1555 წლის ამასიის ზავის საბოლოო ვარიანტი იყო. ამ ზავმა დააკანონა საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცებულობა. ირანი და ოსმალეთი ხელს უშლიდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ

საქართველოს მესვეურთა ურთიერთობას და განიხილავდნენ ამას, როგორც მოპირდაპირე მხარის ჩარევას მათ შინაურ საქმეებში. ეს 1639 წლის ზოჰაბის ზავის დარღვევად ითვლებოდა. მითუმეტეს, სახიფათო იყო ასეთ სიტუაციაში ანტიოსმალურ აქციებში მონაწილეობა. ამიტომაც ლევან II დადიანმა აქცენტი აიღო ევროპასთან ურთიერთობის წმინდა ეკონომიკურ ასპექტზე, რათა ოსმალეთს ეს ურთიერთობა თავის საწინააღმდეგოდ არ მიეჩნია. 1643 წელს მთავარმა ოდიშის მისიის პრეფექტი ჯუზეპე ჯუდიჩე რომს მიაელინა და რომის პაპთან ურბანო VIII-თან წერილი გაატანა. სანამ ამ წერილს მოვიტანდეთ, საინტერესოა გავეცნოთ მის ისტორიას. დადიანის წერილი დაცულია ვატიკანის არქივში და იგი მეცნიერებისათვის ხელმისაწვდომი მ. თამარაშვილმა გახადა. 1902 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის", იგი მხოლოდ აღნიშნავდა ასეთი წერილის არსებობის ფაქტს. ამის შემდგომ მან მიაკვლია წერილს და ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა კიდეც 1910 წელს გამოცემულ თავის კაპიტალურ ნაშრომში „საქართველოს ეკლესია დასაბამიდან დღემდე". მ. თამარაშვილის ფრანგული თარგმანის მიხედვით გამოიცა დადიანის წერილის ქართული თარგმანი. თვით წერილი დაწერილი იყო ბერძნულად ტრაპიზონის მიტროპოლიტის კირილეს მიერ. ლევან დადიანის ხსენებული წერილი მეტად საყურადღებო დოკუმენტია. მთავარს იმავე დროს წერილები გაუგზავნია ტოსკანის დიდი ჰერცოგისა და პროპაგანდის კარდინალებისათვის. გავეცნოთ წერილს რომის პაპისადმი:

„დიდად პატივცემულო მამაო, ურბანო VIII! მე თქვენი პატივის მორჩილი. უკვე ათი წელი გავიდა, რაც დონ ჯუზეპე და დონ არქანჯელო ჩვენთან ჩამოვიდნენ და გადმოგვცეს თქვენი საპატივცემულო წერილი. მაშინვე გადავწყვიტეთ თქვენთვის გვეპასუხა და წერილი გამოგვეგზავნა შიკრიკის ხელით, მაგრამ სიძნელეებმა, რომელთა შესახებაც დონ ჯუზეპე დაწერილებით მოგახსენებთ, არ მოგვცა საშუალება მოგვეხადა ჩვენი ვალი; აი, ამიტომ დაეგვიანეთ პასუხი აქამდე. ახლა შედარებით თავისუფლად ვსუნთქავთ. უზენაესი ღმერთის შემწეობით დავიმორჩილეთ ჩვენი მტრები, აფხაზეთის, იმერეთისა და გურიის მთავრები. პატრ დონ ჯუზეპეს ხელით გიძღვნით ორ ბავშვს და გთხოვთ მათ კურთხევას. ჩვენ პატივით მივიღეთ მამები, რომლებიც ინებეთ და გამოგვიგზავნეთ. მათ გადავეცით კარგი ეკლესია, საცხოვრებელი სახლები, მსახურები და საკმაო სურსათი. რადგან ესენი კარგი მღვდლები არიან, ჩვენ განსაკუთრებულად მოვალენი ვართ თქვენი ასეთი ადამიანების გამოგზავნისათვის. გავიგეთ რა, რომ თქვენ მართავთ მთელ ქვეყანას, როგორც მემკვიდრე წმინდა პეტრესი და უფლისა ჩვენისა ქრისტესი, გვსურს იყოთ ჩვენი მმართველი და მფარველი. აქ, ჩვენს სამთავროში არ არიან შალისა და აბრეშუმის მქსოველები, რომლებიც დაამზადებდნენ ტანსაცმელს ჩვენი ქვეშევრდომებისათვის და ისინი ხშირად იძულებულნი არიან ამ ნივთების საჭიროებისათვის თურქებს მიჰყიდონ თავიანთი ყმები, რაც მიუღებელია და რომელსაც თვით ადამიანის ბუნებაც ეწინააღმდეგება.

ჩვენ გემუდარებით, გამოგვიგზავნოთ დიდი რაოდენობით ამ ხელობის მასწავლებლები, რადგან მათი დახმარებით გადავრჩებით ამგვარ ტანჯვას. ჩვენ პირობას ვდებთ, ღმერთი იყოს ამის მოწმე, რომ მივიღებთ მათ დიდი პატივითა და ხელგაშლილობით, თავიანთი არჩევანის მიხედვით მივცემთ საცხოვრებლებს, მოსამსახურეებს, კარმიდამოს და ყველაფერს იმას, რაც კი მათ დასჭირდებათ სასურველი და წყნარი ცხოვრებისათვის. კიდევ მეტიც, მოწმედ დავიყენებთ სამებასა და ღმერთის ერთობას, რომ არ ვიქნებით მოძალენი ამ ხელოსნების მიმართ. ჩვენ დავიტოვებთ იმათ, ვინც თავისი ნება-სურვილით დარჩება. ვისაც შინ დაბრუნება მოუნდება, მისთვის გზა ხსნილი იქნება. დაე, ღმერთის წყალობა და მისი უსაზღვრო ღმობიერება იყოს ჩვენთან საყოველთაოდ. დაე, აღსრულდეს ასე".

ლევან II დადიანი, როგორც ვხედავთ, რომის პაპს თავს აცნობს დასავლეთ საქართველოს მფლობელად („დავიმორჩილეთ... აფხაზეთის, იმერეთისა და გურიის მთავრები"). იგი აგზავნის ორ ბავშვს პროპაგანდის კოლეგიის სკოლაში სასწავლებლად. ამასთან, ოდიშის მთავარი „წმინდა პეტრეს მოადგილე" პაპს მფარველობას თხოვს, მაგრამ დადიანის მიერ ნათხოვნ მფარველობაში არ იგულისხმება პოლიტიკური მომენტი, იგი ითხოვს ეკონომიკურ დარგში მფარველობასა და დახმარებას. წერილის შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს წერილი და დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს

ელჩობაც ერთ მიზანს ისახავს: შალისა და აბრეშუმის მქსოველი ოსტატების ჩამოყვანას ოდიშში, რომელთაც ადგილობრივ უნდა განავითარონ ეს ხელობა. ლევანი შალისა და აბრეშუმის ქსოვის ოსტატ-მასწავლებლებს პირდება ქონებასა და სრულ თავისუფლებას, ყოველგვარ წყალობას. განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტად მიგვაჩნია ის, რომ ლევან II დადიანი ტყვეობით ვაჭრობას სამთავროს უკიდურესად დაბალ ეკონომიკურ დონეს უკავშირებს.

ტყვეთა სყიდვა, ეს მართლაც უაღრესად მახინჯი მოვლენა, დაკავშირებული უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა ჩვენთვის საინტერესო რეგიონის ეკონომიკურ განუვითარებლობასთან, რაც გეოგრაფიული ფაქტორით იყო შეპირობებული.

მეკობრეობა და ტყვეებით ვაჭრობა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და შავ ზღვაზე გავრცელებული იყო საკმაოდ ადრეული ისტორიული პერიოდებიდან. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყის საუკუნეებში ეს ვაჭრობა გრძელდებოდა. ამასთან, სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია კოლხეთის (ლაზიკის) ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაჭაობიანებაზე და ამ მხარის შედარებით ეკონომიკურ სიმწირეზე. ამგვარი ვითარება აბრკოლებდა ფეოდალიზაციის პროცესს და ზღუდავდა უშუალო მწარმოებლის ექსპლუატაციის შესაძლებლობასაც, რის გამოც, სამხედრო-გვაროვნული არისტოკრატია, თავისი გაზრდილი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ხარკავდა მეზობელ გაერთიანებებს, ხელთ იგდებდა ტყვეებს უცხოეთში გაყიდვის მიზნით.

VI საუკუნის ავტორი, პროკოპი კესარიელი მიუთითებდა საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობაზე ლაზიკისათვის; „ლაზები მუდამ აწარმოებდნენ პონტოში მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო ვაჭრობას. თვით მათ არც მარილი ჰქონდათ, არც ხორბალი... ისინი მხოლოდ აწვდიდნენ ტყავსაფრებს, ტყავებს და მონებს და თავისთვის საჭირო საგნებს იძენდნენ". მისივე ცნობით, იოანე ციბეს მიერ სავაჭრო მონოპოლიის დაწესების გამო: „ვაჭრებს... უკვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდაში შეეტანათ მარილი და სხვა საქონელი, რაც ლაზებისათვის აუცილებლად საჭირო".

თუ პროკოპი კესარიელის ცნობებს შევადარებთ XVII საუკუნის მასალებს, დავინახავთ, რომ მიუხედავად გავლილი ხანგრძლივი ისტორიული პერიოდისა, რეგიონის ეკონომიკური სიძნელეები თითქმის იგივე დარჩენილა. ეს მხარე XVII საუკუნეში ისევე იყო დამოკიდებული პირველი მოთხოვნილების საგნების ზღვით შემოზიდვაზე, როგორც VI საუკუნეში. ძირითადად იგივე დარჩა საიმპორტო საქონელი (მარილი და სხვ.) და ექსპორტი (ტყავეული, მონები).

ასეთი ვითარება, მიუხედავად განვლილი ათასწლოვანი პერიოდისა და სოციალურ სფეროში მომხდარი ღრმა ცვლილებებისა, შეიძლება აიხსნას მხოლოდ მყარი გეოგრაფიული ფაქტორით, ბუნებრივი პირობებით, რომელიც არ იძლეოდა შეასაუკუნეობრივი წარმოების გაშლისა და ფულად-სასაქონლო ურთიერთობის განვითარების საშუალებას, რა შემთხვევაშიც, ცხადია, ტყვეებით ვაჭრობა შეუძლებელი იქნებოდა. ამას უნდა დაემატოს მონათვაჭრობის ევებერთელა ბაზრის, ოსმალეთის იმპერიის არსებობა, რომელსაც ფაქტობრივად ხელთ ჰქონდა შავ ზღვაზე ვაჭრობის მონოპოლია თავისი ინტერესების შესაბამისად.

ამდენად, ვფიქრობთ ლევან II დადიანი არ იყო შორს რეალობისაგან, როდესაც პაპისადმი მიწერილ წერილში ხაზს უსვამდა ტყვეებით ვაჭრობის კავშირს სამთავროს ეკონომიკურ სიდუხჭირესთან. ჭაობიანი ნიადაგი, ბუნებრივი რესურსების სიმწირე, ფულად-სასაქონლო მეურნეობის განუვითარებლობა კვებავდა ტყვეებით ვაჭრობას და აიძულებდა ფეოდალს, ქვეყნის ძლიერების საყრდენი ყმა-გლეხი ოსმალეთის ბაზარზე მონად გაეშვა. ლევან II დადიანი სწორი იყო, როდესაც აღნიშნავდა, რომ „ნივთების საჭიროებისათვის" ყიდდნენ ოდიშის ფეოდალები ყმებს. მართლაც, არაერთი წყარო გვემოწმება, რომ ტყვეებს ძირითადად აბრეშუმის, შალის ქსოვილებისა და ფუფუნების საგნებში ცვლიდნენ, ხოლო გლეხები საოჯახო მეურნეობისათვის აუცილებელ ნივთებს ყიდულობდნენ ოსმალო ვაჭრებისაგან.

ოდიშის მთავარი იმედოვნებდა ევროპელი ოსტატების მეშვეობით ადგილობრივ აღეზარდა ხელოსნები, ადგილობრივ ეწარმოებინა საქონელი და ამგვარი ღონისძიებით აეშორებინა თავიდან ტყვეებით ვაჭრობა. მას, როგორც ჩანს ესმოდა, რომ ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა მანამდე არ შეიძლებოდა ეფექტური ყოფილიყო, სანამ არ აღმოიფხვრებოდა ის მიზეზები, რაც ასაზრდოებდა მას. სამთავროს ეკონომიკის დაწინაურებას, ვაჭრობა-ხელოსნობისა და საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებას, ყველა სხვა დადებით შედეგთან ერთად, დადიანისა და მისი კონსულტანტების აზრით, უნდა აღმოეფხვრა ტყვეებით ვაჭრობის საფუძველი.

ლევან II დადიანის ელჩს, დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს, რომის პაპი ურბანო VIII (1623-1644 წწ.) გარდაცვლილი დახვდა. რომის სამოციქულო კათედრას ინოჩენციო X

(1644-1655 წწ.) განაგებდა. ახალ „პონტიფექს მაქსიმუსს“ ნაკლებად აინტერესებდა აღმოსავლეთის საქმეები. ასეთ პირობებში ლევან დადიანის ელჩობას დიდი წარმატება არ ხვდა წილად. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებაც: შალისა და აბრეშუმის მქსოველი ოსტატები საერო პირები იყვნენ, მათ ევროპის ქვეყნებშიც გასავალი ჰქონდათ და ძნელად თუ შეიწუხებდნენ თავს სადღაც აღმოსავლეთში გადაკარგული სამთავროსათვის. ასეც მოხდა. ახალ პაპს აბრეშუმისა და შალის მქსოველი ოსტატები არ გამოუგზავნია. ჯუზეპე ჯუდიჩეს ორი სხვა მისიონერი, ჯოვანი მონტი მილანელი და ჯაკომო ანტონიო მარცი კრემონელი გამოაყოლეს. დადიანის ელჩი რომიდან 1646 წლის მარტში გამოემგზავრა. ელჩს გამოატანეს წერილი ლევან დადიანთან, რომელიც კარდინალებმა დაწერეს. რეალური დახმარების ნაცვლად, ისინი რჩევა-დარიგებას აძლევდნენ ოდიშის მთავარს, „ახალ კონსტანტინეს“ და პაპის „საყვარელ შვილს“, მტკიცედ დაეცვა კათოლიკური სარწმუნოება. ამასთან აცნობებდნენ მას, რომ პაპი და მთელი რომი „გახარებულნი იყვნენ მისი საქმეებით“. ეს იყო და ეს.

დარდანელში მოსული დადიანის ელჩი ჯუზეპე ჯუდიჩე და მისი თანმხლები მისიონერები ადგილობრივმა ფაშამ ჯაშუშობის ბრალდებით დააპატიმრა და სატუსაღოში მოათავსა. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე, დადიანის ელჩი და მრჩეველი, საპყრობილეში გარდაიცვალა, სხვებმა კი მალე შეძლეს თავის გამოხსნა და 1647 წლის 6 აგვისტოს ოდიშს მიაღწიეს.

ლევან II დადიანის პროექტის რეალიზაციას ფრთები შეეკვეცა. შესაძლოა იგი შემდეგაც განაგრძობდა სათანადო მოლაპარაკებებს, მაგრამ საამისო ცნობები ჩვენ არ გაგვაჩნია. ფაქტია, რომ მან შედეგს ვერ მიაღწია. მართალია, რუხის „ქალაქი“ თავისი სომეხი და ებრაელი ვაჭრებით მოქმედებდა, მაგრამ ეს არ იყო ის, რასაც ოდიშის მთავარი და მისი მრჩევლები ესწრაფოდნენ.

ლევან II დადიანის პროექტი, მიუხედავად მისი წარუმატებლობისა, საინტერესო და ყურადსაღები ფაქტია. ასეთი პროექტები შემდეგ არაერთი გამოჩნდა ჩვენში. XVII საუკუნის II ნახევარში ქართლის მეფეები ფრანგ დიდვაჭრებსა და დიპლომატებს სთავაზობდნენ საქართველოს გზებს, ქალაქ თბილისს, როგორც „ყველაზე მოსახერხებელ ადგილს სატრანზიტო საქონლის დასაბინავებლად, დასავლეთისა და აღმოსავლეთის ვაჭრობაში“ (ვ. გაბაშვილი). მსგავსი პროექტი შესთავაზა სულხან-საბა ორბელიანმა ვერსალის კარს, სადაც იგი სათანადოდ შემუშავებული გეგმებითა და საქართველოს რუკით ჩავიდა.

ლევან II დადიანი ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილი პირველი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეა, რომელმაც არა მარტო შეიმუშავა, არამედ ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქართველო-ევროპის ვაჭრობის პროექტის ხორცშესხმას.

კათოლიკური მისია ოდიშში შემდეგაც განაგრძობდა მოღვაწეობას, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანი ამის შემდეგ არაფერი მომხდარა. მისიონერები თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას, კათოლიკური მრწამსის პროპაგანდას განაგრძობდნენ.

6.6. ლევან II-ისა და დინასტიის უკანასკნელი წლები

XVII საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს და 40-იან წლებში ლევან II დადიანის უმთავრესი ყურადღება, საგარეოპოლიტიკურ ღონისძიებებთან ერთად, მეზობელ ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან ურთიერთობას ეთმობა.

1639 წელს გარდაიცვალა გურიის მთავარი და დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მალაქია. ლევან II დადიანი სასწრაფოდ ჯარით შევიდა გურიაში, რათა იქ თავისი

მონაპოვრები არ დაეკარგა. მას მთავრად გამოუცხადებია მალაქიას ძმა ვახტანგ II. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს აქტი ლევანს „სხვათა სურვილის წინააღმდეგ“ მოუხდენია. როგორც ჩანს, გურიის დიდებულებს სურდათ ისეთი მთავარი დაესვათ ტახტზე, რომელიც ოდიშისაგან დამოუკიდებელი იქნებოდა. მისიონერები აღნიშნავენ, რომ ლევანმა „დასვა მთავრად მალაქია კათალიკოსის ძმა ვახტანგ, რადგან თვითონ ეს უნდოდა და არა ის, ვისაც სჯულისამებრ ეკუთვნოდა გურია“. საინტერესოა, ვის ეკუთვნოდა გურია „სჯულისამებრ“? ასეთი კანდიდატი უნდა იყოს ოტია გურიელი, სიმონ II-სა და ლევანის დის, მარიამის ვაჟი. იგი ქართლში ცხოვრობდა, მამინაცვლის, როსტომის კარზე და სრულიად ახალგაზრდა, 1645 წელს გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ლევანი ოტიას ღვიძლი ბიძა იყო, მას ჩანს არც კი გაუფიქრებია მისი ტახტზე დასმა, რადგან დასჯილი სიმონის შვილი უეჭველად ეცდებოდა ბიძისათვის სამაგიერო გადაეხადა. მან არჩია ვახტანგ II, რომელიც როგორც მისი დასმული მთავარი, ოდიშის მთავრის ბრძანებების შემსრულებელი იყო. მოაგვარა რა გურიის საქმეები, ლევანი ოდიშს დაბრუნდა და წაიღო მალაქია გურიელის დაახლოებით ერთ მილიონად ღირებული მთელი ქონება. ვახტანგ II-ს დიდხანს არ დასცალდა მთავრობა. იგი 1640 წელს გარდაიცვალა. გურიის ტახტი ისევ ლევანის ახლობელმა და მისანდო პიროვნებამ — ქაიხოსრო I-მა დაიკავა (1640-1658 წწ.). გურია-ოდიშის ურთიერთობა სტაბილური იყო. ლევანის გარდაცვალებამდე გურიის სამთავროს მესვეური მისი ნება-სურვილის აღმსრულებელია.

1639 წელსვე გარდაიცვალა ნესტან-დარეჯან ჭილაძე, ლევან II დადიანის მეუღლე. ქართული და უცხოური წყაროების ერთხმა ცნობით, ლევანი ღრმა გლოვასა და სევდას მოუცავს. არ დარჩენილა ოდიშში ეკლესია-მონასტერი, რომელსაც საბოძვარი არ მიეღოს ნესტან-დარეჯანის სულის საკურთხებლად და ცოდვათა მოსანანიებლად. ლევანის საოქრომჭედლო სახელოსნოში არაერთი ხატი მოიჭედა, რომელთა უმრავლესობას „ამ სოფლის მნათი“ ნესტან-დარეჯანის სახელიც ამშვენებს. ლევან დადიანის დიდმა და ცოდვიანმა სიყვარულმა იერუსალიმსაც კი მიაღწია. ლევანმა ვალებიდან გამოიხსნა ჯვარის მონასტერი, მისი რესტავრაციისათვის სახსრებიც გაიღო და მეუღლესთან ერთად თავიც გამოახატვინა ფრესკაზე.

ძალზე რთული და დაძაბული იყო ამ პერიოდში ოდიშის სამთავროსა და აფხაზეთის ურთიერთობა. ქართული ქრისტიანული სამყაროსაგან აფხაზეთის გაუცხოების პირველი სიმპტომები XV საუკუნის ძეგლში, „მცნება სასჯულოში“ აისახა. ძირძველი, კულტურულ-ისტორიულად ქართული მხარე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვოდა „ყოველი საქართველოს“ მშენებლობის საქმეში, ნელნელა ჰკარგავდა იმ კულტურულ ტრადიციებს, რომელიც ჰკრავდა და ადუღაბებდა ერთიან ქართულ შეგნებას. ამის მიზეზი, ოსმალური აგიტაციისა და აფხაზთა ერთი ნაწილის გამაჰმადიანების გარდა, მთის ელემენტის მოძალებასა და მის ბარში ჩამოწოლაში უნდა ვეძებოთ. მთის ელემენტმა თან მოიტანა პრიმიტიული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ააღორძინა წარმართული რელიგიური შეხედულებანი. ის მხარე, სადაც მდებარეობდა დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის) კათალიკოსის რეზიდენცია, ყველაზე უფრო ნაკლებქრისტიანულ რეგიონად გადაიქცა. ამ ისტორიული მეტამორფოზის ახსნა შეუძლებელია, თუ არ გავითვალისწინებთ მთის ელემენტის მიერ შექმნილ რეალობებს, რომლისთვისაც უცხო და კულტურულად ძნელად ასათვისებელი იყო „ვეფხისტყაოსნისა“ და სახარების კულტურა, ის კულტურა, რომელიც მათ დახვდათ აფხაზეთში და რომლის დეგრადაციაც ნელნელა მოხდა. ნ. ბერძენიშვილი მართებულად შენიშნავდა: „მოხდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა არაერთგან საქართველოს

მთისა და ბარის ურთიერთობაში. ფეოდალური ბარის დასუსტების შემდეგ ჩამოწვა მთა. სრულიად შეუძლებელია, რომ აფხაზეთში ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიურ მთის მეურნეობით შეცვლილიყო, დაწინაურებული ფეოდალური კულტურა მთის ყოფით შეცვლილიყო, რომ აფხაზეთი ქრისტიანობისაგან მიქცეულიყო, თუ იქ მთის ჩამოწოლას არ ჰქონოდა ადგილი".

აქედან ნათელი ხდება, რომ ბრძოლა ოდიშსა და აფხაზეთს შორის მკაფიოდ განსხვავდებოდა შინაფეოდალური ომებისაგან, რომელსაც ერთმანეთში აწარმოებდნენ იმერეთის, ოდიშის თუ გურიის მესვეურები. ეს იყო ბრძოლა ჩამოყალიბებულ ფეოდალურ ურთიერთობებსა და ექსტენსიურ მეურნეობას შორის, ქრისტიანულ კულტურასა და ჩამორჩენილ, მთის კულტურას შორის. აფხაზი წარჩინებულების ექსპანსია მიმართული იყო კოდორსა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიის მიტაცებისაკენ და თავისი არსით, „ქართველობის", ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლას წარმოადგენდა. ეს ექსპანსია თავისი შინაარსით ახლო იდგა „ლეკიანობასთან". ლევან II დადიანი იძულებული ხდება აფხაზეთის მიმართ თავდაცვით პოლიტიკაზე გადავიდეს. აფხაზი წარჩინებულები აძლიერებენ ექსპანსიას ოდიშის დასავლეთი საზღვრებისაკენ. ლევანის ზემოთ აღწერილი ლაშქრობები ვერ აღწევენ სათანადო მიზანს და ვერ სპობენ იმ საშიშროებას, რაც სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებს ადგას, ამიტომაც ლევანმა საზღვრების საგანგებო გამაგრება დაიწყო.

არქანჯელო ლამბერტის ცნობით: „ერთ ადგილას, რომელსაც ოლუშე ეწოდება, მთები გაშლილია და მტერს ადვილად შეეძლო აქედან შემოსვლა და ქვეყნის აოხრება, — დიდი ხარჯით ამოუყვანიათ კედელი სიგრძით სამოცი ათასი ნაბიჯი და კედელში აქა-იქ აუშენებიათ კოშკები, რომლებშიც დგანან თოფებით შეიარაღებული მცველები". დადიანის მიერ კედლის ამოყვანის ფაქტს ვახუშტიც იცნობს: „და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა, აწ ანაკოფიის აღმოსავლეთ ზღვიდან თმამდე შეავლო ზღუდე ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსვლელობისათვის". თ. ბერაძის აზრით, ლამბერტისა და ვახუშტის ცნობები ერთმანეთს ავსებენ და გვიჩვენებენ, რომ ლევანმა ჩრდილო-დასავლეთ საზღვარი გაამაგრა არა მარტო აფხაზთა, არამედ ჩრდილო კავკასიის ტომების შემოსევის წინააღმდეგ. ამ სიმაგრეებს რიგ-რიგობით იცავდნენ ოდიშის დიდებულები თავიანთი ხალხით. ამგვარი ღონისძიებებით ლევანი ამაგრებდა თავის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს, რომელიც მისი გარდაცვალების შემდგომ მალე მოირღვა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ლევანის მიერ აფხაზთაგან დასაცავად ამართულ ზღუდეებს აფხაზი ისტორიკოსები "Великая абхазская стена"-ს უწოდებენ.

მალაქია კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსად დაჯდა მაქსიმე მაჭუტაძე (1639-1657 წწ.). ახალი კათალიკოსი, ისევე როგორც მისი წინამორბედი, ძირითადად ოდიშის კარზე იმყოფებოდა და მისი პოლიტიკის გატარებას უწყობდა ხელს. საეკლესიო ხელისუფალი იქითკენ მიისწრაფვის, სადაც პოლიტიკური ცენტრი ძლიერია, ხოლო ასეთს XVII საუკუნის პირველ ნახევარში ოდიშის სამთავრო წარმოადგენდა. იმერეთის მეფეებს არ ძალუძდათ წინააღმდეგობა გაეწიათ ლევანისათვის. ასე რომ, თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოს ფაქტობრივმა პატრონმა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი თავის კარზე გადმოიყვანა. ლევანი ყოველმხრივ უწყობდა ხელს კათალიკოსს და მის აქტიურ დამხმარედ გამოდიოდა. მაქსიმე მაჭუტაძემ დადიანის საფასით სამჯერ მოიარა იერუსალიმი და მრავალი შეწირულობა ჩაიტანა იქ.

განსაკუთრებით გააქტიურდა 40-იანი წლებიდან ლევან II დადიანის თავდასხმები იმერეთის სამეფოზე. ეს იყო ერთადერთი პოლიტიკური ერთეული, ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელზედაც ამა თუ იმ სახით გაბატონება ვერ მოახერხა ლევანმა. ალექსანდრე III-სა და ლევანს შორის უფრო უარესი მტრობა ჩამოვარდა, ვიდრე ლევანსა და გიორგი მეფეს შორის იყო. ვახუშტის ცნობით, ალექსანდრემ ქუთაისს გალავანი შემოავლო, იქ გამაგრდა და გამოსვლას ვეღარ ბედავდა. საამისო ცნობა მოეპოვება ბერი ეგნატაშვილსაც. ლევანს სულ ცოტა, ისეთივე რეჟიმი სურდა დაემყარებინა

იმერეთში, როგორც გურიაში დამყარდა. ეს კი იმერეთის მეფის „ხელმწიფობის დასასრული“ იქნებოდა, რასაც ალექსანდრე III და მისი დასი შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდნენ.

ჩვენთვის უცნობია ამ ბრძოლები დეტალები და საშუალება გვაქვს მხოლოდ ძირითად მომენტებზე ვისაუბროთ. ლევან II დადიანს ვიღაც ფრანგი ინჟინრის დახმარებით ზარბაზნები ჩამოუსხამს და ამგვარი ძალით, 1645 წელს დიდი შეტევა განუხორციელებია ქუთაისზე. ქალაქს ცეცხლი დაუშინეს, მაგრამ ზიანი დიდი ვერ მიაყენეს. იმერეთის მეფე, როგორც ჩანს, წინასწარ იყო მომზადებული ამ შემოტევისათვის. მას ახლდა იმერეთის ლაშქარი, ლენტეხელი სვანები და ახალციხის ბეგლარბეგის საფარ ფაშას მეთოფეები. როგორც ჩანს, ალექსანდრემ ოსმალეთის მთავრობას მიმართა დახმარებისათვის. ოსმალეთის მთავრობა, როგორც აღნიშნული გვქონდა, მტრულად უმზერდა ლევანის გაძლიერებას. მისი თავდასხმა ქუთაისზე სერიოზული საფრთხის ქვეშ აყენებდა იმერეთის სამეფოს და გამარჯვების შემთხვევაში კიდევ უფრო გაზრდიდა ლევანის სამხედრო-პოლიტიკურ ძლიერებას. ამას ოსმალეთი ვერ შეურიგდებოდა. ამიტომაცაა, რომ იმერეთის მეფე და საფარ ფაშას ძალები მხარდამხარ იცავენ ქუთაისს. ოდიშის მთავარმა ქუთაისი ვერ აიღო. 1646 წლის თებერვალში ლევანი თავს დაესხა აჯამეთსა და ჩხარს, თვით ეს პუნქტები და მათი მიმდგომი სოფლები საშინლად მოაოხრა. ეს ყოველად გაუმართლებელი თავდასხმები, რომელთაც ლევანი თვითვე აღწერს ფხოტერერის მთავარანგელოზთა ხატის წარწერაში, ქუთაისის აღებას ისახავდნენ მიზნად. იმერეთის სამეფოსათვის მძიმე დრო დადგა. ლევანი მთელ თავის ენერგიასა და სამხედრო ძლიერებას ახმარდა ამ ბრძოლას. იმერეთის მეფე ისეთ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ იძულებული შეიქნა საგარეო მოკავშირეები შეეძინა ოდიშის მთავრის წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ი. ჰამერის ნაშრომიდან ჩანს (იგი ამ შემთხვევაში ეყრდნობა საარქიეო მასალებს), ალექსანდრე იმერეთის მეფეს დიდვეზირ სალიჰ ფაშასათვის გაუგზავნია 3000 პისტრი. სალიჰ ფაშამ მოითხოვა ამ თანხისათვის კიდევ 1700 პისტრის დამატება და დაპირდა იმერეთის მეფეს, რომ უბრძანებდა „გურიისა და სამეგრელოს მთავრებს“, ე. ი. ფაქტობრივად ლევან II დადიანს, აღარ შეეწუხებინათ იმერეთი. ეს პირობა მას შეუსრულებია კიდეც. ი. ჰამერი იმოწმებს ოსმალეთის მთავრობის წერილს დადიანისადმი, რომელიც შეიცავდა ბრძანებას, დახსნოდა იმერეთს. სალიჰ ფაშას ამ ცდამ, როგორც ჩანს, შედეგი არ გამოიღო. ლევან II დადიანი უფრო მეტი „გულმოდგინებით“ შეუდგა იმერეთის მოოხრებას.

იმერეთის სამეფოს თავდაცვას ლევანისაგან ხელმძღვანელობდა ალექსანდრე მეფის ძმა მამუკა ბატონიშვილი. მამუკა ნიჭიერი სარდალი და კარგი ორგანიზატორი ყოფილა და მხოლოდ იგი უწევდა ლევანს ღირსეულ წინააღმდეგობას. მეფე ალექსანდრე III, როგორც ჩანს, ამგვარი ნიჭით ნაკლებად იყო დაჯილდოებული. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ლევან II-ს განსაკუთრებულად სძულდა მამუკა. ფარსადან გორგიჯანიძის ერთი ცნობით, ლევანს მოუნდომებია თავის ქალიშვილი მამუკასათვის მიეთხოვებინა. ამით მას, როგორც ჩანს, მისი განეიტრალება სურდა. არაა გამორიცხული ისიც, რომ ლევანს განზრახული ჰქონდა მამუკა (თუ მისი სიძე შეიქნებოდა) იმერეთის ტახტზე დაესვა და ამდენად, მართვის სადავეები ხელთ ეგდო. ეს განუხორციელებელი აღმოჩნდა. „მამუკა ბატონიშვილს ჩხეიძის ბეჟიას ქალი ნათხოვნი ჰყავდა და დადიანს თავისის ქალის მიცემა უნდოდა“. უარმა, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ჩაამუქა ურთიერთობა. 1647 წელს ლევანი ისევ დაესხა ქუთაისს და ტყვედ ჩაიგდო მამუკა ბატონიშვილი. ეს ალექსანდრე III-თვის დიდი დანაკლისი იყო. იმერეთის მეფემ მამუკას გამოსახსნელად თავისი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე ბაგრატიც კი გამოიყენა. ბაგრატი ლევან დადიანს გაუგზავნეს მძევლად, იმ პირობით , რომ იგი მამუკას გაათავისუფლებდა. ლევანმა პირობა არ შეასრულა, მამუკა არ გაათავისუფლა და მეტიც, ბაგრატ ბატონიშვილიც თავისთან დაიტოვა. ამგვარად, ლევანის ხელში მოექცნენ იმერეთის ტახტის მემკვიდრე და მისი ბიძა. ალექსანდრე მეფის მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ იმერეთის თავადთა ნაწილი ლევან დადიანისა და როსტომ ქართლის მეფის სამსახურში ჩადგა. ასეთი იყო, მაგალითად, ზაალ წერეთელი, რომელიც 1648 წელს განდევნა ალექსანდრემ. ლევან დადიანმა ერთგული თავადი როსტომ მეფეს „ბიაბარა“ და მანაც „ერთგულს და მინდობილსა ყმასა წერეთელს ზაალს“ სამკვიდრო მამული, თიღვა უწყალობა. ქართლის მეფის აგენტი იყო ალექსანდრე იმერეთის მეფის მდივანი ფეშანგიც.

1648 წელს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთი მნიშვნელოვანი გარემოება მოხდა. კახეთის მეფე თეიმურაზ I დამარცხდა როსტომ ქართლის მეფესთან და ირანთან ბრძოლაში და საბოლოოდ დაჰკარგა ტახტი. იგი თავისი ოჯახით, მომხრეებითა და ამალით იმერეთს გადავიდა. ფარსადან გორგიჯანიძის ერთი ცნობით, ალექსანდრე იმერეთის მეფეს თეიმურაზისათვის დახმარების გაწევა მოუნდომებია, მაგრამ ეს შეუძლებელი გამხდარა ლევან დადიანის მეტისმეტი სიძლიერის გამო: „მეფემ ალექსანდრემ ამისათვის ბატონს თეიმურაზს ვერ მოეხმარა, რომ ლევან დადიანი ძლიერი ბატონი იყო და მეფეს როსტომს მისი და მარიამი ცოლად ჰყავდა“. მართლაც, ალექსანდრე ვერ

მიატოვებდა იმერეთს, თანაც ლაშქრითურთ. ჯერ ერთი, როსტომი ეცდებოდა მის განადგურებას, მეორე, ლევან დადიანი იმწამსვე დაიჭერდა უჯაროდ დარჩენილ იმერეთს. სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს გორგიჯანიძის ეს ცნობა.

ამავე წელს, თეიმურაზ I-მა და ალექსანდრე იმერეთის მეფემ რუსეთში ელჩები გაგზავნეს და დახმარება ითხოვეს. ყურადსაღებია, რომ ვახუშტი ალექსანდრეს მიერ ელჩობის გაგზავნის დადიანის სიძლიერეს უკავშირებს. რუსეთის მთავრობამ დააკმაყოფილა მეფეების თხოვნა და 1650 წელს ელჩებად გამოგზავნა სტოლნიკი ტოლოჩანოვი და დიაკი ივევლევი. ხსენებული ელჩები იმერეთში 1651 წელს ჩამოვიდნენ.

იმერეთის მეფის ერთადერთი მიზანი, როდესაც რუსეთში ელჩს აგზავნიდა, ლევან II დადიანის წინააღმდეგ დახმარების მიღება იყო. დასავლეთ საქართველოში შემქნილ პოლიტიკურ სიტუაციაში, იმერეთის მეფეს სხვა გზა არ ჰქონდა. ლევან II დადიანთან მისი ბრძოლა ამჯერად გაცილებით უფრო მძიმე პირობებში მიმდინარეობდა, ვიდრე წინათ. ოსმალეთის მხრივ იმერეთის მხარდაჭერამაც ვერ შეაცელევინა ლევანს ალებული კურსი. უნდა ვიფიქროთ, რომ მან მოახერხა საჩუქრებით „დაეშოშმინებინა" ისინი. ალექსანდრე III რუსეთის მეფეს ალექსი მიხეილის ძეს ატყობინებდა, რომ „დადიანი ჩემი მონა-მორჩილი იყო და ხარკსაც მე მიხდიდა. მე იმისთვის გადამიდგა, რომ ქრისტიანი მეფე ვარ, თურქს კი მიეშხრო, მათი რჯული მიიღო და ერთგულება შეჰფიცა". ჩვენ კარგად ვიცით, რომ ლევანი ოსმალეთთან მაინცდამაინც მეგობრულ დამოკიდებულებაში არ იყო. უფრო კარგად იცოდნენ ეს იმ დროს, როდესაც ზემოციტირებული წერილი დაიწერა. ოსმალეთთან „მეგობრობას" იმერეთის მეფე იმიტომ აბრალებდა ლევანს, რომ რუსეთიდან დახმარება უფრო ქმედითი ყოფილიყო. რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა მტრული იყო და რუსეთი კაზაკების მეშვეობით „ფარულ ომსაც" კი აწარმოებდა ოსმალეთთან. ალექსანდრე უერთდებოდა თეიმურაზის ამაო თხოვნას და 20000 მეომრის გამოგზავნას ითხოვდა.

1651 წლის აგვისტოში თეიმურაზი პირადად ჩავიდა ოდიშში ალექსანდრესა და ლევანის შესარიგებლად და ამასთან კახეთის დასაკავებლად ძალების გამოსათხოვნად. უფრო ადრე, იმავე ზაფხულში ოდიშს ჩავიდნენ ალექსანდრეს აზნაური „რამაზანი" და ნიკიფორე იღუმენი (ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი). თეიმურაზ მეფის კაცმა ის ცნობაც კი მოიტანა, რომ ლევანს განუზრახავს ბაგრატ ბატონიშვილის დაქორწინება თავის ქალიშვილზე. თეიმურაზ I ლევან დადიანმა ხაზგასმულად კარგად მიიღო. ამას იმერეთში მობრუნებული თეიმურაზიც აღნიშნავდა. თეიმურაზმა თავის მამიდაშვილს, ლევანს მამუკა ბატონიშვილის განთავისუფლება თხოვა. ვახუშტის ცნობით: „წარვიდა ბატონი თეიმურაზ, მან (ლევანმა, ი. ა.) ისტუმრა და პატივსცა დიდად; შემდგომ უწყო ზრახვა... რათა ჰყონ ზავი და... განუტევოს მამუკა შუამდგომლობითა მისითა". ლევანს თითქოს მიუცია თანხმობა, მაგრამ პაატა წულუკიძის ჩაგონებით გადაუფიქრებია და უთქვამს: „უჯერო არს განტევება მტრისა, რამეთუ მოიცემს რა ძალსა, კვალადცა არს მტერიო".

ვახუშტის მოტანილი ცნობა სწორი უნდა იყოს, მაგრამ ნაკლულია. რუსული წყაროს მიხედვით, ლევან II დადიანს შემდეგი პირობები წამოუყენებია: მამუკა და ბაგრატ ბატონიშვილების განთავისუფლებისათვის ალექსანდრე მეფეს მისთვის უნდა გადაეცა „ოცდაათი რჩეული კაცი" თავის მამულებით. ამასთან, ლევანი თეიმურაზისადმი დახმარების სანაცვლოდ წაიყვანდა ერეკლე ბატონიშვილს. სამუდამო შერიგების პირობად ლევანი აღნიშნულ მოთხოვნებს აყენებდა, ეს კი ფაქტობრივად იმერეთის განახევრებას მოასწავებდა. ალექსანდრე იმერეთის მეფემ ამ პირობების შესრულებაზე უარი განაცხადა. მოლაპარაკება ამით არ შეწყვეტილა, იგი თვევების მანძილზე გრძელდებიდა. ლევანი თავისაზე იდგა, ხოლო ალექსანდრე და თეიმურაზი ცდილობდნენ უფრო მისაღები პირობებისთვის მიეღწიათ. ინტენსიური მისვლა-მოსვლა შიკრიკებისა იმერეთსა და ოდიშს შორის რუსების მთელი ელჩობის მანძილზე გრძელდებოდა. ლევანის აზნაური ქუთაისში ჩამოვიდა და ოცი ხარიც ჩამორეკა თეიმურაზისათვის საჩუქრად. ამის შემდეგ თეიმურაზმა თავი მოიავადმყოფა და რუს ელჩებს არ იღებდა, როგორც ჩანს უცდიდა ცნობებს ოდიშიდან. მან კვლავ გაგზავნა „თავის კაცები" ლევანთან და ვფიქრობთ, შესთავაზა ზავი ალექსანდრესათვის უფრო შემსუბუქებულ მდგომარეობაში. ლევანი თავის პოზიციებს არ თმობდა. უშედეგოდ ჩაიარა მიტროპოლიტ ზაქარია ქვარიანის მისიამ ოდიშში, რადგან ალექსანდრე კატეგორიულ უარს აცხადებდა ლევანისათვის გადაეცა სანაპირო ტერიტორია.

ალექსანდრემ გადაწყვიტა სხვაგვარად ემოქმედა. იგი რუს ელჩებს თხოვს, იშუამდგომლონ მიხეილის ძესთან, რათა მან უბრძანოს კაზაკებს ოდიშზე თავდასხმა. კაზაკების მეშვეობით ცდილობს იგი ტყვეობიდან დაიხსნას ძმა და შვილი და ოდიშის მთავარიც მორჩილებაში მოიყვანოს. ამასთან, ალექსანდრე დიდხანს აჭიანურებდა „ფიცის წიგნზე" ხელის მოწერას. იგი უცდიდა ოდიშ-იმერეთის მოლაპარაკების დასრულებას, რომლის შუამავალი თეიმურაზი იყო. სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომ იმერეთის მეფე არ მიიღებდა რუსეთის მეფის ერთგულების ფიცს, ლევანთან მოლაპარაკება

წარმატებით რომ დასრულებულიყო. რუსეთთან კავშირი და მის ქვეშევრდომად თავის აღიარება ალექსანდრეს ლევანის წინააღმდეგ სჭირდებოდა, ხოლო რუსები მაინცდამაინც დიდ იმედებს არ იძლეოდნენ. შეთანხმება ლევანსა და ალექსანდრეს შორის არ მოხდა და 1651 წლის 9 ოქტომბერს ალექსანდრემ ბეჭედი დაუსვა „ფიცის წიგნს".

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე ამის შემდეგაც აყოვნებდა რუსი ელჩების გამგზავრებას. ლევან დადიანი, გაგულისებული ალექსანდრეს მოუტეხელობით, ჯარს ამზადებდა თავდასასხმელად და მხოლოდ ელჩების გამგზავრებას უცდიდა. ბოლოსდაბოლოს ელჩები გაემგზავრნენ და ალექსანდრემ მათ გააყოლა ლომკაცი ჯაფარიძე და არქიმანდრიტი ევდემონი. ალექსანდრე აღარ ითხოვდა სამხედრო ძალით დახმარებას, მხოლოდ სურდა კაზაკებს ოდიში დაერბიათ და ასევე ზარბაზნებს, ან ზარბაზნის მკეთებელი ოსტატების გამოგზავნას ითხოვდა.

რუსი ელჩების გამგზავრების შემდგომ, რაკი დაინახა, რომ ალექსანდრე III ტერიტორიებს არ თმობდა, ლევან დადიანმა განაახლა თავდასხმები იმერეთის სამეფოზე. მისი ბრძანებით თვალები დასთხარეს ტყვეობაში მყოფ მამუკა ბატონიშვილს, რომელიც 1654 წელს გარდაიცვალა კიდეც.

იმერეთის მეფის ელჩები ლომკაცი ჯაფარიძე და არქიმანდრიტი ევდემონი საჩუქრებით გამოისტუმრეს, დაპირებებით გამოკვებეს, მაგრამ რაიმე რეალური დახმარება არ ჩანდა. ალექსანდრე III ისევ მარტო შერჩა ოდიშის მთავარს, რომელიც თავის პრეტენზიებს არათუ არ აძცირებდა, არამედ ზრდიდა კიდეც.

1652 წელს რუსეთში ელჩი გაგზავნა როსტომ ქართლის მეფემაც. მისი მიზანი თეიმურაზის იზოლირება იყო.

1652-1656 წლების მოვლენების შესახებ ჩვენ ფაქტობრივად არ გაგვაჩნია მასალები. ვიცით, მხოლოდ, რომ ლევან II დადიანის თავდასხმები იმერეთზე კვლავ გრძელდებოდა. ბაგრატ ბატონიშვილი ისევ ოდიშის მთავრის ტყვეა.

1656 წელს იმერეთში ჩამოვიდნენ რუსეთის დესპანები ვ. ფიდოვინოვი და ფ. პოროშინი. მათი ელჩობის აღწერილობა ზოგიერთ საინტერესო მასალას გვაძლევს. დესპანების სიტყვით: "Присылал к Теймуразу царю Дальянской Леонтий царь посланников многожды, просячи тогог, чтобы он Теймураз ево Леонтья царя с Александром царем помирил".

დადიანის ყურამდე მისული თეიმურაზის განზრახვა რუსეთში გამგზავრებისა და საწინააღმდეგო აზრი გამოუთქვამს. თუ თეიმურაზი რუსეთში წავა: "Его де с Александром царем помирить будет некому". კათალიკოსის მეშვეობით ლევანმა თეიმურაზ I ზუგდიდში მიიწვია მოსალაპარაკებლად და ასეთი უარეცედენტო მოთხოვნა წაუყენა: "буде зять ево Александр царь хочет с ним помиритца на то что поступица ему Дальянскому царю стольного своего города Кутаиси, и он де Леонтей царь миру на том желает и сына его отдать велит".

იმერეთის სატახტო ქალაქის მოთხოვნა ფაქტობრივად ხელისუფლების მოთხოვნა იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ ქუთაისთან ერთად ოდიშის მთავარს უნდა გადასცემოდა შესაბამისი ტერიტორიაც ოდიშიდან ქუთაისამდე. ე. ი. ლევანს საზღვრის რიონამდე გადაწევა სურდა. როგორც ვხედავთ, 1651 წელთან შედარებით ლევან II დადიანის მოთხოვნები კიდევ უფრო გაიზარდა. ქუთაისის გადაცემა ეს იგივე იყო, ალექსანდრეს გვირგვინი მოეხადა და ან თვით ლევანისათვის, ან მისი კანდიდატისათვის დაედგა. ცხადია, ზავის ასეთ პირობებზე თეიმურაზმა ცივი უარი განაცხადა. მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: დადიანი ადრე, 30-40-იან წლებში არ აყენებდა ამგვარ პირობებს. როგორც ჩანს, იმერეთის სამეფო მისი თავდასხმებისაგან ისე დასუსტდა, რომ მას შეეძლო ქუთაისის გადაცემის საკითხიც კი დაესვა. ალექსანდრე განაგრძობდა ბრძოლას.

ასეთ ვითარებაში, 1657 წელს ლევან II დადიანს შვილი გარდაეცვალა. მას ორი ვაჟი ჰყავდა — ალექსანდრე და მანუჩარი. უფროსი, ალექსანდრე ავადმყოფი და სამთავროს მესაჭეობისათვის გამოუსადეგარი პიროვნება ყოფილა. ლევანს მანუჩარი ჰყოლია შეგულვებული მთავრად. სწორედ ეს მანუჩარი გარდაიცვალა.

ლევანმა სასწრაფოდ მემკვიდრედ გამოაცხადა თავისი მცირეწლოვანი შვილიშვილი, ალექსანდრეს ვაჟი. რეგენტად დაინიშნა ბავშვის დედა, რომლისთვისაც დახმარება უნდა გაეწია ვამეყ ლიპარტიანს. სამთავროს ყველა დიდებული დაფიცებული იქნა ლევანის შვილიშვილის ერთგულებაზე. მძიმე პირადი უბედურების ჟამს, ლევანმა ახალი ცოდვა აღარ აიღო თავის თავზე და ბაგრატ ბატონიშვილიც გაათავისუფლა.

მანუჩარი ჯერ დაკრძალული არ იყო, როდესაც ლევან II დადიანიც გარდაიცვალა. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით: „ლევან დადიანს შვილი მოუკვდა და მამამ შვილის ტირილში ლახტი თავს გარდიკრა და შვილს ზედ დააკვდა დაუმარხავს“. წმინდა გიორგის გელათური გულანის მინაწერში აღნიშნულია: „მარტსა ჩვიდმეტსა, დღესა შაბათსა მიიცვალა სახელოვანი, სახელგანთქმული, მრავალჯერ გამარჯვებული დადიანი ბატონი ლევან, საუკუნომცა არს ხსენება მისი“.

ლევან II დადიანი შესაფერისი პატივით დაკრძალეს წალენჯიხაში. ამის შემდეგ კი ტახტისათვის ბრძოლა გაჩაღდა. ვამეყ ლიპარტიანმა გამთავრება მოინდომა და ალექსანდრე იმერეთის მეფეს მიმართა დახმარებისათვის. პოლიტიკური ვითარება დასავლეთ საქართველოში მკვეთრად შეიცვალა იმერეთის მეფის სასარგებლოდ. ალექსანდრე III დაუყოვნებლივ ოდიშს ჩავიდა ლაშქრით, ლევან დადიანის სალარო წამოიღო და უნაგირას ტერიტორია ჩამოართვა სამთავროს. ამან ოდიშის დიდებულები აამხედრა. ახალი ვითარებით უკმაყოფილო ძალებს სათავეში ჩაუდგა ლიპარიტ დადიანი, ლევანის ძმის, იესეს ვაჟი, რომელმაც მცირე ხნით შესძლო ვამეყის დამარცხება. ვამეყი იმერეთის მეფის ძალას ეყრდნობოდა და კვლავ დაიბრუნა ტახტი. ლიპარიტი ახალციხეს წავიდა როსტომ ფაშასთან და მისგან დახმარება მიიღო. ლიპარიტს ლაშქარი შეაწიეს ქაიხოსრო გურიელმა და როსტომ ქართლის მეფემ. მას უჭერდნენ მხარს ჭილაძენი და მიქელაძენი. 1658 წლის ივლისში,ბანძასთან ბრძოლაში ლიპარიტის კოალიცია დამარცხდა. ლიპარიტი და ქაიხოსრო გურიელი სტამბოლში გაიქცნენ. „მერმე დასვა ალექსანდრე მეფემან კვალად დადიანად ვამეყი და გურიელად დემეტრე... შემდგომად დაახსნევინა ქართველთა, მესხთა, გურულ-ოდიშართა ვერცხლითა თავნი და განუტევა თვისთა ქვეყანათა შინა“.

ვამეყ დადიანმა რეპრესიები დაიწყო იმათ წინააღმდეგ, ვინც მის ბატონობას არ ცნობდა. ზოგიერთი თავადი თვალების დათხრით დაისაჯა. რეპრესიების მსხვერპლი შეიქნა ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი. ლევან II დადიანმა სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე ნიკოლოზი კათალიკოსად დაადგინა. ახალმა კათალიკოსმა ლევანის გარდაცვალების შემდეგ „მთავარ ლიპარტიანს“ ბევრი უსიამოვნება მიაყენა, საჯაროდ შეაჩვენა იგი, ამიტომ მან შეუძლებლად ცნო მისი დატოვება, გადააყენა თანამდებობიდან და ციხე-კოშკში ჩაამწყვდია. ეს ცნობა უკანასკნელია, რაც ვიცით თვალსაჩინო ქართველი მოღვაწის შესახებ. იგი, როგორც ჩანს, საპყრობილეში გარდაიცვალა.

ოდიშის სამთავროს მძიმე მდგომარეობით ისარგებლა ოსმალეთმა, რომელმაც მოინდომა ახალი მთავარი სულთნის ბრძანებით დანიშნულიყო. ოსმალეთის დიდვეზირმა მეჰმედ ქოფრულუმ წერილი გამოატანა ვინმე აჰმედ აღას და მორჩილება მოითხოვა.

1658 წელს თეიმურაზ I მოსკოვს ჩავიდა და დახმარება ითხოვა. რუსეთი ამ დროს მძიმე ომს აწარმოებდა პოლონეთთან და შვეციასთან და იგი, ჩვეულებისამებრ, ცარიელი სიტყვით გამოისტუმრეს.

1660 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე III. ამის შემდეგ დასავლეთ საქართველო სრულმა ანარქიამ მოიცვა. კალეიდოსკოპივით ცვლიან ერთმანეთს ტახტზე დადიანები, გურიელები, იმერეთის მეფეები. ისტორიას უყვარს მოულოდნელობები. ის, რაც თავის ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ლევან II დადიანმა ვერ შესძლო, მოახერხა უფერულმა და როგორც მას უწოდებდნენ, „უხმლო“ კაცმა, ვამეყ ლიპარტიანმა. იგი, მართალია, მცირე ხნით, იმერეთის ტახტზე დაჯდა.

ოდიშის სამთავროს სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობები უკიდურესად დაეცა. ლევან დადიანს არავინ დარჩენია ისეთი, რომელიც მას ემსგავსებოდა, როგორც ორგანიზატორი. სრულიად მოიშალა მისი ღონისძიებით შექმნილი რუხის „ქალაქი“. აქ მოსახლე სომეხი და ებრაელი ვაჭრები იმერეთს გადაბარგდნენ. ოდიშის სამთავროს

მაგალითზე თვალნათლივ ჩანს, თუ რაოდენ უნაყოფოა ქვეყნის მმართველის ღონისძიებები, თუ მას დრო და პირობები არ უწყობენ ხელს. მარცხით დამთავრდა ლევან II დადიანის მცდელობები სამთავროს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებისათვის. უდღეური აღმოჩნდა მისი მისწრაფება დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისაკენ. არცერთი ეს ღონისძიება არ წარმოადგენდა ქვეყნის შინაგანი ძალების განვითარების შედეგს, ამიტომაც ხელოვნური აღმოჩნდა და ლევან II დადიანის გარდაცვალებისთანავე გაქრა. სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა მხოლოდ მისი მცდელობა კულტურის დარგში, რომელსაც ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა.

მეტად მძიმე შეიქნა ოდიშის სამთავროს საშინაო ვითარება. თუ ლევან II დადიანს თავისი თავადები „დესპოტური მორჩილების" ქვეშ ჰყავდა და ისინი თვითნებობას ვერ ბედავდნენ, ლევან III დადიანი მათ სათამაშოდ იქცა. ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, რომელიც 1664-1665 წლებში იყო ოდიშში, ასე აგვიწერს ვითარება: "Леван не имеет никакой власти, а вся власть находится в руках его вельмож". ლევან III "не отличался ни сообразительностью, ни мудростью, ни красноречием". მაკარისავე ცნობით, ლევან III-ეს არც მეომრებში ჰქონია დიდი ავტორიტეტი.

თანდათანობით მოიშალა სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი, რადგან მას არავინ იცავდა და აფხაზეთის წარჩინებულები აქტიურად ჩაერიენენ ოდიშის საქმეებში. XVII საუკუნის 80-იანი წლებისათვის მათ ნელნელა გაიფართოვეს მიწა-წყალი. საზღვარი კელასურ-კოდორიდან ჯერ ლაღიძგამდე, შემდეგ კი ენგურამდე გადმოვიდა. ამას თან ახლდა მოსახლეობის აყრა-დაწიოკება, ოსმალეთში დაყიდვა. გაევრანდნენ ღალიძგის, ნაჟანეულის, კვიტაურის სასახლეები. კოდორიდან ენგურამდე ნასოფლარები მომრავლდა. იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის ცნობით, აფხაზებმა მოაოხრეს მოქვი, ზუგდიდი და მთელი ტერიტორია „დიოსკურიიდან ჰიპიუსამდე" (სოხუმიდან ცხენისწყალამდე). შემდეგ დაიწყო მათი მასობრივი ჩამოსახლება. გაჩნდა ახალი ისტორიულ-გეოგრაფიული ცნებები — „აბჟუა", „სამურზაყანო".

ოდიში, ისევე როგორც მთელი დასავლეთი საქართველო, ოსმალო დამპყრობლების უშუალო ზემოქმედების, მათი თარეშის ობიექტი შეიქნა.

დაცემა-დაქვეითების ამ ფონზე ლევან II დადიანის სახელს დიდი პატივით იხსენიებდნენ მტერნიც და მოყვარენიც. იხსენიებდნენ მის „ჯრმლიანობას", მორჭმულობასა და გონიერებას.

ლევანი უეჭველად იყო თავის დროის გამოჩენილი პიროვნება. აღზრდით, განათლებითა და მისწრაფებებით იგი იყო თავისი ეპოქის საქართველოს ღვიძლი შვილი. ამავე დროს ლევან II გამოირჩეოდა მჩქეფარე ენერგიით, სამხედრო ნიჭითა და პოლიტიკური ალღოთი. მის მრავალმხრივ მოღვაწეობას აქვს დადებითი, პროგრესული მხარეები, როგორებიცაა ზრუნვა ქართული კულტურისა და ქრისტიანობის ძეგლებისათვის, სამთავროს ეკონომიკური წინსვლისათვის, ევროპასთან დაახლოებისათვის, ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დაცვისათვის მთის ელემენტისაგან. ლევანი აწარმოებდა ოსმალური აგრესიის წინააღმდეგ თანმიმდევრულ პოლიტიკას. ყოველივე ეს დიდად დასაფასებელი ღვაწლია.

მეორეს მხრივ, უშედეგო და ამდენად გაუმართლებელი იყო ლევან II დადიანის პოლიტიკა იმერეთის სამეფოს მიმართ. მას სურდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და ეს რომ განეხორციელებინა, უდიდეს საქმეს გააკეთებდა, მაგრამ საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დაქუცმაცებულობისა და საგარეო ვითარების პირობებში ეს განუხორციელებელი აღმოჩნდა.

თავი ეთერვიდ

ოდიშის სამთავრო დადიან-ჩიქოვანთა დინასტიის მმართველობის ხანაში

7.1. XVII ს. მიწურულიდან XVIII ს. დამდეგამდე

XVII-XVIII სს-ის მიჯნაზე როგორც ოდიშის სამთავროს საზღვრები, ასევე მმართველი ელიტა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ეს პირველ რიგში გამოწვეული იყო იმ მოვლენებით, რაც ამ ხანაში თან მოჰყვა ოდიშის სამთავრო დინასტიის შეცვლას.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ლევან III დადიანი „ჩღპ" ანუ 1680 წელს გარდაიცვალა. როგორც 1681 წლის 12 ოქტომბერს ოდიშიდან რომში კათოლიკე მისიონერის გაეთანო ტურქოს წერილიდან ირკვევა, სინამდვილეში, ოდიშის მთავარი ამ წლის ოქტომბრის „წინა თვეებში", დაახლოებით 1681 წლის პირველ ნახევარში გარდაიცვალა. ცოტა ხნის შემდეგ მოკვდა ოდიშის მთავრის პირადი მტერი, ბაგრატ IV იმერთა მეფე და დასავლეთ საქართველოში ახალი ძალით იფეთქა შინაომმა, რომელიც 1660 წლიდან, ალექსანდრე III იმერთა მეფის გარდაცვალების შემდეგ ფაქტობრივად არც კი შეწყვეტილა.

იმერეთის მეფისა და ოდიშის მთავრის თითქმის ერთდროულად გარდაცვალების შემდეგ დასავლეთ საქართველოში ყველაზე ძლიერ ძალად გიორგი III გურიელი ჩანდა. გურიის მთავარს მძვლად ჰყავდა ლევან III დადიანის ერთადერთი კანონიერი ვაჟი მანუჩარი, ხოლო ბაგრატ IV იმერთა მეფის ვაჟი კი, ფაქტობრივად ტყვედ იმყოფებოდა ქართლის მეფეს გიორგი XI-სთან, რომელსაც იმერეთის სამეფო ტახტი თავისი ძმისთვის, მოსკოვში გადახვეწილი არჩილ მეფისათვის უნდოდა. ამიტომ გურიის მთავარმა მოინდომა ერთდროულად დაეკავებინა იმერეთისა და ოდიშის თავისუფალი ტახტები. თავდაპირველად წარმატებას მან იმერეთში მიაღწია. მალე, იმავე 1681 წელს გიორგი III გურიელმა, იმერეთის დიდებულთა ერთი ნაწილის დახმარებით, იმერეთის სამეფო ტახტი დაიკავა, ოდიშში კი მის პრეტენზიებს წინ ოდიშის დიდებულები აღუდგნენ, რომელთაც კაცია ჩიქოვანი მეთაურობდა.

ჩიქოვანთა საგვარეულო (წერილობით წყაროებში – აგრეთვე ჩიქოვანი, ჩიქუანი, ჩიქვანი) პირველად XIII ს-ის მეორე ნახევარში სვანეთის წერილობით ძეგლებში გვხვდება. როგორც ირკვევა, ჩიქოვანებმა ადრე მიატოვეს სვანეთი და ბედის საძიებლად დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებს, პირველ რიგში, ლეჩხუმს მიაშურეს, თვით კაცია ჩიქოვანი, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ლეჩხუმის სოფელ გორდის „მდაბალი აზნაური" იყო, რომელიც ოჯახს თაფლის ვაჭრობით ინახავდა.

ლეჩხუმი საისტორიო წყაროებში XV-XVI სს-დან გვხვდება. ამ დროისათვის ეს მხარე მოიცავდა მდინარეების ცხენისწყლისა და რიონის ხეობების შუა წელს და მდ. რიონის მარჯვენა შენაკადის ლაჯანურას ხეობას. ლეჩხუმს ძალზე მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა ეკავა, რადგან ერთდროულად ოდიშს, სვანეთს, რაჭას და იმერეთს ესაზღვრებოდა. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ იგი იმერეთის სამეფოს საზღვრებში და საკუთრივ იმერეთის მეფეთა დომენში შედიოდა. ეს მხარე იყო „ტალანი იმერთა მეფისა", ანუ აქედან გამოდიოდა იმერეთის მეფის პირადი დაცვის დიდი ნაწილი. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ლეჩხუმი მთიანი მხარეა და დასავლეთ

საქართველოს ბარის რეგიონებთან შედარებით ფეოდალური ურთიერთობანი შედარებით სუსტად იყო განვითარებული. ლეჩხუმში XVII ს-მდე სათავადოები არ არსებობდა, ხოლო გლეხობის დიდ ნაწილს ლაშქარში სამსახური ეკალებოდა. ამიტომ გვიანშუასაუკუნეებში ლეჩხუმიდან თავის მოსახლეობასთან შედარებით ბევრად უფრო მეტი მოლაშქრე გამოჰყავდათ, ვიდრე დასავლეთ საქართველოს ბარის მხარეებიდან.

ჯერ კიდევ ლევან II დადიანი შეეცადა ლეჩხუმი ოდიშის სამთავროს საზღვრებში მოექცია. მის დროს კაცია ჩიქოვანის მშობლიური სოფელი გორდი უკვე ოდიშის მთავარს ემორჩილებოდა. საკუთრივ ლეჩხუმში დაწინაურდნენ ლასხიშვილების და ინასარიძეების საგვარეულოები, რომლებიც ამ მხარეში თავიანთი სათავადოების შექმნისათვის იბრძოდნენ. ასეთ პირობებში იმერეთის მეფეებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლეჩხუმის „მდაბალი“ და საშუალო აზნაურების მხარდაჭერას. ალბათ, ამის გამო გიორგი III იმერთა მეფემ (1604-1639) ხელი შეუწყო ოდიშის მთავარზე განაწყენებულ კაცია ჩიქოვანის უფროსი ძმის, გაბრიელ ჩიქოვანის საეკლესიო კარიერას. გიორგი III იმერთა მეფის მემკვიდრის ალექსანდრე III ხანაში გაბრიელ ჩიქოვანი ცაგერის ეპისკოპოსობას ანუ ცაგერლობას აღწევს. იგი ალექსანდრე III იმერთა მეფის ერთ-ერთი უახლოესი და უერთგულესი პირი გახდა. ასე რომ, 1651 წლის 23 სექტემბერს, გაბრიელ ცაგერელი, რუსი ელჩების ნიკიფორე ტოლოჩანოვისა და ალექსეი იევლევის საპატივცემულოდ გამართულ სადილზე იმერთა მეფის მარცხენა მხარეს მეორე იჯდა იმერეთის სასულიერო და საერო დიდებულებს შორის. ცოტა ხნის შემდეგ, 1651 წლის 9 ოქტომბერს, „ცაგერის ყოვლადწმინდის არქიეპისკოპოსი გაბრიელ“ იმერეთის მეფის რუსეთისადმი „ფიცის წიგნზე“ ხელისმომწერთა შორისაა. ამ დროს იგი, როგორც დღემდე მოღწეული მის მიერ გაცემული რამდენიმე „შეწირულობის წიგნი“ მოწმობს, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ლეჩხუმი „სადადიანო“ არ გახდეს, ანუ ოდიშის სამთავროს საზღვრებში არ შეეიდეს. 1660 წ., ალექსანდრე III იმერთა მეფის გარდაცვალების შემდეგ გაბრიელ ცაგერელი თავის პოზიციას რადიკალურად იცვლის და უკვე ოდიშის მთავრის ვამეყ III დადიანის ბანაკში გადადის. ეტყობა, მას იმედი ჰქონდა, რომ ოდიშის მთავართა დახმარებით, საეკლესიო და სამეფო მიწების, აგრეთვე მეტოქე ლასხიშვილებისა და ინასარიძეების საგვარეულოს ხარჯზე, მისი მამის ოჯახის წევრები (თავად გაბრიელს, როგორც ბერს, საკუთარი ოჯახი არ ჰყავდა) ლეჩხუმში სათავადოს შექმნას მოახერხებდნენ. გაბრიელ ჩიქოვანი გვერდში ედგა ვამეყ III დადიანს ქართლის მეფე ვახტანგ V, იგივე შაჰნავაზის დასავლეთ საქართველოში მეორედ ლაშქრობის დროს იგი. ქართლის მეფისაგან იცავდა ქუთაისის ციხეს, მაგრამ ტყვედ ჩავარდა და ქართლის მეფემ მეომარი ეპისკოპოსის სომხითში გაგზავნა და მისი საპყრობილეში ჩაგდება ბრძანა, რაც მოკლე ხანში ასრულებული იქნა. მცირე ხნის შემდეგ გაბრიელ ცაგერელი „გამოეპარა ვახტანგ მეფეს შულავრიდან“, დაიბრუნა თავისი საეპისკოპოსო კათედრა და ოდიშის ახალ მთავარს – ლევან III დადიანს დაუკავშირდა. ოდიშის მთავარმა მალე მას ჭყონდიდლობა ანუ ჭყონდიდის ეპისკოპოსობა უბოძა. ასე რომ, 1666 წლის ვერცხლის ფეშხუმის წარწერაში გაბრიელ ჩიქოვანი ჭყონდიდელ-ცაგერელად არის მოხსენიებული. მოგვიანებით გაბრიელმა ოდიშის მთავრისაგან ბედიის საეპისკოპოსოც მიიღო, ამიტომ XVII ს-ის 70-იანი წლების ერთ შეწირულების წიგნში უკვე „ჭყონდიდელი-ცაგერელი-ბედიელი ჩიქვანი გაბრიელი“ გვხვდება. როგორც აღინიშნა, ამ მღვდელმთავარს საკუთარი ოჯახი არ ჰყავდა და ამიტომ პირველ რიგში, თავისი მამის ოჯახის წევრების კარიერაზე ფიქრობდა. გაბრიელმა ჯერ თავის ძმაზე – კაცია ჩიქოვანზე იზრუნა: მისი რჩევით ლევან III დადიანმა კაცია ჩიქოვანს სალიპარტიანო და ლიპარტიანობა უბოძა, თანაც თავის უმაღლეს მოხელედ – ვეზირად დანიშნა. ეს

მოხდა 1666-1672 წლებში, რადგან 1672 წელს კათოლიკე მისიონერის ძამპის მიერ რომში გაგზავნილ წერილში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ „მეფის მინისტრმა“ კაცია ჩიქოვანმა ძალაუფლება ჩაიგდო ხელში და მისიონერებს დიდი გაჭირვება მიაყენა. მართლაც, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, კაცია ჩიქოვანი „იყო კაცი მკნე და შემძლებელი საქმეთა, არამედ ულმრთო და მესისხლე, აზრახებდა დადიანს და მოსვრიდიან წარჩინებულთა ოდიშისათა“. ამ დროს იგი ოდიშში უკვე საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდა თავს, რადგან კაცია და მისი ძმა პირველი პირები იყვნენ ოდიშის მთავრის კარზე. ამას მოწმობს თუნდაც 1673 წ. ლევან III დადიანის მიერ გაცემული ერთი სიგელი, სადაც მოწმეებს შორის ყველაზე ადრე „ჭყონდიდელი-ცაგერელი ბატონი გაბრიელ, ჩვენი სახლის უფროსი და ვეზირი ლიპარტიანი კაცია“ გვხვდება.

ოდიშში დამკვიდრების შემდეგ გაბრიელ ჩიქოვანს არც ლეჩხუმი მიუტოვებია და კვლავინდებურად იგი იმერეთის სამეფოს სასულიერო დიდებულთა შორის ითვლებოდა. ამას მოწმობს 1669 წ. ბაგრატ IV იმერთა მეფის მიერ მოსკოვში გაგზავნილი „სათხოვარი წიგნი“, სადაც იმერეთის სამეფოს საერო თუ სასულიერო წარჩინებულთა შორის „ცაგერელი მამამთავარი გაბრიელი“ გვხვდება.

ამ ხანებში გაბრიელ და კაცია ჩიქოვანებმა, თავისი დიდი ოჯახის სხვა წევრებთან ერთად ლეჩხუმში, სოფელ ნაყურალეშში ეკლესია ააშენეს და საკუთარი და თავისი ოჯახის სხვა წევრების ფრესკებით შეამკეს. ფრესკულ წარწერებში განსაკუთრებული მაღალფარდოვნობით კაცია ჩიქოვანის ფრესკის წარწერა გამოირჩევა: „ლეჩხუმისა და სალიპარტიანოს პატრონი,ოდიშის თავი და იმერეთისა და ოდიშის სარდალი, ჩიქვანი ბატონი კაცია“. დაახლოებით ამავე ხანაში კაცია დადიანმა თავისი და უშუალოდ თავისი ოჯახის წევრები ოდიშში, მარტვილის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზეც გამოხატა: „ჩვენ ცვაფარვათა შენთა მინდობილმან ლეჩხუმისა და საინასარიძოს პატრონმან, დიდისა ჭელმწიფისა მეფისა და დადიანის ვეზირმან, – ვკითხულობთ ფრესკულ წარწერაში, – იმერეთისა და ოდიშის თავმან და სარდალმან, ჩიქოვანმან კაციამ, ძემან ჩუენმა გიორგიმ, იოსებ, ოტიამ დავახატინეთ სამხრო ესე ტაძრისა შენისა“.

ბუნებრივია, ასეთი პრეტენზიების მქონე კაცია ჩიქოვანი შეეცდებოდა არ დაეშვა გიორგი III გურიელი ოდიშში, რადგან ლევან III დადიანის გარდაცვალების შემდეგ „ოდიში იყო უპატრონოდ და კაცია ჩიქოვანი იყო თავი და გამგე მათი“. მალე იმავე 1681 წელს კაცია ჩიქოვანიც გარდაიცვალა და „დაიპყრა ლიპარტიანობა ძემან კაციასამან გიორგიმ უმეტეს მამისა თჳსისა, და სვრიდა უწყალოდ და ჰყიდდა ტყუედ ოდიშართა“.

გიორგი III გურიელის მოწინააღმდეგე ოდიშის დიდებულები უკვე გიორგი ლიპარტიანის მეთაურობით, გურიის მთავრისაგან გურიაში მძევლად მყოფი ლევან III დადიანის ვაჟის მანუჩარის დაბრუნებას მოითხოვდნენ ოდიშში გასამთავრებლად. მაშინ გურიის მთავარმა გადაწყვიტა ოდიშის ტახტის მემკვიდრე თავიდან მოეშორებინა. მართალია 1681 წლის აგვისტოში თუ სექტემბერში ქობულეთში ქართლიდან სტამბულში გზად მიმავალმა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა გურიის მთავარს საგანგებოდ აუხსნა, რომ იმედი არ უნდა ჰქონოდა, რომ ოსმალეთის ხელისუფლება მას „სამი სამეფოს“, ე. ი. გურიის, ოდიშისა და იმერეთის ერთდროულად დაუფლების ნებას მისცემდა და ურჩია „ოდიშში დადიანის ვაჟი“ ე. ი. მანუჩარი დაეყენებინა, მაგრამ გიორგი III გურიელმა ეს რჩევა არ შეისმინა. პირიქით, პატრიარქის ოსმალეთში გამგზავრების შემდეგ მოკლა მანუჩარი დადიანი, თვითონ კი თავისი კანონიერი მეუღლე მიატოვა და ცოლად იმერეთის ტახტზე თავისი უფლებების განმტკიცების მიზნით, საკუთარი სიდედრი, ბაგრატ IV იმერთა მეფის ქვრივი, თამარი შეირთო. სწორედ ის თამარი, რომელიც თითქმის ოცი წლის მანძილზე გაუთავებელი ომის მიზეზი იყო ლევან III დადიანსა და იმერეთის მეფეს შორის. ეს მოხდა 1681 წლის შემოდგომაზე. ამის შემდეგ, როგორც ირკვევა, გიორგი III გურიელმა ერთხანს მოახერხა გარკვეული წარმატებისათვის

მიეღწია ოდიშში. ამას მოწმობს ორი საეკლესიო დოკუმენტი, რომელმაც დღემდე მოაღწია. ორივე დოკუმენტს თარიღად „ათას ექუსას ოთხმოცდაორი“ უზის. „მას ჟამსა ოდეს გიორგიმ გურიელმან იმერეთი, ოდიში დაიჭირა“, — ეკითხულობით ერთ-ერთ ამ დოკუმენტში, რომელიც შეწირულების წიგნს წარმოადგენს. მეორე ასევე შეწირულების წიგნში აღნიშნულია, რომ „ოდეს გურიელმან ოდიში დაიჭირა, მე ზებედეს ქვაჩი ყურუა შემომეხვეწა“.

გიორგი III გურიელის მოწინააღმდეგეებმა გადაწყვიტეს ოსმალეთის ხელისუფლებისათვის მიემართათ. დოსითეოს პატრიარქის რჩევით, ქართლის მეფე გიორგი ბაგრატ IV იმერეთის მეფის ვაჟი ალექსანდრე IV ახალციხის ფაშის მეშვეობით ოსმალეთის სულთანს შეახვეწა. სულთნის კარიდან მისული ბრძანების თანახმად, ახალციხის ფაშის დახმარებით გიორგი III გურიელი იმერეთიდან გააძევეს და იმერეთის ტახტზე ალექსანდრე IV იმერთა მეფე დასვეს. ამავე დროს ოდიშში ტახტის პრეტენდენტად ლევან III დადიანის უკანონო ვაჟი, ასევე ლევანი წამოაყენეს. „აღმოჩნდა, — ეკითხულობთ დოსითეოს პატრიარქის ოსმალეთიდან 1682 წ. მოსკოვში არჩილ მეფისადმი გაგზავნილ წერილში, — რომ გურიელმან არ იკმარა ოდიში და გურია, მოისურვა აბაშიძის, გიორგი მიქელაძის, შოშიტას და კაციას ვაჟის მოკვლა. ისინი კი ერთმანეთში გაერთიანდნენ, გამოძებნეს ვინე ყრმა და დადიანის შვილად ჩათვალეს. ფაშამ ამის შესახებ სამეფოში მოიწერა და იქიდან მოწერილობის საფუძველზე ბრძანებულება გაიგზავნა. იქ ყრმა, დადიანის ვაჟი დასვეს. იგი, გურიელი კი იქიდან გააძევს. (შოშიტა „ტექსტში შეცდომით ტუტიშაა მოცემული) რაჭის ერისთავია, რომლის დისწული გიორგი ლიპარტიანის დედინაცვალი იყო. კაცია ჩიქოვანის ვაჟში, ბუნებრივია, გიორგი ლიპარტიანი იგულისხმება. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, სწორედ ის იყო ამ საქმის მთავარი ინიციატორი, რომლის წყალობით „ძე ლევან დადიანისა ნაშობი მხევლისაგან, ლევანვე გამთავრდა“. ეს მოხდა 1682 წელს. ოდიშის ახალი მთავარი ოდიშის ისტორიაში ლევან IV დადიანის სახელითაა ცნობილი.

შინაომით გართულ დასავლეთ საქართველოში აღარავის ახსოვდა ის საფრთხე, რომელიც მთელ ქვეყანას, პირველ რიგში ოდიშს, ჩრდილო-დასავლეთთის მხრიდან, აფხაზებისა და ჩრდილოეთ კავკასიელების მხრიდან ემუქრებოდა.

უკვე ლევან III დადიანის დროს აღარავინ არ ფიქრობდა დაეცვა ლევან II დადიანის მიერ აგებული ე. წ. „კელასურის კედელი“, რომელიც ოდიშს აფხაზთა მარბიელი ლაშქრობებისაგან იცავდა. უკვე ამ მთავრის დროს აფხაზები სხვადასხვა საბაბით ესხმოდნენ თავს ოდიშს და ქვეყანას ძალზე აოხრებდნენ. განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება ლევან III დადიანის სიკვდილის შემდეგ. „გარნა იყო ჭირი დიდი ოდიშს, — წერს ამ დროზე ვახუშტი ბაგრატიონი, — უმეტეს აფხაზთაგან, რამეთუ მოვიდიან ნავებითა და ჯმელითა დასტყვევნიდიან, დაიპყრეს ვიდრე ეგრისის მდინარემდე (ეგრისის მდინარეში სწავლული ბატონიშვილი ამ შემთხვევაში მდ. ღალიძგას გულისხმობს).

როგორც ირკვევა, ოდიშის სამთავროს ამ ნაწილში მოვლენები არ განვითარებულა ისე სწორხაზოვნად, როგორც ეს ვახუშტი ბაგრატიონს აქვს მოცემული.

საფიქრებელია, რომ აფხაზეთის სამთავრო სახლს ნათესაობითი კავშირი ჰქონდა დადიანთა სამთავრო სახლთან. ამიტომ ლევან III დადიანის სიკვდილის შემდეგ აფხაზეთის მთავრის საუსტან შარვაშიძის ვაჟს სორეხს (სავარეხს) ოდიშის სამთავრო ტახტზე წამოუყენებია პრეტენზია. როგორც 1682-1685 წლებში ოდიშიდან კათოლიკე მისიონერის რომში გაგზავნილი ერთი წერილიდან ჩანს, მას გარკვეული წარმატებისათვის მიუღწევია, მდ. კელასურსა და ენგურს შორის მოქცეული ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დაუპყრია და თავი ოდიშის მთავრად გამოუცხადებია. დაპყრობილ ტერიტორიაზე

მას შედარებით სიმშვიდე დაუმყარებია და გარკვეული ზრუნვა კათოლიკურ მისიონზეც გამოუჩენია.

აფხაზ ფეოდალებს და მათ ჩრდილო-კავკასიელ თანამოძმეებს მოვლენების ასეთი განვითარება სრულებითაც არ აწყობდათ. ისინი ამ რეგიონის აფხაზეთთან სრული შეერთებისათვის და, რაც მთავარია, იქ მთიელი მოახალშენეების ჩასახლებისათვის ბრძოლას აგრძელებდნენ. ამიტომ აფხაზეთის მთავრის ვაჟის მიერ ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის დაპყრობამ აფხაზთა შემოსევები ვერ შეაჩერა. როგორც 1686 წლის 19 მაისს რომში გაგზავნილ წერილშია აღნიშნული, 1685 წლის მაისში აფხაზები შეჭრილან სორეხ შარვაშიძის სამფლობელოში და ოდიშის ეს ნაწილი ძალზე აუოხრებიათ. ამის შემდეგ ვითარება შედარებით დაწყნარებულა. მაგრამ ეს იყო დროებითი სიმშვიდე. ან ოდიშის ხელისუფლება მოახერხებდა თავისი დაკარგული ტერიტორიის უკან დაბრუნებას, ან კიდევ იგი საბოლოოდ გადავიდოდა აფხაზთა ხელში, რაც მოკლე ხანში ქართული მოსახლეობისაგან ამ ტერიტორიის დაცლას გამოიწვევდა.

სამწუხაროდ, ოდიშის დიდებულები, პირველ რიგში, გიორგი ლიპარტიანი თავიანთი ხელისუფლების გაძლიერებით თუ განმტკიცებით იყვნენ დაინტერესებულნი და აფხაზურ საფრთხეზე ყველაზე ნაკლებად ფიქრობდნენ.

გიორგი ლიპარტიანი, პირველ რიგში, ოდიშის წარჩინებულთა დიდი ნაწილის გაწყვეტას ცდილობდა, რათა თავისი საგვარეულოსათვის და მომხრეებისათვის რაც შეიძლება დიდი ყმა-მამული მოეხვეჭა. „იწყო ღალატით სრვა და კვლა წარჩინებულთა ოდიშისათა, — წერს ვახუშტი ბაგრატიონი, — ყიდვა უწყალოდ ტყვეთა მაჰმადიანთა ზედა და ნებითა მისითავე იყო ლევან დადიანად“. მისი ნებით ლევან IV დადიანმა ცოლად მოიყვანა ალექსანდრე IV იმერთა მეფის და თინათინი. თვით მთავარს ამ ქორწინებით, ალბათ იმერეთის დახმარებით, თავისი მდგომარეობის განმტკიცება და ყოვლისშემძლე გიორგი ლიპარტიანისაგან განთავისუფლება სურდა. სულ მალე ამ იმედებს გაცრუება ელოდა, რადგან ალექსანდრე IV იმერთა მეფეს იმერეთის ტახტისათვის მოსკოვში გადახვეწილი არჩილ მეფე დაუპირისპირდა.

არჩილ მეფე მოსკოვიდან 1688 წელს გამოემგზავრა. 1689 წლის დასაწყისში იგი უკვე რაჭაში გადმოვიდა. აქ მასთან იმერეთის მეფის მოწინააღმდეგე მრავალი დიდებული მოვიდა, მათ შორის გიორგი ლიპარტიანი, რომელსაც არჩილ მეფის დახმარებით ლევან IV დადიანისაგან განთავისუფლება და თავად დადიანის ტიტულის მიღება სურდა. ამიტომაც რუსულ დოკუმენტებში, რომლებშიც 1688-1700 წლებში არჩილ მეფის საქართველოში თავგადასავალია ასახული, ლიპარტიანი „სადადიანოს მფლობელად“ არის მოხსენიებული. გიორგი ლიპარტიანს თან სამიათასიანი ლაშქარი ახლდა. ბუნებრივია, იგი ოდიშთან ერთად არჩილ მეფის დახმარებით ლეჩხუმის საბოლოო დაპყრობაზეც ფიქრობდა.

გიორგი ლიპარტიანის მიწვევით არჩილ მეფე რაჭიდან ოდიშს გადასულა და იქ თითქმის მთელი წელი გაუტარებია. ამ ხნის განმავლობაში გიორგი ლიპარტიანმა საერთო ენა გამონახა ალექსანდრე IV იმერთა მეფესთან და მისგან „ლეჩხუმის თავის“ ტიტული ანუ მისი ამ მხარეზე პრეტენზიების აღსრულების გარანტია მიიღო. გიორგი ლიპარტიანის ალექსანდრე IV იმერთა მეფესთან შეთანხმების შემდეგ არჩილ მეფე ველარ გაჩერდა ოდიშში. იგი ჯერ ოთხი თვე აფხაზეთის მთავართან ზუფუში იმყოფებოდა სტუმრად, შემდეგ კი რაჭაში გადავიდა და მოსკოვში დაბრუნება გადაწყვიტა. მოულოდნელად, ვითარება შეიცვალა და ოსმალეთთან თანხმობით იმერეთის სამეფო ტახტი დაიკავა. ვახუშტის მიხედვით ეს 1690 წელს მოხდა. სინამდვილეში, როგორც არჩილ მეფის მოსკოვში გაგზავნილი ერთი წერილიდან ირკვევა, მას იმერეთის ტახტი

1691 წლის აგვისტოში დაუკავებია. არჩილს ამჯერად სამეფო ტახტზე ერთი წელიწადი და ერთი თვე დაუყვიათ და შემდეგ კი 1691 წლის შემოდგომაზე იმერეთში ოსმალების დახმარებით კვლავ ალექსანდრე IV იმერთა მეფე გამეფებულა.

არჩილ მეფის იმერეთიდან მორიგი გაძევების შემდეგ, 1693 თუ 1694 წელს, უკვე ალექსანდრე IV იმერთა მეფის მოკავშირე გიორგი ლიპარტიანმა ლევან IV დადიანი ოდიშიდან გააძევა. „არამედ განძლიერდა ლიპარტიანი გიორგი კლვითა და ტყვის სყიდვითა, — წერს ვახუშტი ბაგრატიონი, — არღარა ინება ლევან დადიანი, განაძო იგი და წარვიდა ქართლს არჩილ მეფისა თანა. შემდგომ წარვიდა სტამბოლს და მოკუდა მუნ, და დაიპყრა ოდიში ლიპარტიანმა და არა იწოდებოდა დადიანად, არამედ ლიპარტიანადვე და თავობდა ლეჩხუმსაც კნინღა დაპყრობად“.

ვახუშტი არ იძლევა ლევან IV დადიანის გარდაცვალების ზუსტ თარიღს. მისი თხრობის მიხედვით ეს მოხდა 1691 თუ 1692 წელს. სინამდვილეში ოდიშის უბედური მთავარი, როგორც ირკვევა ოსმალო ისტორიკოსის ფუნდუკლულუ მეჰმედ აღას თხზულებიდან, 1696 წელსაც ცდილობდა სტამბულში მიეღო დახმარება ტახტის დასაბრუნებლად.

„დადიანის ძველად ხანად მყოფს, — ვკითხულობთ ამ თხზულებაში, — კვლავ არეულობა სურდა, დადიანის ახალმა ხანმა მამიამ თავისი ქვეშევრდომობით დიდი სამსახური გაწია, საქართველოს ახლანდელი მდგომარეობა რომ შეენარჩუნებინა. ამისათვის საჭირო იყო ... სტამბულში მყოფი ლევან ხანი, მთავართა როგორი ახლობელიც უნდა ყოფილიყო, ის ამ რაიონში კვლავ ხანად არ უნდა დაედგინათ“.

ეჭვის გარეშეა, რომ „ლევან ხანი“ — ლევან IV დადიანია, ხოლო „დადიანის ახალი ხანი მამია“ არის მამია III გურიელი, რომელმაც გიორგი ლიპარტიანის მიერ ოდიშის კანონიერი მთავრის გაძევების შემდეგ ოსმალეთის ხელისუფლებისაგან ოდიშის მთავრის ტიტული მიეღო. აღსანიშნავია, რომ ერთხანს მამია III დადიანმა მოახერხა თავისი ხელისუფლება ოდიშის სამთავროს რაღაც ნაწილზე გაევრცელებინა: ბიჭვინტის ღვთისმშობლის ხატისადმი შეწირულების ერთ წიგნში „ქელმწიფეთ-ქელმწიფე დადიან-გურიელი პატრონი მამია“ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს ცხრა კომლ ყმა-გლეხს სწირავს სოფელ ხორგადან და საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „რადგან ბედნიერმან ხონთქარმან დადიანობა და ოდიში ჩვენ გვიბოძა, ჯერი იყო ჩემისა სამსახური და ქველის მოქმედება“.

მამია III დადიანისათვის ოსმალების მიერ ოდიშის გადაცემას პირველ რიგში გიორგი ლიპარტიანი აღუდგა წინ, რომელსაც ეს სამთავრო უკვე თავის სრულ სამფლობელოდ მიაჩნდა. ამიტომ მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ქუთაისის ციხისათვის ბრძოლაში, რომელსაც იმერეთის სამეფო ტახტის მაძიებელი არჩილ მეფე ედგა სათავეში.

ვახუშტი ბაგრატიონი არჩილ მეფის ხელმძღვანელობით ქუთაისის ციხეში გამაგრებული თურქ-ოსმალთა მრავალთვიან ალყას 1691 წლით ათარიღებს და ქართველთა მარცხს გიორგი ლიპარტიანს აბრალებს, რომელმაც მისი მიხედვით „გამოიყვანა ღამით ოსმალნი ციხიდან, მისცა ყოველნი საზრდელნი თჯსნი და განამაგრა ციხე... თჯთ მასვე ღამესა ივლტოდა სპითა ოდიშს“. ამის შემდეგ „გამოვიდნენ ციხიდან ოსმალნი და შემუსრეს ქუთაისის ეკლესია ყოვლად წმიდისა“.

როგორც ფუნდუკლულუს თხზულებიდან ირკვევა, რომელიც ამ დროს ოსმალეთის სულთნის ოფიციალურ ისტორიკოსს წარმოადგენდა, ქართველებმა 1698 წ. და არა 1691 წელს შემოარტყეს არჩილ მეფის ხელმძღვანელობით ქუთაისის ციხეს ალყა და გიორგი ლიპარტიანს ამ შემთხვევაში ღალატი არ ჩაუდენია.

თურქი ისტორიკოსის თქმით, ქუთაისის ციხის ალყა 1698 წლის აპრილში დაწყებულა. „ქართლის მეფე ბაბანაზის ვაჟი არჩილ ხანად წოდებული, — წერს ფუნდუკლულუ, — რუსებმა რომ აზოვი აიღეს... მან ქართველი თავადები, აზნაურები, სასულიერო წოდების მსახური ფარული შეგულიანებით შეაცდინა და საკმაოდ დიდი რაოდენობის ჯარით 1109 წლის შავალის პირველ დღეებში (ანუ 1698 წ. აპრილს) ქუთაისის ციხის ალყის შემორტყმა დაიწყო", — „7 თვე განუწყვეტლივ უტევდა ციხეს, წყლისა და სურსათ სანოვაგის გზები გადაუჭრა ... მთელი იმერეთის თავადები აბაშიძე, ქუთათელი, ერისთავი, გენათელი, რაჭა-ლეჩხუმის ურჯულონი, დადიანის მოურავი ლიპარტიანი, ყველანი 2000 ჯარისკაცით იმერთა დასახმარებლად რომ მოვიდნენ ... ციხეს მძლავრად შემოუტიეს". სწორედ ერთ-ერთი შემოტეევის დროს, ოსმალთა საპასუხო ცეცხლის დროს დაინგრა ქუთაისის ყოვლადწმიდის, დღევანდელი ტერმინოლოგიით „ბაგრატის ტაძარი", რადგან „ცეცხლმა ამ ეკლესიაზე მყოფნიც გაანადგურა და ეკლესიის გუმბათი და კედლებიც დაანგრია". უკიდურესად შეჭირვებულმა თურქმა მეციხოვნეებმა ციხიდან რამდენიმე იანიჩარი გააპარეს, რომლებმაც ახალციხის ფაშას მომხდარი აცნობეს. ფაშამ ამის შესახებ მყისვე ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას აცნობა, რომლის ბრძანებით ქუთაისის ციხეში გამაგრებული თურქების დასახმარებლად მრავალრიცხოვანი ლაშქარი დაიძრა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ლაშქარმა დიდი წვალებით ქუთაისის მიდამოებს მიაღწია„ ქართველებმა ალყის შემორტყმას თავი ანებეს, დაიქსაქსნენ და დაიფანტნენ". ოსმალებმა ქუთაისის ციხე შეაკეთეს და მეციხოვნენი სურსათ-სანოვაგით მოამარაგეს.

ქუთაისის ციხის თურქი მეციხოვნეების ალყიდან განთავისუფლების მიუხედავად ოსმალები თავს დასავლეთ საქართველოში გამარჯვებულად ვერ გრძნობდნენ. ზამთარი ახლოვდებოდა რაც მათ ძალზე აფიქრებდათ. ამიტომ თურქ-ოსმალებმა გადაწყვიტეს აჯანყებულ ქართველებთან მოლაპარაკება გაემართათ. მათ დასავლეთ საქართველოში დიდებულებს, მათ შორის „ოდიშელების სალიპარტიანოს მოურავს" ქართული ენის მცოდნე ელჩები გაუგზავნეს და მორჩილების აღიარების სანაცვლოდ აჯანყებისათვის პატიება აღუთქვეს. ორივე მხარეს შორის თავდებად „დადიანის ხანი გურიელი მამია დადგა". მოლაპარაკების შედეგად „სიმონ ხანი ფადიშაჰისაგან მეფობა რომ მიიღო, კვლავ მეფეთ დანიშნეს", ხოლო ქართველმა დიდებულებმა პირობა დადეს, რომ „ფადიშაჰის ბრძანებას წინ არ აღუდგებოდნენ მის ტერიტორიას არ დაესხმებოდნენ, მის მოგზაურთა ქონებას, ნივთებს ენებას არ მიაყენებდნენ". ამის შემდეგ თურქების ლაშქარმა დასავლეთ საქართველო დატოვა და ქვეყანაში ყველა ძველი ვითარება აღსდგა.

ფუნდუკლულუსთან მოხსენიებული „დადიანის მეფე, გურიელი ხანი მამია" მამია III გურიელია, რომელმაც, 1696 წ. სულთნის ხელისუფლებისაგან ოდიშის მთავარი ტიტული მიიღო. „დადიანის მოურავი ლიპარტიანი" არის გიორგი ლიპარტიანი-ჩიქოვანი, რომელიც მისი და მამია III გურიელის შეთანხმების საფუძველზე, რომელიც საფიქრებელია ოსმალეთის ხელისუფლებიდანაც მოდიოდა, ამ დროს უკვე ოფიციალურად ითვლებოდა ოდიშის „თავად" ანუ „მოურავად". ეს ფაქტი ერთ საეკლესიო დოკუმენტშიც არის დამოწმებული, სადაც საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ „დადიანობა გურიელს დარჩა და თავობა გიორგი ლიპარტიანს". თუმცა „დადიანობა" ფორმალურად ოდიშის „თავობაზე" დიდი ტიტული იყო, მაგრამ 1696 წლის შემდეგაც ოდიშის სამთავროს ფაქტიურ მმართველად გიორგი ლიპარტიანი რჩებოდა.

ოსმალო ისტორიკოსთან მოხსენიებული „სიმონ ხანი" იმერეთის მეფე სვიმონია (1698-1701). მის გამეფებაზე ადრე, ორჯერ მცირე ხნით 1695-1696 წლებში და 1698 წ. იმერეთში არჩილ მეფე და 1696-1698 წლებში გიორგი IV იმერთა მეფე მეფობდა. თუმცა, 1695 წლიდან იმერეთის სამეფოს ფაქტობრივ გამგებელს გიორგი აბაშიძე წარმოადგენდა. გიორგი ლიპარტიანიც მას დაუკავშირდა და მისი დახმარებით ოდიშსა და ლეჩხუმში თავის პოზიციებს კიდევ უფრო იმაგრებდა. უპირველეს ყოვლისა, გიორგი აბაშიძე გიორგი ლიპარტიანს ლეჩხუმში დაეხმარა. მოკავშირენი „შევიდნენ ლეჩხუმს, ურჩნნი მოსწუენეს, მოსტყვევნეს" და ეს მხარე კვლავინდებურად გიორგი ლიპარტიანს დაუმორჩილეს.

გიორგი აბაშიძის ასული თამარი თავდაპირველად ცოლად გიორგი IV იმერთა მეფეს ჰყავდა. მისი ტახტიდან გადაყენების შემდეგ თამარ აბაშიძემ გიორგი ლიპარტიანის

ცოლობა „ინება“. ეს ქორწინება გიორგი ლიპარტიანსაც აწყობდა. ამიტომ ის გაშორდა თავის პირველ მეუღლეს, რომლის ხელში „შვიდი მოწიფული ძენი“ ჰყავდა და ცოლად თამარი შეირთო, რომელსაც ამის შემდეგ „ოდიშისა და იმერეთის დედოფლად“ მოიხსენიებენ. 1701 წ. გიორგი აბაშიძემ სიმონ იმერეთის მეფე მოაკვლევინა და იმერეთის ტახტზე მამია III გურიელი მოიწვია. ერთი წლის შემდეგ გიორგი აბაშიძემ იმერეთის ეს მეფეც გააძევა და თვითონ შეუდგა იმერეთის სამეფოს უშუალოდ მართვას. ამ დროს 1701 წ. „ევედრა“ გიორგი ლიპარტიანი გიორგი აბაშიძეს და აფხაზების წინააღმდეგ დახმარება თხოვა, რომლებსაც დაეპყროთ ოდიში „ეგრისის მდინარემდე“ და „აოხრებდნენ ოდიშს კვლითა და ტყვეობითა“. გიორგი აბაშიძემაც, ვახუშტის ცნობით „შემოიკრიბნა სპანი იმერთა და შთავიდა აფხაზეთს, ვერ წინალუდგა შარვაშიძე, მოსტყვევნეს აფხაზეთი, აღიღო ალაფი დიდი, დააზავა ლიპარტიანი — შარვაშიძე, გამოუხუნა ქვეყანა მიღებული და მძევალნი“.

ვახუშტის თხზულებიდან ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ამ ლაშქრობაში გიორგი ლიპარტიანი უშუალოდ არ მონაწილეობდა. სინამდვილეში ეს ასე არაა, ამას მოწმობს ხობის გუჯრის ერთი მინაწერი, რომელიც ამ მონასტრის წინამძღვარს ზებედეს ეკუთვნის. „მერმე ლიპარტიანი ქვემოთ წაბრძანდა აფხაზთა ლაშქრად, — ვკითხულობთ ამ მინაწერში, — და ჩვენ ზუგდიდამდის ვიახელით, და ცოტა უძლებად ვიყავით, და დავბრუნდით და აქ ხობს მოვედით“.

ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებიდან მკითხველს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ ამჯერად ქართველებმა სრულ წარმატებას მიაღწიეს და აფხაზთაგან მიტაცებული ოდიშის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი უკან დაიბრუნეს. სინამდვილეში ვითარება სრულიად განსხვავებული იყო.

XVII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, მდინარეებს კელასურსა და ენგურს შორის სორეხ შერვაშიძემ დაიპყრო, რომელმაც თავი ოდიშის მთავრად გამოაცხადა. ამ დროს გიორგი ლიპარტიანი ოდიშის მთავრის ტიტულისა და ლეჩხუმის შემომტკიცებისათვის იბრძოდა და მდინარე ენგურის ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიას ყურადღებას ფაქტობრივად არ აქცევდა. ამით ისარგებლეს აფხაზმა ფეოდალებმა და სორეხ შარვაშიძის სიკვდილის შემდეგ ოდიშის ეს ნაწილი უშუალოდ აფხაზეთის სამთავროს შეუერთეს. ამ დროს აფხაზეთის მთავარი ზეგნაყ შერვაშიძე იყო. მისი სიკვდილის შემდეგ მამის სამფლობელო მის სამ ვაჟს შორის სამ საუფლისწულოდ განაწილდა. უფროს ძმას როსტომს შეხვდა საკუთრივ აფხაზეთი, ხოლო მომდევნო ძმებმა ჯიქეშიამ და ყვაპუმ ახლად შემოერთებული ოდიშის დაპყრობილი ტერიტორია გაინაწილეს. საშუალო ძმამ ჯიქეშიამ მიიღო ტერიტორია მდინარეებს კოდორსა და ღალიძგას შორის. აფხაზებმა თარგმნეს ამ ტერიტორიის ძველი ქართული სახელწოდება შუა სოფელი და მას აფხაზურად აბუუა უწოდეს. უმცროსმა ძმამ კი ყვაპუ შარვაშიძემ მამის მემკვიდრეობად მდინარეებს ღალიძგასა და ენგურის შორის მდებარე ტერიტორიები მიიღო.

აფხაზების მიერ ჩრდილო-დასავლეთ ოდიშის დაპყრობა უდიდესი უბედურება აღმოჩნდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. მდინარეებს კოდორსა და ღალიძგას შორის მოსახლე ქართველების დიდი ნაწილი აფხაზებმა ან თურქებზე ტყვეებად დაპყიდეს ან კიდევ აიძულეს თავისი მამა-პაპეული კარმიდამო მიეტოვებინათ და თავშესაფარი მდ. ენგურის აღმოსავლეთით მოეძებნათ. მათთან მოქონდათ ხელნაწერი წიგნები, ჯვრები, ხატები და სხვა საეკლესიო ინვენტარი. ამ დროს გადმოიტანეს სოფელ ობუჯში ქიაჩის წმინდა გიორგის ხატი, რომელიც აქამდე მოქვის მიდამოებში, მაღალ მთაზე ამავე სახელობის მონასტერში ესვენა. ამის შემდეგ ობუჯის იმ უბანს, რომლის ეკლესიაში ეს ხატი მოათავსეს, ქიაჩი ეწოდა. მეორე ხატი ქიაჩის მონასტრიდან ჭოღაში გადმოიტანეს. ამავე ხანებში გადმოიტანეს ენგურის მარცხენა ნაპირას მდებარე ოდიშის ეკლესია-მონასტრებში 1300 წლის მოქვის სახარება, ელაქერნის ღვთისმშობლის ხატი და ა. შ.

აფხაზების მიერ სტიქიურად ჩატარებული ეთნიკური წმენდის შემდეგ მდინარეებს კელასურსა და ენგურს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე, ძველი მოსახლეობიდან მხოლოდ დაახლოებით 10-20% დარჩა. ეს მოსახლეობა თანდათანობით გაითქვიფა ახლად ჩამოსახლებულ აფხაზებში და გააფხაზდა. ასე რომ, დღევანდელ გულრიფშისა, ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონებში მეგრული (ქართული)

გვარის მატარებელი აფხაზები უმეტეს შემთხვევაში XVIII ს-ში გააფხაზებული ქართველების შთამომავლები არიან.

აფხაზების ჩამოსახლების შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა აღნიშნული რეგიონის ტოპონიმიკაც. ასე მაგალითად, სოფელ თილითს აბაადუბუ ეწოდა, სათამაშიას — ტამიში, ღალიძგას — ბესლახუბა, ჭალას — ჭლოუ, შუა ბედიას — აგუბედია, მარმარის კარს — მარმალაბაა და ა. შ.

მდ. კელასურის სამხრეთ-აღმოსავლეთით ყველა აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდება XVIII-XIX საუკუნეებშია შექმნილი. ყვაპუ შარვაშიძის მიერ საუფლისწულოდ მიღებულ ტერიტორიაზე ძველი მოსახლეობა ძირითადად ადგილზე დარჩა, თუმც აფხაზებისაგან აყრა-გაყიდვა არც მათ დაჭკლებია. ასე მაგალითად, 1621 წელს სოფელ ნაკანეულში (დღევანდელი ოტობაია) მოსახლე 61 საკლესიო ყმა-გლეხის კომლიდან 1706 წლისათვის მხოლოდ 6 კომლიღა იყო, და ისიც დასავლეთ-საქართველოში კათალიკოსმა ამ სოფლიდან ხობში გადმოიყვანა.

ეჭვის გარეშეა, რომ 1702 წ. გიორგი ლიპარტიანმა გიორგი აბაშიძის დახმარებით თავისი ხელისუფლება მხოლოდ ყვაპუ შარვაშიძის საუფლისწულოზე ანუ ღალიძგასა და ენგურს შორის ტერიტორიაზე აღადგინა. თუმცა ძველი ვითარების სრული აღდგენა მაინც ვერ მოხერხდა. უბრალოდ ყვაპუ შარვაშიძემ გიორგი ლიპარტიანის უზენაესობა აღიარა. მისი სიკვდილის შემდეგ, დაახლოებით 1705 წ. სამეფლობელო, მისივე ვაჟს მურზაყანს დარჩა, რომლის სახელის მიხედვით მდინარეებს ღალიძგასა და ენგურს შორის მდებარე ტერიტორიას სამურზაყანო ეწოდა. სამურზაყანოს დაახლოებით ერთი საუკუნე მურზაყან შარვაშიძის შთამომავლობა განაგებდა, რომელიც ძირითადად ოდიშის მთავართა უზენაესობას აღიარებდა.

ფუნდუკლულუს თხზულებაში 1698 წ. ქუთაისის ციხეში თურქ მეციხოვნეთა ალყა რუსების მიერ მდ. დონის შესართავში აღმართული აზოვის ციხის აგებასთანაა დაკავშირებული, რაც, უეჭველად მართალია.

1696 წელს პეტრე დიდის მიერ აზოვის ციხის აღებამ შავიზღვისპირეთის თურქების მიერ დამორჩილებულ ხალხებს შავ ზღვაზე რუსეთის ფლოტის გამოჩენისა და მისი დახმარებით დამპყრობელის უღლისაგან მალე განთავისუფლების იმედი ჩაუსახა. მათ შორის, პირველ რიგში, ქართველებს.

გაუთავებელი შინაომის მიუხედავად ოსმალთა ბატონობისაგან ქვეყნის სრული გათავისუფლების იმედი დასავლეთ საქართველოში არც XVII-XVIII საუკუნის მიჯნაზე მომკვდარა. მით უფრო, რომ ამ იმედს აზოვის აღების შემდეგ რუსეთიდან აქტიურად აღვივებდნენ. ოსმალეთის წინააღმდეგ მოქმედებას აქტიურად უჭერდა მხარს გიორგი ლიპარტიანიც, რომელიც ასეთ ბრძოლას ოდიშის სამთავროში საბოლოო დამკვიდრების საკუთარ სწრაფვას უკავშირებდა.

1702 წ. გიორგი ლიპარტიანმა დასავლეთ-საქართველოს კათალიკოსს ფიცის „წერილით" ტყვეთა-სყიდვის „გადაგდება" აღუთქვა. ტყვეთა სყიდვას კი შავიზღვისპირეთში პირველ რიგში ოსმალეთის ხელისუფლება ითხოვდა. ამიტომ ასეთი პირობის დადება, ფაქტობრივად თურქეთის ქვეშევრდომობიდან გამოსვლას უდრიდა. მალე გიორგი ლიპარტიანმა დასავლეთ საქართველოს სხვა დიდებულებთან ერთად დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს გრიგოლ ლორთქიფანიძეს „სიკვდილამდის გასათავებელი ფიცი, პირი, და საფიცარი წიგნი" მისცა. იმერეთის დიდებულებმა პირობა დადეს, რომ „დღეს შემდგომათ იმერეთის წასახდენად და ასაოხრებლად თურქებს არ მოუდგებოდნენ და „თუ ვინ თათარი ლაშქრით აქ მოვიდეს", ისინი თურქებს არ მიეშველებოდნენ, წინააღმდეგობას გაუწევდნენ და უპირველეს ყოვლისა არ „უწინამძღვრებდნენ" მტრის ლაშქარს.

„საფიცარი წიგნიდან" კარგად ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოში საყოველთაო აჯანყება მზადდებოდა. ოსმალეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა აჯანყებისათვის დაესწრო. სულთნის ბრძანებით დასავლეთ საქართველოში შვიდი წლით დიდი ლაშქარი გამოიგზავნა, რომელსაც სრულ მორჩილებაში უნდა მოეყვანა მუდამ მეამბოხე ქვეყანა.

1703 წელს ზაფხულში თურქეთის ლაშქარი ერთდროულად იმერეთსა და გურიაში შემოიჭრა და მძლავრი წინააღმდეგობის მიუხედავად ბრძოლით მიიწევდა წინ. ოდიშში

ოსმალებმა „ორი ნიჩბიანი და ორმოცი იალქნიანი გემი“ გაგზავნეს, რომელმაც დესანტი გადასხა. მალე ოსმალებმა რუხის ციხე დაიკავეს და შიგ თავისი მეციხოვნეები ჩააყენეს. თურქი მეციხოვნეები ჩადგნენ აგრეთვე სახელდახელოდ აგებულ ანაკლიის ციხეშიც.

დასავლეთ საქართველო საშინელი საფრთხის წინაშე დადგა, მაგრამ ქვეყანა სტამბულში მომხდარმა ამბებმა იხსნა. 1703 წ. ივნისში ოსმალეთის დედაქალაქში აჯანყდა ის ჯარი, რომელსაც ხელისუფლება საქართველოში აგზავნიდა. აჯანყებულებმა სულთანი ტახტიდან ჩამოაგდეს და ახალი სულთანი დასვეს, რომელმაც დაუყოვნებლივ დასავლეთ საქართველოდან ჯარების გამოწვევა ბრძანა. ქართველებმა თითქმის მუსრი გაავლეს უკან დახეულ ლაშქარს, თუმცა ციხეებში ოსმალთა მეციხოვნეები მაინც დარჩნენ.

თურქეთის ხელისუფლება არც ოდიშის ციხე-სიმაგრეებიდან თავისი მეციხოვნეების გამოყვანას აპირებდა. მაგრამ როგორც ირკვევა, ამჯერად, თურქებისაგან ამ ციხე-სიმაგრეების გათავისუფლება მაინც მოხერხდა, თუმცა ცოტა მოგვიანებით.

„ოდიშსა და სამეგრელოს ვილაეთში დანიშნული დადიანის სახელწოდების ქაფირები, ფორმალურად მორჩილები რომ იყვნენ, – ვკითხულობთ 1704 წლის სექტემბერში ქუთაისის ყადის სტამბულში გაგზავნილ არზაში, – მორჩილებიდან გამოვიდნენ, ისლამის ტახტის მფლობელობაში მყოფი რუხისა და ანაკლიის ციხეები დაიკავეს... დადიანმა ანაკლიის ციხე დაიკავა... ჯიზია და ფეშქაში არ გადაიხადა... ქვეყნის ოთხივე მხარეს მყოფი ვაჭრები დახოცა“. სამწუხაროდ, თურქებმა რამდენიმე წლის შემდეგ მოახერხეს თავიანთი მეციხოვნეების დაბრუნება.

ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყება გიორგი ლიპარტიანმა ყველაზე შესაფერ დროდ ჩათვალა ოდიშის ტახტზე თავის უფლებების ფორმალურად გასამტკიცებლად.

თურქეთში გადახვეწილ ლევან IV დადიანს ერთადერთი ვაჟი გიორგი დარჩა, რომელიც 1700 წლიდან მოსკოვში ცხოვრობდა არჩილ მეფესთან ერთად. აქ მან არჩილის ვაჟის ალექსანდრეს ქალიშვილი შეირთო ცოლად და დასაბამი მისცა „დადიანის“ ან კიდევ „დადიანოვის“ მოსკოვურ შტოს, რომელიც ძველი დადიანთა საგვარეულოს გაგრძელებას წარმოადგენდა.

„დადიანის“ ტიტულის აშკარა მისაკუთრება გიორგი ლიპარტიანმა მხოლოდ გიორგი დადიანის მოსკოვში გადასახლების შემდეგ გაბედა. 1701 წელს ცაგერის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნში იგი თავს უკვე ამ ტიტულითაც მოიხსენიებს. „ოდიშისა და სალიპარტიანოს მპყრობელმან, იმერეთის სარდალმან და თავმან, სრულ სვანეთის კლიტემან, დადიან-ლიპარტიანმა გიორგიმ“, – ვკითხულობთ შეწირულობის ამ წიგნში. თავისი და თავის შთამომავლობის ოდიშის სამთავრო ტახტზე ლეგიტიმური უფლების განმტკიცების მიზნით გიორგი ლიპარტიანმა თავისი უფროსი ვაჟი კაცია ძველი დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელზე, შეიძლება თვით ლევან IV დადიანის ასულზე მარიამზე დააქორწინა. ამ ქორწინებით, როგორც ამას ცაიშის გულანის ერთ მინაწერში ვკითხულობთ, გიორგი ლიპარტიანის ვაჟი „ბატონის დადიანის ძედ მისათვლელი“ და „ახლად ოდიშის დადიანის განმაახლებელი“ ანუ სიმბოლურად ძველი დადიანთა საგვარეულოს გამგრძელებელი გახდა.

უფროსი ვაჟის დაქორწინების შემდეგ დადიანთა ძველ საგვარეულოსთან დანათესავებულმა ოდიშის გამგებელმა უარი თქვა ლიპარტიანის და სხვა რეალურ შინაარსს მოკლებულ ტიტულზე და თავს მხოლოდ დადიანად მოიხსენიებდა: ამას მოწმობს დოდოს მონასტრის შეწირულების ერთი წიგნი, რომელიც 1706 წ. მაისშია გაცემული: „დადიანმან ბატონმან გიორგიმ და თანამეცხედრემან ჩვენმან... აბაშიძის გიორგის ასულმან დედოფალმან თამარ“, – ვკითხულობთ ამ შეწირულების წიგნში. ასე რომ კაცია ჩიქოვანის ვაჟი გიორგი ლიპარტიანი, ჩიქოვანთა საგვარეულოს პირველი

წარმომადგენელია, რომელმაც დადიანის ტიტული მიიღო. ამიტომ იგი გიორგი IV დადიანად უნდა ჩაითვალოს.

გიორგი IV დადიანის მეუღლე თამარი ამ შეწირულების წიგნის გაცემის შემდეგ დაახლოებით ერთ წელიწადში გარდაიცვალა. მალე ძალაუფლება დაჰკარგა მისმა მამამ, გიორგი IV დადიანის მთავარმა მოკავშირემ გიორგი აბაშიძემ. იმერეთის სამეფოში ამის შემდეგ ერთხანს გიორგი IV იმერთა მეფე გაძლიერდა. გიორგი IV დადიანის უფროსი ვაჟები კაცია და ბეჟანი იმერეთის ამ მეფეს დაუკავშირდნენ და მისი დახმარებით მამა ტახტიდან გადააგდეს. გიორგი IV დადიანმა 1709 წ. აფხაზეთს შეაფარა თავი, საკუთრივ ოდიში კი მის უფროს ვაჟს კაციას შეხვდა, რომელიც ისტორიაში კაცია I დადიანის სახელითაა ცნობილი, ხოლო ლეჩხუმი მისმა ძმამ ბეჟანმა დაისაკუთრა. მომდევნო 1710 წელს კაცია I დადიანი ხუნაგით გარდაიცვალა. ამით ისარგებლა გიორგი IV დადიანმა, ოდიშის სამთავრო დაიბრუნა და ახალი ენერგიით ჩაება იმ შინაომში, რომელიც დასავლეთ საქართველოში კვლავინდებურად გრძელდებოდა. თავისი პოზიციების გასაძლიერებლად გიორგი IV დადიანმა სიბერის ჟამს მესამე ცოლად მოიყვანა გურიელის ასული თამარი. ბოლოს, გიორგი IV დადიანი ტახტიდან ისევ თავისმა ვაჟმა ბეჟანმა გადააყენა. მან მოტყუებით საკუთარ სასახლეშივე დაატყვევა მამა, შემდგომ მოიყვანა თავისი დედა, გიორგის პირველი მეუღლე „მოუდგინა ქმარსავე და იყვნენ ზოგადად აღსრულებამდე“... დაიპყრა ოდიში და იწოდა „დადიანად“.

ვახუშტი ბაგრატიონი ამ ცნობას 1715 წლის ქვეშ იძლევა. სინამდვილეში ბეჟან დადიანი ოდიშის სამთავროს ტახტზე ერთი წლით ადრე, 1714 წელს ავიდა. ამას მოწმობს „ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და ათთოთხმეტსა“ „დადიანის“ ბატონი ბეჟანის გაცემული შეწირულების წიგნი.

1714 წ. ბეჟან დადიანის ტახტზე ასვლით დასრულდა ოდიშის სამთავროში ახალი დინასტიის დამკვიდრება. ეს საკმაოდ მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა და თითქმის ოთხი ათეული წელი გაგრძელდა. მან მთლიანად შეცვალა ოდიშის სამთავროს ტერიტორიის მოხაზულობა. თუ ადრე XVII საუკუნის 70-იან წლებში ოდიშის სამთავრო ჩრდილო-დასავლეთით მდ. კელასურამდე აღწევდა, ეხლა უშუალოდ მისი საზღვრები ჩრდილო-დასავლეთით მხოლოდ ენგურამდე ვრცელდებოდა. მდინარეებს ენგურსა და ღალიძგას შორის მდებარეობდა ოდიშის სამთავროს ვასალური სამფლობელო-სამურზაყანო, რომელსაც შარვაშიძეთა გვერდითი შტო მართავდა. სამაგიეროდ სამთავროს შემადგენლობაში შევიდა ქვემო სვანეთი და ლეჩხუმი. ეხლა ოდიშის სამთავრო ჩრდილო-აღმოსავლეთით რაჭას ემიჯნებოდა, რომლისგან მდ. რიონის მარჯვენა შენაკადი ასკის წყალი და მთაშავას მთა გამოჰყოფდა. რიონის ხეობაში ოდიშის სამთავროს იმერეთის მხარე — ოკრიბა ემიჯნებოდა, რომლისგანაც მას რიონის მარცხენა შენაკადის მდ. ლეხიდარის სამხრეთით უშუალოდ პატარა ქედი გამოყოფდა. რიონის მარჯვენა ნაპირზე კი ოდიშის სამთავროს შემადგენელ ლეჩხუმს იმერეთისაგან მექვენას სამხრეთით მდებარე პატარა სერი გამოჰყოფდა, რომელსაც დღესაც „საზღვარას“ ეძახიან. საკუთრივ ოდიშის ტერიტორია აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ზოგადად ცხენისწყალამდე და რიონამდე აღწევდა, რომელიც მას ვაკე იმერეთიდან და გურიიდან გამოჰყოფდა. ამავე დროს მთელი რიგი სოფლები უშუალოდ რიონის მარცხენა ნაპირზე ოდიშის შემადგენლობაში შედიოდა. პრეტენზიას აცხადებდა ოდიშის მთავარი ცხენიწყლის ქვემო წელში, ამ მდინარის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელთა ერთ ნაწილზეც.

ოდიშის სამთავრო ტახტზე ახალი, ჩიქოვანთა საგვარეულოს დამკვიდრებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ოდიშის წარჩინებული კლასის შემადგენლობა. ამის შემდეგ რიგი ფეოდალური სახლი დაიმცრო ან კიდევ საერთოდ დაემხო და მათი ყმა-მამული

ჩიქოვანთა საგვარეულომ, ან კიდევ ახალ სამთავრო სახლთან დაახლოებულმა ფეოდალებმა მიიტაცეს.

ბეჟან დადიანის სიკვდილის შემდეგ დადიანი ტიტულიდან კვლავ გვარსახელად გადაიქცა. ამ გვარს ატარებდა ამ მთავრის შთამომავლობა. ოდიშში პირველად გადმოსული კაცია ჩიქოვანის სხვა შთამომავლებს ძველებურად ჩიქოვანთა გვარსახელი დარჩა.

გამთავრების შემდეგ ბეჟან დადიანი აქტიურად მონაწილეობდა შინაომში, რომელიც იმერეთის სამეფო ტახტისათვის გიორგი VI იმერეთის მეფისა და გიორგი IV გურიელს შორის მიდიოდა. 1717 წ. კი ოდიშის მთავარმა, შოშიტა რაჭის ერისთავსა და ზურაბ აბაშიძესთან ერთად იმერეთის სამეფოს მმართველობაც კი გაიყო. ასე გაგრძელდა 1720 წლამდე, როდესაც გიორგი VI იმერთა მეფე ღალატით მოკლეს. მაშინ ახალციხის ფაშამ იმერეთის სამეფო ტახტზე მოკლული მეფის ნაცვლად მისი ვაჟი ალექსანდრე V დასვა. ახალმა მეფემ ბეჟან დადიანის და მარიამი შეირთო ცოლად. ამის შემდეგ „თუმცა იყო ალექსანდრე მეფე, გარნა ბეჟან დადიანი იყო მოქმედი ყოველისაგე".

მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ 1704 წელს ქართველებმა ოსმალო მეციხოვნეები ანაკლიისა და რუხის ციხეებიდან განდევნეს. რამდენიმე წლის შემდეგ ისინი ამ ციხე-სიმაგრეებში კვლავ დაბრუნდნენ. როგორც ანაკლიის ციხის შესახებ დღემდე გამოცემული ოსმალური დოკუმენტები მოწმობენ, ოდიშის მოსახლეობას არც შემდეგ შეუწყვეტია ბრძოლა ამ სიმაგრეებში გამაგრებული დამპყრობელთა წინააღმდეგ. განსაკუთრებით გააქტიურდა ბრძოლა ბეჟან დადიანის მთავრობის დროს. 1722 წ. კი ზღვისპირეთში საქმე ნამდვილ ანტითურქულ აჯანყებამდე იყო მისული და როგორც ამ ხანის ერთი თურქული წყარო გვამცნობს „მეგრელი ქაფირები სხვა ქართველ ტომებთან ერთად სრული ერთსულოვნებით „შეკავშირდნენ" და გონიოს, ბათუმის და ანაკლიის ციხეებს „უბედურებას და ზიანს" აყენებდნენ. ოსმალეთის ხელისუფლებამ საგანგებო ზომებს მიმართა და უკვე ამ წლის დასასრულისათვის საქართველოს ნაპირებისაკენ საგანგებო სამხედრო-საზღვაო ესკადრა გაგზავნა. 1723 წ. კი თურქებმა დიდი ლაშქრობა მოაწყვეს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და საგანგებოდ გაამაგრეს ზღვისპირა მდებარე სიმაგრეები, მათ შორის ანაკლიისა და ფოთის ციხეები.

როგორც ირკვევა, ბეჟან დადიანს არც 1723 წლის შემდეგ შეუწყვეტია თურქების წინააღმდეგ ბრძოლა. ასე მაგალითად, 1725 წელს რაჭის ერისთავი შოშიტა რუსეთში მყოფ ვახტანგ VI ატყობინებდა, რომ დადიანი მზადაა შეურიგდეს ზურაბ აბაშიძეს და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყოსო. 1726 წ. რუსეთის წარმომადგენელი ყარსიდან პეტერბურგს ოდიშში ანტითურქულ არეულობაზე ატყობინებდა. თურქეთში ბეჟან დადიანის საქმიანობას დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს და მასთან ანგარიშის გასწორებისათვის მოხერხებულ მომენტს ელოდნენ. 1728 წ. ოსმალთა დიდი ლაშქარი ახალციხის საფაშოდან იმერეთში გამოვიდა და გეგუთში დადგა. თურქების სარდალი გეგუთში იაშვილების სასახლეში იყო და დასავლეთ საქართველოს დიდებულები თავისთან მოიწვია და თანაც უვნებლობა აღუთქვა. ფიცით დაიმედებული ბეჟან დადიანი უშიშრად შევიდა ოსმალ ფაშასთან, მაგრამ მას ღალატით „დასცა ბეჭსა ხანჯალი მესაჭურჭლემან ფაშისამან", და განგმირა. მოკლული ოდიშის მთავრის თავი ახალციხის ფაშას გაუგზავნეს. ოდიშის ტახტის მემკვიდრემ ოტიამ, რომელიც მამას ახლდა გეგუთში ოდიშის ლაშქართან ერთად, გაქცევა მოახერხა. იგი მალე სამთავროში დაბრუნდა და სამთავრო ტახტზე „დაჯდა".

1730 წ. გაზაფხულზე თურქებმა ფოთის ციხიდან შავი ზღვის გასწვრივ დიდი ლაშქრობა წამოიწყეს. ალექსანდრე V იმერთა მეფემ პირველ ხანებში მათი მხარე დაიჭირა. თურქებმა დაარბიეს ოდიში, დაწვეს ილორის წმინდა გიორგის სახელგანთქმული

ეკლესია და სამურზაყანოს გავლის შემდეგ აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ამ დროს, ალექსანდრე V იმერთა მეფე თავისი ლაშქრით თურქებს გამოეპარა და იმერეთში დაბრუნდა. მალე აფხაზებიც აჯანყდნენ თურქების წინააღმდეგ და თურქების ეს ლაშქრობა მთლიანად მოიშალა. ოსმალეთის ლაშქარმა დატოვა დასავლეთ საქართველო.

ალექსანდრე V იმერეთის მეფის ოსმალებთან ერთად ოდიშზე ლაშქრობამ იმერეთის მეფესა და ოდიშის მთავარს შორის ურთიერთობა ძალზე გაამწვავა. თანაც, ამ დროისათვის გარდაიცვალა იმერეთის მეფის პირველი ცოლი, ოტია დადიანის მამიდა მარიამი და ალექსანდრემ ახალი ცოლი მოიყვანა. ამის შემდეგ ოტია დადიანი იმერეთის მეფის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის გზას დაადგა და ტახტის მეორე პრეტენდენტს, მეფის ძმას, მამუკა უფლისწულს დაუჭირა მხარი. 1734 წ. ჩიხორთან ბრძოლაში ოდიშის მთავარი დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. მართალია, ალექსანდრე V საპატიო ტყვეს დიდსულოვნად მოექცა „დააყენა ექიმები და გაამთელა", მაგრამ ამით ოტია დადიანის გული მაინც ვერ მოიგო. ტყვეობიდან განთავისუფლებულმა ოდიშის მთავარმა იმერეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლა გააგრძელა. ამ ბრძოლაში ოტია დადიანი ხან მამუკა უფლისწულს უჭერდა მხარს, ხან მეფის მეორე ძმას გიორგის, რომელიც ასევე იმერეთის ტახტისათვის იბრძოდა. 1750 წ. ოტია დადიანის ძმისშვილი დარეჯანი, ერეკლე II-მ შეირთო ცოლად. საპატარძლო ქართლში ალექსანდრე V იმერთა მეფის სასახლიდან წაიყვანეს, რომელთანაც, როგორც სჩანს, ამ დროისათვის ოტია დადიანი დროებით შერიგებული იყო. მიუხედავად ამისა, ოდიშის მთავრის ბრძოლა იმერეთის მეფესთან 1752 წლამდე, ალექსანდრე V-ის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა. ამევე წელს იმერეთის ტახტზე გარდაცვლილი მეფის ვაჟი სოლომონ I ავიდა. ახალი მეფე ძალზე მალე დარწმუნდა, რომ მისთვის პირველ რიგში ოდიშის მთავართან მეგობრული ურთიერთობის დამყარება იყო აუცილებელი. ამიტომ სოლომონ I გაშორდა თავის პირველ ცოლს, აფხაზეთის თავადის ინალიშვილის ასულს და მეორე ცოლად დაახლოებით 1754 წ. „ოტია დადიანის ასული მარიამი" მოიყვანა.

ამ ქორწინების შემდეგ ოდიშის მთავარმა საუკეთესო ურთიერთობა დაამყარა მეფესთან. ამას მოწმობს 1755 წ. სოლომონ I-ის ერთი სიგელი, სადაც იმერეთის მეფე თავის სიმამრს „კეთილმეგობარი და ნებაყოფლობით მორჩილი სიტყვის ჩვენისა, მამადსახადი ჩემი, დადიანი ოტია" უწოდა. როგორც ამ წლის იმერეთის მეფის მეორე სიგელიდან ირკვევა „დადიანს აფხაზეთისაგან საქმე გაუჭირდა. მეფეს „შემოეხვეწა" და იმერეთის მეფემ ოტია დადიანის დასახმარებლად აფხაზეთი დალაშქრა.

ოტია დადიანი ყოველმხრივ ეხმარებოდა სოლომონ I-ს, რომელსაც თავისი მეფობის პირველ წლებში საკუთარი ბიძები, რაჭის ერისთავი თუ აბაშიძეთა სათავადო სახლი ებრძოდა. ბოლოს მეფემ იმერეთის სამეფო ტახტზე თავისი პოზიციები მოიმტკიცა და თურქების წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის დაწყება გადაწყვიტა. მაშინ 1757 წ. აბაშიძეთა და სხვა მოღალატე ფეოდალთა მხარდაჭერით იმერეთში თურქების ლაშქარი შემოიჭრა. სოლომონ I-მა დახმარებისათვის პირველ რიგში ოტია დადიანს მიმართა. „ვინათგან კაცი მამაცი დადიანი ოტია მოუძლურებულ იყო მოხუცებულობისა გამო, — წერს ნიკო დადიანი, - ამისათვის წარმოუვლინა ძე თჯსი კაცია შესაწევნელად სიძესა თვისსა... სპითა ოდიშ-ლეჩხუმ-აფხაზთა". გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ხრესილთან, სადაც მამაცად იბრძოდნენ მეგრელნი და ლეჩხუმელნი... მიეწიენ მეგრელნი, მოკლეს აბაშიძე ლეონ, პაპა მეფისა, შეიპყრეს აბაშიძე გედევან და მიჰგვარეს მეფესა. კვლავად მეგრელთ შეიპყრეს გოლა ფაშა და სპასპეტი მხედრობისა ამის ბაშ-აღა და მოჰკვეთეს ორთავეს თავი. გაემარჯვათ დიდად და სახელოვნად მეფესა და დადიანსა... კაცსა ერთს მოჰყავდა ათი ოსმალი შოებული". ხრესილის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა შარვაშიძე

ხუტუნია, რომელიც, როგორც სამურზაყანოს გამგებელი, კაცია დადიანის მხარდამხარ იბრძოდა ოსმალების წინააღმდეგ.

ოტია დადიანი 1785 წ. გარდაიცვალა და ოდიშის სამთავრო ტახტზე მისი უფროსი ვაჟი კაცია II დადიანი ავიდა. ახალი მთავარი თავდაპირველად თავის მამის პოლიტიკას აგრძელებდა და სოლომონ I-თან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

კაცია II დადიანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრების მუშაობაში, რომელიც სოლომონ I მოწვევით 1759 წ. დეკემბერში გაიმართა. ამ კრებაზე, რომელსაც დასავლეთ საქართველოს სასულიერო და საერო წარჩინებულები ესწრებოდნენ, თავდაპირველად საეკლესიო საკითხები განიხილა, ხოლო კრების მეორე დღეს იმერეთის, ოდიშისა და გურიის საერო და სასულიერო გამგებლებმა იმერეთის მეფის მორჩილებისა და „ტყვის-სყიდვის" აკრძალვის პირობა დადეს, რომელიც საგანგებო „ქელთწერილის" სახით გააფორმეს.

„ახალციხის ფაშამ საშინელი და საზარები შემოგვითვალა... ტყვეს თუ არ გაყიდით იქნებაო", — ვკითხულობთ ამ „ქელთწერილში", — ახლა ამაზე ასე ერთპირობით დაგვიმტკიცებია... სანამდის სული გვიდგას ეს საქმე ჩვენგან არ იქმნეს... მეფე სოლომონის მორჩილ და ბრძანების აღმსრულებელი ვიქმნეთ... არას შეწუხებისა და გაჭირვეებისათვის ჩვენ ერთმანეთს არ უმტყუნოთ და ამ საქმეზედ ჩვენი თავი არ დავიშუროთ, და საქმეშიდ ჩვენ ხელმწიფეს მეფე სოლომონს არ გისუსტოთ".

ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებიდან აფხაზეთის გარდა, ამ პირობის წიგნს საეკლესიო კრებაზე ოდიშის სამთავროს უმთავრესი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები შეუერთდნენ: „ოდიშართა-ლეჩხუმი, — ვკითხულობთ ხელთწერილში — ჩიჩუამ, გიორგი ჩიქუანმა, ფაღავამ, ახელედიან, ასათიან, აფაქიძე, მხეიძემ და ჩიქუანმა, დგებუაძე, ჩიჯავაძე, ჯაიან, ქოჩაქიძე, მიქაძე, ჯოლიამ, შელია, ქართველიშვილი, საჯაიამ და ერთობით ოდიშარმან დიდმან და მცირემან".

„ქელთწერილს" მეფისა და დასავლეთ საქართველოს სასულიერო და საერო წარჩინებულებს შორის ოდიშის მთავრის ბეჭედიც ადასტურებს შემდეგი წარწერით: „შავ ზღვასა აქეთი, დადიანს მაქვს ლეჩხუმ-სვანეთი. კაცია".

საეკლესიო კრების შემდეგ ერთხანს დასავლეთ საქართველოში ერთსულოვნებამ დაისადგურა და მთავრები მეტ-ნაკლებად მეფის ნებას ემორჩილებოდნენ. ამიტომ 1760 წელს კაცია II დადიანი და რაჭის ერისთავი თავიანთი ლაშქრით სოლომონ I-თან ერთად დაეხმარა ერეკლე II-ს განჯაზე ლაშქრობაში.

ამ შემთხვევაში ოდიშის მთავარს გარკვეულად ნათესაური გრძნობაც ამოძრავებდა: ერეკლე მეფეს ხომ მისი ბიძაშვილი დარეჯანი ჰყავდა ცოლად. 1765 წელს ქართლ-კახეთის სამეფო კართან კიდევ უფრო დაახლოების მიზნით კაცია II დადიანი გაშორდა თავის პირველ მეუღლეს — შარვაშიძის ასულს და მეორე ცოლად მოიყვანა ერეკლე II-ის და ელისაბედი. ირკვევა, რომ ქართლ-კახეთის მეფეს ელისაბედისათვის დიდძალი მზითევი გაუტანებია.

1759 წლის საეკლესიო კრების დადგენილება ტყვეთა სყიდვის აკრძალვის თაობაზე ოსმალეთის სულთნის წინააღმდეგ აჯანყებას ნიშნავდა. ასეც გაიგეს ეს დადგენილება თურქეთში. ამიტომ 1760-1764 წწ. დასავლეთ საქართველოში თურქეთის ლაშქარი სულ ცოტა ოთხჯერ შემოიჭრა. როგორც ირკვევა, ამ შემთხვევაშიც მეფე-მთავრები ერთსულოვნად მოქმედებდნენ და ოსმალები ოთხჯერვე დამარცხდნენ.

1765 წ. თურქებმა ზომები მიიღეს დასავლეთ საქართველოს დასამორჩილებლად. თურქები პირველად გურიაში შემოიჭრნენ. მათ დაიმორჩილეს სამთავრო, გადააყენეს მამია IV გურიელი და მთავრის ტახტზე მისი ძმა გიორგი V აიყვანეს. შემდეგ

თურქეთის ლაშქარი ოდიშს მოადგა. კაცია II დადიანმა, როგორც ამის შესახებ თურქი ისტორიკოსი აჰმედ ვასიფი წერს, თურქების მთავარსარდალს „მორჩილება გამოუცხადა“ და გარდა ამისა, პირობა მისცა, რომ მას ჯარისთვის საჭირო სარსათ-სანოვაგით დაეხმარებოდა. ოდიშიდან თურქები ქვემო იმერეთში შემოიჭრნენ და ის ზამთარი ოდიშისა და იმერეთის საზღვარზე გაატარეს. მომდევნო წელს მათ იმერეთის თითქმის ყველა ციხე-სიმაგრე დაიკავეს, სოლომონ I გადაყენებულად გამოაცხადეს და იმერეთის მეფეს ქუთაისში თეიმურაზი, მამუკა უფლისწულის ვაჟი დასვეს. ახალი მეფე მამიდაშვილად ეკუთვნოდა კაცია II დადიანს, ამიტომ ოდიშის მთავარი მის მხარეზე დადგა. თუმცა, ვერც ოდიშის მთავრის, ვერც თურქების დახმარებამ თეიმურაზს ვერ უშველა. 1768 წლის პირველ ნახევარში სოლომონ I-მა გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა თეიმურაზი, რომელსაც ოდიშის მთავრის გარდა რაჭის ერისთავი და გურიელი ეხმარებოდნენ და მუხურის ციხეში გამოკეტა.

კაცია II დადიანმა სოლომონ მეფის მტრობა ამის შემდეგაც გააგრძელა. იმავე წელს ოდიშის მთავარმა შეიფარა მეფის მიერ გადაყენებული დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი, რაჭის ერისთავის როსტომის ძმა ბესარიონი, არ ცნო სოლომონ I-ის ახლად დაყენებული კათალიკოსის უფლებამოსილება და თავის სამთავროს საეკლესიო იერარქებს ძველი კათალიკოსის მორჩილება დაავალა.

1769 წლის სექტემბერში იმერეთის სამეფოს საზღვართან რუსეთის საექსპედიციო კორპუსი გამოჩნდა, რომელსაც ტოტლებენი მოუძღოდა. ამ დროს რუსეთს უკვე დაწყებული ჰქონდა ომი თურქეთთან. ხელისუფლებამ ისარგებლა სოლომონ I-ის მოწვევით, რათა ლაშქრის გამოგზავნით საქართველო თურქეთთან ომში ჩაეთრიათ. თავდაპირველად კაცია II დადიანი მტრულად შეხვდა რუსების გამოჩენას საქართველოში. 1769 წ. ოქტომბრის დასაწყისში, როდესაც სოლომონ I და ტოტლებენი შორაპნის ციხეში გამაგრებულ თურქ მეციხოვნეებს ალყაში აქცევდნენ, ოდიშის მთავარი თავისი ლაშქარით, რომელშიც ათასამდე თურქი, აგრეთვე აფხაზი იყო, იმერეთში შემოიჭრა და ხონი და მისი მიდამოები დაარბია. სოლომონ I სასწრაფოდ დაიძრა შორაპნიდან ოდიშის მთავრის შესახვედრად, დაამარცხა და იმერეთიდან განდევნა.

ტოტლებენმა ისარგებლა იმერეთის მეფის არყოფნით, შორაპნის ციხე მიატოვა და ქართლ-კახეთის სამეფოში გადმოვიდა. უკან რუსეთის საექსპედიციო კორპუსი მხოლოდ 1770 წ. ივნისში დაბრუნდა.

როგორც ერეკლე II, ისე რუსეთის მთავრობა და ტოტლებენი ბევრს ეცადნენ, რომ კაცია II დადიანი იმერეთის მეფესთან შეერიგებინათ, მაგრამ ამ ცდისაგან არაფერი გამოვიდა. სოლომონ I რუსებისაგან მოითხოვდა, რომ ოდიშის მთავარი მის თავადად ჩაეთვალათ და კაცია II დადიანთან მის გარეშე პირდაპირი ურთიერთობა არ დაემყარებინათ. ამავე დროს იმერეთის მეფე ოდიშის საზღვრებში მოქცეულ ლეჩხუმს იმერეთის სამეფოს შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა.

იმერეთის მეფის წინააღმდეგობის მიუხედავად, 1770 წ. აგვისტო-სექტემბერში კაცია II დადიანმა თავის ძმის ცაგერის ეპისკოპოსის მეშვეობით ტოტლებენთან ურთიერთობა დაამყარა. ამავე ხანებში მან ტოტლებენის წარმომადგენლის მაიორ მარკოვის თანდასწრებით გორდში „კათალიკოზით, არქიერებითა“, „ძმებითა და კაცებით“ რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცა.

მალე ტოტლებენის კორპუსი ხონიდან ოდიშის სამთავროს გავლით ფოთისაკენ დაიძრა. ოდიშის მთავარმა რუსები სურსათ-სანოვაგითა და ტრანსპორტით მოამარაგა. მისივე დახმარებით მოხერხდა თურქებისაგან ანაკლიისა და რუხის ციხე-სიმაგრეების აღება.

ფოთის ალყა 1770 წ. 3 ოქტომბერს დაიწყო. კაცია II დადიანი თავისი ძმით გიორგით და ოთხასკაციანი რაზმით მუდმივად იმყოფებოდა ტოტლებენთან, ყოველმხრივ ეხმარებოდა მას და მზად იყო ციხეზე იერიშს სათაეში ჩადგომოდა. ბოლოს, რუსის ჯარის სარდლისა და კაცია II დადიანის მეგობრობა დიდი კონფლიქტით დასრულდა. ჯერ იყო და რუსეთის გენერალმა ოდიშის „ერთი ქვეყნები მოაოხრნა და მრავალი სული ტყვედ ჰყო". 1771 წლის თებერვალში ტოტლებენმა ფოთიდან უკან დაიხია, უკან გზაზე მან მძევლად წაიყვანა მთავრის ძმა გიორგი და თვით კაცია II დადიანის დატყვევებასაც შეეცადა. ბოლოს, გიორგი დადიანიც გაექცა საექსპედიციო კორპუსის სარდალს, რომელმაც თავის კორპუსით იმერეთში დაიბანაკა. ეკატერინე II კარზე, როგორც იქნა დარწმუნდნენ, რომ ტოტლებენი „რუსეთს უფრო სირცხვილს უხვეჭდა, ვიდრე სახელს" და მის ნაცვლად კორპუსის მეთაურად სუხოტინი დანიშნეს, რომელიც 1771 წ. მაისში საქართველოში ჩამოვიდა. ახალმა სარდალმა ფოთზე გალაშქრება იმავე წლის ზაფხულში მოინდომა, რაც ფოთის ჭაობიანი კლიმატის გამო ძალზე სახიფათო იყო. მიუხედავად ამისა, კაცია II დადიანი ფოთზე ლაშქრობაში რუსეთის ახალ სარდალსაც დაეხმარა, თუმცა, აქაც საქმე რუსების უმადურობით დამთავრდა. სუხოტინმა მძევლად თავადი ჩიჩუა აიყვანა, რომელიც შემდეგ რუსეთში წაიყვანა ტყვედ.

1771 წლის დეკემბერში რუსეთის მთავრობამ ჩათვალა, რომ მისმა კორპუსმა თავისი მისია შეასრულა, რადგან საქართველოს მეფე-მთავრები თურქებთან ომში ჩაბა. ამიტომ ამ კორპუსის საქართველოდან გაყვანა გადაწყვიტა. 1772 წლის მაისში რუსეთის კორპუსი ქუთაისიდან დაიძრა და მოკლე ხანში ჩვენი ქვეყანა დატოვა.

ტოტლებენთან და სუხოტინთან ურთიერთობის უარყოფითმა გამოცდილებამ ოდიშის მთავარი რუსეთის წინააღმდეგ განაწყო. ამიტომ კაცია II დადიანმა ფაქტობრივად საშუალება არ მისცა 1772 წელს აგვისტო-სექტემბერში გერმანელ მეცნიერს გიულდენშტედს დათვალიერებინა მისი სამთავრო. გერმანელი მეცნიერი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით 1768-1774 წწ. კავკასიის ქვეყნებს და მათ შორის საქართველოსაც სწავლობდა.

კაცია II დადიანის ურთიერთობა იმერეთის მეფესთან არც საქართველოდან რუსეთის კორპუსის წასვლის შემდეგ გაუმჯობესებულა. ოდიშის მთავარსა და სოლომონ I შორის შერიგების თაობაზე განუწყვეტლივ მიდიოდა მოლაპარაკება, მაგრამ თითქმის 1780 წლამდე ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

1780 წლისათვის ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთიდან დიდი საფრთხე დაემუქრა. „ჟამსა ამას ჰფლობდეს აფხაზეთსა შარვაშიძენი ზურაბ, ქელაიშ აჰმედ ბეგ და ბექირ ბეგ, — წერს ნიკო დადიანი, — ამათ შეიკრიბნეს ჯიქნი, ალანნი, ზუბუა და მაზუმაჲ და წარმოემართნენ დადიანს ზედა. განუდგენ დადიანსა სამფლობელო თვისი სამურზაყანოდ წოდებული და მიერთვენ მათ ხსენებულთა შარვაშიძეთა". ფაქტობრივად ეს იყო მთელი დასავლეთ კავკასიის ლაშქრობა ოდიშის წინააღმდეგ. ბესიკის ცნობით, ამ ლაშქრობაში 6 ენაზე მოლაპარაკე მოლაშქრენი ყოფილან, მათ შორის ყირიმელი თათრები და კრემენჩუგელები. ამის გარდა შარვაშიძეებს, პირველ ყოვლისა, თურქები უჭერდნენ მხარს. ენგურის მარცხენა ნაპირზე მდებარე ოდიშს აფხაზებისაგან და მისი მოკავშირეებისაგან წალეკვის საფრთხე დაემუქრა, დაახლოებით ის, რაც ასიოდე წლის წინათ ენგურის ჩრდილო-დასავლეთით მოხდა.

საბედნიეროდ, XVII ს. 80-90-იანი წლების სიტუაცია აღარ განმეორებულა. ოდიშის მთავარმა „შეკრიბა სპანი თვისნი ოდიშ-ლეჩხუმისა და სვანეთისა" და რუხის ციხესთან დაბანაკდა. შემდეგ მან დახმარებისათვის სოლომონ I მიმართა და წერილში მისი „მსახურება ხრესილის ომისა" შეახსენა. სოლომონ I სწრაფად შეაფასა ის საფრთხე, რომელიც არა მარტო ოდიშს, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოს დაემუქრა და კაცია II დადიანის დასახმარებლად გაემართა. გადამწყვეტი ბრძოლა იქვე, რუხში მოხდა. „ამხედრდნენ აფხაზნი და წარმოემართნენ ზარბაზან-არტილერიით და დიდძალით მხედრებით მეფესა და დადიანსა ზედა, — წერს ნიკო დადიანი, — აქათ მიეგებნენ სპანი მეფისა და დადიანისანი, და შეიქმნა საშინელი ბრძოლანი". ბოლოს სოლომონ I „წარუძღა რამოდენსამე გუნდსა მხედრობასა იმერთ-ოდიშართა და მოუხდა მარჯვენით

კერძო მამაცად... განგლიჯა რაზმი, და შევიდეს სპანი მეფისა და დადიანის რაზმსა შუა: მხილველნი ამის აფხაზნი ვერ წინააღუდგნენ. ივლტოდეს აფხაზნი. განემარჯვათ სახელოვნად მეფესა და დადიანსა. მოიკლა აფხაზნი მრავალნი და წამოიყვანეს მრავალნი ტყვედ".

რუხის ბრძოლის შემდეგ ოდიშის მთავარსა და იმერეთის მეფეს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა და ასე გაგრძელდა სოლომონ I-ის გარდაცვალებამდე. რუხთან დამარცხების შემდეგ აფხაზეთში შინაომმა იფეთქა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „შარვაშიძე ზურაბ, რომელიც ფლობდა ზუფუს და ძმისწული მისი ქელაიშ-აჰმედ ბეგ, რომელი ფლობდა აყუს" იგივე ცხუმს ანუ დღევანდელ სოხუმს. ზურაბ შარვაშიძემ დახმარება კაცია II დადიანს თხოვა. ოდიშის მთავარმა თავისი ძმის გიორგის მეთაურობით „სპანი თვისნი" გაგზავნა აფხაზეთში. „მივიდნენ რა აფხაზეთს", ურჩნი ზურაბისანი მოსწვეს, მოსწყვიდეს და შემდგომად მოადგენ ცხომის ციხეს, სადა მამაცად „ბრძოდენ ციხით გამო, მეციხოვნენი ქელაიშ-აჰმად-ბეგისანი". მიუხედავად წინააღმდეგობისა, გიორგი „დადიანმან აიღო ციხე და მოიქცა გამარჯვებული ოდიშსავე".

1784 წლის 23 აპრილს სოლომონ I გარდაიცვალა. იმერეთის მეფეს ვაჟიშვილი არ დარჩენია. მან ოფიციალურად თავის მემკვიდრედ დავით არჩილის ძე — თავისი ძმისშვილი და ერეკლე II-ის შვილიშვილი გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, მისი სიკვდილის შემდეგ, ტახტზე თავდაპირველად იმერეთის მეფის მეორე პრეტენდენტი სოლომონ I-ის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე ავიდა, რომელსაც იმერეთის ყველაზე გავლენიანმა ფეოდალებმა და ოდიშის მთავარმა დაუჭირეს მხარი.

თურქები შეეცადნენ იმერეთის ახალი მეფისათვის სტამბოლის მახლობლად მცხოვრები ქაიხოსრო აბაშიძე დაეპირისპირებინათ. დასავლეთ საქართველოში დავით გიორგის ძის მეტოქესთან ურთიერთობას კაცია II დადიანსაც აბრალებდნენ. რუსეთის ხელისუფლებამ ოდიშის მთავრის გულის მოგება გადაწყვიტა. ეკატერინე II-მ კაცია II დადიანს ალექსანდრე ნეველის ორდენი გამოუგზავნა და რუსეთის ერთგულებისათვის მომავალშიც დიდ წყალობას შეპირდა.

კაცია II დადიანი მალე დაუახლოვდა იმერეთის ახალ მეფეს, რომელმაც ოდიშის მთავარს დიდძალი ყმა-მამული დაუთმო. ოდიშის მთავრის ლაშქარი რამდენჯერმე დაეხმარა დავით გიორგის ძეს თავისი ფეოდალების — წულუკიძეებისა და წერეთლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სიკვდილის წინ კაცია II დადიანმა სამთავროს ტახტის მემკვიდრე იმერეთის მეფეს შეავედრა და მეფემაც აღუთქვა „ფიციათა შემწეობა შვილთა დადიანისათა".

1788 წლის 6 დეკემბერს კაცია II დადიანი გარდაიცვალა და ოდიშის მთავარი მისი ვაჟი გრიგოლი გახდა. იმერეთის მეფემ მალე დაივიწყა თავისი ფიცი. ორი თვის შემდეგ იმერეთის მეფის ლაშქარი ოდიშში შემოიჭრა და „მრავალნი ოდიშარნი და ძმა გრიგოლ დადიანისა მანუჩარ" გადაიბირა. როგორც ჩანს, დავით გიორგის-ძეს ოდიშის ტახტზე თავისი სასურველი კანდიდატის დასმა სურდა. კაცია II დადიანს სამი მეუღლე ჰყავდა. პირველი იყო დარეჯან შარვაშიძე, რომელსაც 1765 წ. გაშორდა და მის ნაცვლად ერეკლე II-ის და ელისაბედი შეირთო. 1770 წ. ელისაბედი შვილზე — გრიგოლზე მშობიარობას გადაჰყვა. მის ნაცვლად მთავარმა წულუკიძის ასული ანა შეირთო ცოლად. დედოფალს, როგორც ჩანს, გრიგოლი დიდად არ უყვარდა და ღვიძლი შვილის მანუჩარის გამთავრება უნდოდა. მანუჩარს ლეონ შარვაშიძის ასული ჰყავდა ცოლად. ამიტომ გრიგოლ დადიანის ნაცვლად მის გამთავრებას აფხაზეთის სამთავრო სახლიც მოითხოვდა. დავით გიორგის-ძეს ძვირად დაუჯდა ოდიშზე გალაშქრება. გრიგოლ დადიანი ლეჩხუმში გადავიდა და იქ მისი მეტოქე დავით არჩილის-ძე მოიწვია.

მური ციხეში იმერეთის მეფის მეტოქეს კაცია II დადიანის ასულზე და გრიგოლ დადიანის დაზე მარიამზე დაწერეს ჯვარი და იმერეთის ტახტისათვის ბრძოლაში ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს.

1789 წლის 11 იელისს გრიგოლ დადიანი თავისი ლაშქრით დავით არჩილის-ძესთან ერთად შეება მათხოჯში იმერეთის მეფეს დავით გიორგის-ძეს და სასტიკად დაამარცხა. სიძე-ცოლისძმამ მალე ქუთაისიც დაიკავა. ამის შემდეგ დავით არჩილის-ძე სოლომონ II სახელით იმერეთის სამეფო ტახტზე ავიდა. იმავე წელს გრიგოლ დადიანმა ცოლად მოიყვანა მომავალი გიორგი XII-ის ასული, ერეკლე II-ის შვილიშვილი ნინო.

სოლომონ II-ის მეფობის პირველ წლებში, გრიგოლ დადიანს საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდა იმერეთის მეფესთან. იგი 1789-1792 წლებში ყოველმხრივ ეხმარებოდა სოლომონ II-ს ტახტიდან გადაგდებულ დავით გიორგის-ძესთან ბრძოლაში.

1790 წ. ივნისში გაფორმდა „ტრახტატი ივერიელ მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული საზოგადოებისათვის შეერთებისა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიის აღწერილი სამეუფოსა ქალაქსა ტფილისს 1791 წელსა". ამ ტრაქტატით დას. საქართველოს მეფე-მთავრები ქართლ-კახეთის სამეფოსთან სამხედრო კავშირს ამყარებდნენ და 1783 წლის რუსეთ-საქართველოს გეორგიევსკის ტრაქტატს ფორმალურად უერთდებოდნენ. ეს „ტრახტატი" თავის მხრივ რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. ჯერ „მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა, ირაკლი მეორე" ყოველმხრივ დახმარებისა და რუსეთთან შუამავლობის პირობას აძლევს „საიმერეთოსა მეფესა სოლომონს და მთავარსა ოდიშისა და სხუათა სამთავროთა დადიან გრიგოლს და მთავარსა გურიისა სიმეონს". შემდეგ კი დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები შესაბამის პირობას აძლევენ ქართლ-კახეთის მეფეს. აქ, მესამე ნაწილში, რომელსაც „ტრახტატი მესამე ნაცვლად პირველისა" ეწოდება, „მთავარი ოდიშისა და სხუათა სამთავროთა" დადიანი გრიგოლი ერთგულების პირობას აძლევს „მეორესა ირაკლის" და „თავადთა კეთილშობილთა და ერთა ზემოჲს ივერიისათა".

1791 წ. გრიგოლ დადიანმა „ტყვის სყიდვასთან" ბრძოლის პირობა მისცა იმერეთის მეფეს. 1792 წ. მაისში გრიგოლ დადიანმა სოლომონ II-ს ოდიშში იმერეთიდან „აღმოჩენილი ნაქურდალის" დაბრუნების პირობა მისცა. ცოტა ხნის შემდეგ გრიგოლ დადიანის სამთავროში მისივე წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო. შეთქმულები სოლომონ II-ს დაუკავშირდნენ და მისი ძალით მთავარი ტახტიდან გადააგდეს და მის ნაცვლად მისი ძმა მანუჩარი ანუ მანუჩარ II დადიანი აიყვანეს.

ტახტიდან გადაგდებული გრიგოლ დადიანი ასევე მის ბედში მყოფ დავით გიორგის-ძეს დაუკავშირდა და სოლომონ II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარში ამოუდგა. საბოლოოდ, აფხაზების დახმარების მიუხედავად, ეს ახალი მოკავშირეები დამარცხდნენ. გრიგოლ დადიანი თავის მეუღლით ერთხანს ფოთში გადავიდა, ხოლო დავით გიორგი-ძის ახალციხეში გარდაცვალების შემდეგ კი ჯერ ახალციხეს. შემდეგ ქართლ-კახეთში და ერეკლე II-ს და თავის სიმამრს გიორგის მიაშურა.

ერეკლე II-მ გრიგოლ დადიანს იმერეთის მეფესთან შუამავლობა გაუწია. ამის შემდეგ ერთხანს ოდიშის გადაყენებული მთავარი თავის მეუღლესთან ერთად სოლომონ II-ის კარზე ცხოვრობდა, მაგრამ იმერეთის მეფე სამთავროს დაბრუნებას არ ჩქარობდა. მაშინ გრიგოლ დადიანი ქუთაისიდან ოდიშს გაიპარა და შემდეგ ლეჩხუმში გადავიდა. მალე მან ერთგული ფეოდალების დახმარებით ტახტი დაიბრუნა, ხოლო თავის მეტოქე მანუჩარს სალიპარტიანო უბოძა.

მანუჩარ II დადიანის მმართველობის დროიდან სულ რაღენიმე სიგელი შემორჩა. მათ შორის, მისი გაცემული ყველაზე გვიანი სიგელი 1796 წლითაა დათარიღებული. ამავე წლით ათარიღებს ბაგრატ ბატონიშვილი ოდიშის სამთავრო ტახტზე გრიგოლ დადიანის დაბრუნებას. ასე რომ, მანუჩარ II დადიანის ხანმოკლე მმართველობა 1792-1796 წწ. თარიღდება.

ბედნიერი არც გრიგოლ დადიანის მთავრობის მეორე პერიოდი გამოდგა, რადგან რამდენიმე წლის შემდეგ სოლომონ II კვლავ აშკარად დაუპირისპირდა მას. იმერეთის მეფემ თავდაპირველად მანუჩარ II

დადიანის ტახტზე დაბრუნებას დაუჭირა მხარი, შემდეგ კი გრიგოლ დადიანის მეორე ძმა ტარიელი, იგივე ტარია გამოაცხადა ოდიშის მთავრად.

გრიგოლ დადიანი ყოველნაირად ცდილობდა ტახტის შენარჩუნებასა და სამთავროს არ ტოვებდა. იმისათვის, რომ მეფესთან ბრძოლაში აფხაზთა დახმარება მიეღო, მან თავისი მცირეწლოვანი შვილი ლევანი ქელაიშ-აჰმედ-ბეგ შარვაშიძეს მისცა მძევლად, მაგრამ აფხაზთა დახმარება საკმარისი ველარ აღმოჩნდა. მაშინ გრიგოლ დადიანმა თხოვნით ბევრად უფრო მრისხანე ძალას, რუსეთის იმპერიას მიმართა, რომელსაც უკვე დაპყრობილი ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფო და დასავლეთ საქართველოსაკენ ნახტომისათვის ემზადებოდა.

მთავარსარდალი პავლე ციციანოვი, რომელიც ამ ხანისათვის უკვე აღმოსავლეთ საქართველოს განაგებდა, მთავრის თხოვნას სიხარულით შეხვდა. პეტერბურგთან მიმოწერის საფუძველზე, თბილისში, მთავარსარდლის კანცელარიაში შედგა რუსეთის საზღვრებში ოდიშის შეერთების პირობები, რომელიც გრიგოლ დადიანის იმპერატორისადმი „სათხოვარ პუნქტებად“ ჩამოყალიბდა.

ოდიშის მთავარი რუსეთის მუდმივ ქვეშევრდომობაში შედიოდა. იგი სამთავროს მემკვიდრეობითი მფლობელი ხდებოდა. გრიგოლ დადიანს იმპერატორისაგან დამტკიცების ნიშნად ხმალი და დროშა უნდა მიეღო. ამის გარდა მის შემდეგ ყოველი ახალი მთავარი რუსეთის ხელმწიფეს საგანგებო სიგელით უნდა დაემტკიცებინა. ოდიშის მთავარი თავის ქვეშევრდომების უმაღლეს მოსამართლედ რჩებოდა და შინაგან საქმეებში ფართო ავტონომიით სარგებლობდა.

1803 წლის 1 დეკემბერს ჭალადიდში ციციანოვის წარმომადგენელი გრიგოლ დადიანს შეხვდა. მან ოდიშის მთავარს და მის მეუღლეს ძვირფასი საჩუქრები ჩამოუტანა და გრიგოლ დადიანს მისი სახელით თბილისში შედგენილი „სათხოვარი პუნქტები“ წარუდგინა. იმავე დღეს ოდიშის მთავარმა ამ დოკუმენტს ხელი მოაწერა, ხოლო 4 დეკემბერს სასულიერო და საერო დიდებულების თანდასწრებით რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობაზე დაიფიცა. ფიცის შემდეგ ციციანოვის წარმომადგენელმა გრიგოლ დადიანს იმპერატორისაგან გამოგზავნილი ალექსანდრე ნეველის ორდენი გადასცა.

1803 წლის დეკემბერში გრიგოლ დადიანის მიერ ხელმოწერილი „სათხოვარი პუნქტები“ რუსეთის იმპერატორმა 1804 წ. 4 ივლისის საგანგებო სიგელით დაამტკიცა. ოდიშის სამთავრო ოფიციალურად რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად გადაიქცა. იმავე დღეს რუსეთის იმპერატორმა სოლომონ II-ს სათხოვარი პუნქტებიც დაამტკიცა და იმერეთის მეფეც რუსეთის ქვეშევრდომად გამოცხადდა.

1804 წლის გაზაფხულზე დასავლეთ საქართველოში ქართლ-კახეთიდან რუსეთის ჯარის ასეული გადმოვიდა, რომელსაც ლიტვინოვი მეთაურობდა. ლიტვინოვის ერთ-ერთი ამოცანა იყო მიეღო სამეგრელოში რუსეთის ჯარის ნაწილები, რომელიც ყირიმიდან იგზავნებოდა.

1804 წლის ოქტომბრის დასაწყისში მდ. ხობის შესართავში ორი რუსული გემი „ისიდორი“ და „მიხეილი“ გამოჩნდა, რომელმაც რუსი ჯარის ნაწილები ჩამოიყვანა. რუსული ჯარის ნაწილების მიღებაში, პირველ რიგში, თავი გრიგოლ დადიანმა გამოიჩინა, რომელმაც „დაბანაკა რუსნი... მისცა ზარბაზანნი და სხვადასხვა საჭირო სახსარნი, საჭმელ-სასმელნი, შამოაელო ირგვლივ სიმაგრე“. ამის შემდეგ ოდიშის მთავარი ლეჩხუმში დაბრუნდა, სადაც გაურკვეველ ვითარებაში 1804 წლის 23 ოქტომბერს გარდაიცვალა.

ასე დაიწყო ოდიშის სამთავროს ბოლო პერიოდი, რომელიც უკვე რუსეთის იმპერიის ერთ ავტონომიურ ერთეულს წარმოადგენდა. ამ დროიდან თვით სამთავროს სახელწოდება ოდიში, ოფიციალურად სამეგრელოთი შეიცვალა. ასე რომ, თავისი არსებობის ბოლო პერიოდში ამ სამთავროს უკვე სამეგრელოს სამთავროს უწოდებენ.

7.2. სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში

გრიგოლ დადიანის გარდაცვალების შემდეგ სამეგრელოს სამთავრო მთავრის გარეშე დარჩა, რადგან ტახტის მემკვიდრე, გრიგოლის უფროსი ვაჟი ლევანი, აფხაზეთის მფლობელს ქელაიშ-ბეგ შარვაშიძეს ჰყავდა მძევლად. მთავრობაზე პრეტენზია ერთდროულად გამოაცხადეს გარდაცვლილი მთავრის ძმებმა მანუჩარ და ტარიელ დადიანებმა, რომლებსაც უკვე სხვადასხვა დროს ეკავათ ოდიშის მთავრის ტახტი. ნიკო დადიანის ცნობით, სამეგრელოს წარჩინებულთა დიდმა ნაწილმა დიდი ერთგულება გამოიჩინა გარდაცვლილის ქერივის ნინო დედოფლის მიმართ და „ვერღარა ეუფლონ ნებას მათსა ძმები დადიანისანი". სინამდვილეში გადამწყვეტი როლი ამ შემთხვევაში რუსეთის პოზიციამ ითამაშა, რომელმაც ცალსახად დაუჭირა მხარი ტახტის კანონიერ მემკვიდრეს. 1805 წლის 26 იანვრის საგანგებო რესკრიპტით რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ბატონიშვილი ლევანი „სამეგრელოს, ოდიშისა და ლეჩხუმის მფლობელ მთავრად გამოაცხადა" და, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მისი მთავრად დამტკიცების სიგელის მომზადება მოთხოვა. ამ რესკრიპტით, გარდაცვლილი მთავრის ქერივი ნინო დედოფალი არასრულწლოვანი მთავრის მზრუნველად და სამეგრელოს მმართველად გამოცხადდა, რომელსაც ლევან დადიანის სრულწლოვანებამდე სამთავრო დროებით საბჭოსთან ერთად უნდა ემართა. ცოტა მოგვიანებით, დროებითი საბჭოს წევრებად ბესარიონ ჭყონდიდელი, ნიკოლოზ დადიანი, ლეჩხუმის მოურავი ბერი გელოვანი და სახლთუხუცესი გიორგი ჩიქოვანი დაინიშნენ.

საკმაოდ გაჭიანურდა ტახტის მემკვიდრის ტყვეობიდან განთავისუფლების საქმე. აფხაზეთის მფლობელი მასში დიდ გამოსასყიდს და სანაცვლო მძევალს ითხოვდა. გაბრაზებულმა საქართველოს მთავარსადრალმა ქელაიშ-ბეგის წინააღმდეგ რუსეთის ჯარის ნაწილები დაძრა, რომლებმაც გზად ანაკლიის ციხეც დაიკავეს. ამ დროს რუსეთსა და თურქეთს შორის მეგობრული კავშირი იყო, ამიტომ სულ მალე რუსეთის ხელისუფლებას ამ ციხის უკან დაბრუნება მოუხდა, მაგრამ რუსეთის ჯარის მუქარამ აფხაზეთის მფლობელი დააშინა და 1805 წ. 2 აპრილს ანაკლიაში გრიგოლ დადიანის ვაჟი რუსეთის ხელისუფლებას გადასცა. ანაკლიიდან ტახტის მემკვიდრე „წარმოიყვანეს ზუგდიდს... და მიათვალეს ყოველი სამთავრო მენგრელიისა". ისტორიაში იგი ლევან V დადიანის სახელითაა ცნობილი. 1805 წლის 9 ივლისს სამეგრელოს ახალ მთავარს საზეიმოდ გადაეცა ალექსანდრე I-ის გამოგზავნილი დამტკიცების სიგელი, ხმალი და დროშა, აგრეთვე პირველი ხარისხის წმინდა ანას ორდენი ბრილიანტის ვარსკვლავით. ამ საზეიმო ცერემონიალს საკუთრივ სამეგრელოს წარჩინებულებთან ერთად სამურზაყანოს წარჩინებულნიც დაესწრნენ, რომლებმაც იმავე დღეს რუსეთის იმპერატორისა და სამეგრელოს მთავრის ერთგულების საგანგებო ფიცი მიიღეს. „ჩვენ ქვემორე ქელის მომწერნი, — ვკითხულობთ ამ ფიცის წიგნში, — სამურზაყანოს მფლობელნი, შემოვედით ყმად ჩვენი ქვეყნის თავად-აზნაურთ მისს იმპერატორის დიდებულების... როგორც რომ ყოვლად უმოწყალესი ხელმწიფის ყმად ვიმყოფებით, აგრეთვე სამეგრელოს თვითმპყრობელი... ლევან დადიანისა, რადგან ჩვენც ჩვენი ქვეყნით ძველიდგან ვყოფილვართ სამეგრელოს თვითმპყრობელი თავადი დადიანისა".

ამჯერად, სამურზაყანოს სამეგრელოს სამთაროს შემადგენლობაში დაბრუნება, როგორც ირკვევა, აფხაზეთის მფლობელმაც ცნო, რადგან ამის შემდეგ 1805 წლის 26 მაისს, ქელეშ-ბეგმა ანაკლიას ციხეში „საქართველოს მეფის ასულს დედოფალ ნინოს და

„დადიანს ლევანს“ საგანგებო „მტკიცებულების წერილი“ მისცა, სადაც აღუთქვა „შენი კარგის მდომი ვიქმნე და შენი მტრისა მტერი ვიქმნე“-ო.

ჯერ კიდევ ლევან V დადიანი ტყვეობიდან არ იყო დაბრუნებული, როდესაც სამეგრელოს დედოფალ ნინოს, რუსეთის ხელისუფლების თხოვნით, პეტერბურგში საგანგებო დეპუტაციის გაგზავნა მოუწია, რომელსაც იმპერატორის კარზე ის „აღფრთოვანება“ უნდა გამოეხატა, რაც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლამ სამეგრელოში გამოიწვია. დეპუტაციის შემადგენლობაში შევიდა ნიკო დადიანიც, რომელიც დღეს, პირველ რიგში, როგორც ისტორიკოსია ცნობილი, ასევე ბეჟან დადიანი და კარის დეკანოზი იოანე იოსელიანი.

სამეგრელოს დეპუტაცია პეტერბურგში დიდი პატივით მიიღეს. მას აუდიენცია თვით იმპერატორმა გაუმართა. დეპუტაციამ იმპერატორს საგანგებოდ გაუგზავნა „ძღვნად წარღებული ნინო დედოფლისაგან ხატი ვლაქერნის ღმრთისმშობლისა“, რომელიც იმპერატორმა „დაასვენა თავის სასახლის ეკლესიასა შინა დიდი ცერემონიითა“. ერთი წლის შემდეგ სამეგრელოს დეპუტაცია პეტერბურგიდან სამშობლოში დიდი პატივით გამოისტუმრეს. „შეამკო უძვირფასესი ხატი ვლაქერნის ღმრთისმშობლისა და წარმოგზავნად კვალად სახლსა შინა დადიანისა, — წერს რუსეთის იმპერატორის შესახებ ნიკო დადიანი, — რათა მუნ განისვენოს... ბრძანა აღშენება ეკლესიისა სახელსა ზედა ვლაქერნისა ღმრთისმშობლისასა სამეგრელოს შინა ხარჯითა მისის იმპერა-ტორებითის დიდებულებისათა, და იქმნეს მუნ ქალაქი, და ეწოდებოდეს სახელად ქალაქსა მას გრიგორიოპოლისი სახსოვრად განსვენებული გრიგორი დადიანისა“.

პეტერბურგში სამეგრელოს დეპუტაციის მიღებით ფორმალურად დასრულდა სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიაში შესვლის პროცესი. ბუნებრივია, რუსეთის იმპერიის ფარგლებში სამეგრელოს სამთავროს უკვე აღარ შეეძლო გაეტარებინა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. ამის შემდეგ სამთავროს თავისი ტერიტორიული პრეტენზიები მეზობლებთან, რომელიც მას გრიგოლ დადიანის უიღბლო მთავრობის დროს საკმაოდ დაუგროვდა, მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების მეშვეობით უნდა მოეგვარებინა. ამის სანაცვლოდ კი სამეგრელოს სამთავროს რუსეთის ინტერესები უნდა დაეცვა შავიზღვისპირეთში და მხოლოდ იმპერიის მტრების წინააღმდეგ უნდა აღემართა მახვილი. სამეგრელოს დახმარება კი რუსეთს ძალზე მალე დასჭირდა. 1806 წელს ოსმალთა თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. ამ დროისათვის რუსები ხობის შესართავში, რედუტკალეში იყვნენ გამაგრებულნი, ხოლო თურქების მთავარ ციხე-სიმაგრეს ფოთი წარმოადგენდა. თავდაპირველად რუსეთის სარდლობამ ფოთზე თავდასხმა ვერ გაბედა და მხოლოდ რედუტ-კალეს დაცვით შემოიფარგლა. 1807 წლის ზაფხულში მეომარ მხარეებს შორის დროებითი ზავი დაიდო და ამ ეტაპზე რუსეთს სამეგრელოს სამთავროს დახმარება პირველ რიგში აფხაზეთში დასჭირდა.

1808 წლის მაისში ასლან ბეგმა სოხუმში მთავრის სასახლის წინ მოკლა საკუთარი მამა, აფხაზეთის მფლობელი ქელაიშ-ბეგ შარვაშიძე და სოხუმის ციხე დაიკავა. აფხაზეთის ტახტის მემკვიდრემ, მთავრის უფროსმა ვაჟმა საფარბეგმა თავის ძალებით მამის მკვლელის და საკუთარი ძმის სოხუმის ციხიდან გაძევება ვერ მოახერხა და დასახმარებლად ნინო დედოფალს მიმართა. მით უფრო, რომ საფარ ბეგს ცოლად ჰყავდა გარდაცვლილი გრიგოლ დადიანის და, ხოლო ჯვრისწერის დროს სამეგრელოს მთავრის კარის მღვდლის სიმონ ასათიანის ხელით იყო ფარულად მონათლული და ქრისტიანულ სახელს გიორგის ატარებდა. „მაშინ წარვიდა ლეონ დადიანი სპითა სამეგრელოსათა და მივედით აყუს და დავებანაკეთ ბესილას პირზე, — წერს ნიკო დადიანი, — რომელიც აყუს სოხუმს უწოდებს, — და ვერა მივადექით ციხესა გარს, ვინაითგან არ გვქონდა მომზადებულება არტილერიათა და არცა სხვათა ციხის მისადგომთა, იარაღით. ამისთვის გამოვართვით მეუღლე ქელაიშ-აპმედ-ბეგისა მარშანიას ასული რებია ჰანუმ და შვილი მისი ბათალ-ბეგ შარვაშიძე, რომელ ესენი ტყვედ ყავდა ბოროტსა მას ასლან-ბეგს, და გავანთავისუფლეთ და შემდგომად დავმძევლეთ ყოველი აფხაზეთი

ჯიქეთის საზღვრიდამ ვიდრე ღალიძგა-დადიანის საზღვრამდე და მივათვალეთ საფარ ბეგს და ესრეთ მშვიდობით წარმოვედით ოდიშიდვე“.

საფარბეგს, იგივე გიორგი შარვაშიძეს სამეგრელოს დახმარებამ თავისი ძმის ასლანბეგის პრობლემა ვერ გადაუჭრა. მაშინ აფხაზეთის ახალმა მფლობელმა რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლა გადაწყვიტა და ამისათვის შუამავლად ნინო დედოფალი გამოიყენა. სამეგრელოს მთავრის დახმარებით გიორგი შარვაშიძე ფარულად შევიდა რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობაში, თუმცა ამის გამოცხადება რუსეთის მთავრობის რჩევით უკეთესი დროისათვის გადადო.

1808 წელს რუსეთ-თურქეთის ომი განახლდა. მთავრსარდლის გუდოვიჩის ბრძანებით ამ წლის მაისში რუსეთის ჯარის ნაწილები და სამეგრელოს ლაშქარი ფოთს მიადგა. 9 მაისს იერიში დაიწყო. „მიუტანეთ ერთხმათ შტურმი (ესე იგი ერიში), — წერს ნიკო დადიანი, — და გარდავიდნენ მხედრობა სანგალსაზედა, აღვიღეთ სიმაგრე და შევედით ქალაქსა შინა და აღვიღეთ ქალაქი და მივადექით ციხის მახლობლად“. ასეთი წარმატების მიუხედავად, ფოთის ციხე-სიმაგრის აღება ვერ მოხერხდა. და ერთი კვირის შემდეგ რუსის ჯარი და სამეგრელოს ლაშქარი იძულებული გახდა უკან დაეხია.

მეორეჯერ ფოთს რუსეთის ჯარი დიმიტრი ორბელიანის სარდლობით 1809 წლის 13 აგვისტოს მიადგა. რუსებთან ერთად სამეგრელოს ლაშქარიც იყო, რომელსაც ლევან V დადიანი ედგა სათავეში. თვით ქალაქის აღება არ გაძნელებულა. „მიბრძანეს მე მთავარცა ჩვენმან და ღენერალმაცა, — წერს ნიკო დადიანი, — რათა აღვიღო ქალაქი ფოთისა, წარვედი სამეგრელოსა რამდენათმე მხედრობითა და შევედით რა ქალაქად, შეგვექმნა ჩხუბი სასტიკი, რომელ ოსმალთ განემაგრებინათ სახლნი და ქუჩანი გარნა შემდგომად ბრძოლისა განსდევნეთ იგინი და შევყარეთ ციხისა შინა და დავიპყარით ქალაქი“. ფოთის ციხის აღება კი ძალზე გაჭიანურდა. აუცილებელი გახდა თურქთა მაშველი ძალის დამარცხება მალთაყვასთან, რაშიც დიდი მონაწილეობა მიიღო ნიკო დადიანმა, რომ ფოთის ციხის მეთაური ქუჩუკ-ბეგ შარვაშიძე დანებებაზე დათანხმებულიყო. 1809 წლის 15 ნოემბერს ფოთის ციხე დანებდა. ქუჩუკ-ბეგ შარვაშიძე და 287 მეციხოვნე „10 მეგრული ნავით და ბარკასით“ თავისუფლად გაუშვეს ზღვით ტრაპიზონში და შემდეგ „შევედით მას შინა დიღით ცერემონიითა და სიხარულით“, — აღნიშნავს ნიკო დადიანი. ფოთის ციხის აღების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ სოლომონ II გადაყენება და იმერეთის რუსეთის იმპერიაში უშუალოდ შეერთება გადაწყვიტა. ამ საქმეში რუსებს პირველ რიგში სამეგრელოს სამთავრო ამოუდგა გვერდში. „უბრძანეს მთავარსა სამეგრელოისასა ლეონს გრიგოლის ძეს, რათა შეერთდეს იმერეთის მართებელის სვიმონოვიჩთან, — წერს ნიკო დადიანი, — განდევნოს მეფე იმერთა და დაიპყრას იმერეთი ხელმწიფე იმპერატორმა. შეკრიბა სპანი მეგრელთანი ლევან დადიანმა „გავედით ცხენის წყალსა დავებანაკეთ ჯიხაიშს“. სამეგრელოს ლაშქარმა აქტიური მონაწილეობა მიიღო სოლომონ II-ის დევნაში, რის შედეგადაც იმერეთის მეფე რუსებს დანებდა. რუსებმა ის თბილისში წაიყვანეს, საიდანაც პეტერბურგში უპირებდნენ გამგზავრებას. მაშინ 1810 წ. 11 მაისს სოლომონ II ტყვეობიდან გაიქცა და ახალციხის გზით იმერეთში დაბრუნდა, სადაც ანტირუსულმა საყოველთაო აჯანყებამ იფეთქა. იმერეთის აჯანყების ჩაქრობაში თავისი წვლილი სამეგრელოს მთავარმაც შეიტანა და ლევან V დადიანი თავისი ლაშქრით კვლავ იმერეთში გადავიდა.

1810 წლის სექტემბერში აჯანყება დამარცხდა. სოლომონ II თურქეთში გადაიხვეწა, ხოლო მისი მეუღლე დედოფალი მარიამი, ლევან V დადიანის მამიდა რუსეთში გადაასახლეს. იმერეთის სამეფო გაუქმდა და უშუალოდ რუსულ ადმინისტრაციას დაემორჩილა.

იმერეთის საკითხი რუსეთის მთავრობას ჯერ კიდევ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ ჰქონდა, როდესაც მან გურიისა და აფხაზეთის სამთავროების საკითხი გადაწყვიტა.

თავდაპირველად, 1810 წ. აპრილ-ივნისში მამია V გურიელი რუსეთის მფარველობაში შევიდა შეზღუდული ავტონომიის უფლებით. ცოტა ხნის შემდეგ აფხაზეთის ჯერიც დადგა. ჯერ კიდევ 1810 წლის თებერვალში ალექსანდრე პირველმა ოფიციალურად დაამტკიცა გიორგი შარვაშიძის სათხოვარი პუნქტები, ხოლო იმავე წლის ივნისში აფხაზეთის სანაპიროსთან რუსეთის სამხედრო ფლოტი გამოჩნდა. 10 ივნისს რუსეთის ჯარმა იერიშით აიღო სოხუმის ციხე, სადაც ერთდროულად რუსეთის ჯარის ნაწილები და აფხაზეთის მმართველი გიორგი შარვაშიძე შეეიდნენ.

იმერეთის აჯანყების შემდეგ საქართველოს მთავარსარდალმა ტორმასოვმა ახალციხე დალაშქრა. რუსებთან ერთად თურქებისაგან ახალციხის განთავისუფლებისათვის იბრძოდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარის მეომრები, მათ შორის სამეგრელოდანაც — „შემდგომად ტორმასოვმა გაილაშქრა ახალციხედ და აწვია ლევან დადიანიცა, — წერს ნიკო დადიანი, — შეიკრიბა სამთავროჲთ მისით სპანი ოდიშ-აფხაზნი და ლეჩხუმელნი, და წარვედით და მივედით ახალციხესა. ვნახეთ მუნ ტორმასოვი დიდის მხედრობითა და შემოვკარით სრულიად ციხე და ქალაქი". 1810 წლის 16 ნოემბერს დაიწყო ახალციხის შტურმი, მაგრამ მისი აღება ვერ მოხერხდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი „მომსვრელი სენი" — ჟამი იყო, რომელიც რუსებისა და ქართველების ბანაკში გაჩნდა. მარცხის მიუხედავად, „ალაფი დიდძალი წამოვიღეთ", — წერს ნიკო დადიანი, — ვინაითგან მარბიელთა ჩვენთა მოათარეშეს მრავალნი სოფელნი და დაბანი".

1811 წლის გაზაფხულზე ლევან V დადიანი სრულწლოვანი გახდა და დამოუკიდებლად შეუდგა სამთავროს მართვა-გამგებლობას, მისი დედა კი დედოფალი ნინო იმპერატორის მიწვევით პეტერბურგს გაეგზავრა და თან „წარიყვანა ძე თვისი გიორგი და აფხაზეთის მთავრის ყრმა დიმიტრი, ვინაითგან სიყრმითგან იგი ზრდიდა შვილად თვისად".

ნინო დედოფლის რუსეთში გამგზავრების შემდეგ ლევან V დადიანმა „მოიყვანა მეუღლედ ზურაბ წერეთლის ასული მართა და ჰქმნა დიდი და სახელოვანი ქორწილი ჭაქვინჯს".

1812 წ. მაისში ბუქარესტში დაიდო რუსეთ-ოსმალეთის ზავი, რომლის თანახმადაც რუსეთმა თურქეთს ფოთი დაუბრუნა.

1811 წელს დას. საქართველოში ახალციხიდან ჟამი გავრცელდა, რომელმაც ქვეყანაში დიდი საკვდილიანობა და შიმშილობა გამოიწვია. ამიტომ 1811-1812 წწ. იმერეთიდან თუ სამეგრელოდან აფხაზეთში მრავალი ადამიანი გადავიდა, რადგან იქ არც ჟამი იყო და არც შიმშილი. ცოტა ხნის შემდეგ აფხაზებმა შეხიზნულების ტყვედ გაყიდეა დაიწყეს. ამის შესახებ პირველი განგაში ლევან V დადიანის სიძემ მანუჩარმა ატეხა, რომელსაც დაახლოებით 1809 წელს სამეგრელოს მთავარმა „ყოფილი სამურზაყანო მიათვალა და მიაბარა საუფროსოდ და საგამგებლოდ".

იმერეთიდან და სამეგრელოდან სამურზაყანოში და აფხაზეთში გადახვეწილების ერთი ნაწილი ლევან V დადიანმა თავისი ბოქაულების მეშვეობით დააბრუნა. შემდეგ კი ბესარიონ ჭყონდიდელთან და გრიგოლ ცაიშელთან ერთად თვითონაც აფხაზეთისაკენ გაემართა და თან გზად თავისი სიძე მანუჩარ შარვაშიძე იახლა. 1812 წ. შემოდგომაზე ლევან V დადიანმა ბედიაში დაიბანაკა, სადაც ღალატით მანუჩარ შარვაშიძე მოკლეს. მალე სამეგრელოს მთავარმა აფხაზეთის დიდი ნაწილი დაიკავა, ხოლო ბედიაში ციხის აღება გაუჭირდა, შემდეგ კი დამატებითი ძალებით ამ ციხეს მიადგა, დაიკავა და შიგ თავისი მეციხოვნეები ჩააყენა. სამურზაყანოში კი, სიძის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ 1815 წელს სამეგრელოს მთავარმა ოფიციალურად თავისი უშუალო მმართველობა შემოიღო.

XIX საუკ. ათიან წლებში ძირითადად დასრულდა სამეგრელოს სამთავროს ტერიტორიული დავა მეზობელ მხარეებთან. პირველ რიგში, ეს შეეხება დავას ლეჩხუმის ირგვლივ.

ლეჩხუმი სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს შემადგენლობაში ჯერ კიდევ XVII საუკ. დასასრულისათვის შევიდა, როდესაც სამთავროს ტახტს ჩიქოვანთა საგვარეულო დაეპატრონა. XVIII ს. დასასრულს სამეგრელოს სამთავროს ლეჩხუმის მფლობელობა სადავო გახადა სოლომონ II-მ, რომელმაც 1802-1803 წლებში თითქმის მთელი ლეჩხუმი დაიკავა. სამეგრელოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, ვითარება სამთავროს სასარგებლოდ შეიცვალა, რადგან მას

უყოყმანოდ მხარი რუსეთმა დაუჭირა. 1806 წლის მაისში რუსეთის სახელმწიფო საბჭომ ლეჩხუმი სამეგრელოს სამთავროს მიაკუთვნა, ხოლო 1810 წ. იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, სამეგრელოს მთავარს ლეჩხუმის უკიდურესი სოფელი ჭყვიშიც გადასცა, მას შემდეგ რაც იქ მდგარი ცნობილი ჭყვიშის ციხე რუსეთის მხედრობამ წინასწარ დაანგრია.

სამეგრელოს სამთავროს სასარგებლოდ დასრულდა დავა საჭილაოს გარშემოც, რომელიც ჭილაძეების ძველი სამფლობელოს ერთ ნაწილს წარმოადგენდა. XIX ს-ის დასაწყისში საჭილაო მდ. ცხენისწყლის ქვემო წელის ორივე ნაწილს მოიცავდა და დასავლეთით მდ. ნოღელამდე ერცელდებოდა. ამ დროს აქ შედიოდა სოფლები: მარანი, ილორი, ნაფაღაური, სამტრედია, სანავარდო, გულეკარი, ქვიშანჭალა, ქორეისუბანი, ტოლები, კვეტილა, ეკალი, ნაფაცხევი, ტყვირი, ცილორი და შუა ქალაქი. XVIII საუკ. დასაწყისიდან ეს პატარა მხარე იმერეთისა და სამეგრელოს სამთავროს დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი იყო, ხშირად გადადიოდა ხელიდან ხელში. სამეგრელოს სამთავროს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, სამეგრელოს ხელისუფლებამ ამ მხარის დამკვიდრებისათვის უკვე რუსეთის ხელისუფლებას მიმართეს და თავიანთი საჩივრებით საბოლოო მიზანს მიაღწიეს. ასე რომ, 1815 წლის ახლო ხანებში რუსეთის მთავრობამ ეს მხარე სამეგრელოს მთავარს დაუმტკიცა და სამთავროს შემადგენლობაში დატოვა სამეგრელოში რუსეთის უშუალო მმართველობის დამყარებამდე.

XIX საუკ. ოციან წლებში რუსეთის ხელისუფლებამ სამეგრელოს სამთავროს მიაკუთვნა პალიასტომის ტბა, რაზეც სამეგრელოს მთავრებს გურიის მთავრები ედავებოდნენ.

1819-1820 წწ. დასავლეთ საქართველოში აჯანყებამ იფეთქა, რაც რუსეთის ხელისუფლების მიერ საეკლესიო რეფორმების დაწყებამ გამოიწვია.

რუსეთის ბატონობის დამყარებას ქვეყნის საეკლესიო ცხოვრებაში თავდაპირველად ცვლილებები არ მოჰყოლია, მხოლოდ 1811 წ. გაიწვიეს რუსეთში საქართველოს კათალიკოსი ანტონ II და მის ნაცვლად ეგზარქოსი დანიშნეს, რომელიც რუსეთის სინოდს ემორჩილებოდა. 1815 წ. სინოდის დადგენილებით შეიქმნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა, რომელსაც დას. საქართველოს ყველა მხრის, მათ შორის, სამეგრელოს ეკლესიაც უნდა დამორჩილებოდა. საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ რეალურად თავისი ხელისფულების გავრცელება დას. საქართველოში 1819 წ. საეკლესიო რეფორმის გატარების მცდელობით დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავდა შეემცირებინა საეპისკოპოსოების და სამრევლო ეკლესიების რაოდენობა, აგრეთვე აღერიცხათ საეკლესიო ქონება და ეს ქონება სინოდალური კანტორისათვის დაექვემდებარებინათ.

ლევან V დადიანმა საეკლესიო ქონების აღრიცხვაზე პროტესტი განაცხადა. მან ასეთი ქონება უშუალოდ სამთავროს სახლის საკუთრებად გამოაცხადა, რადგან აქედან მიღებული შემოსავლის უდიდესი ნაწილი მთავრის სალაროში შედიოდა. ამიტომ ამ ქონების სინოდალური კანტორისათვის გადაცემა სამეგრელოს მთავარმა იმ პირობების დარღვევად ჩათვალა, რომლის ძალითაც სამეგრელოს სამთავრო რუსეთის იმპერიას შეუერთდა. რუსეთის ხელისუფლებამ ეს პროტესტი საფუძვლიანად ჩათვალა და სამეგრელოში მხოლოდ უშუალოდ საეკლესიო ცხოვრების რეფორმით შემოზღუდვა გადაწყვიტა. 1819 წ. მოხერხდა მხოლოდ სამეგრელოს ეკლესიის ზოგადი აღწერა. აღწერის მასალებიდან ჩანს, რომ 1819 წლისათვის, ისევე როგორც ადრე XVIII ს-ში, სამთავროში სამი — ცაიშის, ჭყონდიდის, და ცაგერის საეპისკოპოსოები იყო. აქედან ჭყონდიდის საეპისკოპოსოში 102 მოქმედი ეკლესია იყო, ცაიშის საეპისკოპოსოში — 61 და ცაგერისაში, რომელიც ლეჩხუმის გარდა ქვემო სვანეთსაც მოიცავდა — 70 მოქმედი ეკლესია. მოსალოდნელი ამბოხების შიშით, რაიმე ცვლილებების შეტანა სამთავროში ეკლესიის ცხოვრებაში დროებით გადაიდო.

რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით კმაყოფილი ლევან V დადიანი, აქტიურად დაეხმარა მას იმერეთსა და გურიაში იმ აჯანყების ჩაქრობაში, რომელიც საეკლესიო

რეფორმის გატარებამ გამოიწვია: ამ შემთხვევაში ეს ძირითადად სურსათის ტრანსპორტირების საქმეში დახმარებით გამოიხატებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო რეფორმა სამეგრელოს სამთავროს ფაქტობრივად არ შეხებია, გურიისა და იმერეთის აჯანყებამ გამოძახილი სამეგრელოშიც ჰპოვა. ანტირუსულ გამოსვლებს აქ 1820 წ. სათავეში ჩაუდგა ლევან V დადიანის უმცროსი ძმა გიორგი.

1811 წელს გიორგი დადიანი ნინო დედოფალმა პეტერბურგს წაიყვანა, სადაც მან პოდპორუჩიკის ჩინით პაჟთა კორპუსი დაამთავრა და პრეობრაჟენსკის პოლკში ჩაირიცხა. როდესაც დას. საქართველოში მღელვარება დაიწყო, გიორგი დადიანმა შეებულება აიღო, მოულოდნელად ზუგდიდში ჩამოვიდა და სამეგრელოში აჯანყების მოწყობას შეეცადა. თავისი რაზმით მეამბოხე ბატონიშვილი რამდენჯერმე დაესხა თავს რუს სამხედროებს, მაგრამ მალე იძულებული გახდა ჯერ აფხაზეთში გადახვეწილიყო, ხოლო შემდეგ სვანეთისთვის შეეფარებინა თავი. აქ სამეგრელოს მთავრის მოთხოვნით გიორგი დადიანი დაატყვევეს და სამეგრელოში ჩამოიყვანეს. ლევან V დადიანმა არ ისურვა თავისი „უღირსი ძმის" ნახვა და იგი რუსეთის ხელისუფლებას გადასცა იმ პირობით, რომ გიორგი დადიანის სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებოდა. ამიტომ მთავრის მეამბოხე ძმას მხოლოდ ციმბირის შორეულ გარნიზონებში სამსახურისთვის გაგზავნა აკმარეს. სამგზეიროდ საქართველოს მთავარმმართებელმა ერმოლოვმა შური თავისებურად მის დედაზე დედოფალ ნინოზე იძია, რომელიც პეტერბურგიდან ჩრდ. კავკასიის წყლებზე სამკურნალოდ იყო ჩასული. საქართველოს მთავარმართებლის მოთხოვნით ნინო დედოფალი გუბერნატორის ზედამხედველობის ქვეშ რიაზანში გადაასახლეს და მხოლოდ 2 წლის შემდეგ, თვით იმპერატორის ჩარევით მისცეს მას პეტერბურგში ჩასვლის უფლება.

1819-1820 წლების აჯანყების დროს რუსეთის ხელისუფლების თანადგომისათვის იმპერატორმა ლევან V დადიანს „ჩინი ღენერალ-ლეიტენატობისა" უბოძა.

ცვლილებები სამეგრელოს საეკლესიო ცხოვრებაში მხოლოდ 1823 წლის შემდეგ გატარდა. ამ წლის ბოლოს, დაახლოებით ერთ დროს გარდაიცვალნენ ცაიშისა და ცაგერის საეპისკოპოსოების მწყემსმთავრები და ეს ორივე საეპისკოპოსო ჭყონდიდის საეპისკოპოსოს მიუერთეს. ამის შემდეგ სამეგრელოს სამთავროს ერთი ეპისკოპოსი ჰყავდა, რომელსაც 1829 წლიდან ოფიციალურად სამეგრელოს ეპისკოპოსად ეწოდებოდა, თუმცა ამის შემდეგაც სამეგრელოს ეპისკოპოსები თავის თავს ხშირად ჭყონდიდელის ტიტულითაც მოიხსენიებდნენ.

1821 წლის თებერვალში გარდაიცვალა აფხაზეთის მთავარი გიორგი შარვაშიძე. მისი სიკვდილის შემდეგ აფხაზეთში გამთავრებას შეეცადა მისი ძმა, მამის მკვლელი ასლან ბეგი, რომელსაც მრავალი მხარდამჭერი აღმოაჩნდა. მაშინ იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით პაჟთა კორპუსიდან გამოიყვანეს გარდაცვლილი მთავრის უმცროსი ძმა დიმიტრი, რომელიც პეტერბურგში მისმა გამზრდელმა ნინო დედოფალმა წაიყვანა, 1821 წლის შემოდგომაზე მიანიჭეს პოლკოვნიკის წოდება და აფხაზეთში მთავრად გამოგზავნეს. ახალი მთავრის აფხაზეთში დაბრუნებას რუსეთის მთელი სამხედრო ლაშქრობა დასჭირდა, რომელშიც დიდი მონაწილეობა მიიღო ლევან V დადიანმაც.

უპირველეს ყოვლისა, სამეგრელოს სამთავროს სახლმა ასლან ბეგს ჩამოაშორა მრავალი ფეოდალური საგვარეულო, რომლებთანაც დადიანებს ნათესაობა აკავშირებდათ. ამავე დროს აფხაზეთში სამეგრელოს მთავარმა რუსეთის საექსპედიციო კორპუსის შემადგენლობაში სამეგრელოს ლაშქარიც გაგზავნა.

ლევან V დადიანმა საექსპედიციო კორპუსი თავისი სამთავროს საზღვრებამდე, მდ. ღალიძგამდე გააცილა, შემდეგ კი სამეგრელოს ლაშქარს ისტორიკოსი ნიკო დადიანი უძღოდა. რუსებისა და ქართველების ლაშქარმა ბრძოლით გაიკაფა გზა სოხუმამდე, შემდეგ აფხაზთა მთავრების მთავარ რეზიდენციამდე ზუფუ იგივე ლიხნისაკენ გაემართა. „წარვედით ზუფუს და რა მივედით სასახლესა შინა, შარვაშიეთა დაეებანაკეთ, — წერს ნიკო დადიანი, — მოვიდნენ ყოველნი ზუფუელნი... ნარჩოუ და გიორგი ინალისშვილები არ მოვიდნენ ჩვენთან, ვინაითგან ერთგულებდნენ ასლან-ბეგსა... შევირიგეთ გიორგი ინალისშვილი, — და ნარჩოუ არ მოვიდა. წარვედით და კაპეტის წყლის (ე. ი. ბზიფის) პირსა

ზედა დავებანაკეთ სასახლესა შინა ნარჩოუსა და მუნით დავგზავნეთ თარეშად და მოუთარეშეს მრავალნი ადგილნი და მოსდევნეს მრავალნი პირუტყვნი და სხვა ალაფით და მოვიდნენ და შემდგომად დავსწვით სასახლე და გარეშე სოფელი ყოველი და ძელსა ზედა დავკიდეთ ორნი კაცნი შესაშინებლად აფხაზთა და შემდგომად სამის დღისა შეეაფიცეთ დიმიტრის ყოველი აფხაზეთი და მოულოცეთ ცერემონიით მთავრობა".

სამწუხაროდ, დიმიტრი შარვაშიძემ მხოლოდ ერთი წელი იმთავრა. მისი სიკვდილის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ სამთავრო ტახტზე დიმიტრის უმცროსი ძმა მიხეილი აიყვანა. 1824 წ. ახალი მთავრის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა, რომლის ჩაქრობაში ლევან V დადიანიც იღებდა მონაწილეობას.

1828 წელს რუსეთ-თურქეთის მორიგი ომი დაიწყო, რომლის ერთ-ერთ მთავარ ასპარეზს საქართველო წარმოადგენდა. 1828 წლის 20 ივნისს რუსეთის ჯარებმა ალყა შემოარტყეს ფოთს. რამდენიმე დღის შემდეგ რუსების ბანაკში ლევან V დადიანის მეთაურობით სამეგრელოს ლაშქარი მოვიდა, რომელმაც ძალზე დიდი დახმარება გაუწია რუსებს ქალაქის აღებაში, მით უფრო, რომ რუსებს ზაფხულის თვეებში კოლხეთის ჭაობებში ბრძოლა ძალზე გაუჭირდათ და აქ შეყრილი ციების შედეგად ფოთის ბრძოლის პერიოდში თუ შემდეგ, თავის ჯარის დაახლოებით მეოთხედი დაეღუპათ. უშუალოდ სამეგრელოს ლაშქარმა გადაუკეტა პალიასტომის ტბასთან თურქებს ფოთიდან სამხრეთისაკენ მიმავალი გზა. ამ ლაშქარმა განალაგა აგრეთვე იმ დროს რიონის შესართავში მდებარე ორი კუნძულიდან ერთ-ერთზე ქვემეხები, რომლის მუდმივმა ცეცხლმა აიძულა ფოთის თურქული გარნიზონი 14 ივნისს კაპიტულაცია გამოეცხადებინა. სამეგრელოს ლაშქარი მონაწილეობდა თითქმის ყველა ბრძოლაში, რომელიც 1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში დასავლეთ საქართველოში გაიმართა. 1829 წ. აგვისტოში მუხაესტატესთან რუსების მხარდამხარ იბრძოდა ლევან V დადიანის მეთაურობით სამეგრელოს სამიათასიანი ლაშქარი. სამეგრელოს ლაშქარმა იერიშით აიღო მტრის ბანაკი და თურქებზე გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

1829 წ. 14 სექტემბერს რუსეთსა და თურქეთს შორის ზავი დაიდო. ამ ზავის შესახებ ცნობამ საქართველოში დაგვიანებით მოაღწია. ამიტომ 15 სექტემბერს რუსეთის ჯარსა და თურქებს შორის ციხისძირთან კიდევ ერთი ბრძოლა გაიმართა. სამწუხაროდ, სამეგრელოს ლაშქრის გამოჩენილი სიმამაცის მიუხედავად, რომელსაც ერთხმად აღნიშნავენ რუსი ისტორიკოსები, ამ ბრძოლაში ქართველებმა და რუსებმა დიდი მარცხი განიცადეს და უკან დაიხიეს. თუმცა, ამ ბრძოლის შედეგს უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

1828-1829 წწ. ომში გამოჩენილი მამაცობისათვის რუსეთის იმპერატორმა ლევან V დადიანი ალექსანდრე ნეველის ორდენით დაავჯილდოვა, ხოლო სამეგრელოს სამთავროს საგანგებო დროშა გამოუგზავნა, სადაც მადლობის სიტყვები როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზეა წარწერილი.

XIX საუკ. ოციანი წლები სამეგრელოს სამთავროსათვის მარტო ომებით კი არ იყო აღსანიშნავი, ძალზე მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა მისი და საერთოდ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც რუსეთის იმპერიის ამიერკავკასიაში ახალმა საბაჟო პოლიტიკამ გამოიწვია.

რუსეთის მთავრობამ საგანგებო ბრძანებულებით, 1822 წლის 1 ივლისიდან საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში 10 წლით, უცხოელებისათვის ფაქტიურად თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი შემოიღო. ბრძანებულებით საქართველოში უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე ბაჟი 5%-მდე შემცირდა, ხოლო რედუტ-კალედან ირანში საქონლის გადატანა საერთოდ უბაჟოდაც შეიძლებოდა. ამით რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ევროპიდან აზიაში მიმავალ ვაჭრებს ამიერკავკასიის გზა გამოეყენებინათ, რაც ძველ „აბრეშუმის დიდი გზას" თავისებურად აააღორძინებდა. ამ ბრძანებულების ძალაში შესვლის შემდეგ სამეგრელოს სანაპიროზე, ხობის შესართავში მდებარე ეს ნავსადგური მოკლე ხანში შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნავსადგურად გადაიქცა.

რედუტ-კალეს უძველესი ქართული სახელწოდება კემხელი იყო. XVIII საუკ. I ნახ. სამეგრელოს ზღვისპირეთის დაპყრობის დროს თურქებმა თავდაპირველად კოშკი ანუ ყულე ააგეს და ამიტომ შემდეგ ციხეს ყულეს-ციხე უწოდეს. აქედან მოდის ძველი კემხელის თანამედროვე ქართული სახელწოდება ყულევი. 1804 წ. მდ. ხობის შესართავი რუსებმა დაიკავეს, რომლებმაც სასიმაგრო ნაგებობა რედუტი ააგეს, ხოლო თვითონ ადგილს რედუტ-კალე უწოდეს. ეს სახელწოდება ამ ადგილს ოფიციალურად საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის მთელ მანძილზე შემორჩა, თუმცა ქართველები მას ჩვეულებრივად ყულევს ეძახდნენ.

შეღავათიანი ვაჭრობის რეჟიმის შემოღებამ რედუტ-კალეს ტვირთბრუნვა ერთბაშად გაზარდა. უკვე 1823 წ. ამ ნავსადგურმა 86 სავაჭრო ხომალდი მიიღო, მომდევნო წელს — 130. ეს სავაჭრო ხომალდები შემოვიდნენ თურქეთიდან, საბერძნეთიდან, აგრეთვე ჩრდ. შავიზღვისპირეთის რუსეთის ნავსადგურებიდან. ვაჭრები დასავლეთურ ევროპულ საქონელს, პირველ რიგში, ლეიპციგის ცნობილ ბაზრობაზე ყიდულობდნენ, შემდეგ სახმელეთო გზებით ოდესამდე მიჰქონდათ, აქედან ზღვით რედუტ-კალეში ჩამოქონდათ, საიდანაც უკვე აღმოსავლეთ საქართველოში და ირანში გადაჰქონდათ. ხობის შესართავიდან აღმოსავლეთით ტვირთის გადასაზიდად გზის ერთ მონაკვეთზე სახმელეთო ტრანსპორტთან ერთად ხშირად სამდინარო ტრანსპორტსაც იყენებდნენ. პირველ რიგში ასეთი სატრანსპორტო მაგისტრალად მდ. რიონის ქვემო წელი გამოიყენებოდა.

ცნობილია, რომ მდ. რიონი სანაოსნო იყო როგორც ანტიკურ, ისე შუა საუკუნეებშიც. 1804 წლიდან რუსეთის ჯარის დასავლეთ საქართველოში დამკვიდრების შემდეგ ამ სანაოსნო მაგისტრალს ახალი დატვირთვა მიეცა, რადგან ჯარების სურსათ-სანოვაგით მომარაგება ძირითადად ამ მდინარის გამოყენებით ხდებოდა.

თავდაპირველად, როგორც ვიცით, რუსეთს შავიზღვისპირეთში ერთადერთი ნავსადგური სამეგრელოს სანაპიროზე რედუტკალე გააჩნდა. ამიტომ რუსეთის სამხრეთ გუბერნიებიდან პირველ რიგში, ფქვილი და მარილი ამ ნავსადგურებში მოჰქონდათ, შემდეგ ტვირთი 12 კმ მანძილზე მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე ნაბადაში ხმელეთით გადაჰქონდათ, ხოლო შემდეგ მდ. რიონზე ნავებით ეს ტვირთი ქვეყნის შიგნით შეჰქონდათ. მომდევნო ხანებში ნაბადაში ციხე-სიმაგრე რიონსკაია ააგეს, რომელსაც ძლიერი გარნიზონი იცავდა.

თავდაპირველად რუსების არმიისათვის საჭირო ტვირთი ნავებით სოფ. სანავარდომდე აჰქონდათ, შემდეგ კი საბოლოო ნავსადგომი მდ. ცხენისწყლის ნაპირზე მარანში გადაიტანეს. 1829 წელს კი მდ. რიონისა და ცხენისწყლის შესაყარში, ორპირში სპეციალური ასეული დაბანაკეს. ამის შემდეგ ეს ადგილი, რომელსაც ორპირი ეწოდებოდა, ზღვით რიონიდან ამოტანილ ტვირთისთვის მთავარ ნავმისადგომად გადაიქცა. რედუტ-კალედან მდ. რიონამდე ხმელეთით ტვირთის გადმოტანა მრავალ უხერხულობას ქმნიდა და ზედმეტ ხარჯებს მოითხოვდა. ამავე დროს მდ. ხობისა და რიონის აუზები სოფ. ჭალადიდთან ძალიან მცირე მანძილით არიან დაშორებული ერთმანეთთან. ჭალადიდში, რიონთან სულ ახლოს მიედინებოდა ვიწრო, მაგრამ ღრმა მდინარე-ყორათი, რომელიც ხობის ღრმა შენაკადს ცუსს, დღევანდელ ცივს უერთდებოდა. ასე რომ, თუ ჭალადიდში არხს გაიყვანდნენ და რიონის წყალს ყორათში გადაუშვებდნენ, შეიქმნებოდა ერთიანი სანაოსნო მაგისტრალი, რომელიც რედუტ-კალეს რიონს დაუკავშირებდა.

არხის გაყვანის იდეა უკვე 1804 წ. მაისში ჩაისახა. დაიწყო კიდეც მოსამზადებელი სამუშაოები, მაგრამ 1806 წ. თურქეთთან ომი დაიწყო და რუსეთის ხელისუფლებამ არხის გასაყვანად ველარ მოიცალა.

1809 წ. რუსეთის არმიამ ფოთი დაიკავა და რიონის შესართავი გაიხსნა რუსებისათვის და არხის გაყვანამ აზრი დაკარგა. 1812 წ. კი, როცა ფოთი კვლავ თურქებს დაუბრუნდათ, შავი ზღვიდან რიონის შესართავში შესვლა რუსეთის საზღვაო ხომალდებს ხელახლა აეკრძალათ და მდ. ხობსა და რიონს შორის არხის გაყვანა კვლავ დღის წესრიგში დადგა. როგორც ირკვევა, 1822 წლის დასაწყისისთვის ასეთი არხი უკვე ატარებდა ნავებს ორივე მიმართულებით.

საკუთრივ არხი ანუ „რუსული არხი", როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებდნენ, სულ 300 საჟენის ანუ 600 მ სიგრძის იყო. არხი ჭალადიდში, საბაჟოს უბანში იწყებოდა და ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა და მდ. ყორათს უერთდებოდა.

ცივის არხის დასრულების შემდეგ რედუტ-კალეთი ზღვით მოტანილი საქონლის ერთი ნაწილი სამდინარო ნავებზე იტვირთებოდა. ეს ნავები რამდენიმე კმ მანძილზე მდ. ხობის აღმა ცურავდნენ, შემდეგ მდ. ცივით და შემდეგ არხით რიონში გადადიოდნენ და ამ მდინარეს აღმა მიუყვებოდნენ. ორპირში ევროპული საქონელი უკვე სახმელეთო ტრანსპორტით თბილისისაკენ და უფრო შორს ირანისაკენ იგზავნებოდა. ზღვიდან მდინარეების აღმა ცურვა ჭაპანით ხდებოდა და მარტო რიონსკაიადან მარანამდე 5-6 დღეს მოითხოვდა. სამაგიეროდ უკან გზას ორ დღეზე ნაკლები ჭირდებოდა.

ამიერკავკასიაში შეღავათიანი საკაჭრო ტარიფების შემოღებამ საკუთრივ რუსეთის ვაჭრების დიდი აღშფოთება გამოიწვია. ამიტომ, მისი მოქმედება დათქმულ ვადაზე ერთი წლით ადრე, 1832 წლის 1 იანვრიდან შეწყდა, რამაც რედუტ-კალეს ვაჭრობაზე უარყოფითად იმოქმედა. 1847 წლიდან ამიერკავკასიის ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნით შავი ზღვის ნაპირებიდან ირანში შეღავათიანი ტრანზიტი ხელახლა აღადგინეს და რედუტ-კალეს მნიშვნელობა კვლავ გაიზარდა. ამის შემდეგ ამ ნავსადგურში ყოველწლიურად ოთხასზე მეტი საკაჭრო ხომალდი შემოდიოდა.

რედუტ-კალეს, როგორც ნავსადგურის მნიშვნელობა ვერ შეამცირა 1828 წელს ფოთის რუსეთის ხელში საბოლოოდ გადასვლამ. მთელი 30 წლის მანძილზე ვერ მოხერხდა რედუტ-კალედან საბაჟოს გადატანა და ფოთში ნავსადგურის ამოქმედება. მხოლოდ 1858 წელს გაიხსნა ფოთის ნავსადგური და ამის შემდეგ რედუტ-კალემ თავისი მნიშვნელობა მთლიანად დაკარგა.

გრიგოლ დადიანის „სათხოვარი პუნქტების" მე-12 მუხლით სამეგრელოს მთავარი აღიარებდა, რომ ზღვის სანაპიროს ის ფაქტობრივად ვერ ფლობდა. ამიტომ ამ მუხლით, ის მომავალში წინასწარ უარს ამბობდა ბაჟის რაიმე ნაწილზე, თუ რუსეთი მის სანაპიროზე ნავსადგურს მოაწყობდა, თუ თვით რუსეთის იმპერატორი არ ინებებდა დაეთმო მთავრისათვის ამ ნავსადგურში ბაჟის სახით მიღებული შემოსავლის მეთხუთმეტედი. ამის მიუხედავად, 1804 წლის შემდეგ სამეგრელოს მთავრის მებაჟენი ყულევში ანუ რედუტ-კალეში ბაჟის აკრეფას აგრძელებდნენ. 1808 წ. რუსეთის იმპერატორის საგანგებო ბრძანებულებით სამეგრელოს მთავარს რუსეთიდან ზღვით შემოტანილ თუ გატანილ საქონელზე ბაჟის აკრეფა აეკრძალა. 1812 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ, რუსეთის ადგილობრივმა ხელისუფლებამ სამეგრელოს მთავარს რედუტ-კალეში ბაჟის აკრეფის უფლება საერთოდ ჩამოართვა. მხოლოდ ლევან V დადიანის საქართველოს მთავარმართებელთან ხანგრძლივი მიმოწერის შემდეგ დაიბრუნა სამეგრელოს მთავარმა თურქულ საქონელზე ბაჟის აკრეფის უფლება.

1822 წ. ამიერკავკასიაში შეღავათიან საბაჟო რეჟიმის დაწესებასთან ერთად, რედუტ-კალე რუსეთის ნავსადგურად გამოცხადდა. რუსეთის ხელისუფლება არ ჩქარობდა აქ აკრეფილი ბაჟის მეთხუთმეტედი ნაწილი სამეგრელოს მთავრისათვის დაეთმო, როგორც მას დიდსულოვნების შემთხვევაში „სათხოვარი პუნქტების" მიხედვით უნდა გაეკეთებინა: მაშინ სამეგრელოს მთავარმა იჩიელა 1822 წლამდე რედუტ-კალეში და ფოთში მისი მებაჟეების აკრეფილი ბაჟის სანაცვლოდ ყოველწლიურად 4 ათასი მანეთი ვერცხლით მოითხოვა. ვრცელი მიმოწერის შემდეგ რედუტ-კალეში ბაჟის აკრეფის უფლების ჩამორთმევის საზღაურად რუსეთის ხელისუფლებამ სამეგრელოს მთავარს ყოველწლიურად 1600 მანეთი ვერცხლით დაუნიშნა.

ოფიციალურად სამეგრელოს სანაპიროზე ერთადერთი საბაჟო და საკარანტინო მხოლოდ რედუტ-კალეში იყო. ამის მიუხედავად ჰატარა საზღვაო ხომალდები მაინც შედიოდნენ ენგურის შესართავში, ანაკლიაში, რისთვისაც სამეგრელოს მთავარს ბაჟს უხდიდნენ რაც მას ყოველწლიურად 3 ათას მანეთს ვერცხლით შემოსავალს აძლევდა. 1838 წ. რუსეთის ხელისუფლებამ ანაკლიაში უცხოეთის ხომალდებს შესვლა აუკრძალა. ამას მოჰყვა ხანგრძლივი მიმოწერა ლევან V დადიანსა და საქართველოს მთავარმართებელს შორის, რის შედეგადაც 1842 წ. მცირე ზომის უცხოურ ხომალდებს ანაკლიაში ღუზის ჩაშვების, ხოლო სამეგრელოს მთავარს ამ ხომალდებიდან ბაჟის აკრეფის უფლება დაუბრუნდა. ასეთი ვითარება გრძელდებოდა ყირიმის ომის დაწყებამდე.

როგორც ირკვევა, ლევან V დადიანი თავის სამთავროში ზღვაოსნობის განვითარებითაც იყო დაინტერესებული. მით უფრო, რომ სამეგრელოში საზღვაო ნავთმშენებლობის ძველი ტრადიციები ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული. ასე მაგალითად, 1815 წ. სამეგრელოში რამდენიმე საზღვაო ნაკი ააგეს, რომლებსაც გუდაკაში მდგარი რუსეთის ჯარის დანაყოფი ზღვით ანაკლიიდან უნდა მოემარაგებინათ.

1832 წ. სამეგრელოს მთავარმა თავისი ხე-ტყით ბერძენ ვაჭართან ერთად რედუტ-კალესთან ახლოს, მდ. ხობში საზღვაო ხომალდის მშენებლობა დაიწყო. 1835 წ. ივნისის ერთ წერილში საქართველოს მთავარმართებელი როზენი მოიხსენიებს, რომ ლევან V დადიანის მიერ აგებულმა ამ ხომალდმა უკვე რამდენიმე რეისი ოდესამდე შეასრულა და აქვე ახსენებს მეორე საზღვაო ხომალდსაც, რომელიც იმ დროისათვის, იქვე ხობის ნაპირზე, სამეგრელოს მთავრის თაოსნობით შენდებოდა.

ცნობილი არაა დაასრულა თუ არა ლევან V დადიანმა მეორე საზღვაო ხომალდის მშენებლობა. სამგიეროდ, შედარებით მეტი ვიცით ლევან დადიანის პირველ საზღვაო ხომალდზე, რომელსაც „ხოპის ღვთისმშობელი" ეწოდებოდა.

„ზღვად მავალი" საკაჭრო ხომალდის მშენებლობა 1833 წ. დასრულდა რედუტ-კალეში, ხობის შესართავში, ბაზართან ახლოს. სამეგრელოს მთავრის კომპანიონი იყო ქუთაისის მოქალაქე ბერძენი ვაჭარი ნიკოლოზ მეტექსისი. „ხოპის ღვთისმშობელი" რამდენიმე აფრიანი ხომალდი იყო, რომლის ტვირთმზიდობა 22420 ფუტს ანუ 358,7 ტ უდრიდა.

ხომალდის მშენებლობის დამთავრების შემდეგ „ხოპის ღვთისმშობელზე“ რუსეთის იმპერიის დროშის აღმართვისათვის ნებართვა მაშინვე მიიღეს, ხოლო რადგან პატენტისათვის შესაფერისი პერგამენტი იმ დროს რუსეთის საზღვაო სამინისტროს არ აღმოაჩნდა, ასეთი პატენტი ჩვეულებრივ ქაღალდზე შეადგინეს. თავისი ზომით და სანაოსნო თვისებების მიხედვით, იმ დროის სტანდარტების მიხედვით „ხოპის ღვთისმშობელი“ დიდ საზღვაო ხომალდად ჩაითვალა, რომელსაც შორეული ნაოსნობის უფლება მიეცა

მალე „ხოპის ღვთისმშობელი“ ადგილობრივ ხე-ტყით დაიტვირთა და რედუტ-კალეედან გავიდა. პირობის თანახმად „ყოველნი სარგებელნი მოტანილნი ამ ხომალდის“ მიერ სამეგრელოს მთავარს და მის ბერძენ კომპანიონს თანაბრად უნდა გაეყოთ. ამ პირობის მიუხედავად, თუ ამ ხომალდის თაობაზე ლევან V დადიანის საქართველოს მთავარმართებლის სახელზე გაგზავნილ საჩივარს დავუჯერებთ, სამეგრელოს მთავარს არამარტო მოგებიდან რაიმე წილი, არამედ თურმე ანგარიში არ მიულია „ხოპის ღვთისმშობლის“ კაპიტანიდან, რომელიც მისი ბერძენი კომპანიონის ძმა იყო.

პირველად ლევან V დადიანმა 1837 წ. იჩივლა. ამ საჩივარმა მისი ბერძენი კომპანიონი ძალზე დაფრთხო. ის ეახლა სამეგრელოს მთავარს და დაჰპირდა, რომ როგორც კი გემი შორეული ნაოსნობიდან რედუტ-კალეში დაბრუნდებოდა, ლევან V დადიანს ანგარიშს დაუყოვნებლივ ჩაბარებდა. რასაკვირველია, ბერძენმა ვაჭარმა პირობა არ შეასრულა. მაშინ, 1842 წ. ლევან V დადიანმა ხელახლა იჩივლა. გაირკვა, რომ „ხოპის ღვთისმშობელი“ ოდესაში იდგა და შეკეთებას ელოდებოდა. ამ დროს სარჩელი სამეგრელოს მთავრის წინააღმდეგ ამ ხომალდის კაპიტანმა წამოაყენა. საქმე განიხილა ოდესის სასამართლომ, რომელმაც „ხოპის ღვთისმშობლის“ გაყიდვა დაადგინა.

სამეგრელოს მთავრის დაინტერესება ზღვაოსნობით და ვაჭრობით პირველ რიგში სამთავროს ეკონომიკურ ცხოვრებაში აისახა. XIX ს-ის 40-იან წლებში სამეგრელოში ათამდე მდიდარი ვაჭარი ცხოვრობდა, რომლებსაც ზღვით სტამბულიდან დიდი ვაჭრობა ჰქონდათ. მათ შორის გამოირჩეოდნენ დათა და ერისტო ჭედიები. სამეგრელოს სამთავროში ზუგდიდი, სენაკი, სუჯუნა, ანაკლია, ყულევი ანუ რედუტ-კალე საბაზრო ადგილებს წარმოადგენდნენ. მათ გარდა, ზოგიერთ სხვა დასახლებულ პუნქტებში დრო და დრო ბაზრობები ანუ „იარმარკები“ იმართებოდა.

XIX ს-ის 30-40-იან წლებში რუსეთ-თურქეთს შორის მშვიდობა სუფევდა. შედარებით სტაბილური მდგომარეობა იყო აფხაზეთის სამთავროშიც, რომელიც რუსეთის ხელისუფლების უშუალო ჩარევას ნაკლებად მოითხოვდა. ასეთ ვითარებაში, სამეგრელოს სამთავროს და მისი მთავრის მნიშვნელობა რუსეთის ხელისუფლების თვალში თანდათან დაეცა, რამაც, უპირველეს ყოვლისა, სამურზაყანოს საკითხში აისახა. 1840 წ. თებერვალში სამურზაყანო ჩამოერთვა სამეგრელოს მთავარს, გადაკეთდა ცალკე საბოქაულოდ და შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსს დაექვემდებარა. კომპენსაციის სახით რუსეთის ხელისუფლებამ ლევან V დადიანს 25 ათასი მანეთი ვერცხლით გადაუხადა. დიდი დავის შედეგად, სამეგრელოს მთავარმა მოახერხა ენგურის მარჯვენა ნაპირზე რამდენიმე სოფლის შენარჩუნება, რომლებიც დღეს ზუგდიდის და წალენჯიხის რაიონებს მიეკუთვნებიან.

თავის მმართველობის მეორე ნახევარში ლევან V დადიანი ძალზე ცდილობდა, რომ რუსეთის ხელისუფლებას მისი უფროსი ვაჟი დავითი ოფიციალურად ტახტის მემკვიდრედ დამტკიცებინა. ასეთი დამტკიცების შემდეგ სამეგრელოს მთავარი ცდილობდა, რომ სამეგრელოს მმართველობა თავისი უფროსი შვილისათვის სიცოცხლეშივე გადაეცა.

1839 წ. 18 მაისს დავით დადიანმა თბილისში, ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში ეკატერინე ჭავჭავაძეზე ჯვარი დაიწერა. დაახლოებით რვა თვის შემდეგ რუსეთის იმპერატორმა დაკმაყოფილა ლევან V დადიანის თხოვნა და მის სიცოცხლეშივე დავით დადიანისათვის სამეგრელოს მმართველობის გადაცემას დათანხმდა. ხელისუფლების ასეთი გადაცემა მეტად საზეიმო ვითარებაში მოხდა. 1840 წ. 11 მაისს ქუთაისის გუბერნატორის თანდასწრებით მთავარმა თავის უფროს ვაჟს გადასცა ჯერ კიდევ ალექსანდრე I-ის ნაბოძები ხმალი და დროშა. ამის შემდეგ დავით დადიანი ოფიციალურად შეუდგა სამთავროს მართვა-გამგებლობას, თუმცა მამის სიცოცხლეში მას მთავრის

ტიტული არ მიულია და მემკვიდრე-მმართველად იწოდებოდა. 1846 წლის 30 ივლისს ლევან V დადიანი გარდაიცვალა. იმავე წლის ნოემბერში რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა დავით დადიანი სამეგრელოს მთავრად დაამტკიცა.

თავისი მმართველობის ხანაში დავით დადიანი ცდილობდა სამთავროს ცხოვრებაში რიგი გარდაქმნები გაეტარებინა. მან სამეგრელოს დაბალი სამღვდელოება მებატონეთა ყმობისაგან გაათავისუფლა და პირადი თავისუფლება მიანიჭა. მის დროს სამეგრელოს სამთავრო ზუგდიდის, ჯვარის, ზუბის, სუჯუნის, საჭილაოს, მარტვილის, ლაილაშის და მურის მაზრებად დაიყო. განსაკუთრებით დიდად ზრუნავდა დავით დადიანი ზუგდიდის გასამშვენიერებლად. „ახალი ზუგდიდი, — წერს ცნობილი ქართველოლოგი მარი ბროსე, რომელიც 1848 წ. ეწვია დავით დადიანს, — დღეს შენდება ვრცელი მინდვრების ნაპირებზე, რომლის აღმოსავლეთით ელვარებს დადიანების სასახლე და ბაღი, ჩრდილოეთით — რამდენიმე სახლი და პატარა მდინარე, დასავლეთით — პრინც გრიგოლის დროებითი საცხოვრებელი სახლი, ახალი სასახლე და მდინარის ფერდობი... სამხრეთით მდებარეობს ბაზარი. ყველაფერი ეს გაკეთებულია დავით დადიანის მიერ, რომელსაც დიდი სურვილი აქვს ბაზრობაზე გაიყიდოს მისი მამულის პროდუქცია და განვითარდეს ცივილიზაციის ელემენტები შიგა ძალისხმევითა და გარე სამყაროსთან კონტაქტებით. ასობით სახლი აიგო ორ-სამ წელიწადში. თუ მშენებლობის პროცესი ასეთი აქტივობით გაგრძელდება, ზუგდიდი ნამდვილად გახდება აყვავებული დასახლება“.

ახალი ზუგდიდის მშვენებას წარმოადგენდა 1830 წელს დასრულებული ახალი ეკლესია, რომელშიც ვლაქერნის ცნობილი ხატი იყო დასვენებული.

1853 წლის 30 აგვისტოს დავით დადიანი გარდაიცვალა. დავითის უფროსი ვაჟი ნიკოლოზი ჯერ კიდევ შვიდი წლისა არ იყო და ბუნებრივია, სამთავროს მართვა-გამგებლობას ვერ ჩაიბარებდა. ამიტომ რუსეთის ხელისუფლებამ ტახტის მემკვიდრის მზრუნველად და სამეგრელოს მმართველად დავით დადიანის ქვრივი ეკატერინე დადიანი დანიშნა, რომელსაც მრჩეველად გარდაცვლილი მთავრის ძმები გრიგოლ და კონსტანტინე დადიანები და სამეგრელოს ეპისკოპოსი ზაქარია დაუნიშნა.

1853 წლის 4 ნოემბერს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, რომელიც ისტორიაში ყირიმის ომის სახელითაა ცნობილი. ეს ომი სამეგრელოს სამთავროს უშუალოდ 1854 წლის მაისში შეეხო, როდესაც რედუტ-კალე ჯერ ზღვიდან ინგლისელებმა დაბომბეს, შემდეგ კი თურქებმა დაიკავეს. 1855 წლის სექტემბერ-ოქტომბერში თურქებმა აფხაზეთში დიდი არმია გადასხეს ომერ-ფაშას მეთაურობით. მალე ეს არმია სამეგრელოსაკენ დაიძრა. 25-26 ოქტომბერს თურქებმა ენგურის პირას რუსეთის ჯარი დაამარცხეს და მოკლე ხანში ზუგდიდი და მთელი სამეგრელო ცხენისწყლამდე დაიკავეს. ეკატერინე დადიანმა თავისი მცირეწლოვანი შვილები ლეჩხუმში, მურის სასახლეში გახიზნა, თვითონ კი პარტიზანულ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში, რომელიც სამეგრელოს მოსახლეობამ თურქების წინააღმდეგ გააჩაღა. მალე, თურქეთის ჯარმა უკანდახევა დაიწყო რედუტ-კალესაკენ, რომელიც მათ მხოლოდ ზავის დადების შემდეგ, 1856 წლის მაისში დატოვეს.

თურქებმა ძალზე დააზარალეს სამეგრელო, მათ დაწვეს მთავრის სასახლე და გაჩეხეს მისი ბაღი.

ყირიმის ომი რუსეთის მარცხით დამთავრდა, თუმცა მას ტერიტორიები არ დაუკარგავს. ამ ომის შემდეგ რუსეთის ხელისუფლება სამეგრელოს სამთავროს გაუქმებისათვის საბაბს ეძებდა და ეს საბაბიც მას გლეხთა აჯანყებამ მისცა.

1856 წ. ივლისში ეკატერინე დადიანი რუსეთში გაემგზავრა, რათა რუსეთის ახალი იმპერატორის ალექსანდრე II-ის კურთხევას დასწრებოდა. გამგზავრების წინ მან თავის სახლთუხუცესს თურქების მიერ გაჩანაგებული სასახლეების აღდგენის მთელი

პროგრამა დაუტოვა. ერთ-ერთი ასეთი სალხინოს სასახლეში მუშაობის დროს, სამუშაოდ დაბარებულ ყმა-გლეხებს შორის მღელვარება დაიწყო, რომელიც მალე მთელ სამეგრელოს მოედო. აჯანყებას გამოკვეთილად ანტიფეოდალური და პრორუსული ხასიათი ჰქონდა. არაა გამორიცხული, რომ გარკვეულწილად იგი რუსული ხელისუფლებიდან იმართებოდა. აჯანყებას ხელი შეუწყო რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომმა გლეხთა მძიმე მდგომარეობამ, აგრეთვე იმან, რომ ეკატერინეს მიერ დროებით დატოვებული მმართველი, მისი მაზლი გრიგოლ დადიანი გლეხების წინააღმდეგ ქმედით ზომებს არ იღებდა. მალე მთელი სამეგრელო ფაქტობრივად მეამბოხე გლეხების ხელში გადავიდა, რომელთა ბელადებს კოჩა და უტუ თოდუები და უტუ მიქავა წარმოადგენდნენ.

1857 წლის აპრილში ეკატერინე დადიანი სამეგრელოში დაბრუნდა, მაგრამ მის დაბრუნებას ქვეყნის დაწყნარება არ მოჰყოლია. მაშინ 1857 წლის 16 მაისს დედოფალმა ქუთაისში თავისი თავადი მიქაძე გაგზავნა და ქუთაისის გუბერნატორს კოლუბიაკინს დახმარება თხოვა. გუბერნატორი დაუყოვნებლივ გაემართა სამეგრელოსაკენ. რუსეთის ხელისუფლებამ აჯანყების მთავარ მიზეზად ადგილობრივი უვარგისი მმართველობა მიიჩნია. იგი აჯანყებულებთან მშვიდობიან მოლაპარაკებას მართავდა, რომელშიც რუსეთის ხელისუფლებას პირველ რიგში უტუ მიქავა ეხმარებოდა. ამავე დროს რუსეთის ხელისუფლება ეკატერინე დადიანს სამეგრელოს დატოვებას და იქ უშუალოდ რუსული ადმინისტრაციის შემოღების ნებართვას თხოვდა. 1857 წლის სექტემბერში იმპერატორის მიწვევით ეკატერინე დადიანი ოჯახით რუსეთში გაემგზავრა და სამეგრელოს სამთავროში უშუალოდ რუსული მმართველობა შემოვიდა. ამის შემდეგ რუსებმა სწრაფად „დაამშვიდეს" მეამბოხე გლეხობა და დაახლოებით 40 კაცი, მათ შორის აჯანყების ხელმძღვანელები რუსეთში გადაასახლეს. ისინი უკან მხოლოდ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დაბრუნდნენ. უკანდაბრუნებული უტუ მიქავა ერთ ხანს წალენჯიხის საზოგადოების მამასახლისიც იყო.

უშუალო რუსული მმართველობის შემოღების მიუხედავად, ნიკოლოზ დადიანი კვლავ ტახტის მემკვიდრედ ითვლებოდა. სამეგრელოს სამთავროს „სამეგრელოს სამფლობელო" ეწოდებოდა, რომელსაც რუსი მოხელე, სამეგრელოს მმართველი ედგა სათავეში. მმართველთან არსებობდა „სამეგრელოს მმართველობის საბჭო", რომელშიც რუსი დიდმოხელენი და ადგილობრივი მაღალი წოდების წარმომადგენლები შედიოდნენ. „სამეგრელოს სამფლობელო" ზუგდიდის, სენაკის, ლეჩხუმის ოკრუგებად ანუ ოლქებად იყოფოდა, რომლებსაც რუსი ოკრუგის უფროსები ედგნენ სათავეში. სამეგრელოში შედიოდა ფოთისა და რედუტ-კალეს ნავსადგურები და აგრეთვე სამურზაყანო.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყება რუსეთში ბატონყმობის კრიზისის ერთ-ერთი გამოხატულება იყო. მალე მთელ იმპერიაში დაიწყო ბატონყმობის გაუქმება, რომელიც ბუნებრივია, საქართველოსაც შეეხო. 1866 წლის 1 დეკემბერს ალექსანდრე II-მ ხელი მოაწერა დებულებას სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმების შესახებ. ამ დებულების ცხოვრებაში გატარება სამეგრელოს სამთავროს საბოლოოდ გაუქმების შემდეგ მოხდა.

1867 წ. 4 იანვარს ნიკოლოზ დადიანი სრულწლოვანი გახდა ანუ 20 წლის შესრულდა. იმავე დღეს ტახტის მემკვიდრემ „უქვეშევრდომესი" მოხსენებით მიმართა ალექსანდრე II-ს და რუსეთის იმპერატორის სასარგებლოდ სამეგრელოს სამთავროს ტახტზე უარი განაცხადა. როგორც ჩანს, რუსეთში ძალზე ეჩქარებოდათ სამეგრელოს სამთავროს გაუქმება, ამიტომ იმავე 4 იანვარს რუსეთის იმპერატორმა ბრძანებულებით სამეგრელოში სამუდამოდ რუსეთის მმართველობის დამყარება გამოაცხადა. ამის შემდეგ სამეგრელოს სამთავრომ ფორმალურადაც შეწყვიტა თავისი არსებობა. სამეგრელოს ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო.

7.3. სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა

მთავრის სასახლეს, როგორც ცენტრალურ დაწესებულებას, სამთავრო კარი, ჯილმწიფის კარი ეწოდებოდა. სამთავრო კარის მოხელენი ანუ კარისკაცნი იყვნენ როგორც „გამგენი კარისანი" ანუ განკარგულებისა და ბრძანების გაცემის შემძლე მოხელენი,ასევე „საქმის მოქმედნი" ანუ აღმასრულებელი მოხელენი. პირველნი იყვნენ უზედაესნი ანუ დიდნი, მეორენი უქვედაესნი ანუ მცირენი.

უზედაეს მოხელეს მთავარი მოახსენებდა, უქვედაესს კი უბრძანებდა.

სამთავრო სასახლე (ანუ დარბაზი, პალატი) მსგავსად სამეფო სასახლისა წარმოადგენდა სახელმწიფოს მთავარ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დაწესებულებას, რომელშიც ერთიანდებოდა სალარო, საჯინიბო, საღვინე და სხვა უწყება, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა სამთავრო-სახასო ყმა-მამულებისა და თვით სამთავრო სასახლის (სამთავრო კარის, სამთავრო დარბაზის) მართვა.

სამეგრელოს სამთავროს ცენტრალური სამოხელეო აპარატი დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა. XVI-XVII საუკუნეებში თუ სამთავროში ვეზირის სახელო პირველობდა, XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის დამდეგს ცენტრალურ მოხელეთა შორის სახლთუხუცესი იყო უმთავრესი, XIX საუკუნის პირველ ნახევარში კი მსაჯულთუხუცესი დაწინაურდა.

ვეზირისა და სახლთუხუცესის სახელო ზოგჯერ ერთი პირის ხელში იყო, ზოგჯერ სხვადასხვა. თუ მაგალითად, XVII საუკუნის 10-იან წლებში ერთმანეთის გვერდიგვერდ იხსენიებიან ვეზირთუხუცესი მერაბ ქორთოძე და სახლთუხუცესი ქაიხოსრო აფაქიძე, 1673 წლის ერთ საბუთში კაცია ჩიქვანი ერთდროულად ვეზირადაც იხსენიება და სახლთუხუცესადაც (სახლის უფროსად).

ცნობილია XVII საუკუნის რამდენიმე სხვა ვეზირთუხუცესის (ვეზირის) ვინაობაც, ვეზირი პაპუნა ანჯაფარიძე სიკვდილით დასაჯეს 1625 წელს, 1641 წელს ვეზირად ვხედავთ როსტომ ქორთოძეს (ქორთუას), რომელიც ამ სახელოზე შეუცვლია პაატა წულუკიძეს (გარდ. 1656 წ.). 1661 წლიდან სამეგრელოს სამთავროს ვეზირი იყო დეისმამა ჯოლია, რომელსაც ეს სახელო, როგორც ირკვევა ხმლით წაართვა კაცია ჩიქვანმა. ამის შემდეგ ვეზირის სახელო არ ჩანს.

XVIII საუკუნის მთელ მანძილზე და XIX საუკუნის დამდეგს, როგორც აღინიშნა, სამეგრელოს სამთავროს უპირველესი მოხელე სახლთუხუცესი იყო.

ოტია დადიანის ზეობის ხანაში (1728-1757 წლები) სახლთუხუცესად ოჯდა და სამთავროს საქმეებზე დიდი გავლენა ჰქონდა პაპუნა ჩიჩუას.

1777-1810 წლებში სახლთუხუცესი იყო გიორგი ჩიქვანი. 1810 წელს ამ სახელოს მფლობელია გიორგი ჩიჩუა, 1811 წელს დავით ჩიქვანი, 1812-1832 წლებში სახლთუხუცესია ხახუ ჩიჩუა, 1832-1838 წლებში ლევან ჩიჩუა, 1838-1865 წლებში კვლავ დავით ჩიქოვანი და ბოლოს 1865 1867 წლებში არჩილ დადიანი.

სახლთუხუცესი განაგებდა სახასო (სამთავრო) ყმა-მამულს. რაფიელ ერისთავის დახასიათებით სახლთუხუცესი „სრული ბატონ-პატრონი იყო სასახლისა. უხედებოდა და უმასპინძლდებოდა მოსულ სტუმრებს" და ანგარიშს აბარებდა მხოლოდ მთავარს.

სახლთუხუცესს უშუალოდ ემორჩილებოდნენ სასახლის მოსამსახურე მოხელენი (მესტუმრე, ქვეშიკები, მზარეულები, ხაბაზი და სხვები), აგრეთვე ადგილობრივი მოხელენი (მოურავები, მაგიერები ანუ ნაცვლები, ხელისნები ანუ მამასახლისები).

მსაჯულთუხუცესის ანუ მდივანბეგთუხუცესის სახელო სამეგრელოში XIX საუკუნის დამდეგამდე არ გვხვდება. პირველად ეს თანამდებობა 1806 წლის ერთი შეწირულობის წიგნშია მოხსენიებული.

მსაჯულთუხუცესის ხელქვეითნი იყვნენ მსაჯულნი, რომელსაც უფრო მდივანბეგის სახელით მოიხსენიებდნენ. მათი მოვალეობა იყო განსჯა ანუ გასამართლება და შესაბამისი განჩინების გამოტანა. მსაჯულთუხუცესი მთავრის შემდეგ ყველაზე დიდი მოსამართლე იყო.

1806-1834 წლებში მსაჯულთუხუცესად იჯდა დიდ ნიკოდ წოდებული ნიკო დადიანი. ამ დროს მსაჯულთუხუცესი სხვა მოხელეებს შორის პირველობდა, რაც თვით ნიკო დადიანის, როგორც პიროვნებისა და მოღვაწის დიდი გავლენითა და ავტორიტეტით იყო განპირობებული.

მესტუმრეთუხუცესი XVII-XVIII საუკუნეთა სამეგრელოში კარის მოხელეთა შორის ერთერთი ყველაზე პატივდებული მოხელე იყო. XVII საუკუნის დამდეგის ერთ შეწირულობის წიგნში დასახელებულია მესტუმრეთუხუცესი კაკაჩა ქვითია. ამ დოკუმენტში მოხელეთა დასახელების თანმიმდევრობის მიხედვით მესტუმრეთუხუცესი პატივით მხოლოდ ვეზირთუხუცესს და მოლარეთუხუცესს ჩამოუვარდებოდა და სახლთუხუცესზე და ბოქაულთუხუცესზე მაღლა იდგა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში მესტუმრეთუხუცესს სტუმართგამგე ეწოდებოდა. ნიკო დადიანის „დასტურლამას"-ს მიხედვით, სტუმართგამგეს და მის ხელქვეითთ ებარა სასტუმრო ოთახები მთელი ავეჯით, თეთრეულით და ჯამ-ჭურჭელით. სტუმართგამგე და მესტუმენი პასუხისმგებელნი იყვნენ ყოველივე იმის დაცულობაზე, რაც მათ ებარა.

სტუმართგამგე ეგებებოდა მთავრის სტუმრებს, პატიჟებდა სასახლეში, მათ ცხენებს აბარებდა მეჯინიბეს და მთავარს მოახსენებდა სტუმრის ვინაობას. ამის შემდეგ სახლთუხუცესისაგან იღებდა სტუმრის სამყოფ სანოვაგეს და გადასცემდა მზარეულებს მისი საკადრისი კერძების დასამზადებლად.

მესტუმრეთუხუცესი და მისი ხელქვეითი მესტუმრე, ისევე როგორც სახლთუხუცესი, ჰყავდათ დედოფალსაც, უფლიწულებსაც, თავადებსაც და საეკლესიო ფეოდალებსაც (ეპისკოპოსებს, მონასტრების წინამძღვრებს).

ბოქაულთუხუცესი აღმასრულებელი ხელისუფალი იყო, მის მოვალეობას შეადგენდა. მთავრის ბრძანებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანა.

ბოქაულთუხუცესი პოლიციური აპარატის (ბოქაულების) უფროსი იყო. რაფიელ ერისთავი გვაუწყებს, რომ ბოქაულთუხუცესი იყოო უფროსი ბოქაულებისა ანუ იასაულებისა, რომელთა საქმე იყო ამა თუ იმ საქმის „ალაგობრივ" (ანუ ადგილზე) გამოძიება ან სასამართლო განჩინების აღსრულება, აგრეთვე ქურდების დაჭერა.

ნიკო დადიანის „დასტურლამას"-ს მიხედვით ბოქაულთუხუცესის ხელქვეით მუდამ უნდა ყოფილიყო 4 ბოქაული. ბოქაულთუხუცესის და ბოქაულების მოვალეობაში შედიოდა გადასახადების არგადამხდელთა დასჯაც, რაც ე.წ. „შიგ ჩადგომის" სახით ხორციელდებოდა.

ბოქაულთუხუცესად XIX საუკუნის პირველ ნახევარში უფლისწულები ინიშნებოდნენ და მათზე ამის გამო სახლთუხუცესის ძალაუფლება არ ვრცელდებოდა.

ეს სახელო სამეგრელოს სამთავროში XVII საუკუნის დამდეგიდან ჩანს. 1614-1634 წლებს შორის შედგენილ ერთ დოკუმენტში მოხსენიებულია ბოქაულთუხუცესი ჯავახ ჭილაძე.

XVIII საუკუნის მიწურულს ბოქაულთუხუცესის თანამდებობაზე ვხედავთ გიორგი დადიანს, მისი გარდაცვალების შემდეგ კი, როგორც ჩანს ეს სახელო მის ძეს ნიკო დადიანს (ნიკო მეორეს) ეჭირა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, როცა სარდლის სახელოს მნიშვნელობა დაკნინდა (ეს კი რუსეთის მფარველობაში შესული სამეგრელოს სამთავროში მეტნაკლები სიმშვიდის დამყარებით იყო გამოწვეული), ბოქაულთუხუცესისა და სარდლის სახელოები ერთი პირის ხელში ექცევა. მაგალითად, ნიკო დადიანი (ნიკო მეორე) XIX საუკუნის 20-იან, 30-იანი წლების რამდენიმე დოკუმენტში სარდალ-ბოქაულთუხუცესად არის მოხსენიებული.

XVI-XVIII საუკუნეთა და XIX საუკუნის დამდეგის სამეგრელოს სამთავროში ერთერთ უმთავრეს მოხელეს სარდალი წარმოადგენდა.

პროფ. მამია დუმბაძემ, XIX საუკუნის დამდეგის მასალებზე დაყრდნობით დაასკვნა, რომ სამეგრელოში სამი სარდალი იყო. პროფ. ოლღა სოსელია კი ფიქრობდა, რომ სამეგრელოს მთავარს ორი სარდალი უნდა ჰყოლოდაო. მაგრამ, XIX საუკუნის შუა ხანებში მოღვაწე ოდიშელი პოეტის დავით დადიანის (ნოღელის) თხზულებაში („რუხის ომი") დაცული ცნობებიდან ირკვევა, რომ სამეგრელოში, მსგავსად ქართლისა და კახეთისა ოთხი სადროშო და ოთხი სარდალი იყო. ერთ სადროშოს წარმოადგენდა

საკუთრივ ოდიში, მეორე სადროშო იყო უეჭველად ლეჩხუმი, მესამე სადროშო უნდა ყოფილიყო აფხაზეთი, რომლის ადგილი გვიან, XVIII საუკუნეში სამურზაყანომ („სამურზაყანო აფხაზეთმა") დაიკავა. მეოთხე სადროშო, სვანეთი უნდა ყოფილიყო, რომელიც სამეგრელოს მთავრის ხელისუფლებას, ნომინალურად მაინც, აქ რუსების გამოჩენამდე ყოველთვის აღიარებდა აფხაზეთის სათავადოებისა და თავისუფალი თემების მსგავსად.

სარდლის სახელო ხშირად შეთავსებული იყო. სახლთუხუცესის, მსაჯულთუხუცესის და ბოქაულთუხუცესის სახელოს მქონენი იმავდროულად სარდლის სახელოსაც ფლობდნენ. მაგალითად, 1789 წელს, როცა გრიგოლ დადიანმა იმერეთის სამეფო ტახტიდან დავით მეფის ჩამოგდება გადაწყვიტა, სამეგრელოს ქვეით ლაშქარს სარდლად „წარუძღვანეს... სახლთუხუცესი გიორგი ჩიქოვანი".

1815 წლის ერთ წყალობის წიგნში მოწმედ არის დასახელებული „სახლთუხუცესი, ოდიშის თავადი და სარდალი ჩიჩუა ხახუ".

ერთდროულად ლეჩხუმის სარდალ-მოურავისა და ოდიშის მსაჯულთუხუცესის თანამდებობებს ფლობდა ნიკო დადიანი (დიდი ნიკო). XIX საუკუნის 20-იანი წლების მიწურულიდან ერთდროულად სარდლისა და ბოქაულთუხუცესის სახელოები ნიკო დადიანის (შხეფელის) ხელში იყო.

მოლარეთუხუცესი მნიშვნელოვან სახელოს წარმოადგენდა. რაფიელ ერისთავის ცნობით მოლარეთუხუცესი სალაროს, ხაზინის უფროსი იყო. მას ევალებოდა განძეულობის ხელშეუხლებლობაზე ზრუნვა. მოლარეთუხუცესი და მისი ხელქვეითი მოლარე იყო „მცველი ლართა, საბან-გობანისა, ცხენის მოსართავისა, უნაგირისა, სხვადასხვა საოჯახო ჯამ-ჭურჭლისა და აგრეთვე სტუმრების ქონებისა და თოფ-იარაღისა".

ნიკო დადიანის „დასტურლამა"-ს მიხედვით მოლარეთუხუცესს და მის ხელქვეითთ ებარათ „ყოველნი ტანისამოსნი და სახლის მოსართავნი და შესამკობელნი".

მოლარეთუხუცესის სახელო სამეგრელოს სამთავროში XVII საუკუნის დამდეგიდან ჩანს. 1611-1614 წლებს შორის შედგენილ ერთ შეწირულობის წიგნში მოწმედ არის დასახელებული მოლარეთუხუცესი კაცია ქორთოძე.

საკუთარი მოლარეთუხუცესი და მოლარე ჰყავდათ ოდიშის დედოფალს, თავადებს და საეკლესიო ფეოდალებს (ეპისკოპოსებს, წინამძღვრებს).

მოლარეთუხუცესის ხელქვეითნი იყვნენ მოლარეები. რამდენი მოლარე იყო სამთავრო კარზე არ ვიცით.

ოდიშის სამთავროში ერთერთ მნიშვნელოვან თანამდებობას წარმოადგენდა ქალაქთუხუცესის სახელო. ქალაქთუხუცესი ქალაქში, ისევე როგორც მდივანბეგი მაზრაში წარმოადგენდა სასამართლოს პირველ ინსტანციას და ისიც აღჭურვილი იყო ადმინისტრაციული უფლებებით. ქალაქთუხუცესის უმთავრესი მოვალეობა ვაჭართა და ხელოსანთა მართვა იყო (სიტყვა *ქალაქი* იმდროინდელი გაგებით სავაჭრო და სახელოსნო ადგილს არ ნიშნავდა. ქალაქობა ბაზრობის, რუსულიდან ნასესხები იარმურკობის მნიშვნელობას შეიცავდა).

ქალაქთუხუცესის სახელო დასავლეთ საქართველოში XVI საუკუნიდან იხსენიება. მაგალითად როსტომ I გურიელის (1534-1566) ზეობის ხანაში გურიის ქალაქთუხუცესი ყოფილა გორჯასპი მახაძე.

სამთავრო კარის უქვედაეს მოხელეთა შორის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ფარეშთუხუცესი, რომელზედაც, როგორც ირკვევა აზნაურები ინიშნებოდნენ.

ფარეშთუხუცესის ხელქვეითნი იყვნენ ფარეშები.

ფარეშები ყავდათ, როგორც მთავარს და დედოფალს, ასევე თავადებსა და აზნაურებს. აგრეთვე საეკლესიო დიდკაცობას.

ფარეშები მხოლოდ სასახლეში მსახურობდნენ. მათი ნაწილი მებეგრე გლეხთაგანი იყო, ნაწილი მოჯალაბეთაგანი (მეგრ. დოლმახორე). ისინი ყანაში მუშაობისაგან ან სხვა შაი სამუშაოს შესრულებისაგან

თავისუფალნი იყვნენ. ფარეში მოვალე იყო მომსახურებოდა არა მარტო თავის ბატონს, არამედ მის სტუმარსაც.

ფარეში, რომელსაც სტუმარს მიუჩენდნენ ჩიხოულად იწოდებოდა. მისი მოვალეობა იყო სტუმრისთვის მოეტანინებია ყველაფერი, რაც დაჭირდებოდა (ლოგინი, ჭურჭელი, სასმელ-საჭმელი, შეშა, სანთელი...).

მნიშვნელოვანი უქედაესი სახელო იყო მეღვინეთუხუცესის სახელო. მეღვინეთუხუცესი, რაფიელ ერისთავის ცნობით იყო „გამგე ვენახებისა და ღვინოს დაყენებისა. სოფლებში აგროვებდა საგადასახადო ღვინოს და სასახლეში აზიდვინებდა და ამაში მოურავები და ხელოსნები ეხმარებოდნენ. მას ემორჩილებოდა მეღვინე და მემარნე, რომელსაც ეპარა მარანი".

მეღვინეთუხუცესის ხელქვეითი რამდენიმე მეღვინე მონაცვლეობით ასრულებდა თავის მოვალეობას. მეღვინე ორგვარი იყო – სასახლის მეღვინე და „გარეთ მეღვინე".

მეღვინეთუხუცესი მთავრის გარდა ყადათ დედოფალს, თავადებს, საეკლესიო ფეოდალებს.

მთავრის მეღვინეთუხუცესი, გარდა ძირითადი მოვალეობისა მთავრის ან სახლთუხუცესის ბრძანებით სხვა დავალებებსაც ასრულებდა.

მეჯინიბეთუხუცესს სამეგრელოს სამთავროში მზინდართუხუცესი ერქვა. მას ეპარა ცხენის აღკაზმულობა, ცხენის საკვების მარაგი, და მთავრის ცხენების რემა. მთავარს, რომელიც ნიადაგ გზაში იყო, მზინდართუხუცესი მუდამ თან ახლდა. მზინდართუხუცესის სახელო, როგორც ერთერთი საპატიო და შემოსავლიანი, თავადებს ეკუთვნოდა.

მნიშვნელოვან სახელოს წარმოადგენდა ბაზიერთუხუცესი, რომელსაც სამეგრელოში კურძუალთუხუცესი ერქვა (ეს ტერმინი სოფელ კურძუს/კურზუს სახელიდან მომდინარეობს, რადგან ამ სოფელში ესახლნენ მთავრის ბაზიერები და მეძაღლენი). თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო კურძუალთუხუცესის ხელი, კარგად ჩანს არქანჯელო ლამბერტის შემდეგი ცნობიდან: „მეგრელების უმთავრესი მოსაქმეობა ნადირობაა და ყოველი წოდებისა და მდგომარეობის მეგრელი მას ეტანება".

კურძუალთუხუცესის ხელქვეითნი იყვნენ არა მარტო კურძუალნი (ბაზიერნი) და მეძაღლენი, არამედ ტყისმცველთუხუცესიც.

გარდა ამ სახელოებისა სამეგრელოს სამთავროს ცენტრალურ სამოხელეო აპარატში ბევრი სხვა მოხელეც იყო (ქეშიკთუხუცესი, გვამის მცველი, მეპჯრეთუხუცესი, მზარეულთუხუცესი, ყულუხჩოუხუცესი და სხვა).

კარის მოხელეთა სარგო შესაბამისი გადასახადის მეათედით განისაზღვრებოდა. არსებობდა სახელოს შესაბამისი საგანგებო გადასახადიც (მაგალითად საბოქაულო).

სამეგრელოს სამთავროში ადგილობრივი მმართველობა მთავრის მოურავების მეშვეობით ხორციელდებოდა. სამთავრო დაყოფილი იყო 12 სამოურავოდ, რომელთა სათავეში ადმინისტრაციული და სასამართლო უფლებებით (ცხადია შეზღუდული უფლებებით) აღჭურვილი მოურავები იდგნენ.

მთავრის მოურავის სახელო უმეტესწილად თავადების ხელში იყო. სამოურავოში შემავალ თემებში და სოფლებში, რომლებიც რომელიმე თავადს, აზნაურს ან ეკლესიას ეკუთვნოდა, მათი მფლობელთა მოურავები იჯდნენ, მაგრამ მათზე გარკვეულწილად მთავრის მოურავის ხელისუფლება ვრცელდებოდა.

სამეგრელოს სამთავროში სამოურავთ-მოურავოს ინსტიტუტიც არსებობდა. სამთავროს შემადგენელი ისეთი კუთხის სამოურაოები როგორიც ლეჩხუმი ან აფხაზეთი იყო მოურავთ-მოურავის ანუ სარდალ-მოურავს ემორჩილებოდნენ.

მართალია, მოურავს (როგორც სამთავრო ასევე საეკლესიო მოურავს) მთავარი ნიშნავდა, მაგრამ მოურავის სახელო უმეტესწილად მაინც ერთი გვარის ხელში იყო. მაგალითად, ჭაქვინჯის მოურავებად XVIII-XIX საუკუნეთა მთელ მანძილზე მხოლოდ მხეიძეები (ხეციები) იხსენიებიან.

მთავრის მოურავის მოადგილეს მაგიერი კაცი ეწოდებოდა, ის იგივე ჩანს, რაც აღმ. საქართველოში იყო ნაცვალი.

სოფლის მამასახლისს კი, რომელსაც ასევე მთავარი ნიშნავდა, ხელოსანი ეწოდებოდა. ხელოსანი, ისევე როგორც მაგიერი კაცი, მოურავის თანაშემწე იყო.

ხელოსნად მებეგრე გლეხები არ ინიშნებოდნენ. ეს სახელო მსახურთა ფენის პრივილეგია იყო. თუკი ხელოსნად გლეხს დანიშნავდნენ, ის ბეგარისგან თავისუფლდებოდა. ხელოსნის სახელო მემკვიდრეობით არ იყო, მაგრამ ხშირად ის ერთი გვარის ხელში იყო, მაგალითად ზუგდიდისა და კახათის ხელოსნებად XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში გუგუჩიები იყვნენ.

1740 წელს დავით დადიანმა სამეგრელო მაზრად დაჰყო და მათ სათავეში ჩაუყენა მდივანბეგები, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ როგორც სასამართლო ასევე ადმინისტრაციული ხელისუფლებით.

სამთავროს მაზრებად დაყოფის შემდეგაც სამოურაოები არსებობას განაგრძნობდნენ მაგრამ მთავრის მოურავს, როგორც სახელმწიფო მოხელეს ფუნქცია დაეკარგა და ის მთავრის, როგორც მსხვილი ფეოდალის მოურავის უფლებებით შემოიზღუდა.

მას შემდეგ რაც დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე, რომელიც სამეგრელოს სამთავროს 1853 წლიდან, ქმრის — დავით დადიანის გარდაცვალებიდან მართავდა, რუსეთში გაიწვიეს, რუსეთის მთავრობამ სამეგრელოს სამთავრო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაუქვემდებარა. სამთავროს მთავრის სრულწლოვანებამდე, სათავეში ჩაუყენეს მმართველი, რომელიც რუს მოხელეთაგანი უნდა ყოფილიყო. ეს რუსი მოხელე იმავდროულად სასამართლო და პოლიციური ხელისუფლებით აღჭურვილი საბჭოს თავმჯდომარეც იყო.

სამეგრელოს სამთავროს მმართველი სამხედრო გუბერნატორის უფლებებით იყო აღჭურვილი. იმ საკითხებზე, რომლებიც მის უფლებამოსილებებს სცდებოდა, ის ვალდებული იყო ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისათვის წარედგინა მოხსენება.

სამოქალაქო საქმეებს კი სამეგრელოს მმართველი საბჭოს მეშვეობით განაგებდა, ინარჩუნებდა რა ამ სფეროში თავისი სახელით მოქმედების უფლებასაც.

სამეგრელოს სამთავროს მმართველი ნიშნავდა და ათავისუფლებდა მმართველობის ნებისმიერ მოხელეს გარდა საბჭოს უფროსი წევრისა, რომლის დანიშვნის ან დათხოვნის შესახებ წინადადებით ის ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის წინაშე უნდა წარმსდგარიყო. თავისი ხელქვეითი მოხელის სასამართლოზე გადაცემის შესახებ წარდგინებაც მას გენერალ-გუბერნატორისათვის უნდა გადაეცა.

სამეგრელოს მმართველს ჰყავდა ორი თანაშემწე (ადიუტანტი), ერთი სამოქალაქო, მეორე კი სამხედრო საკითხებში. აგრეთვე მიწათმზომი და თარჯიმანი.

სამეგრელოს მმართველის ხელქვეითნი იყვნენ სამაზრო და სასოფლო მმართველობები.

საბჭო, რომელსაც სამეგრელოს მმართველი რუსი მოხელე თავმჯდომარეობდა შედგებოდა ორი რუსი მოხელის, ორი მეგრელი თავადისა და ერთი აზნაურისაგან, საბჭოს წევრ რუს მოხელეთაგან ერთი უფროსი იყო, ერთი კი უმცროსი.

საბჭოს უფროსი წევრი სამეგრელოს მმართველის უშუალო თანაშემწეს წარმოადგენდა. ის ზედამხედველობდა მმართველობის ყველა ნაწილის საქმის წარმოებას, მმართველის არყოფნისას კი იკავებდა მის თანამდებობას.

საბჭოს ხელში იყო პოლიტიკური და სასამართლო ხელისუფლება. გარდა ამისა მის ხელში იყო მოქცეული სამთავროს მეურნეობა და შემოსავლები.

სამეგრელოს მმართველის კანცელარიაში იყო სამი ე.წ. „მაგიდა" — აღმასრულებელი, სასამართლო და სამეურნეო. ამათთან ერთად კანცელარიაში შედიოდა სახაზინო და სამდივნო ნაწილებიც.

მმართველობისა და საბჭოს სასამართლო ხელისუფლება სამოქალაქო სამართლის საქმეებით შემოიფარგლებოდა. სისხლის სამართლის საქმეები კი ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს გადაეცემოდა.

მთავრის მცირეწლოვნობისას სამეგრელოს მართვის დებულების თანახმად სამეგრელო სამ ოლქად, ზუგდიდის, სენაკის და ლეჩხუმის ოლქებად დაიყო და მათ სათავეში ოლქის უფროსები ჩაუყენეს.

სამეგრელოს ოლქების (округ-ების) უფროსების პოლიციური სამეურნეო და სასამართლო უფლება-მოვალეობანი გაუტოლდა ქუთაისის გუბერნიის მაზრების უფროსთა უფლება-მოვალეობებს.

იმ საკითხის შესახებ, რომელიც ვერცხლის 100 მანეთამდე ქონების შესახებ დავას შეეხებოდა, გადაწყვეტილებას იღებდა ოლქის უფროსი, 300 მანეთზე მეტი ღირებულების ქონებაზე დავისას გადაწყვეტილების მიღება სამთავროს საბჭოს უფლებამოსილება იყო.

ოლქის უფროსს ორი თანაშემწე ენიშნებოდა. მას ქონდა კანცელარია, რომელსაც მდივანი უძღვებოდა. ამ უკანასკნელს ყავდა ერთი თანაშემწე და ერთიც წერილობით მთარგმნელი, რომელიც იმავდროულად არქივარიუსიც იყო. გარდა ამისა ოლქის უფროსის განკარგულებაში იყო ექვსი მწერალი (писец) და ამდენივე შიკრიკი. მწერალთაგან ერთი რეგისტრატურას განაგებდა.

სასოფლო მმართველობა კი იმავე დებულების თანახმად შედგებოდა ყოველ სოფელში თითო ხელოსნისა და გადასახადების ამკრეფისაგან. ერთსაც მეორესაც თემი ირჩევდა და ოლქის უფროსი ამტკიცებდა.

7.4. მოკლე ცნობები სამთავრო ოჯახის წევრების შესახებ სამთავროს გაუქმების შემდეგ

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა. ქართველი პოეტების მუზა, სამეგრელოს დედოფალი და გამგებელი, როგორც მაშინ უწოდებდნენ „მთავრინა ეკატერინე". სამთავროს გაუქმების შემდეგ პეტერბურგს გაიწვიეს. ამის შემდეგ მან 25 წელი იცოცხლა. კარგა ხანს იცხოვრა რუსეთსა და ევროპაში (საფრანგეთი, გერმანია), ბოლოს ისევ სამეგრელოში დაბრუნდა და 1882 წელს 66 წლისა გულის ავადმყოფობით გორდში გარდაიცვალა. დაასაფლავეს მარტვილში თავისი მეუღლის დავით დადიანის გვერდით.

გრიგოლ დადიანი. სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის (1840-1853 წწ.) ძმა გრიგოლ ლევანის ძე დადიანი დაიბადა 6(18) ოქტომბერს, 1814 წელს.

გრიგოლმა რამდენიმე წელი მამამისის სასახლეში გაატარა. სწავლა-განათლების მისაღებად იგი ქუთაისში, იმერეთის მმართველ, ლევანის ახლო მეგობარ ბებუთოვთან გაიგზავნა, რომელმაც გრიგოლი გენერალ გესსეს წარუდგინა.

1827 წელს გრიგოლ დადიანი უკვე საიმპერატორო კარზე სასახლის პაჟად გვევლინება. გესემ მას თურქეთის წინააღმდეგ კინტრიშის სანაპიროზე ბრძოლებში მიაღებინა პირველი საბრძოლო ნათლობა. ამის შემდეგ თბილისში კავკასიის მთავარმართებელს პასკევიჩს წარუდგინა, რომელმაც მალე მას ლეიბგვარდიის ყაზახთა პოლკის ოფიცრობა უბოძა.

1834 წელს გრიგოლი უკვე პეტერბურგშია, ლეიბგვარდიის გრენადერთა პოლკში. 1844 წელს იგი ჩაირიცხა პრეობრაჟენსკის პოლკში და აქვე მიიღო პოდპოლკოვნიკის წოდება. აქედან იგი კავკასიის კორპუსში გადაყავთ.

პეტერბურგში გრიგოლ დადიანი დაუახლოვდა იქ მყოფ ქართველ საზოგადოებას, აქვე გაეცნო გამოჩენილ ლიტერატურულ მოღვაწეებს

1845 წლის იანვარში გრ. დადიანმა ცოლად შეირთო გურიის მთავრის მამია გურიელის ასული ტერეზია, რომელიც ხელმწიფის კარზე დედოფლის სეფექალად იყო.

პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებული გრიგოლ დადიანი სამხედრო სამსახურს ასრულებდა სამეგრელოს მთავართან, თავის ძმასთან და სამოქალაქო მმართველობის საქმეებშიც ეხმარებოდა მას, იყო მისი ვეზირი.

1854 წელს გრიგოლ დადიანი დაინიშნა სამეგრელოს სახალხო ლაშქრის (მილიციის რაზმის) მეთაურად და უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამეგრელოში შემოჭრილი ომერ ფაშას ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში. მის განკარგულებაში იყო მილიციის რაზმის გარდა ნაწილი რეგულარული ჯარისა. ამ დროს გრიგოლს უკვე გენერალ-მაიორის წოდება ჰქონდა მინიჭებული.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ, 1856 წელს, ეკატერინე დედოფალი, რომელიც დავით დადიანის გარდაცვალების დროიდან (1853 წ.) მართავდა სამეგრელოს სამთავროს, რუსეთში იყო მიწვეული ახალი ხელმწიფის კურთხევაზე. სამთავროს მმართველობა გრიგოლს ჩაბარდა. ეკატერინე ჭავჭავაძე

პეტერბურგიდან 1857 წლის გაზაფხულის მიწურულს დაბრუნდა. ამ დროისათვის სამეგრელოს გლეხობა მასიურ აჯანყებებს აწყობდა უტუ მიქავას ხელმძღვანელობით. ამის ნიადაგზე გრიგოლსა და ეკატერინეს შორის გამწვავდა ურთიერთობა. გრიგოლს უთქამს, რომ არ იყო საჭირო გლეხების ნამეტანი შევიწროებაო. მალე გრიგოლ დადიანი თბილისში გაიწვიეს. კავკასიის ჯარების მთავარსარდალმა ბარიატინსკიმ იგი კავკასიის გრენადერთა დივიზიაში ბრიგადის უფროსად დანიშნა.

1859 წელს გრიგოლ დადიანი თბილისში დასახლდა და მთავარსარდლის განსაკუთრებულ დავალებებს ასრულებდა. აქ მან იცხოვრა 12 წელიწადს, სანამ არ გარდაიცვალა მისი მეუღლე ეკატერინე გურიელის ასული (1871 წ.). ამის შემდეგ გრიგოლ დადიანმა დატოვა თბილისი და ქუთაისში გადასახლდა. ცხოვრობდა ბალახვანის ქუჩაზე. იგი გვიან შემოდგომისა და ზამთრის თვეებს ქუთაისში ატარებდა, წლის დანარჩენ დროს – ლეჩხუმში, სოფელ სურმუშში.

გრ. დადიანს, როგორც მთავრის ძმასა და თავადს რამდენიმე სოფელში ჰქონდა გამოყოფილი მამული, მასში დასახლებული დროებით ვალდებული გლეხების გარკვეული რაოდენობით. ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის არქივში არის მასალები, რომლებიც ამ სოფლებისა და იქ. გრ. დადიანის დროებით ვალდებულ გლეხთა სიებს გვამცნობენ. ეს იყო სოფლები – ფახულანი, ლია, კირცხი, ჭაქვინჯი და რამდენიმე სოფელი ლეჩხუმის მაზრასა და სვანეთში.

თანამედროვენი ხაზს უსვამენ გრ. დადიანის ლმობიერებას გლეხებთან ურთიერთობაში. მისი დროებით ვალდებული გლეხები უკმაყოფილებას არ გამოთქვამდნენ თავიანთი ბატონის მიმართ. აი, რას წერენ გრიგოლის გარდაცვალების გამო გამოქვეყნებულ ნეკროლოგში: „როგორც მებატონე და მემამულე იგი შესანიშნავი იყო თავისი ლმობიერებით. მისი დროებით ვალდებული გლეხები ქუდმოუხდელად და დაულოცველად არ ახსენებდნენ „ბატონ გრიგოლის" სახელს. ყოველგვარ გადასახადს დაკლებით ახდევინებდა მათ, მოუსავლიანობის ან მეწყერის დროს, რაც ასე ხშირია მაგალითად ლეჩხუმში. გადასახადების გარდა, თავისი ჯიბითაც ხშირად ხელს უმართავდა დაზარალებულთ".

დავით დადიანის გარდაცვალების შემდეგ იმპერატორის რესკრიპტით,მემკვიდრის არასრულწლოვანების გამო, სამთავროს გაძღოლა გაეკისრა დავითის მეუღლეს ეკატერინე ჭავჭავაძეს, ხოლო დამხმარედ დაარსდა სამთავროს საბჭო, რომლის უფროს წევრად გრიგოლი დაინიშნა. ასე, რომ გრ. დადიანი სამხედროს გარდა, როგორც ითქვა, სამოქალაქო სამსახურსაც ასრულებდა.

გრიგოლ დადიანმა მიაღწია 88 წლის ასაკს და ინფანტერიის გენერლის ჩინს. ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ (1901 წლის 24 დეკემბერს ძვ. სტილით, ანუ 1902 წლის 5 იანვარს ახალი სტილით) იგი გარდაიცვალა ქუთაისში. მას სამოქალაქო პანაშვიდი გადაუხადეს თბილისისა და ქუთაისის ეკლესიებში. საპატიოდ გააცილეს უკანასკნელ გზაზე და დაკრძალეს მარტვილის მონასტერში.

გარდაცვალების წინ გრ. დადიანმა დატოვა ანდერძი თავისი ქონების განაწილების შესახებ. მოვიტანთ ამ ანდერძს სრულად:

1. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, დაწესოს პრემია საუკეთესო თხზულებისათვის ქართულ ენაზე – 3.000 მანეთი (ორ წელიწადში ერთხელ).

2. იმავე საზოგადოებამ – სენაკის სააზნაურო სკოლისათვის გამოყოს 1500 მანეთი.

3. ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელს გადაეცეს სტიპენდიად 3000 მანეთი.

4. გამოეყოს ფონდი 3000 მანეთი კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს მანუჩარ დადიანის ჩამომავალთა აღსაზრდელად.

5. ლაილაშის სასწავლებელს – 1000 მანეთი. დაბა ზუგდიდს ღარიბებისათვის – ფონდი 2000 მანეთი.

6. ქუთაისის ღარიბთა დასახმარებლად 500 მანეთი.

7. გელათს, მოწამეთას და ცაიშს – 300 მანეთი.

8. თეკლათის დედათა მონასტერს 200 მანეთი.

9. ოქრო და სხვა ძვირფასი ნივთები უნდა გაიყიდოს და შემოსული ფულიდან გაკეთდეს კანკელი მარტვილის ტაძარში.

10. მარტვილისავე მონასტერს უანდერძა განსვენებულმა მამული ლეხერა, ლეჩხუმის მაზრაში, რომლისგან მონასტერს ექნება ყოველწლიური შემოსავალი 200 მანეთი.

11. ყოველი უძრავი ქონება განსვენებულისა (გარდა ქუთაისის სახლისა) გადაეცემა თავადს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მინგრელსკის, სამეგრელოს თავადისშვილს. ქუთაისის სახლი ერგო ანდერძით თავადის კონსტანტინე ლევანის ძე დადიანის შვილებს – გრიგოლს და დავითს".

გრ. დადიანი მე-19 საუკუნეში საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში გამოდიოდა ფსევდონიმებით „ალბიდელი", „იოანე გეგეჭკორი", „მეგრელი", „გ. დ.", „კ". დადიანის ლექსები იბეჭდებოდა „ცისკარში", „დროებაში", „ივერიაში", „შრომაში", „იმედში". მას ეკუთვნის ცნობილი პოემა „რუხის ბრძოლა".

1901 წელს ცალკე წიგნად გამოიცა გრ. დადიანის ლექსთა კრებული („ლექსთა კრება"), რომელშიც შეტანილია პოემა და 56 ლექსი. ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის არქივში დაცულია მისი გამოუქვეყნებელი ლექსები.

ნიკო დადიანი. სამეგრელოს უკანასკნელი, თუმცა ნომინალური მთავარი (1853-1867 წწ.) ტახტზე „ნებაყოფლობითი" უარის შემდეგ მან მიიღო საკომპენსაციოდ მილიონი მანეთი ოქროთი, „უგანათლებულესი თავადი მინგრელსკის" ტიტული თავისთვის და თავისი პირდაპირი შთამომავლობისათვის, ხოლო მისი ძმის ანდრიასათვის სიცოცხლის განმავლობაში. 1874 წ. ნიკო დადიანი დაქორწინდა საიმპერატორო კარის მინისტრის გრაფ ალექსანდრ ადლერბერგის ასულ მარიამზე. 1875 წლიდან მსახურობდა კავალერგარდის პოლკში, 1878 წლიდან იყო რუსეთის გენერალ მაიორი. მისი კანდიდატურა რუსეთის მიერ წამოყენებული იყო ბულგარეთის ტახტზე, თუმცა უშედეგოდ.

ნიკო დადიანის უანგარო პატრიოტიზმისა და ქველმოქმედების გამოვლენას წარმოადგენდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცელებელი საზოგადოებისათვის სამთავრო სახლის უნიკალური ხელნაწერებისა და წიგნების უსასყიდლოდ გადაცემა. ეს საგანძური საუკუნეების მანძილზე გროვდებოდა სამთავრო სახლში, ჯერ კიდევ დადიან-ჩიქვანთა დინასტიის გამთავრებამდე გაცილებით ადრე. 1885 წ. 28 თებერვალს ნიკო დადიანი პეტერბურგიდან სწერდა თავად ვასილ მაჩაბელს:

„ანაზო ვასილ, დიდი ხანია გულში მიძევს, რომ მთელი ჩემი ბიბლიოთეკა, რომელიც კი შეეხება საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, ლიტერატურას, ან საზოგადოდ, რამე მხარეს ჩვენს სამშობლოისას, გადმეცა ჩვენის „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისათვის", რომელსაც, რასაკვირველია უფრო მოეტებული სახსარი და ღონისძიება აქვს ამით სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ქვეყანას, ვიდრე კერძო პირმა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო დღემდის ეს სურვილი შეუსრულებელი დამრჩა. ახლა გთხოვთ ჩემს მაგიერ გარდასცეთ ზემოხსენებული საზოგადოების მმართველობას, რომ მე მოვახდინე განკარგულება — მთელი ჩემი ბიბლიოთეკა, თავადმა კონსტანტინე დავითის ძე ნიჟარაძემ ჩაიტანოს ქ. თბილისში „დროების" დირექტორთან, სადაც საზოგადოებისგან ამორჩეულ პირთ შეუძლიათ ჩაიბარონ ისეთი წიგნები, რომელთაც ისინი დაინახავენ საჭიროდ და სასარგებლოდ.

თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით საზოგადოება მოუტანს რასმე სარგებლობას ჩვენს სამშობლო ქვეყანას, მით შეურაცხ თავს ბედნიერად.

თქვენი პატივისმცემელი თავადი მეგრელიისა ნიკოლოზ".

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომლის წევრიც ნიკო დადიანი იყო, აღნიშნული ბიბლიოთეკის ჩასაბარებლად შექმნა კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ილია ჭავჭავაძე (თავმჯდომარე), დავით ერისთავი, ვასილ მაჩაბელი, იონა მეუნარგია, გრიგოლ ყიფშიძე და სამსონ ყიფიანი, რომელთაც იმავე წლის გაზაფხულზე ადგილობრივ სოფ. გორდსა და ზუგდიდს, ჩაიბარეს ხელნაწერთა ეს ძვირფასი კოლექცია. საგულისხმოა აგრეთვე ისიც, რომ ამ კომისიას გამზადებული დახედა ადგილზე მთელი ამ ბიბლიოთეკის აღწერილობა-კატალოგი, რომელიც წინასწარ შეუდგენია ჩვენს დიდ პოეტს აკაკი წერეთელს. ამ ბიბლიოთეკის აღწერილობა 1886 წ. გაზეთ „ივერიაში" დაიბეჭდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეწირულობით საფუძველი ჩაეყარა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა და წიგნად ფონდს. ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები ხშირად მიმართავდნენ ნიკოს ნივთიერი და მორალური დახმარებისათვის. იგი ხელს უმართავდა რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში განსასწავლად წასულ ახალგაზრდებს.

ნიკო დადიანი გარდაიცვალა 1903 წ. 56 წლის ასაკში და დაკრძალულია მთავართა მარტვილის საძვალეში.

ანდრია დადიანი. ანდრია დავითის ძე დადიანი (1850-1910 წწ.) იყო ქართველი მოჭადრაკე და ჭადრაკის მეცენატი. მისი სახელი კარგადაა ცნობილი მსოფლიო საჭადრაკო ასპარეზზე. იგი დაიბადა ზუგდიდში 1850 წელს სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავითის და ეკატერინე დადიანების ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ანდრიამ ოჯახში მიიღო. ჭადრაკის თამაშიც დედამ ასწავლა. ის ხშირად ეთამაშებოდა თავის გამზრდელს თედორე ხოშტარიას და ოჯახის სხვა წევრებს.

1868 წელს დადიანი სწავლას აგრძელებს გერმანიაში ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ნიჭიერი ახალგაზრდა შრომისმოყვარე და წარჩინებული სტუდენტი იყო. ხალისით ეწაფებოდა ცოდნას. ბევრს კითხულობდა, სწავლობდა ენებს. თავისუფლად ლაპარაკობდა რუსულად, ფრანგულად , გერმანულად, ინგლისურად, იტალიურად და ესპანურად.

1873 წელს ანდრიამ უნივერსიტეტი დაამთავრა და პარიზში ჩავიდა, სადაც საჭადრაკო ცხოვრების ფერხულში ჩაება.

1874 წელს ანდრია რუსეთში დაბრუნდა, არმიაში ჩაირიცხა და ცარსკოე სელოში ლეიბგვარდიის პოლკში დაიწყო სამსახური. მალე იგი დაუახლოვდა დედაქალაქის მოწინავე საზოგადოებას, სადაც სასურველი სტუმარი გახდა.

1879 წელს ანდრია რომში მსახურობდა რუსეთის საელჩოში. ეწეოდა დიპლომატიურ მოღვაწეობას.

ანდრია დადიანს უთამაშია მსოფლიოში ისეთ ცნობილ მოჭადრაკეებთან, როგორიც იყო ინგლისელი ბერნსი, უნგრელი იგნაც კოლიში, როზენტალი, დიუბუა, შუმოვი. მას მიმოწერა ჰქონდა ჭადრაკის პირველ მსოფლიო ჩემპიონებთან სტეინიცთან და ემანუელ ლასკერთან (წერილები დაცულია ზუგდიდის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში). ანდრიას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ივანე ტურგენევთან.

ანდრია დადიანი 1900-1904 წლებში მონტე-კარლოს საერთაშორისო ტურნირის პრეზიდენტი იყო. თანამშრომლობდა იმ დროის რუსულ და უცხოურ საჭადრაკო ჟურნალებთან. აწესებდა პრიზებს ლამაზი პარტიებისათვის.

ინგლისური ჟურნალი „ბრიტიშ ჩეს მეგეზინი" 1897 წელს წერდა: „სამეგრელოს თავად დადიანის საჭადრაკო პარტიები საუცხოოა და საჭადრაკო ლიტერატურაში დარჩება როგორც შედევრი".

სიცოცხლის ბოლო ოცი წელი დადიანმა კიევში გაატარა. გაყიდა სამეგრელოში აბასთუმნის მამული, კიევში აიშენა შესანიშნავი სახლი. ზუგდიდის მუზეუმში დაცულია ანდრიას სასახლის, მისი ინტერიერის ფოტოსურათები და ალბომი.

ანდრია დადიანი მარტოხელა კაცი იყო. ადრე დაავადდა. სიცოცხლის ბოლოს ხელის დამბლა მიიღო და ენა წაერთვა. გარდაიცვალა 1910 წლის 13 ივნისს 60 წლის ასაკში. დიდი პატივით დაიკრძალა მარტვილის მონასტერში.

სალომე დადიანი-მიურატისა. პარიზში ცხოვრებისას ეკატერინეს ოჯახს დაუახლოვდა საფრანგეთის მარშლის, ნეაპოლის მეფედ ნამყოფის იოახიმ მიურატის შვილიშვილი აშილი (გვარის წარმოთქმის სწორი ფორმაა „მიურა", მაგრამ აქ დავტოვეთ ტრადიციისამებრ). ამილმა 1868 წელს ცოლად შეირთო დაეით დადიანისა და ეკატერინეს ქალიშვილი სალომე. იოახიმ მიურატს ცოლად ჰყავდა ნაპოლეონ I-ის და კაროლინი. ამდენად, სალომესა და აშილის შთამომაელობა აერთიანებს ბონაპარტების, მიურატებისა და დადიანების სისხლს. 1873 წელს, ნაპოლეონ III-ის გარდაცვალების შემდეგ, მიურატების ოჯახი სამეგრელოში დასახლდა. აშილი გარდაიცვალა 1895 წ., სალომე – 1913 წელს. მათი მრავალრიცხოვანი შთამომავლობა ცხოვრობს საფრანგეთში და ერთი შტო უკანასკნელი ხანს ზუგდიდში დასახლდა – პრინცი ალენ მიურატი, მისი მეუღლე ვერონიკა შაბო დე ტრავენკურ-მიურატი და ქალიშვილი მატილდა მიურატი.

მეორე თავი

ხუროთმოძღვრების ნარკვევი

8.1. ნოქალაქევისა და მისი „ქვეყნის“ არქიტექტურა

8.1.1. ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხე-გოჯი

ნოქალაქევში ექსპედიციამ მუშაობა რომ დაიწყო (1973 წ.) მთელი ნაქალაქარი ისე იყო ტყითა და ბარდნარით დაფარული, რომ ნანგრევებში კედლები არ ჩანდა. ხანგრძლივად დიდი მასშტაბის სამუშაოების ჩატარების შემდეგ, გამოიხედეს ქალაქის გალავნებმა და ცალკეულმა ნაგებობებმა. ამ სამუშაოთა ჩატარების შედეგები განსაკუთრებით შესამჩნევია ნაქალაქარის სამი მონაკვეთიდან ქვედა, მთავარ ნაწილში. ხოლო რაც შეეხება შუა მონაკვეთს, ფერდობს, აქ მხოლოდ ნაწილობრივი გაწმენდითი სამუშაოები ჩავატარეთ. მთლიანად ტყის გაჩეხვას, კოლხეთის პირობებში, აზრი არა აქვს, რადგან მანამ ჩვენ გათხრებით აქამდე მოვაღწევთ, ტყე ისევ გაიფურჩნება. ალბათ, იმავე მიზეზებმა წაშალა გერმანელი მეცნიერის ალფონს მარია შნაიდერის მიერ 1930/31 წლებში ჩატარებული გათხრების კვალი; ჩვენ მათ ვერსად ვერ მივაკვლიეთ.

ექსპედიცია ათეული წლების განმავლობაში ნაქალაქართან პარალელურად სწავლობდა მის „ქვეყანას“ 15-20 კილომეტრის რადიუსით. ამ ფართობზე ბევრგან ვაწარმოეთ გათხრები, ხოლო რაც შეეხება დაზვერვით სამუშაოებს, იგი, შესაძლებლობის ფარგლებში, ტარდებოდა მთელ დასავლეთ საქართველოში, იქ სადაც ოდესღაც მდებარეობდა ჯერ კოლხეთისა და შემდეგ ეგრისის (ლაზიკის) სამეფოები. ამ ტერიტორიაზე მოპოვებული ყოველგვარი მასალა მრავალფეროვანი და ძალზე დიდია. სწორედ, ამ მასალებმა არა ერთი ახალი ფურცელი ჩაწერა საქართველოს ისტორიაში.

ციხეგოჯი-ნოქალაქევის ხანგრძლივმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ეს ადგილი სამი ათასი წლის განმავლობაში, როგორც ეს მატიანეებშიც ძუნწადაა აღნიშნული, სამჯერ იყო სხვადასხვა კატეგორიის ცენტრი.

ეს პერიოდები ქრონოლოგიურად შემდეგი სახით ლაგდება. პირველი პერიოდი მოდის ძვ. წ. III-I საუკუნეებზე. ეს ის პერიოდია, როდესაც საისტორიო ტრადიციით ერისთავმა ქუჯიმ საერისთავოს ცენტრი გაიჩინა და ციხეგოჯი ააგო. ეს ამბავი დაკავშირებულია იბერიის მეფის ფარნავაზის მოქმედებასთან. მემატიანე ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ ფარნავაზი გადადის კოლხეთში და „... დაჲ თჳსი მისცა ქუჯის ცოლად და მისცა ქუჯის ქვეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღუთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი და დაამტკიცა იგი ერისთავად მუნ და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი“.

აქ არ არის მითითებული, თუ სად აშენებს ქუჯი ციხეს. სამწუხაროდ, არც ასეთი ტოპონიმია კოლხეთის ტერიტორიაზე შერჩენილი.

მაგრამ გვაქვს სხვა მემატიანის გვიანი მინიშნება. ლეონტი მროველის ზემომოყვანილი ტექსტის გვერდით, იქ სადაც ნახსენებია „ციხე-გოჯი“ ვიღაცას გვიან მიუწერია: „ოდიშის ნაქალაქევი“.

ვახუშტი ბაგრატიონისათვის, რომელიც მოღვაწეობდა XVIII ს. პირველ ნახევარში, ცნობილი ყოფილა „ციხეგოჯისა“ და „ნაქალაქევის“ იდენტურობა. მასთან ვკითხულობთ: „აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხეგოჯად წოდებული. ეს აღაშენა ა (პირველი -პ. ზ.) მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე და ამისი საერისთავო იყო სრულიად რიონის დასავლეთი სუანეთით“.

ამ ციხის სახელი სხვა ავტორთან ცოტათი განსხვავებული ფორმითაა ნახმარი. „დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობის“ ავტორი, როცა აღწერს აფხაზეთიდან მურვან-ყრუს დაბრუნებას, მისი თქმით, იგი გაივლის „ქალაქსა ჯიხან-ქუჯისასა“. ეს „ჯიხან-ქუჯისა“ ავტორის მიხედვით მდებარეობს „ქვეყანასა მეგრელთასა, სანახებსა ჭყონდიდისასა“. როგორც ვხედავთ, ადგილი აქ უკეთესადაა მინიშნებული: ჭყონდიდის, ანუ მარტვილის სიახლოვეს. ნოქალაქევი სწორედ ასეთი ადგილია.

ეგრისის (ლაზიკის) ცენტრი უცხოურ წყაროებშიც არაპირდაპირაა მინიშნებული, მაგრამ სიმართლის დადგენის გზაც ჩანს. ეს ამ ადგილის ისტორიის მეორე პერიოდია, ესაა კოლხეთის სამეფოს ნანგრევებზე ლაზიკის წარმოშობის ხანა.

ბიზანტიურ წყაროებში ნახსენები ერთი ქალაქი ისეთი კონტექსტშია მოცემული, რომ მისი ადგილსამყოფელი არ ჩანს. ეს სახელია „არქეოპოლისი“ (ბერძნულად — „ძველი ქალაქი“). იგი ბიზანტიურ წყაროებში გვხვდება VI ს-დან. მართალია, „არქეოპოლისი“ არ არის „ნაქალაქევის“ პირდაპირი თარგმანი, მაგრამ შინაარსობრივად იგივეა. როგორც ეტყობა, VI ს-ში ბიზანტიელების აქ მოსვლის დროს, იგი უკვე „ნაქალაქევი“, ე. ი. ნაქალაქარი ყოფილა.

ასეთი ცნობით დაბეჯითებით იმის თქმა არ შეიძლება, რომ VI და წინა საუკუნეებში, ამ ქალაქს ადგილობრივ „ნაქალაქევს“ ეძახდნენ. ძნელი წარმოსადგენია, რომ მოქმედ ქალაქს „ნაქალაქევს“ უწოდებდნენ.

ბიზანტიელი მემატიანე პროკოპი კესარიელი ერთგან წერს: „ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთ ნაპირას (ე. ი. ფაზისის მარჯვენა ნაპირას — პ. ზ) და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ აუშენებიათ. მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული“.

იგივე ავტორი სხვაგან უფრო რელიეფურად წერს: „მერმეროემ, ფაზისის მარჯვენა მხარეს რომ აღმოჩნდა, წაიყვანა ჯარი ერთი ქალაქის, არქეოპოლისის, წინააღმდეგ, რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“.

ასეთივე მაღალ შეფასებას აძლევს იუსტინიანე იმპერატორის (527-565 წწ.) „ნოველაც“, სადაც ვკითხულობთ: „... შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე, სადაც არის ქალაქი პეტრა, რომელსაც ჩვენგნით ხვდა წილად ქალაქი გამხდარიყო... რომელსაც მიენიჭა ჩვენი უზენაესობის სახელიც და ეწოდა იუსტინიანე და შემდეგ არქეოპოლისი და როდოპოლისი, უდიდესი და ძველი სიმაგრენი...“.

ყველა ამ ცნობის მიხედვით ციხეგოჯი-ნოქალაქევი, მათ მიერ არქეოპოლისად წოდებული, ამ პერიოდში არის „უდიდესი და ძველი სიმაგრე“, „ძველთაგანვე აშენებული, ... ძალიან გამაგრებული“ და ბოლოს — „მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“.

ნოქალაქევის ნანგრევები დღესაც გრანდიოზულია, მაგრამ მის ძველ დიდებაზე წარმოდგენა ამ ცნობებით შეუძლებელი იქნებოდა. ამ ცნობებში თანაც იმაზეა ხაზი გასმული, რომ იგი „მთავარი ქალაქია". ამაში ცხადია იგულისხმება „არქეოპოლისი — ციხეგოჯის" დედაქალაქობა.

იმ ეპოქისათვის ეგრისელთა დედაქალაქი, რომ ქვეყნის შიგნით უნდა ყოფილიყო და არა სანაპიროზე, ეს აშკარაა, რადგან ზღვით მტერი მოდიოდა და სანაპიროზე დამაგრება ძნელი იყო. ასე რომ ტეხურის ნაპირზე, ხეობის ყელში ცენტრის გაჩენა სრულიად გამართლებული გახლდათ. ნაქალაქარზე მონაპოვარიც ხომ იმაზე მიუთითებს, რომ ქალაქი სრული ცხოვრებით ცხოვრობდა სწორედ IV-VIII საუკუნეებში.

ახლა იმაზე, თუ რა მოუვიდა ამ ქალაქს. ვახუშტიდან ზემომოყვანილ ამონაწერს თუ გავაგრძელებთ, იქ კიდევ შემდეგი ცნობაა შემონახული: „ციხეგოჯი... შემუსრა ყრუმ, არამედ იყო ქალაქი და სასახლე დადიანისა".

არაბთა სარდალმა მურვან-ყრუმ შემუსრა ჯერ აღმოსავლეთი საქართველოს ქალაქები და ციხეები და შემდეგ დასავლეთ საქართველოში გადავიდა. როგორც ჩანს, მისმა სისასტიკემ ციხეგოჯი-ნოქალაქეეიც იმსხვერპლა.

მართალია, ქალაქი კი დაანგრიეს, მაგრამ მან მცირე მასშტაბით კიდევ გააგრძელა სიცოცხლე, სანამ დასავლეთ საქართველოს ცენტრი საბოლოოდ არ გახდა ქუთაისი.

ამ მომენტიდან ციხეგოჯში სიცოცხლე საბოლოოდ ჩაწყდა და საკმაოდ დიდი ხნითაც. იმავე ზემომოყვანილი ცნობიდან ვიგებთ, რომ ვახუშტის დროს, ე. ი.; XVIII ს. პირველ ნახევარში, აქ არის „სასახლე დადიანისა". ცნობილია, რომ სამეგრელოს მთავარი დადიანის რეზიდენცია გახლდათ ზუგდიდში, ხოლო სხვა პუნქტებში ისხდნენ მმართველი დადიანების ოჯახის უმცროსი წარმომადგენლები. ასეთი პუნქტებიდან აღსანიშნავია — ჭაქვინჯი, ხიბულა, ნოჯიხევი (მარტვილის), ნოქალაქეეი და სხვა. ეს უნდა მომხდარიყო, ალბათ, დადიანთა გვარის გაძლიერებიდან, უფრო მოსალოდნელია XVI საუკუნიდან. ნოქალაქეში ამ მესამე აღმავლობის პერიოდის ნაშთებიცაა. მათ შორის გამოირჩევა დადიანთა სასახლის ნაშთები, მარანი, ციხის გალავნის რესტავრაცია, და მრავალი სხვა.

ნაქალაქარი სამი დიდი ეპოქის ძეგლია. მისმა ხანგრძლივმა გათხრებმა საშუალება მოგვცა მეტ-ნაკლებად წარმოვიდგინოთ იმ ეპოქების არქიტექტურა.

ეგრისის სამეფოს დედაქალაქის არქიტექტურა. ნოქალაქეეის ნაქალაქარი მრავალმხრივი ძეგლია. ცნობილია, საქართველოში, სამწუხაროდ ნაქალაქარები, ნაციხარები და ნასახლარები ბევრია, მაგრამ არქიტექტურის თვალსაზრისით, ნოქალაქევს ბადალი არა ჰყავს.

ციხეგოჯი ანტიკურ პერიოდში (ძვ. წ. III-I საუკუნეებში) მოქმედი ქალაქი იყო და კოლხეთის თუ ცენტრი არა, ერთ-ერთი ცენტრთაგანია. ამიტომ აქ, ე. ი. იქ სადაც „ქუჯიმ აღაშენა ციხე-გოჯი", ცხადია, იქნებოდა სიმაგრე. სამწუხაროდ, ექსპედიციის იქ ხანგრძლივი მუშაობის დროს, სიმაგრის ნაშთები არ აღმოჩენილა, მაგრამ აღმოჩნდა ძველი სიმაგრის ქვები.

საქმე ისაა, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ კირის ხსნარი და ყოველგვარი კაპიტალური კედლის ასაგებად იყენებდნენ თლილ ქვებს, რომელთაც ერთმანეთთან ამაგრებდნენ ე. წ. პირონებით („მერცხლის კუდებით"). ნაქალაქარის რამდენიმე ადგილზე (სამნავიანი ბაზილიკა, სამეფო აბანო და სხვა) ნაპოვნია ასეთი ქვები. ისინი მეორედაა გამოყენებული. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ქვები აშკარად მიუთითებენ აქ ელინისტურ პერიოდში ციხის არსებობაზე.

ნაქალაქის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი გასათხრელია და არაა გამორიცხული, რომ „ციხეგოჯის" არსებობის უკეთესი დამადასტურებელი ნიმუშებიც აღმოჩნდეს.

ციხეგოჯის ასაგებად კოლხეთის ვრცელ ტერიტორიაზე, შეირჩა ადგილი ქვეყნის სიღრმეში და არა ზღვის სანაპიროზე. ქვეყნის შიგნით მას, დაცვის მეტი შესაძლებლობები

ჰქონდა. ამას გარდა, კოლხეთის დაბლობში, ჭაობებში, მშენებლობა, გზების გაყვანა და ცხოვრებაც შეუძლებელი თუ არა, ძნელი იყო, ამიტომ შეირჩა მთიანი ეგრისის ქვედა ზოლი. ალბათ აქ გადიოდა დასავლეთ-აღმოსავლეთის ხაზზე გამავალი ქვეყნის მთავარი გზა. ისიც არაა გამორიცხული, რომ ეს გზა თუ სხვაგან სადმე გადიოდა, ცენტრს მიეზიდა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე.

ასეთ ადგილად შერჩეული იქნა მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირი. ამ ადგილმა, ალბათ, ქვეყნის მესვეურთა იმედები გაამართლა და რამდენიმე საუკუნის შემდეგ, როცა დადგა ახლად აღმოცენებული ქვეყნის, ეგრისის სამეფოს, დედაქალაქისათვის ადგილის შერჩევის საკითხი, ისევ, უკვე გამოცდილ ადგილს, ციხეგოჯს მიუბრუნდნენ. ახალი სამეფოს დედაქალაქი ციხეგოჯი – არქეოპოლისი – ნოქალაქევი ხდება ახ. წ. II ს. ბოლოდან თუ არა IV ს. დასაწყისიდან მაინც იწყებს არსებობას და VIII ს. შუა ხანებამდე ქვეყნის ცენტრს წარმოადგენს.

საუკუნეების განმავლობაში ქალაქის ნანგრევებს, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ დააკლდა, მაგრამ ის რაც დარჩა ისეთი მასშტაბურია, რომ სხვა მისი დარი საქართველოში არ არის. სამწუხაროდ, საქართველოში ნაციხარებისა და ნაქალაქარების მეტი რა არის, მაგრამ ასეთი შთამბეჭდავი სხვა არ გვხვდება.

ქალაქი და მისი შემომფარგველი გალავანი თანდათანობით ნაზარდია. ასევე სხვადასხვა დროსაა აგებული მის ტერიტორაზე გამოვლენილი ნაგებობები. არც ერთ მათგანს თარიღი არ ახლავს. მათი დათარიღება ხდება სტილისტიკური მონაცემებით. ცხადია, არქეოლოგიის გათვალისწინებით.

ქალაქი გაშენებული გახლდათ მდინარის მარცხენა მხარეს, ვაკეზე და მთის ფერდობზე, შემდეგ კი პლატოთი მთავრდება. გალავნის შიგნით მოთავსებული იყო ოც ჰექტარამდე. ქალაქი ფაქტიურად სამ მონაკვეთად იყო დაყოფილი. ამათგან მთავარი იყო ქვედა, ვაკე ადგილი. აქ ცხოვრობდნენ მეფე-დიდებულები, ციხისთავი და სხვები. ხოლო ჩრდილოეთით, ფერდობზე, ალბათ, განლაგებული იყო ქალაქის გარნიზონი ომის დროს, ხოლო სხვა დროს იქ შეიძლება მცველები მდგარიყვნენ. ქალაქის მესამე ნაწილი იმავე მთის პლატოზეა, მდინარიდან 200 მეტრის სიმაღლეზე. ესაა ქალაქის ციტადელი, შიდაციხე.

ქალაქის მთავარი მონაკვეთი საერთო ფართობით თითქმის მთელის ნახევარია, ხოლო რელიეფის მხრივ განსხვავებულია. მის ქვედა მონაკვეთზე, მდინარის სიახლოვეს ვაკეა, ხოლო ჩრდილოეთის მხარე საცხოვრებლად ნაკლებად გამოსაყენებელი ფერდომია. ქალაქის სასახლეები, ეკლესიები და აბანოები სწორედ იმ ვაკე მონაკვეთზეა.

ანტიკური და შუა საუკუნეების ქალაქები და ციხეებიც ძნელად მისადგომ ადგილზე ეწყობოდა. აქაც ადგილი იმავე პრინციპზეა შერჩეული. ქალაქის ქვედა ნაწილს მდინარე ორი მხრიდან უვლის. ამათგან დასავლეთის მხარე მაღალი, პიტალო კლდეა და როგორც იტყვიან, აქედან ჩიტიც ვერ შეფრინდება. სამხრეთის ვაკე მონაკვეთი მდინარის ნაპირს წარმოადგენს და დონეებს შორის განსხვავდება 25-30 მეტრია. ჩრდილოეთით კი მთაა და მთის იქით კიდევ მთა. ე. ი. დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან, ქალაქი ძირითადად ბუნებრივი სიმაგრის იმედით იყო. სამხრეთით ღრმა და ჩქარ მდინარე ტეხურს მტერი მეტად ძნელად გადმოლახავდა. ქალაქს ერთადერთი მისადგომი მხოლოდ აღმოსავლეთით ჰქონდა, ისიც ქვედა მონაკვეთში, დაახლოებით 150 მეტრის სიგრძეზე. როგორც ვხედავთ, ქალაქისათვის ბუნებრივი დაცვის მხრივ, კარგად ჰქონდათ შერჩეული ადგილი. ქალაქისათვის ადგილის შერჩევისას, მცირე როლი როდი აქვს დათმობილი მისი კვების საკითხს. ქალაქი ძირითადად რეგიონმა უნდა გამოკვებოს. ციხეგოჯის მიდამოები ნოყიერ და მოსაველიან მხარედ ითვლებოდა ყოველთვის.

შუა საუკუნეების ციხე-ქალაქებს იმდენი ჭიშკარი ჰქონდათ, რამდენი გზაც ადგებოდა. ციხეგოჯს ორი გზა ადგებოდა, ამიტომაც ორი ჭიშკარი ჰქონდა. ამათგან ერთი იყო სახმელეთო, ხოლო მეორე — სამდინარო.

სახმელეთო გზა ქალაქს აღმოსავლეთიდან ვაკის მონაკვეთში ადგებოდა, ხოლო სამდინარო ჭიშკარი დასავლეთით იყო. ანტიკურ პერიოდში და შუა საუკუნეებშიც, მდინარე რიონი და მისი ქვედა შენაკადები, ტეხურის ჩათვლით, სანაოსნო გახლდათ. რიონში შემოდიოდნენ და შორაპნამდე აღწევდნენ საზღვაო ხომალდები. ნავები კი უფრო შორსაც ადიოდნენ.

კერძოდ, ტეხური სანაოსნოდ გამოდგებოდა მხოლოდ ციხეგოჯამდე. მის ზემოთ მდინარის კალაპოტი ვიწროა და დინება ჩქარი.

სწორედ აქ, ქალაქის დასავლეთის განაპირას, განიერი და მაღალი გვირაბი გაუმართავთ. მას ორი დანიშნულება ჰქონდა. პირველი ეს იყო ქალაქის წყლით მომარაგება. გვირაბის ბოლოსკენ მცირე აუზი იყო მოწყობილი. მასში გვირაბის კედლის ძირს გაჭრილი ხვრელობებიდან შედიოდა სუფთა წყალი. გვირაბის ბოლო ახლა მონგრეულია, მაგრამ ივარაუდება, რომ იქ იქნებოდა გამართული ნავსადგური კარით. ვფიქრობთ, რომ ტეხურამდე შეიძლებოდა მოედწია ბრტყელძირიან მცირე გემს და ნავებს.

თვით გვირაბი იშვიათი საინჟინრო ნაგებობაა. ძირს დაგებულია ქვის საფეხურები, ხოლო კედლები და კამარები ნაწილობრივ კლდეშია ჩაჭრილი, ხოლო დანარჩენი ნაგებია თლილი ქვით. საქართველოში ძველ ქალაქებს და ციხეებს ბევრს ახლავს გვირაბი, მაგრამ ასეთი მაღალი, განიერი და სრულყოფილი ნაგებობა, სხვაგან არ გვინახავს.

ქალაქის აღმოსავლეთით მდებარე სახმელეთო ჭიშკარი რამდენიმეჯერაა ადგილმონაცვლებული და გადაკეთებული.

საქართველოში ციხე-ქალაქებისა და ციხეების დიდი უმრავლესობა რადგან რთულ რელიეფზეა განლაგებული, ამიტომ მათი გეგმა ყოველთვის რთულია და ირეგულარული. ასევეა ნოქალაქევშიც — გალავანი რელიეფს მიჰყვება, ამიტომ მისი ხაზი თავისუფლად მიიკლაკნება. ქალაქის გალავნის პერიმეტრი სამ კილომეტრს აღემატება.

ქალაქის გალავანი სამი პერიოდისაა. პირველი პერიოდის გალავანი აგებულია IV ს. დასაწყისში. მისი სისქე 1,00-1,60 მეტრს შორისაა და ნაგებია საშუალო ზომის ნატეხი ქვით. იგი სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით მდინარის ნაპირს მიჰყვება, ხოლო აღმოსავლეთით ერთ სწორ ხაზად ადის მდინარიდან ჩრდილო ფერდობამდე.

ქალაქის ამ ქვედა მონაკვეთის ჩრდილო ხაზზე გამოყოფილია პატარა ციხე 600-700 კვადრატული მეტრის ფართობით. იგი, ალბათ, ქალაქის მთავარი ნაწილის საკუთარი ციტადელია. მისი ჩრდილო კედელს ფერდობი გამოცლია და ამიტომ ჩაშლილია, ხოლო დანარჩენი კედლები რამდენიმეჯერაა შეკეთებული. ამათგან გამოირჩევა ფლეთილი ქვით ნაგები IV ს. ფენა და რიყის ქვით ნაგები XVI-XVIII ს-თა ფენა. მას მცირე კარი სამხრეთიდან აქვს.

ქალაქის ქვედა ნაწილის თანადროულია მთავარი ციტადელიც. ქალაქის ქვედა ნაწილსა და ციტადელს შორის მდებარე ფერდობის შემომსაზღვრელი დასავლეთის გალავანის კვალი ჩანს, თვით კედელი კი გადავარდნილია. აღმოსავლეთით გამავალი გალავანი კი არ ჩანს. ტყით დაბურული ფერდობის გაწმენდა-გათხრა კი ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

ციტადელს გრძელი, უფორმო სამკუთხა გეგმა აქვს. მის აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის კუთხეებში აღმართულია სწორკუთხა კოშკი. ციტადელის ჩრდილოეთისა

და დასავლეთის კედელი 120-140 სანტიმეტრის სისქისაა და ორ სამშენებლო ფენას შეიცავს. ორივე ფენა ყორე ქვითაა ნაგები, მხოლოდ ქვედა ფენა უფრო დიდი ქვითაა ნაგები და უკეთაცაა ნაწყობი. პირველი ფენა ქალაქის ქვედა მონაკვეთის პირველ ფენასთან იჩენს საერთოს. ხოლო რაც შეეხება სამხრეთის გალავანს, აქ სამი სამშენებლო ფენა ჩანს და გაცილებით რთულია, ვიდრე ორი დანარჩენი.

ციტადელის სამხრეთის გალავანს ერთი ორიგინალური დეტალი ახლავს. როგორც ეტყობა, ციტადელზე თავდასხმა სამხრეთიდან ხდებოდა; ამიტომ იგი, სხვებთან შედარებით, გაუძლიერებიათ. ზემოთ საბრძოლო ბილიკის გაგანივრების მიზნით, გალავნისათვის 2-2,5 მეტრის ინტერვალით მიუშენებიათ 1,5 მეტრის სიგრძის კედლები და მათზე ზემოდან გაუმართავთ ბილიკი. ასეთი გადაწყვეტის კარგი ნიმუში ჩვენ ენახეთ აჭარაში, პეტრას ანუ ციხისძირის ციხეში (ორივე ციხე ერთი ეპოქისაა). ასეთივე შვერილები აღმოჩნდა ციხის ქვედა მონაკვეთში. მდინარისკენ მდგარი შვერილები აღმოჩნდა ციხის ქვედა მონაკვეთში, მდინარისკენ მდგარი კოშკის მიდამოებში. აგრეთვე ეს ფორმაა მიღებული ქუთაისის ციხეში.

ციტადელს ორი მცირე კარი ჰქონია სამხრეთის გალავანში. ერთი მათგანი დასავლეთით თითქმის ბოლოშია, მეორე კი აღმოსავლეთით, ბოლოსკენ.

აღმოსავლეთის კართან დაკავშირებით აქ მოვყვებით მეტად საინტერესო ერთ აღმოჩენაზე, 1977 წელს გათხრების დროს, კარის მარჯვენა ნიშაში, ჩალაგებული იყო 22 კოლხური ამფორა. ექსპედიციამ ამის ახსნის ასეთი ვარიანტები მიიღო. ციტადელს საკუთარი წყარო არ ჰქონდა. გარნიზონისათვის წყალი მოჰქონდათ ამფორებით. მაგრამ მომტანს არ ენდობოდნენ და შიგ არ უშვებდნენ. მომტანს სავსე ამფორას გამოართმევდნენ და იქვე დალაგებულ ცარიელს გადასცემდნენ.

ციტადელისა და მთელი ციხე-ქალაქის მთავარი კოშკია ის რომელიც დგას ჩრდილო-დასავლეთით. მასთან სამხრეთით დაკავშირებულია ციხისთავის სასახლე. ორივე ნაგებობა რამდენიმეჯერაა გადაკეთებული. ზოგი გადაკეთება რადიკალური გამომდგარა. საერთო ჯამში ძირითადად ოთხი სამშენებლო ფენა მაინც ჩანს. პირველად აქ მდგარა დიდი კაპიტალური ნაგებობა. მისგან დარჩენილია სამი კვადრატული ბურჯი, რომლებიც ერთმანეთთან თაღებითაა დაკავშირებული. მისი დანგრევის შემდეგ მის ირგვლივ აუგიათ საცხოვრებელი ნაგებობა. ესეც დანგრეულია და ბოლოს, დადიანების დროს, ეს ნაგებობა სამსართულიანად აღუდგენიათ. თვით კოშკიც რამდენიმეჯერაა გადაკეთებული. იგი ქვემოთ ათიოდე მეტრის სიმაღლეზე ყრუა. ზემოთ კი კამაროვანი სათავსია.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ კოშკის ბანიდან სამხრეთით მთელი კოლხეთის დაბლობი თითქოს ხელის გულზეა, ხოლო ჩრდილოეთით ტეხურის ხეობას თავზე ადგას. აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხარეები კი შორს იმზირებიან.

ციტადელის აღმოსავლეთის ბოლოში მდგარი ნაგებობა კოშკს მოგვაგონებს, მაგრამ სანახევროდ გაწმენდის შემდეგ გაირკვა, რომ ქვემოთ 4-5 მეტრის სიმაღლეზე იგი ყოველმხრივ ყრუა. ზედა მოედანზე გამოჩნდა რაღაც სათავსოები, ტალანი და პატარა კოშკი დადგმული აღმოსავლეთის განაპირას. შენობა ბევრჯერაა გადაკეთებული. შესაძლოა, საბოლოოდ გაწმენდის შემდეგ რაიმე გაირკვეს. შიგ ნაპოვნი კერამიკა აშკარად IV-V საუკუნეებისაა. ამ თარიღზე მიუთითებს აგრეთვე ნაგებობის კედლების წყობაც.

ციტადელის ჩრდილო გალავანზე გვიან მცირე ზომის კვადრატული კოშკია მიდგმული. იგი ფლეთილი ქვითაა ნაგები და ორ მეტრამდეა შერჩენილი. მისი თხელი კედლები მხოლოდ ორ სართულს აიტანდა.

ციხეს და ხშირად ციტადელსაც, საკუთარი ეკლესია ახლდა. მისი საჭიროება აუცილებელი იყო გარნიზონისათვის. გარნიზონს ჩვეულებრივ მდგომარეობაში და ალყის დროსაც, ეკლესია სალოცავად აუცილებლად სჭირდებოდა.

ციტადელის ეზოში სხვა ნაგებობათა კვალი, ჯერჯერობით, არ აღმოჩენილა.

ქალაქის გალავნის ერთი შემოვლაც კი დაგარწმუნებთ, რომ მას მეტად რთული ცხოვრება ჰქონია. გალავანს საუკუნეების განმავლობაში მრავალჯერ განუცდია ნგრევა და აღდგენა. ყველა ამ სამშენებლო ფენის აღრიცხვა და გამიჯვნა მეტად ძნელია, ჩვენ აქ შევეხებით მხოლოდ მთავარს, შესამჩნევს, ეპოქალურს. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის გალავანს ასე აშკარად ეტყობა მტრის ხელი, ნგრევა და ახლის გაჩენა, მატიანეთა ფურცლებზე ასეთი ქმედება ერთი სიტყვითაც არ არის აღნიშნული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალაქის ქვედა მონაკვეთის აღმოსავლეთით და სამხრეთით გამავალ გალავნებში გარკვევას და მათი თარიღების დადგენას, ექსპედიცია თითქმის თხუთმეტი სეზონი მოუნდა. მეტად ძნელი შეიქნა მიწის დიდძალი სამუშაოები. იგი ნელა ხსნიდა საიდუმლოებებს. ეს გალავნები ძირითადად სამი ეპოქისაა. პირველი ისაა რომლის სისქე მერყეობს 120-160 სანტიმეტრს შორის და აგებულია IV ს. დასაწყისში. იგი დასავლეთით და ჩრდილოეთით ერთადერთია, ხოლო სამხრეთისა და აღმოსავლეთის გალავნებიდან პირველია ეზოს მხრიდან.

ამ პირველი გალავნის აღმოსავლეთის ცენტრში ჭიშკარი ყოფილა. იგი გათხრებმა ყოველმხრივ კარგად გამოავლინა, ხოლო სამხრეთით მდებარე კოშკისა თუ სწორკუთხა შვერილის გარე პირზე გამოვლენილი ჭიშკრის ნაშთი კარგად არ ირკვევა, რადგან ამ კოშკს იმდენჯერ განუცდია კაპიტალური გადაკეთება, რომ ფენების გამიჯვნა თითქმის შეუძლებელია.

ამ გალავანს აღმოსავლეთის მხარეს ორი კოშკი ახლავს და სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში მოზრდილი შენობაა, რომელიც ციხისთავის საბრძანებელი უნდა ყოფილიყო. ჭიშკრისა და ჩრდილოეთით ფერდობზე განლაგებული კოშკები შვერილია შიგნით და გარეთ. თაღოვანი ჭიშკრის მთელ სიგანეზე კოშკი შუაზე გახსნილია და ორივე მხარეს დამცველთა სამყოფია. ამ გვირაბივით გასასვლელში მტერს გაღწევა გაუძნელდებოდა. კოშკს გასასვლელის ზემოთ კიდევ ექნებოდა ორი სართული ქონგურებიანი ბანით.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ჭიშკარში დაკიდულ სქელ ხის კარს შიგნიდან ისეთივე ჯაჭვიანი საკეტი ჰქონია, როგორც ახლა გვაქვს სადარბაზოებში. ხანძრისაგან ჩანახშირებულ ჭიშკრის ნარჩენებში ნაპოვნი ეს 1500 წლის წინანდელი საკეტი ინახება ნოქალაქევის ფონდებში.

როგორც ეტყობა, V ს. პირველ ხანებში ნოქალაქევს შეუტია რომელიღაც ძლიერი მტრის ჯარმა. შეტევას გალავანმა ვერ გაუძლო, იგი გადათელეს, ქალაქი გადაწვეს და ააოხრეს.

ამ თავდასხმიდან ერთი საინტერესო დეტალია ნაპოვნი. მტერს გადაუნგრევია ჭიშკრისა და მისი მიმდებარე კედლების ზედა ნაწილები. ერთი დამცველი ეგრი ამ გადანგრეული კედლის ქვეშ მოყოლილა და კოშკის შიდა კარში თავდაღმა ჩამარხულა. ქალაქის კედლების აღდგენის დროს, ეს ადგილი ბოლომდე არ გაუწმენდიათ და ახალი კედელი ზემოდან ისე გადაუტარებიათ. ქალაქის დამცველის ჩონჩხი რკინის აბჯრითა და მუზარადით ჩვენ ამოვთხარეთ.

ამ თავდასხმის შედეგი ისეთი კატასტროფული ყოფილა, რომ გადაუწყვეტიათ მასშტაბური რეკონსტრუქცია. შეტევისას ციხე-ქალაქის ის მონაკვეთი დაზიანებულა, სადაც ჯარს მისადგომი ჰქონდა. ესაა მთელი სამხრეთის მხარე მდინარის სანაპიროზე

და აღმოსავლეთის ხაზზე, დაახლოებით 200 მეტრზე, იქ სადაც ვაკეა.

ეტყობა, ამ სუსტი ადგილების შესამჩნევად გაძლიერება განუზრახავთ. ამ მიზნით პირველი გალავნის პარალელურად მეორე გალავანი აუგიათ. მდინარის გაყოლებაზე ძველ გალავანზე ახალი გალავანი გარედანაა მოშენებული, კედელი კედელზეა მიდგმული. როგორც ეტყობა, მდინარის ნაპირზე კედლის კედელზე მიდგმა აღლირის სივიწროვემ გამოიწვია. აღმოსავლეთით კი ვაკე ადგილი რადგან ამის საშუალებას იძლეოდა, კედლები ერთმანეთისგან დაშორებულია 60-100 სანტიმეტრით. ამ ახალი კედლის გარე ხაზი გაუსწორებიათ, პირველი გალავნის ორი კოშკის გარე ხაზებისათვის, ამიტომ ფასადზე ერთი სიბრტყეა მიღებული.

ისტორიულად ცნობილია, რომ ისე როგორც სხვა ქვეყნების ციხეებში, ქართული ციხეების კედლებიც მთავრდებოდა ქონგურებით. არსებული მაგალითების მიხედვით ადრეულ სიმაგრეთა ქონგურები სწორკუთხა ფორმისა იყო.

ნაქალაქარის მთელ პერიმეტრზე გალავანი არსად არაა ბოლომდე შერჩენილი. ამიტომ იგი თუ როგორ მთავრდებოდა, ზუსტად არ ირკვევა. ერთგან, ჭიშკრის ჩრდილოეთით, ოციოდე მეტრზე, გარე, მეორე კედლის ზემოთ ქონგურების ნარჩენებს მივაკვლიეთ. აქ დაგვხვდა ორი ქონგურის ნაშთი 15-20 სანტიმეტრის სიმაღლეზე. ამით დადგინდა ქონგურების სიგანე და მათ შორის მანძილი, ხოლო სიმაღლე დასადგენი დარჩა. მონაცემებზე დაყრდნობით, ანალოგიებისა და პროპორციების შერჩევით ნაწილობრივ აღვადგინეთ ქონგურები.

გადის კიდევ დრო და დაახლოებით V-VI ს-თა მიჯნაზე ციხეგოჯმა გადაიტანა კიდევ დიდი ტრაგედია. ქალაქს შემოესია ძლიერი მტერი. მის ნაკვალევ-ნახანძრალს ქალაქის ცენტრალურ მონაკვეთზე ყველგან ნახავთ. ქალაქის მბრძანებლები ამჯერადაც აშკარად უკმაყოფილონი არიან ქალაქის აღმოსავლეთითა და სამხრეთით გამავალი ორმაგი გალავნით. ამან მათ პარალელურად მიმავალი მესამე გალავნის აგება გადააწყვეტინათ. ეს ახალი გალავანი არა მარტო სისქით განსხვავდებოდა ორი წინასაგან (პირველი გალავნის სისქე თუ 160 სანტ. იყო, მეორე — 200 სანტ, ხოლო მესამე — 250 სანტიმეტრია), არამედ მასალით და წყობის ტექნიკით. პირველი ორი გალავანი ნაგებია საშუალო ზომის ფლეთილი ქვით, ხოლო მესამე — თლილი ქვის დიდრონი კვადრებით.

აღნიშნულ მესამე გალავანს სიგრძე ქალაქის ქვედა მონაკვეთზე, ორივე წინაზე ნაკლები აქვს (გალავნის სიგრძე სამხრეთით 70 მეტრია, აღმოსავლეთით — 150). გალავანი მცირე ინტერვალით ზემოთ (აღმართზე) გრძელდება და თითქმის ციტადელის ბოლოს უერთდება. ეს ახალი გალავანი საკუთარი გეგმარებით მკვეთრად განსხვავდება ადრე აგებული გალავნებისაგან.

ახალი გალავანი ძველი გალავნებისგან ექვსი მეტრითაა დაცილებული. ეს მათ სჭირდებოდათ გარნიზონის განსათავსებლად. ამ ფრონტის გაძლიერების მიზნით ერთი დიდი ზომის სწორკუთხა კოშკი დაუდგამთ სამხრეთის ბოლოსკენ, ხოლო ცოტათი მომცრო — ჭიშკრის მიდამოებში. კოშკების შვერილების კონცენტრულად ახალი გალავანიც შვერილია. ფორტიფიკაციის თვალსაზრისით ახალი გალავანი კოშკებით ბრწყინვალედაა მოფიქრებული.

ამაზე მეტყველებს აგრეთვე გალავნის შვერილების გვერდებზე მცირე კარების გაჭრა. ქვედა, კუთხესთან მდებარე კოშკი და გალავნის შვერილიც ძალიანაა დაზიანებული. აქ შერჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთის კედლის კარი. ასეთივე იქნებოდა მოპირდაპირე მხარეს, მაგრამ იგი ამ დონემდე, არ შემორჩა. ხოლო რაც შეეხება ჭიშკართან მდებარე შვერილს, აქ კარგადაა დარჩენილი სამხრეთის კარი თავის თაღური გადახურვით,

ხოლო მოპირდაპირე მხარეს, ამ ადგილზე ჭიშკარია გაჭრილი.

მესამე გალავნის ბოლოები სამხრეთით და აღმოსავლეთით ერთ პრინციპზეა გადაწყვეტილი, ბოლოებში ჩიხია შექმნილი და თითო მცირე კარია გაჭრილი.

ჭიშკართან მდებარე კვადროვანი შვერილის სამხრეთის კარი, როგორც აღვნიშნეთ, თაღითაა დარჩენილი. მას აკლია გარედან არქიტრავის ქვა. იგი ჩვენ აღვადგინეთ იმავე კვადროვანი გალავნის გაგრძელებაზე, ზემოთ ფერდობზე არსებული მცირე კარის ანალოგიით. იქ კარი შიგნიდან თაღოვანია, მხოლოდ გარედან არქიტრავია განმტვირთავი თაღით.

კონსერვაციის დროს არქიტრავის ქვის გვერდით ჩავსვით იქვე მიწაში ნაპოვნი წრეში ჩასმული ჯვარი. იგი, აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლების მიხედვით, თარიღდება V ს. მეორე ნახევრით. ასევე თარიღდება ნოქალაქევის კვადროვანი გალავანიც.

ექსპედიციის დასაწყისში კოშკებისა და გალავნის ნაშთები ორიდან ექვს მეტრამდე მიწით იყო დაფარული. ნგრევა და ხანძარი ისეთი ძლიერი ჩანდა, რომ აქ აშკარად მურვან-ყრუს ძალა გაგახსენდებათ. კოშკებიდან ორიოდე მეტრის სიმაღლეზე იყო კედლები გადარჩენილი. სამი მეტრის სისქის კედლებზე ნახშირი 20-30 სანტიმეტრის სიმაღლეზე იდო. ხოლო რაც შეეხება კვადროვან კედლებს, მათი ფასადები ისე იყო გაწითლებული, რომ ხანძრის კოლოსალური ძალა წარმოგვიდგება. არაბთა ტალღის ჩავლის შემდეგ ამ კედლების გაწმენდაზე და აღდგენაზე არავის უზრუნვია.

რაც შეეხება ამ მესამე გალავნისა და კოშკების სიმაღლეს, დანამდვილებით მისი ზუსტად დადგენა შეუძლებელია. სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით კოშკი ოთხსართულიანი უნდა ყოფილიყო საბრძოლო ქონგურებიანი ბანით. აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ ბოლო სართული ქვის კამარით იყო გადახურული, დანარჩენი კი ხისა იყო, კოჭოვანი. კოშკის ბოლო სართულის კამარით გადახურვა კარგადაა მოფიქრებული. უპირველეს ყოვლისა, ასეთი გადაწყვეტა შენობას კონსტრუქციულად კრავდა და იმავე დროს, იცავდა ბანზე გაჩენილი ხანძრისაგან, ხოლო ბანზე დავარდნილი ქვის ყუმბარები (ბადრიები), შიგ არ ჩაცვივდებოდა. კოშკის შიგნიდან თუ როგორ ხდებოდა მტრის მოგერიება, არ ირკვევა. ამ გალავნის კოშკებიდან მხოლოდ ზემოთ, ციტადელის მიდამოებში, ჩრდილო-აღმოსავლეთის კოშკებსა აქვს შემორჩენილი სარკმელები. აქ პირველი და მეორე სართულების გარე ორ კედელში თითო სარკმელია შერჩენილი. ასევეა მეორე სართულზეც. სარკმლის გეგმა ჩვეულებრივი ტრაპეციულია, ხოლო გარე ხვრელობი საშუალოდ 20 სანტიმეტრია. ასეთი ხვრელობები მხოლოდ სარკმელები შეიძლება იყოს. როგორც ეტყობა, დაცვა მხოლოდ ბანიდან ხდებოდა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გალავნებიც ყრუ კედლებითაა. დაცვა აქედანაც მხოლოდ საბრძოლო ბილიკებიდან ხდებოდა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ მაშინ, როდესაც შორს სასროლი იარაღი მხოლოდ მშვილდ-ისარი იყო, კოშკის სართულებიდან ან ციხის კედლებიდან, თავდაცვის ხვრელობის სახეობები არაა ცნობილი. ადრეული ციხეებიდან ამბრაზურა მხოლოდ ბებრისციხის კედელშია შერჩენილი. ესაა განიერი და ღრმა ნიშა, წრიული კუთხეებით და ერთი მოზრდილი ხვრელობით. ამ ნიშაში სამი — ოთხი დამცველი თავისუფლად იმოძრავებდა.

ამ მესამე კვადროვანი გალავნის აგებისას გადაუგეგმარებიათ აგრეთვე ჭიშკრები. როგორც ეტყობა, კოშკის აგება აუცილებელი ყოფილა ჭიშკრის წინ. ამიტომ ეს ჭიშკარი გააუქმეს და ახალი ჭიშკარი გაჭრეს ოციოდე მეტრით მაღლა, ჩრდილოეთით. აქ უკვე მდგარი ორი კედელი გამოანგრიეს უხეშად და შემდეგ ჩააშენეს თლილი ქვის თაღოვანი ჭიშკარი. ახალ კედელში კი ჭიშკრის ღიობი განალაგეს არა არსებული კედლების პარალელურ კედელში, არამედ — მათ პერპენდიკულარულ კედელში (ორივე

ჭიშკარი სიგანით ტრანსპორტისათვის სრულიად ნორმალურია, 185 სანტიმეტრია). ქალაქის დაცვის თვალსაზრისით. ეს იყო მეტად მარჯვე ტაქტიკური სვლა. მტერი თუ შემოტრიალდებოდა ახალი ჭიშკრიდან, იქ მოექცეოდა კოშკსა და გალავნებს შორის და ოთხი მხრიდან დააყრიდნენ ისრებს. ხოლო მარჯვნივ, შორს მდებარე ჭიშკარს, დიდი წინააღმდეგობის დაძლევით მიაღწევდა. ცხადია, ახალი წინააღმდეგობის დაძლევა, ორმაგი ჭიშკრის გადალახვა მეტად ძნელი იქნებოდა. სამწუხაროდ, ყველაფერი ეს დასძლია მურვან-ყრუს უთვალავმა ჯარმა.

ქალაქის ამ მთავარი ნაწილის დაცვასთან დაკავშირებით, კიდევ ერთ საკითხს შევეხებით. ესაა გალავანზე მეომართა ასვლის საკითხი. გალავანი 10-12 მეტრის სიმაღლისაა. მეომრის იქ მოსახვედრად, თითო კაპიტალური კიბე მიუდგამთ ერთი სამხრეთის კედელზე და მეორე აღმოსავლეთის კედლებზე, ჭიშკრის მიდამოებში. ქვის კიბე სიგანით საშუალოდ ორი მეტრისაა. ასეთ სიგანეზე 3-4 მეომარი ერთბაშად იმოძრავებდა. მიუხედავად ასეთი კიბეებისა, თავდასხმის დროს, ეს ორი საკმარისი არ იქნებოდა. უნდა დავუშვათ, რომ ამათ გარდა იქნებოდა ხის კიბეებიც. მართალია, ისინი ხანძრის დროს საშიში იყო, მაგრამ მანამდე ხომ გამოდგებოდა.

როგორც აღვნიშნეთ, კვადროვანი გალავანი ქალაქის ქვედა მონაკვეთზე მესამეა, ხოლო ჩრდილოეთით მთის ფერდობიდან დაწყებული, თითქმის ციტადელის ჩრდილო-აღმოსავლეთის ბოლომდე პირველია. იგი ვრცელი ფართობის შემომზღუდავია (ამ მხარეს ადრეული პერიოდის შემომზღუდავი გალავანი ჯერჯერობით არ ჩანს). გალავანი გადის მთის რთულ რელიეფს, მაგრამ მშენებლის ტექნიკა ისე მაღლა დგას, რომ გეგმარება გონივრულია, ხოლო მშენებლობის დონე — მაღალი. ამ ხაზზე გალავანში ჩართულია სამი სწორკუთხა ბურჯი და ოთხი, ასევე სწორკუთხა კოშკი. არც ერთი ეს ობიექტი მეორეს არ იმეორებს. თითოეული მათგანის ზომა, ფორმა და გეგმარება, ესადაგება მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ ადგილს. სამწუხაროდ, მათი უმრავლესობა თითქმის ბოლომდეა დარღვეული და სართულიანობა და სხვა დეტალები არ ირკვევა. კოშკებიდან უკეთაა გადარჩენილი ჩრდილო-აღმოსავლეთისა.

ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხის კოშკი, ისე როგორც მთელი ეს კვადროვანი გალავანი, გამოცდილი ფორტიფიკატორისა და გემოვნებიანი არქიტექტორის მიერაა აგებული.

ეს კოშკი გარეთკენ შვერილია. შიგნით მისი გეგმა კვადრატსაა მიახლოებული. პირველ სართულს კარი ეზოსკენ აქვს, ხოლო თითო ვიწრო სარკმელი გარე კედლებშია. სარკმლებს ჰორიზონტული გადახურვა აქვთ. მეორე სართულის კედლები ზოგან სიმაღლეზე ორ მეტრამდეა შერჩენილი. მისი გეგმარება პირველისას იმეორებს. ქვედა კარის ზემოთ მდებარე კარი გადიოდა გალავნების საბრძოლო ბილიკებზე. ასეთი გადაწყვეტა შუა საუკუნეების ციხეებში ჩვეულებრივია. ქვედა სარკმლების ასწვრივ, აქაც თითო სარკმელია გარე კედლებში.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ამ კვადროვანი გალავნის ექვსი კოშკიდან და სამი ბურჯიდან, მხოლოდ ამ კოშკშია შერჩენილი სარკმლები. ნანგრევებში რამდენიმე ადგილას ნაპოვნი იყო ასეთივე სარკმლის წრითხლის ქვები. ეტყობა, ყველა კოშკში სარკმლების ერთი სისტემა იყო. საბრძოლო, თავდაცვის ამბრაზურები კი არსად ჩანს.

აღნიშნული კუთხის კოშკის შიგ და გარეთაც ბლომად ეყარა კამარის ქვები. აქაც ერთ სისტემასთან გვექნებოდა საქმე: ბოლო, ზედა სართული კამაროვანი იყო. პირველი სართული აქ აშკარად, ბრტყელი იყო, კოჭოვანი.

ფერდობზე განლაგებული კოშკებისა და ბურჯების გვერდზე კუტი, ანუ მცირე კარის გამართვაშიც ერთი სისტემაა მიღებული — ისინი მოთავსებულია ყოველთვის ფერდობზე ქვემოთ, კოშკის მარჯვნივ. ეს კარები ჩვეულებრივ პირობებში აუცილებელი

იყო, ხოლო გარემოცვის შემთხვევაში მოულოდნელი თავდასხმისათვის — მისწრება. ასეთივე ერთი კარი გაჭრილია იმ კვადროვან კედელში, რომელიც ციტადელს ებჯინება. ეს გასაგებიცაა, რადგან იქვე ახლოს მდებარეობდა ციტადელის მეორე კარი. მათ შორის ურთიერთობა მარჯვედ ჩატარდებოდა.

ქალაქის დანგრევის შემდეგ 1300 წელი გავიდა და მის ვრცელ ტერიტორიაზე მიწის ზემოთ მხოლოდ სამი ობიექტი იყო სხვადასხვა მდგომარეობაში შემორჩენილი. ერთი მათგანი გახლდათ ქვედა ტერასაზე ცენტრში მდგარი გუმბათოვანი ეკლესია. მეორე იყო იქვე ახლოს მდებარე სამსართულიანი სასახლის ნანგრევი და მესამე, დარბაზული ეკლესია, მდგარი ციტადელის შიგნით. ორი ათეული წლის განმავლობაში ჩატარებულმა გათხრებმა კი გამოავლინა — კიდევ ორი სასახლე, ოთხი ეკლესია, გალავნები კოშკებით და ბურჯებით, ორი აბანო, მათთან დაკავშირებული წყალსაცავი, ამასთანავე, უნდა აღინიშნოს აღმოჩენა იმ გალავნების საძირკვლებისა, რომლებიც ქალაქის ქვედა ნაწილს სხვადასხვა დანიშნულების მონაკვეთებად ჰყოფდა.

მეფეთა სასახლეები. მეფეთა პირველი სასახლე, რომელიც IV საუკუნით თარიღდება, მდებარეობს ქვედა ტერასაზე, სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთში. ორსართულიანი შენობიდან დარჩენილია პირველი სართულის საძირკველი. იკითხება მხოლოდ მისი გეგმა. აქ შუაში ყოფილა დიდი დარბაზი, ორივე მხარეს ღია აივნით და ბოლოებში სამ-სამი ოთახით. მეორე სართული, ალბათ, ასევე იყო განლაგებული.

ეს სასახლე მტერს დაუნგრევია და VI საუკუნის დასაწყისში აუგიათ ახალი, ქალაქის ცენტრალურ მონაკვეთში, მთავარი ტაძრის სიახლოვეს, სამხრეთით. ისე როგორც პირველი სასახლე, ესეც საკუთარ გალავანში მოუქცევიათ. სიუზერენს არა მარტო გარეშე მტრისა ეშინოდა, არამედ საკუთარი ქვეშევრდომისაც. ამიტომ იგი თავის ციხე-დარბაზში, თუ ციხე-ქალაქში, საკუთარ სამყოფს გამოჰყოფდა საერთოსაგან. ასე ყოფილა აქაც. მეფეს თავისი სამყოფელი, სასახლე, საერთოსაგან გალავნებით ჰქონდა გამოყოფილი. მეორე სასახლესთან ერთად მოუქცევიათ ორმოცმოწამეთა ეკლესია და გალავნებით შემოუფარგლავთ. ხოლო შემოსასვლელი განულაგებიათ კოშკის ქვემოთ. კოშკის პირველი სართული თაღოვან-კამაროვან ჭიშკარს წარმოადგენს. მეორე სართული მცველების იქნებოდა, ხოლო ზემოთ ჩვეულებრივ თავდაცვითი. კოშკი თლილი ქვით გემოვნებითაა ნაგები.

სასახლე ბევრჯერ კაპიტალურად გადაკეთებული ნაგებობაა. თავდაპირველად აქ სწორკუთხა გეგმის სამსართულიანი, მოზრდილი შენობა მდგარა. სულ მალე მისთვის სამხრეთით ისევ სამსართულიანი კვადრატული გეგმის ნაგებობა მიუდგამთ. თავდაპირველი შენობის პირველი სართული ბნელი სარდაფი ყოფილა. მეორე სართულის მოზრდილი დარბაზი მისაღები იქნებოდა, ხოლო მესამე საძილე-დასასვენებელი. სამწუხაროდ, მესამე სართული აღარ არსებობს. მის არსებობაზე მიგვითითებს მხოლოდ ორმარშიანი ქვის კაპიტალური კიბე. სამხრეთით შემდეგ მიდგმული სათავსოდან პირველი სართულია გადარჩენილი და მეორე სართულის ფრაგმენტებია. მისი პირველი სართული კარით და სარკმლებითაა მოღწეული. იგი გვიან საუკუნეებში დადიანებს მარნად გადაუკეთებიათ. აქაა ყურძნის მოსაგროვებელი და საწური საქაჯავით. ირგვლივ სხვადასხვა ზომის ქვევრი ბლომადაა.

ამ სამეფო შემოფარგლულში იქნებოდა სხვა ნაგებობებიც, მაგრამ აქამდე არ მოღწევია.

ეკლესიები. ჩვენ თავშივე აღვნიშნეთ, რომ არც ქართულ და არც უცხოურ ისტორიულ წყაროებს, არ შემოუნახავთ ცნობა იმის შესახებ, თუ სად იყო ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს დედაქალაქი. ახლა, მაშინ როდესაც გაითხარა ან ითხრება დასავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქთა უმრავლესობა, ნაპოვნი ნაგებობების მიხედვით, ნოქალაქევი

მათში აშკარად გამოირჩევა. უპირველესად ყოვლისა, აღსანიშნავია ნაქალაქარის მასშტაბი და გრანდიოზული გალავანი. ამას გარდა, შიდა ნაგებობებიდან აღსანიშნავია ორი სასახლე, ექვსი ეკლესია, ორი აბანო და სხვა. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ერთ ქალაქში ექვსი ეკლესია მრავალზე მეტყველებს. მართალია, ყველა ისინი ერთდროულად არ მოქმედებდნენ, მაგრამ იმ ოთხასი წლის განმავლობაში, რაც ეს ქალაქი არსებობდა, ეკლესიების სიმრავლე ხომ აუცილებლობა იყო. ყველაფერ ზემოთქმულს დედაქალაქობა განაპირობებდა.

ორმოცმოწამეთა ეკლესიასა და მეორე პერიოდის სასახლეს შორის გათხრებით აღმოჩნდა ორი ეკლესიის ნაშთი. პირველად აქ მდგარა აფსიდით დამთავრებული სწორკუთხა ეკლესია. მისგან დარჩენილი აფსიდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას ანალოგია მოეპოვება მხოლოდ ბიჭვინთაში, რომელსაც გამთხრელები IV ს. პირველი მეოთხედით ათარიღებენ. ყველა მონაცემით ნოქალაქევის ეკლესიაც იმავე ეპოქისაა. ყოველ შემთხვევაში, მისი აგება არ უნდა გადაცდეს იმავე საუკუნის პირველ ნახევარს. აქვე უნდა ითქვას ორივე შენობის გადახურვის საკითხზე. ბიჭვინთის ეკლესიის შიდა სიგანე 10 მეტრია, ხოლო ნოქალაქევისა — 11,3 მეტრი. მართალია, ჩვენმა წინაპრებმა კამარის ტექნიკა პირველ საუკუნეებში აითვისეს, მაგრამ ასეთი განიერი შენობის გადახურვა გაუჭირდებოდათ. შესაძლოა, ხის კოჭოვანი გადახურვა იყო, მაგრამ საქართველოში ეკლესიებში ასეთი ტექნიკის გამოყენება არაა ცნობილი.

ამ ეკლესიის აღმოჩენით, ექსპედიციამ, გაამრავლა საქართველოში პირველ ეკლესიათა რიცხვი.

ეს ეკლესია დიდხანს არ მდგარა. მის ნანგრევებზე V ს. შუა ხანებში ახალ ეკლესიას აგებენ. ახალი ეკლესია მთელ საქრისტიანოში უკვე ჩამოყალიბებულ ტიპს, სამნავიან ბაზილიკებს, მიეკუთვნება. მართალია, იგი გავრცელებულ ტიპს მიეკუთვნება, მაგრამ ჩანს, რომ ამ მხარეში იგი ჯერ კიდევ არ იყო გავრცელებული და ფორმებით საბოლოოდ ჩამოყალიბებული. საქმე ისაა, რომ ნაგებობა გეგმით არაა ჩამონაკვთული, იგი არაა სწორკუთხედში ჩასმული, მას მცირედ ტრაპეციის ფორმა აქვს. მის აღრეულობაზე მიუთითებს აგრეთვე შენობის არქიტექტურული გადაწყვეტა, პასტოფორიების უქონლობა და სხვ.

ბაზილიკას აღმოსავლეთით ხუთწახნაგა შვერილი აფსიდა ამთავრებს. აფსიდა შიგნიდან მცირედ გამოვლენილი ნალისებურია. ცენტრალური ნავი გვერდით ნავებს სიგანეში შესამჩნევად ჭარბობს. მათ აერთებს სამ-სამი თაღი, რომელთა საყრდენი სვეტები სადა ოთხკუთხაა. დასავლეთით ერთი დიდი თაღი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაზიანების გამო კარგად არ ჩანს. ბაზილიკის გვერდითი ვიწრო ნავები აღმოსავლეთით სწორკუთხად მთავრდება, ხოლო დასავლეთით განიერი ნართექსი იქმნება. ნართექსი შემდეგში გვერდითი ნავებიდან კედლებით გამოუყვიათ.

ეკლესიას თავდაპირველად ოთხი კარი ჰქონია. თითო დასავლეთით და სამხრეთით და ორი — ჩრდილოეთით. ასეთი გადაწყვეტა იშვიათია. როგორც ეტყობა, ეს თვითონაც უგრძვნიათ და ჩრდილოეთის ორივე კარი მაშინვე ამოუქოლავთ. ნაგებობას კიდევ ერთი განმასხვავებელი დეტალი ახლავს. ესაა გვერდითი კედლების აღმოსავლეთის ბოლოში გარედან კონტრფორსების არსებობა. კონტრფორსები იმ ეპოქის სხვა ძეგლებიდან მხოლოდ სეფიეთში ვნახეთ. როგორც ჩანს, ამ კონტრფორსებს კონსტრუქციული დანიშნულება ჰქონდა, კამარებისა და კონქის გამბრჯენი ძალების საწინააღმდეგოდ.

ეკლესიის შიდა კედლები შელესილი ყოფილა და ამიტომ იგი ნაგებია ფლეთილი ქვით. ფასადები კი შემოსილია მქისედ დამუშავებული ქვით.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ შვერილ აფსიდს. V-VI საუკუნეების დასავლეთ საქართველოს დღემდე აღმოჩენილ შვიდ ბაზილიკას — ნოქალაქევი (ორი ბაზილიკაა), ციხისძირი, ბიჭვინთა, ვაშნარი, სეფიეთი, განთიადი — ყველას შვერილი აფსიდა ახლავს. შვერილი აფსიდა დამახასიათებელია ბიზანტიისა და წინა აზიის ბევრი ქვეყნისათვის. ამ ფორმას საქართველოშიც იყენებდნენ, მაგრამ აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო განსხვავებულად. ასე, მაგალითად, ეს ფორმა დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოსათვის აფხაზეთის ჩათვლით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება მცირე რაოდენობით.

რაც შეეხება აფსიდებისა და თაღების ნალისებურ ფორმას, ესეც განსაკუთრებული ეპოქის დამახასიათებელია. სრულყოფილ სახეს იგი აღწევს V-VI საუკუნეთა მიჯნაზე. განსახილველი ბაზილიკის აფსიდში ძლივს არის გამოვლენილი ნალისებურება. ეს, ალბათ, იმაზე მიუთითებს, რომ იგი ადრეულ ხანას მიეკუთვნება. ასევე ადრეულ ხანაზე მიუთითებს ეკლესიაში პასტოფორიების, სანათლავისა და სამკვეთლოს გამოუყოფლობა.

ამ ბაზილიკას კიდევ ერთი ორიგინალური გადაწყვეტა ახლავს. ესაა სანათლავი. იგი განლაგებული ყოფილა სამხრეთის ნავისა და დასავლეთის ნართექსის გადაკვეთაზე. მისგან გადარჩენილია სამხრეთის კედლის გავლით წყლის გასაყვანი კერამიკული მილი. ასეთი გადაწყვეტის კარგად გადარჩენილი ნიმუში გამოვლენილი იყო V ს. ბიჭვინთის ბაზილიკაში. ასეთივე სანათლავის მილი ნაპოვნია ნოქალაქევში იმავე ბაზილიკის ჩრდილო-დასავლეთით აღმოჩენილ პატარა ზომის დარბაზულ ეკლესიაში. აღნიშნული საუკუნიდან სამ ეკლესიაშია ნანახი სანათლავი. იყო თუ არა დასავლეთ საქართველოს სხვა ეკლესიაში მათი ფრაგმენტალობის გამო, არაა ცნობილი.

განხილულ ბაზილიკაში სტილისტიკურ ყველა თავისებურებას თუ მხედველობაში მივიღებთ, მისი აგების დრო ემთხვევა V ს. შუახანებს.

ამ ტაძარსაც დიდხანს არ უცოცხლია, იგი სულ რამდენიმე წელი თუ იდგა. მტერს იგი თითქმის ძირამდე დაუნგრევია, მაგრამ ქვეყნის დედაქალაქი ეკლესიის გარეშე ხომ არ დარჩებოდა და ისევ აგებენ ახალს. იგი ჩრდილოეთით, ხუთიოდე ნაბიჯზე დაუდგამთ. ესეც სამნავიანი ბაზილიკაა, მაგრამ პირველზე თითქმის ერთი მესამედით პატარაა. როგორც ეტყობა, ქალაქის ახლანდელ მფლობელს, ძველის შესაძლებლობები არ ჰქონია.

საქართველოში გადაკეთებული ეკლესიების მეტი რა არის, მაგრამ ამდენჯერ და ისიც შესამჩნევად, იშვიათია. გათხრებით დადასტურდა მისი ოთხჯერ აშკარად გადაკეთება. ბოლო დიდი გადაკეთების დროს, ტიპიც შეუცვლიათ, იგი ბაზილიკიდან გუმბათოვანი გახდა.

თავდაპირველი ბაზილიკიდან გადარჩენილია აფსიდა მიმდებარე კედლებით. აფსიდა ნათდებოდა სამი განიერი და მაღალი, სწორგვერდებიანი სარკმლით. ასეთი სარკმლები დამახასიათებელია სწორედ ადრეული საუკუნეებისათვის. ცენტრალური განიერი ნავი, გვერდით ვიწრო ნავებს უერთდებოდა სამ-სამი თაღით. გვერდითი ნავები დასავლეთით ერთდებოდა ასევე ვიწრო ნავით, რომელიც ფაქტიურად ნართექსს წარმოადგენდა. საკურთხევლის გვერდებზე განლაგებული იყო სამკვეთლო და სადიაკვნე. პირველი მათგანი გადაკეთებას შეეწირა, ხოლო სადიაკვნე თავისი კამარით გადარჩენილია. თავდაპირველი ბაზილიკის ერთი კარი დასავლეთითაა, ცენტრშია, ორი კი — სამხრეთით. ეს ეკლესია ნაგებია მცირე ზომის სანახევროდ გათლილი ქვით. წყობაში ჰორიზონტალობა დაცულია და სანახავად სასიამოვნოა. შვერილი აფსიდა გარედან ხუთგვერდაა. აგრეთვე შვერილია სამხრეთისკენ სადიაკვნე.

დასავლეთ საქართველოში გამოვლენილი შვიდი სამნავიანი ბაზილიკიდან, პასტოფორიები მხოლოდ განსახილავ ძეგლს ახლავს. ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში მიღებული დებულების მიხედვით, პასტოფორიები ჩნდება სამნავიანი ბაზილიკების განვითარების მეორე ეტაპზე, კერძოდ VI საუკუნის დასაწყისში. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ნოქალაქევის მეორე ბაზილიკა აგებულია VI ს. დასაწყისში. ამ თარიღს ადასტურებს ძეგლის სხვა მონაცემებიც და ქალაქის ისტორიაც.

ტაძარს დიდი ნგრევა განუცდია. მისგან მხოლოდ საკურთხეველი გადარჩენილა. ასეთი ძალის ნგრევა, ალბათ, მურვან-ყრუს ლაშქარს შეეძლო. აღდგენილი კედლების თავისებურება, სწორედ VIII-IX საუკუნეებზე მიუთითებს.

მიზნად დაუსახავთ იგი თითქმის იმავე გეგმით აღედგინათ, მხოლოდ კედლები შესამჩნევად გაუსქელებიათ და სამივე მხარეს მხოლოდ თითო თაღი დაუყოლებიათ. მაშინვე გაჩენილა მეორე სართული. სამწუხაროდ, ეს მეორე სართული იმდენჯერაა გადაკეთებული, რომ მისი დანიშნულების გარკვევა შეუძლებელია. დასავლეთის მეორე სართულს მხოლოდ აღმოსავლეთით ერთის სარკმელი აქვს, რომელიც დარბაზში გადის.

მომდევნო ხანაში ბაზილიკა გუმბათოვნად გადაუკეთებიათ. გუმბათის საყრდენი კონსტრუქციის შესაქმნელად ბაზილიკის ცენტრალური კამარა რამდენიმე მეტრზე ჩაუხსნიათ და ორი საბრჯენი თაღი დაუყოლებიათ. თვით გუმბათი ცილინდრული ფორმისაა, დაბალი, ოთხი სარკმლით. გუმბათს მხატვრულობის არავითარი ნიშანი არა აქვს, ამიტომაც მისი ზუსტად დათარიღება ძნელია.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, XVI საუკუნიდან აქ დაფუძნებულია დადიანთა ერთი შტო. მათ აქ ბევრი რამ გააკეთეს და მერე საკუთარი საძვლეს (კრიპტა) გამართვაც განუზრახავთ. ამისათვის მოანგრიეს სამკვეთლო, გაანგრიეს ჩრდილო კედლის წინა ნაწილი და მოაშენეს მცირე ზომის ეკვდერი რთაველისი აფსიდალური საკურთხევლით. ამ ეკვდერს XVII საუკუნით ათარიღებს კედლის მხატვრობა.

სპეციალისტების მიერ კედლების გაწმენდის შემდეგ აშკარად გამოვლინდა ეკლესიის აგების დროინდელი ჯვრები და XVII ს. ფრესკული მხატვრობა. მათ შუა პერიოდში შეუძლებელია, რომ ეკლესიის კედლები მოხატული არ ყოფილიყო, მაგრამ ალბათ, ძეგლი დიდხანს იდგა სახურავგადახდილი და ფრესკა ნალესობიანად ჩამოირეცხა. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ იმავე ხანაში მიუმენებიათ კარიბჭის მაგვარი სათავსო. ისიც მოუხატავთ.

აფსიდის ქვედა რიგზე, უშუალოდ კედლის ქვაზე დახატული ოთხი ჯვარია შემონახული. ეს წესი მიღებული იყო ბიზანტიასა და აღმოსავლეთის მთელ საქრისტიანოში და მათ შორის საქართველოშიც. ხოლო რაც შეეხება დადიანისეულ XVII საუკუნის მხატვრობას, ესეც ანალოგიებს პოულობს საქართველოს ვრცელ ტერიტორიაზე.

ნაქალაქარის საკულტო ნაგებობებიდან განსახილველი დაგვრჩა სამი დარბაზული ტიპის ეკლესია. ერთი მათგანი დგას ქვედა ტერასაზე, მეორე — ქალაქის მცირე მონაკვეთზე, ფერდობზე, მესამე — მესამე მონაკვეთზე, ციტადელზე. არცერთ მათგანს წარწერა არ გააჩნია, ამიტომ მათი დათარიღება ხდება მხოლოდ არქიტექტურულ-სტილისტიკური მონაცემებით.

აღნიშნული სამი ეკლესიიდან მხოლოდ ერთი იდგა მიწის ზემოთ, ორი კი გათხრებით იქნა გამოვლენილი. გაირკვა, რომ ამ ტიპის ეკლესიებიდან თითო დგას ქალაქის სამივე მონაკვეთში.

პირველი მათგანი გამოვლინდა ქალაქის მთავარ მონაკვეთზე, ქვედა ტერასაზე. იგი მდგარა ქალაქის ცენტრში, ეკლესიების უბანში, ე. წ. ორმოცმოწამეთა ეკლესიის დასავლეთით, ოციოდე მეტრზე. აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ ეს პატარა ეკლესია დიდზე უფრო ადრეა აგებული.

დარბაზული ეკლესია ორიგინალურადაა გადაწყვეტილი. ეკლესიის დარბაზს აფსიდა ამთავრებს ყოველგვარი გადასვლების გარეშე. ეკლესიას კარი სამხრეთით ჰქონია, ხოლო რადგანაც შენობის კედლები ერთი მეტრის სიმაღლეზეა გადარჩენილი, სარკმლებზე და გადახურვაზე ვერაფერს ვამბობთ. ეკლესიისათვის, შემდეგში, დასავლეთით კარი გაუჭრიათ და მცირე სწორკუთხა სათავსი მიუდგამთ. მას კარიბჭის როლი რომ შეესრულებინა, ამისათვის კედლის გარღვევით კარი გაუმართავთ.

ეკლესიას კიდევ ერთი განსაკუთრებული თავისებურება ახლავს. ესაა სანათლავი, რომელიც გამართული ყოფილა შიგნიდან სამხრეთის კედელთან, აფსიდის სიახლოვეს. თვით სანათლავი არ არის დარჩენილი, მაგრამ გადარჩენილია წყლის გასაყვანი კერამიკული მილი, თითქმის ოთხი მეტრის სიგრძეზე.

ჩვენ ზემოთ პირველი სამნავიანი ბაზილიკის განხილვის დროს აღვნიშნეთ, რომ იქვე ასეთივე გადაწყვეტა ყოფილა. საქართველოში მესამე მაგალითი კი მხოლოდ ბიჭვინთაშია. თანაც, ისიც უნდა დავსძინოთ, რომ თვით სანათლავი, იატაკში ჩადგმული სწორკუთხა აუზის სახით, მხოლოდ ბიჭვინთაშია გადარჩენილი. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სანათლავი, როგორც გამოყოფილი სათავსო, ქართული ეკლესიებიდან მხოლოდ ბოლნისშია. ყველა აქ წარმოდგენილ ნიმუშს, თუ ერთიანობაში წარმოვიდგენთ, ნოქალაქევის დარბაზული ეკლესია V საუკუნის შუახანების ნაგებობად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ.

მეორე დარბაზული ეკლესიის გამოვლენა სრულიად მოულოდნელ ადგილზე მოხდა. ნაქალაქარის ფერდობზე, როცა ქვევიდან ამომავალ გალავნის ნაშთს მივყვებოდით, მის ბოლოს, იქ სადაც დასავლეთიდან მომავალ მეორე გალავანთან კუთხე იქნებოდა, გამოვლინდა ეკლესიის ნაშთი. იგი ისეა გალავანში ჩართული, რომ შენობის კორპუსის ნახევარი შიგნითაა, ეზოშია, მეორე ნახევარი კი გარეთაა. ცხადია, იგულისხმება, რომ აღმოსავლეთით, მოშორებით, სხვა გალავანიც იქნებოდა. სხვა მხრივ წარმოუდგენელია, რომ ეკლესიას ქალაქის გალავნიდან თავი გაყოფილი ჰქონოდა.

ეკლესია პატარაა, სულ ათიოდე მეტრის სიგრძისაა. სამლოცველო დარბაზს აღმოსავლეთით, აფსიდა უშუალოდ ებმის. იგი შიგნიდან ნახევარწრიულია, გარედან კი ხუთგვერდა. ერთადერთი კარი დასავლეთითაა. იგი ქალაქის ეზოში გადიოდა. შენობის კედლები შერჩენილია ზოგან ორი მეტრის სიმაღლეზე, ამიტომ ვერაფერს ვერ ვიტყვით სარკმელებზე და გადახურვაზე.

ეკლესია ნაგებია ყორე ქვით, მაგრამ ადგილებში მიუყვება ექვსი ფენა აგურის წყობის შრე. ეს წესი, ე. წ. opus mixtum ადრე საუკუნეებში მიღებულია მთელ ბიზანტიის სამყაროში და საქართველოშიც. იგი გამოყენებულია ქვედა ტერასაზე როგორც გალავანში, ისე ორმოცმოწამეთა ეკლესიაშიც.

ეკლესია ყველა თავისი მონაცემით, ადრეული ხანით, უფრო V საუკუნით თარიღდება.

ნოქალაქევის მესამე დარბაზული ეკლესია მდებარეობს მაღლა პლატოზე, ციტადელში. ამ ეკლესიის დანიშნულება გასაგებია. იგი განკუთვნილი იქნებოდა ციტადელში განწესებული გარნიზონისათვის.

ამ ეკლესიას „მისარონს" ეძახიან. ეს სახელი რთული წარმოშობისაა. მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა წმ. გიორგის ნიშნავს. აქ სწორედ ასეთი ახსნა აქვს.

წინა ორი დარბაზული ეკლესიისგან განსხვავებით, ამ ეკლესიის სამლოცველო დარბაზი აფსიდით, გარე სწორკუთხედშია მოქცეული. კარი დასავლეთით და ჩრდილოეთითაა. როგორც ცნობილია, ჩრდილოეთით დარბაზულ ეკლესიებში კარი განსაკუთრებულ შემთხვევებში კეთდება. ამ შემთხვევაში იგი გამოწვეული იყო სამხრეთით

არსებული ფერდობით, სწორკუთხა სარკმელი კი თითოა აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. კედლები სანახევროდ გათლილი ქვითაა ამოყვანილი. აფსიდის კონქი არაჩვეულებრივი სიფაქიზითაა ამოყვანილი. ასეთი წყობა ძირითადად V საუკუნეში გვხვდება. იმავე ეპოქისათვისაა დამახასიათებელი დაბალი კონქი მაღალი შუბლით. გარედან ეს გამოსახულია ორ დონეზე განლაგებული სახურავით, კონქის სახურავი შესამჩნევად დაბლაა დარბაზის კამაროვანი სახურავისაგან. ფასადები შემოსილია მქისედ დამუშავებული ქვით, ხოლო სახურავი კრამიტისაა. დასავლეთის კარი არქიტრავის ქვითაა გადახურული, ხოლო მის ზემოთ ე. წ. განმტვირთავი თაღია.

„მისარონის" ეკლესია ნოქალაქევისა და დასავლეთ საქართველოს სხვა ძეგლებისაგან გამოირჩევა კონსტრუქციული და მხატვრული გადაწყვეტით. ძეგლის ყველა დეტალი ადრეულ საუკუნეებზე მიუთითებს, კერძოდ კი V ს. ბოლოსა და VI ს. დასაწყისზე.

აბანოები. ქალაქის კომუნალური ნაგებობებიდან აღსანიშნავია ორი აბანო. ისინი სხვადასხვა ზომისაა და ნაგებობითაც საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

პირველი მათგანი, უფრო დიდი და კაპიტალურად ნაგები, დგას ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში, მდინარის თავზე. იგი მარაგდებოდა ბუნებრივი ცხელი გოგირდოვანი წყლით (ცხელი წყალი დაკარგულა ამ ასიოდე წლის წინათ, ამ ადგილზე ხიდის აგების დროს). ეს კაპიტალური დიდი შენობა, რადგან ძალიან განსხვავდება მეორე აბანოსგან, ამიტომ მას ექსპედიციამ მეფე-დიდებულთა აბანო უწოდა, ხოლო მეორეს — სამოქალაქო.

ცენტრალური გათბობის სისტემაზე აგებული აბანოები, პირველ საუკუნეებში, გავრცელდა რომის იმპერიაში და მის სამყაროში. იქ თუ მრავალდარგოვანი თერმები იგებოდა, საქართველოში და მის მსგავს პატარა ქვეყნებში, გავრცელდა მხოლოდ ბანაობისათვის განკუთვნილი მცირე ზომის ნაგებობები.

მეფე-დიდებულთა აბანო რთული კონფიგურაციისაა. ეტყობა მშენებლისათვის მთავარი იყო სათავსოთა განლაგება, ხოლო შენობის გარე მოხაზულობას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. აბანო ფუნქციურად, ისე როგორც მთელ საქართველოში აქაც, ძირითადად ოთხ მონაკვეთადაა დაყოფილი: მოსაცდელ-გასახდელი, ცივი, თბილი და ცხელი სააბაზანოები.

აბანოს გასახდელ-მოსაცდელი ჯვარის გეგმის ერცელ სათავსს წარმოადგენს. მას აღმოსავლეთით განიერი თაღით უერთდებოდა ცივი წყლის ორაბაზანიანი სათავსი. აქედან სამხრეთის კარით მოხვდებით თბილ სააბაზანოში. ამ სათავსს შემოსასვლელის გარდა ორი კარი აქვს. მარცხენა კარით მოხვდებით ცხელ სააბაზანოებში, ხოლო მარჯვენა კარით ისევ აბაზანიან სათავსში, რომლიდანაც დასავლეთის კარი უშუალოდ გადის მოსაცდელ — დასასვენებელ სათავსში. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საქაბე ცხელ სათავსებს აღმოსავლეთიდან უერთდება. აქედან ცხელი წყალი აუზებში კერამიკული მილებით მიდიოდა, ხოლო ცხელი ჰაერი ქვედა კალორიფერებიანი სართულის სივრცეში შედიოდა და იატაკსა და კედლებს ათბობდა. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ცხელი სააბაზანოს გვერდიდან შესასვლელთან ბერძნულად აგურზე ეწერა: „მომდინარე მხურვალეაა (ამისი) დასათვალიერებელი (ე. ი. შესამოწმებელი) ადგილი". თლილი ქვით კაპიტალურად ნაგები შენობის სათავსების შიდა გადახურვა კამაროვანია. შენობა ნანგრევებშიც შთამბეჭდაია, ეგრისის სამეფოს დიდების შესაფერისია!

მეორე აბანო, სამოქალაქო რომ შევარქვით, პირველისგან ასიოდე მეტრზე მდებარეობს აღმოსავლეთით. აქ აბანოში სათავსოთა განლაგების პრინციპი იგივეა, მაგრამ გეგმარება საკმაოდ რთულია. აბანო ძირითადად ორი ნაწილისგან შედგება. პირველია თვით საბანაო ნაწილი, მეორე კი — დამხმარე. აბანოში შესასვლელი დასავლეთიდანაა. გასახდელ-მოსაცდელის მარჯვენა ბოლოში ცივი წყლის აუზია. მარცხენა კარით თბილ სააბაზანოში ხვდებით, ხოლო იქიდან შეიძლება ცხელ სააბაზანოში მოხვდეთ. აქ ცხელი წყლის აუზი მარცხენა ბოლოშია. საქაბე მოთავსებულია აღმოსავლეთის კედლის ცენტრში. სხვა აბანოებთან შედარებით აქ კარგადაა დაცული ქვაბი და საცეცხლური. მას მოსდევს ანფილადურად განლაგებული სათავსები. პირველი მათგანი ცეცხლფარეშისა იყო. ორი მომდევნო კი დამხმარეს წარმოადგენდა, მაგრამ თუ რისთვის, ახსნა ძნელია. ორი სათავსო კიდევ იყო

სამხრეთით. ამათგან პირველი ვიწრო სათავსი, ნაცრისა და ნარჩენების მოსაგროვებლად და მდინარეში გადასაყრელად უნდა ყოფილიყო. მომდევნო კი საწყობს თუ წარმოადგენდა. ეს აბანოც ქვითაა ნაგები, მაგრამ არა ისე წესიერად და დიდი ქვებით, როგორც პირველი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს აბანოები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, ისინი მაინც ერთი ეპოქის მშენებლობას მიეკუთვნებიან და სხვადასხვა მონაცემებით IV-V საუკუნეებით თარიღდებიან. ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ ნოქალაქევის გვიანი საუკუნეების ცხოვრებას. ვახუშტი როცა ნოქალაქევზე წერს, აღნიშნავს, რომ იგი „შემუსრა ყრუმ", ხოლო „აწ არს ციხე კუალად და სასახლე დადიანისა". ეს ცნობა XVIII ს. პირველი ნახევრისაა. ეტყობა, XVI ს-ში ქვეყნის დაცვაში ჩართეს ნოქალაქევიც. დადიანთა ნოქალაქევში ყოფნის შესახებ სხვა ცნობა XIX ს-მდე არა გვაქვს, მაგრამ ადგილობრივ არის ნაშთები, რომელთა მიხედვით XVI-XVIII ს-ბში ნაქალაქარის ნაწილობრივ აღდგენაზე შეიძლება ვისაუბროთ.

პირდაპირი მითითება არ არის, მაგრამ მაშინდელი საერთო სიტუაციიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ სამეგრელოს მთავრის რეზიდენცია თუ ზუგდიდში იყო, მისი ახლო ნათესავები ისხდნენ სხვადასხვა ადგილებში. ერთ მათგანს კი რეზიდენცია ჰქონდა ნოქალაქევში. ცხადია, მისი შესაძლებლობა ნაქალაქარს მთლიანად ვერ აღადგენდა, მაგრამ მას ცდა არ დაუკლია. ამ ეპოქის გალავანს მოვუსწარით ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე სამხრეთით და აღმოსავლეთით დაახლოებით 30-50 მეტრის სიგრძეზე. ასევე, ქვედა ტერასის ჩრდილო-დასავლეთით მდგარი პატარა ციხის საკმაოდ დიდი ნაწილი ამ ეპოქისაა. ეს ახალი გალავანი მკვეთრად განსხვავდება ძველი გალავნებისაგან. იმათგან განსხვავებით, ახალი გალავანი მხოლოდ წვრილი რიყის ქვითაა ნაგები და კედლის სისქე ძველში თუ მერყეობს 1-2,5 მეტრს შორის, ახლისა 60-80 სანტიმეტრია.

ნაგებობებიდან გადარჩენილია ერთი. იგი დგას ქვედა ტერასის სამხრეთ-დასავლეთის მონაკვეთში. მისგან დარჩენილია კედლები სიმაღლით ორ მეტრამდე. ამ კედლებში კარი მხოლოდ ერთია აღმოსავლეთით. ისეთი სქელი კედლები აქვს, რომ ორი კი არა, შეიძლება სამსართულიანიც იყო. ეს ნანგრევი დადიანების სასახლის ნაშთი უნდა იყოს.

იმავე ეპოქაშია გადაკეთებული მეორე სასახლის სამხრეთის მონაკვეთი. აქ პირველ სართულში დადიანებს მარანი გაუმართავთ საქაჯავ-საწნახელით.

ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე სხვა ნაგებობების კვალიც ჩანს, მაგრამ მათი გეგმარების დადგენა ჭირს. ისე, ცხადია, როგორც ადრე, ახლაც ნაგებობათა დიდი უმრავლესობა ხისა იქნებოდა. ისინი კი დროს ვერ გაუძლებდნენ.

დადიანების რესტავრატორთა კვალი ციტადელზეც ჩანს, მაგრამ მათი მეტად ფრაგმენტულობის გამო, განსაზღვრა ძნელდება.

8.1.2. არქიტექტურული ძეგლები ნაქალაქარის გარეთ

ციხეგოჯი-ნოქალაქევი, რადგან ეგრისის (დასავლეთ საქართველოს) ცენტრი იყო, ცხადია, მისი ხუროთმოძღვრება უნდა განვიხილოთ ფართო მასშტაბით, მაგრამ სამწუხაროდ, ამის დრო ჯერ არ დამდგარა, რადგან ეს ვრცელი ტერიტორია ისე არ არის შესწავლილი, რომ განზოგადება შეიძლებოდეს. ამიტომ ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ მხოლოდ ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მასალას. ექსპედიცია კი სწავლობდა და გათხრებს აწარმოებდა არა მხოლოდ ნაქალაქარზე, არამედ მის გარშემო 15-20 კილომეტრის რადიუსით. ფაქტიურად ეს გახლდათ „ნოქალაქევის ქვეყანა", ის ტერიტორია, რომელიც ძირითადად ქალაქს კვებავდა და ვისთანაც უშუალო კავშირი ჰქონდა. ჩვენს მიერ გათხრილ ძეგლებს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დავიწყებთ და მოკლედ თანმიმდევრულად განვიხილავთ.

ნოჯიხევი. მდებარეობს ნოქალაქევიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, სენაკი-მარტვილის ტრასაზე, ათიოდე კილომეტრის დაცილებით. ძველი ნასახლარი, ტრასის პირასაა, დასავლეთით.

ესაა ჩვეულებრივი კოლხეთის ვაკე, მდ. აბაშის მარცხენა მხარე. ადგილი თითქმის არაფრით არ

არის გამორჩეული, მაგრამ აქ თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში სამი პერიოდის ცხოვრებას გაუვლია. პირველად აქ V-VI ს-ში, რომელიღაც კოლხ დიდებულს რეზიდენცია გაუმართავს. ამ ეპოქის ცხოვრების კვალი VIII-IX ს-მდე კიდევ უწევს. ამ დროს, რომელიღაც ძლიერ მტერს, ეს დასახლება გადაუბუგავს. დასახლების განსხვავებული სახე აქ ჩნდება X ს-ის ბოლოს და XIII ს-ში მთავრდება. ისევ ძლიერი მტერი და დასახლება დანახშირებულია. გადის კიდევ კარგა დრო და XVI ს. ისევ ახალი ცხოვრება იწყება. ეს ბოლო ხანა XIX ს. პირველ ნახევარში მთავრდება. ეს ხანა დადიანებს ეკუთვნის.

აქ პირველი დასახლებიდან გადარჩენილია ეკლესიისა და აბანოს ნაშთები. ცხადია, იქვე იქნებოდა სასახლე და სხვა რეზიდენციისათვის დამახასიათებელი ნაგებობები, მაგრამ არ შემორჩენილა. არსებული ნაშთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისი მეპატრონე ვერ ყოფილა დიდი შესაძლებლობის მქონე; ორივე ნაგებობა მცირე მასშტაბისაა.

ეკლესია ტეტრაკონქის ტიპისაა. ამ ტიპის ნაგებობა დასავლეთ საქართველოში ეს პირველი და ერთადერთია. იგი შეიძლება დათარიღდეს V ს. ბოლოთი, ან VI ს. დასაწყისით. აქედან გამომდინარე, არაა გამორიცხული, რომ იგი ამ ტიპის ძეგლებიდან საერთოდ უადრესი იყოს მთელი საქართველოსათვის.

იქვე ახლოს მდებარე აბანო ძლიერ დაზიანებულია, ამიტომ ყველა დეტალი ვერ დგინდება. ერთი რამ კი ცხადია — საქვაბე ჩრდილოეთის მონაკვეთში ყოფილა, ცხელი წყლის აუზი — სამხრეთით.

ამ დასახლების განადგურების შემდეგ, (უნდა მომხდარიყო მურვან-ყრუს დროს, VIII ს. 30-იან წლებში) მოგვიანებით, X ს. ბოლოს, იქვე სამხრეთით, რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე, იწყება ახალი ცხოვრება. აქ არსებული ორი „ჯიხადან" (გორაკიდან) უმცირესის გათხრამ ჯერ გამოავლინა გვიანი საუკუნეების პატარა, დარბაზული ეკლესიის ნაშთი. მისი ფიქსაციის შემდეგ იგი აღებული იქნა. იგი იდგა დიდი ეკლესიის ნანგრევებზე. ამ ნანგრევების გაწმენდამ უეშველოთესი ძეგლი გამოავლინა. ესაა რვაფსიდიანი ეკლესია, რომელიც პირველი და ერთადერთია მთელ საქართველოში.

ეკლესიის კედლები ორი მეტრის სიმაღლეზე იყო შემორჩენილი. მისი ცოკოლი წრიულია, ხოლო ზემოთ — წახნაგოვანი. ასევე წახნაგოვანია ვერილი აფსიდა. ეკლესიას სამი მხრიდან აქვს შესასვლელი. შიდა სივრცეს ქმნის აფსიდები, რომელთაგან შეიდი თანაბრადაა განლაგებული, ხოლო მერვე საკურთხევლისა განიერი და ღრმაა. ქვედა კორპუსს ამთავრებს გუმბათი, რომლის სარკმლებს დეკორატიული თაღედი შემოუყვება.

ტაძრის ფასადები, ეპოქის შესაფერისად, მდიდრულად ყოფილა მორთული. შენობის მაღალი ცოკოლი და პორტალები ორნამენტებითაა დაფარული. პორტალებს აგრეთვე ხარის თაეის ქანდაკებები ამშვენებდა. არსებული ფრაგმენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მრავალწახნაგა ფასადებს თაღედი ამშვენებდა, ხოლო რაც შეეხება ასევე მრავალწახნაგა გუმბათის ყელს, ლილვებზე დაყრდნობილი უწყვეტი თაღედი შემოუვლიათ. გუმბათის გადახურვა კი ისეთი ხერხული ფორმისა ყოფილა, როგორც ამას ვხედავთ იმავე ეპოქის ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა: ოპიზა, ხანძთა და კაცხი.

ეკლესიის ნანგრევებში ყურადღებას იპყრობს ასომთავრული წარწერის ფრაგმენტები. ისტორიული ხასიათის ეს წარწერა მოთავსებული უნდა ყოფილიყო ქვედა კორპუსის კარნიზის ქვემოთ, ან გუმბათის ყელზე, თაღედის ზემოთ. იგი ძეგლთან ერთად თარიღდება X ს. ბოლოთი, ან XI ს. დასაწყისით.

ტაძარი ძლიერი მტრის მიერაა დანგრეული. იქვე ნაპოვნი მონეტების მიხედვით ეს მომხდარა XIII ს. ბოლოს, ან მომდევნო საუკუნის დასაწყისში.

ტაძრის დანგრევის შემდეგ, ორი ასეული წელი მაინც, თუ მეტი არა, სიწყნარეა. შემდეგ, XVI-XVII საუკუნეებში აქ ცხოვრება ისევ განახლებულა და XIX ს. პირველ ნახევარშიც გრძელდებოდა. აქ დასახლებულა დადიანთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელი.

დადიანების რეზიდენციიდან აქ ნაშთების სახით მოაღწია ოვალური გეგმის მქონე ციხემ, კარის ეკლესიამ და პალატმა. სხვა აუცილებელი ნაგებობები ხისა იქნებოდა და დღემდე ვერ მოაღწიეს.

ამ დასახლების სამხრეთით, იმავე გზატკეცილის მარცხნივ სოფ. ნაჯახოვის ტერიტორიაზე იყო ასევე ბუჩქებით დაფარული მოზრდილი „ჯიხა". აქ გაწმენდის შემდეგ გამოვლინდა ეკლესიის ნანგრევი. იგი ტიპით გახლდათ „გუმბათოვანი დარბაზი" (Kuppel halle), რომელიც დასავლეთ საქართველოში ერთადერთია.

ეკლესია საშუალო ზომებისაა. იგი გეგმით ნახევარწრიული შვერილი აფსიდით დამთავრებული სწორკუთხედია. მას კარი სამი მხრიდან აქვს. ინტერიერში გვერდითი კედლების წყვილ შვერილზე ეყრდნობოდა გუმბათი. შიდა კედლების ფრესკული მხატვრობიდან მცირე ფრაგმენტებია გადარჩენილი.

ეკლესიის აფსიდის იატაკზე აღმოჩენილი მონეტით ესეც ნოჯიხევის ეკლესიასთან ერთადაა დანგრეული, რომელიღაც მტრის მიერ XIII ს. შუა ხანებიდან დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში.

შემდეგი ობიექტი, სეფიეთის ბაზილიკა, მდებარეობს იმავე გზატკეცილზე აქედან შორს, ხოლო აბაშასთან ახლოს.

სეფიეთის ბაზილიკას, ორიგინალური გადაწყვეტის გამო, განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ბაზილიკებში. იგი დიდი ხანია ცნობილია მკვლევართათვის. ეკლესია დაზიანებულია და რამდენიმეჯერ გადაკეთებულია. თავდაპირველი ფორმების დასადგენად საჭირო იყო შიგა კედლების გეგიანი ნალესობის ჩამოხსნა და შენობის ირგვლივ გაწმენდა. ყველა ეს სამუშაო რომ ჩატარდა გაირკვა. რომ ესაა სამნაოიანი ბაზილიკა, ნახევარწრიული შვერილი აფსიდით და ორსართულიანი გვერდითი ნაგებით. შვერილი აფსიდა დასავლეთ საქართველოსათვის ადრიდანვე დამახასიათებელია, ხოლო რაც შეეხება გვერდითი ნაგების ორსართულიანობას, იგი ერთადერთია მთელს საქართველოში. ინტერიერში ბაზილიკის გვერდითი ნაგების მეორე სართული ცენტრალურ ნაგს უერთდებოდა ოთხ-ოთხი თაღით. ამ ეკლესიას კარებიც ორიგინალურად ჰქონია გადაწყვეტილი, რადგან სამივე ნაგს დასავლეთიდან კარი ცალ-ცალკე აქვს და გვერდით ნაგებს ორ-ორი კარი აქვს, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. ბაზილიკა თარიღდება V-VI ს-თა მიჯნით. სეფიეთის კედლებში გადაკეთების დროს მოხვედრილა ორი ასომთავრული წარწერიანი ქვა. მათში მოხსენიებული პირები უცნობი არიან. მათი დათარიღება შეიძლება XV ს-ით, ან უშუალოდ მომდევნო პერიოდით. ასევე გადაკეთების დროს სამხრეთის ნაგში ჩაშენებულია ბერძნული წარწერა ვრცელი ტექსტით. ბერძნულწარწერიანი ქვის ფრაგმენტი აღმოჩნდა აგრეთვე გათხრებისას. მათში მოხსენიებული პირებიც უცნობია. ორივე წარწერა თარიღდება VI-VII ს-ით.

ნოსირის აბანო. მომდევნო ობიექტი, რომლის გათხრებს ექსპედიცია რამდენიმე წელი აწარმოებდა ნოსირის აბანოა. იგი ნოქალაქევიდან სამხრეთ-დასავლეთით თხუთმეტიოდე კილომეტრზეა, მდ. ტეხურის მარცხენა მხარეს, კოლხეთის დაბლობზე.

აქ, დაფნის პლანტაციებში, შემთხვევით აღმოჩნდა აბანოს ნაშთები. ცხადია, აქ მარტო აბანო არ იქნებოდა. ამ ადგილას, ისე როგორც ნოჯიხევში, რომელიმე დიდებულის ვილა იქნებოდა გამართული. ვილაში კი იგულისხმება სამი ძირითადი ელემენტი: სასახლე, ეკლესია და აბანო. ნოჯიხევში ამ სამიდან ერთი, სასახლე, არ დაგვხვდა. უფრო ადრე, გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში გაითხარა ვილა, სადაც შემორჩენილი იყო სასახლისა და აბანოს ნაშთები. როგორც ვხედავთ, ეს სამი პუნქტი ერთმანეთს ავსებს და ერთი ეპოქისაა. ეს ეპოქა კი ადრე შუასაუკუნეებია, კერძოდ IV-V საუკუნეები.

იმ ეპოქის ეგრისის (ლაზიკის) სამეფოში, სოციალური და კულტურული ყოფის საილუსტრაციოდ, ამ მაღალი კლასის წარმომადგენელთა ცხოვრების დონის განსასაზღვრავად კოლხეთის სამ პუნქტში – შუხუთში, ნოსირში და ნოჯიხევში – მიკვლეული რეზიდენციები მრავლისმეტყველია. მაშინდელი დასავლეთის სამყაროს მსგავსად, აქაც გვაქვს vila rustica -ს ტიპის დასახლებები.

ნოსირის აბანოსგან რადგან დარჩენილია მხოლოდ საძირკველი, ამიტომ მხოლოდ ზოგადი დასკვნების გაკეთება შეიძლება. ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ საერთოდ შენობის ორიენტაცია. ისე როგორც რომის იმპერიაში და მის სამყაროში, საქართველოშიც აბანოების ქვეყნის მხარეების მიმართ ორიენტაცია ტრადიციულია. შენობის საქვაბე, ცხელი და თბილი საბანაოები ყოველთვის ორიენტირებულია სამხრეთით და დასავლეთით. ეს ხდება სითბოს უკეთ შენარჩუნებისათვის. ასეა გადაწყვეტილი ნოსირის აბანოც. მისი საქვაბე დასავლეთითაა, ხოლო ცხელი და თბილი საბანაოები სამხრეთისკენაა მიმართული. დარჩენილი ფრაგმენტებით ირკვევა, რომ ცხელ საბანაოში კალორიფერის სართულიდან თბებოდა იატაკი და კედლები, ხოლო თბილ საბანაოში თბებოდა მხოლოდ იატაკი. ამ აბანოს გეგმის ორიგინალური გადაწყვეტა იმაშია, რომ ცხელი წყლის აბაზანები შენობის გვერდებზე ნახევარწრიულადაა შვერილი. საქართველოში ასეთი გადაწყვეტა მხოლოდ შუხუთშია.

ნოსირის აბანოს ჩრდილოეთით მონაკვეთი სამი სათავსისგან შედგება. შუაში ვესტიბიულია, მარჯვნივ გასახდელ-მოსაცდელი და მარცხნივ ცივი წყლის აუზი.

რადგან აქ აბანოზე გვაქვს საუბარი, უნდა შევეხოთ კიდევ ორ აბანოს, რომლებიც ტერიტორიალურად „ნოქალაქევის ქვეყანაში" შედიოდა. ესენია ბეთლემისა და მარტვილის აბანოები.

ბეთლემის აბანო მდებარეობს ნოქალაქევის ზემოთ სამიოდე კილომეტრზე, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე. იგი, ნოქალაქევის მეფე-დიდებულთა აბანოს მსგავსად, თბილ ბუნებრივ გოგირდოვან წყალზე დგას. აბანო გადაუკეთებიათ იქვე პიონერთა ბანაკის გამართვის დროს, ამიტომ ძველი გეგმარება არ ირკვევა. შენობის მცირე მასშტაბი იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ რადგან წყალს გათბობა არ ესაჭიროებოდა, იქნებოდა მხოლოდ ვესტიბიულ-გასახდელი და თბილი საბანაო.

მარტვილის აბანოს გეგმარების დადგენა შეუძლებელია. საქმე ის გახლავთ, რომ იგი 50-იან

წლებში სტადიონისათვის ნიადაგის ბულდოზერით მოსწორებას შეეწირა. ჩვენ მის არსებობაზე ვიცით მხოლოდ იმ ფრაგმენტებით, რომლებიც ექსპონირებულია მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

8.1.3. ეგრისის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთის მონაკვეთის დაცვის სისტემა

ეგრისის სამეფო მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა. ეს ვრცელი ტერიტორია რელიეფით ძალიან განსხვავებულია. მისი ცენტრალური ნაწილი კოლხეთის დაბლობს უკავია, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ხაზები კი მაღალმთიანია და სამოძრაოდ მეტად ძნელი. რიონის მარცხენა მხარე საზღვრამდე მრავალფეროვანია. აქ მთებიც ბევრია, მაგრამ არა ისეთი ძნელად გადასალახავი, როგორც ლიხის მთებია და კავკასიონი. ცხადია, ასეთ რთულრელიეფიან ქვეყანას დაცვის სისტემაც რთული ექნებოდა. ამათგან ზოგი ცალკეული ძეგლი მეტ-ნაკლებად შესწავლილია, მაგრამ უმრავლესობა შეუსწავლელია და აღურიცხავიც ცოტა არ არის. ასეთი მდგომარეობის გამო, ჩვენ აქ სამეფოს დაცვის სისტემას მთლიანად ვერ წარმოვადგენთ. ნოქალაქევის ექსპედიციამ ზოგიერთი სიმაგრე შეისწავლა და ცხადია, მათზე გარკვეული აზრი შეიქმნა. ზოგისა კი მხოლოდ დაზვერვა, წინასწარი შესწავლა, მოახერხა. არის რამდენიმე ძეგლი, რომელიც კოლეგების მიერ არის შესწავლილი. ჩვენ ამ მასალით ვსარგებლობთ. ყველაფერი ზემონათქვამიდან გამომდინარე, ზოგად ხაზებში შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის ძეგლები, რომლებიც მდებარეობს აღმოსავლეთიდან ლიხის მთებზე გადმომავალი გზის დამცველად, დღევანდელი იმერეთის ტერიტორიაზე. ასევე, ერთგვარი წარმოდგენა შეგვექმნა ქვეყნის დაცვის იმ სისტემაზე, რომელიც განლაგებულია იმ ხაზზე, რომელიც დაახლოებით გადის კოლხეთის დაბლობისა და კავკასიონის მთების შეერთებაზე. ეტყობა, გათვალისწინებული იყო ქვეყნის პოლიტიკური სიტუაციები. მტრები ძირითადად შემოდიოდნენ სამხრეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან. ჩრდილოეთის ხაზი, კავკასიონის ქედი, უკეთ იყო ბუნებრივად დაცული, ვიდრე სხვა მხარეები. ციხეები აღმართულია ჩრდილოეთის იმ ხაზზე, რომელიც მთების ძირას გადის, ხეობების დასაწყისში. ბრძოლას თუ დაბლობზე წაგებდნენ, ჩრდილოეთით დაიხევდნენ და ხეობებს შეაფარებდნენ თავს. ხეობის დასაწყისში აგებული ციხე კი, ფარად აღუდგებოდა მტერს. ამ ხაზის საბოლოო დადგენას და თითოეული ობიექტის მონოგრაფიულად შესწავლას, კიდევ ხანგრძლივი დრო მოუნდება. ახლა კი ჩვენ ვიძლევით ეგრისის სამეფოს დასავლეთის მონაკვეთის ჩრდილო ხაზის დაცვითი სისტემის წინასწარული შესწავლის შედეგებს მოკლედ. ციხეთა შესწავლის ამ ეტაპზე ჩვენ შევეხებით აღმოსავლეთიდან (ცხენისწყლიდან) დასავლეთისაკენ, შემდეგ ობიექტებს: აბედათს, ნოქალაქევს, კოტიანეთს, შხეფს, „საკალანდარიშვილოს", ეკს, ჭაქვინჯს, სათანჯოს, სკურს, რეკას, წარჩეს და ასე შემდეგ კელასურ-სოხუმამდე.

აბედათი მდებარეობს ნოქალაქევიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ათიოდე კილომეტრზე. იგი ექსპედიციამ მიიჩნია იმ ციხედ, რომელიც ბიზანტიურ წყაროებში ონოგურისად არის ცნობილი.

ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი ვრცლად წერს იმპერატორ იუსტინიანეს დროს ლაზიკის ტერიტორიაზე სპარსეთისა და ბიზანტიის ომებზე. ამ ომების მსვლელობისას აგათია ბევრჯერ ახსენებს ონოგურისს, მაგრამ მისი მდებარეობა ზუსტად არა აქვს მითითებული. იმავე წყაროების მიხედვით ონოგურისი არის „არქეოპოლისის მიდამოებში... სასიმაგრო საფრად". როგორც ვხედავთ, აქ სრულიად გარკვევითაა ნათქვამი: პირველი — ონოგურისი არქეოპოლისის მიდამოებშია და მეორე — იგი არქეოპოლისის „საფარია".

ონოგურისის ციხეში სპარსელები იყვნენ გამაგრებულნი. ციხის აღებას, ალყით და დიდი ბრძოლებით, აპირებდნენ რომაელები, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, ციხე ვერ აიღეს და სამარცხვინოდ დამარცხდნენ.

იმავე ეპოქაში კიდევ რამდენიმეჯერ იხსენიება ონოგირისი, მაგრამ განსაკუთრებული არაფერია.

ციხე ვიწრო ხეობის ბოლოსაა, ახლანდელი სოფლის ჩრდილო განაპირას. იგი რთული და მრავალფეროვანი გეგმისა ყოფილა. ჩრდილოეთით და დასავლეთით მთებს ამყოლი კედლების ნაშთები იმდენად ფრაგმენტულია, რომ დიდი მასშტაბის სამუშაოების ჩატარების გარეშე, გარკვეული დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ის ციხე კი, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ მთის ფერდობის დავაკებაზე დგას. (ამ ობიექტზეც გათხრები არ დამთავრებულა).

ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა ციხის სამი ფენა მაინც. მთლიანად ციხე ახლა ორი გალავნისაგან შედგება. მთავარია ის, რომელიც ეზოს შემოფარგლავს 10-12 მეტრის სიმაღლის კედლებით. მისი გეგმა უწესო ტრაპეციის მაგვარია. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლები თუ სწორ კუთხეს ქმნიან, დასავლეთისა მომრგვალებულია და უერთდება ცერად მომავალ სამხრეთის გალავანს. ციხის სამხრეთისა და აღმოსავლეთის მონაკვეთი, მთის რელიეფის შესაბამისად, მეორე გალავნითაა შემოფარგლული. ფერდობს მიმყოლი ეს მეორე გალავანი, ზემოდან მიწის დონეზეა მორღვეული, მაგრამ ქვემოთ ათიოდე მეტრზე ჩადის. ამ ფერდობის მიმყოლ გალავანში ჩართულია კვადრატული გეგმის მქონე კოშკი. მისი პირველი სართული ყრუ კედლებითაა, ზედა ორ სართულს კი მცირე სარკმლები ანათებს. კედლებში კარი არ არის. იგი იქნებოდა ზემო დანგრეულ კედელში და შესვლა ფერდობიდან მოხდებოდა. მოძრაობა კი ზემოდან ქვემოთ იქნებოდა, რაც იშვიათად გვხვდება.

გათხრებით გამოვლენილი პირველი ციხის ნაშთები ისე ფრაგმენტულია, რომ ერთიანი სურათის წარმოდგენა შეუძლებელია. ერთი რამ აშკარად ირკვევა, მას ჭიშკარი ჩრდილოეთით ჰქონია და დასავლეთ-აღმოსავლეთით ღერძზე მეორეზე გრძელი ყოფილა. ჩრდილო-დასავლეთის რამდენიმე სართულიანი კოშკის პირველი ფენაც იმავე ადრეული ციხისაა. ეს კუთხე ციხისთავისთვის იქნებოდა განკუთვნილი. შემდეგში სამხრეთის გალავნის ცენტრში აუგიათ კოშკი, რომელიც რამდენიმე სართულიანი ყოფილა. პირველ სართულში იქნებოდა თაღოვანი გასასვლელი. ციხის ეზოში გამოვლინდა დიდი ზომის შენობის ნაშთი. შესაძლოა იგი ყოფილიყო სასახლე.

ციხის აღმოსავლეთით მდგარ დარბაზულ ეკლესიას გადახურვა ჩაქცეული აქვს. იგი აგებული ჩანს IX ს-ის მომდევნო ხანაში. საფიქრებელია, რომ ონოგურისის დიდ ციხეში თავიდანვე ყოფილიყო მცირე ზომის ეკლესია.

მეორე პერიოდის ციხე იმავე ადგილზეა, მაგრამ მასშტაბი გადიდებული აქვს. ეს განსაკუთრებით ითქმის სამხრეთის მხარეზე, სადაც მაღალ ფერდობს შემოუყვება მაღალი გალავანი კოშკით.

მეორე პერიოდის ციხის გალავნები შერჩენილი სიმაღლით ხუთი მეტრიდან 12 მეტრამდე. ამ სიმაღლეზე, ისე როგორც სხვა ადრე შუასაუკუნეების ციხეებში, ამბრაზურები არ არის. ციხეს გვიანსაუკუნეებში დადიანების დროსაც უმოქმედია და შხეფისა და ჭაქვინჯის ციხეების მსგავსად, სვანური ყაიდის თაღოვანი სალოდეები ამთავრებდა. ამ თაღების ნაშთები დასავლეთის გალავანშია.

პირველი ფენის ციხე და მეორეც, ფლეთილი ქვითაა ნაგები, მაგრამ წყობით პირველი გამოირჩევა.

ციხე არქეოლოგიური მონაცემებით ფეოდალური ხანის ბოლო პერიოდამდე მოქმედებდა. სწორედ უკანასკნელი საუკუნეების სახლების ნაშთები აღმოჩნდა ციხის გარეთ, აღმოსავლეთით და დასავლეთით. ეს ნაგებობები ხისა იყო, მხოლოდ კედლების ქვემოთ დაფენილი ჰქონდა ქვა. ამ ერთსათავსიან შენობებს ახლდა ქვითა და აგურით ნაგები ბუხარი.

ქვეყნის დაცვის ამ სისტემას დასავლეთით თუ გავყვებით, მომდევნო ობიექტია ნოქალაქევ-ციხეგოჯი. იგი, როგორც ქვეყნის დედაქალაქი, ჩვენ ადრეე აღვწერეთ, ამიტომ აქ გადავალთ შემდეგ ძეგლზე, კოტიანეთზე.

კოტიანეთი ნოქალაქევის დასავლეთით სამიოდე კილომეტრზეა. სოფელი ვაკეზეა გაშლილი. მის ჩრდილოეთის განაპირას იწყება მთები, რომლებიც თანდათანობით მაღლდება. ერთგან, 20-25 მეტრის სიმაღლეზე მდებარე მთის ქიმი შეურჩევიათ ციხის აღსამართად. ციხე პატარაა. იგი ცხადია დიდ ჯარს ვერ შეაჩერებდა, მაგრამ დაზვერვისათვის, სიტუაციათა გარკვევისათვის, სრულიად საკმარისი იყო.

ციხეს, მიუხედავად თავისი სიპატარაისა, სიმაგრისათვის ყველა საჭირო ელემენტი გააჩნია, კერძოდ: გალავანი, კოშკი და ეკლესია. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც იმ ეპოქის ეგრისის ციხეთა უმრავლესობას, ისე ამასაც განიერი და ღრმა თხრილი შემოუყვება. აქ მხოლოდ თხრილი კი არ იყო, არამედ თხრილი და მის წინ, იქიდან ამოღებული მიწით შექმნილი მიწაყრილი. ამ სისტემით მტერს ორი განსხვავებული ხაზი ჰქონდა გადასალახი.

ციხეს უწესო ოვალური გეგმა აქვს. მისი დასავლეთის ნაწილი ეზოა, ხოლო აღმოსავლეთისაზე დგას ეკლესია და კოშკი. ეკლესია მცირე ზომისაა, მაგრამ ციხის გარნიზონს დაკმაყოფილებდა. მას კარი დასავლეთით აქვს, ხოლო სარკმელი — აღმოსავლეთით. აფსიდში კოშკი კვადრატული გეგმისაა.

გადარჩენილია სარდაფი და პირველი სართულის ქვედა რიგები. კარი, ალბათ, ზემოთ იქნებოდა. ეკლესია და კოშკი ნატეხი და ნაწილობრივ თლილი ქვითაა ნაგები. გალავანი კი ნატეხი ქვითაა ნაგები. გალავანი შერჩენილია 1-1,5 მეტრის სიმაღლეზე, ამიტომ სიმაღლე და დაცვის სისტემა არ დგინდება.

ციხის შიგნით და გარეთ ჩატარებულმა გათხრებმა არქეოლოგიური მასალა აღრეული მოგვცა. როგორც ეტყობა, ციხემ სიცოცხლე ეგრისის სამეფოსთან ერთად დაამთავრა.

შხეფის ციხე არის შემდეგი ობიექტი ქვეყნის დაცვის იმ ხაზზე, რომელსაც ვიხილავთ. იგი მდებარეობს დღევანდელი სენაკი — მარტვილის გზის ჩრდილოეთით, სოფლის განაპირას, საკმაოდ მაღალ მთაზე. მაღლობზე შემდგარი ეს დიდი ციხე ისეთი შთამბეჭდავია, რომ მართლაც, მასზე ითქმის — იგი ამ მხარეზე ბატონობსო. ქვემოთ, სამხრეთით, იწყება კოლხეთის დაბლობი და შორს ზღვის ზოლიც კი იმზირება. ციხის მზვერავს დიდი მანძილზე არ გამოეპარებოდა მტრის მოძრაობა. ციხე ნაზარიდა. ოთხი სამშენებლო ფენა, დაწყებული IV ს-დან, XVIII ს-ით დამთავრებული, აშკარად ჩანს. მაგრამ არცერთი ფენა მთლიანად არ იკითხება. აქ ბევრი რამ იყო გასარკვევი, ამიტომ რამდენიმე წელს მიმდინარეობდა გათხრები, მაგრამ დასრულებული არ არის.

ციხე, ყველა მონაცემით, IV საუკუნიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე მოქმედი იყო. მასზე ისტორიული ცნობები მეტად მცირეა. ამათგან პირველად ვახუშტის ცნობას მოვიყვანთ: „უნაგირას მთის ძირზედ... შხეთის ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა". ამ ლაკონიური წინადადებიდან ვიგებთ, რომ ციხე XVIII ს. პირველ ნახევარშიც მოქმედი იყო და იქვე იდგა სასახლე დადიანისა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქ ცხოვრობდა სამეგრელოს მმართველი დადიანებიდან რომელიღაც უმცროსი შტოს წარმომადგენელი (მთავარი დადიანი ზუგდიდში იჯდა).

ფეოდალური სამყაროს ერთ-ერთ ტრაგედიას გადმოგვცემენ მატიანეები; ტახტისათვის ბრძოლას შეეწირა ბავშვი. ძმები გიორგი და მამია დადიანები ერთმანეთს ტახტს ეცილებოდნენ. გარდაიცვალა გიორგი (1582 წ.), ტახტი დარჩა მამიას, მაგრამ მოსვენებას არ აძლევდა გიორგის მემკვიდრე მცირეწლოვანი ლევანი. იგი „წაართუა დედასა მისსა, და წარმოიყვანა ყრმა იგი, და შხეფის ციხეში დაატყვევა ... ბავშვმა გარდმოიგდო თავი თუსი ციხისა მისგან და ესთე აღესრულა იგი".

მეორე ტრაგიკული ეპიზოდიც მამია დადიანთანაა დაკავშირებული. მამია არ მიშველებია იმერეთის მეფეს, რაცა იგი დაამარცხა ქართლის მეფე სვიმონმა. შურისძიების მიზნით იმერთა მეფე ოდიშს შეესია. „შეიყარა ამიერ მპყრობელი იმერეთისა ლევან, და იმიერ დადიანი მამია. ეწყუენ ურთიერთას და გაემარჯუა დადიანსა და შეიპყრა მპყრობელი იმერეთისა ლეონ, პყრობილ ყვეს იგი ოდიშის ციხესა შხეფისასა, და მუნ მოკუდა ლეონ".

ამდენი „ცოდვა" დასდებია შხეფის ციხეს, სულ რაღაც 2 თუ 3 წლის განმავლობაში და ციხის მთელი ცხოვრება თავიდან ბოლომდე აღრიცხული რომ იყოს, წარმოგიდგენიათ რამდენი რამ გვეცოდინებოდა?

მთის წვერზე მდგარ შხეფის ციხეზე სამხრეთის ციცაბოდან ასვლა ძნელი იქნებოდა. აღმოსავლეთის ვიწრო კლდოვანი გასასვლელი კედლით გადაუკეტიათ და ჭიშკარი დაუტანებიათ. ამ ჭიშკრის გავლით საურმე გზა ციხეს ჩრდილოეთის ფერდობიდან უდგება. როგორც ეგრისის სხვა ციხეებში, ისე აქაც, ციხეს სამი მხრიდან თხრილი და მიწაყრილი უვლიდა.

ციხის გეგმა აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზეა გაჭიმული, სხვადასხვა დონეზე განსხვავებული ეპოქების სამი ეზოა განლაგებული. რამდენადაც გათხრებით გამოვლინდა, თავდაპირველად აქ მდგარა ოთხკუთხა კოშკი მცირე გალავნით.

ასეთი პატარა, ორელემენტიანი, ყოფილა თავდაპირველად თვით ციხეგოჯი (ციტადელზე მდგარი „ჯიხა"), კოტიანეთი, ეკი და სხვები. შხეფის ციხის პირველი ფენა თუ სამეფოს არსებობის დასაწყისისაა, არც მეორე ფენაა მისგან შორს, ისიც IV ს-საა. მეორე ფენის კოშკი პირველი ფენის კოშკზეა დაშენებული. ძველი და ახალი კოშკიც გეგმით კვადრატს მიახლოებულია. ეს ახალი, ძლიერი მასშტაბური კოშკი, ჩართულია გალავანში, რომელიც ძირითადად მთის რელიეფს მიყვება და გეგმა სამკუთხედს უახლოვდება. გალავანს ნგრევა და აღდგენა რამდენიმეჯერ განუცდია. გალავნების ზედა ნაწილი ბევრგან ბოლო საუკუნეებისაა და სათოფეებითაა გაწყობილი.

ეზოს გალავანში მოქცეულია ორი კოშკი. ერთი მათგანი დიდია, მასიურია და ძველია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში მდგარი, გვიანი საუკუნეებისაა. პირამიდული მოყვანილობის ძველი კოშკიდან ოთხი სართულია დარჩენილი. პირველი სართული კარით მაღლაა. ზედა სამ სართულს სარკმლები მხოლოდ ეზოს მხარეზეა. ამ კოშკის იატაკის გათხრისას აღმოჩნდა დერგი, რომელშიც ეწყო — ზუთასამდე თოფის ჩასართავი კაჟი. ასეთი რაოდენობით თოფის ჩასართავი კაჟი, საქართველოს

სინამდვილეში, ერთადერთია. კოშკი ბოლო საუკუნეებში ორფერდად ყავარით ყოფილა გადახურული. თავდაპირველად კი იქნებოდა ქონგურებით შემოფარგლული ბანი.

გეიანი წარმოშობის ორსართულიანი ცილინდრული ფორმის კოშკი დგას ეზოს აღმოსავლეთის ბოლოში. მას ერთადერთი კარი ეზოდან მეორე სართულზე ახლავს. იმავე სართულზე სარკმლებიცაა და სათოფეებიც. კოშკის ბანი შემოფარგლულია, სვანური კოშკების მსგავსად, თაღოვანი სალოდეებით.

ციხეს თავისი ეკლესიაც ჰქონია. იგი იდგა მთავარ კოშკსა და ჩრდილოეთის გალავნით შექმნილ კუთხეში. მისგან დარჩენილია მხოლოდ საძირკველი.

ვახუშტის მიერ აღწერილი „სასახლე დადიანისა“ უნდა მდგარიყო ზედა ეზოს სამხრეთ-დასავლეთის მონაკვეთში. აქ ნანგრევებში გამოირჩეა შენობის კვალი, ბუხარი და ქვევრები მიწაში.

ზედა ეზოს დასავლეთის მონაკვეთი სამიოდე მეტრით დაბალ იწევს და დიდი განიერი კარით გადის სამხრეთით, პატარა, ოთხკუთხა მესამე ეზოში. ციხის ეს მონაკვეთიც რამდენიმეჯერაა გადაკეთებული. აქ არის IV-V საუკუნეებიც და გეიანიც. ახლა ციხეში დასავლეთიდანაა შესასვლელი, მაგრამ ეს შეიძლება ახალი იყოს. ნამდვილი კარი სამხრეთითაა, პირამიდული კოშკის გვერდით. კოშკის წინ ბოლო საუკუნეების სათოფეებიანი მესამე გალავანია. ამ ეზოს გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა ადრე გამოცემული და შემდეგ დაკარგული ასომთავრული წარწერა. წარწერა კოშკის ერთ ქვაზეა. იგი ასე იკითხება: „ქრისტე, კოშკი ესე კარის თუალი შედან აღაშენა, შეუნდოს ღმერთმან“. თუ ვინ არის შედანი, დადიანია თუ ჭილაძე, ბოლომდე არ არის გარკვეული, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი დადიანი უნდა იყოს.

კოშკის წყლით მომარაგების საკითხი ორიგინალურადაა გადაწყვეტილი. ციხის ზედა ეზოში, ორ კოშკს შორის აუზია, რომელიც წყაროთი იკვებება. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ საკმაოდ მაღალი მთის წვერზე წყაროა.

ამ აუზის წყალი, როცა ციხისათვის საკმაო არ იყო, მაშინ წყალსადენით მოუყვანიათ წყალი. ამ კერამიკული წყალსადენის კვალი ახლაც აქა-იქ ჩანს ჩრდილოეთით თითქმის კილომეტრნახევარზე.

„საკალანდარაშვილოს“ ციხე პირობითი სახელია იმ სიმაგრისა, რომელიც დგას ქ. სენაკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მთაზე, რამდენიმე კილომეტრის დაცილებით. მისი სახელი ადგილობრივთ არ შემოუნახავთ, ამიტომ ჩვენ დავარქვით ის სახელი, რომელიც ქალაქის ამ გარეუბანს ჰქვია. იმავე სახელს ატარებს იქვე მდგარი XIII ს. ეკლესიაც.

ციხეს მხოლოდ ერთი სიცოცხლე ჰქონია; მას უმსახურია ეგრისის სამეფოსათვის, IV-VIII საუკუნეებში.

თავშივე უნდა აღვნიშნოთ, რომ ციხე ტიპიური ეგრისულია, ყველაფერი რაც ახასიათებს ეგრისის ციხეებს, ახასიათებს ამ ობიექტსაც.

ციხისათვის მაღალი, გრძელი მთის ქედის ბოლო შემაღლებაა შერჩეული. ჩრდილოეთით ქარაფია, დანარჩენი მხარეები კი შემოვლებულია თხრილით და მიწაყრილით. თხრილი გალავანს კონცენტრულად მიუყვება. მიუხედავად იმისა, რომ თხრილისა და ციხის მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ ათას წელზე მეტია, იგი დღესაც შთამბეჭდავია. თხრილის სიღრმე 4-6 მ., ხოლო სიგანე 8-10 მეტრია. ცხადია, თხრილის ნაპირები თავდაპირველად ვერტიკალური იქნებოდა. ასეთი მკვეთრი პროფილის მქონე თხრილის გადაკვეთას მტრის ჯარიდან ცხენოსანი ვერ შეძლებდა, ხოლო ქვეითი ძნელად გადალახავდა. მტერი ამ ზღუდეს გადალახავდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამცველს დაცვის ყოველგვარი იარაღი გამოელეოდა.

ციხე შედგება ერთი კოშკისა და ორი გალავნისაგან. პირველი მცირე გალავანი კოშკს ორი მხრიდან შემოსაზღვრავს, ხოლო მეორე გალავანი კოშკს შორით უვლის და მას წრიულად შემოსაზღვრავს (გალავნის მაქსიმალური ზომებია: 23X26 მ.). კვადრატული გეგმის მქონე დაზიანებული კოშკიდან, გადარჩენილია სამი სართული. პირველი სართული კამაროვანი გადახურვითაა, ზედა ორი კი — კოჭოვანი იყო. კარი მეორე სართულზე პატარა ეზოში გადიოდა. კოშკი შემოსილია მოზრდილი ზომის თლილი ქვით. გალავანი კი დიდი ზომის ტეხილი ქვითაა ნაშენი. ნაგებობებზე შეიძლება პირდაპირ ვთქვათ — ეგრულია. გალავნის სიმაღლე ზოგად 5-6 მეტრამდეა გადარჩენილი.

ეკის ციხე მდინარე ცივის ხეობაშია, სენაკიდან ათიოდე კილომეტრზე, გზის მარცხენა მხარეს: მაღალი მთის წვერზე დგას ციხე, რომელსაც ადგილობრივნი, „ჯიხას“ (ციხეს) უწოდებენ. ადგილი ტყიანია და ციხის დათვალიერება სრულად ვერ ხერხდება. აქ ვიძლევით მხოლოდ წინასწარულ დასკვნებს.

ციხე აქაც შედგება გალავნისა და ერთი კოშკისაგან. ციხეს გარს უვლის თხრილი და მიწაყრილი. კოშკი დიდი ზომისაა, ოთხკუთხა. ნაწილობრივ შერჩენილია სამი სართული. სარკმლები, ან სხვა

ამბრაზურები არ შერჩენილა. კარი მეორე სართულზე ეზოს მხარეზე აქონია. კოშკისა და გალავნის მოპირკეთება სანახევროდ დამუშავებული ქვით ტიპიურია ადრეული ეპოქისათვის. ქვის წყობაც ასევე ტიპიურია: ქვის ზომები ქვემოდან ზემოთკენ მცირდება. გალავანი, რომელიც კოშკს ირგვლივ უელის ძალიანაა დაზიანებული. ხოლო რაც შეეხება თხრილს, იგი ადრე განხილული ციხეებისგან განსხვავებით აქ უფრო დიდი ფრონტითაა გაშლილი. თხრილის ხაზი კოშკს 20-25 მეტრითაა დაცილებული. ეს ციხე ზომებით გაცილებით სჭარბობს კოტიანეთისა და „საკალანდარაშვილოს" ციხეებს.

ჭაქვინჯის ციხე დიდი და მნიშვნელოვანი ძეგლია. იგი მდებარეობს ზუგდიდის რაიონში, ცენტრიდან ჩრდილოეთით, თხუთმეტ კილომეტრზე. მაღალ მთებში მისთვის ადგილი ისე მოხერხებულადაა შერჩეული, რომ იქ მჯდომი ძალიან დიდ მანძილზე ხვერავდა. ქვემოთ, შორს, კოლხეთის დაბლობი მოჩანს და მზიან ამინდში, საღამოჟამს, ზღვაც კი აირეკლება.

ციხე ძლიერ დაზიანებულია. ნანგრევებში არამცთუ თავდაპირველი სახის დადგენა, არამედ ზოგჯერ კედლების მიმართულების გარკვევაც შეუძლებელია. ისტორიულ წყაროებში იგი XVII საუკუნიდან იხსენიება. ეს ცნობები ძალზე ცოტას გვაძლევს, რადგან ციხემ თხუთმეტი საუკუნე იარსება და ამ ხნის განმავლობაში მას ცხოვრების დიდი გზა ექნებოდა გავლილი. ამ ობიექტზე ორი წელი ვაწარმოეთ გათხრები, რომელმაც ზოგი რამ გაარკვია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გაირკვა – ციხე ძირითადად შედგება ორი ნაწილისაგან, ერთია ციტადელი და მეორე მასთან დაკავშირებული ქვედა ციხე, დიდი ფართობით. ციტადელს, ჩვეულებისამებრ, მთის მაღლობი ეკავა, ხოლო მასზე მობმული ციხის დიდი ეზო ჩრდილოეთით რთულ რელიეფზეა. გათხრების შედეგად ამ ეზოს გეგმა თითქმის აღდგა. გალავნისგან თუ კეალია დარჩენილი, ჩრდილოეთის ბოლოს მდგარი კოშკიდან ორიოდე მეტრის სიმაღლის კედლებია. ამ გალავანში ჩართული ყოფილა ჩრდილოეთით წყარო. გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთის მონაკვეთში მდგარი კოშკი საგანგებო დანიშნულებისა გახლდათ. იგი აგებულია გვირაბთან ერთად. საკმაოდ მაღალი და განიერი გვირაბი ციტადელს უკავშირდება. იგი გარნიზონის შიდა სამოძრაოდ იქნებოდა განკუთვნილი. რთული სვლებით კი, გარემოცვის დროს, კოშკიდან შეეძლოთ მოულოდნელი თავდასხმა მოეწყოთ. ციტადელი ძირითადად თუ IV-V საუკუნეებისაა, გვირაბი და კოშკი XV-XVI საუკუნეებისაა.

ციხის განხილვამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ აქ ძირითადად სამი ქრონოლოგიური ფენაა – ადრეშუასაუკუნეებისა, მოწიფული ფეოდალური ხანისა და გვიანი საუკუნეებისა. ბოლო პერიოდის ციხის ისტორია უშუალოდ დაკავშირებულია დადიანებთან. სამეგრელოს მთავრის, დადიანის, რეზიდენცია ზუგდიდში იყო, მაგრამ უმცროსი შტოს წარმომადგენლები ცხოვრობდნენ სხვადასხვა ადგილებში. ამათგან ერთ-ერთი იყო ჭაქვინჯი.

ციტადელის ტერიტორიის მთლიანი გათხრების შემდეგ, სამშენებლო ფენები გაიმიჯნა. იგი განლაგებულია გრძელ, ელიფსურ გორაზე. მშენებლებს კარგად გაუთვლიათ რელიეფის თავისებურება. ძნელად მისადგომ მხარეებზე გალავნებით დაკმაყოფილებულან, ხოლო ჩრდილოეთით, სადაც ადვილი მისადგომია, გალავანში სამი კოშკი ჩაურთავთ. ყველაფერი ეს შეიძლება დათარიღდეს ეგრისის სამეფოს საწყისი პერიოდით – IV-V საუკუნეებით. ამ ფენამ მომდევნო ეპოქებში რამდენიმეჯერ იცვალა სახე, მაგრამ ძირითადი შენარჩუნებული იქნა.

შესამჩნევი რეკონსტრუქცია განიცადა ციხემ XIII-XIV სს. ძლიერი მტრის დარტყმებმა ციხე მეტად დააზიანა. ციტადელის აღმოსავლეთის ბოლოში აშენდა ერთი კოშკი, ხოლო ჩრდილოეთით შუა კოშკი ხელახლა აიგო. იმავე ხაზზე მდებარე განაპირა კოშკები შესამჩნევად გადაკეთდა.

მომდევნო საუკუნეებში მტრის შემოსევები ხშირდება, რაც იწვევს ციხის დაზიანებასაც. დიდი აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს XVI ს-დან.

ამ ეპოქის სარესტავრაციო და დამატებითი სამუშაოები თითქმის ყველგან ჩანს. განსაკუთრებით ეს ემჩნევა სამხრეთის გალავნის ხაზს. აქ XVI-XVII საუკუნეებშია დამატებული სათოფეებიანი ფენა.

გათხრებმა ციტადელის ეზოში აგრეთვე გამოავლინა პალატი და ეკლესია. არის რამდენიმე ნაგებობის ნაშთიც. ქვევრებიც ბლომადაა ეზოში.

პალატი სამხრეთის გალავანთანაა. მისგან დარჩენილია ერთი მეტრის სიმაღლის კედლები. მას კარი ჩრდილოეთით ჰქონია. მისი გეგმა გრძელი ოთხკუთხედია, შუაზე ორი სვეტით. ესენი კამარებს იმაგრებდნენ. პირველი სართული დამხმარე უნდა ყოფილიყო, მეორე სართული კი საცხოვრებელი იქნებოდა.

ციტადელის აღმოსავლეთის მონაკვეთში, გარნიზონისა და შიგ მცხოვრებთათვის მცირე ზომის დარბაზული ეკლესია აუგიათ. იგი გარედან თლილი ქვის კვადრებით შეუმოსავთ. სამხრეთისა და დასავლეთის ფასადები ლილვებიანი თაღედით შეუმოსავთ. იგი XIII-XIV ს-თა მიჯნით თარიღდება.

ციხეს ერთი განსაკუთრებული დეტალიც ახლავს. ესაა — ჭა.

ციხის მშენებლის წინაშე, წყლით მომარაგების საკითხი, ყოველთვის პირველ რიგში იდგა. მშენებლები ამაზე წინასწარ ფიქრობდნენ და ეძებდნენ ისეთ ადგილს, რომელიც სტრატეგიულად გამართლებული იქნებოდა და წყაროც შიგ ექნებოდათ. თუ ასეთი ადგილი არ იყო, მაშინ მდინარის პირას დგამდნენ ციხეს და წყლამდე გვირაბი გაჰყავდათ. თუ ასეთიც არ იყო, მაშინ ჭას თხრიდნენ ეზოში. ჭა ადვილი გასათხრელი იყო ვაკეზე, დაბლობზე, მაგრამ მთაზე შეუძლებელი, ან ძნელი. ჭაქინჯაში ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ციტადელი, რადგან მთაზე დგას, ჭა მეტად ღრმა უნდა ყოფილიყო. აქ ასეც მოქცეულან. ციტადელის ცენტრში არსებული ჭა ალბათ ღრმა, 40-50 მეტრის სიღრმისა უნდა ყოფილიყო.

ციხის სახელიც ამ ჭიდან უნდა მომდინარეობდეს. მისი სახელი: „ჭაქინჯი" ქართულად ითარგმნება, როგორც „ჭის ძირი".

გვიან საუკუნეებში, როცა ციტადელის ჩრდილოეთით ვრცელი გალავანი ააშენეს, მაშინ იქვე ხეში მომდინარე წყაროო გალავანში მოაქციეს.

სათანჯოს ციხეს მდ. ენგურის მარჯვენა მხარეს ისეთი მაღალი მთის წვერი უჭირავს, რომ აქედან კოლხეთის მეტად დიდი ფართობი იმზირება. კოლხეთში ასეთი დიდი მასშტაბის სადაზვერვო პუნქტი სხვა არ გვეგულება. სამწუხაროდ სათანჯოს ციხის როლზე, მის მიერ გადახდილ ომებზე, არაფერია ცნობილი.

მიუხედავად კოლოსალური ნანგრევებისა, ციხის პირველივე დათვალიერება გვიჩვენებს, რომ ციხე ეგრისის დაცვის იმ ხაზის ერთ-ერთი ობიექტია, რომელსაც ჩვენ აბედათიდან (ონოგურისიდან) მოვსდევთ. ციხის მდებარეობა, კედლების წყობა, მის ირგვლივ გამავალი ორი თხრილი, აშკარად მიუთითებს ადრეულ საუკუნეებზე.

ციხის გალავანი მოპირკეთებული ყოფილა პატარა ზომის თლილი ქვით (რბილი მიწის გამო ქვა თითქმის ჩამოცვენილია). ციხის ეზოში ისევ ნანგრევები დახვავებული, რომ დეტალების გარკვევა შეუძლებელია. მაღალი, მასშტაბური გალავანი საოცარ შთაბეჭდილებას ტოვებს.

გალავნის სიმაღლე ზოგან 5-7 მეტრზეა შერჩენილი, მაგრამ ქონგურები არსად არ ჩანს.

აღმოსავლეთის გალავანში ჩართული კოშკიც მეტად დაზიანებულია. მას თავიც მორღვეული აქვს, რის გამოც სართულიანობა არ დგინდება. ახლა ჩანს სამი სართული. კარებისა და სარკმლების საპირეები ისევ მოშლილი, რომ მათი ზომების დადგენა შეუძლებელია. საერთო შთაბეჭდილებით ამბრაზურებს სწორკუთხა ფორმები უნდა ჰქონოდათ. პირველ სართულზე ერთი კარისა და სამ გვერდზე თითო სარკმლის ნაშთია. ზედა სართულზე ყოველ მხარეს თითო სარკმელი უნდა ყოფილიყო.

ციხეს კიდევ ერთი დეტალი აქვს: ესაა ირგვლივ გამავალი თხრილი (სინამდვილეში თხრილი სამი მხრიდანაა, რადგან მეოთხე მხარე ფლატეა). ასეთი მაგალითები ჩვენ ვნახეთ: ნოქალაქევში (ციტადელის მთავარ კოშკზე), კოტიანეთში, შხეფში, „საკალანდარაშვილოში", ეკში და სხვაგან.

სკურის ციხე მდებარეობს მდ. ჭანისწყლის ვიწრო ხეობის სათავეებისაკენ. ის ადგილი სადაც ციხეა ვაკეა, მაგრამ ჩრდილოეთით და გვერდებზე დიდი და მაღალი მთებია. ამ ხეობას თუ აეუყვებით, სვანეთის სოფელ ხაიშში მოვხვდებით.

სკურის ეს პატარა ციხე საყარაულოა, სადაზვერვოა, მაგრამ თუ ვისგან იცავდა, დღეს ძნელი დასადგენია. ამ ციხეს შეეძლო დაზვერა როგორც ქვევიდან ზემოთკენ მიმავალნი, ისე — პირიქით. მტერი ხომ ბლომად გვყავდა, მაგრამ შიგაც როდი იყო ყოველთვის სიამტკბილობა.

ციხე ერთი კოშკისა და მის ირგვლივ გამავალი გალავნისაგან შედგება. ძეგლი დანგრეულია და მის გაწმენდამდე დარჩენილის ზუსტად დადგენაც არ შეიძლება.

კოშკი ერთ ბოლოს ნახევარი წრით მთავრდება. იგი მასიურია. კოშკი ზომით დიდია (12X12). ასეთი ზომის კოშკი იშვიათობას წარმოადგენს. მისგან ნაწილობრივ გადარჩენილია ორი სართული. პირველი სართული ჩახერგილია ზედა სართულების ნანგრევებით, ამიტომ რა ხდება შიგნით არ ჩანს. პირველი სართულის ერთადერთი სარკმელია გადარჩენილი. იგი გარედან ჩანს და ისეთი ჭრილი აქვს, რომ აშკარად ჭერქვეშ იყო მოთავსებული.

კედლები ნაგებია თლილი ქვით, სადაც წყობა ორიგინალურია: დიდი ზომის ქვები ჩასმულია წერილ ქვებს შორის. ასეთი წყობა დამახასიათებელია იმავე ხეობაში მდებარე ჭაქვინჯის ციხის პირველი სამშენებლო ფენისათვის.

ციხის გალავანი 1-1,5 მეტრის სიმაღლეზეა გადარჩენილი. მისი ქვის წყობა კოშკისას იმეორებს, მხოლოდ ქვის დამუშავებითა და წყობით ჩამოუვარდება მას. ციხის გეგმის მოხაზულობა კოშკისას იმეორებს, ე. ი. ერთი მხარე სწორხაზოვანია, მოპირდაპირე კი — წრიული.

გალავნისა და კოშკის კომპოზიცია, კედლების წყობა და საერთო გადაწყვეტა, აშკარად ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბების პირველი პერიოდისაა.

რეკას ციხე მდებარეობს სოხუმისკენ მიმავალი გზატკეცილის ჩრდილოეთით, ათიოდე კილომეტრზე. იგი ფაქტიურად ეგრისწყლის ხეობის დაცვას ემსახურება, მაგრამ იმავე დროს, ქვეყნის დაცვის სისტემაში იყო ჩართული.

სოფელი რეკა მთაგორიან მონაკვეთზე მდებარეობს და დიდადაა გაშლილი. მისი ნაწილები ერთმანეთს ვერა ხედავენ. ამჟამად სოფელში სამი ციხის ნანგრევია. როგორც ეტყობა, ეს პუნქტი სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი ყოფილა, რომ ასე საგულდაგულოდ გაუმაგრებიათ.

სოფლის ზემოთ, ხეობის დასაწყისში მდებარე ციხიდან, მხოლოდ გალავნის ფრაგმენტებია დარჩენილი და გეგმაც მთლიანად არ იკითხება.

მეორე ციხე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, განაპირასაა და მისი ტერიტორია მთლიანად ტყითაა დაფარული. ციხე ისეა დანგრეული, რომ მხოლოდ გეგმის მოხაზულობის დადგენა ხერხდება. თავისთავად, ციხე მცირე შემაღლებაზეა და როგორც ეტყობა, მას ბუნებრივად მიუდგომელი პოზიცია არ ეკავა. მისი გეგმა მოგრძოა, უსწორო მოხაზულობით. გალავანი დაღმართისაკენ მცირე ზომის კონტრფორსებითაა გამაგრებული. ნანგრევებში ჭიშკარი, ან კარი არ ჩანს.

ციხის გალავნის გაყოლებაზე კოშკიც არ ჩანს. ერთი ნახევარწრიული შვერილი ჩანს დასავლეთით, ეკლესიის პირდაპირ.

ციხის ეზოში დარბაზული ეკლესიის ნანგრევია. უკეთაა შერჩენილი მისი დასავლეთის კედელი, სადაც ჩანს კარი და მის ზემოთ — სარკმელი. ნაგებია საშუალო ზომის ფლეთილი ქვით.

ციხე იდგა მაღალ მთაზე. მთა ფაქტიურად, კონგლომერატისაგან შედგება და დახსნილია. ზოგიერთ კლდის ნაწილს ნაგებობაც გაყოლია. ყველაფერი ეს ხელს უშლის ციხის თავდაპირველი სახის წარმოდგენას.

ციხის საერთო მონახაზი, ასე ზედაპირული დაკვირვებით, მოგრძო, ოვალს მიახლოებული მრავალგვერდა ყოფილა. ციხე გარედან საკმაოდ ძნელი მისადგომია. ციხე ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგება. დასავლეთის მონაკვეთში ჭიშკარია. იქვე, ცენტრში, სწორკუთხა საკურთხevლიანი დარბაზული ეკლესია დგას. იგი დაზიანებულია. საერთო შთაბეჭდილებით ეკლესია XIV ს-საა. ეტყობა, აქ სიცოცხლე დიდხანს გაგრძელებულა.

წარჩეს ციხე მდებარეობს მდ. წარჩეს მარჯვენა მხარეს, ხოლო სოფელი მეორე მხარესაა. ამ მაღალი მთის წვერიდან ციხე შორ მანძილზე ბატონობს. ციხე დაზიანებულია და ამიტომ ძნელია თავდაპირველი სახის წარმოდგენა.;

ციხის გალავანზე მთის წვერის რელიეფს მიყვება, ამიტომ მისი გეგმა უწესო ფორმის ელიფსურია. სამხრეთის მხარე კლდის ზოლს მიყვებოდა და ბევრგან ძირი გამოცლია და ჩანგრეულა. თითქმის იგივე სურათია აღმოსავლეთით. ერთადერთი ჩრდილოეთი რკალია 7-8 მეტრის სიმაღლეზე შერჩენილი. შუაში ქვის ვიწრო კიბეა, ნოქალაქევის მსგავსად, გალავანზე გამავალ საბრძოლო ბილიკზე ასასვლელად. ორ მეტრამდე სისქის გალავანზე საბრძოლო ბილიკი კარგად გაიმართებოდა.

ციხის ორივე ბოლო ძლიერ დარღვეულია, ამიტომ თავდაპირველი სახის წარმოდგენა შეუძლებელია. ერთი კი ცხადია — აღმოსავლეთის ბოლოში კოშკი თუ სხვა ნაგებობა მდგარა.

ციხის დასავლეთის ბოლოში უფრო დიდი მასა კი არის შერჩენილი, მაგრამ დაზიანების გამო აქაც გაურკვეველობაა. ციხის ამ სვეტში დიდი მასაა, რომლის ზემოთ, 6-7 მეტრის სიმაღლეზე, დადგმულია ტრაპეციული გეგმის მქონე კოშკი თუ რაღაც ნაგებობა. ამ უკანასკნელის ქვედა ნაწილია შერჩენილი.

არის კიდევ ერთი დეტალი, ესაა წყალსაცავი, რომელიც მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთის მონაკვეთში. იგი თითქმის ამოსებულია. მისი კედლები წყლის შესანახად კარგად, მკვრივადაა შელესილი.

მართალია, ციხეზე ისტორიულ წყაროებში არაფერია ნათქვამი, მას არც წარწერა ახლავს, მაგრამ ყველა მონაცემით ადრეული ციხეა. იგი ეგრისის სამეფოს ციხეთა ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია.

8.2. სამეგრელოს გვიანი შუა საუკუნეების ხანის ციხე-სიმაგრეები

რუხის ციხე უზარმაზარი ნაგებობაა. ერთი შეხედვით მისი აგება თითქოს შეუძლებელი იყო გვიანფეოდალურ სამეგრელოში, მაგრამ როგორც ცნობილია, ციხის აგება ყოველთვის დამოკიდებული იყო იმ აუცილებლობაზე, რომელსაც კარნახობდა ეპოქა. ქვეყნის შემომტკიცებისათვის მებრძოლი და გაძლიერების მოსურნე ლევან II დადიანი იძულებული იყო ეზრუნა თავდაცვისათვის, რადგანაც მას არა მარტო ისეთი დიდი მტერი ჰყავდა, როგორიც იყო ოსმალეთი, რომელიც თავისთავად შორს იყო, არამედ მისი უშუალო მეზობლები — იმერეთი, აფხაზეთი და გურია პოტენციურ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდნენ. მან თავისი მთავრობის გრძელ მანძილზე თითოეულ მათგანთან არაერთი ბრძოლა გადაიხადა. ბრძოლა მიმდინარეობდა არა მარტო სხვის ტერიტორიაზე, არამედ ხშირად საკუთარ ტერიტორიაზე. ასეთი პირობებისათვის სულ სხვა ტიპის ციხეები იყო საჭირო, ვიდრე ადრეული ეპოქებისათვის. იქვე, ისევ სამეგრელოს ტერიტორიაზე, გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ციხეები მაღალ მთებზეა წარმოდგენილი. ასეთებიდან შეიძლება დავასახელოთ — ნოქალაქევი, შხეფი, სენაკი (თავდაპირველი სახელი უცნობია), ეკი, სათანჯო და კიდევ ვინ იცის რამდენი, რომელთაც ჩვენამდე არ მოუღწევია, ეს ციხეები განლაგებულია კოლხიდის დაბლობის მოსაზღვრე მთებზე და როგორც ეტყობა, აღნიშნული ციხეები მთების განაპირა ზოლს მიჰყვება. თითოეული მათგანი კოლხეთის დაცემულ ადგილზე ბატონობს და ამავე დროს მთებში მიმავალ გზებს დარაჯობს, ხეობებს განაგებს.

აქ აღნიშნულის გარდა, რუხის ციხეს ადრეფეოდალური ხანის ციხეებისაგან მრავალი რამ განასხვავებს. ამას ჩვენ ქვემოთ, სათანადო ადგილას აღვნიშნავთ.

რუხის ციხის ისტორიაზე ცოტა რამ ვიცით. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში რუხი არ არის გამონაკლისი, სხვა ციხეებზეც ან მინიმალური ცნობები გვაქვს, ან სულ არაფერი.

რუხთან გამართული ერთ-ერთი ბრძოლის შესახებ ვიგებთ ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენისაგან. იგი ჩამოსვლის პირველ ხანებში იტალიელ მისიონერებთან ცხოვრობდა და ემზადებოდა აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსასვლელად. ამ დროს, კერძოდ, 1672 წლის ოქტომბრის ბოლოს, თათრები შემოესივნენ სამეგრელოს. შარდენის სიტყვით: „ყველანი გასახიზნად მოვემზადენით. შუაღამისას ორჯერ გავიგონეთ ზარბაზნის ხმა: ეს იმის ნიშანი იყო, რომ მტერი მოუახლოვდა რუხის ციხეს. თვით ზარბაზნების სროლა ამ ციხიდან ისმოდა. რაკი ეს შეიტყო ხალხმა, დაიწყო გახიზვნა. მიჰქონდათ და მიჰყავდათ თან ტყეებში და სიმაგრეებში ყველაფერი, რის წაღებაც და წაყვანაც კი შეეძლოთ". ამის შემდეგ შარდენი აღწერს, თუ რა საცოდაობა იყო ქალების, ბავშვებისა და მოხუცების სვლა გასახიზნავად. ბოლოს, თვითონ მან სხვებთან ერთად ტყეში მდგარ რომელიღაც ციხეს შეაფარა თავი (მისი სიტყვით ციხე მაგარი იყო. ციხის პატრონს „საბათარი" ერქვა. თუ ციხის ზომებს და გაელილ მანძილს მივიღებთ მხედველობაში, ის ჭაქვინჯის ციხე უნდა ყოფილიყო).

ოსმალები როდესაც სამეგრელოში შემოიჭრნენ, მაშინ ლევან III დადიანს ყველაზე საიმედო სიმაგრედ რუხი მიუჩნევია და შიგ გამაგრებულა. ოსმალთა ჯარის უფროსს სამჯერ მიუცია წინადადება ლევანისათვის, რომ დამორჩილებოდა, მაგრამ იგი არ დაჰყოლია. შარდენის ცნობით „ოსმალოებმა რუხის ციხის წინ ოთხი დღე დაჰყვეს, შეიპყრეს ორ ათასზე მეტი ტყვე, აიღეს მრავალი დავლა და ბოლოს უკან დაბრუნდნენ. ოსმალებს არტილერია არ ჰქონდათ და ამან შეუშალა მათ ციხეზე იერიშის მიტანა". ამის შემდეგ თვით შარდენი მიდის სამეგრელოდან ჯერ ანაკლიაში, შემდეგ გონიოში და იქიდან აღმოსავლეთ საქართველოში, ამიტომ ციხეზე სხვა ცნობა მას არ მოეპოვება.

მომდევნო ცნობა რუხის ციხის შესახებ ეკუთვნის XVIII ს. დასაწყისს. „ახალი ქართლის ცხოვრების" მესამე ტექსტის ავტორის ცნობით ის „ზარბაზნები დიდ-დიდნი, სახელოვანნი", რომლებიც

XVI ს. ბოლოს ოფიშკეთში ქართლის მეფე სიმონთან ბრძოლის დროს დადიანს დარჩა, „აწცა არს ზუგდიდს, და უდიდეს ზარბაზანი ერთი არს რუხს დღესაცა". როდის გადაიტანეს ის ზარბაზანი რუხში, ცნობილი არ არის. ფაქტი მხოლოდ ის არის, რომ იგი XVIII ს. დასაწყისში უკვე ამ ციხეში ძევს.

ვახუშტის ცნობით, რუხის ციხე „შემუსრეს ოსმალთა წელსა ჩღკე (1725 წ.)... და ამის ქვით აღაშენეს ანაკლია უმტკიცესად". ოსმალნი სამეგრელოში ძვირი სტუმარნი არ იყვნენ, ამიტომ არ არის გასაკვირი, თუ მათ ერთ-ერთი შემოსევის დროს რუხის ციხე დაანგრიეს. ამ ცნობიდან, სამწუხაროდ, არ ირკვევა, თუ რამდენად დაზიანდა ციხე. ცხადია, იგი მთლიანად არ დანგრეულა, რადგანაც მისი კედლები ახლაც კი მასიური და შთამბეჭდავია. ხოლო რაც შეეხება ვახუშტის ცნობის მეორე ნაწილს, იგი ჩვენთვის გაუგებარია, რადგან რუხის ციხე მდ. ენგურიდან ამოტანილი რიყის ქვითაა ნაგები. ეს მდინარე კი ანაკლიას ისევე ჩაუდის, როგორც რუხს. ამიტომ აზრი არ ჰქონდა რუხის დანგრევას და იქიდან რიყის ქვის გადაზიდვას ანაკლიაში (მანძილი 20 კმ-ს აღემატება). შესაძლოა, რუხის ციხის შიგნით თლილი ქვის ნაგებობები იდგა. მაშინ მათი ქვის წაღება არ იქნებოდა ურიგო.

მომდევნო პერიოდში, როგორც მოსალოდნელი იყო, რუხის ციხე შეუკეთებიათ. თუ როდის მოხდა ეს, ამაზე ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ მნიშვნელოვან ციხეს დიდხანს უმოქმედოდ არავინ დატოვებდა, მას პირველი შესაძლებლობისთანავე აღადგენდნენ.

1769 წ. დაწყებული რუსეთ-ოსმალეთის ომში ერთგვარი მონაწილეობა რუხის ციხესაც მიუღია. ცნობილია, რომ ამ დროს თურქეთი დასავლეთ საქართველოში თარეშობდა და მთავარი ციხე-სიმაგრეები მის ხელში იყო. 1770 წელს, როდესაც გენერალ ტოტლებენის სარდლობით რუსეთის ჯარი დასავლეთ საქართველოში ადგილობრივ მეფე-მთავართა ძალებთან ერთად მოქმედებდა, მათ რუხის ციხეც ხელთ უგდიათ.

რუხის ციხე უზარმაზარ ნაგებობას წარმოადგენს (მისი მაქსიმალური შიდა სიგრძე 100 მეტრია, ხოლო საერთო სიგანე — 80 მ). ასეთი დიდი ციხე მეორე არ მდგარა სადადიანოში. როგორც ეტყობა, იგი იყო ამ სამთავროს საიმედო დასაყრდენი. ამას ისტორიული ცნობებიც მეტყველებს, რადგანაც გვიანფეოდალური სამეგრელოს სიმაგრეებიდან თუ რომელიმე იხსენიება, ეს მხოლოდ რუხია.

ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ისიც ვიცით, რომ მტრის შემოსევისა და დიდი გაჭირვების დროს დადიანები რუხში არიან გამაგრებულნი, იგი არის მათი საიმედო დასაყრდენი.

ციხე მდებარეობდა მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირას (ორმოციანი წლების შუა ხანებში აგებული დიდი ხიდის მშენებლობისას მდინარის კალაპოტი დაუვიწროებიათ და ამჟამად მდინარე 300-400 მეტრითაა დაცილებული ციხისაგან). რთულ რელიეფზე მდგარი ციხის ჩრდილოეთის მხარე მაღლობზეა წამომდგარი. სწორედ აქეთ მხარეს უვლის მდინარე ციხეს და ამიტომ იგი ყველაზე დაცულიცაა. სიმაგრის მშენებლებს ეს მომენტი კარგად გაუთვალისწინებიათ და ციტადელი ამ შემაღლებაზე გაუმართავთ.

ციხე, მართალია, რთულ რელიეფზე დგას, მაგრამ მის მშენებლებს შეეძლოთ გალავნის ცალკეული მონაკვეთები სწორი ხაზებით წაეყვანათ. მაგრამ ასეთი მიზანი მშენებელს არ ჰქონია და ციხეს თავისუფალი მოხაზულობა მისცა. ციტადელის ტერიტორიას განსაზღვრავდა თვით გორაკის ფართობი. ქვედა ციხის კედლებს კი იგი თავისუფლად შლის და ვრცელ მონაკვეთს შემოფარგლავს (ქვედა ციხის ფართობი 5000 კვადრატულ მეტრს აღემატება).

ციხის დასავლეთის კუთხეში, გადმოცემით, წყარო ყოფილა. ახლა ამ ადგილზე მცირე ჩაღრმავებაა. მის პირდაპირ გალავანი გარედან დიდადაა გამონგრეული, შესაძლოა

აქ წყლის გამოსასვლელად მცირე ხვრელები ყოფილიყო და მტერს მისი გაფართოება მოენდომებინოს.

როგორც აღვნიშნეთ, ციხე შედგება ციტადელისა და ქვედა ეზოსაგან. ჩვეულებრისამებრ, ციხეში შესასვლელი მხოლოდ ქვედა ეზოშია, მაგრამ შესასვლელი უბრალოდ კი არ არის გადაწყვეტილი, არამედ ჭიშკარი მოწყობილია დიდი კოშკის პირველ სართულში. თანაც შესასვლელი უფრო საიმედოდ რომ ყოფილიყო დაცული, ამისათვის ჭიშკარი ორმაგი გაუკეთებიათ. პირველი კარი კოშკის გარე ხაზზე მოწყობილი მსხვილი ურდულით იკეტებოდა. მეორე კარი, ისევ მსხვილი ურდულით, მოთავსებული ყოფილა შუა ხაზზე პილასტრების მიდამოებში. მტრისათვის ასეთი ორი წინააღმდეგობის გადალახვა საკმაოდ ძნელი იქნებოდა. კოშკის გასასვლელი კამაროვანია. თვით კამარა სამ წყვილ პილასტრზე დაბჯენილ თაღებზე ეყრდნობა. კამარა და თაღები შეისრული ფორმისაა დამჯდარი ცენტრით. ასეთი თაღი კეთდებოდა მხოლოდ გვიანფეოდალური ხანის უკანასკნელ მონაკვეთში, კერძოდ XVI-XVIII სს.

ციხეში შესასვლელის თავზე აღმართული კოშკის გეგმა გრძელი სწორკუთხედია, მისი მასა ოდნავ ზემოთკენ ვიწროვდება. კოშკის ქვედა ნაწილში თუ გადასასვლელია მოწყობილი, ზედა ტანი თითქმის ათი მეტრის სიმაღლეზე ყრუა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გადაწყვეტა ამ ციხისათვის დამახასიათებელია. როგორც ამას სხვა კოშკების განხილვის დროს ვნახავთ, კოშკების ქვედა ტანი ყოველთვის ყრუა, განსახილავი კოშკის ზედა ნაწილში იქნებოდა საბრძოლო-საცხოვრებელი სართულები. ამჟამად, მხოლოდ პირველი სართულის ნაშთია დარჩენილი.

ციხის ქვედა ნაწილს კიდევ ერთი კოშკი იცავს. იგი დგას ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. პირველი კოშკი თუ მხოლოდ ერთი გვერდით გამოდიოდა გალავნის გარეთ, ეს კოშკი ორი მხარით გამოდის. ორივე მხარეს მისი კედლები გალავნის სიბრტყეს მიჰყვება და მათთან ერთად მთლიანს წარმოადგენს.

კოშკის ქვედა ტანი თითქმის ათი მეტრის სიმაღლეზე აქაც ყრუა. ფაქტიურად კოშკი გალავნის ზედა სავალი ნაწილის სიმაღლემდე მასიურია, ხოლო იქ, სადაც იწყება გალავანზე გამავალი საბრძოლო ბილიკი, კოშკში იწყება სართულები. ამ კოშკის ზედა ნაწილში სამი სართული ყოფილა მოწყობილ. ამათგან კარი მხოლოდ ქვედა ორსა აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ ციხის მშენებლებს კარგად გაუთვალისწინებიათ მებრძოლთა მოძრაობის თავისებურება და იმის მიხედვით დაუპროექტებიათ სიმაგრე. კოშკის პირველ სართულს კარი აღმოსავლეთით აქვს. იგი გადის უშუალოდ ციხის სამხრეთის კედლის საბრძოლო ბილიკზე. ხოლო, რადგანაც ციხის სამხრეთის კედლისაგან დასავლეთის კედელი თითქმის ორი მეტრით მაღლაა, ამიტომ იქითკენ გამავალი კარი ვერ იქნებოდა პირველ დონეზე. აქედან გამომდინარე, მშენებელმა დასავლეთის გალავანზე გამავალი კარი მოაქცია კოშკის მეორე სართულის ჩრდილოეთის კედელში. ასეთი გადაწყვეტის გამო მეორე სართულის კოშკი უშუალოდ გადის დასავლეთის ბილიკზე.

კოშკის პირველი სართულის კედლები, აღმოსავლეთის გარდა, ყრუ ყოფილა (იგი ამჟამად თითქმის ამოვსებულია ზემოდან ჩამონგრეული ქვებით). მას ზემოდან კოჭოვანი გადახურვა ჰქონია. ამისგან განსხვავებით, მეორე და მესამე სართული კამარებიანია. ორივე კამარის ღერძი ჩრდილო-სამხრეთითაა განლაგებული. მეორე სართულის კამარა მცირედაა შუაში ჩანგრეული, ხოლო მესამე სართულის კამარის დიდი ნაწილი ჩანგრეულია. ორივე კამარას ნახევარწრიული მოხაზულობა აქვს. სხვა კოშკებში კი შეისრული ფორმის თაღებს იყენებს მშენებელი. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც იმ ეპოქაში თაღის ორივე მოხაზულობას იყენებდნენ.

მეორე სართულის გარე კედლებში ორ-ორი სათოფე სამზერია მოთავსებული, ხოლო რაც შეეხება მესამე სართულს, მისი კედლების დიდი ნაწილი დარღვეულია. ჩრდილოეთის კედელში კი ორი თაღოვანი სარკმელია გადარჩენილი. როგორც ეტყობა, ეს სართული საჭიროების შემთხვევაში უფრო საცხოვრებლად იყო განკუთვნილი. აქ მოხვედრა კი შეიძლებოდა მეორე სართულიდან ხის კიბით, რომელიც მიდგმული იქნებოდა კამარაში მოწყობილ სპეციალურ ხვრელობზე.

კოშკი, სხვა კოშკების მსგავსად, ნაგებია რიყის ქვით. მისი გარე კედლები უფრო სქელია, ვიდრე გალავნის ბილიკებზე გამავალი კედლები.

ციხის ქვედა ნაწილში სხვა კოშკი არ არის. ციტადელის კედლებში კი ჩართულია კიდევ ორი კოშკი.

როგორც ადრევე აღვნიშნეთ, ციტადელს მოკავებული აქვს ციხის ჩრდილოეთის მონაკვეთი მთლიანად. მისი გეგმის მოხაზულობა მოგრძოა, ელიფსს მიახლოებული. მის ორივე ვიწრო ბოლოში თითო კოშკია აღმართული. აქედან ჩრდილოეთით მდგარი კოშკი დონჟონს წარმოადგენდა. იგი სხვებზე უკეთაა მოღწეული. არ არის გამორიცხული, რომ ეზოში მიწის ქვეშ იმალებოდეს რომელიმე დამხმარე სათავსო.

ციტადელის დასავლეთის მონაკვეთში მდგარი კოშკი მოთავსებულია ციხის შიგნით და იგი სხვებზე მასიურია. სამწუხაროდ, მისი კედლები დარღვეულია და სართულიანობა არ ირკვევა. ქვედა ნაწილი აქაც ყრუა. ნანგრევებში ჩანს, რომ კოშკის პირველი სართული მდებარეობს ციტადელის ეზოდან შვიდიოდე მეტრის სიმაღლეზე. იქვე ყოფილა კოშკის ერთადერთი კარი. მის კედლებში სხვა არაფერი ჩანს. ზედა სართულის კედლებში (დიდი ხვრელობებით თუ ვიმსჯელებთ) სარკმელები ყოფილა მოთავსებული. სხვა დეტალების გარკვევა არ ხერხდება.

ციხის მთავარი კოშკი, მდებარე ჩრდილოეთით, კარგი პროპორციებისაა, ეს დიდი ზომის, მაღლა აზიდული კოშკი დიდებული სანახავია.

მშენებელ-არქიტექტორი არ ღალატობს თავის პრინციპს — ქვედა ნაწილი აქაც ყრუა. პირველი სართული იწყება ექვსი მეტრის სიმაღლეზე. იქვე მდებარეობს კარი, რომელიც კოშკს აკავშირებს ციტადელის ეზოსთან.

კოშკის სართულიანობა არ ირკვევა. დარჩენილია ოთხი სართული და მეხუთე სართულის უმნიშვნელო ნაწილი. ოთხივე სართული გადახურულია დამჯდარი ფორმის შეისრული კამარით. ასეთი ფორმის კამარისა და თაღის გავრცელების ხანაზე ვწერდით ზემოთ. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ოთხივე სართულის სიგანე მცირედ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ კამარის მოხაზულობა ყველგან ერთნაირია, ასევე ერთი მიმართულებითაა განლაგებული კამარების ღერძები. XVII ს. ზოგიერთ კოშკში არის შემთხვევები, როდესაც მშენებელი ნაგებობისათვის მეტი მდგრადობის მიცემის მიზნით სხვადასხვა სართულში კამარას აკეთებს საწინააღმდეგო მიმართულებით. ეს ხერხი, არ არის გამორიცხული, რომ ამ კოშკის მშენებელმაც იცოდა, მაგრამ ასეთ კონსტრუქციულ ხერხს მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონია, რადგანაც კოშკის კედლები საკმაოდ სქელი და მტკიცე იყო.

კოშკის პირველ სართულში მხოლოდ კარია ეზოს მხარეს (არ არის გამორიცხული, რომ კოშკში სარდაფის სართულიც ყოფილიყო). ზედა სართულები, ფაქტიურად საცხოვრებელია სადაზვერვო ხვრელობებით. ზედა სამივე სართულზე სადაზვერვო ხვრელები განლაგებულია იმ კედლებში, რომლებიც ციხის ფარგლებს გარეთ გადის, ხოლო ციტადელის ეზოსკენ გამავალ კედლებში არც ერთი ხვრელობი არ არის, რადგანაც აქეთ მხარეს დასანახი, სათვალთვალო არაფერი იყო.

მეორე სართული სხვებზე რთული ჩანს. აქ მარცხნივ, ჩრდილოეთისაკენ კარია. იგი,

როგორც ეტყობა, განკუთვნილი იყო განსაკუთრებული შემთხვევისათვის. არ არის გამორიცხული, რომ აქ გადმოშვერილი აივანი ყოფილიყო და მშვიდობიან დროს შეიძლებოდა მისი გამოყენება: აქედან ხომ იშვიათი ხედი იშლება ენგურის ხეობაზე. აღნიშნული კარის მოპირდაპირე კედელზე ბუხარი მდებარეობს. მის გვერდებზე კი თითო წვრილი სამზერია. ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებშიც ორ-ორი ხვრელობია. მესამე სართულის სამ კედელშიც ორ-ორი ხვრელობია, მხოლოდ, სხვა სართულებისაგან განსხვავებით, სადაც ხვრელობები გარეთაა (აღმოსავლეთით) თავმოყრილი, ერთი სამზერი ჩრდილო კედლის მარცხენა განაპირასაა მოქცეული. როგორც ეტყობა, მშენებელი ცდილობდა ე. წ. მკვდარი ადგილები დარჩენოდა. ბუხარი აქაც ერთია, მხოლოდ იგი მოთავსებულია ქვედა სართულის ბუხრის მოპირდაპირე მხარეს, კერძოდ ჩრდილოეთით. მეოთხე სართულის ჩრდილო კედლის ცენტრში ერთი ხვრელია მხოლოდ, ხოლო სამხრეთისა და აღმოსავლეთისაში ორ-ორია. ამ სართულის აღმოსავლეთისა და სამხრეთის კედლებში თითო ბუხარია. გასათბობად, ცხადია, ამ სართულს ორი ბუხარი არ ესაჭიროებოდა. აქ ისეთივე გადაწყვეტასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს გვიანფეოდალური ხანის ზოგიერთ სხვა კოშკში გვინახავს. ეტყობა, რომ მეოთხე სართულის ზემოთ საბრძოლო ბანი იყო. XVII ს. ციხის დაცვა ხდებოდა არა მარტო ცეცხლსასროლი იარაღით, არამედ ცხელი სითხის გადმოსხმითაც. სწორედ იმისათვის, რომ ცხელი სითხე ბევრი ჰქონოდათ და მებრძოლებს სწრაფად ემოქმედნათ კოშკზე მომდგარი მტრის წინააღმდეგ, საჭირო იყო ორი ბუხარი. უფრო გვიანი დროის კოშკებში არის შემთხვევები, როდესაც ბუხარს აკეთებენ უშუალოდ ბანის კედელში, მაგრამ XVI-XVII სს. კოშკებში ასეთი შემთხვევები არა გვაქვს.

აქვე უნდა შევეხოთ ხვრელობების დანიშნულების საკითხს. ამ კოშკის კედლებში დატანებული ხვრელობები ვიწროა (საშუალოდ შიდა სიგანე 20-30 სმ) და დაბალი (საშუალოდ შიდა სიმაღლე 40-50 სმ). ასეთი ხვრელობები, როდესაც კედლის სისქე 2,5 მეტრამდე აღწევს, ცეცხლსასროლი იარაღისათვის, კერძოდ, თოფისათვის თითქმის გამოუყენებელია. როდესაც სქელ კედელში სათოფეს ათავსებენ, მაშინ კედლის დავიწროების მიზნით ჯერ ნიშებს აკეთებენ, შემდეგ დარჩენილ ვიწრო მონაკვეთში სათოფის მოწყობა ადვილია. რუხის კოშკში გამოყენებული ხვრელობები კი გაკეთებული იყო სამზერად. ბრძოლა, თავდაცვა მოხდებოდა ბანიდან, რომელიც სათანადოდ იქნებოდა აღჭურვილი სათოფეებით, თუ სხვა აუცილებელი ელემენტებით.

ციტადელის ჩრდილო გალავანის დაახლოებით შუაში მოქცეულია მცირე სათავსო. იგი ამჟამად მიწიდან დაცილებულია სამი მეტრით, ამ ვიწრო და გრძელ სათავსოს ერთი კარი აქვს ეზოს მხარეს. სათავსოს კუთხოვანი გადახურვა აქვს. ეზოს მხარეს, ერთ დონეზე, სამი პატარა სარკმელია მოთავსებული. შესასვლელთან იატაკში მცირე ზომის ჩაღრმავებაა.

ამ სათავსოს დანიშნულება გაურკვეველია. შესაძლოა იგი განკუთვნილი იყო სანოვაგის ან საომარი მასალის შესანახად.

ციტადელის გალავანი ამჟამად განგრეულია ორგან. ზედმიწევნით არ დგინდება როგორი გადაწყვეტა ჰქონდა თავდაპირველად, მაგრამ შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ადგილებში იყო ნიშები. ერთი ასეთი ნიშა მდებარეობდა ციტადელის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში, ხოლო მეორე — ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში.

ციტადელში შესასვლელი ქვემო ეზოდან გადის შუა კოშკსა და განიერ კედელს შორის. ახლა ეს გასასვლელი მთლიანად ღიაა, მაგრამ თავდაპირველად თაღოვანი უნდა ყოფილიყო. გასასვლელი გადაკეტილი იქნებოდა კარით.

რუხის ციხის გალავნისა და კოშკების ზედა ნაწილები ძალიანაა დაზიანებული, ამიტომ თავდაცვის სისტემა კარგად არ ირკვევა. ციხის კედლები ქვემოდან ზემოთ

ვიწროვდება. მიწის დონეზე კედლის სისქე მერყეობს 4-6 მეტრს შორის, ხოლო ზედა ნაწილში 3-5 მეტრს შორის. ასეთი განიერი კედლები იშვიათია. როგორც ეტყობა, მშენებლებს ძალიან საიმედო ციხის აგება ნდომებიათ. ქვა იქვე იყო ენგურის კალაპოტში, ხოლო მუშახელი მთელი სადადიანოდან იქნებოდა.

ციხის კედლები 8-10 მეტრის სიმაღლეზე ყრუა, არსად არც ერთი ხვრელობი არ არის, თავდაცვა ალბათ ხდებოდა კედლის ზემო ნაწილიდან. აქ 3-4 მეტრის სიგანის კედელი გაყოფილი იყო ორ ნაწილად. გარედან კედლის სიმაღლე ორ მეტრამდე იქნებოდა. სიგანე კი საშუალოდ ერთი მეტრი. ამ პარაპეტის წინ დარჩენილი განიერი ნაწილი წარმოადგენდა საბრძოლო ბილიკს. პარაპეტის კედლებში მოთავსებულ იქნებოდა სათოფეები.

კოშკებიც იმავე სისტემით ყოფილა გადაწყვეტილი. კოშკის ქვედა ნაწილში საბრძოლო ელემენტები არ ყოფილა. დაცვა ხდებოდა ბანიდან, ბანის ირგვლივ გამავალ კედელში განლაგებული იქნებოდა სათოფეები და შესაძლოა საზარბაზნეებით.

რუხის ციხის მიერ გადატანილ ომებზე იმის მეტი ცნობები არ არის, რაც ზემოთ მოვიყვანეთ. გარემოცვისა და მტრის მიერ კედლების გამონგრევის ცდა ეტყობა ბევრჯერ ყოფილა. კედლები სხვადასხვა ადგილას გამონგრეულია. ზოგან კედელი ისე ღრმადაა გამონგრეული, რომ მტრის ხანგრძლივი მოქმედების შედეგი ჩანს. სწორედ ასეთი მოქმედებისა ეშინოდათ მშენებლებს და იმიტომაც აუგიათ სქელი კედლები. ციხის კედლებს გარნიზონისათვის არასოდეს არ უმტყუნია. იგი დღესაც ძლიერი ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ოცარცე. მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირას, რუხის ციხის ახლოს, დგას მცირე ზომის ციხე, რომელსაც ოცარცეს ეძახიან. არავინ უწყის, ეს მისი თავდაპირველი სახელია თუ შემდეგ შეარქვეს. მის შესახებ ისტორიულ წყაროებში არავითარი ცნობა არა გვაქვს შემონახული. სამწუხაროდ, არც ისაა ცნობილი, თუ ვინ და როდის აგო იგი. ციხის შესწავლას, მის ანალიზს, შეუძლია პასუხი გასცეს მხოლოდ უკანასკნელ კითხვაზე: დაახლოებით მაინც დადგინდება თარიღი.

დღევანდელი თბილისი-სოხუმის გზატკეცილი რუხისა და ოცარცეს ციხეების შუაზე გადის. თბილისიდან მიმავლისათვის პირველი გზის მარცხრივ რჩება. მეორე კი გზის მარჯვნივ. მიუხედავად მათი ასეთი სიახლოვისა, ისინი ტიპით, დანიშნულებით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველი არის სახელმწიფო დანიშნულების დიდი ციხე, მეორე კი პატარაა, ადგილობრივი მნიშვნელობისაა. ყველაზე მეტად მოსალოდნელია, რომ ოცარცეს ციხე აეგოთ ენგურზე, ფონის, გადმოსასვლელის დასაცავად. იქ მზვერავი იქნებოდა მუდმივად, საჭიროების დროს კი მცირერიცხოვან გარნიზონს დაიტევდა.

ციხე დგას მდინარის კლდოვან ფლატეზე, ამიტომ აქედან ამოსვლა თითქმის შეუძლებელი იყო. ციხის ერთადერთი შესასვლელიც, რომელიც სამხრეთით მდებარეობს, შვეულ კლდეზეა. ამ მხრიდანაც მტერს გაუჭირდებოდა შესვლა. ჩრდილოეთით და დასავლეთით გორაკს ჩვეულებრივი ქანობი აქვს. მისი დაცვა კი ეკისრებოდა გალავანს, რომელზეც მცველები იქნებოდნენ გადმომდგარნი.

ციხე შედგებოდა გალავნის, კოშკისა და ერთი სადგომისაგან. გალავნის შიგნით ნანგრევები და ბარდნარია, ამიტომ სხვა არაფერი ჩანს.

კოშკი დიდი ზომის სამსართულიან ნაგებობას წარმოადგენს. პირველი სართული, მართალია, მოთავსებულია მიწის ზემოთ, მაგრამ იგი ფაქტიურად სარდაფს წარმოადგენს. მისი გარე კედლები ყრუა, ხოლო ჩასასვლელი მეორე სართულის იატაკშია მოწყობილი.

კოშკის მშენებელს კონსტრუქცია კარგად ესმოდა. მას აუგია პირამიდული მასა, რომლის შიდა ნაწილი სამი კამარით შეუკრავს. კამარის ღერძებს კი იგი მონაცვლეობით, ერთმანეთთან ჯვარედინად აკეთებს. ასეთი ხერხით გადაწყვეტილი ნაგებობა, ცხადია, უფრო შეკრული და მონოლითური იქნება.

სარდაფის დონეზე მდინარის მხარეს კოშკსა და გალავანს შუა, მოთავსებულია ტალანივით ვიწრო და გრძელი სათავსო. მასში შესასვლელი მდებარეობს ეზოდან ჩრდილოეთით. ამ სათავსოს კოშკის მასაში განლაგებულია რამდენიმე დიდი და პატარა ნიში თაღოვანი გადახურვით. თაღი განლაგებულია, ისეთი ფორმისა, რომელიც დამახასიათებელია გვიანი საუკუნეებისათვის. სათავსოს ანათებდნენ მდინარის მხარეს მოთავსებული სარკმლით.

კოშკის მეორე სართულში შესასვლელი მოთავსებულია მდინარის მხარეს. ზემოაღწერილი გრძელი სადგომის კამარის თავზე შექმნილია მცირე მოედანი, რომელიც გამოყენებულია კოშკში შესასვლელად.

კოშკის მეორე სართული ჩვეულებრივზე მაღალია. მისი გადამხურავი კამარა არ არის ზუსტად გამოყვანილი (ეტყობა, ოსტატი ვერ იყო პირველხარისხოვანი). თვით კამარის ფორმა შეისრულია. ამ ვრცელი სართულის კედლებში ნიშები და სათოფეები განლაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით. აღმოსავლეთის კედელში მხოლოდ კარია. მის კედლებში სათოფეები ვერ მოთავსდებოდა, რადგანაც შესასვლელის წინ მდინარისაკენ გალავანი იქნებოდა. კარის ქვედა დონეზე ჩრდილოეთისაკენ ვიწრო ხვრელია (მისი დანიშნულება უცნობია). ჩრდილოეთის კედელში ერთი სათოფეა პირდაპირ მიმართული და ერთი პატარა სარკმელი კი კამარის დასაწყისშია და მისი ხვრელი მაღლაა მიმართული. სარკმლები ასე კეთდებოდა იმიტომ, რომ გარედან ნასროლი ტყვია შიგ მყოფთ არ მოხვედროდა. დასავლეთით მცირე ზომის ორი ნიშია, რომელთა გვერდები სამკუთხა ფორმით ერთდება (ასეთი ფორმის ნიშნები სხვაგან არ შეგვხვედრია). იქვე, თითქმის ერთ ჰორიზონტზე, სამი ერთმაგი სათოფეა განლაგებული. შუაში მათ ზემოთ ერთი წვრილი და მის თავზე მეორე სარკმელია მოთავსებული. სამხრეთის კედელში ერთი ნიშია და მარცხნივ — სათოფე. ზემოთ კამარის სხვადასხვა დონეზე ორი სარკმელია.

მეორე სართულთან შედარებით მესამე დაბალია. კამარა ისევ აწოწილი და უფორმოა. მის კედლებში განლაგებულია ისევ ცალმაგი სათოფეები და სარკმელები. ამ სართულზე მოხვედრა შეიძლება მეორე სართულის გუმბათში მდებარე ხვრელით, მასზე კი მოდგმული იქნებოდა ხის კიბე. ასევე, ხის კიბით იყო ჩასასვლელი პირველი სართულიდან სარდაფში. კამაროვან გადახურვაში დატანებული ხვრელობის ერთ მხარეს რამდენიმე საფეხურია დატანებული. მათ გაგრძელებაზე კი ხის კიბე იქნებოდა.

ციხის გალავანში შესასვლელი, როგორც აღვნიშნეთ, სამხრეთითაა, თითქმის ცენტრში. შესასვლელსა და კოშკს შორის გალავნის აღმოსავლეთის მონაკვეთი მოკაუებული ჰქონია რაღაც სათავსოს. მისი გეგმა სამკუთხედს უახლოვდება, კარი დასავლეთის კედელშია მოთავსებული. გარე მომრგვალებულ კედელში ორი სათოფე მდებარეობს. მასზე მეორე სართულიც იყო თუ არა, ნანგრევებში არ ირკვევა.

აღწერილ სათავსოსა და კოშკს შორის დარჩენილი ვიწრო გასასვლელიდან მოხვდებოდით კოშკის მეორე სართულის წინ მდებარე მცირე მოედანზე, იქიდან კი კოშკში.

ციხის გალავნის მოხაზულობა წრეს უახლოვდება. კედლები მეტ-ნაკლებად ყველგან დაზიანებულია, ხოლო ზედა ნაწილი არსად არ არის შერჩენილი. ამიტომ, სამწუხაროდ, არ ვიცით, თუ როგორ მთავრდება გალავანი. მისი სიმაღლეც არ დგინდება. შემოსასვლელის მიდამოებში არსებული გალავნის ნაშთით თუ ვიმსჯელებთ, გალავნის სიმაღლე არ უნდა ყოფილიყო 5-6 მ ნაკლები. ციხის კედლებშიც, ცხადია, განლაგებული იქნებოდა სათოფეები, მაგრამ თუ როგორი სისტემით, ამაზე ვერაფერს ვიტყვით.

კოშკი და დანარჩენი ნაგებობებიც ნაშენია რიყის ქვით. ფლეთილი ქვა სულ მცირე რაოდენობითაა გამოყენებული.

როგორც დასაწყისშიაც აღვნიშნეთ, ოცარცეს ციხის აგებაზე არავითარი ცნობა არ არის შემონახული. ამიტომ ციხის დასათარიღებლად უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ და მხოლოდ არქიტექტურულ ანალიზს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ ციხისათვის ადგილის შერჩევა. დაბალზე, შედარებით ადვილად მისადგომ ადგილზე, ციხის აგება უკვე მიგვითითებს გვიანფეოდალურ ხანაზე. იმავე ეპოქაზე მიგვითითებს რიყის ქვით მშენებლობა.

დათარიღებისათვის უფრო კონკრეტულ დასაყრდენს იძლევა კოშკის ფორმა, მასში გამოყენებული თაღებისა და კამარების მოხაზულობა და სათოფეების გამოყენების სისტემა.

აქვე უნდა შევეხოთ სათოფეების გადაწყვეტის საკითხსაც. სათოფეები აქ მარტივი ფორმისაა და ამავე დროს მცირე რაოდენობითაა გამოყენებული. ესეც, როგორც მრავალჯერ აღგვინიშნავს, დამახასიათებელია XVII საუკუნისათვის.

რზენი. მდ. ხობის კალაპოტი გაშლილია. იგი, როგორც ეტყობა, ამ მიდამოებში ხშირად იცვლიდა ადგილს. მისი ძველი კალაპოტის მარჯვენა ნაპირი საკმაოდ მაღალია. სწორედ ამ ნაპირზე აუგიათ ციხე. იგი ამჟამად სოფლის სამხრეთის განაპირასაა. ციხე შედარებით კარგადაა დაცული, მაგრამ მისი კედლები ისეა სუროთი დაფარული, რომ თითქმის არაფერი ჩანს.

ციხე მოზრდილია და კაპიტალურადაა ნაგები. ციხის გეგმა ოვალურია. გალავანში ორი კოშკია ჩართული. ერთ მათგანში შესასვლელია მოწყობილი, მეორე კი ძირითად საბრძოლო-საცხოვრებელს წარმოადგენდა. ორივე კოშკი მდებარეობს ჩრდილო-სამხრეთის ღერძზე.

ჩრდილოეთით მდგარი კოშკის პირველი სართული თაღოვან გასასვლელს წარმოადგენს. თაღი ისრული ფორმისაა. მეორე სართულის სამხრეთის კედელში პატარა ბუხარია და მარცხნივ —

სათოფე. დასავლეთის კედელი ყრუა. რადგანაც მასზე განიერი გალავანია მოდგმული. ჩრდილოეთით, შემოსასველელის თავზე სალოდე მოუწყვიათ. მესამე სართულის ოთხივე კედელში თითო სათოფეა. მეოთხე სართულის გადაწყვეტა კარგად არ ირკვევა კედლების დაზიანების გამო. კოშკში სართულშუა გადახურვა ხისა ყოფილა. ახლა ყველა ჩანგრეულია.

ციხის მთავარი კოშკია სამხრეთით მდგარი. იგი დიდია, მასიური პირამიდული ფორმით. პირველი სართული მაღლაა. მის ქვემთთ, შესაძლოა, სარდაფის სართული იყო, მაგრამ ნანგრევების გამო არ ირკვევა, თუ როგორ იყო გადაწყვეტილი. ამჟამად დარჩენილია სამი სართული. კოჭოვანი სართულშუა გადახურვა აღარ შერჩენილა.

კოშკის ერთადერთი შესასველელი მდებარეობს პირველ სართულში ეზოდან თითქმის ოთხი მეტრის სიმაღლეზე. მას კოჭოვანი გადახურვა აქვს. პირველი სართული თითქმის სავსეა ქვებით, მაგრამ ჩანს, რომ მის გარე (სამხრეთის) კედელში სამი ვიწრო სათოფეა ერთ ვიწრო ჰორიზონტზე. გვერდის კედლებშიც სათოფეებია. მეორე სართულის კედლებშიც სამ-სამი სათოფეა. მესამე სართულშიც უნდა ყოფილიყო სათოფეები, მაგრამ ამჟამად დაზიანების გამო კარგად არ ირკვევა.

ციხის გალავანი 6-8 მ სიმაღლისაა. ეტყობა, რომ ორი თუ სამიარუსიანი ყოფილა (კედლების დათვალიერება არ ხერხდება სუროს სქელი ფენის გამო). ქვემთთ 4-5 მ სიმაღლეზე გალავანში არავითარი ხვრელი არ ჩანს. უფრო მაღლა სამხრეთით ორი ნიში ჩანს და დასავლეთით — ერთი. ადგილზე ჩვენ იგი ვერ დავათვალიერეთ, ამიტომ მათ დანიშნულებაზე ვერაფერს ვიტყვით.

მოგვიანებით, როდესაც ციხეს ვერ დაუმაყოფილებია მის მფლობელი, შესასველელი კოშკისათვის გარედან მიუდგამთ ახალი კოშკი. მისი გეგმა, უსწორო ოთხკუთხედია (მშენებელს სწორი ადგილი ჰქონია და არაფერი უშლიდა, რომ სწორკუთხა კოშკი აეგო). ეს მოზრდილი კოშკი ოთხსართულიანი ყოფილა. მისი დასავლეთის კედელი მთლიანად მოშლილია, ხოლო ჩრდილოეთისა — სანახევროდ. შერჩენილ კედლებში ზედა სართულზე ცალმაგი სათოფეებია. სართულშუა გადახურვა ხისა ყოფილა.

ციხე ისტორულ წყაროებში არ იხსენიება. მისი დათარიღება ისევ ნაგებობის მონაცემებით უნდა მოხდეს. ასეთებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია კოშკების ოთხკუთხა გეგმა, მასების პირამიდულობა, სათოფეების სისტემა და სხვა. მასალად აქაც რიყის ქვაა გამოყენებული. ყველაფერი ეს ერთად აღებული ცეცხლსასროლი იარაღის შემოღების პირველ პერიოდზე მიგვითითებს, მაგრამ არა საწყისზე, არამედ მომდევნო საფეხურზე. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ციხისათვის XVII ს. პირველი ნახევარი, ხოლო მინაშენისათვის — იმავე საუკუნის მეორე ნახევარი.

ჯაღრა. მდ. ჭანისწყლის მარცხენა ნაპირას საკმაოდ მაღალ გორაკზე დგას ციხის ნანგრევები, ამჟამად სოფელი ჯაღრა მოშორებითაა. თუ რა ერქვა ამ ციხეს, დღეს არავინ იცის. არც ისაა ცნობილი, თუ ვის ეკუთვნოდა იგი. ნანგრევებში ზედმიწევნით იმის დადგენაც ძნელდება, ეს ნაგებობა თავის დროზე მხოლოდ ციხე იყო, თუ რომელიმე მცირე ფეოდალის ციხე-დარბაზი. კელეევის ამ სტადიაზე უპირატესობა შეიძლება პირველს მივცეთ.

ციხე შედგება კოშკისა და გალავნისაგან. ერთი დეტალის გამო შეიძლება ვიფიქროთ, რომ კოშკი და გალავანი არ არის ერთდროული. კოშკის პირველი სართულის კარი მოთავსებულია გალავნის გარეთ. ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ცალკე მდგარი კოშკებისათვის პირველ სართულში კარის დატანება არ არის დამახასიათებელი. გალავნის აგების შემდეგ კი არ არის გამორიცხული, რომ კოშკში დამატებითი შესასველელი გაეკეთებინათ (გალავანთან მაკავშირებელი კოშკის კედელი ამჟამად ერთგან გარღვეულია. შესაძლოა იგი განლაგებული იყოს სწორედ იმ დროს), ხოლო გარეთ გამავალ კარს ამოქოლავდნენ. ამავე დროს, ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ კოშკის მეორე სართული დაკაშირებული ყოფილიყო გალავანთან კარითა და მისადგმელი კიბით.

ციხე მთლიანად, მართალია, მთის წვერზე დგას, მაგრამ თვით მთა არ არის მაინცდამაინც ძნელი მისადგომი. ციხის უპირატესობა ის არის, რომ მას შემაღლება ეკავა და ყოველ მხარეზე შეეძლო დაეზვერა მტრის მოახლოება. შემოტევის შემთხვევაშიც ინიციატივა ციხის მცველთა ხელში იქნებოდა, რადგანაც მათ მაღლობი ჰქონდათ მოკავებული.

კოშკის სართულიანობა არ ირკვევა. ნაწილობრივ შერჩენილია მეორე სართული. მისი გეგმა მოგრძო სწორკუთხედია. კოშკები ასეთი გეგმით არ არის გავრცელებული. იგი როგორღაც უფრო საცხოვრებელს უახლოვდება, ვიდრე მხოლოდ საბრძოლოს. კარი მდებარეობს დასავლეთის კედლის ცენტრში. აქეთ მხარეს ახლა მიწა ორი მეტრით დაბლაა, როგორ იყო ადრე არ ჩანს. სართული გადახურულია შეისრული კამარით. კამარა სანახევროდ ჩამონგრეულია და გადაწეულია ჩრდილო-აღმოსავლეთის კედელიც 15-20 სანტიმეტრზე. მშენებელს გაუთვალისწინებია გადახურვის მასის სისქე კამარის გვერდებზე ზედა სართულის იატაკის მოსწორების შიზნით. სიმძიმის თავიდან

ასაცილებლად გვერდებზე, კედლის გაყოლიებით ჩაულაგებია ქვევრები. კედლის გადაწოლა და კამარის ჩანგრევა გამოწვეული უნდა იყოს არა გადახურვის სიმძიმით, არამედ კოშკის კუთხისათვის ნიადაგის გამოცლით, ან მიწისძვრით. განათება ორი სარკმლითაა. ერთი მათგანი მოთავსებულია სამხრეთით, რომელიც ზემოთაა აშვერილი. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს ჩვეულებრივია კოშკის პირველი სართულისათვის, რათა გარედან ტყვია არ მოხვედროდა შიგ მყოფთ. მეორე სარკმელი, პატარა ოთხკუთხა ხვრელობით, მდებარეობს აღმოსავლეთის კედლის ზედა ნაწილში, მეორე სართულის კედლებიდან მხოლოდ აღმოსავლეთითაა მცირე ნაწილი შერჩენილი.

ციხის გალავანი კოშკზე სამხრეთითაა მიდგმული. მშენებელს ამ მთის ქედის ვიწრო კონცხის მთელი ფართობი გამოუყენებია და ამატომ გალავანს უსწორო ფორმა აქვს. ციხის კედლები თითქმის დანგრეულია. უკეთაა შერჩენილი აღმოსავლეთის მხარის ერთი მონაკვეთი, სადაც ცენტრში შესასვლელია მოთავსებული.

კოშკი და გალავანიც ნაგებია რიყის ქვის წესიერი წყობით.

ციხეს არა აქვს მკვეთრად დამათარიღებელი ელემენტები. მხოლოდ ზოგადი ნიშნებით შეიძლება წინასწარული დასკვნა გავაკეთოთ და ვთქვათ, რომ იგი არ მიეკუთვნება XVII-XVIII საუკუნეებს. ამავე დროს არც XIII-XIV საუკუნეების ნაწარმოებად შეიძლება მივიჩნიოთ. მისი აგების დრო უნდა მოთავსდეს აქ მოცემულ ორ თარიღს შორის.

ანაკლია. ანაკლია ზღვისპირა პატარა ქალაქია. იგი მდებარეობს ენგურის შესართავთან, მდინარის მარცხენა მხარეს. მდინარეს აქ სულ სხვა სახე აქვს, ვიდრე მის ზემო ნაწილში. ჩვეულებრივად, როდესაც ენგურს ახსენებენ, ყველას წარმოუდგება ის მოუსვენარი და მშფოთვარე მდინარე, რომელსაც სათავე კავკასიონის მთებში აქვს. ზღვასთან მიახლოებისას, კოლხიდის დაბლობზე მდინარეს თითქმის ენერგია ეკარგება და მდორედ მიედინება. თანაც, კალაპოტი ისეთი გაშლილია და ღრმა, რომ აქ გადასვლა საკმაოდ ძნელია.

დასახლებული პუნქტის წარმოშობა ანაკლიაში აღრეევა საკარაუდო. არ არის გამორიცხული, რომ აქ ძველად სიმაგრეც ყოფილიყო, მაგრამ ის, რაც ამჟამადაა, არ შეიძლება VIII ს. ადრე წარმოშობილიყო. ამასვე გვიდასტურებს ვახუშტი ბაგრატიონიც თავის „აღწერაში". იქ ერთგან ვკითხულობთ: „ანაკრია აღაშენეს ოსმალთა ციხე, ქრისტესა ჩღგ (1703 წ.), ქართულსა ტჟა (1312+391 „1703). აწცა უპყრავთ მათვე". აქვე ავტორი აგრძელებს, რომ ლევან დადიანის მიერ 1647 წ. აგებული რუხის ციხე „შემუსრეს ოსმალთა" 1725 წ. „და იმის ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად".

რუხის ციხე, როგორც ადრევე ვნახეთ, დანგრეული ამჟამადაც არ არის, მაგრამ დაზიანებულია. ჩვენ არ ვიცით, თუ რას ეყრდნობა ვახუშტის ცნობა, ან რა მასშტაბისა იყო რუხის „შემუსერა". ამიტომ ვახუშტის მიერ მოწოდებულ ცნობაში ეჭვის მიტანა ძნელია. ისე კი აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რუხის ციხე ნაგებია რიყის ქვით, რომელიც არც ისე ძნელი საშოვნი იქნებოდა ანაკლიის მიდამოებში. ამდენად, მისი ურმებით გადაზიდვა შესაძლებელია გამართლებული არც ყოფილიყო.

ჩვენ ვახუშტის ცნობის სიზუსტის დასადგენად, სამწუხაროდ, სხვა მასალა არ გაგვაჩნია, ამიტომ ზემოთქმულს მეტს ვერაფერს დავუმატებთ.

ანაკლიის ციხე იმავე საუკუნის 70-იან წლებში კიდევ ერთხელ იხსენიება კაცია დადიანის წერილში, რომელიც მას დისთვის მიუწერია. როგორც ირკვევა, ანაკლია ყოველთვის არ ყოფილა ოსმალების ხელში, დროდადრო მას ოდიშის მთავარიც ფლობდა.

ციხე დგას მდინარის ზღვასთან შეერთების ადგილას მის მარცხენა კუთხეში, დასახლების სამხრეთ დასავლეთის განაპირას.

ციხე კვადრატული გეგმისაა. მის კუთხეებში დგას თითო კოშკი. ამათგან აღმოსავლეთის ხაზზე მდგარი კოშკები ცილინდრული ფორმისაა, ხოლო დასავლეთით, ე. ი. მდინარის მხარეს სამხრეთ-დასავლეთის კოშკი სწორკუთხაა, ჩრდილო-დასავლეთისა კი აღარ არსებობს. მდინარეს მოუნგრევია არა მარტო ეს კუთხე, არამედ ციხის დასავლეთის გალავანიც. აქ ნიადაგი კლდოვანია და მდინარის ტალღებს ისე მოუწმენდია ყველაფერი, რომ კედლების კვალი აქა-იქ ძლივსღა ჩანს. სწორედ ამ ნაშთების მიხედვით ირკვევა, რომ მდინარის მხარეს ყოფილა 3,25 მ სიგანის ჭიშკარი.

ციხის კედლები ორიარუსიანია, კედლის ქვედა ნაწილი თითქმის ყრუა. მხოლოდ აღმოსავლეთის კედლის მარცხენა ბოლოში ორი სათოფეა გვერდ-გვერდ. ზედა იარუსზე საბრძოლო ბილიკის ზემოთ სათოფეები იყო ჩამწკრივებული. ცალმაგი სათოფეები ერთმანეთისაგან 2-3 მ-ითაა დაცილებული, რაც ჩვეულებრივია ამ ეპოქის ციხეებში. გალავანი მთლიანად რიყის ქვითაა ნაგები.

ციხის ცილინდრული კოშკებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისა დიდია. კოშკში შესასვლელი პირველ

სართულშია ეზოდან. შიგნით ერთი მოზრდილი ნიშა შეისრული თაღით კარის მარჯვნივაა. სართულის გადახურვა საკმაოდ უცნაურია, რადგანაც კოჭების ბუდეებიც ჩანს და მათ ზემოთ 40-50 სმ-ზე იწყება გუმბათი, რომლის ცენტრი 1,5 მ-ითა მაღლაა. დღევანდელი მნახველისათვის დაზიანებული კოშკის თავდაპირველი ფორმების სრულად წარმოდგენა შეუძლებელია. ამიტომ ვეარაუდობთ, რომ არსებული კოჭების ბუდეები დროებითი გადახურვიდანაა დარჩენილი. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გუმბათის აგურით ამოყვანას ასეთი კაპიტალური მოვდანი არც სჭირდებოდა. კოშკის მეორე სართულიდან ქვედა ნაწილია გადარჩენილი. ეტყობა რამდენიმე სათოფის კვალი. სათოფეები სხვადასხვა სიმაღლეზე ყოფილა განლაგებული.

სამხრეთ აღმოსავლეთის კოშკი ზომით ზემოაღწერილი კოშკის ნახევარია. შესასვლელი აქაც პირველ სართულზეა ეზოდან. კოშკის ამ სართულის კედლები ყრუა. მეორე სართული დაზიანებულიცაა და გვიანი გადაკეთებაც შესამჩნევია. მის კედლებში რამდენიმე სათოფეა შემონახული.

სამხრეთ დასავლეთის კოშკი, როგორც აღვნიშნეთ, გეგმით სწორკუთხაა. კოშკი ძალიანაა დაზიანებული. ბევრი რამ არ ირკვევა. თანაც, ქვედა ნაწილს ამ უკანასკნელი პერიოდის მინაშენები უშლის. პირველ სართულში შემოსასვლელი თუ იყო, აღმოსავლეთით უნდა ყოფილიყო. სართულშუა გადახურვა წინა კოშკის მსგავსად აქაც ხის ყოფილა. მეორე სართულის სამხრეთის კედელში ქვედა რიგზე ორი საზარბაზნეა, მათ თავზე კი — თითო სათოფე. კოშკის დანარჩენი კედლები დანგრეულია და სართულიანობაც არ ირკვევა. ისე, სავარაუდოა, რომ ამ კოშკს ზღვის ყურეში ისეთი ადგილი უკავია, რომ იგი სხვებზე მაღალი უნდა ყოფილიყო და ალბათ დონჟონს წარმოადგენდა.

როგორც ვნახეთ, ციხის თარიღი გარკვეულია. რამდენიმე სიტყვით გვინდა შევეხოთ ამ ტიპის საკითხს.

ანაკლიის ციხე მიეკუთვნება XVIII ს. ქართლ-კახეთში გავრცელებულ ციხე-გალავანის ტიპს. ასეთ ციხეს ძირითადად ახასიათებს მდებარეობა ვაკეზე, ვიწრო კარის მაგივრად ჭიშკარი, გეგმის კვადრატულობა, კედლების ორიარუსიანობა და სხვ.

ამ ტიპის ციხე დასავლეთ საქართველოში სხვა ჯერჯერობით არსად გვინახავს. იყო თუ არა ადრე, ამაზე ცნობაც არ გაგვაჩნია.

ვახუშტისთან ვკითხულობთ, რომ პირველად აქ ციხე აგებულა 1703წ. ხოლო 1725 წ. „უმტკიცესად აღშენეს", ე. ი. რესტავრაცია ჩაუტარებიათ, უფრო მტკიცე გაუხდიათ. არ არის გამორიცხული, რომ ეს რესტავრირებული ნაგებობა შემდეგშიც დაზიანებულიყო და იმავე საუკუნის შუა ხანებში კიდევ ერთი გადაკეთება განეცადოს. ციხის დღევანდელი სახე XVIII ს. შუა ხანებს უფრო უდგება.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის წარმოშობა და გავრცელება დაკავშირებულია მტრის ხშირ შემოსევასთან და მოსახლეობის დახიზნის საჭიროებასთან.

8.3. მოკლე ცნობები საკულტო ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ

ისტორიულ სამეგრელოში მრავალი ტაძარი თუ სამონასტრო კომპლექსია შემორჩენილი. მათ შორის არაერთი ძეგლი თავისი ისტორიული და მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებით შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანეს ნიმუშთა რიგს განეკუთვნება, რომელთა არქიტექტურულ-კონსტრუქციულ გადაწყვეტას, დეკორაციულ-რელიეფურ მორთულობას, ტაძრებისა და ეკვეტერების მოხატულობას ოსტატობის მაღალმხატვრული დონე გამოარჩევს. ყოველივე ამას, უთუოდ, მრავალმხრივი შემოქმედებითი პოტენციალის, მდიდარი ტრადიციების და საქართველოს სხვა რეგიონების თუ ბიზანტიის თანადროულ დაწინაურებულ კულტურულ ცენტრებთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის არსებობა განაპირობებს.

განსახილველად შევარჩიეთ სამეგრელოს უმთავრესი კათედრალები და ზოგი სხვა საინტერესო ძეგლი. სამეგრელოს საეპისკოპოსო კათედრალების შესახებ ზუსტ ცნობას გვაწვდის XVII ს. ცნობილი ავტორი დონ არქანჯელო ლამბერტი, რომელიც დიდხანს

ცხოვრობდა აქ. იგი აღნიშნავს: „დარჩენილია შემდეგი საეპისკოპოსო ეკლესიები: პირველია დრანდის (Dandra), რომელიც მდებარეობს მდ. კოდორზე, აფხაზეთის საზღვარზე... და მის ეპისკოპოსს ჰქვია დრანდელი. მეორეა მოქვის, რომელიც მდებარეობს ფართო ვაკეზე ორ მდინარეს შუა; ეს ორი მდინარე მერე ერთად შეიყრებიან და მათ შორის მდებარე ადგილი წარმოადგენს ნახევარკუნძულს... ეპისკოპოსს ჰქვია მოქველი. მესამე არის ბედიას... მისი ეპისკოპოსი იწოდება ბედიელად. მეოთხე არის ცაიშის... მისი ეპისკოპოსი იწოდება ცაიშელად. მეხუთეა წალენჯიხის... აქ მარხავენ მთავრებს. მის ეპისკოპოსს ჰქვია წალენჯიხელი. მეექვსეა მარტვილის (Scondidi)... მისი ეპისკოპოსი იწოდება ჭყონდიდელად". ჩვენც ამ თანმიმდევრობით გადმოვცემთ მოკლე ცნობებს საკულტო ხუროთმოძღვრების ძეგლების შესახებ.

დრანდა. დრანდა XIII-XVII სს. შედიოდა ჯერ ოდიშის საერისთავოს, შემდეგ სამთავროს შემადგენლობაში და წარმოადგენდა საეპისკოპოსო ეკლესიას. აგებული უნდა იყოს VIII საუკუნეში (რ. მეფისაშვილი). ამ დროს იგი, ისტორიული აფშილეთისა და ოდიშის საზღვარზე მდებარეობდა.

დრანდა თავისებური გეგმარების გუმბათიან ტაძარს წარმოადგენს სამი შვერილი აფსიდით აღმოსავლეთ ფასადზე და ნარტექსით დასავლეთ მხარეს. მისი არქიტექტურული სახის ფორმირება განხორციელებულია ჯვარ-გუმბათოვანი თემისა და როტონდის ელემენტების შერწყმის შედეგად, რაც ტაძრის კომპოზიციის ორიგინალურ გადაწყვეტას განაპირობებს. არქიტექტურული ჩანაფიქრის სირთულით, გეგმარებისა და შიდა სივრცის მრავალფეროვნებით დრანდის ტაძარს შუასაუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრებაში გამორჩეული ადგილი უკავია.

მოქვი. მოქვის საკათედრო ტაძარი მდებარეობს ოჩამჩირის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ოცი კილომეტრის დაშორებით, მდ. დვაბისწყლისა და მოქვისწყლის შესართავთან. მონუმენტურობითა და გარე მასების თავისებური გადაწყვეტით მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. მოქვის ტაძარი ჩახახული ჯვრის ტიპის ნაგებობაა აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდით. შიდა სივრცის სვეტებით დანაწევრებულ სამ ნავს, სამი მხრით ორსართულიანი ქორო შემოუყვება. მოქვის ტაძრის კომპოზიცია ამ ტიპის ნაგებობის გართულებულ და სივრცობრივ-მოცულობითი გადაწყვეტით გამორჩეულ ძეგლს წარმოადგენს.

ტაძარი აგებულია XI-ში აფხაზთა მეფე ლეონ III-ის (957-967) მიერ. იერუსალიმელი პატრიარქის დოსთეოსის ცნობით, დავით აღმაშენებლის (1085-1125) დროს ეკლესია მოიხატა, რაც საქართველოს გაერთიანების ხანაში მოქვის ტაძრის მნიშვნელობის დამადასტურებელია. XV საუკუნეში მოქვის არქიეპისკოპოს გრიგოლ მანაგაძის ინიციატივით მის გვერდით აიგო სამრეკლო, ხოლო XIX ს-ის შუა ხანებში ძველი კათედრალი მიხეილ შერვაშიძის მიერ იქნა განახლებული (ლ. რჩეულიშვილი). შუასაუკუნეების საქართველოში მოქვის ეპარქია უმნიშვნელოვანეს რელიგიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. ფართოდ არის ცნობილი ქართული ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში, დანიელ მოქველის შეკვეთით ეფრემის მიერ 1300 წელს შესრულებული, მდიდრულად გაფორმებული, მრავალრიცხოვანი მინიატურებით შემკული მოქვის სახარება. აფხაზეთთან შეერთების შემდეგ მოქვში იმარხებოდნენ მთავრები შარვაშიძეთა სახლიდან.

ბედია. ბედიის მონასტერი ოჩამჩირის რაიონში მდებარეობს. სამონასტრო კომპლექსის ცენტრში გუმბათოვანი ტაძარი დგას. მის დასავლეთით სასახლის ნანგრევებია. ტაძარი აგებულია ბაგრატ III-ის დროს X-საუკუნის ბოლოს. შემდგომი გადაკეთება XIII-XIV საუკუნეებში განხორციელდა (რ. შმერლინგი). გეგმა წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმისაა. გუმბათი ორ ბურჯსა და საკურთხეველს შეერილებს ეყრდნობა. აღსანიშნავია, რომ გვერდითი ნავები პროპორციულად ძალზე ვიწროა. ფასადებზე დეკორაციული მორთულობა ფრაგმენტულად არის შემორჩენილი. ინტერიერის მოხატულობა სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდს განეკუთვნება. სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში გამოსახულია ბაგრატ III ეკლესიის მოდელით ხელში. ასევე განირჩევა დადიანის გვარის წარმომადგენელთა პორტრეტები.

აღსანიშნავია, რომ ბედიის ეკლესიას ოქროს ჭედური თასი (999 წ.), მასზე დაცული ასომთავრული წარწერის თანახმად შესწირა მეფე ბაგრატმა და მისმა დედამ გურანდუხტმა. ბედიის ბარძიმის სახელით ცნობილი ქართული ოქრომჭედლობის ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი ამჟამად საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის საგანძურში ინახება.

ცაიში. ცაიში საქართველოს ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო კათედრაა. ცაიშის ხუროთმოძღვრული ანსამბლი ზუგდიდიდან ათიოდე კილომეტრში მდებარეობს. მას შემოსაზღვრავს გალავნის კედლები, რომელთა ცენტრში ტაძარია აღმართული. სამხრეთ ნაწილში ორსართულიანი სამრეკლო, ხოლო ჩრდილოეთ კუთხეში ნაგებობაა, რომელსაც ადგილობრივ „ალატს" უწოდებენ (ჰ. ზაქარაია). ის წარმოადგენს დიდ დარბაზს, რომლის კამაროვანი გადახურვა ორ ბურჯს ეყრდნობოდა. ხუროთმოძღვრული ძეგლის უძველესი სამშენებლო ფენა ადრეშუასაუკუნეების ხანას განეკუთვნება. თავდაპირველი ეკლესიის ფრაგმენტები ჩართულია ახალი ტაძრის კედლებში, რომლის მშენებლობა XIII-XIV საუკუნეებში განხორციელდა. 1614 წლის მიწისძვრის შედეგად დანგრეული ეს ნაგებობა მალაქია II გურიელ-კათალიკოსმა 1616-19 წწ. აღადგინა. შემდგომი სარესტავრაციო სამუშაოები 1777 წელს ჩატარდა. ამდენად, ტაძარი მრავალჯერ არის გადაკეთებული, რაც ნათლად აღიქმება როგორც ექსტერიერის, ასევე ინტერიერის ხილვისას.

ცაიშის ტაძარი წარმოადგენს ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ნაგებობას აღმოსავლეთით ხუთწახნაგა შვერილი აფსიდით. ფასადებს ამკობს დეკორაციული მორთულობის ელემენტები. გამოყენებულია გეომეტრიული და მცენარეული მოტივები. შემორჩენილი რელიეფები ფიგურალური კომპოზიციებით უმრავლეს შემთხვევაში ძლიერ დაზიანებულია.

წალენჯიხა. მაცხოვრის სახელობის ეკლესია მდებარეობს ქ. წალენჯიხის განაპირას, მაღალ გორაკზე. ეკლესიის ეზოს შემოსაზღვრავს მრავალჯერ გადაკეთებული მაღალი კედლები გალავნისა, რომლის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში სამრეკლოა აღმართული. ტაძრის დასავლეთით ოდიშის მთავარ დადიანთა სასახლის ნანგრევებია.

წალენჯიხის გუმბათოვანი ეკლესია ჩაზაული ჯვრის ტიპის ნაგებობაა,რომელიც XI-XII საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. მას სამი მხრით XIV საუკუნეში მიშენებული ღია გალერეები შემოუყვება. სამხრეთ და ნაწილობრივ ჩრდილოეთ მხარეს ისინი დადიანთა საგვარეულო ეგეტერებად გადაუკეთებიათ. აქ სხვადასხვა დროს (XVI-XIX სს.) შესრულებულ ფრესკებზე საერო პირთა გამოსახულებებია შემორჩენილი; მათ შორის ლევან II დადიანის პორტრეტი.

თავად ეკლესია ტაძარში დაცული ბერძნული და ქართული წარწერების თანახმად ოდიშის ერისთავთერისთავ ვამეყ დადიანის (1384-1396 წწ.) ბრძანებით კონსტანტინოპოლიდან საგანგებოდ მოწვეული ოსტატის კირ მანუელ ევგენიკოსის მიერ არის მოხატული. საგულისხმოა, რომ შესრულების ოსტატობით და იკონოგრაფიულ-სტილისტური თვალსაზრისით გამორჩეული წალენჯიხის ფრესკები XIV საუკუნის დასასრულის კონსტანტინოპოლის სკოლის ერთადერთ დათარიღებულ და მხატვრის მიერ ხელმოწერილ ნიმუშს წარმოადგენს (ინ. ლორთქიფანიძე). მხატვრობა XVII საუკუნის შუა ხანებში ნაწილობრივ განახლებულია წალენჯიხელი ეპისკოპოსის ეედემონ ჯაიანის თაოსნობით.

მარტვილი — ჭყონდიდი. VII საუკუნის პირველ ნახევარში აგებული მარტვილის ტაძარი მდებარეობს ამავე სახელწოდების დაბაში, მცირე ბორცვზე. X საუკუნეში „მატიანე ქართლისას" ცნობით აფხაზთა მეფემ გიორგი II-მ (912-957) „აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ". ამ დროს უნდა განეკუთვნებოდეს ტაძრის ახალი გუმბათი და კედლების გარეგანი გადაკეთება (გ. ჩუბინაშვილი). ამავე პერიოდში აიგო დასავლეთი ეგეტერი და ტაძრის გვერდით მდგარი მცირე ორსართულიანი გუმბათიანი ეკლესია.

მარტვილის ტაძარი კუთხისოთახებიან ტეტრაკონქს წარმოადგენს და მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლებს განეკუთვნება. ამასთან, მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტის თვალსაზრისით რიგ თავისებურებებს ამჟღავნებს, განსაკუთრებით, დეკორაციული მორთულობის თვალსაზრისით. ტაძრის ლავგარდანთა რელიეფები კომპოზიციური და პლასტიკური გადაწყვეტით, შესრულების ოსტატობით, შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების მაღალმხატვრულ ნიმუშებს წარმოადგენენ. ჭყონდიდი იყო ერთიანი საქართველოს ეაზირთა უმირველესის, მწიგნობართუხუცეს – ჭყონდიდელის კათედრა. ტაძრის ინტერიერს გვიანი შუასაუკუნეების ხანის (XVI-XVII სს.) მოხატულობა ამკობს. აღსანიშნავია, რომ მარტვილის ტაძარში განისვენებენ სამეგრელოს მთავარ დადიანთა უკანასკნელი წარმომადგენლები.

ხობი. ხობის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ქ. ხობიდან 2 კმ-ის დაშორებით, მდ. ხობისწყლის ნაპირას. ამ ხუროთმოძღვრულ ანსამბლში შემორჩენილია ეკლესია, ძველი გალავნის, სამრეკლოს და სხვა შენობათა ნანგრევები. ტაძარი უგუმბათო ნაგებობაა, რომელიც ძალზე თავისებური გეგმარებით და სივრცობრივი გადაწყვეტით გამოირჩევა. მას დასავლეთი და სამხრეთი მხრიდან ღია გალერეები აქვს მიშენებული. აქ XIV საუკუნის დასასრულს სამეგრელოს ერისთავთერისთავმა ვამეყ დადიანმა ეგეტერი მოაწყო, ბიზანტიური მარმარილოთი მოაპირკეთა და მოახატვინა, რაზეც შესასვლელის

თავზე დაცული წარწერა მოგვითხრობს (ვ. ბერიძე). ხობის ეგეტერში დაცული ფრესკები პალეოლოგური ხანის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს, რომელშიც აშკარად ვლინდება წალენჯიხის მხატვრობის ზეგავლენა (ინ. ლორთქიფანიძე). ეს მით უფრო თვალსაჩინოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ დამკვეთი ორივე შემთხვევაში ვამეყ დადიანი იყო. ხობის ეგეტერის ჩრდილოეთ კედელზე იგი თავის მეუღლე მარეხთან ერთად არის გამოსახული. ხობი ოდიშის ერისთავთერისთავთა საძვალეს წარმოადგენდა.

კორცხელი. გვიანი შუასაუკუნეების საინტერესო ძეგლთა რიგს განეკუთვნება კორცხელის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც მდებარეობს ზუგდიდიდან 10 კმ-ის დაშორებით, სოფელ კორცხელში. წერილობითი საბუთების თანახმად ეკლესია 1624-39 წლებში ოდიშის მთავარ ლევან II დადიანის მიერ არის აგებული. 1815 წელს შეკეთდა ნიკოლოზ დადიანის თაოსნობით, ხოლო 1858 წელს კვლავ მოხდა მისი განახლება.

კორცხელის ტაძარი მომცრო ზომის ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ნაგებობაა სამი შვერილი აფსიდით აღმოსავლეთ ფასადზე. დასავლეთით ღია თაღოვანი სტოა აქვს. ნაგებობა ქვის კვადრებით არის მოპირკეთებული და გარე მასების პროპორციული თანაფარდობით ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ ეკლესიაში ინახებოდა ლევან II დადიანის მიერ შეწირული რამდენიმე ხატი და სხვა სიძველეები.

თავი მეცხრე

ყოფის ისტორიის ნარკვევი

9.1. არქაული კულტები და რიტუალები სამეგრელოში

სამეგრელოს ყოფაში, რომელიც მკვიდრთა ცხოვრების მოდელის ამსახველია, ვხვდებით არქაულ რიტუალებს, კულტებს, მითებს, ღვთაებრივ ფორმებს, საკრალურ და თაყვანისცემის ობიექტებს, სიმბოლოებს, კოსმოლოგიას, კონსეკრირებულ ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს, საკრალურ ადგილებსა და სხვ.

თითქმის ყველა რელიგიური ფენომენი წარმოადგენს კომპლექსს, რომელიც ხანგრძლივ ისტორიულ ევოლუციას გულისხმობს. ყოველი კერძო შემთხვევა მაჩვენებელია ადამიანისა და საკრალურის ურთიერთმიმართებისა. ეს მიმართებები, თავის მხრივ, ქმნიან „ისტორიულ მომენტებს", რომელთაგან ზოგიერთ მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას.

დასავლეთ საქართველოში დასტურდება და ერთად ჯგუფდება არქაული მანერით შესრულებული საკულტო ქმედებანი, რომელთა სპეციფიკას სიმბოლურობა წარმოადგენს. ისინი ავლენენ ადგილობრივი მოსახლეობის უძველეს რწმენა-წარმოდგენებს ცასა და დედამიწაზე.

ამგვარ რიტუალთა რიცხვს მიეკუთვნება სამეგრელოს ყოფაში დაფიქსირებული „ჟინი ანთარის" სალოცავი რიტუალი.

ჟინი ანთარი ღვთაების სახელია, რომლის მიმართ სამეგრელოში ყოველწლიურად სრულდებოდა კულტმსახურება. (ღვთაების სახელი ჟინი ითარგმნება და ზეციურს, ზეციურს ნიშნავს. ანთარის მნიშვნელობა კი რომელსაც სხვადასხვა დროს ადარებდნენ ხან ხევსურულ ანატორს და აფხაზურ ათთარს, ხან ირანულ ათარს და სხვ., ზუსტად დადგენილი არ არის). პირველი აღწერილობა რიტუალისა, რომელიც ამ ღვთაების მიმართ ტარდებოდა დაფიქსირდა XX სს-ის პირველ ნახევარში. აღწერილობიდან ვგებულობთ, რომ დიდმარხვის წინა დღეს (აღებ ღამეს) ჟინი ანთარისადმი სრულდებოდა სალოცავი რიტუალი. კეთდებოდა შესაწირი, დიდი ზომის ოთხკუთხედი ფორმის პურის სახით, რომლის შუაგულში იდებოდა კონუსისებური ყველი ფუძით ზემოთ. რიტუალს ატარებდა ოჯახის უფროსი მამაკაცი. იგი კერაზევე დაჭრიდა პურს რამდენიმე კვადრატულ ნაჭრად და წარმოსთქვამდა ლოცვას: „ზეციერო ანთარო, ბატონო გამარჯვებულო! ჩემი საქონელი გაამრავლე! ასობით ვიჭერდე და არაფერი აკლდებოდეს, უშობელსა და ხბოიანს ვერ ვარჩევდე ისე". მას მსხვერპლად სწირავდნენ მამალს, ციკანს. გარდა საქონლის სიმრთელისა და დაცვისა მას სთხოვდნენ სასურველ ამინდს, ჯანმრთელობას, ოჯახში სიკეთესა და ბარაქას. ჟინი ანთარისადმი ლოცვას აღავლენდნენ სხვა დროსაც. მაგ: მეხის დაცემის შემდეგ (დაცემის ადგილას), ან მეხის დაცემის თავიდან ასაცილებლად ტყეში ხეების ქვეშ, სასურველი ამინდის გამოწვევის მიზნით გვალვის ან წვიმების დროს (სოფელში სპეციალურად შერჩეულ ადგილზე; სალოცავი რიტუალი სრულდებოდა მთელი სოფლის მიერ, რომელსაც სოფლის უხუცესი ხელმძღვანელობდა).

მეხის დაცემის შემთხვევაში, დაზარალებული მკითხავისაგან იგებდა დასჯის მიზეზს და შემდეგ ასრულებდა ე.წ. „თავის გამოსასყიდ" რიტუალს. ამ მიზნისათვის სამსხვერპლო ცხოველს თიკანი

წარმოადგენდა. ლოცვა სპეციალურ მლოცველს „ჟინიშ მახვამერს" (ზეციერის, ზევითურის მლოცველს) უნდა შეესრულებინა მეხის დაცემის ადგილას.

თავის დაზღვევის მიზნით, აღნიშნული ლოცვა ოჯახს შვიდ ან ცხრა წელიწადში ერთხელ უნდა გაემეორებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილობრივთა რწმენით, განრისხებულ ღვთაებას მათი შთამომავლობის მთლიანად ამოწყვეტა შეეძლო.

ჟინი ანთარის ფონეტიკურ სახეცვლილებას ჟინიში ორთა (ზევითური, ზეციერის განმგებელი) წარმოადგენს, რომელიც „ჟინიშის" ფორმითაც არსებობს დამოუკიდებლად.

ამგვარად, ჟინი ანთარი, ჟინიში ორთა და ჟინიში სამი სახელით შემორჩენილი ერთი და იგივე ცის პოლიფუნქციური უზენაესი ღვთაებაა, რომელიც საზოგადოების გარკვეულ საფეხურზე განაგებდა, როგორც ფიზიკურ სფეროს, ასევე მორალურსაც.

მატერიალური მოქმედების სფეროში ფუნქციების მიხედვით იგი არის: ჭექა-ქუხილის და მეხის განმგებელი, აქედან გამომდინარე, ამინდის განმგებელი; მეომარი ღვთაება (მისი ატრიბუტები და დამსჯელი იარაღი მეხი და ისრებია), მას ეწირება ბორძალი, მის ეპითეტია „ბატონი გამარჯვებული"; იგი მსხვილფეხა საქონლის მფარველი, ადამიანის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის მფარველი ღვთაებაა.

მორალური ნორმების სფეროში — ადამიანის ქცევის წარმმართავი, მსაჯული და დამსჯელი ღვთაებაა.

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის სუბსტრატის გათვალისწინებით, რომელიც ძველკოლხური კულტურის მატარებელია, ასევე, არქეოლოგიურ და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით საკმარაულია ჟინი ანთარი წარმოადგენდეს ძველკოლხურ ცის ღვთაებას; მისი უბრალო, პრიმიტიული პერსონიფიკაციიდან დაწყებული, კოლხურმა რელიგიურმა აზროვნებამ გაიარა ევოლუცია და მივიდა ანთროპომორფულ, დიდებულ ღვთაებამდე, რომლის ერთ-ერთმა (მაგრამ არა ერთადერთმა) ემანაციამ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ მიიღო სინკრეტული ხასიათი და წმ. გიორგის სახით იქნა წარმოდგენილი.

წმ. გიორგი თაყვანისცემის ყველაზე პოპულარულ ობიექტს წარმოადგენს მთელ საქართველოში და, შესაბამისად, ყველაზე რთული და იდუმალებით მოცული ხატია მკვლევართათვის. ქრისტიანული (და არა მარტო ქრისტიანული) სამყაროს ყველაზე ცნობილი წმინდანი ხდება სხვადასხვა დისციპლინის სწავლულთა — ფილოლოგების, მითოლოგების, ეთნოლოგების, ხელოვნებათმცოდნეთა და სხვათა ინტერესების ფოკუსად.

წმინდანის მრავალფენტური სახე შესაძლებობას იძლეოდა პირველ პლანზე წამოწეულიყო მისი ესა თუ ის ასპექტი, რომელიც დასაბამს აძლევდა ახალი თეორიის განვითარებას მის შესახებ. ამის შედეგად, წმ. გიორგი სხვადასხვა დროს ასოცირდებოდა პერსევსთან, ჰორუსსთან, თამუზთან (ე.ი. მოკვდავ და აღდგენად ღვთაებასთან), მითრასთან და სხვა სახეებთან გამომდინარე კვლევის რაკურსიდან.

ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში დიდი ხნის მანძილზე დამკვიდრებული იყო შეხედულება, რომლის მიხედვით წმ. გიორგი წარმართობის დროინდელ მთავარ ღვთაებას — მთვარის ღვთაებას ჩაენაცვლა. მოგვიანებით გამოითქვა მოსაზრება, რომლის მიხედვით წმ. გიორგი ვერ ჩაენაცვლებოდა ერთ რომელიმე ღვთაებას და რომ მისი კულტი თანდათანობით უნდა ყოფილიყო ფორმირებული შუა საუკუნეების უძველეს რელიგიურ- მითოლოგიურ სახეებთან შერწყმის გზით.

ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერი ტრადიციის მიხედვით საქართველოში წმ. გიორგის სახელზე იმდენი ეკლესიაა აგებული, რამდენი დღეცაა წელიწადში და, შესაბამისად ერთიანი ხატი წმ. გიორგისა იყოფა, იშლება დაუსრულებელ სიმრავლედ სახეებისა, უთვალაკი სახელწოდებებითა და ეპითეტებით, რომლებიც მის სხვადასხვა სახეს ავლენენ.

წმ. გიორგის მეგრული სახელწოდება ჯგეგეჯერგეჯგეგეჯერგე მკვლევართა ყურადღებას იპყრობდა და იპყრობს წლების მანძილზე და ტერმინის ეტიმოლოგიური კვლევა დასაბამს აძლევს სხვადასხვა მოსაზრებას. მაგ: მეგრული ჯგეგეესა და სვანური ჯგრაგის (წმ. გიორგი) შედარებისას მათ სახეში შეიცნობდნენ წარმართულ სალოცავს — კერძოდ, წმ. მუხას (მრავლობითი ფორმით წარმოდგენილს), რომელსაც სახელ გიორგისთან გენეტიკურად არ აკავშირებენ. სხვები სვანური ჯგრაგის გაშიფვრისას მასში საწყისს ფორმად ხედავენ მეგრ. ჯგერა-გეგეს ანუ „კეთილ გიორგის", რომელიც ეგე-ს შეკვეცით უნდა იძლეოდეს სვანურ ჯგრაგს. ზოგი ზემოთქმულისაგან განსხვავებით ჯგრაგსა და გიორგის შორის სწორედ გენეტიკურ კავშირს ხედავს და ტერმინს ორ სიტყვად შლის — „ჯგირი" და „ბერგე" ანუ წმ. გიორგი ტერმინის შემდგომი ინტერპრეტაციით ზოგი ჯგრაგის საწყის ფორმად მეგრულ ჯგერაგუნას თვლის, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს წმ. აგუნას. ხოლო წმ. აგუნა (რომელსაც

ბერძნული აგონ-დან მომდინარედ მიიჩნევენ) კი ნიშნავს წმ. მებრძოლს, წმ. მოღვაწეს, რაც თავის მხრივ წმ. გიორგის ერთ-ერთი მთავარი ეპითეტია.

სამეგრელოში არსებობს მრავალი ლოკალური საკულტო ცენტრი წმ. გიორგისა, რომლებთანაც დაკავშირებულია სხვადასხვაგვარი ეპითეტი (გეოგრაფიული თუ ფუნქციის გამომხატველი, აღწერილობითი). მაგ: ილორის წმ. გიორგი, ალერტის წმ. გიორგი, ყულის კარის წმ. გიორგი, ჯეგე-მისარონი, სუჯუნის წმ. გიორგი, ოცინდალე, ჯეგე ხანგარამი, და სხვადასხვა, რომლებთანაც დაკავშირებულია გარკვეული გადმოცემები, რიტუალები, ცერემონიები.

ყველაზე ცნობილ და თაყვანცემულ საკულტო ცენტრად სამეგრელოში და, ასევე, მთელ დასავლეთ საქართველოში ითვლება ილორის წმ. გიორგის ეკლესია, ოჩამჩირის მახლობლად, სოფელ ილორში (დღევანდელი გალის რაიონი).

ილორის ეკლესიაში მნათეები იმ გვარებიდან ირჩეოდა, რომელთა „ჯინჯ ხატად" (საგვარეულო ხატად) იგი ითვლებოდა. ასეთები იყვნენ: მალიშა, სებეკია, მარკელია, ბუანა, მერჭულე, ჯიგანია, ხასია, ხოჭა და კიტა. ილორში განსაკუთრებულ პატივსა სცემდნენ კუპრას გვარს. გადმოცემების თანახმად, ილორის ეკლესის აგებისას კედლები ინრეოდა თურმე და ეკლესია ვერ შენდებოდა. მაშინ და-ძმა კუპრა (ვა) ჩაუტანებიათ ეკლესიის საძირკველში და ილორის ტაძარიც აშენებულაო. ამის გამო ილორობას ხარი რომ დაიკვლებოდა, მას კუპრას გვარის უფროსი კაცი თავის მარჯვენა ხელს დაადებდა და სადაც მოისურვებდა ხორცს იქ ამოუჭრიდნენ.

ეს ტაძარი უფრო მნიშვნელოვანია არა იმდენად ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, არამედ სასწაულჩენათა, ლეგენდათა და გადმოცემათა მიხედვით.

ილორის წმ. გიორგის დღეობას დღესასწაულობენ წელიწადში ორჯერ, 23 აპრილსა და 10 ნოემბერს (ძვ. სტილით), მაგრამ განსაკუთრებული ბრწყინვალებით, ადგილობრივთა გადმოცემით 10 ნოემბერს დღესასწაულობენ. ამ დღეს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ტრადიციისამებრ, თავს იყრიდნენ მლოცველები სხვადასხვა ვოტივური მისართმევებით (აბრეშუმის ქსოვილებით, ფულით, სანთლებით, მოსართავებით და ა.შ.) და სამსხვერპლო შესაწირის ცხოველებით (ხარებით, ცხვრებით, ვაცებით და სხვ).

ილორის წმ. გიორგი სახელგანთქმული იყო თავისი სასწაულებით; ერთ-ერთ ასეთ სასწაულად ითვლებოდა ხალხში მოარული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ 10 ნოემბერს (ძვ. სტილით) სახელგანთქმული მოწამე ხარს იპარავდა და ჩუმად მიჰყავდა ღამე ილორის ეკლესიის გალავანში. სასწაული შემდეგნაირად ხდებოდა: ეკლესიის გალავანი კლიტით იკეტებოდა, მისი გასაღები ეკლესიის მსახურს („მეკლიტურს") მიაქონდა თან. დილას, წირვის დაწყებამდე, როდესაც მეკლიტური აღებდა ჭის გალავნის კარებს, მის შიგნით ნახულობდნენ ხარს მოოქროვილი რქებით, რომელიც წმ. გიორგისთვის იყო განკუთვნილი სამსხვერპლოდ. ამ სასწაულის საუწყებლად ზარების რეკვა იწყებოდა. სალოცავად მისულნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხარი თვით წმ. გიორგის მიერ იყო მოყვანილი (ამასთან დაკავშირებით საინტერესოა სვანეთში დაცული ლეგენდა, რომლის მიხედვით ლატალისა და ლენჯერის ჯგრაგს, ანუ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიებს ილორის წმ. გიორგი მათ დღეობებზე შესაწირად ხარებს უგზავნიდა. თავის მხრივ, სვანეთის სალოცავებიდან, ილორის დღეობაზე სანთელ-საკმელი იგზავნებოდა. ეს სამი ხატი — ილორის, ლატალისა და ლენჯერის ჯგრაგები, ადგილობრივთა რწმენით, ძმები იყვნენ. ძმებში უფროსად ილორის წმიდა გიორგი ითვლებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, აღნიშნული სალოცავებიდან ერთ რომელიმე სალოცავში მისვლა ყველა დანარჩენ სალოცავში მისვლის ტოლფასი იყო).

ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თუ როგორ დახვდებოდათ ხარი გალავანში, გაუძალიანდებოდა თუ არა ის დაძერის დროს. და იწყებოდა სხვადასხვანაირი წინასწარმეტყველება თუ რანაირი იქნებოდა წელიწადი (თუ ირქინებოდა ომის ნიშნად ითვლებოდა, თუ დაწოლილი დახვდებოდათ, კარგი მოსავლის მაუწყებელი იყო; მნიშვნელობა ჰქონდა მის ფერსაც — თეთრი და ჭრელი ფერის ხარები კარგ ნიშნად ითვლებოდა და სხვ). ხარს გაიყვანდნენ გალავნის გარეთ და დააკვლევინებდნენ იქაურ მცხოვრებს, რომლის ოჯახს ძველთაგანვე ეკუთვნოდა ეს ხელობა. ამ ოჯახშივე ინახებოდა ნაჯახი, რომლითაც ხარი უნდა დაკლულიყო და რომელსაც სხვა რაიმე მიზნისათვის არ იხმარდნენ.

შეწირული ცხოველის ხორცს, რომელიც წვრილად იჭრებოდა და რიგდებოდა ხალხში, სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდნენ და ყველაზე ეფექტურ საშუალებად ითვლებოდა ნებისმიერი ავადმყოფობის დასაძლევად. (აქვე გავიხსენოთ, რომ ილორის წმ. გიორგი ცნობილი იყო, როგორც აუზნიანებისა და სულით ავადმყოფების მკურნალი. ამის გამო, გიორგობას ილორში მიჰყავდათ „ხაჯალურებით" შეკრული ავადმყოფები და ვისაც დათქმული ჰქონდა, სულით ავადმყოფს ილორის წმ. გიორგის ხატს დაუწვენდა „ხატიში ითონჯირაფა", ღამეს უთევდა და ეკვდრებოდა მის განკურნებას).

ილორის წმ. გიორგის სახელთან სხვა სასწაულიც იყო დაკავშირებული. იგი ეხებოდა სასწაულმოქმედ, მართლმსაჯულების ოქროს სასწორს, რომელიც ეკლესიის თაღიდან ეშვებოდა შუაში. ითვლებოდა, რომ ილორის წმ. გიორგი მომრგებელი იყო ყოველგვარი დავისა და გაუგებრობისა ადამიანთა შორის და რომ ეს მორიგება ხორციელდებოდა ამ სასწორის მეშვეობით. მოდავე მხარეები დგებოდნენ სასწორის ქვეშ და ლოცულობდნენ ილორის ხატს, რომელიც თავის მხრივ, მართლის მხარეზე იხრებოდა და ქეყანაზე სუფევდა მშვიდობა და სამართალი. მაგრამ, გადმოცემის თანახმად, ერთმა ცოდვილმა ადამიანმა სცადა წმინდანის მოტყუება, რის შედეგადაც განრისხებულმა წმინდანმა მართლმსაჯულების ოქროს სასწორი სამუდამოდ წაიღო ცაში. ოქროს სასწორი სასწაულებრივ გაქრა სამუდამოდ, მაგრამ სამეგრელოში დარჩა ჩვევა, რომელიც ადგილობრივთ ყოველთვის აგონებთ წმინდანის მართლმსაჯულებას. ეს ჩვევაა ე.წ. „გინოჩამა" ანუ ხატზე, ხატის სამსჯავროზე გადაცემა, რომელიც ეკლესიის ეზოში (ან ზოგჯერ სამჭიდლოში) სრულდებოდა. (ამ რიტუალის ჩატარება წმ. გიორგის სახელობის სხვა ეკლესიის ეზოშიც შეიძლებოდა, მაგრამ ყველაზე სწრაფად მომქმედად ილორის წმ. გიორგი ითვლებოდა).

ადგილობრივი რწმენებით, ილორის ხატზე გადაცემულ მტყუანს უეჭველად ილორის წმინდა გიორგი დაამიზეზებდა და ბოლოს მოუღებდა. თუ დაწყევლილი ოჯახი ამოწყდებოდა (ე.ი. ყველა თაობის წარმომადგენელი კვდებოდა) მაშინ სასჯელი, გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ბუმერანგივით უკან უბრუნდებოდა ხატზე გადამცემს. (ამგვარი რწმენები მოწმდება რაჭასა და ლეჩხუმიც). მიუხედავად იმისა, რომ ხალხური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით „გინოჩამა" ითვლებოდა სახიფათო და არასასურველ საშუალებად, ხოლო ეკლესია სასტიკად სდევნიდა ამ ჩვევას, მაინც ყველამ იცის დღესაც ხატზე გადაცემის და „გამოსყიდვის" წესები.

დაზარალებული ანუ ხატზე გადამცემი უშუალო კონტაქტში ვერ შედიოდა წმინდანთან. ამ მიზნებისათვის არსებობდა სპეციალური შუამავალი ხატსა და ადამიანს შორის, რომელსაც „მეხატულს" უწოდებდნენ. „მეხატული" ატარებდა წმინდანის ხატს (ზოგჯერ გულზეც ეკიდა) და მის მოვალეობას შეადგენდა დამნაშავის ხატზე გადაცემა. მის ფუნქციებში, ასევე, შედიოდა ადამიანის და წმინდანის მორიგებაც. მეხატული, ჩვეულებრივ, ეკლესიასთან ახლოს ცხოვრობდა, ისინი, უმთავრესად კაცები იყვნენ და მათ მონაცემების მიხედვით ირჩევდნენ ე.ი. იმის მიხედვით თუ რამდენად ლოგიკური და ეფექტური საუბარი შეეძლოთ. ხელთარსებული მასალებით, მეხატულობა მემკვიდრეობით არ გადაიცემოდა.

ამრიგად, დაზარალებული, რომელიც მართლმსაჯულებას ეძებდა ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში, თხოვნით მიმართავდა „მეხატულს" ხატზე გადაეცა დამნაშავე. „გინოჩამას" რიტუალში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მაგიურ ქმედებას, რომელიც ხესთან, უფრო ხშირად, რცხილასთან ან მუხასთან სრულდებოდა. დაზარალებული მიჰყავდათ რცხილასთან და ეხვეწებოდნენ წმინდანს დახმარებას. შემდეგ აჭედებდნენ ლურსმანს და თან დასძენდნენ: „სანამ კბილებით არ ამოვიღებ ამ ლურსმანს, მანამდე იყოს პარალიზებულიო".

წყევლის სწრაფად და ეფექტურად შესრულებისათვის მახვეწარი ყოველწლიურად გზავნიდა ეკლესიაში შეწირულებას სანთლების ან სხვა სახით და სთხოვდა ილორის წმ. გიორგის მალე გამოვლინა თავისი ძალა, რისხვა და დაესაჯა დამნაშავე. თუ დაწყეველილის ოჯახი ამოწყდებოდა, ხატზე გადამცემს მაშინვე მიჰყავდა ილორში სამსხვერპლო ვაცი და ასრულებდა სპეციალურ ლოცვას „განალინს", წყევლის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ამჯერად, ადგილობრივთა რწმენით, უკვე თვით ხატზე გადამცემს ემუქრებოდა დაბრუნებით.

ზოგჯერ გარკვეული ხნის გავლის შემდეგ მტრულად განწყობილი მხარეები რიგდებოდნენ. ამის სტიმული, ხშირად, ხდებოდა მაგ: უეცარი ავადმყოფობა დაწყეველილი ოჯახის რომელიმე წევრისა. ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევაში დაზარალებული მიდიოდა ხატზე გადამცემთან ძღვენით და თხოვდა მოეხსნა მისგან წყევლა. ხატზე გადამცემი, ან მისი ოჯახის რომელიმე წარმომადგენელი, ჩვეულებრივ, თანხმდებოდა და სრულდებოდა ე.წ. „ღღდგენითი რიტუალი", რომლის დროსაც ორივე მხარე – გადაცემულიცა და გადამცემიც – მიდიოდნენ ილორში შესაწირავებით და გამოისყიდდნენ თავს ილორის წმ. გიორგისაგან. ამ გზით, ადგილობრივთა რწმენით, აღსდგებოდა მშვიდობიანი ურთიერთობა ადამიანსა და წმინდანს შორის და მოქიშპეთა შორის, რის შედეგადაც მყარდებოდა საყოველთაო სიმშვიდე და ჰარმონია.

ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში უკანასკნელ დრომდე ინახებოდა წმ. გიორგის სასწაულმოქმედი ატრიბუტები – რკინის მშვილდი (შქვილი), რომლის სიმაღლე აღწევდა ერთ მეტრს, ბუკი (ოლე) და წმინდანისადმი შეწირული ბორძლები ე.ი. ორპირი ბოლოიანი ისრები რომლებთანაც დაკავშირებულია გარკვეული რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები.

მშვილდთან, უძველეს მითოლოგიურ სიმბოლოსთან, სხვადასხვა ტრადიციაში სხვადასხვა რწმენა-

წარმოდგენებია დაკავშირებული. მითოლოგიური ტექსტების უმრავლესობაში მშვილდის კორპუსი, სივერკობრივი კატეგორიის მიხედვით, გაიგივებულია ქვედა სამყაროსთან. დროითი ან ციკლური კატეგორიის მიხედვით — პერიოდით მზის ჩასვლიდან ამოსვლამდე და მის სინონიმურ ფაზებთან — სიკვდილიდან და დაბადებამდე, შემოდგომიდან და გაზაფხულამდე.

სამეგრელოში მშვილდს მაგიური დანიშნულება ჰქონდა და გამოიყენებოდა ავადმყოფების მოსარჩენად. ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში, რომელიც სახელგანთქმული იყო თავისი სასწაულმოქმედი ძალით და ყოველისშემძლეობით, მიჰყავდათ ყველა სახის დაავადებით შეპყრობილი ავადმყოფები, რომლებშიც მაინც უფრო სულით ავადმყოფები დომინირებდნენ. მათ, როგორც ცნობილია, მეხატული აიძულებდათ გამძრალიყვნენ ილორის წმ. გიორგის რკინის მშვილდში. მშვილდში გაძვრომა, ხეების ფესვებში გაძვრომა,სახლის (იგულისხმება დასავლურ-ქართული სახლის ტიპი) ქვეშ გაძვრომა,რასაც განკურნვა ჰქონდა მიზნად, ე.წ. „გადასვლის" რიტუალებს განეკუთვნება და სიმბოლურად უნდა ნიშნავდეს ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლის და კვლავდაბადების იმიტაციას.

სამეგრელოში ფართოდ გავრცელებული შეხედულებების თანახმად ჭექა-ქუხილის დროს წმ. გიორგი თეთრ ცხენზე ამხედრებული მიჰქრის ცაში, სდევნის ავ სულებს და გმირავს მათ თავისი ბოლოგაყოფილი ისრებით, რომელსაც ბორძალი (აფხ. აბორძალი) ეწოდება. სამეგრელოში არსებობენ გარკვეული გვარები, რომლებიც ილორის წმ. გიორგის „მოვალეებად" ითვლებოდნენ და მისი დღეობისათვის მათ ყოველწლიურად უნდა წაეღოთ ილორის ეკლესიაში სამჭედლოში გამოჭედილი რკინის ისრები, ბორძლები, რომლებიც ხალხური რწმენების მიხედვით, წმ. გიორგის ცაში მიჰქონდა ჭექა-ქუხილის დროს. ისრები, ამ კონტექსტში, მეხთმტყორცნელის იარაღი იყო, რომლითაც იგი გმირავს (თრგუნავს) ხთონურ მოწინააღმდეგეს. მაგრამ, ისრები, ასევე, გაიაზრება როგორც მკურნალის ატრიბუტი (შდრ. ბერძნ. აპოლონი, ინდ. რუდრა ან წმ. სებასტიანი, რომლის ისრებიც შუა საუკუნეების ევროპაში გამოიყენებოდა ეპიდემიების დროს.)

ხალხური გადმოცემის თანახმად, იქ სადაც მეხი ეცემოდა, პოულობდნენ წმ. გიორგის ორად გაყოფილი რკინის ისრის კვალს ან ჯვარს, რომელსაც „ნაჯვარლენს" უწოდებდნენ, რადგან ადგილობრივთა რწმენით, მეხი ვარდებოდა ანთებული ჯვრის სახით. მეხი კი ეცემოდა ერთ შემთხვევაში მაშინ, როდესაც წმინდანი სდევნიდა ავ სულს, რომელიც ჩვეულებრივ, ხის ქვეშ იმალებოდა ან არა დ. დასჯის მიზნით. მეხის დაცემით ითვლებოდა, რომ წმინდანი აფრთხილებდა დამნაშავეს ანდა „ირჩევდა" ვინმეს მონად, რის შედეგადაც რჩეული გამოეწყობოდა თეთრებში (ან ჭრელ სამოსში) გლოვის დროსაც კი და ყოველწლიურად დაიკლიდა წმ. გიორგის სახელობის ეკლესიებს (მათი დღეობების რიგის შესაბამისად) და მიჰქონდა სხვადასხვა შეწირულებანი. ჭექა-ქუხილის დროს ადგილობრივი მცხოვრებლები პირჯვარს იწერდნენ და სთხოვდნენ წმ. გიორგის შეეწყალებინა ისინი და არ დაერტყვა მეხი მათთვის (ზოგ შემთხვევაში მსხვერპლსაც სწირავდნენ). თუ მეხი მაინც დაეცემოდა, მაშინ ეს დამკვიდრებული წესრიგის დარღვევის გამო წმინდანის მიერ გამოგზავნილ სასჯელად აღიქმებოდა. (წესრიგის დარღვევაში იგულისხმება აღთქმულის არ შესრულება, ქურდობა, ტყუილი და სხვა. ე.ი. ის, რაც ეწინააღმდეგებოდა ადგილობრივ მორალს).

სამეგრელოში მეხნაკრავი ხე მაშინვე ხელშეუხებელი ხდებოდა. მას არ იყენებდნენ. ამ აღკვეთის დარღვევის შემთხვევაში ცოდვილს კვლავ ეცემოდა მეხი (ან სხვაგვარად ისჯებოდა). „გამოსასყიდი" ან აღდგენითი რიტუალი უნდა შესრულებულიყო სამ, შვიდ ან ცხრა წელიწადში ერთხელ. წინააღმდეგ შემთხვევაში განრისხებულ წმინდას შეეძლო მთელი ოჯახის განადგურება.

თეთრ ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგის სახით უნდა ყოფილიყო, ალბათ ინსპირირებული მისი ეპითეტი თოროსანი|თეროსანი, რომელიც სალხინოში ფიქსირდება. ამ სახელში წმ. გიორგის შეცნობა ერთი შეხედვით ძნელიც კი არის. მაგრამ ქვემო სვანეთში არის თეთროსან შქედილ ე.ი. შქედის თეთროსანი, რომლის დღეობა მოდიოდა მეისარობის შაბათის წინ ე.წ. ტახების პარასკევს და ამ დღეს ყველა ვალდებული იყო ტახი ჰყოლოდა სახლში.

აქედან გამომდინარე, თოროსანი|თეროსანი|თეთროსანი სხვა არაფერია თუ არა წმ. გიორგის კიდევ ერთი ეპითეტი, რომელიც თეთრი ცხენის მფლობელს (თეთრ ცხენიანს) აღნიშნავს და მისი ეს სახე იკონოგრაფიითაც მრავალჯერ მტკიცდება.

ილორში სალოცავად დადიოდნენ, აგრეთვე უშვილონი, რომელნიც წმ. გიორგის ვერცხლის პატარა აკვნის მოდელს სწირავდნენ. ასევე საყურადღებოა, რომ გიორგობაზე წინასწარმეტყველებდნენ თუ რანაირი ამინდი იქნებოდა მთელი წლის მანძილზე და რანაირი მოსავალი იყო მოსალოდნელი (ამგვარი მკითხაობა მრავალ ხალხშია გავრცელებული და ხშირად მისადაგებული იყო საქონლის საძოვრებზე გარეკვის დროსთან, 23 აპრილთან (ძვ. სტ.).

ილორობა გურიაში საქონლის დღესასწაულის სახითაა მოღწეული დღემდე და მოდის ყველიერის ხუთშაბათს.

წმ. გიორგი|ჯეგე ხშირად გვხვდება კომპოზიტში ჯეგე-მისარონი. მის საკულტო ცენტრებს, ხელთარსებული მასალის მიხედვით, სამეგრელოში წარმოადგენდნენ ჯუმითი, ჯიხასკარი, გეჯეთი, ნოქალაქევი, სალხინო და სხვ. მის დღეობას მირსობა|მისირობა (ზოგი კუთხური გამოთქმით ნირსობა) ეწოდება. იგივე დღეობას სვანები „მეისარობს" (ან „მეისარობს") უწოდებენ, გურულები — „მოისარობას", ხოლო რაჭველები და ლეჩხუმელები — „მეისარობას".

მირსობას სამეგრელოში დიდმარხვაზე იხდიდნენ. ამ დღისათვის საგანგებოდ ასუქებდნენ ღორს, რომელსაც „ომირსე" (ეი. მირსასთვის განკუთვნილი) ეწოდებოდა. მირსობა დღეს, რომელსაც ხუთშაბათს უსადაგებდნენ სამეგრელოში, ოჯახის უფროსი ღორს კერის გარშემო შემოატარებდა რამდენჯერმე ლოცვით:

„დღეს მირსობის მობრძანებავ!
მე და ჩემს ცოლ-შვილს
ბედი მიეცი, ბედნიერად ამყოფე,
ყოველი სიავე გაუქარვე, ყოველი
ავი გზისაგან, წყლისაგან შენ
დაიცავი, სახელდალოცილო".

ლოცვის დასასრულს ღორს დაკლავდნენ, შემდეგ ოჯახის დიასახლისი თითოეული წევრისათვის ორ-ორ მრგვალ კვერს და კვერცხს მოხარშავდა. სადილის წინ ოჯახის წევრები უფროს-უმცროსობით კერასთან მდგარ ტაბაკთან მივიდოდნენ და სათითაოდ აიღებდნენ თავიანთ კვერებს და კვერცხებს, თვალებზე მიიფარებდნენ, თან ატრიალებდნენ და ლოცვას წარმოსთქვამდნენ:

„წმ. მირსა(ს) დღეს ვლოცულობ!
ჩემი თვალის სიმრთელისათვის
კვერცხით და კვერით, ავი თვალის ტკივილი,
ავი თვალის დაწირავლა შორს გამიქარვე,
მთაზე ბუში მიფრინავდეს ჩემს თვალს დაანახვე,
მთაზე ჭიანჭველა მიცოცავდეს, ღმერთო
ჩემს თვალს დაანახვე,
ჩემის თვალის ნაჭარით ჩემი გული გაახარე.

მსგავსი რიტუალები მოწმდება გურიაში, რაჭაში, ლეჩხუმში, სვანეთში.

სამეგრელოში, ამ დღეს სალოცავად მიდიოდნენ სხვა სოფლებში გათხოვილი ქალები, რომელთა ფუძის ხატად ჯეგე-მისარონი ითვლებოდა და თან მიჰქონდათ სანთელ-საწირი და დაკლული ღორები. მაგრამ განსაკუთრებით ამ სალოცავში მიდიოდნენ თვალით სნეულნი და მიჰქონდათ შესაწირი, ორი სანთელი, ორი კვერცხი, ორი კვერი და თეთრი ფულები.

თვალის სალოცავადაა მიღებული ე.წ. მეისარობა|მოისარობა მთელ დასავლეთ საქართველოში, რომელიც საოჯახო რიტუალადაა ქცეული და მას ყველა ასრულებს.

არსებობდა თვალსაზრისი, რომელიც მირსობის რიტუალში შესაძლებლად თვლიდა მითრას ქართული შესატყვის რწმენის მოკვლევას. მაგრამ მისარონის კულტის არსებობა სვანეთში, გურიაში, რაჭასა და ლეჩხუმში შესაბამისი დიალექტური სახელებით — მეისარიბ, მოისარი, მეისარი — ბუნებრივი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. დიალექტური სახელებისა და რიტუალების შედარებისას ნათელი ხდება რომ მისარონი|მეისარონი იგივე მირსა|ნირსა უნდა ნიშნავდეს წმ. გიორგი მოისარს, რომლის განუყრელ ატრიბუტს ისარი წარმოადგენდა და რაც სავსებით შეესაბამება ადგილობრივ წარმოდგენებს წმ. გიორგიზე.

ასევე საინტერესოა მეორე კომპოზიტი ჯეგე-ხანგარამი, რომელიც გაიგება, როგორც წმ. ხანგარამი. შემდგომმა კვლევამ გამოაელინა, რომ ხანგარ-ამში „ამ" სუფიქსი ქართული -იანის შესატყვისია (ჩილ-ამ-ი — ცოლიანი და ა.შ.). და რომ ჯეგე-ხანგარამი — წმ. ხანგარამს კი არ უნდა ნიშნავდეს, (ასეთი წმინდანი უცნობია ქრისტიანობისთვის) არამედ ჯეგე ხანგროსანს. სიტყვა ხანგარ-ის მნიშვნელობა მეგრულში დაკარგულია, მაგრამ სამაგიეროდ სვანურში ხანგირ-ამირანის იარაღია და ნიშნავს დანას, ხანჯალს, დაშნას, ხმალს. შესაბამისად გამოითქვა მოსაზრება, რომ ხანგრის თავდაპირველი მნიშვნელობა

უნდა ყოფილიყო ლახვარი, რმოელიც წმ. გიორგის იარაღია და რომლითაც ის გველეშაპს ჰკლავს. ამ მოსაზრების თანახმად ჯეგე-ხანგარამი შეიძლება ითარგმნოს, როგორც გიორგი ლახვროსანი ან გიორგი შუბოსანი (კოპალა ლახტიანის ანალოგიურად). ამასთან დაკავშირებით საინტერესო მასალა ფიქსირდება სამეგრელოში. კერძოდ ის, რომ წმ. გიორგის მიერ „დამიზეზებულ", „დაჭრილ" ავადმყოფს სამეგრელოში ეძახიან „ჟინიშ ხანგას", რაც კიდევ ერთხელ მაჩვენებელია იმისა, რომ ადგილობრივთა წარმოდგენით ნებისმიერი ავადმყოფობა გამოწვეული იყო ზებუნებრივი ძალის (ამ შემთხვევაში წმ. გიორგის) მიერ და კონკრეტულ შემთხვევაში ამსახველია რწმენისა (და ხატოვანი სურათის წარმოსახვის საშუალებას იძლევა) რომლის მიხედვით „დაჭერის" დროს წმ. გიორგი ლახვარს სცემს თავის მსხვერპლს, ლახვრავს მას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წმ. გიორგი თავის იარაღს იყენებს არა მარტო „დაჭერის", არამედ განკურნვის დროსაც (გაეიხსენოთ სული ავადმყოფობის მორჩენა მათრახის საშუალებით, რომელსაც ადგილობრივთა წარმოდგენით, წმ. გიორგი გადაუჭერს ავადმყოფს).

წმ. გიორგის ბუნებისა და ფუნქციების კვლევისას თვალში საცემია მისი მრავალმხრივობა, მრავალფეროვნება ან, ხალხური ეპითეტით რომ გამოვხატოთ, მისი მრავალძალობა (მრავალძალის წმ. გიორგი — რაჭაში). ეპითეტები და ატრიბუტები ხატავენ წმინდანის სახეს: იგი არის თეთროსანი, მოისარი, ხანგროსანი, მეხმტყორცნელი, აქედან გამომდინარე — ამინდის განმგებელი, უნივერსალური მომმარაგებელი, რომელიც უხვი მოსავლისა და საქონლის გამრავლების გარანტიას იძლევა; შვილიერების მომცემი, მკურნალი; მორალის მკაცრი მცველი, მთავარი მსაჯული სამედიატორო სასამართლოებში, ულმობელი დამსჯელი; ამავე დროს, მოხერხებული და საზრიანი ქურდი ხარებისა, რის გამოც მას ზედმეტსახელად „ხარიპარიას" ეძახიან. ამ თვისებით წმ. გიორგი ემსგავსება სოლარულ გმირს, ღვთაებრივ ქურდს (შდრ. აპოლონი, მერკური, ჰერაკლე და სხვ), რომელიც გათენებისას ხარებსა და ძროხებს იპარავს ბოსლიდან თითქოს-და ხუმრობით,სხვათაშორის თავისი ხერხიანობისა და სიძლიერის საჩვენებლად და დასამტკიცებლად. საერთოდ, მის კულტში სოლარული ელემენტები მკაფიოდ ჩანს. იგი ასოცირდება სინათლესთან. თხოვენ თვალების სისაღეს და დაცვას სნეულებისაგან. თვალი კი თავის მხრივ ძირითადი სოლარული სიმბოლოა, რადგან როგორც ცნობილია, თვითონ მზე უძველესი წარმოდგენების თანახმად ყოვლისმხილველი ღმერთია და წარმოიდგინება, როგორც თვალი (მზე - ორმუზდის თვალი ირანელებისა, ეგვიპტელებთან მარჯვენა თვალი დემიურგისა, ვარუნას თვალი ინდოელებთან, ზევსის თვალი ბერძნებთან და სხვ.) მის საკრალურ, სამსხვერპლო ცხოველებს — ხარს, მამალს, ღორს — ასევე, სოლარული კონოტაცია აქვთ. მაგ: ღორი (ისევე, როგორც გარეული ტახი) სოლარული გმირის ერთ-ერთ ნიღაბს წარმოადგენს ღამეში, ფორმას, რომელსაც მზე ხშირად იღებს (მითიური გმირის სახით) სიბნელეში ან ღრუბლებში. ამ ფორმას იგი იღებს რათა დაემალოს თავის მდევარს, ან პირიქით, მის გასანადგურებლად, სხვა შემთხვევაში იგი ამ ფორმას დემონური მოწინააღმდეგის გამო ატარებს. (უნდა აღინიშნოს, რომ ხანდახან ის თვითონ განასახიერებს დემონურ ნიღაბს, რომელსაც გმირი ებრძვის).

ამრიგად, წმ. გიორგი თეთროსანი, ხანგროსანი, მოისარი, მეხმტყორცნელი, ამინდის განმგებელი, მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა მფარველი, წარმოადგენს ახალ თეოფანიას, გამომხატველია სამყაროს აღქმის ახალი დონისა და თავისი ეპითეტებითა და ფუნქციებით წმინდა ქართული განუმეორებელი მოვლენაა. წმ. გიორგის სინათლით მოსილი ხატი ქართველთა რელიგიური აზროვნების სრულქმნილების ემბლემაა.

სამეგრელოში ცელესტიური სამყაროს კიდევ ერთი წარომომადგენელია მიქამ-გარია|მიქამ-გარიო (რომელიც ადგილობრივი, დამახინჯებული სახელწოდებაა ქრისტიანული მთავარანგელოზების წყვილისა — მიქაელისა და გაბრიელის). სამეგრელოში და საერთოდ. დასავლეთ საქართველოში მიქამ-გარიას (შდრ. აფხ. აკამ გარიას| სკამგარიას) წმ. გიორგის შემდეგ ყველაზე მეტად სცემდნენ თაყვანს.

მიქამ-გარიას კულტთან დაკავშირებულია სალოცავი რიტუალი „ოხვამერი" (სამიქამგარიო ოხვამერის არსებობას ადასტურებს XVIIს-ის ფრანგი მოგზაურიც — ჟან შარდენი). მას დიდ მთავარ სალოცავს ეძახდნენ, რომელსაც გოჯით ილოცებდნენ (აქედან მომდინარეობს მისი მეორე სახელწოდება „თუშ ოხვამერი"). ლოცვა ტარდებოდა წელიწადში ერთხელ, ძვ. სტილით ახალი წლის შემდეგ მომდევნო ორშაბათს, სალოცავად მიჩენილი იყო „ოხვამერი ლაგვანი" (სალოცავი ქვევრი), რომელიც სპეციალურად იყო ჩადგმული მიქამ-გარიას სახელზე. ზოგს ეს ქვევრი მარანში ჰქონდა ჩადგმული, ზოგს კი გარეთ, შემოღობილში, მზის პირზე, სახლის მარჯვენა მხარეს, ან — ვენახში. ღვინის ფერს მნიშვნელობა არ ჰქონდა (თუმცა ზოგი შავ ღვინოს — „იზაბელას" ამჯობინებდა). თუ ვინმე ვერ მოასწრებდა ორშაბათს ლოცვას, მაშინ ოთხშაბათს ან პარასკევს ლოცულობდნენ (შენიშნეთ, ეს არ არის ტრადიციულ სალოცავ დღეებად მიჩნეული „ბეკულა" დღეები). ერთი მამის შვილები ერთად ლოცულობდნენ. თუ ძმები გაყრილები იყვნენ, ისინი სალოცავად მიდიოდნენ იმ ძმასთან, რომელიც მამის ოჯახში ცხოვრობდა.

ოჯახის უფროსის ლოცვამდე ვერავინ ვერ მივიდოდა მარანში (ან იქ, სადაც ეს ქვევრი იყო მოთავსებული). ქალებს უფლება არ ჰქონდათ ლოცვას დასწრებოდნენ. ოხვამერთან ოჯახის წევრები ლოცულობდნენ მუხლმოდრეკილები. ლოცულობდნენ ორი კვერითა და ღვეზელით, რომელიც კეთდებოდა სიმინდის ფქვილითა და ყველით (ან ზოგჯერ მოხარშული შიგნეულით). ისინი მრგვალი ფორმისა იყო, ღვეზელი – მოგრძო. ამ კვერებს ქვევრთან ჭამდნენ. კვერების გარდა, სალოცავად მიჰქონდათ საკლავის ფილტვი, გული და თავი. ოჯახის უფროსი დაანთებდა სანთლებს, თავზე შემოავლებდა ოჯახის წევრებს და დაილოცებოდა: „დიდო ღმერთო, მთავარ მიქამ-გარიო, დაილოცოს შენი სახელი, ოჯახში ჯანმრთელობა მოგვეცი, მოზარდები დაგვიზარდე, მოგვეცი ბედნიერი ცხოვრება“.

დიდ (მთავარ> ანუ მთავარანგელოზების) სალოცავზე, (სამგარიოს სალოცავზე ოჯახს შესახელებული ძროხა, ე.წ. სალოცავი ძროხა („ოხვამერ ჩხოუ“) ჰყავდა, რომელსაც „პატენიას“ ეძახდნენ. „პატენიას“ ნამატი იწირებოდა „ოდუდია სამგარიოს“ ლოცვის დღისათვის. „პატენიას“ ხბო თუ არ ეყოლებოდა, იმ წელს გოჭს დაკლავდნენ.

მიქამ-გარიას ადგილსამყოფელად ზეცა მიაჩნდათ. იმავე დროს იგი წარმოიდგინება ᲛᲐᲦᲐᲚ მთაზე მჯდომად. მის ფერი თეთრია; ამინდის განმგებელია. მიქამ-გარია ითვლება საქონლის მფარველად, ასოცირდება მთვარესთან, რაზეც სალოცავი რიტუალის ორშაბათს შესრულება მიანიშნება (მეგრ. თუთაშხა-მთვარის დღე – ორშაბათი). მთავარანგელოზების ლუნარულობა, ასევე ჩანს ქართული იკონოგრაფიის ადრეულ ნიმუშებზე, რომლებშიც მათ თავში გამოსახული აქვთ ნახევარმთვარეები. ასევე თვალსაჩინოა მისი კავშირი მარცვლეულ კულტურებთან (ფეტვი, სიმინდი და სხვ), რომელთა მოსავლიანობა მასზე იყო დამოკიდებული და მისი ეს ფუნქცია კარგად ჩანს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული „ხელხვავის“ სიმღერებში („მიქელამ და გაბრიელამ ყანა გაგვიხვავრიელა...).

აშკარაა, რომ მიქამ-გარიას დასავლურ-ქართული ტრადიციის წყარო ქრისტიანულია, მაგრამ ასევე აშკარაა, რომ ადგილობრივ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო დამახასიათებელი კონტამინაცია ქრისტიანული და წინაქრისტიანული რწმენა-წარმოდგენებისა, რამაც განაპირობა არსებითი ტრანსფორმაცია თავდაპირველი სახეებისა (ანუ ქრისტიანული მთავარანგელოზები აღმოჩნდნენ წინაქრისტიანული ღვთაებების შემცვლელად და, შესაბამისად, მათ შეითვისეს და გაითავისეს რიგი ნიშნებისა, რომლებიც წინაქრისტიანული წარმომაელობისაა).

საკვირველია, რომ მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ხატების რეცეფციის საფუძველში იდო რწმენა-წარმოდგენები წყვილ ღვთაებაზე.

ცნობილია, რომ წყვილი ღვთაებები არიან გავრცელებული მთელ მსოფლიოში. მათ რელიგიების ისტორიაში „ღვთაებრივ ტყუპებს“ უწოდებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მითოლოგიურ ტრადიციაში მათი „ტყუპობა“ ყოველთვის არ არის მინიშნებული, ანუ ტერმინი „ტყუპები“ იხმარება ყველა წყვილი ღვთაების მიმართ, რომლებიც თავიანთი თვისებებითა და ფუნქციებით მსგავსია უნივერსალური დიოსკურული მოდელისა.

გავრცელების, რიტუალებისა და კულტის თვალსაზრისით დიოსკურები ნამდვილად ყველაზე პოპულარულ ღვთაებებად ითვლებოდნენ მრავალ ხალხში და როგორც ასეთები გადავიდნენ ქრისტიანული ეკლესიის წმინდანთა ციკლებში.

ტიპოლოგიურად, წარმართული ტყუპების მიმღებ ქრისტიანულ წმინდანებად ითვლებიან: კოსმა და დამიანე, ფლორი და ლავრი, ბორისი და გლები; დასავლურ-ქართულ ტრადიციაში ასეთ წყვილ წმინდანებად შეიძლება წარმოვიდგინოთ: პეტრე და პავლე, თევდორე და გიორგი, დავითი და კონსტანტინე.

წყვილად აღიქმება მიქამ-გარიოც. ისინი ზღაპრებსა და ლეგენდებში გვხვდებიან, როგორც მკურნალნი და სულის გამცილებლები (ეს უკანასკნელი შეესაბამება ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებს მათზე).

მთავარანგელოზები ეხმარებიან მონადირეს – ნადირობაში; შურისმაძიებელს – შურისძიებაში; მგზაურს – მგზავრობაში და ა.შ.

მიქამ-გარია ხშირად განასაზიერებს მოსამართლეს სამედიატორო სასამართლოში და მისი ეს ფუნქცია დასტურდება მთელ დასავლეთ საქართველოში.

ტყუპების კულტის არსებობაზე არქეოლოგიური აღმოჩენებიც მოწმობენ: „ჭაბუკის“ სკულპტურა გონიოს განძიდან; „ჭაბუკის“ ბრინჯაოს სკულპტურა, აღმოჩენილი სამეგრელოში (დიოსკური ძმის ცალი); ვანში 1984 წელს გათხრის შედეგად აღმოჩენილი ცული, რომელზეც სკულპტურულად გამოსახულია წყვილი მხედარი, რომლებიც დიოსკურებთან იგივდებიან;

ამრიგად მიქამ-გარიოს თაყვანისცემაში ივარაუდება ადგილობრივი ლოკალური კულტი ტყუპი ღვთაებებისა, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე ქრისტიანობაში აბსორბირებით და გაახდა გარკვეული აზრით ქრისტიანული რელიგიის განუყოფელი ნაწილი, უფრო მეტიც, ქრისტიანობამ თვითონ შემოიტანა წყვილ წმინდანთა კულტები, რომელნიც შეიმოსნენ დიოსკურული ნიშნებითა და ფუნქციებით და ამ

გზით ქრისტიანობამ ხელი შეუწყო ღვთაებრივი ტყუპების ანტიკური ტრადიციის არსებობას დღემდე.

დასავლურ-ქართულ ტრადიციაში მიწა (დედა-მიწა) ანსახიერებს ქალურ საწყისს და უპირისპირდება ცას, როგორც მამაკაცურ საწყისს.

სამეგრელოში რიტუალის შესრულების არქაული მანერით გამოირჩევა „ნერჩის ხვამის რიტუალი", რომელიც დიდმარხვამდე ოცდახუთი დღით ადრე, ოთხშაბათ დღეს სრულდებოდა. მას სხვაგვარად „ოჯუამშხერის" ანუ ოთხშაბათის ლოცვა ეწოდებოდა. სალოცავ რიტუალს საიდუმლოდ ატარებდა ოჯახის უფროსი ქალი, რომელიც სახლის წინა და უკანა კარებზე ანთებდა ორ-ორ სანთელს. სანთლების ჩაფერფლამდე დიასახლისს უნდა შეეჭამა ამ დღისათვის სპეციალურად გამომცხვარი ოთხი კვერი და მხოლოდ ამის შემდეგ გააღებდა კარებს – ვახშმისათვის აუცილებლად ცხვებოდა დიდი ლობიო-ჟური (ბაზგასმით ჭვაეის ფქვილისაგან), რომელიც იდებოდა ხის ნისორზე და იდგებოდა მიწაზე სახლის აღმოსავლეთ კუთხეში და ახსენებდა ღვთაება „ნერჩი პატენს". სიტყვა „ნერჩი" საქართველოს სხვა კუთხეებშიც ყოფილა გავრცელებული და გამოიყენება რაიმე საგნის ძირის, ფსკერის აღსანიშნავად.

ნერჩის სალოცავი რიტუალი ძველად სამეგრელოში, ასევე სრულდებოდა თუკი ახალ რძალს ერთი წლის გასვლის შემდეგ შვილი არ უჩნდებოდა. ითვლებოდა, რომ მასზე ფუძე იყო გამწყრალი მისი გულის მოსაგებად და მოსაბრუნებლად ნებისმიერ „ეკეკული დღეს" (ე.ი. სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს ან კვირას) შეასრულებდნენ მისადმი მიძღვნილ რიტუალს სამზადისში მამაკაცთა დაუსწრებლად.

უშვილო ქალს დაჩოქილს უნდა შემოეკლო კერიის გარშემო სამჯერ ისე, რომ წინ ოჯახის უფროსი ქალი უნდა გასძღოლოდა ანთებული სანთლით ხელში. თუ ნერჩის ლოცვა („ნერჩის გითოხვამა") ქმრის სახლში არ გასჭრიდა, მაშინ უშვილო ქალს ამ რიტუალის ჩასატარებლად მამის სახლში გააგზავნიდნენ.

ნერჩის ხვამა, როგორც უშვილობის დროს, ასევე, ქალის მოლოგინების შემდეგაც იცოდნენ. ამ შემთხვევისათვის ცხვებოდა ოთხი კვერი, რომელსაც ზემოდან დადებდნენ მაშლის თავს. მელოგინეს ბებია-ქალი დაბალ სკამზე დასვამდა, აიღებდა მაშლის თავიდან კვერს და მელოგინეს ფეხებში სამჯერ გამოუტარებდა და თან ლოცვას წარმოსთქვამდა. მშობიარობაზე დამსწრე ქალებს (რომლებიც, როგორც ეტყობა ერთი გვარისა უნდა ყოფილიყვნენ) უნდა გაემეორებინათ ეს ლოცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვი მომავალში უნაყოფო იქმნებოდა".

ნერჩის სალოცავ რიტუალში, რომელიც ახალშობილისა და დედისათვის სრულდებოდა, ნერჩი ხშირად ღვთისმშობლით იცვლებოდა, რომელიც ადგილობრივთა რწმენით ახლად-დაბადებულის ბედ-ილბალს განსაზღვრავდა მომავალში. ღვთაება ნერჩს ყოველ სახლში თავისი მარკვენა კუთხე (ზოგჯერ ადგილი კერის ქვეშ) გააჩნდა, სადაც მისდამი ატარებდნენ სალოცავ რიტუალს.

მიწის ქალ-ღვთაებასთან (ნერჩთან), ისევე როგორც სხვა მრავალ ტრადიციაში, ასოცირდება რიცხვი ოთხი და გეომეტრიული სიმბოლო კვადრატი, რომელიც სტაბილურ სამყაროს განასახიერებს. ქალღვთაება ნერჩი დიდი-დედა ღვთაების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს.

სალოცავებიდან საიდუმლო შესრულებით გამოირჩეოდა „გალენიში ორთას" მიმართ შესრულებული რიტუალი. იგი სრულდებოდა საქონლის სადგომში (ბაკში), რომელსაც სამეგრელოში ეწოდება აგვარა ან ქართა, გაშლილი სუფრის წინ. რიტუალს საიდუმლოდ ასრულებდა ოჯახის უფროსი მამაკაცი. სუფრაზე დალაგებული იყო შემწეარი ქაცარი (მამალი თხა), ჩემპვა (მაწვნისმაგვარი რძის პროდუქტი), ელარჯი, ჭვიშტარი (ყველიანი მჭადი), ახალი ყველი, ღვინო და ა.შ. ოჯახის უფროსი ქუდმოხდილი ლოცულობდა. შემდეგ უჩინარი სტუმრებისათვის მას მოაქონდა წყალი და „აბანინებდა" ხელებს. ამის შემდეგ სტუმრები „შეექცეოდნენ" საკვებს. ოჯახის უფროსი დაჩოქილი უსმენდა მათ ღვინოს. ლოცვის ჩატარება შეიძლებოდა ნებისმიერ დროს გაზაფხულიდან შემოდგომამდე. ლოცვის ფორმულა შემდეგნაირი იყო. „გალენიში ორთა"! დიდებულო და სახელოვანო, ჩემს საქონელზე მოწყალება გაიღე და გაამრავლე, მოუხარშავ-შემწეარ (ცხოველებს) კბილები შეუკარი". სიტყვა „გალენი" ნიშნავს „გარეთას", „ველურს". ადგილობრივება მოსახლეობამ „გალენინის" ლოცვა იცოდნენ გარდაცვლილი წინაპრის საპატივცემულოდ, როდესაც ვინმე გახდებოდა სახლში ავად. ლოცულობდნენ სხვა შემთხვევებშიც. ეს შემთხვევები შეიძლება ყოფილიყო: საქონლის დაბადების შემდეგ ერთ კვირაში ან როცა ცუდად იყო საქონელი. გალენისათვის ყველაფერს აკეთებდნენ რძისაგან, აკეთებდნენ ხაჭაპურს, ელარჯს, ღვინოს გადაქცევდნენ და დაილოცებოდნენ; ლოცულობდნენ ადამიანის ავად გახდომის შემთხვევაში; გალენიშის ლოცვა სრულდებოდა ხატზე გადაცემის მიერ იმ შემთხვევაში თუ გადაცემულის ოჯახი ამოწყდებოდა. გადამცემს უნდა ჩაეტარებინა ლოცვა, რათა მას არ მობრუნებოდა წყევლა (ან უფრო ზუსტად გარდაცვლილი სულების დამანგრეველი და გამანადგურებელი ძალა) და თვითონ იგი არ ამოეწყვიტა. გადამცემსაც აუცილებლად ესაჭიროებოდა თავის დახსნა; „გალენ შური" ადგილობრივთა განმარტებით

მიცვალებულის სულია; გალენიში, ასევე, გარე-დასახლებული შვილების სალოცავია; „გალენიშ ტაბაკის" (ე.ი. გალენისათვის განკუთვნილი ტაბაკის) დადგმა იცოდნენ იმ ოჯახში, სადაც მიცვალებული იყო და იმ დროს ბავშვი დაიბადებოდა; ასეთ შემთხვევაში 15 დღის შემდეგ დადგამდნენ სულების მოსახსენიებლად ტაბაკს და მიცვალებულის სულებს შესთხოვდნენ ბავშვის კარგად ყოფნას.

„გალენიში ორთაში" – „გალენიში" ეპითეტია და როგორც ცნება საინტერესოა იმით, რომ მეგრულ რწმენა-წარმოდგენებში ასახავს სივრცულ ასპექტებს. იგი მიუთითებს ღვთაების სამყოფელზე, რომელიც სივრცობრივი თვალსაზრისით სახლის გარეთ, ეზოს გარეთ, სოციუმის გარეთაა და სამყაროს საერთო მითოლოგიურ სურათში უკავია არამარტო ტრადიციული ადგილი ვერტიკალურ ღერძზე, არამედ იგი, ასევე, ვრცელდება ჰორიზონტალურ სიბრტყეში, რომელშიც შედის: ტყე-ღრეები, კლდეები, უცნობი და დაუმუშავებელი ადგილები თავიანთი ბინადრებითა და პატრონებით. იგი გარემომცველი ზონის წარმომადგენელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენების მიხედვით გალენიში თავს აცლენს ხან როგორც ნადირთპატრონი, რომელსაც შეუძლია ნადირის მისვა საქონელზე და, ასევე, მისგან დაცვაც. ამ თვისებიდან გამომდინარე იყო, რომ იგი აღიქმებოდა ხან როგორც საქონლის მფარველი ღვთაება, ხან როგორც მიცვალებულთა სამყაროს ღვთაება, რომელსაც შეეძლო ადამიანსა და საქონლისათვის სხვადასხვაგვარი ავადმყოფობა შეეყარა, ან პირიქით, დაეცა მისგან. ორივე შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის მისდამი დამოკიდებულებაში უფრო შიში გამოსჭვიოდა, ვიდრე სიყვარული.

ამგვარად, ღვთაება „გალენიში ორთა", როგორც ამაზე მისი ეპითეტი „გალენიში" (ველურის) კონოტაციით მიუთითებს, თავისი ბუნებითა და არსით ერთი მხრივ უპირისპირდება სოციუმს, ადამიანთა მოწესრიგებული სამყაროს, ხოლო მეორეს მხრივ ცის ბინადართა („ჟინიშების") სამყაროს.

სამეგრელოში შემორჩენილი რწმენა-წარმოდგენებში მიიკვლევა სამყაროს აღქმის ადგილობრივი მოდელი: ერთი მხრივ წარმოდგენილია ცის უზენაესი ღვთაებების საუფლო (დინამიკაში – ღვთაება ჟინი ანთარი, წმ. გიორგი, მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი), მეორე მხრივ ხთონური ზონა (ღვთაებები: თუდონი ნერჩი, წყლის დედა, ნადირთპატრონი, ტყის მეფე, გალენიში ორთა და ა.შ.). ეს ზონა გულისხმობს და ფარავს, როგორც ვერტიკალურ (მიწისქვეშეთის ღვთაებები: თუდონი ნერჩი, წყარიშ დიდა), ასევე, ჰორიზონტალურ (ტყის მეფე, ნადირთპატრონი, გალენიში ორთა) ტოპოგრაფიას. ეს ორი – ზედა და ქვედა სამყაროს თავის მხრივ უპირისპირდება სოციალურად ორგანიზებულ ადამიანთა სამყაროს სოციუმს. ამ სამყაროებს შორის სიმბოლური კავშირის ამსახველია საკრალური, მითოლოგიური ხე შეწირული ფრინველით კენწეროზე (ჟინიში ორთასადმი ჩატარებულ რიტუალში); ანუ ხე, რომელიც მსჭვალავს სამყაროს სამივე ზონას. ფესვებით ის დაკავშირებულია ქეესკნელთან (ანუ თუდონი ნერჩის სამყაროსთან), ტანით – სოციუმთან, ტოტებით ჟინიშების სამყაროსთან. ამ სამყაროების გამაერთიანებელი სხვა (კლასიკურ) სიმბოლოს წარმოადგენს კოლხეთში, არესის ტყეში წმ. მუხა, რომელზეც შეწირულია ოქროს ფრთოსანი ვერძის საწმისი და რომელსაც დარაჯობს გველეშაპი (ან უფრო, ზუსტად – გველი).

„გალენიში ორთას" სახით საქმე გვაქვს მიცვალებულთა თაყვანისცემასთან, რომელიც ემყარება რწმენას, რომ გარდაცვლილთა სულები სიკვდილის შემდეგ გადიან სოციალური სამყაროდან და ზემოქმედება შეუძლიათ ცოცხლებზე.

„ჟინი ანთარისა" და „თუდონი ნერჩის" თაყვანისცემაში საქმე გვაქვს ბუნებრივი ფენომენის ამ შემთხვევაში განუყოფელი, მაგრამ საპირისპირო წყვილის, ცის და დედამიწის თაყვანისცემასთან, რომელიც თავის მხრივ, ემყარება ბუნებრივი ელემენტის პერსონიფიკაციას. ორივე, როგორც ბუნებრივი ფენომენების პერსონიფიკაცია, ასევე მიცვალებულთა თაყვანისცემა რელიგიის განვითარების ადრინდელი საფეხურებისთვისაა დამახასიათებელი. სავარაუდოა,რომ სამყაროს არქაული პრინციპით კლასიფიკაცია ემყარებოდეს ძველკოლხურ კონცეფციას, მითუმეტეს, რომ ამ ვარაუდს ლიტერატურული წყაროებიც და არქეოლოგიური მონაპოვრებიც უჭერენ მხარს. ანტიკური ეპოქის ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, რომელიც კოლხეთს ეხება გეა-დედამიწა ითვლებოდა ყველა კოლხური ღვთაების დასაბამად, ხოლო ცა გამოდიოდა, როგორც მამაკაცური საწყისი, რომელიც ანაყოფიერებდა მიწას.

ამრიგად დასაშვებია, რომ ცისა და მიწის უბრალო პერსონიფიკაციიდან დაწყებული კოლხურმა რელიგიურმა აზროვნებამ გაიარა ევოლუცია და მივიდა ანთროპომორფულ დასრულებულ ღვთაებამდე, რომელთაც ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ განიცადეს სინკრეტიზაცია და წარმოდგენილ იქნენ ქრისტიანული წმინდანების სახით.

9.2. საქორწინო წეს-ჩვეულებები სამეგრელოში

ძველად სამეგრელოში ახალგაზრდა ქალ-ვაჟს პრაქტიკულად ხმის უფლება არ გააჩნდა მეუღლის არჩევისას, საქმროებსა და საცოლეებს თავიანთი შვილებისათვის, ჩვეულებრივ, მშობლები, ირჩევენ და შესაბამისად, დასამყვრებლად იმ ოჯახს აირჩევდნენ რომელსაც ეკონომიკური და სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე ხელსაყრელად ჩათვლიდნენ.

ამ მიზნით ნიშნობამდე არკვევდნენ ქალ-ვაჟისა და მათი მშობლების ვინაობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას და ქორწინებისათვის ხელშემწყობ თუ ხელისშემშლელ, ამკრძალავ ფაქტორებს. ეს უკანასკნელი სამგვარ ნათესაობას: სისხლით, მოყვარობით|მძახლობით და ხელოვნურს ემყარებოდა. რაც სრულ შესატყვისობაშია ქრისტიანობასთან. შესაბამისად, ქორწინების ამკრძალავ ფაქტორებში იგულისხმებოდა: ერთი გვარისა და ხატის ქალ-ვაჟის შეუღლება, დედის გვარის ქალის შერთვა. გარდა ამისა, აკრძალული („ვაშინერსი") იყო გამზრდელის, ძიძის შვილის, ნათესავისა და გვარის შერთვა (ძიძისშვილები „მორდილს" და-ძმად მიაჩნდა და არ შეეძლო მათი გვარისა და ნათესავის შერთვა. როდესაც ძიძის ქალი გათხოვდებოდა, მორდილი მას მაყრად წაჰყვებოდა და იგი სიძეს ცხენს აჩუქებდა) და, ასევე, დად, დედად თუ მამად „მოგებული ჩაფილი" ნათესავისა და მახლობლის შერთვა. არ ირთავდნენ „სქუალაფირის" გვარსა და ნათესავს. ერთი სოფლისა და ხატის ქალ-ვაჟის შეუღლებასაც გაურბოდნენ და უფრო სასურველი და მიღებული იყო ქალის სხვა სოფელში გათხოვება.

ამგვარი საქმეების გამორკვევა და მოგვარება „მარებელს" (შუაკაცს) ევალებოდა. ჩვეულებრივ, „მარებელი" ორი იყო: ერთი ქალი და ერთი კაცი. კეთილად დაბოლოებული საქმისათვის ისინი გასამრჯელოს „ნამარებუს" იღებდნენ ფულად.

ოჯახში თუ რამდენიმე დასაქორწინებული იყო,იცავდნენ უფროს-უმცროსობის პრინციპს (ჯერ უფროსს დააქორწინებდნენ, შემდეგ უმცროსს). ამის დარღვევა სირცხვილად ითვლებოდა და უმცროსის დაქორწინების შემთხვევაში უფროსი ხშირად დაუქორწინებელი რჩებოდა, რადგან სახელ-გატეხილად ითვლებოდა.

სამეგრელოში (ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში) წინათ გავრცელებული ყოფილა ქალ-ვაჟის აკვანში დანიშვნის ჩვეულება, რასაც „ონწეშ იკოდგუმას" უწოდებდნენ. ასეთ შემთხვევაში ვაჟის მშობლები ბავშვს მიიყვანდნენ ქალის ოჯახში და იქ ორივე აკვანს ერთად დასდგამდნენ და იტყოდნენ „ღმერთმა მზე და მთვარესავით შეგაბეროთო". ვაჟის პატრონი ქალის აკვანზე ჩამოჰკიდებდა სანიშნოდ რაიმე სამკაულს და ამ დღიდან ქალი ითვლებოდა ვაჟის საცოლედ. გარკვეულ ასაკში დანიშნულებს დააქორწინებდნენ. პირობის დარღვევის შემთხვევაში ოჯახები ერთმანეთს გადაეკიდებოდნენ.

გარდა ზემოთ თქმულისა, სამეგრელოში დასტურდება „ქორწინება მოტაცებით" იმ შემთხვევაში, როდესაც ვაჟსა და მის მშობლებს ქალი მოსწონდათ, მაგრამ ქალის ოჯახი მათ იწუნებდათ. ვაჟი ამზანაგების დახმარებით იტაცებდა საცოლეს და მას ერთი წლით სადმე გადამალავდა. ერთი წლის შემდეგ მშობლები იგებდნენ ქალის ამბავს, მაგრამ სასიძოს არ ურიგდებოდნენ. ვაჟი და მისი ოჯახი უგზავნიდა შუაკაცებს ქალის მშობლებს და სთხოვდა შერიგებას. ქალის მომტაცებელს ჯარიმა უნდა გადაეხადა ხარის, ცხენის, ფულის და სხვა სახით, იმისდა მიხედვით, თუ რას დაავალდებულებდნენ შუაკაცები.

ძალით თუ ნებით მოტაცებული პატარძლის ქმრის ოჯახში თავი ამაყად ეჭირა და ასეთ ქალებსაც სამეგრელოში მეტი პატივი და მოწონებაც ჰქონდათ.

რაც შეეხება ასაკში ჩამდგარ ქალ-ვაჟს მათი მშობლები ცდილობდნენ მათთვის მოეძებნათ სასურველი მეუღლე. ამ შერჩევაში გადამწყვეტი ხმა და გავლენა ჰქონდა დედის ძმას (ბიძას) და ქალის უფროს ძმას, რომელთა დაუკითხავად და დასტურის გარეშე ქალ-ვაჟის დანიშვნა ძნელად თუ მოხერხდებოდა.

ქალ-ვაჟის დანიშვნაში მთავარ როლს თამაშობდნენ მათი დედ-მამა, ბიძა, ძმა და „შუამავლები" („მარბელი").

მათი შეთანხმების შემდეგ ეწყობოდა ქალ-ვაჟის მიერ ერთმანეთის გასინჯვა — „გინოძირაფა". ქალის გასასინჯად ღამით (რათა დაწუნების შემთხვევაში სახელი არ გაეტეხათ ქალისათვის) საიდუმლოდ მიდიოდნენ ვაჟი, დედ-მამა და ბიძა. მოწონების შემთხვევაში სუფრა იშლებოდა და სტუმრებს გაუმასპინძლდებოდნენ და წყდებოდა მათი დანიშვნის საქმეც. თუ არა და მისი მშობლები მაშინათვე უკან ბრუნდებოდნენ. მოწონების შემთხვევაში დაიწყებოდა საუბარი ქალის მზითევზე „ოჭყუდური" და ნიშნობის დანიშვნაზე.

ქალის დანიშვნის შემდეგ პირობის დარღვევა არ შეიძლებოდა. თუ ქალის მშობლები პირობას დაარღვევდნენ, მაშინ „შანა||„შარნა" (ნიშანი) უკანვე უნდა დაებრუნებინათ ვაჟისათვის. თუ ვაჟი იტყოდა უარს დანიშნულ ქალზე, მას ქალის მშობლები „შანას" არ უბრუნებდნენ. პირობის დარღვევა იშვიათი შემთხვევა იყო, თუ ასეთი რამ მაინც მოხდებოდა, ოჯახებს შორის მტრობა ვარდებოდა.

გარდა ზემოთ აღწერილისა, ქალის დანიშვნა წინათ „ქუდის მორტყმითაც" სცოდნიათ. დანიშვნის მიზნით მამა ან ბიძა თავყრილობაზე ცეკვის დროს ქუდს ესროდა ქალს — „ქუდიში ფაჩუა" და იგი მის დანიშნულად ითვლებოდა. თუ ქალის მშობლები უარზე იყვნენ, მაშინ მათ დააჯარიმებდნენ და ეტყოდნენ: „ქუდი მოხვდა და არ მოგყვებაო". ამის შემდეგ ეცდებოდნენ ქალის მოტაცებას.

ქალის ამგვარი დათვისება-დასაკუთრება ძველ წეს-ჩვეულებათა რიგს მიეკუთვნება, რომელიც არა მარტო ქართველი და კავკასიელი ხალხების, არამედ სხვა მრავალი ხალხის საქორწინო ურთიერთობებში დასტურდება.

როგორც „ქუდის მორტყმის", ასევე „ხელის დადების" ქმედების ჩამტარებელი სასიძოს მამა, ბიძა, ძმა ან ბიძაშვილი იყო და ეს ქალზე ვაჟის ოჯახის უფლების აღიარებას ნიშნავდა.

ნიშნობის დღეს ქალის ოჯახში გაიმართებოდა სადილი და ვაჟი ბიძის ან ძმის ხელით გამოგზავნიდა სანიშნო ტანისამოსს და სამკაულებს — „შანას" („ლიშანი", „შანა", „შარნა"); საპატარძლოს საყურეს, ჯვრისწერისათვის თეთრ სამოსს, ბეჭედს, სამაჯურს და სხვ. ამ სამკაულებით შემკობილი საპატარძლო იმ დღიდან „შანილად" (დანიშნულად) ითვლებოდა. ნიშნობის შემდეგ „შანილი" რამდენიმე თვეს ან ერთ წელიწადს მამის სახლში რჩებოდა და ამ ხნის განმავლობაში მას მზითევს უმზადებდნენ.

მზითევი||მზითი რომელიც ქალის მშობლებისაგან მიღებული ქონებაა და რომელიც ოჯახში მისი უფლებრივი მდგომარეობის ამსახველია, თუ რა დროს დაწესდა საქართველოში (მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე გარკვეული მოსაზრებები არსებობს) მისი ზედმიწევნით განსაზღვრა შეუძლებელია. დროთა განმავლობაში ქალის უფლებების შემცირებით, მზითევი ქალთან ერთად მამაკაცისა და მისი ოჯახის საკუთრებად ქცეულა.

სამეგრელოში მზითევი ისაზღვრებოდა ქალის მშობლების შებლებისა და ვაჟის მოთხოვნის შესაბამისად. საქმეს არიგებდა შუამავალი, რომელსაც ფულიდან ერთი მეათედი ეკუთვნოდა. იქვე ჩამოსწერდნენ ქალის მზითეს და ფულის რაოდენობას.

შემლებული გლეხის ქალი კარგ მზითეს გაიყოლებდა: „ნორჩალი" — ლოგინი ხუთი, ექვსი ან მეტი ხელი; „ნასტოლარი" — ავეჯი; „ლინჯი" — სპილენძეულობა (დაწყებული არყის გამოსახდელი ქვაბიდან დამთავრებული საჭმლის გასაკეთებელი პატარა ქვაბით და სხვ.); ცხენი უნაგირით; მოძრავი ქონება „შურდეში" („შურდგიმილი"||„სულდგმული), ცოცხალს ნიშნავს და რომელიც საქონელიდან — ძროხის, ცხვრის, ღორის ან თხის გატარებას ვარაუდობს. მეჯოგეები მზითევში ბევრ საქონელს ატანდნენ, ჩვეულებრივი კი ერთის გატანებაც საკმარისი იყო; ბარგი — ტანსაცმლის მარაგი, რითაც ქმრის ოჯახში ქალი თავს იწონებდა. მზითევში ფულის გატანებაც სცოდნიათ, თუ ოჯახი დარღვეული არ იყო, მზითევი საერთო ქონებაში ერთიანდებოდა ბარგისა და „შურდგუმის" გარდა, შურდგუმი იგივე სათავანოა (ანუ ქალისათვის გამოყოფილი ცოცხალი საქონელია).

ქორწილისათვის სეზონს, თვესა და დღეს განსაკუთრებული გულმოდგინებით ირჩევდნენ. ყველაზე კარგ დროდ ჭირნახულით მდიდარი შემოდგომა ითვლებოდა. მარხვაში ჯვრისწერა არ შეიძლებოდა. (ასევე ხსნილში ორშაბათსა და პარასკევს, როგორც სამარხვო დღეებში). სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს და კვირას დასაშვები იყო (ამ დღეებს „გეკულა" დღეებს უწოდებენ და სალოცავი რიტუალების ჩასატარებლად კარგ დღეებად ითვლება. აღმოსავლეთ საქართველოში ამ დღეებს „საესე" დღეებს

უწოდებენ). მაგრამ ჯვრისწერისათვის ყველაზე სასიკეთო და სასურველი კვირა იყო.

ჯვრისწერა ჩვეულებრივ ვაჟის სოფელში იცოდნენ (თუმცა, ზოგჯერ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ქალის სოფელში ჩატარებულა).

მამის, ძმისა და ბიძის როლი ჯვრისწერისას, ისევე როგორც ნიშნობაზე დიდია. მამა ან ბიძა მაყრით მიდიოდა ქალის წამოსაყვანად. ქალის ოჯახში გაშლიდნენ სუფრას და მაყარს დაიწვევდნენ, პატარძალი ამ დროს იმალებოდა და არ ეჩვენებოდა სასიძოს, დადეს და მაყარს. ქალები შეუდგებოდნენ „მოჭყუდუს" – პატარძლის მორთვას. საქორწილო ტანსაცმლის საუკეთესო ვარიანტს ქართული სარტყელ-გულისპირიანი კაბა იყო. საქორწილო სამოსი გამოირჩეოდა ქსოვილის ხარისხით (შალი ან აბრეშუმი) და ფერით. ძირითად ფერს თეთრი წარმოადგენდა. ზოგჯერ წითელ ქვედა წელთან თეთრი ზედაწელის ჩაცმაც იცოდნენ და პირისფერ ან ცისფერ კაბაშიც ბეჭრს დაუწერია ჯვარი. საჯვრისწერო ტანისამოსში გამოწყობილ პატარძალს ჩამოფარებდნენ საბურველს და ისე გამოიყვანდნენ. პატარძალს თავისი დადე და მაყრები მოჰყვებოდა. ქალის წაყვანამდე მოითხოვდნენ მზითევისა და ფულის ჩაბარებას. ერთ კაცს დასვამდნენ და იგი შეადგენდა მზითვის სიას, მეორე ფულს თვლიდა და ყველაფერი ეს უნდა ჩაბარებინათ ვაჟის მამისათვის.

ატირებული პატარძალი ეთხოვებოდა თავის დედ-მამას და ამხანაგ-მეგობრებს. პატარძალს ცხენზე შესვამდნენ, მას მიჰყვებოდა დადე, ძმა და ბიძა. ყველანი გაემართებოდნენ ვაჟის სოფლისაკენ, სადაც „მეფე-დედოფლისათვის" ჯვარი უნდა დაეწერათ. მათ ხედებოდათ მეფენიფე თავისი ამხანაგებით და მეფე-პატარძალს ეკლესიაში შეიყვანდნენ.

მღვდელი მათ ჯვარს დასწერდა საეკლესიო წესით, თავზე დაადგამდა ტოტებიან გვირგვინს, რომელსაც სამეგრელოში „ძაფეძის" უწოდებენ. ჯვარდაწერილ მეფე-დედოფალს ეკლესიიდან გამოიყვანდნენ, კარებში ორი მაყარი დადგებოდა. გადაჯვარედნებული ხმლებით, რომლის ქვეშ გაატარებდნენ „სინჯა დო მოჭყუდუს" (სიძე-პატარძალს). ამ დროს მაყარი ასტეხავდა სროლას და „კუჩხა ბედინერას" (ფეხ-ბედნიერი) სიმღერით ყველანი გაემართებოდნენ ნეფის სახლში. სადაც ეკლესია არ იყო ჯვრისწერა მარანში სრულდებოდა. ამ ფაქტს XVII საუკუნის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტიც ადასტურებს, რომელიც აღნიშნავდა რომ მარანს ეკლესიასავით სცემდნენ პატივსა. ეს გასაკვირიც არაა, რადგან მარნის მარჯვენა ნაწილში ჩაფლული სალოცავი ქვევრები (ოხვამერ ლაგვანი) კონსეკრირებულ სივრცეს ქმნიდა, სადაც წლის მანძილზე სხვადასხვა სახის რელიგიური რიტუალები სრულდებოდა (მაგ.: ჯვრისწერა, ნათლობა, ევქარისტიის დღესასწაული და სხვ). მაგრამ მაშინაც კი როდესაც ჯვრისწერა ეკლესიაში სრულდებოდა, იქიდან მობრუნებულ მაყრიონს ოჯახის უფროსი მიეგებებოდა და მეფე-დედოფალს მარანში შეიყვანდა დასალოცავად.

მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში ქორწინება (ჯვრისწერა) ერთ-ერთი შვიდი საიდუმლოებათაგანია, რომლის დროსაც სიყვარულით შეერთებულნი ღმერთშიც ერთიანდებიან და შეუღლებულ წყვილზე ღვთიური მადლი გადმოდის.

ეკლესიაში თუ მარანში ჯვრისწერის გაგრძელებას საქორწილო ნადიმი, სისხლით ნათესავთა, ახლობელთა და მეგობართა „ერთად ჰურობა" წარმოადგენს, რომლის დროსაც ახლადჯვარდაწერილების ლოცვა-კურთხევა გრძელდება და ხორციელდება ახალ ნათესაობასთან დამოყვრება.

ქორწილის დროს, ტრადიციულად, ვაჟის სახლში გროვდებიან სტუმრები, პატარძალი მოჰყავს მაყრიონს (მეფე-დედოფლის საგანგებო მხლებლებს ქორწილში). დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუ როგორ შეხვდებოდნენ დედოფალს.

სამეგრელოში (ისევე როგორც, საქართველოს სხვა კუთხეებში) ვაჟის დედა მეფე-დედოფალს შეეგებება, დალოცავს ორივეს და შეაჭმევს შაქარს ან თაფლს, რათა ერთობლივი ცხოვრება სიტკბოთი დაიწყოს და თავზე დააყრიან ქერს (ნაყოფიერების სიმბოლოს). მეფე კარებთან დამხობილ თეფშს ფეხის ერთი დარტყმით გატეხავდა, დედოფალი კარებთან მდგარი ჭიქით ღვინოს წააქცევდა და მეფე-დედოფალი სახლში შევიდოდა. ზღურბლთან შესრულებულ ამ აქტში ზოგი „ვასატეს თეფშში დედოფლის სიმბოლოს ხედავს", ზოგი კი ბოროტი სულების განდევნას, რომლებიც ქორწილის დროს განსაკუთრებით თავს იყრიან კარის ზღურბლთან.

ძველად პატარძალს ხელში მისცემდნენ ღომის მარცვლებით სავსე ჯამს, რომელზედაც იდო ერთი კვერცხი (გავიხსენოთ, რომ მარცვალი/თესლი და კვერცხი ყველაზე ზოგადი და ღრმა სიმბოლოებია, რომლებშიც ხაზგასმულია სიცოცხლის განვითარების უწყვეტლობის და ნაყოფიერების იდეა). ამ ჯამით პატარძალი კერას გარშემო შემოუვლიდა და თესავდა ღომის მარცვლებს, მაყარი მას უკან მისდევდა და მღეროდა „კუჩხა ბედინერს", ბოლოს პატარძალი ხელს წაავლებდა საკიდელს და კერიდან გამობრუნდებოდა, დედამთილი მას დალოცავდა „ჯვირი ნერჩიში ქოცოფედავა" (კარგი ფუძისა იყავიო).

კერა, როგორც გვარისა და ოჯახის ერთ-ერთი გამაერთიანებელი ცენტრი, რომელთანაც ოჯახის (თუ გვარის) ახალი წევრი (ამ შემთხვევაში პატარძალი)„ საზიარებლად", კიდევ იმითაა საინტერესო სამეგრელოში, რომ იგი ითვლება ფუძის მფარველის — „ნერჩი პატონის" ადგილსამყოფელად, რომლის კეთილად განწყობა შვილიერებით უზრუნველყოფდა პატარძალს.

ძველად სამეგრელოში თუკი ახალ რძალს ერთი წლის გასვლის შემდეგ შვილი არ ეყოლებოდა, იტყოდნენ „ნერჩი გოჭყორელი რენია" (ფუძე გამწყარალი არისო); თვლიდნენ რომ მის შემოსვლას ოჯახში „ფუძის მფარველი" („ნერჩი ბატონი) უკმაყოფილებით შეხვდა და ამის გამო ერთმა წელიწადმა უნაყოფოდ ჩაიარა. ამიტომ ოჯახის წევრი ქალები ასრულებდნენ ე. წ. „ნერჩიში გითოხვამას" (იხ. ზემოთ).

კერასთან და მის პატრონთან „კეთილი ზიარების" გასაძლიერებლად „კუჩხა-ბედინერი" სრულდებოდა. პატარძალს დასვამდნენ სკამზე, ხელში ხაჭაპურს მისცემდნენ და კალთაში ვაჟს ჩაუსვამდნენ. ხაჭაპურს მაყარი მოსტაცებდა, ათასროდა მაღლა და ვინც დიჭერდა ხაჭაპურს ის გაიქცეოდა, სხვები მას გამოეკიდებოდნენ, ხაჭაპურს ამტვრევდნენ და ჭამდნენ. პატარძალი კალთიდან ბავშვს ჩამოსვამდა და დაასაჩუქრებდა.

გაიშლებოდა ქორწილის სუფრა. სიძე-პატარძალს სპეციალურ ოთახში შეიყვანდნენ, სადაც მათთვის საგანგებოდ იყო სუფრა გაშლილი. სტუმრები ამათ სათითაოდ ულოცავდნენ ამ ოთახში. შემდეგ სპეციალურ პირს, ე. წ. „დამპატიჟებელს" სტუმრები მიჰყავს სეფაში (სახელდახელოდ გაკეთებულ გრძელ ფანჩატურში, რომელშიც ზოგჯერ ნარგაევიც ხვდება) ან, ქალაქში თუა ქორწილი დიდ სასტუმრო ოთახში და ანაწილებს სტუმრებს სუფრასთან.

საქართველოს ყველა კუთხეში თითქმის ბოლო დრომდე დასტურდება სანადიმო სუფრასთან ქალებისა და მამაკაცების ცალ-ცალკე სხდომა. ქალები იმავე სუფრაზე (ან ცალკე სახლში) მამაკაცებისაგან განცალკევებით, უფროს-უმცროსობით იკავებდნენ ადგილებს. ეს ტრადიცია დიდგვაროვანთა წრეშიც შეინიშნებოდა, კერძოდ, სუფრასთან ქალები ერთ მხარეს ისხდნენ, ხოლო მამაკაცები მათ მოპირდაპირე მხარეს. იგივე წესი აგიოგრაფიულ ძეგლში „შუშანიკის მარტვილობაშიცაა" ასახული.

აღნიშნული წესის ახსნას ზოგი საცხოვრებლის ინტერიერის საქალებო და სამამაკაცო მხარეებად დაყოფაში ეძებს, რაც ადრე მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული და ეს სუფრის წესებშიც ასახულა.

ადრე საქორწილო სუფრაზე მეფე-პატარძლის შემოყვანა ცალ-ცალკე სცოდნიათ. პირველად შემოიყვანდნენ პირბადეჩამოფარებულ პატარძალს და სუფრასთან დასვამდნენ. გაიმართებოდა შესაწევარი „გინოყოთამა" და პატარძალს შეეწევდნენ ფულითა და ნივთებით. ამ მიზნით სუფრიდან ერთი ვინმე მოკეთეგანი ადგებოდა, ხელში აიღებდა მზითევში მონაყოლ სინს ან ტაშტს და დადგებოდა მეფე-დედოფლის პირისპირ. წვეულები მიდიოდნენ და სინზე ჰყრიდნენ შესაწირავ ფულებს. იქვე მეორე კაცი ოხუნჯობით ითვლიდა ფულს.

მეფე-დედოფალს ყველანი ასაჩუქრებდნენ ქალის თანმხლები მაყრების გარდა, რომელთაც შესაწირის გაღება არ ევალებოდათ. ამის შემდეგ მდადე დედოფალს პირბადეს ახდიდა. მაშინ პირველად დაინახავდნენ დედოფალს და სიხარულის ნიშნად თოფებს ისროდნენ.

ამის შემდეგ შემოიყვანდნენ მეფეს და ახლა ის გაუმასპინძლდებოდა მაყარს სასმელითა და თამბაქოთი. მეფე-დედოფალს ერთად დასვამდნენ და დაიწყებოდა მათი დალოცვა.

საქორწილო სუფრის თავში ოჯახის (გვარის) უფროსი იჯდა პირით აღმოსავლეთისაკენ; მის მარჯვენა მხარეზე დასხდებოდნენ ამავე გვარის უფროსი წარმომადგენლები. პატარძლის ახლობლებს ისე დასხამდნენ, რომ ახლო ყოფილიყვნენ პატარძალთან.

ქალისა და ვაჟის მაყრები დასხდებოდნენ ცალკე და პირისპირ.

ოჯახის უფროსი მამაკაცი მადლობას მოახსენებს სტუმრებს მობრძანებისათვის. ირჩევს თამადას და დალოცავს ღვინით. სუფრის ყოველი წევრი ულოცავს და დალოცავს თამადას. შემდეგ ხდება ე. წ. „მოპასუხეს" არჩევა პატარძლის ახლობლებისაგან და მასაც ისევე ლოცავენ, როგორც თამადას.

ამის შემდეგ თამადა იწყებს თავისი მოვალეობის შესრულებას, ანუ წარმართავს სუფრას ტრადიციული სადღეგრძელოებით, რომლის მეშვეობითაც ერთმანეთს წარუდგენს მეფე-დედოფლის ოჯახებსა და გვარის წევრებს.

თამადის სადღეგრძელოს შემდეგ საქორწილო სუფრაზე პირველი სადღეგრძელო მშვიდობისა იყო.

ზოგიერთ შემთხვევაში საქორწილო სუფრას მეფე-დედოფალი თავიდანვე ესწრება. ზოგჯერ კი თამადის მიერ პირველი სადღეგრძელოს შესმის შემდეგ შემოჰყავდათ სიძე-პატარძალი. სიძე-პატარძლის შემოყვანას პროცესიის სახე ჰქონდა, რომელსაც წინ ვაჟის მშობლები მოუძღოდნენ, შემდეგ მათ სიძე-პატარძალი და მეჯვარეები მოჰყვებიან. ისინი შემოიელიან ყველა ტაბაკს (ასე ეძახიან მაგიდებს, რომლებზეც სუფრაა გაშლილი) და იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს. აღნიშნული პროცესია,

ფაქტიურად, შემოხაზავდა წრეს (ფერხულის მსგავსად), რაც თავის მხრივ, როგორც ცნობილია, ცის, სრულქმნილებისა და მარადიულობის სიმბოლოა, სპბოლო მდგომარეობაა ერთიანობის.

ტრადიციულად, მეფე-დედოფლისათვის განკუთვნილი ადგილი სანადიმო სუფრისაგან საგანგებოდ გამოყოფილი და მორთულია (მორთულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულია).

ოჯახის დღეგრძელობის შემდეგ, ტრადიციულად მეფე-დედოფლის სადღეგრძელო ისმებოდა ყანწით, რომელიც სიმღერა „მრავალჟამიერით" გვირგვინდებოდა.

მომდევნო სადღეგრძელოები მეფე-დედოფლის მშობლებს ეკუთვნოდათ, რომელსაც წყვილი სასმისით სვამდნენ (ზოგჯერ სიძის მშობლებს ცალკე ადღეგრძელებდნენ, ხოლო პატარძლისას — ცალკე). ამ სადღეგრძელოებს საქართველოს ცალკეულ კუთხეში განხვავებული სიმღერები მოსდევდათ.

შემდეგ ერთმანეთს რიგით მიჰყვებოდნენ მეჯვარე-ნათლიის, დედ-მამიშვილის, ოჯახიდან წასულების (გარდაცვლილების) სადღეგრძელოები, მაყრების, შუამავლის, ოჯახის სტუმრების, განაყრებისა და სულ ბოლოს, სუფრის მომსახურე პერსონალის.

ყოველ მორიგ სადღეგრძელოს ჯერ თამადა დალევდა და ცარიელ სასმისს მოპირდაპირე მხარეს (ქალის ოჯახში მეფისას, ვაჟის ოჯახში — დედოფლის მხარეს) გადაწოდებდა. მოპირდაპირე მხარეები შენაცვლებით სვამდნენ სადღეგრძელოებს, თამადის მიერ წამოწყებულ თემას იმეორებდნენ და უნვითარებდნენ სუფრის დანარჩენ წევრებს. სადღეგრძელოებს შესაბამისი სიმღერები ენაცვლებოდა. ლხინის დამთავრებისას სუფრის ყოველი წევრი სვამდა ყოველად წმინდა ღვთისმშობლის („ყველა წმინდანის") სადღეგრძელოს, რითაც გვირგვინდებიდა ლხინი.

ქორწილის დასასრული, მაყრების წასვლა ისეთივე ხმაურიანი და მხიარული იყო, როგორიც მათი მოსვლა. ქორწილის მეორე დღეს დილადანვე იწყებოდა გართობა-თამაში, სხვადასხვა სახის შეჯიბრებები და მათი დასაჩუქრება. ამ ზეიმით დადგამდნენ „ყაბახს" ხეზე, მიაკრავდნენ გრძელ ჯოხს, რომელზედაც თეფში იყო ჩამოკიდებული და ვინც მას ნიშანში ამოიღებდა და ჩამოაგდებდა, ასაჩუქრებდნენ. ასევე იცოდნენ ქათმების ხოცვა (მაყრების მიერ ქათმების ამგვარ ხოცვას სამცხე-ჯავახეთში „მეფის განადირებას" უწოდებდნენ, რომელსაც ზოგი მკვლევარი ხალხური სანახაობითი წარმოდგენების რიგს მიაკუთვნებს).

სანამ სანადიმო სუფრასთან დასხდებოდნენ, დედოფლის მაყრები (ხშირად, მათთან ერთად მეფე-დედოფალიცა და ვაჟის მაყრებიც) სიმღერებით ჩამოივლიდნენ მეფის მეზობლებს. ყოველ ოჯახში მათ უმასპინძლდებოდნენ და წასვლისას ცოცხალ ქათამს გაატანდნენ. ამ დროს მათთვის რაიმეზე უარის თქმა მიუღებელი იყო. მაყრების ამგვარი ქმედება საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის იყო დამახასიათებელი და მოსახლეობის დამოკიდებულება ამ ჩვეულებისადმი მისთვის სარკასტულად შერქმეული სახელებიდანაც სჩანს („ალილოზე ჩამოსვლა" — იმერეთი, „მეფის განადირება" — სამცხე-ჯავახეთი და სხვ.) (ფუნქციონალური თვალსაზრისით აღნიშნული რიტუალი სოფლის, როგორც სოციალური ერთეულის, ერთიანობის სიმბოლოა).

წასვლის წინ დასაჩუქრება იწყებოდა: ქალის მაყარს მეფე ასაჩუქრებდა შეძლების მიხედვით 2-3 ცხენით. თუ ქალის პატრონი ქალის წაყვანისას ვაჟის მაყრებს ცხენებით დაასაჩუქრებდა, მაშინ მეფეს ქალის მაყრისთვის საჩუქრად ზედმეტად 1-2 ცხენი უნდა მიეცა. ქალის პატრონი სიძეს ასაჩუქრებდა ცხენ-უნაგირით, აძლევდნენ, აგრეთვე, ნაბადსა და იარაღს. სიძე სიდედრს აძლევდა „ნაძუძურს" 10-20 მანეთამდის, შუამავალს (მარებელს) ეძლეოდა აღებული ფულის ერთი მეათედი და საკლავის ტყავ-ფეხი. პატარძალი კი მას ასაჩუქრებდა ქისით, პირსახოცით და სხვ.

მაყრები სიმღერებით, ცეკვა-თამაშით და თოფის სროლით სტოვებდნენ დედოფალს მეფის სახლში, რომლის პატარძლობა ერთი წელი გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში იგი ელოდა შვილის გაჩენას, რის შემდეგაც იგი ხდებოდა ოჯახის ნამდვილი და სრულუფლებიანი წევრი.

საქორწინო ურთიერთობების შესწავლისას ყურადღება მიექცა ახლად დაქორწინებულების მეფე-დედოფლად ცნობას და ფაქტს, რომ ეს ტერმინები, რომლებიც ფეოდალური იერარქიის უმაღლეს საფეხურს ასახავენ, სრულებით არ უხდებათ მდაბიოთა სიძე-პატარძალს, რომლებიც მაინც იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ, და იამნც ხაზგასმით იწოდებოდნენ მეფე-დედოფლებად საქორწინო ურთიერთობის მთელ პერიოდში.

აქცენტირებულია ფაქტი, რომ ქორწინება, როგორც განსაკუთრებული კოსმიური და რელიგიურ-მითოსური მნიშვნელობის აქცია მჭიდროდაა დაკავშირებული მეფის სახესთან.

გამოკვლეულია, რომ თვითონ ტერმინი „მეფე" სასიძოს აღნიშნავდა ჯერ კიდევ იმ ეპოქაში, როდესაც მას გააჩნია ნაკლებად დიფერენცირებული მნიშვნელობა და ჰქონდა უფრო მეტი მითო-რელიგიური და კულტურული დატვირთვა. ითვლება, რომ ეს რწმენა-წარმოდგენები ქართველთა

ყოფაში შემონახულ მეფის თუ ბერის ღვთაებრიობის შესახებ რწმენა-წარმოდგენების უძველესი პლასტის მიმანიშნებელი უნდა იყოს და მოხმობილია მთელი რიგი რიტუალური ქმედებებისა (კარნავალები, წვიმის გამომწვევი რიტუალები და ა. შ.), სადაც „მეფე-სასიძო" გამოდის, როგორც მამაკაცური ნაყოფიერების მამნიჭებელი ძალის სიმბოლო, რომელსაც ძველი მითოლოგიურ-კოსმოლოგიურ რწმენა-წარმოდგენების აშკარა კვალი ატყვია. თვითონ ქორწილი კი განიხილება, როგორც ბუნების განახლების უმაღლესი აქცია, რომელიც ძველად გაითამაშებოდა მთელი თემის მიერ და რომელშიც მონაწილეობდა სოციალური ჯგუფის მთავარი – „მეფე". ქართულ ხალხურ ქორწილში შემონახული რიტუალი „მეფის განადირება", აღნიშნული მოსაზრების თანახმად, სათავეს უნდა იღებდეს მიწათმოქმედთა უკვე დიფერენცირებულ საზოგადოებაში. იგი, ისევე როგორც ქორწილი, დიდი აგრარული მისტერიის ერთი ბლოკია, რომელიც სტილიზებული სახით შემონახულა სოციალურ ყოფაში, კერძოდ ინკორპორაციის ხალხურ წესებში.

ასეთი იყო საერთო ქართულ ტრადიციაზე ამოზრდილი მეგრული საქორწინო წეს-ჩვეულებები, რომლებშიც არქაული და თანამედროვე ელემენტები ერთმანეთის გვერდზე თანაცხოვრობენ და ფუნქციონირებენ.

მაგრამ მაინც რა მნიშვნელობა აქვს სიძე-პატარძალს (მეფე-დედოფალს), მათ თავზე დადგმულ გვირგვინებს ჯვრისწერის ცერემონიალში, რომელიც ეკლესიაში სრულდებოდა? როგორ აღიქმება ქორწილი ახალი აღთქმის შუქზე?

ქრისტიანობაში ქორწილს თვითონ იესო ქრისტე აძლევს ახალ საფუძველს, რომლისგანაც მომდინარეობს მისი რელიგიური მნიშვნელობა. უფლის სასუფეველში იგი თვითონ ხდება სასიძო ახალი აღთქმის დადებით სისხლის დათხევის გზით (შდრ. მათ. 16.28).

ქორწინება ახლებურად გარდაქმნილი მიანიშნებს უდიდეს საიდუმლოზე, რომელიც ეხება ქრისტესა და ეკლესიას (ეფეს. 5.32). ქრისტიანულ მისტიციზმში სიძე სახეა ქრისტესი, ეკლესია სასძლოა დაწინდული მასზედ, რომლისკენაც დიდებით მიემართება უფალი. სრულქმნილი ეკლესია იწოდება „სასძლოდ კრავისა" (გამოცხ. 21.9), საბოლოო გამარჯვება იწოდება „ქორწინებად კრავისა" (გამოცხ. 19.7, 9; შდრ. 22:17).

რაც შეეხება გვირგვინებს, მათ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კულტურაში (ისევე, როგორც ერთი და იმავე კულტურაში) სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა ჰქონდათ. გვირგვინები შეიძლება ყოფილიყო: გამარჯვების, რომელიც სამოქალაქო ღირსების აღმნიშვნელი იყო, საომარ გმირობაში მიღებული გვირგვინი, საქორწილო გვირგვინი, სადღესასწაულო გვირგვინი (კარნავალებში და სხვ); ქრისტიანობაში „სიმართლის გვირგვინი", „უხრწნელი გვირგვინი", ქრისტეს მრავალი გვირგვინი აპოკალიფსში მის ყოვლისმპყრობელობაზე და უნივერსალურ მეუფებაზე მიმანიშნებელი და სხვ.

ახალ აღთქმაში გვირგვინი არის გამარჯვებისა და დასაჩუქრების (სანიჭარის/ნიჭის) ემბლემა. იგი აღწერს ქრისტიანთა საბოლოო დასაჩუქრებას სიმართლისათვის).

ჯვრისწერის ცერემონიაში სიძე-პატარძალზე დადგმული გვირგვინი უნდა განასახიერებდეს. იმ გვირგვინს, რომელსაც „უფალი ადგამს ყველას ვინც შეიყვარა გამოჩინება მისი". ეს უხრწნელი, მარადიული ცხოვრების გვირგვინია, რომელიც დაშსახურებული მონაპოვარი და საჩუქარია ქრისტიანთათვის (ამ შემთხვევაში შეუღლებულთათვის, რომლებიც ერთმანეთთან და ქრისტეში ერთიანდებიან).

ქრისტეს სიყვარული ეკლესიისადმი (ე. ი. სასიძოს სიყვარული სასძლოსადმი) ხდება მოდელი ყოველი ქრისტიანული ჯვრისწერისა.

ასეთია მაღალ-სულიერი სურათი ოჯახისა, რომელიც მომზადებულია უფლის მიერ და ეფუძნება რწმენასა და ლოცვას.

9.3. დაკრძალვისა და გლოვის წესები სამეგრელოში

დაკრძალვისა და გლოვის წესები უშუალოდაა დაკავშირებული სიკვდილის, საიქიოსა და სულის შესახებ რელიგიურ-მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებთან, რომელიც თავისი თავზარდამცემი ექსპრესიულობით სამეგრელოს გამოარჩევს საქართველოს სხვა დანარჩენი კუთხეებისაგან.

თუ როგორი იყო სიკვდილის სპეციფიკური, ადგილობრივი გაგება, შესაძლოა, ამისთვის გამოდგეს სიკვდილის აღმნიშვნელი მეგრული ტერმინი „ღურა“ („დოღურუ“), რომლის ეტიმოლოგია ღვრას//დაღვრას უკავშირდება. ამ ტერმინში სიკვდილში გადასვლის კრიტიკული მომენტია ასახული, რომელიც სისხლის იდეას უკავშირდება (შდრ. დაპირისპირება: სიკვდილი/სისხლისაგან დაცლილი და სიცოცხლე/სისხლსავსე). ამგვარი ხატება, რომელიც სიკვდილის, როგორც სისხლის ღვრის აქტის ამსახველია და, ალბათ, უნდა გულისხმობდეს სიკვდილის ანგელოზის მიერ თავისი მსხვერპლის კვლას, ძალიან არქაულია თავისი სიმბოლიზმით და სავარაუდოა ემყარებოდეს ტრადიციულ კოლხურ კონცეფციას.

ასევე, გავრცელებული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით სიკვდილის მომენტში ადამიანის პირიდან გამოდის სული, რომელიც ხშირად ფრინველის (მაგ: მტრედის) სახით წარმოიდგინება, რომლის ბუნებრივ სადგომად თავი ითვლება. მტრედის სახით პირიდან „გამომხტარ სულს“ სასთუმალთან მოუთმენლად ელოდება სიკვდილი, პერსონიფიცირებული გაძვალტყვეული დედაბრის სახეში, რომელიც მას ებღაუჭება და მიჰყავს.

საიქიოს („ოშურეთი“) შესახებ რწმენა-წარმოდგენები ძირითადად ეფუძნება სიზმრებსა და ე. წ. „მობრუნებულთა“ მონაყოლს. „მობრუნებულებში“ (აღმ. საქართველოში – ე. წ. „მკვდარში ჩართულნი“, სამეგრელოში – „მიშნაღურა“) იგულისხმებოდნენ „საღათას ძილისაგან“ გამოფხიზლებულნი, რომელნიც საიქიოში შეცდომის თუ გაუგებრობის გამო მომხდარიყვნენ, რაც შემდგომ სულეთშივე გვარდებოდა. საიქიოდან მობრუნებული, ხშირად, ნათელმხილველური ნიჭით დაჯილდოებული ბრუნდებოდა და ხდებოდა მკითხავი. მათ საიქიოდან მოჰქონდათ ცოცხლებთან დანაბარები, რაც ძირითადად გარდაცვლილთა მიმართ მზრუნველობას ეხებოდა.

საიქიოში მოსახვედრად გარდაცვლილის სულს, ადგილობრივი რწმენებით, უნდა გადაელახა დაბრკოლებები ადულებული კუპრის მდინარის სახით, რომელზეც ბეწვის ხიდი იყო გადებული. არქაული რწმენის მიხედვით, იგი იქ ხვდებოდა ზღურბლის მცველს (შდრ. იმერ. „მეკრე-მეგაჟეს“), რომლისთვისაც უნდა გადაეხადა ბაჟი. (გარდა ამისა, გავიხსენოთ, რომ კოლხეთში ადრეელენისტური ხანიდან მიცვალებულისთვის მონეტის ჩატანების წესი იყო გავრცელებული).

დამოკიდებულება მიცვალებულის მიმართ სამეგრელოში (ისევე როგორც სხვაგან საქართველოში) იყო ორგვარი: ერთის მხრივ მიცვალებული იწვევდა შიშს, რის გამოც ხდებოდა გარდაცვლილის იზოლირება მოსალოდნელი ზიანისაგან თავის ასარიდებლად, თუმცა არსებობდა საპირისპირო ტენდენციაც – დამარხათ გარდაცვლილი ცოცხლებთან ახლოს, რათა არ დაერღვიათ კოლექტივის ერთიანობა.

ყველა ეფექტურ საშუალებას გარდაცვლილის მავნე მოქმედებისაგან თავის ასარიდებლად და ამავე დროს მიცვალებულის სულთან, როგორც მფარველ სულთან კავშირის შესანარჩუნებლად წარმოადგენდა მისი სათანადოდ გამგზავრება საიქიოში. ზრუნვა ამაზე ადამიანის გარდაცვალებისთანავე იწყებოდა.

მიცვალებულისათვის პირველი „ვალის გადახდას“ – „ჯინონგარას“ („ვადატირება“) ანუ წინასწარი დატირების წესი წარმოადგენს, ქალები კივილით, ხოლო მამაკაცები ღრიალით ამცნობენ სხვას დატრიალებული უბედურების შესახებ. ქალები ლოყებსა და გადაღებილ გულ-მკერდს ფრჩხილებით იკაწრავენ და სისხლს იდენენ, თავზე თმას იგლეჯენ.

გარდაცვალების დღესვე ამ უბედური ამბის საცნობლად შემტყობინებელ კაცს „მაგინაფალს“ (მაცნედ გაგზავნიდნენ მაგინაფალს თან ჰქონდა „კალიხანტკა“ (ჯოხი) და რამდენ კაცსაც შეატყობინებდა, იმდენ ჭდეს გაუკეთებდა. გაგზავნილი თან წაიღებდა მიცვალებულის რაიმე ნივთს (მაგ. ძველად ხმალს, ან კაპარჭს ისრებით ან რომელსამე ტანისამოსს. ამბის მიმტანი „შემაცხადაფალი“ მარტო არ მივიდოდა ოჯახში, იგი ვინმეს მიიყვანდა. იმ ოჯახთან მიახლოებისას, სადაც უნდა მიეტანათ ამბავი იწყებდნენ ტირილს, ისე რომ, მასპინძლები მიხვდებოდნენ სიკვდილის ამბავი მოგვიტანესო და გამოვარდებოდნენ გარეთ ამბის გასაგებად. ამის შემდეგ იქაც იწყებოდა მიცვალებულის ნიშანზე ტირილი. ძველად მასპინძლები წელზეკით გაშიშვლებულნი ერთ კუთხეში დადგებოდნენ, ხოლო შინაურები თითო-თითოდ ფეხზე გაიძრობდნენ და წელს ზეკით ტანს გაიშიშვლებდნენ და მოზარეთა გუნდს შორის ჩამდგარნი დაატირებდნენ მიცვალებულს.

ადგილობრივი წესებით, გარდაცვლილს ყველა ნათესავმა და ნაცნობმა უნდა სცეს პატივი დაკრძალვაზე მისვლით და დასწრებით. შავებში ჩაცმული ნათესავები მსვლელობებს აწყობენ შორეული სოფლებიდან. ძველად ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი მხლებლები ჰყოლოდათ, თან ცხენოსნები და ქვეითნი. ამისათვის სხვებისთვისაც შეიძლება ეთხოვნათ თანხლება. პროცესიას წინ მიჰქონდა დიდი კელაპტარი,

შავი ნაჭრებით მორთული. თუ მომავალი ნათესავი ქალი იყო, თმა გაშლილი ჰქონდა და როცა ამა თუ იმ სოფელზე გაივლიდნენ, კივილს იწყებდა და მოზარენი ზარს ეუბნებოდნენ. გარშემო ყველასთვის გასაგები ხდებოდა, რომ ვისიმე სატირლად ცხენებით მიდიოდნენ. მიცვალებულის სახლთან მიახლოებისას ეზოში შესულამდე ყველა ცხენიდან ჩამოხტებოდა, ფეხზე გაიძრობდნენ და წელს ზევით გაშიშვლებულნი ერთიმეორის შემდეგ მეზარეების თანხლებით შედიოდნენ მიცვალებულის დასატირებლად.

ტირილის დღეს იცოდნენ მოზარეების მოწვევა, რომლებიც ოთხი-ხუთი კაცისაგან შედგებოდა (მოზარენი შეიძლება ყოფილიყვნენ თანასოფლელები ან სხვა სოფლებიდანაც). მოზარეთა ორი ჯგუფი ოთახის კარებთან ეახლებოდნენ მიცვალებულთან მოსულ თვითოეულად ყოველ მოტირალს. ოთახში დასვენებული ცხედრის გარშემო იქმნებოდა საკრალური სივრცე, ხოლო მის გარშემო უწყვეტი პროცესია, რაც ციკლურ სიმბოლიზმთანაა დაკავშირებული.

თავდაპირველად ტირილს იწყებდა ყველაზე ახლო ნათესავი, მოტირალი ფეხშიშველი და წელს ზემოთ ტანშიშველი ჩადგებოდა მოზარეთა ორ გუნდს შუა და ისე მიუახლოვდებოდა მიცვალებულს. იქვე მაგიდაზე სამი მათრახი იდო, რომელსაც მოტირალი თავზე ან კისერზე ირტყამდა.

მოტირალი რომ მიუახლოვდებოდა იმ ადგილს, სადაც მიცვალებული ესვენა, მოზარეები ორივე მხრით დაუდგებოდნენ და რიგ-რიგად ტირილს განაგრძობდნენ. მოტირალი მიცვალებულს დაუჩოქებდა და ხელახლა დაიწყებდა პირსახის ცემას და კაწვრას. ცოტა ხნის შემდეგ ადგებოდა და როგორც იყო გაშიშვლებული, ისე დაჯდებოდა მიცვალებულის მხარეს გულზე ხელდაკრეფილი. ასევე იტირებდა სამი თუ ოთხი ახლო ნათესავი და მიცვალებულთანვე ახლო დაჯდებოდა.

ტირილის დროს თმას იშლიდნენ (თმა საერთოდ განსაკუთრებულ სიმბოლურ დატვირთვას იძენს დაკრძალვისა და გლოვის რიტუალებში, რაზეც ქვემოთ შევჩერდებით). იმას, ვისაც ძმა ცოცხალი ჰყავდა, გაშლილ თმაში გაუშვებდა იმდენ წვრილ ნაწნავს, რამდენი ძმაც ჰყავდა. თმა-გაშლილი ქალები კუბოს ორ მწკრივად მიუსხდებოდნენ: პირველ რიგში უსხდნენ თავთან დედა და გამზრდელები, დები, ფეხებთან ჯდებოდა ცოლი, მეორე რიგში კი ახლობელი ნათესავები.

ტირილის დღეს სხვადასხვა წესების შესრულება იცოდნენ: მაგალითად დაქერიებული ქმრისთვის სამგლოვიარო კარვის დაწვნა. მოტირალი მიცვალებულის დატირების შემდეგ კარავთან მივიდოდა და შიგ მჯდომ ქმარს მიუსამძიმრებდა.

ამავე დღეს იცოდნენ ეზოში მიცვალებულის შავად შემოსილი ცხენის დაყენება. თუ მამაკაცი იყო, დაადგამდნენ მამაკაცის უნაგირს, თუ ქალი იყო – ქალისას . ჩვეულებრივ ძიძის შვილებს ეჭირათ ორი ცხენი, ერთი კაცის უნაგირით იყო შეკაზმული, ხოლო მეორე კი ქალისა. ცხენზე შავი მიტკალი იყო გადაფარებული. იქვე იდგა მაგიდა, რომელზედაც ელაგა მიცვალებულის ვერცხლის სამკაულები.

გასვენებამდე მიცვალებულს ეზოში დაასვენებდნენ. მოტირალი მას წრეს შემოარტყამდა და იქ უკანასკნელად მოთქმით კიდევ ერთხელ დაიტირებდნენ. ერთი ჭირისუფალი დედა ან მოთქმით დაიტირებდა მიცვალებულს, სხვები შეუბანებდნენ და ქვითინებდნენ. ხშირად იცოდნენ გამოპასუხებაც. ვინც ახალი მიცვალებულის პატრონი იყო, იგი დაატირებდა თავის მიცვალებულსაც და სთხოვდა საიქიოში წაიღო ამბავი და გადაეცა მათი მწუხარების შესახებ. შემდეგ მიცვალებულს ცხენს შემოუტარებდნენ, ჭირისუფალიც ტირილით და მოთქმით შემოუვლიდა მიცვალებულის კუბოს. ვისაც სასაფლაოზე წასვლა არ შეეძლო, იქვე გამოეთხოვებოდა მიცვალებულს და ამის შემდეგ წაასვენებდნენ სასაფლაოზე. მიცვალებულის გადასვენებისას იცოდნენ ეზოში ხის მოთხრა: ოჯახის უფროს მამაკაცზე ამოთხრიდნენ ვაზიან ხეს, უფროს ქალზე კი თუთის ხეს მოგლეჯდნენ. ფესვებიანად მოთხრილ ხეს მიცვალებულის კუბოს სამჯერ შემოატარებდნენ, შემდეგ წაიღებდნენ და სასაფლაოზე დარგავდნენ.

ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებაში შემორჩენილია მიცვალებულისთვის მისი ცხენის საფლავში ჩატანების წესი, რომელსაც გავრცელებული რწმენებით, თავისი პატრონის სამსახური სულეთშიც უნდა გაეგრძელებინა. ამგვარი ჩვეულება მთელს საქართველოში იყო გავრცელებული, რაც დასტურდება განათხარ მასალაში ადამიანის ჩონჩხის გვერდით ცხენის ჩონჩხის აღმოჩენით. აღნიშნული ჩვეულება სამეგრელოს ყოფაში ჯერ ცხენის ძუის მოჭრით და მისი პატრონის საფლავში ჩატანებით შეცვლილა, ხოლო მოგვიანებით შავით შემოსილი უნაგირიდან ცხენის გარდაცვლილი პატრონის საფლავთან დაყენებით, რომელსაც მანამდე გაარერებდნენ იქ, სანამ მის პატრონს მიწას არ მიაბარებდნენ. (საინტერესოა, რომ ძველად მიცვალებულის დარჩენილი ქვრივიც მოიჭრიდა თმას და ჩააყოლებდა საფლავში გარდაცვლილი მეუღლეს. შემდეგ ეს ჩვეულება გადავარდნილა). მიცვალებულის ცხენს წლის თავამდე არ ამუშავებდნენ და არც გაყიდდნენ. მას საგანგებოდ უვლიდნენ, რადგან მათი რწმენით, გარდაცვლილის სული განსაკუთრებით მოწყლავდა თავის ცხენს. მიცვალებულის სულის მომაკვდინებელი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ოცდახუთ დღეში ერთხელ მის ცხენს „გალენიშის“ შეულოცავდნენ. „გალენიშის“

სალოცავი რიტუალის შესრულება, რომელიც არქაული რწმენა-წარმოდგენების ამსახველია, ადგილობრივთ უზრუნველყოფდა მიცვალებულთა სულის დაშოშმინებითა და გარდაცვლილთა მეუფის „ბალენიში ორთას" მფარველობით. იგივე მიზნებიდან გამომდინარე, იცოდნენ გარდაცვლილის მიერ ნატარები ურმის ხარებისთვის ციკნის დაკვნა და ზემოთხსენებული სალოცავი რიტუალის შესრულება.

გლოვა სამეგრელოში მეტად მძიმე და ხანგრძლივი იცოდნენ. დაკრძალვის დღესვე, განსვენებულის ნათესავები და მეგობრები მოიპარსავდნენ თმას და წვერ-ულვაშს და წარბებს და ერთი წლის მანძილზე სამართველ-მაკრატელს აღარ მიიკარებდნენ. ტანზე ძაბებს იცვამდნენ. მარხვას იცავდნენ. ძველად მიწაზე ეძინათ , მგლოვიარობის მანძილზე პატარა ჩალის სახლში ცხოვრობდნენ, რომელშიც სინათლე მხოლოდ კარებიდან შედიოდა.

ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, გარდაცვლილთა სულებს ისევე ესაჭიროებათ საკვები, როგორც ცოცხლებს. ამიტომ მათთვის დაწესებულია სამგლოვიარო სუფრები ე. წ. „რიგები" (იგივე „ხარჯები") მთელი წლის მანძილზე; სულის მოსახსენებელი დღეები და დღესასწაულები, რომლებიც ქრონოლოგიური თვალსაზრისით სხვადასხვა დროსაა წარმოქმნილი და შესაბამისად, სხვადასხვა დროის რწმენა-წარმოდგენებით საზრდოობს. ადგილობრივი რწმენებით, ვინც ყველა რიგს შეასრულებდა, მისი მიცვალებული განათლებული იყო სამოთხეში.

გარდაცვალებული სულების საკვებით უზრუნველყოფაზე ზრუნავა გარდაცვალების დღიდანვე იწყებოდა და პირველ სუფრად გარდაცვალების დღეს გამართული ქელეხი ითვლებოდა. სამეგრელოში ქელეხის სუფრა მიცვალებულის დაკრძალვამდე იცოდნენ. მოტირალნი ტირილს რომ მორჩებოდნენ, ოცი-ოცდაათ კაციანგან შემდგარ ჯგუფებს სეფაში იწვევდნენ ქელეხის საჭმელად, სადაც სამარხეო საკვებით (მჭადი, ლობიო, თევზი, ზეთიხსილი, მწვანილი და ღვინო) უმასპინძლდებოდნენ. ამ (და, ასევე, სხვა) სამგლოვიარო სუფრაზე შესანდობრით ახლად გარდაცვლილს საიქიოში შენდობასა და ცხოვრებას უსურვებდნენ. იმავე დროს პურს მოტეხავდნენ ნატეხს და დასხამდნენ ზედ ღვინოს. ამას არავინ მიეკარებოდა, რადგან ეს გარდაცვლილის ნაწილად (თიად) ითვლებოდა.

გარდაცვალებიდან მეშვიდე, ხოლო დასაფლავებიდან მესამე დღეს იცოდნენ „მკლავის ახსნა" („კილეში გონწყუმა"). მიცვალებულის სახელზე ხბოს ან ცხვარს კლავენ (თუ კაცია გარდაცვლილი, მაშინ ხარს კლავენ, თუ ქალია — დეკეულს). საკურთხს, როგორც წესი, ვინმე ქვრივი ქალი აშზადებს. ამ სუფრაზე აუცილებელია იხვი, წიწილა, გოჭი (თუ ქალია გარდაცვლილი, ყველა საკლავი დედალი უნდა იყოს, თუ კაცია — მამალი). ცხვება სამი პატარა ხაჭაპური (კვარი), რომელზეც სამ-სამ სანთელს ჩაარჭობენ, ყველაფერი გაუსინჯავად იდება ჯერ გარდაცვლილისათვის განკუთვნილ სუფრაზე. საკურთხზე დადებულის სხვა ადგილზე გადადება არ შეიძლება. მოუკიდებენ სანთელს. მაგიდის წინ დგამენ პატარა ჭურჭელს საკმეველისათვის. მაგიდაზე იდება ღვინო, წყალი და პურის ნაჭერი. მოსული სტუმრები, სანამ ყოველი მათგანი თავის წილ საკმეველს ნაკვერჩხლზე დაადებს, ხელებს წყალნარევი ღვინით გადაიბანდნენ, შემდეგ პურს დაასხამდნენ ღვინოსა და წყალს. ამას „გინოკინას" (გადაწვეას უწოდებდნენ). იმის ხელის ხლება არ შეიძლებოდა.

ქვრივი ქალი დანით ხაზავს საკვებზე. თითო-თითო ნაჭერს ააჭრის ნამცხვარს, გოჭს და ა. შ. და „დაუდებს" გარდაცვლილის სულს. სანთელი რომ ჩაიწვება, სამი მხრიდან შეანძრევს მაგიდას და შემდეგ დასხდებიან სუფრაზე. ღვინით და წყლით დამბალ პურს მიწაზე დაასხამენ აუცილებლად. შემდეგ სტუმრების სუფრაზე შეაქვთ საკვები. ამ სუფრაზე ქელეხის სუფრის შესანდობრები მეორდება. ამბობენ ამ დღეს „გარდაცვლილი შლის ხელსო".

ეს უცნაური სახელწოდება „ხელის გახსნა" და მისი, ასევე, არანაკლებ უცნაური ინტერპრეტაცია გასაგები ხდება, თუ გავიხსენებთ პასაჟებს ახალი აღთქმიდან, როდესაც მაცხოვრის მოწაფეებს აღმდგარი იესო ქრისტე გამოეცხადათ კენაკულუმში და სთხოვა ჭამადი და მეტი სარწმუნოებისათვის აჩვენა მათ თავისი ხელები და ფეხები (ლუკა: 24, 3-43). სამეგრელოში დადასტურებული დასაფლავებიდან მესამე დღის სახელწოდება „მკლავის ახსნა" გულისხმობს გარდაცვლილი სულის მოსვლას ცოცხალ ახლობელთან, „ხელის გაშლას" და ჭამადის მოთხოვნას, რის დაკმაყოფილებასაც ისინი ასე თავგამოდებით ცდილობენ.

სამეგრელოში, ისევე როგორც, საქართველოს სხვა კუთხეებში, მიღებული იყო გარდაცვალებიდან მეორმოცე დღის აღნიშვნა საერთო წვეულებით „ორმოცის" სუფრით.

მეორმოცე დღეს იცოდნენ „გვეილაფას" („ზედ დაკვლა") მოწყობა. „ზედ დაკლავდნენ" მიცვალებულს ხარს (ერთს ან რამდენიმეს) ცხვარს (ან ცხვრებს და სხვ.) მეგრელებს სწამდათ, რომ რაც უფრო მეტ საქონელს „დაკლავდნენ ზედ" მიცვალებულს, მით უფრო დალხენილი იქნებოდა მიცვალებულის სული საიქიოში. აღნიშნული საიქიოს შესახებ არსებულ რწმენა-წარმოდგენებთანაა დაკავშირებული.

ამ რწმენების მიხედვით გარდაცვლილ სულებს საიქიოში საძოვრები აქვთ, რომლებზეც ისინი ცოცხლების მიერ შეწირულ ცხოველებს აძოვებენ. ამ ზედ დაკვლაზე ყველა მეზობელს მოიწვევდნენ. სუფრაზე დასხდებოდნენ, მიცვალებულის ნიშნზე იტირებდნენ. ძველად, ასეთ ზედ დაკვლაზე, თვითონ სამეგრელოს მთავარი ესწრებოდა. ამის გამო აკეთებდნენ რამდენიმე სეფას; ერთ სეფაში გაშლიდნენ მიცვალებულის ნიშანს, მეორეში დააყენებდნენ მის უნაგირიან ცხენს, მესამეში მისი სანადირო ძაღლები ეჭირათ ხელში, უკანასკნელში — მისი სანადირო ქორები და მიმინოები. ტირილის წინ შიშვლდებოდნენ წელს ზემოთ, ფეხსაცმელებს იძრობდნენ პირველი ტირილის მსგავსად. ამ დღეს განსაკუთრებული წირვა უნდა ჩატარებულიყო. წირვას თვითონ ეპისკოპოსი ატარებდა, რომელსაც წირვის ფასად ერგებოდა ყოველივე ის, რაც კარგი და მშვენიერი ჰქონდა მიცვალებულს (მათ შორის, ზოგჯერ, მისი ცხენიც).

გარდაცვლილის სული, გავრცელებული რწმენებით მეორმოცე დღეს საბოლოოდ ტოვებდა დედამიწას და მაღლდებოდა ღმერთის სასუფეველში (რაც სრული შესაბამისია ქრისტიანული რწმენისა).

ორმოცის გადახდის შემდეგ, დაიწყებოდა სამზადისი მიცვალეულის წლისთავის მოსაწყობად, რომელსაც „მოწანეას" უწოდებდნენ და ამ დღეს აწყობდნენ „შეყრას". წლის თავზე იწვევდნენ ნათესავ-მოკეთეებს, კლავდნენ საკლავს და იმართებოდა დიდი ქელები. მიცვალებულის ნიშნის ტანისამოსს ჩალით ან ბამბით გატენიდნენ — „ნიშანიში ბგიბუა" და ჩაცმულ-დახურულ ნიშანს, როგორც ცოცხალ ადამიანს დასვამდნენ ტახტზე. მის გარშემო ჭირისუფლები დასხდებოდნენ და მას მოთქმით დაიტირებდნენ. შავად შემოსილ მიცვალებულის ცხენს სახლის ბოძზე მიაბამდნენ და დაიწყებოდა „შაყრაზე" მოშსვლელთა დახვედრა-შიდება. მიცვალებულის გამზრდელებს მოჰქონდათ „კილანტარი" (კელაპტარ), რომელსაც აკეთებდნენ გრძელი ალვის ხისაგან. მუხის გარდა სხვა ხეც შეიძლებოდა. ის რაც შეიძლება გრძელი უნდა ყოფილიყო. ამ ხეს შემოახვევდნენ შავი და თეთრი ფერის გასანთლულ მიტკალს, ზედ მის წვერზე დააკრავდნენ ხისაგან გამოთლილ იხვის მაგვარი ფრინველის ქანდაკებას. კელაპტარს გარშემო ანთებული სანთლები ჰქონდა გაკეთებული. კელაპტარს ეზოში დადგამდნენ და ერთ ადგილზე დაამაგრებდნენ. ამასთანავე გამზრდელებსა და ძიძებს მოჰყავდათ შავად შემოსილი ბუღები — „სურდილი ხოჯეფი". ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გამზრდელებსა და მის საგვარეულო „მორდილის" შეყრაზე მოჰყავდა ორმოცამდე ხარი, რომელსაც ზედ შავი ჰქონდა გადაფარებული, რქებზე ანთებული სანთლები ეკეთა, ხოლო თავ-კისერზე რამდენიმე ასხმა წაბლი ეკეთა. იმ ხარებს ეზოშივე გაუშვებდნენ. ხალხი ხარებს წაბლს შემოაცლიდა. შემდეგ ამ ხარებს დაჰკლავდნენ და შეყრა დღეს ხალხს უმასპინძლდებოდნენ. თუ გარდაცვლილი ქალი იყო, მას შეყრაზე ძროხას დაუკლავდნენ.

ნიშნის დატირების შემდეგ მამაკაცის წილისთავზე სამეგრელოში (ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში) გაიმართებოდა „მარული" დღე, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ყველა, ვისაც სურდა მიცვალებულის პატივისცემა. დღეში მსაჯულად აირჩევდნენ ერთ საპატიო და მართალ პიროვნებას, რომელიც განსაზღვრავდა სადღე ადგილის მანძილს, დაახლოებით ათ-თხუტმეტ კილომეტრამდე. ცხენოსნები დანიშნულ ადგილას მივიდოდნენ და შემდეგ იქიდან გამოაჭენებდნენ ცხენებს. მაგ.: თუ მიცვალებული იყო სოფ. ჯვარიდან და მისი „ჯინჯი ხატი" იყო ჯვარში, შემდეგ კი გადმოსახლებული სოფ. ხუმუშკურში, ცხენებს გამოაქცევდნენ ჯვარიდან ხუმუშკურამდე. გამარჯვებულს ეძლეოდათ „სასყიდელი" საჩუქარი ფულით, საქონლით, აძლევდნენ ტანისამოს და სხვ. ასაჩუქრებდნენ მეექვსე ცხენოსნამდე. ყველაზე მეტ საჩუქარს იღებდა პირველი ცხენოსანი, რომლის საჩუქარი უდრიდა ფულად ას მანეთს (ოქროთი). მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მარტო შეჯიბრი არ უნდა ყოფილიყო.

ცხენ-მხედართა რბოლის მნიშვნელობას გარკვეულწილად ნათელი შეიძლება მოჰფინოს დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული მასალის შეჯერებამ.

აღმოსაელეთ საქართველოში წლისთავზე (ან დაკრძალვის დღეს) გამართულ დღეში, ადგილობრივი რწმენების მიხედვით, იგულისხმება გარდაცვლილის სულის მონაწილეობაც, რაზეც დღეში ე. წ. „სულის ცხენის" მონაწილეობაც მიუთითებდა. მხედრები „სულის ცხენით წინ", რომლის სადავე გარდაცვლილის დედას ან დას ეჭირა, მარცხნიდან მარჯვნივ სამჯერ შემოუვლიდნენ ტალავარს და გააჭენებდნენ. მარშრუტი ნებისმიერი არ იყო. დღეში მონაწილე მხედრები, თუ მამაკაცი იყო გარდაცვლილი, ჯერ დედის ძმებში და თავის მოგვარეებში წავიდოდნენ. თუ ქალი იყო გარდაცვლილი ჯერ მამის სახლში (მამის მოგვარეებში), შემდეგ დედის ძმებში და შემდეგ ქმრეულებში მიდიოდნენ, რაც საესებით შეესაბამება რწმენა-წარმოდგენებს მგებრების (ნათესავები, რომლებიც ეგებებიან საიქიოში გარდაცვლილს) შესახებ საიქიოში. (აქვე გავიხსენოთ, რომ სამგლოვიარო სუფრაზე მიცვალებულის შესანდობრისა და ჭირის პატრონის დალოცვის შემდეგ ხევსურეთში, ფშავსა და თუშეთში აუცილებლად შესვამდნენ მგებრების შესანდობარს). სამეგრელოში „ჯინჯი ხატის" ჩართვა მარულაში იმაზე მეტყველებს, რომ მარშრუტი აქაც შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო და მაინც საითკენ მიემართება საათის ისრის მოძრაობის საპირისპირო, მარცხნიდან მარჯვნივ წარმართული დღეი, ან რას შეესაბამება წინასწარ

განსაზღვრული მარშრუტი? ზემოთ აღწერილი რიტუალი მაჩვენებელია იმისა, რომ გარდაცვლილ სულს საიქიოში არა მარტო მგებრები (ანუ გარდაცვლილის ახლობლები მიაცილებენ), არამედ ცოცხლებიც. დღი წლისთავზე (ან დაკრძალვის დღეს) ფაქტიურად, წარმოდგენს ახლად გარდაცვლილი სულის საიქიოში მოგზაურობის მარშრუტის ილუსტრაციას ააკოში. რიტუალის ფორმა ხდება წამყვანი და მნიშვნელოვანი. რიტუალი იმეორებს მითში (რწმენა-წარმოდგენებში) დაცულ მარშრუტს და ცოცხლების მიერ ამგვარი „გაცილება" უზრუნველყოფდა გარდაცვლილის სულის მშვიდ დამკვიდრებას საიქიოში.

მარულას შემდეგ იმართებოდა მეორე სახის შეჯიბრი „ყაბახი". ამისათვის ეზოში აირჩევდნენ ყველაზე მაღალ ხეს და მასზე მიამაგრებდნენ გრძელ ჯოხს, რომელსაც თავი ჰქონდა გაჩეხილი და ნიშნის ამოსაღებად შიგ ჩადებული იყო თეფში ან ფიცარი, ზოგან კი ჯოხზე მიცვალებულის ქისას ჩამოჰკიდებდნენ. ყაბახის სიმაღლე უდრიდა 10-15 მეტრს. ყაბახის მანძილი თოკით იყო შემოფარგლული და მეთოფეებიც ამ თოკის გარშემო გამწკრივდებოდნენ, ისე რომ გულ-მკერდი თოკზე უნდა ჰქონოდათ მიბჯენილი და დაიწყებდნენ თოფების ნიშანზე სროლას. ვინც ნიშანს მოახვედრებდა, მას ეძლეოდა საჩუქარი ფულით, საქონლით ან რაიმე ნივთით. შემდეგ მეთოფენი ესროდნენ „კელაპტრის" ჩიტს და ვინც ჩიტს ჩამოაგდებდა, მას აჩუქებდნენ 15-30 მანეთს. საღამოს ჟამს ერთი ვინმე მიცვალებულის საყვარელი ადამიანი შეჯდებოდა მიცვალებულის შავად შემოსილ ცხენზე და „თარჩიას" გააკეთებდა, სხვები მას გამოედევნებოდნენ და ცდილობდნენ ცხენისთვის შავები შემოეხიათ. ამ ცხენს თუ ოჯახში მომლელი არ ჰყავდა, მიცვალებულის მეგობარს აჩუქებდნენ.

წლის თავზე კიდევ ერთი საინტერესო წესი იცოდნენ, რომელიც თმების სიმბოლიზმთან არის დაკავშირებული. ეს ეხება წლის თავზე სამგლოვიაროდ დაყენებული თმის მოპარსვას. ამ დროს ზოგჯერ ასრულებდნენ რიტუალს, რომელსაც „თომაში მიკოცოთამას" უწოდებენ. ეს ნიშნავდა მიცვალებულის სანაცვლოდ იმ საყვარელი ადამიანის „მოგბას", რომელსაც თმას შეაჭრეკინებდნენ წლისთავზე რჩეული აიღებდა მაკრატელს და თმას შეაჭრიდა მგლოვიარეს და იგი ამ დღიდან ითვლებოდა „ჩაფილად" ანუ ამორჩეულად, მაგიერად. მაგ.: რწმენებით, შავი მალე უნდა დაიხეს და მის დახეევასთან ერთად უნდა „დაიხეს" (დასრულდეს) გლოვა სახლში. ამ რწმენის გამო გარღვეულ შავს არ გაჰკერავენ, პირიქით უშვებდნენ მის უარესად დახევას. ამიტომ, ხშირად, შავი აფლეთილი ეცვათ. დიდა-ჩაფილი (დედის მაგიერი ან ნაცვალი), ჯიმა-ჩაფილი (ძმის მაგიერი), და-ჩაფილი (დის მაგიერი) და სხვ. ჩაფილი თმას შეაჭრიდა მგლოვიარეს ორ-სამ ადგილას, ჩვარში გაახვევდა და შეინახავდა.

„ჩაფილს" აძლევდნენ იმის ნახევარს, რაც მიცვალებულს დარჩებოდა. სამაგიეროდ სკუა-ჩაფილი (შვილის მაგიერი), თუ ჯიმა-ჩაფილი (ძმის მაგიერი), მას უვლიდა ღვიძლი შვილივით და ძმასავით. ჩაფილს თავისი მოვალეობა ჰქონდა. მაგ.: როდესაც და-ჩაფილი გათხოვდებოდა, მას ძმა-ჩაფილი, როგორც ძმა ქორწილშ ი წაყვებოდა და იქ ძმის მოვალეობას ასრულებდა. ვაეის ქორწილში და-ჩაფილი ასრულებდა დის მოვალეობას. თუ მათ შორის რაიმე სამდურავი ჩამოვარდებოდა, მაშინ შენაკრეჭ თმას უკანვე უბრუნებდნენ და ამით ეს წესიც ირღვეოდა.

თმის რიტუალური გაკრეჭვა ხდებოდა საფუძველი ხელოვნური დანათესაევებისა, რის გამოც დედა-ჩაფილისა და მამა-ჩაფილის ნათესავებსა და მახლობლებში საქორწინო ურთიერთობები იკრძალებოდა (ასევე შვილობილის — სკუაჩალიფის გვარსა და ნათესავებში).

ამრიგად, წლის თავის ზემოთ აღწერილი წესით შესრულებით და თმის რიტუალური გაკრეჭით მთავრდებოდა მიცვალებულის გლოვა, მაგრამ მათზე ზრუნვა გრძელდებოდა მიცვალებულის მოსახსენებელი ტრაპეზების (ე. წ. „საკურთხების") დადგმის წესში. მოსახლეობა იეავდა მიცვალებულისთვის ზოგად საეკლესიო ყოველკვირეული ხსენებისათვის საღმრთისმსახურო განაწესში გამოყოფილ შაბათ დღეს. გავრცელებული რწმენის მიხედვით ლოცვის შედეგად სულებს ნათელი ეფინებოდათ საიქიოში. საკურთხების დადგმა იცოდნენ ხორციელის შაბათს, დიდმარხვის მეორე, მესამე და მეოთხე შაბათს, სამებობის შაბათს ანუ „სუნთაობას"///„სულთაობას", რომელიც სულთმოფინობის წინ აღესრულებოდა. ამ დღეს ოჯახებში ამზადებდნენ სადილს და სასაფლაოზე აკურთხებდნენ მიცვალებულის საკურთხს.

გარდა ამისა, მიცვალებულის სულის მოსახსენებლად დანიშნული იყო აღდგომის მეორე დღე. მოსახლეობა ამ დღეს იკრიბებოდა სოფლის ეკლესიაზე, სადაც მათ საგვარეულო სამარხთან თითოეული ოჯახი წაიღებდა საკურთხს და დააწყობდა თავისი მიცვალებულის საფლავზე. დანიშნულ საათზე მოდიოდა ადგილობრივი მღვდელი, რომელიც აკურთხებდა თითოეული ოჯახის მიერ მოტანილ საკურთხს. კურთხევის შემდეგ ყველა თავის კალათს აიღებდა და საფლავზე სტოვებდა წნელისაგან გალიასავით გაკეთებულ კოლოფს, რომელსაც ყვავილები ერტყა და სანთლები. ამის შემდეგ ყველა ერთად მიდიოდა ეკლესიის წინ ფართო მინდორზე, სადაც ყოველი ოჯახი ცალკე ხის ძირას დაჯდებოდა (კრებულთა ერთად სხდომის წესი სვანეთშიც დასტურდება ბოლო დრომდე). სხდებოდნენ ყველანი ერთბაშად და

იწყებდნენ ერთმანეთის საკვების შეთავაზებას და თან დააყოლებდნენ — ღმერთმა აცხონოს ჩვენი მიცვალებულიო. ამის შემდეგ შეუდგებოდნენ თავიანთი მოტანილისა და სხვის მიერ შეთავაზებული საკვების ჭამას, რომელიც შუა დღიდან საღამომდე გრძელდებოდა.

ეკლესიის კარზე ქრისტიანთა ერთად სხდომის წესი, ტაბლათა დაგება და იქ ჭამა ადრექრისტიანული პრაქტიკიდან უნდა მომდინარეობდეს. მისი ტრადიცია ემყარება ქრისტიანობის პირველ წლებში ჩამოყალიბებულ ე. წ. „სიყვარულის სერობის" შემოღებას. ამგვარი სახელწოდება აღნიშნულმა რიტუალმა მიიღო იმასთან დაკავშირებით, რომ დღე ითვლებოდა საიდუმლო სერობის (ანუ პირველი ლიტურგიის) მოგონების აღმნიშვნელად და მიზნად ისახავდა მდიდარ და ღარიბ მორწმუნეთა შორის კეთილი დამოკიდებულების და სიყვარულის განმტკიცებას. ამ დღესასწაულის კვალი საქართველოს ზოგიერთ კუთხეში და მათ შორის სამეგრელოშიც მოდიფიცირებული სახით შემოუნახავს ყოფას.

ამგვარი ეგზოტიკური „ნარეკის" სახით შემოინახა ყოფამ დაკრძალვისა და გლოვის წესები, რომლებიც კიდევ ერთი დასტურია იმისა თუ როგორ განაგრძობს „სიცოცხლეს" ძველკოლხური ტრადიცია დასავლურ-ქართულ (მეგრულ) რეალიაში.

დამატება I

რ. პაპუაშვილი

ერგეტის სამაროვნები

1978 წლიდან, ერგეტის მკვიდრის ბ-ნ ბონდო მამფორიას უანგარო დახმარებითა და ხელშეწყობით, აღმოჩენილი იქნა და შეისწავლება, დღეს უკვე სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ ცნობილი ერგეტის სამაროვნები. ოთხი სამაროვანია ერგეტაში ცნობილი და ოთხივე გეოანბრინჯაო-ადრერკინის ხანას განეკუთვნება. აქ შეეცადეთ მოგვეცა ამ სამაროვანთა კვლევის ერთი ასპექტის-დაკრძალვის წესებისა და მათი აგებულების ინტერპრეტაციის ცდა.

ჩვენი საუკუნის 70-იან წლებამდე ცენტრალურ კოლხეთში შესასწავლი ხანის ამსახველი ძეგლები ძირითადად ნამოსახლარებითა და შემთხვევით აღმოჩენილი განძებით იყო ცნობილი. ნამოსახლარებზე მოპოვებული მასალა თიხის ნაწარმით, ხოლო განძებში მოპოვებული მასალა უპირატესად ლითონის ინვენტარით იყო წარმოდგენილი. თიხის ნაწარმისა და ლითონის ინვენტარის ცალ-ცალკე ძეგლებზე დადასტურება ართულებდა ისეთი კარდინალური პრობლემების გადაჭრა-დაზუსტებას, როგორებიცაა: ძეგლების აბსოლუტური და ფარდობითი ქრონოლოგია, სამეურნეო და სამხედრო საქმე, ყოფითი კულტურა, რელიგია, დაკრძალვის წესები დ მასთან დაკავშირებული რიტუალი, ურთიერთობანი გარე სამყაროსთან და სხვ. მწვავედ იგრძნობოდა შესაბამისი სამაროვნების უქონლობა. სამაროვნებზე კი, როგორც წესი, თიხის ნაწარმი, ლითონის ინვენტარი, საკულტო დანიშნულების საგნები და მძივსამკაული ერთდროულადაა წარმოდგენილი, ხშირად ერთიდაიგივე კომპლექსში.

აღნიშნული ხარვეზის შესავსებად 1974 წლიდან კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფ. თ. მიქელაძის ხელმძღვანელობით დაიწყო მიზანმიმართული მუშაობა ხსენებული ეპოქის სამაროვნების მიკვლევისა და შესწავლის მიზნით. შედეგად, აღმოჩნდა და გაითხარა: ნიგვზიანის, ურეკის, ერგეტის I-IV და დღვაბის სამაროვნები. ყველა ჩამოთვლილი სამაროვანი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: საკულტო მოედნისა და კოლექტიური სამარხი ორმოებისაგან. საკულტო მოედნები თავის მხრივ სამი სეგმენტით არიან წარმოდგენილნი, ესენია: რიყის ქვისაგან შედგენილი ყრილები, დამწვარი და დაქუცმაცებული ძვლებისაგან შედგენილი გროვები ან ორმოები, აგრეთვე კულტმსახურებისა და ტრაპეზის ნარჩენების თანდათანობითი დაფენების შედეგად წარმოქმნილი კულტურული ფენები. ხსენებული სამაროვნები ზოგჯერ რამდენადმე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებებით ისინი სამაროვნების ერთ გარკვეულ ჯგუფად ერთიანდებიან და მკვეთრად განსხვავდებიან სხვადასხვა ეპოქის რეგიონებისა და კულტურის სამაროვანთაგან.

გარდა ხსენებულთა, კოლხეთში ამ ტიპის ძეგლებადაა მიჩნეული ჯანტუხის, ბერხეულის, ფიჩორის, ჰალურის, მუხურჩის, სალხინოს, კურზუს, ბრილის, გორაძირის და ხეცუბნის სამაროვნები.

ზედაპირული დაზვერვებითა და მოპოვებული მასალის მიხედვით საკარაუდოდ მსგავს ტიპად შეიძლება ჩათვალოს: ნალეპსაოს, ლეჩეს, ვედიდკარის, მახათის, გურძეანის და ბახუნის სამაროვნები მარტვილის რაიონში. როგორც ჩანს ანალოგიური ხასიათის კომპლექსებიდან უნდა [illegible] ჯვარის, ჭუბურხინჯის, ნოსირიანა და ფარცხანაყანევის კოლექციები. აგრეთვე: [illegible] ქუთაისში ცაცხვების ტყეზე ჰეტრე ჭაბუკიანის მიერ მოპოვებული ნეთიერი [illegible] სოფ. სულორში, საკაილეს ბორცვზე მოპოვებული ინვენტარის ნაწილი და [illegible] სოფ. ქვემო საზანოში, ადგილ ბაღმაჭალაში აღმოჩენილი სამარხები.

წარმოდგენილ ძეგლთა ქრონოლოგიური ჩარჩოები სხვადასხვა [illegible] I ათასწლეულის პირველი ნახევრითაა განსაზღვრული, რა თქმა უნდა [illegible] საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაწყებამდე სხვადასხვა [illegible] იყო. ასევე სხვადასხვა მიზეზთა გამო ზოგიერთ მათგანზე [illegible] სამაროვანი მხოლოდ ზედაპირული დაზვერვებითაა ცნობილი და [illegible] კვლევა-ძიება არც განხორციელებულა.

ამ თვალსაზრისით სრულიად განსაკუთრებული [illegible] გათხრების დაწყებამდე ისინი არც ღრმა თხრილებით [illegible]

გადარეცხილი და არც განძის მაძიებლებისაგან დანგრეული ამიტომ, შედარებით სრულადაა მოღწეული ჩვენამდე. ერგეტის I, III და IV სამაროვნებზე სამუშაოები თითქმის დასრულებულია, ხოლო II სამაროვანზე სამუშაოები დღესაც გრძელდება. აღნიშნულის გამო, ვფიქრობთ, შედარებით სრული წარმოდგენის შექმნა ხსენებული ტიპის სამაროვანთა აგებულების შესახებ აქ მიღებული კვლევა-ძიების შედეგების ანალიზითაა შესაძლებელი.

იმ ადგილებს, სადაც შემდგომ სამაროვნები დადასტურდა, მოსახლეობა „ნაკარდამუ" ეძახდა. „ნაკარდამუ" მეგრული სიტყვაა და ქართულად ნაკლდამევს ნიშნავს. უნდა აღინიშნოს, რომ ბ. კუფტინს გამოქვეყნებული აქვს ფოთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის ყოფილი დირექტორის ბ. გოგოლიშვილის მიერ ერგეტის სხვადასხვა უბანში ზედაპირულად აკრეფილი ფრაგმენტები. აღმოჩენის ადგილებიდან მითითებულია: დიხა-ზურგა, ცკანე, ნაჭკადუ და ნაკალამუ. ნაჭკადუ ეწოდება ერგეტის იმ უბანს სადაც I სამაროვანია დადასტურებული, ხოლო ნაკარდამუ (ბ. კუფტინთან ნაკალამუ, ალბათ შეცდომით, რადგან ნაკალამუს სახელით ცნობილი ტოპონიმი ერგეტაში არაა) უშუალოდ სამაროვნის ტერიტორიას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ერმიტაჟში კავკასიური მასალის საცავში 1980 წელს მასალის მცველმა პროფ. ი. დომანსკიმ გვაჩვენა კერამიკის ფრაგმენტები ერგეტიდან, რომელიც 30-იან წლებშია შეკრებილი ა. იესენის მიერ.

ადგილები, სადაც აღნიშნული სამაროვნები მდებარეობს ოდნავ შესამჩნევადაა ამაღლებული 100-200 მ ფართობზე.

ამაღლებული ფართობის ცენტრში ზამთრობით ან ადრე გაზაფხულზე, როდესაც მცენარეული საფარი განსაკუთრებით დაბალია, შეინიშნებოდა ქვაყრილები, ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლების, კერამიკის, ლითონის ინვენტარისა და მძივსამკაულის ფრაგმენტები, ხშირ შემთხვევაში ცეცხლის ძლიერი კვალით.

ერგეტისა და დღვაბის სამაროვნებზე საველე სამუშაოების პირველ ეტაპზევე შემდეგი სურათი დასტურდება: უშუალოდ კორდოვანი ფენის ქვეშ თავს იჩენს რიყის ქვის ყრილებისაგან, წვრილად ფრაგმენტირებული დამწვარი ძვლებისა და არქეოლოგიური ინვენტარისაგან შედგენილი მოედანი ძლიერი ცეცხლის კვალით. ცეცხლის კვალი იმდენად ძლიერია, რომ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ხშირად დეფორმირებულია. ზოგჯერ კი თიხის და ლითონის ნაწარმი ერთმანეთზეა შედუღებული. გეხვდება ცეცხლისაგან დეფორმირებული მძივსამკაულიც. სარდიონის მძივები ცეცხლის ზემოქმედების გამო გათეთრებულია და ხშირად დახეთქილი.

ამგვარი მოედნების ფართობი და სიმძლავრე სხვადასხვა სამაროვანზე სხვადასხვაა. თუ დღვაბის სამაროვანზე მისი ფართობი 60მ არ აღემატებოდა, ერგეტის I სამაროვანზე ის 150მ-მდე აღწევდა. სხვაობა სხვადასხვა სამაროვნებზე საკულტო მოედნის ფართობისა და მოედანზე კულტურული ფენის სიმძლავრეთა შორის სამაროვნის ფუნქციონირების ხანგრძლივობით უნდა აიხსნას. უკრაინაა აქვე გავიხსენოთ, რომ დღვაბის სამაროვანზე მხოლოდ ორი სამარხი ორმა დადასტურდა, ერგეტის I სამაროვანზე კი ცხრა. ამავე დროს ერგეტის I სამაროვანის მოედანზე მოპოვებული თიხის ნაწარმის გარკვეული ჯგუფი ტიპოლოგიურად შეესაბამება თ. მიქელაძისეული კლასიფიკაციით ძვ. კოლხური პირველი ეტაპის კერამიკას და ისეთ ძეგლებთან ამეღავნებს სიახლოვეს როგორიცაა: ნაოხვამუ, ზურგა, ნოსირი და სხვა. აქ მოპოვებული კერამიკის ძირითადი ნაწილი კი შეესაბამება ძვ. კოლხური II და ანალოგიურია ისეთ ძეგლებზე მოპოვებულ ჭურჭლისა, როგორიცაა ვანის ნაქალაქარის უძველესი ფენები, მუხურჩა, გორაძირი, პალურის საძვლე და სხვა. რამდენიმე ფრაგმენტი აქ მოპოვებული ჭურჭლისა ბერძნული ცენტრებიდანაა იმპორტირებული. ასეთია: განლექილი თიხისაგან დამზადებული ჭურჭლის პირეული წითელი საღებავის კვალით, შეწყვილებული ყურის ფრაგმენტები და მცირე ზომის თხელკეციანი, შავლაკიანი ჭურჭლის (შესაძლოა კილიკის) ფრაგმენტები. ანალოგიური ვითარება შეინიშნება ერგეტის სხვა სამაროვნებზეც.

ამავე მოედნებზე ზოგჯერ კომპაქტურად, ზოგჯერ კი გაფანტულად შეინიშნება რიყის ქვის ყრილები. აღნიშნული ერგეტისა და დღვაბის სამაროვნებზე გარკვეულ ფორმას არ ღებულობდა და არც რაიმე წყობა შეინიშნებოდა. ამ მხრივ სხვა ვითარებაა პალურის საძვლეზე, სადაც დადასტურებულ ნალისებური თხრილის კედლებთან, ზოგიერთ ადგილას, შემორჩენილია რიყის ქვების ერთპირი მშრალი წყობა, რომლითაც იგი მოპირკეთებული ყოფილა. უდავოა, რომ ერგეტისა და დღვაბის სამაროვნებზეც რიყის ქვებს რაღაც კონსტრუქციული დანიშნულება უნდა ჰქონოდათ, მაგრამ რა, ამის თქმა ძნელია, თუმცა ნათელია, რომ ის შენობის კედლებისათვის არ გამოდგებოდა, საამისოდ ძალზე ცოტაა, წვრილი და მომრგვალებულია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ის საგანგებოდაა მოტანილი ან ზღვიდან, ან მდ. ჯუმის ნაპირებიდან. ორივე შემთხვევაში მანძილი 4-8 კმ. აღემატება. მართალია ერგეტის სამაროვნებთან მიინც ყველაზე ახლოს აღნიშნული კარიერებია, მაგრამ ის, რომ აღნიშნულ მოედნებზე საგანგებოდ რიყის ქვა იყო შერჩეული და არა სხვა მინერალი, მიუთითებს ჯანტუხის სამაროვანზე დადასტურებული

ქვის ანალოგიური სახეობაც. გ. შამას შენიშვნით რიყის ქვა აქ საგანგებოდაა ამოტანილი მდ. მახმას ხეობიდან I კმ მანძილზე, ძნელად საავალი გზით. მაშინ, როდესაც კირქვები უხვად მოიპოვება უშუალოდ სამაროვნის მიმდებარე ტერიტორიაზე. ასეთ ვითარებაში რიყის ქვის არსებობა მკვლევარს ავარაუდებინებს მათ სარიტუალო დანიშნულებაზე, მაგრამ შეიძლება აიხსნას სხვაგვარადაც. კერძოდ: რადგანაც აღნიშნულ მოედნებზე ცეცხლი აქტიურად მონაწილეობს (ამის მეტყველი მაგალითია ნახშირის, ნაცრის, ცეცხლისაგან ზოგჯერ დეფორმირებული ინვენტარი და რაც მთავარია დამწვარი ძვლის დანაწევრებული ფრაგმენტები), საფიქრებელია ქვებისაგან გამართული ყოფილიყო ქურები, მოწყობილი ყოფილიყო ორმოები ან სამსხვერპლოები, რომლებშიც, ინთებოდა ძლიერი ცეცხლი და წარმოიქმნებოდა მაღალი ტემპერატურა. ასეთი ფუნქციური დატვირთვის შემთხვევაში, რა თქმა უნდა, რიყის ქვა აჯობებდა კირქვას, რომელიც ცეცხლის მიმართ უფრო მგრძნობიარეა და ამის გამო ადვილად შლადი.

რაც შეეხება დამწვარსა და საგანგებოდ დაქუცმაცებულ ძვლებს, რომლებიც ასე უხვად წარმოდგენილი ყველა აღნიშნულ მოედანზე, გვხვდება გაფანტულადაც და კომპაქტურადაც გროვების სახით საგანგებო ორმოებში ან თხრილებში. (ორმოებსა დათხრილებში დამოწმებული ძვლები საგანგებოდ შეისწავლა და განსაზღვრა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა პაპუე ფირფილაშვილმა). მაგალითად, ერგეტის I და III სამაროვნებზე ძვლები (რომლებიც დამწვარია, კალციტირებული და იმდენად დანაწევრებული, რომ ჩნდება ეჭვი მათი საგანგებოდ დაქუცმაცების შესახებ) საგანგებო ორმოებშია თავმოყრილი მოედნის ცენტრალურ ნაწილში. ისინი ზოგჯერ საგანგებო თხრილებშიცაა. მაგალითად: ერგეტის IV სამაროვნის მოედანზე საგანგებოდაა ამოჭრილი П-სებური ფორმის ორმო. ანალოგიური ორმოა (მას ნალისებურს უწოდებენ) პალურის საძველზეც. მიუხედავად იმისა, რომ კბილები ჩვეულებრივ ყველაზე დიდხანს კაძლებადი ძვალია სხვებთან შედარებით, თითქმის არც ერთ თხრილსა თუ ორმოში არც ერთი ცალი არ დადასტურებულა. აღნიშნულ ორმოებში მოპოვებული ინვენტარი, რომელიც რიცხემრავლობით არ გამოირჩევა, ატარებს ცეცხლის აშკარა კვალს.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ უშუალოდ ორმოებსა და თხრილებში ცეცხლის კვალი არ დადასტურებულა. აშკარაა, რომ ძვლები ზედაპირზეა დამწვარ-დაქუცმაცებული და შემდეგაა ორმოებსა და თხრილებში ჩაყრილი.

მოედნის რა ნაწილში ხდებოდა ძვლებისა თუ გვამების დაწვა-დამუშავება, ამჟერად ძნელი სათქმელია, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შესაძლოა ეს ხდებოდა საგანგებოდ გამართულ სამსხვერპლოებზე ან საკრემაციო ქურებში, რომელთა ნაგრეგებსაც, საფიქრებელია აღნიშნული ქვაყრილები წარმოადგენდნენ.

სამსხვერპლოები, თუ საკრემაციო ქურები დაზიანების ან დანგრევის შემთხვევაში ალბათ რესტავრირდებოდა, ან ახალი იგებოდა იქვე, ან მახლობლად. ამის მანიშნებლად მიგვაჩნია ერთ მოედანზე რამდენიმე ქვაყრილის დადასტურების ფაქტი.

ხსენებულ მოედნებზე რომ აშკარად იმართებოდა ტრაპეზიც (ქელეხი), ამის აშკარა მოწმობა, ეფიქრობთ, მრავალრიცხოვანი სასმისების, ხელადების, ჯამებისა და სუფრის ჭურჭლის სხვადასხვა ფრაგმენტებია.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, ეფიქრობთ, გვეძლევა საფუძველი აღნიშნული მოედნები ისეთ ადგილებად წარმოვიდგინოთ, სადაც სრულდებოდა მიცვალებულთა გვამების დამუშავება, კრემაცია, კრემირებული ძვლების სპეციალურ ორმოებში განთავსება, არაკრემირებული, საგანგებო ძვლებისა და ინვენტარის სამარხ-ორმოებში განაწილება. ერთი სიტყვით აღნიშნულ მოედნებზე სრულდებოდა გარკვეული რიტუალი, დაკავშირებული მიცვალებულის კულტთან. შესაძლებლად მიგვაჩნია აღნიშნულ მოედნებს საკულტო მოედანი ეწოდოთ.

რაც უფრო სანგრძლივად და ინტენსიურად ფუნქციონირებს საკულტო მოედანი, მით უფრო მძლავრია კულტურული ფენა და მეტია მისი ფართობი. საკულტო მოედანი დროთა განმავლობაში ფართოვდებოდა და ეფიქრობთ ზოგიერთი ადრეული, შემდგომ მივიწყებული სამარხი, ან სრულიად, ან ნაწილობრივ მის ქვეშ ექცეოდა. მაგალითად: ერგეტის I სამაროვანზე № I სამარხი ორმო მთლიანად საკულტო მოედნით იყო გადაფარული, ერგეტის IV სამაროვანზე კი № 3 სამარხი-ორმო ნაწილობრივ საკულტო მოედნის ქვეშ მდებარეობდა.

საკულტო მოედნის შემადგენელ კომპონენტებად მიგვაჩნია: 1) ტრაპეზისა და კულტთან დაკავშირებული რიტუალის მატერიალური ნაშთების თანდათანობითი დაფენების შედეგად წარმოქმნილი კულტურული ფენა, რომელიც განსაზღვრავს მოედნის ფართობს. 2) სპეციალური საძველ-ორმოები ან თხრილები მიცვალებულის კრემირებული ძვლებისათვის და 3) ქვაყრილები, რომლებიც შესაძლოა საკრემაციო ქურების ან სამსხვერპლოების ნაგრეგებს განასახიერებენ.

კოლხური სამაროვნის მეორე ძირითადი ნაწილია კოლექტიური სამარხი ორმოები, რომლებიც ერთმანეთისაგან ხშირად განსხვავდებიან ფორმებით, ზომებით, სილრმით, სამარხეული ფენის სიმძლაერით, სამარხეული ინვენტარის თვისობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებით.

სამარხი ორმოები უმეტეს შემთხვევაში საკულტო მოედნის პერიმეტრზე არიან განლაგებულნი. მათი კონტურები ძირითადად 40-80 სმ-ის სილრმეზე იჩენენ თავს და ნიადაგის საერთო ფონზე მეტნაკლებად სიმკვეთრით ისახებიან 10-15 სმ. სიფართის მოლურჯო-მონაცრისფერო ზოლით. ეინაიდან ერგეტის I, III და IV სამაროვნები ქვიშარ ნიადაგზეა გამართული, ამიტომ სამარხის აღნიშნულ ზოლს შორის მოქცეული ფართობიც, ქვიშარის ფონზე მოყვითალო ლაქის სახით ადვილად შესამჩნევია.

როგორც უკვე ითქვა, სამარხთა ფორმები და ზომები არაა სტანდარტული. ზოგიერთი მათგანი გეგმაში წრიული ფორმის, ზოგი კუთხეებმრგვალებული მართკუთხედის ფორმისაა, ზოგიც ოვალური. დიდი განსხვავებაა ზომებშიც. თუ ზოგიერთი სამარხის ფართობი 10 მ არ აღემატება, ზოგისა 50 მ აჭარბებს. აქ უპირატესად არაერემრეულია ძვლები გვხვდება, რომლებიც ნიადაგში სინესტისაგან დარბილებულია და დაშლილი. ის შერეულია სამარხში მოხვედრილ სხვა ორგანულ ნივთიერებებთან ერთად (ტყავის ნაწარმი, ფოთლები, მცენარეული ნაყოფი, ქსოვილის ნაშთები და სხვ.) და ქმნის ტორფისებურ მასას, რომელშიაც არეულია სამარხეული ინვენტარი. ამგვარად წარმოქმნილი სამარხეული ფენა უმეტეს შემთხვევაში სამარხი-ორმოს მთელ ფართობზეა მეტნაკლებად ინტენსივობით განფენილი. მათი სიმძლავრე სხვადასხვა სამარხში სხვადასხვაა, მერყეობს 10 სანტიმეტრიდან 50 სანტიმეტრამდე. აღსანიშნავია, რომ აქ, განსხვავებით საკულტო მოედნების საძვლე ორმოებისაგან (სადაც სრულებით არ გვხვდებოდა კბილები), დიდი რაოდენობითაა ადამიანის კბილები. თანაც ბუნებრივ შესახსრებში, ე. ი. ყბებთან ერთად. თუმცა, ყბების ძვლები ყოველთვის არ ფიქსირდება. სამარხებში ხშირად გვხვდება თავის ქალები, ხელისა და ფეხის ფალანგები, იშვიათად ლულოვანი ძვლები, თითქმის არ გვხვდება ხერხემლისა და მენჯის ძვლები.

*რაც შეეხება სამარხ-ორმოთა კონსტრუქციულ თავისებურებებს, აშკარაა, რომ სამარხის კონტურის გამოსახველი 10-15 სმ. სიფართის მოლურჯო-მონაცრისფერო ზოლი რადაც საგნის ლპობის შედეგად უნდა წარმოქმნილიყო. დღეგების სამაროვნის № 1 სამარხი ორმოს მიხედვით თუ ეიმსჯელებთ, ის ხის ფიცრების ლპობის შედეგადაა წარმოქმნილი. საქმე ისაა, რომ დღეგების აღნიშნულ სამარხში, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე დაფიქსირდა ვერტიკალურად ჩასმული ხის თექვსმეტი ცალი ფიცრის ნაშთი. ფიცრების სიმაღლე 30-40 სმ-ზე იყო შემორჩენილი. აღნიშნულ ფიცრებთან აღმოჩნდა აგრეთვე ხის ტოტების წნული, რომლის სიგრძე 7,5 მ. აღწევდა და რომელიც სამარხიდან აღმოსავლეთით, სამაროვნის ცენტრისაკენ, საკულტო მოედნისაკენ იყო მიქცეული და თანდათანობით მიწის ზედაპირისაკენ მიემართებოდა. ამ აღმოჩენამ კიდევ უფრო გააღრმავა ეჭვი იმის შესახებ, რომ სამარხი-ორმოები შემოზღუდული იყო ხის ფიცრებით და მას გააჩნდა შესასვლელი საკულტო მოედნის მხრიდან. ამ აღმოჩენამდე ამგვარი მოსაზრების უფლებას გვაძლევდა ის გარემოება, რომ სამარხ-ორმოთა უმრავლესობის კონტური მხოლოდ სამი მხრიდან იკითხებოდა ნათლად. ყოველთვის ფერმკრთალდებოდა საკულტო მოედნისაკენ მიმართულ მხარეს. ერგეტის I სამაროვნის № 8 სამარხ ორმოში აშკარად იკვეთებოდა შესასვლელიც. შესასვლელი აშკარად გამოიკვეთა 1997 წლის გათხრილ II სამაროვანზე № 4 სამარხ ორმოშიც (სამარხის ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ გაუთხრელია). ამრიგად, ჩვენთვის საინტერესო სამარხი ორმოები ზემოთ აღნიშნული ს

იწოდებოდა. ანალოგიური კონსტრუქციის ხისაგან ნაგები აკლდამები საქართველოს მასალებში ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ისინი რიგი კონსტრუქციული თავისებურებებით (ვერტიკალურად ჩასმული ხის ფიცრებითა და შესასვლელებით) გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებენ ჩერკასკის ოლქში, სოფ. მტუსოვოში 1974 წ. გათხრილ ე. წ. რეპიახოვატაია მოგილას № 1 და № 2 სამარხებთან. თუმცა, თვით სამარხის შინაარსი აბსოლუტურად განსხვავებულია კოლხურისაგან.

ერთი ამგვარი აკლდამის შენების ან დანგრევის შემთხვევაში იგებოდა მეორე, შესაძლოა რამდენადმე განსხვავებულიც, იქვე გვერდით. თუ გავიხსენებთ, რომ აკლდამებში მიცვალებულთა სავარაუდო რაოდენობა ზოგჯერ ასს აჭარბებს, მაშინ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მის შენებას გარკვეული დროც სჭირდება, ხოლო ერთი და ივივე სამაროვანზე სხვადასხვა ორმოში სხვადასხვა ხასიათის ინვენტარის გაჩენა ამ დროის ფაქტორითაა გამოწვეული.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით კოლხური სამაროვნების ოპტიმალური მოდელი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: გარკვეულ ტერიტორიაზე (მოედანზე) გამართულია მიცვალებულთა დასამშვავებელი მაგიდები, სამსხვერპლოები, საკურთხეველები და საკრძალიო ქერები. გამზადებულია ორმო კრემირებული ძვლებისათვის, აქვე იმართება მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული ტრაპეზი (ქელეხი). აღნიშნული მოედნიდან მიცვალებულის განსაკუთრებული ნაწილები, დაუწვავად, ინვენტართან ერთად შეხვეული (ქსოვილში ან ტყავში) კორიდორის მეშვეობით შეაქვთ აკლდამაში. აკლდამ ფუნქციონირებს მანამ, სანამ არ აივსება, ან არ დაინგრევა. ამის შემდეგ მახლობლად სხვა აკლდამ იგება, შესაძლოა რამდენადმე განსხვავებულიც.

ზემოთქმული შეეხებოდა სამაროვანთა აგებულებასა და ბუნებრივია, მიცვალებულების დაკრძალვის რიტუალის იმ ნაწილს, რომელიც მეტნაკლებად არქეოლოგიურად ფიქსირდება.

რაც შეეხება დაკრძალვის რიტუალის პირველ ნაწილს (მხედველობაში გვაქვს საკულტო მოედანზე მოსვლიდრამდე მიცვალებულის მდგომარეობა), მისი არქეოლოგიურად დაფიქსირება არ ხერხდება. ცხადია, ამ რიტუალს მიწასთან არა აქვს კავშირი. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ რიტუალის ამ ნაწილს შეადგენს კოლხების უძველესი ჩვეულება, რომელიც წერილობით წყაროებში დაფიქსირებული. საკითხი ეხება ანტიკური ხანის ავტორთა: აპოლონიოს როდოსელის, ნიმფოდორ სირაკუზელის, ნიკოლოზ დამასკელის, კლაუდიოს ელიანუსის, ფსევდო პლუტარქეს და სხვათა ცნობებს მიცვალებულთა ხეზე ჩამოკიდების შესახებ. აღნიშნული ცნობები ერცლად არის არქეოლოგიურ ლიტერატურაში განხილული და მათზე აღარ შეჩერდებით. მხოლოდ აღვნიშავთ, რომ სხვებთან შედარებით ნათელ და დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის აპოლონიოს როდოსელი, რომლის მიხედვითაც, როდესაც ბერძნები პირველად ფეხს დგამენ კოლხეთის მიწაზე აქ, კირკეონად წოდებულ ელზე იხილეს: ,,ბალლა ტოტებზე თოკით მიბმული იყო გვამები მიცვალებულთა'' და შემდეგ: ,,კოლხებს დღესაც კი თავზარს სცემთ და ცოდვად მიაჩნიათ გვამების დაწვა, არც შავ მიწაში მარხვენ კაცსა, რომ ზედ ყორღანი აღმართონ. ჯერ გაბმულან ხარის მოუწმელ ტყავებში გვამსა და მერე ჰკიდებენ ბალლა ხეებზე. მყუდრო ჭალებში ქალაქ ვარეთა. მაგრამ ჰაერის კიდეთგან მიწაც იღებს თანაბრად იქ თავის წილსა, რადგანაც ქალებს, რომ მოკვდებიან, მიწის წიაღში აძლევენ ბინას. ასეთი არის ამ ქვეყანაში მიცვალებულთა დაკრძალვის წესი''. ეხება რა დაკრძალვის წესს ურეკის სამაროვნებზე, თ. მიქელაძე არქეოლოგიური მონაცემებისა და აპოლონიოსის ზემოთ მოტანილი ცნობების საფუძველზე გამოყოფს დაკრძალვის რიტუალის ორ ეტაპს. პირველს, ტყავებში გახვევისა და ხეზე ჩამოკიდების, ხოლო შემდეგს მეორედ დაკრძალვას ცალკეული ნაშთებისას ნივთებთან ერთად, სათანადო დამუშავების შემდეგ. ამავე დროს თვლის, რომ არგონავტიკაში შემონახული ცნობები ჩვეულების თანადროულია და სინამდვილეს შეეფერება. თ. მიქელაძის მიხედვით კოლხეთის სამაროვნებზე დადასტურებული ფაქტები და ეს ცნობები ავსებენ ერთმანეთს და დასძენს: ,,რომ არ აღმოჩენილიყო კოლხეთში ხსენებული სამაროვნები, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა შემდგომი ეტაპი მიცვალებულთა ხეზე ჩამოკიდების ახირებული ჩვეულებისა და პირიქით''. ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ამგვარ ინტერპრეტაციას და დავძენთ, რომ თ. მიქელაძის ამ ნაშრომების შექმნის დროს ერგეტის სამაროვნებზე სამუშაოები მხოლოდ იწყებოდა. შემდგომმა სამუშაოებმა კი ამგვარი მოსაზრების სისწორე უფრო განამტკიცა.

აქვე დამატებით გვინდა გავიხსენოთ აპოლონიოს როდოსელთან აღწერილი მედეას ქალაქიდან გაპარვის ეპიზოდიც, როდესაც მედეა გაუსხლტა გუშაგებს და პირდაპირ სამლოცველოში წასვლა ირჩია, სადაც, ხშირად უელია მიცვალებულის გვამების ირგვლივ. ეს ცნობა, ეფიქრობთ, მიანიშნებს იმის შესახებ, რომ სადაც სამაროვნებია დამოწმებული, იქ შესაძლოა სამლოცველოც ყოფილიყო, ხოლო მის არქეოლოგიურად დადასტურებად იქნებ ის საკულტო მოედნები მივიჩნიოთ, რომლებიც თითქმის ყველა სამაროვნის ცენტრშია ფიქსირებული უშუალოდ მიწის ზედაპირზე და რომელზედაც გვქონდა გამახვილებული ყურადღება.

დამატება II

ლ. ბერაია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი და წმინდა ნაწილები

ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი ეროვნული საუნჯის დაცვისა და მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა საქართველოში. მის ფონდსაცავებში დაუნჯებულია საქართველოს ისტორიისა და კულტურის უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლები.

მუზეუმის კოლექციები შეიქმნა სამეგრელოს ყოფილი მთავრების — დადიანთა საგვარეულო საგანძურის, 1922-1923 წლებში სახელმწიფოს მიერ ეკლესია-მონასტრებისათვის ჩამორთმეული ქონების, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალების, მუზეუმის მიერ შესყიდული ხალხური ხელოვნების ძვირფასი ნიმუშებისა და შემოწირულობების საფუძველზე. ამჟამად მუზეუმში დაცულია 40 ათასზე მეტი სხვადასხვა სახის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური, ფერწერული, ჭედური და გამოყენებითი ხელოვნების, წერილობითი და ბეჭდური მასალა.

მუზეუმში დაცულია გიორგი მეფის სამწერობელი (XI ს.), თამარ მეფის დედის, დედოფალ ბურდუხანის ხატი (XII ს.), კარედი ხატი წმინდა გიორგისა, ქტიტორის — კირილე ჟუანიძის გამოსახულებით (XVI ს.), ცაიშის ღვთისმშობლის ხატი (XVII ს.), ცაიშის 12 საუფლო დღესასწაულის ხატი (XVII ს.), ხატი წმინდა გიორგისა — ჰეკუ მეუნარგიას ხელობისა (XIX ს.) და მრავალი სხვა. ეს ძეგლები მდიდარ ისტორიულ მასალას შეიცავს. წარწერებში გადმოცემული ზოგიერთი ფაქტი და ზუსტი თარიღი გვაძლევს საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობის გარკვევა-დაზუსტების საშუალებას.

ცნობილია, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესია ოდითგანვე თაყვანს სცემდა და სათუთად ეყრობოდა მონასტრებში დაცულ სიწმინდეებს, მაგრამ დროთა განმავლობაში, გარეშე მტრების შემოსევებისა და შინაური შფოთის გამო, ჩვენი ეკლესიის საგანძურთან ერთად სიწმინდეების უმეტესობა განადგურებულა, ხოლო ნაწილი კი მუზეუმებსა და სხვა ადგილებში დამკვიდრებულა. ამას ადასტურებს ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული სიწმინდეები, რომლებიც ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრიდან 1923-1936 წლებში შემოსულა და მუზეუმის საგანძურთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს არის სახელგანოქმული კვართი ღვთისმშობლისა, რომელიც თავის დროზე დეკორით ყოფილა შემკობილი, მაგრამ დროთა განმავლობაში საღებავი გადასულა. ამჟამად იგი უფრო ტილოს წააგავს (ზომა: 180X150 სმ), აქვეა დაცული წმინდა მარინეს მკლავი უსამკაულოდ (აკლია დიდი თითი და საჩვენებელი თითის სახსარი), წმინდა კვირიკეს ხელი (აკლია ორი თითი, პატარა და უსახელო), წმინდა გიორგისა და იოანე ნათლისმცემლის ძვლის ნაწილები.

წმინდა ნაწილები მოთავსებულია ვერცხლით მოჭედილ პატარა ზომის კუბოში, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. იგი შემკობილი ყოფილა თელებით (სახეზეა მხოლოდ სამი თეალი), ღვთისმშობლის გამოსახულებით და აქვს მხედრული წარწერა: „...შევამკევ:. და მოვაჭედინე:. კვართის:. კუბო:. ესე:. ვერცხლითა:. ოქროთ:. დაფერვითა:. თეალითა:. მარგალიტითა:. მე:. ქელმწიფემან:. დადიანმან:. პატრონმა:. ლევან:. მისთვის:. საოხად:. შეგიმკევთ:. ყოვლად წმიდაო:. ქერაბინთა:. უმაღლესო:. სერაბინთა:. უამტბენულესო:. ქალწულო:. ყ დ:. საგალობელო ლხინებაო:. ყოველთა:. ქრისტიანეთაო:. შეისმინე:. ვედრება:. ჩვენი:. და იხსენ:. და აცხოვნე:. განასვენე:. და აყურთხე:. სული:. დედოფლისა:. ნესტან დარეჯანისა:. და დამკვიდრე:. სასუფეველსა:. ამინ:.

მოიჭედა ყოვლად:. წმიდისა:. პეტრანგისა:. კუბო ესე:. ქკსა:. სამს:. ოცდა:. რვასა:." ქორონიკონი უდრის 1640 წელს.

წმინდა ნაწილები, რომელიც ყუთშია მოთავსებული და რომელსაც მხედრული წარწერა ამშვენებს, გაკეთებულია ლევან II დადიანის (1611-1657 წწ.) დაკვეთით.

როგორ მოხვდა ეს სიწმინდეები ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში? არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ამ წმინდა ნაწილების საქართველოში, კერძოდ ხობის მონასტერში მოხვედრისა. თითქოს ეს სიწმინდეები მე-17 საუკუნის დასაწყისში იერუსალიმიდან იყოს ჩამოტანილი.

პატრიარქი ბატონიშვილი მხოლოდ მწირ ინფორმაციას გვაწვდის აღნიშნულ საკითხზე: – „... ხოფის ეკლესიასა შინა მსუენარებს პერანგი ყოველად წმიდის ღვთისმშობლისა სასწაულ მოქმედი...“

სამაგიეროდ ცნობები ამ სიწმინდეთა შესახებ უხვადაა დაცული უცხოელ ავტორთა თხზულებებში. სამეგრელოში დაცული სიწმინდების შესახებ საინტერესო მასალა დაგვიტოვეს რუსმა ელჩებმა ფედოტ ელჩინმა და პავლე ზახარიევმა.

1640 წლის გაზაფხულზე ლევან II დადიანთან რუსი ელჩები სტუმრობდნენ. ამ ელჩობის დროს ისინი ხობის მონასტერსაც ეწვივნენ. ტაძრის არქიმანდრიტმა ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილმა მათ უჩვენა ღვთისმშობლის პერანგი და წმინდანების კვირიკესა და მარინეს წმინდა ნაწილები. სტუმრების კითხვაზე: ვის მიერ და საიდან იყო ჩამოტანილი ეს სიწმინდეები, – არქიმანდრიტს განუმარტავს: „– მე დიდი ხანი არ არის რაც აქ ვარ, ამ თანამდებობაზე და არ ვიცი საიდან და ვის მიერ არის ეს წმინდა ნივთები ჩამოტანილი“.

არქანგელო ლამბერტი პირდაპირ მითითებებს იძლევა წმინდა ნაწილების ხობის მონასტერში არსებობის შესახებ, მაგრამ ვის მიერ ან როდის იქნა ჩამოტანილი, ამაზე არაფერს ამბობს. ის აღნიშნავს, რომ ხობის მონასტერში „აჩვენებენ ღვთისმშობლის პერანგს, რომელსაც იქურები დიდ პატივსა სცემენ“.

სიწმინდეთა შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა ანტიოქიის პატრიარქი მაკარი, რომელმაც ღვთისმშობლის კვართი ნახა მე-17 საუკუნეში. მან და მისმა მხლებლებმა თაყვანი სცეს და შემდგომ მის თარგზე აჭრეს ახლად კვართი, რომელიც კურთხევის შემდეგ დიდი სიხარულით წასვენეს თავიანთ სამშობლოში.

თეატინელთა მისიის პრეფექტი სამეგრელოში, ჯუზეპე მარია ძამი საქართველოდან რომში გაგზავნილ ერთ-ერთ მოხსენებაში უაღრესად საინტერესოდ აღწერს ხობის მონასტერში დაცულ წმინდა ნაწილებს. „ამ ხალხს ბევრი რელიქვია აქვს, რომლებიც მათ პირველ ყოველისა, მიიღეს იმ დროს, როცა აქ, საქართველოში ქრისტიანობა ჰყვაოდა და მათ მთავრებს კავშირი ჰქონდათ კონსტანტინოპოლის იმპერატორებთან, რომლებიც მათ ბევრ რელიქვიას უგზავნიდნენ საჩუქრად. შემდეგ ეს რელიქვიები მათ მიიღეს აგრეთვე ამავე ქალაქის სასულიერო პირთაგან, რომლებიც ცდილობდნენ ეს ხალხი ღვთისმოსაობაში განემტკიცებინათ. დაბოლოს, რელიქვიები მიიღეს იმ წმინდა მამათაგან, რომლებიც თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მაჰმადიანთა ტირანიისაგან თავის დასაღწევად სამეგრელოში გადაიხვეწნენ და გაიფანტნენ მეზობელ ქვეყნებში. ამბობენ, რომ მაშინ ყოლხიდაში ჩამოვიდა ერთი არქიეპისკოპოსი, თან ჩამოიტანა ერთი მტკაველის ოდენა ნაჭერი ძელი ჭეშმარიტისა (ფრანგული ფუტის რვა დიუმზე რამდენადმე დიდი) და კვართი, რომელიც მათი თქმით, ღვთისმშობელს ეკუთვნოდა; ჩვენს პატრებს იგი უნახავთ. ტილო, რომელისგანაც იგი არის შეკერილი, ყვითელი ფერისაა, აქა-იქ დაჩითულია ყვავილებით და მოქარგულია ნემსით. სიგრძით იგი რვა რომაული მტკაველის ოდენაა, განით კი – ოთხისა, აქვს ერთი მტკაველის სიგრძის მოკლე მკლავები და ვიწრო საყელო. მეც მინახავს იგი ხობის ეკლესიაში, სადაც ის ინახება; აქვე ძვირფასი თვლებით მოჭედილ ოქროს ლუსკუმაში, ვნახე გამხმარი მკლავი. როგორც ამბობენ, ეს არის წმ. მარინეს მკლავი; ვნახე აგრეთვე წმ. კვირიკეს მკლავი და ოქროთი თუ ვერცხლით შემკული სხვა წმინდანთა ნაწილები. კვართი, რომლის შესახებაც მე ვილაპარაკე, ინახება ვერცხლისაგან გაკეთებულ, ყვავილებით მორთულ ეპანოზის ყუთში“.

უაღრესად საყურადღებოდ უნდა მივიჩნიოთ რუსი ელჩების ალექსი იველევისა და ნიკიფორე ტოლოჩანოვის საანგარიში მოხსენებაში დაცული ცნობა, რომლებიც იმერეთის სამეფო კარზე იმყოფებოდნენ 1650-1652 წლებში.

ალექსი იველევსა და ნიკიფორე ტოლოჩანოვს ბერებმა, რომლებიც ათონის მონასტრიდან იყვნენ გამოგზავნილი სამონასტრო გადასახადის ასაკრეფად, უამბეს, რომ სადადიანოში, ხობის მონასტერში, რომელიც ღვთისმშობლის მიძინების სახელობისა და მარმარილოს ქვის საყდარია, საბერძნეთის მეფის ჰერაკლეს მიერ აგებული, ძველი დროიდან ყოველად წმინდა ღვთისმშობლის კვართიაო დაცული, რომელიც კონსტანტინოპოლიდან ჩამოუტანია ერთ წიგნების მცველს, მაშინ, როდესაც თეოფილე მეფის დროს წმინდა ხატების დევნა მიმდინარეობდა საბერძნეთში. ღვთისმშობლის კვართი ვერცხლის კიდობანში ყოფილა დაცული და საყდრის სასუფეველთან დადგმული, მთავრის ლევან დადიანის და კათალიკოსის ბეჭდით დალუქული. ყოველად წმინდა ღვთისმშობლის კვართს თურმე სნეულის განსაკურნებლად ხმარობდნენ.

ალექსი იველევი აღნიშნავს, რომ მან ღვთისმშობლის კვართის შესახებ ჰკითხა ზაკარია მიტროპოლიტს, უნდაოს თუ არა ის, ნამდვილად ღვთისმშობლის კვართია თუ არა. მიტროპოლიტს თურმე მრავალჯერ უნახავს და აღუნიშნავს, რომ იგი წიგნების მცველის მიერ ყოფილა მიტანილი იმ დროს, როცა წმინდა

ხატები დევნას განიცდიდნენ საპერძნეთში. „ის ნამდვილად ყოველად წმიდა ღვთისმშობლის კვართიაო და სნეულის განკურნებაც მისგან ყოფილაო“.

ამ სიწმინდეებთან ერთად თურმე აქ ინახებოდა ძელიცხოველის ნაწილიც და სხვა წმინდათა ნაწილები, რომლებიც მივიწყებული და უყურადღებოდ მიტოვებული ყოფილა, არც სანთლებს უნთებდნენ და არც გალობდნენ. რუს ელჩს ალექსი იეელევს ზაქარია მიტროპოლიტთან საუბრისას სურვილი გამოუქვამს კვართის მოსკოვში წაღებისა.

ასევე საინტერესოა იტალიელი მისიონერის დონ კრისტოფორო დე კასტელის ცნობა — იგი აღნიშნავს „... — უფლის დიდი დედა ხოფის მონასტერშია, სადაც ბერძნებმა მოიტანეს (სარკინოზების მერე) კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ“.

ეკვთიმე თაყაიშვილი თავის არქეოლოგიურ მოგზაურობაში, ხობის ეკლესიაში დაცულ საგანძურთა შორის აღწერს აგრეთვე სანაწილე კოლოფს, რომელშიაც ინახებოდა ღვთისმშობლის კვართი და სხვა წმინდა ნაწილები. იგი აღნიშნავს, რომ „წარწერა ეკუთვნის დიდ ლევან დადიანს, მისი მეუღლე ნესტან-დარეჯან ჭილაძის ასული გარდაიცვალა 1639 წელს. მაშასადამე წარწერა გაკეთებულია 1639-1657 წლებში“.

ცხადია, რომ ზემოთ მოტანილი ცნობები, რომელიც რუს ელჩებს ადგილობრივმა ინფორმატორებმა მიაწოდეს, საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ყოველად წმინდა ღვთისმშობლის კვართის საქართველოში მე-8 საუკუნეში ხატმებრძოლობის დროს გადმოტანას უკავშირებენ.

ამრიგად, ყოველად წმინდა ღვთისმშობლის კვართის საქართველოში მოხვედრის შესახებ წერილობითმა წყაროებმა შემოგვინახეს ორი ვერსია. პირველის თანახმად ის ჩამოიტანეს მე-8 საუკუნეში, ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლიდან, მეორის მიხედვით, კვართი ჩვენში ჩამოტანილ იქნა მე-15 საუკუნეში კონსტანტინოპოლის თურქთაგან დაპყრობის (1453 წ.) შემდეგ. თუ რომელი მოსაზრებაა სწორი, ამას შემდგომი კვლევა წარმოაჩენს.

მუზეუმში დაცული სიწმინდეებიდან უაღრესად საინტერესოა ხობის მრავალნაწლიანი ხატი, ფერწერული და ჭედური, ზომა: 47X39 წმ, დაყოფილია სხვადასხვა ზომის სანაწილე ბუდეებად (სულ 52), რომელშიაც წმინდა ნაწილები ყოფილა შენახული, შუაში მოთავსებულია გრძელი ჯვარი ძელი ჭეშმარიტისა ზომით: 25,5X14 სმ; ჯვარცმის გამოსახულებით ასომთავრული განმარტებითი წარწერით. დაყოფილ უჯრედებზე წარწერის ნაშთებია დარჩენილი, რაც ცუდად იკითხება. ხატს შემოვლებული აქვს ლამაზი არშია ფოთლოვან-ყვავლოვანი ორნამენტისა, ქვედა ნაწილი ძლიერ დაზიანებული, ფერწერული ნაწილი კი გაუფერულებულია. სანაწილეებს ახლავს განმარტებითი წარწერები:

„ქ წ(მიდ)სა ონიფ(ა)ნ(ი)ტ(ე)სი: ს(ის)ხლი მ(ო)წ(ა)მ(ე)თი: წ(მიდ)ისა თე(ოდორე)სი: წ(მიდ)სა პ(ა)ნტ(ე)ლე(ი)მ(ო)ნ(ი)სი: წ(მიდ)ისა ევსტ(რა)თ(ი)სა: [წმიდ]სა ევ(სტ)რ(ა)ტისი: წ(მიდ)ისა ევგ(ე)ნიასი: წ[მიდ]ისა პრ(ო)კ(ო)პ(ი)სი

ხატის მარცხენა მხარის ზედა კუთხის უჯრაში ჩადგმულია ვერცხლის პატარა სანაწილე, ოვალური ფორმის, ზომით: 5,4X1,5მ, ოთხი დანაყოფით, წარწერა ასომთავრულია, დაწერტვლითა და სევადით შესრულებული, რომელიც ვერტიკალურ ხაზებშია მოქცეული, ცუდად იკითხება:

1. წ[მიდ]ისა ფილიპეს[ი] მ[ი]ქ[აე]ლისი[ი]
2. წ[მიდ]ისა კლიმისი
3. წ[მიდ]ისა ვლასისი [?]
4. წ[მიდ]ისა მერ[...]სი [მარკოზისი]
5. წ[მიდ]ისა პ(ა)ნტელ[ეიმონ]ი[ს]ი
6. (?)
7. ნ(ა)წ[ი]ლი
8. ნ[ა]წილი
9. ნ[ა]წი[ლ]ი
10. ნ[ა]წილ[ი]

11. ნ[ა]წილი ჯვრის მარცხენა მხარეს უჯრის ერთ კიდეზე არის ასომთავრული განმარტებითი წარწერა:

[მ]ნ(ა)თ[მ]თისი[ს]ა ოთხთა [წმდი]სა ნინოი

დამატება III

ი. ანთელავა

XII-XIV სს. დადიანები



დამატება IV

ი. ანთელავა, თ. ბერაძე

მთავარ დადიანთა ქრონოლოგია

ძველი დადიანები




გიორგი IV დადიანი (ყოფილი ლიპარტიანი, ჩიქოვანი)
(1700-1709 წწ., 1710-1714 წწ.)
კაცია I
(1709-1710 წწ.)
ბეჟანი
(1714-1728 წწ.)
ოტია
(1728-1757 წწ.)
კაცია II
(1757-1788 წწ.)
გრიგოლი
(1788-1792 წწ.,
1796-1804 წწ.)
მანუჩარ II
(1792-1796 წწ.)
ტარიელი
(1802 წ.)
ლევან V
(1805-1846 წწ.)
დავითი
(1846-1853 წწ.)
ნიკოლოზი
(ნომინალურად 1853-1867 წწ.)

დამატება V

მ. ჟობალია

სამეგრელოს სათავადაზნაურო საგვარეულოები

სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ დადგა საკითხი ადგილობრივი თავადაზნაურობის რუსეთის იმპერიის თავადაზნაურებთან გათანაბრებისა. საგანგებო კომისიამ შეისწავლა სათანადო დოკუმენტაცია და სულობრივად აღწერა ყველა სათავადაზნაურო ოჯახი. თავადაზნაურთა სია – "Именной посемейный список лицам, признанным в Тавадском и Азнаурском достоинствах по Менгрелии" - დამტკიცებული იყო:"Подлинный список подписаны Председателем Совета Наместника Кавказского и Членами онаго".

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ სიიდან მხოლოდ გვარებს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ სიაში შეტანილია გვარები სამურზაყანოდან და ლეჩხუმიდან, რომელიც დადიან-ჩიქვანთა მთავრობის ხანაში სამეგრელოს სამთავროს ნაწილს წარმოადგენდა. სია ასახავს მდგომარეობას სამთავროს გაუქმების დროისათვის.

თ ა ვ ა დ ე ბ ი :

ანჩაბაძე	*გარდაფხაძე*	*დგებუაძე*	*ქორჩაკიძე*
ასათიანი	*გელოვანი*	*მიქაძე*	*შელია*
აფაქიძე	*დადიანი*	*მხეიძე*	*ჩიქოვანი*
ახვლედიანი	*დადიშქელიანი*	*ფალავა*	*ჩიჩუა*
			ჯაიანი

ა ზ ნ ა უ რ ე ბ ი :

ათაბაგი	*გიგიბერია*	*ლოლუა*	*ფიჩხაია*
ალშიბაია	*გიგინეიშვილი*	*მამარდაშვილი*	*ფულარია*
ანთელავა	*გოშუა*	*მანდარია*	*ქავთარაძე*
ანჯაფარიძე	*გრიგოლია*	*მარჯანიშვილი*	*ქართველიშვილი*
ასათიანი	*გუგუშვილი*	*მასხულია*	*ქვარიანი*
აფაქიძე	*გურალია*	*მდივანი*	*ქორთუა*
ახვლედიანი	*დათუაშვილი*	*მეუნარგია*	*ქორქია*
ბერიძე	*დარახველიძე*	*მხეიძე*	*ქუჩულორია*
ბერზენი	*დაშნიანი*	*ნანეიშვილი*	*ღვამბერია*
ბოლქვაძე	*დგებუაძე*	*ნაჭყებია*	*ყიფიანი*
გაბუნია	*დეედარიანი*	*ნემსაძე*	*ყრუაშვილი*
გაგუა	*დეალიშვილი*	*ნიკოლაიშვილი*	*შელია*
გამსახურდია	*დიდია*	*ნორაკიძე*	*შენგელაია*
გასვიანი	*ზვამბაია*	*ორზოლია*	*ჩარკვიანი*
გაწერელია	*თეალთვაძე*	*ეკვანია*	*ძიძიგური*
გეგელია	*თოფურიძე*	*ყორდანია*	*ხაინდრავა*
გეგენავა	*იოსელიანი*	*რატიანი*	*ჯავახია*
გეგეჭკორი	*კეიდია*	*რევია*	*ჯაიანი*
გელოვანი	*კიზირია*	*სალაყაია*	*ჯაფარიძე*
გვათუა	*კობახიძე*	*საჯაია*	*ჯოლია*
გვალია	*კორძაია*	*ფაცია*	*ჯორჯიკია*
გვაჯავა	*ლიფონავა*	*ფალავა*	

ამ სიაში თავის დროზე არ მოხვედა ზოგი აზნაურული გვარი, რომელთაც ვერ წარადგინეს დოკუმენტაცია. სასამართლო დავა თითქმის მე-20 საუკუნის დამდეგამდე გრძელდებოდა.

დამატება VI

თ. ასათიანი

სამეგრელოს სამთავროს გერბები

ქართულ ჰერალდიკაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს სამხარეო გერბებს. ჩვენთვის სადღეისოდ ცნობილი ამ სახის უძველესი გამოსახულებები XVII საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება. ეს იყო რუსეთის მეფის „ტიტულაარნიკში" მოთავსებული საქართველოს, ქართლის და კახეთის გერბები. სამეგრელოს დღემდე მოღწეული უპირველესი, ამ სიტყვის ევროპული გაგებით გერბი ბატონიშვილ ვახუშტი ბაგრატიონის 1735 წლის კავკასიის ატლასშია დაფიქსირებული, სრულიად კავკასიის სხვა მხარეების სიმბოლოებთან ერთად.

ოდიშის ვახუშტისეული გერბი: ღია ცისფერ ფონზე გამოსახულია რუხი ტახი, რომელსაც ხელთ უპყრია გაშლილი მართკუთხა დროშა შუაში ფრინველით. კუთხეებში კი ოთხი მრავალქიმანი ვარსკვლავით. ისევე როგორც ვახუშტი ბატონიშვილის მიერ მოყვანილი სხვა ისტორიული პროვინციების სიმბოლოები სამეგრელოს ზემოთმოყვანილი გერბის კომპოზიციაც საკარაუდოდ უძველესი ტოტემური წარმოშობის უნდა იყოს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს რამდენიმე საკმაოდ საფუძვლიანი არგუმენტი, რომელიც ატლასში განთავსებული გერბების განცალკევებით თუ ერთობლივად მთლიანობაში განხილვის შედეგად ყალიბდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული პარამეტრებით ვახუშტის გერბები საკმაოდ ახლოს დგას ევროპული ჰერალდიკის იმდროინდელ ნიმუშებთან.

სამეგრელოს სამთავროს სრულიად განსხვავებულ გერბს ვხედავთ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ოქროს ფონდში დაცულ დადიანების კუთვნილ XIX საუკუნის ორ ვერცხლის ლანგარზე. თითოეული ჭურჭლის ცენტრში ამოჭედილია ე.წ. ფრანგული ფარი, გერბთმცოდნეობის წესების მიხედვით პირობითად წინწკლებით აღნიშნული ოქროს ფონით და ვერცხის გამოსახულებით.

არსებობს ოდიშის გერბის კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც ჩვენთვის არასამეცნიერო წყაროდანაა ცნობილი და მეცნიერულად ნაკლებად არის შესწავლილი. მასში შავ ფონზე ხარის ოქროს თავის გამოხატული მეწამული ანუ წითელი ენითა და თვალებით. სიმბოლოს წარმომავლობა და მისი გაჩენის თარიღი სამწუხაროდ ჩვენთვის ჯერჯერობით გაურკვეველია. თუმცა, თუ ასეთი გერბი მართლაც არსებობდა, გარეგნული ნიშნების მიხედვით ისიც ალბათ XIX საუკუნის პირველი უნდა ყოფილიყო.

სხვათაშორის გერბების სიმრავლით სამეგრელო გამორჩეულია საქართველოს ისტორიულ პროვინციებს შორის — ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით ამ მხარის ემბლემად სხვადასხვა დროს სამი ერთმანეთისგან განსხვავებული გერბი ითვლებოდა.

სამგზეიროდ შედარებით ნაკლებად იყო გავრცელებულ-განვითარებული სამეგრელოში საგვარეულო ჰერალდიკა. ამას შესაძლოა იმანაც შეუწყო ხელი, რომ ოდიშის სამთავრო საკმაოდ გვიან — XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეუერთდა რუსეთს. კლასიკური საგვარეულო გერბები კი დასავლეთ საქართველოში უმთავრესად სწორედ რუსეთის იმპერიასთან მირთების შემდეგ იქმნებოდა. მიუხედავად ამისა იმპერიის ოფიციალურ საგვარეულო „გერბოვნიკში" შესულია დადიანების ორივე შტოს (ძველი დადიანების და დადიან-ჩიქვანების) ძლიერ ლამაზი, მოხდენილი და კომპოზიციურად გამართული გერბები.

ხსენებული საგერბის VI ტომში შეტანილია, როგორც რუსები უწოდებდნენ — იმერელ თავად დადიანოვების ანუ დადიანების ძველი (ნამდვილი) შტოს მოტანილი, 1801 წელს დამტკიცებული გერბი. მასში გამოსახული ვერძი, ცნობილი რუსი გერბთმცოდნის ლაკიერის ცნობით, საგვარეულოს კოლხეთთან და აქედან გამომდინარე ოქროს საწმისის ლეგენდასთან კავშირზე მიანიშნებს; ფარის ზედა, მაცქერლისთვის მარჯვენა მეოთხედში განთავსებული ნმ. გიორგი, ისევე ვითარც ზოგიერთ სხვა გვარის გერბში, აქაც შესაძლოა XVII-XVIII საუკუნეების მიჯნიდან რუსეთში გადასახლებული დადიანების ქართულ წარმოშობაზე ან ბაგრატიონთა სამეფო კართან მათ მოყვრობაზე მიუთითებდეს;

ხოლო ფარის ქვედა მარჯვენა ნაწილში მოთავსებული აფრებაშვებული გემი საზოგადოდ სიმბოლურად განასახიერებს დასახული მიზნის კეთილად და მშვიდობიანად მიღწევას. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია, რომ თვით ერეკლე II-ც გერბის ბოძების ერთ-ერთ სიგელში გვაუწყებს: „გემი ნიშანია კეთილსაქმისკენ მიმართული კეთილდღეობისა და მუდმივობისა“.

იმავე „გერბოვნიკის“ XIII და XIV ტომში შესულია ერთმანეთისგან მცირედით განსხვავებული გერბები, რომლებიც დადიანების ე.წ. ახალი შტოს – დადიან-ჩიქოვანების, რუსულ ყაიდაზე დადიან-მინგრელსკების ორ გამოჩენილ წარმომადგენელს: უგანათლებულეს თავად ნიკოლოზ დავითის ძე მინგრელსკის და უგანათლებულეს თავად ანდრია დავითის ძე დადიან-მინგრელსკის ეკუთვნის. ნიკოლოზი (1847-1903 წწ.) სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი (1853-1867 წწ.) იყო, ანდრია (1850-1910 წწ.) კი – გენერალ-ლეიტენანტი რუსეთის სამსახურში და ჯადრაკის მთელს ევროპაში სახელგანთქმული მოყვარული და მეცენატი.

დადიანების ძველი შტოს სიმბოლიკის მსგავსად ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს საგერბე ფარები კომპოზიციურად კვლავ არგონავტების მითს უკავშირდება. უთუოდ აღსანიშნავია, რომ ორივე გერბი მაღალ მხატვრულ დონეზეა შესრულებული და ამ მხრივ არამარტო ქართულ, არამედ რუსულ გერბთმცოდნეობაშიც გამოირჩევა. საერთოდ, ჰერალდიკის ამგვარი ნიმუშები ნებისმიერი დასავლეთ ევროპული ქვეყნის საუკეთესო საგერბეშიც კი ღირსეულად წარმოჩნდებოდა. აგრეთვე ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ფარებზე დადგმული ე.წ. „ძველსლავური მუზარადი“ რუსეთის იმპერიაში მხოლოდ უგანათლებულესი თავადების საგერბე ატრიბუტი იყო და ბუნებრივია ქართულ ჰერალდიკაში დადიან-მინგრელსკების გარდა არცერთი სათავადო გვარის სიმბოლიკაში არ გვხვდება.

ავტორთა შესახებ

ნინო აბაკელია – ი.მ.დ., ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი.

ილია ანთელავა – ი.მ.დ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი.

თორნიკე ასათიანი – ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

ლილი ბერაია – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის მთავარი მცველი.

თამაზ ბერაძე – ი.მ.დ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

გელა გამყრელიძე – ი.მ.დ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგე, შავიზღვისპირეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

პარმენ ზაქარაია – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

ავთანდილ თორდია – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი.

თამილა კაპანაძე – ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, საქართველოს ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

ოთარ ლორთქიფანიძე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი, ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

რევაზ პაპუაშვილი – ი.მ.კ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

მამანტი პაჭკორია – ი.მ.კ., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

აბესალომ ტულუში – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი.

მარინე ქობალია – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი.

ნაზი ქორთუა – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრის ბიბლიოთეკა-არქივის გამგე.

პაატა ცხადაია – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელოს სამხარეო სამეცნიერო ცენტრის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ ონომასტიკის ლაბორატორიის გამგე.

ნათელა ჯაბუა – ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, თსუ დოცენტი.

მადლობის გვერდი

აუცგირთა კოლექტიური სასიამოვნო ვალდებულებად მიიჩნეს მადლობა უძღვნას მათ, ვინც დაუზარელი თანადგომითა და დასმარებით ხელი შეუწყო წინამდებარე წიგნის მომზადებასა და გამოკვეთას.

წიგნის დაბეჭდვის უზრუნველყოფისათვის საგანგებო მადლობა:

ბნ მიხეილ ჩიკვილაძეს, ბნ ამირან თაყართქილაძეს, ბ-ნ უშანგი ქეზერნიშვილს, ბ-ნ საშსონ (სოსო) ფანჯიკარიას.

წიგნის დასაბეჭდად მომზადებისათვის საგანგებო მადლობა:

გამომცემლობა „ინტელექტისა" და საინტერესო ქერნალ „ანტანეჯის" თანამშრომლებს ალა ალადაევა, ბუბა ალადაევა, გიორგი ხარებავა, გოჩა ხარებავა, ლაშა გადელია, ქეთი ჩხაიძე, ნინო გულდაევა, მარიკა წიკლაურს, ელენე ალერაძეს, ნატო ჯიქიძეს, ეთერ ყანფოლს, ეთერ ბაიდოშვილს.

ხელოვნებათმცოდნეს, ქ-ნ მარინე გაბუნიას

ბ-ნ ნიკა ალბიშვილს ფოტოგრაფების დაბეჭდვის ნებართვისათვის.

ABOUT THE BOOK

Samegrelo-Colchis-Odishi
Studies of Archeology, Linguistics, History,
Architecture & Ethnology

Edited by Ilya P. Antelava

One of the first myths of the ancient Greeks tells a story of Prometheus chained up to the Caucasian Mountains & the Argonauts campaign for the Golden Fleece. Contacts between the Hellenes & Colchis proved by mythological & historical evidence demonstrate ancient origin of the Georgian Civilization & its inclination for the European cultural circles.

The present collective monograph dwells upon historical Colchis where the first Western Georgian State was founded. Interesting civilization was created in West Georgia, which gave birth to the Georgian State & culture. The modern region of Samegrelo is a part of Old Colchis. Kingdom of Egrisi or Lazika carried on traditions of Colchis. There was a county & then a principality there by the name of Odishi in the Middle Ages. It was a political unit where more than one excellent piece of spiritual & material Heritage of Georgia was created.

Preface of the book (by Ilya Antelava) defines its purposes & tasks.

The monograph consists of 9 chapters & 6 annexes. Bellow is the list of chapters & annexes:

CHAPTER 1

Outline of Bio-Geo environment & Historical Geography

1.1. Influence of Bio-Geo environment on the History of Colchis (by Gela Gamkrelidze)
1.2. On the Historical Geography (by Tamaz Beradze)

CHAPTER 2

Occidental Area of Kartvelian Languages (Colchian or Zanian) (by Paata Tskadaya)

2.1. Kartvelian Languages & their differentiation
2.2. Issues of Historic Ethnonimic
2.3. Dialects of Colchian (Zanian) Language
2.4. On the History of Colchian (Zanian) Language Studies
2.5. Vocabulary & Toponymy

CHAPTER 3

"Cold-field Colchis" (Myth and Reality) (by Otar Lortkipanidze)

3.1. On the Prehistory
3.2. The Bronze Culture of Colchis
3.3. Legend about Argonauts & Aia//Colchis
3.4. Colchis & its culture in VII-IV centuries B. C.
3.5. Colchis & Greek World
3.6. The role & importance of Colchis for genesis & development of single Georgian civilization

CHAPTER 4

From Egrisi-Colchis to Odishi

4.1. Egrisi on the eve of old & New Era (by Tamaz Beradze)
4.2. Kingdom of New Egrisi (Lazica)
4.3. Kingdom of Egrisi-Abkhazeti
4.4. On the History of Poti (Phasis) (by Gela Gamkrelidze)

CHAPTER 5

Odishi County (by Tamaz Beradze)

5.1. Odishi County within the United Kingdom
5.2. Odishi County in XV-XVI centuries

CHAPTER 6

Odishi Principality under the Old Dadianis rule (by Ilya Antelava)

6.1. Odishi from 70-ies of XVI century till the beginning of XVII century
6.2. Levan II Dadiani on the throne of Principality
6.3. Fight from superiority
6.4. Relationships with Iran, Ottoman Empire & Russia
6.5. Head for Europe
6.6. The Latest years of Levan II & the Dynasty

CHAPTER 7

Odishi Principality under the rule of Dadiani-Chikovani Dynasty

7.1. From the end of XVII century till the beginning of XVIII century (by Tamaz Beradze)
7.2. The Principality within the Russian Empire
7.3. Central and Local governments of the Principality (by Abesalom Tugushi)
7.4. Short notes on the member of the prince's family after the abolition of the Principality (by Mamanti Pachkoria & Nazi Kortua)

CHAPTER 8

Outline on Architecture

8.1. Nokalakevi & Architecture of its environs (by Parmen Zakaraia & Tamila Kapanadze)
    8.1.1. Nokalakevi-Archaepolis-Tsikhe-Goji
    8.1.2. Architectural monuments outside the site of ancient town
    8.1.3. System of protection in the North-West part of the Egrisi Kingdom
8.2. Medieval fortress of Samegrelo (by Parmen Zakaraia)
8.3. Short notes on the monuments of cult Architecture (by Natela Jabua)

CHAPTER 9

Outline of the History of Mode of Life (by Nino Abakelia)

9.1. Archaic cults & rituals in Samegrelo
9.2. Wedding customs in Samegrelo
9.3. Funeral & mourning customs in Samegrelo

ANNEX 1

Revaz Papuashvili - Ergeta burial grounds

ANNEX 2

Lili Beraia - Sacred things in the Zugdidi Historical Museum

ANNEX 3

Ilya Antelava - The Dadianis in XII-XIV centuries

ANNEX 4

Ilya Antelava, Tamaz Beradze - Chronology of Princes Dadianis

ANNEX 5

Marina Kobalia - Noble family names of Samegrelo

ANNEX 6

Tornike Asatiani - Coats of arms of the Principality of Samegrelo

Illustrations & maps are attached at the end.